ლევან
სანიკიძე

ხანმოკლე.. ისტორიული ტრაქტატი.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1993

63.3 (5Ми)
ს 262

ეს წიგნი ებრაელთა ისტორიაა — თანმიმდევრული, სისტემატური თხრობით, დასაბამითგან მეორე ტაძრის აღსასრულამდე (ახ. წ. 70 წ.). ავტორი, ცნობილი მეცნიერი და მწერალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრის გამგე — ამ წიგნსაც წერს მხატვრული პროზით, ანუ მეცნიერებისა („საკუთრივ ისტორია") და ხელოვნების (მწერლობა, პოეზია) სინთეზით („არისტოტელური მეთოდი"). მაშასადამე, წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრეებისთვის.

რედაქტორი შალვა წიწუაშვილი

0501000000
ს ———————
608 (06) — 93

© საწარმოო ფირმა „ბუბა", ტექსაწარმო „დოლამისი", 1993 წ.

ISBN 5—511—00570—3

ძმა კაცისაო.
მოგაგონებ მაცოცხლისა ღმერთ,
და ნაბრძანებელ
და ანგელოზ ძმათა ისრაელისათა.
ეზეკიელი, 3,1.

...რამეთუ გულსმოდგმა ძმადმოყვარეობისა
მოიმოხრიან ბაგენი,
თუ რაოდენნი კეთილნი თავს
ისაბნეს
სულიერთაჲთ საკრძალთათჳს
ცოცხალნი ებრაელთამცნენ...
გიორგი III,
მეფე ქართველთა



თბილისი ნოლინდელი:

მოსეს შობიდან - 3560
ქრისტეს შობიდან - 1990



ქართულ-ებრაული პროლოგოსი, ანუ უძმოთა ძმანი

(სიტყვა წარმოთქმული 1989 წლის 10 სექტემბერს, ონის სინაგოგაში, ებრაელთა და ქართველთა საკრებულოზე, ისრაელიდან წვეულ სტუმართა პატივსაცემად).

ძმანო უძმოთა!

ნუ გაგაკვირვებთ ეს, ერთის შეხედვით, უცნაური ფორმულა, ეგრეეე საუცხისოდ ნათქვამ სიტყვას რომ წავუმძღვარე. ვაჟა-ფშაველას აქვს ერთი მოთხრობა, ანაგებით მომცრო, მაგრამ გენიალობით დატვირთული და განწიალებული. „უძმოს-ძმა“ ჰქვია იმ მოთხრობას, რომლის მთავარ გმირს, სახელად ჩალხოს, თავისი საწუთისოფლო ცხოვრების აზრად და მიზნად ის გაუხდია, ძმობა გაუწიოს იმათ, ვისაც ძმა არ ჰყავს და მარტოდ შთენილს უსამართლოდ დასჯა და გადათელვა ემუქრება.

დღეს ჩვენ აღმოვჩნდით ასეთი უძმონი — ჩვენ, ქართველები. გაუგონარი, უბოროტესი უმადურობით გვიხდიან ყოველ სიკეთეს, რაიც ქართველ კაცს, ქართულ მიწაზე, ქართულ ცისქვეშ, მიუძღვნია და მიუბედნიერებია ყოველი არაქართველი ლტოლვილისთვის, ხიზანისთვის, მდგმურისთვის.

და, ერთადერთნი, ვინც ჩვენ, უძმოდ დარჩენილ ქართველებს წრფელ, ჭეშმარიტ ძმებად მოგვეელინენ, არიან სწორედ ებრაელნი.

მადლობა, უფალს! ისინი, ვინც ჩვენი ძმობისთვის დღეს გვიძღრო და მადლი მატლად გვიქცია, არამცთუ რაიმე „მსოფლიო“ და „საკაცობრიო“, არამედ ტილიპუჭურში გასამხელიც კი არა შეუქმნიათ რა. ხოლო, ისინი, ვინც ჩვენთან ძმობა მარადიული, განუხრელი და განურღეველი ძმობით იტვირთეს, სწორედ მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის განუყოფელ კავალრებად გვეველინებიან.

აი, ხალხი — მარილი დედამიწისაი: ხაბირუელ, ისრაელ, ებრაელ!

რა ნაკლული, იქნებ კუტიც, იქნებოდა გონებისმიერი მსოფლიო ებრაული გონის გარეშე. აი, ხალხი, რომელმაც მსოფლიოს მისცა ყველაზე დიდი წიგნები, ყველაზე დიდი რელიგია, ყველაზე დიდი თეოსოფია, ანთროპოსოფია, და საერთოდ, ყოველი „სოფია“, ყოველი „ლოგია“, ყოველი „გრაფია“, ყოველი „ნომია“ (აქ მხოლოდ ანტიკურ-ელინური სული თუ შეედრება ებრაულისას).

დიახ, უაღრესად რთული და ძნელია სრულქმნილად ახსნა და გააზრება ებრაული ფენომენისა, რადგან აქ თვით ფენომენიც უკვე ნოუმენში გადადის, ადამიანის გონებისმიღმიერ სამყაროში, ანუ იქ, სადაც სუფევს იეჰოვა, ანუ იაჰვე, ანუ ელოჰიმ, ანუ ადონაი, ანუ საბაოთ.

ათასეული წლების მანძილზე დევნილი ერი ხარ შენ, ისრაელ; დევნილი რისთვის? შენი ღეთივკურთხეული სულისათვის, შენი მარად განმაახლებელი გონებისათვის, შენი აზრის სწორუპოვარი სიმამაცისათვის. ასეა, რადგან კაცთა შორის განუქარვებლად მძლავრობს შური, დიახ, შური ყოველი სიდიდისადმი, ყოველი „ჩემზე უკეთესისადმი“. ბასილი კესარიელმა სთქვა და საბა ორბელიანმაც გაიმეორა: „შური არს წუხილი სხვისა კეთილსა ზედა“, — და ეს ნათქვამი სრულად ესადაგება ებრაელთა ბედს, მსგავსად ქართველთა ბედისა. და ვხედავთ დღესაც, როგორ წუხილში ჩავარდნილან მავანმავანნი, გამორჩეეთ გოგისა და მაგოგისანნი, ებრაელთა და ქართველთა „კეთილსა ზედა“. და, აი ლოზუნგიც, შმორიანი შურით ნარეცხი: „დასცხე ებრაელს, და ქართველიც არ დაივიწყო!“

რა გაეწყობა! ისღა დაგვრჩენია, ვიამაყოთ მათი შურისთვის, მაშასადამე ჩვენი სიდიდისთვის.

სამი ათასი წელიწადი აწვალებს „მოშურნე ჯიშებს“ ეს ნათქვამი: მსოფლიოს თვალი არის პალესტინა, იმ თვალის გუგა — იერუ-

სალემი, ხოლო კაკალი გუგასა შინა, საიდანაც იმზირება მთელი მსოფლიო — ტაძარი სოლომონისა. და თავგამოდებით იბრძოდნენ „მსოფლიონი“, როგორმე მოეთხარათ თვალი იგი თვითონ მსოფლიოსთვის. მერე მისი „ჭიპიც“ მოითხარა მსოფლიომ — კონსტანტინოპოლი. ხოლო, შუბლი დედამიწისა — კავკასიონი, დღეს სისხლიანი არშია ქვეყნისა, რომელზედაც ასვენია აფორიაქებული ჩემი სამშობლო, — ნუთუ დაუშვებს ყოვლის შემოქმედი უფალი დედამიწის შუბლის მოშლასაც?!

აი, საფიქრალი, რომელიც ჩვენმა ბოროტმა დრომ გაგვიჩინა ქართველებსაც და ებრაელებსაც, ორივე ნაკადით საქართველოს შვილებს...

ეს წელიწადი საიუბილეო წელიწადია: შესრულდა 2575 წელი საქართველოში ებრაელთა მოსვლიდან და დამკვიდრებიდან... თუმცა, სარწმუნოა, რომ პალესტინასა და საქართველოს შორის მანამდეც კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი ებრაელთა და ქართველთა საურთიერთობო გზები. ამაზე მეტყველებს იმ კატასტროფულ დროჟამს („ბაბილონის ტყვეობა“) ებრაელთა ერთი ნაკადის ჯიქური გადაწყვეტილება — წამოსულიყვნენ არა საითაც მოუხდებოდათ, არამედ პირდაპირ საქართველოში, უეჭველად მათთვის უკეე კარგახნის და კარგად ცნობილ ქვეყანაში.

და ვართ მას შემდგომ ერთად. კაცობრიობის სრულიად საისტორიო გამოცდილებამ არ იცის სხვა, მეორე შემთხვევა დედამიწის ერთ მცირე ნატეხზე ორი ხალხის ამდენი ხნით და ასეთი სიყვარულით აღსავსე თანაცხოვრებისა.

აქ სიტყვა „უნიკალურიც“ სავსებით უმწეო და უკმარი გახლავთ.

აქაური, ონელი ებრაელის, დავით ბააზოვის სიტყვა ებრაელთა პირველ საერთაშორისო თავყრილობაზე — მე მოველ იმ ერთადერთი ქვეყნიდან, სადაც ებრაელები არამცთუ არასოდეს არ უდევნიათ, არამედ მუდამ თავის საყვარელ და განუყრელ ძმებად მიუჩნევიათო, — სწორედ ყოველ ხალხთათვის საოცნებო ატესტაციაა ქვეყნად ადამის ძეთა ურთიერთ სიყვარულისა, ძმური თანადგომისა და ლმობათა შინა თანალმობისა. მართლაც რომ ყოფილა საქართველო „არაამქვეყნიური ქვეყანა“, მისი „არაამქვეყნიური შვილებით“; ერთად — მისი ქართველებით, მისი ებრაელებით.

ჩვენი ბედი საისტორიო ბედისწერამ იმითაც დაამსგავსა ერთიმეორეს, რომ დღეს ებრაელებსაც და ქართველებსაც ტერიტორიულად გამეოთხედებულ სამშობლოში უხდებათ ცხოვრება. სადღაა სახელმწიფო, დავით წინასწარმეტყველისა, ევფრატიდან ხმელთაშუა და მეწამულ ზღვებამდე, ანდა დავით აღმაშენებლისა — ნიკოფსიიდან დარუბანდამდე?! და ისევ მარჩბივობა ჩვენი ბედისა: ამ დამცრობილ „სადავითო სახელმწიფოთა" შიგნითაც კი გვიხდება ბრძოლა საკუთარი მიწაწყლის გადასარჩენად.

ისევ ერთნაირად, — თქვენც და ჩვენც რიცხვით მუდამ უსაზღვროდ უპირატეს მტრებთან გვიხდებოდა ბრძოლები საკუთარი სამშობლოს გადასარჩენად. მაგრამ კვლავ ერთნაირად, თქვენც და ჩვენც მოვესწარით ჩვენი უბევრესი მომტერეების დაცემას, დაკნინებას, ანდა სულაც აღგვას პირისაგან მიწისა.

მაშ, თითქოს, „ერთ ბედქვეშა ვართ", მაგრამ მაინც არა ვართ ერთ ბედქვეშ. ჩვენს ცხოვრებაში ხდება ისეთიც, როცა ჩვენ თვითონ არ გისურვებთ ჩვენს ბედში ყოფნას. თქვენი ბედისგან კი ჩვენ უეჭველად ბევრს ვინატრებდით.

აი, თუნდაც: თქვენ თქვენი თავი თქვენად „გეყუდნეთ", ჩვენ კი...

თქვენ ხართ ძლიერნი, მსოფლიოსთვის თქვენი ნების მოკარნახენი, ჩვენ კი...

თქვენ ახალმა დრომ მოშე დაიანები მოგცათ, ებრაულ მიწათა შემკრებელნი, ჩვენ კი ორჯონიკიძეები — ქართულ მიწათა გამცემელნი...

და ასე, რამდენ რამეს უნდა შემოგნატროდეთ ჩვენ თქვენ!

მაგრამ მაინც მტერი სიხარულს ნუ დაეჩქარება: ჩვენ მოვუვლით ჩვენს ღვთიურ ქვეყანას; „მოვუვლით" მის მოხარბე და მოძულე მტრებსაც — შინაურსაც და გარეულსაც.

თქვენ კი დიდებული, სანიშანსვეტო მაგალითი და იმედი ხართ ჩვენი.

ჩვენ გვამხნევებს თქვენი გონების ძალმოსილება, სიტყვის და საქმის განუკვეთელი მთლიანობა და აღსრულების ზეაღმავალი დინამიკა.

დიახ, განუზომელია „ნოუმენალური უნარი" ეირაული ფენომენისა: ორი უკიდურესი განაკიდურით კაცობრიობის საარსებო ბედისწერისა — ან გადარჩენა, ან დაღუპვა.

დიახ, მსოფლიოს, სრულ ოიკუმენეს, უნდა ახსოვდეს ზეგარდმო ძალმოსილება ძეთა ისრაელისათა.

ამიტომ ყველას უნდა ახსოვდეს ისიც, რომ უბოროტესი მიზანთროპული მოწოდება — „დასცხე ებრაელს", — არაეისთვის არასოდეს მომგებიანი არ ყოფილა და არც შემდგომში იქნება.

თანაც იქვე, რაკი წამოცდენიათ — „ქართველიც არ დაიეიწყოო", — არც ჩვენ დავივიწყებთ.

ხანგრძლივი ისტორია უტყუვრად და უგამონაკლისოდ გვიმტკიცებს: ებრაელისა და ქართველისათვის საავკაცოდ ხელის აღმართვა ვისაც კი წასცდენია, ყველას ავად და შავად გასთენებია...

აი, ისტორია ვახსენე და ბარემ იმ ჭეშმარიტებასაც დავურთავ, რომ ცალკე კაცის თუ მთლიანად ერის ხასიათი სწორედ მის თაგადასავალში, ანუ სწორედ ისტორიაში მეღავნდება. სამაგალითოდ — ებრაელობა, როგორც საკაცობრიო ხასიათი (ხასიათი-მეთქი!) მთლიანად, თავიდან ბოლომდე, სწორედ ისტორიაში (ისტორიაში-მეთქი!) მეღავნდება და თავსდება. უფრო მეტიც: საერთოდ კაცობრიობის ისტორიის, ანუ საერთოდ ადამიანური ფენომენის გააზრებაც კი წარმოუდგენელია ებრაული ისტორიის განსჯა-გაცნობიერების გარეშე. ასე რომ — ებრაელთა ისტორია, ეს სწორედ „ისტორიათა ისტორიაა", ეთქვათ ისეთი ბიბლიური ფორმულების ანალოგიით, როგორც — „წმიდათა წმიდა", „შაბათთა შაბათი", „ქებათა ქება", „სიმღერათა სიმღერა" და სხვ. მისთ.

და უცებ, ასეთი უცნაურობა: დღემდე ქართულ ენაზე, ქართულ ენაზე-მეთქი — ამ „ისტორიულ ენაზე" და თვითონ „ისტორიის სისხლით ნათესავ ენაზე" — ჯერ ებრაელთა ისტორია არ დაწერილა.

და მეპატიოს კადნიერება, უკეთუ მე პირველი შევეცდები ამ „ისტორიული დუმილის" დარღვევას. მეპატიოს, რაკიღა თქმულა: „დიდ არს ძალა სიყვარულისა, რომელიც მორჩილ ჰყოფს გონებასა, შეკადრებად შეუკადრებელთაცა".

და ჩემი სამუშაო მაგიდიდან უკვე აეალაგე ყოველი სხვა ვანზრახული სამუშაო და ვწერ ებრაელთა ისტორიას, ტყუპისცალად ქართველთა ისტორიისა („უქარქაშო ხმლებისა" და „დედაისტორიისა").

ვიცი, რა წონისა და ზომის ტვირთია ეს სამუშაო.

უნდა შეიქმნას ნაწარმოები და არა მხოლოდ ნაწარმი.

ამიტომ, რაკი ვებედავ, კიდევაც ელოცულობ, მეყოს ძალა ამ ღვთიეშთაგონებული ტვირთის აზიდვისა.

ელოცულობ უფლისადმი, უფლის ორივე გააზრებით, ორივე „აღთქმით", ორივე რომ სწორედ ებრაულ წიაღში იშვა.

ელოცულობ ორივე არისტოგრაფიულ სასწაულზე — „ბიბლიაზე" და „ქართლის ცხოვრებაზე" — ხელის დადებით.

განუკვეთელი თანაარსებობით და თანაარსებით ორივ ღვთივკურთხეული ერისა და „ელისა" — ისრა-ელისა და ქართუ-ელისა.

და, უკეთუ იშვა წიგნი ესე, იგი იქნება მოძღვნა-არზანიგი თქვენთვის, ძმანო უძმოთა, თანაქართველო ებრაელებო!

ლევან სანიკიძე



ᲙᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲨᲐᲛᲜᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲗᲐ

1. ᲛᲘᲬᲐ-ᲬᲧᲐᲚᲘ

არის დედამიწაზე ერთი მცირე ადგილი, მარად „ცხელი წერტილი“, — საკაცობრიო სულისა, გონისა და ფიქრის მარად გაუნელებელი საბრუნავი.

მიკრო-მიწა...

მიწა-წმიდა...

„მიწა-ნაგალობევი“ (ებრ. „ციმრათ-ჰაარეც“).

სახელი მისი: ჯერ — ᲥᲐᲜᲐᲐᲜ, შემდეგ — ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲐ.

აზიის ნატეხი—მისი უკიდურესი დასავლეთი ნაკვეთი.

იქვე — ევროპა.

იქვე — აფრიკა.

მისი საზღვრები: აღმოსავლეთით — სირია-მესოპოტამიის ტრამალნი, დასავლეთით — ხმელთაშუა ზღვა, ჩრდილოეთით—ანტილიბანის მთები, სამხრეთით — არაბეთის უდაბნო.

პალესტინას ორად ჰყოფს მდინარე ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲔ. იგი სათავეს ღებუ-

ლობს ანტილიბანისა და ხერმონის სადინარებში, გაიელის გენისარეთის, ანუ ტიბერიადის ტბას, საკუთრივ პალესტინას და ერთვის მკვდარ ზღვას („მკვდრად" იწოდება, რაკიღა მარილის სიჭარბის გამო, მასში ცოცხალ ორგანიზმთაგან ვერარა ხარობს).

იორდანეს აღმოსავლეთი მხარე კლდოვანი, ხრიოკი და უნაყოფოა, დასავლეთი კი — ფრიად ნაყოფიერი, ნოყიერი, ბარაქიანი, სახნავ-სათესით, საძოვრით, ბაღით, ვენახით, ლეღვით, ბროწეულით, ფინიკის პალმით, ხორბლით, ქერით, ტყეებითა და იალაღებით. გამორჩეულად ნაყოფიერი — სარონის დაბლობი, „სამოთხის ბაღად" წოდებული; არანაკლებ უხვი და ბარაქიანი — იერიქონის ველი; ასევე, ჩრდილო-დასავლეთი — გალილეა.

დასავლეთ პალესტინის სამხრეთით კი, ეფრემისა და იუდას მთიანეთი — შიშველი, უნაყოფო მაღლობნი; უფრო ქვემოთ — უწყლო, სიცხე-პაპანაქებით ატანილი სტეპები.

ამ ორ სახელწოდებას, „ქანაანსა" და „პალესტინას", ერთმანეთისაგან აშორებს ათასი წელიწადი, ქრისტესშობამდე მესამე ათასწლეულის შუადან მეორე ათასეულის შუამდე.

ქანაანისა და მისი მოსახლეობის — ქანაანელთა ათასწლოვანი ისტორია ფრიად მკრთალად და ანემიურად გამოსჩანს იმდროინდელი წინა აზიისა და ახლო აღმოსავლეთის მდიდარი და ქარიშხლიანი „მსოფლიო ისტორიის" ფონზე. ამ დროს, სწორედ მსოფლიო ისტორიის კულტურისა და ცივილიზაციის ისტორიაში, თავისი „სიტყვანი საფირონნი" და „საქმენი საგმირონნი" უკვე ნათქვამ-ნაქმნარი ჰქონდათ: ყველაზე ძველებს — შუმერებსა და ეგვიპტელებს, შემდგომ — ბაბილონელებს, ქალდეველებს, ხეთებს, ასირიელებს.

ქანაანელნი ტომობრივი წარმომავლობით სემიტური მოდგმისა იყვნენ. მათი მონათესავე სემიტები მოსახლეობდნენ კიდევ ქანაანის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სირიასა და მესოპოტამიას შორის. სახელი ამ ტომებისა იყო — ა მ ო რ ე ვ ე ლ ნ ი.

ამორეველთაგან უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარე ევფრატის შუაწელის მიდამოებში, მოსახლეობდა კიდევ ერთი სემიტური მოდგმის ხალხი, სახელად — ხ ა ბ ი რ უ, ხ ა ბ ი რ ნ ი, ხ ა ბ ი რ უ ე ლ ნ ი.

გაიელის ხუთასი წელიწადი და ხაბირუელებს ახალ სახელად დაუმკვიდრდებათ — ი ს რ ა ე ლ ნ ი.

კიდევ გაიელის ხუთასი წელიწადი და, მას შემდეგ რაც ხაბირუელ-ისრაელთა ტომები ქანაან-პალესტინაში შეელენ და დამკვიდრდებიან, კვლავ ახალ, მესამე სახელად დაერქმევათ — ე ბ რ ა ე ლ ნ ი, ანუ „მოსულნი", რამეთუ ასე უწოდეს მათ, სწორედ უცხო მხრიდან მოსულებს, დამხვდურებმა — ქანაანელებმა.

ყველაზე ძველი, „ხაბირუს ხანა", საისტორიო წყაროთა სიმცირისა და სიმწირის გამო, თანმიმდევრული, სისტემატური ისტორიის მთლიანობაში

ვერ განიხილება და მხოლოდ იშვიათ, ფრაგმენტალურ მოვლენებად თუ გაიაზრება და გაცნობიერდება. მაგალითად, ვიცით, რომ ხაბირუელნი შეჭრილან სამხრეთ მესოპოტამიაში, ანუ სენაარში, ანუ შუმერში. ისიც ვიცით, რომ ხაბირუელებთან ომები ჰქონდათ აზიაში მოლაშქრე ეგვიპტელებს. ეგვიპტურ წყაროებში მოხსენიებული არიან აზიიდან ტყვედ წამოყვანილი „აპერუს“ (ხაბირუ) ტომისანი.

მაშ, „ხაბირუდან“ „ებრაელამდე“ გაივლის ათასი წელიწადი.

ათასი წელიწადი გაივლის ამ ხალხის ქანაან-პალესტინაში მისვლამდე და დამკვიდრებამდე.

ხოლო, ისტორია ამ „გასვლისა“, „მისვლისა“ და „დამკვიდრებისა“, არის დასაწყისი, ანუ პირველი ნაკვეთი იმ ხალხის დიდი ისტორიისა, რომელსაც სწორედ საისტორიო ბედისწერით, ათასეული წლების მანძილზე მთელი მსოფლიოს ხალხებისთვის მუდამ სანიშანსვეტო ტვირთი უნდა ეტარებინა.

სწორედ ამ დროის გასწვრივ, ანუ ევფრატიდან იორდანეს ხეობაში მიგრაციამდე, ამ ხალხს ათვისებული ჰქონდა დიდი მესოპოტამიური, შუმერულ-აქადურ-ბაბილონური კულტურა, განსაკუთრებით მითოლოგია, საიდანაც გამოიკვეთა ახალი, მთელს მსოფლიოში უპოპულარესი და საკაზროვნოდ მუდამ ფუძემდებლური „ბიბლიური“ ვარიაციები, ღვთისაგან სამყაროსა, მის ბინადართა და პირველ ადამიანთა „შესაქმისა“ და „დაბადებისა“...

2. ა ბ რ ა ა მ

ქრისტესშობამდე 2000 წლის მახლობლად, სენაარში (ქალდეაში, სამხრეთ მესოპოტამიაში), ქალაქ ურში, ცხოვრობდა ხაბირუელი თ ე რ ა ხ, თავისი სამი ძით — ა ბ რ ა მ, ნ ა ხ ო რ, ჰ ა რ ა ნ.

უმცროსი ძე, ჰარან, გარდაიცვალა და მისგან თერახს დარჩა შვილიშვილი, სახელად ლ ო ტ.

ამის შემდგომ, თერახი მთელი თავისი ოჯახით აიყარა, სენაარი მიატოვა და ჩრდილოეთისაკენ წარემართა. იგი მივიდა და დაემკვიდრა ქალაქ ხ ა რ ა ნ ს, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში.

თერახი აქვე აღესრულა და ოჯახის მეთაურობა ეტვირთა მის უფროს ძეს, აბრამს.

აბრამმა, გამორჩეული ჭკუით, პატიოსნებით და ღვთისმოყვარეობით, მალე გაითქვა სახელი თანამოძმე ხაბირუელთა და მათ მეზობელთა შორის. იგი

შეიქნა უყოყმანო და სიტყვაშეუბრუნებელი წინამძღოლი, პატრიარქი, თავისი მშვიდი, მომთაბარე-მესაქონლე ხალხისა.

აბრამს უზენაესი ღვთაების, ყოვლის შემოქმედი იეჰოვას ხილვები ჰქონდა, მისი ხმა ესმოდა, განუხრელად მის სიტყვას და მოწოდებას მისდევდა.

ხარანში ერთად ყოფნის შემდეგ, ძმები გაიყვნენ. ნახორი იქვე დარჩა, აბრამი კი დაეშვა სამხრეთ-დასავლეთით, ქანაანისკენ. მიდიოდა აბრამი და თან მიჰყავდა ცოლი თავისი, სარა, და ძმისწული ლოტ. მიჰქონდა მონაგები დიდი და მიერეკებოდა ჯოგსა ხვასტაგისასა და ფარასა ცხვრისასა.

იგი მივიდა ქანაანს, ქალაქ შეხემს და კარავი დაიცა აქ, მაღალი და შტომრავალი მუხის ქვეშ.

და აქვე — „გამოუჩნდა უფალი აბრამს და უთხრა მას: თესლსა შენსა მივცე ქვეყანა ესე".

საპასუხოდ — ამ ხილვისა და სამომავლო-საშთამომავლოდ, სამუდამო საცხოვრისად ამ ნაყოფიერი ქვეყნის აღთქმისა — აბრამმა იეჰოვას სახელზე აღმართა საკურთხეველი.

მაშ, ამიერიდან ქანაანი, ანუ პალესტინა, ღვთისგან აღთქმული ქვეყანაა აბრამისა და მისი მოდგმისათვის.

და მოძრაობდა აბრამი „აღთქმულ ქვეყანაში". შეხემიდან სამხრეთით გადაინაცვლა, საქონელი ახალ საძოვრებზე მიუშვა და აქ, გაისა (ებრ ai) და ბეთელის (ებრ. ბეით-ელ, „ღვთის სახლი") შუა, ახალი საკურთხეველი აღმართა ღვთის სადიდებლად.

კვლავ განაგრძობდა სამხრეთისაკენ სვლას ხაბირუელთა ტომი.

მათ ახლა ახალი სახელიც ერქვათ, ადგილობრივ ქანაანელთაგან შერქმეული — „ებრაელნი", ანუ „მოსულნი".

სამხრეთისკენ სვლითა და ადგილმონაცვლეობით ებრაელები უდაბნოს გადააწყდნენ. უდაბნომ კი მძვინვარე მზე და უმძიმესი შიმშილი შემოაგებათ.

მაინც განაგრძეს გზა სამხრეთისკენ.

უარესად გაუხელდნენ მზე და შიმშილი.

მაშინ სამხრეთ-დასავლეთისკენ შეატრიალა აბრამმა თანასისხლიერნი და თანამომთაბარენი. სუეცის ყელი გადაიარეს და ეგვიპტეში შევიდნენ, პურით მდიდარ ნილოსის დელტაში.

ეგვიპტის მიწაზე ფეხის დადგმისთანავე აბრამმა ეს უბრძანა თავის ცოლს, სარას: შენ, ლამაზი („პირკეთილი") დედაკაცი, ეგვიპტელებმა ჩემ ცოლად რომ შეგიცნონ, მე მომკლავენ და შენ დაგირჩენენო. ამიტომ ეგრე ამტკიცე, რომ შენ ჩემი დაი ხარ და არა ცოლი და ამით სიკვდილს გადამარჩენო.

ცოლმაც ქმრის ნაბრძანები ალასრულა და, ვინც კი მისი „პირკეთილობით" დაინტერესებული ეგვიპტელი ვინაობას ეკითხებოდა, ყველას ამას პასუხობდა, — აბრამის დაი გახლავართო.

ასე კითხვა-კითხვით სარას სილამაზის ამბავმა ფარაონ ამენტემას.

ყურამდეც მიაღწია და მისი ბრძანებით, „აბრამის დაი“ ეგვიპტის სამეფო სასახლეშიც მიიყვანეს.

აბრამიც, როგორც „პირმშვენიერი სარას ძმა“, დიდ პატივში ჩავარდა, და გაუმრავლდა ამ კეთილ მესაქონლეს — „ცხვარი და ზროხები და ვირნი და მონანი და მხევალნი, კერძოვირნი და აქლემნი“.

მაგრამ მალე, ღვთის განგებით, რაღაც ხიფათი დაატყდა თავს ფარაონის სასახლეს. უმალვე ისიც გაირკვა, რომ ხიფათი სარას „საქმის“ გამო აღძრულიყო და შეშფოთებულმა ხელმწიფემ სასწრაფოდ მოხმობილ აბრამს საყვედური უთხრა, — რად მაცდუნებდიო, ცოლს რომ დად აცხადებდი, ხომ შეიძლებოდა იგი ჩემ თანამწოლად გამეხადაო! ეს უთხრა, სარა აბრამს დაუბრუნა და ბრძანებაც გასცა: ყველა, აბრამისანნი, კეთილად, უკლებლად და პატივისცემით გაისტუმრეთო.

და გამოიყვანა თავისიანნი აბრამმა ეგვიპტიდან. გადმოიარეს სუეცის ყელი, უდაბნო, კვლავ შემოვიდნენ პალესტინაში. ბეთელამდე მოვიდნენ და აქ დადგნენ — იმ ადგილს, სადაც აბრამმა ადრე აღმართა საკურთხეველი უფლისა მიმართ.

აქ იდგნენ ებრაელნი და იმრავლებდნენ ქონებას. ისე იმრავლებდნენ, ადგილიც, სივრცეც აღარ ჰყოფნიდათ და უკვე საძოვრებისთვის და საცხოვრისი მიწებისთვის კიდევაც ერთმანეთს ებრძოდნენ აბრამისა და მისი ძმისწულის, ლოტის მწყემსები.

მაშინ, იხმო აბრამმა ძმისწული და უთხრა მამაშვილურად: ნუ იქნება ჩვენ შორის ბრძოლა, რადგან ვართ ერთსისხლ და ერთხორც; აჰა, ქვეყანა ჩვენს წინაა და განვიყოთ შუაზე, თანაც შენ თვითონ აირჩიე, — „უკეთუ შენ მარცხენით, მე მარჯუენით, ხოლო უკეთუ შენ მარჯუენით, მე მარცხენით“.

შეისმინა ლოტმა ბიძის შეგონება და საცხოვრისად აირჩია იორდანეს ნაყოფიერი ხეობიდან ქალაქების, სოდომისა და გომორას მიმოსახედნი.

აბრამმა კი თავისი ხალხით და საქონლით გადაინაცვლა ხებრონს და იქ, „მუხასა თანა მამბრესა“ (მამრეს მუხნარში), კვლავ აუგო საკურთხეველი უფალს, რომელიც მას ისევ „აღუთქვამდა“ ქანაანის მფლობელობასა და ამ „აღთქმულ ქვეყანაში“ მისი მოდგმის, შთამომავლობის ისეთ სიმრავლესაც, ვითარცა „ქვიშაი ქვეყნისაი“ და „ვარსკვლავნი ცისანი“.

მაგრამ სარა, ცოლი აბრამისი, იყო „ბერწ და არა შეილისმშობელ“. მეათე წელი მიდიოდა ქანაანში მათი მოსვლიდან და ცოლ-ქმარი იყვნენ უშვილონი.

სარას ერთი მოსამსახურე მხევალი გოგო ჰყავდა, წარმომავლობით ეგვიპტელი, სახელად აგარ. და უთხრა ერთ დღეს სარამ აბრამს: რაკი მე უფალმა „დამიხშო საშოი ჩემი“ და ვერა ვშობ, მიუდექ ჩემ მხევალს, აგარს, რათა მისგან გაგვიჩნდესო შვილი.

აბრამიც მაშინვე აჰყვა ცოლის დიდსულოვნურ წინადადებას, და „შეეი-

და აგარის მიმართ და მიუდგა". აგარი დაორსულდა. ხოლო, „მუცელქუმული" მხევალი გათამამდა და ქალბატონს უპატიურად დაუწყო მოპყრობა.

ეს კი აღარ მოითმინა სარამ და მივარდა აბრამს: ეს დამცირება შენგან მჭირსო; მე ჩემ მხევალზე მიგიშვი, იმან მუცლად იღო და ამით გათამამებული უპატიოდ მეპყრობა; ღმერთი იყოს მსაჯული ჩვენს შორისო.

აბრამმა საყვედური არ მიიღო და უთხრა ცოლს: მხევალი შენია, შენს ხელთაა და ისე მოექეც, როგორც შენ მოგესურვებოდესო. სარამაც აიშვა და აგარის შეურაცხყოფასა და შეეიწროებაზე გადავიდა. აგარმაც არ მოითმინა და სახლიდან გაიქცა. მაგრამ გაუჭირდა უდაბნოში ხეტიალი ფეხმძიმე ქალს და „ანგელოზმან უფლისამან" უკანვე მოაბრუნა იგი აბრამისა და სარას სახლში.

და შეეძინა აბრამს ძე აგარისაგან და სახელად დაარქვა ი ს მ ა ე ლ (ებრ. იშმაელ — „ღმერთს ესმის").

განვლო კიდევ რამდენიმე წელიწადმა და, „ღვთის ნებითა და განგებით", აბრამისაგან მუცლად იღო თვითონ სარამ.

ხოლო, ღვთის სამადლობლად და მისგან ნაბრძანები „აღთქმის" აღსასრულებლად, აბრამმა წინადაიცვითა თვითონაც და წინდაცვეთა უბრძანა ყველა მისიან მამაკაცს.

ამიერიდან თვითონ აბრამს დაერქვა — ა ბ რ ა ა მ.

ხოლო, სარას — ს ა რ რ ა.

და შვა ძე სარრამ.

და უწოდა აბრაამმა ძესა თვისასა სახელი, „ღვთისგან ნაკარნახევი" — ი ს ა ა კ (იცხაკ).

და, ისევ „იეღოვას ბრძანებით", აბრაამმა ისააკს წინადაუცვითა დაბადებიდან მერვე დღეს (ესეც „აღთქმის შესრულება", სამარადჟამო წესად დარჩება ებრაელთა ცხოვრებაში).

ისააკის დაბადებამ და სარრას „ღვთითმოვლენილმა დედობამ" აბრაამის ოჯახში ისევ საჩხუბარი გახადა აგარისა და მისი ძის ყოფნა-არყოფნის საქმე. — თუ ამ მონა ქალს, მისი ბიჭით სახლიდან არ გააძევებ, იგი მემკვიდრეობას გაუყოფს ჩვენს შვილსო, — ეუბნებოდა სარრა აბრაამს. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ დაიჩემა სარრამ, როცა მან ერთხელ თვალი მოჰკრა, როგორ „იმღერდა ისააკის თანა ისმაელ".

აბრაამს ეძნელებოდა ისმაელის მოშორება, მაგრამ ბოლოს მაინც დაჰყვა ცოლის ნებას და ერთ დღეს აგარი და მისი ძე, პურისა და წყლის საგზლით, სახლიდან განუტევა.

დიდის გაჭირვებით და შეჭირვებით, გაძევებული დედა-შვილი მივიდა და დაემკვიდრა ფარანის უდაბნოში. ისმაელი გაიზარდა და გაიწაფა ნადიროობაში. ცოლად შეირთო ეგვიპტელი ქალი. იგი ძეობით გამრავლდება და საფუძველს დაუდებს სამომავლოდ კიდევ ერთ თვალსაჩინო ხალხს — ი ს მ ა ი ტ ე ლ თ (ისმაელისგან), ანუ ა გ ა რ ი ა ნ ე ბ ს (აგარისაგან).

და იყვნენ ერთად აბრაამ, სარრა, ისააკ.

და ბოლოს მოვიდა სიკვდილი. მოვიდა და წაიყვანა სარრა. ეს მოხდა კირიათ-არბაში, ხებრონის მახლობლად. აქვე, ხებრონთან, „პირისპირ წინაშე მამრესა", აბრამმა ოთხასი ვერცხლის დიდრაქმით იყიდა აგარაკი გამოქვაბულით, რომელშიც მან დაკრძალა აწ გარდაცვლილი მეუღლე თვისი.

ხოლო, ისააკ იყო ორმოცი წლისა და ჯერ ისევ იყო უცოლო და უოჯახო. აბრაამს კი მტკიცედ გადაეწყვიტა, მის ძეს ცოლად შეერთო არა რომელიმე ადგილობრივ ქანაანელ ქალთაგანი, არამედ მისი წინარე სამშობლო-სანათესაო შუამდინარეთის ქალაქ ნახორიდან.

და, ფიცის ქვეშ (წყვილთა ზედა ხელის დადებით), გაუშვა აბრაამმა ერთგული მონა-მსახური შუამდინარეთს, სასძლოს ჩამოსაყვანად. ისიც წავიდა და ჩამოიყვანა იქიდან საცოლე ისააკისთვის. ეს იყო რ ე ბ ე კ ა (რიბკა), „ქალწული შუენიერ", ასული ბეთუელისა და მელქასი, შვილიშვილი თვით აბრაამის ძმის, ნახორისა.

ისააკისა და რებეკას შეუღლების შემდეგ, აბრაამმა მეორე ცოლი შეირთო, სახელად — ხ ე ტ ურ ა, რომლისაგანაც მას მრავლად გაუჩნდა შვილნი და შვილიშვილნი. მაგრამ მემკვიდრეობა მაინც მთლიანად და უკლებლად უანდერძა ისააკს.

და მიიცვალა აბრაამ „სიბერითა კეთილითა და მოხუცებული და დღითა სავსე".

დაიტირეს მისმა შვილებმა — ისააკმა (სარრასაგან) და ისმაელმა (აგარისაგან), და დაკრძალეს იმავე გამოქვაბულში, ხებრონს, მამრესთან, იქ სადაც განისვენებდა მისი მეუღლე სარრა.

---

8. ი ს ა ა კ

მაშ, მეორე პატრიარქი ებრაულ ტომთა ზედა შეიქნა ისააკ, ძე აბრაამისა. მან მთავარ საცხოვრისად დაიდვა ბეერ-ლახაი-როი.

და ელოდა ძესა მემკვიდრესა. მაგრამ რებეკა, ვითარცა ერთ დროს სარა, აღმოჩნდა „ბერწ". და ევედრებოდა ღმერთსა ისააკ, რათა განკურნებულიყო სიბერწისაგან ცოლი მისი და შესძენოდა შვილი სანატრელი.

„და შეისმინა ღმერთმან" და მუცლად-ეღო რებეკამ ისააკისაგან.

მაგრამ უცნაური ის იყო, რომ მუცელში ერთმანეთს ებრძოდა ორი ნაყოფი. მერე ასეთი რამ „ჩაესმა ღვთისაგან", ვაჟკაცებულ და შემფოთებულ

რებეკას: შენს მუცელში ორი ხალხის წინაპარი ებრძვის ერთმანეთს; მათგან ერთერთი იმძლავრებს და უფროსი უმცროსს ექმნება მონად.

და დაიბადნენ ტყუპნი.

ტყუპთაგან პირველი, პირმშო, დაიბადა სულ წითელი, „ვითარცა ტყავი ფაჩუნიერი“, ბანჯგვლიანი, რომელსაც ფეხის ტერფში ხელჩაბღუჯვილი გამოჰყვა ტყუპისცალი მისი.

ამიტომაც —პირველს უწოდეს — ე ს ა ვ („ბანჯგვლიანი“).

მეორეს — ი ა კ ო ბ („ტერფს-მოჭიდებული“).

დაიზარდნენ მარჩბივნი.

ესავი შეიქნა მონადირე, კაცი ყანისა და ველისა („მეველე“), ხოლო იაკობ — კაცი თვინიერი, შინამჯდომარე, მუდამ კარავში თვითჩაკეტილი.

ისააკს ესავი უყვარდა გამორჩევით, მისი ნანადირევი და ნახელავი ეგემრიელებოდა უზომოდ. სამაგიეროდ, რებეკას იაკობი გამოერჩეოდა გამორჩეული სიყვარულით.

და თვითონაც, ნამდვილი ძმობით ვერ ეძმობოდნენ ერთმანეთს მამიკოს და დედიკოს შვილიკოები.

ერთ დღეს ესავი ყანიდან დაბრუნდა დაღლილ-დამაშვრალი და ნახა, იაკობს ოსპი მოეხარშა და სთხოვა ძმამ ძმას, დაღლილი ვარ, მშიერი, და მაჭამე ეგ შენი შეჭამანდიო.

— გაჭმევ, თუ შენს პირმშოობას მომცემო, — შეაგება იაკობმა.

— კი, მომიცია, ისედაც რაში მარგია მე პირმშოობა? — უდარდელად მიუგო ესავმა.

— მაშინ, შემომფიცე, რომ მართლა მაძლევ პირმშოობას, — არ მოეშვა ძმა უმრწემესი.

უფროსმა ძმამაც არ დააყოვნა და შეჰფიცა.

სამაგიეროდ მისცა პური და ოსპი იაკობმა ესავს. ამანაც შეჭამა, შეხვრიპა, ადგა და წავიდა.

ასე ჰაიჰარად გაცვალა ესავმა პირმშოობა თვისი ოსპის ნახარშში.

იმ წელს დიდი შიმშილი დაატყდა ქანაანს, — უფრო დიდი შიმშილ-სიყმილი, ვიდრე ჟამსა აბრამისასა.

ისააკმა ფილისტიმელთა მიწებისკენ წაიყვანა თავისი ხალხი.

ფილისტიმელნი ზღვიდან მოსული ხალხი იყვნენ, აზიისა და აფრიკის ხმელზე შემოჭრილნი და შემოსახლებულნი. მათ ქანაანის სამხრეთ-დასავლეთი მხარე ეჭირათ მკვიდრად, ზღვის ნაყოფიერი განაკიდურნი, ქალაქების — გერარისა და ღაზას მიმდგომი მხარეები.

ებრაელები ამ ხალხს ეძახდნენ — „ფლიშთიმ“, და აქედანვე შემოდიოდა და მკვიდრდებოდა ქანაანის ახალი სახელწოდება — პ ა ლ ე ს ტ ი ნ ა.

და წარემართა ისააკ თავის სახლეულით, ხალხით და საქონლით „ფლიშთიმის“ მხარეს, სადაც მეფედ იყო ა ბ ი მ ე ლ ე ხ.

დადგა და „დაეშენა“ ისააკ გერარს.

და აქაც ისააკის თავს იგივე განმეორდა, რაიც დაემართათ აბრაამს და სარრას ეგვიპტეში. რებეკამ, — „რამეთუ შუენიერ იყო იგი პირითა“ — პირველ გამოჩენისთანავე მიიპყრო ფილისტიმელთა ყურადღება. ისააკმაც, — შიშით, ცოლის სიმლამაზემ სიკვდილს არ შემყაროსო — მასთან ცოლქმრობა დამალა და სანაცვლოდ და-ძმობა გამოაცხადა. ასევე მოახსენეს მეფე აბიმელეხსაც, რომელსაც რებეკა უკვე მიეყვანა სასახლეში. ისააკიც მიიყვანეს იქვე, როგორც მეფისგან არჩეული მშვენიერი ქალის „კეთილი ძმაი“.

„და იყო ასე მუნ მრავალ ჟამ“.. მაგრამ ერთ დღეს აბიმელეხმა სარკმლიდან შემთხვევით თვალი მოჰკრა, როგორ არშიყობდა („იმღერდა“) ისააკ რებეკასთან, ვითარცა ცოლი ქმართან.

გაჯავრდა მეფე, სასწრაფოდ ისააკი იხმო და აავსო საყვედურებით, როგორ თუ სიმართლე არ გაგვიმხილე, — ხომ შეიძლებოდა ვინმე შევხებოდით ქალს და შეცოდებაში ჩავვარდნილიყავითო. და გასცა აბიმელეხმა ბრძანება თავისი ხალხის მიმართ: ვინც ისააკსა და მის ცოლს ხელით შეეხება, სიკვდილი არ ასცდებაო.

და განაგრძო ისააკმა ცხოვრება ფილისტიმელთა შორის, ასე უშფოთველად და უვნებლად. თესდა ქერს („ქრთილს“) და აძოვებდა საქონელს გერარის ველზე. მარტო იმ ერთ წელს მოიწია „ას ასეული ქრთილისაი“ და გაიმრავლა „სამწყსოი ცხოვართაი და მრავალ ზროხათაი“. ჭებიც ამოთხარეს და წყალი გაიმრავლეს ებრაელებმა.

მაშინ, თავი შეეიწროებულად და დამცირებულად იგრძნეს ფილისტიმელებმა. შეებნენ და შეეტოქნენ „მოსულებს“ დამხვდურნი. საძოვრებს უზღუდავდნენ, ჭებს მიწით უვსებდნენ.

აბიმელეხმა იხმო ისააკი და უთხრა: უნდა წახვიდე ჩვენი მიწებიდან, რაკიღა შენ თვითონ ჩვენზე მდიდარი შეიქენიო.

ისააკიც წავიდა. წავიდა და წაიყვანა თავისი ხალხი, ფილისტიმელთა ქვეყნიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით. მივიდა და დაისადგურა ბ ე ე რ შ ე ვ ა ს (ბირსავია), სადაც ადრე კარვები ედგა მამამისს, აბრაამს. ახლა თვითონ დაიდგა აქ კარვები ისააკმა; ძველი, მამამისის დროინდელი ჭებიც განაახლა, ახალიც ამოათხრევინა და განაგრძო ცხოვრება, მშვიდად და ნაყოფიერად.

იქვე დაბერდა ისააკი. დაბერდა და დაბრმავდა („დაუბრყვილდეს თუალნი“).

ერთ დღეს ბრმამ მოიხმო უფროსი შვილი, ესავი, და უთხრა: წადი, მოინადირე და ნანადირევითა შენითა შემიმზადე საჭამადი, რადგან აკი ძალიან მიყვარს მე შენი ნახელავი საჭმელი, და სამაგიეროდ სულითა ჩემითა დაგლოცავ და გაკურთხებ, თვით ჩემდა აღსასრულამდეო.

თურმე, იქვე, მოფარებულში, რებეკა მდგარა და იდუმალ მოუსმენია,

რაც უთხრა ისააკმა ესავს. ხოლო, როცა ესავი მამის თხოვნის შესასრულებლად გავიდა და გასწრაფა, რებეკამ უმცროსი შვილი იაკობი გაიმარტოხელა, ნასაფრეად მონასმენი შეატყობინა და მაშინვე დარიგებაც მისცა: შენ ბრძა მამაშენს ესავის მაგივრად უნდა შეეტყუო და უფროსი ძმისთვის გათვლილი კურთხევა შენთვის გამოსტყუო. ამისთვის ახლავე ჯოგში გავარდი და ორი ჩვილი თიკანი მომგვარე და მათი ხორცისგან ისეთ საჭამადს დავამზადებ, მამაშენს რომ ესავის ნანადირევი და ნახელავი ეგონოს; იმ შეჭამადს შენ შეუტან, ვითომ ესავი, და ლოცვა-კურთხევასაც შენზე გადმოავლენს, სანამ მოკვდებოდესო.

— მაგრამ მამამ რომ ხელი შემახოს და მიხვდეს? — ეჭვი გამოთქვა იაკობმა — ესავი ხომ მთელი ტანით ფაჩუნიერია (ბალნით მოსილი), მე კი სულ ერთიანად წყლტუ (სრულიად უბალნო, გასლექილი). ჰოდა, ხელი რომ შემახოს და მიხვდეს, მაშინ ხომ კურთხევის ნაცვლად წყევლას მივიღებ მამაჩემისგანო, — დაასრულა იაკობმა.

მაგრამ არ მოეშვა რებეკა: ეგ წყევლა ჩემზედაც გადმოსულიყოს, ძეო ჩემო, შენ კი რაც გითხარ, ის შეასრულეო.

იაკობსაც შესიტყვება ალარ უცდია. სასწრაფოდ წავიდა, სწრაფადვე მოიყვანა ორი ჩვილი თიკანი, რომელთა ხორცისგან რებეკამ გაამზადა შეჭამანდი, ქმრის გემოვნების შესატყვისი, იაკობი შემოსა ესავის ტანსაცმელით, კისერი და ხელები იმ თიკნების ბეწვიანი ტყავებით შეუბლანდა, „ნანადირევიც", პურიც ხელთ შეაჩეჩა და შეუშვა ისააკთან.

შევიდა სარეცელზე მწოლიარე მამასთან იაკობი. შევიდა და შეეხმიანა: მამა, მოვედიო. — რომელი ხარ? ჰკითხა ისააკმა. — მე ვარ, ესავი, შენი პირმშო ძე, მე შევასრულე, რაც მიბრძანე; წამოიმართე, დაჯექ და ჭამე ჩემი ნანადირევი, რათა მაკურთხოს მე სულმან შენმან.

გაჰკვირდა ისააკი, — ასე ადრე როგორ ჰპოვე და მოინადირეო, — ჰკითხა შვილს. — შენმა უფალმა გამომიგზავნაო, — უმალვე შეაგება მაცილმა შვილმა. — მომეახლე, ხელი უნდა შეგახო და დავრწმუნდე, მართლა ესავი ხარ თუ არა? — ისევ იკითხა მოხუცმა.

მივიდა და მიეახლა იაკობი. ხელი გამოიწვდინა ისააკმა, ჯერ ქედი მოუსინჯა, მერე ხელებზე ჩამოუტარა ხელი, და თქვა, მაინც დაეჭვებით:

„ხმაი ესე — ხმაი იაკობისი, ხოლო ხელნი — ხელნი ესავისნი".

და მაინც უფრო ის იწამა, რასაც ეხებოდა, ვიდრე რაც ესმოდა, — და ისააკმა უმცროსი ძე უფროს პირმშოდ იწამა და ლოცვა-კურთხევაც მის თავზე გადმოავლინა. აკურთხა და მაინც ჰკითხა ისევ: შენ ესავი ხარ? — ჰო, მე, ვარ, — ისევ მიუგო იაკობმა. მაშ, მომეცი შენი ნანადირევიო, და იაკობმაც მისცა ხელთ კერძიც, პურიც და ღვინოც.

მცირედ რომ შენაყრდა, ისევ მიმართა მამამ შვილს: მოდი, მინდა მოგეხვიო და გეამბოროო. ისევ მიეახლა და მიემთხვა შვილი მამას. მოეხვია ისააკი და მაშინვე მოედინა შვილის ტანსაცმელისგან სურნელება მინდორ-ველისა

და საბოლოოდ ირწმუნა, რომ მის წინ ნამდვილი ესავი იყო, პირმშო ძე მისი, და შესძახა აღტაცებით: „აჰა ესერა, სულნელებაი ძისა ჩემისაი, ვითარცა სულნელებაი ველისა სავსისა, რომელი აკურთხა უფალმან“.

და ისევ მიმართა შვილს ლოცვითა და კურთხევითა:

„მოგცეს შენ უფალმან ცვარისაგან ზეცისა და სიპოხისაგან მიწისა სიმრავლე იფქლისა და ღვინისაი. და გმონებდნენ შენ ხალხნი და თაყვანსა გცემდნენ შენ ძენი მამისა შენისანი; მწყევარნი შენნი წყეულ იყვნენ და მაკურთხეველნი შენნი კურთხეულ იყვნენ“.

და ასე, გამოვიდა იაკობი მამისაგან დალოცვილი და ნაკურთხი, ვითარცა პირველმემკვიდრე აბრაამ-ისააკის პატრიარქობისა, მბრძანებელი მისი უფროსი ძმისა და ნათესავთა ყოველთა ზედა.

ასე ნატყუვრად ნაკურთხი იაკობის გამოსვლიდან დიდხანს აღარ გაუვლია და ესავიც გამოჩნდა ნანადირევით. სასწრაფოდ საჭამადიც გაამზადა, მამასთან შევიდა და უთხრა, — ადექ, მამაჩემო, ნანადირევი მოგართვი და მირთვიო. — შენ რომელი ხარო? — იყვირა გაოგნებულმა ისააკმა.

— შენი პირმშო ძე ესავი ვარო, — მიუგო შვილმა.

— მაშ, ის ვინ იყო, შენამდე რომ მოვიდა, ვითომ ნანადირევი საჭმელსასმელით, და მიიღო კიდეც კურთხევა ჩემი? — შესძახა აცახცახებულმა მოხუცმა. და სანამ ესავი ენას დაძრავდა, უმალვე დასძინა ყინიანად:

— მე ის ვაკურთხე და იყოს კურთხეულ!

წუხილით აღსავსე ხმით იბღავლა ესავმა და შესთხოვა მამას:

„მაკურთხე მეცა, მამაო!“

— შენი ძმა მოვიდა მზაკვრულად და მზაკრულადვე გამომტყუა შენთვის კუთვნილი კურთხევა, — უმწეოდ შეპღაღადა მოტყუებულმა მამამ მოტყუებულ შვილს.

რა უნდა ექნათ, — ორივემ იცოდა, რომ ერთხელ გაცემული მამის კურთხევა უკან აღარ გამობრუნდებოდა და ხელმეორედ აღარ გაიცემოდა.

იქნებ, ორივე მორწმუნისათვის ესეც უფრო ღვთის ნება უნდა ყოფილიყო, ვიდრე შეცდომა ან შეცოდება.

და სთქვა ძმაზე დაბოღმილმა ესავმა: სახელი იაკობიც სწორედ მიტომ რქმევია, ორჯერ რომ დამწიხლა, — ჯერ პირმშოობა გამომტყუა, ახლა მამის კურთხევა მომპარა! — და ისევ მამას მიუბრუნდა ესავი: ნუთუ მე სრულებით არ დამიტოვე კურთხევა, მამაო?

— რაკი მე იგი შენს უფლად ვაკურთხე, ყველა სხვა ძმანიც მის ქვეშევრდომად გამოვაცხადე და ყოველივე ეს პურისა და ღვინის მიღებით განვამტკიცე, ახლა რაღაის გაკეთება შემიძლია შენთვის, შვილო ჩემო? — ნაღვლიანად აღმოიხდინა მოხუცმა.

— ნუთუ მხოლოდ ერთი კურთხევა გქონდა? მაკურთხე, მეც მაკურთხე, მამაჩემო — შებღავლა და მწარედ ატირდა ესავი.

მაშინ ისააკმა ალუტევა ხმითა მაღლითა ატირებული შვილის მიმართ:

„აჰა ესერა, სიპოხისაგან მიწისა იყოს მკვიდრობაი შენი და ცვარისაგან ცისა ზეგარდმო. ცხოვრობდე მახვილითა შენითა და ძმასა შენსა ჰმონებდე, მაგრამ დადგება ჟამი, როცა შენ ქედიდან გადაიგდებ უღელსა მისსა“.

ეს ისმინა და წამოვიდა ესავი მამისაგან, აღვსილი ძმისადმი მძულვარებით. და წასცდა პირისაგან ეს დანაქადნი: მოახლოებულ არს დღენი სიკვდილისა მამაჩემისა, და მას შემდგომ მოვკლა იაკობ, ძმა ჩემი!

ეს სიტყვა მისწვდა რებეკას ყურს. დამფრთხალმა დედამ მაშინვე იხმო იაკობი და აუწყა: მოკვლას გიპირებს თურმე ძმა შენი, ესავი. ამიტომ ახლავე გაიქეცი ხარანს; ჩემ ძმა ლაბანთან, და დაჰყავ იქ მანამ, სანამ ესავს გაუვლიდეს გულისწყრომა შენს მიმართ.

ქმარსაც მაშინვე ეს უთხრა რებეკამ: მე ხომ სიცოცხლე გამიმწარდა აქაური ქალებისაგან და ახლა იაკობმაც რომ ამათგან შეირთოს ცოლი, მაშინ ხომ სულ ადარ ეღირება ცხოვრება ჩემი?!

ისააკმაც მაშინვე იხმო იაკობი და უთხრა: აქაური, ქანაანელი ქალი სახლში არ შემოიყვანო და ცოლის სათხოვრად შუამდინარეს წადი, ხარანს, დედაშენის მამის, ბეთუელის სახლში და იქ აირჩიე საცოლე დედაშენის ძმის, ლაბანის ასულთა შორისო.

და ისევ გაუმეორა კურთხევა ისააკმა იაკობს: დაე გაკურთხოს შენ ღმერთმან ყოვლისშემძლემან, აგაღორძინოს და გაგამრავლოს, და შექმნას შენგან ხალხი ურიცხვი, და გარდამოავლინოს კურთხევა აბრაამისა, მამისა ჩემისა, შენზედ და შენს შთამომავალზე და დაგემკვიდროს ქვეყანა ესე, რომელიც მოსცა ღმერთმა აბრაამს.

და ასე, დედისგან წაქეზებული და მამისგან კურთხეული, გაეშურა იაკობ ცოლის სათხოვრად დედის თავისსახლს, მესოპოტამიას.

ყოველივე იხილა და ისმინა ესავმა: როგორ დამოძღვრეს მისმა მშობლებმა უმცროსი ძე, როგორ ხელახლა აკურთხა მამამ იაკობი; ისიც ისმინა, მის დედ-მამას ქანაანელი ქალები რომ რძლად არ ესურვილებოდათ და ბოლმით აღვსილმა ცოლად შეირთო მ ა ლ ა ე თ, - ასული ისმაელისა, ძისა აბრაამისა აგარისაგან.

---

4. ი ა კ ო ბ

ამ დროს, მესოპოტამიას მიმავალი იაკობი, გზაზე ღამის სათევად დადგა. იქვე ქვის ლოდი მოიძია, თავქვეშ სასთუმლად დაიდო და დაიძინა. დაიძინა და ნახა სიზმარი: კიბე იყო მიწიდან ცამდე აღმართული, ზედ რომ ანგელოზნი

მიმოიქცეოდნენ. ხოლო სულ ზემოთ, კიბის ზეთავზე, ცისა ბჭეზე, იდგა უფალი და იქიდან ესიტყვებოდა მიწაზე მწოლარე იაკობს: „მე ვარ ღმერთი აბრაამისა და ღმერთი ისააკისი მამისა შენისა, ნუ გეშინინ. ქვეყანანი ეგე, რომელზეც გძინავს, შენ მოგცე და ნათესავსა შენსა. და იყოს ნათესავი შენი, ვითარცა ქვიშაი ზღვისა და გავრცელდეს ჩრდილოდ და ბღუარად და აღმოსავლად. და იკურთხეოდიან შენდამი ყოველნი ტომნი ქვეყნისანი და ნათესავისა შენისა მიმართ. და, აჰა, მე შენ თანა ვარ დაცვად შენდა ყოველსა გზასა შენსა, საითაც კი წახვალ. და უკანვე მოგაბრუნებ ამასვე ქვეყანასა, და არ მიგატოვებ, სანამ არ შეგისრულებ ყველაფერს, რაც კი გითხარი“.

ჯაიღვიძა გაოცებულმა და გაშეთებულმა. „არს უფალი ადგილსა ამას და მე არ ვიცოდე“, — ეს სთქვა და უცებ შიშმა მოიცვა გული მისი. „ვითარ საშინელ არს ადგილი ესე“, — ესეც სთქვა და მერე ასე დასძინა, უფრო გამხნევებულმა: „ეს სხვა არაფერია, თვინიერ ღვთის სახლისა და ზეცისა ბჭისა“.

დილით, სისხამზე ადგა, ლოდი იგი, სასთუმლად რომ ედო, აღმართა ძეგლად და თავზე ზეთი დაასხა.

და ამ ადგილს, რომელსაც მანამდე სახელად ერქვა ლ უ ზ, ახალ სახელად დაარქვა ბ ე თ ე ლ (ბეით-ელ) — „სახლი ღმრთისა“.

და აქვე აღთქმაც დასდო იაკობმა: თუ უფალი ღმერთი დამიცავს ამ გზაზე, მაჭმევს პურს, შემმოსავს სამოსლით და უკანვე, მამაჩემის სახლში უვნებლად შომაბრუნებს, მაშინ ამ ქვასთან, ძეგლად რომ აღუმართე, იქნება სახლი ჩემი ღმრთისაი და ყოველივე მისგან მოცემულის მეათედს უკანვე მივუგებ (შევწირავ) მას.

გზა განაგრძო და მივიდა ხარანს, და შეხვდა თავისიანებს — „სისხლთა სისხლთაგანთა, ძვალთა ძვალთაგანთა და ხორცთა ხორცთაგანთა“.

დახვდა ლაბანი, ბიძა, ანუ ძმა დედამისის რებეკასი. ლაბანს ორი ასული ჰყავდა: უფროსი — ლ ე ა, და უმცროსი — რ ა ხ ე ლ.

ლეა სახით იყო უსანდომო, თვალებით ფრიად სუსტადმხედველი, „ხოლო რახელ იყო კეთილ ხილვითა და შუენიერ პირითა“.

შეუყვარდა იაკობს რახელი და შვიდი წელიწადი ემსახურა ლაბანს მისი უმცროსი ასულის ცოლად მოპოვებისათვის. შვიდი წლის თავზე კი ლაბანმა სასიძოს, იდუმალ, იმ დათქმულ ღამეს, უმრწემესი რახელის ნაცვლად უფროსი ასული, ლეა შეატყუა. მაგრამ იაკობმა თავი არ მოიტყუა და აუკანყდა სიმამრს: მე შენ შვიდი წელი რახელისთვის ვემონე, ახლა კი ასე რად შეურაცხმყვე?!

ჩვენში წესი არ არის, უმცროსი ასული უფროსზე ადრე გათხოვდესო. — მიუგო ლაბანმა — ხოლო, თუ მაინცდამაინც არ დაიშლი და რახელს დაიჩემებ, მაშინ კიდევ შვიდი წელი უნდა დარჩე და მემსახუროო.

დათანხმდა იაკობი და კიდევ შვიდი წელიწადი იცხოვრა ხარანს და ემსახურა ლაბანს — ბიძას და სიმამრს თვისას და, ასე — თოთხმეტი წლის შემდგომ იქორწინა რახელზე.

ამასობაში კი, ლეამ იაკობს თანმიყოლებით შესძინა ოთხი ძე — რ ე-უ ბ ე ნ, ს ი მ ო ნ, ლ ე ვ ი, ი უ დ ა.

ხოლო რახელს, არ იქნა და არ ეყოლა შვილი, რამეთუ იგი „იყო ბერწ". და შურით ავსებულიყო დაი დისადმი. ერთ დღეს კი ეს უთხრა რახელმა იაკობს: შემიქმენ მე შვილები, თორემ იცოდე მოვკვდები! მე ხომ ღმერთი არა ვარო, — იყვირა გაჯავრებულმა იაკობმა — ღმერთი, რომელმაც შენს მუცელს მშობიარობის უნარი დააკლო. — მაშინ ჩემ მხევალს, ბ ი ლ ჰ ა ს მიუდექ და მისგან მაყოლე შვილიო, — არ მოეშვა რახელი. დათანხმდა იაკობი და მხევალი ქალის, ბილჰასგან მას თანმიყოლებით შეეძინა ორი ძე — დ ა ნ და ნ ა ფ თ ა ლ ი.

მაშინ ლეამ, აგრე არ უნდაო, და იმანაც თავისი მონა-მხევალი, ზ ი ლ ფ ა შეუგორა სარეცელზე იაკობს. და ზილფამაც ორი ძე შესძინა იაკობს — გ ა დ და ა შ ე რ.

ამის შემდეგ, ისევ ლ ე ა მ კიდევ ორი ძე გაიჩინა იაკობისაგან — ი ს ა-ხ ა რ და ზ ე ბ უ ლ ო ნ. და ერთიც ასული — დ ი ნ ა.

ასე რომ ლეა, თავისი მხევლით, აშკარად სჯაბნიდა თავის დას.

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, „შეისმინა ღმერთმა" ვედრებანი რახელისა და „განაღო საშოი მისი".

და ეყოლა რახელს ძე, საოცნებო და სანატრელი, რომელსაც სახელად ეწოდა — ი ო ს ე ბ.

ახალი ძეობის შემდგომ, იაკობმა აიყვანა თავისი ორივე ცოლი, ორივე მხევალი და შვილები, შეძენილნი ამა ოთხთა ქალთაგან, გამოირეკა ამა წლების მანძილზე ნამრავლი საქონელი, ყოველი ნაგროვები, ნაჭირნახულევნი და გაეშურა მესოპოტამიიდან ქანაანს.

გზაზე, მდინარე იაბოკს რომ გადავიდა, კვლავ იხილა და განიცადა იაკობმა „ღმერთთან მიმთხვევა". ეს იყო ანგელოზი უფლისა, რომელიც დაუხვდა და შეება იაკობს. მთელი ღამე გაგრძელდა რკენა. შეატყო ანგელოზმა, ვერ ერეოდა და მაშინ ხელი მიჰყო თეძოს სახსარს და „დაუბოშა" (ულრძო) მთელი ბარკალი. მაინც არ გაუშვა იაკობმა. უნდა მაკურთხოვო, ჩააცივდა. რა გქვიაო, — ჰკითხა ანგელოსმა. იაკობიო, იყო პასუხი. ამიერიდან შენი სახელი იქნება ი ს რ ა ე ლ — „გმირი ღვთისა", — ბრძანა ანგელოზმა, აკურთხა და გაშორდა.

ამ ადგილს იაკობმა დაარქვა ფ ე ნ უ ე ლ, — „ხილვაი ღმრთისაი".

ასე ერქვას, „რამეთუ ვიხილე ღმერთი პირისპირ და ცხონდა სული ჩემი", — თქვა იაკობ-ისრაელმა და გაიარა ახლად აღმოხდენილი მზის მიმართ, კოჭლობით, თეძონაღრძობმა.

(ამის შემდეგ ძენი ისრაელისანი აღარასოდეს აღარ შესჭამენ საკლავ-საქონლის ძარღვსა ბარკლისასა, უფლისგან ხელდადებულსა და „დაბოშებულსა").

ქანაანს შევიდა იაკობი. მოულოდნელად ესავი შემოეგება, უფროსი ძმა,

მისგან უფროსობაწართმეული, მაგრამ ესავმა, გასაოცრად დიდსულოვანმა, მაინც ტკბილად მიიღო და მიისხეულა მკერდზე ამდენხანს გადაკარგული ძმა, მისი მრავალრიხცოვანი ოჯახი და მონაგარი.

ასე ურთიერთმოსიყვარულების შემდგომ, ძმები ერთმანეთს დაშორდნენ. ესავი გაბრუნდა თავის საცხოვრისს — ს ე ი რ ს, ანუ ე დ ო მ ს, მკვდარი ზღვის სამხრეთით.

ხოლო, იაკობ-ისრაელ მივიდა და დაემკვიდრა შუა ქანაანს, ქალაქ შ ე ხ ე მ ს, იქვე მან აღმართა უფლის სადიდებლად ახალი საკურთხეველი.

მალე აქაურებთან ჩხუბი მოუვიდათ ებრაელებს. ამიტომ იაკობმა თავისიანნი აჰყარა და გადაიყვანა ბეთელს. ახლა იქ დაემკვიდრნენ, წინამორბედთა საყვარელ ადგილს და იქვე კიდევ აღმართეს საკურთხეველი უფლისა მიმართ.

მერე ბეთელიდანაც მოიცვალეს ადგილი და გადავიდნენ „ქუეყნად ეფრათად", ანუ ბ ე თ ლ ე მ ს.

აქ მეორე შვილის ძეობაზე დაწვა რახელი.

დაწვა და ვეღარ ადგა, — მშობიარობას გადაჰყვა.

დაიბადა ძე, რომელსაც მამამ უწოდა — ბ ე ნ ი ა მ ი ნ.

აქვე, ბეთლემს დაკრძალა იაკობმა რახელი. დაკრძალა და ზედ აღმართა ძეგლი სამარადისო.

აქედან იაკობი მივიდა მამრეს, ანუ ხებრონს, სადაც ჯერ ისევ ცოცხალი იყო მამამისი ისააკ. იმ წელსვე ისააკ გარდაიცვალა და იგი დაკრძალეს მისმა შვილებმა, ესავმა და იაკობმა, იქვე, იმავე გამოქვაბულში, სადაც განისვენებდნენ აბრაამი და სარრა.

და ცხოვრობდა იაკობ-ისრაელ ხებრონს თავისი თორმეტი ძით.

ლეასაგან — რეუბენ, სიმონ, ლევი, იუდა, ისახარ, ზებულონ;

რახელისაგან — იოსებ, ბენიამინ;

ბილჰასაგან — დან, ნაფთალი;

ზილფასაგან — გად, აშერ.

და ეს თორმეტი ძე — ძენი იაკობ-ისრაელისანი — იქნებიან მამათავარნი სრულიად ებრაელი ხალხის თ ო რ მ ე ტ ი ტ ო მ ი ს ა, ანუ თ ო რ მ ე ტ ი მ უ ხ ლ ი ს ა.

ხოლო, ესავს სამი ქანაანელი ქალისაგან (ყ ა დ ა, ო ჰ ო ლ ი ბ ა მ ა, ბ ა ს მ ა თ ი) ჰყავდა ხუთი ძე:

ყადასაგან — ე ლ ი ფ ა ზ;

ბასმათისგან — რ ე ღ უ ე ლ;

ოჰოლიბამასგან — ი ე ყ უ შ, ი ა ლ ღ ა მ, კ ო რ ა ხ.

ამ ხუთი ძითა და მათი ნაშიერ-მონაგარით ცხოვრობდა ესავი მკვდარი ზღვის სამხრეთით, მაღლობ ზეგანზე, სეირის, ანუ ედომის ქვეყანას. და მათი შთამომავალნი იქნებიან მომდევნო დროთა ე დ ო მ ე ლ ე ბ ი.

იაკობი, ანუ ისრაელი, თავის მხრივ, აღარ ეშვებოდა ხებრონს და მამრეს.

მის თორმეტ ძეთაგან უმცროსი, იოსები, გამორჩევით შეჰყვარებოდა მამას. — შეჰყვარებოდა, „რამეთუ შვილი სიბერისაი იყო იგი". ტანსაცმელიც გამორჩეული ჩაეცმია მამას უმცროსი ძისთვის — „ჭრელი მრავალფერი".

ამისთვის დანარჩენმა ძმებმა, უკლებლივ თერთმეტივემ, აითვალწუნეს და შეიძულეს იოსები.

განსაკუთრებით მას შემდგომ შეიძულეს, სიზმარი რომ უამბო იოსებმა, გულუბრყვილოდ, თავის უფროს ძმებს: წუხელ მესიზმრაო, ვითომ ჩვენ, ყველანი, ყანაში მჭელეულებს (ძნებს) ვკრავდით, ჩვენ-ჩვენთვის, და უცებ ჩემი მჭელეული ფეხზე აღდგა და ცისკენ აღიმართა, თქვენი მჭელეულები კი გარს შემოადგნენ და თაყვანი სცეს ჩემსას.

„როგორ თუ შენ გულს გაგივლია ჩვენზე მეფობა? როგორ თუ რაიმე უფლებით უფლებდე ჩვენ ზედა?" — აყარყაშდნენ ძმები რისხვეულად.

მერე მამას და ძმებს ერთად უთხრა იოსებმა ახალი „ჩუენებაი" მისი: მესიზმრაო, რომ მზე, მთვარე და თერთმეტი ვარსკვლავი ერთად მცემდნენ თაყვანსო.

ახლა ამისთვის მამამისმა შერისხა უმრწემესი და უსაყვარლესი ძე: რა სიზმარსა და მოჩვენებას ამბობ შენ? ნუთუ მე და დედაშენი და შენი ძმანი ყველა ერთად გეახლებით და მიწამდე თავს დაგიკრავთ შენ?

განვლო მცირე დრომ.

უფროსმა ძმებმა საქონელი ხებრონიდან შეხემის საძოვრებისაკენ გაირეკეს, იაკობ-ისრაელმა, რამდენიმე დღის თუ მსგეფსის თავზე, იოსები გაგზავნა, — წადი, შეიტყვე როგორ არიან და რასა იქმან შენი ძმებიო.

წავიდა იოსები. შეხემში აღარ დახვდნენ ძმები. შეხემიდან დ ო თ ა ი მ ს გადაერეკათ საქონელი. ისიც წავიდა დოთაიმს.

და, როგორც კი ძმებმა იხილეს მათკენ მომავალი იოსები, — აჰა, მობრძანდება მოჩვენებათა მხილველიო, — ერთმანეთს უჩურჩულეს და უმალვე ამაზეც შეითქვნენ: მივიდეთ, მოვკლათ, ხრამში ჩავაგდოთ და ვთქვათ მხეცმა დაგლეჯათქო, და ეგ იქნება მაგის სიზმრებიც კი მოჩვენებებიცო.

მაგრამ რეუბენმა, უფროსმა ძმამ, არ დაანებათ: არა, ნუ მოვკლავთ, ძმის სისხლში ხელს ნუ გავისვრითო. თუ მაინცდა მაინც, ორმოში ცოცხლად ჩააგდეთ და ეგ იკმარეთო.

დათანხმდნენ ძმანი. იოსებს მიეხვივნენ, მისი ჭრელი სამოსელი ტანიდან შემოაძარცვეს, გააშიშვლეს და იქვე, ღრმა ორმოში ჩააგდეს. ჩააგდეს და თვითონ პურის ჭამად დასხდნენ არხეინად. ოღონდ რეუბენს არ მიუღია პურობაში მონაწილეობა. იგი გაშორდა იქაურობას, სანამ ძმები ჭამას მორჩებოდნენ. დანარჩენები კი ჭამდნენ, ძმის დაბრიყვებით იხარებდნენ და უცებ აქლემთა ქარავანი შენიშნეს. ქარავანს კი ისმაელიტელი ვაჭრები მოჰყვებოდნენ, გალაადიდან ეგვიპტისაკენ მიმავალნი.

და უცებ თქვა იუდამ, ძმათაგან მეოთხემ: „რაი სარგებელ არს, უკეთუ მოვჰკლათ ძმა ჩვენი და დავმალოთ სისხლი მისი?“ ამიტომ, მოდით და მივჰყიდოთ იოსები ისმაელიანებს, ხოლო ჩვენ ხელს ნუ გავისრვით მის სისხლში, „რამეთუ ძმაი ჩვენი არს“.

დათანხმდნენ ძმები იუდას რჩევას და მიჰყიდეს, ოც ვერცხლად, იოსები ეგვიპტეში მიმავალ ვაჭრებს.

და წაიყვანეს იოსები ეგვიპტეს.

ხოლო, როცა რეუბენი მობრუნდა და იოსები იმ ორმოში თუ ჭაში („ჯურღმულში“) ვეღარ იხილა, დაიპო ტანსაცმელი ტანზე და შეგლავლა ძმებს: „ყრმაი იგი აქა არა არს და მე საითღა წავიდე?“ („ენენუ ვაანი ანაჰ ანი ბა?“).

ძმებმა რეუბენი დააწყნარეს. მას უკან თიკანი დაკლეს, მისი სისხლით იოსების ჭრელი სამოსელი გასვარეს და მამას მიუტანეს. ეს ტანსაცმელი ვიპოვეთ და ნახე, შენი შვილის არის თუ არაო.

დახედა და იყვირა იაკობმა: „სამოსელი ძისა ჩემისა არს ესე. მხეცმან ბოროტმან შეჭამა იოსებ, მხეცმან ბოროტმან მიმტაცა იოსებ!“

და თვითონაც დაიპო სამოსელი ტანზე იაკობმა და მის ნაცვლად შეიმოსა ძაძითა საგლოველითა. და მიეცა უმძიმეს გლოვას უსაყვარლესი შვილის დამკარგველი მამა. ამაოდ ცდილობდნენ მის დამშვიდებას შვილნი მისნი, ახლობელნი და ნათესავნი, მაგრამ არავისი არ შეისმინა და ერთთავად ამას გაიძახოდა: ჩემი შვილის გლოვით უნდა ჩავესვენო ჯოჯოხეთშიო.

---

5. ი ო ს ე ბ

იოსები კი უკვე მიეყვანათ ისმაელიან ვაჭრებს ეგვიპტეში, მიეყვანათ და მიეყიდათ კიდეც ფარაონის მცველთა უფროსის ფ ო ტ ი ფ ა რ ი ს თ ვ ი ს.

მიიყვანა თავის სახლში ფოტიფარმა იოსები, მიიყვანა და, რა საქმეც მიანდო, ყოველივე სრულქმნილად და პატიოსნად აღასრულა, შესყიდულმა ჭაბუკმა, „რამეთუ ღმერთი იყო მის თანა, და რაოდენსა-რას იქმს, უფალი წარმართებს ხელთა შინა მისთა“.

მაშინ ადგა ფოტიფარი და მთელი სახლკარი, აგარაკი, ეზოგარემო და ყოველი სამეურნეო საქმენი საწინამძღვროდ და სამეურვეოდ მიანდო იოსებს. ისე მიანდო და ისე ენდო, რომ თვითონ სახლში აღარას კითხულობდა, თვინიერ პურის ჭამისა.

და ააყვავა იოსებმა ეგვიპტელი დიდკაცის სახლკარი. ააყვავა და თვი-

თონაც აყვავდა, მანამდეც კაცი „კეთილ სახითა“ და „შუენიერ ქმნულებითა“.

და შეუყვარდა იოსები ოჯახის დიასახლისს, ფოტიფარის ცოლს. შეუყვარდა და უთხრა პირდაპირ: „დაწეე ჩემთანა!“

შორს დაიჭირა ჭაბუკმა: ჩემმა ბატონმა მე თავის სახლში ყველაფერი ისე მომანდო, აღარაფერსაც აღარ კითხულობს; მისგან მე არ მეკრძალება არაფერი, თვინიერ შენსა, რამეთუ შენ ცოლი ხარ მისი, და როგორ ჩავიდენ მე ამოდენა ცოდვას თვით უფლის წინაშე?!

მაინც არ ეშვებოდა ქალი. ყოველდღე მიჰქონდა იერიში სატრფიალოდ — „დაწოლად მის თანა და თანა-ყოფად მას“.

ერთ დღეს გამორჩეული გახელებით მიეტანა ქალი კაცს, — „დაწექ ჩემ თანას“ ძახილით. ტანსაცმელში ჩააფრინდა და აღარ გაუშვა და იოსებს ისღა დარჩენოდა, ტანსაცმელი ქალისთვის ხელში შეეტოვებინა და თვითონ გარეთ გავარდნილიყო ნახევრადშიშველი.

გაცოფდა ქალი, იკივლა და შემოიყარა ყოველი სახლშიმყოფელნი. მოდით, მიშველეთო, და ნახეთ, რაი მიყო ჩემმა ქმარმა, ეს მონა ებრაელი რომ მომგვარა ჩემს დასამდაბლებლადო. შემომივარდა და თანამწოლობა დამიპირა, მე ვიკივლე და ისღა მოახერხა ეს ტანსაცმელი ხელში შემატოვა, თვითონ კი გარეთ გავარდაო.

მერე, ქმარი რომ დაბრუნდა, იმასაც იგივე უამბო: აი, სამოსელი შენგან მოგვრილი მონა ებრაელისა, — შემომივარდა და სარეცლად დაგება მომინდომა, ვიკივლე, ვიწივლე და ძლივს მოვიგერიო.

განრისხდა ფოტიფარი. შეიპყრო იოსები და ჩააგდო საპყრობილეში.

მაგრამ მაინც „იყო უფალი იოსების თანა“ და მოიწონა მისი ქცევა და ჭკუა საპყრობილის უფროსმა. მოიწონა დი ჩააბარა ჭაბუკ ებრაელს ყველა დანარჩენი პყრობილნი საპყრობილესა შინა.

მალე ამის შემდგომ, ისე მოხდა, რომ თვით ეგვიპტის ხელმწიფე-ფარაონის კარზე რაღაც შესცოდეს მთავარმა მეღვინემ და მთავარმა მეპურემ. განრისხებული ფარაონის ბრძანებით ორივენი ჩაპყარეს იმავე საპყრობილეში, რომელშიც იოსები იყო მოხვედრილი.

ეს ახალი ბორკილოსნებიც საპყრობილის ზედამხედველმა „მისცა ხელთა იოსებისათა“.

ერთ ღამეს, ერთსა და იმავე დროს, მეღვინემ და მეპურემ ნახეს სიზმარი, თავთავისად („კაცად-კაცადმან“). და დილით, იოსებმა ისინი იხილა დიდად შეშფოთებულნი. გამოიკითხა მიზეზი შეძრწუნებისა და იმათაც უთხრეს, სიზმრები ვნახეთ ისეთი, რომელთა ახსნა არავის ძალუძსო. ღვთისაგან გაიხსნებაო და, მიამბეთ ეგ სიზმრებიო, — უთხრათ იოსებმა. იმათაც უამბეს თავთავისად. მეღვინემ: მესიზმრა მე ვაზი სამ ტოტიანი, უცებ რომ აყვავდა, ნაყოფიც გამოისხა და უმალვეც დამწიფდა; მწიფე მტევნები დავკრიფე, ფარაონის თასში ჩავწურე და მივაწოდე იგი თვითონ ფარაონს. კარგი სიზმარი გინახავსო, — უთხრა იოსებმა — ვაზის სამი ტოტი სამი დღეა, სამ დღეში ფა-

რაონი მოგიკითხავს და ისევე შენს ადგილზე დაგაბრუნებს, მთავარ ღვინისმნედ, და ისევე შენის ხელით აუვსებ და მიაწოდებ თასს შენსავ ფარაონს. ხოლო, როცა ეს მოხდება, ნურც მე დამივიწყებ, გაიხსენე, რომ მე ებრაელი, ჩემი ქვეყნიდან „პარვითა წარმომიპარეს“ და აქ ჯურღმულში ჩამომაგდეს, სრულიად უმიზეზოდ და უმართებულოდო.

ახლა მეპურემ უამბო იოსებს თავის ძილისშორისი: ვითომ მე თავზე მედგა სამი ლაკანი; ზედა ლაკანზე ელაგა ფარაონის საყვარელი სანოვაგენი, მეპურეთმოძღვრის ნახელავნი, და ციური ფრინველნი ეხვეოდნენ და კენკავდნენ ჩემს თავზე იმ სანოვაგესო. და იოსებმაც აუხსნა მეპურეს მისი სიზმარი: სამი ლაკანი სამი დღეა, სამ დღეში ფარაონი თავს გაგაგდებინებს, ხეზე ჩამოგკიდებს და ფრინველები დაკორტნიან და შესჭამენ ხორცსა შენსაო.

სამი დღის თავზე მართლაც ყოველივე აღესრულა: მეპურესაც თავი გააგდებინეს, მეღვინეც გაათავისუფლეს და ფარაონის კარზე მთავარ ღვინისმწდედ აღადგინეს.

მაგრამ მეღვინე უმადური კაცი გამოდგა: აღარც იოსების სიკეთე დაიმახსოვრა, აღარც მისი დანაბარები გაიხსენა.

იგი ორი წელიწადი კიდევ დარჩა საპყრობილეში. ორი წლის თავზე კი, თვითონ ფარაონმა ნახა სიზმარი: იდგა იგი, ვითომ, მდინარის პირას, და გამოვიდნენ მდინარიდან ძროხანი შვიდნი, შვიდივე „შუენიერნი პირითა და მსუქანნი ხორცითა“. ხოლო, მათ შემდგომ გამოეხსნა მდინარესა კიდევ შვიდი ძროხა, ამჯერად შვიდივე „საძაგელნი ხილვითა და მშლენი ხორცითა“. და მივიდნენ ეს მშლენი ძროხანი და შესჭამეს ძროხანი მსუქანნი. ეს ერთი სიზმარი. და კიდევ მეორე ღამით კიდევ ნახა მეორე სიზმარი ფარაონმა: აი, ხორბლის ერთ ღეროზე ამოიზარდა შვიდი თავთავი, შვიდივე სავსე და მსხვილმარცვლოვანი, მაგრამ უცებ მასვე ღეროს გამოისხა კიდევ შვიდი თავთავი, ამჯერად შვიდივე ღატაკური, წვრილმარცვლიანი და გამოფიტულნი („ხორშაკეულნი“). და ამ გამოფიტულებმა უცებვე შესჭამეს და შესანსლეს ის პირველადი შვიდი მსხვილნაყოფიერი თავთავნი.

გამოელვიძა შეძრწუნებულ ხელმწიფეს. იხმო მცოდნენი და „გამომეტყველნი“ სიზმრისა და მოჩვენებისა, მაგრამ ვერავინ ახსნა ფარაონის ნაამბობი. მაშინ ილბლად, იმ მეღვინეს გაახსენდა ებრაელი ჭაბუკი, საპყრობილეში რომ სიზმრები ახსნა ისე უტყუვრად და მოახსენა თავის ხელმწიფეს ყოველივე.

მოიყვანეს იოსები ფარაონის სასახლეში.

და ახსნა მან სიზმარნი ფარაონისა: ორივე ეგ სიზმარნი ერთი აზრისანი არიანო. შვიდი მსუქანი ძროხა და შვიდი მსუქანი თავთავი შვიდი უხვმოსავლიანი წელიწადია, ხოლო მომდევნო შვიდი მშლე ძროხა და შვიდი მშლე თავთავი — შვიდი მოსავლიან-შიმშილიანი წელიწადია. ამიტომ საჭიროა, უკვე კარს მომდგარ შვიდ მოსავლიან წელიწადში ეგვიპტემ დააგროვოს იმდე-

ნი მარაგი სურსათსანოვაგისა, რომლითაც მან თავი უნდა გაიტანოს შემდგომი შვიდი მოუსავლიანი წლის მანძილზე.

ფარაონმა მოიწონა ფრიად ახალგაზრდა ებრაელის საზრიანობა და მაშინვე ააღზევა თავისსავე სასახლის კარზე, ვითარცა თავკაცი სახელმწიფოს სამეურნეო ცხოვრებისა. მე შენზე უპირატესი მხოლოდ სამეფო ტახტი მექნებაო, — ასეთი ხუმრობაც გაუმეტებია ღმერთთან თავგატოლებულ გვირგვინოსანს ამ უცნაური ჭაბუკი უცხოელისადმი. საკუთარი ბეჭედი უჩუქნია, მხრებზე ბისონის წარმოსასხამიც წამოუსხამს, ყელზე ოქროს მანიაკი ჩამოუკიდნია, ხელმწიფის ეტლოსანთა ამალაშიც პირველი ეტლოსნობა მიუნიჭებია.

ფარაონმა იოსებს ახალი სახელიც კი დაარქვა — ცაფენათ-ფახნეახ, და ცოლად შერთო ასენათ, ასული მზისქალაქის (ჰელიოპოლის) უმაღლესი ქურუმისა.

მაშინ იოსები იყო 30 წლისა.

შვიდი მოსავლიანი წელიწადი ახალგაზრდა კაცმა ისე წარმართა, ეგვიპტე აივსო პურით, დოვლათით, ქონებით, „ვითარცა ქვიშაი ზღვისა. მრავალი ფრიად, ვიდრემდის შეუძლებელ იყო აღრიცხვა, რამეთუ არა იყო რიცხვი“.

იმ შვიდ წელიწადში ოჯახიც გაუმრავლდა: ასენათმა ზედიზედ ორი ძე აჩუქა. უფროს ძეს მანასე (მენაშე) დაარქვა, უმცროსს—ეფრემ (ეფრაიმ).

შემდეგ დაიწყო შვიდი წელი შიმშილობისა. და მთელი ქვეყანა მოეცვა შიმშილს, თვინიერ ეგვიპტისა, სადაც იოსებმა გახსნა შვიდი წლით ნაგროვები მოსავლით სავსე ბეღლები და მთელი ქვეყანა მიაწყდა ეგვიპტეს პურის შესასყიდად.

უაღრესად დამშეულიყო ქანაანიც. დამშეულიყო იაკობის დიდი ოჯახიც. და მოუწოდა შვილებს მამამ: წადით ეგვიპტეს და იყიდეთ პური, რათა ვიცოცხლოთ და არ ამოვწყდეთ შიმშილით. და გაგზავნა ათი ძე ეგვიპტეს. ერთი კი დაიტოვა თავისთან, ბენიამინ, ღვიძლი ძმა იოსებისა ორივე მშობლით. დაიტოვა, რადგან ეშინოდა „სნეულება რაიმე“ არაფერი შეხვდესო გზაზე.

და წავიდა ათი ძმა ეგვიპტეს, ძენი იაკობისანი. გაჰყვნენ პურისმაძიებელი ხალხის მდინარებას და მიადგნენ იმ „მთავარსა კაცსა“, ვისაც ეკითხებოდა დარიგება პურისა და დაპურება ხალხისა.

მივიდნენ, შეხვდნენ, თაყვანი სცეს, და ვერ იცვნეს ძმებმა იოსები.

იოსებმა კი იცნო ძმები. იცნო, მაგრამ არ გაუცხადა თავი თვისი და ჰკითხათ, საიდან მოდიხართო. ჰკითხათ ეგვიპტურად, ვითომც ებრაულისა არარა ესმოდა (გვერდით თარჯიმანი ედგა, მცოდნე ორივე ენისა).

ქანაანიდან მოვდივართ საზრდელის საყიდლადო, უპასუხეს ძმებმა მოწიწებით. — თქვენ უფრო მსტოვრებს ჰგავხართ, ამ ქვეყნის დასაზვერავად მოსულებსო, სასტიკად მიმართა იოსებმა. — ჩვენ ყველანი ძმები ვართ, ერთი

კაცის შვილნი, პატიოსანნი, მშვიდობიანნი და არასოდეს ჩვენ შორის მსტოვარი არ დაბადებულაო, — ირწმუნებოდნენ ძმები. არა, ნამდვილად დასაზვერად ხართ მოსულიო, — თავისას არ იშლიდა იოსები.

— ჩვენ, მონანი შენნი, ვიყავით თორმეტი ძმანი, ქანაანის მიწაზე. ერთი, უმრწემესი ძმა, ახლა მამასთან არის დარჩენილი, ხოლო კიდევ ერთი, საერთოდ დაგვეკარგაო, — თქვეს ძმებმა.

— მე კი იმასვე ვამბობ, რასაც ვამბობდი: თქვენ მსტოვრები ხართ! — ისევ გაიმეორა იოსებმა და მტკიცედ დასძინა: თქვენ მე გამოგცდით, უკეთუ მართლა მშვიდობისანი ხართ და არა მსტოვარნი; ვფიცავ ფარაონის სიცოცხლეს, თქვენ აქიდან მანამ ფეხს ვერ გადადგამთ, სანამ აქ არ გაჩნდება ის თქვენი უმრწემესი ძმა, მამასთან რომ დარჩენილა. გაგზავნეთ ერთი თქვენგანი, რათა მოიყვანოს იგი აქ, ხოლო მის მოსვლამდე თქვენ იქნებით დაკავებულიო. სთქვა „და შესხნა იგინი საპყრობილესა სამ დღე". მესამე დღეს კი იოსებმა ძმები გამოიყვანა და უბრძანა: აქ, საპყრობილეში, მხოლოდ ერთი თქვენგანი დარჩეს, დანარჩენები კი წადით სახლში, ეს ნაყიდი პური მიიტანეთ. და ოჯახები დააპურეთ. მაშინვე უკანვე გამობრუნდით და თან წამოიყვანეთ თქვენი უმცროსი ძმა; ასე მოიქეცით, უკეთუ არ გსურთ, რომ ამოსწყდეთ!

თავზარდაცემული და გაოგნებული იყვნენ ძმები დამხვდური „დიადი ეგვიპტელის" სიმკაცრისა გამო. მაშინვე ირწმუნეს, სასჯელი მოდიოდა უფლისაგან, ძმა რომ გასწირეს იმ ბოროტ დღეს, — ჯერ რომ ჯურღმულს ჩააგდეს, მერე ვაჭრებს მიჰყიდეს და გადაკარგეს. — ხომ გეუბნებოდით, ნურას ვავნებთ ყრმასა-მეთქი, არ შემისმინეთ და „აწ, ესერა, სისხლი მისი იძიების", — უყეფდა რეუბენი დაფეთებულ და დათრგუნვილ ძმებს.

ლაპარკობდნენ ებრაულად და ისევ ეგონათ, ამ „დიად ეგვიპტელს" არ ესმოდა მათი ებრაული; თანაც, იოსები გასცლოდა მათ და არც ის იცოდნენ, როგორ ტიროდა იგი, მათგან უჩინრად და განრიდებულად.

შემობრუნდა იოსები და ისევ მკაცრად გაიმეორა თავისი ნაბრძანები. მაშინვე ძმათაგან სიმონი ამოარჩია, გუშაგებს შეაბოჭვინა, პყრობილად და მძევლად თვისად; მას უკან, ბრძანა დანარჩენთათვის, ყველასთვის თავთავისად, აევსოთ ხორბლით ტომარნი მათნი და თან, შესასყიდად გადახდილი ვერცხლი, იდუმალ, შიგვე შეეყოლებინათ, ზედვე თითოეულისათვის უხვად საგზალიც დაეყოლებინათ. და ასე, უხვად დატვირთულნი გამოისტუმრა იოსებმა თავისი ცხრა ძმა უკანვე, ქანაანისაკენ..

გზაზედ, უკანმობრუნებულ ძმათაგან, ერთმა თავისი ტომარა გახსნა და იხილა ვერცხლი, რომელიც იქ, ეგვიპტეში, პურის სასყიდლად გადაეხადა. ისევ „განუკრთათ გული" ძმებს და ისევ იწყეს თრთოლვით მიმოთქმა: „რაი ესე გვიყო ჩვენ ღმერთმანმ?"

მოვიდნენ სახლში და ყოველივე წერილად უამბეს მამას, იაკობს. მერე, ტომრები რომ გახსნეს, ყველამ იხილა შიგ ჩამალული ვაშკარანნი სასყიდლად გაღებული ვერცხლით.

კარგა ხანს გონს ვერ მოსულიყვნენ მამა-შვილნი, გაოცებულნი და გაშეთებულნი.

მერე ისევ აღძრეს სიტყვა ძმებმა მამის წინაშე: ბრძანებისამებრ ეგვიპტელი „მეუფე-კაცისა“, უნდა მივბრუნდეთ და თან წავიყვანოთ ჩვენი უმცროსი ძმა ბენიამინ.

მაშინ იყვირა იაკობმა: თქვენ მე მღუპავთ, უშვილოდ მაგდებთ, — აღარ მყავს იოსებ, აღარ მყავს სიმონ, ახლა ბენიამინიც უნდა წამართვათ!

ენა ჩაუვარდათ ძმებს. მართალი იყო მამა და რაღა ეთქმოდათ.

მაშინ წამოდგა ისევ რეუბენი და მიმართა მამას: მამა, მე გაძლევ შენ ჩემ ორ ძეს და ორივე დახოცე, უკეთუ მე შენ უკანვე არ მოგიყვან შენს ბენიამინს; ამიტომ გთხოვ მომცე მე ბიენიამინი და მე თვითონ მოგგვრი მას შენ უკანვე!

მაინც არ გატყდა იაკობი, არ გატყდა და არ დათმო. არ გაგატანთო თქვენ ჩემს უმრწემეს ძეს, რადგან მისი ძმა ხომ მოკვდა და ესეც რომ უკან ვერ დამიბრუნდეს, მაშინ ხომ უკიდურესი წუხილით უნდა ჩაუშვათ კუბოში სიბერე ჩემი?! — თქვა მან სასტიკად და სიტყვაშეუქცევლად.

სიტყვა და ნება ჩაიქრეს იაკობის შვილებმა. პასუხიც ვეღარ შეუბრუნეს უმცროსი შვილების უბედურებით ამღვრეულ მამას.

ძმები დარჩნენ ქანაანს. ეგვიპტეს ვეღარ მიბრუნდნენ. და ბენიამინი, „იმ-ეგვიპტელის“ ბრძანებით, ეგვიპტეში ვეღარ მიიყვანეს.

ისევ ჩამოვარდა შიმშილ-სიყმილი, ხორცისა და სულის დამარღვეველი, ქანაანს.

ისევ მიმართა იაკობმა თავის შვილებს: წადით ეგვიპტეს და ისევ იყიდეთ პური, თუნდაც მცირედი, თავის გასატანად. მაშინ წამოდგა ძმათგან ერთი, იუდა, რომელმაც ერთხელ კიდევ შეახსენა მამას, რაიც უბრძანა მათ, გამომგზავრებისას „იმ ეგვიპტელმა“: ჩემთან მობრუნება არ გაბედოთ, თუ თქვენს უმრწემეს ძმას არ მომიყვანთო. ამიტომ, თუ გაგვატან ბენიამინს, ჩვენც წავალთ ეგვიპტეში პურის საყიდლად, ხოლო თუ არ გაგვატან, არც ჩვენ წავალთო.

მაშინ ისევ იყვირა იაკობ-ისრაელმა: რად იბოროტეთ და რად უთხარით „კაცსა მას“, რომ თქვენ გყავდათ ძმა ბენიამინ?

ჩვენ რა ვიცოდითო, — შეაგებეს შვილებმა მამას — ის კაცი რომ ჩვენი ოჯახის ამბებს გვეკითხებოდა, — მამა თუ ცოცხალი გყავთო, ძმა კიდევ თუ გყავთო, — და ჩვენც მის კითხვებს ვპასუხობდით და საიდან უნდა გვცოდნოდა, ბოლოს რომ ამას გვეტყოდა, თქვენი ძმა მომიყვანეთო?!

და მაშინვე, სანამ მამა რაიმეს თქმას მოასწრებდა, ისევ მიმართა მან იუდამ. გამოუშვი ჩემთან ის ბიჭი, წავალთ, მოვალთ, და ყველა ვიცოცხლებთ და აღარც არავინ დავიხოცებით, არც ჩვენ, არც შენ და არც მონაგარიცა („ვანიცა“) შენი. მე ვაგებ პასუხს მისთვის, მე მომკითხე, უკეთუ უკანვე არ მოგგვარო და წინ არ დაგიყენო, მაშინ მე ვიყო ცოდვილი მთელი წუთისო-

ფელი შენს წინაშეო, — დაასრულა იუდამ და ესეც დასძინა: ასედაც რომ არ დაგვეგვიანებია, ამდენ ხანს უკან ორჯერაც მოვბრუნდებოდითო.

გატყდა იაკობ-ისრაელ, გატყდა და თქვა: რაკი ასეა, წადით და წაუღეთ იმ კაცსა („კაცსა მას ღმრთისასა") ძღვნად ნაყოფნი აქაური მიწისა: კევი („რეტინე"), თაფლი („დებაშ"), საკმეველი („ბოთიმ"), ამბარი („შტახსი"), ბელეკონი და ნიგოზი. და ვერცხლიც ორი წილი წაიღეთ უკან, რამეთუ ერთი წილი ხომ აქვე ჩამოიტანეთ თქვენ-თქვენს ტომრებში ჩარჩენილნი და ვინ იცის, რა ცდომილება მომხდარა აქ. და ძმაც წაიყვანეთ, ბენიამინ, და მიიყვანეთ წინაშე იმ კაცისა, და ღმერთმა ინებოს, უკანვე გამოგიშვათ თქვენც და ჩემი ძეც უმრწემესი.

თქვა ეს იაკობმა და გაუშვა შვილები უკან, ეგვიპტეში, კვლავაც პურის („იფქლის") სასყიდლად, და გაატანა ძე უმრწემესი, ბენიამინ.

და მივიდნენ ძმები იოსებთან — „კაცთან ღმრთისასა".

იოსებიც შეხვდა და იხილა ისინი, ძმანი მისნი, და ძლივსღა შეიმაგრა თავისი ღვიძლი ძმის, ბენიამინის ხილვისას, და უბრძანა „ეზოსმოძღვარსა თვისსა", — სასწრაფოდ საკლავი დაჰკალ, სუფრა გააწყვე, რათა მსურს ინახად პური ვჭამო ამ ადამიანებთანო.

ეზოსმოძღვარმაც გააწყო სუფრა იოსების სახლში, ბრძანებითვე მისი მბრძანებლის იოსებისაგან, და მიიწვია „ის კაცნი ქანაანელნი".

დაფრთხნენ ძმები. ალბათ შეგვიყვანენ და დაგვსჯიან იმ ვერცხლისთვის, პურთან ერთად რომ გაგვყვა შინმიბრუნებულებსო. ამიტომ მიცვივდნენ იოსების ეზოსმოძღვარს და აუხსნეს, როგორ მათდა უნებურად წაჰყოლოდათ ვერცხლი, ტომარ-ტომარად ჩამალული. ეხლა ეს ვერცხლიც უკანვე მოგართვით და ახალი საფასეც ჩამოვიტანეთ პურის ახალი ჯერის საყიდლათო.

დაამშვიდა ეზოსმოძღვარმა ისინი: დაწყნარდით, დამშვიდდით, ნუ გეშინიათ; ის ვერცხლი თქვენმა და მამათქვენის ღმერთმა ჩაგიწყოთ განძად თქვენს ტომრებშიო. ეს სთქვა, ნიშანი მისცა და სიმონიც შემოვიდა და შეერთო ძმებს.

ყველა ერთად შევიდნენ იოსების სახლში. ყველას ფეხები დააბანინეს. მათ ვირებსაც საკვები ჩამოურიგეს.

იდგნენ სიხარულით ენაჩავარდნილი ძმები. ელოდნენ იოსებს, საჩუქრებით ხელში. ისიც მოვიდა. საჩუქრები მიართვეს და მიწამდე თავი დაუკრეს. იმანაც მოიკითხა: როგორ ხართ, როგორ ბრძანდება თქვენი მოხუცი მამა, მაშინ რომ მასზე მელაპარაკებოდითო. კარგად დავტოვეთ მამა ჩვენი და მონაი შენიო, — ერთად მიაყარეს პასუხად ძმებმა. „კურთხეულ არს კაცი იგი ღმრთისა მიერ", — ჩამოართვა იოსებმა. ძმები ისევ მიწამდე თავის დაკვრით ეთაყვანენ მასპინძელს.

ბენიამინისკენ იბრუნა პირი იოსებმა და იკითხა: ეს არის თქვენი მრწემი ძმა, ჩემთან რომ უნდა მოგეყვანათ? და სანამ ძმები ერთხმად თანხმობას იბ-

ღავლებდნენ, თვითონ დაასწრო და უთხრა ბენიამინს: „ღმერთმან შეგიწყალენ შენ, შვილო!“

და, უცებ, ისე ამოუჯდა გული ძმის სიყვარულით, ისე „შეიწვებოდეს ნაწლევნი მისნი“, ცრემლი ამათ შესახედად არ წამსკდესო და, მეორე ოთახში გავარდა, და იქ მარტოდმარტომ მისცა გზა ცრემლის სათხევარს. ტირილით რომ გული იჯერა, პირი დაიბანა, გამოვიდა და ბრძანა სუფრის გაშლა („დაგება პურისა“).

ცალ-ცალკე გაშალეს სუფრები: ცალკე იოსებისთვის, ცალკე მისი ეგვიპტელი მოხელეთათვის, ცალკე ებრაელ ძმათათვის. ასე ეკუთვნოდა იოსებს, რამეთუ იგი იყო „თავადი კაცი“, და ასე მართებდათ ეგვიპტელებს, რადგან მათ ეზიზღებოდათ ინახად ჯდომა ხორციჭამია მწყემს-მესაქონლე უცხოელებთან.

იოსების ბრძანებით, უხვად მიჰქონდათ საჭმელ-სასმელი ებრაელ ძმებთან. გამორჩეულად კი, ხუთკეცად მეტი ულუფა მიერთმეოდა ბენიამინს.

ღვინოსაც მიეძალნენ. კიდეეაც დათვრნენ.

ამასობაში იოსებმა იდუმალი ბრძანება მისცა ეზოსმოძღვარს: ძმების ტომრები აღეესო პურით და ისევ ჩაეტნია მათში ვერცხლი სასყიდელი, ხოლო ბენიამინის ტომარაში, დამატებით, თვითონ იოსების ვერცხლის ბარძიმიც ჩაეყოლებინა. ეზოსმოძღვარმა ეს ბრძანებაც აღასრულა.

მეორე დილით, როცა ძმებმა. ბოძებული ტვირთი თავთავის სახედრებს აჰკიდეს, გზას გაუდგნენ და ის იყო ქალაქსაც გაშორდნენ, რომ მოულოდნელად იგივე ეზოსმოძღვარმა მოუჭრათ გზა. თქვენ ჩემს ბატონს სიკეთისთვის ბოროტებით გადაუხადეთო, მისი ვერცხლის ბარძიმი მოგიპარავთ და წამოგიღიათო, — მიახალა მან ებრაელებს მისვლისთანავე. შეუძლებელია ეს მომხდარიყო, იბღავლეს ძმებმა; აი, გაგვჩხრიკეთ და უკეთუ ეგ ბარძიმი რომელიმეს აღმოაჩნდება, იგი სიკვდილს მიეცეს, დანარჩენები კი მონებად აგვიყვანეთო. ეზოსმოძღვარიც შეუდგა ჩხრეკას, გაჩხრიკა უფროსიდან უმცროსამდე და ის ვერცხლის ბარძიმი აღმოაჩნდა უმცროსს, ბენიამინს.

ტანსაცმელი დაიპეს ტანზე გაოცებულმა და გამწარებულმა ძმებმა. ეზოსმოძღვარმა უკანვე შემოაბრუნა ყველანი, უკანვე მიჰგვარა თავის ბატონს.

ეს რა ჩაიდინეთო, გაუწყრა იოსები მის წინ დამხობილ ძმებს, იმასაც ვერ მიხვდით, ჩემისთანა კაცი რომ „ზნით იზმნის“ და წინასწარ მიხვდება, რაც უნდა მოხდესო?

რაღა გვეთქმისო, — ამოიგმინა იუდამ — თავს რიღათი ვიმართლებთ, როცა უფალმა ასეთ ცოდვაში აღმოგვაჩინაო. აი, ახლა ჩვენ, ცოდვილნი, თქვენს ხელში ვართ და, გნებავთ დაგვხოცე, გნებავთ მონებად აგვიყვანეო.

მონად ავიყვან და დავინარჩუნებ იმას, რომელსაც აღმოაჩნდა ჩემი ბარძიმი, დანარჩენები კი თავისუფალი ხართ და მშვიდობით გაბრუნდით მამათქვენთანო, — ბრძანა იოსებმა და თვალი დაადგა ბენიამინს.

მაშინ, ისევ წინ წარსდგა იუდა და შეჰღაღადა იოსებს: გეეედრები, უფალო, და ნუ გამირისხდები მონასა შენსა, შემდგომო ფარაონისა; ნუ წაგვართმევ მაგ უმრწემეს ძმას, ბენიამინს, რადგან მამაჩვენი ვერ გადაიტანს მის დაკარგვას. ბენიამინის უფროსი ძმა უკვე დაკარგული ჰყავს მამაჩვენს, ახლა ამის დაკარგვას ვეღარ დაურჩება ცოცხალი. არ გვატანდა, აქეთ რომ მოვდიოდით, — შიშობდა, გზაზე რომ მაგას რამე შეეყაროს და ვეღარ ვიხილო, სიბერე ჩემი უსაზღვრო წუხილით უნდა ჩაეშვას საფლავშიო. მე ვიდე თავს მამის წინაშე მისი უმცროსი ძის უკანვე უვნებლად მიყვანა; მამა ენდო ჩემ აღთქმას და გამომატანა ბენიამინი; ახლა კი რა პირით წარვსდგე მის წინაშე ხელცარიელი? ამიტომ გეეედრები მე ამიყვანო მონად, ხოლო ბენიამინი გაუშვა მამაჩემთან, სხვა ძმებთან ერთადო.

აღელდა იოსები, ბრძანა განშორებოდა ყოველი ეგვიპტელი და, როგორც კი ძმებთან მარტო დარჩა, უცებ შესძახა მათ:

„მე ვარ იოსებ, და ცოცხალია არს მამაი ჩემი?“

სულ დაეფანტათ გონი ძმებს.

„მომეახლენით მე!“ — ისევ იყვირა იოსებმა.

ისინიც მიეახლნენ ენაჩავარდნილნი.

„მე ვარ იოსებ, ძმაი თქვენი, რომელიც თქვენ გამყიდეთ ეგვიპტედ“. მაგრამ ახლა ნუ შიშობთ და ნუ ნაღვლობთ, რომ თქვენგან გაყიდული მოვხვდი მე ამ ქვეყანაში. ეს, უეჭველად იყო ნება უფლისა, რათა მე გადამერჩინეთ თქვენ შიმშილით დახოცვისაგან. აგერ, ორი წელიწადია მძვინვარებს შიმშილი ქვეყანასა ზედა. კიდევ ხუთი წელიწადი გაგრძელდება, ხუთი წელიწადი მიწა არ დაიხვნება, მოსავალი არ მოიმკება, ხორბალი არ გაილეწება. ხოლო მე ღმერთმა მომავლინა თქვენი და თქვენი მოდგმის გადასარჩენად ამ ქვეყანაზე. მაშასადამე, „აწ არა თქვენ მომავლინეთ მე აქა, არამედ ღმერთმან და მყო მე, ვითარცა მამა ფარაოსი, უფლად ყოველსა მისსსა სახლსა ზედა და მთავრად ყოველსა ქვეყანასა ეგვიპტისასა“. ახლა კი წადით და ყოველივე უამბეთ მამასა ჩემსა, რაც აქ იხილეთ და უთხარით ჩემგან: ამას ამბობსთქო ძე შენი, იოსებ, ღვთისგან ეგვიპტის უფლად დადგენილი, წამოდი ჩემთან დაუყოვნებლივ და მე შეგინახავ შენ და მთელ შენს სახლეულსა და მონაგარს შენსას კიდევ ხუთწლოვანი შიმშილობის ჟამს. და აი, თვალნი თქვენნი და თვალნი ჩემი ძმის ბენიამინისა ჰხედავენ, რომ ჩემი ბაგენი ამბობენ ამას: აუწყეთ მამასა ჩემსა ყოველივე დიდება ჩემი ეგვიპტეში, ყოველივე რაც აქ იხილეთ და მომიყვანეთ სასწრაფოდ აქვე მამა ჩემი“...

ცრემლმა უსწრო და მოეხვია ბენიამინს ატირებული. ატირდა ბენიამინიც, დიადი ძმის მკერდს ჩახუტებული. დანარჩენს ძმებს მიუბრუნდა იოსები, ისინიც ჩაიკრა და ჩაეკრა გულში. ტიროდნენ ძმები ბედის საოცარი შემობრუნებით გახარებულნი და გაბედნიერებულნი.

თვითონ ფარაონის ყურამდეც მიაღწია იოსებისა და მისი ძმების ამბავმა. იმანაც იხმო თავისი რჩეული კარისკაცი და უთხრა ტკბილად: დატვირთე

უხვად შენი ძმანი და გაუშვი მამასთან, ქანაანს: ეტლებიც გაატნე და წამოიყვანონ მამაც, მისი სახლეულიც, ყველა თავთავის ოჯახით, მოვიდნენ ეგვიპტეს და მათ მე დავასახლებ საუკეთესო მიწაზე; და ასე — იყვნენ და „სჭამონ ტვინი დედამიწისა“..

აღასრულა იოსებმა კეთილი ბრძანება მისი მწყალობელი ფარაონისა, მისცა ეტლები ძმებს, დატვირთა ისინი პურით, საგზლით, ყველას დაურიგა თითო ხელი ახალი სამოსელი, ხოლო ბენიამინს მისცა ორასი ვერცხლის დრაჰკანი და ხუთი ხელი სამოსელი, „თითოფერისა“, ათი სახედარი („კარაული“) იოსებმა ცალკე დატვირთა და მამის მისართმეველად ჩააბარა ძმებს. ახლა კი წადით და გზაზე არაფერზე წაეკიდოთ ერთმანეთსო, — დაასრულა იოსებმა.

წავიდნენ ძმები, მივიდნენ ქანაანს, ეახლნენ მამას და აუწყეს ყოველივე. ვერ დაიჯერა იაკობმა ამოდენა ბედნიერება — იოსები რომ ცოცხალი ყოფილა, თანაც ასე აღზევებული, „უფლად ეგვიპტისად“. მერე ირწმუნა, როცა იხილა ყოველივე ეგვიპტური, ეგვიპტიდან მისი შვილის ნახელავად გამოგზავნილი. ეგვიპტეში გადმოსახლდითო, — ეს მოწოდებაც მოისმინა და შეისმინა ებრაელთა მხცოვანმა პატრიარქმა. წავალ და ვიხილავ შვილსა ჩემსა სანატრელსა, სანამ მოვკვდებოდეო, — მტკიცედ თქვა მან და ბრძანა გამზადებულიყვნენ ეგვიპტეში გასამგზავრებლად.

ჯერ ბეერშებას (ბირსავია) მიიყვანა თავისიანები იაკობ-ისრაელმა, მამისა და პაპის სალოცავზე ალოცა, აწირვინა და ამის შემდეგ ბრძანა პირდაპირ წასვლა ეგვიპტისკენ.

და დაიძრნენ, საკუთარ კარაულ-აქლემებზე და ფარაონისგან გამოგზავნილ ეტლებზე ამსხდარნი, დედაბუდიანად, ცოლშვილანად, მიჰყავდათ ფარაცხვრისა და ჯოგი ხვასტაგისა, მიჰქონდათ „ყოველივე მონაგები მათი, რაოდენი-რაი მოეგოთ ქუეყანასა ქანაანისასა“.

და მივიდა იაკობ-ისრაელ, და „ძენი მისნი და ძეთა მისთანი და ასულნი მისნი და ასულნი ასულთა მისთანი და ყოველივე ნათესავი მისი შეიყვანა ეგვიპტედ“.

და მივიდნენ გ ე ს ე მ ს (გოშემ), ანუ „რაამსესის მიწაზე“, ნილოსის დელტის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, დიდად ნაყოფიერ მხარეში, სადაც ფარაონთან შეთანხმებით იოსებს გადაეწყვიტა დასახლება და დამკვიდრება თავისიანებისა. აქვე შეხვდა იგი მამას, ძმებსა და მათ ოჯახებს. „მოეხვია ყელსა მამისასა და ტიროდა ტირილითა დიდითა ფრიად“.

„მოვკვდე აწ, ამიერითგან ვიხილე პირი შენი, რამეთუ შენ ცოცხალღა ხარ“, — უთხრა მამამ შვილს.

და იწყეს ცხოვრება ებრაელებმა ქვეყანასა გესემს, „უმჯობესსა ქუეყანასა ეგვიპტისასა“.

რამდენიმე წლის შემდგომ იგრძნო სიკვდილის სიახლოვე იაკობმა. იგრძნო და იხმო იოსები. იხმო და უთხრა: დიდი მადლი მაპოვნინე მე, შვილო

ჩემო, ახლა კი უნდა აღვესრულო და შემომფიცე, წყვილთა ზედა ხელის დადებით, რამეთუ არ დამფლავ მე აქ, ეგვიპტეში, არამედ მომაგებ წყალობას და ჰეშმარიტებას და წამასვენებ მე ეგვიპტიდან, წამასვენებ და დამასაფლავებ ჩემ მამაპაპათა გვერდით, მათ სამარხსა შინა.

იოსებმაც უყოყმანოდ დაადო ხელი „წყვილთა ზედა" და შეჰფიცა, რომ აღასრულებდა მის უკანასკნელ სათხოვარს.

მაშინ საგანგებოდ დაულოცა იაკობმა იოსებს ძენი მისნი, ეფრემ და მანასე. მას უკან იხმო ძენი თვისი და ყველანი ერთად — თორმეტნი, და მიმართა ყველას და თითოეულად:

„რეუბენ, პირმშო ხარ ჩემი, ძალი და დასაბამი ჩემი კაცობისა. ფიცხელი, შეუდრეკელი და კადნიერი. ვერ აღზევდები, რადგან ახვედი მამის საწოლზე და შეაგინე იგი.

სიმონ და ლევი, ღვიძლი ძმანი, ჭურჭელნი სიცრუისა და ძალადობისა. მათ თათბირზე ნუმც მისულა სული ჩემი, მათ საკრებულოზე ნუმც ზიარებულა დიდება ჩემი, რამეთუ მათ გულისწყრომითა მოსწყვიდნენ კაცნი და ბოროტი გულისთქმითა დაჰკვეთნეს ძარღვნი კურისა. წყეულიმც იყოს გულისწყრომაი მათი, თავხედობაი მათი, სისასტიკე მათი. დავფანტავ მათ იაკობში, განვთესავ მათ ისრაელში.

იუდა, შენ გაქებენ და ეადიდებენ ძმანი შენნი; მტერთა ხერხემალს შემუსრავ ხელით. თაყვანს გცემენ შენ ძენი მამისა შენისანი. ლომის ლეკვი ხარ, იუდა, ხელნადავლიანი, შვილო ჩემო, ლომივით წამოწვები და ვინ გაბედოს შენი წამოგდება? არ განეშოროს კვერთხი იუდას, არცა არგანი შუა ბარძაყთაგან, ვიდრე არ მოვა მისი მფლობელი და უფალი ხალხთა ზეშა. ვაზზე უბია იუდას კიცვი (ჩოჩორი) თვისი და ვენახის ლერწზე ვირის ნაშიერი. ღვინოში რეცხავს სამოსელს თვისას და ყურძნის სისხლში წამოსასხამს („მოსაბლარდნელს") თვისას. ბრწყინავენ თვალნი მისნი, ღვინოზე უწითლესნი, და კბილნი მისნი, რძეზე უთეთრესნი

ზებულონ ზღვის კიდესა დაეშენოს, ნავთსაყუდელთა იბატონოს, სიდონს (ციდონს) მიწვდეს საზღვარი მისი.

ისახარ, მაგარი ვირი, წყალთა შუა მწოლარე. ჰხედავს, რა კარგი ყოფილა განსვენება, მიწაც — საამური. ქედდადრეკილა ტვირთის სათრევად, ხარკის სახდელად.

დანი იქნება მსაჯული თავისი ხალხისა, როგორც ერთი მუხლი ისრაელისა. დანი იქნება გველი გზასა ზედა, ასპიდი გზასაყარზე, დამგესლავი ცხენის ტერფისა და დამგორებელი მხედრისა... უფალო, შემეწიე მე!

გადს მოაწვებიან ურდონი, მაგრამ უკუაქცევს და თვითონვე კვალს ჩაუდგება.

აშერ, მდიდარი პურითა ნოყიერითა და მან გასცეს საზრდელი მთავართა.

ნაფთალი, ფეხმარდი ირემი, მშვენიერ სიტყვათა განმავრცობელი.

იოსებ, შვილი ჩემი აღორძინებული, ნაყოფიერი ნერგი, წყაროსპირს დარგული, რტოებით გალავანზე გადაწნული. გაამწარეს, დაისრეს მტერთა მშვილდოსანთა. გარნა გაიმარჯვა თავისი მკვრივი მშვილდითა, ხელთა უმტკიცესი კუნთებითა, ძალმოცემული უფლისაგან იაკობისა. აქედან არის მწყემსი და ციხესიმაგრე ისრაელისა. და შეგეწია შენ ღმერთი ჩემი და გაკურთხა შენ კურთხევითა ზეცისათა ზეგარდმო, კურთხევითა უფსკრულისათა, ქვეგანრთხმულისათა, ძუძუთა და საშოს კურთხევითა, მამაშენის კურთხევითა, რომელიც უფრო ძლიერ არს, ვიდრე კურთხევა ჩემი მშობლებისა, ვიდრე მადლი მთათა საუკუნოთა. დაე იყოს კურთხევანი ესე თავზე იოსებისასა, თხემზე ძმათაგან გამორჩეულისასა.

ბენიამინ კი, მგელია მტაცებელი, დილით რომ ჭამს და საღამოთი განიყოფს ნადავლს.

აჰა, ყოველნი, ძენი იაკობისნი — ტომი ათორმეტ".

და აკურთხა ყველა მათგანი, ცალკეულად, კურთხევითა მამის მადლითა. აკურთხა და ახლა ყველას ერთად გამოუცხადა თავისი სურვილი ურყეველი: ახლა, როგორც კი მივიცვლები, გადამასვენეთ ქანაანს და დამასვენეთ ჩემ წინაპართა სავანებელში, მახფელას, მამრეს პირდაპირ, გამოქვაბულში.

და აღესრულა იაკობ-ისრაელი, და წაასვენეს შვილებმა იგი სამშობლოში, და დაკრძალეს იმ ქარანძავში, „წინაშე მამბრესა", სადაც განისვენებდნენ აბრაამ და სარრა, ისააკ და რებეკა.

დაკრძალეს მამა და დაბრუნდნენ იოსები და ძმანი მისნი უკანვე, ეგვიპტეში.

და განაგრძობდნენ ცხოვრებას ძენი ისრაელისანი ეგვიპტეს, „ქუეყანასა გესემისასა", მტკიცედ მკვიდრობდნენ, ბეჯითად მოსაქმეობდნენ, ჯიუტად მრავლდებოდნენ.

იოსების აღსრულების დღეც მოახლოვდა. იხმო ძმები, შვილები, შვილიშვილები და აუწყა მათ: მე ვკვდები, თქვენ კი მოგხედავთ ღმერთი და ერთხელაც იქნება, იგი გაგიყვანთ ეგვიპტიდან და დაგაბრუნებთ იმ ქვეყანაში, რომელიც მან აღუთქვა აბრაამს, ისააკსა და იაკობს. მანამდე კი დაე მე ვესვენო ეგვიპტის მიწაში, მაგრამ მაშინ, ქანაანს დაბრუნებისას, ამოიღეთ და თან წაიღეთ ჩემი ძვლებიცა.

და აღესრულა იოსები.

„და შემურეს იგი ნელსაცხებლითა და დაფლეს ცხედრითა ეგვიპტეს შინა".

დრო კი ვიდოდა ულმობლად და შეუჩერებლად.

თაობები მოჰყავდა და მიჰყავდა დროს.

ისევ მოჰყავდა, ისევ მიჰყავდა... ისევ და ისევ... განუწყვეტლივ და განუცადებლად.

და იმრავლა ერმან ისრაელისამან ეგვიპტესა შინა.

ხოლო, ეგვიპტისათვის საშფოთარი და საგანგაშო აღმოჩნდა სიმრავლე მათი.

აქამდე დიდი ისტორიით ცხოვრობდა ეგვიპტე.

აქ, ებრაელთა მოსვლამდე, სულ ცოტა, ათას ხუთას წელს მოითვლიდა ეგვიპტური კულტურა და ცივილიზაცია.

ახლა კი... ახლა ებრაელთა სიმრავლემ დააფრთხო ეს დიადი, საოცარი, „სფინქსური ქვეყანა".

მაშინ, ახლად ტახტზე ასულმა ფარაონმა (ვარაუდით, თუთმოს III) იხმო უახლოესი კარისკაცნი და მიმართა მშფოთვარებით: აი, შეხედეთ, როგორ გამრავლდნენ და გამძლავრდნენ ძენი ისრაელისანი; ამიტომ ჩვენ უნდა შევავიწროოთ და დავთრგუნოთ, რათა მოუწყდეთ ძალი გამრავლებისა და შემდგომი აღზევებისა. ხოლო, უკეთუ ასე არ მოვიქცევით, ისინი შეეკერიან ჩვენს სხვა მომტერეებს და ყველანი, ერთად აღჭურვილნი და ამხედრებულნი, შეეცდებიან ჩვენს დამხობას.

და შეჰყარა ფარაონმა ებრაელნი უმძიმეს მშენებლობაზე, მშიერ-მწყურვალნი მათრახისა და სახრის ქვეშ. ასე, ებრაელთა მონური შრომით აშენდა მაშინდელ ეგვიპტეში სამი უდიდესი ქალაქი — პ ი თ ო ფ ი, რ ა მ ე ს ე და ო ნ ი, ანუ ჰელიოპოლისი („მზის ქალაქი").

მაგრამ ამ უმძიმესმა, წელშიგამწყვეტმა სამუშაოებმაც ვერ შეაფერხა მრავალძეობა ებრაელთა. პირიქით, — რამდენჯერაც ეგვიპტელები ებრაელებს „დაამდაბლებდნენ, ეგოდენ ესენი განმრავლდებოდნენ და განძლიერდებოდნენ ფრიად".

უაღრესად დაუმძიმეს და გაუმწარეს ცხოვრება ებრაელებს ეგვიპტელებმა — თუ ყოველსახე უმძიმესი სამუშაოებით, თუ ცემით, თუ შიმშილით.

ფარაონმა ამქმელ ქალებსაც კი უბრძანა — შ ი ფ რ ა ს და ფ უ ა ს, მშობიარე ებრაელ ქალებს რომ მიუდგებით, თუ ძე იბადებოდეს, მოჰკალით, თუ გოგო — დაე იცოცხლოსო. მაგრამ შიფრა და ფუა ღვთის მოშიშნი გამოდგნენ და არა ხოცავდნენ მათი ხელის შემწეობით შობილ ყრმებს. შეიტყო ეს ფარაონმა, იხმო ურჩი ამქმელი დედაკაცები და რისხვით იკითხა, ჩემ ბრძანებას რად გადადიხართო? ებრაელი ქალები ეგვიპტელი ქალებისგან განსხვავდებიანო, — შეაგებეს შიფრამ და ფუამ — ჩვენ მისვლას და ხელისხლებასაც ვერ ვასწრებთ, ისე უცებ და ერთბაშად მოიმშობიარებენო.

მაშინ, ფარაონმა ახალი უსასტიკესი ბრძანება გამოსცა ყოველი ეგვიპტელის მიმართ: სადაც კი ახალშობილ, ბიჭად ნასახ ებრაელს წააწყდეთ, ყველანი მდინარეში გადაჰყარეთ და ჩაახრჩვეთო.

და ჰყრიდნენ ეგვიპტელნი მდინარე ნილოსში ახალშობილ ყრმათა ისრაელიანთა.

და, ამ დროს, ეგვიპტელ ებრაელობაში, ლევის ტომში, ცხოვრობდა ცოლქმარი, ამრამ და იოხაბედ. მათ უკვე ჰყავდათ ორი შვილი: ასული მირიამ და ძე აარონ. ხოლო, სამი წლის შემდგომ, ჟამსა ახალშობილ ებრაელ ყრმათა მკვლელობისასა, იოხაბედამ შვა კიდევ ძე ერთი.

იდგა მაშინ ქრისტესშობამდე წელი 1570.

ოდეს იშვა ყრმა იგი.

ყრმა — ფრიად ლამაზი.

სამი თვე შეინახა დედამ ახალშობილი, ეგვიპტელთაგან მალულად.

სამი თვისა კი ლერწმის კალათაში ჩააწვინა, კალათა იგი ფისით შეგლესა და მდინარის პირას, ლერწმიან შამბნარში ჩადგა. შორიახლო თავისი დაი ჩაასაფრა იოხაბედამ, — ყრმას თვალყური ადევნე, ერთიც ვნახოთ, რა შეემთხვასო.

დიდხანს არ გაუელია, რომ მდინარეზე მოსეირნე ფარაონის ასული გამოჩნდა, კალათა შენიშნა და მის მოსატანად შიმუნვარი ქალი გაგზავნა. ამანაც მოიტანა და მოართვა კალათა იგი, შიგ მოულოდნელი მდგმურით.

და იხილა ფარაონის ასულმა ყრმა მშვენიერი და მტირალი. ეს ებრაელი ბიჭიაო სთქვა მან სიბრალულით.

უცებ ის ქალიც გამოჩნდა, კალათას რომ დარაჯობდა — დეიდა ყრმისა, და ჰკითხა კრძალვით ფარაონის ასულს: ხომ არ მიბრძანებთ, წავიდე და მაგ ყრმისათვის ძიძა ვინმე მოგგვარო ებრაელ ქალთაგან? — წადი და მყისვე მოიყვანეო, შეაგება ფარაონის ასულმა. ის ქალიც მაშინვე გაიქცა და მოიყვანა „ძიძა", — იოხაბედ, დაი თვისი და დედა იმა ყრმისა. აიყვანე ყრმა ესე, აჭამე ძუძუ, გამიზარდე და მოგცემ სასყიდელსო, — მიმართა მას ფარაონის ასულმა. „იმ ქალმაც" აიყვანა „ის ყრმა" საზრდელად. და ასე, თვინიერ დებისა, არავინ იცოდა, რომ თვითონ დედა ზრდიდა თავის შვილს.

ხოლო, ფარაონის ასულმა თავის ნაპოვნ შვილობილს უწოდა მოსე, ანუ „წყლიდან ამოყვანილი" *.

გაიზარდა მოსე.

და იხილა, რა უმძიმესი კირთების ქვეშ ამუშავებდნენ ეგვიპტელი ზედამხედველები ებრაელებს.

უცებ, ერთგან თვალი მოჰკრა, რა სისასტიკით სცემდა ეგვიპტელი ებრა-

---

* მოსე, ებრ. მოშე. პირველის წარმოშობას ვარაუდობენ ეგვიპტური „მო" („წყალი")+„ისის" („გადარჩენილი"); ხოლო მეორეს — ებრაული „მაშაჰ („ამოყვანა").

ელს. მივარდა და ისე ძლიერად შემოჰკრა მუშტი, ეგვიპტელი უსულოდ დაეცა. უმალვე მკვდარი იქვე ქვიშაში ჩაფლა და იქაურობას გაშორდა.

მეორე დღესაც გამოჩნდა და გაერია თვისტომთა შორის. ახლა ის იხილა, როგორ სცემდა ერთმანეთს ორი ებრაელი. მივარდა მოსე უფრო ძლიერს და შესძახა: „რაისთვის სცემ შენ მოყვასსა თვისსა?“ ხოლო ის შემოუბრუნდა და შემოულრინა: შენ ვინა გკითხავს, ვინ დაგაყენა ჩემს უფროსად და მოსამართლედ? ან იქნებ ფიქრობ, მეც ისე მომკლა, როგრც გუშინ მოჰკალ და სილაში ჩამარხე ის ეგვიპტელი?!

დაფრთხა მოსე. შეუტყვია გუშინდელი ჩემეული მკვლელობისაო და, მაშინვე ყურს ისიც მიწვდა — ეგვიპტელის სიკვდილი ფარაონსაც შეუტყვია და მისი ბრძანებით უკვე მკვლელსაც ეძებენ, თვითონ მის მოსაკვდინებლადო.

და გაიქცა მოსე ეგვიპტიდან, გაიქცა მ ი დ ი ა ნ ს, სინას ნახევარკუნძულის აღმოსავლეთით, სადაც ცხოვრობდნენ მ ი დ ი ა ნ ე ლ ნ ი, ნაშიერნი მ ი დ ი ა ნ ი ს ა (აბრაამის მეოთხე ძე, უკანასკნელი ცოლის, ხ ე ტ ურ ა ს ა გ ა ნ). მივიდა, მოიძია ჭა — შესაკრებელი ხალხისა და საქონლისა — და ჩამოჯდა იქ, იქაურებთან შეხვედრის მოლოდინში.

მიდიანელთა წინამძღვარს, ი თ რ ო ს, ანუ რ ა გ უ ი ლ ს, შვიდი ასული ჰყოლოდა. შვიდივენი ცხვარს მწყემსავდნენ. საღამოს შვიდივენი წყალთან მოვიდნენ, ცხვრის ფარა მოირეკეს, დასარწყულებლად. ის იყო, დებმა ვარცლები წყლით აავსეს და ზედ ცხვარიც მიუშვეს, რომ ვინმე სხვა მწყემსები მოცვივდნენ და ქალებს წყლის წართმევა დაუპირეს. წამოიჭრა ფეხზე მოსე, მომხდურებს მიუხტა, შეუტია და გააქცია, მერე ჭიდან წყალი ამოიღო და ხელახლა გაუვსო ქალებს ვარცლები, ცხვრის დასარწყულებლად.

შინ მობრუნებულმა დებმა ყოველივე დაწვრილებით უამბეს მამას, ითრო-რაგუილს.

მაშინვე მოიკითხა ითრომ ის უცხო ჭაბუკი, მოიკითხა და მიიყვანა შინ, „რათა ჭამოს პური“.

მოიწონა მოსემ ეს ოჯახი. მოიწონა და დარჩა მათთან. ითროს ასულთაგან ერთი ცოლადაც შეირთო, სახელად — ს ე ფ ო რ ა (ციფორა).

სეფორასაგან მოსეს შეეძინა ორი ძე: ჯერ — გ ე რ ს ა მ (ებრ. გ ე რ შ ო მ — „მოსული უცხო მიწაზე“), შემდეგ — ე ლ ი ე ზ ე რ (ე ლ-ა ზ ა რ — „ღმერთია შემწე“).

კარგა ხანს ცხოვრობდა სიძე ცოლოურს. სიმამრის ცხვრის ფარას მწყემსავდა. თან, განუშორებლად, უცნაური ხილვები ჰქონდა მარტოხელა, მეოცნებე სულს მისას.

ერთხელ, სამწყემსურში, სინაზე, ხ ო რ ე ბ ი ს მწვერვალთან, უეცრად მოეჩვენა, როგორ მოედო ცეცხლი ეკლოვან ბუჩქს, — მოედო, დაენთო, დიდხანს ენთო და ბუჩქი მაინც არ დაიწვა. გაჰკვირდა მოსე, ცეცხლისგან რომ ბუჩქი არ იწვოდა, და მაშინ პირველად იწამა, რომ ეს იყო ი გ ი, ღმერთი,

უფალი, ი ე ჰ ო ვ ა. ხმაც მოესმა მაშინ, ხმა და ძახილი უფლისაი: „მოსე, მოსე“ — „რაი არს?“ აღმოხდა გაოგნებულ მწყემსს და წარსდგა ფეხი. არა, ახლოს არ მოხვიდეო, — მოესმა ისევ — მხოლოდ ხამლები გაიძრე ფერხთაგან რამეთუ წმიდა მიწაზე დგახარო... და, თითქოს, ფეხიც აღარ ედგა მიწაზე...

და ესმოდა მოსეს ხმა ზეციერი, ცეცხლით მონაბერი:

„მე ვარ ღმერთი მამისა შენისა, ღმერთი აბრაჰამისი, ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი“. მე ვიცი, როგორ იტანჯება ჩემი ხალხი, და მე უნდა გამოვიყვანო იგი ეგვიპტური მონობიდან და მივიყვანო ჩემგანვე აღთქმულ მიწაზე — „ქუეყანასა გამომადინებელსა სძისა და თაფლისასა“, — ხოლო შენ უნდა მიგავლინო ეგვიპტედ, რათა სწორედ შენ გამოიყვანო ეგვიპტიდან „ერი ჩემი — ძენი ისრაელისანი“.

ვაი თუ ვერ შევძლოო, — ეჩვობდა მოსე — ლაპარაკიც არ შემიძლია ხეირიანად: ხმაწვლილი და ენამძიმე ვარო. შენი ძმა აარონი დაგეხმარებაო, — პასუხობდა უფალი — ტკბილადმოუბარი აარონ. ვაი თუ არ მისმინონ და არ მიწამონო, — მაინც იხერხებოდა მოსე. გიწამებენ, როცა სასწაულებსაც მოახდენ: აკი შენ ძალგიძს, ეგ კვერთხი გველად აქციო და წყალი სისხლად დაქციო, — არ ეშვებოდა უფალი — წადი ეგვიპტეს და გამოიხსენ ერი შენი, ანუ ჩემი — ერი უფლისა...

ყოველივე ეს იყო ფიქრი, მუდამ განუყრელი და განუწყვეტელი ფიქრი, საკუთარი, თანასისხლიერი ტანჯული ერის დახსნისა და გადარჩენისა...

და გაემზადა მოსე ეგვიპტეში გასამგზავრებლად, შესვა სახედარზე თავისი ცოლშვილი — სეფორა, გერსამ და ელიეზერ. დაემშვიდობა სიმამრს, ითროს, მის სახლეულს, და გაეშურა ეგვიპტისაკენ.

მიდიოდა და ისევ ესმოდა ციური ხმები: უთხარ ფარაონს, ჩემგან უთხარ, რომ მე ვარ ღმერთი, ღმერთი ებრაელთა, ხოლო ისრაელი არის ძე ჩემი, პირმშო ჩემი და გამოუშვი ძე ჩემი, რათა მემსახუროს მე იგი, ხოლო უკეთუ არ გამოუშვებ ძესა ჩემსა, მე შენ მოგიკლავ ძესა შენსა, პირმშოსა შენსა.

გზაზე, მიმწუხრისას, რაღაც ცუდად იგრძნო თავი. ეგონა, ღმერთი თვითონ მას უპირებდა სიკვდილს.

მაშინ, სეფორამ მოპირული ქვით თავის ძეს წინადასცვითა და წანაცვეთი ქმარს ფეხებში ჩაუგდო. და გადარჩა მოსე.

დილით გზა განაგრძეს ეგვიპტისაკენ.

მოულოდნელად აარონი შემოხვდათ, „უფლისგან გამოგზავნილი“. ძმები ერთმანეთს გადაეხვივნენ. მოსემ უამბო აარონს მისი „საუბრები ღმერთთან“. ისიც, თუ როგორ უნდა მისულიყვნენ ეგვიპტეს, შეხვედროდნენ ებრაელთა თავკაცებს, სწვეოდნენ ფარაონის კარს, და ისიც, ტკბილადმოუბარი აარონი რომ უნდა ყოფილიყო ენათმოციქული ღვთითმოვლენილი, მაგრამ ენაბრგვილი ძმისა.

და მივიდნენ ძმები ეგვიპტეს, გესემის (გოშემ) მხარეს, შეხვდნენ ებრაელ თავკაცებს და აუწყეს ყოველივე, რაიც განეზრახა მოსეს, „ღვთის ჩაგონე-

ბით". ერის მესვეურებმაც სიხარულით მიიღეს და ირწმუნეს იეკოვას მოწოდება ეგვიპტური მონობიდან დახსნისა და აღთქმულ ქვეყანაში გადასახლებისა.

მომდევნო დღეს კი ფარაონთან შევიდა მოსე, აარონის თანხლებით. შევიდა და სთხოვა ხელმწიფეს: ნება მოგვეცი, ძენი ისრაელისანი ეგვიპტის საზღვრებიდან სამი დღის სავალზე, უდაბნოში გავიყვანოთ და იქ უფლის წინაშე სადღესასწაულო მსხვერპლშეწირვა გავმართოთო.

ვინ არის თქვენი უფალი, მე რომ მის ხმას ვუსმინო და ხალხი მისი მსხვერპლწირვისათვის გავუშვა და მუშახელი მოვაცდინოო? წადით და თქვენ საქმეს მიხედეთო, — ამ სიტყვებით გამოუშვა ძმები ფარაონმა და იმავ დღეს ეს ბრძანებაც გამოსცა: რაკი ებრაელებს მსხვერპლშეწირვისთვის დრო ჰქონიათ, უქმი ყოფილან და დღეიდან მათ, მშენებლობებზე, აგურის დასამზადებლად რომ ნამჯას ჩვენ ვაძლევდით, ახლა ნამჯაც თვითონვე აგროვონ და აგურიც ალიზისაგან იმდენი დაამზადონ, რამდენიც მანამდე ედოთ ვალადო.

ამდენად, უარესად დაუმძიმდათ ცხოვრება ებრაელებს. უკვე საყვედურებიც გაისმა მოსესა და აარონის მიმართ: თქვენი ბრალია, ფარაონი რომ განრისხდა და ამ დღეში ჩაგვყარაო.

ისევ მივიდნენ ძმები ფარაონთან. აარონმა სასწაულიც მოახდინა — კვერთხი გველად აქცია, მაგრამ ფარაონმა თავისი გრძნეულნი იხმო და „გველების ოპერაცია" ამათაც აღასრულეს და ასე „გაუფასურებულნი", მოსე და აარონი ისევ უარით გამოისტუმრა ფარაონმა.

მაინც არ ეშვებოდა მოსე. კიდევ შევიდა ფარაონთან, რამდენჯერმე. ისევ ითხოვდა დაჟინებით ხალხის განტევებას. თხოვდა. თხოვნიდან და მუდარიდან უკვე მუქარაზეც გადავიდა. უკეთუ ხალხს არ გამატან, ჩემი უფალი ეგვიპტეს მძიმე სასჯელებს დაატეხს თავსო, — ყიოდა მოსე თავისი „წვლილი" ხმით, ბრგვილი ენით და მძიმე მუშტების თახთახით. და დაატყდა კიდეც თავს „ღვთიური სასჯელნი" ეგვიპტელთა ქვეყანას: ჯერ ნილოსის წყალი იქცა სისხლად, მერე, თანმიყოლებით — ქვეყანა დაიფარა ბაყაყებით, გაივსო მუმლით, გაიტენა ძაღლის მწერით, საქონელს მუსრი გაავლო ჭირმა, ქვეყანას დაატყდა საშინელი სეტყვა, დამანგრეველი და შემმუსვრელი ადამიანისა და პირუტყვისა, შემოესია კალია და მოსპამა ყოველივე სიმწვანე, დაბნელდა მზე, ჩამოწვა ნისლი და ხორშაკი.

ჯერ, ამ ცხრა სასჯელის მოვლინება ეგვიპტის მიწაზე უფრო ჩვეულებრივ მოვლენებად უნდა ჩათვლილიყო, ვიდრე ღვთის ნებით და მოსეს ხელით დატრიალებული სასწაულები, მაგრამ ბოლოს მაინც დამფრთხალა ფარაონი, თითქოს და უთქვამს მოსესთვის: თანახმა ვარ ხალხი შენი, დიდიან-პატარიანად და კაციან-ქალიანად, წაიყვანო ღვთის სამსახურად, ოღონდ ცხვარი, ძროხა და სხვა საქონელი ყოველი, ადგილზევე დატოვეო.

არა, ეგ არ იქნებისო, — მტკიცედ შეაგება მოსემ — ხვასტაგიც სრულად უნდა წავიყვანოთ, ერთ ფლოქვსაც („ჭლაკსაც") ვერ დაგიტოვებთო, რადგან

სამსხვერპლო ხომ უნდა დავუკლათ უფალს და რა ვიცით, სად, როდის, რა და რამდენი დაგვჭირდებაო.

იფეთქა ფარაონმა, იფეთქა და ჰყარა ცოფები: ახლავე გამშორდი ჩემთა თვალთაგან, აღარც ეჩვენო პირსა ჩემსა, თორემ უკეთუ მეჩვენო, მაშინვე სიკვდილს შეგყრიო!

აგრე იყოს — „არღარა გეჩვენო პირსა შენსა", — დინჯად, მშვიდად მიუგო მოსემ და ამაყად შემართული გამოვიდა სასახლიდან.

გამოვიდა და მივიდა თავის ხალხთან. მივიდა და აუწყა ყველას, ეგვიპტელთაგან იდუმალ: ღმერთი ჩვენი კიდევ მოუვლენს უმძიმეს სასჯელს ჩვენი ტანჯვისთვის ფარაონს და მის ქვეშევრდომებს. მაშინ დათანხმდებიან ისინი ჩვენს განტევებაზე და თანაც ისე სწრაფად გაგვრეკავენ, ვეღარაფრის წაღებასაც რომ ვერ მოვასწრებთ. ამიტომ ახლავე ყოველივე გაიმარაგეთ, კაცმა თუ ქალმა, ყველამ თქვენ-თქვენ ნაცნობ (თუ უცნობ) ეგვიპტელთაგან შეიძინეთ ყოველნაირი ნივთი ოქროისა თუ ვერცხლისა, ტანსაცმელი თუ ჭურჭლეულნი, სხვანი და სხვანი, წასაღებად, სახმარად და საქონლად ვარგი.

სასწრაფოდ შეუდგნენ ისრაელიანნი ყოველივეს მოკრებას და დაუნჯებას. ეს საქმეც მოითავეს და, თითქოს, თვითონ გამგზავრების გარდა, საზრუნავი აღარაფერი დარჩენოდათ.

და მაშინ, როცა იდგა მეთოთხმეტე დღე თვისა ავივისა (ავივი — ნისანი — „თვე თავთავებისა" — აპრილი), უკანასკნელი სიტყვა აღუტევა მოსემ თავისიანთა წინაშე: უფალმა ბრძანა, რომ ამაღამ, შუაღამისას, იგი გაივლის ეგვიპტელთა შორის და მოჰკლავს ყოველ პირმშო შვილს, ყოველ სახლში, ფარაონიდან დაწყებული უკანასკნელ მონამდე და თვით პირუტყვთა სადგომამდე. და დადგება ბღავილი, გოდება და „ღაღადი დიდ ყოველსა ზედა ეგვიპტესა, რომელ ეგევითარი ღაღადებაი არა სადა ყოფილ იყოს მათ შორის, არცაღა მერე მოხდება მიაღსასრულამდე ჟამთა". ხოლო, თქვენ, ძენი ისრაელისანი, იყავით მშვიდად, რადგან თქვენ შორის, არცა კაცთაგან და არცა პირუტყვთაგან, ფრჩხილიც არავის წამოსტკივდება. ასე იქნება, რათა იცოდეთ, როგორ განასხვავებს უფალი ღმერთი ერთმანეთისაგან ეგვიპტელებს და ისრაელებს.

ახლა ეს ღვთის ბრძანებაც მოისმინეთო, — განაგრძო მოსემ — ამიერიდან ყოველი ამ თვის მეათესა დღესა, ყოველ ოჯახში, აირჩეს კრავი ერთი, სამსხვერპლო, ხოლო უკეთუ ოჯახი რომელიმე, მცირერიცხოვნებისა გამო, კრავის შეჭმას სრულად ვერ შეძლებს, მეზობელ მოყვასთან ერთად გაიყოს სამსხვერპლო იგი. კრავი კი უნდა იყოს უზადო, მამალი, ერთი წლისა, ცხვრისა ან თხისა. ოთხი დღე უნდა ცოცხლად გყავდეთ ანარჩევი კრავი იგი, ხოლო თვის მეთოთხმეტე დღესა, მიმწუხრის ჟამსა, უნდა დაკლათ და სისხლი მისი წაუსვათ იმავე სახლის კართან ზედადგარს, ორივე მხარეს და ქვემოსა ზრუბლსა ზედა, — იმ სახლის კართა ზედა, რომელ სახლშიც უნდა შეიჭამოს იმ ღამით კრავი იგი. უეჭველად იმ ღამეს უნდა შეიჭამოს, შეიჭამოს მხოლოდ ცეცხლზე შემწვარი, უფუვარი პურით და ცხარე ბალახით. უმწვარი არ სჭამოთ

კრავი იგი, არც წყალში მოხარშული, არამედ მხოლოდ ცეცხლზე შემწვარი-მეთქი, უნდა შესჭამოთ სრულად, თავფეხიანად და ნაწლავებიანად. განთიადამდე უნდა შესჭამოთ სრულად. ძვლები არ დაამსხვრიოთ. ხოლო, თუ განთიადამდე შეუჭმელი რამე დაგრჩებათ, განთიადისას ცეცხლზე დასწვით. ხოლო, ჭამის ჟამს იყავით განმზადებულ: „კვერთხები — ხელთა, სარტყელი — წელთა, ხამლი — ფერხთა", სჭამდეთ „მალიად-მალიად მსწრაფლ... რამეთუ ზ ა ტ ი კ ი არს უფლისა" *.

და სწორედ ამ ღამითო, — ბრძანებს უფალი იეჰოვა — მე გავიელი ეგვიპტესა ზედა, მოვაკვდინებ ყოველ პირმშოს, „კაცითგან მიპირუტყვამდე", და შურს ვიძიებ ეგვიპტელთა ყოველ ღმერთთა ზედა, „რამეთუ მე ვარ უფალი". თქვენს სახლებზე წაცხებული სისხლი მე მიმანიშნებს „ფესახ", „გვერდის ავლა", ანუ დაცვა სიკვდილისაგან, მას ჟამსა, როცა მე სიკვდილს დავთესავ ეგვიპტელთა სახლებში. და იყოს ეს დღე თქვენთვის მარად სახსოვარი და იდღესასწაულეთ იგი უფლისა მიმართ ყოველ წელს, თესლით-თესლამდე, უკუნითი უკუნისამდე. შვიდი დღე უფუველი პური სჭამეთ, პირველი დღიდანვე ყოველივე ცომი განაგდეთ და განაქარვეთ სახლისაგან თქვენისა, ხოლო უკეთუ ვინმემ ამ შვიდსა დღესა სჭამა ნაფუვარი, მისი სული მოისპოს ისრაელთა შორის. და იმ შვიდსა დღეს არავითარი საქმე არა ქმნათ, — იყავით უქმნი. დაიმახსოვრეთ და აღასრულეთ მცნებანი ესე, რამეთუ მე, უფალმა თქვენმა, სწორედ ამ დღეს გაგიყვანეთ ეგვიპტური ტყვეობისაგან...

და ყოველივე აღასრულეს ისრაელის შვილებმა ისე, როგორც უბრძანათ მოსემ, ბრძანებითა უფლისათა. იმ დღეს, მიმწუხრისას, ყოველ ებრაულ ოჯახში დაჰკლეს ანარჩევი კრავი მამალი, უზადო, ერთი წლისა, და სისხლით დანიშნეს კარნი სახლისანი. ხოლო, შუაღამისას, მოსეს ანარჩევმა მეომრებმა, სისხლით უნიშნო ეგვიპტელთა სახლებში, უეცარი დაცემით, ამოწყვიტეს თითო ყრმა, თუ თითო ჭაბუკი. ამასობაში ებრაელთ შორის სამსხვერპლო კრავთა შეჭმაც მოესწროთ და სამგზავროდაც დიდიან-პატარიანად ფეხზე დამდგარიყვნენ.

და გამოუძღვა მოსე თავის ხალხს ეგვიპტური გესემიდან, ანუ რაამსესიდან, აღმოსავლითურთ, სუქოთის (სექეთ) და წითელი ზღვისკენ. მოისწრაფოდნენ ძენი ისრაელისანი. მოდიოდნენ დედაწულიანად და „მათ თანა ცხოვარი და ზრუხაი და პირუტყვი მრავალი ფრიად".

430 წელიწადი გასულიყო ეგვიპტეში ებრაელთა ცხოვრებისა. და ახლა მოჰყავდა ხალხი იგი, ხალხი თვისი, მოსეს, კაცსა უფლისგან ანარჩევსა. მიჰყავდა და უნდა მიეყვანა ერი თვისი მოსეს, კაცსა ღვთაებრივსა, ქანაანს, უფლისგან აღთქმულ ქვეყანასა, „რომელსა გამოსდის სძე და თაფლი".

მოდიოდა მოსე, მოუძღოდა ერსა და მოასვენებდა ნეშთთა იოსებისასა,

---

* ქართ. „ზატიკი", ებრ. „ფესახ", ბერძნ. „პასკა" — გვერდის ავლა, ანუ დაცვა, შეწყალება.

რამეთუ იოსებს აკი ნაანდერძევი ჰქონდა, ღვთის მოსვლისას და ღვთით განსვლისას, ნეშთთა მისთა თან გადატანა ეგვიპტიდან ქანაანს, წინაპართა სავანეებელში დასაკანებლად.

მიდიოდნენ და, განუწყვეტლივ, დღისით ღრუბლის სვეტი მიუძღოდათ გეზის წარმმართველად, ღამით კი — სვეტი ნათლისა.

და სვეტი იგი იყო — ღმერთი...

მცირე ხანს სუქოთს დადგნენ ბანაკად. იქიდან, უდაბნოს გადალახვით, ეთამს (ანათომს) მივიდნენ. ამ გზებს კარგად იცნობდა მოსე, — ეს მას შემდგომ, მიდიანს რომ გაიქცა, სინას გადაღმა, და მერე უკან რომ მოექცა ეგვიპტეს. ახლა ხალხიც ამ გზებით მიჰყავდა.

სუქოთისა და ეთამის გავლის შემდეგ, წინ მლაშე ტბების ლერწმიანი ლაქაშები იყო გაშლილი. ესეც გაიარეს და უფრო სამხრეთით, ღრმად შემოჭრილ მეწამული ზღვის ყურეს წაადგნენ. ყურე თხელი იყო, მაგრამ ხალხისთვის მაინც ზღვა იყო.

და, უცებ, ზურგიდანაც საშინელი ამბავი მოაწყდა ებრაელთა ბანაკს: თურმე ფარაონი ეტლებზე ამხედრებული ჯარით დადევნებოდა მისი ქვეყნიდან გამოქცეულ მონათა ლახიწს.

ბაშინელმა პანიკამ მოიცვა ძენი ისრაელისანი, ორმხრივი დაღუპვის საფრთხით წრედარტყმულნი. და, რაკი ხალხი და ბრბო მუდამაც ერთი მასალაა, ხალხი უცებ იქცა ბრბოდ. და მიცვივდნენ მოსეს, გმობით და კიცხვით: განა, ეგვიპტეში არ გვქონდა საფლავები, აქ რომ არ გამოგეყარეთ უდაბნოში დასამარხავად? ეს რა გვიყავი? განა, ეგვიპტეში მონად ცხოვრება არ გვიჯობდა უდაბნოში სიკვდილს?

მაგრამ ისევ მტკიცე და გაუტეხელი იყო მოსე, რამეთუ მან იცოდა, რომ სწორედ ამ წუთებში ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შემოიჭრებოდა მძლავრი ქარი, დაიწყებდა ზღვის გარეკვას სამხრეთ-დასავლეთისაკენ, და... აი, მოსემ „განართხა" ხელით კვერთხი თვისი ზღვასა ზედა. უმალვე შემოიჭრა ქარი, „ვითარცა ბღუარი", და აიკალთავა ზღვის ტალღები ხმელეთისაგან. გამოჩნდა ფსკერი და შეიყვანა ხალხი მოსემ წყლისგან დაწრეტილ ხმელზე და მთელი ღამე გადაჰყავდა ისინი გაღმით, სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსკენ. გაიყვანა და ესეც იცოდა მოსემ, ღამის განლევისას და დღის დადგომისას, ქარი მხარს იცვლიდა და ყურე ზღვით ისევ აივსებოდა.

მაგრამ მანამდე ფარაონის ეტლოსანთა და ცხენოსანთა ჯარმა შემოაღწია შიშველ ზღვის ფსკერზე, და... ხელახლა „განირთხა ხელი ზღვასა ზედა" გაღმა გასულმა მოსემ, და უკანნაქცევმა ზღვამ ფსკერზე მოიქცია ჯარი ეგვიპტელთა, ცხენიან-კაციანად და ეტლიან-საჭურვლიანად!

ისევ იწამა ერმა საკვირველი ძალმოსილება „მოსეს უფლისა" და „უფლის მოსესი".

და ისევ იქცა ბრბო ხალხად.

მაშინ იგალობა მოსემ და იგალობეს ისრაელთა საგალობელი უფლისა მიმართ. და აი, საგალობელი იგი:

ეუგალობდეთ უფალსა, დიდებით დიდებულსა,
ცხენები და ეტლები რომ შთასთხია ზღუასა.
იგი არს სიმტკიცე ჩემი, დიდება ჩემი, მხსნელი ჩემი,
იგი არს ღმერთი ჩემი და ვადიდო იგი,
ღმერთი მამისა ჩემისა
და აღვამაღლო იგი.
უფალი შემმუსვრელ ბრძოლათა,
იეღოვა — სახელი მისი.
ეტლები ფარაოსი და ჯარი მისი
შთასთხია ზღვასა,
და რჩეულნი მხედართმძღვანნი მისი
ჩაახრჩო ზღვასა მეწამულსა.
მორეეთა შიგან დაინთქნენ და დაიძირნენ,
ვითარცა ლოდნი ქვისანი.
მარჯვენე შენი, უფალო,
დიდებულ არს ძალმოსილებითა,
მარჯვენემან შენმან, უფალო,
მოსრნა მტერნი.
სიმრავლითა დიდებისა შენისათა
შეამუსრე წინააღმდგომნი შენნი,
მოაელინე რისხვაი შენი
და შეჭამნა იგინი, ვითარცა ლერწამი.
და სულისაგან გულისწყრომისა შენისა
განიყო წყალი,
შეკუინდეს ვითარცა ზღუდენი წყალნი,
შეკუინდეს ღელვანიცა შუა ზღვასა.
თქვა მტერმან: ვდევნო, ვეწიო
და განვიყო ნატყვენავი
და გავიძღო სული ჩემი,
მოესრა მახვილითა ჩემითა,
და ხელმან ჩემმან გაანადგურა იგი.
შენ მიბერე სული შენი
და დაფარე მით ზღვაი
და დაიძირნენ მტერნი,
ვითარცა ბრპენი
წყალსა შინა ფრიადსა.
ვინ შეგედრება შენ, ღმერთთა შორის, უფალო?
ვინ შეედაროს შენსა სიწმიდეს,
შენს დიდებულ საკვირველებას,
შენს დიად სასწაულმოქმედებას?
მიჰყავ მარჯვენე შენი,
შთანთქა მტერნი მიწამან.
შენ მიუძღვები შენის წყალობით ხალხსა შენსა,
რომელიც იხსენ და ნუგეშინ-ეც

ძალითა შენითა ბანაკსა წმიდასა შენსა.
ესმათ სასაწულნი შენნი ხალხებს
და აცახცახდნენ.
შიშმან შეიპყრნა ფილისტიმელნი.
აიმღვრნენ მთავარნი ედომისა, მთავარნი მოაბისა,
შიშმან შეიპყრო ისინი
და ხელი დაუდნათ მკვიდრთა ქანაანისათა.
დაეცეს მათ ზედა შიში და ძრწოლაი,
სიდიდითა მკლავისა შენისათა ქვად იქცნენ,
ვიდრემდის გაიელიდეს ხალხი შენი,
შენგან მოგებული.
წაიყვანე და დაამკვიდრე ხალხი შენი,
მთასა შენსა სამკვიდროსა,
რომელიც შენ ჰქმენ, უფალო,
შენის ხელებით განმზადებული, უფალო.
უფალი მეფე არს საუკუნე
და საუკუნესი მერმეცა.
რამეთუ შეეიდა ჰუნე ფარაოისი
ეტლებითურთ და მხედრებით ზღვად,
და მოაქცია მათ ზედა უფალმან
წყალი იგი ზღვისაი.
ხოლო ძენი ისრაელისანი
ვიდოდეს ხმელად შუა ზღვასა...

გალობდნენ ებრაელნი.
გალობდნენ და როკავდნენ.

წინ მ ი რ ი ა მ ი გამოჰრილიყო, ქალი წინასწარმეტყველი, დაი მოსესი და აარონისა, ებანით ხელში, და უკან მოსდევდა ყოველი ქალი, ბობღანთა ცემით, ცადამწვდენი გალობით, როკვით.

„უგალობდეთ უფალსა, რამეთუ დიდებით დიდებულ არს!“

შემღერდა ზეცას მირიამ.

„უგალობდეთ უფალსა!“ — მისდევდნენ ქალნი ,გუნდ-გუნდად.

გალობა რომ მოითავეს, ისევ გაიყვანა გზაზე მოსემ თავისი ხალხი.

ეს იყო გზა და სივრცე მეწამული ზღვიდან სინას მთამდე, ანუ უდაბნო, უკიდეგანო, ცხელი, უწყლო, სახელი მისი — ს უ რ ი ს უ დ ა ბ ნ ო.

და შეიყვანა მოსემ ისრაელნი უდაბნოში.

სამი დღე ვიდოდნენ, უწყლობით და სიცხით დატანჯულნი.

მიაღწიეს მ ე რ რ ა ს. აქ ნახეს წყალი და მიეხვივნენ, და დაეწაფნენ. მაგრამ უმალვე უკუიქცნენ, რადგან წყალი იგი იყო საშინლად მწარე. თვით ადგილსაც ამად რქმეოდა სახელი „მერრა“ — „მწარე“.

აყარყაშდა ხალხი, ადრტვინდა მოსეს მიმართ: აბა, რა ვქნათ ახლა — „რაი ვსვათ?“

თვალი მოავლო იქაურობას მოსემ. უცხო ჯიშის ხე შენიშნა, ძირს და-

ცემული. დაითრია, ასწია და ჩააგდო წყალში. ერთხანს შეაყოვნა ხალხი, მერე კი მიუშვა სარწყულებლად. მიცვივდნენ მწყურვალნი, დაეწაფნენ და.. წყალი აღარ იყო მწარე.

გზა განაგრძეს. როგორც იქნა მიატანეს ე ლ ი მ ს, ნამდვილ ოაზისს, სადაც იყო „ათორმეტნი წყარონი წყალთანი და სამეოცდაათნი ხენი დანაკისკუდთანი". და აქ დაიბანაკეს, ერთ ხანზე.

აქედანაც წავიდნენ და შეუდგნენ სინას უდაბნოს. მიდიოდნენ და ყაყანებდნენ ძენი ისრაელისანი, გამწყრალნი მოსესა და აარონის მიმართ: ნეტავ ღმერთს იქ მოვეკალით, ეგვიპტეში, სადაც ჩვენ ვუსხედით ხორცით სავსე ქვაბებს და „ვჭამდით პურსა მაძღრივ", ხოლო თქვენ გამოგვიყვანეთ ამ უდაბნოში, რათა შიმშილითა და წყურვილით დავიღუპოთ სუყველანი.

(ისევ ქცეულიყო ხალხი ბრბოდ).

ნუ სულმოკლეობთ, გამხნევდით, მოვა მიმწუხრი, მოვა განთიად და ისევ იხილავთ წყალობას უფლისა მიერ, ხოლო ჩვენზე რად დრტვინავთ, ჩვენ რანი ვართ? ფრთხილად იყავით, „რამეთუ არა ჩვენდა მომართ არს დრტვინვა თქვენი, არამედ ღმრთისა მიმართ", — ეუბნებოდნენ მოსე და აარონ გულმოსულ და გულგატეხილ ხალხს.

მიმწუხრამდე მიატანინა მოძღვარმა სული შიმშილით გახელებულ თანასისხლიერთ. მიმწუხრი დადგა, დაღამდა და ერთბაშად უთვალავი მწყერი („მწყერმარხილი") ჩამოექცა ზეციდან მიწას და სრულად გაავსო ბანაკი ისრაელთა.

აი, შენ, ხორცი ძღომად, რომელიც მოგცა უფალმან, — სთქვა მოსემ.

მიაწყდნენ და მიაძღნენ ნაშიმშილევნი ცითმოვლენილ ხორცეულს.

ხოლო, დილით, როცა ახლადაღმოხდენილმა მზემ ღამეული ცვარნამი შეისრუტა და შეიშრო, ხალხმა იხილა „პირსა ზედა უდაბნოსასა მწულილი, ვითარცა ქინძის მარცვალი, სპეტაკი, ვითარცა მყინვარი ქვეყანასა ზედა".

„რაი არს ესე?" — პირიდან პირზე გადაირბინა ამ შეძახილმა.

„ესე არს პური, რომელიც მოგცათ თქვენ უფალმა", — შეაგებათ მოსემ — მიდით და აკრიფეთ, იმდენი რამდენიც საკმარისი იქნება თითოეული თქვენგანისათვის: უფლის ბრძანებით, თითო სულზე თითო ღომორი, და შეიტანეთ თქვენ-თქვენ კარავში.

მომდევნო დღის გათენებამდე ნუ დაიტოვებთ შეუქმელსო, — ესეც დასძინა მოსემ.

ზოგიერთებმა არ შეისმინეს და მაინც ათეევინეს ღამე დილამდე, ხოლო დილით, შეუქმელ საქმელს დაესია მატლი და აყროლდა უსაშინლესად.

გაჯავრდა და გამწარდა მოსე. ისევ უხსნა და ულაგა თავში უგუნურთა და უსმინართა: მხოლოდ ერთი დღის საკმარისი აიღეთ ციური პური მიწის პირისაგან, დილით ადრე, სანამ მზე გაადნობდესო. მხოლოდ კვირეულის მეექვსე დღეს ორი დღისა უნდა აიღოთო — ორ-ორი ღომორი, პარასკევისა

და შაბათისა, რადგან შაბათს არ შეიძლება არა საქმის კეთება, მათ შორის, არცა საარსებო ლუკმის მოწევა.

ამით მოძღვარმა ერთხელ კიდევ ჩააგონა და ჩაუმკვიდრა გონებაში თავის ერს, რომ „შაბათი არს უფლისაი“.

მაგრამ ზოგზოგებმა ბოლომდე მაინც არ შეისმინეს და მაინც გავიდნენ შაბათ დღეს ველზე ციური პურის საკრეფად. გავიდნენ და არარა დახვდათ.

ისევ აუჯანყდა სული მოსეს.

უფალი ჩამომძახისო მე, ზეციდან, — ჩასძახოდა იგი ძეთა ისრაელისათა — „ვიდრემდის არ გნებავს სმენაი მცნებათა ჩემთა და შჯულისა ჩემისა?“ გაიგეთ და შეისმინეთ: უფალმა მოგცათ თქვენ შაბათი. ამისთვის მოგცათ მეექვსე დღეს პური ორი დღისა. თქვენც დასხედით თქვენ-თქვენს სახლში შაბათსა დღესა და არ გახვიდეთ გარეთ რაიმე საქმის კეთებად.

და, როგორც იქნა, ისმინა ერმა.

„და შაბათობდა ერი დღესა მეშვიდესა“.

ხოლო, მათთვის საარსებო, ამ ციმოვლენილ პურეულს ისრაელის შვილებმა უწოდეს მ ა ნ ა ნ ა.

და სჭამდნენ ებრაელნი მანანას, რომელიც იყო, „ვითარცა თესლი ქინძისა, სპეტაკი და გემოი მისი — ვითარცა კიპრუჟი თაფლსა შინა“.

და ისევ მოუწოდა მოსემ ერსა თვისსა: გვიბრძანებს უფალი ჩვენი, რომ ყოველმა ჩვენგანმა ავავსოთ ერთი ღომორი ციური მანანათი და შევინახოთ სამომავლო შთამომავალთათვის, რათა ისინი მუდამ ხედავდნენ პურს, რომლითაც მე, უფალმა, გამოგკვებეთ უდაბნოში, ოდეს მომყავდით ეგვიპტიდან.

ბრძანა მოსემ ნაბრძანები უფლისა და იქვე აარონსაც ეს უთხრა: მანანათი აავსე ერთი-ღომორი და დადგი ღვთის საკურთხეველზე, ნათესავთა ჩვენთა მარად სახსოვრად და სანიშანსვეტოდ.

აარონმაც აღასრულა უფლისა და ძმის ნაბრძანები.

და ჭამდნენ ებრაელნი ციურ მანანას მთელი ორმოცი წელიწადი, ვიდრემდის ისინი მიატანდნენ ღვთით აღთქმულ ქვეყანას — ქანაანს, ანუ პალესტინას.

გზა განაგრძეს. სინას უდაბნო უკან მოიტოვეს და გავიდნენ „რ ე ფ ი დ ი ნ ს შინა“. აქვე დაიბანაკეს. მაგრამ აქ წყალი არ აღმოჩნდა და წყურვილმა ისევ ააყაყანა ხალხი.

„და ჰკოდა ერი მოსეს მიმართ: მოგვეც ჩვენ წყალი, რათა ვსვათ!“

ხოლო, მოსე, პასუხად: „რაისად სჭუით ჩემდა მომართ? და რაისად განსცდით უფალსა?“

მაგრამ უკვე ველარც უფლის სახელით აფიქრებდა და აკავებდა ხალხს მოძღვარი. — რისთვის წამოგვიყვანე ჩვენ ეგვიპტიდან, — შებღაოდნენ მას — იმისთვის, რომ წყურვილით ამოგვხოცო ჩვენც, ჩვენი შვილებიც და ჩვენი საქონელიც?, — შეჰყვიროდნენ ჩინჩახვგამობერილნი, მიიწევდნენ ლამის ხელის აღსამართავად, ქვის ასაღებად და ჩასაქოლავადაც („ქვის დასაკრებად“) კი.

ახლა თვითონ მოსე შეპღალადებდა უფალს: „რაი ვუყო ერსა ამას?, მერმე მცირედღა, და ქვაი დამკრიბონ მე!“ და ისევ არ დატოვა უფალმა მოსე. ისევ მოესმა თათბირი ზეციერი ერისთვის თავგანწირულს. ისმინა და იმოქმედა ესრეთ: შემოიკრიბა ერის თავკაცნი, აიღო თავისი კვერთხი სასწაულმოქმედი, წარუძღვა და წაიყვანა წყლის საპოვნელად.

ბოლოს მიადგა კლდესა ერთსა, მიაგნო ძარღვსა, სცა მძლავრად კვერთხი თვისი, და ერთბაშად იფეთქა და იდინა წყალმა. მიაწყდა და დაეწაფა ერი ნასასწაულებ წყაროს.

მოსემ ამ ადგილს უწოდა მ ა ს ა და მ ე რ ი ბ ა, ანუ „განცდა და დრტვინვაი“, რადგან აქ ისრაელებმა, მოსესადმი აღძრულ დრტვინვაში გამოსცადეს — მართლა არის თუ არა უფალი ჩვენთანა?

და ერთხელ კიდევ ირწმუნეს: ჩვენთან ყოფილა უფალიო.

იქვე, რეფიდიმთან დგომისას, ახალი განსაცდელი და „გამოსაცდელი“ გაუჩნდა იაკობ-ისრაელის მოდგმას.

ეს იყო ლაშქარი ყ ა მ ა ლ ე კ ი ს ნაშიერისა. ხოლო ყამალეკი ნაშიერი იყო ესავისა, პირმშობა და საპატრიარქო მემკვიდრეობა რომ გამოსტაცა უმრწემესმა ძმამ, იაკობმა. ყამალეკელებს იდუმეასა და სინას შუა ქვეყანა ეჭირათ და მომთაბარული, თანაც მძარცველური ცხოვრებით ცხოვრობდნენ.

და იდგნენ ახლა ერთმანეთის პირისპირ ორი ძმის მოდგმისანი — ესავისა და იაკობისა, ანუ იმდღევანდელი სახელებით — ძენი ყამალეკისანი და ძენი ისრაელისანი.

იყო ებრაელთ შორის ერთი ახალგაზრდა კაცი, ეფრემის ტომისაგან. მეომრული ბუნებისა და ხელგაწაფულობისა. ადრე მას ო ს ი ა ერქვა, ძე ნ უ ნ ი ს ა, ანუ ნ ა ვ ი ნ ი ს ა. მოსემ იგი ეგვიპტეშივე დაიახლოვა, სახელიც გამოუცვალა და, ოსიას ნაცვლად, დაარქვა ი ე ს ო (ებრ. „იეშუა“, ანუ — „უფალი შველის“).

და სასწრაფოდ იხმო მოსემ იესო ნავინი და უბრძანა: გამოირჩიე ვაჟკაცნი მეომარნი, დარაზმე და შეები ყამალეკელთა, ხვალ დილით. ხოლო მე, დავდგები იმ ბორცვის თხემზე და ხელში აღმართული კვერთხითა უფლისათა შევეწევი ბრძოლასა შენსა!

ითქვა და იქმნა. მეორე დღეს, დილით, იესო ნავინი, რჩეული მეომარი ებრაელობით, შეება ყამალეკელთა ლაშქარს. მოსე, ა ა რ ო ნ ი ს და ო რ ი ს თანხლებით, ბორცვზე იდგა, კვერთხშემართული. და ვიდრემდის კვერთხი მაღლა იყო, სძლევდნენ ისრაელნი ყამალეკელებს, ხოლო როცა კვერთხი ძირს იწევდა, ყამალეკელნი სჯაბნიდნენ ისრაელებს. მზის ამოსვლიდან მზის გადახრამდე ასე წონასწორად ქანაობდა ბრძოლის სასწორი. საქმე ის იყო, რომ მოსეს მძიმე ხელები ჰქონდა და გაუჭირდა მაღლა ამართვით შეკავება. ამიტომ აარონი და ორი მოიშველია, თვითონ ქვაზე ჩამოჯდა, მარჯვნივ აარონ დაიყენა, მარცხნივ ორ, და ამათ მკლავები დაუჭირეს და აღუმართეს თავ-თავის

მხრიდან, და ასე, მზის ჩასვლამდე, ძირს დაუშვებლად იყო ზეცად ართხმული მკლავები მოსესი და კვერთხი უფლისა.

და იძლივნენ ყამალეკელნი, იძლივნენ, გაიქცნენ და გადაიკარგნენ. ძლევამოსილი მობრუნდა იესო ნავინ.

მოსემ ამ გამარჯვების აღსანიშნავად აღმართა ღვთის სადიდებელი საკურთხეველი და უწოდა მას — ი ე ჰ ო ვ ა ნ ი ი ს ს ი, ანუ „უფალი ჩემი, შესავედრებელი ჩემი“.

ამასობაში, ითროს, მიდიანელთა მღვდელმთავარს მისვლოდა ყოველი ამბავი, რაიც აქამდე თავს გადახდომოდა მის სიძეს და მის ხალხს, და წამოეყვანა მოსეს ცოლშვილი — ასული თვისი სეფორა და ძენი მოსე-სეფორასი, გერსამ და ელიეზერ.

გაეგება მოსე ცოლშვილს და სიმამრს, და „შეიტკბნეს ურთიერთას“. სხვებიც შემოუერთდნენ — „აარონ და ყოველნი მოხუცებულნი ისრაელისანი“, და დასხდნენ „ჭამად პურისა“.

მეორე დღეს იხილა ითრომ, როგორ იჯდა მისი სიძე ხალხის წინაშე და დილიდან დაღამებამდე არჩევდა ყოველ დიდსა თუ მცირე საქმეს, ყოველ საჩივარსა და სათხოვარს, მარტოდმარტო, განუწყვეტლად და დაუსვენებლად.

ეს რა ვიხილე და ეს როგორ შეიძლებაო, — მივარდა ითრო მოსეს — აქეთ მთელი ხალხი და იქით შენ ერთადერთი, მარტოდმარტო არჩევ ყოველ დიდსა თუ მცირე სახალხო თუ კერძო საქმესო. ამით შენ შენ თავსაც სტანჯავ და ხალხსაც აწვალებო. ამიტომ საჭიროა ამიერიდან შენ მხოლოდ შუამავალი იყო ღმერთსა და ხალხს შუა, ხოლო თვითონ ხალხის სამართავად საჭიროა ხალხისგანვე აირჩიო ჭკვიანი და უანგარო ათასისთავები, ასისთავები, ერგასისთავები და ათისთავები, და ისინი განსჯიან სამართალსა თუ უსამართლობას, ყოველ საქმეს, დიდსა თუ მცირეს, ადგილებზე, თვითონ ხალხში.

და ქმნა ყოველივე მოსემ ისე, როგორც მას ურჩია ითრომ.

უკვე მესამე თვე მიდიოდა ებრაელთა ეგვიპტით წამოსვლის დღიდან. და ისევ მიჰყავდა ხალხი მოსეს, თვითონ სინას მთისკენ მიჰყავდა.

მიუახლოვდნენ სინას მთას და დაიბანაკეს.

და ავიდა მოსე „მთასა ღმრთისასა“, რათა მოესმინა შემგდომი სიტყვა, ანუ მცნება ღვთისა, „მთით გამომეტყველისა“, და ჩამოეტანა სიტყვა იგი ისრაელთათვის.

ჩამოვიდა და ჩამოიტანა ნაბრძანები უფლისა, რომელიც მან უპირველესად მოახსენა საგანგებოდ შეყრილ „მოხუცებულთა ერისათა“, შემდეგ კი სრულიად ერს — „წადი და უთხარ ძეთა ისრაელისათა, თქვენ ხომ თვითონ იხილეთ-თქო, რაც ვუყავ მე ეგვიპტელებს, ხოლო თქვენ ისე შემოგიკრიბეთ, როგორც არწივი თავის ფრთებზე თავის მართვეებს. და ამიერიდანაც თუ „სმენით შეისმენთ“ სიტყვასა ჩემსა და დაიცავთ აღთქმასა ჩემსა, მაშინ თქვენ იქნებით ჩემთვის ერი უზენაესი, სათავადო („საზეპურო“) ყოველ სხვა ხალხ-

თა შორის, „რამეთუ ჩემი არს ყოველი ქვეყანაი“. თქვენ იქნებით ჩემთვის სამეფო სამღვდელოთა და ხალხი წმინდა. წადი და ყოველივე ესე უთხარ ძეთა ისრაელისათა, — დაასრულა მოსემ „ნაბრძანები უფლისა“.

და იბღავლა ერთხმად და ერთბამად ისრაელმა:

„ყოველი, რაოდენი თქვა ღმერთმან, ვყოთ და ვისმინოთ!“

ისევ ავიდა მოსე მთაზე. ისევ დაეშვა და უფლის ახალი ნაბრძანები ჩამოუტანა ხალხს: დღეს და ხვალ განიწმინდეთ, სამოსელნი გაირეცხეთ, დედაკაცსაც არ გაეკაროთ, და ემზადეთ მესამე დღისთვის, როცა მთიდან დაეშვება ნისლი და ნისლსა შინა იქნება თვითონ უფალი. (დაკვირვება ჰქონია მოსეს: ყოველ მესამე დღეს სქელი ნისლი და ღრუბელი ჩამოეფინებოდა სინას მთის კალთებს).

დადგა მესამე დღეც და ჩამოეშვა ღრუბელი მთიდან. გაიყვანა მოსემ ხალხი ბანაკიდან და წაიყვანა მთისკენ, „ღმერთთან მისამთხვევად“. მთის ძირიდან შორიახლო დააყენა, წრე მოუხაზა და მკაცრად ბრძანა, ესეც „ნაბრძანები უფლისა“: ვინც ამ ხაზს გადააბიჯებს და მთის ძირს შეეხება, უმალვე მკვდარი დაეცემა, ქვით დაქოლება, ან ისრით განიგმირება; სულ ერთია, ვინც იქნება, ადამიანი თუ პირუტყვი — ყველას სიკვდილი ეწევა მთის შეხებისათვის, რამეთუ იქ არის ღმერთი, რომლის ხილვის უფლება არავის აქვს. ღმერთთან მიმთხვევად ადამიანისთვის მთასთან მიახლოებაც საკმარისია. „ღვთაებრივი ნისლით მოსილ“ მთაზე ასვლის უფლება კი კაცთაგან აქვს მხოლოდ ერთს — მოსეს.

მთა კი ბოლავდა, ჟამჟამად გრუხუნებდა, რაიც ხალხს ღვთაებრივი საყვირის ხმად ჩამოსდიოდა.

„ხოლო მოსე შევიდა ნისლსა, სადა იყო ღმერთი“.

და იყო სინას მთაზე ორმოცი დღე და ორმოცი ღამე.

ხალხი კი აღარ დაელოდა მის დაბრუნებას, მალე მისი ღვთაებრიობაც დაივიწყა. მიადგნენ აარონს და უთხრეს: ის კაცი, მოსე რომ ჰქვია და ჩვენ ეგვიპტიდან წამოგვიყვანა, აღარ ჩანს და არც ის ვიცით რა დაემართა; ახლა შენ თვითონ შეგვიქმენ ღმერთი, რომელიც წაგვიძღვება წინ, ყველას ერთად.

აარონმაც ისე, შეუკამათებლად და სიტყვაშეუბრუნებლად, „ღვთის შესაქმნელად“ მოითხოვა, — რაიც თქვენს ცოლებს და ასულებს ოქროს საყურეები აქვთ, მოხსენით და მომიტანეთო. იმათაც შეასრულეს, და აარონმა ოქროს საყურეთაგან შეადუღებინა და ჩამოასხმევინა ხბო.

„აი, ისრაელ, ღმერთი შენი, რომელმაც შენ გამოგიყვანა ეგვიპტიდან!“ — იბღავლა ხალხმა, იხილა რა ხბოი ოქროსი.

აარონმა იმ დღესვე საკურთხეველიც ააგო, ზედ ის ოქროს ხბო აღმართა და მომდევნო დღისთვის დღესასწაული გამოაცხადა.

და გაიმართა მეორე დღეს, „ახალი ღმერთის“ გარშემო, მსხვერპლშეწირვანი, ჭამა, სმა, როკვა და თავაწყვიტილი აურზაური.

მოსეც უკვე ეშვებოდა მთიდან, „ღმერთთან ნასაუბრალი“, ხელთ ეპყრა ქვის ორი ფიცარი, ორივე მხრივ „ღვთისგან ბოძებული“ მცნებებით დანაწერნი.

უკვე მთის ძირში ჩამოსულმა იხილა და ისმინა თავაწყვეტილი ორგია და ორომტრიალი ოქროს კერპის გარშემო. განრისხებულმა შჯულის ფიცრები კლდეზე დაანარცხა და დაამსხვრია, მაშინვე ოქროს ხბოს ეცა, ისიც ძირს დაანარცხა, დალეწა და ნალეწი ცეცხლსა და წყალს გაურია.

აარონს მივარდა და საყვედურებით აავსო. მერე ბანაკის კარებში ჩადგა, და მრისხანედ შესძახა: ვისაც ჯერ კიდევ უფლისთვის არ უღალატნია და მის მხარეს იჭერს, მოვიდეს ჩემთან!

და უცებ მასთან შეიყარნენ ყველანი მისიანნი — ლევის ტომისანი.

და მიმართა მოსემ ლევიტელთ: ღმერთი გიბრძანებთ, ღმერთი ისრაელთა, ამ წუთსვე აიღეთ მახვილნი და დახოცეთ ყველა, ვინც განუდგა უფალს, სულ ერთია, ძმა იქნება, მეგობარი თუ მოყვარე შენი!

და შეიკრნენ მახვილებით ხელში ლევის ძენი და ადინეს სისხლი ოქროს ხბოის მოთაყვანე ხალხს. სულ დაიღუპა სამი ათასი ადამიანი.

მას უკან მოსემ მიმართა სისხლისდაქცევით გონმოსულ ხალხს: თქვენ ჩაიდინეთ დიდი ცოდვა და ახლა მე ისევ უნდა ავიდე ღმერთთან, რათა გაპატიოთ მან ცოდვა ესე.

ისევ შეუდგა მოსე სინას მთას („სადაც იყო ღმერთი“).

ისევ მოათავა იქ, „ღმერთთან საუბარში“, ორმოცი დღე და ორმოცი ღამე. „უფლის ბრძანებით“, გამოკვეთა და გამოთალა კლდიდან ახალი შჯულის ფიცრები, რომლებზედაც ხელახლა დაწერა „უფლისაგან ნაკარნახევი“ ათი მცნება:

1. მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი სხვანი თვინიერ ჩემსა.

2. არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენი არს ცასა შინა ზე, და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა ქვე, და რაოდენი არს წყალთა შინა ქვეშე ქვეყნისა. არა თაყვანი სცე მათ, და არცა მსახურებდე მათ.

3. არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა.

4. მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდაყავ იგი: ექვს დღე იქმოდე, და ჰქმენ ყოველი საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი, არს უფლისა, ღვთისა შენისა.

5. პატივეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა.

6. არა კლა.

7. არა იმრუშო.

8. არა იპარო.

9. არა ცილისაწმო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა.

10. არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, არცა აგარაკისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხეველისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხორვისა მისისა, არცა რაოდენირაი არს მოყვასისა შენისა.

ეშვებოდა მოსე მთიდან, სჯულის ფიცრებით ხელში, და უწინარესად იგი იხილეს ძეთა ისრაელისათა, რა საოცრად გასხივოსნებული სახე ჰქონდა „უფალთან ნასაუბრალ“ მათ მოძღვარს.

მიეგებნენ აარონ, იესო ნავინ და სრულიად ერი ისრაელისა.

მოსემ შემოაგებათ სჯულის ფიცარნი, მერე აუწყათ, ყველას ერთობით, რა უანდერძა თავის რჩეულ ხალხს უფალმა ღმერთმა:

ექვსი დღე იმუშავეთ და აკეთეთ საქმე, მეშვიდე დღე შაბათია, წმიდა დღე, უფლის დღე, და ვინც რასმეს ამ დღეს გააკეთებს, იგი ეძლევა სიკვდილს. ცეცხლი არ დაანთოთ შაბათს არცერთ თქვენს სამკვიდრებელში. ყოველმან თქვენგანმან, საკუთარის გულდაჯერებით, გაიღოს უფლის შესაწირავად ოქრო, ვერცხლი, სპილენძი („რვალი“), ასევე ქსოვილნი ცისფერი, ძოწეული და მეწამული რჩეული, და ბისონი დანართვილი, ბეწვეული თხისა, ტყავი ვერძისა ტარისკონი, ტყავი ცისფერი („ცისხეული“) და ძელი ულპოლველი; და ზეთი სანთებელი, საკმეველნი ზავებულნი, ნელსაცხებელი რჩეული; და ქვაი სარდიონი („ონიქს“), და ანთრაკი.

მერე, მოსემ მოუწოდა ხალხს, გაეღოთ შესაწირავი, რათა აეგოთ ა კ ა ნ ი ა, კ ა რ ა ვ ი, ტ ა ლ ა ვ ე რ ი, შესაკრებელი, ანუ „საწამებელი“, და მასთან — კ ი დ ო ბ ა ნ ი ს ჯ უ ლ ი ს ა ი, ანუ ა ღ თ ქ მ ი ს ა ი.

დიდძალი შესაწირავი შემოვიდა.

მშენებლობის მეთაურად მოსემ დანიშნა ბ ე ც ა ლ ი ე ლ, ძე ურისა, იუდას ტომისაგან, და თანაშემწედ — ო ჰ ო ლ ი ა ბ, ძე აქისამაქისა, დანის ტომისაგან.

და აშენდა „სკინია“ (საწმიდარი) — კარავი საუფლო და საკრებულო. სახურავი მისი — ათი ფელიკი, ცისფერი, ძოწეული და მეწამულის ფერთა ბისონისაგან, ქერუბიმებად განსახებულნი. ყოველი ფელიკის სიგრძე — ოცდარვა წყრთა, სიგანე — ოთხი წყრთა. ფელიკები შეკრულნი ოქროს წალაებით. საყრდენად კარვისა, ირგვლივად — ოცი სვეტი ძელთაგან ულპოველისა, თითოეული — სიმაღლით ათი წყრთა, სიგანით წყრთანახევარი. სვეტთა შორის საფეხურნი ვერცხლისანი, სულ ორმოცი. კრეტსაბმელნი კარვისა — ცისფერნი, ძოწეულნი, მეწამულნი, ნართავი ბისონისა, ანუ ზეზისა, ზედ ქერუბიმნი ბაჯაღლო ოქროისა.

ხოლო, კიდობანი სჯულისაი, ანუ აღთქმისაი, ანაგები ბეცალიელის ხელითა — იყო ძელისა ულპოველისაგან, სიგრძით ორწყრთანახევარი, სიგანით წყრთანახევარი, სიმაღლით წყრთანახევარი. შიგნით და გარეთ მოჭედილი

ბაჯაღლო ოქროითა და ირგვლივად შეკრული ოქროს გვირგვინითა. ოთხი ოქროს რგოლი, ქვემოთ, კუთხეებში ხელნების გასაყრელად, თვითონ ხელნებიც მთლიანად ოქროთი მოჭედილნი. სახურავიც სუფთა ოქროსი, სიგრძით ორწყრთანახევარი, სიგანით წყრთანახევარი. სახურავსზემოთ — ოქროს ორი ქერუბიმი, გაშლილი ფრთებით, ვითარცა მცველნი სრულიად კიდობნისა. კიდობნის შიგნით — ტაბლა ძელისა ულპოველისა, სიგრძით ორი წყრთა, სიგანით ერთი წყრთა, სიმაღლით წყრთანახევარი, მოჭედილი სუფთა ოქროთი, შემოვლებული ოქროს გვირგვინით. ტაბლას ოთხივე მხარეს — ოთხი კედელი, ოთხივე ბაჯაღლო ოქროსაგან, ოთხივე კუთხით ოქროს რგოლნი, ხელნათა გასაყრელად და წასაღებ-წამოსაღებად. თვითონ ხელნები — ძელისა ულპოლველისა და მოჭედილნი ოქროითა. ჭურჭელნი ტაბლასა ზედა — პინაკები, ფიალები, ფეშხუმები, გოვზაკები, ყოვლივე ოქროისა. აქვე სასანთლე საკვირველი, მყარი ოქროისა, ორი მხრისკენ სამ-სამი რტოით განტოტებული, ექვსივე ტოტზე სასანთლე ღრმულნი. იქვე, ტაბლასთან, საკურთხეველი, ძელისა ულპოველისა, სიგრძით ერთი წყრთა, სიგანით ერთი წყრთა, ოთხკუთხა, სიმაღლით ორი წყრთა, კუთხეებში რქები. და აქაც ყოველივე მოჭედილი მყარი ოქროსგან. საკურხეველსაც ოთხივ კუთხით ჰქონდა ოქროს რგოლები, შიგ გასაყრელი ხელნები ხისგან ულპოველისა და მოჭედილობა ოქროისა.

ცალკე აღიმართა საუფლო საკურთხეველი, ისიც ძელისაგან ულპოველისა, ოთხკუთხედი, სიგრძითაც და სიგანითაც ხუთ-ხუთი წყრთა, სიმაღლით სამი წყრთა. ოთხსავ კუთხეში ოთხი რქა. ყოველივე აქ ჩამოთვლილი — მოჭედილი სპილენძით. სპილენძ-რვალისა ელაგა ზედ სამსხვერპლო და საზორველნი ჭურჭლეულნი — ფიალები, საცეცხლურნი, საკმეველნი, ფუცხები. საკურთხევლის გარშემო — ღობე კანკლედად, სპილენძ-რვალისა. შესასვლელთან — საბანელი რვალისაი.

და ყოველივე იდგა შუაში დიდი ავლინისა (ეზოისა) რომელიც თავის მხრივ იყო შემოღობილი სვეტებით და კრეტსაბმელებით.

ყოველივე იხილა და გასინჯა მოსემ — კარავიც საკრებულოი, კიდობანიც სჯულისაი, საკურთხეველიც უფლისაი და ყოველივე ამ სამთაგანის დიდი თუ მცირე ნაწილნი და სანაწილენი. მოიხილა, მოიწონა და დალოცა, რადგან ოსტატებს, ბეცალიელსა და ოჰოლიაბს, ყოველივე „ეგრეთ მოექმნათ, როგორც უბრძანა ღმერთმან მოსეს".

საზეიმო კურთხევის დღეც დანიშნა მოსემ. იმ დღეს ყველაფერი თავის ხელით გააწყო, დააწყო და დაალაგა — კარავიც საკრებულოი, კიდობანიც სჯულისაი, საკურთხეველიც უფლისაი. ტაბლაც გააწყო, პურიც დააგო კარავში. სჯულის ფიცრები კიდობანში დაასვენა და ორივე ერთად კარავში შეასვენა. სასანთლეც აღმართა, სანთლებიც გააჩაღა, შესასვლელთან საბანელიც წმიდა წყლით აავსო, ყოველი ნივთი სახმარისი ზეთით სცხო და განწმინდა. ბოლოს მოიყვანა აარონ, საუფლო შესასვლელთან, საბანელითგან დაბანა.

წყლითა წმიდითა, ჩააცვა წმიდაი სამოსელნი, წაუსვა მირონი და აკურთხა მღვდლად უფლისა. იქვე აარონის ვაჟებიც აკურთხა, მამასთან ერთად, სამსხვერპლო ხბოზე ხელის დადებით, ვითარცა მომავალი სამღვდელონი შთამომავლობიდან შთამომავლობასა შინა.

თვითონვე დაკლა მოსემ სამსხვერპლო ხბო, სისხლი მისი ნაწილად წასცხო საკურთხევლის ოთხივე რქას, ნაწილად კი აპკურა საკურთხევლის ირგვლივ. ზვარაკის ნაწლევნი, ძირი ღვიძლისა და თირკმელნი, ყოველნი მათი ცმელითურთ, დასდვა საკურთხეველზე, მისგანვე დაგზნებულ ცეცხლზე. ხოლო ზვარაკის ტანი და თავფეხი, ტყავი და ფაშვნი დასწვა კარავს გარეთ დანთებულ ცეცხლზე. და კიდევ, ორი ვერძი დაჰკლა ზვარაკად ღვთისა მოსემ. და ასწავლა აარონს და მის შვილებს წირვა ზვარაკისა, წესი ყოველი — ზორვისა, ლოცვისა და კურთხევისა უფლისა მიმართ.

ასწავლა ხალხს მოსემ, რა უნდა სჭამოს და როგორ, რა არ უნდა სჭამოს და რატომ. სჭამეთ ხორცი ყოველი ცხოველისა, რომელსაც ჩლიქი („ჭლაკი") აქვს გაყოფილი და იცოხნება. არ სჭამოთ ხორცი აქლემისა, რამეთუ იცოხნება, მაგრამ ჩლიქი არა აქვს განპებული; არც კურდღლისა, რამეთუ ისიც იცოხნება, მაგრამ ჭლაკი არც იმას აქვს განპებული; არც მაჩვისა, რამეთუ ისიც აღმოიცოხნის, მაგრამ ჭლაკი არა აქვს განპებული; არცა ღორისა, რამეთუ ჭლაკი განპებული აქვს, მაგრამ ცოხნით ვერ იცოხნება. ამათი ხორცი არ სჭამოთ არცერთისა, არც მათ ლეშს შეეხოთ, ვინათგან არაწმიდანი არიან ესენი. წყლისა და ზღვის ცხოველთაგან სჭამეთ ყოველი, რომელთაც აქვთ ფრთენი და ქერცლი, ხოლო არ სჭამოთ, რომელთაც არა აქვთ ფრთენი და ქერცლი. უწმინდურნი არიან ისინი. ფრინველთაგან არ სჭამოთ ორბი, არც ყანჩა, არც ძერა, არც ქორი და არც ძერქორი, არც შევარდენი, არც ყვავი, ყორანი და მსგავსი მათი, არც სირი და ჭაპრი, არც ბუ, ღამისმხმობარი და მიმინო, არც ძერძერუკი და დედამთვრალი, არც ვარხვი, გედი, ტიეუვავი, ბუკიოტი და მსგავსი მათი, არც ოფოფი და მღამიობი. არ სჭამოთ ქვეწარმავალნი, არცა ფრთოსანნი ოთხ ფეხზე მოსიარულენი. მხოლოდ ის ფრთოსანნი და ოთხფეხოვანნი სჭამეთ, რომელთაც წვივნი ფერთხა ზედა აქვთ, მიწაზე სახლტომად. კალია ჭამეთ ყველა ჯიშისა. ყოველი ცხოველი, ფრინველი და ქვეწარმავალი, რომელიც გითხარ და არ უნდა სჭამო, არის უწმინდურ და საძაგელ შენდა, და უკეთუ შეეხო ლეშსა მისსა, უწმინდურ ხარ შენცა, ხოლო უკეთუ განირეცხე და განიწმინდე, მხოლოდ მიმწუხრამდე იქნები უწმინდურ. კიდევ გეტყვი: უწმინდურ არიან და არ სჭამო თხუნელა, თაგვი, ხვითქი (ნიანგი), ქამელეონი, მსუენი და მსუნლომი, მხულივი და ქურციონ. ყველა ესენი არაწმინდაა და არაწმინდა ხარ შენც, უკეთუ შეეხები მათ ლეშს. არაწმინდაა ჭურჭლეულიც, რომელთა შიგან შთავარდა ცხოველი არაწმინდა და ამიტომ ყოველი ჭურჭელი არაწმინდა უნდა შეიმუსროს. თორნეში და ყვერბზე (საცეხლური, კერა) რომ ჩავარდეს ცხოველი არაწმინდა, ის თორნე და ყვერ-

ბიც უნდა დაანგრიო და მოშალო. წყაროსა და ჭის წყალთა გარდა, ყველა სხვა წყალიც უწმინდურია.

ახლა ესეც ისმინეთ, ძენო ისრაელისანო, ნაბრძანები უფლისაი: როცა დედაკაცმა მუცლად იღოს და შვას წული, შვიდი დღე იგი არაწმინდა იყოს,— ვითარცა იგი არაწმინდაა ჟამსა წიდოვანებისა მისისა. მერვე დღეს ახალშობილ ყრმას წინადაეცვითოს. აქედან კი დედაკაცი იგი ოცდაცამეტი დღე უნდა იჯდეს, ვიდრემდის არა განიწმინდოს არაწმინდისა სისხლისაგან. ესე არს დღენი მისი განწმენდისა და ამ დროის მანძილზე იგი არ უნდა შეეხოს წმიდასა. მოსულ მწირთაგან, დალიოს („ჭამოს") რაიმე სისხლი, იგი წარიწყმიდება ორი კვირა და სამოცდაექვსი დღე უნდა იჯდეს განსაწმენდელად სისხლისაგან არაწმინდისა. როცა შობითგან (ძისა თუ ასულისა) განწმენდის დღეები გაივლის, დედაკაცმა ერთი წლის ტარიგი მსხვერპლად („ყოვლად დასაწველად") და მტრედის მართვენი, ან გვრიტები, ცოდვისათვის, უნდა შესწიროს კარავსა საკრებულოსა, მღვდლისა მიერ, და იგი იქნება განწმენდილ. უკეთუ მას არ ძალუძს შესწიროს ტარიგი, მაშინ მის მაგივრად მიუყვანოს მღვდელს ორი გვრიტი, ან მართვენი მტრედისანი — ერთი ყოვლად დასაწველად და ერთი ცოდვისათვის, და მღვდელი მას ლხინებაყოფს და განწმენდს.

იმ დღეებში აარონის ძეთაგან ორმა, ნადაბმა და აბიჰუმ, თავთავისი საცეცხლურნი შეიტანეს საკურთხეველზე, ზედაც ცეცხლი დაანთეს და საკმეველიც დაასხეს. ასე „უცხო ცეცხლის" შემოტანისთვის ცეცხლითვე დაისაჯნენ უფლისა მიერ: ცეცხლი ერთბაშად აზვავდა, ცოდვილ ძმებს მოედო და ორივე დაიწვა და დაიფერფლა. მოსემ მწუხარე ძმას მხოლოდ ეს უთხრა: აკი უფალმაც ეს გვიბრძანა, — „რომელნი მომეახლებოდიან, მათ ზედა განიწმინდე და ყოველსა კრებულსა შინა ვიდიდო". აარონს არაფერი უპასუხნია. იდგა მეხდანაკრავივით. არც დამწვარ შვილებზე დატირების ნება მისცა მოსემ მამას, არც მის გადარჩენილ შვილებს დაანება ძმების დატირება. დანარჩენმა სანათესავომ იტიროსო, თქვენ კი არც თავები მოიშიშვლოთ, არც ტანსამცელი დაიპოთ, თქვენ ქურუმნი ხართა და არც სალოცაევი კარვიდან გამოხვიდეთ, თორემ ღვთის რისხვას ცოცხალის თავით ვერ გადაურჩებითო.

ამის შემდგომ მოსემ სალოცავ კარავში, ღვთის საკურთხეველის წინაშე, აარონს და მის შვილებს, და მათ შთამომავლობას, ვითარცა ქურუმთმთავრებს, მიუჩინათ ადგილი — „წმიდათა წმიდა" — სხვათათვის შეუვალი, სადაც მათ უნდა ეჭამათ პური უფუვარი და ზეარაკად შეწირული ცხოველის მკერდი და მხარი. ეს ადგილი, წმიდათა წმიდა, მოგეცით თქვენ და თქვენს შთამომავალთ, რათა გააქარვოთ ცოდვანი ერისანი და ლხინება-ყოთ ღა განწმინდოთ ერი უფლის წინაშე.

მერე ესეც ასწავლა უფროს ძმას მოსემ: თხის ორი ვაცი აარჩიე ისრაელის ძეთა არვესაგანო, ერთი ცოდვისათვის, მეორე მრგვლად დასაწვავად; ორივე მიიყვანე საკრებულოსა, წინაშე ღვთისა, და ჰყარე წილი ვაცთა ზედა — ერთი ღვთისათვის, ერთი ცოდვათა განტევებისათვის. ვაცი, რო-

მელსაც წილად ხვდება ზვარაკობა ღვთისადმი (მთლიანად დაწვა), იქვე ღმერთსვე შეეწირება, მისი სისხლით მოიპკურება საკურთხეველი, ხოლო ვაცსა ცოდვათა განტევებისას ქურუმმთავარი თავზე ორივე ხელს დაიწყობს და მოუთხრობს ყოველივე შეცოდებას, რაც ისრაელ ხალხს ჩაუდენია წარსულში თუ აწმყოში. ამ ცოდვებს წითელი ბაფთის სახით შეაბამს რქებზე და ასე, „ადამიანთა ცოდვებით დატვირთულ" თხას განუტევებს იგი უდაბნოში.

ასე გაიაზრებოდა ხალხის დახსნა ცოდვებისაგან, ორი საფეხურით: განწმენდა (პირველი ვაცის შეწირვით) და განტევება (განტევების ვაცის გაშვებით).

განაგრძობდა მოსე კანონთა კარნახს: თუკი ვინმემ ისრაელთაგანმა, ან ისრაელთ შორის მყოფმა ვინმე მოსულმა მწირმა, დაკლა ცხვარი ან ვაცი, ბანაკში ან ბანაკს გარეთ, ისე რომ არ მიიყვანა კარავსა საკრებულოსა ღვთის საკურთხეველთან, სული მისი მოისპოს ერისაგან მისისა. ყოველმან კაცადკაცადმან, რაოდენი მსხვერპლი რამ დაკლან, წინასწარ მოიყვანოს იგი საკრებულო და საწამებელი კარვის მღვდელთან და მისი ხელით შეწიროს ღვთისა წინაშე. მოასხუროს ზვარაკის სისხლი საკურთხეველს, დაწვას ცმელი „სულად სულნელად ღმრთისა". ხოლო, უკეთუ ვინმე ისრაელ ძეთაგან, ან ვინმე მოსულ მწირთაგან, დალიოს („ჭამოს") რაიმე სისხლი, იგი წარიწყმიდება მისი ერისაგან. ასეა, „რამეთუ სული ყოვლისა ხორციელისაი სისხლი თვისი არს". ამიტომ არ შეიძლება სისხლის შეჭმა, ანუ სულის შეჭმა. ამიტომ ვინც ინადიროს ნადირი, გინა ფრინველი, რომელიც შეიჭმების, აცალოს სისხლისაგან დაწრეტა და დაღვრილი სისხლი მიწით დაფაროს, „რამეთუ სული ყოველისა ხორციელისაი სისხლი თვისი არს". გახსოვდეთ, არ იცხოვროთ არც კანონებით ეგვიპტისა (საიდანაც ახლა მოვდივართ), არც კანონებით ქანაანისა (საითაც მივდივართ ახლა), არამედ იცხოვრეთ მხოლოდ იმ კანონებით, რომელსაც გვასწავლის უფალი ჩვენი. და მე გკარნახობთ თქვენ უფლის კანონებს.

განერიდე სიშიშვლესა („სარცხვინელსა") ხორცისასა. არ გააცხადო სიშიშვლე მამისა, არცა დედისა, არცა მამის ცოლისა, არცა დისა, არცა მამიდისა, არცა დედისდისა, არცა მამისძმისა, არცა სძლისა. ცოლს არ გაეკარო არაწმიდებისგან განწმენდის ჟამსა. შენი მოყვასის ცოლის გვერდით არ დაწვე და არ შეაგინო. მამაკაცთან არ დაწვე, ვითარცა დედაკაცთან, „რამეთუ საძაგელ არს". არც ოთხფეხ ცხოველთან დაწვე და შეიბილწო, არც დედაკაცი დაწვეს ცხოველთან სამამლოდ, „რამეთუ საძაგელ არს". არ შეიბილწოთ ასეთი შებილწვებით.

ყოველ კაცს ეშინოდეს დედისა და მამისა. ნუ მიუბრუნდებით კერპებს და ნუ ჩამოადნობთ ღმერთებს. როცა მოსავალს იმკით თქვენის მიწიდან, მცირედ დატოვე და დანაცვენ მარცვალს ნუ აჰკრიფავ. ნურც ვენახს გაჰკრიფავ სავსებით, დანატოვარსაც ნუ მიუბრუნდები: დატოვე ღატაკთა, გლახაკ-

თა და მწირთა ლუკმად. არა იპაროთ, არა იცრუოთ, ცილს ნუ დასწამებთ ერთიმეორეს. არ დაიფიცოთ უფლის სახელი სიცრუეზე და არ შეაგინოთ სახელი მისი. ნუ აწყენინებ მოყვასსა შენსა, არცრა წარსტაცო. არც შენგან დაქირავებულს ქირა დილამდე არ დაუჭირო. ბოროტი არარა უთხრა ყრუსა, საცთური არარა დაუგო ბრმასა. სიცრუეს ნუ იტყვი სასამართლოზე. ნუ ავნებ სუსტსა, ნუ ელაციცები ძლიერსა. მხოლოდ სიმართლით განსაჯე მოყვასი ყოველი. ნუ უმზაკვრებ ხალხსა შენსა, ნუ აუჯანყდები მოყვასსა შენსა. არა გძულდეს ძმაი შენი გულსა შენსა. ამხილე მოყვასი შენი, მაგრამ არ დაიდო ცოდვა მისი. არც შური იძიო, არც იბრაზო შენი ერის შვილებზე და შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი. ფეხზე აუდექ ჭალარასა და პატივი ეც მოხუცებულსა. უკეთუ მოსული მწირი დასახლდეს შენს მიწაზე, ნუ შეაგიწროებ მას. გიყვარდეს იგი, ვითარცა თავი შენი, რამეთუ შენც იყავი „მოსული“ ეგვიპტის მიწაზე. ნუ იქმთ სიცრუეს სამართალზე, საწყაულზე, სასწორზე და საზომელზე. დაე იყოს „სასწორი სამართლისაი და საწყაული მართალი და საწყაული კეცი იყავნ მართალი თქვენ შორის“.

მითხრა მე უფალმა, — განაგრძობდა მოსე — ვინც ისრაელთაგან, ან ისრაელს მოსულთაგან თავის შვილს მსახურად მისცემს მოლოხს, რაითაც შეაგინოს სიწმიდე ჩემი, მიეცეს სიკვდილს, ერისა მიერ — „ქვაი დაჰკრიბონ მას“.

მუცლითმეზღაპრენიც, მიცვალებულ სულთა მიმართ მიმთხრობნი მოისრებიან იეჰოვასგან.

კიდევ მინდა გაგიმეოროთ: ვინაც ბოროტი უთხრას და უქმნას მამასა ან დედასა თვისსა, სიკვდილით მოკვდეს, რამეთუ მამისა და დედის გინება თანამდებია სიკვდილისა.

კიდევ გეტყვით მრუშობის გამო: ვინც იმრუშა მოყვასის ცოლთან, სიკვდილს მიეცეს მრუშავიც და თანამემრუშეც. ვინც რძალთან იმრუშოს, ორივენი მიეცეს სიკვდილს. ვინც მამაკაცი მამაკაცთან ისე დაწვეს როგორც დედაკაცთან, უსაძაგლეს არიან და სიკვდილს მიეცნენ. რომელმაც შეირთოს ასულიც და დედამისიც, ცეცხლზე უნდა დაიწვას ყველა. ვინც პირუტყვთან დაწვეს, სიკვდილს მიეცეს კაციც, პირუტყვიც. ვინც დედაკაცი პირუტყვს შეერთოს, ისინიც ორთავ უნდა დაიხოცოს. ვინც დას შეერთოს, ან მამის ასულს (სხვა ქალისგან), სიკვდილს მიეცნენ მათი სანათესავოს წინაშე.

გულს დაიმარხეთ და წმიდად შეასრულეთ ყოველი ბრძანებანი ჩემი, — გვიბრძანებს უფალი ჩვენი — და სამაგიეროდ მე თქვენ მიგიყვანთ და დაგამკვიდრებთ ქვეყანაში, „რომელ არს მდინარე სძისა და თაფლისაი“. და იყავით ჩემს წინაშე წმინდანი, რამეთუ მე თვითონ ვარ წმინდა, ვარ იეღოვა, უფალი თქვენი, რომელმაც თქვენ, ძენი ისრაელისანი, გამოგარჩიეთ ყველა სხვა ხალხთაგან და თქვენა ხართ ხალხი ჩემი, — ასე მითხრაო მე თვითონ უფალმა — ამბობდა მოსე დაბეჯითებით.

ამას რომ ამბობდა და წერდა მოსე, მოახსენეს: ერთმა ახალგაზრდა კაცი-

შა. დედით ისრაელმა და მამით ეგვიპტელმა, ისრაელის შვილებს ჩხუბი აუტეხა და მათი ღმერთი, იეჰოვა, უშვერი სიტყვებით ლანძღა და თათხაო. და მოჰგვარეს ეს ღვთისმგმობელი მოსეს... დედას რა ჰქვიაო, მარტო ეს იკითხა ²ოძღვარმა. ა ლ ა მ ი თ, ასული ზამბრესი, დანის ტომიდან, — იყო პასუხი. პირადად ღვთისმგმობელის სახელი კი აღარ უკითხავს მოსეს, ოღონდ ეს ბრძანა: ახლა ეგ კაცი განმაშორეთ, ამაღამ უფალს ვაცნობებ და რასაც მიბრძანებს, ხვალ იმის მიხედვით განვსაჯოთო. იმ ღამით იმ კაცს საპატიმროში მოათევინეს. მეორე დღეს კი გამოვიდა მოსე, „ღმერთთან ნასაუბრალი", ის კაცი გამოაყვანინა, ხალხის წინ დააყენა და ბრძანა: ვინც გუშინ ამ კაცისგან ღვთის გმობა ისმინა, ვითარცა მოწმეებმა, მას თავზე თავისი ხელები დაადონ და დაიფიცონო. მოწმეებიც მაშინვე დაწინაურდნენ, ბრალდებულს თავზე ხელები დაალაგეს და ბრალი დაადასტურეს. მაშინ ბრძანა მოსემ ახალი კანონი, უფლის იეჰოვასგან ნაკარნახევი: ვინც ღმერთს გმობს და შეურაცხყოფს, იგი უნდა განიტვინოს ქვათა დაკრებით; ვინც კაცს სცემს და მოკლას, ისიც მოიკლას; ვინც პირუტყვი მოკლას, დაზარალებულს პირუტყვითვე გადაუხადოს; ვინც მოყვასს გერში ადინოს, სამაგიერო გერშით (სისხლით) გადაახდევინეთ; ვინც ვის რა უყოს, იმასაც ის ეყოს: „განტეხაი განტეხისა წილ, თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ". და ეს სამართალი იყოს ყველასთვის ერთნაირად — მკვდრისთვის თუ მწირისთვის.

ახლა ეგ ღვთისმგმობელი ბანაკს გარეთ გაიყვანეთ და ყოველმან თქვენგანმან ქვა დაკრიბოსო. ხალხმაც აღასრულა. უფლის მაგინებელი კაცი ქვებით განტვინეს...

როცა ჩემ მიერ აღთქმულ ქვეყანაში მიხვალთო, — გვასწავლის უფალი (განაგრძობდა მოსე) — ექვსი წელიწადი სთესეთ ყანა და ექვსი წელიწადი მოისთველეთ ვენახი, ხოლო მეშვიდესა წელსა არცა ყანა დასთესოთ და არცა ვენახი გასხლათ, რათა მეშვიდე წელი უნდა დაასვენოთ მიწა, მეშვიდე წელი არის უფლისა. მეშვიდე წელს არც თავისით ამოსული სამკალი მოიმკო და არც თავისით გამოსული ყურძენი მოისთველო. დაიშახსოვრე და გულს დაიმარხე: მეშვიდე წელი შაბათია ქვეყნისა, ანუ წელი განსვენებისა. იმ წელს თავისით მოსული მოსავალი თანასწორად შეეკამადია ყოველისა და ყოველისა — მკვიდრისაც და მწირისაც, თავისუფალისაც და მონისაც, ადამიანისაც და პირუტყვისაც, ნადირისაც და ფრინველისაც.

მერე, — გადათვალე და აღირიცხე შენთვის მეშვიდე წელი, მას უკან შვიდჯერ შვიდი და მიიღე რა ორმოცდაცხრა წელიწადი — აქედან მეშვიდე თვის მეათე დღეს, საყვირთა ცემით ქვეყანას ამცნეთ დღე ლხინებისა, განწმენდისა, ორმოცდამეათე წლის დადგომისა; დაე იყოს ეს წელი იუბილე თქვენი, წელი ურთიერთ მიტევებისა; და ამ წელს ყოველი კაცად-კაცადი დაბრუნდეს თავის სამკვიდრებელსა და თავის მამულში. და ამა წელსა, წელსა მიტევებისასა, არა სთესოთ, არცაღა ლეწოთ, არცაღა ნაყოფი მოიწიოთ უხნა-

ვი ყანისაგან და უსხლავი ბაღ-ვენახისაგან, არაძედ პირდაპირ — „ველთაგან ჰჭამდეთ შობილსა მისსა". ამ წელს დაბრუნდით მამულსა თქვენსა. ნუ აწყენინებთ ერთიმეორეს. მიჰყიდით თუ იყიდით ერთმანეთისაგან, ნუ აწყენინებთ ერთიმეორეს. აღასრულეთ ყოველივე მსჯავრი უფლისა, და იცხოვრებთ წყნარად და სასოებით, „და გამოსცეს ქვეყანამან ნაყოფნი მისი და ჰჭამდეთ მაძღრივ და დაემკვიდრნეთ ქვეყანასა ზედა სასოებით".

მიწა არ გაჰყიდოთო სამუდამოდ, — ბრძანებს უფალი — რამეთუ მიწა ჩემია, ხოლო თქვენ მოსულნი და მდგმურნი ხართ ჩემი. უკეთუ შენი ძმა გაღარიბდა და თავისი მიწა გაჰყიდა, შეუძლია გაანგარიშებული დროის შემდეგ უკანვე გამოისყიდოს, ან თვითონ, ან მისმა ნათესავმა ვინმემ. ხოლო, უკეთუ ესეც ვერ შეძლო, საიუბილეო ორმოცდამეათე წელს მაინც უნდა დაუბრუნდეს მიწა წინანდელ პატრონს. თუ ვინმე თავისი საცხოვრებელი სახლი მიჰყიდა ვისმეს, ქალაქის მცხოვრებს, შეუძლია უკანვე გამოისყიდოს ერთ წელიწადში. თუ ერთ წელიწადში ვერ შეისყიდა, სახლი იგი სამუდამოდ რჩება მყიდველს, საიუბილეო წლის შემდგომაც. ხოლო სახლი სოფელში იყიდება, გაიყიდება და გამოიხსნება თანაბრად მიწისა. უკეთუ ძმა შენი გაღატაკდეს, მოვიდეს და შენთან დაეცეს, მიეცი ხელი, მოიყვანე შენთან და აცხოვრე ისე, რომ ვახში არარა აიღო მისგან. და არც შენ მისცე „ვერცხლი ვახშად და გასამრავლებლად". როცა ძმა შენი გაღატაკდება და მონად მოგეყიდება, ნუ დაამძიმებ მას მონური შრომით და კირთებით. იგი შენთან იქნება, ვითარცა მოქირავნე, როგორც მწირი, საიუბილეო წლამდე, ხოლო ამ წელს იგი თავისუფლდება, თავის ოჯახთან ერთად, და უბრუნდება მამაპაპეულ სამფლობელოს, რადგანაც ისიც ხომ ძეა ისრაელისა, ისიც ხომ მე, იეჰოვამ, გამოვიყვანე ეგვიპტიდან. ამიტომ იგი არ შეიძლება ისე იყიდო და გაყიდო, ვითარცა მონა. მონად და მხეელად შენ იყიდე ვინც გინდა სხვა ხალხთაგან და გყავდეს ისინი ვითარცა მონანი, ვითარცა საკუთრება და საქონელი შენი.

მისდიეთ მსჯავრთა უფლისათა და უფლისაგან მოგეცეთ თქვენ „წვიმაი ჟამსა თვისსა", უფლის ნებით მიწამან თქვენთვის გამოსცეს ნაყოფი უხვად. და ჰქონდეს მშვიდობა თქვენსა ქვეყანასა, „დაიძინოდით უზრუნველად და არა ვინ იყო მაშინებელ თქვენდა... და წარიქციოს ხუთმან თქვენგანმან ასი და ასმან თქვენგანმან წარიქციოს ბევრეული (ათიათასი) და დაეცნენ მტერნი თქვენნი წინაშე თქვენთა მახვილთა".

ბოლოს, მოსემ, სინას მთასთან, ისევ ღვთის ნებით, გადაწყვიტა აღეწერა ხალხი თვისი — ტომებად, გვარებად, ოჯახებად, მამაკაცთა სალაშქრო ასაკით (ოცი წლიდან) და განწესრიგებით. ამისთვის იხმო აარონ და მასთან შემოიყარა საკრებულო, ყოველი ტომისგან თითო წარმომადგენელი, მაშასადამე, სულ 12 კაცი. და აღწერით, სულადობრივი ანგარიშით, ტომების მიხედვით აღმოჩნდა:

რეუბენ	—	46.500
სიმონ	—	59.300
იუდა	—	74.600
დან	—	62.700
ნაფთალი	—	53.400
გად	—	45.650
აშერ	—,	41.500
იხახარ	—	54.400
ზებულონ	—	57.400
ეფრემ	—	40.500
მანასე	—	32.200
ბენიამინ	—	35.400

სულ — 603.550 სული

აქ თორმეტ სახელდებაში ცვლილებაა: იოსების ნაცვლად მისი შვილების, ეფრემის და მანასეს სახელებია, ცალცალკე. მაგრამ მაინც თორმეტი დარჩა, რადგან მოსემ თავისი ტომის მეთაურის, ლევის სახელი აღარ გაურია სატომო სახელებში, არამედ ლევიტელნი (ლევიანნი) მან ყველა ტომისთვის საერთო, „სამღვდელო ტომად" გამოაცხადა. ლევის შთამომავალნი მიუძღოდნენ ყოველ საღვთო და საღვთისმეტყველო სამსახურს. მათ ებარათ საკრებულო კარავიც, კიდობანიც, საკურთხეველიც, ყოველი საწესო ნივთი და მოწყობილობა. ბანაკიც იქვე ედგათ ლევის ნაშიერთ, და უფლება ჰქონდათ, უკეთუ ვინმე სკინიას (კარავს), საკურთხეველს და კიდობანს უნებართვოდ მიუახლოვდებოდა, იქვე მახვილებით აეჩეხათ.

ლევიტელნი ცალკე აღწერა მოსემ, მათი სამი გვარის მიხედვით. პირველი გვარის მეთაური იყო გერშონ, მეორისა — კაათ, მესამისა — მერარი. აღწერით, სულადობრივი რიცხვი ლევიტელთა ასეთი აღმოჩნდა: გვარი გერშონისა — 7.500, გვარი კაათისა — 8.600, გვარი მერარისი — 6.200; სულ — 22.300 სული.

მაშასადამე, იმჟამად სინას მთის ძირში იდგა 625.850 ებრაელი (603.550+22.300).

იდგა მეორე წელი ეგვიპტიდან გამოსვლისა და ახლა აქ, სინას მთის ძირში, ძენი ისრაელისანი უკვე გამზადებული იყვნენ აღთქმული ქვეყნისაკენ გასამგზავრებლად.

შუაზედ („ცენტრი") სკინია და კიდობანი უკვე ხელთ ეპყრათ ლევის ნაშიერთ. იქვე იდგნენ მოსე, აარონ და მისი ძენი სამღვდელონი. სულ წინაკერძზე („ავანგარდი") იდგა იუდას ტომი, რომელსაც მარჯვენა კერძზე („ფლანგი") ედგა ტომი ზებულონისა, მარცხენა კერძზე კი — ტომი ისახარისა: ბანაკის მარცხენა მხარეს იცავდნენ დანის, აშერისა და ნაფთალის ტომისანი, ხოლო

მარჯვენას — რეუბენის, გადის და სიმონის ნაშიერნი. უკანაკერძში („არიერ-გარდი") კი იდგნენ ეფრემის, მანასეს და ბენიამინის ტომელნი.

ასეთი წყობით დაიძრნენ ისრაელნი ეგვიპტიდან გამოქცევის მეორე წელს სინას მთიდან ჩრდილოეთისკენ.

ვიდოდნენ.

კარავი საკრებულო-საწამებელი და კიდობანი სჯულისაი მიუძღოდათ, ლევიანთა ხელით აზიდულნი.

ვიდოდნენ.

მძიმე, სიცხიან გზათა ძლევით, აქაიქ შესვენებით, ბანაკის დაცემით, კვლავ გზაზე გასვლით. ყოველ ახალ საგზაოდ გასვლას წინ მიუძღოდა მოსეს ძახილი ზეცისადმი: „აღდეგ, უფალო, და განაბნიენე ყოველნი მტერნი შენნი და გაჰფანტე ყოველნი მოძულენი შენი პირისა შენისაგან!" ხოლო, ბანაკის დაცემისას: „მოაქცეე, უფალო, ათასეული და ბევრეული ისრაელთა შორის და აგრილობდე მათ სიცხესა ზედა".

ვიდოდნენ ძენი ისრაელისანი.

ვიდოდნენ ღვთით აღთქმული ქვეყნისაკენ.

ვიდოდნენ, მაგრამ მოსემ უკვე იცოდა („ღვთით იცოდა"), რომ მოდგმა ამ ხალხისა, ეს თაობა, უცხო მონობაში ნაშობი და მონური სულით მოსულიერე, ცალი თვალით რომ მაინც უკან, ეგვიპტისკენ, „მშობლიური მონობისკენ" იყურებოდა — აღთქმული ქვეყნის თავისუფლებას ვერ ეზიარებოდა, ვერ შეითვისებდა, ვერ შეიღირსებდა.

აღთქმულ ქვეყანას და აღთქმულ თავისუფლებას მხოლოდ ახალი, თავისუფლების გზაზე შობილი თაობა ეზიარებოდა, მხოლოდ ის შეირჯებდა, მხოლოდ ის შეიღირსებდა.

ამიტომ, ეგვიპტურ მონობაში ნაშობი თაობა აღთქმულ, თავისუფალ ქვეყანაში მისვლამდე უნდა დახოცილიყო და აღთქმულ მიწაზე მხოლოდ ახალნაშობი თაობა უნდა მისულიყო.

ამიტომ არ ჩქარობდა მოსე.

ამიტომ — როცა ვიდოდნენ, ნელა ვიდოდნენ ისრაელნი.

მოსე იმიტომ არ ჩქარობდა, რომ ახალთაობის ზრდას და გაჭაბუკებას ელოდა.

თვითონ ხალხი კი იმიტომ არ ჩქარობდა, რომ გული და თვალი უკანვე ეწეოდა, „მშობლიური მონობისაკენ".

ვერ იქნა და ვერ აქცია ჭეშმარიტ „ხალხად" მოსემ ეს მონათა „ჯოგი". სჯულიც მისცა, მცნებაც, კანონიც, ყოველივე უფლისაგან, მაგრამ მონური, უზნეო და უწმინდური სული მაინც ძირფესვიანად ვერ აღმოახდინა და ვერ ამოწვადა ამ „ბრბოისა" თუ „ჯოგის" არსიდან და არსებიდან.

სწორედ „არსი" ყოფილა მთავარი.

„არსი" და არა „არსებობა".

ამ „ხალხს" მხოლოდ არსებობა აქვს. ხსოვნა „მაძღარი არსებობისა".

ეგვიპტეში საჭმელ-სასმელი ჰქონდათ უხვად. რა ვუყოთ, რომ მონები იყვნენ, — მთავარია, არასოდეს შიოდათ, არასოდეს სწყუროდათ, და არსებობდნენ მუდამ „მაძღარი არსებობით“.

ამათი ცხოვრების „არსი“ ოდენ „არსებობას“ არა შორდება.

ამიტომ ასეთი „ხალხი“ თავისუფალ, „აღთქმულ ქვეყანაში“ ცხოვრების ღირსი არ არის და იგი მანამ უნდა აღესრულოს, სანამ სწორედ აღთქმულ ქვეყანას მიაღწევდეს.

მაინც როგორ ხარობენ ჭამისათვის, ძღომისათვის, გასკდომამდე თქვლეფისათვის. სინას მთიდან რამდენიმე დღის წამოსულნი იყვნენ, რომ ისევ აყაყანდნენ და ატირდნენ: აწი ვინ გვაჭმევს იმდენ ხორცს, ეგვიპტეში რომ გვაჭმევდნენო, მარტო თევზის გახსენება ღირს, ეგვიპტელები უსასყიდლოდ რომ გვაჭმევდნენო, ან როგორი იყო იქაური კიტრი, ნესვი, ხახვი, პრასა, ნიორი, სულო და გულო, რაც გინდოდა და რამდენიცო. ახლა კი მანანას მეტი ხელთ არაფერი გვაქვსო, ამოვიდა ყელში ეს მანანა!

ღმერთო, ამას რას და ვის გადავეკიდეო, — ესიტყვებოდა უსიტყვოდ მოსე იეჰოვას — ეს ხალხი როგორ ვატარო და ძუძუ ვაწოვო, ძიძა რომ აწოვებს ძუძუს ყრმასა მინდობილსაᲬ

სამოცდაათი მხცოვანი აარჩია, თანაშემწეებად დაიყენა, სულმოკლეობით ატანილი ხალხის დასაწყნარებლად და მოსაარშიებლად. იმ ღამით კი, ისევ „ღვთის ნებით“, ზღვით მონაბერმა ქარმა უთვალვი მწყერი ჩამოყარა ებრაელთა ბანაკში. რაც იმ ერთ დღე-ღამეში ჭამეს უზომოდ, ხომ ჭამეს, ბევრმა მრავლადაც შეინახა, მანამ სანამ ლპობაც არ შეუდგა დანაგროვებ ხორცს. დამპალი ხორცის ჭამამ კი კუჭნაწლავთა სნება გააჩინა და ბევრი კიდევაც დაიხოცა. ამის გამო, ამ ადგილს „კ ი ბ რ ო თ-ჰ ა თ ა ა ვ ა“ („საფლავნი სიხარბისანი“) უწოდეს და გზა განაგრძეს.

და მივიდნენ ხ ა ც ე რ ო თ ს. აქ მირიამი და აარონი აუჯანყდნენ ძმას და მიზეზად ეს დაიდეს: როგორ თუ შენ ეთიოპელი გოგო შემოიყვანე სახლში სატრფიალოდო. მოსე კი ასეთი იყო — მთელს ქვეყანაზე კაცთა შორის ყველაზე მშვიდი კაცი. ამიტომ არაფერიც არ უპასუხა დასა და ძმას. მალე მირიამს კეთრი დაემართა. აარონი დაფრთხა, — ალბათ ღმერთი გვსჯის მოსეს კიცხევისთვისო და ისევ მოსეს ჩაუვარდა მუხლებში, — უფალთან გვიშუამდგომლე, შეცოდება გვაპატიოსო. მოსემაც — ამ, „ყველაზე მშვიდმა კაცმა“ — „უშუამდგომლა“ და-ძმას იეჰოვას წინაშე, მირიამი შვიდი დღე-ღამით ბანაკს განაშორა, მოარჩინა და უკან მოაბრუნა.

ხაცეროთიდან წასულნი მივიდნენ ფ ა რ ა ნ ი ს უდაბნოში, სადაც ოდესღაც ცხოვრობდნენ აბრაამის სახლიდან გაძევებული დედა-შვილი — აგარ და ისმაელ.

აქ ახლა მცირე დასახლება იყო, სახელად კ ა დ ე შ-ბ ა რ ნ ი ა, სადაც დაიბანაკეს ებრაელებმა.

აქვე მოსემ ერთად შეჰყარა თორმეტივე ტომის მაშინდელი ბელადნი:

რეუბენისა — შამუაყ, ძე ზაქურისი,
სიმონისა — შაფატ, ძე ხორისი,
იუდასი — ქალებ, ძე იეფუნესი,
ისახარისა — იგალ ძე იოსებისი,
ეფრემისა — იესო ძე ნავინისა,
ბენიამინისა — ფალტი, ძე რაფუისი,
ზებულონისა — გადიელ, ძე სოდისი,
მანასესი — გადი, ძე სუსისი,
დანისა — ყამიელ, ძე გემალისა,
აშერისა — სეთურ, ძე მიქაელისი,
ნაფთალისა — ნახში, ძე ვოფსისი,
გადისა — გეუელ, ძე მაქისი

და უბრძანა თორმეტივეს, წასულიყვნენ და წინასწარ, მისვლამდე, მოეხილათ ქანაანი, უფლისგან აღთქმული ქვეყანა, მარად საცხოვრისად ებრაელთათვის. სამხრეთიდან მიადექით, მთაზე ადით და იქიდან მოიხილეთო ქანაანი; ნახეთ როგორია მიწა — კეთილი, ნაყოფიერი, თუ უნაყოფო, მცენარიანი თუ უმცენარო; ივაჟკაცეთ და იქნებ იქაური რამ ნაყოფი ჩამოიტანოთ. ხალხიც დაზვერეთ იქაურნი, ძლიერნი არიან თუ უძლურნი, მრავალნი თუ მცირენი, ქალაქები თუ აქვთ, ან რაში ცხოვრობენ — კარვებში თუ ციხესიმაგრეებში? ყოველივე შეიტყვეთ და ცნობად მოგვიტანეთ.

წავიდნენ მზვერავნი-მეთაურნი, ქანაანს შევიდნენ სამხრეთიდან. ხებრონამდე იარეს. აქ მწიფე ვენახებში შევიდნენ, მტევნებით დატვირთული ვაზის რქა აჭრეს და ორი კაცის ტვირთად აიკიდეს. ყოველივე იხილეს, რაიც სახილველად სჭირდებოდათ და, ორმოცი დღის შემდეგ, დაბრუნდნენ უკან, კადეშ-ბარმსაში. დაბრუნდენ და ყოველივე აუწყეს მოსეს და ჯამაათს: ვნახეთ ქვეყანა, რომელსაც მართლაც გასდის რძე და თაფლი; აი, იმ მიწის ნაყოფიც იხილეთო. მაგრამ ხალხი იქ ძალიან ძლიერი ცხოვრობსო, ძლიერად გამაგრებული ციხე-ქალაქებიც აქვთო.

ისევ ატირდნენ და აბღავლდნენ ძენი ისრაელისანი: ნეტავ აქამდე დავხოცილიყავით, ან ეგვიპტეში, ან გზებზე სადმე, უდაბნოში, ახლა მაინცდამაინც ქანაანელთა მახვილებით უნდა ამოვსწყდეთ, ჩვენი ცოლშვილიც მათი ნადავლი უნდა გახდეს; ამას არა სჯობს, ისევ დავბრუნდეთ ეგვიპტეში? სწორედ

სჯობია და ბარემ ავირჩიოთ უფროსები, რომლებიც დაგვაბრუნებენ ეგვიპტეშიო.

მაშინ პირქვე დაემხნენ ხალხის წინაშე მოსე და აარონ; იესო ნავინის ძემ და ქალებ იეფონის ძემაც აუბეს მხარი, ტანსაცმელი დაიპეს ტანზე და უღრიალეს სულით დაცემულ ჯამაათს: გონს მოდითო, ჩვენის თვალით ვნახეთ, რა ბედნიერი ქვეყანაა ქანაანი, მიწა რძიან-თაფლოვანი, იქაური ხალხისაც ნუ შეგეშინდებათ, რამეთუ უფალი მათ ჩვენ კიდევაც დაგვამარცხებინებს, კიდევაც შეგვაქმევინებსო.

მაგრამ ამაოდ დაშვრნენ იესო და ქალებ. ის კი არა და, ჩავქოლოთ, ჩავქოლოთ, — და ქვებს დაეტანენ ძენი ისრაელისანი.

მაშინ კვლავ წამოიჭრა ფეხზე მოსე, სკინიის თავზე ჩამოშვებულ ღრუბლის სვეტისკენ განირთხა ხელი და შესძახა: აი, იეჰოვა, უფალი ჩვენი, რომელიც განრისხებულ არს თქვენის სულმოკლეობით და მისდამი ურწმუნოებით; როდემდის უნდა ვითმინო ამ ხალხის თავგასულობა, — ბრძანებს იგი — ახლავე ამოვწყვიტავო მას სენითა საშინელითა. მაგრამ მე ერთხელ კიდევ ვთხოვე პატიება, თქვენ უგუნურთათვის. და ბოლოს, მაინც ეს გადაწყვიტა იეჰოვამ: უწინარესად დაიხოცებიან ყველა ტომის ბელადი, ვინც მზვერავად წარეგზავნე მე ქანაანს და უკანმობრუნებულებმა ასეთი შიში დასთესეს ხალხში. მათგან სიცოცხლეს დაინარჩუნებს მხოლოდ ორი — იესო ნავინის ძე და ქალებ იეფონის ძე. ხოლო, რაკი თქვენ — მიუბრუნდა მოსე იმ ათ მზვერავს — ორმოცი დღე დაჰყავით ქანაანში და მერე აქ, ხალხში ჩამოიტანეთ ასეთი ეამაფრთხობელი ამბავი, ამ ცოდვისათვის, თითოეულ დღესთან თითოეული წლის შეწონვით, ორმოცი წელი გაგრძელდება ხეტიალი უდაბნოებში და არცერთს, ვინც ეგვიპტეში მონად იშვა, ან ვინც შობითგან ოც წელიწადს გადაბიჯა, არ ეღირსებათ ქანაანს მისვლა. ეს ჯამაათი, ეგზომ მონური სულმოკლეობით და უფლისადმი ურწმუნოებით, კიდევ ორმოცი წელიწადი იხეტიალებს უდაბნოებში და ამ ორმოცი წლის მანძილზე დაიხოცება ყველა. ხოლო ქანაანს, აღთქმულ მიწაზე, შევა მხოლოდ ახლანდელი, ოც წლიანს ქვემოთ, ახალგაზრდობა.

მეხდარტყმულივით იდგა ერი, გაქვავებული, განლიგებული.

და ყოველივე აღესრულება, რაც ბრძანა მოსემ (ანუ უფალმა!).

ვიდოდნენ წლები.

ვიდოდნენ ძენი ისრაელისანი უდაბნოთა შინა.

ცინის უდაბნოს მიაღწიეს, უკვე ქანაანის სამხრეთ მისადგომებთან.

აქ მარიამი მოუკვდათ ძმებს, მოსეს და აარონს.

აქ ერთხელ კიდევ აუჯანყდა ჯამაათი მოსეს, იმის გამო, რომ წყალი ვერსად მოიძიეს.

აქაც ისასწაულა მოსემ: სადღაც კლდე-ღრეში იხეტიალა, წყალსაც მიაგნო და, თავისი „უფლისმიერი კვერთხით", ერთ კლდეზე კიდევაც გზა მისცა მწყურვალე ხალხისა და ხვასტაგისაკენ.

ახლოს იყო ი დ უ მ ე ა, ანუ ე დ ო მ, ერთ დროს ესავის ქვეყანა სამკვიდრებელი. აქედან პირდაპირ ქანაანს შეიძლებოდა შესვლა.

და გაუგზავნა მოსემ ელჩები ედომელთა მეფეს: შენი ძმა ისრაელი გთხოვს, გაგვატარო შენს გზებზე ქანაანისკენო. მაგრამ უარი მიიღო. თუ ჩემს მიწაზე შემოსვლა გაბედეთ, იარაღით ხელში დაგხვდებით და განანებთო, — მუქარაც შემოთვალა ედომის მეფემ.

მოსემ ხელი აიღო და გამობრუნდა. მალე ამ ამბის შემდგომ, გარდაიცვალა აარონი და მისი სამღვდელმთავრო სამოსელი მის შვილს ელეაზარს გადააცვა მოსემ.

ეს ამბავი მოხდა მთაზე, რომელსაც ერქვა — ო რ. აქედან კიდევ სცადეს ისრაელებმა ქანაანს შესვლა. მაგრამ ქანაანელთა მეფემ, ა რ ა დ ი დ მ ა ადვილად სძლია სამხრეთიდან მოწოლილ მტერს და რამდენიმე ტყვეც წაიყვანა ისრაელთაგან.

მოდიოდნენ დამარცხებული ებრაელები და ისევ ყველაფერში მოსეს სდებდნენ ბრალს: რად წამოგვიყვანე ეგვიპტიდანო... გზაზედ, ამ დრტვინვასა და ყარყაშში, უცებ უამრავი გველი შემოესიათ, ბევრი დაიკბინა და დაიხოცა შხამიან ქვეწარმავალთაგან. ხალხმა ესეც ღვთისმიერ სასჯელად მიიჩნია და ისევ მოეშვა მოსეს ლანძღვას.

ედომ-იდუმეას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შემოუარეს ებრაელებმა და ჩრდილოეთისაკენ წარემართნენ. ამორეველთა ქვეყანას მიადგნენ და იქაურ მეფეს, ს ი გ ო ნ ს სთხოვეს, ქანაანისკენ გაგვატარეო. სიგონმაც უარით უპასუხათ და ჯარიც შემოაგებათ, მაგრამ დამარცხდა, თვითონ ბრძოლაშიც დაიღუპა, და ებრაელები ამორეველთა ქალაქებს დაეუფლნენ.

მაგრამ ამორეველთა მძლეველებს სამხრეთიდან ყამონიტები დაემუქრნენ და ებრაელებმა ისევ გადმოინაცვლეს, უფრო სამხრეთით და მ ო ა ბ ი ს ახლოს, შ ი ტ ი მ ს („აკაცია") დაიბანაკეს.

პირდაპირ მდინარე იორდანე ჩანდა, გადაღმა — ქალაქი ი ე რ ი ქ ო ნ ი.

მოაბი შეარყია ისრაელთა მოსვლამ. შიში ჩამოდგა სამტრო შემოსევისა. ეს ხალხიო ყველაფერს ისე შემოგვაჭამს („აღლოშნავენ") გარშემო, როგორც ძროხა მოსძოვს სიმწვანეს მინდორშიო, — იძახდნენ მოაბელნი, და სასწრაფოდ მოკავშირის ძებნას შეუდგნენ, ებრაელთა შემოსევის უკუსაგდებად. მოაბის მეფემ, ბ ა ლ ა კ მ ა ელჩები აფრინა შ ი დ ი ა ნ ს. შეკრეს კიდეც კავშირი ებრაელთა წინააღმდეგ მოაბელებმა და მიდიანელებმა (რა ვუყოთ, რომ მიდიანელები მოსეს მოყვრები — ცოლოურნი იყვნენ). ამასთანავე, ბალაკ მეფემ მესოპოტამიიდან, ევფრატის ქალაქ ფეთორიდან გამოიწვია განთქმული მისანი — ბ ა ლ ა ა მ, ძე ბეყორისა, — მოდი, მომეშველე, ეს ეგვიპტიდან გადმოხვეწილი ებრაელები დამიწყევლეო, რადგან ვიცი, ვისაც შენ აკურთხებ, უცილობლად კურთხეულ არს, ხოლო, ვისაც დასწყევლი, მოურჩენლად წყეულ არს და დაქვეს̓კნელებულიო. ჯერ იუარა ბალაამმა, მაგრამ მეორედ გაგზავნილ ელჩობას კი გამოჰყვა და მოვიდა მოაბს.

ბალაკ მეფემ ბალაამ წინასწარმეტყველი აიყვანა ბაალის მთაზე და იქიდან დაანახა ბანაკი ძეთა ისრაელისათა. და, დაწყევლის ნაცვლად, რამდენჯერმე დალოცა და აკურთხა ბალაამმა მოდგმა იაკობ-ისრაელისა, ვითარცა უფლისგან რჩეული ერისა, და იწინასწარმეტყველა მისი ბრწყინვალე მომავალი: „ვხედავ მას, რომელიც არა არს ახლა; ვხედავ მას, რომელიც არა არს ახლო; ამოდის ვარსკვლავი იაკობისა". ყველა ახლომახლო ხალხი დაიღუპება და მომავალი ეკუთვნის ძეთა იაკობ-ისრაელისათა, — იყო დასკვნა წინასწარმეტყველისა.

მაგრამ უკან, მესოპოტომიაში გამგზავრების წინ, ბალაამმა მაინც რჩევა მისცა მოაბელებს და მათ მოკავშირე მიდიანელებს, ისრაელის ბანაკს ქალური სიმრუშე და გარყვნილება შეუჩინეთო...

და აჰყვნენ ძენი ისრაელისანი მოაბელ ქალთა ტრფიალს. გარყვნილებამ მოიცვა შიტიმის ბანაკი. უარესი კიდევ ის იყო, ისრაელებმა მოაბის სალოცავი ბომონი, ბაალ-ფეგორი, თავის სალოცავად აიჩემეს, და ისევ დაივიწყეს უფალი თვისი და მოსე თვისი.

ისევ აღბორგდა და აზვავდა მოსე. იხმო უხუცესნი და მსაჯულნი ერ-ხანი და უბრძანა მათ: მოუწოდეთ და შეაგონეთ ხალხს, ყველამ კაცად-კაცადმან, მოჰკლას ყველა თავისიანი, რომელიც კი ეთაყვანოს ბაალ-ფეგორს, და აკრძალულითა ტრფიალებითა ეტრფიალოს მოაბელ თუ მიდიანელ დიაცს.

და, მოსეს ამ ბრძანების მიდევნებით, ისრაელთა ბანაკში ამოწყდა 24.000 კაცი.

და ისევ ჩამოვარდა წესრიგი, ისევ მოიცვა გული ძეთა ისრაელისათა შიშმა უფლისა წინაშე და მოკრძალებამ მოსეს წინაშე.

ამ თვითამოქმედების შემდგომ, მოსემ ახალი აღწერა მოახდინა თავისი ხალხისა. და აღმოჩნდა, სულადობრივი ანგარიშით, ტომობრივ-მუხლობრივად:

რეუბენისა	—	43.730
სიმონისა	—	22.200
იუდასი	—	76.500
დანისა	—	64.400
ნაფთალისა	—	45.400
გადისა	—	40.500
აშერისა	—	53.400
ისახარისა	—	64.300
ზებულონისა	—	60.500
ეფრემისა	—	32.500
მანასესი	—	52.700
ბენიამინისა	—	45.600

სულ — 601.730 სული.

და ყველა ესენი იყვნენ ოცი წლის ზედა ასაკისანი, რომელნიც უნდა დაბოლილიყვნენ აღთქმულ ქვეყანაში შესვლამდე და დამკვიდრებამდე, — ყველა, თვინიერ იესო ნავინის ძისა და ქალებ იეფონეს ძისა.

თვითონ მოსეც გრძნობდა, შორს აღარ იყო დრო მისი აღსრულებისა და კიდევაც ნაზრუნავი ჰქონდა, ვინ უნდა ყოფილიყო მემკვიდრე მის შემდგომ ებრაელი ერის წინამძღოლობისა.

ეს იყო იესო (იეშუა), ძე ნავინისა, კაცი, რომელსაც „აქვს სული“.

და შეჰყარა ერი ძეთა ისრაელისათა მოსემ; იესო ნავინი წინ დაიყენა, თავზე ხელი დაადო და ამცნო ჯამათს: აი, იგი, ვინც ჩემს შემდგომ იქნება თქვენი წინამძღოლი! იგი გადაწყვეტს ყოველივეს, ქურუმთმთავართან შეთანხმებითო, — ესეც დასძინა და ახლა ერთად დააყენა იესო და ელეაზარი.

ასედაც უნდა ყოფილიყო, რადგან ერთპიროვნულად ერის წინამძღოლობისა და უშუალოდ „უფალთან საუბრის უფლება“ მხოლოდ და მხოლოდ მოსეს ჰქონდა ადამიანთა სრულ მოდგმაში. მხოლოდ მოსეს ჰქონდა ურიმ და ტუმიმ („სინათლე“ და „სრულყოფილება“), რაითაც იგი პირდაპირ ერთვოდა იეჰოვას. ამიერიდან კი უფლის მიმართ კითხვის აღძვრის უფლება უნდა განაწილებულიყო საერო და სასულიერო წინამძღოლთა შუა.

ამის შემდეგ მოსემ ყოველი ტომიდან გამოიწვია ათას-ათასი მოლაშქრე და ასე, 12.000-იანი ჯარი გაგზავნა მიდიანის დასალაშქრავად. დალაშქრეს კიდეც ებრაელებმა მიდიანი, იქაური სამეფო ოჯახი ამოწყვიტეს, მიდიანელ მცხოვრებთა მამაკაცური ნაწილი გაჟლიტეს, ქალები და ბავშვები, მდიდარ ნაძარცვთან და ხვასტაგთან ერთად, ტყვედ გაირეკეს. სხვათა შორის, აქ ბრძოლაში დაიღუპა ბალაამ წინასწარმეტყველიც...

განვლო ორმოცმა წელიწადმა იმ დღიდან, რა დღიდანაც მოსემ, უფლის ჩაგონებით და თანადგომით, თავისი ხალხი წამოიყვანა ეგვიპტური ტყვეობიდან და მონობიდან.

ეგვიპტური თაობა სრულად წასულიყო.

ახალი თაობა სრულად მოსულიყო.

მოსეც ძველ თაობას უნდა გაჰყოლოდა.

აღთქმულ ქვეყანაში შესვლა არც მას ეღირსებოდა.

ჯამაათი შემოიყარა და მიმართა სიტყვით: მე დავბერდი, ასოცი წლისა შევიქენი, და უფალმაც მითხრა მე, — შენ ვერ გადახვალ იორდანესო. შენ კი, ერო ჩემო, თვითონ უფალი გაგიძღვება და დაეუფლები იორდანესაც, სრულიად ქანაანსაც. იესო ნავინი გაგიძღვებათ, ესეც უფლის ბრძანებით. და მაშინვე იესო ნავინი ხალხის წინაშე ამართა და ხმამაღლა უთხრა: „მხნე იყავ, განძლიერდი, რათა შენ წარუძღვე ერსა ამას და შეხვიდე ქვეყანას მას, რომლისათვის ეფუცა უფალი ღმერთი მამათა შენთა მიცემად მაგათ და შენ და-

უმკვიდრო იგი მაგათ. და უფალი ღმერთი თანაგივიდოდის შენ, არა დაგაგდოს შენ, არცა უგულებელ-გყოს შენ; ნუ გეშინინ, ნურცა შეძრწუნდები შენ"...

მერე გალობაც აღუტეევა მოსემ ერის წინაშე:

ყური დამიგდე, ზეცავ, და მე ვილაპარაკებ,
და დედამიწას ესმას სიტყვები ჩემი პირისა.
გადმოიღვაროს წვიმასავით სწავლება ჩემი,
იწვეთოს ჩემმა ნაუბარმა მსგავსად ნამისა.
ვითარცა თავსხმა მცენარეულზე,
მსგავსად ბალახზე ყუჟუნა წვიმის.
როცა წარმოვთქვამ სახელს უფლისას,
შეასხით ჩვენს ღმერთს ქება-დიდება.
ბურჯია იგი, მისი საქმე სრულყოფილია,
რადგან სწორია ყველა გზა მისი;
მართალ არს ღმერთი, და არ არის უსამართლობა,
ის უმწიკველია და უანგარო.
ვოსრა ისინი, არ-შვილნი მისნი, სიბიწემ მათმა,
თაობა ურჩი და უკეღმართი.
ხომ არ გსურთ უფალს მიუზღოთ ისე,
ხალხო ულირსო და უგუნურო?!
განა ის მამა არ არის შენი, ვინც გაგაჩინა?
მან შეგქმნა შენ და გაგამრავლა შენ!
ო, გაიხსენე გარდასული საუკუნენი,
გონების თვალით გადახედეთ თაობათა წლებს;
ჰკითხე მამაშენს და ის გიამბობს,
ჰკითხე მოხუცებს და გეტყვიან შენ.
უზენაესმა სამფლობელო რომ მისცა ხალხებს,
როცა ერთმანეთს დააცილა ადამის ძენი,
მან დაუდგინა საზღვრები ხალხებს
რიცხეთამებრ ძეთა ისრაელისა.
რამეთუ უფლის წილი არის ამისი ხალხი,
იაკობი — სამემკვიდრო ხვედრია მისი.
ჰპოვა უდაბნო მიწაზე იგი,
უდაბურობის საზარ ქაოსში;
გარს ეკლებოდა, ზრუნავდა მასზე,
უფრთხილდებოდა თვალისჩინივით.
ეითარც არწიეი სდარაჯობს ბუდეს,
დაფრინავს თვისთა მართვეთა ზემოთ,
გაშლის ფრთებს თვისას აიყვანს თითოდ,
მიმოატარებს თავისი მხრებით, —
უფალს დაყავდა ის მარტოდმარტოს
და უცხო კერპი არ იყო მასთან.
ზე აიყვანა ქვეყნის მაღლობთა,
და მან ნაყოფი ჭამა მინდვრისა;
და ის აძლევდა თაფლს საზრდოდ კლდიდან
და კაჟოვანი ქარაფიდან — ზეთს;

კარაქს ძროხისას, ცხვრის რძეს და თანაც
ცხიმს ვერძების და ბაშანური ერკემლებისა,
ყოჩი თხებისა; ზედაც ხორბალს — მსუყეს და რჩეულს,
და სისხლს ყურძნისას სვამდი შუშხუნას.
იეშურუნი გასუქდა და იწყო ტლინკის კვრა;
გასუქდი, ქონი მოიკიდე, გასქელდი მეტად;
და მიატოვა იგი ღმერთი, რომელმაც შექმნა,
და შერყვნა ბურჯი თავისი ხსნისა.
ეჰვი აღუძრეს უცხო კერპებით
და სისაძაგლით განარისხეს ის.
მსხვერპლი მიჰქონდათ ეშმაკებთან და არა ღმერთთან,
კერპებთან, რომელთ არცა იცნობდნენ,
ახლებს — მცირე ხნის წინათ მოსულებს,
ვისიც თქვენს მამებს არ ეშინოდათ.
ბურჯი, ვინც შეგქმნა, მიატოვე შენ
და დაივიწყე ღმერთი, შენი დამბადებელი.
ნახა უფალმა და განრისხდა, რომ გააბრაზეს
ძეთა მისთა და ასულთა მისთა.
და თქვა: დავმალავ ჩემს სახეს მათგან,
ვნახავ, როგორი ექნებათ ბოლო,
რადგან გახრწნილთა თაობაა ეს —
შვილნი, რომელთაც არა აქვთ რწმენა.
ეჰვი აღმიძრეს მათ არა — ღმერთით,
რისხვით აღმანთეს თავიანთი ამაოებით;
მეც ეჰვს აღვუძრავ მათ არა-ხალხით,
უზნეო ხალხით განვარისხებ მათ.
რადგან აენთო ჩემი რისხვა, ვითარცა ცეცხლი,
და ქვესკნელამდის გიზგიზებს იგი;
და შთანთქამს მიწას და მის მოსავალს,
და გადაბუგავს მთათა საყრდენებს.
თავზე დავატეხ უბედურებას
და ისრებს ჩემსას მათზე გამოვლევ.
ქანცს გამოულევს მწვავე შიმშილი,
შთამნთქმელი ალი და ავი სული;
და კბილს მხეცისას მოვუვლენ იმათ,
ზედ შხამსაც მცოცავ ქვეწარმავალთა.
გარედან მოსპობს მათ მახვილი, სახლებში — შიში
ყრმასაც, ქალწულსაც, თოთო ბავშვსაც მოხუცთან ერთად.
ვთქვი: მიმოვფანტავ და ამოვძირკვავ
მათ სახსენებელს კაცთა მოდგმიდან.
ღვარძლს მტრისას რომ არ ვერიდებოდე, —
ვაითუ მისმა მტრებმა თვისად წარმოიდგინონ, —
მაშინ იტყვიან: „ჩვენი ხელი მაღალი არის,
უფალმა როდი გააკეთა ესე ყოველი!“
რადგან ამ ხალხმა აზრი დაკარგა
და აღარ არის მათში გონება.
სიბრძნე რომ ჰქონდეთ, განსჯიდნენ ამას
და მიხვდებოდნენ, რა ელით ბოლოს.

ერთი ვით შეძლებს ათასის დევნას,
ორი — განდევნას ათჯერ ათასის,
თუ არ გაყიდის მათ ბურჯი მათი
და თუ უფალი არ ჩააბარებს?
        რამეთუ ჩვენს ბურჯს არ წააგავს მათი ქომაგი,
        და ჩვენი მტრები თვით არიან ამის განმსჯელნი.
რამეთუ მათი ვაზი სედომის
ვაზიდან არის და ამორის ველ-მინდვრებიდან;
მისი ყურძენი — შხამის მარცვლები,
ხოლო მტევნები მწარეა მისი.
გველის შხამია მათი ღვინო და
ასპიტთა გესლი უსასტიკესი.
        ეს ხომ იდუმლად არის ჩემთან,
        ჩაკეტილია ჩემს საგანძურში.
შურისძიებაც ჩემია, ზღვევაც,
როს მათი ფები წაბორძიკდება,
რადგან ახლოა მათი კმენვის დღე,
ისწრაფვის მათთვის გამზადებული.
        მაგრამ უფალი თვის ხალხს თვითვე გაასამართლებს
        და გულს მოილბობს თავის მონებზე,
        როცა იხილავს: დასუსტდა ხელი,
        არც ტუსაღია, არც გაშვებული.
და იტყვის იგი: სად არიან მათი კერპები,
ბურჯი, რომლითაც ჰქონდათ იმედი,
        რომ ჭამდნენ მათთა მსხვერპლთა ცხიმეულს
        და სვამდნენ ღვინოს — დასასხმელს მათსა?
        აბა, წამოდგნენ და შეგეწიონ,
        და იყვნენ თქვენთვის თავშესაფარი.
უყურეთ ახლა, რომ მე — ეს მე ვარ
და არ არსებობს ღმერთი ჩემ გარდა;
მე მოვკლავ და მე გავაცოცხლებ,
მე განვგმირე და მევე განვკურნავ,
და არ არს მხსნელი ჩემი ხელიდან.
        მაგრამ აღვმართავ ჩემს ხელს ცისაკენ
        და ვიტყვი: ვცოცხლობ უკუნისამდის!
როცა გაელესავ მახვილს ლაპლაპას
და განვამზადებ ხელს განსასჯელად,
მაშინ ვიძიებ შურს ჩემს მტრებზე
და მივეზღავ ჩემს მოძულეებს.
        სისხლით დავათრობ ისრებსა ჩემსას,
        ჩემი მახვილი გაძღება ხორცით, —
        დაცემულთა ტყვედქმნილთა სისხლით,
        და თავებით მტრის წინამძღოლთა.
ხოტბა შეასხით მის ხალხს, ერებო!
რამეთუ ის იქმს შურისძიებას
სისხლისათვის თავის მონათა

და შურიგებას მიუზღავს მის მტრებს,
და ის შეუნდობს თავის მიწას და ხალხსა თვისას *.

იგალობა და იქვე დაწერა მოსემ საგალობელი ესე, იქვე დაასწავლა ერს და უანდერძა, გადასცენ იგი შვილთა თვისთა და შვილთაგან შემდგომ ყოველთა შვილთა.

ასე მოიქეცით, — დაასრულა მოსემ შეგონებანი თვისნი — რაც გითხარით, ყოველნივე გულს დაიმარხეთ, რამეთუ სიტყვანი ესე არ მითქვამს მე უბრალოდ, არამედ „ესე არს ცხოვრება თქვენი, რამეთუ ამ სიტყვათა გამო დღეგრძელ იყვეთ“, იმ ქვეყანაში, რომელშიც თქვენ დაემკვიდრებით, ღვთისაგან აღთქმით, იორდანეს გარდავლის შემდგომ.

ბოლოს, აკურთხა ერი თვისი მოსემ, ტომ-ტომად აკურთხა თორმეტივე ტომი, და ამ სიტყვებით დაასრულა კურთხევა ესე:

„ნეტარ ხარ შენ, ისრაელ! და ვინ გემსგავსოს ერსა უფლისგან გამოხსნილსა, რომლისთვისაც უფალი არს ფარი დამცველი და მახვილი დიდებისა შენისა? და მტერნი შენნი მონებენ შენს წინაშე და ფერხნი შენნი სუფევენ მათთა ქედსა ზედა!“

დაასრულა კურთხევა, თავი დაუკრა ერსა და წარემართა ნებოს მთისაკენ, საიდანაც მას, უფლის ნებით, უნდა ეხილა ქანაანი, უფლისგანვე ისრაელთათვის აღთქმული ქვეყანა. ავიდა მთაზე, ავიდა მის უმაღლეს მწვერვალზე, რომელსაც ერქვა ფისგა.

და იხილა მოსემ ქვეყანა იგი — ქანაან, ღვთისგან აღთქმული საცხოვრისი ღვთისგან არჩეული მისი ხალხისა.

და, დიად მოძღვარს, იქნებ მართლა მოესმა ეს სიტყვები, უფლის პირითგან მოდენილნი:

„აჰა, ქვეყანა იგი, რომელ ვეფუცე აბრაჰამს, ისააკს და იაკობსა და ვარქვი, ვითარმედ ნათესავსა შენსა მივსცე ეგე. აწ, ეგერა, გიჩვენე შენ, თვალთა შენთა იხილეს, ხოლო შენ არა შეხვიდე მუნ“.

ეს იყო უკანასკნელი, რაიც იხილა მოსემ — სახილველი უფლისაგან.
ეს იყო უკანასკნელი, რაიც ისმინა მოსემ — სასმინარი უფლისაგან.
და აღესრულა.

და დაიკრძალა მისი ერისაგან, იგივე მოაბის მიწაზე, ბეთ-ფეღორის პირდაპირ, ველზე, „და არავინ იცის საფლავი მისი მოდღენდელად დღედმდე“.

ოცდაათი დღე იტირეს ძეთა ისრაელისათა ღვთაებრივი მოძღვარი თვისი.

მოძღვარი, ყოველ მანამდელ და მერმინდელ მოძღვართაგან, „რომელ იგი უფალსა შეესწავა პირისპირ“...

ახლა იესო ნავინი იდგა ებრაელი ერის წინამძღვრად; იესო, ძე ნავესი, თვითონ მოსესგან ხელდასხმული და ამ ღვთაებრივი ხელდასხმით „აღვსილი სულითა სიბრძნისათა“.

* თარგმანი პოეტ აბრამ მამისთვალოვისა.

7. ქართული ინტერლოგოსი

წინა აზიას უკიდურეს სამხრეთით ეგზურად უდგას სინას მთა, უკიდურეს ჩრდილოეთით — კავკასიონი.

კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი — შ უ ბ ლ ი დ ე დ ა მ ი წ ი ს ა!

ხოლო, ამა შუბლსა ზედა — განფენილია საქართველო.

და, ქართველ ხალხსაც შეეტყო მაშინდელი თავგადასავალი ებრაელი ხალხისა.

უფრო ადრიდანაც სცნობოდათ ქართველებს ებრაელობა, თუნდაც სხვა, უფრო ადრინდელი, თავდაპირველი ადგილსაცხოვრისით და სახელწოდებით — მათი თავდაპირველი სამშობლო რომ იყო ქალაქი ურ ი, ანუ ჰ ურ ი, სამხრეთ შუამდინარეთში, სენაარში, — და აქედანვე ამ ხალხს ქართველები მოიხსენიებენ, ვითარცა ჰ ურ ი ა ნ ი, ურიანი — შემდგომ ხ ა ბ ი რ უ, მერე ი ს რ ა ე ლ და ბოლოს ე ბ რ ა ე ლ.

ახლა კი ესეც შეუტყვიათ ქართველებს, როგორ გამოიყვანა მოსემ თავისი ხალხი ეგვიპტური ტყვეობიდან. უკვე საქართველოშიც „მოვიდა ამბავი, ვითარმედ მოსემ განვლო ზღვა ისრაელთა, და იზრდებიან იგინი უდაბნოს მანანათა. განკვირდეს ყოველნი, და მათ ყოველთა აქეს ღმერთი ისრაელთა".

მაშ, ქართველები გაუკვირვებია ებრაელთა საოცარ თავგადასავალს და ქებადიდება აღუვლენიათ მათი მფარველი ღმერთისადმი.

ნათლად ჩანს, რომ ეს „მსოფლიო მოვლენა" — ისრაელი ერის მიერ, მონობიდან თავისუფალი, უფლისგან აღთქმული ქვეყნისკენ მიმავალი, უმძიმესი, ორმოცწლოვანი უდაბნოური გზის გადალახვა — ქართველობაშიც შესაბამისი სიღრმით და სივრცით გაიაზრებოდა.

ეს მით უფრო, რომ თვითონ ქართველ ხალხსაც იმავე „მოსეს ეპოქაში" უკვე განეცადა თავისი საკუთარი „მსოფლიო თავგადასავალი".

ეს იყო ამბავი, რომელიც უაღრესად მძაფრი დატვირთვით თავს გადახდა დასავლეთ ქართველთა ქვეყანას — კოლხეთს.

ეს არის ამბავი, რომელშიც, ებრაელთა თავგადასაველის მსგავსად, ერთმანეთს განუყრელად ერთვიან — მითოსი, ლეგენდა და ისტორია.

თვალი გადავკრათ ამ კოლხურ-ბერძნულ ეპოპეას.

დასავლეთში ყველაზე დიდი მბრძანებელია კრეტის მეფე, ზევსის ძე მ ი ნ ო ს ი, აღმოსავლეთში კი — კოლხეთის მეფე, ჰელიოსის ძე ა ი ე ტ ი. ამ ორ „მსოფლიო ხელმწიფეს" თანაბარი უფლებით უპირავს მსოფლიო წონასწორობის სასწორი. არიან მეგობრები, მოკავშირენი, არიან მოყვრებიც — მინოსს ცოლად ჰყავს აიეტის დაი, პასიფაე.

ბერძნებს კოლხეთი ესახებათ, როგორც უმდიდრესი „ოქროს ქვეყანა". კავკასიონის მთებიდან დაქანებულ მდინარეებს აქ ჩამოაქვთ ოქროს ქვიშა.

კოლხები მდინარეთა ჩქერებს ცხვრის ტყავებს ჩაუგებენ და, როცა ამოიღებენ, ოქროს ქვიშაც ამოჰყვება „ოქროს საწმისებს“.

ოქროს ქვეყანაა კოლხეთი და „მზე-ჰელიოსის“ ნაშიერებიც ოქროს სხივებს ისვრიან თვალთაგან (კოლხი მზის მზერით იმზირება!).

მერე, მოხდა ისე, რომ საბერძნეთიდან სიკვდილს გამოექცა უფლისწული ფ რ ი ქ ს ე. იგი ოქროსმატყლოვანი ვერძით მოვიდა კოლხეთის სატახტოში — ქ უ თ ა ი ა ში (ქუთაისი) და აიეტს თავშესაფარი სთხოვა.

ქართველები, ისედაც, გასაოცრად უ ც ხ ო თ მ ო ყ ვ ა რ ე ნ ი არიან, და აიეტმაც ეს უცხოელი ლტოლვილიც, არამცთუ შეიფარა და შეივრდომა, არამედ სიძედაც კი დაისვა — ცოლად მისცა თავისი უფროსი ასული, ქ ა ლ კ ი ო პ ე.

ხოლო, ოქროს ვერძი, აიეტის ბრძანებით, კოლხმა ქურუმებმა კოლხეთის უზენაეს მფარველ ღვთაებას შესწირეს და მისი ტყავი, ო ქ რ ო ს ს ა წ მ ი ს ა დ წოდებული, დიდ საასპარეზო მინდორზე აღმართულ მუხაზე დაჰკიდეს.

ამიერიდან ოქროს საწმისი არის ზენიშანი კოლხეთის სიმდიდრისა, სიქველისა და უძლეველობისა.

განვლო წლებმა და კოლხეთს ისევ ეწვივნენ ბერძნები — ორმოცდაათი გმირი, თესალიელი უფლისწულის, ი ა ს ო ნ ი ს წინამძღოლობით.

ისინი მოვიდნენ ხომალდით, რომელსაც ერქვა „ ა რ გ ო “, და აქედანვე დარქმეოდათ სახელი გმირებს—„ ა რ გ ო ნ ა ვ ტ ე ს“—„ ა რ გ ო ნ ა ვ ე ლ ე ბ ი“.

ახალმოსულებს მიზნად დაესახათ, კოლხეთიდან საბერძნეთს წაეღოთ ოქროს საწმისი — სიმბოლო ქვეყნის სიმდიდრისა, სიმძლავრისა და მარადიული კეთილდღეობისა.

სანამ კოლხეთს მოატანდნენ, აგრონაველები, გზადაგზა, სადაც კი ხმელეთზე გადავიდოდნენ, ხმლითა და მუშტით უსწორდებოდნენ ყველა დამხვდურ ხალხს, ხოლო ახლა, კოლხეთს რომ მოვიდნენ — აქ ძალადობით ვერას გავხდებითო, და გადაწყვიტეს ისეც თავაზიანი, მოკრძალებული თხოვნით, ან სხვა რაიმე ხერხით თუ ხრიკით აღესრულებინათ თავისი განაზრახი, ისედაც ყველგან „ხერხიანობით“ განთქმულ ბერძნებს.

ამიტომ იასონმა „არგო“ მდინარე ფასისში (რიონი) შეაცურა, ლერწმიანში შემალა, თანამგზავრებიდან ორი კაცი, (ტ ე ლ ა მ ო ნ ი და ა ვ გ ი ა), აიყოლია, დანარჩენები იქვე დატოვა და ქუთაიისკენ გასწია.

კოლხთა სატახტო დიდის პატივითა და სტუმართმოყვარეობით შეხვდა უცხოელებს.

მეფე აიეტმაც ტკბილად მიიღო სტუმრები. ჯერ საგანგებო ნადიმზე უმასპინძლა. მერე ასე შორეული მგზავრობის მიზეზიც გამოჰკითხა. იასონმა გაბედა და ოქროს საწმისი ითხოვა. აიეტი ჯერ განრისხდა, მაგრამ იასონის ხვეწნა-მუდარამ გული მოულბო და ბოლოს ასე ბრძანა: ბერძენი უფლისწული მხოლოდ მაშინ მიიღებს ოქროს საწმისს, უკეთუ იგი შეძლებს შეასრულოს ყოველივე, რასაც თვითონ მეფე ასრულებს ყოველთვის, როცა თვითონ-

ვე მოესურვება; სახელდობრ — მან მძიმე გუთანსა და უღელში უნდა შეაბას ცეცხლისმფრქეველი ხარები, ოთხდღიური მიწა ნახევარ დღეში დახნას, თან ხნული დრაკონის კბილებით თესოს და მათგან აღმოცენებული გიგანტებიც იმავე დღეს მახვილით გაჟლიტოს.

ასეთი ნაბრძანების ასრულება იასონს არ შეეძლო, მაგრამ მაინც დათანხმდა, ანგარიშმიუცემლად. საგონებელში ჩავარდნილ გმირს და მის თანამგზავრებს იმ ღამით მოულოდნელი მხსნელი გამოუჩნდათ.

ეს იყო მედეა, მეფე აიეტის უმცროსი ასული, რომელსაც თავდავიწყებით შეჰყვარებოდა უცხოელი უფლისწული.

და, მედეამ საკუთარი ხელით დამზადებული წამალი მისცა იასონს.

ხოლო, ვინც მედეას ნახელავი ჯადო-წამლით სხეულს დაიზელდა, მას ვერც ცეცხლი დაწვავდა, ვერც მახვილი გაჭრიდა, მთელს სხეულშიც ღვთაებრივი ძალ-ღონე და სიმამაცე ჩაუსახლდებოდა. მედეა ასეთ წამალს პრომეთეს (ქართული ამირანი) სისხლით ნაპოხ მიწაზე აღმოცენებული ყვავილებისგან ამზადებდა.

და აი, კოლხთა და ბერძენთა საკრებულოს თვალწინ, იასონმა ყველაფერი ბრწყინვალედ აღასრულა: ცეცხლისმფრქეველი ხარები გუთანში შეაბა, ოთხდღიური მიწაც ნახევარ დღეში დახნა-დათესა და ხნულიდან აღმონაცენი გიგანტებიც იმავ დღეს სულ ერთიანად ამოწყვიტა.

მაგრამ თვითონ გრძნეულებას ნაზიარევი აიეტი მიხვდა, რომ მხოლოდ მისი ასულის დახმარებით შეძლო ბერძენთა წინამძღოლმა ხიფათიდან თავის დაძვრენა. ამიტომ მან განიზრახა უცხოელთა გაჟლეტა.

მედეამ ეს შეიტყო და ქალაქიდან იდუმალ გაეიდა, არგონაველთა ბანაკს მიადგა, იასონი გამოიხმო და მამის განზრახვა ამცნო. მერე იასონი მუხასთან მიიყვანა, საწმისის მცველი გუშაგი წამლის შეფრქვევით დააძინა და იასონს თვითონ ის ოქროს საწმისიც ჩამოახსნევინა.

ამიერიდან მედეას კოლხეთში აღარ დაედგომებოდა და აღარც თვითონ სურდა დარჩენა. იგი სულით და ხორცით უცხოელს ეკუთვნოდა. იასონმაც მხურვალედ შეჰფიცა, რომ სიკვდილამდე მისი ერთგული მეუღლე და ესოდენ განუზომელი ერთგულებისა და თავგანწირვის დამფასებელი იქნებოდა.

მეორე დღეს აიეტმა გაქცეულებს და გამტაცებლებს კოლხთა ფლოტი და ლაშქარი დააედევნა, თავისი ძის, უფლისწულ ა ფ ს ი რ ტ ე ს სარდლობით.

მაგრამ ბერძნებმა კვლავ იხსნეს თავი. აფსირტე ვითომდა მოსალაპარაკებლად მიიტყუეს და მუხანათურად მოჰკლეს (ჩასაფრებულმა იასონმა აძგერა ზურგიდან მახვილი).

ბოლოს და ბოლოს, დიდი გაჭირვებით, ისევ მედეას გრძნეულ ჭკუის მეოხებით, ბერძნები ძვირფასი „კოლხური ნადავლით“, საბერძნეთს დაბრუნდნენ.

ათი წელიწადი იცხოვრა მედეამ უცხოობაში. თავს ბედნიერად გრძნობდა, რადგან ჰქონდა ოჯახი — ჰყავდა ორი ძე და ესვა „ერთგული ქმარი“.

მაგრამ ერთ დღეს საშინელი ამბავი შეატყობინეს: იასონი თურმე ცოლად ირთავდა სხვა ქალს, კორინთოს მეფის ერთადერთ ასულს, სახელად კ რ ე ო ს ა ს.

ნათელი იყო მოღალატე ქმრის განზრახვა: იგი კრეუსაზე დაქორწინებით მეფის გვირგვინს იდგამდა თავზე.

დიდხანს იტირა მედეამ მიტოვებული ქალის სიმწარით. მაგრამ ძლიერი სული ბრძოლას ტირილით არ დაასრულებს. მან გადაწყვიტა შურისძიება. მოღალატე ქმარს შენიღბული სიმშვიდით შეხვდა და დაარწმუნა, რომ იგი შეურიგდა თავის მწარე ხვედრს. მერე, ერთი ძვირფასი წამოსასხამი და ოქროს გვირგვინი იასონს ჩააბარა — ეს საჩუქრები შენს ახალ საცოლეს ძღვნად მიართვიო.

იასონი თავისი ვაჟებით სასახლეში მივიდა. კრეუსას საჩუქრები სწორედ ბავშვებმა გადასცეს, მამის ბრძანებით — აქაოდა, როგორც იასონი ფიქრობდა, საჩუქრების ასე მირთმევით, კრეუსა უფრო ლმობიერად მიიღებსო გერებს.

კრეუსამ ძღვენი მაშინვე ჩამოართვა ბავშვებს, მაშინვე ის წამოსასხამიც მხრებზე წამოისხა, ის გვირგვინიც თავზე დაიდგა და უმალვე ცეცხლი მოედო. შვილის წიოკობაზე მეფეც გამოიკრა, მივარდა და ცეცხლი იმასაც მოედო. მამა-შვილი საშინელი წამებით დაიხოცნენ.

ეს მოხდა და დაღუპულთა ნათესავნი, იქ მდგარი კორინთელი კარისკაცნი, ყველანი მედეას ბავშვებისკენ გაექანენ. ბავშვები გაიქცნენ და იქვე მდგარ ტაძარში შეცვივდნენ, ქალღმერთის ქანდაკებას შემოეხვივნენ და შემწეობა სთხოვეს.

ყველამ იცოდა, რომ ტაძარში არამცთუ ადამიანის მოკვლა, უბრალოდ ხელის შემოკვრაც უმძიმესი ცოდვა იყო. მაგრამ კორინთელები ტაძარში მაინც შეცვივდნენ და მედეას ბავშვებს ზედ საკურთხეველზედვე ყელები გამოსჭრეს...

ამ ამბიდან განვლო მცირე დრომ. კორინთელებს ტაძარში ბავშვთმკვლელობის მარად წაუშლელი სისხლიანი სახელი დარჩათ, ხოლო მედეას — უმაგალითოდ ტანჯული, გლოვაშემოსილი წუთისოფელი. იგი ათენში ცხოვრობდა ერთხანს; მერე, თითქოს, კოლხეთში დაბრუნდა...

აღარ ვიცით, როგორ დაასრულა თავისი წამებული სიცოცხლე „მზის შვილიშვილმა“.

ხოლო, მისი დიადი მამის, მზიური ხელმწიფის აღსასრულს გვამცნობს მისივე საფლავის ქვაზე ამოტვიფრული ეპიტაფია:

აიეტი, ოქრომრავალ კოლხთა მეუფე,
აქ გაუპატიოსნა ღმერთთა
ყოვლისდამთრგუნველმა ბედისწერამ.

მაშ, დგას ქრისტესშობამდელი XVI, თუ XV საუკუნე.
კვლავაც შეიმუსრებიან საუკუნენი.

გაიელის ათასი წელიწადი და საბერძნეთში დაიბადება დიდი მწერალი-ტრაგიკოსი, ევრიპიდე, რომელიც თავისი მხატვრული აზროვნების მთავარ მოტივად ქალის ბუნების გახსნას აირჩევს. ყველა მისი ტრაგედიის მთავარი გმირნი გასაოცრად ქარიშხლიანი ემოციების მქონე ქალები იქნებიან. მათ არ ეცოდინებათ ზღვარი არცა სიყვარულში, არცა სიძულვილში, განსაკუთრებით კი — შურისძიებით მძვინვარებაში.

და აი, ევრიპიდე ხელთ იღებს მისგან ათასი წლის წინანდელ კორინთოში დატრიალებულ ტრაგიკულ ამბავს და თავის „ქალთმოძულურ შემოქმედებით ქვაბში" ჩაუშვებს ხელახალი „გადახარშვისა" და გარდასახვისთვის.

და ასე გაჩნდება მსოფლიო ლიტერატურაში სახელგანთქმული ტრაგედია „მ ე დ ე ა", რომელშიც მეფე აიეტის ასული, — კორინთელები კი არა — თვითონ ჰკლავს თავისი ხელით საკუთარ შვილებს!..

მაგრამ შევჩერდეთ. ეს „ცოდვა" ევრიპიდეს კისრად დავტოვოთ. ჩვენ კი კვლავ ათასი წლით უკან დავბრუნდეთ, კვლავაც „მოსეს ეპოქაში", ანუ მის თანადროულ „მინოსის ეპოქაში", ანუ ორივეს თანადროულ „აიეტის ეპოქაში".

და ამ „სამსახოვან ერთარსება ეპოქაში", კვლავ მივეახლოთ იმ ადგილს, სადაც უდგას ებრაელი ერი მის ახალ მოძღვარს, იესო ნავინს.

8. იესო ნავინ

მაშ, ეგვიპტელ, ანუ მონადყოფილ ებრაელთაგან ცოცხალი აღარავინ დარჩენილიყო. ახლა მდინარე იორდანეს აღმოსავლეთიდან მისდგომოდა ახალთაობა ძეთა ისრაელისათა, — თაობა, ნაშობი თავისუფლებაში, ნაწრთობი შიმშილ-წყურვილით და მძვინვარე მზით გათანგულ უდაბნოებში ხეტიალით, და, რაც მთავარია, ახალი ერი, ნაზარდი და ნაწრთობი ღვთაებრივი მოძღვარისაგან, ერი — ერთიანი სულით, ერთიანი გულით, ერთიანი რწმენით, ერთიანი მისწრაფებებით.

ხოლო, ყველა ეს ერთად, ეს განუჭრელი და განურღვეველი ერთიანობა, მიმართული იყო იორდანეს გადაღმა გადასალახავად.

გადაღმა კი, ქანაანში, არავითარი ერთიანობა არ არსებობდა, პირიქით — იქ სრული დაქუცმაცებულობა და ურთიერთ მტრობა სუფევდა. იქ ყოველი ქალაქი ცალკე ხალხად და ცალკე სამეფოდ გრძნობდა თავს, და ასეთი ცალკეული „ხალხი" და „სამეფო" ამ პატარა ქვეყანაში ოცდაათს აჭარბებდა.

პირველი მნიშვნელოვანი პუნქტი, რომელიც სალაშქროდ შემართულ ისრაელობას იორდანეს გადაღმიდან თვალსა სჭრიდა, ეს იყო ქალაქი ი ე რ ი ქ ო ნ ი და მისი მრავალნაყოფიერი, პალმებით, ბაღებით და ყვავილნარებით

აღვსილი ველი. ეს პირველი შეტევა და იერიში ფრიად საფრთხილოც უნდა ყოფილიყო, რამდენადაც იერიქონს გარს ერტყა მაღალი და მტკიცე ციხეგალალავანნი.

იესო ნავინს, მოსეს დატირების დასრულებიდან სამი დღის განმავლობაში, შიტიმის ბანაკში უკვე ყველაფერი გაემზადებია სალაშქროდ. წინა დღით მან გამოუცხადა რეუბენისა და გადის ტომებს მთლიანად და მანასეს ტომს სანახევროდ: თქვენ მოსემ გიანდერძათ დაიკავოთ იორდანეს აღმოსავლეთ მხარის მიწები, ახლა თქვენი ცოლშვილი და საქონელი ბარემ დატოვეთ და დაამკვიდრეთ ამ მიწებზე, მაგრამ ბრძოლისუნარიანი მამაკაცები თქვენგანაც უნდა შემოგვიერთდნენ იორდანეს გადალმა მიწების დაპყრობისათვის ლაშქრობაშიო.

რეუბენელ-გადელ-მანასელებმაც ერთხმად უპასუხეს მთავარსარდალს: რასაც შენ გვიბრძანებ, შევასრულებთ და საითაც გაგვაგზავნი, იქეთ გეახლებითო. შენც ისე მოგისმენთ, როგორც მოსეს ვუსმენდით, და, ვინც შენს ბრძანებას არ შეასრულებს, ჩვენ იმას სიკვდილს მივცემთო.

მაშ, შიტიმის ბანაკი მზად იყო იორდანეს გადალახვისთვის. იესო ნავინს უკვე მსტოვრებიც გაეგზავნა იერიქონის დასაზვერავად. ნაზვერალიც მობრუნდა: იერიქონი თავზარდაცემული, პანიკით მოცული და, ამდენად, მოუმზადებელი ელოდა მტრის შემოსევას.

იესო ნავინმა იერიში ბრძანა. ორმოცი ათასიანი ისრაელური ლაშქარი დაიძრა დასავლეთისკენ. წინ კიდობანი სჯულისაი მიუძღოდათ, სამღვდელოთა თანხლებით, ლევიტელთა ხელით ატატებული.

იორდანე გადალახეს. თორმეტი ტომისგან თორმეტმა მეთაურმა იორდანეს ფსკერიდან თითო ქვა გაიტანა ამ საისტორიო დღის მარადსახსოვრად, თაობიდან თაობაში გადასაცემად. ცალკე კიდევ თორმეტი ლოდი მთავარსარდალმა გაატანინა იორდანედან და იქვე, მდინარის დასავლეთით, ძეგლად აღამართვინა, „სახსენებლად ძეთა ისრაელისათა მიუკუნისამდე“.

იქვე იესო ნავინმა მოახდინა მოპირული ქვებით ხელმეორე წინდაცვეთა მთელი სამხედრო ბანაკისა. ეს იყო სიმბოლური გააზრება „ეგვიპტიდან წამოყოლილი სირცხვილის“ ერთხელ და სამუდამოდ წარხოცვისა. ამიტომაც ამ ადგილს ებრაელებმა უწოდეს გ ი ლ გ ა ლ („წარხოცვა“).

აქვე პასექის დღემაც მოუსწრო, მეთოთხემეტე დღეს ნისანისა, და პასექიც იდღესასწაულეს.

ამასობაში ქანაანელნი თითქოს ამთქნარებდნენ და მტრის შემოსევის საშიშროებას ვერ აფასებდნენ. თვითონ იერიქონი რაღაც გაჩხიბულივით სდუმდა და არ იძვროდა. ოღონდ ქალაქის მიუვალი კედელ-ზღუდენი თუ აძლევდა ურყეველ იმედს იერიქონელებს.

იესო ნავინს კი უკვე დაეძრა თავის ლაშქარი გილგალიდან. წინ ისევ მიუძღოდათ კიდობანი აღთქმისაი. კიდობნის წინ კიდევ შვიდი ქურუმი მიდიოდა, შვიდივე საზეიმო საყვირით ხელში.

მივიდნენ. ქალაქს გარეთ ბაიბური არ დახვედრიათ, მაგრამ მაღალი ბასტიონებით შემორაგეული ქალაქის აღება მართლაც შეუძლებელი ჩანდა.

იესო ნავინმა, წინასწარი დაზვერვით, ესეც იცოდა და შესატყვისი საომარი განაზრახიც მოფიქრებული ჰქონდა.

დაიწყო ქალაქის შემოვლით: წინ შვიდი ქურუმმთავარი მიდიოდა, საყვირთა ცემით, მათ მიყოლებით კიდობანი აღთქმისაი მიჰქონდათ ლევის ნაშიერთ და შემდეგ, მწყობრი, სალაშქრო სვლით მისდევდათ სრულიად ლაშქარი.

ექვსი დღე ასე ურბინეს გარშემო იერიქონს ძეთა ისრაელისათა, საყვირთა განუწყვეტელი, სულისშემარყეველი ცემით და სალაშქრო ნაბიჯის დაგადუგით, ანუ — ერთდროულად, ცისა და მიწის „რყევით". მეშვიდე დღეს კი, იესო ნავინის ნიშანზე, მესაყვირე ქურუმებმა საყვირის ცემა სრულის დატვირთვით გაამძლავრეს და მათ ამაზრზენ ზრიალს ჯარმაც გამაყრუებელი ყიჟინა და ბღავილი შეუერთა.

იერიშიც ყოველის მხრიდან დაიწყო. იერიქონელები, საშინელი, „ზეციური ზრიალით" სულგანრღვეულნი, ხელგაუნძრევლად შეეგებნენ მძინვარე მტერს. ებრაელებმა კედლები გადალახეს, კარიბჭეები დახსნეს და დალეწეს. შეიჭრნენ, მთელ ქალაქს მოედვნენ და, ერთი მეძავი ქალის (სახელად რ ა ხ ა ბ, რომელმაც დახმარება გაუწია იესო ნავინისგან გაგზავნილ მზვერავებს) სახლის გარდა, არცერთი სახლი დაუნგრეველი არ დატოვეს. მთელი მოსახლეობაც დიდიან-პატარიანად ამოჟლიტეს. ყოველივე ადგილობრივი, იერიქონული, დასწყევლეს და შეაჩვენეს. დასწყევლეს ისიც, ვინც სამომავლოდ განიზრახავდა „უფლის ჯარისგან" დანგრეული იერიქონის ადგილზე ახალი ქალაქის აშენებას.

იერიქონის ჩრდილოეთით, სამი საათის სავალზე, ბეთელის აღმოსავლეთით, იყო მცირე ქალაქი ჰ ა ღ ა ი, რომლის ახლოს ოდესღაც უფლის საკურთხეველი აღემართა აბრაამს.

და იესო ნავინმა ახლა ჰაღაის დასაზვერავად გაგზავნა მსტოვარნი. — ქალაქი მცირეა, მცირე ხალხით დასახლებულია, — მოიტანეს ნაზვერალი მზვერავებმა — ამიტომ მთელი ლაშქრის გაგზავნა საჭირო არ არის, ორი-სამი ათასი მეომარიც საკმარისი იქნება მის დასაპერყრობად.

და გაგზავნა იესომ სამი ათასი მეომარი ჰაღაის დასაპყრობად. მაგრამ გამოუხტნენ ჰაღაელნი, შემოებნენ სასტიკი ხმალთაკვეთებით, იმ სამი ათასი მიმხვდურიდან ბევრი მოჰკლეს, დანარჩენები გამოაქციეს და ღამის ებრაელთა მთავარ ბანაკამდეც მოსდიეს.

ამ მარცხმა მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ისრაელებზე: „შეძრწუნდა გული ერისა მის და იქმნა, ვითარცა წყალი"; თვითონ იესო ნავინმა „ჩამოიპო სამოსელი თვისი და დავარდა ქვეყანასა ზედა პირსა ზედა თვისსა წინაშე უფლისა მიმწუხრამდე". დანარჩენი სამღვდელო და სამხედრო მეთაურებიც დაემხნენ უფლის კიდობნის წინაშე და „გარდაისხეს მიწაი თავსა ზედა მათსა".

ტანსაცმლის „დაპობა“ და თავზე მიწის ყრა საქმეს რას უშველიდა და, ისევ საომრად დააყენა იესო ნავინმა ისრაელთა ბანაკი. ჯარი ორად გაპყო, ერთი ნაწილი გზაზე ჩაასაფრა, მეორეს თვითონ წარუძღვა და ისევ ჰაღაისკენ წარემართა. მიუახლოვდნენ თუ არა, გამოუხტნენ ჰაღაელნი, პირველი გამარჯვებით გალაღებულნი. პირველ დატაკებისთანავე უკუიქცნენ ებრაელნი. ისევ გამოედევნენ ჰაღაელნი გამოქცეულებს. მაშინ ჩასაფრებულ ებრაელთა ნაწილი ერთბაშად გაჩნდა თითქმის დაცარიელებულ ქალაქში. ნავინს გამოდევნებული ჰაღაელები თავის შეცდომას და მტრის ხრიკს მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, როცა მოიხედეს და მათი ქალაქიდან ავარდნილი ალი იხილეს. იესო ნავინმაც უმალვე შეატრიალა მახვილი მტრისკენ. სულ მალე, ორმხრივი იერიშების ქვეშ მოქცეული ჰაღაელნი, თორმეტი ათასამდე სულნი, სრულიად გაიჟლიტნენ. ჰაღაის მეფეც ებრაელებმა ტყვედ აიყვანეს. იგი, ნავინის ბრძანებით, ჯერ ხეზე ჩამოაბრჩვეს, მერე ჩამომხრჩვალი ჩამოხსნეს, გადამწვარი ჰაღაის კარებთან დააგდეს და მას ზედა ქვათა დაკრებით უზარმაზარი ტაგრუცი აღმართეს.

ამის შემდეგ, ბეთელი აიღეს ეფრაიმიტებმა, თვითონ იესო ნავინის თანატომელებმა.

კვლავ შიშმა და დაბნეულობამ მოიცვა ქანაანის ტომები. ერთ ხანს, თითქოს, კავშირის შეკვრას აპირებდნენ ისრაელის უკუსაგდებად აქაურები — ქანაანელნი, ქეტელნი, ამორეველნი, გერგესეველნი, ფერეზელნი, ეველნი და იებოსელნი, მაგრამ მაინც სძლია შიშმა საერთო მტრის წინაშე და საერთო მტრობამ ურთიერთ შორის. ამიტომ უმრავლესმა მათგანმა, ან გაქცევა და მშობლიური ქალაქის სამტრო ნადავლად დაგდება არჩია, ან უსისხლოდ დანებება და ფონად თვითჩაბარება. მცირენი დარჩნენ, ვინც ბრძოლას არ გაექცა, ან თავის გადარჩენა საომარი ხერხით სცადა.

ცბიერ ხერხს მიმართეს ეველთა ქალაქის, გ ა ბ ა ო ნ ი ს მცხოვრებლებმა: მათი ელჩები ებრაელთა ბანაკს დახეული შესამოსელით და ხმელა პურით ეახლნენ და შეატყობინეს — ჩვენ ისე შორს ვცხოვრობთ, ამხელა გზაზე ტანსაცმელ-ფეხსაცმელიც შემოგვაცვდა და საგზალიც გაგვითავდაო, და თუ ასეთ ხალხთან კავშირს ინებებთ, ჩვენც გთავაზობთ, მოკავშირეებად მიგვიღოთო.

იესო ნავინი დათანხმდა და შეკრა გაბაონის ეველებთან ზავი და კავშირი. მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ გაბაონელნი ტყუოდნენ: თურმე გაბაონიც და ეველთა კიდევ სამი ქალაქი — ქეფირა, ბეეროთი და კირიათიეყარიმი — სამი დღის სავალზე ყოფილა და არა ქვეყნის დასალიერზე.

გაჯავრდა იესო ნავინ და ეს უთხრა რისხვეულად გაბაონელებს: რაკი უფლის წინაშე ფიცი გვითქვამს, ამის გამო სიკვდილს ვერ შეგყრით. მაგრამ რაკი ეგრე მოგვატყუეთ, ამიერიდან იყავით წყეულნი და დაუსრულებლად სჩეხეთ შეშა და ზიდეთ წყალი ჩემთვის და ჩემი საუფლო სახლისათვისო.

ამის შემდგომ დიდხანს არ გაუვლია და ხუთ ამორეველ მეფეს — ადო-

ნიცედეკ იერუსალიმელს, ჰოჰამ ხებრონელს, ფირამ იარმუთელს, იაფიაყ ლაქიშელს და დებირ ეგლონელს — ურთიერთ კავშირის შეკვრა მოუხერხებიათ და დაძრულან თავიანთი ძალებით გაბაონის, როგორც ებრაელთა მოკავშირის დასასჯელად.

გაბაონელებმა მალემსრბოლნი აფრინეს გილგალს, ებრაელთა ბანაკში, — არიქა, გვიშველეთ, ხუთი ამორეველი მეფე შემოგვესია, თქვენი სამსახურის გამო ამოწყვეტას გვიპირებენო, — შეატყობინეს იესო ნავინს.

მაშინვე გაიყვანა იესომ ლაშქარი სალაშქრო გზაზე, მთელი დღე-ღამე შეუჩერებლად იარა და უკვე გაბაონზე საიერიშოდ მიმდგარ მტერს უეცრად დაეცა თავზე. დაფრთხნენ და უკუიქცნენ ამორეველნი. გამოედევნენ ებრაელნი. მტრის დევნა-ხოცვის ჟამს, თითქოს, იესო ნავინმა შესძახა: „შესდექ, მზეო, გაბაონზე, და, მთვარეო, აიალონის ველზე!“ რათა დრო მოვიგო და მტერი სრულად ამოვწყვიტოო. და, ვითომ, უფალმაც უსმინა ისრაელი სარდლის თხოვნას, რამეთუ „დადგა მზე და იდგა მთოვარე“, ვიდრემდის ძეთა ისრაელისათა საკუსებით არ გაეტლიტეს ამორეველნი. მასთან, ხუთივე ამორეველი მეფე, რომლებიც გამოქვაბულში ჩამალულიყვნენ, იქედან ამოათრიეს და გამარჯვებულ ებრაელ სარდალს მიჰგვარეს და წინ დაუყარეს. იესომ თავისი თანამებრძოლი მეთაურები გამოიყვანა და ძირს დამხობილ ამორეველ მეფეთა კისრებზე ფეხები დაადგმევინა. ამის მერე ხუთივე ხეებზე ჩამოჰკიდა, ხოლო მიმწუხრისას, ჩამომხრჩვალნი ჩამოახსნევინა და ისევ იმ გამოქვაბულში ჩააყრევინა, სადაც მათ მანამდე სიცოცხლის გადასარჩენად თავი შეეფარებინათ.

ამის შემდეგ იესო ნავინმა აიღო ქალაქი მ ა კ ე დ ა, სრულად დაანგრია და ამოწყვიტა, მისი მეფეც მახვილით სიკვდილს მისცა.

მერე ლ ი ბ ნ ა და ლ ა ქ ი შ ი აიღეს ებრაელებმა ზედიზედ. ეს ქალაქებიც მიწასთან გაასწორეს, მათი მოსახლეობაც, მათსავე მეფეებთან ერთად, სრულად გაწყვიტეს.

ამას მოჰყვა ებრაელთაგან დაპყრობანი, დაქცევანი და დაწყევლანი — ეგლონისა, ხებრონისა, დაბირისა და სრულიად ჩრდილოეთ ქანაანისა. არსად არცერთი არ შეირიგა იესო ნავინმა. ყველა ქალაქისა და ხალხის მეფე სიკვდილს მისცა, სულ — „მეფენი ოცდათერთმეტ“.

მაშ, „აღთქმული ქვეყანა“ ძირითადად უკვე ხელთ ეპყრათ ძეთა იაკობ-ისრაელისათა. და, იესო ნავინმა განასრულა უკანასკნელი დიდი აქტი: ქალაქ ს ი ლ ო ა მ ს (შილო), სკინია საკრებულო საწამებელისა და სჯულის კიდობნის წინაშე, მან მოახდინა კენჭისყრა თორმეტ ტომს შორის, ამიერიდან მარად სამკვიდრებელი მიწების განაწილებით.

და ამ დღიდან განსახლდნენ და დამკვიდრდნენ ძენი ისრაელისანი, ტომ-ტომად, ანუ მუხლად-მუხლად:

იორდანეს აღმოსავლეთ მხარეზე, სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ — რეუბენი, გადი, ნაწილი მანასესი, ნაწილი დანისა.

იორდანეს და მკვდარი ზღვის დასავლეთ მხარეზე, სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ — სიმონი, იუდა, ბენიამინი, ნაწილი დანისა, ეფრემი, ნაწილი მანასესი, ისახარი, ზებულონი, აშერი, ნაფთალი.

მაგრამ იესო ნავინს ფეხი მოხუცებულობაში შეედგა, აღთქმული ქვეყნის დიდი ნაწილი კი ისევ დაუპყრობელი რჩებოდა. უმეტესად, აქ იგულისხმებოდა ტერიტორიები ხმელთაშუა ზღვის მხარეს, ქანაანის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მიწები, სადაც იმჟამად ცხოვრობდნენ ფ ი ლ ი ს ტ ი მ ე ლ ე ბ ი („ფლიშტიმ").

ფ ი ლ ი ს ტ ი მ ე ლ ე ბ ი ქრისტეშობამდე XIII საუკუნის ბოლოს ხმელთაშუა ზღვიდან შემოჭრილი „ზღვის ხალხების" ერთ ნაკადს წარმოადგენდნენ. ისინი მოვიდნენ რკინის იარაღით (სამუშაოც და საომარიც) და ადგილობრივთათვის ყველაზე საშიშ ძალას წარმოადგენდნენ. მათ ქანაანის სამხრეთ-დასავლეთი, ნაყოფიერი ზღვის განაკიდურით, უკვე მტკიცედ დაეპყროთ და, თავიანთი სახელწოდების („ფლიშტიმ", „პელეშტიმ") მიხედვით, საერთოდ ქვეყნისთვისაც უკვე დაემკვიდრებინათ, ახალი სახელი — პ ა ლ ე ს ტ ი ნ ა, რომელიც სულ მალე წაშლის კიდეც ძველ სახელს — ქანაანს.

უკვე საქვეყნოდ გაეთქვა სახელი ფილისტიმელთა „საქალაქო ხუთეულს": ღ ა ზ ა, ა ზ ო ტ ი (აშდოდი), ა შ კ ე ლ ო ნ ი, გ ე თ ა (გათი), ა ვ ვ ა.

ფილისტიმელთა ჩრდილოეთით, ხმელთაშუა ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ცხოვრობდნენ ფ ი ნ ი კ ი ე ლ ე ბ ი, მთელს მსოფლიოში განთქმული ვაჭრები, ხელოსნები, ზღვაოსნები (ძველი მსოფლიოს „ზღვათა მეეტლენი") და კოლონიათა მაშენებელნი. მსოფლიო ვაჭრობისა და ზღვაოსნობის ცენტრებად ითვლებოდნენ ფინიკიური ქალაქები — ტ ვ ი რ ო ს ი, ს ი დ ო ნ ი, ბ ი ბ ლ ო ს ი, ა რ ვ ა დ ი, უ გ ა რ ი ტ ი (აქაც „ხუთეული").

ფინიკიელთა აღმოსავლეთით და ქანაანის ჩრდილოეთით, ლიბან-ანტილიბანის მაღლობები ეჭირათ ა რ ა მ ე ვ ე ლ ებ ს. ამათ სამხრეთ-აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ ყ ა მ ო ნ ი ტ ე ლ ნ ი, უფრო სამხრეთით — მ ო ა ბ ე ლ ნ ი, ხოლო ამათგან სამხრეთ-დასავლეთით, მკვდარი ზღვის ქვემოთ — ე დ ო მ ე ლ ნ ი (იდუმეელნი).

აი, ხალხები, რომელთა დამორჩილება ვერ მოასწრო, ან ვერ შეძლო იესო ნავინმა. საკუთრივ ქანაანი კი უკვე ეჭირათ ებრაელებს — ქანაანი, პალესტინა, „აღთქმული ქვეყანა".

იესო ნავინის აღსრულების დღეც დამდგარიყო.

იგი მაშინ შეხემს იყო, იქ, სადაც იდგა სკინია საწამებელი, კიდობანი სჯულისაი და საკურთხეველი უფლისაი.

შემოეყარა ძენი ისრაელისანი მოსეს მემკვიდრეს. მოსეს მოძღვრებითვე მოძღვრავდა ერს უკანასკნელად. უფლისადმი სამსახური არ გაანელოთო, — შეაგონებდა იგი — თორემ ღმერთი წმიდაც არის და შურისმგებელიც და მწარედ დაგსჯით ყოველი ცოდვისა და უსჯულოებისათვის. უკეთუ დაუტოვებთ

უფალსა თქვენსას და შეუდგებით უცხოთა ღმერთებს, უფალი დაგსჯით უსამ-ტიკესად, მოგსრავთ, რამეთუ ბოროტ უყავით კეთილისათვის.

„არა, არა, ჩვენ ვმსახურებთ უფალსა ჩვენსა!" — იბღავლა ხალხმა.

მოწმენი თქვენი სიტყვისა თქვენ თვითონ იქნებითო, — სიტყვა გადაუბა იესომ — რამეთუ თქვენ თვითონ აირჩიეთ თქვენი უფალი სათაყვანოდ და სალოცავად.

„უფალსა ვმსახურებდეთ და ხმისა მისისა ვისმინოთ!" — ისევე იყვირა ჯა-მაათმა.

მაშ, ისევ დავდვათ აღთქმა იეჰოვას წინაშეო, — სთქვა იესომ — აი, ისევ თქვენი შჯული და სამართალი, მოსეს ხელით უფლისაგან დანატოვარი. და, აიღო უზარმაზარი ქვა და დახდო იქვე, მუხის ქვეშ, უფლის საკურთხევლის მახლობლად.

აჰა, ქვაი ესე იყოს მოწამე ჩვენ შორის, რამეთუ ამას ესმოდა დღეს ყო-ველი სიტყვა ღვთისგან ნათქვამი, და იგი იქნება მოწმე წუთისოფლის აღსას-რულამდე, უკეთუ იცრუეთ უფლის წინაშე.

დაასრულა და გაუშვა ერი იესომ.

მარტო დარჩა.

და აღესრულა — იეშუა, ანუ იესო, ძე ნავინისა, „მონაი უფლისა, ას და ათ წლისა".

დაკრძალეს იგი მის სანაწილე მიწასა შინა, თიმნათ-სერახში, ეფრემის მთაზე, ჩრდილოეთით გაყაშის მთისა. დაფლეს და საფლავსა შინა თან ჩააყო-ლეს მოპირული ქვის დანები, რომლებითაც, მისი ბრძანებით, ძეთა ისრაელი-სათა წინადაიცვითეს გილგალს დგომისას, იერიქონზე ლაშრობის წინ.

0. ღ ო თ ო ნ ი ე ლ

იესო ნავინს მისი ანდერძი საფლავში ჩაჰყვა. ებრაელი ტომები ცხოვრე-ბას იწყებენ დაქსაქსულად და კარჩაკეტილად. ზურგი აქციეს იეჰოვას ერთ-ღმერთიანულ, ერის შემაკავშირებელ მოძღვრებას და მის ნაცვლად შეუდგნენ ადგილობრივ, ლოკალურ კერპთა თაყვანისცემას. გამორჩევით, ბ ა ა ლ ი ს და ა ს ტ ა რ ტ ა ს პატივგებასა და მონობას შესდგომოდნენ ტომნი ისრაელი-სანი — ფინიკიელი და ქანაანელი გარყვნილი და გამრყვნელი კერპებისას.

იესო ნავინის სიკვდილმა და ებრაელთა დაქსაქსულობამ გაათამამა მეზობ-ლები, და პირველნი, ვინც ქანაანში ახლადმოსულთა წინააღმდეგ იარაღი აი-ღეს, იყვნენ სამხრეთელი ედომელნი, მათი მეფის, ხ უ შ ა ნ ი ს მეთაურო-ბით.

და შემოესივნენ ედომელნი (იდუმეელნი) მათ მეზობლად დასახლებულ ორ ებრაულ ტომს, სიმონს და იუდას, დაამარცხეს და რეა წელიწადი ჰყავდათ მორჩილად და მოხარკედ.

მხოლოდ მეცხრე წელს, ღოთონიელის (ათნიელ) მეთაურობით, სიმონელებმა და იუდეველებმა სასტიკად დაამარცხეს მეფე ხუშანი, მისი ჯარები, და თავი დაიხსნეს ედომელთა უღლისაგან.

ამდენად, ღოთონიელი იყო პირველი, რომელსაც, ვითარცა ბელადსა და განმათავისუფლებელს, ეწოდა „მსაჯული" (ებრ. „შოპეგ", „შოფეტიმ"),— მმართველისა და სჯულმდებლის უფლებებით, მაშასადამე, ერთდროულად საერო და სასულიერო გააზრებით.

თუმცაღა თვითონ ღოთონიელის სახელმა ფართო გავრცელება და აღიარება ვერ ჰპოვა საერთოდ ებრაელ ხალხში, — იგი მხოლოდ ლოკალურ გმირად დარჩა სიმონისა და იუდას ტომებში.

საერთოდ ებრაელობა კი განაგრძობდა თავისი უფლის უარყოფას, ბაალ-ასტარტას თაყვანისცემას და საერთო ეროვნულისაგან ტომობრივ განკვეთასა და წვრილმანი, ყოფითი ცხოვრებით „თვითჩამწყვდევას".

10. აჰუდ

ისევ წარმატებით სარგებლობდნენ ებრაელთა დაქსაქსულობით და მორალური მოშლილობით მათი მეზობლები. ამჯერად მოაბის მეფე ეგლონი შემოესია ჯარებით იორდანესა და მკვდარი ზღვის აღმოსავლეთით დამკვიდრებული რუბენისა და გადის ტომებს. მოაბელთა გარდა, ყამონელთა და ყამალეკელთა ჯარებიც ახლდა მოკავშირეებად ეგლონს ამ შემოსევის ჟამს.

დამარცხდნენ და დაემორჩილნენ მონობის წილხვედრს რუბენიტები და გადიტები. ეგლონმა ეს არ იკმარა და იორდანეც გადალახა, მკვდარი ზღვის შესაყართან. გადალახა და ბენიამინის აქაურ ტომს შეება. ბენიამინელებიც დამარცხდნენ და შეურიგდნენ უცხო ძალის მორჩილებას.

თვრამეტი წელი იბატონა მოაბის მეფემ ამ სამ ებრაულ ტომზე, იორდანეს ორივე მხარეს. მერე ისევ „შეიბრალა უფალმა თავისი ხალხი", და გამოჩნდა ახალი გმირი, ახალი „მსაჯული", მეთაური და მხსნელი თავისი ხალხისა.

ეს იყო აჰუდ, ანუ ეჰუდ, ბენიამინის ტომისაგან. იყო ცაცია, ანუ „კაცი ორივეა ხელით მარჯუენე". ერთ დღეს იგი თვითონ მიუძღვა შეწერილ „ძღვენს" (ხარკი, მეფის სასახლეში. თვითონ, ერთი ერთზე, შეხვდა ეგლონს.

შარცხენა ხელით იშიშვლა მახვილი და მეფეს შიგ გულში გაუყარა და შიგვე შეატოვა. საფარბაზო კარი გადაკეტა და კუტი კარით გაიპარა.

მეფის მოულოდნელმა სიკვდილმა თავზარი დასცა მოაბელებს. აჰუდმა მტრის დაბნეულობით ისარგებლა და მანამდე გამზადებული ბენიამიტებისა და ეფრემიტების ჯარი საომრად დასძრა. იორდანეს შესართავი გადაკეტეს ებრაელებმა და პანიკით უკუქცეული მოაბელნი — ათი ათასამდე კაცი — სრულად ამოწყვიტეს.

ამის შემდგომ ოთხმოცი წელიწადი მშვიდობით იცხოვრა ისრაელმა. თუმცა, ეტყობა, რაღაც შეტაკებანი მაინც უნდა მომხდარიყო ებრაელთა და ფილისტიმელთა შორის. ამაზე მეტყველებს თქმულება შამგარზე, ისრაელ გმირზე, რომელმაც მარტოდმარტომ, გუთნის სახელურით, ექვსასი ფილისტიმელი გაწყვიტა.

11. დებორა

ჩრდილოეთ ქანაანში ახალი ძალა აღიმართა ისრაელთა დასამხობად და დასამონებლად. ეს იყო ასორის (ხაცორ) მეფე იაბინ, და მისი სარდალი სისარა, რომელიც თავის რკინის ეტლებით და ეტლოსანი მეომრებით, შიშის ზარს სცემდა ოდენ მშვილდ-ისრებითა და შურდულებით აღჭურვილ ებრაელებს.

„არა არს მეთაური, არა არს ბელადი მთელს ისრაელში“, — სუფევდა ზარტეხილით აღსავსე ძახილი ებრაელთ შორის.

მაშინ ახალი უცნაური „მსაჯული“ გამოუჩნდა თითქოს „გამწყრალი უფლისგან“ დასალუპად განწირულ ისრაელებს. ეს იყო ქალი, სახელად დებორა, ცოლი ლაპიდოთესი, — ქალი ზენასოფლური, წინასწარმეტყველი, პოეტი და მგალობელი.

თითქოს, უფალს ისევ მობრუნებოდა გული თავისი „რჩეული ერის“ გადასარჩენად, რაკიღა მოეელინებია მისთვის, მისი მხსნელი — „დედა ისრაელში“.

და, იდგა დებორა ეფრემისა და ბენიამინის ტომთა საზღვარზე, რამასა და ბეთელს შორის, დიდი პალმის („დებორას პალმა“) ქვეშ, და ასწავლიდა, განიკითხავდა ძეთა ისრაელისათა, რომელნიც უწყვეტ ნაკადად მოდიოდნენ მასთან საკითხავად, საჯოდ, სარჩევად, საპირადო თუ საერო ცხოვრების გზათასაჩვენებლად.

მთავარი სარჩევი და საკითხავი მაშინ სწორედ ერის გადარჩენა იყო, მასზე ამხედრებული იაბინ-სისარასაგან.

მაშინ გამოიწვია დებორამ კ ე დ ე შ-ნ ა ფ თ ა ლ ი დ ა ნ მამაცი ბ ა რ ა კ, ძე აბინოყამისი, და უბრძანა, სახელითა უფლისათა: წადი თ ა ბ ო რ ი ს მთაზე და შემოიყარე ათი ათასი მეომარი, ძეთაგან ნაფთალისა და ზებულონისა, და იქიდან, ქვემოთ, კიშონის ხევში, გზა გადაუჭერ იაბინ მეფის სარდალს, სისარას, და მის ჯარებს, ეტლოსნებს, და გამარჯვება შენი იქნება.

ბარაკმა კი ეს უპასუხა დებორას, მოკლედ და მტკიცედ: უკეთუ შენ თვითონ წამოხვალ ჩემთან — წავალ, უკეთუ არ წამოხვალ — არ წავალ!

და წაჰყვა დებორა ბარაკს.

„ისრაელის დედის“ გამოჩენამ მართლაც ფეხზე დააყენა ქანაანელთაგან დაბრიყვებული ნაფთალიტები და ზებულონიტები. ათი ათასი მეომარი შეიყარა თაბორის მთაზე.

სისარამ უმალვე გააწყო დიდძალი ჯარი, წინ ეტლოსნები წაუმძღვარა და გაქუსლა ებრაელთა რისხვად და „ჭკუის სასწაულებლად“. მივიდა და დაიბანაკა თაბორის ახლოს, ქალაქ ტ ა ნ ა ა ხ თ ა ნ.

რამდენიმე დღეს იდგნენ მოპირდაპირენი შეტაკების მოლოდინში. მერე, ერთ ღრუბლიან დილას, დებორამ ბარაკს უთხრა: აბა, დაიძარ, და ეს დღე შენი იქნება, რამეთუ წინ გაგიძღვება უფალი ჩვენი!

ბარაკმაც შეტევაზე დასძრა ჯარი. ქანაანელნი დაუხვდენ ებრაელებს. ბრძოლის დაწყებისთანავე ატყდა საშინელი ჭექა-ქუხილი. წამოვიდა წვიმა და ლეშხი, ვითარცა „ბლუარი“. ეს უკვე იეღოვა იყო, ებრაელთა მხსნელი და მათი მტრების შემმუსვრელი. გასაოცარი აღმავლობით მიაწვნენ ებრაელები უკვე პანიკით მოცულ ქანაანელებს. ხევი ერთბაშად აივსო ნიაღვრით. მრავალი ქანაანელი შიგ ჩაიხრჩო. მრავალი ისრაელთა მახვილით გაწყდა.

თვითონ სარდალი სისარა უფრო ადრეც გაქცეულიყო ბრძოლიდან, ეტლიდან გადავარდნილი და ფეხით უგზოუკელოდ მორბენალი. იგი თავშესაფარებლად შევარდა ვინმე კენიელ ხ ე ბ ე რ ი ს კარავში, სადაც თვითონ ხ ე ბ ე რ ი არ დახვდა, მაგრამ მისმა ცოლმა, ი ა ყ ე ლ მ ა მიიღო ლტოლვილი. კიდეც შეიფარა, კიდეც უმასპინძლა, — მწყურვალს და წყლის მათხოვარს რძე ასვა, მერე სარეცელიც გაუშალა და, როცა დაღლილ-დაქანცულ სარდალს დაეძინა, ადგა იაყელ, კარვის ბუნიკიანი მარგილი აიღო, მძინარს ყვრიმალში დასცა და სულგავარდნილი მიწას მიაჭედა.

მდევარიც მოიჭრა, თვითონ ბარაკი, და იხილა ქალის ხელით მოკლული სისარა.

ებრაელთა სარდალმა, ისევ დებორას მოწოდებით, ახალი ძალით განაგრძო მტრის დევნა. თვითონ მეფე იაბინს მიუხტნენ სასახლეში და ოჯახიან-ამალიანად ამოწყვიტეს.

დიდ გამარჯვებას ზეიმობდნენ ძენი ისრაელისანი.

და გალობდა დებორა, „დედა ისრაელისა“:

„შერი არს ძიებული ისრაელისთვის,
იგულსმოდგინა ერმა ჩვენმა.
ამაღლდით, მთავარნო ისრაელისანო,
ეაქებდეთ უფალსა,
ეუგალობდეთ ღმერთთა ისრაელისათა!
უფალო, უფალო,
გამოსელასა შენსა სეირით
და აღმაღლებასა შენსა ველთაგან ედომისათა
ქვეყანანი შეიძრა,
ცანი შეძრწუნდეს,
და ღრუბელნი ცრიდეს წყალთა.
მთანი შეიძრნეს პირისაგან უფლისა,
თვითონ სინაი, პირისაგან ღმერთისა ისრაელისა.
ხალხი ვიდოდა გზითა მრუდითა.
აღარავინ მკვიდრობდა სოფელსა ისრაელისასა,
აღარავინ მკვიდრობდა,
ვიდრე არ აღდგა დებორა, დედაი ისრაელისა.
მანამდე ხალხმა შერაცხნა,
ვითარცა პურნი ქრთილისანი,
ყერენი უცხონი და უგვანნი,
და ამისთვის იქმნა ომი,
ფარითა ჰაბუკთაითა და ლახვრითა
ორმოცი ათასი ისრაელისათა.
გული ჩემი თქვენთან არს,
წინამძღოლნო ისრაელისანო,
ძლიერნო ერისანო,
აკურთხევდით უფალსა.
ამხედრებულნო თეთრ ყარაულთა ზედა,
მსხდომარენო ფარდაგთა ზედა,
მიმავალნო გზათა ზედა,
იტყოდეთ ხმითა სახიობისათა,
და იმღერდეთ, და იგალობდეთ!
იმათაც, ვინც ჭებთან შეკრებილხართ,
უმღერეთ და უგალობეთ უფალსა!
და. უფალო,
სიმართლე განაძლიერე ისრაელსა შინა;
და მაშინ შევიდეს ერი
კარიბჭეთა შიგან უფლისასა.
აღდეგ, დებორა,
აღდეგ, აღდეგ, აღდეგ
და იტყოდე გალობით.
აღდეგ, ბარაკ,
და გაირეკე ტყვენი ჩვენი მტრისანი,
ძეო აბინოყამისა.
მაშინ განადიდა უფალმა ძალი შენი,
ერო უფლისაო,
და რიცხვითა მცირითა სძლიე
რიცხვითა უმრაველესთა და უძლიერესთა

ერმან უფლისამან ტანჯნა მტერნი მისნი
ღელეთა შინა...
კიშონის ხევმა ჩაინთქა მტერნი.
სულო ჩემო,
დასთრგუნე ძალა მტრისა ჩემისა!
მაშინ ძარღვნი დაკვეთნეს მტერთა ცხენთასა მტრისასა
და დატკეპნეს ისინი ბრჭყალებმან ჩემმან.
დასწყევლეთ მეროზი,
წყევით სწყევდეთ მკვიდრთა მისთა,
რამეთუ არა მოვიდნენ შემწედ
ჩვენდა მბრძოლთა მტრისადა.
კურთხეულ იყოს ქალთა შორის იაელ,
ცოლი ხებერ კენეელისა,
ქალთა შორის,
კარავთა შინა,
დაე იკურთხოს!
წყალი რომ სთოხვა სისარამ
და ამან რომ რძე მიართვა წყლისა ფილითა.
და რომ დააძინა.
და რომ აიღო მარცხენათი მარგილი,
და მარჯვენათი ხელადა,
და დასცა სისარას ყურიმალსა მისსა,
და განაელინა თავსა მისსა
და მოკლა.
ფერხთა შორის მისსა დაეცა
და ბარძაყთა შორის მისთა
აღმოხდა სული უბადრუკსა მას.

დაე, ასე მოისრას
ყოველი მტერნი შენნი, უფალო,
ხოლო მოყვარენი შენნი
აღზევდნენ და აბრწყინდნენ,
ეითარცა აღმოსავლელი მზისა
ძლიერებითა შენითა!"

გალობდა დებორა, დედაი ისრაელისა.
თანაუგალობდა ბარაკ, გმირი ისრაელისა.

12. გ ე დ ე ო ნ

დებორას, ბარაკისა და იაელის გმირობიდან ორმოცი წელი მშვიდობით შეინახა თავი ისრაელის მოდგმამ. მაგრამ ამის შემდგომ ისევ დადგა შფოთიანი და სისხლიანი დროებამი. ამჯერადაც სამხრეთიდან მოვიდა მტერი. ესენი იყვნენ მიდიანიტები და ყამალეკიტები, რომლებიც ყოველ ზაფხულს, მოსავ-

ლის მწიფობის დროს, ცეცხლითა და მახვილით შემოესეოდნენ სამხრეთით მცხოვრებ ებრაელ ტომებს. შემოესეოდნენ, „ვითარცა მკალნი“, დედაწულიანად და საქონლიანად მოედებოდნენ ადგილობრივთა სავარგულებს, ყანას, ვენახს, ბაღსა თუ ბოსტანს, ყოველგვარ სიწმინდეს მოსპამდნენ, მოთხრიდნენ, მოაოხრებდნენ, საქონელსაც დაიტაცებდნენ, ყოველივეს, მსხვილმანს თუ წვრილმანს.

ასე გრძელდებოდა შვიდი წელიწადი.

და ისევ გამოუჩნდა ახალი „მსაჯული“ ისრაელთ, „ვაჟკაცი ძლიერი ძალითა“, ლამაზი, „ვითარცა ძე მეფისა“, „უფლისგან შთაგონებული“. სახელი მისი — გ ე დ ე ო ნ (გიდონ), ძე იოაშისა, მანასეს ტომიდან, ქალაქ ყოფრადან. იგი თავის ეზოში, მუხის ქვეშ, ხორბალს ცეხვავდა საცეხველში, როცა „ეჩუუენა ანგელოზი უფლისა“ და „მოუწოდა“ წინ წასძღოლოდა ხალხს ასე ბოროტად შემოჩენილი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ეს კაცი მანამდე ფინიკიური ბომონების, ბაალ-ასტარტას მორწმუნე და მოთაყვანე იყო და სახელიც ასეთი ერქვა, ბაალის შესატყვისად — ი ე რ ო ბ ა ა ლ („ბაალი შურს იძიებს“), მაგრამ ერთ ღამეს, მონების დახმარებით, ბაალის საკურთხეველიც დაანგრია, მისდამი მიძღვნილი მცენარეებიც გასჩეხა და მათ ადგილზე, იმავე ღამეს, ააგო ახალი საკურთხეველი და უწოდა მას — „იეჰოვა შალომ“ — „მშვიდობაი უფლისაი“.

მეორე დღეს ყოფრას მცხოვრებნი შიშით დამფრთხალნი შეხვდნენ ბაალის მსხვრევას და ისრაელთა ძველი ღმერთის აღდგენას. მაგრამ სანამ მომხდარის სიმართლე-სიმრუდეში გაერკვეოდნენ, უცებ ისევ შემოესივნენ მიდიანელნი და ყამალეკელნი, უწყალო რბევით, ძარცვით და ტყვევნით. ბევრი ამოწყვიტეს ებრაელთაგან. მათ შორის გედეონის ორი ძმა, გედეონისებრ ახოვანნი და მშვენიერნი.

მაშინვე, გედეონმა მალემსრბოლნი აფრინა მანასეს, აშერის, ზებულონისა და ნაფთალის ტომებთან, მოწოდებით — იარაღი აეღოთ და სასწრაფოდ შეყრილიყვნენ მტრად და მაოხრებლად გადაკიდებულ უცოხელთა წინააღმდეგ საომრად.

32.000 ებრაელი მოლაშქრე მოიკრა ახალგაზრდა ბელადის დაძახილზე.

მოპირდაპირენი ერთმანეთს შეხვდნენ გალაადის მთის ძირას, ჰარუდის წყაროსთან.

გედეონმა შენიშნა, რომ მრავალრიცხოვანი („ვითარცა მკალი“) მტრის ხილვისას, მის ლაშქარში შიშმა იმძლავრა და მაშინვე ასეთი სარისკო სიტყვა ისროლა: ვისაც სიკვდილის შიში აქვს, უფლებას ვაძლევ ბრძოლის ველს გაშორდეს, და აგერ, გალაადის მთაზე ავიდესო. ამის თქმა და, უმრავლესობამ — 22.000 კაცმა მიატოვა გედეონის ბანაკი. საომრად კი დარჩა 10.000 ისრაელი.

სამასი მეომარი აარჩია და წინ დააყენა გედეონმა, სამასივეს საყვირი და ჩირაღდნიანი ქოთანი დაურიგა და დარიგებაც მისცა, როდის როგორ მოქცეულიყვნენ. მთლიანად ჯარიც საიერიშოდ გაამზადა და, შუაღამისას, უეცრ-

რად თავს დაეცა მტრის მძინარე ბანაკს — თავდასხმა ბუკების გამაყრუებელი ბლავილით (განმეორება იერიქონის საყვირებისა), აჩირაღდნებული ქოთნების სროლა-ხეთქინებით და საომარი ძახილით:

„მახვილი უფლისაი და გედეონისი!“

მიდიანელთა და ყამალეკელთა ბანაკი ძლივს წამოუდგა ფეხზე ძილს და, უმალვე „ცეცხლოვან სიკვდილს“ შეფეთებული, საშინელი პანიკით მოცული, გაიქცა უგზოუკვლოდ, საითაც მოუხდებოდა. უმრავლესობა მაინც ბეთშიტისაკენ და იქიდან იორდანესკენ გარბოდა. გედეონს წინასწარ ეფრემის ტომისანი გაეფრთხილებინა, უკეთუ მტერი შაქეთ გამოიქცეს, გზა მოუჭერით და ხელიც მოუთავეთო. და, ახლა, გამოსულიყვნენ ერფემიტნი, იორდანეზე მისასვლელები მოეჭრათ მტრისთვის, მრავალი კიდეც დახოცეს, მათ შორის მიდიანელთა მთავარნი — ო რ ე ბ („ყვავი“) და ზ ე ბ („მგელი“). ადრე შეშინებული, გედეონისგან გაქცეული და მთას შეფარებული ებრაელებიც გადმოცვენილიყვნენ გულმოცემულნი და ისინიც მისდევდნენ ჩეხვით და კაფვით ლტოლვილ მიდიანიტებს.

შაგრამ დამარცხებულთაგან უმრავლესობამ მაინც ცოცხალმა გადაასწრო იორდანეს აღმოსავლეთით. გადაასწრეს და ადრე, ძარცვისას დატყვევებული ებრაელებიც გადაიყვანეს. აქ, მიდიანიტთა მეფეებმა, ზ ე ბ ა ხ მ ა და ც ა ლ მ უ ნ ა ყ მ ა ხელახლა შეჰყარეს და შეამჭიდროვეს დამარცხებული თანამოლაშქრენი.

გედეონმაც გადმოლახა მდინარე, მტრის კვალდაკვალ. აქ მან, ქალაქ ს უ ქ ო თ ი ს მესვეურებს სურსათი სთხოვა, დაღლილი ჯარის დასაპურებლად. მაგრამ პურის ნაცვლად მხოლოდ დაცინვა მიიღო. ასევე საცინლად აიგდეს იგი, საჭმელ-სასმელის თხოვნის პასუხად, ქალაქ ფ ე ნ უ ე ლ ი ს მცხოვრებლებმა.

გული არ გაიტეხა გედეონმა, ორივე ქალაქს სამომავლო მუქარა გაუგზავნა და ისევ გაიყვანა ჯარი სალაშქრო გზაზე. ისევ გაექცნენ მიდიანელნი მხნედ მოიერიშე ებრაელებს. ქალაქ ნ ო ბ ა ხ თ ა ნ, ანუ კ ე ნ ა ფ თ ა ნ, წამოეწია მტერს გედეონი, წამოეწია და ისე დაამარცხა, რომ ამის შემდეგ მიდიანიტებს აღარასოდეს აღარ უცდიათ ებრაელთა წასახდენად საომარ და საოხარ გზაზე შედგომა. თვითონ მიდიანელი მეფენი, ზებახი და ცალმუნაყი, ტყვეებად აიყვანა გედეონმა. მერე ორივე თავისი ხელით დახოცა, მისი ძმების დახოცვის პასუხად.

არც სუქოთისა და ფენუელის წყენა დაივიწყა გედეონმა. იმათაც სისხლი ადინა, ციხებურჯები დაუნგრია და, ბოლოს, მობრუნდა თავის მშობლიურ ყოფრაში, დიდი ძლევამოსილებით, მდიდარი ნადავლით და აღზევებული სახელდიდებით.

და უთხრეს ძეთა ისრაელისათა გედეონს: „მთავრობდე შენ ჩვენ ზედა და ძენი შენნი, და ძენი ძეთა შენთანი, რამეთუ შენ გვიხსენ ხელთაგან მიდიანისათა“.

ხოლო გედეონმა ეს უპასუხა თავის ხალხს: „არა გმთავრობდეთ მე თქვენ ზედა, არცა გმთავრობდეთ თქვენ ძე ჩემი, არამედ უფალი გმთავრობდეთ თქვენ“.

მე მხოლოდ ამას გთხოვთ — განაგრძო გედეონმა — მტრისგან აღებულ ნადაელათგან ყოველმა კაცმა თითო ოქროს საყურე მომცესო (მიდიანელნი, ვითარცა ისმაიტელნი, ოქროს საყურეებს ატარებდნენ).

მაშინვე გაიღეს ნაომარმა ებრაელებმა ნადაელიდან ძვირფასი ნივთნი, სამკაულნი და სამოსელნი. მარტო საყურენი შეგროვდა ათას შვიდასი ოქროს შეკელის ღირებულებით. და მთლიანად ეს სიმდიდრე გედეონმა მოახმარა იეღოვას წმიდა სალოცავთა განახლებასა და განმტკიცებას.

და აღესრულა გედეონი „სიბერითა კეთილითა“, და დაკრძალეს მისსავე შშობლიურ ყოფრაში, მისივე მამის, იოასის გვერდით.

18. ა ბ ი მ ე ლ ე ხ

გედეონს მრავალ ცოლთაგან მრავალი შვილი დარჩა, სულ — სამოცდაათი ეაეიშვილი. მაგრამ, ამათ გარდა, კიდევ შესძენოდა მას ძე ერთი, შეხემელ ხარშისაგან, სახელად — ა ბ ი მ ე ლ ე ხ.

მიეიდა აბიმელეხი შეხემს, დედის ძმებთან და ნათესავებთან. მე ხომ თქვენი ვარ, ხორცი ხორცთაგანი და ძვალი ძვალთაგანი, — შეაგონებდა იგი თავისიანებს — მე გირჩევნოდეთ ხელისუფლად, ვიდრე ჩემი „უცხო“ სამოცდაათი ძმის მბრძანებლობა; ამიტომ მოუწოდეთ შეხემის ყოველ მცხოვრებს, დამეხმარონ და გამიყვანონ ქვეყნის მთავრადო.

მართლაც, მიეშველნენ შეხემელნი „მთავრობის მეძიებელს“. სთქვეს: „აბიმელეხ ძმაი ჩვენი არს“, და შეუგროვეს ფული, თანამებრძოლთა შესაგროვებლად.

დაიქირავა აბიმელეხმა თანამოლაშქრენი, „კაცნი უკეთურნი და განკრთომილნი“ და მათი თანხლებით, გაჩნდა ყოფრაში, მიუხტა ძმებს და სამოცდაათიდან სამოცდაცხრა ამოწყვიტა. მხოლოდ ერთმა, ი ო თ ა მ მ ა, გაასწრო ცოცხლად. ისევ შეხემს მობრუნდა აბიმელეხ, თავისიანებთან. და იქვე, შეხემის განთქმული მუხის ქვეშ, თავი გამოაცხადა მეფედ.

უცებ, იქვე, გარიზიმის მთაზე, გამოჩნდა სიკვდილს გადარჩენილი იოთამი, რომელმაც ამხილა აბიმელეხის დანაშაული და შეხემელთა უმადურობა გედეონისა და მისი მემკვიდრეებისადმი. და თან ასეთი არაკით გააფრთხილა მსმენელნი ძმათამკვლელის გამეფებისთვის: თქვენი საქციელი იმას ჰგავს, ხე-

ებმა რომ მეფის არჩევა მოინდომეს და ჯერ ზეთისხილს მიმართეს, მოდი და ჩვენზე იმეფეო. მაგრამ უარი უთხრა ზეთისხილმა: როგორ შემიძლია მე ხელი აავიღო ჩემ ნოყიერ, ღმერთის და კაცის სადიდებელ ზეთის გამოდინებაზე და ხეებსა ვსდიო?, მაშინ ლეღვს ეახლნენ ხენი და იმას შესთავაზეს მეფობა. ლეღვმაც ბრძანა: როგორ ვიკადრებ უარი ვთქვა ჩემ ტკბილ ნაყოფზე ხეებზე მეფობის სანაცვლოდო? მერე ვენახს მიადგნენ და ვაზს შესთხოვეს მეფობა ხეთა. ვაზმაც გაიკვირვა: როგორ, მე უარი ვთქვა ღვინოზე, ღმერთთა და კაცთა სიხარულზე, და თქვენზე ვიმეფოო?! ბოლოს, ხეებს ისღა დარჩენოდათ, ეკლებით გაძეძგილ ძეძვთან მისულიყვნენ და იმისთვის ეთხოვათ მეფობა. და ძეძვმაც ბრძანა თავისი პასუხი: უკეთუ თქვენ მართლა გწადიათ ჩემი მეფობა, მაშინ მოდით და შემოქუჩდით ჩემ საფარქვეშ; ხოლო, უკეთუ არა, მაშინ ძეძვისაგან გამოვარდება ცეცხლი, რომელიც შთანთქავს ნაძვთა ლიბანისათა.

აი, დაუფიქრდით, რაც მე გითხარით, — ასკვნიდა იოთამი — რამდენად გონივრულად მოქცეულხართ, აბიმელეხი რომ მეფედ დაგისვამთ. რამდენად გონივრულად მოქცევიხართ მამაჩემს და მის ოჯახს. მამაჩემი თქვენთვის იბრძოდა, თქვენთვის სიცოცხლეს არ იზოგავდა, მიდიანელთაგან ხომ იმან დაგიხსნათ .ახლა ეს მკვლელი გაიმეფეთ და მალე იხილავთ, მის გულში დანთებული ბოროტი ცეცხლი გამოიჭრება და ყველას ჩაგნთქავთ, — დაასრულა და გაუჩინარდა იოთამი. იგი გაიქცა ბეერში, ბენიამინის ძეთა სამკვიდრებელში,

სამი წელიწადი ძლივს მოათია მეფედ აბიმელეხმა, და თვითონ შეხემელნი განუდგნენ მათგანვე არჩეული მთავრის სასტიკ მმართველობას. თვითონ მეფე არ ენდო თავიდანვე შეხემელებს და ქალაქ ა რ უ მ შ ი გადასახლდა, ხოლო შეხემზე საბატონოდ თავისი დაქირავებული სარდალი, ზ ე ბ უ ლ ი დაეტოვებინა.

იმავ ჟამს შეხემში გამოჩნდა ვინმე გ ა ა ლ, ძე ყებედისა, წარმომავლობით ფინიკიელი, რომელიც აქეზებდა ადგილობრივ მცხოვრებლებს აბიმელეხისა და ზებულის დასამხობად. ვინ არისო აბიმელეხი, — ყვიროდა იგი ხალხის წინაშე, ნადიმობის ჟამს — რაისთვის ემონებით თქვენ მას; ის ხომ უღირსი შვილია იერუბაალისა. ხოლო, მისი მოადგილე ზებული ხომ ყოფილი მონაა და სხვა არაფერი. და როგორ იტანთ, შეხემელებო, ამნაირთა ბატონობას?. ბოლოს და ბოლს, მომანდეთ მე, და მე დაგიხსნით აბიმელეხისა და მის დაქირავებულთაგან.

გაალისგან წამოსროლილი ეს სიტყვები მაშინვე, ზებულისგან ეცნობა აბიმელეხს. თან ზებული მეფეს მოუწოდებდა, სასწრაფოდ წამოსულიყო ჯარით, შეხემს დასცემოდა და მისი მცხოვრებნი სასტიკად დაესაჯა.

წამოემართა აბიმელეხი თავისი დაქირავებული ჯარებით და ოთხივე მხრიდან შემოადგა შეხემს. ქალაქს შიშის ზარი დაეცა. ახლა ზებული დასცინოდა გაალს: აი, შეხედე, შენ რომ ნადიმზე დაქირავებულებს აპამპულებდი, მიდი ახლა და დაუხვდი, თუ ვაჟკაცი ხარო.

გაალს, ისედაც, სხვა გზა აღარ ჰქონდა და უწინამძღვრა ქალაქის დაც-

ვას. უწინამძღვრა, მაგრამ უხეიროდ. დამარცხდა და მრავალი შეხემელიც ამაოდ მკვდრად დაირეცა. გაალი და „ძმანი მისნი“ ზებულმა ქალაქიდან გააძევა.

შეხემელებმა მეორედაც გამოიღეს ხელი აბიმელეხის დასამხობად, მაგრამ ისევ დამარცხდნენ. გამძვინვარებულმა მეფემ ქალაქის მთელი მოსახლეობა ამოჟლიტა, თვითონ ქალაქი ძირფესვიანად მოთხარა და მისი ნამოსახლარი მარილის სქელი ფენით დაფარა. ვინც გაქცევა მოასწრო, იმათაც მიჰყვა აბიმელეხი, მეზობელ ქალაქს, მ ი გ დ ა ლ-შ ე ქ ე მ ს შემოეწყო, ყოველის მხრიდან ცეცხლი მიუნთო და მთელი მოსახლეობა, ათასამდე სული, ალსა და კვამლში ჩაწვა-ჩაახრჩო.

აქედან კიდევ ერთ მცირე, ეფრემიტულ ციხექალაქს, თ ე ბ ე ზ ს მიადგა და ისიც რომ ცეცხლსა და კვამლში უნდა ამოეხრჩო, — მოულოდნელად, მთავარი კოშკის კედელთან მიმთხვეულ მეფეს ზემოდან, ვილაც დედაკაცისგან გადმოგდებული წისქვილის ქვის ნატეხი თავში დაეცა და ქალაჩამსხვრეული მიწაზე გააგორა. ესღა მოასწრო სიკვდილმიცემულმა მეფემ: მეაბჯრეს უბრძანა, ახლავე მახვილით მომიღე ბოლო, რათა ქალის ხელით მოკლულს სამარცხვინო სახელი არ გამყვესო; და იმ მეაბჯრემაც აღასრულა მბრძანებლის უკანასკნელი ბრძანება...

ასე მოკვდა აბიმელეხ, ძე გედეონისა, ხარჭის ნაშობი.

14. ი ე ფ თ ა ე

აბიმელეხის სიკვდილის შემდგომ, ებრაელთა მსაჯული შეიქნა თ ო ლ ა ყ, ძე ფუასი, ტომისაგან ისახარისა. ცხოვრობდა იგი ქალაქ შ ა მ ი რ შ ი, ეფრემის მთაზე. სიკვდილამდე, ოცდასამი წელიწადი „შჯიდა იგი ისრაელსა“. თუმცა სახელდებით არარა შემორჩა ისტორიას მისი ერისმთავრობის ავი თუ კარგი საქმენი.

არც მომდევნო „მსაჯულის“, ი ა ი რ გ ა ლ ა ა დ ე ლ ი ს ოცდაორწლიანი მმართველობისა ჩანს რაიმე სახელდებითი. მხოლოდ ეს ცნობა შემორჩა ისტორიას: იაირს ოცდათორმეტი ძე ჰყოლია, ოცდათორმეტ ვირზე ამხედრებულნი და ოცდათორმეტ ქალაქში ჩამორიგებულ-ჩამკვიდრებული.

შესაძლოა, თოლაყის და იაირის მსაჯულობის დროეამი თავისებურად სიძლიერისა და სიმტკიცის ხანაც ყოფილიყოს, რამდენადაც მათი მმართველობისას, მუდამ ისრაელთა დასამონებლად შემართული მეზობლებისგან არცერთი სამტრო გამოხდომა არ აღნიშნულა.

ხოლო, როცა იაირ გალაადელი აღესრულა, მაშინვე ისრაელთა დასა-

შორჩილებლად, სრულის ძალებით, დაიძრნენ: აღმოსავლეთიდან—ყამონიტები, დასავლეთიდან — ფილისტიმელნი.

ყამონელებმა, ჯერ იორდანეს აღმოსავლეთით, დაიპყრეს რუბენიტებისა და გადიტების ებრაული სამფლობელონი. ეს ძაწები ხომ ჩვენ გვეკუთვნოდა ებრაელთა მოსელამდეო, — გაიძახოდნენ ყამონიტელნი. მაგრამ ესეც არ იკმარეს, იორდანეც გადალახეს და მანასეს, ეფრემის, ბენიამინისა და იუდას სოფელ-ქალაქებსაც შეესივნენ ყამონიტნი.

პარალელურად, ფილისტიმელები აწვებოდნენ დასავლეთიდან, ხმელთაშუა ზღვის ზონიდან. ამათ, ჯერ, იოლად სძლიეს და დაიპყრეს იქვე, მათ მეზობლად დამკვიდრებული დანის ტომისანი. ამათ შემდგომ კი ფილისტიმელნი შემოესივნენ ბენიამინის, იუდას და სიმონის ტომებს. ასე, რომ — განსაკუთრებით უნდა დაზარალებულიყვნენ ბენიამინისა და იუდას ძენი, რამდენადაც ისინი ორმხრივი დარტყმების ქვეშ აღმოჩდნენ.

თვრამეტი წელიწადი იბრძოდნენ ძენი ისრაელისანი ყამონელთა და ფილისტიმელთა მოსაგერიებლად.

და ისევ გამოუჩნდა გმირი ისრაელს. ეს იყო ი ე ფ თ ა ე (ებრ. იფთაჰ), ძე გალაადისა, ნაშობი მეძავ დედაკაცისგან.

გალაად — ერქვა ქვეყანასაც, სადაც იშვა მომავალი მხსნელი ისრაელისა. ასე ერქვა მთიანეთს იორდანეს აღმოსავლეთით, გენისარეთის ტბიდან მკვდარ ზღვამდე. ხოლო ქალაქი, სადაც იშვა იეფთაე, იყო მ ა ს ი ფ ა.

თვითონ გალაადს კანონიერი ცოლისაგან კიდევ ჰყავდა ვაჟები, რომელთაც იეფთაე ადრევე გაუძევებიათ საბლიდან, რამეთუ, ვითარცა „უკანონოს", მამის მემკვიდრეობაზე რაიმე იმედი არა ჰქონოდა.

და ცხოვრობდა ჭაბუკი იეფთაე გაძევებაში, ტობის „ქუეყანასა", იორდანეს სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეში. მან ძალიან მალე სახელი გაითქვა ძალით და სიმამაცით. კიდევაც შემოიყარა თანამებრძოლთა და თანამოაზრეთა რაზმი, რომლითაც თავს ესხმოდა ადგილობრივ სოფელ-ქალაქებს.. მერე, როცა ყამონიტებმა გალაადელთა აოხრება გაამძაფრეს, მოვიდნენ იქაური ერის წინამძღოლნი უკვე სახელგანთქმულ იეფთაესთან, გაძევებისთვის შენდობა სთხოვეს და სამშობლოში დაბრუნება და ერის წინამძღოლობაც შესთავაზეს. იეფთაემ მის სანათესაოდან მოსულებს, გაძევებისთვის მწარე საყვედურების შემდეგ, ერთგულებისა და სიტყვაუტეხლობის ფიცი ჩამოართვა და სამშობლოში ხალხის სამეთაუროდ დაბრუნებაზე დათანხმდა.

ებრაელთა ახალმა და ახალგაზრდა მეთაურმა ლაშქარი შემოიყარა, მაგრამ ბრძოლად გასვლამდე ყამონიტების მეფეს ელჩები გაუგზავნა და შეუთვალა: რა ხელი გაქვს შენ ჩემ მიწასთან, რად მოსულხარ და მეომები ჩემი მიწისთვის?

ეს ქვეყანა შენი კი არა, ჩემი არისო, — მოუტრიალა პასუხი ყამონელმა მეფემ — თქვენ ეგვიპტიდან მოსულხართ, ჩემი მიწა დაგიპყრიათ, ახლა, უკანვე ღომრად, მშვიდობით დამიბრუნეთ და ომზედაც ხელს ავიღებო.

კიდეე ელჩობით სცადა იეფთაემ საქმის გადაჭრა, მაგრამ არაფერი გამოვიდა და ჯარიც მაშინვე გაამზადა საომრად.

სალაშქროდ გასვლის წინ, იეფთაემ უფალს მსხვერპლი შესწირა და აღთქმა აღავლინა: უკეთუ ყამონიტებზე გამარჯვებას მარგუნებ, უკან მობრუნებისას, ჩემი სახლის კარიდან რაც, თუ ვინც პირველი შემომეგებება, იმას შემოგწირავ მსხვერპლადო.

და დასძრა ლაშქარი იეფთაემ.

ყამონიტებიც დაუხვდნენ. მოხდა ბრძოლა სასტიკი, სისხლდამდინარი. და გათავდა იგი ებრაელთა ბრწყინვალე გამარჯვებით.

მთავარი გმირი ამ გამარჯვებისა, იეფთაე, ისრაელმა მაშინვე გამოაცხადა თავის „მსაჯულად".

და, გამარჯვებით გალაღებული მსაჯული და სარდალი ის იყო თავის სახლს მიეახლა, რომ კარი გაიღო და შესაგებებლად გამოიჭრა ერთადერთი მისი ასული.

ტანსაცმელი დაიპო ტანზე გამწარებულმა მამამ და შებღავლა შვილს: ვაიმე, ასულო ჩემო, ვაიმე, რა უბედურებად მექეც შენ! მე ხომ ჩემის პირით აღვუთქვი უფალს, და რაც აღვუთქვი, ვერ ხელმეწიფების მე უარსაყოფად!

შვილმაც მაშინვე შეაგება მამას: მამაჩემო, რაც შენ უფალს აღუთქვი, კიდეეაც უნდა აღასრულო და მომექეც ისე, ვითარცა მსხვერპლს უფლისასა, რომელმაც შენ გარგუნა გამარჯვება ჩვენს მომტერე ყამონელებზე, ოღონდ ამას გთხოვ, მამაჩემო, ორი თვით გამიშვი მთებში, რათა იქ, ჩემ თანატოლ გოგონებთან ერთად, დავიტირო ხელუხლებელი ქალწულობა ჩემი.

და შეიწყნარა უბედურმა მამამ უკანასკნელი თხოვნა თავისი შვილისა.

ორი თვის თავზე დაბრუნდა ქალი, ქალწულობადატირებული.

და შესწირა, იგი, დედისერთა შვილი, უფალს, იეფეთაემ, ძემან გალაადისა, და გმირმან გალაადისა.

ამის შემდგომ, ყოველ წელიწადს, ახალგაზრდა გოგონები ადიოდნენ მთებში და ოთხი დღე დასტიროდნენ იეფთაეს ასულის უბედურ ქალწულობას.

ახალი უბედურება კიდევ ის აღმოჩნდა, რომ იეფთაეს ომი გამოუცხადეს თვითო ძეთაგან ისრაელისა, სახელდობრ — ეფრემის ნაშიერებმა. ეფრემიტები ვერ შერიგებოდნენ გალაადის, ანუ იორდანეს აღმოსავლეთით მცხოვრებ თანამოძმე ტომთა აღზევებას. როგორ თუ ყველაფერი ჩვენ უნაწილოდ მოხდაო, როგორ თუ ჩვენ არ გაგვრიე ყამონიტთა წინააღმდეგ ბრძოლაშიო? ამისთვის სასტიკად დაგსჯით, სახლკარსაც დაგწვავთ და შენც შიგ გამოგწვავთო, — შემოუთვალეს იეფთაეს და პირდაპირ დაიძრნენ კიდეც ეფრემის ძენი სალაშქროდ. გადმოლახეს კიდეც იორდანე და შემოიჭრნენ მის აღმოსავლეთ მიწებზე.

გაუხტა და დაუხვდა ჯარით იეფთაე სამტროდ მოსულ მოძმეებს. დაუხვ-

და და სასტიკად დაამარცხა ეფრემიტნი. უკუიქცნენ იორდანესკენ დამარცხებულნი. დაედევნენ და ზედ მდინარეზე გზა მოუჭრეს გამარჯვებულებმა. ყოველს, მდინარეზე გარდამავალს, იჭერდნენ იეფთაეს მეომრები და გამოცდას უწყობდნენ: აბა, სთქვი „შიბოლეთ“ (თავთავი), — და თუ ვერ მოახერხებდა და „შიბოლეთის“ ნაცვლად იტყოდა „სიბოლეთ“ — მაშ, ეს ეფრემიტი ყოფილა (რაკი ეფრემიტები „შ“-ს ვერ გამოთქვამდნენ), და ამნაირს იქვე კლავდნენ...

ექვსი წელიწადი იყო იეფთაე მსაჯული ისრაელი ერისა, ექვსი წლის შემდგომ აღესრულა.

მის შემდეგ ებრაელთა „მსაჯულნი“ იყვნენ, თანმიყოლებით:

ესებონ ბეთლემელი,
ელომ ზებულონელი,
აბდონ პირათონელი.

15. სამსონ

ეს-

აღმოსავლელ ყამონიტებთან სისხლიანი რკენის პარალელურად, ებრაელებს ასევე მძიმე ბრძოლები ჰქონდათ დასავლეთით, ფილისტიმელებთან. ყამონიტებთან მეომარი იეფთაე, ასე ვთქვთა, „აღმოსავლეთის გმირი“ იყო, მაგრამ მის გასწვრივ, „დასავლეთის გმირიც“ ჰყავდათ ებრაელებს.

ეს იყო სამსონ (შიმშონ — „მზე“), ძე მანოახისა, დანის ტომისაგან, ქალაქ ცორადან. ტანად ბუმბერაზი, ზეადამიანური ძალღონისა და გულუშიშრობის მფლობელი, თუმცა გონებით ნაკლებ განმსჯელი და განმაჭვრეტელი. არ ჩანს, რომ მას მტრის წინააღმდეგ რაიმე ღრმადგააზრებული საომარი განაზრახი განესრულებიოს, არამედ მისი ბრძოლა იყო საკუთრად ცალკე პიროვნული, ვითარცა ზღაპრისეული მარტოსული გმირისა. და მისმა ცხოვრებამაც წმინდა ზღაპრის, ან ლეგენდის სახით დაიდო ბინა ისტორიაში.

ლეგენდა შეიძლება დაიწყოს თუნდაც იმით, რომ სამსონის ზებუნებრივი, კაცთათვის განსაცვიფრებელი ძალღონე თურმე (როგორც შემდეგ აღმოჩნდება) დაბუდებული ყოფილა მის ველურ თმებში, რომელთაც ის არასოდეს არ იპარსავდა და არ იკრეჭდა. ყმაწვილობისას ფილისტიმელი ქალი შეიყვარა, ქალაქ თიმნათადან. დედამისის თხოვნას — „წინდაუცვეთელ ფილისტიმელთა“ ქალს რძლად ნუ დაგვისვამო — ანგარიში არ გაუწია და დაჩემებული ქალი ცოლად შეირთო.

ოცი წელიწადი იყო იგი „მსაჯული“ ძეთა ისრაელისათა და მისი „სჯა“ მთლიანად განეფინებოდა მისსავე „ინდივიდუალურ გმირობებში“. ერთხელ

გზად მიმავალს ლომი შემოეყარა და ეს ნადირთა მეფე სამსონმა, უიარაღო, შიშველი ხელებით, ბატკანივით დახლიჩა და დაწიწკნა. მერე იმ დალეწილი ლომის გვამში რომ ფუტკარს თაფლი უგროვებია (!), ის თაფლი თვითონაც ჭამა, მშობლებსაც აჭამა. „ორიგინალურად" ებრძოდა იგი თავის „მოყვრებსაც" — ფილისტიმელებს. ერთხელ სამასი მელა დაიჭირა, კუდებზე ჩირაღები მიუნთო, ფილისტიმელთა მწიფე ყანებზე მიუშვა და მთელი მოსავალი გადაუწვა და გადაუბუგა.

სამაგიეროდ, ფილისტიმელებმაც გადაუწვეს სახლკარი სამსონს. სამსონმაც მიუზღა „ბარკალსხეულთა გვემითა" და მსხვრევით მომხვდურებს.

მას უკან, იუდეველებმა უღალატეს და შეაპყრობინეს დანელი თანამოძმე ფილისტიმელებს. მაგრამ თოკები, რომლებითაც იგი შეებოჭათ, ტყვემ ძაფებივით დაწყვიტა. იქვე დაგდებულ ვირის ყბას დაწვდა და მისით („ღაწვით ვირისა") ათასი ფილისტიმელი დაჰიკვდილა და დარეცა მიწაზე.

ერთ დღეს ღაზას მივიდა სამსონი, ფილისტიმელთა მთავარ ქალაქში. ის ღამე ერთი მეძავი ქალის ლოგინში უნდა გაეთია. შეიტყვეს ფილისტიმელებმა და ქალაქის კარიბჭენი უმტკიცესი ჯაჭვებით შეკრეს, რათა სამსონი იმ ღამით არ გაქცეოდათ, ხოლო დღის დადგომისას მიხტომოდნენ და მოეკლათ. მაგრამ სამსონი შუაღამისას წამოდგა, ალაყაფს მიადგა და დაკეტილი რომ დახვდა, მაშინვე ის ალაყაფი თავის საკეტიან-ჯაჭვიან-ანჯამებიანად მოგლიჯა, ზურგზე მოიგდო და ხებრონისკენ მიმავალ შუაგზამდე ატარა, იქ კი, ერთ მაღლობზე აიტანა და დაადგა.

მაინც ფილისტიმელი ქალებისკენ გაურბოდა თვალი ებრაელთა „მსაჯულს", და, ბოლოს და ბოლოს, ეს გატაცებაც სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ამჯერად დ ა ლ ი ლ ა შეუყვარდა, ფილისტიმელი ასული, ს ო რ ე კ ი დ ა ნ *. და, ფილისტიმელთა ჩაგონებით, შეუჩნდა დალილა სამსონს და მანამ არ მოეშვა, სანამ არ ათქმევინა, სად ედო ბინა მის განუზომელ ძალლონეს. ჩემი ძალა ჩემს თმებშიაო, — გაუტყდა ბოლოს და ბოლოს გმირი საყვარელ ქალს. მაშინ, დააძინა დალილამ სამსონი თავის მუხლებზე, გადაპარსა თავი და იხმო ფილისტიმელნი, რომლებიც მიცვივნდენ და დათხარეს თვალები ძალაწართმეულ გმირს. დაბრმავებული მძიმე, რვალის ბორკილებით დააბორკილეს, ღაზაში წაიყვანეს და ქვის სახელოსნოში პატიმარ ქვისმკოდავთა შორის ჩააგდეს. აქ იტანჯებოდა სამსონი უმძიმესი სიმაშვრალით, ვიდრე თმა არ წამოეზარდა და ძალა არ დაუბრუნდა. მერე, ერთ დღეს, ფილისტიმელებმა იგი წაიყვანეს თაეისი უზენაესი ღმერთის, დაგონის ტაძარში, სადაც. საგანგებოდ წირვაზე შეყრილი ხალხის წინაშე, დაუწყეს დაცინვა და დამდაბლება. ბრმამ ხელები მოაფათურა ტაძრის საყრდენი სვეტები მოისხეულა, ერთბაშად მოეპიდა ორივეს, მოსწია, მოარყია და წამოაქცია. სვეტების წამოქცევას კი ტაძ-

---

* სორეკი, დღევანდელი ვადი-სარაი. „სორეკ" — ნიშნავს „ვენახის ვაზს". ეს სახელი კი მეტყველებს ამ ადგილზე შევენახეობის არსებობას.

რის ჩამოქცევა მოჰყვა. „მოკვდი, თავო ჩემო, უცხო თესლთა ამათ თანა!“ ამის დაძახება მოასწრო სამსონმა და, იქ მყოფ ფილისტიმელ ჯგორებთან ერთად, ტაძრის ნანგრევთა ქვეშ დაიმარხა.

ძმებმა მოიძიეს მისი ცხედარი. წაასვენეს და დაკრძალეს ცორასთან ახლოს, მამამისის, მანოახის სამარხსა შინა.

16. ე ლ ი

სამსონის სიკვდილის შემდეგ, ფილისტიმელები დიდხანს ბატონობდნენ ებრაულ ტომებზე — დანის, ბენიამინის, ნაწილობრივ ეფრემისა და იუდას ტომებზე. უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ცალკეულ ტომთა და მათ ცალკეულ „სოლისტ-გმირთა“ ბრძოლებით გარეშე მტერთა მოგერიება შეუძლებელი იყო. მით უფრო, არამც თუ შინაგანი კონსოლიდაცია და ერთიანობა ყოველი, თორმეტივე ებრაულ ტომთა შორის რომ არ არსებობდა — ბრძოლა და სისხლისქცევა ხდებოდა ხოლმე თვითონ ამ ტომთა შორისაც კი.

მოშლილი იყო ოდესღაც მოსესა და იესო ნავინის გარჯით შეერთებული და შედუღაბებული ისრაელური სული. დავიწყებას მისცემოდა ერის გამაერთიანებელი რწმენა ერთი უზენაესი უფლისა — იეჰოვასი. უცხო, პოლითეისტურ, ლოკალურ ბომონებს დაეწიწკნათ და დაეტაცებინათ ერთ დროს ეროვნულ მთლიანობაში გააზრებული და განმტკიცებული სარწმუნოებრივი და ზნეობრივი სინდისი. დავიწყებული და ველურად დაგდებული იყო სილოამი (შილო), ერთ დროს უწმიდესი ადგილი ბეთელსა და შეხემს შორის, სადაც იესო ნავინმა სკინია საკრებულო-საწამებლის, იეჰოვას საკურთხეველისა და აღთქმის კიდობნის წინაშე, ებრაელ ტომთა შორის კენჭისყრით გაანაწილა აღთქმული ქვეყნის მიწები. ახლაც იქ იდგა, სილოამს, ის წმიდა სალოცავნი, ოღონდ ამჯერად დავიწყებულნი და უპატრონოდ დაგდებულნი.

მაგრამ მაინც მიდიოდნენ და ეთაყვანებოდნენ იეჰოვას, ჯერ ისევ მისი თაყვანისმცემელნი და მოსეს სჯულის უღალატო მოწესენი. იმ წმიდა ადგილებზეც მიდიოდნენ, ხალხშიდაც გადიოდნენ და მოუწოდებდნენ ყოველი მუხლის ისრაელ მოძმეებს, მობრუნებოდნენ ღმერთს, რომელმაც ისინი იხსნა ეგვიპტური მონობიდან, წამოიყვანა და დაამკვიდრა მისგანვევე აღთქმულ ქვეყანაში. მობრუნებოდნენ იეჰოვას და გაერთიანებულიყვნენ ერთიან სულიერ და სხეულებრივ ძალად საერთო მტრის დასათრგუნავად და საკუთარი ქვეყნის შინაგან ასაყვავებლად.

სილოამში იყო ქურუმი იეჰოვასი, სახელად ე ლ ი, რომელიც განუწყვეტელი ლოცვაკურთხევით მოიზიდავდა ხალხს აქაური სიწმიდეთა სათაყვანოდ

და საწირველად. ელი ორმოცი წელიწადი იყო მსაჯული ისრაელთა. იგი არ ყოფილა გმირი-მეომარი, მაგრამ მისგან მოხმობილ, ან თავისით ხლებულ ისრაელებს მოძღვრავდა და აღაფრთოვანებდა გარეშე მტერთან ერთიანი ბძოლისათვის ბევრი გზასაცდენილი და გადარჯულებული ებრაელი მოაბრუნა ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და ეროვნული თვითშეგნების გზაზე ელიმ, მაგრამ საკუთარ შინაოჯახურ უბედურებას კი ვერ უშველა: ორი ძე ჰყავდა, ხოფნი და ფინხას, ორივე გადარჯულებული და ღვთისნიერმა მამამ ვერ იქნა და ვერცერთი ვერ მოაბრუნა ჭეშმარიტ რჯულსა და სინდისზე. ორივე უპატიურად ეპყრობოდა საღვთო, ეროვნულ სიწმინდეებს. თვითნებობას იჩენდნენ საღვთო შესაწირავებისადმი — საკურთხეველიდანვე იტაცებდნენ, ან პირდაპირ, შეწირვამდეც ართმევდნენ ხალხს სამსხვერპლო საქონელს.

იმჟამად მორიგი ბრძოლა მოხდა ფილისტიმელებსა და ებრაელებს შორის, სარონის ველზე, მახლობელი მთის მისადგომებთან. ფილისტიმელები მოპირდაპირეს რიცხვითაც სჭარბობდნენ, საომარი აღნაგობითაც, განსაკუთრებით ეტლოსნებით. და ბრძოლაც მათი გამარჯვებით დამთავრდა. ოთხიათასამდე ებრაელი ბრძოლაში დაიღუპა.

მაშინ, მარცხნაქამ ებრაელთა წინამძღოლებმა ეს მოიფიქრეს: მოდით, წინ სჯულის კიდობანი წავიმძღვაროთ და ფილისტიმელებს ისე შევებათო, რამეთუ ღმერთი ჩვენთან იქნება და მისი მძლეობით გავიმარჯვებთ. ასედაც მოიქცნენ. გამოიტანეს კიდობანი სჯულისაი სილოამიდან, ელის ლოცვაკურთხევით. კიდობანის გამოტანა და ჯარის წინ მისი წამძღვარება იტვირთეს ელის ვაჟებმა, ოფანმა და ფინხასმა.

მაშ, ბრძოლა განახლდა კიდობანი სჯულისაის თანდასწრებით. მაგრამ ებრაელები ისევ დამარცხდნენ და ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ ფილისტიმელებმა კიდობანი სჯულისაი ნადავლად აიღეს, ხოლო მისი მტვირთველები და მცველები, ელი მღვდელმთავრის შვილები, ოფან და ფინხას, ადგილზევე დახოცეს.

უკიდურესმა შიშმა და სასოწარკვეთამ მოიცვა ქვეყანა. თვითონ ელი, ჯარის მარცხის, შვილების სიკვდილისა და განსაკუთრებით კიდობნის დატყვევების შეტყობისთანავე, სულგავარდნილი დაეცა ძირს.

გამარჯვებით გალაღებული ფილისტიმელები სილოამსაც მიწვდნენ, შიგ შეიჭრნენ და სკინია საწამებელი და მასთან ყოველი სიწმინდენი იავარჰყვეს.

თვითონ ალაფად აღებული კიდობანი სჯულისაი ფილისტიმელებმა მიიტანეს მათს ქალაქში — აზოტში (აშდოდში). და ირწმუნეს, რომ ებრაელთა მთავარი სიწმინდის დატყვევებით, მათი ღმერთიც დაატყვევეს და არარად აქციეს. მაგრამ ეს აზრი უმალვე იცვალეს, როგორც კი, სწორედ იმჟამად, ფილისტიმელთა ყანებს უთვალავი თაგვი შეესია და მოსავალი სავსებით ამოაგდო. ამასთან, ქალაქშიც რაღაც საშინელი ავადმყოფობა გაჩნდა, ადამიანს

რომ ცოცხლად ალპობდა. ფილისტიმელთა მთავარი ღმერთის, დაგონის ბომონიც რამდენჯერმე დამხობილი იხილეს კიდობნის წინაშე. დამფრთხალმა ფილისტიმელებმა კიდობანი აზოტიდან გათში (გეთა) გადაიტანეს, და გათშიც გაჩნდა ყველა წინარე უბედურება. გათიდან ყველაზე ჩრდილო ფილისტიმურ ქალაქ ეკრონში გადაასვენეს კიდობანი სჯულისაი და იქაც რომ ებრაელთა ღმერთმა იქაურებს ყველა წინარე უბედურება დაუტრიალა, მაშინ კი იკადრეს ფილისტიმელებმა და თავისი ხელითვე მოურბენინეს ებრაელებს მათი წმიდა სალოცავი — კიდობანი სჯულისაი. მოურბენინეს სიმბოლური სართებით — მათი დამაქცევარი თაგვებისა და სიმსივნეების ოქროს გამოსახულებებით.

17. სამუელ

ელის მსაჯულობისა და ქურუმთუხუცესობის ჟამს, თვითონ ელის ლოცვა-კურთხევით, რამაში (რამაფაიმ-ცოფიმ, შემდგომდროინდელი არიმათია) ლევიტელ ცოლ-ქმარს, ანასა და ელკანას, შეეძინათ ძე, რომელსაც სახელად დაარქვეს სამუელ („შამუელ" — „ღვთით გამოთხოვილი").

ყრმა იზრდებოდა სილოამში, იქ დაბინავებულ საუფლო სიწმიდეთა შორის, იზრდებოდა როგორც „ღვთით მოწოდებული" სამღვდელო. მისი გამზრდელი იყო თვითონ მღვდელმთავარი და მსაჯული ელი.

ყრმას ღამღამობით ესმოდა ძახილი: „სამუელ! სამუელ!" ეგონა, მოძღვარი ეძახდა და გარბოდა მასთან, მაგრამ ბოლოს დარწმუნდა, რომ თურმე თვითონ ღმერთი ეძახდა...

სამუელის ყმაწვილობას წარუშლელ შთაბეჭდილებად დააჩნდა იმჟამინდელი ტრაგედიები, ზედიზედ განცდილი დამარცხებანი მისი ერისა, უბედური აღსასრული მისი მოძღვრისა, დაკარგვა და იავარქმნა საუფლო სიწმინდეებისა.

და იწამა სრულიად ისრაელმა, „კიდითგან ვიდრე კიდემდე ქუეყანისა", უფლისმიერ წინასწარმეტყველად სამუელი და აღიარა მისი უზენაესი რწმუნებანი მოძღვრისა და მსაჯულისა.

იგი დაბრუნდა თავის მშობლიურ ქალაქ რამაში და იქედან უქადაგებდა ერს თავის „ღვთით ნაკარნახევ" სიტყვებს.

ერის წინამძღოლთაგან, სამუელი აღმოჩნდა პირველი, რომელიც უფრო დროის შესატყვის ახალ გზებს ეძიებდა, ვიდრე დაკარგულსა და იავარქმნილს მისტიროდა. სანამ სალოცავები გვქონდა, მსხვერპლსაც ვწირავდითო, — ამბობდა იგი — მაგრამ ეხლა, როცა სალოცავები დაკარგეთ და მსხვერპლ-

წირვებიც შეგვიწყდა, ამან არ უნდა დაგვაფრთხოს, რადგან მსხვერპლის შეწირვა როდია მთავარი, მსხვერპლშეწირვა როდი წარმოადგენს აუცილებელ ღვთისმსახურებას; განა შეიძლება ცხვრის ხორცით მოიპოვო ღვთის კეთილგანწყობილება და მოწყალება?! მაშ, რა არის მთავარი ჩვენთვის, ყოველი ჭეშმარიტი მორწმუნისა და მოსაქმისათვის? მთავარია მოსეს სჯულნი, მოსეს მცნებანი. აი, ამ კანონებსა და მცნებებშია ჩამკვიდრებული ნება უფლისა ჩვენისა. აქ, ამ ქვის ფიცრებშია ჩაკრისტალებული, მკაცრი, ურყეველი და სიტყვაშეუქცევადი მოთხოვნები ისრაელთ შორის ზნეობრივი დამოკიდებულებებისა, სამართლიანობისა, წესრიგისა, გულმოწყალებისა, ყოველი „დიდი“ თუ „მცირე“ ადამიანისთვის კანონის წინაშე სრული თანასწორობისა. მაშ, მთავარია მოსეს მცნებანი, სადაც მსხვერპლშეწირვებზე თითქმის არაფერია ნათქვამი. უფალს, იეჰოვას, თავისი რჩეული ხალხი იმიტომ როდი დაუხსნია ეგვიპტური მონობისაგან, რომ სამაგიეროდ მას ცხვრები დაუკლან, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ხალხმა უწინარესად — ჯოგისაგან ხალხად რომ იქცეს — უნდა შეასრულოს მისი მცნებანი, მოსეს ხელით მოტანილ ქვის ფიცრებზე რომ ღაღადებენ. აი, ესაა ნება ღვთისა, რაიც ყოველმან ძემან ისრაელისამან განუხრელად უნდა შეასრულოს.

და ქადაგებდა სამუელ მოსეს, ანუ ღვთის ნაქადგევს, ქადაგებდა დაუცხრომლად, განშვენებული ხატოვანებით, ზენაარი ხმით, გალობითა და განმღეებით. დადიოდა ქალაქიდან ქალაქს, სოფლიდან სოფელს, და მოაქცევდა ძეთა ისრაელისათა კვლავ მოსეს სჯულზე, იეჰოვას სარწმუნოებაზე, ეროვნულ მთლიანობაზე, შინატომობრივ სიყვარულზე, თანადგომაზე და თანალმობაზე. განუშორებლად თანსდევდნენ უერთგულესი თანამოდასენი, თანამქადაგებელნი, თანამლოცველნი, თანამგალობელნი. სამუელის ეს თანამოდასენი მთლიანად იყვნენ მისი თანატომელი ლევიანნი — ნაშიერნი მოსეს დროიდან სამღვდელო სამსახურად ანარჩევი, თავისივე წინაპრის, ლევის ტომისა.

მაშ, ისრაელის ტომები ეროვნული კონსოლიდაციისაკენ მიელტვოდნენ.

ფილისტიმელებს უნდა დაესწროთ და ახალი შემოტევისათვის გამზადნენ. უწინარესად ისევ ოთხ ებრაულ ტომს ემუქრებოდა ფილისტიმელთა თავდასხმა — დანს, ეფრემს, ბენიამინს და იუდას. და ეწვივნენ მამასახლისნი ოთხივე ამ ტომისა სამუელს, ქალაქ რამაში. ეწვივნენ და სთხოვეს ეწინამძღვრა ოთხივე სათვისტომო ლაშქრისთვის ფილისტიმელთა შემოტევის უკუსაგდებად.

სამუელმა თანხმობის გარდუვალ პირობად მოითხოვა ბაალ-ასტარტისა და ყოველ სხვა უცხო ბომონთა დამხობა, უარყოფა და იეჰოვა-მოსეს სჯულზე ერთხელ და სამუდამოდ შემობრუნება. ეს პირობაც დაუყოვნებლივ შესრულდა და სამუელი დათანხმდა საომარ წინამძღოლობაზე.

სამუელმა ლაშქარი დააბანაკა ქალაქ მასიფას (იეფთაეს სამშობლო) მახლობლად, რამას ჩრდილო-დასავლეთით. აქედან, მაღლობიდან, ხელისგული-

ვით ჩანდა დიდი, ტრიამელი დაბლობი, სადაც შეუძლებელი უნდა ყოფილიყო მტრის ჯარების შეუმჩნეველი მოძრაობა.

აქვე, მთაზე სამუელმა მსხვერპლი შესწირა უფალს და შესთხოვა ძლევამოსილება მისი ხალხისა.

ფილისტიმელთა ჯარიც გამოჩნდა. სამუელმა ისრაელები უფლის თანადგომით გაამხნევა და მტრის შესახვედრად ველზე ჩაუშვა. ამ დროს ტაროსიც უცებ შეიცვალა, ცა ღრუბლებით გაიტენა და ჭექაქუხილიც ატყდა.

ფილისტიმელები დააფრთხო ებრაელთა „ღვთის რისხვამ" და, ხმლის მოქნევაც რომ აღარ უცდიათ, ისე აქციეს ბრძოლის ველს ზურგი. გამოედევნენ ებრაელნი და გაქცეულებს ჩეხვით მისდიეს ბეთსაბემდე — იმ ადგილამდე, სადაც ადრე ებრაელებს ფილისტიმელთაგან მარცხიც განეცადათ და სჯულის კიდობანიც დაჰკარგვოდათ. ახლა კი სისხლიც აღებული იყო და სირცხვილიც ჩამორეცხილი.

სამუელმა გამარჯვებულ თანამოძმეებს, ამ გამარჯვების მარად სახსოვრად, მასიფას მახლობლად აღამართვინა დიდი ქვის ლოდი, რომელსაც უწოდა ებენეზერ, ანუ „ლოდი შეწევნისა".

კარგა ხნით ჩაწყნარდნენ ფილისტიმელნი. მანამდე დაპყრობილ ებრაულ ქალაქებზეც აიღეს ხელი.

სამუელს კი ღრმა მოხუცებულობაში შეედგა ფეხი.

ორი ძე ჰყავდა — იოველ და აბია, და ორივე ერთად დასვა მსაჯულებად, ქალაქ ბეერ-შებაში. თვითონ კი ისევ რამაში დარჩა.

მალე სამუელმა შეიტყო, რომ მისი შვილები უზნეოდ და უღირსად იქცეოდნენ, თურმე: ანგარებას აჰყოლოდნენ, ქრთამებს იღებდნენ, განსასჯელს უსამართლოდ განსჯიდნენ და განიკითხავდნენ.

ეს სამწუხარო ამბავი სამუელს ისრაელ ტომთა მამასახლისებმა შეატყობინეს და თანვე, ხალხის სახელით, ამიერიდან, მსაჯულთა ნაცვლად, მეფის დანიშვნა მოითხოვეს.

რაკი შენ დაბერდი, ხოლო შენი შვილები შენი გზით არ მიდან, მეფე მოგვეციო, ისეთივე მეფე, როგორიც სხვა ხალხებს ჰყავთო, — მოითხოვდნენ ებრაელები სამუელისგან.

წინააღმდეგობა სცადა სამუელმა: მეფე შვილებს წაგართმევთ და თავის მხედრებად, ეტლოსნებად და წინამცორვალებად (შიკრიკებად) დაიყენებსო; მძიმე სამსახურში ჩაგაგდებთო მეფე; თქვენს მონებსაც და საქონელსაც მუქთად მოიხმარსო; თქვენი მოსავლის ერთმეათედსაც წაგართმევთო.

მაგრამ მაინც თავისას არ იშლიდა ხალხი: მეფე მოგვეციო, რაც არ უნდა იყოს, მეფე ყავს ყველა სხვა ხალხს და ჩვენც მეფე გვინდაო.

და დათანხმდა ბოლოს სამუელ. დათანხმდა და ხალხს წარუდგინა კაცი სამეფო. აი, ვინ გამოარჩია უფალმა თქვენს მეფედო, — შესძახა მან.

„დაე, სცოცხლობდეს მეფე ჩვენი!" — იღრიალა ხალხმაც.

ასე დაიწყო მეფობა ისრაელთ შორის.

კარი მეორე

ჟამნი ერთხელმწიფობისა

1. საულ

მაშ, პირველი მეფე ძეთა ისრაელისათა.

სამუელ წინასწარმეტყველმა რომ დაადო ხელი.

ეს იყო საულ (შაულ — „ღვთისგან გამონათხოვი"), ძე კისისა, ბენიამინის ტომისაგან, ქალაქ გივადან („გივა" — „ბორცვი").

იყო ჭაბუკი უმშვენიერესი, ტანით უახოვნესი, „რამეთუ მხრითგან უმაღლეს იყო ყოველსა კაცსა".

ხოლო, წლები მისი ხელმწიფობისა — ქრიტესშობამდე 1095—1055.

არავითარი წარჩინება გამეფებამდე არა ჰქონია. ამ მდაბიო, უბრალო მწყემსსა და მიწისმუშას რა მეფობაზე უნდა ეფიქრა. მის გლეხურ მოსაქმეობაშიც არავითარი გონგამჭრიახობა არ გამოუჩენია. ერთხელ, მამამ რომ დაკარგული ვირების საძებრად გაგზავნა, სამი დღე ისე იხეტიალა და მანამ ვერაფერიც ვერ მოიხილა, სანამ ის ვირები სამუელმა არ მოანახვინა.

არც ვინმე, მთელს ამ სათვისტომოში, მეფობის წინამორბედიც არა

ჰყოლია, მისგან მაინც რომ ზიარებოდა ერთხელმწიფობის სიბრძნეს თუ არა, მარტივ წესსა და რიგს მაინც. მის წინ მხოლოდ აბიმელეხი ეძახდა თავის თავს „მეფეს“, მაგრამ ამ უზნეო, ძმათა მკვლელი მანიაკის მმართველობა მაგალითად ვერ გამოადგებოდა ახალ ხელმწიფეს. და ისევ ძველი მოსაქმეობით საქმიანობდა ებრაელთა პირველი მეფე: ვირებს მწყემსავდა, სახვნელში შებმულ ხარებს ერეკებოდა, ხნავდა, თესავდა.

მაგრამ დასაწყისი მაინც ფეხბედნიერი გამოდგა მეფისთვისაც და ერისთვისაც.

საულის გამეფებიდან ერთი თვე თუ იქნებოდა გასული, რომ ყამონიტთა მეფე ნ ა ხ ა შ ი თავისი ჯარით ალყად შემოადგა ებრაელთა ქალაქს, ი ა ბ ე შ გ ა ლ ა ა დ ი ს ა ს (იორდანეს აღმოსავლეთით). შეშინდნენ იაბეშელნი და შეუთვალეს ნახაშს: დასდე ჩვენთან კავშირი და მშვიდობით გემსახურებითო შენ. გეთანხმებითო, უპასუხათ ყამონელთა მეფემ, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ ყოველ თქვენთაგანს, მთელი ისრაელის დასამცირებლად, მარჯვენა თვალი უნდა გამოვთხაროო. (აქ მხოლოდ მტრის დამცირება არ იგულისხმებოდა, არამედ ყამონიტთა მეფე უეჭველად იმასაც ვარაუდობდა, რომ მომავალში საომრად აღჭურვილი მტერი, მარცხენა ხელით ჩაჭერილი ფარით რომ ტანთან ერთად სახესაც იფარავდა და მტრის სათვალთვალო-სამიზნოდ მხოლოდ მარჯვენა თვალს გამოიჭვრეტდა,— ახლა ნახაშ მეფე იაბეშელებს იმ „აქტიური თვალის“ დაბრმავებით ემუქრებოდა).

იაბეშელებმა შვიდი დღე ითხოვეს მოსაფიქრებლად. ის შვიდი დღე არც ნახაშ ყამონიტელს არ უნდა ჰყოფნოდა ქალაქის დასაჩოქებლად, და დათანხმდა.

იმ ღამით, მტრისგან იდუმალ, იაბეშიდან შიკრიკები გაძერნენ და საულ მეფესთან გაჩდნენ, ქალაქ გივაში. საული შინ არ დახვდათ. იგი ყანაში ყოფილიყო, სამუშაოდ. ხალხი კი მაშინვე დააყენეს ფეხზე იაბეშელმა მოციქულებმა, და, როცა საულიც მობრუნდა, ხარებთან ერთად, იმასაც აუწყეს და სთხოვეს დახმარება, ვითარცა მეფეს და ვითარცა ებრაელს.

საულმა მაშინვე ორივე ხარი დაკლა, გაატყავა, ასო-ასოდ აქნა, ყოველი ასოეული ყოველ ებრაულ ტომში გაგზავნა და შეუთვალა: ვინც ახლავე იარაღს არ აიღებს და ჩემთან და სამუელთან ერთად, მტრის წინააღმდეგ საომრად არ გამოეშურება, იმათ ხარებსაც ისევე ავჩეხავ, როგორც ეს ჩემი ხარები დამიკლავს და დამიჩეხნიაო.

მართლაც, უცეთუ საერთო ეროვნული თვითშეგნება საკმარისი არ იქნებოდა, მაშინ, მიწათმოქმედი, სოფლისმეურნე ხალხისათვის ხარების და საერთოდ პირუტყვის ამოწყვეტა მართლაც დიდი მუქარა უნდა ყოფილიყო.

---

* სრულიად არადამაჯერებელი და მიამიტურია, ვითომ, ალყაში მოქცეულებმა მტერს ასე შემოუთვალეს: შვიდი დღე გვაცალე, დანარჩენ ისრაელებს დახმარებას ვთხოვთ (შენს წინააღმდეგო?!), და უარს თუ მივიღებთ, მერე დაგემორჩილებითო. (იხ. I მეფეთა, 11, 3).

ამიტომ საომრად ფეხზე დადგნენ ძენი ისრაელისანი, „რამეთუ იზრახა ყოველმან ერმან, ვითარცა ერთითა პირითა". სულ 76.000 მეომარმა მოიყარა თავი. სამად გაპყო საულმა ეს ლაშქარი, სამი მხრიდან შეუტია იაბეშის გარშემო დაბანაკებულ ყამონიტებს და, დილით დაწყებული ბრძოლა შუადამემდე ძლევამოსილებით მოითავა. მარცხნაჭამი ყამონელნი ისე გაიქცნენ და გაიფანნენ, მათგან „არა დარჩა არცა ორი ერთად".

გამარჯვებით აღტაცებული ხალხი სამუელ წინასწარმეტყველმა წაიყვანა გილგალს და იქ, სრულიად ებრაული ერის წინაშე, ერთხელ კიდევ სცხო ზეთი მეფობისა საულს, გმირსა იმდღეანდელი გამარჯვებისა. მეფეც აკურთხა, ხალხიც დამოძღვრა, ღმერთისა და მეფის მორჩილება და მოსმენა შეასმინა. დასასრულ „მსაჯულობის" რწმუნებებიც მოიხსნა და მღვდელმთავრობაც მის აღზრდილს, ა ხ ი ა ს გადააბარა.

გავიდა ერთი წელიწადი საულის გამეფებიდან. მეორეც მიდიოდა. მეფეს 3.000 მეომარი აერჩია მუდმივ საომარ მზადყოფნაში. აქედან 2.000 თავისთან ჰყავდა მეფეს, მ ი ქ მ ა შ ში, გივადან ჩრდილოეთით, ხოლო თვითონ გივაში თავისი უფროსი ძე ი ო ნ ა თ ა ნ ი გაეგზავნა 1.000 მეომრით.

გივაში მაშინ ფილისტიმელნი შემოსულიყვნენ ჯარით. მიუხტა იონათანი თავისი ათასეულით, — მიუხტა, დაამარცხა და განდევნა ქალაქიდან ფილისტიმელნი.

ეს ძალზე დიდი გაბედვა იყო მაშინ — ებრაელთაგან ფილისტიმელებზე ხელის აღმართვა. ფილისტიმელნი ნაშიერნი იყვნენ „რკინის ხალხისა", რკინას სჭედნენ, რკინით იარაღდებოდნენ, ებრაელებს კი რკინის გამოყენებას პირდაპირ უკრძალავდნენ, საომარი იარაღიც სრულიად წაერთმიათ წინარე ბრძოლებში, რკინის ხელოსნებიც კი ტყვედ წაეყვანათ; არამცთუ საომარი საჭურველი, მიწის საჩხრეკი სახნის-საკვეთელიც რომ დასჭირვებოდა, მის გამოსაჭედად ებრაელს ფილისტიმელი ხელოსნისთვის უნდა მიეკითხა.

ამიტომ იყო გასაოცარი მაშინ ებრაელთაგან „მორკინალ" ფილისტიმელებთან საომრად შებმა.

და, ამიტომაც საულ მეფემ ბუკების ცემით აუწყა მისი ძის გამარჯვება სრულიად ისრაელს.

მაშინ, აგრე არ უნდაო და — 30.000 ეტლოსნით, 6.000 ცხენოსნით და შრავალი ქვეითით შემოესივნენ ფილისტიმელნი ებრაელთა სამკვიდრებელთ.

საულმა მოუწოდა ხალხს საომრად. ბევრმა იარაღი აისხა და მეფეს ეახლა. ბევრიც შეშინდა და ანგარიშმიუცემლად გაიქცა, ზოგი იორდანეს აღმოსავლეთით, ზოგიც მთასა, ხევსა თუ ქარანძავში თავშესაფარად.

საომარ ძალთა თავშესაყარ ადგილად საულსა და სამუელს გილგალი დაეთქვათ, ფილისტიმელთაგან შორს, იორდანეს ნაპირთან.

ფილისტიმელები კი უკვე მოსდგომოდნენ მიქმაშს.

ებრაელთა ჯარი გილგალს იყრებოდა. საულიც მოსულიყო, სამუელი კი არ ჩანდა. მსხვერპლი უფლისთვის მას უნდა შეეწირა. ჯარისთვისაც მას უნდა

დაელოცა სალაშქრო გზა. ერთი კვირა იცადა მეფემ, მღვდელმთავარი კი არ მოდიოდა. ეს რწმუნებანი თვითონ სამუელისგან ხომ ახიას ჰქონდა გადაბარებული, მაგრამ ყველას მიაჩნდა, რომ სანამ სამუელი ცოცხალი იყო, საღვთო-საკულტო საქმენი მაინც მისი უფლება იყო. ჯარში დრტვინვა დაიწყო. ბევრმა სამუელის დაგვიანება, თუ მოუსვლელობა, ღვთის რისხვად მიიჩნია და სამხედრო ბანაკი კიდევაც მიატოვა. წუთიწუთზე მოსალოდნელი იყო ფილისტიმელთა გამოჩენაც.

მაშინ საულ მეფემ ცდას თავი მიანება და თვითონ შეუდგა საუფლო მსხვერპლშეწირვას. სამუელმა მოუსწრო და საყვედურებით აავსო მეფე, როგორ თუ აჩქარდი, არ დაითმინე და არ დამიცადეო. შენ ღმერთისა არ შეისმინე და ღმერთი მეფობასაც აღარ დაგიტოვებს და შენს ადგილზე უფრო ღირსეულ კაცს დასვამსო. ეს უთხრა და იქაურობას გაშორდა კიდეც სამუელი.

ჯარიც წინასწარმეტყველის გაჯავრებით და გაქცევით ზარდაცემული, თითქმის სულ დაიშალა და წავიდწამოვიდა. საული ექვსასი მეომრის ამარად დარჩა. იგი ამ ამალის თუ ჯარის თანხლებით გილგალიდან მივიდა გივას, სადაც მას ელოდა იონათანი. გივადან კი ერთი საათის სავალი გზა იყო მიქმაშამდე, სადაც მაშინ ბანაკად იდგნენ ფილისტიმელნი.

მოწინააღმდეგე ბანაკებს ჯერ ერთი, თვალჩაუწვდომი ხევი ჰყოფდათ, ხევს ზემოთ, მიქმაშის მთისკენ — თითქმის გადაულახავი პიტალო კლდენი. ამიტომ გივადან მიქმაშში მისვლა მხოლოდ შემოვლითი გზით თუ შეიძლებოდა.

მაგრამ იონათან საულის ძემ, ღამით, ერთი მეაბჯრის თანხლებით, უახლოესი მთები და კლდენი გადალახა და სრულიად მოულოდნელად დაადგა თავზე მტრის ბანაკს.

ფილისტიმელნი თვალს არ უჯერებდნენ, რომ მხოლოდ ეს ორი კაცი გაბედავდა მათზე თავდასხმას. მაგრამ გაბედეს, იონათანმა და მისმა საჭურველმტვირთველმა: ქვა დაუშინეს, საოცარი სიმარჯვით და სისწრაფით. ერთი მეორეზე ოცამდე კაციც მიაწვინეს და, სანამ გაოგნებული ფილისტიმელნი გონს მოეგებოდნენ, უცებ საულიც გამოჩნდა თავისი ჯარით.

სრულიად აერიათ ანგარიში ფილისტიმელებს. ეგონათ, იმ ხევხუვებიდან უწყვეტად ამოდიოდა სიმრავლე მტერთა. თვითონ შიგნით, საკუთარ ბანაკშიც, ტყვედ აყვანილმა ებრაელობამაც თავი დაიხსნეს და ფილისტიმელებს მიესივნენ, მათგანვე ართმეული იარაღით. იქვე, მტრის შემოსევით შეგინებული, ეფრემის მთებში შეხიზნული ებრაელობაც სახიზარებიდან გამოიჭრა და მტერს მიესია. ბანაკი აიჭრა, აირია, მოწყდა და გაიქცა, უგზოუკელოდ, უმისამართოდ.

გარბოდნენ ფილისტიმელნი და გზა და გზა ახალ-ახალ ნაკადად გამოცვენილი ებრაელები ცემით და ხოცვით მისდევდნენ გაქცეულებს. საულის და იონათანის ჯარი-მდევარი ახლა უკვე ათასეულებს მოითვლიდა.

მიქმაშიდან აიალონამდე, ათი საათის საეალ გზაზე, სდიეს და ადინეს სისხლი ებრაელებმა ფილისტიმელებს.

მეფეს ბრძანება გაეცა, მტერს ვდიოთ ისე განუწყვეტლივ და განუცადებლად, რომ არავინ ჩვენთაგანმა არც ლუკმა და არც წყალი პირთან არ გავიკაროთო, ხოლო, ვინც ამ ბრძანებას დაარღვევს, ჩემგან დასჯა და დაწყევლა არ ასცდებაო.

მაგრამ, აი დევნისას, ტყეში რომ შეეიდნენ, იქ ერთი ხის ფუღუროში თაფლით სავსე ფიჭა იხილეს. მეფის ნაბრძანების დარღვევა ხალხისაგან არავის გაუბედნია, მაგრამ თვითონ მეფის ძემ, იონათანმა კი გაბედა: ჯოხი ფიჭაში ჩაჰყო, თაფლი ამოიღო და პირში ჩაიდო. ვიღაცამ შეჰყვირა, მამაშენმა ხომ აკრძალა ლუკმის მიღებაო. მამაჩემმა წარწყმიდა ქვეყანანო, — უპასუხა იონათანმა — აი, მე, თაფლი რომ შევჭამე, თვალებში სინათლე ჩამიდგაო, და ხალხსაც რომ მტრისგან წართმეულ ნადაელიდან რაიმე ეჭამა, ხომ უფრო სრულყოფილად მოესპობდით მტერსო?

ამის თქმა და, მიესია ხალხი ფილისტიმელთაგან ანართმევ ნადაელს და ნატაცებს. ვინ ხარი წამოაქცია და დაკლა, ვინ ხბო, თხა თუ ცხვარი. კლავდნენ და ჭამდნენ იქვე, ნახევრად შემწვარს და შეხანხლულს, უმად, სისხლიანად.

უკვე ღამე ჩამომდგარიყო. მეფემ საკურთხეველი გამართა და მღვდელმთავარ ახიას მეშვეობით უფალს შეეკითხა, განეგრძო თუ არა მტრის დევნა ღამით? მაგრამ პასუხად „არა მიუგო მას უფალმან მაშინ".

ღმერთი რომ არ გვპასუხობს, უეჭველად მის წინაშე ვიღაც ჩვენიანმა შესცოდაო, — იბღავლა მეფემ და შეუდგა გამოძიებას. გამოიძია და გამოირკვა, მის ძეს, იონათანს უჭამია თაფლი, და ამით დაურღვევია ღვთის წინაშე დადებული აღთქმა მეფისა.

და ბრძანა მეფემ მაშინვე, მტკიცედ და შეურყეველად: ახლავე უნდა მოკვდე შენ, იონათან!

მაგრამ არ დაანება ხალხმა: იონათანი უნდა მოკვდესო?! იონათანი რომელმაც იხსნა ისრაელი? შენდობა იყავნ! ცხოველ არს უფალი, და ერთი ღერიც თმისა არ ჩამოვარდება იონათანის თავიდან!

და ასე იხსნა ხალხმა იონათანი სიკვდილისაგან.

დამარცხებული მტრის დევნაც შეწყვიტეს ებრაელებმა.

ფილისტიმელებისთვის ძალზე უჩვეულო იყო ასეთი მარცხით უკუქცევა და ამიტომ, ბუნებრივად, მათის მხრივ სარევანშო შემოსევებიც უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი.

ეს არც საულს უნდა დავიწყნოდა და ხალხი მოსალოდნელი საფრთხის მოსაგერიებლად მზად ჰყავდა. თვითონაც მეომარი გმირის სახელი მოიხვეჭა, მაგრამ სოფლურ ცხოვრებას არ შეელია. ბრძოლიდან თავის მშობლიურ გივაში დაბრუნდა და ისევ გუთანს და ხარებს ჩაუდგა კვალში.

ცხოვრობდა ასე, სოფელში „სოფლელი მეფე“, თავისი ოჯახით: ცოლი მისი — ახინოაბ, ძენი მათნი — იონათან, იშვი, მალქიშუაყი, და ასულნი მათნი — მერობა და მელქოლა.

ასე, თითქოს, ოჯახურ და სოფლურ იდილიას მისცემოდა საულ მეფე, მაგრამ მტერიც არ ავიწყდებოდა და მუდმივი საომარი მზადყოფნის საქმენი თავის ბიშაძვილის, აბენერისთვის მიენდო (საულის მამა კისი და აბენერის მამა ნერი — ძმები იყვნენ).

ახალი სისხლის დაქცევაც შალე დაისაჭიროვეს. სამუელ წინასწარმეტყველი შეუჩნდა მეფეს: უფალს სურს, ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს მოდგმა ყამალეკისა, რომელიც ისრაელის მოდგმას დაუძინებლად მტრობს ეგვიპტიდან წამოსვლის დღეთაგან ქანაანს დამკვიდრებამდე და დამკვიდრების შემდგომაც, დღემდე. ამიტომ საჭიროაო, — უმტკიცებდა მეფეს წინასწარმეტყველი — დაესხა თავს ყამალეკელთ, მოსპო ყოველივე მათი — „კაცითგან მიპირუტყვამდე, მამაკაცი და დედაკაცი, ყრმა და ძუძუსმწოვარი, ზროხა და ცხვარი, აქლემი და კარაული, ყოველი მოსრა და მოსწყვიტო და ნურას დაუტევებ“.

მაშინვე დაიძრა სამხრეთისკენ დიდი ლაშქრით საულ მეფე. მძიმედ სავალი გზები გაიარა — მთანი და უდაბნონი. ყამალეკთა სამფლობელოებს მიადგნენ.

ყამალეკიტებს კენიტები ეკვროდნენ და კიდევაც ეკავშირებოდნენ. საულმა კენიტებს ებრაელებთან ძველი მეგობრობა გაახსენა, ეგვიპტიდან ჩვენი წამოსვლის დროს თქვენ დახმარება გაგვიწიეთო, ახლა ჩვენ ყამალეკიტებს ანგარიში უნდა გავუსწოროთ და, თქვენც რომ არ დაზიანდეთ, გთხოვთ აქაურობას გაშორდეთო.

კენიტებიც აიყარნენ და იქიდან გადაიხვეწნენ.

შეესივნენ ძენი ისრელისანი ძეთა ყამალეკისათა. შეესივნენ და გაავლეს მუსრი. არც კაცი, არც ქალი, დიდიან-პატარიანად, ცოცხალი აღარავინ დაუტოვებიათ. გაწყვიტეს პირუტყვიც ყოველნაირი. დიდძალი ქონება ჩაიგდეს ხელში. სამუელმა ხომ ყოველივეს მოსპობა მოითხოვა, ღმერთს ასე სურსო, მე თვითონ ასე განმიცხადა უფალმაო.

მაგრამ ერთბაშად გამდიდრებული მოლაშქრენი ნაალაფარ სიმდიდრეზე ხელის აღებას და ასე უაზროდ ცეცხლში ჩასაყრელად გამეტებას არ აპირებდნენ. მეფემაც მხარი ჯარისკაცებს დაუჭირა და ამრიგად ქონებაც მათ დარჩა. სამუელი გაწბილდა. მაშასადამე, მეფემ და მისმა ჯარმა უფალი ღმერთიც არად ჩააგდეს.

ამ „ცოდვას“ მეფემ მეორეც დაურთო. მან ყამალეკთა მეფეს, აგაგს, მხოლოდ ტყვეობა აკმარა და სიცოცხლე აღარ წაართვა.

თვითონ საული ფრიად გაათამამა ყამალეკიტებზე გამარჯვებამ. ყამონიტებზე და თვით ფილისტიმელებზე გამარჯვებებსაც არ გაუყოყოჩებია იგი ასე. მეფემ საქმე იქამდეც მიიყვანა, რომ უკან მობრუნებისას, გზაზე, ქალაქ ქარ-

მ ე ლ შ ი, ყამალეკიტებზე გამარჯვების სახსოვრად, ძეგლი აღუმართა... თავის თავს!

ქარმელიდან გილგალს მოვიდა მეფე და აქ დადგა რეზიდენციად.

აქვე მიუხტა მას გაცეცხლებული სამუელ წინასწარმეტყველი.

სხვა რაღა გინდა, — რაც ღმერთს უნდოდა, ხომ ის შეასრულეო, — დაასწრო მეფემ.

მაშინ, ცხვრის ბღავილი და ხარების ზმუილი რად ესმის ჩემს ყურებსო? — შეუტრიალა წინასწარმეტყველმა.

ეგ საუკეთესო ცხვრები და საუკეთესო ხარები ხალხმა იმიტომ დაინარჩუნა, უფალს რომ მსხვერპლად შესწიროსო, — არ დაიხია უკან საულმა.

ნუთუ მსხვერპლის შეწირვა უფრო სიამოვნობს უფალს, ვიდრე მისი მოწოდების შესმენა და შესრულება?! უფლისადმი შეწირულ, ცეცხლზე დამწვარ ვერძის ცმელს უფლისადმი მოსმენა და მორჩილება სჯობს. ასეა, „რამეთუ ზმნა ზმნათა ცოდვა არს და განრისხებაი ცუდადი უსჯულოება არს, და ფუფუნებამან სენი და სალმობა შეიძინიან". შენ შეურაცხყავ ბრძანება უფლისა და უფალიც შეურაცხ-გყოფს შენ და აღარ იქნები მეფე ისრაელისა, — დაბეჭდა სამუელმა.

წახდა საული. ვცოდე უფლისა წინაშეო, აღმოხდა მას, არც მისი ბრძანება შევისმინე, არც შენი სიტყვა დავიჯერე; რა ექნა, ხალხისა შემეშინდა და მის ნებას დავყევიო. ახლა მაპატიე ჩემი შეცოდება, მოიბრუნე გული კვლავ ჩემკენ და მათაყვანე შენსა უფალსა.

მე შენკენ აღარ მოვბრუნდებიო, — მკაცრად მიუგო სამუელმა და ისევ გაიმეორა: შენ შეურაცხ-ყავ ბრძანება უფლისა, იმანაც საპასუხოდ უარგყო და აღარც მეფე აღარ იქნები ისრაელისაო.

სთქვა და უმალვე გამოტრიალდა წამოსასვლელად. მაგრამ ხელი ჩააკლო საულმა სამოსელში, რათა არ გამოეშვა სამუელ, ისე მაგრად ჩააკლო და გამოსწია, სულ ერთიანად მოეხა წინასწარმეტყველს ერთი კიდე სამოსელისა.

მაშინ უფრო ფიცხად შეუტია სამუელმა საულს: განგაშორა შენ უფალმა მეფობისაგან ისრაელისა და მისცა იგი მოყვასსა შენსა, უფრო ღირსეულს, და ურყევია გადაწყვეტილება უფლისა, რამეთუ იგი კაცი როდია, რომ შეინანოს.

მე შევცოდე უფლის წინაშე, — იბღავლა საულმა — მაგრამ ნუღარ მლანძღავ ხალხის წინაშე და გემუდარები, მობრუნდე და შენთან ერთად მათაყვანო უფლის წინაშე.

დათმო სამუელმა. მიბრუნდა, წაიყვანა მეფე და ათაყვანა უფლის წინაშე.

ახლა აგაგი მომიყვანეთო, ყამალეკიტთა მეფე, ბრძანა სამუელმა, საულს ლოცვა და მონანიება როცა დასრულდა.

შეასრულეს მისი ბრძანება: მოიყვანეს დაბორკილი მეფე ყამალეკეტთა.

შიშს აეტანა იგი. მიეახლა სამუელს და ჰკითხა, ცახცახით: ნუთუ ესრეთ მწარეა სიკვდილი?

უმალვე მიახალა სამუელმა: ვითარცა შენმა მახვილმან უშვილო ჰყო დედანი ჩვენნი, ესევე დედათა შორის უძეო იყოს დედაი შენი, — უთხრა, ძახვილი გულში გაუყარა და, ზედ იეჰოვას საკურთხეველის წინ, მკვდარი დააწვინა აგაგ, უკანასკნელი მეფე ყამალეკის ძოდგმისა.

ეს მოხდა გილგალას. აქიდან კი წინასწარმეტყველი და მეფე უბრალ დაშორდნენ ერთძანეთს. ცალცალკე წავიდნენ თავიანთ მშობლიურ ქალაქებში: სამუელი — რამას, საული — გივას. და აღარც არასდროს შეხვედრიან ერთიმეორეს. სამუელი კი სიკვდილამდე სულ იმის წუხილში იყო, როგორ შევცდი, რომ საული ვუკურთხეო მეფედ ძეთა ისრაელისათა...

2. დავით

ასი წლით უკან დავიხიოთ და მოვიხილოთ თავგადასავალი ერთი ოჯახისა, იუდეიის ბ ე თ ლ ე მ ი დ ა ნ (ბეითლეხემ — „სახლი პურისა"). იუდას ტომის ებრაელი, სახელად ე ლ ი მ ე ლ ე ხ ი და მისი ცოლი ნ ო ე მ ი ხ ი, ერთ შიმშილიან წელს, თავისი ორი ვაჟით, იუდეიდან საცხოვრებლად გადასახლდნენ მოაბში. აქვე ორივე ვაჟი დააქორწინეს ადგილობრივ, მოაბელ ქალებზე, რომელთაგან ერთს ერქვა ო რ ფ ა, მეორეს — რ უ თ.

მალე სამივე მამაკაცი, მამა-შვილნი, დაიხოცნენ. ქმარშვილამოწყვეტილი ნოემინი ბეთლემს დაბრუნდა. მაგრამ დაქვრივებულ რძალთაგან ერთმა, რუთიმ, დედამთილი არ მიატოვა და ბეთლემში თან გაჰყვა. „ვიდრეცა მიხვიდე, მივიდე და, სადაცა იყოფოდე, ვიყოფოდე მეცა შენ თანა, ერი შენი ერი ჩემი არს და ღმერთი შენი ღმერთი ჩემი არს", — ამ მტკიცე გადაწყვეტილებით წაჰყვა მოაბელი რძალი ებრაელ დედამთილს.

ამ დროს მივიდნენ ბეთლემს, როცა მკის დრო დამდგარიყო.

რუთიმ დედამთილისგან ნება აიღო და უკვე აღებულ ყანაში ნარჩენ თავთავთა საკრეფად წავიდა. კიდევაც მრავლად მოკრიბა თავთავი და უცებ გამოჩნდა ყანის პატრონიც. ეს იყო ელიმელეხის მდიდარი ნათესავი, სახელად ბ ო ა ზ.

მოიხიბლა ბოაზ რუთის სათნოებით და კდემამოსილებით.

და შეირთო ცოლად.

ბოაზს და რუთის შეეძინათ ძე, სახელად ო ბ ი დ.

ხოლო, ძე ობიდისა იყო ი ე ს ე (იშაი).

სწორედ ამ დროს, სამუელის მღვდელმთავრობისა და საულის მეფობის ჟამს, ბეთლემში ცხოვრობდა იესე, თავის რვა ძითა და ორი ასულით.

ერთ დღეს, სამუელ წინასწარმეტყველი მივიდა ბეთლემს, სამსხვერპლო დეკეულით და ზეთით აღვსილი რქით ხელში.

გაუკვირდათ სახელგანთქმული მოძღვრის ასე მოულოდნელად გამოჩენა ბეთლემელ მამასახლისებს და ჰკითხეს კიდეც: „მშიდობით არს შემოსლვა შენი ჩვენდა, მხილველო“.

მშვიდობით მოვედიო, დაამშვიდა დამხვდურნი „მხილველმა“, მსხვერპლი უნდა შეეწირო უფალსო, თქვენც მოდით ყოველნი და დაეწარით მსხვერპლშეწირვასო.

იესეც მოვიდა, შვიდი ძის თანხლებით.

იმათგან ჯერ უფროსს, ელიაბს, დაადგა თვალი სამუელმა, მერე მომდევნოს, ამინადაბს, მერე მესამეს — სამაას, დანარჩენი ოთხიც აათვალჩაათვალიერა და ბოლოს მიუბრუნდა იესეს:

„ყველანი აქ არიან ძენი შენნი?“

„არა, კიდევ მყავს ამათზე უმცროსი, რომელიც ახლა სამწყემსურშია, ცხვრებს მწყემსავს ჩემსას“, — უპასუხა იესემ.

„ახლავე ვინმე გაგზავნე და მოაყვანინე, და ვიდრემდე არ მოსულა იგი, მანამდე ჩვენ ინახად არ დავჯდებით“, — მტკიცედ ბრძანა სამუელმა.

იესემაც მაშინვე გაგზავნა კაცი და სასწრაფოდ მოაყვანინა სამწყემსურიდან ძე მისი უმრწემესი.

და მოვიდა იგი, ყმაწვილი დავით, ფერითა „მწითურ, პირითა მხიარულ, გრემან, ქმნილკეთილ ხილვითა“.

შეეგება სამუელ, მოიხილა ჭაბუკი იგი მშვენიერი თავით ფერხამდე, აიღო რქა და სცხო ზეთი, და ამა მირონცხების კვალად — „მოვიდა სული უფლისა დავითის ზედა მიერ დღითგან მყოვარ ჟამ“.

ამის შემდგომ სამუელი დაბრუნდა თავის ქალაქში, რამაში.

ხოლო, საულს „განეშორებოდა სული უფლისა“. გამხდარიყო იგი სევდიანი, გულმწუხარე, გულჯავრიანი. ურჩიეს კარისკაცებმა მეფეს, ვინმე ხელოვანი სახიობი აიყვანე, ქნარზე დამკვრელი და მომღერალი, რათა გაგართოს და დაგამშვიდოსო ჟამსა ნაღვლის შემოწოლისასა.

მომიძებნეთ და მომიყვანეთ ასეთი კაციო, ბრძანა მეფემ.

ასეთი კაცი იესე ბეთლემელის უმცროსი ძე გახლავთ, დავითი, კიდეეაც რომ დიდებულად უკრავს და გალობს, მამაცი მეომარიცაა, სიტყვითაც ბრძენი და სახილველადაც მშვენიერი, პირდაპირ რომ „უფალი არს მის თანა“, — შეაგებეს მეფეს.

მაშინვე აფრინა მალემსრბოლი საულმა ბეთლემში, იესესთან. შენი შვილი დავითი, მწყემსად რომ ,ყავს, სასწრაფოდ გამომიგზავნეო.

იესემ მისცა შვილს ვირზე აკიდებული ერთი ბატკანი, ერთი თიკანი, პური, თხიერით (ტიკით) ღვინო, და გაუშვა მეფესთან.

და ასე, მივიდა მეფის კარამდე დავით, ძე იესესი, ძისა ობიდისა, ძისა ბოაზისა და რუთისა.

და მსახურობდა დავითი საულ მეფის კარზე, — ქნარზე უკრავდა, გალობდა და „განუსვენებდა სულსა მეფისასა".

ფილისტიმელები კი ხელს არ იღებდნენ ებრაელთა მიწაწყლის ხელყოფისაგან. მათ ახალი დიდი ლაშქრობა წამოიწყეს, იუდეას დასავლეთიდან მიაწვნენ, შეიჭრნენ და ბანაკი დასცეს, სუქოთსა და აზეკას შორის.

საულმაც შემოიყარა ლაშქარი, დაიძრა და დაიბანაკა მტრის პირისპირ.

ორივე მხარე მაღლობზე იდგა. შუაზე ველი გაშლილიყო, მომავალ საომარ ასპარეზად.

და, ერთ დილას, ფილისტიმელთა მხრიდან, ველზე ჩამოეშვა მეომარი, ტანად ბუმბერაზი — „სიმაღლე მისი ექუს წყრთა და მტკაველი", თავით ფერხამდე რვალის საჭურვლით შეჭურვილი.

სახელი იმა მეომრისა იყო — გ ო ლ ი ა თ, ფილისტიმურ ქალაქ გათიდან.

მოდიოდა გოლიათი. უკან მეაბჯრე მოსდევდა.

და მოვიდა გოლიათი შუბშემართული, ებრაელთა ბანაკს მოეახლა და შემოუძახა: რისთვის შეყრილხართ თქვენ საომრად? აი, მე ხომ ერთი ვარ, ფილისტიმელი, თქვენ კი მონანი საულისა. აარჩიეთ თქვენ შორის ერთი ვინმე და ჩამოუშვით ჩემთან საომრად. თუ იგი შემებრძოლება და მომკლავს მე, მაშინ ჩვენები იქნებიან მონანი თქვენნი, ხოლო თუ მე ვძლევ და მოვკლავ მას, მაშინ თქვენ გადიქცევით ჩვენს მონებად. მაშ, დავიწყოთ და მე დაგასხამთ თავსლაფს, ისრაელნო, ჩამოუშვით მეომარი ჩემთან საომრად!

შიშმა მოიცვა ებრაელთა ბანაკი, გოლიათთან შებმის შემბედველი არავინ ჩანდა.

იესე ბეთლემელის უფროსი სამი შვილიც აქ იდგა — ელიაბ, ამინადაბ, სამაა, — ისინიც შეშინებულნი, ყოველ შეშინებულთა შორის.

ხოლო, იესეს უმცროსი ძე, დავითი, საულის მექნარე, მაშინ ისევ სამწყემსურს იყო, ბეთლემში, მამამისის ცხვრის სამწყემსავად. რაკიღა ბრძოლად წასულ მეფეს აღარ ჰირდებოდა (აღარ „ემღერებოდა") მაშინ თავისი გამრთობი მგალობელი ჰაბუკი.

გოლიათი კი თავისას არ იშლიდა. ყოველ დილით ჩამოდიოდა ბრძოლის ველზე, ებრაელთა თვალწინ მიმოდიოდა დალამებამდე, განუწყვეტლივ აგინებდა მათ, დასცინოდა და დაამცირებდა, ვითარცა ლაჩართა და გულჩუქენთა. აგერ, მეორმოცე დღე მიდიოდა ფილისტიმელი გმირისაგან ებრაელთა ეგზომ სამარცხვინო თავლაფდასხმაში.

და მოვიდა დავითი.

მამამისს, იესეს გამოეგზავნა იგი, საჭმელ-სასმელით, — შენს ძმებს და მათ მეთაურს მიუტანეო. თან ისიც შემიტყვე და შემატყობინე, როგორ მშვიდობით და ცოცხლად არიანო.

მოვიდა დავითი და იხილა ჯარი, „შუხასა მას ქუეშე“, უკვე საომრად დაწყობილი.

იმ დილით საულს თურმე, გადაეწყვიტა, მაინც გაეყვანა ბრძოლად გოლიათისგან დაზაფრული ჯარი.

ძმებიც მოინახულა დავითმა. საინახე ჯერიც გადასცა.

და უცებ ისევ გამოჩნდა გოლიათი საომარ ველზე. ისევ გაითხოვა ცალკე, ჩალიბად საბრძოლველად, ვინმე ისრაელთაგან. ისევ მოჰყვა ისრაელთა დამამცირებელ ლანძღვაგინებას.

ეს რა ხდებაო, ამას როგორ ითმენთო? — გაიკვირვა დავითმა — ეს წინდაუცვეთელი ფილისტიმელი ასეთი ვინაა, უფლისგან რჩეულ ერს აგრე ამცირებდეს და ამდაბლებდესო.

ვინც მაგას მოკლავსო, — გაეპასუხნენ იქვე დავითს — მეფე მას ცოლად აძლევს თავის ასულს და მამამისის სახლეულსაც ათავისუფლებს ყოველგვარი გადასახადისგანო.

უფროსი ძმა, ელიაბი კი მიუხტა დავითს, გაცხარებით, — შენ რას ეჩრებიო, ან რად მოსულხარ და ცხვარი უპატრონოდ დაგიგდია უდაბნოშიო. მე შენი ამპარტავნობა და სიბოროტე ვიცი და რა სასიამოვნოა, ბრძოლად მიმავალ ჯარს შენი ავი თვალი ეცესო.

მე ჯერ მხოლოდ სიტყვა მითქვამს და სხვა არაფერიო, — ამ პასუხით გაშორდა ძმას დავითი. ხალხში კი უკვე მტკიცედ ამბობდა იგი: მე გავალ და მოვკლავ „იმ წინდაუცვეთელსო“.

ბოლოს, ჭაბუკის დანაქადებმა მეფის ყურამდეც მიაღწია. მაშინვე იხმო საულმა დავითი. იხმო და დაკითხა. დავითმაც უთხრა: „ნურვინ შეძრწუნდება, უფალო ჩემო მეფევ, მე, მონა შენი, გავალ და შეეებრძოლები იმ ფილისტიმელს“.

შენ როგორ შეძლებ მასთან საბრძოლოდ გატოლებასო, — შეეპასუხა მეფე — შენ ჯერ ყრმა ხარ, ის კი კაცი განსრულებული, სიჭაბუკითგან ბრძოლაში ნაწრთობი.

ეგ არ მეფიქრებაო, — მოახსენა ისევ დავითმა — როცა მე მამაჩემის ცხვრებსა ვმწყემსავდი, უდაბნოში, და ლომი ან დათვი კრავს თუ ვაცს მომტაცებდა, დავედევნებოდი მათ, დავეწეოდი და პირიდან ვაგლეჯდი მსხვერპლს, ხოლო თუ ნადირი მეც მომვარდებოდა, ცალი ხელით ფაფარით ანუ ქეჩოთი დავიჭერდი, მეორეთი კი გავგმირავდი და შევმუსრავდიო. და, უკეთუ შენს მონას ლომისა და დათვის მოკვლა შეუძლია, ეს წინდაუცვეთელი ფილისტიმელი ვინღა გდია, მაგას ვეღარ მოვერიოო. ამიტომ გთხოვ, ნება დამრთო, ბრძოლად გავიდე და ვიხსნა ერი ჩვენი ასეთი სირცხვილისაგან.

დათანხმდა საულ მეფე, და უბრძანა დავითს: „გვალე (წადი), შეებრძოლე, და უფალი იყოს შენ თანა!“

უთხრა და თავის ხელითვე აღჭურვა ჭაბუკი საომრად: ტანზე ჯაჭვის პე-

რანგი ჩააცვა, თავზე სპილენძის მუზარადი დაჰხურა, წელზე მახვილი შეარტყა.

გაიარ-გამოიარა ესრეთ აღჭურვილმა დავითმა. იუხერხულა და იხამუშა აქამდე მისთვის უცნაური აღჭურვილობა. მერე ეს უთხრა მეფეს, გადაწყვეტით: ვერ გავალ ბრძოლაზე ასე შებორკილი, არასდროს მცმია, არ ვარ ნაჩვევიო, — და მაშინვე აიყარა კიდეც იარაღი, ჭურნი ყოველნი, და დარჩა ისევ შიშვლად, მწყემსურად.

და, მწყემსურადვე, აიღო კომბალი, ხუთი რიყის ქვაც აარჩია, მწყემსურ ჩანთაში ჩაილაგა, შურდულიც მოიმარჯვა და დაეშვა ფილისტიმელთან შესახვედრად.

გოლიათიც მოახლოვდა, მეაბჯრის თანხლებით, და როცა იხილა ყრმა უწვერული, შემოსძახა გაოცებულმა: შენ ვინა ხარ, ჯოხით და ქვებით რომ მოდიხარ, ძაღლი ვარ თუ რა?!

ძაღლი არა, მაგრამ ძაღლზე უარესი კი ხარ! — შეუტრიალა დავითმა.

მაშ, მოდი, რამეთუ უმალვე შენი ლეში მივცე ფრინველთა და მხეცთა საჭიჭვნად! — იღრიალა გოლიათმა.

შენ ჩემზე მოდიხარ მახვილით, შუბით და ფარით, — ესიტყვებოდა ისევ ჭაბუკი ებრაელი — მე კი მოვდივარ ჩემი ერის და ჩემი მფარველი უფალი საბაოთის სახელით და წინამძღოლობით; სწორედ უფალი მაუფლებს შენზედ, და მე მოგკლავ შენ, მოგკვეთავ თავს, ხოლო ტანს შენსას და ლეშთა ყოველთა შენთა ფილისტიმელთა საჭმელად მივცემ ფრინველებსა და მხეცებს, და მაშინ შეიტყობს მთელი ქვეყანა, „ვითარმედ არს ღმერთი ისრაელსა შორის“. და იმასაც შეიტყობს ერი ყოველი, რომ არა მახვილითა და შუბით იხსნის ვისმეს უფალი, არამედ თვითონ უფლისგან არის ძლევა ყოველსა ბრძოლასა შინა. და დღესაც უფალი ჩვენის ხელით გაგწირავთ თქვენ.

ამ სიტყვის დასრულება მოასწრო და დაინახა დავითმა, როგორ დაიძრა და გამოქანდა მისკენ გოლიათი. და თვითონაც გაქანდა მისკენ შესახვედრად.

გაქანდა, გზად ჩანთიდან ქვა ამოიღო, შურდულში ჩასდო, მოიქნია და გასტყორცნა სრულის ძალით.

ქვა შუბლში მოხვდა ფილისტიმელს. მოხვდა, ჩაულეწა და ტვინი გადმოანთხევინა.

და უსულოდ დაეცა გოლიათი.

უმალვე მიეჭრა დავითი, თავდამხედ დაცემულ მტერს ზედ შეახტა, მახვილი ამოაძრო, ორივე ხელით მოიქნია, შიგ კისერში უჭირა და გააგდებინა თავი.

თავზარი დაეცა ფილისტიმელთა ბანაკს.

აღტაცებამ მოიცვა ებრაელთა ბანაკი. ერთბაშად საომრად აღიმართნენ და გამაყრუებელი ყიჟინით გაექანენ შიშით ატანილ და უკვე გასაქცევად აღძრული მტრისკენ.

გარბოდნენ ფილისტიმელნი.

მისდევდნენ და ხოცავდნენ ებრაელნი. აკარონამდე სდიეს და გზები დახოცილ მტერთა გვამებით დაფინეს. შემობრუნდნენ და მტრის ნადგომი ბანაკიც დაიალაფეს.

ეს იყო დიდი გამარჯვება.

ავტორი ამ გამარჯვებისა — დავითი.

თვითონ დავითმა გოლიათის თავი იერუსალემში მიიტანა და იქ გამოჰფინა, ხოლო საჭურველი მისგან მოკლული ბუმბერაზისა თავის კარავში დაილაგა, სახსოვრად და სამშვენისად.

უცნაური კი ის იყო, რომ საულ მეფე ისე იქცეოდა, ვითომ დავითს არც კი იცნობდა. მაშინაც, როცა ჭაბუკი გმირი გოლიათთან შესარკინებლად გავიდა, მეფემ თავის სარდალს, აბენერს ჰკითხა, ვისი შვილია ეს ყმაწვილი. არ ვიცი, უპასუხა აბენერმა. წადი და ჰკითხეო, — არ მოეშვა მეფე, მას შემდეგ რაც დავითმა გოლიათს თავი გააგდებინა. წავიდა აბენერი და მოიყვანა დავითი, ხელში გოლიათის თავით.

„ვისი შვილი ხარ, ჭაბუკო?“ — ჰკითხა მეფემ.

„ძე ვარ მონისა შენისა იესე ბეთლემელისა“, — იყო პასუხი.

რა იყო ეს? რატომ მალავდა მეფე ნაცნობობას დავითისას. აკი ამდენხანს პირისპირ უდგა ჭაბუკი იგი, როცა მის გასართობად და გასამხიარულებლად ქნარზე უკრავდა და უგალობდა. მერე, ბრძოლად გასვლის წინ რომ ესაუბრა, იარაღიც რომ თავის ხელით შეასხა... არა, რა თამაში იყო ეს? კიდევ რამ წამოუარა ისედაც ჰიპოხონდრიით შეპყრობილ მეფეს?!

ასე იყო თუ ისე, საულ მეფემ თან წაიყვანა, სამუდამოდ, თავის სასახლეში ჭაბუკი გმირი, რომელმაც მას ეგზომ დიდი გამარჯვება არგუნა.

უფრო საინტერესო მაინც საულის უფროსი ძის, უფლისწულ იონათანის დამოკიდებულება იყო. იონათანმა დავითი შეიყვარა „სიყვარულითა დიდ-თა, ვითარცა სული თვისი“. პირდაპირ ძმობა შეფიცეს ერთმანეთს. იონათანმა თავისი სამოსელი გაიხადა და დავითს ჩააცვა, თავისი სარტყელი შეარტყა, თავისი საჭურველი, ხმალი და მშვილდ-კაპარჭი მიუსახსოვრა.

მეფემ დავითი მალე კიდევაც დააწინაურა, — ჯარის მეთაურად დანიშნა.

ხალხი აღტაცებით ხვდებოდა ერთად მომავალ საულს და დავითს. ხვდებოდნენ ცეკვათამაშით, სიმღერით.

და გავრცელდა და გახშირდა ქალთა შორის ასეთი სიმღერა: „საულმა სძლია ათასებს, ხოლო დავითმა ათი ათასებს“.

განაწყენდა საული უსაზღვროდ, როგორ თუ ჩემზე უმჯობესად უცვნიათო დავითი; ერთი მეფობაღა დარჩენიათ, თორემ ყოველივე მისთვის მიუკუთვნებიათო.

და იმ დღის შემდეგ აითვალწუნა საულმა დავითი.

ერთ დღეს გამორჩეულად აიტანა მეფე „სულმა უკეთურმა“. ეს მაშინ, როცა დავითი ჩვეულებრივად იდგა მის პირდაპირ, კედელთან, და უკრავდა ქნარს. უცებ ჰოროლი აიტაცა საულმა და მთელის ძალით სტყორცნა და-

ვითს. ელვის უსწრაფესად იქცია მხარი დავითმა და შუბი უსაზღვნოდ შეერჭო კედელს.

გამოერკვა მეფე. ახლა შიმშა აიტანა იგი, ვაი თუ უფალმა დამსაჯოსო, რამეთუ უფალი დავითთან არს, ხოლო ჩემგან იქცია პირი.

და სასახლიდან განიშორა საულმა დავითი, ჯარში ათასისთავად დანიშნა და ამით განიშორა.

იქაც სამაგალითო და საყვარელი იყო დავითი, სადაც ახლა გაამწესა იგი საულმა.

და, საერთოდ, „ყოველი ისრაელი და იუდა ჰყუარობდა დავითს, რამეთუ შინაგანმავალ იყო იგი წინაშე ერისა“.

მაშინ დამოყვრება გადაწყვიტა მეფემ სრულიად ერის საყვარელ გმირთან და შესთავაზა კიდეც, — ცოლად შეირთეო ჩემი უფროსი ასული, მ ე რ ო ბ ა. მერე ისევ წამოუარა ჰიპოხონდრიამ მეფეს და მერობა სხვას გაატანა ცოლად, ვიღაც ა დ რ ი ე ლ მელოთელს.

ეს დავითსაც არ უნდა დარჩენოდა საჯავროდ, რადგან დავითს საულის მეორე ასული მოსწონებოდა — ლამაზი მ ე ლ ქ ო ლ ა. მეფემ, ეს რომ შეიტყო, შეუთვალა დავითს: მოგცემ ცოლად მელქოლას, მაგრამ წინასწარ ასი ფილისტიმელი უნდა მოკლა და საბუთად ასივეს წინანაცვეთი უნდა მომიტანოო.

იქნებ მოკლანო, ბოლოს და ბოლოს, ფილისტიმელებმა დავითი, — ამასაც ვარაუდობდა მეფე.

მაგრამ წავიდა დავითი ხაომრად და, ასის ნაცვლად, ორასი ფილისტიმელის წინანაცვეთი მიუტანა და მიუთვალა მეფეს.

და მისცა ცოლად საულმა დავითს თავისი ასული, მელქოლა.

მაგრამ არ იქნა და არ დაიშალა მტრობა მეფემ აწ მისი სიძისადმი. ბოლოს, იონათანსაც გაანდო მან, თავის სიყრმის ძეს, უეჭველად უნდა მოვკლაო დავითი. იონათანმაც აიღო და იდუმალ შეატყობინა ძმადნაფიცს, ხვალ მამაჩემი მოკვლას გიპირებს და თავს უშველე, სადმე უშიშარ ადგილს შეეფარეო. თანაც, შეუჩნდა და უჩიჩინა მამას იონათანმა: რა დაგიშავა, რას ერჩი დავითს, რამდენი სიკეთე მან გიყოო, შენც და ქვეყანაც მტერთაგან იხსნაო, მუდამ შენი ერთგული და მოყვარულიაო. რატომ გინდა ცოდვა ჩაიდინო, უდანაშაულო სისხლი უერთგულესი კაცისა ასე უმიზეზოდ დააქციოო.

დაუჯერა შვილს და შემოიქცია გული ეჰვით გულშეპმულმა მეფემ და თქვა, ვითომ მტკიცედ და გულდაჯერებით: „ცხოველ არს უფალი ჩემი და არა მოკვდეს დავითი“.

და მოიყვანა დავითი სასახლეში იონათანმა. ისევ შეხვდნენ ერთმანეთს მეფე და მისი სიძე, მისი ხალხის რჩეული გმირი.

ომიც განახლდა ფილისტიმელთა და ებრაელთა შორის. ისევ გაუძღვა ლაშქარს დავითი. ისევ გაიმარჯვა, „გამარჯვებითა დიდ-დიდითა“.

ისევ წამოუარა მეფეს ჰიპოხონდრიამ, ისევ ესროლა შუბი დავითს, მის

პირდაპირ ქნარზე მგალობელს, ისევ აიცდინა ნასროლი იარაღი გმირმა და ისევ გაშორდა სასახლეს. იმ ღამით, კიდევ, მკელელები, მიუგზავნა სახლში შეფემ თავის სიძეს, მაგრამ მელქოლამ იხსნა, იდუმალ სარკმლიდან გადააპარა და გაუშვა ქმარი, შუაღამისას.

დავითი გაიქცა რამას, სამუელ წინასწარმეტყველთან, მიიღო და შეიფარა სამუელმა მისგანვე ნაკურთხი და ხელდასმული გმირი. ცალკე, ახლო უბანში, ნ ა ვ ა თ შ ი, დააბინავა. იქ შეიყრებოდნენ ხოლმე და ბჭობდნენ ყოველ საზრუნავებზე და სატკივარზე, რაიც კი ეხებოდა ერსა და ქვეყანას, მეფეს და სამეფოს.

საული კი „სიგიჟეს“ არ [illegible] [illegible] [illegible], დავითი რამას გაქცეულიყო და თავი სამუელ წინასწარმეტყველისთვის შეეფარებინა, — აბა, ჩემს მტრებს თავი მოუყრიათო და ახლა იქ გაგზავნა რაზმი დავითის შესაპყრობად.

წარგზავნილები იმ დროს მივიდნენ რამაში, როცა სამუელს და მის თანმხლებ ლევიტელ მგალობლებს იეჰვას ტაძარში დიდი წირვა, გალობა და როკვა გაეჩაღებინათ. და ისე მოიხიბლნენ საულისანი იქაური სახილველნით, რომ მეფის ბრძანებაც დავიწყეს და უკან დაბრუნებაც აღარ უფიქრიათ, იქვე დარჩნენ სამუელის სასმენელადაც, სამსახურადაც.

კიდევ ორჯერ გაგზავნა საულმა თავისიანნი რამას, წინარე საბრძანისით. მაგრამ ისინიც დარჩნენ და, წინასწარმეტყველისგან მოხიბლულნი თვითონაც „გაწინასწარმეტყველდნენ“.

ბოლს, თვითონ წავიდა საული რამას. თვითონაც უსმინა სამუელს და ლევიტელთა, თვითონაც მოიხიბლა და მოთვინიერდა, ტანსაცმელი შემოიძარცვა და მთელი დღე და მთელი ღამე შიშველმა იგორა და იფხარკალა მგალობელ წინასწარმეტყველთა წინაშე.

და აქედან განევრცო ხალხში სამარადჟამოდ: „საულიც წინასწარმეტყველთა თანა არს“.

როცა მეფე რამადან გიეას მობრუნდა და იონათანმა იგი „გულმობრუნებული“ იხილა, ისევ სცადა მამის და მეგობრის შერიგება. მაგრამ აღარც დავითი ენდო მეფის ფიცს, აღარც საული ცდილობდა გულიდან გმირისადმი სიძულვილის ამორეცხვას. და, ერთ დღეს, იონათანი დავითის ქებას და მასთან შერიგებაზე ჩიჩინს რომ აღარ მოეშვა, მეფე ისე შეიშალა, შუბს ხელი წამოაელო და ახლა თვითონ შვილს ესროლა, სიყრმის შვილსა და ტახტისმემკვიდრეს. ძლივს აიცდინა მამისგან ნასროლი ჰოროლი იონათანმა.

იონათანს ისღა დარჩენოდა, მამისგან იდუმალ, დავითს შეხვედროდა და ღრმა წუხილით ეთქვა, რომ შერიგება აღარ მოხდებოდა და დავითი თავშესაფარად სადმე უნდა გადახვეწილიყო.

მეგობრებმა ისევ შეჰფიცეს ძმობა ერთმანეთს. ერთმანეთი გულში ჩაიკრეს. დიდხანს იტირეს კიდეც და ერთმანეთს ისე დაშორდნენ.

უკვე იცოდა დავითმა, საულის სამეფოში, მშობლიურ ქვეყანაში, თავ-

შესაფარს ვეღარსად იპოვნიდა და გადაწყვიტა ფილისტიმელთა მიწაზე შეეფარებინა თავი. წინასწარ, საგზლისა და საჭურელისათვის, ქალაქ ნობაში წავიდა, მღვდელმთავარ ახიმელექთან. ამანაც მისცა პური და მახვილი და გამოისტუმრა, თანაც — დიდი სამომავლო წინასწარმეტყველებით.

ნობადთან დავითი ფილისტიმელთა მთავარ ქალაქში, გათში წავიდა, მეფე ანქუშთან, თავშესაფრის საძიებლად. მაგრამ კიღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა ეს ნაბიჯი. ფილისტიმელთა სასახლის კარისკაცებმა იცნეს მათი სისხლის დამაქცევარი და მოკვლაც დაუპირეს. დავითმა თავი მოიგიჟიანა. გიეს იმჟამინდელი ხალხები ღვთისგან ხელდადებულად თვლიდნენ და ~~სასახლეშიც ხელსაც ვერ ახლებდნენ. მეფე ანქუშიც ეს სანქო ბაკბი მე~~ ჩემს სამეფოშიც თავზე საყრელად მყავს და დამატებით კიდევ უცხოელი გიეი რაღად მივიღო, და მისი ბრძანებით უკანვე გააძევეს დავითი.

იგი ისევ მშობლიურ მიწაზე იდგა. ისევ აქ უნდა მოეძია თავშესაფარი. და მოიძია კიდეც — გამოქვაბული ადოლამისა (ებრ. „მეარათ ადულამ").

შეიტყვეს და შეიყარნენ დავითთან, იმა ქარანძავსა ადოლამისასა, მისი ძმანი, მამამისის სახლეულისანი, და კიდევ სხვანი, საულ მეფის მეფობით განაწყენებულნი. ოთხასამდე კაცმა მოიყარა თავი.

იქიდან დავითი, თავისი მშობლებით, წავიდა მოაბს, მივიდა იქაურ მასიფაში (ქალაქი მასიფა, როგორც ზემოთ ვიხილეთ, იყო აგრეთვე გალაადში), შეხვდა იქ მოაბის მეფეს და სთხოვა, შეიფარეო ჩემი დედ-მამა, მანამ სანამ გაირკვეოდეს რას მიპირებსო მე ღმერთი.

შეიწყნარა მოაბელთა მეფემ დავითის თხოვნა და დაიტოვა თავისთან დავითის მშობლები.

ამის შემდეგ დავითი ისევ დაბრუნდა თავის სამალავში — ქარანძავსა (გამოქვაბულსა) ადოლამისასა.

იქ მას ეწვია ერთგული წინასწარმეტყველი გად, რომელმაც ურჩია იქედან წასვლა ისევ იუდას მიწაზე. დავითიც წავიდა და მივიდა ხარეთის ტყეში, ხებრონსა და მკვდარ ზღვას შუა.

ერთ დღეს საულ მეფემ, გივაში, მუხის ქვეშ, ტახტზე მჯდომმა, ხელში შუბით და კარისკაცებით გარშემორტყმულმა, შეიტყო, რომ დავითი კვლავ გამოჩენილა თავის ახლობელთა ჯარით, თუ ამალით.

„ისმინეთ, ძენო ბენიამინისანო, — მიმართა მეფემ თავისიანებს — ნუთუ თქვენ ძე იესესი მოგართმევთ დაბნებს, აგარაკებს, ვენახებს და ყველა თქვენგანს დააბრძანებს ათისთავად, თუ ასისთავად? უთუოდ, შეთქმულხართ ჩემს წინააღმდეგ; თორემ რატომ არცერთმა თქვენგანმა არ მაცნობა, როდის დაუმეგობრდა ჩემი ძე იონათანი ძესა იესესისა, და არცერთმა ჩემთვის თავი არ შეიწუხეთ, არ გამიმხილეთ, რომ ძე ჩემი ჩემ წინააღმდეგ ამხედრებდა მონასა ჩემსაჴ"

მაშინ, კარისკაცთაგან მეფეს წარუდგა დოიკ იდუმელი და მო-

ახსენა: მე ჩემის თვალით ვიხილე, ნობაში, როგორ მივიდა დავითი მღვდელ-მთავარ ახიმელექთან, სთხოვა მას პური და მახვილი და იმანაც როგორ მა-შინვე მიუბოძა ერთიც და მეორეც.

ახლავე შემომიყვანეთ ახიმელექიო, ბრძანა მეფემ და კიდევაც შეასრულეს მისი ბრძანება. შენც შეთქმული ყოფილხარ იესეს ძესთანო, — ახლა ახიმელექს მიახალა საულმა — პური და იარაღი რომ მიგიცია და ჩემს წინააღმდეგ დაგიმოძღვრავსო.

ვინა გყავს შენ ისეთი ერთგული, ვიდრე დავითიო, — შეუტრიალა ახიმელექმა მეფეს — ის შენი სიძეც არის, შენი ყოველი ბრძანების პირნათლად აღმსრულებელიც. მე კი ტყუილად მდებ ბრალს, რადგან არავითარი მზაკვრობა მე შენს წინაშე არ ჩამიდენიაო.

— არა, შენ უნდა მოკვდე, ახიმელექ, და შენთან ერთად ყოველი მღვდელი შენი სახლისანი! — დაიღრიალა მეფემ და მიუბრუნდა მცველებს: ახლავე გასწით და ამოწყვიტეთ მღვდლები, რომელთაც იცოდნენ დავითის გაქცევა და მე კი არაფერი შემატყობინესო.

მაგრამ არცერთმა მცველმა არ გამოიღო ხელი მღვდელთა ამოსაწყვეტად.

მაშინ დოიკ იდუმეელს უბრძანა საულმა, შენ წადი და შენ ამოწყვიტე მღვდლებიო. ისიც მაშინვე გაიქცა ნობას და გაწყვიტა ყველა სამღვდელო, სულ ოთხმოცდახუთი კაცი. ამასთან, დოიკ იდუმეელმა აქ, ამ მღვდელთა ქალაქში, დახოცა მრავალი ქალი, ყრმა-ბავშვი და ხვასტაგი.

გადარჩა მხოლოდ ერთი, ძე ახიმელექისა, სახელად ა ბ ი ა თ ა რ. რომელიც გაიქცა დავითთან. და უამბო აბიათარმა დავითს, როგორ გაწყვიტა დოიკ იდუმეელმა სამღვდელონი მამამისის, ახიმელექის სახლისანი.

დავითმაც სინანულით უთხრა აბიათარს: როცა მე მამაშენთან ვიყავი, მაშინ იქ დოიკ იდუმეელიც ვიხილე და უნდა მივმხვდარიყავი, საულთან რომ დაგვასმენდა. ვაი, რომ არ მოვკალი და მისგან დაქცეული თქვენიანების სისხლი ახლა ცოდვად მე დამეკისრა; შენ კი, აბიათარ, ნუღარ გეშინია, დარჩი ჩემთან და მე ვიძიებ შურს შენთვის, ვითარცა ჩემთვის.

ამას რომ ამბობდა დავითი, ვილაცა მოვარდა და მოახსენა: ფილისტიმელები შემოესივნენ კ ე ყ ი ლ ს (ხებრონის სამხრეთ-დასავლეთი) და ყოველივეს არბევენ და იტაცებენ მის გარშემოო.

და გაემართა დავითი კეყილისკენ. მივიდა და მიუხტა მტერს. დამარცხდნენ და უკუიქცნენ ფილისტიმელნი. დავითმა კეყილის მცხოვრებლებიც ტყვეობიდან დაიხსნა, მტრისგან წართმეული ქონებაც პატრონთ მიუბრუნა და მიუბედნიერა.

შეიტყო საულ მეფემ, რომ დავითი კეყილში იყო და სასწრაფოდ ჯარით გაეშურა მის შესაპყრობად.

დავითმაც შეიტყო მეფის გამოლაშქრება. უმალვე აბიათარი იხმო და ეთათბირა, ვითარცა უფლის მსახურ ქურუმს: როგორ იქნება, რას იზამენ

კეყილის მცხოვრებნი, რომელნიც მე ვიხსენ ფილისტიმელთაგან, ახლა დამიცავენ საულისაგან, თუ მიღალატებენ და მის მხარეს დადგებიანო?

— გიღალატებენო, იყო „ღვთის პასუხი“, და მაშინვე დავითმა თავისი ხალხით დატოვა უმადური კეყილი და თავი მისცა უდაბნოებსა და ხევხუევებს.

საულს შეატყობინეს დავითის ხელახალი გაქცევა და იგი უკანვე გაბრუნდა, გივას.

დავითმა ამჯერად სამალავად და თავშესაფარად დაიდო ზ ი ფ ი, უდაბნოებით გარშემორტყმული ტყიანი მაღლობი, ხებრონიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით.

იქ მას ეწვია იონათანი, ეწვია კვლავაც ძმობისა და მეგობრობის ალოქმით. „ნუ გეშინინ შენ, დავით, რამეთუ არა გპოოს შენ მამამან ჩემმან, და შენ მეფობდე ისრაელსა ზედა, და მე ვიყო შემდგომად შენსა, და მამაჩემმაც იცის, რომ ეს ასე იქნება“, — ეუბნებოდა ივი პომავალ დიდ ხელმწიფეს ისრაელისას.

და ისევ განაახლეს ფიცი და აღთქმა სიკვდილამდე ერთგულებისა და სიყვარულისა. და დაშორდნენ ერთმანეთს, — იონათანი დაბრუნდა სასახლეში, დავითი კი იქვე დარჩა, ზიფის ტყეებში.

მაგრამ ამჯერად ზიფელებმა მოუნდომეს გაყიდვა დავითს. მათ მეფეს აცნობეს, დავითი აქ არის, გნებავს, მოდი და ხელში ჩაგაგდებინებთო.

მიაშურა საულმა ზიფს, ჯარით.

გაასწრო დავითმა.

დაედევნა საული. ამაოდ სდია მ ა ო ნ ი ს უდაბნოში მდევარმა დევნილს. ისევ უვნებლად გაასწრო დავითმა. ამჯერად მან თავი შეაფარა ე ნ გ ა დ ი ს მიუსაფარ მაღლობებსა და ქარანძავებს (მკვდარი ზღვის დასავლეთით).

ესეც შეიტყო საულმა და ამჯერად სამი ათასი რჩეული მეომრით გაქუსლა მან ენგადისაკენ. შევიდა მთებში, ფრიალო კლდეთა და ხევთა შინა. დაიქანცა მეფე. ერთ გამოქვაბულში შევიდა, „განსვენებად“.

თურმე იმ გამოქვაბულში დამდგარიყვნენ მაშინ დავითი და მისი თანამებრძოლნი; და ურჩიეს დავითს მისიანებმა: აი, მოვიდა დრო, როცა შენ საული უნდა მოკლაო, ნუღარ აყოვნებ, მიდი, ბარემ მოუღე ბოლოო.

მაგრამ არ იკადრა დავითმა. მხოლოდ მცირე ნაჭერი შეაჭრა ზედა სამოსელის კალთისაგან მძინარე მეფეს, და ესეც მაშინვე ინანა, — არ ეგების უფლისგან ცხებული მეფის ხელის ხლებაო.

ხოლო, როცა მეფე გამოქვაბულიდან ისე არხეინად გამოვიდა და გზასაც ისე გაუდგა, რომ გამოქვაბულში დავითისა და მისი თანამებრძოლებისა არაფერიც არ გაუგია, დავითი თვითონვე გამოჰყვა სასწრაფოდ და მიაძახა მეფეს მღელვარედ:

„უფალო ჩემო მეფე!“

შემოტრიალდა საული.

დაემხო დავითი მის წინაშე და უთხრა: რად უსმენ, მეფეო, შენს მონებს,

რომლებიც მე მაბეზღებენ შენს წინაშე, ვითომცდა ვიყო მტერი შენი და გულში მედვას სიკვდილი შენი: აი, მე ახლა შემეძლო შენი მოკვლა, მაგრამ არ აღვმართავ ხელს უფლისგან ცხებულის სიცოცხლეზე-მეთქი. აი, ნაწილი შენი სამოსელისა, რომელიც მე მოვკვეთე და შენ არ მოგკალ. ბოლოს და ბოლოს, ირწმუნე, რომ არ არსებობს ჩემ გულში არავითარი უკეთურობა შენ წინააღმდეგ, არც არაფერი ცოდვა მიმიძღვის შენ მისამართით, შენ კი მდევნი მე სასიკვდილოდ. დაე, უფალმა საჯოს ჩვენ შორის, ხოლო ხელმან ჩემმან არა გავნოს შენ. და ვის დასდევ შენ, მეფეე ისრაელისა, მკვდარსა ძაღლსა თუ რწყილსა რაიმეს ამ უდაბნოში? ღმერთი იყოს-მეთქი მსაჯული ჩვენ შორის!

გული აენგრა და სული აეშალა საულს: „ეს შენი ხმა არს, შვილო ჩემო დავით?“ შეჰყვირა და აუვარდა ტირილი. დიდხანს იტირა ხმამაღლა, მოთქმით და მერე გული რომ მოიჯერა, ეს უთხრა დავითს: ყოველი სიმართლე შენკენაა, შვილო, „რამეთუ შენ მომაგე მე კეთილი და მე მოგაგე შენ ბოროტი კეთილისა წინ“. ახლაც როგორი სიკეთე მიძღვენ, ღმერთმა რომ შენს ხელთ შემომაწყვდია, შენ კი ხელი არ გამოიღე ჩემ სასიკვდილოდ. შენამდე ვის უქნია, მტერი ხელში ჩავარდნოდეს და სიკვდილის ნაცვლად ასე გზასა კეთილსა გამოეშვას? დაე, უფალმა გიზღას იმ სიკეთისთვს, რაც დღეს შენ მე მომიზღე!

და, უთხრა უმთავრესიც საულმა დავითს: აწ კი ჭეშმარიტად ვიცი, რომ შენ უცილობლად იმეფებ ისრაელსა ზედა და შენსა ხელთა უმტკიცესი იქნება სამეფო ისრაელისა! მხოლოდ მე უნდა შემომფიცო, — ასრულებდა სათქმელს საული — რომ ჩემ შემდგომ არ აღმოფხვრი ჩემს შთამომავლობას და არ მოსპობ ჩემს სახელს ჩემს სახლსა შინა...

და შეჰფიცა დავითმა საულს მისი სასურველი შესაფიცარი.

და დაშორნდენ ერთმანეთს. საული დაბრუნდა გივას, დავითი დარჩა იქვე, ენგადს...

იმჟამად აღესრულა ღრმად მოხუცი სამუელ წინასწარმეტყველი. დიდის გლოვით დაიტირეს და დაკრძალეს იქვე, რამაში, საოჯახო სამარხში. დავითიც იქ იყო. იმას ყველაზე წრფელი ტირილით უნდა დაეტირა მისი მირონმასხურებელი და მაკურთხებელი.

რამადან ფარანის უდაბნოსკენ წავიდა დავითი. იქ, ქალაქ ქარმელისკენ მიმავალ გზაზე, საჰმელ-სასმელი შემოელიათ და დავითმა მსახურნი ერთ მდიდარ ნაცნობთან გაგზავნა ნუზლის გამოსართმევად. იმ კაცს ნ ა ბ ა ლ ი ს ი ერქვა და დავითისგან იმით იყო დავალებული, რომ ბევრჯერ მას და მის თანამგზავრებს ნაბალისის მრავალრიცხოვანი ცხვარ-ძროხა უპატიებიათ დაღუპვისაგან.

და ახლა დავითისგან წარგზავნილები ნაბალისის წინ იდგნენ და მათი პატრონის დანაბარებს მოახსენებდნენ: ჩვენ ხომ შენი ცხვრის ფარებს არასოდეს ვნებას არ მივაყენებდით, პირიქით, კიდევაც ვშველოდითო, ახლა დავითი გითვლის ხორაგი რამე გაუგზავნო. ეგლა მაკლია, მაგისთვის რამე გავი-

მეტოო, — აღრიალდა ნაბალისი — ვინაა დავითი, ან იესეს ბიჭისა რა მცოდნიაო, ან რამდენი მონა თავის ბატონს გაქცევია, რა ჩემი სარჩენალიაო, — და გამოყარა უკანვე დავითისანი.

განრისხდა დავითი, ვიღაც მეცხვარისგან გაწბილებული. მაშინვე ბრძანიარაღი აისხითო. თვითონაც შეიჭურვა. ბანაკში ორასი კაცი დატოვა, დანარჩენი ოთხასი გაიყოლია და ნაბალისის მოსათხრელად გაემართა.

მაგრამ იმარჯვა ნაბალისის ცოლმა, ა ბ ი გ ე ა ლ (აბიგაილ). ოჯახის აკლება-აოხრებას დაასწრო და, ქმრის დაუკითხავად, მოძალადე სტუმრებს ზედ შეა გზაზედ საჭმელ-სასმელით დატვირთული ვირები შემოავება.

ეს ამბავი იმ დღეებში მაინც იმით დამთავრდა, რომ ნაბალისს ბრაზით თუ ჯავრით გული გაუსკდა და მოკვდა, ხოლო აბიგეა დავითს მოეწონა და მაშინვე ცოლადაც შეირთო.

ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ერთი ცოლი შეირთო დავითმა — ა ქ ი ნ ო ა მ ა.

ხოლო, სულ პირველად შერთული მელქოლა, ასული საულ მეფისა, ცოლობიდან განუტევა დავითმა. მაშინვე საულმა მელქოლა მეორედ გაათხოვა — ცოლად მისცა ვინმე ფ ა ლ ტ ი ა ს.

ისევ ზიფის მუხნარში დაიდო ბინა დავითმა. ისევ არ დაიშალეს ღალატი ზიფელებმა და შეატყობინეს საულს, დავითი აქ იმალებაო, ზიფს, ჰაჰილის ბორცვზეო...

საულმაც არ დაიშალა დავითის მტრობა და მიაშურა ზიფს, სამი ათასი რჩეული მეომრით. მივიდნენ. ჰაჰილის ბორცვზეც ავიდნენ. დავითის ბანაკი დაცარიელებული დახვდათ. ალბათ, მობრუნდებაო და იქვე მიიმალმოიმალნენ. თვითონ მეფე, მძიმე მგზავრობით დაღლილი, კარავში შევიდა და მალე დაიძინა. მასთან ახლოს მეფის სარდალსაც დაეძინა — აბენერს. სხვებიც მიწვენ-მოწვენ და მიიფინმოიფინენ.

ღამით მოვიდა დავითი, ერთი მეომრის, ა ბ ე ს ა ს თანხლებით. კარავში შევიდნენ და მძინარე მეფეს თავზე დაადგნენ.

მეფეს ღრმად ეძინა. თავთით მისი საომარი შუბი დაერჭო. იქვე წყლით სავსე ჭურჭელი („გოვზაკი") იდგა.

ღმერთმა შენი მტერი კიდევ ერთხელ მოგცა ხელთო, — უჩურჩულა აბესამ დავითს — ახლა ნება მომეცი და მე თვითონ, ჩემის ხელით, შუბის ერთი დარტყმით, მიწას დავაკლავ და დავაჭედებო.

არავითარ შემთხვევაშიო, ისევ მკაცრად იუარა დავითმა, უფლისგან ცხებულის სასიკვდილოდ ხელის ხლება არ შეიძლებაო. ცხოველ არს უფალი ჩემი! უფალი თვითონ მოაკვდინებს, ან თავისი სიკვდილით მოკვდება საულ, ან ბრძოლის ველზე, ჩვენ კი ახლა წავიდეთ, მხოლოდ ესენი ავიღოთ და წავიღოთო.

და შუბი და წყლიანი გოვზაკი აალაგეს და წაიღეს მძინარე მეფის თავთიდან.

მახლობელ მაღლობზე ავიდნენ და იქიდან ერთხელ კიდევ გადმოჰხედა

დავითმა საულის მძინარე ბანაკს. გადმოჰხედა და გადმოსძახა აბენერს, მთავარსარდალს მეფისას, და, როცა აბენერიც ძილს გამოეყარა და გაესიტყვა, მაშინ მკაცრად დაარისხა დავითმა: შენა ხარ ის აბენერი, ისრაელთ შორის სწორუპოვრად რომ იხსენებიო? მერე, რად არ უელი და არ იცავ მეფესა შენსა? შენ სიკვდილის ღირსი ხარ, ღვთისგან ცხებულ მბრძანებელს შენსას რომ არ სდარაჯობ. აბა, იხილე, სადღა არის შუბი და წყალი, მეფის თავთით რომ ელაგა?

მეფესაც გაჰღვიძებოდა და, სანამ აბენერს ხმა ვეღარ ამოეღო, ახლა თვითონ შესძახა საულმა იმ მაღლობიდან მომდინარე ხმის პატრონს:

„ეგ ხმაი შენი არს, შვილო ჩემო დავით!“

„ჩემი ხმაი არს, მეუფევ ჩემო, ხმაი მონისა შენისა“ — ჩამოსძახა დავითმა, და მაშინვე განაგრძო: რაისთვის მდევნი მე, მონასა შენსა, მეფეო? რა შეგცოდე, რა ბრალი მიძღვის შენს წინაშე? და აწ ისმინე, უფალო ჩემო, სიტყვა მონისა შენისა! უკეთუ ღმერთი გაიძულებს მდევრად ჩემზედა, დაე აღესრულოს ნება ღმრთისა. მაგრამ თუ კაცთა ჩაგონებით მემტერები, მაშინ წყეულ იყვნენ ისინი უფლის წინაშე! და ნუ დაიქცევა სისხლი ჩემი წინაშე უფლისა, რამეთუ მეფე ისრაელისა გამოსულხარ თითქოს რწყილის, თუ მღამიობის საძებრად და სადევნელად.

— შევცოდე, მე, შვილო დავით! — იბღაველა საულმა — ახლა კი გთხოვ, მობრუნდე და არა გაენო რა არასოდეს!

— აჰა, შუბი შენი, გამოგზავნე მონა შენი, რათა წამოიღოს და მოგართვას შენ, — ჩამოსძახა პასუხად დავითმა და დასძინა: უფალმა მიაგოს ყველას, ვისაც რა ეკუთვნოდეს. უფალმა გაგწირა შენ და ჩაგაგდო ჩემ ხელთ, მაგრამ მე არ მოგკალ შენ, რამეთუ ცხებულ ხარ უფლისა მიერ. და როგორც შენი სიცოცხლე დაფასდა ჩემ თვალში, დაე ისე ფასეულ ეიყო მე ღვთის თვალში, რათა მან განმარიდოს ყოველი ჭირისა და უბედურებისგან.

— კურთხელ ხარ შენ, შვილო დავით! და უფალი იყოს მწყალობელი შენი! — შეჰღაღადა საულმა.

დავითს აღარ უპასუხნია, ისე გაშორდა იქაურობას. მას ისევ არ შეეძლო ნდობოდა მეფეს, ეგზომ მერყევს, სულით განრღვეულსა და უწონასწოროს. და თავშესაფარის საძიებლად ისევ ფილისტიმელთა მეფეს, ა ნ ქ უ შ ს მიაკითხა, ქალაქ გათში.

და ცხოვრობდა დავითი ფილისტიმელთა შორის, ექვსასი კაცით, ყველა თავისი ოჯახით. თავისი ცოლებიც თან ახლდა დავითს, აბიგეა და აქინოამა.

ანქუშ მეფემ ლტოლვილი ებრაელები დააბინავა ქალაქ ს ე კ ე ლ ა გ შ ი (ციკლაგ). დავითმა აქ იცხოვრა ერთი წელიწადი და ოთხი თვე. ეამეამად იგი თავისი ხალხით ანქუშ მეფეს ეხმარებოდა კიდეც ახლო თუ შორიელ მტრებთან, მათ შორის ებრაელებთანაც, ბრძოლაში.

ფილისტიმელები ახალ დიდ ლაშქრობას ამზადებდნენ ისრაელთა წინააღმდეგ. მეფე ანქუშმა ისევ გამოიწვია საომრად დავითი. ესეც მაშინვე ჩადგა

თავისიანთა წინააღმდეგ მოლაშქრეთა შორის. ანშუქი დავითს იმდენად ენდო, თავის პირად მცველთა შორისაც კი ჩარიცხა.

მაგრამ ბრძოლად გასვლის ჟამს ფილისტიმელთა მეთაურები შეუჩნდნენ თავის მეფეს, ნუ ენდობით დავითსო, იგი ჩვენი მოსისხლეა მაინც და მაინც, ამიტომ ისევ ისა სჯობს, უბრძანო და ისევ სეკელაგს გაბრუნდესო. ანქუშმაც დაუჯერა თავის მრჩევლებს და ებრაელი გმირი თავისი თანამებრძოლებით გამოთიშა ფილისტიმელ საომარ ძალთაგან.

სანამ უკანმიბრუნებული დავითი სეკელაგს მივიდოდა, ქალაქს ყამალეკეტნი შემოსეოდნენ, გაუძარცვავთ, გადაუწვავთ, ქალნი და ყრმანი, მათთან დავითის ორივე ცოლიც, ტყვეებად გაურეკნიათ.

დაედევნა დავითი მძარცველებს, წამოეწია, დაამარცხა, ვისაც მიწვდა, ცოცხალი აღარ გაუშვა, ნაძარცვი და ტყვეები უკლებლად უკან მოაბრუნა, რაღა თქმა უნდა — თავისი ცოლებიც დაიხსნა.

მტრისგან წანართმევი ნადავლიდან დავითმა დიდი ნაწილი ძღვნად გაგამოგზავნა იუდეაში. ამით იგი ქვეყანას ამცნობდა, რომ სადაც არ უნდა ყოფილიყო, იგი მაინც საკუთარი სამშობლოს უღალატო შვილად რჩებოდა.

ამასობაში ფილისტიმელებსა და ისრაელებს შორის, გ ი ლ ბ ო ა ყ ი ს მაღლობზე, გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა. ებრაელები მძიმედ დამარცხდნენ.

ბრძოლაში დაეცა თვითონ საულ მეფე. მან, ისრებით დაცხრილულმა, თავის მეაბჯრეს უბრძანა ხელის მოთავება, მაგრამ მსახურმა ვერ გაბედა მეფეზე ხელის აღმართვა. მაშინ საული თვითონვე წამოეგო გულით საკუთარ მახვილს. მაშინვე მეაბჯრემაც მიბაძა მეფეს და ისიც წამოეგო საკუთარ იარაღს.

მეფესთან ერთად, ბრძოლის ველზე დაეცა მისი სამივე ძე — იონათან, ამინადაბ და მალქშუაყ.

ფილისტიმელებმა მოიძიეს საულის გვამი, თავი მოჰკვეთეს, საჭურველი აჰყარეს და თავისი ქალღმერთის, ასტარტას ბაგინს შესწირეს.

თავი გამოიდეს იაბეშის მცხოვრებლებმა, იმ იაბეშ გალაადისა, ერთხელ საულმა რომ დაიხსნა ყამონიტთა შემოსევისაგან. და ღამით გამოიტაცეს იაბეშელებმა გვამი საულ მეფისა, მისი ვაჟების გვამებიც მოიძიეს, თავის ქალაქში მიასვენეს და მამა-შვილნი ერთად დაწვეს კოცონზე. მერე, მათი ძვლები წმიდა მუხის ქვეშ დაკრძალეს და შვიდი დღე იმარხულეს და იგლოვეს.

დავითი, ყამალეკთა განადგურების შემდეგ, ახალი დაბრუნებული იყო სეკელაგს, როცა საულისა და მისი ვაჟების დაღუპვის ამბავი შეატყობინეს.

ამბის მომტანი, წარმომავლობით ყამალეკის შთამომავალი, პირდაპირ ბრძოლიდან მოვიდა, ტანსაცმელშემოძარცვული და თავზენაცარდაყრილი, დავითის წინ დაეცა, მიწას თავი ახალა და უამბო: მე ვიხილე დაჭრილი მეფე და, ფილისტიმელთ ცოცხალი რომ არ ჩავარდნოდა, მიბრძანა მოგეღო მისთვის ბოლო, და მეც დავეცი მახვილი; მას უკან მოვხადე მას თავიდან სამეფო

გვირგვინი, მოეხსენ ხელიდან სამაჯური და ორივე მოგართვი შენ, ჩემს ხელმწიფეს!

და ორივენი წინ დაულაგა დავითს — გვირგვინიც და სამაჯურიც.

საყელოში ხელი ჩაივლო და ტანსაცმელი დაიპო ტანზე დავითმა. სამოსელი შემოიხიეს ყველა იქ მყოფმა ებრაელებმაც.

ისევ მიუბრუნდა დავითი შიკრიკს, სამეფო ინსიგნიათა მორთმევისათვის სამახარებლოს რომ ელოდა. რაკი შენ თვითონ ამბობ, რომ მოჰკალ მეფე ღვთისაგან ცხებული, მაშინ შენი სისხლი შენსავე თავსა იყოსო, — შესძახა დავითმა საულის მკვლელს და იქვე იგი ერთ თავის მეომარს მოაკვლევინა.

მთელი დღე სტიროდნენ და ჰგოდებდნენ საულსა და იონათანს, და მარცხს ძეთა ისრაელისათა.

ხოლო, გოდება თვითონ დავითისი, დავანებული სამომავლო წმიდა წიგნებში — იყო ასეთი:

„სიმშვენიერე შენი, ისრაელ,
შენსავე მთებზე არს დარეცილი!
ეითარ დაეცნეს ძლიერნი!
ნუ მიუთხრობთ ამ ამბავს გათას,
ნურც მიახარებთ შესავალთა ასკალონისა,
რათა არ იხარონ ასულთა ფილისტიმელთა,
არც ასულთა წინადაუცეთელთა!
მთანო გილბოაყისნო,
არა მოვიდეს თქვენ ზედა ცვარი ცისკრისა,
არცა გელირსოთ მშვიდობის წვიმა ღრუბელთაგან.
მთანი ეგე სიკვდილისანი,
რამეთუ მათ ზედა დაირეცნეს ფარნი ძლიერთა,
ფარი საულისა,
საჭურველი მირონცხებულისა.
გარეშე სისხლისა დაჭრილთა,
გარეშე ცრემლისა გმირთა
ისარნი იონათანისნი,
უქმად რომ არა მოქცეულან.
არცა მახვილი საულისი
არა მოქცეულა უქმად ქარქაშსა თვისსა!
საულ და იონათან,
საყვარელნი,
შვენიერნი,
საჩინონი.
აქა ცხოვრებასა შინა განუშორებელნი,
არცა სიკვდილითა განშორებულნი,
უმაღლესი ორბთანი და უძლიერესნი ლომთანი.
ასულნო ისრაელისანო!
სტიროდეთ საულს,
რომელიც შეგამკობდათ თქვენ მეწამულითა
და სამკაულითა ოქროითა შესამოსელად თქვენდა.

ვითარ დაეცნეს ძლიერნი იგი ბრძოლასა.
დარეცილ არს იონთან მთასა ზედა.
მტკივის შენთვის, იონათან, ძმაო,
ქმნულ ყოველთვილობა იგი შენი,
რამეთუ სიყვარულ იყავ ჩემდა,
უმჯობეს სიყვარულისა ქალთა ყოველთა!
ვითარ დაეცნეს გმირნი ბრძოლასა,
ანუ ვითარ დაიღუწნეს საჭურველნი ბრძოლისანი!"

გლოვა მოითავა დავითმა და მაშინვე წარმართა სეკელაგიდან. ოჯახიან-ჯარიან-ამალიანად.

მშობლიურ იუდეაში მოვიდა და მის მთავარ ქალაქში, ხებრონში დადგა, როგორც ეტყობოდა, ხანგრძლივ-საცხოვრისად და აქედანვე ქვეყნის სამართავად.

ადგილობრივი, იუდეველი არისტოკრატია დასაწყისში ალმაცერი თვალით შეხვდა ამდენ ხანს ფილისტიმელთა ქვეყანაში გადაკარგულ თვისტომს. მაგრამ დავითის ჭკვიანმა და ერთგულმა ემისრებმა ყველა უკმაყოფილო ადგილობრივ გავლენიან პირთა გული მოიგეს და მალე იგი კიდევაც მეფედ გამოაცხადეს.

მაგრამ მხოლოდ იუდეიის მეფობა მცირე და უკმარი იყო დავითისთვის და იგი მაშინვე შეუდგა დანარჩენ, იორდანეს ორივე მხრის ებრაულ ტომთა შემოერთება-შემომტკიცებისათვის ზრუნვას.

ახალმა მეფემ გამორჩეული მადლიერება და გულისხმიერება გამოხატა იაბეშ-გალაადის მცხოვრებლებისადმი, იმ პატივისათვის, რომელიც ამათ გამოიჩინეს დაღუპული საულისა და მისი შვილების მიმართ.

ყველაფრისთვის მადლობელი ვარ და ღმერთი იქნება სიკეთისთვის სიკეთით გადამხდელი, მაგრამ ახლა როცა საული აღარ არის, იუდას ტომმა მეფედ მე გამომაცხადა და იმედი მაქვს, ჩემს მეფობას თქვენც იცნობთ და აღიარებთო.

მაგრამ ეს პირველი იმედი თითქოს უმალვე გაუცრუვდა დავითს. აბენერმა, საულის ბიძაშვილმა და სარდალმა, დაასწრო და ყოველი ისრაელის მეფედ გამოაცხადა საულის მეოთხე ძე, ორმოცი წლის ი ე ბ ო ს თ ე (იობოშეთ, მემფიბოსთე). ამ ახალი მეფის სატახტო ქალაქად გამოცხადდა მ ა ხ ა ნ ა ი მ, გადისა და მანასეს ტომთა საზღვარზე.

დავითი მარტო იუდას ტომის მეფედ რჩებოდა. შვიდი წელი და ექვსი თვე კიდევ მოუწევს მას ხებრონში ჯდომა, მიუხედავად იმისა, რომ მის მეტოქე იებოსთეს გამეფებიდან ორი წლის მეტი არც მეფობა და არც სიცოცხლე არ ეღირსება.

მალე ბრძოლებიც დაიწყო დავითსა და იებოსთეს შორის, ანუ იუდეველთა და ისრაელთა შორის.

ბრძოლა გახსნეს სარდლებმა: დავითის მხრიდან — ი ო ა ბ, იებოსთეს მხრიდან — აბენერ.

ბრძოლა მოხდა გაბაონის ახლოს. ჯერ პირტიტველა ყმაწვილები შეებნენ ერთმანეთს. მერე უფროსებიც მიეტევნენ ერთმანეთს გააფთრებით.

დავითის სარდლის, იოაბის გვერდით მისი ძმებიც იბრძოდნენ, ა ბ ე ს ა და ა ს ა ე ლ. ამ სამთა ძმათაგან უმცროსი, ასაელ, იყო სწრაფი და მარდი, „ვითარცა ქურციკი ველისა".

საშინელ ხმალთაკვეთებაში ასაელმა ბრძოლის ველიდან გააქცია აბენერი. გააქცია და გამოედევნა ფეხმარდი „ქურციკი". უცებ შედგა და შემოტრიალდა აბენერ, წამსვე შუბი სტყორცნა, შიგ გულში განუწონა და მკვდარი დასცა მიწაზე ასაელ.

იოაბ და აბესა განაგრძობდნენ დევნას, ძმის სიკვდილისთვის შურისძიებით ანთებულნი. აბენერმა მთაზე შეასწრო, თანალტოლეილი მეომრები შემოიყარა და მოიერიშე მოპირდაპირის მოსაგერიებლად გამაგრდა.

ღამემ მოუსწრო და სიღამეში, იმ მთიდან გადმოსძახა აბენერმა იოაბს: მუდამ ხომ არ უნდა ასვათ სისხლი ხმალს? ანუ არ იცი რა სიმწარე მოჰყვება ამ სისხლის ქცევას? ნუთუ ალარ დააყენებ შენ ხალხს შენსავ მოძმეთა დევნისა და სისხლის ღვრისაგან?

ძლიერი ნათქვამი იყო: სანამ უნდა ვხოცოთ ერთმანეთი ძმებმა, იუდეველებმა და ბენიამინელებმა, თქვენც და ჩვენც ებრაელებმა?!

და იუდეველი იოაბიც გონს მოიყვანა ბენიამინელი აბენერის დანაძახებმა. ცხოველ არს უფალი! — იბღავლა მან და მაშინვე ბრძოლის გასაყარი საყვირი დააკვრევინა მესაყვირეს.

მეომარი მხარენი ერთმანეთს გაშორდნენ და თავთავისი გზით წავიდწამოვიდნენ: იუდეველნი ხებრონს, ბენიამინელნი მახანაიმს.

მაგრამ შშვიდობა მაინც არ მყარდებოდა. დავითისა და საულის სახლთა შორის ბრძოლა გრძელდებოდა.

სახლი დავითისა კი, ხებრონში იმ ექვსწლიანი ყოფნისას, ფრიად გამრავლებულიყო. მეფეს, წინარე ორი ცოლის, აქინოამისა და აბიგეას გარდა, კიდევ ოთხი ცოლი შეერთო — მ ა ა ქ ა, ა გ გ ი თ ა, ა ვ ი ტ ა ლ ა, ე გ ლ ა, და ყველა მათგანისგან თითო ძე ჰყავდა დავითს: ა მ ნ ო ნ — აქინოამასგან, დ ა ლ უ ი ბ (დანიელ) — აბიგეასგან, ა ბ ე ს ა ლ ო მ — მაქასგან, ა დ ო ნ ი ა — აგგითასგან, ს ა ფ ა ტ ი ა — ავიტალასგან და ი ე თ ე რ ა ა მ — ეგლასაგან.

საულის ოჯახისგან კი ყველაზე ძლიერი ტოტები უკვე ჩამოკაფული იყო: როგორც ეტყობა, სარდალმა აბენერმა, ამ ერთადერთმა აქტიურმა პერსონაჟმა საულის ბანაკიდან, მოინდომა საკუთარი მემკვიდრეობა „დაემყნა" გადაშენების გზაზე დამდგარ საულიანთა ფესვებზე. ამ მიზნით მან ცოლად აიყვანა საულ მეფის ყოფილი ხარჭა, სახელად რ ი ც ფ ა.

ამან განარისხა საულის ძე იებოსთე, მეფედ რომ იჯდა მახანაიმში. როგორ თუ მამაჩემის ხარჭა შენ ცოლად დაისვიო, — შეუტია მან აბენერს.

შემოტევა აგრე არ უნდოთ და უარესი რისხვა უფრქვია სარდალმა მეფეს: როგორ, მე შენ ძაღლის თავი გგონივარ, თუ რა? მე მამაშენის სახლზე

ამდენი ამაგი მიმიძღვის, შენც, იმის მაგივრად, დავითის ხელში ჩამეგდე, ავდექი და მეფედ დაგაბრძანე! ახლა ავიღებ და მთელს ისრაელს სამეფოდ სწორედ დავითს მივართმევო, — ბობოქრობდა აბენერ.

ენა ჩაუვარდა იებოსთეს.

აბენერმა კი, რაც სთქვა, კიდეევაც ქმნა. მაშინვე ხებრონში მოციქული გაგზავნა და დავითს შეუთვალა: აღმითქვი მე აღთქმაი, მიიღე ჩემი ერთგული ხელი და პირობას გაძლევ, მთელი ისრაელის სამეფო იქნება შენი.

უკან მობრუნებულმა მოციქულმა დავითისაგან ასეთი პასუხი ჩამოუტანა აბენერს: მივიღებ შენს ერთგულებას, წინასწარი პირობით, — ჯერ მელქოლა მომიყვანე, საულის ასული, მე რომ პირველ ცოლად მყავდაო, ასი ფილისტიმელის წინდაცვეთის საფასედ რომ მერგო მეფისგანო; უამისოდ თვალითაც არ დამენახოო.

აბენერმაც მაშინვე წაართვა მელქოლა მის მეორე ქმარს, ფალტიას. ბევრი იტირა და ითავცემა ფალტიამ, მაგრამ მისი ცრემლისა ვის რა ეჯავრებოდა, და მიუყვანა აბენერმა დავითს მელქოლა, ხებრონში.

ნადიმი გაუმართა დავითმა აბენერს და მის ოცკაციან ამალას, მაყრიონად რომ მოჰყვნენ მეფის „პირველ მოსწრება“ ცოლს, ნაცოლარს და კვლავ-ცოლს.

მთავარი კი, მაინც ის იყო, რომ აბენერმა პირობა დასდო, დაუყოვნებლივ შეუდგებოდა ისრაელ ტომთა დავითის საქვეშევრდომო-სამეფოდ გადმობირებას.

ის იყო, აბენერი წავიდა და სასახლის ზღურბლზე იოაბმა შეაბიჯა, დავითის სარდალმა. და, როცა შეიტყო, აქ აბენერი ყოფილაო, მაშინვე მივარდა მეფეს: ეს რა გიქნია, აბენერი მოსულა და უკან საღსალამათად გაგიშვიაო; ის ხომ დასაზვერავად მოსულა, აქაურობა დაუზვერავს და წასულაო; ახლა ამ შეცდომას მე თვითონ გავასწორებო, და ისე რომ მეფის პასუხისთვისაც არ დაუცდია — გარეთ გამოვარდა და აბენერს მალემსრბოლი დაადევნა: მეფეს საქმე აქვს და უკანვე გხმობილობსო.

აბენერიც გზიდან გამობრუნდა და ხებრონს რომ მოადგა, იქვე, კარიბჭესთან იოაბი და მისი ძმა აბესა დახვდნენ, კარს უკან გაიყვანეს და მუცელში მახვილი გაუყარეს.

ესეც ჩვენი ძმის, ასაელის სისხლის საზღაური იყოსო, — დააყოლეს მკვლელებმა მოკლულს.

ეს ამბავი რომ შეიტყო, სთქვა დავითმა: არც მე და არც ჩემს სამეფოს აბენერის სისხლში ხელი არ გაგვისვრია, მისი სისხლი იოაბსა და მის სახლეულს აწევსო, და ამიერიდან იოაბის შთამომავლობას არ მოაკლდეს „უბითა ხაშმი, კეთროვანი, და პურის-მთხოველი, და მახვილითა მომკვდარი და სიყმილითა“. იოაბმა და აბესამ აბენერი თავისი ძმის, ასაელის მოკვლის გამო მოკლესო; მაშ, სისხლი აიღესო, — განაგრძობდა მეფე — მაგრამ ახლა იოაბ-

მაც, აბესამაც, და მათთან მყოფმა ყოველმა კაცმა ტანზე სამოსელი დაიპოს და აბენერი დაიტიროსო.

აღესრულა მეფის ბრძანება. ყველამ დაიტირა აბენერი. თვითონ დავითი ხმამაღალი ტირილით მიჰყვებოდა მის კუბოს. იმ დღეს არც პური ჭამა. ღმერთმა რაიც სურს ის მიყოს, თუ მზის ჩასვლამდე ჩემ პირში რაიმე ერთი ლუკმაც ჩავიდესო, — დაიფიცა და კიდევაც შეასრულა!

და ბღაოდა ხალხი, — ეს რა მეფე მოგვიელინაო უფალმა!

— მაინც, თუ იცით, აბენერის სახით, რა დიადი ადამიანი დაკარგა დღეს ისრაელმაო?! — არ იშლიდა დავითი დიდბუნებოვან სიტყვის ფრქვევას სახალხოდ, მთელს ისრაელში გასახმიანებლად.

ხალხსაც სხვა რა უნდოდა: „ვითარცა ესმა ერსა მას, სათნო-უჩნდა მათ ყოველივე, რაიცა ყო დავით“.

იებოსთეს კი, — საულის ძეს, ისრაელის მეფეს — თავზარი დასცა აბენერის სიკვდილმა. ასეთი სარდლის დაკარგვა კატასტროფად მიიჩნია უმწეო მეფემ, თუმცა ორი სარდალი კიდევ შემორჩენოდა — ბ ა ა ნ ა და რ ე ქ ა ბ, ძენი რემონისა, წარმომავლობით ბენიამინის ტომისაგან.

და მართლაც, „სათუმცაოზე“ უარესებიც აღმოჩდნენ ისრაელის სამეფო კარის ეს უკანასკნელი იმედნი: ბაანა და რექაბ, ერთ სიცხიან დღეს, შუადღისას, მივიდნენ სასახლეში, თავს დაადგნენ სარეცელზე მძინარე მეფე იებოსთეს, სარაცელზევე დააკლეს, თავი მოჰკვეთეს, წამოიღეს, ხებრონს მოვ-დნენ და მოართვეს მეფე დავითს:

აი, შენთვის გავისარჯეთო და მოგართვით შენი მტრის, იებოსთე საულის ძის თავიო, — უმახარობლეს დავითს მკვლელებმა.

დავითმაც, არც აცივა და არც აცხელა, მაშინვე ჯალათები იხმო, ბაანა და რექაბ იქვე ჩაახოცვინა, ხელები და ფეხები მოაკვეთინა და ხებრონის ციხის გოდოლზე ჩამოაკიდებინა. ხოლო, ნამეფარ იებოსთეს თავი აბენერის გვერდით დააკრძალვინა დავითმა.

საულის სახლიდან სამეფოდ ვარგებული აღარავინ დარჩენილიყო. ერთი უმაწვილი ცოცხლობდა მხოლოდ, იონათანის ძე, სახელად მ ე მ ფ ი ბ ო ს თ ე, მაგრამ ხეიბარი: თურმე, მაშინ, საულის და იონათანის დაღუპვის ამბავი რომ მოვიდა, ხუთი წლის მემფიბოსთე შეშინებულ ძიძას აეტაცნა, გაქცეულ-ყო, გაქცეულს ყრმა ხელიდან გავარდნოდა და ორივე ფეხით მძიმედ, განუკურნებლად დაშავებულიყო.

ახლა დავითს, იუდეველთა მეფეს, ისრაელთა მეფობაზეც მეტოქე აღარავინ ჰყავდა.

ეს ყოველმა ისრაელმაც იწამა. და შეიყარნენ ხებრონში წარმომადგენელნი მოძღვარნი ისრაელისანი, ეახლნენ დავითს და შეჰღაღადეს:

„აჰა, ესერა, ჩვენ ძვალნი ძვალთა შენთაგანნი და ხორცნი ხორცთა შენთაგანნი!“

და იქვე, ხებრონს, უფლის საკურთხეველისა და კიდობანი სჯულისაის წინაშე, აკურთხეს დავითი მეფედ ყოველი ისრაელისა.

მაშინ დავითი იყო ოცდაათი წლისა.

და პირველი, რასაც ერთიან ებრაელთა მეფემ მიაპყრო თვალი, იყო ვიწრო სახმელეთო ზოლი იუდასა და ბენიამინის სატომო საცხოვრისთა შორის.

აქ ცხოვრობდა ძველი, ქანაანური მოდგმის, მცირერიცხოვანი ტომი იებუსებისა, რომელთა დამორჩილება ამდენხანს ვერ მოხერხებიათ ებრაელებს.

იებუსთა მთავარ საყრდენსა და თავშესაფარს წარმოადგენდა ციხექალაქი, ადგილობრივთა სახელდებით — იებუს, ანუ ებრაელებრ — იერუსალემ (იერუშალაიმ), რომლის მთავარი ციხესიმაგრე აღმართული იყო სიონის მთაზე. სამის მხრიდან იერუსალემს გარს ერტყმოდა ფრიალო კლდენი და მათი წყალობით აქამდე იგი მიუდგომელი და აუღებელი. რჩებოდა ყოველი მტრისთვის.

აქვე გაივლიდა სავაჭრო-საქარავნო გზები, მომავალნი ხმელთაშუა ზღვიდან იორდანესკენ და ეგვიპტიდან სირიისაკენ.

იუდას და ბენიამინის ტომები თითქოს საბოლოოდ შერიგებოდნენ ამ უმნიშვნელო ეკონომიურ და სტრატეგიულ პუნქტზე იებუსთა მფლობელობას და იძულებულიც გამხდარან მათთან მტრობაზე ხელი აეღოთ და უფრო დამთმობი, მშვიდობიანი მეზობლობა ერჩიათ.

და აი, ახლა, დავითმა, ყოველ ებრაელთა მეფედ კურთხევისთანავე, გადაწყვიტა ხებრონიდან აყრილიყო და სამუდამო საცხოვრებლად და სახელმწიფო სადგომად სწორედ იერუსალემი დაეჭირა.

თვითონ იებუსებმა დაცინვა შემოაგებეს დავითს: შენ ჩვენი ქალაქის ბრმები და ხეიბრებიც იოლად მოგიგერიებენო.

დავითმა სიონს ჯარი მიაყენა და გამოაცხადა, ვინც სიონზე ასასვლელ კლდეებს პირველი დასძლევს, სარდლობას ვუბოძებო. ერთიმეორეს უსწრებდნენ რჩეული ვაჟკაცები მეფისგან დათქმული ჯილდოს დასაუფლებლად. ბევრმა სცადა კლდეზე ასვლა, მაგრამ ხელფეხმოცარული უკანვე ჩამოვარდა. ისევ იმარჯვა იოაბმა და პირველმა ააღწია კლდის თავში, სხვებიც აიყოლია და ისევ პირველი გადავიდა სიონის კედელზე. ციხის შიგნით ჩაცვივდნენ და ციხიონი ამოწყვიტეს. საგანგებოდ გაჟლიტეს ბრმები და ხეიბრები, რაკიდა ამათ „სძულდათ სული დავითისი", და ამიერიდან გავრცელდება ეს გამოთქმაც:

„ბრმანი და მკელობელნი ნუ შევლენ ტაძრად უფლისა".

შევიდა და დასახლდა დავითი სიონში და უწოდა მას „ქალაქი დავითისი".

მთელს ქალაქში, სრულიად იერუსალემში, თავისი ხალხი ჩაასახლა და ჩაამკვიდრა მეფემ. თვითონ იებუსებს ნება მისცა დასახლებისა სრულიად ქალაქის აღმოსავლეთ განაკიდურზე — მორიას მთაზე.

მაშ, იერუსალემი ებრაელთა პალესტინის სატახტო ქალაქად იქცა, — სატახტო, რომელმაც ათასეულ წელთა მსოფლიო ქარტეხილებს უნდა გაუძლოს, სძლიოს და მოინელოს.

ქრისტესშობამდე მეორე ათასეული იწურება.

და, როგორი იყო „მსოფლიო გარემო" მაშინდელი პალესტინისა და იერუსალემის გარშემო?

პალესტინის სამხრეთ-დასავლეთით კელავ ფილისტიმელები მკვიდრობენ და მათთან ებრაელებს ახალი დიდი ბრძოლები ელით.

ჩრდილო-დასავლეთით, ხმელთაშუა ზღვის განაკიდურზე, ისევ გაწვართულა ფინიკია, მისი მსოფლიო ქალაქებით — ტვიროსი, სიდონი, ბიბლოსი, არვადი, უგარიტი. ფინიკიელები, იმ დროეამთა „ზღვათა მეეტლენი", ყველაზე დიდი ვაჭრები, ხომალდთმშენებელნი, ხელოსანნი, კოლონიზატორნი. ყველაფრით რომ ყველგან ვაჭრობდნენ, რასაც კი მაშინდელი მსოფლიოს ყოველ კუთხეში ამზადებდნენ. ფინიკიელები თავისი ნახელავი, მსუბუქი და მტკიცე ხომალდებით უკვე თამამად სერავდნენ მთელ ხმელთაშუა ზღვას, უკვე პირველნი გასულიყვნენ გვიანი (ახ. წ. VIII ს.) სახელწოდების „ჰიბრალტარის სრუტეში", და პირველთ დაერქმიათ ამ სრუტისთვის, თავიანთი ღმერთის სახელით — „მელკარტის სვეტები". ამ სრუტით ისინი გადიოდნენ ატლანტის ოკეანეში და ხელმარჯვნივ სვლით, უვლიდნენ პირენეის ნახევარკუნძულს და აღწევდნენ ლამანშს, პადეკალს, ჩრდილოეთის ზღვას.

სამხრეთით, სუეცის გადაღმა, ნილოსის ველზე, დაცემის ხანა დასდგომოდა დიდ ეგვიპტეს. სახელმწიფოს სათავეში ასულა ფარაონთა XX დინასტია, მისი პირველი წარმომადგენელი, ამონის ტაძრის უმაღლესი ქურუმი, ჰ ე რ ი ჰ ო რ ი, რომელიც ფაქტობრივად მხოლოდ სამხრეთში, თებეს ნომში (ოლქში) ბატონობს. ეგვიპტის დანარჩენი ნომები ისევ ნომარქოსებს დაუტაცნიათ.

აღმოსავლეთით, ევფრატის ზემო წელზე, დაცემულიყო წინარე საუკუნეებში ფრიად აღზევებული ასურეთიც.

ჩრდილოეთში, მცირე აზიაში, უკვე ასორმოცდაათი წელიწადი გასულიყო ძლიერი, ერთიანი ხეთური სახელმწიფოს სრული დამხობიდან. მის სამხრეთით, ანუ პალესტინის ჩრდილოეთით, არსებობას განაგრძობდნენ სირიის წვრილ-წვრილი სამთავროები.

ებრაელ ტომთა ახალმა გაერთიანებამ ყველაზე მეტად შეაშფოთა ისევ და ისევ ფილისტიმელნი, რომელნიც მანამდე წამოემართნენ იერუსალემისკენ, სანამ დავით მეფე ახლადარჩეულ სატახტოში სულის მოთქმას თუ მოასწრებდა.

მართლაც, დავითმა გუშინდელ „მოკავშირეთა" ასე ჯიქური შემოსევის საპასუხოდ შესაფერის საომარ ძალთა შეყრა ვერ მოასწრო, იერუსალემიდან სასწრაფოდ სამხრეთისაკენ დაიხია და ქალაქ ადულამს გამაგრდა.

ფილისტიმელები რეფაიმის ველზე მოვიდნენ, იერუსალემზე იერიში ვერ

გაბედეს და ბეთლემს, დავითის მშობლიურ ქალაქს დაეძგერნენ. ბეთლემი აიღეს, აქვე დაბანაკდნენ და აქედანვე იუდეველთა სოფელ-ქალაქების ძარცვა-რბევასა და აკლებას შეუდგნენ.

დავითი ჯარებს კრებდა, წრთვნიდა და ამხნევებდა. ერთხელ, ალბათ შეომართა გამოსაცდელად, თავისი მშობლიური ბეთლემის ჭის წყალი ინატრა. სამი ვაჟკაცი წამოვარდა ერთად — იეშობეამ, ელიაზარ, შამა. სამივე წარემართნენ ბეთლემს, ფილისტიმელთა დაურიდებლად. შეცვივდნენ ქალაქში, ჭასთან მივარდნენ ჯიქურ, იქ რამდენიმე ფილისტიმელი მეომარიც დახოცეს, წყალი ჭიდან ამოიღეს, გამოიტაცეს და მეფეს მოართვეს. მეფემ წყალი არ დალია და ამით ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ მისი დავალება მხოლოდ მეომართა გულოვნების გამოსაცდელად ყოფილა გამიზნული.

ამასობაში თანდათან მოსული ჯარი დავითმა საკმარისად ჩათვალა და საომრად გამოვიდა. ფილისტიმელებიც წამოემართნენ.

ბრძოლა მოხდა ბაალ-ჰერაზიმის მთის ძირას.

ებრაელებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს.

დავითის ამ გამარჯვებას უკვე იესო ნავინის გამარჯვებებს უტოლებდნენ.

ფილისტიმელები ისე გაქცეულან, თავიანთი სალოცავი ბომონებიც კი ბრძოლის ველზე დარჩენიათ. ებრაელებმა ეს ბომონები ერთად შეაქუჩეს და ცეცხლს მისცეს.

კიდევ რამდენჯერმე სცადეს ბედი ფილისტიმელებმა, მაგრამ რამდენჯერაც სცადეს, დავითმაც იმდენჯერმე აგემა მარცხი მომხდურებს.

მერე მტრის შემოსევასაც აღარ დაუცადა და თვითონვე გადავიდა შეტევაზე. თანაც, მან კავშირი შეკრა ფინიკიური ტვიროსის მეფე ხირამთან, რომელმაც ჩრდილოეთიდან წარმატებით შემოუტია ფილისტიმელთა ზურგს.

დავითმა თავისი ლაშქრით პირდაპირ ფილისტიმელთა მთავარ ქალაქს, გათს მიაშურა. ფილისტიმელებიც შემოეგებნენ. ომი მცირე შეტაკებებით განზოგადდა და განევრცო. ყოველი შეტაკება მოწინააღმდეგეთა ორივე მხრიდან გამოსული გმირების ორთაბრძოლით იხსნებოდა. დავითიც მონაწილეობდა ხოლმე ასეთ დუელში, მაგრამ მალე ქვეშევრდომებმა „აუკრძალეს“: შენ რომ რაიმე ხიფათი შეგხვდეს, მაშინ „ხომ ჩაქრა მანათობელი ისრაელისა!“

ბოლოს და ბოლოს, ფილისტიმელებმა თავი დამარცხებულად ცნეს და თავისი სატახტო ქალაქი გათიც დავითს დაუთმეს.

ფილისტიმელებზე გამარჯვებებმა დიდად გაზარდა დავით მეფის ავტორიტეტი მთელს წინა აზიაში. ხირამ ფინიკიელმა კიდევ მეტად განამტკიცა კავშირურთიერთობა ებრაელ ხელმწიფესთან. იგი თავის ძლიერ მოკავშირეს უგზავნიდა კედრის ძვირაფს ხეტყეს, უხვად სხვა საამშენებლო მასალებს, თვითონ მშენებელ ოსტატებს, ყოველივეს, რაიც მაშინ დავით მეფეს დასჭირვებოდა იერუსალემის გენერალური აღმშენებლობისა, განმტკიცებისა და გამშვენიერებისათვის.

დავითმა უპირველესად გაამაგრა და განადიდა სიონი, „ქალაქი დავითი“

სი“, შემოუერთა მას ჩრდილოით მდებარე მეორე მთაბორცვი, სახელად — მ ი ლ ლ ო.

სიონში ააგო დავითმა თავისი ბრწყინვალე სასახლე, ლიბანური კედრის მასალისაგან. აქედანვე განავრცო მშენებლობანი სრულიად იერუსალემისა, შიგნით საცხოვრებელი სახლებით და გარშემო გალავან-ბასტიონებით.

იერუსალემი მარტო პოლიტიკური კი არა, რელიგიური ცენტრიც უნდა ყოფილიყო სრულიად ებრაელი ერისა. ასეთი იყო ნება დავითისა. ამიტომ გადაეწყვიტა მას გადმოესვენებია და დაესვენებია კიდობანი სჯულისაი იერუსალემში.

წინასწარ მან იერუსალემში ააშენებინა ბრწყინვალე სკინია, სადაც უნდა დაებინავებია კიდობანი.

ფიციც კი დაედო დავითს: მანამ ჩემს ახალ სასახლეში არ დავწვები და არ დავიძინებ, სანამ სკინია საწამებელს არ ავაგებო. დაიფიცა და კიდევაც შეასრულა ფიცი იგი: საკიდობნე სავანე უკვე აშენებული იყო.

30.000 ებრაელი აარჩია ,დავითმა — ლევიტელი ქურუმნი, ტომთა მეთაურნი, წარჩინებული მოქალაქენი — და მათი თანხლებით მივიდა კ ი რ ი ა თ-ი ე ყ ა რ ი მ შ ი (ხებრონის სამხრეთით), ა მ ი ნ ა დ ა ბ ი ს სახლში, სადაც მაშინ ინახებოდა კიდობანი, მოსეს სჯულის ფიცრებით და შემკობილი ქერუბიმებით.

გამოიტანეს და ახალ ეტლზე დაასვენეს კიდობანი. ეტლში ხარები შეებათ. ამინადაბის ძენი, ო ზ ა და ა ქ ი ა მეურვეობდნენ პირველნი. აქია ხარებს მიუძღოდა, ოზა კიდობანს მოსდევდა.

მოჰყვებოდნენ ებრაელნი კიდობანსა სჯულისასა და გალობდა ყველა, დაწყებული მეფიდან და გათავებული ვინმე მეჯოგით. უკრავდნენ და დამღეროდნენ ყველაფერზე — „ნესტვითა და ქნარითა, ბობღნითა და ლინითა და პირად-პირადითა სახიობითა“.

გზაზე, უეცრად, უბედურება დატრიალდა: ოზა, ძე ამინადაბისა, უცებ გადმოქანებულ კიდობანს ხელით შეეხო და... მკვდარი დაეცა მიწაზე.

ყველა დაფრთხა, მათ შორის მეფეც. ამიტომ ვეღარ გაბედა დავითმა კიდობნის შეტანა პირდაპირ სიონში და დაასვენა იგი ვინმე ა ბ ე დ ა რ გათელის სახლში.

აქ იდგა კიდობანი სამი თვე. იდგა და ამ დროის მანძილზე არაფერი, ღვთის რისხვის მომასწავებელი, არარა მომხდარა. დამშვიდდა დავითი და ბოლოს და ბოლოს, კიდობანი სიონში მიასვენა და მისგანვე აგებულ სკინიაში დააბინავა, დიდი ზეიმით, ზორვით, გალობით, ლოცვა-კურთხევით.

ბალღივით ხარობდა მეფე, ისე ლხინობდა, ჯვალოს ეფოდით შემოსილი, ცეკვავდა, მღეროდა, ჯამბაზობდა.

უსაყვედურა ცოლმა, მელქოლამ, არ გეკადრება მეფეს ასეთი ქცევაო. მაგრამ ყურად არ იღო დავითმა „პირველ მოსწრება“ მეუღლის საყვედური. ისევ ლხინობდა და ზეიმობდა, ვითარცა პირველი მზორველი, პირველი

მლოცველი, პირველი მგალობელი, პირველი მროკველი. ყველა იქ დამსწრე დალოცა, ყველას, ქალსა თუ კაცს, თითო პური და თითო ლუკმა შემწეარი ხორცი თავისი ხელით დაურიგა.

ამიერიდან,— სკინიის, კიდობნისა და საკურთხევლის დაბინავების შემდგომ, იერუსალემი ყოველი ებრაელისათვის იქცა წმიდა ქალაქად.

პირველი მღვდელმთავრის წოდება და ღირსება დავითმა მიანიჭა ა ბ ი ა თ ა რ ს, მისი მანამდელი მძიმე ცხოვრების განუყრელსა და ერთგულ თანამგზავრს.

მაგრამ მანამდე იყო მღვდელმთავარი ს ა დ ო კ (ცადოკ), ქალაქ გ ი ვ ე ო ნ შ ი; და ისიც დატოვა დავითმა მისსავე უფლებებში, რაკიღა სადოკი მღვდელმთავრად საულისგან იყო დანიშნული და მისი გადაყენებით არ სურდა ვინმესთვის რაიმე ახალი განხეთქილების საბაბი მიეცა.

თვითონ დავითი არცერთ მღვდელმთავარს მღვდელმთავრობაში ტოლს არ დაუგდებდა. დიდებული ღვთისმეტყველი იყო, ჭკვიანი თეოლოგი და თეოსოფოსი, სწორუპოვარი პოეტი და ხელოვანი მუსიკოსი. ფსალმუნმთხზველიც თვითონ იყო და ფსალმუნთმგალობელიც.

დავითი აღმოჩნდა დიდებული სახელმწიფოებრივი მოღვაწე, სწორუპოვარი კანონმდებელი და მოსამართლე. თვითონ ისმენდა ყოველ საჩივარს, ყოველ აჯას ცალკეულად, ჯგუფ-ჯგუფად, თვითონ განიხილავდა, განსჯიდა და განიკითხავდა, თვითონ დასჯიდა და თვითონ შეიწყალებდა.

საულის ნაშიერნი მოიკითხა, გამაგებინეთ ცოხცალი ვინ დარჩაო. განსაკუთრებით, მისი უერთგულესი მეგობრის, იონათანის თესლისანი აინტერესებდა, და შეიტყო, ერთი ხეიბარი შვილი რომ დარჩენოდა იონათანს, სახელად მემფიბოსთე. მაშინვე მოაყვანინა დავითმა ხეიბარი იგი, მამის მთელი მემკვიდრეობა უბოძა, თვითონ კი ყოველ დღე ტრაპეზზე დაისვა თანამეინახედ მემფიბოსთე...

იერუსალემმა, — სადაც ცხოვრობდა და სახელმწიფოს განაგებდა ბრძენი დავითი — მთელს ქვეყანაზე სახელი გაითქვა როგორც საყოველთაო სამართლიანობის სავანემ.

დავითი დაუცხრომლად ზრუნავდა ხალხის და ჯარის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებასა და განწესრიგებაზე. მან მკაცრად აღკვეთა ცალკეულ ებრაულ ტომთა საომარი თვითნებობა და ურთიერთზე სამტროდ მიხდომ-მოხდომა. ყოველი ტომი მკაცრად იყო გაფრთხილებული, ომის შემთხვევაში თავისი ლაშქრით გამოსულიყო და სასწრაფოდ ჩამდგარიყო საერთო ჯარში, რომელსაც სათავეში უდგა თვითონ მეფე, ან მისგან დანიშნული სარდალი. ხოლო, სრულიად ჯარი შედგებოდა ყოველი ებრაული ტომისა და ოც-წელშესრულებული ყოველი ბრძოლისუნარიანი მოქალაქისაგან.

ტომების მიხედვით დგებოდა სამხედრო ვალდებულთა სიები. ამ საქმეს სათავეში ედგა ს ო ფ ე რ ი, „მოანგარიშე", ანუ „რეგისტრატორი". ასეთი თანამდებობა მისცა. დავით მეფემ ვინმე შ ა ი შ ს, რომლის შვილებმაც იგი-

ვე თანამდებობა მემკვიდრეობად დაინარჩუნეს, მამის სიკვდილის შემდეგ.

სახალხო, ეროვნული ლაშქრობის გარდა, დავითს ჰყავდა მუდმივი ჯარი, დაქირავებული, უცხოთესლოვანი მეომრებისაგან.

ყოველ დიდ, მნიშვნელოვან მოვლენათა და ღონისძიებათა ჩამწერი, თავისებური აღმწერელი, „მწიგნობარი" („მდივანი") დაენიშნა დავითს. ეს იყო ი ო ს ა ფ ა ტ, ძე აქიასი.

გამეფების და ერთიანი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების გასწვრივ, დავითს მოუხდა ახალი საომარი სერიების გადახდა.

არ წყდებოდა ქრონიკული სისხლისღვრა ფილისტიმელებსა და ებრაელებს შორის. ისევ გაიმარჯვა დავითმა და წაართვა ფილისტიმელებს ქალაქი მ ე თ ე გ-გ ა ა მ ა.

მერე დავითს ბრძოლა შეექნა მოაბელებთან. ადრე ხომ მოაბის მეფესთან დავითს მეგობრობა ჰქონდა. დედ-მამაც ხომ მოაბს ჰყავდა მიბარებული, შესანახად. მაგრამ ვილაცებს დაეხოცათ დავითის მშობლები. ეს კი საკმარისი საბაბი უნდა ყოფილიყო ომის დაწყებისა.

შეიჭრნენ ებრაელები მოაბს და ორიმესამედი აქაური ბრძოლისუნარიანი მამაკაცებისა ამოჟლიტეს.

მოაბის განადგურების შემდგომ, ჩრდილო-აღმოსავლეთით, სირიაში, მდინარეთა — ევფრატსა და ორონტს შორის—დავითმა სასტიკად დაამარცხა ს უ ბ ი ს მეფე ა დ რ ა ა ზ ა რ ი. ოცი ათასი ქვეითი და ათას შვიდასი მხედარი და ეტლოსანი ტყვედ აიყვანეს ებრაელებმა. დავითის ბრძანებით ასი ეტლი თავის ცხენებით დაიტოვეს, დანარჩენ ცხენებს ფეხებზე ძარღვები დაუჭრეს და დაჰყარეს.

დამასკოელი სირიელები მოეშველნენ სუბელ სირიელებს, მაგრამ ისინიც დაამარცხა დავითმა და, უკუქცეულებს ორი ათასი მკვდარი დაატოვებინა.

სრულიად სირია მონად გამოაცხადა, მძიმედ დახარკა, შიგ ციხიონები ჩააყენა და უკან გამობრუნდა. დიდძალი ნადავლი ჩამოიტანა იერუსალემს, მრავლად სპილენძი და კიდევ — ოქროს ფარები.

პალესტინის ჩრდილოეთით, მდინარე ორონტის შუა წელზე, იყო ქალაქ-სახელმწიფო, სახელად ე მ ა თ, იმჟამად ადრაზარ სუბელისგან ფრიად შეიწროებული. და, ახლა რომ სირიელები დავითმა აგრე სასტიკად დაამარცხა და დაიმონავა, ამით გახარებულმა და გამხნევებულმა ემათის მეფემ, თ ო ე მ, დავით მეფეს თავისი შვილი, ი ო რ ა მ ი გამოუგზავნა სამადლობლად, დიდძალი ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის ჭურჭლეულით დატვირთული.

ეს ნივთებიც იეჰოვას მიუძღვნა დავით მეფემ.

მერე სამხრეთით ალაშქრა ებრაელნი დავითმა, ედომ-იდუმეიისკენ. ეს ქვეყანაც დაიმორჩილა და დაიპყრო, ქვეყანა ნაყოფიერი და შრომისმოყვარე ედომიტებით დასახლებული.

მცირე ხანმაც განელო და გარდაიცვალა ყამონიტთა მეფე ნ ა ხ ა შ ი. გამეფდა მისი ძე ა ნ ო ნ (ჰანუნ), რომელსაც დავით მეფემ ელჩები გაუგზავ-

ნა სამძიმრისა და ნუგეშინის გამოსაცხადებლად. ისინიც მივიდნენ და მი-ესამძიმრეს, მაგრამ იქვე ახალგაზრდა მეფეს შეაგონეს მისმა კარისკაცებმა: ისრაელი ელჩები სამძიმრისთვის კი არა, ჩვენი ქალაქის დასაზვერავად არიან გამოგზავნილნი. ანონ მეფემაც აღარ აცივ-აცხელა და დავითის მოციქულებს ნახევარ-ნახევარი წვერი ჩამოაპარსვინა, კაბის კალთებიც აეკვეცინა და ასე დამცირებულნი უკანვე გამოაყრევინა.

ეს ხომ თავისთავად ებრაელთა საომრად გამოწვევასაც ნიშნავდა და ყა-მონელთა მეფეც მაშინვე ჯარისა და მოკავშირეების შეყრას შეუდგა. სირი-ელები მოიწვია სუბიდან და ბეთ-რეჰოვიდან, ოცი ათასი მოლაშქრე, მააქ-დან — ათასი, და ისტობიდან — თორმეტი ათასი.

დავითმაც მაშინვე წარგზავნა ჯარი, იოაბის სარდლობით.

ბრძოლის ველზე მივიდნენ ისრაელნი და იხილეს მტერი, ორის მხრიდან საომრად დარაზმულნი, ერთის მხრით — თვითონ ყამონელნი, მეორეს მხრით — მოკავშირე სირიელები.

იოაბმაც სასწრაფოდ თავის ლაშქარიც ორად გაჰყო, ერთი ნაწილი უმცროს ძმას, აბესას მისცა და ყამონიტებზე შეტევისთვის გაამზადა, მეორე კი თვითონ დაინარჩუნა სირიელებზე საიერიშოდ. თან გააფრთხილა იოაბმა აბე-სა, — რომელ მხარესაც უფრო გაგვიჭირდეს, თვალი გვეჭიროს და ერთმანეთს მივეშველოთო.

„ვიყოთ მხნენი, ებრძოდეთ ერისათვის ჩვენისა, და ქალაქთათვის უფლი-სა ჩვენისა, ხოლო უფალი თვითონ ჰყოფს კეთილსა ჩვენ ზედა!“ — ესეც წარ-მოთქვა იოაბმა და საიერიშოდ დაძრა ლაშქარი.

პირველ დატაკებისთანავე, ორივე მხარეს დაამარცხეს და გააქციეს მტრე-ბი ებრაელებმა.

ყამონიტები მარცხს შეურიგდნენ და თავის ციხე-ქალაქებში ჩაიკეტნენ. სუბის მეფე ადრააზარმა კი ომის გაგრძელება სცადა, ახალი ჯარი შემოიყა-რა, დანარჩენ სირიულ ტომებსაც იარაღი აასხმევინა და გაერთიანებული ჯა-რები, თავისი სარდლის, შ ო ბ ა ჰ ი ს წინამძღოლობით, გაუშვა ბრძოლად.

ამჯერად ისევ თვითონ დავითი გაუძღვა თავის ჯარს საომარი ველისკენ. მივიდა, შეხვდა და სასტიკად დაამარცხა სირიელნი, მათგან ორმოცი ათასი გა-წყვიტა, შვიდასი ეტლი ნადავლად აიღო, თვითონ სარდალი შობაჰიც სასიკვ-დილოდ დაჭრა ისრაელთა მეფემ.

სირიელ ტომთა ყველა მეფე-მთავარმა თავი დამარცხებულად სცნო და ებრაელთა მეფეს სამუდამო ხარკის ძღვება და მორჩილყოფნა აღუთქვა...

სულ მაღლა და მაღლა იწევდა დავით, — ვითარცა მეფე, ვითარცა მხე-დართმთავარი, ვითარცა წინასწარმეტყველი, ვითარცა პოეტი, ვითარცა მსა-ჯული.

უკვე სულ ახლო იყო ღმერთთან.

მაგრამ იყო ისიც ადამიანი.

და სცოდავდა, ვითარცა სწორედ ადამიანი.

და მოხდა ასე — ცოდვა დავითისი.

მაშინ, როცა ებრაელები უამონიტებს ებრძოდნენ და მეფეს ჯარი, იოაბის მეთაურობით, სწორედ უამონიტთა მთავარი ქალაქის, რ ა ბ ა თ ი ს დასაპყრობად გაეგზავნა, თვითონ, იერუსალემს მარტოდ დარჩენილმა დავითმა, ერთ საღამოს, სასახლის ერდოზე სეირნობისას, თვალი მოჰკრა მეზობელ სახლში მობანავე ქალს.

ქალი იყო ლამაზი და „ქმნულკეთილ ფრიად".

და ბრძანა მეფეე, მოეყვანათ ქალი იგი მასთან.

ქალს სახელად რქმეოდა ბ ე რ ს ა ბ ე (ბათ-შება), ასული ელიამისა და ცოლი უ რ ი ა ქ ე თ ე ლ ი ს ა (ქეთელნი—პალესტინის ერთერთი, ძველი, ქანაანური ტომისანი).

ქმარი ომში იყო. ცოლი მარტო დარჩენილიყო და ახლა მეფისგან მოწონებული და მოწოდებული უკვე მისსავე ლოგინში იწვა. იმ ღამეს ერთად იყვნენ. მერე გაშორდნენ. მალე ქალმა შემოუთვალა მეფეს: უკვე ფეხმძიმედ ვარ შენგანო.

აწრიალდა დავითი. იოაბთან კაცი აფრინა და შეუთვალა, მანდ რომ შენს გვერდით ურია ქეთელი იბრძვის, სასწრაფოდ გამომიგზავნეო. ურიაც სასწრაფოდ მოვარდა იერუსალემს და ეახლა მეფეს სასახლეში.

დავითმა გამოჰკითხა ნაომარ გმირს ბრძოლის ამბები, ჯარისა და სარდლობის ავანჩავანნი (ვითომ ეს აინტერესებდა!), და როცა ყველაფერი მოისმინა, მაშინვე ეს უთხრა ურიას: ახლა წადი შენს სახლში, დაიბანე და დაისვენეო. ურიაც წავიდა. მეფეც დამშვიდდა: ამაღამ ქმარი ცოლთან დაწვება და ჩემი ნაკვალევიც წაიშლებაო, მაგრამ... დილით მოახსენეს, რომ თურმე ურია სახლში არ წასულა და იქვე, სასახლის კართან დაწოლილს გაუთეევია ღამე.

გამოიძახა გაკვირვებულმა მეფემ ურია და ჰკითხა მშფოთვარედ: რაშია საქმე, ომიდან მოხველ, ნაომარი და ნამგზავრი, შენს სახლში რად არ მიხველ დასასვენებლად და გამოსაძინებლადო?

ეგ როგორო, — უპასუხა ურიამ — კიდობანი სჯულისაი, საკურთხეველი უფლისაი და ყოველი ერი ისრაელისა და იუდასი კარავსა დგანან, ჩემი ბატონი იოაბიც, ჯართან ერთად, ბრძოლის ველზე ათენ-ალამებს და მე სახლში შევიდე, საჭმელ-სასმელად და ცოლთან განცხრომად?! ეფიცავ მზესა და შენს სიყვარულს, ასეთ საქმეს მე ვერ ჩავიდენ!..

ჩაფიქრდა დავით მეფე. კარგი, ამ დღე-ღამით კიდევ დარჩი იერუსალემს და ხვალ დილას გაგიშვებო, — უბრძანა ურიას. ისიც დარჩა. მეფემ თავისთან დაიტოვა, ტრაპეზთან. აჭამა, ასვა და დაათრო, იმ იმედით, მთვრალი შემცდარიყო და მისწოლოდა გვერდით თავის ცოლს ეს ახირებული კაცი. მაგრამ ისევ არაფერი გამოვიდა, ისევ არ მივიდა თავის ოჯახში ურია და ღამე მსახურებთან გაათია.

დილით, როცა ესეც შეიტყო, დავითმა ურია უკანვე გაუშვა, ბრძოლის ველზე და თან, მთავარსარდალთან, იოაბთან წერილი გაატანა. წერილში კი

ეწერა: ურია ქეთელი ბრძოლაში ისეთ ძნელ ადგილზე მიუშვით, უკან რომ ცოცხალი ვეღარ გამობრუნდესო.

ასედაც მოხდა. იოაბმა რაზმი, რომელშიც ურია ქეთელი იდგა, ალყაში მოქცეული რაბათის ყველაზე ძლიერად გამაგრებულ უბანზე მიუშვა. იქიდან კი ყამონიტებმა ისრისა და სათხედის სეტყვა დაუშვეს და ყველანი ჩახოცეს, მათ შორის ურია ქეთელიც.

მაშ ქმარი ომში დაიღუპა, ცოლი დაქვრივდა, — ფეხმძიმე ბერსაბე — ხოლო, როცა გამოტირებაც დამთავრდა, დავით მეფემ ქალი თავისთან წაიყვანა და ცოლად დაისვა, კიდევ ერთ ცოლად.

და შეეძინა ბერსაბეს ძე დავითისა.

ხოლო, უფალს „არა სათნო-უჩნდა საქმე იგი დავითისი".

ერთ დღეს ნათან წინასწარმეტყველი მეფეს ეწვია და ასეთი რამ უამბო: ერთ ქალაქშიო, გვერდ-გვერდ, მდიდარი და ღარიბი მეზობლები ცხოვრობენო. მდიდარს ძალიან ბევრი ხვასტაგი ჰყავს, მსხვილფეხაც და წვრილფეხაც. ღარიბს კი ერთი ბატკანი ძლივს გაუზრდია, სულ რომ თავის ხელით აკმევ-ასმევდა და შვილივით მკერდიდან არ იშორებდა. მერე, ერთ დღეს, იმ მდიდარს ვიღაც უცხო სტუმარი სწვევია და სასტუმრო საკლავი თავისი უთვალავი საქონლიდან ერთიც არ გაუმეტებია და იმ ღარიბი მეზობლის ის ერთადერთი, შვილად ნაზარდი ბატკანი დაუკლავსო.

განრისხდა დავითი და უთხრა ნათანს: ცხოველ არს უფალი, და ეგ კაცი, მაგის მოქმედი, სწორედ სიკვდილის ღირსი არისო.

ეგ კაცი სწორედ შენ ხარო, უცებ მიახალა ნათანმა დავითს, უფალმა შენ ისრაელის მეფობის მირონი წაგცხო, საულის ხელით სიკვდილისგან გადაგარჩინა, მისი სახლიც მოგცა, მისი ცოლებიც, მოგცა ისრაელი, მოგცა იუდა და კიდევ რაღა უნდა გენატრებია რომ მოეცა, რომ ასე შეურაცხ-ყავ ბრძანებაი უფლისაი და რად მოჰკალ ურია ქეტელი ყამონიტთა მახვილით და შეირთე ცოლად ცოლი მისი?, და რაკი შენ ეს ბოროტება ჩაიდინე, ამიერიდან არა განეშორების მახვილი სახლსა შენსა უკუნისამდე.

შეწუხდა დავითი. სწორედ შევცოდე უფლის წინაშეო, სწორედ სიკვდილის ღირსიც ვარო, შეჰღაღადა ნათანს.

შენ არ მოკვდები, მაგრამ შვილი კი მოგიკვდებაო, მიაგება ნათანმა.

მართლაც მძიმე ავად გაუხდა ძე იგი, რომელიც ახლად შესძენოდა ბერსაბესაგან. დღე და ღამეს ლოცვასა და მარხვაში ასწორებდა შეძრწუნებული მეფე, მიწაზე იწვა, არ იგებდა და არ იხურავდა. არაფერმა უშველა, — მაინც მოუკვდა ყრმა იგი.

გაკერპდა დავითი. მარხულობას და მიწაზე გორვას თავი ანება, ბერსაბე გაამხნევა, მგლოვიარობიდან გამოიყვანა და კვლავ მიეტანა საალერსოდ. ისევ იღო მუცლად ბერსაბემ და შეეძინა ძე მეორე.

და უწოდა გახარებულმა დავითმა ძესა ახალშობილსა — ს ო ლ ო მ ო ნ (შ ლ ო მ ო — „მდიდარი მშვიდობითა").

„და შეიყუარა იგი უფალმან“.

ნათან წინასწარმეტყველმაც სოლომონს ზედწოდებ სახელად უწოდა „იედიდია“, რაიც ნიშნავს „საყვარელსა უფლისასა“.

იმავე დღეებში იოაბის შეტყობინებაც მიიღო მეფემ: ქალაქი რაბათი საბრძოლველად ავიღე, ახლა გთხოვ მობრძანდე და მისი აღება შენ დაასრულო, რათა გამარჯვებას შენი სახელი დაერქვასო.

წავიდა დავითი და აიღო ყამონიტთა მთავარი ქალაქი, იქაურ მეფეს ოქროთი და ძვირფასი ქვებით შემკული გვირგვინი მოჰხადა და თვითონ დაიდგა თავზე, სხვა მრავალი ნადავლიც დაინადავლა. რაბათის მცხოვრებთაგან უმრავლესნი საშინელი წამებით დაახოცვინა, ზოგი დაახერხვინა, ზოგი ნაჯახებით დააჩეხვინა, სხვანი რკინის ურიებით დააშეშყინა და მის შემდეგ ყველანი ანთებულ ღუმელებში შეაყრევინა. ასე მოექცა ყამონიტთა სხვა ქალაქებსაც და ასე, მტრის ამოგდებით გულნაჯერები დავით მეფე დაბრუნდა იერუსალემს.

და მეფობდა დავით წინასწარმეტყველი მორჭმით და შეუვალად ისრაელიუდას სახელმწიფოში, რომელიც იყო ევფრატსა, მეწამულ ზღვასა და ეგვიპტეს შორის.

მაგრამ პირადი და ოჯახური განსაცდელი მაინც ეწვეოდა ხოლმე სხვა მხრივ ბედნიერ გვირგვინოსანს.

დავითს, ერთერთი ცოლის, აქინოამასაგან, ჰყავდა, უფროსი, პირმშო ძე — ა მ ნ ო ნ.

მეორე ცოლის, მააქასაგან ჰყავდა ძე — ა ბ ე ს ა ლ ო მ (აბშალომ), და ასული — თ ა მ ა რ („პალმა“), ორივე დიდად ლამაზი და მშვენიერი.

და შეუყვარდა ამნონს თამარი, სიყვარულითა, რომელმაც ლამის ლოგინად ჩააგდო იგი.

მაგრამ ამნონს ჰყავდა გულის მესაიდუმლეც, დავითის ძმისწული, სახელად ი ო ნ ა დ ა ბ, კაცი ცბიერი და ვერაგი. იგი შეუჩნდა შეყვარებულ ბიძაშვილს, — მითხარ რა დაგემართა, ყოველდღე რომ ჰხმები და ჰჭკნებიო? და ისიც გაუტყდა: აბესალომის დაი მიყვარს, თამარ, უსაშველო სიყვარულითო. მაშინ ურჩია იონადაბმა ამნონს: ჩაწექ ლოგინად, ვითომ ავად ხარ, და როცა მამაშენი მოვა და გამოგკითხავს, შენც უთხარ, ავად რომ ხარ და მორჩები მხოლოდ მაშინ, უკეთუ თამარი საჭმელს თავის ხელით მომიმზადებს და თავის ხელითვე მაჭმევსთქო.

ამნონიც მოიქცა რჩევისამებრ ბიძაშვილისა. სანახავად მოსულ მამას თამარის მოსვლა და მისი ნახელავით მასპინძლობა მოსთხოვა. დავითმაც გაუგზავნა თამარი, საჭამადით.

ამნონმაც, რაკილა დაიმარტოხელა, ძალა იხმარა და ასე გაბახებული გამოაგდო სახლიდან თამარი.

დაიპო თამარმა ტანზე თავისი ნაირფერი („ვარსკვლავედი“) სამოსელი,

დაიყარა თავზე ნაცარი, წაიშინა ხელნი და მოსდგა ხმამაღლა ტირილსა და გოდებას.

როგორც კი აბესალომმა ეს ამბავი შეიტყო, აღშფოთება გულს დაიმარხა, დაი ანუგეშა და სახლში დაისვა განმარტოებით.

დავითიც განარისხა ამნონის სამარცხვინო საქციელმა, მაგრამ ბოლოს იმანაც დაიცხრო გული, რაკიღა ძალიან უყვარდა პირველმოსწრება ძე თვისი.

განვლო ორმა წელმა. შევიდა აბესალომი მამასთან და უთხრა: ცხვრის პარსვის დრო დამიდგა და მეწვიე შენ და შენი მსახურეულიო. მეფემ თავაზიანი უარით უპასუხა: არა, შვილო, ვერ წამოვალ, ვერ შეგაწუხებო. არ ეშვებოდა აბესალომი, მაგრამ მაინც არ წაუვა მეფე, ოღონდ კურთხევა აღავლინა შვილსა ზედა. მაშინ ამას შეუჩნდა აბესალომ მამას: რაკი შენ არ წამოხვალ, ჩემი ძმა ამნონი მაინც გამატანეო. ამაზეც უარს ამბობდა დავითი, მაგრამ არ მოეშვა აბესალომი, ბოლოს ისიც დათანხმდა და გაატანა ამნონიც და დანარჩენი ძენიცა თვისნი.

ასე წავიდნენ ძმები აბესალომის ცხვარში, და როცა მივიდნენ, იქ სანადიმო სუფრა გაუშალათ აბესალომმა. შუა სუფრაზე, როცა ღვინისაგან შეხურდნენ და განსაკუთრებით ამნონმა მოილხინა, აბესალომმა წინასწარ გაფრთხილებული თავისი ბიჭები ამნონს მიუსია და იქვე დააკვლევინა.

თავზარდაცემული ძმები თავთავიანთ სახედრებს მოახტნენ და დაიფანტნენ.

მაგრამ ცუდი ამბავი, თანაც გაზვიადებულად, ხომ უფრო სწრაფად მიდის „დანიშნულების ადგილზე", ვიდრე კარგი, და დაფანტული ძმების დაბრუნებას სასახლეში მაინც ხმამ მიასწრო, ხმამ კი მეფეს აუწყა, ყველა შენი შვილი დახოცილიაო.

შეიშალა დავით მეფე, დაიპო ტანსაცმელი და დაეცა მიწაზე, ბლავილით, გოდებით. ტანსაცმელი შემოიხია და აღრიალდა მთელი მისი სახლეულიც, მსახურეულიც, ტაძრეულიც.

მაშინ მივიდა იონადაბი მეფესთან და ბიძასთან, დასაწყნარებლად: ნუ იფიქრებ და ნუ დაიჯერებ, რომ ყველა შენი შვილი იყოს ამოწყვეტილიო; მხოლოდ ამნონი იქნება მოკლული, რადგან აბესალომს ჰქონდა გულში ჩადებული მისი მოკვლა, თამარის გაუპატიურებისთვისო.

ყოველივე ასედაც დადასტურდა. ძმები დაბრუნდნენ. მოკლული აღმოჩნდა მხოლოდ ამნონი. ხოლო, თვითონ მკვლელი, აბესალომი გაქცეულიყო და თავი შეეფარებინა გესურის (სირიაში) მმართველ თ ა ლ მ ა ამიუდის ძესთან.

დავითი კი აღარ დასდევნებია აბესალომს, რადგან იგი ამნონზე გლოვას დაეპყრო სრულად.

გლოვაც დრომ განაქარვა და ახლა გაქცეულ აბესალომზე ჯავრმა და ურვამ შეიპყრო სული და გული დავით მეფისა.

ამით ისარგებლა იოაბმა, შეუჩნდა მეფეს და დაიყოლია, დაებრუნებია

აბესალომი გესურიდან იერუსალემს. დაბრუნდესო თავის სახლში, ოღონდ პირადად მე თვალით არ დამენახოსო, — დაასკვნა მეფემ.

დაბრუნდა აბესალომი იერუსალემს. და იყო თავის სახლში, მამისა და მეფისგან მიუხმობელი, კაცი, კაცთა შორის ულამაზესი და უმშვენიერესი, — „არა იყო სხვა კაცი ქმნულკეთილ, ვითარ აბესალომ, ისრაელსა შორის ფერხითგან ვიდრე თავადმდე. და არ იყო ბიწი მის თანა".

გასაოცრად ხშირი და მძიმე თმის ტევრები ეყარა. ყოველ წელს რომ არ მოეპარსა, ტარება უჭირდა. ერთჯერად ანაკვეცი მისი თმა ორას შეკილას იწონიდა.

ოთხი შვილი ჰყავდა, სამი ძე და ერთი ასული, სახელად თ ა მ ა რ (მისი სეხნია მამიდასავით), გასაოცრად პირმშვენიერი და მოხდენილი (სამომავლოდ მას დედოფლობა ელოდებოდა).

და იყო აბესალომ ორი წელიწადი იერუსალემს, თავის ოჯახში, ისე რომ მამამისს არ შეხვედრია.

გადაწყვიტა, ისევ იოაბი მიეგზავნა შუამავლად, შუამდგომლად მამასთან, და გამოიძახა აბესალომმა სარდალი. მაგრამ არ მოვიდა იოაბი. მეორედ გამოიძახა, არც მეორედ მოვიდა.

მაშინ აბესალომმა თავის მსახურებს იოაბის უკვე დამწიფებული პურის ყანა დააწვევინა, თვითონ აბესალომის ყანის მოსაზღვრედ რომ ჰქონდა იოაბს. ახლა კი მოვარდა იგი აბესალომთან, — რა იყო, რას მერჩოდიო. არ მოდიოდი და იმას გერჩოდიო, — მიუგო აბესალომმა — მამაჩემთან უნდა მიმეგზავნო და უნდა უთხრა, თუ პირადად არ მიმიღებ, გესურიდან რაღად წამომიყვანეთო, მერე, თუ ისეთ დამნაშავედ მთვლი, ბარემ სიკვდილითაც დამსაჯეთქო.

წავიდა იოაბი შუამდგომლად მეფესთან. დათანხმდა დავითი შვილთან შეხვედრას. მივიდა აბესალომი და ეთაყვანა მამას. გადაეხვია და გადაკოცნა მამამ შვილი.

გათამამდა და გალაღდა აბესალომი. ეტლოსანთა რაზმეული აიწყო და მცველად აიყოლია, ამასთან, ათი მალემსრბოლი („წინამცორვალი") მუდმივ სამსახურში ჩაიყენა.

დილით ადრე დგებოდა, ქალაქის მთავარ შემოსასვლელთან ჩადგებოდა და მეფესთან რაიმეს სათხოვრად მომავალ მგზავრებს აჩერებდა, საუბარს უბამდა. ვინ ხარო, საიდან მოდიხარო, რაისთვის მოდიხარ და ვისთან მიდიხარო. მერე თავისას მიუთხრობდა: ჰო, სწორი და სამართლიანია შენი სიტყვები, მაგრამ ვინ იქნება შენი მომსმენი მეფის კარზეო; აი, მე რომ ვიჯდე მსაჯულად, მაშინ გაგიხარია, ყოველი მოაჯე სამართლით განვსაჯო და განვიკითხოო!

ასე იდგა გზაში და თაფლავდა ყველას. ვინც კი თავს დაუკრავდა. მაშინვე ხელს მოხვევდა და გადაკოცნიდა.

ოთხი წელიწადი გაგრძელდა ასე, და ისრაელ-იუდაში ყველას პირზე ეკერა ალერსიანი და საყვარელი უფლისწულის სახელი — აბშალომ!

მერე, ერთ დღეს მამას უთხრა აბესალომმა: როცა მე გესურში ვიყავი, ღმერთს იერუსალემს დაბრუნება შევთხოვე და სამაგიეროდ მსხვერპლის შეწირვა აღვუთქვი; ახლა, ეს აღთქმა რომ შევასრულო, ხებრონში უნდა გამიშვაო. წადი მშვიდობითო, — მაშინვე დასტური მისცა დავითმა.

წავიდა აბესალომი ხებრონს, წავიდა და, გზად მიმავალმა, ებრაელთა თორმეტივე ტომს ფაიქები დაუგზავნა, ფიცხელი, საგანგაშო შეტყობინებით: როგორც კი საყვირების ხმას გაიგონებთ, მაშინვე თქვით, რომ აბესალომი გამეფდა ხებრონში!..

დაგზავნა შიკრიკები და თვითონ ჩავიდა ხებრონს. თან ორასკაციანი ამალაც ჩაიყვანა. მსხვერპლის წირვასაც შეუდგა და თან, იქვე, საგანგებოდ მოიწვია აქიტობელ გილოელი (გილო — ქალაქი ხებრონის სამხრეთით), დავითის მთავარი მრჩეველი („თანამზრახველი"). მოიწვია და შეეთქვა: მამა ტახტიდან უნდა ჩამოვაგდო და მეფედ მე ვამოვცხადდეო. აჰყვა და გაჰყვა აქიტობელიც. სხვებიც შემოიყარეს, წარჩინებული ისრაელნი. საყვირებიც უკვე დაეკრათ ებრაელთა ყოველ ტომში და გამოეცხადებინათ მეფედ აბესალომი.

როგორც კი დავითმა ეს შეიტყო, სასახლეში მხოლოდ თავისი ათი მხევალი და მათი პირფარეშნი დატოვა, სასახლის საპატრონოდ, დანარჩენებს კი — მცველთა ჯარს, ამალას, მსახურეულთ, ტაძრეულთ და ყველას, ვისაც სირბილი შეეძლო, მოუწოდა თან გაჰყოლოდნენ, და გაიქცა დავითი იერუსალემიდან.

ლტოლვილები უდაბნოში გავიდნენ. დავითის მცველთა რაზმი მთლიანად დაქირავებულ მეომართაგან შედგებოდა, ფილისტიმურ ქალაქ გათიდან, სულ ექვსასი მეომარი. და მიმართა დავითმა „გათელთა" ბელადს, ეთთის: შენ შენიანებით რად მომყვებიო, უცხოელი ხარ, გუშინ მოხველ და ხვალ წახვალ, ამიტომ შენთვის სულ ერთია, ვინც იქნება ხვალ მეფე; ამიტომ გაბრუნდი შენიანებით, მიდით ახალ მეფესთან და იმას ემსახურეთ, ასე მოიქეცით, უფალმა კი წყალობა გიყოთ და ჭეშმარიტება არ მოგაკლოთ!

მაგრამ შორს დაიჭირა ეთთიმ: ცხოველ არს უფალი და ცხოველ არს სული შენი, უფალო ჩემო მეფე! — მიუგო მან დავითს — სადაც არ უნდა იქნე შენ, მეფე ჩემი, სიცოცხლით თუ სიკვდილით, მუდამ შენთან ვიქნები მე, მონა შენი.

გზა განაგრძეს. ელეონის მთისკენ მიდიოდნენ.

ვიდოდნენ და კიდობანი აღთქმისაი თან მიჰქონდათ ლევიტელთა.

სადოკიც (ცადოკ) აქ იყო, აბიათარიც, ორივე მღვდელმთავარი.

და უბრძანა დავითმა ორივეს, უკანვე, იერუსალემს მიბრუნებულიყვნენ და თან, უკანვე მიებრუნებიათ კიდობანი აღთქმისაი. თუ მე უფალი მიწყალობებს და უკანვე დამაბრუნებს, კვლავ მეღირსება ხილვა კიდობნისა და მისი სამყოფელისაო, დაბეჭდა მეფემ და თან დასძინა: მე კი დავრჩები მანამ, სანამ იერუსალემიდან თქვენგან რაიმე ცნობას არ მივიღებო.

აღასრულეს სადოკმა და აბიათარმა ნება ხელმწიფისა და, კიდობანთან ერთად, დაბრუნდნენ იერუსალემს.

დავითი კი ელეონის (ზეთისხილის) მთაზე ავიდა (იერუსალემიდან აღმოსავლეთით), ატირებული, თავდაბურული, ფეხშიშველი. თანალტოლეილებიც მისდევდნენ, ისევე უხამლონი, მოტირალნი და მოვიშვიშენი.

აქ დავითმა შეიტყო, რომ აქიტობელსაც ულალტნია მისთვის და ახლა აბესალომს ჰყოლია იგი მრჩევლად.

ღმერთო, შენ განაქარვე ზრახვა აქიტობელისაო, ღაღადჰყო ცისკენ თვალაპყრობილმა დავითმა. და, მაშინვე, იქვე, ერთ თავის ახლობელ „თანამზრახველს“ დაუძახა, ქ უ შ ი არქანელს (ქალაქ არქიდან, ბეთელის ახლოს), და უთხრა: შენ, აქ რომ მომდევ და მომტირი, ტვირთის მეტი ჩემთვის არაფერი ხარ; ამიტომ წადი, დაბრუნდი შენც იერუსალემში, მიდი აბესალომთან, შეფიცე ერთგულება და მონობა და იქედან შეგიძლია გამიცუდო ღალატი აქიტობელისა, — იმით გამიცუდო და გამიუვნებელყო, რომ იქ, რაც სასახლეში მოხდება, იდუმალ შეატყობინე სადოკს და აბიათარს; ხოლო ესენი მათი შვილების, ა ქ ი მ ა ა ს სადოკის ძისა და ი ო ნ ა თ ა ნ აბიათარის ძის მეშვეობით, მე შემატყობინებენო.

და გაუშვა ასე ქუში არქანელი დავითმა მზვერავად, თავისი აჯანყებული შვილის საზვერავად.

მას ჟამსვე, გზიდან ვიღაც გამოუხტა დავითს, სახელად ს ე მ ე ი (შიმი), ძე გერასი, საულ მეფის ნათესავთაგანი. გამოუხტა ქვის სროლით და ლანძღვა-გინებით. დაიკარგე და გადაშენდი, მკვლელო და სისხლისმსმელო, — მისძახოდა იგი ლტოლვილ ნამეფარს — ღმერთი გაზღვევინებს შენ საულისა და მის სახლეულთა დაღუპვისთვისო, მკვლელო და უსჯულოო!..

მაშინ მივიდა მეფესთან აბესა, ძე შარუელისა და ძმა იოაბისა, და შესთხოვა: ნება მომეცი, ამ ქოფაკს თავი გავაგდებინოო.

თავი დაანებეო, ბრძანა დავითმა, ჩვენ რა ხელი გვაქვს, თუკი მას ღმერთმა ჩააგონა დავითს აგინეო? ვის აქვს უფლება ვისმეს უთხრას — „რად ეგრე ჰყავ?“ აგერ, ჩემი თესლიდან გამოსხლეტილი შვილიც კი ჩემს სულს ეძიებს სასიკვდილოდ და ეგ რად უნდა მიკვირდეს, რომ ვიღაც ბენიამინელი მკიცხავდეს და მწყევლიდეს მე? ამიტომ დააცადეთ, დაე მწყევლოს, რაკიღა ღმერთმა ეგ ჩააგონა...

აბესალომი კი უკვე შედიოდა იერუსალემში, შედიოდა ვითარცა ახალი მეფე სრულიად ისრაელთა და იუდეველთა. გვერდით აქიტობელი მოსდევდა, გუშინ მამის „თანამზრახველი“, დღეს შვილის „გადამზრახველი“.

მემფიბოსთესაც ეღალატნა დავითისთვის, იონათანის ხეიბარ ძეს, დავითს რომ ყოველდღიურ ტრაპეზზე თანამეინახედ ეჯდა. დარჩენილიყო მემფიბოსთე იმის იმედად, რაკი დავითი გააქციეს, მეფობას მე მომართმევენ, როგორც საულის შთამომავალს და ძესა იონათანისაო. მაგრამ იერუსალემში შემოსულ-

მა აბესალომმა სიახლოვესაც არ გაიკარა ეს ბალღის ჭკუაზე დამდაბლებული ტახტისმაძიებელი.

ქუში არქანელი კი მოხვდა თვალში აბესალომს, — ქუში, პირველი რომ შემოეგება მას ძახილით: მეფეს გაუმარჯოს, მეფე აბესალომს სიცოცხლე და მზეგრძელობაო!

ეპვიანი მზერა მიაპყრო აბესალომმა და უთხრა: აგრე ხომ შენი მეგობარიც (მამამისს გულისხმობდა) გიყვარდა და რატომ მას თან არ გაჰყევიო?

არა, მე იმას გავყეები, ვინც მეფედ აირჩია თვით უფალმა და მთელმა ერმა იერუსალემისამ, — მაშინვე შეაგება ქუშიმ, მხნედ და მტკიცედ, და დაუმატა: უკეთუ აქამდე ვემსახურებოდი მამას, ახლა ისევე ერთგულებით ვემსახურები შვილს.

დაიჯერა ქუშის ერთგულება აბესალომმა. მერე აქიტობელს მიუბრუნდა და ჰკითხა, რა უნდა მოვიმოქმედო ახლა, ამ პირველი მოსვლის ფეხთაზეო?

პირველ ყოვლისა, მამაშენის ხარჭებთან შედი და ხალხის დასანახავად იმათთან იცხოვრე, რათა ქვეყანამ დაინახოს, რომ მამისთვის შენ სამუდამოდ საძულველ შვილად იქეც და ამით კვლავ უფრო გულდაჯერებით და განუხრელად გიერთგულებს ყოველი შენი თანამებრძოლი და თანამდგომელიო.

აქიტობელის ყოველი რჩევა, საერთოდ, ღვთისგან დამტკიცებულ, სიტყვაშეუქცევად ნათქვამად მიაჩნდათ, ჯერ დავითს და ახლა აბესალომს.

და ეს საოცრად ურცხვი რჩევაც აღასრულა მამის დამამხობელმა შვილმა. დავითის სახლის ერდოზე კარავი გაამართვინა, შიგ სათითაოდ შეიყვანა და მამამისის ათივე თანამწოლ ქალს ახლა თვითონ მიუწვა სათითოოდ...

და ყველაფერი ეს მოხდა ხალხის თვალწინ, თვალსასეიროდ.

ამ პირველი „მეფური ნაბიჯის“ შემდგომ, აბესალომს აქიტობელმა გამოსთხოვა თორმეტი ათასი ჯარისკაცი, დავითის დასადევნებლად და მოსაკლავად; იმას მოვკლავ და ქვეყანაც დაწყნარდებაო, დაასკვნა მან.

ჭკუაში დაუჯდათ ახალ მეფეს და მის კარისკაცებს ეს „ბრძნული რჩევაც“. მაგრამ აბესალომი მაინც იქვე მდგარ ქუში არქანელს მიუბრუნდა და ჰკითხა, რას იტყვი აქიტობელის განზრახვასა და რჩევაზეო.

არ ვარგა აქიტობელის ნარჩევი და ნაზრევიო, პირდაპირ სტკიცა ქუშიმ. იმიტომ არ ვარგა, რომ მამაშენის სიმხნისა და სიმამაცის ამბავი ვინც იცის, მასთან ეგზომ მცირე ძალებით საომრად გასვლა მწარე მარცხის მეტს არაფერს გვარგუნებსო. ამიტომ, თუ დავითთან ბრძოლა აუცილებლად მიგაჩნიათ, მთელი ისრაელი უნდა შემოიყაროთ და წინ თვითონ უნდა გაუძღვეო, — მიმართა ბოლოს აბესალომს ქუშიმ.

ამან ნაყოფი გამოიღო. მაშინვე აბესალომმა და მისმა ამალამ ქუში არქანელის რჩევა მოიწონეს და აქიტობელის თათბირი კი დაიწუნეს.

ასე, რომ ქუშიმ დავითისა და მისი თანალტოლვილების სწრაფი დადევნებისა და უეპველი ამოწყვეტის განაზრახი ჩაშალა, ხოლო სანამდე აბესალომი „მთელი ისრაელის“ შეყრას მოასწრებდა, მანამ, იმ ღამითვე, სადოკ და

აბიათარ მღვდელმთავარნი მოინახულა იდუმალ, მოეთათბირა და მათი შვილები, აქიმაას სადოკის ძე და იონათან აბიათარის ძე დავითთან აფრინა, ასეთი დანაბარებით: სანამ შენი აბესალომი ჯარით დაგედევნებოდეს და სიკვდილს გადაგყრიდეს, მანამ შენი დევნილი ხალხით მდინარე იორდანეს გადაასწარიო.

ასედაც მოხდა. დავითმა თავისიანები იორდანეს აღმოსავლეთ მხარეს გადაიყვანა და ქალაქ მ ა ხ ა ნ ა ი მ ს შეაფარა თავი.

ამგვარად, აქიტობელი გაწბილდა, ხოლო გაწბილებულმა, არც მეტი და არც ნაკლები... თავი ჩამოიხრჩო.

აბესალომმა კი ჯარები შემოიყარა, იმანაც იორდანე გადალახა და მახანაიმის პირდაპირ დაიბანაკა. მთავარსარდლად მას დაენიშნა ყ ა მ ა ს ა (ამასა), თავისი მამიდაშვილი.

დავითმაც თავისიანები საომრად გაამზადა. ასეულები და ათასეულები გადააწყო და მეთაურები დაუნიშნა. მთელი ჯარი სამ მთავარ ნაწილად გაჰყო. ერთ ნაწილს იოაბი უსარდლა, მეორეს აბესა, მესამეს — ეთთი გათელი.

სამივე სარდალი და სამივე ჯარი, მეთაურიდან ყოველ მეომრამდე, გაიფრთხილა საგანგებოდ დავითმა: წადით, იომეთ, მაგრამ გახსოვდეთ, აბესალომი არ მომიკლათო!

ბრძოლა მოხდა ეფრაიმის ტყეში (ასე დარქმეოდა იმ ადგილს, სადაც ერთ დროს იეფთაემ დაამარცხა მტრად გადაკიდებული ეფრემის ტომისანი).

აბესალომის ჯარი სასტიკად დამარცხდა. ვინც ცოცხალი გადარჩა, ტყეში გაიფანტა. თვითონ აბესალომი, ტყეში სრბოლისას, ერთ ხშირტოტებიან მუხას გასდებოდა და თავისი ხშირი თმის ტევრებით შიგ გახლართულიყო; ჯორიც ლაჯებიდან გასხლტომოდა და ეკიდა ხეზე თმებით, უმშვენიერესი ჭაბუკი და უდღეური გმირი დროისა.

რომელიღაც მეომარს უხილავს აბესალომი ასე, ხეს და მიწას შორის გაკიდული, გაქცეულა და მოუხსენებია იოაბისთვის. რატომ არ მოსწყვიტე და მიწას არ დააკალიო, ეს რომ გექნა, ათ ვერცხლსა და ერთ სარტყელს გაჩუქებდიო, — უთხრა იოაბმა. როგორ უნდა მომეკლა, როცა დავით მეფეს აბესალომის სიკვდილი აკი აკრძალული აქვსო, უპასუხა იმ ჯარისკაცმა მთავარსარდალს.

— აბა, ერთი შენ გიყუროს და გიცადოს კაცმა! — იღრიალა იოაბმა და მაშინვე გავარდა იქით, საითაც აჩვენებდა ჯარისკაცი ეგზომ უცნაურ მახეში გაბმულ მსხვერპლს.

მიეჭრა გულდაგულ და სამი ისარი სამჯერ თანმიყოლებით სტყორცნა და სამივე შიგ გულში განუწონა ხეზე უმწეოდ მოფართხალე კაცს.

თითქოს, ეს არ კმაროდა, კიდევ ათი მეაბჯრე იოაბისა გარს შემოერტყნენ და შუბებით დაცხრილეს აბესალომი.

მაშინვე ბრძოლის გასაყარი საყვირიც დააკვრევინა იოაბმა, — შეწყვიტეთო დევნა და ხოცვა ისრაელებისა; უკვე საჭირო აღარ არისო.

იქვე, ტყეში, ორმო გათხარეს, აბესალომის ცხედარი შიგ ჩაუშვეს და ზემოდან ქვისა და ღორღის ბორცვი დაადგეს...

ქუში არქანელმა პირველმა შეატყობინა დავითს მისი ძის დაღუპვის ამბავი...

„შვილო აბესალომ, შვილო, შვილო აბესალომ! რად არ მოვკვდი მე სიკვდილისა შენისა წილ, შვილო აბესალომ, შვილო ჩემო აბესალომ!“ — ტიროდა, ტიროდა, ტირილითა უმწარესითა დავით, ბედნიერი ხელმწიფე და უბედური მამამშობელი.

და გარდაიქმნა სიხარული გამარჯვებისა გლოვად სრულიად სახელმწიფოსი, რადგან გლოვობდა დავით მეფე, გლოვითა გაუნელებელითა. კაეშნით ავსებულ დუმილს მოეცვა ყოველივე და ყოველი. მხოლოდ შვილმკვდარი მამის ბღავილი არყევდა გარემოს:

„შვილო აბესალომ, შვილო, შვილო, აბესალომ (ბენი აბშალომ, ბენი, ბენი აბშალომ!“)

მერე შევიდა იოაბი მეფესთან და შეუჩნდა: დიდი სირცხვილი იქნება, ეგზომ ერთგული შენი ხალხი ასე უნუგეშოდ დააგდო და ოდენ გლოვას გადაჰყვეო.

გამოვიდა დავითი და შეხვდა თავის ხალხს. მერე აბესალომის თანამებრძოლი ისრაელებიც შემოირიგა.

იუდეველებიც მოვარდნენ, თვისტომი ხელმწიფე იორდანეზე უკანვე გადაიყვანეს, კვლავ ვითარცა მეფე უდიდესი, უბრძენესი და უსაყვარლესი.

ყველა დიდსა თუ მცირე მოღალატეს აპატია და შეუნდო მეფემ, მათ შორის სემეი გერას ძესაც (გზაზე რომ სწყევლიდა და აგინებდა) და მემფიბოსთე იონათანის ძესაც, რომელსაც დავითის დაბრუნებამდე აღარც დაუბანია, აღარც ფრჩხილები დაუჭრია, აღარც თმები გაუკრეჭია.

ყოველივე ძველებური სიმშვიდით, წესრიგით და სამართლიანობით უნდა წარმართულიყო, მაგრამ უეცრად ისევ ატყდა იარაღის ყღარუნი. გამოჩნდა ვინმე, ბენიამინის ტომისაგან, სახელად შ ე ბ ა ყ (შება), ძე ბიქრისა, რომელმაც საყვირი დასცა და ისრაელებს გამოუცხადა: არავითარი სანაწილო ჩვენ დავითთან არა გვაქვს, არც არაფერი იუდეველი იესეს ძესთან არ გაგვაჩნია, ამიტომ, ისრაელებო, ყველამ თქვენ-თქვენს სახლკარს და კარვებს მიაშურეთო.

და გაყვნენ ისრაელნი შებაყს. დავითთან დარჩნენ იუდეველნი, და ამათი თანხლებით მივიდა იგი იერუსალემს. მივიდა თავის სასახლეში, ათ მხევალს რომ დაუტოვა საპატრონოდ. ცალკე სახლში გააასახლა ისინი, ცალკე ზედამხედველი შიუჩინა. თვითონ კი სიკვდილამდე თვალითაც აღარ უნახავს არცერთი მათგანი. ისინიც სიკვდილამდე დარჩნენ, ვითარცა ქვრივნი.

მაშინვე ყამასა გამოიძახა, თავისი დისწული (მანამდე რომ აბესალომს ჰყავდა სარდლად), და უბრძანა: სამ დღეში შემოიყარე ყველა იუდეველი და

აჯანყებულებზე გასალაშქრებლად გაემზადეთო. მაგრამ სრულყოფილად ვერ აღასრულა ყამასამ მეფის ნაბრძანები.

მაშინ აბესას უბრძანა დავითმა: სასწრაფოდ ჯარი შემოიყარე და შებაყს დაედევნეო, სადმე ქალაქებში გამაგრება არ მოგასწროს, მანამდე მოუღე ბოლოო.

დაედევნა აბესა თავისი ჯარით შებაყს და მის თანამებრძოლებს.

აბესას მისი ძმა იოაბიც მიჰყვა.

ყამასაც ამხედრდა და გაჭენდა აჯანყებულ ისრაელთა კვალდაკვალ.

გზაზე სარდლები ერთმანეთს გადაეყარნენ: აქეთ იოაბი და აბესა, იქეთ ყამასა. მივიდა იოაბი ყამასასთან. როგორ ხარ, ძმაო ჩემო? — ჰკითხა, მარჯვენა ხელი წვერში ჩასჭიდა, თავისკენ მოზიდა და აკოცა, მარცხენათი კი მახვილი მუცელში გაუყარა და ნაწლავებგადმოცვენილი მიწაზე დააგორა.

ძმებმა მკვდარი იქ დააგდეს და თვითონ შებაყის დევნა განაგრძეს.

აჯანყებულმა შებაყ ბიქრის ძემ ჩრდილო პალესტინამდე ირბინა და იქ ჩაიკეტა, ციხექალაქ აბელ-ბეთ-მააქაში.

იოაბიც მიადგა თავის ჯარით და ალყაში მოაქცია ქალაქი.

მალე ალყაში მოქცეულები პანიკამ მოიცვა. ბოლოს, ერთმა აქურმა ქალმა შემოხიზნული შებაყის წინააღმდეგ შეთქულება შეკრა. შებაყს თავი მოჭრეს და იოაბს გადმოუგდეს. აჯანყებაც და ძმათაშორისი ომიც იმჯერად ასე გათავდა.

ამის შემდგომ, სამი წელიწადი შიმშილმა ითარეშა პალესტინაში. შიმშილს ახალი ომი მოჰყვა, ომი ებრაელთა მარადიულ მტრებთან, ფილისტიმელებთან.

ვერ შერიგებოდნენ ფილისტიმელნი ებრაელთა ბატონობას და აჯანყებულან ძველი დიდებისა და აღზევების დასაბრუნებლად.

თვითონ გაუძღვა ჯარებს მოხუცი დავითი.

ბეწვზე გადარჩა სიკვდილს.

ფილისტიმელთა მხრიდან ვიღაც ი ე ს ბ ე (ი შ ბ ი ვ) გამოუხტა, ლეგენდარულ რეფაიმთა (ბუმბერაზთა) ნაშიერი, უზარმაზარი შუბით ხელში და, ალბათ, სიკვდილსაც ვეღარ გადარჩებოდა ბრძოლით დაღლილი და წელთა სიმრავლით დამძიმებული მეფე, მაგრამ წამით წამზე მოუსწრო ისევ ძმისწულმა, აბესა შარუელის ძემ და უსწრაფეს-უძლიერესი დარტყმით დასცა და დაასიკვდილა იესბე რეფაიმელი.

ებრაელებმა გაიმარჯვეს.

ეს დავითის უკანასკნელი ბრძოლა იყო. მაშინ პირდაპირ აუკრძალეს მისიანებმა და „ერმან ყოველმან“ პირადად ბრძოლის ველზე გასვლა, „რამეთუ არა დაშრტეს სანთელი იგი ისრაელისა“.

უმისოდ კიდევ სამჯერ დასჭირდათ ფილისტიმელებთან ბრძოლად გასვლა ებრაელებს. სამივეჯერ კვლავ გაიმარჯვეს, მათი ღვთაებრივი ხელმწიფის სუნთქვით განმტკიცებულთა.

თვითონ კი, ხელმწიფეს, მსაჯულს, მხედართმთავარს და პიიტოკოსს, უკვე დაესრულებინა საგალობელი მისი მფარველი უფლისადმი:

„შეგიყვარე შენ, უფალო,
სიმტკიცევ ჩემო!
განმაძლიერებელო ჩემო!
მხსნელო ჩემო!.
ღმერთი ჩემი, მფარველი ჩემი,
რამეთუ იგი არს ფარი ჩემი,
რქა ცხოვრებისა ჩემისა,
შესაეედრებელი ჩემი
და მხსნელი ჩემი,
და უსჯულოებათა ჩემთაგან
მიხსნა მე უფალმან.
ქებით ეხადე უფალსა
და მტერთა ჩემთაგან განმარინა მე.
სიკვდილის ტალღებმა მომიცვეს მე
და უსჯულოების ნიაღვართა შემაძრწუნეს მე.
გარემომადგეს მე სალმობანი ჯოჯოხეთისანი
და მახენი სიკვდილისანი მეწივნეს მე!
და ჭირსა ჩემსა ეხადე უფალსა
და ღმრთისა ჩემისა მიმართ ღაღად-ეყავ
და ისმინა ჩემი
ტაძრით წმიდით მისით ხმისა ჩემისა!
და ღაღადება ჩემი მიიწია ხელთა მისთა.
და მოისმინა მან,
და მოიხსენა ყურთა მისთა.
იძრა და შეძრწუნდა ქვეყანა,
და საფუძველნი მთათანი შეირყნეს,
რამეთუ შერისხდა მათ ღმერთი!
აჰხადა კვამლი რისხვასა მისსა,
და ცეცხლი პირისაგან მისისა აღმოიფრქვა,
და ნაბერწყალნი მოეთხეოდეს მისგან!
მოდრიკნა ცანი და გარდამოხდა,
ნისლი ქვეშე ფერხთა მისთა!
აღჯდა ქერუბიმთა ზედა
და აფრინდა,
და გადიქროლა ფრთეთა ზედა ქართასა!
და წყვდიადით იფარა თავი თვისი,
და აწეიმა წყალნი ღრუბელთაგან პაერისათა!
ბრწყინვალებითა მისითა
მის წინაშე სეტყვა
და ნაბერწყალი ცეცხლისა!
ქუხდა ცითგან უფალი,
და უზენაესმა ჰრისცა ხმაი თვისი.
მიუშვა ისრნი
და განაბნივნა იგინი,
განამრავლნა ელვანი

და შეაძრწუნა იგინი!
და განიხვნენ წყალნი ზღვისანი
და გაშიშვლდნენ საძირკველნი სამყაროსანი
სასტიკებითა უფლისათა
და სულითა რისხვითა მისისათა!
გამოიწვადა მან ხელი მაღლით
და აღმიყვანა მე
და მიხსნა მე წყალთაგან მრავალთა!
მიხსნა მე მტერთა ჩემთაგან ძლიერთა
და მოძულეთა ჩემთაგან,
რომელნიც იყვნენ უძლიერეს ჩემსა.
მომეწყინეს მე დღესა ჭირისა ჩემისასა,
და უფალი იყო შემწე ჩემდა!
და გამომიყვანა მე ფართოსა ზედა
და მიხსნა მან,
მფარველმან ჩემმან!
მომიგო მე უფალმა სიმართლითა ჩემთა
და სიწმიდისაებრ ხელთა ჩემთა მომიგოს მე!
რამეთუ დავიცავ მე გზანი უფლისანი
და არა ეღმერთო ვიქმენ ღმერთისა ჩემისაგან!
რამეთუ ყოველნი სამართალნი მისნი
წინაშე ჩემსა არიან მარადის
და სიმართლენი მისნი არა განვიშორე ჩემგან!
და ვიყო მე წმიდაი წინაშე მისა
და ეეკრძალო მე უსჯულოებასა.
მომაგოს მე უფალმან სიმართლითა ჩემითა
და უბიწოებითა წინაშე თვალთა მისთა!
წმიდისა თანა წმიდა ხარ
და წრფელისა კაცისა თანა წრფელი ხარ,
რჩეულისა თანა რჩეულ,
ხოლო დრკესა მისგან განშორებულ!
ხალხი ჩაგრული შენ აცხოვნე,
ამპარტავანნი კი დაამდაბლე!
შენ, უფალო, სანთელი ხარ ჩემი:
და კვლავაც განმინათლო წყვდიადი ჩემი!
შენით ვამარცხებ ჯარსა მტრისასა,
შენ მიერ გარდაეხედ ზღუდეთა ზედა!
ღმერთი წმიდა არს
და უბიწო არს გზა მისი!
ბრძანება უფლისა მტკიცე არს
და გამობრძმედილ
და შესავედრებელ არს თვით მოშიშთა მისთა!
რამეთუ ვინ არს ღმერთი უფლისა გარეშე?
და ვინ არს მფარველი თვინიერ უფლისა ჩვენისა?
ღმერთმა შემკურა მე ძალითა
და აღივსნეს სიმართლითა გზანი ჩემნი!
განმიმტკიცა ფერხნი, ვითარცა ირემთანი
და მაღალთა ზედა დამადგინა მე!

შენ განასწავლე ბრძოლასა ხელნი
და ჰქმენ უღრეკელ,
ვითარცა შშვილდი რვალისა მკლავთაგან ჩემთა!
შენ შემკურე მე ფარითა ხსნისათა,
მარჯვენამან შენმან შემიწყნარა მე,
სწავლამან შენმან აღმმართა მე!
ფართო-ყენ შენ ნაბიჯნი ჩემნი
და არა შეირყნენ ფერხნი ჩემნი!
მე ვდევნი მტერთა ჩემთა
და მოვსრენ იგინი,
და არა მოვბრუნდე
ვიდრემდის არა დავთრგუნე იგინი!
დავგალნე იგინი
და არღარა აღემართნენ და დაეცნენ იგინი ქვეშე ფერხთა ჩემთა!
შენ აღმკურავ მე ძალითა ომისათვის
და დაამხობ მტერთა ჩემთა წინაშე ჩემთა!
მტერთა ჩემთა ზურგთა ვდევნიდი
და მოძულეთა ჩემთა განვაბნევდი! .
ღალად-ყვეს მტერთა,
გარნა უფალმან არა უსმინა.
და განვაბნიე მე იგინი,
ვითარცა მტვერი ქარისაგან,
და ვითარცა თიხა, დავზილე იგინი.
შენ დამიხსენ მე საკუთარი ხალხის ჯანყისგან,
უცხონი შენგან მემონენ მე.
სმენითა ყურისათა მემორჩილნეს მე,
უცხო თესლისანნი ფერმკრთალდებიან
და ცახცახებენ სიმაგრეთა თვისთა შინა.
ცხოველ არს უფალი
და კურთხეულ არს დამბადებელი ჩემი!
და ამაღლდინ ღმერთი ჩემი,
მცველი მაცხოვარებისა ჩემისა!
ძლიერ არს უფალი,
რომელმან ითია შური ჩემი
და დაამდაბლა ერნი ჩემ ქვეშე!
მიხსნა გულისწყრომისაგან მტერთასა
და მოჯანყეთა ზედა აღმამაღლა მე!
ამისთვის გადიდო შენ, უფალო, უცხოელთ შორის,
და ვუგალობ სახელსა შენსა!
რომელმან განადიდე ცხოვრება ჩემი
და ჰყავ წყალობაი დავითისა
და ნათესავისა მისისა თანა
უკუნითი უკუნისამდე!"

ასეთი იყო უკანასკნელი საგალობელი დავით მეფისა, წინასწარმეტყველისა, პიიტიკოსისა — „შუენიერ გალობაი ესე ისრაელისა".

ასე სთქვა და იგალობა, რამეთუ თვითონ სთქვა სულ ბოლოს:

„სული უფლისა იტყოდეს ჩემში და სიტყვანი მისნი ენასა ზედა ჩემსა-არს“.

უძღვნა ეს საგალობელი უფალს დავითმა, მაგრამ უფრო დიდ საუფლო ძღვენზე ოცნებობდა იგი მთელი თავისი ხანგრძლივი ხელმწიფობის მანძილზე, — დიდი საღვთო ტაძარი უნდა აეგო იერუსალემში, და ამით სამუდამოდ წაერთმია იმედი პალესტინაში პირველობისა დანარჩენი ქალაქებისათვ-ს — ხებრონის, სეხემის, გივას, და სხვათათვის.

დავითი ამის გამო ეთათბირა ნათან წინასწარმეტყველს. ეე მდიდრულ, კედრის ხით ნაგებ სასახლეში ვცხოვრობო, ეუბნებოდა ნათანს, აღთქმის კიდობანი კი კვლავაც კარავ-სკინიაში დგასო. ამიტომ მე ჩვენი საუფლო სიწმინდეების დასაბინავებლად დიდი, კედრის ხის ტაძარი უნდა ავაშენოო.

იმ დღეს კი მოიწონა ნათან წინასწარმეტყველმა მეფის განაზრახი, მაგრამ მეორე დღეს ხელახლა მოდგა სასახლის კარს და დავითს აუწყა სულ სხვა, „ზეცით ნაკარნახევი“ მონასაზრი: წუხელის სწორედ ღმერთმან ისრაელისამ მაცნობაო, რომ შენ არა ყოფილხარ მოწოდებული საღვთო ტაძრის აშენებისთვის, რადგან შენ ბევრი ადამიანის სისხლი დაგიქცევია და, ამიტომ, არა შენ, არამედ შენმა ძემ და მემკვიდრემ უნდა აღასრულოს ღვთის ტაძრის მშენებლობა იერუსალემშიო.

ეს უთხრა და მხოლოდ იმით ანუგეშა მეფე, რომ უფალმა შენს ტახტ-ს და მთელ შენს შთამომავლობას მარადიული არსებობა აღუთქვა, უკეთუ მომავალი თაობები უფლის ნებისგან არ გადაუხვევენო.

აიღო ხელი დავითმა სანიშანსვეტო ტაძრის აშენებაზე. ისღა იკმარა, საგანგებოდ ელოცა და ეგალობა აღთქმის კიდობნისა და უფლის საკურთხეველის წინაშე. ზოგი რამითაც წილი დაიდო სამომავლო სატაძრო მშენებლობაში. ნამარ-ნაალაფევიდან დიდი წილი სწორედ ტაძრის ბალავრის გასაჭრელად და გასასკვნელად გადასდო. რიტუალშიც სიახლენი დაამკვიდრა — ლევიტელთა ორი მგალობელი გუნდის დადგენა, სამუსიკო საკრავთა გამოყენება, თანაც, საკრავთაგან ზოგი თვითონ დავითის გამონაგონი და ნახელავი იყო.

სიკვდილი კი ახლოვდებოდა. დავითი ჯერ კიდევ სამოცდაათისა არ შესრულებულიყო, მაგრამ მძიმე ცხოვრებას მაინც დაეჯაბნა ერთ დროს მძლავრი მისი სხეული. უკვე ტანშიც გამოუყრელი სიცივე ჩასდგომოდა. სამხრეთულ სიცხეპაპანაქებაშიც კი ისე აძაგძაგებდა, სქელი და ხშირბეწვიანი სათბურებითაც ვეღარ ათბობდნენ.

ხოლო, რაკი სიკვდილი სიცივის გზით მოდის, ჭკვიან ხელმწიფე-ს, თუ უფრო ადრე არა, სიკვდილის პირზე მაინც უნდა ეფიქრა და ეზრუნა ტახტის მემკვიდრეობაზე. რა იქნება და ვინ იქნება ჩემ შემდეგ? აი, განუშორებელი კითხვა ყოველი მომაკვდავისა და, მით უფრო, ქვეყნის პატრონი ვვ-რგვინოსნისა.

უფროსი ტახტისმემკვიდრენი, ამნონი და აბესალომი, ცოხცალთა შორის აღარ იყვნენ. დავითის ოჯახი ძეობით მაინც მრავალნაყოფიერი იყო, მაგრამ

ამნონისა და აბესალომის შედეგ, დავითის მხოლოდ ორ ძეს, მაშასადამე ორ შოქიშპეს ასახელებდნენ სახელმწიფოში ტახტის მემკვიდრედ.

ერთს ა დ ო ნ ი ა ერქვა, მეორეს — ს ო ლ ო მ ო ნ.

ადონია მეოთხე ძე იყო დავითისი, მეოთხე ცოლის, აგგითასაგან, ქებრონში დაბადებული.

სოლომონი კი, ყველაზე უმცროსი, მეცამეტე შვილი იყო, და, როგორც ითქვა, ბერსაბესგან შეეძინა დავითს, ურია ქეტელის ნაცოლარისგან.

ადონია, გარეგნულად, აბესალომივით ახოვანი და მშვენიერი, ბუნებით ფიცხელი და დაუდეგარი — საჯაროდ აცხადებდა ტახტზე თავის კანონიერ უფლებას და არცა სტყუოდა, მით უფრო, სოლომონის მიმართ, იმ სოლომონისა, რომელიც უფრო ცოდვისა, უზნეობისა და არაკანონიერების გზით მოვლენოდა ქვეყანას. არა და, ადონიამ იცოდა, რომ მამამისს თავისი „უკანონო ცოლის", ბერსაბესთვის უკვე აღეთქვა მისი „უკანონო შვილის" ტახტისმემკვიდრედ გამოცხადება.

ამიტომ იბრძოდა ადონია, მომხრეებს იკრებდა და, ადვილადაც იბრძოდა, რამეთუ მამამისი, ყოველ ხიფათთა წინაშე გულუშიშარი და გაუტეხელი მეფე, შვილების მიმართ გასაოცრად სუსტი და დამთმობი იყო. და ადონიაც, თუმცა აბესალომივით აჯანყებას არ აპირებდა, მაგრამ გავლენიან პირთა შემოკრებით და მათი მხარდაჭერით, მაინც იმედოვნებდა მამის დაყოლიებას. ამ მხრივ მისი ბანაკი მართლაც ძლიერად გამოიყურებოდა: ადონიას მხარეზე იდგნენ იოაბ სარდალი, აბიათარ მღვდელმთავარი და ყველა ძმანი უფლისწულნი, თვინიერ სოლომონისა. ხალხშიც დიდი „გასავალი" ჰქონდა ადონიას, — აბესალომივით ეხერხებოდა ხალხთან ალერსიანი ფინდილი. ხალხიც ხომ ყოველთვის ხალხია და იმასაც მოსწონდა ახალი „სახალხო გმირი", ლამაზი და ლამაზად, სწორედ მეფურად მორთულმოკაზმული, ეტლით მოჯირითე, ორმოცდაათი მცველით გარშემორტყმული, ყოველ შემხვედრს რომ პირზე ღიმილგადაფენილი ეგებებოდა, ვის ხელით ეფერებოდა, ვის ფულს ჩაუჯიბავდა, ვის მფარველობას და მეგობრობას აღუთქვამდა, ხშირად ხალხისთვის სანადიმო სუფრებსაც რომ შლიდა.

ერთ დღეს, როგელის (ენ-როგელ) წყაროსთან, კლდის ძირას, იერუსალემის ახლოს, ადონიამ დიდი, საზეიმო მსხვერპლშეწირვა და ნადიმი გამართა. მოწვეულ იყვნენ და ესწრებოდნენ იოაბი, აბიათარი, უფლისწულები (რასაკვირველია, უსოლომონოდ) და მრავალი გავლენიანი იერუსალემელი, გამორჩევით იუდეველნი.

და ადონიამ თავი გამოაცხადა მეფედ.

და ყველა იქდამსწრემ ფიცით იცნო მისი მეფობა.

მაშინვე ელვის სისწრაფით გავრცელდა ეს ამბავი. მხოლოდ ერთ კაცს ვერ შეეტყო ეს ახალი, „ცხელი ამბავი". და ეს ერთადერთიც ისევ იყო დავითი. იგი, ლოგინად ჩავარდნილი, სათბურებში ჩაძირული და მაინც გაყინული, ჩაკეტილი იყო, მხოლოდ სიკვდილის მომლოდინე. თავზე უმშვენიერესი

ქალწული ადგა, ა ბ ი ს ა გ ა (აბიშაგ) სუნამიტელი (ქალაქ სუნამიდან), რომელიც დავითის გასათბობად და გამოსაბრუნებლად მოეყვანათ ერთგულ მსახურებს. ერთგულად, თავგამოდებით უვლიდა და „ათბობდა“ მეფეს ცეცხლოვანი გოგონა, მაგრამ ცეცხლი ცეცხლად რჩებოდა და ყინული ყინულად, ორივე თავთავისთვის, ერთმანეთისთვის შეუღწევლად.

ადონიას კი თავი მეფედ გამოეცხადებინა და უკვე ზეიმობდა კიდეც.

მაგრამ არც ისე ყოფილა საქმე, ადონია რომ ვარაუდობდა და თავსაც ირწმუნებდა. ძლიერი ყოფილა სოლომონის მომხრეთა ბანაკიც. აქ შეყრილიყვნენ: ნათან წინასწარმეტყველი, სადოკ მღვდელმთავარი, ბ ა ნ ა (ბენ-იაგო) ძე იოდაისი, სემეი (შიმი) ძე ელასი, ორივე სარდლები, და დავითის „გმირები“, ანუ მისი მცველთა „გვარდია“.

და, ნათან წინასწარმეტყველი, თვითონ გამზრდელი სოლომონისა, სასწრაფოდ მიიჭრა ბერსაბესთან და დამოძღერა, როგორ უნდა მოქცეულიყო. ბერსაბეც მაშინვე შეევარდა დავითთან და აუწყა ყოველივე. შენ მე ალმითქვი, რომ ჩვენი ძე სოლომონი შეიქნებოდა შენს შემდგომ მეფედ. ახლა კი მეფედ ადონიას გამოუცხადებია თავი. ახლა ჩვენ, ყველას სიკვდილი გველის ადონიასგანო. ნათანმაც ამ დროს, დათქმისამებრ, შემოაღო კარი და ყოველივე დაუდასტურა.

უცებ ამოქმედდა მოხუცი და ავადმყოფი მეფე. ნათანთან და ბერსაბესთან ერთად, მაშინვე შემოიყარა დანარჩენი მომხრენი სოლომონისა და ბრძანა, ახლავე სოლომონი ჩემს სახედარზე შესვით, გიჰონს წაიყვანეთ და მეფედ აკურთხეთო.

ასედაც აღესრულა. ნათანი და სადოკი პროცესიას გაუძღვნენ. მცველთა ჯარიც გაიყოლიეს. სოლომონი, იერუსალემის დასავლეთით, გ ი ჰ ო ნ ი ს მინდორზე გაიყვანეს, სკინიიდან გამოტანილი ზეთი სცხეს და, საყვირების გრიალით, მეფედ გამოაცხადეს.

„ცოცხლობდეს მეფე სოლომონ!“ — იბღავლა ხალხმა და ჯარმა.

და შემოვიდა სოლომონ სატახტოში, საყვირების ცემით, გალობით, როკვით, ყიჟინით.

და დაჯდა ტახტზე, დავითის ტახტზე.

და ამ დღიდან იწყებდა სოლომონ „ხანას სოლომონისას“.

პირველმა მიულოცა და დალოცა იგი მამამშობელმა, თვითონ დიდმა დავით წინასწარმეტყველმა.

ადონიას და მის ბანაკს სოლომონის ასეთი ერთბაშად გამეფების ამბავი იონათანმა შეატყობინა, აბიათარის ძემ. ყველას თავზარი დაეცა. წინააღმდეგობის გაწევაც არავის უცდია, ისე დაიფანტნენ. თვითონ ადონიაც არ ალმოჩნდა ბოლომდე აბესალომი. მან, სიკვდილის შიშით შეპყრობილმა, ისღა მოახერხა, სჯულის კიდობანს მიეარდნოდა და საკურთხეველისთვის ჩაევლო ხელნი. ეს იმას ნიშნავდა, რომ დამნაშავე იეჰოვას სთხოვდა სიკვდილისაგან დახსნას.

და მოახსენეს მეფე სოლომონს: შენს მონა ადონიას წმიდა საკურთხევლის რქები დაუჭერია და შეცოდებისთვის, შენგან ფიცით პატიებას და სიცოცხლის დანარჩუნებას ითხოვსო.

და სოლომონმაც ბრძანა: უკეთუ იგი პატიოსან კაცად დარჩება, თავიდან ერთი ღერი ბალანიც არ დაუვარდება, ხოლო უკეთუ ბოროტი რამ იზრახოს, სიკვდილს ვერ გადაურჩება.

მოვიდა ადონია, მუხლი მოიყარა ეგზომ საკვირველად აღზევებული „უცხო ძმის" წინაშე, მეფობა მიულოცა და ერთგულება შეფიცა...

იდგა 965 წელი.

წელი — სოლომონის გამეფებისა.

წელი — დავითის აღსრულებისა.

ეს მისი უკანასკნელი სიტყვები იყო, ძისა და მემკვიდრე მეფისადმი ანდერძად დანატოვარი:

„მე მივალ გზასა ყოველსა კაცთასა, ხოლო შენ განძლიერდი და იყავ მამაკაც ძლიერ, და დაიცავ გზანი უფლისა ღმრთისა ისრაელისანი, რათა ვიდოდე ყოველთა ბრძანებათა მისთა, რაიც დაწერილ არს სჯულსა მოსესა, რათა აგესრულებინოს ყოველი, რასაცა იქმოდე და რაც განიზრახო..."

და ისიც დაუტევა ანდერძად, ვინ უნდა დაესაჯა და ვინ გაეხარებინა, ვინ დაემდაბლებინა და ვინ აღემაღლებინა.

და აღესრულა დავითი.

აღესრულა ორმოცი წლისა და ექვსი თვის მეფობის თავზე.

დაკრძალეს იგი იქვე, „ქალაქსა დავითისასა", სიონის მთის სამხრეთ შვერილზე. ღრმა ქარანძავში, რომელიც შემდგომ იქცევა სხვა მომდევნო მეფეთა სამარხად...

ყოველი ადამიანის ღვაწლი მისი სიკვდილის შემდგომ გაცილებით სრულად გამოსჩანს. დავითიც მისი სიკვდილის შემდგომ იხილა და იწამა ხალხმა, ვითარცა უდიადესი ხელმწიფე და სჯულმდებელი, სრულიად ებრაელთა ერთიანი სახელმწიფოს შემქმნელი, ერთიანი ებრაული ეროვნული სულისა და თვითშეგნების მესაძირკვლე და აღმშენებელი.

8. სოლომონ

მაშ, იდგა 965 წელი და ტახტზე ასულიყო სოლომონ, ასაკით—20 წლისა.

მაგრამ ყრმა ხელმწიფე ყრმობითვე დაანახვებს ქვეყნიერებას, რომ დიდი დავითის ტახტზე მისი დიდი შვილი იჯდა — დიდი სოლომონ, ანუ, როგორც შემდგომ ისტორიაში დაივანებს მისი სახელი — სოლომონ ბრძენი.

და სიბრძნე მომავალში მართლაც ბრძენისა, ვითომც ჯერ კიდევ მისი ყრმობისას, სიზმარში თუ მოჩვენებაში გამოვლენილა — თვითონ უფალთან მის შეხვედრაში:

— ითხოვე თავისათვის შენისა, რაიც გსურდეს და მე შეგისრულებ, — უთხრა უფალმა.

— სიბრძნე მომეცი, სიბრძნე გულისა, — უყოყმანოდ უპასუხა სოლომონმა — რათა კეთილი და ბოროტი გავარჩიო და სიმართლით განვაგო შენგან არჩეული ხალხი ესე.

გაიხარა ღმერთმა და უთხრა უკვე მისგან „შეუვარებულ“ ყრმას: რაკი შენ სიბრძნე აირჩიე და არა ხანგრძლივი სიცოხლე, ან სიმდიდრე, ან მტრებზე შურისძიება არ დაიჩემე, აი, მე შენ გაძლევ ისეთ სიბრძნითა და გონიერებით სავსე გულს, რომლის მსგავსი კაცთა შორის არვის ჰქონია არც შენამდე და არც მომავალში ექნება ვისმეს, და მასთან, რაც შენ არ გითხოვნია, სიმდიდრესა და სახელდიდებასაც იმდენს მოგცემ, რამდენიც მეფეთაგან არვის მოელანდება შენს დროჟამს, ოღონდ, გახსოვდეს, მუდამ ჩემი მცნებების კვალზე იარე.

პირველი გამოცდაც სოლომონის სიბრძნისა მოხდა იმავ დღეს, როცა მეფემ, უფალთან სიზმარეული საუბრის შემდგომ, დიდი მსხვერპლშეწირვა და ნადიმი გადაიხადა.

ორი მეძავი დედაკაცი ეახლა მეფეს, საჩივრით. მოახსენებდა ერთი: მე და ეს დედაკაცი ერთ სახლში ვცხოვრობთო. მე ვშვი ძე ჩემი, ამან კიდევ მესამე დღეს შვა ძე თვისი. და გვყავდა ძენი ჩვენ-ჩვენი. მაგრამ შუაღამისას, მოკვდა ძე მისი, რამეთუ თვითონ დედა დაძინებული დასწოლოდა ზემოდან და დაეგუდა ჩვილი. მაშინ ამდგარა დედაკაცი ესე, აუყვანია თავისი მკვდარი შვილი, მოსულა ჩემთან, მძინართან, ჩემი ცოხცალი ძე მოუპარავს და, სანაცვლოდ, თავისი მკვდარი კი შემოუპარებია. განთიადისას რომ გამეღვიძა და ყრმას ძუძუ მივაწოდე, მაშინ მივხვდი, რაც მომხდარიყო, და ახლა მოვითხოვ, დამიბრუნოს ამ დედაკაცმა შვილი ჩემიო.

მაშინვე ჩაუვარდა პირში მეორე დედაკაცი პირველს: არა, ეს ყრმა, ცოცხალი, ჩემი შვილია, შენი შვილი კი მკვდარია, მკვდარი!

და ატეხეს ჩხუბი დედაკაცებმა: არა ჩემია ცოცხალი, და არა, შენია მკვდარიო...

მაშინ ბრძანა სოლომონმა, მახვილი მომართვითო. მოართვეს მახვილი.

ახლა ეგ ბავშვი ამ მახვილით შუაზე განკვეთეთ და ნახევარი ერთ ქალს მიეცით, ნახევარიც მეორესო, — გამოიტანა განაჩენი მეფემ.

არაო, — იკივლა პირველმა ქალმა — მიაკუთვნეთ მაგ დედაკაცს ბავშვი, ოღონდ კი ნუ მოკლავთ და ცოცხლად დარჩესო. მეორე დედაკაცი კი, იმავ დროულად, ამას გაიძახდა: ნურც მე და ნურც მაგას, განკვეთეთ შუაზეო.

მაშინ ბრძანა სოლომონმა: ეგ ყრმა იმ დედაკაცის ღვიძლი შვილია და

ეგრე ხელუხლებლად მასვე დაუბრუნდესო, — და ანიშნა პირველ ქალზე, რომელსაც შვილის მოსალოდნელი სიკვდილით „მუცელი ელმოდა“.

და მოედო ქვეყანას ეს ამბავი და „შეეშინა ერსა პირისაგან მეფისა, რამეთუ იხილეს, ვითარმედ სიბრძნე ღმრთისა მის თანა ყოფად სიმართლისა“.

ამიერიდან „უდგა გულში სიბრძნე“ სოლომონს, „სიბრძნე ფხიზლობდა დღენიადაგ მის კარის ზღურბლთან“.

და იდგა მისი სიბრძნის ზეობის წლები (965—928), „ოქროს ხანა“ ებრაელი ხალხის უხანგრძლივესი ისტორიისა.

მან მისცა ხალხს სრული მშვიდობა.

მან გააღვიძა და განამტკიცა ებრაელ ერში სული შემოქმედებითი შრომისა, ნივთიერი დოვლათის გამრავლებისა, ყოველი ებრაული ოჯახიდან სიღარიბის შიშის განდევნისა.

მან აღამაღლა კულტურა, სულიერიც და ნივთიერიც, სწავლა და პატივისცემა განათლებისა, სიბრძნისა.

მისი დიდი ღვაწლი და საქმენი, ვითარცა ბრძენი ხელმწიფისა, სჯულმდებლისა და კულტურტრეგერისა, სამომავლო ისტორიაში წაშლიან მის სისუსტეებს და ცდომილებებს, მაინც ვითარცა მიწიერი ადამიანისას.

მეფობის დასაწყისშივე დაიქცა სისხლი ტახტის ახლოს.

ადონიას სიცოცხლე აჩუქა, მაგრამ მისი ჯავრის მონელება მაინც არ შეეძლო სოლომონს, რაკიღა ხალხში მაინც რა მოშლიდა იმ მარტივ ანგარიშს, რომ ადონია მაინც უფროსი და უფრო კანონიერი მემკვიდრე იყო დავითის ტახტისა. ამიტომ საბაბი უნდოდა სოლომონს და საბაბიც თვითონ ადონიამ მისცა, თავისი სიბრიყვით: დედამისი ბერსაბე მიუგზავნა სოლომონს, თხოვნით — აბისაგა სუნამიტელი მომცეს ცოლადო.

დედა ძალიან უყვარდა სოლომონს, ძალიან დიდ, გამორჩეულ პატივსაც მიაგებდა. ახლაც რომ შევიდა, ცალკე ტახტი დაუდგა, ხელმარჯვნივ, და დაისვა გვერდით. მაგრამ ეს რომ მოისმინა, ადონია აბისაგას ცოლად მთხოვსო?! აბისაგა ხომ მამაჩემის მომვლელი იყო, ეგ როგორ გამიბედაო, ბარემ მეფობაც მოეთხოვაო, როგორც ასაკით ჩემზე უფროსსო!

და მაშინვე ბანეა იოდაის ძე გაგზავნა ადონიას მოსაკლავად. ისიც წავიდა, ატაკა მახვილი და მოკლა.

მერე აბიათარი გამოიძახა სოლომონმა, მღვდელმთავარი, ადონიას რომ ემხრობოდა, — გამოიძახა და უთხრა: შენ ჩემის ხელით ხომ მოსაკლავი ხარ, მაგრამ მოკვლით არ მოგკლავ, რაკიღა მამაჩემთან ერთად კიდობანი უფლისაი მხრებით გაქვს ნატარებიო. მაგრამ მღვდელმთავრობაზეც ხელი უნდა აიღო და იერუსალემიდან სამუდამოდ ანათოთში (იერუსალემიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ორი საათის სავალზე) უნდა წახვიდეო. და წავიდა აბიათარი ანათოთს, სიკვდილამდე იქ დასარჩენად.

ახლა იოაბის ჯერიც დადგა. დაასწრო იოაბმა, სკინიაში მივარდნა და საკურთხეველის რქებში ხელების ჩავლებაც მოასწრო, — საკურთხეველთან ხომ

ვერ მომკლავენო. მაგრამ იქაც გაგზავნა ბანეა სოლომონმა, სკინიაში, იოაბის მოსაკლავად. მივარდა ბანეა, მაგრამ ვერ მოაგლიჯა საკურთხეველს და ვერ გამოათრია მოხუცი სარდალი, გარეთ რომ დაეკლა. მე აქ მინდა მოვკვდეო, ბღაოდა იგი. როგორ მოვიქცეო, ჰკითხა მეფეს ბანეამ. რაკი თვითონ აგრე უნდა, შენც შედი და იქვე მოჰკალიო, მშვიდად და გულგრილად უპასუხა მეფემ.

და, ასე — ეგზომ ღვაწლმოსილი და სახელმოხვეჭილი სარდლის სისხლი უფლის საკურთხეველს გადაესხა...

დაცლილი თანამდებობებიც შესაბამისად დაანაწილა სოლომონმა: მთავარსარდლად — ბანეა, მღვდელმთავრად — სადოკ. და ამის შემდგომ, სადოკის შთამომავლობა მთელი ათასი წელიწადი დაინარჩუნებს ისრაელის მღვდელმთავრობას.

სოლომონმა ტახტზე ასვლისთანავე მტკიცედ მიიჩნია, რომ მისი ხელმწიფობის სრულქმნილი უზენაესობა და სწორუპოვრობა მაინცდამაინც გარეგნულ ბრწყინვალეებაში უნდა წარმოჩენილიყო. საამისო მაგალითებს უხვად იძლეოდნენ ისრაელის მეზობლები, ადრინდელი თუ იმჟამინდელი დესპოტური სახელმწიფონი — ეგვიპტე, ბაბილონია, ასურეთი, ფინიკია — ქვეყნები, სადაც მონარქ-დესპოტნი, ტახტზე ასვლის დღიდან სიკვდილამდე, წინარე გვირგვინოსნებს თავგამოდებით ეჯიბრებოდნენ ახალ-ახალი სასახლეების, ტაძრების, ზიკურატების, პირამიდების და ჰარამხანების აღმშენებლობასა, გამდიდრებასა და გაბრწყინებაში.

ისრაელი კი აქომამდე არ მიელტვოდა ასეთ ფუფუნებას. მეფე საული უბრალო მწყემსად და გუთნისდედად დარჩა აღსასრულამდე. არც დავითის საცხოვრებელი გარემო ბრწყინავდა ყბადაღებული აღმოსავლური ბრწყინვალებით.

და, პირველი ებრაელი ერის მესაჭეთაგან, ვინც შეეჯიბრა და შეეტოქა აღმოსავლეთის მბრძანებელთა მანამდელ გრანდიოზულ-აღმშენებლურ მემკვიდრეობას, იყო მეფე სოლომონ.

რასაკვირველია, ეს არ იყო მხოლოდ შეჯიბრი ამბიციური, პატივმოყვარული. უწინარეს ყოვლისა, ეს იყო დიდი ეროვნული აქტი, სწორედ ეროვნული კონსოლიდაციის, ებრაელი ერის, მისი თორმეტივე მუხლის ერთხელ და სამუდამოდ ერთ სულიერ ფოკუსში მოქცევისა. ასეთი, ერის სულიერად გამაერთიანებელი კი, უნდა ყოფილიყო ერთი უმთავრესი საუფლო ტაძარი, ერთიან სატახტოში, იერუსალემში. ამ ტაძარსა და ამ სატახტოში, ერთხელ და სამუდამოდ, უნდა დაბინავებულიყო და დამკვიდრებულიყო აქამდე, უდაბნოდან უდაბნოში, ქალაქიდან ქალაქში მოხეტიალე უწმიდესი სიმბოლონი ებრაული ტომებისა — კიდობანი სჯულისაი და საკურთხეველი უფლისაი. ერთ, მარადიულ წმიდათა წმიდაში უნდა დაედო სწორედ მარადიული ბინა ისრაელიანთა საღვთო სიწმიდეებს. აქ უნდა თქმულიყო ერთიანი

ებრაული ლოცვა, ერთიანი ებრაული სიტყვა — საგალობელიც, საზორველიც, საზეიმოც, საგლოველიც და საგოდებელიც.

და შეუდგა სოლომონ ბრძენი ასეთი „გამაერთიანებელი“ ტაძრის მშენებლობას იერუსალემში, მ ო რ ი ა ს მ თ ა ზ ე, ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, იქ, სადაც, თქმულებით, აბრაამმა თავისი ძე ისააკი აიყვანა მსხვერპლად შესაწირად და ამით კაცობრიობას დაანახა მანამდე და მას შემდგომ გაუგონარი ერთგულება უფლის ნებისადმი.

საშენ მასალად ქვა უხვად მოიპოვებოდა თვით იერუსალემის გარშემო შემართულ კლდეთა შორის. ხოლო, ხე-ტყე მისმა მოკავშირემ და მოყვარემ (სიმამრმა), ფინიკიის მეფე ხ ი რ ა მ მ ა აღუთქვა, სრული სიჭარბით. სამაგიეროდ სოლომონს ტვიროსში, ხირამის სატახტო ქალაქში, ყოველწლიურად უნდა ეგზავნა ხორბალი და ზეთი ზეითუნისა.

ახლა, საქმე იმ ქვისა და ხე-ტყის მოჭრა, ამოკაფვა, მოტანა, გათლა და გასალაშინება იყო. ამას დიდძალი მუშახელი სჭირდებოდა. სოლომონმა ადგილობრივი, ძველი ქანაანური მოდგმის ტომები გამოიყენა ასეთ სამუშაო ძალად. თქვენ იმ ქამის მოდგმა ხართ, მამას, ნოეს, უპატივცემულოდ რომ მოეპყრა და მთელი მისი მომდევნო შთამომავლობით მამის წყევლა დაიმსახურაო. ასე ამართლებდა სოლომონი ეგზომ მძიმე, მონურ სამუშაოში „ქამიტების“ ჩაყრას. ასე, 150.000 ქანაანელი, 3.000 უსასტიკესი ზედამხედველის მათრახთა ქვეშ, დღეღამეს ასწორებდა სოლომონის ტაძრის მშენებლობაზე.

საერთო, ერთპიროვნული ზედამხედველი და სამუშაოთა წარმმართველი იყო ა დ ო ნ ი რ ა მ, რომელსაც 80.000 მუშა მარტო ქვის სამუშაოებზე დაებანდებინა. ქვას ტეხდნენ, კაფავდნენ, რანდავდნენ, აკუთხედებდნენ და ასალაშინებდნენ ფინიკიის ბიბლოსიდან საგანგებოდ ჩამოყვანილი დახელოვნებული ოსტატების ხელმძღვანელობით. დანარჩენი ათასეულებით ადონირამს იმ ქვის კატაკომბებიდან, მორიას მთაზე, მშენებლობის ადგილზე, მიჰქონდა მზა მასალა. ცალკე, 30,000, ხის მუშად ჰყავდა მიჩენილი, დღეღამსწორებით, სამჯერადი მონაცვლეობით. ჭრიდნენ ლიბანის მთებში, კედრისა და კვიპაროსის ხეებს, თავს უყრიდნენ ტვიროსში, იქ ტივებად კრავდნენ და მიაცურებდნენ იაფას, ხოლო იქიდან გადაჰქონდათ იერუსალემისკენ მიმავალ გზაზე.

უმძიმეს ტვირთად დააწვა ქვეყანას ეს სამუშაო. პალესტინა დაემსგავსა ორი ათასი წლის წინანდელ ეგვიპტეს, სადაც მაშინ პირამიდების მშენებლობამ წელში გაწყვიტა მთელი ქვეყანა. მძიმე იყო გადასახადნი, სოლომონს რომ გაეწერა თვითონ ებრაელ ხალხზეც. საკმარისი არც ეს აღმოჩნდა და სოლომონმა ტაძრის მდიდრულად გაბრწყინებისთვის, ხირამისაგან დიდძალი ოქროც აიღო, რის საფასურად ფინკიელ მეფეს ორი ებრაული ქალაქი მისცა, ფინიკიის მოსაზღვრე აშერის ტომისაგან.

თვითონ ხირამი ამ მცირე ქალაქებით მაინცდამაინც კმაყოფილი არ დარჩენილა და აქ დაუსახლებია სხვა და სხვა, მისგან ნაკლებ პატივცემული, ადგილობრივი ტომისანი, სახელიც ამ კუთხეს ასეთი დარქმევია — გალილ-და-

გოიმ“ („ოლქები ბრბოთა“), საიდანაც წარმოსდგა შემდგომი „გალილეა“.

ადგილზე მასალის მიტანას დასჭირდა სამი წელიწადი.

მშენებლობაც დაიწყო.

და დაიწყო იგი სოლომონის აღსაყდრებიდან მე-11 წელს.

ანუ ეგვიპტური ტყვეობიდან ებრაელთა გამოსვლის 480-ე წელს *.

მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ ხირამ მეფისგან გამოგზავნილი ფინიკიელი ხუროთმოძღვარნი.

თვითონ მშენებლობა გაგრძელდა შვიდი წელიწადი.

ტაძარი აშენდა ქვის თლილი ფილებით, შიგნით კედლები — მთლიანად მოგებული კედრის ხის დაფებით, რომლებზეც, მაღალი ოსტატობით, ამოკვეთილი იყო მრავალსახოვანი ფიგურები, სხვადასხვა ფერის მცენარენი, უმეტეს პალმები, გრიფონები, ფრთოსანი ქერუბიმები, მთლიანად ჩუქურთმები, ოქროთი მოვარაყებულნი. ტაძრის სიგრძე — 60 წყრთა, სიგანე — 20 წყრთა, სიმაღლე — 30 წყრთა. შენობა იყოფოდა ორ ნაწილად, შიდა და გარე ნაწილებად. შიდა ნაწილი, უკანა, ამაღლებულ უბანზე, წარმოადგენდა ოთხკუთხა, 20 კვადრატული წყრთის მოცულობის ნაგებობას და ერქვა მას „წმიდათა წმიდა“ (ებრ. „დებირ“). გარეთა ნაწილი კი, იყო სალოცავი, სიგრძით — 40 წყრთა, სიგანით — 20 წყრთა. საერთოდ, ტაძარში შესავალი იყო ღია პორტიკი („ულამ“), სიგრძით 10 წყრთა, სიგანით 20 წყრთა. პორტიკი ეყრდნობოდა ორ სვეტს, მოჩუქურთმებული კაპიტელებით. ამ სვეტების ოსტატსაც ერქვა ხ ი რ ა მ ი, მამით ფინიკიელი, დედით ებრაელი, ნაფთალის მუხლისაგან. სამი მხრიდან ტაძარს ეკვროდა ფლიგელნი, საცხოვრებელნი სამღვდელოთა, ლევიტელთა. ბოლო, დასავლეთის კედელი, იყო ყრუ, მთლიანი. ტაძრის იატაკი იყო მთლიანად კვიპაროსის ხისგან ნაგები და ოქროს ინკრუსტაციებით მოკაზმული. წმიდათა წმიდაში შესასვლელი კარი იყო დიდი, მძიმე, ზეთისხილის ხისა და ოქროს ფიგურებით მორთული. შიგნით, წმიდათა წმიდაში, იდგა კიდობანი სჯულისაი, ზედ ფრთოსანი ქერუბიმებით. გარეთ კი (წმიდათა წმიდას გარეთ), სალოცავში, იდგა საკურთხეველი, კედრის ხისა, ირგვლივ მთლიანად მოოქროვილი; აქვე — ათი სასანთლე, თვითოეული შვიდსანთლოვანი, და ტრაპეზი, ზედ თორმეტი წმიდა პურით.

ტაძრის შუაგულში ორი ქერუბიმი იდგა, ზეთისხილის ხისგან ნაკვეთი,

---

* ანგარიშება ასე:

ხეტიალი უდაბნოში	—	40 წელიწადი
იესო ნავინი	—	17 „
მსაჯულთა ხანა	—	340 „
საულის მეფობა	—	40 „
დავითის მეფობა	—	40 „
სოლომონის დასაწყისი	—	3 „
		სულ — 480 წელიწადი

მთლიანად ოქროთი მოჭედილი; თითო ფრთა ქერუბიმთა — ხუთი წყრთა სიგრძით.

ტაძრის ქვემო ტერასაზე იშლებოდა ეზო, სადაც იდგა დიდი, ბრინჯაოს საკურთხეველი და ფართო სპილენძის აუზი, მღვდელმთავართათვის წინასწარ, ტაძარში შესვლამდე ხელების ამოსავლებად. ამ აუზს საყრდენებად ედგა თორმეტი ბრინჯაოს ხარი, სამ-სამად რომ იდგნენ ოთხივე მხარეს. ეს „სპილენძის აუზიც" და სხვა რამ ლითონის ნახელავნი, ყოველივე ეკუთვნოდა ისევ იმ ხირამს, სახვით ხელოვანს, დედით ებრაელს და მამით ფინიკიელს.

ტაძარში, ყოველ კუთხეში და კედელთა ჩასწვრივ, ელაგა მრავალი, ოქროსა და ბრინჯაოს საკულტო ნივთი — სასანთლენი, სასაკმეველნი, კრატერნი, ბარძიმ-ფეშხუმნი, საცეცხლურნი, სამუსიკო საკრავიერნი.

უფლის ტაძარი მზად იყო.

სოლომონმა მისი გახსნა და კურთხევა დანიშნა შემოდგომის პირველ თვეში, როცა ხალხს უკვე მოეთავებინა მოსავლის აღება და მილაგება. დღე დანიშნა და მოიწვია წარჩინებულნი თორმეტივე ტომისაგან. აუარებელი ხალხი მიაწყდა იერუსალემს.

გამოასვენეს კიდობანი სჯულისაი სიონის მთიდან და წამოასვენეს მორიას მთისკენ. მოასვენებდნენ ლევიტელნი, იმავე ხელნებით, 480 წლის წინ რომ მოასვენებდნენ მათი წინაპარნი, სინას მთიდან ქანაანისკენ. აარონის შთამომავლებმა შეასვენეს და დაასვენეს კიდობანი ტაძრის წმიდათა წმიდაში.

იდგა ლოცვა, კურთხევა, გალობა, მსხვერპლის წირვა.

სიტყვას ამბობდა სოლომონ მეფე, მუხლმოყრილი და ხელაპყრობილი:

„კურთხეულ არს უფალი, ღმერთი ისრაელისა, რომელმაც თავისის პირით აღუთქვა დავითს, მამასა ჩემსა, და აღასრულა ყოველივე ხელითა მისითა... უფალო, ღმერთო ისრაელისაო, არავინ არს შენებრ ღმერთი ცათა შინა და არცა ქვეყანათა ზედა, რომელმან დაუმარხე აღთქმა და წყალობაი მონასა შენსა, რომელიც ვიდოდა წინაშე შენსა ყოვლითა გულითა თვისითა.. და, აჰა, იგი, სახლი ღმრთისაი, გარნა, ნუთუ ჭეშმარიტად დაიმკვიდროს ღმერთმან მიწაზე, როცა ცანი ცათანი ვერ იტევენ მას, მით უფრო, როგორ მოითავსებს ღმერთს ეს ტაძარი?! გარნა, უფალო, ღმერთო ისრაელისაო, მოხედე ლოცვასა მონისა შენისასა, ვედრებასა ჩემსა, ისმინე მონისა, რომელიც დგეს წინაშე შენსა. დაე, იყოს მოპყრობილ თვალნი შენნი, დღე და ღამ, ამა ტაძარსა ზედა. ისმინე ვედრება ჩემი, მონისა, შენისა, და ხალხისა შენისა ისრაელისათა, როცა ევნა ესე ლოცვებს ადგილსა ამასა. ისმინე სამკვიდრებელსა შენისასა ცათა შინა და მიუტევე. ისმინე ზეცით და ჰყავ სამართალი მონათა შენთა ზედა, და მიუგე სასჯელი ბოროტებისათვის და ხიკეთე სიკეთისათვის. უკეთუ მოუძლურდეს და სძლიოს მტერმან ერსა შენსა, შენს წინაშე შეცოდებისთვის, და შემდგომად მოიქცეს ამ ტაძარსა შინა მონანიებად და ვედრებად, შეისმინე და შეუნდე ერსა შენსა შეცოდებანი მისნი... რამეთუ იგი არს ერი შენი, შენგანვე გამოყვანილი რკინის გამადნობელი ეგვიპტური ტყვეობისაგან".

წამოდგა და ისევ განაგრძო, ხელაპყრობილმა:

„კურთხეულ არს უფალი ღმერთი დღეს, რომელმაც მოსცა განსვენება ერსა თვისსა ისრაელისასა, რაიც აღუთქვა, არც ერთი სიტყვაც რომ აღუსრულებელი არ დაუტოვებია, იმ სასიკეთო სიტყვათაგან, თავისი მონის, მოსეს პირით რომ ბრძანა. დაე იყოს ჩვენთან უფალი ღმერთი ჩვენი, ვითარცა იგი იყო ჩვენს მამაპაპასთან, არც ჩვენ დაგვტოვოს, არც ჩვენ გაგვწიროს. მიიზიდოს გულები ჩვენი, რათა ვიაროთ მისი გზებით, დავიცვათ მისი მცნებები, შეგონებანი და წესები, რომლებიც მან უანდერძა ჩვენს მამაპაპებს. დაე ეს ჩემი სიტყვები, რომლებითაც მე ღმერთს ვევედრები, იყოს ახლოს უფალთან, ჩვენს ღმერთან, დღითა და ღამით, რათა მუდამდღე განაჩენდეს სამართალს თავისი მსახურისთვის და მისი ერისთვის, მისი ისრაელისთვის, რათა ქვეყნიერების ყოველმა ხალხმა გაიგოს, რომ უფალი არის ღმერთი და არავინ თვინიერ მისსა. და იყოს გული თქვენი ერთგული უფლისადმი, ჩვენი ღმერთისადმი, და ვითარცა დღეს, იარეთ მარად მის მცნებებზე და დაიცავით შეგონებანი მისნი“.

დაასრულა სიტყვა მეფემ და პირველმა შესწირა მსხვერპლი უფალს. ამას მოჰყვა მსხვერპლშეწირვა საყოველთაო. და იმ დღეს სამსხვერპლოდ დაიკლა ათასობით მსხვილფეხა და წვრილფეხა ხვასტაგი. ზეიმი გაგრძელდა ორი კვირა.

ტაძრის გარდა, ცამეტი წელიწადი სოლომონმა მოანდომა თავისი სამეფო სასახლის შენებას. ესეც აშენდა ლიბანური ხის მასალისგან, ბრწყინვალე ჩუქურთმებით მოკაზმული და ოქრო-ვერცხლით მოსევადებული. სიგრძით — 100 წყრთა, სიგანით — 50 წყრთა, სიმაღლით — 30 წყრთა. ოთხრიგად კედრის სვეტები, მდიდრულად ნაჩუქურთმევი კაპიტელებით და კარნიზებით. აქაც მრავალი ნივთი და სამკაული მელითონე დიდოსტატის, ფინიკიელ-ისრაელ ხირამის ვირტუოზული ნახელავნი.

ამასთან, სოლომონმა იერუსალემის გარშემო ააგო გალავანნი და კედელ-ზღუდენი, კოშკებით, გოდოლებით.

სატახტოს გარდა, აშენებდა და ამაგრებდა ისრაელ-იუდას სხვა ქალაქებსაც (მილო, გაცორ, მეგიდო, გაზერ, ბეთორონ, ბაალათ, თადმორ).

სატაძრო, სატახტო და საფორტიფიკაციო აღმშენებლობასთან ერთად, აღმოსავლეთში დიდი, „მსოფლიო“ მნიშვნელობა ენიჭებოდა ჰარამხანების სიდიდეს, სიმდიდრეს, ქალთა სიმრავლეს, სიმშვენიერეს და ჰოკაზმულობას. სოლომონამდე, ამ მხრივ, ისრაელთ შორის დასაკვეხნი არავის ჰქონდა. თვითონ დავითს მხოლოდ (!) თექვსმეტი ცოლი ჰყავდა; ეს მაშინ, როცა ყოველი ბეხობელი მონარქის კარზე ჰარამხანები ასეულობით ცოლებსა თუ ძხეველებს ითვლიდნენ.

სოლომონი კი, თურმე არ აპირებდა თავისი ჰამის ასეთი „სიღარიბის“ გზას გაჰყოლოდა. ო

ლე დროში, მან თავის სასახლეში თავი მოუყარა ათას ქალს! აქედან, შვიდასი ცოლი და სამასი მხევალი. პირველი მისი ცოლი იყო ნ ა ყ ა მ ა, ასული ყამონელთა ჰეფისა. იგი დავითის სიცოცხლეშივე, მისი

რჩევითვე შეირთო ჭაბუკმა სოლომონმა. გამეფების შემდგომ კი, კვლავ ცოლებად დაისვა მოაბელი, არამეველი და ქანაანელი ქალები.

გამორჩეული, უკვე პოლიტიკური(ც) მნიშვნელობა ჰქონდა ისრაელი მეფის დამოყვრებას ეგვიპტის ფარაონთა სასახლესთან. სოლომონმა ცოლად შეირთო მაშინდელი ფარაონის ასული. ისრაელის მეფესთან დამოყვრებით და შეკავშირებით, ეგვიპტის ხელმწიფე აპირებდა ფილისტიმელთა და ფინიკიელთა წინსვლის აღკვეთას ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ განაკიდურზე.

სოლომონსაც დიდ მონაპოვრად მიაჩნდა „დიად ეგვიპტესთან" დამოყვრება და შეკავშირება. ამიტომ ფარაონის ასული „მთავარ დედოფლად" იგულისხმებოდა, დედოფლებით „ყელამდე ავსებულ" სოლომონის სასახლეში.

სოლომონისთვის ამ მოყვრობას მით უფრო დიდი ფასი უნდა ჰქონოდა, რომ ფარაონმა ფილისტიმელებს დიდი ციხექალაქი, გაზერი წაართვა და თავის ასულს მზითვად მოართვა. სოლომონმა ეს ცოლის მზითევი, მისი სიმამრისგან დამწვარ-დანგრეული, ხელახლა ააშენა და, იერუსალემიდან ხმელთაშუა ზღვისკენ მიმავალ გზაზე, დიდ საქარავნო-სავაჭრო და სამხედრო-სტრატეგიულ ცენტრად აქცია.

სოლომონის ცოლთაგან ერთერთი ხირამ ფინიკიელის ასულიც იყო. უკვე ითქვა, რა როლიც შეასრულა ხირამმა ებრაელი სიძის გრანდიოზულ მშენებლობაში.

აქვე შეიძლება ადგილი მივუჩინოთ გასაოცარ, დღემდე სრულქმნილად შეუფასებელ ლექსსა და სიმღერას, რომელიც მიეწერება სწორედ სოლომონის გენიალურ ნიჭს. ესაა სახელგანთქმული „ქ ე ბ ა ქ ე ბ ა თ ა", ანუ „სიმღერა სიმღერათა" (ებრ. „შირ-აშირიმ", ბერძნ. „ასმა ასმატონ", ლათ. „კანტიკუმ კანტიკორუმ"), ანუ, კიდეე (ქართველთათვის) — „კურთხევა კურთხევათა".

იგი ეძღვნება სიყვარულს, თანაც — სიყვარულს მრავალნაგულისხმევს. აქ ქალისადმი უწმიდესი სიყვარულიც უნდა გაიაზროს ადამიანმა, ღვთიური სულის სიყვარულიც. აქ ქალ-ვაჟის სიყვარულიც კრთის, და-ძმისაც, ცოლ-ქმრისაც, ადამიან-ღმერთისაც (!).

ზოგი კომენტატორისთვის ქალი, სახელად ს უ ლ ა მ ი თ (შულამით), ვისაც ეძღვნება „ქება ქებათა", პირდაპირ სატრფიალო ქალია, ზოგისთვის დედა, ღვთისმშობელი მარიამიც (ქრისტიანთათვის), კაცობრიობის მომავალი მხსნელი-მესიაც, — ყოველივე, რაღა თქმა უნდა, ღვთაებრივი იდუმალებით მოცული ალეგორია, გარეგნულად რომ მხოლოდ ქალი ჩანს, საპატარძლო, ხან მწყემსი გოგო, ხან ვენახის მცველი, ხან მეფის ასული, ხან დედოფალი.

„მაკოცე მე, მაკოცე ბაგითა შენისათა,
რამეთუ ძუძუნი შენნი უტკბეს არიან ღვინისა,
და სურნელი შენი უფროის ყოველ სურნელებათა,
რაისთვისცა ქალწულთა შეგიყვარეს შენ.
მიმიზიდე შენ და ვრბიოდეთ ერთად, —

შემიყვანა მე მეუფემან საუნჯეთა თვისსა, —
ვიხარებდე და ვიშვებდე შენით.
შეეყვარე უფროის ღვინის ძეძუნი შენნი.
ასულნო იერუსალემისა,
შავი ვარ მე და შვენიერი,
ვითარცა კარავნი კედარისანი,
ვითარცა კარავი სოლომონისი.
ნუ მიცქერით, ვითარცა შავსა,
რამეთუ მზემან დამწვა მე.
ძენი ჩემი დედისანი გამიჯავრდნენ
და დამადგინეს მცველად ვენახისა,
ხოლო ჩემი საკენახე ვერ დავიცავ მე.
მითხარი, სატრფოვ ჩემი სულისა,
სადა მწყემსავ?
შუადღისას სად განისვენებ?

რა ლამაზი ხარ, სურვილო ჩემო, რა შვენიერი!
თვალები შენი ტრედისფერნი!
საწოლი ჩვენი — ზურმუხტისფერი...
მე ყვავილი ვარ ველისა და შროშანი ღელეთაჲ.

შემიყვანეთ მე სახლსა ღვინისასა.
განაწესეთ ჩემ ზედა სიყვარული;
გაშალეთ დროშა სიყვარულისა!
განმამტკიცეთ მე ღვინითა,
განმაცხოველეთ ვაშლითა,
რამეთუ დაკოდილ ვარ სიყვარულითა.
მარცხენა ხელი დამადო თავსა,
მარჯვენათი ჩამიკრა გულში.
გაფიცებთ თქვენ, ასულნო ერუსალემისა!..
ხელს ნუ შეუშლით შეყვარებულსა,
ისურვილონ, ვიდრემდე სურდეთ.
ხმა მესმის ჩემი საყვარელისა,
აჰა, ესერა,
ხტომით მოილტვის,
მთიდან მთაზე,
ბორცვიდან ბორცვზე.
იგი ჰგავს ქურციკს,
გინა ირემს...
აჰა, მოვიდა...
და მეტყვის იგი:
აღდეგ, მე მოველ, საყვარელო,
შუენიერო ჩემო, ტრედო ჩემო...
რამეთუ აჰა, ზამთარი წარხდა
და წვიმა დასცხრა და წარვიდა გზასა თვისსა.
და ყვავილი გამოჩნდა ქვეყანასა ჩვენსა.

ჟამი სხლვისა მოიწია,
ხმაი გვრიტისა ისმა ქვეყანასა ჩვენსა.
ლეღვმან გამოუტეეა გაგაი თვისი;
ვენახნი ყვავიან, მოსცეს სულნელებაი თვისი.
აღდეგ, მახლობელო, ჩემო, შვენიერო ჩემო,
ტრედო ჩემო, მოვედ, თავით შენით,
ტრედო ჩემო, საგრილსა ქვეშე კლდისასა,
მახლობლად ზღუდისა,
მაჩვენე მე პირი შენი, მასმინე მე ხმაი შენი,
რამეთუ ტკბილ არს ხმაი შენი და პირი შენი შვენიერ.

აჰა, ესერა, სარეცელი სოლომონისა,
მის გარშემო სამოცი მძლავრი, ისრაელთანი,
ყველა მათგანი ნაწრთობ მახვილით აღჭურვილნი,
ღამეული შიშის მკეთელნი.
ტახტრევანი ლიბანის ხისგან,
სვეტნი ვერცხლისა,
კმარა მისი დრეკილი ოქროისა.
აღსავალი მისი პორფირი,
იატაკი მისი ქვაფენილ,
სიყვარული ასულთაგან იერუსალემისა.
განვედით და იხილეთ, ასულნო სიონისანო,
მეფე სოლომონ იმ გვირგვინით,
დედამან მისმან რომ შეამკო
სიძობისა და სიხარულის ჟამს.

შვენიერ ხარ შენ, მახლობელო,
თვალნი შენნი ტრედ...
თმა შენი, ვითარცა არვე თხათაი...
კბილნი შენნი, ვითარცა ფარა მორისულ ცხვართა...
ბაგენი შენნი, ვითარცა საბელი ძოწეული,
და ვითარცა ნაჭურცნეი ბროწეულისა...
კისერი შენი, ვითარცა სვეტი დავითისა...
ორი ძუძუ შენი,
ვითარცა ორნი თიკანნი მარჩბივნი ქურციკისანი,
მაძოვარნი შროშანთა შორის.

ყოვლად შვენიერ ხარ, საყვარელო ჩემო,
და ბიწი არა არს შენ თანა.

თაფლი მოწვეთავს შენთა ბაგეთა, საყვარელო,
თაფლი და რძე — შენი ენის ქვეშ...
მტილი ხარ დახშული და წყაროი დაბეჭდული.

მე ვარ ზღუდე და ძუძუნი ჩემნი — გოდოლნი.

„ქება ქებათას“ გარდა, სოლომონს მიეწერება კიდევ ხუთი ათასი „ქება“, ანუ „სიმღერა“, ანუ შეგონებანი.

და, კიდევ, სოლომონი ითვლება იგავის (არაკის) ჟანრის კლასიკოსად მსოფლიო ლიტერატურაში. მისი „იგავნი“ (ებრ. „მიშლე“, ბერძ. „პაროიმია“, ლათ. „პარაბოლე“), რიცხვით სამი ათასი, წარმოადგენენ ალეგორიებს, აფორისტული და შეგონებითი ხასიათის მოკლე სხარტულებს, შესაბამისი „მორალური დასკვნებით“. აქ, ხშირად, ადამიანური ზნეობანი, ქცევანი და ურთიერთობანი განსახებულია ცხოველთა ან მცენარეთა გასულიერებული, „გაადამიანებული“ სახეებით. ან მოცემულია პირდაპირ შეგონებანი, ან გამოცანები.

სოლომონის თხზულებად ითვლება, აგრეთვე, „წიგნი ეკლესიასტე“ (ებრ. „კოჰელეთე“, ბერძ. „ეკლესიასტეს“ — „კრების შემყრელი“). იგი ეძღვნება ცხოვრების აზრის რკვევას, სრული ბედნიერების, „ითრონის“ ძიებას, და თავიდან ბოლომდე ადამიანის ცხოვრება გააზრებულია, როგორც — „ამაოება ამაოებათა (ჰაბელ ჰაბალიმ), ყოველიეე ამაო“.

„რას იხვეჭს კაცი ყოველივე იმ შრომათაგან,
რაითაც შრომობს იგი მზის ქვეშე?
ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს,
დედამიწა კი კვლავ ისე ჰგიეს უკუნისამდე.
და აღმოვალს მზე
და დავალს მზე
და ადგილსა თვისსა მოვა იგი.
ქარიცა ჰქროლავს —
სამხრეთისკენ, გადადის ჩრდილოს,
კვლავ მოიქცევა,
და ბრუნავს თავის სიმრგვალეს შინა.
მდინარეები ერთვიან ზღვას,
ზღვა ვერ განძღების,
წყალნი უკან მიიქცევიან
და ისევ ზღვისკენ წარიქცევიან.
ამაოა ყოველი შრომა —
ამაოა სიტყვით ყოელის გარდასიტყვება,
არც თვალნი განძღეს ყოელის ხედვითა,
არც ყურნი განძღეს ყოელის სმენითა.
რაიც ყოფილა იგივ იქნება,
რაიც ყოფილა, იგივ იქნება,
და არარაი არს მზის ქვეშ ახალი.

ვიხილე მე ყოველივე,
რომელნი ქმნილ არიან მზის ქვეშ,
და აჰა, ესერა, ყოველივე ამაო და გვემა სულისა.

მრუდე არასდროს განემართების,
და, რაც არა არს, არ დაითვლების.

და გულმან ჩემმან იხილა
მრავალი სიბრძნე, მეცნიერება,
მასთან — მრავალი სიბრიყვენი.
და შემეცნებაც ყოველივესი
არის ამაო გვემა სულისა.
რამეთუ დიდსა სიბრძნესა შინა
შესატყვისად დიდ არს წუხილი;
და, ვინც ამრავლოს ცოდნა,
იმდენივე ამრავლოს მან მწუხარებაი.

და შევიქმენ მე
უდიადეს, უმდიდრეს და უბრძენეს
ყოველთა ჩემთა წინარეთ ზედა იერუ'ალემს,

და, რა ვიხილე მე ყოველი ნაქმნარი ჩემნი,
ჩემი შრომით შექმნილნი და რუდუნებულნი,
ვთქვი:
აჰა, ესერა, ამა მზისა ქვეშ,
ყოველივე არის ოდენ ამაოება და ხდომა სულისა.

ბრძენსაც და ბრიყვსაც ერთი ბოლო აქვთ.

ჟამი არს შობისაი და ჟამი სიკვდილისაი,
ჟამი არს დანგრევისაი და ჟამი მოფხვრისაი.
ჟამი არს მოკლვისაი და ჟამი განკურნებისაი,
ჟამი დარღვევისაი და ჟამი აშენებისაი.
ჟამის არს ტირილისაი და ჟამი სიცილისაი,
ჟამი ტყებისაი და ჟამი როკვისაი,
ჟამი არს ქვათა განყრისაი და ქვათა შეკრებისაი,
ჟამი არს მოხვევისაი და ჟამი განყრისაი.
ჟამი არს მოძიებისაი და ჟამი დაკარგვისაი,
ჟამი არს მარხვისაი და ჟამი განგდებისაი.
ჟამი არს განპებისაი და ჟამი შეკერვისაი,
ჟამი არს დუმილისაი და ჟამი სიტყვისაი.
ჟამი არს სიყვარულისაი და ჟამი სიძულვილისაი,
ჟამი არს ომისაი და ჟამი მშვიდობისაი.

და ყოველივე მიიქცევის ერთსა ადგილსა,
ყოველივე იქმნა მიწისგან

და ყოველივე მიიქცევის მიწად,
და ვინ უწყის,
რომ სული კაცთა ზეცად მიიქცევის,
ხოლო სული პირუტყვთა მიწად ჩაიქცევის?!

და ვცან — ყოველივე ამაო და ხდომა სულისა.

ჰაბელ ჰაბალიმ.

ჰაბელ ჰაბალიმ.

სოლომონის დროს, მანამდე არნახულად აყვავდა ებრაული ვაჭრობა. უკვე გემებიც აეგო ისრაელთა ხელმწიფეს, მეწამული ზღვის ჩრდილო ნავთსაყუდელში. ზღვაოსნობაში განთქმულ ფინიკიელებსაც გაჰყვნენ ზღვაზე ებრაელები. ხირამ ტვიროსელისა და სოლომონის გემები ერთად გაეშურნენ ოქროთი, სანელებლებითა და ნელსაცხებლებით განთქმული ოფირის ქვეყნისაკენ (სამხრეთ არაბეთი, შესაძლოა აფრიკა, ეთიოპია) და ფრიად მდიდარი შენაძენითაც დაბრუნდნენ უკან.

იერუსალემი ყველაზე სტუმრიანი ქალაქი შეიქნა მაშინდელ მსოფლიოში. ყველას უნდოდა თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც ეხილა ეს ქალაქი — „სიხარული ყოვლისა დედამიწისა", ეხილა და ესმინა „ყველაზე ბრძენი" ხელმწიფისათვის, სოლომონისთვის. ყველა მოდიოდა დატვირთული, ჯორკიდებული, ქვეშევრდომნი ხარკით, სტუმარნი ძღვენით.

სოლომონიც მასპინძლობდა სწორუპოვარი მასპინძლობით. ყოველ ასეთ მდიდრულ, მრავალხარჯიან შეხვედრებს, სტუმართა მიღებას, დაბინავებას, ნადიმს და ღრეობას, შესაბამისად სჭირდებოდა მრავალრიცხოვანი მსახურეული. ასედაც ყოფილა: ყოველდღიურად, სოლომონ მეფის სასახლის კარზე, მარტო მოსამსახურეთა გამოსაკვებად იკვლებოდა ოცდაათი ხარი, ასი ცხვარი და ცხვებოდა ოცდაათი კორი (ოთხი-ხუთი ტონა) პური. ანგარიში არ ჰქონდა შინაურ ფრინველს და ნანადირევს.

ასეთ სისტემატურ, გადაბმულ ხარჯებს, რასაკვირველია, სისტემატური შემოსავლები სჭირდებოდა, და სოლომონსაც, საგანგებო ღონისძიებით. უზრუნველეყო მუდმივი საშემოსავლო წყაროები. მას თავისი სამეფო დაეყო თორმეტ საგადასახადო ოლქად, რომელთაც სათავეში ჩაუყენა საგანგებო მოხელე-მმართველნი — ნეციები. ამათ ევალებოდათ, თავიანთ ოლქებში ყოველთვიურად, ერთი თვის მარაგით, სამეფო სასახლის მსახურეულთათვის საჭირო სურსათ-სანოვაგე, ხარიც, ცხვარიც, ფრინველიც, ფქვილიც, ბოლოს, ქერიც და ჩალაც ცხენების, ჯორებისა და ვირებისათვის.

საგადასახადო, სამხედრო და საერთოდ სამმართველო გაანგარიშებითა და მიზანდასახულობით, სოლომონს თავისი სახელმწიფო დაეყო თორმეტ ოლქად, მაგრამ ძველი თორმეტი ტომობრივ-მუხლობრივი დაყოფის გვერდის აავლით. ასეთი ტერიტორიალურ-ადმინისტრაციული დაყოფა, ბუნებრივია, მიზნად ისახავდა ერის სრულ კონსოლიდაციას და მისი მართვაგამგეობის ცენტრალიზებას ერთი, განუყოფელი მონარქიული საუფლოს ქვეშ.

მხოლოდ იუდას ძველი ტომობრივი გაერთიანება დატოვა სოლომონმა ხელუხლებლად. იუდეა დავითისა და სოლომონის სამშობლო იყო და, შესაძლოა, ამიტომაც არ „შეაწუხა" შვილმა თავისი „დედა-სამშობლოს" ტომობრივი ავტონომია. მაგრამ ეს უეჭველად შეცდომა იყო ბრძენი ხელმწიფისა. იუდაც, ხომ ისრაელის ღვიძლი მოდგმა იყო, ერთობით თორმეტ ძეთა ისრაელთა შორის. მაგრამ უკვე აშკარად იკვეთებოდა იუდას, რაღაცნაირი „გამორჩეულობისა" და დანარჩენ ისრაელთაგან განდგომისა და განკვეთის ტენდენცია. უკვე გაისმოდა პალესტინის ცისქვეშეთში ცალკე „იუდეა" და ცალკე „ისრაელი". სოლომონმა კი ეს, სამომავლოდ ავი ტენდენცია ან ვერ შეამჩნია, ან შეამჩნია და არად ჩაუგდო. ასეთი დამოკიდებულება კი შალე ებრაელ ერს ძვირი დაუჯდება.

მაგრამ მანამდე სოლომონ სოლომონობდა.

მისი „ოქროს ხანა" ზენიტში ლივლივებდა.

რა ვუყოთ, რომ ზენიტიდან ფესვები არ ჩანდა.

ზეიმობდა იერუსალემი — „სიხარული ყოველისა დედამიწისა".

მსოფლიო ყურადღების ცენტრში იდგა პალესტინა, მისი სატახტო, მისი სრა-სასახლენი, ტაძარსალოცავნი.

და ყველაფერი იყო — „თუალი დედამიწისაი".

და ვრცელდებოდა კიდეც იმავ დროიდან ეს ნათქვამი:

დედამიწის თვალი — ესაა პალესტინა, იმ თვალის გუგა — იერუსალემი, ზოლო კაკალი, საიდანაც იმზირება სრულად მსოფლიო — არის ტაძარი სოლომონისა.

საბოლოოდ, სოლომონის დროინდელი მშენებლობის შედეგთა მიხედვით, ოთხ მთავარ ნაწილად გამოირჩა და გამოიკვეთა იერუსალემი:

ს ი ო ნ ი, ანუ „ძველი ქალაქი", იგივე „დავითის ქალაქი";

მ ი ლ ო, ანუ „მეორე ქალაქი";

მ ო რ ი ა, სადაც იდგა სოლომონის ტაძარი, ანუ „საყოფელი უფლისა";

ო ფ ე ლ ი, მორიის სამხრეთი, სავაჭრო და საბაზრო უბანი.

წინ წასულიყო ქვეყანა. კულტურულად ამაღლებულიყვნენ ძენი ისრაელისანი, მათი სულიერი ინტერესებით, სამეურნეო ცხოვრებით, კულტურით, ზნეობით.

საული რომ ვირით დადიოდა, დავითი კი ჯორზე გადაჯდომით „ამაღლებულიყო", ახლა სოლომონი ბედაურზე და ეტლზე ამხედრებული აბრწყინებულიყო.

და იჯდა „თუალსა დედამიწისასა“ იმდროინდელი მსოფლიოს უბრძენესი და უპირველესი ხელმწიფე, რომლის სამფლობელონი გაშლილი იყო, განუყოფლად, ევფრატიდან ეგვიპტემდე.

და აწვიმდა მის სატახტოს „ოქრო, ვითარცა წვიმა“. ხოლო, წყარონი ამ სიმდიდრეთა იყო ვაჭრობა ქვეყნის ყოველ კუთხესთან, ხარკი და გადასახადი დახარკულთა და დავალიანებულ ხალხთაგან, უძვირფასესი ძღვენნი და შესაწირავნი სტუმრად და ლოცვად წვეულთაგან.

სტუმრებს და მლოცველს კი ვეღარ იტევდა იერუსალემი.

ყველაზე უცნაურ და მარადსახსოვარ სტუმრობად მაინც საბიის (შება) დედოფლის მოსვლა აღიბეჭდა იმდროინდელი იერუსალემის ისტორიაში (დღემდე მხოლოდ ვარაუდია: საბია, ანუ შება, ან არაბეთს უნდა ყოფილიყო, ან ეთიოპიას).

და მოვიდა დედოფალი საბიისა, მოვიდა ოქროთი, პატიოსანი თვლებითა და სურნელოვანი საკმეველით დატვირთული აქლემებით. მოვიდა, რათა საკუთარი თვალით ეხილა ეგზომ საქვეყნოდ განთქმული სატახტო ებრაელთა, და, გამორჩევით, საკუთარი ყურით ესმინა სიბრძნენი თვითონ სოლომონისა. თან მრავალი იგავი და გამოცანა გაემარაგებინა დედოფალს სოლომონთან საცდელ-საპაექროდ, ერთიც ვნახოთ, მართლა ეგზომ დიდია და ყოვლისმომცველი სიბრძნე ისრაელ გვირგვინოსნისა, როგორც ამბობენო ქვეყნიდან ქვეყნად.

და შეხვდა საბიელი დედოფალი სოლომონს. შეხვდა და გაესიტყვა მრავალი იგავითა და გამოცანითა. ყოველივე აუხსნა, გაუხსნა და განუმარტა სოლომონმა, აზრის სრული სინათლით და სიტყვის სინატიფით. გაოცდა და გაშეთდა დედოფალი. რაც მსმენოდა და გამეგონა, მრავალგზის უფრო დიდი ყოფილაო სიბრძნენი შენნი, — მიუგო აღტაცებით. მერე ყოველივე მოიხილა, საყოფელნი, საცხოვრებელნი და სავანენი მეფისა და მისი სახლეულ-ტაძრეულისა, სრა-სასახლენი, ტაძრები და სამლოცველონი.

— ნეტავ შენს ცოლებს, ნეტავ შენს მონებს და ყველას, ვინც ყოველდღე შენს სიბრძნეებს ისმენს. კურთხეულ არს უფალი, რომელმაც შენ დაგასვა ტახტზე ისრაელისასა. მართლაც, როგორ ჰყვარებია ისრაელი უფალს, შენ რომ მოუელენიხარ მის ხელმწიფედ და მსაჯულადო, ეს უთხრა ბოლოს საბიელმა დედოფალმა სოლომონს, უთავაზა ძღვნად მოტანილი ოქრო, ასოცი ტალანტი, უთვალავი თვალმარგალიტი და საკმეველ-სანელებელნი.

სამაგიეროდ, სოლომონმაც მრავალი საჩუქარი მიართვა სტუმარ დედოფალს და ასე, დიდი თავაზით გაისტუმრა იგი, მისსავე „სურნელოვან“ ქვეყანაში.

სტუმარი სტუმარს მოსდევდა, ძღვენი ძღვენს მოჰყვებოდა. სახელმწიფო და სამეფო-საპირადო სალაროები ივსებოდა. ყოველწლიურად, მარტო ოქრო 666 ტალანტი შემოსდიოდა სოლომონს. 200 მარტო ოქროს ფარი ეკიდა მის სასახლეში, ისეთი ფარები (ებრ. „ცინნა“), თავით ფეხამდე რომ იფარავდა

კაცსა ახოვანს. 300 ფარიც, უფრო მომცრონი (ებრ. „მაგენ"), ისინიც სულ ბაჯაღლო ოქროისანი. ტახტიც ედგა უძვირფასესი სოლომონ მეფეს, სპილოს ძვლისა, ოქროთი შეჭედილი და კეთილშობილი ქვებით მოჭედილი, ექვსსაფეხურიანი, ზემოდან თაღით, აქეთ-იქით, ექვს-ექვსი ლომი. ანგარიში არ ჰქონდა ოქროს სასმურებს, ისე რომ — ვერცხლი აღარც კი იკადრებოდა, ვერცხლის ფასი დაჰკარგვოდა სოლომონის ჟამს.

მაგრამ სატახტო ქალაქისა და სამეფო სასახლის სიმდიდრე და ბრწყინვალება არც სოლომონის სახელმწიფოსთვის შეიძლებოდა ყოფილიყო საკმარისი. როგორც ყველგან და ყოველთვის, სოლომონის სახელმწიფოც აკი ხალხი იყო, თვითონ იმ სიმდიდრის წყაროც ხალხი იყო, თვითონ ღარიბი, უქონელი და უპოვარი, დღე-ღამ შრომით და უმძიმესი გადასახადებით წელგაწყვეტილი.

მდგომარეობა უნდა გაერთულებინა ზემოთქმულსაც: სოლომონი ამაოდ იმედოვნებდა ძირფესვიანად მოეშალა ძველთაგანვე მომდინარე შინატომობრივი განკერძოების ფესვები. ჩრდილოელი ისრაელები და სამხრეთელი იუდეველები უკვე ალმაცერად უცქერდნენ ერთმანეთს.

სოლომონს ხალხში სახელს უტეხდა პირადი ცხოვრების წესიც, განსაკუთრებით — მისი თავდავიწყებითი „დედათმოყუარეობა". პირველ პატრიარქთა დროიდანვე, ებრაელები ფრიად მკაცრად ერიდებოდნენ უცხო ტომის ქალთან შეუღლებას. სოლომონს კი სწორედ ნაირ-ნაირად უცხოელ ქალებით გაევსო თავისი ჰარამხანა და ყოველი მათგანის კაპრიზთა სათამაშო ტიკინად ქცეულიყო ეს მსოფლიოში სიბრძნით და სიმტკიცით განთქმული გვირგვინოსანი.

მაშ, სოლომონის „ოქროს სახელმწიფოშიც" მრავლად მოიძევებოდა მიზეზი რაიმე საჯანყო აფეთქებისა, უკეთუ ვინმე ასეთი მოაჯანყეც გამოჩნდებოდა.

და გამოჩნდა კიდეც.

ეს იყო ი ე რ ო ბ ო ა მ, ძე ნაბატისი, ეფრემის ტომისაგან, ქალაქ ც ა რ ე დ ა დ ა ნ. იგი ყმაწვილობითვე წასულიყო იერუსალიმს და მალე სახელიც დაუგდია შრომისმოყვარეობით, წესრიგიანობით, სულისა და სხეულის სიმტკიცით. მალე სამუშაოთა ზედამხედველად დაწინაურებულა. აქედან სოლომონის ყურადღებაც დაუმსახურებია და ბოლოს იგი თვითონ მეფეს დაუნიშნავს ეფრემისა და მანასეს ტომების ერთმმართველად.

აქ, თავის სამმართველო ოლქებში, განსაკუთრებით მის თანატომელ ეფრემიანთა შორის, იერობოამი ისმენდა სოლომონის საწინააღმდეგო ჩივილს და დრტვინვას. უსმენდა და, დაწყნარების სანაცვლოდ, აქეზებდა და ამზადებდა ხალხს მეფის წინააღმდეგ, ხელსაყრელ მომენტში, ფეხზე დასაყენებლად და ყალყზე შესაყენებლად.

ასეთ საბედისწერო მომენტად შეიძლებოდა გამოყენებულიყო მეფის ფრიად გაუფრთხილებელი, აშკარად მკრეხელური ნაბიჯი: მან, სწორედ მისი

ჰარამხანის უცხო თესლის ქალთა — ცალკე ფინიკიელი, ცალკე ყამონელი და ცალკე მოაბელი დედაკაცების ზეგავლენით, ზეთისხილის მთაზე საკურთხეველები აუგო ფინიკიელთა ქალღმერთ ასტარტას, ყამონიტთა ღმერთ მალქომს (მოლოქ) და მოაბელთა ღმერთ ქამოშს...

ამან დიდი შეშფოთება და აღშფოთება გამოიწვია, განსაკუთრებით ისრაელ სამღვდელოთა შორის. ა ქ ი ა წინასწარმეტყველმა (რომელიც იყო ქალაქ სილომიდან) პირდაპირ მიახალა სოლომონს: ჩვენი ღმერთის ამნაირი შეგინება, შეიძლება შენ ტახტის დაკარგვად დაგიჯდესო.

სოლომონმა არაფრადაც არ ჩააგდო გაბმწყრალი მოხუცის ნათქვამი. მაშინ აქია იერუსალემიდან გავიდა და იერობოამს შეხვდა. იერობოამს ახალი წამოსასხამი წამოესხა. აქიამ მაშინვე მოჰხადა წამოსასხამი იგი, თორმეტ ნაწილად დახია. ათი ჯადათვალა, მიაწოდა და უთხრა: აჰა, შენ, ისრაელთა ათი ტომი, აიღე და იმეფე მათზე, ხოლო დარჩენილი ეს ორი ტომიღა დარჩეს საძეფოდ დავითის სახლსო.

ამოქმედდა იერობოამი. უკვე კიდევაც აპირებდა აჯანყების დაწყებას. მაგრამ შეიტყო სოლომონმა და მაშინვე გაგზავნა მცველთა რაზმი ტახტისმაძიებლის მოსაკლავად.

მაგრამ გაქცევა მოასწრო იერობოამმა. იგი გაიქცა ეგვიპტეში, სადაც უკვე აღარც მეფობდა და აღარც ცოცხალთა შორის აღარ იყო სოლომონის სიმამრი და მოკავშირე. იქ მაშინ ფარაონთა ახალი, XXII დინასტია აღზეევებულიყო. ამ დინასტიის დამაარსებელი იყო ს უ ს ა კ ი მ (შეშენკ, შიშაკ) პირველი, წარმომავლობით ლიბიელი. სუსაკიმს ტახტზე ასვლისთანავე მიზანში ისრაელი ამოუღია და, თუ მისი დაპყრობა არა, დასუსტება მაინც მისი საგარეო პოლიტიკის მთავარ ამოცანად გაუხდია. ამიტომ მან იერობოამს თავშეაფარიც მისცა და დახმარებაც აღუთქვა ისრაელის ტახტის დაუფლების საქმეში.

თურმე მანამდეც იფარავდა ფარაონი ისრაელის სამეფო სასახლის მომტერეებს. ასეთი ყოფილა, მაგალითად, იდუმეელი ა დ ე რ, რომელიც ჯერ კიდევ დავითის დროს, ყმაწვილი გაქცეულიყო ეგვიპტეში. ბოლოს, ფარაონმა სუსაკიმმა დაეაქაცებულ ადერს ცოლად შერთო თავისი დაი. დაასახლა კიდეც და, საბოლოოდ, პალესტინაში გამოუშვა სოლომონთან საომრად. ჩამოვიდა და იდუმეიის მთებში ჩამკვიდრდა ადერი. აქვე შემოკრებილი იდუმეელი თანამებრძოლებით, იგი თავს ესხმოდა ვაჭართა ქარავნებს, ძარცვავდა და აწიოკებდა ებრაულ სოფლებს.

ეს რომ სამხრეთში ხდებოდა, ჩრდილოეთიდანაც გაუჩნდა საფრთხე სოლომონის სამეფოს. აქ დამასკო აეღო და თავი მეფედ გამოეცხადებინა ვინმე რ ა ზ ო ნ ს, რომელიც მცირე მასშტაბის, მაგრამ მაინც ხშირი თავდასხმებით აწუხებდა და აწიოკებდა ისრაელის ჩრდილოეთ საზღვრებს.

ახლა კი ფარაონი სუსაკიმ პირველი სოლომონის სრული დამხობისათვის ამზადებდა იერობოამს.

მაგრამ სოლომონი მაინც სოლომონად წავიდა ამ ქვეყნიდან. მის სიცოცხლეში ვერც მისი სახელმწიფოს ერთიანობა ვერ შეარყიეს.

ხოლო, აღესრულა სოლომონ 928 წელს, ოცდაჩვიდმეტი წლის ხელმწიფობის შემდგომ, ორმოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში.

დაკრძალეს მამამისის დავითის გვერდით, სიონის ქარანძავსა შინა.

ჭრავალ ცოლთა მეუღლეს მაინც მცირე მემკვიდრეობა დარჩა — ერთი ძე და ორი ასული.

და ადიოდა ტახტზე სოლომონის იამავარი ძე, სახელად რ ო ბ ო ა მ, რომელსაც შვილობის მეტი მამისაგან არარა დაჰყოლოდა. რაც მთავარია, არ დარჩენია ლეგენდარული ბეჭედი სოლომონისა, ბეჭედი სიბრძნისა, რომლის თილისმით, მისი პატრონი განაგდებდა სულთა ბოროტთა და განასრულებდა საქმეთა ქველთა.

ᲙᲐᲠᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ᲣᲐᲛᲜᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲡᲐ

1. ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲐ

მაშ, იდგა ქრისტეშობამდე წელი 928 და იერუსალემის ტახტზე ასულიყო ძე სოლომონისა, რ ო ბ ო ა მ (რაჰაბამ).

მაგრამ ახალი მეფისადმი საერთო განწყობილება სრულიად ებრაელ ტომთა შორის იმდენად არასასურველი აღმოჩნდა, რომ თვითონვე იგრძნო რობოამმა, მარტო იერუსალემში და იუდეაში თვითგახელმწიფება საკმარისი არ იქნებოდა და მაშინვე გაემართა შეხემში, ერთერთ უძველეს დედაქალაქში. ყველა დანარჩენ ისრაელიან ტომთა წარმომადგენლობასთან შესახვედრად.

მაგრამ თურმე უფრო სწრაფად მოქმედებდნენ ახალი მეფის და საერთოდ იერუსალემის სამეფო სახლის მომტერენი — იერობოამი, მისი მომხრენი და მათი მფარველი ეგვიპტელი ფარაონი სუსაკიმ.

სოლომონის სიკვდილის შეტყობისთანავე გამოეშვა ფარაონს ეგვიპტიდან იერობოამი და ახლა, შეხემს მისულ რობოამს უკვე იქ დახვდა მისი მეტოქე და დაუძინებელი მტერი, ისრაელიანთა საკრებულოს სათავეში მდგომარე.

მისალმებაც არ დააცალეს დამხვდურებმა ახალმოსულ ახალ მეფეს. ისე შეაგებეს თავისი მოთხოვნა: მამაშენმა ჩვენ მძიმე უღელი (ებრ. „ოლ", ბერძნ. „კლოიოს", ლათ. „იუგუმ") დაგვადგა, უსასტიკეს შრომასა და გაჭირვებაში ჩაგვაგდო, ახლა თუ გინდა შენი მეფობა ვცნოთ, ეს მამიშენისდროინდელი უღელი და კირთები მოგვაშორე და მაშინ გემსახურებითო.

ასეთი მოთხოვნა რობოამისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ამიტომ პასუხად ესლა უთხრა ისრაელთა წარმომადგენლებს: ახლა წადით, სამ დღეში კვლავ შევხვდეთ და პასუხსაც მაშინ მოგახსენებთო.

იმ დღეს ასე დაშორდნენ მხარენი. რობოამმა მამამისის, სოლომონის მოთათბირე მხცოვანი „თანამზრახველნი" შემოიყარა და ჰკითხა, როგორ მოვიქცე და ისრაელთა მოთხოვნას დავეთანხმო, თუ უარი ეუთხრაო?

დაეთანხმეო, — ერთხმად ურჩიეს მრჩეველებმა მეფეს — თუ დათანხმდები, ხალხს ტვირთს შეუმსუბუქებ, თვითონ მსახურად დაუდგები და მოფერებას არ დაუშურებ, იგი მეფედაც გცნობს და ნამდვილ მონადაც დაგიდგებაო.

ეს რომ მხცოვანთაგან მოისმინა, მეფემ ისინი დაითხოვა და ახლა თავის თანატოლი და თანააღზრდილი ახალგაზრდები მოიხმო და იმათაც ჰკითხა, ისრაელთა ამნაირ მოთხოვნაზე რა პასუხი გავსცეო.

ახალგაზრდებმა კი მაშინვე, ერთხმად, ეს მიახალეს მეფეს: ვინც შენ ეგ გითხრა, მამიშენის უღელი მოგვაშორეო, შენ უთხარ — ჩემი ერთი ნეკა თითი მამაჩემის წელზედაც უმსხვილესია, ამიტომ მამაჩემის უღელი თუ გემძიმებათ, მე უარესად დავამძიმებ მას, და მასთან, თუ არ დაიშლით, მამაჩემი რომ გსჯიდათ, ჩემგან გველებით და მორიელებით დასჯას ელოდეთ-თქო.

ეს „რჩევა" უყოყმანოდ ირჩეუნა რობოამმა და, მესამე დღეს, ასეთი პასუხიც მისცა ხელახლა შემოყრილ ისრაელიანებს.

როგორ თუ უმჯობესი ცხოვრების ნაცვლად, უარესსა და უმძიმესს გვპირდებაო, როგორ თუ გველ-ღრიანკალის მოსევითაც გვემუქრებაო, — იბღავლა ხალხმა — ამიერიდან ჩვენ დავითის სახლთან არარა გვესაქმებაო, იესე იუდეველის ნაშიერთან ჩვენ რა საერთო გვაქვსო, აბა, ისრაელებო, ჩვენ-ჩვენს სახლებს და კარვებს მივაშუროთო! — და ასე ყვირილით და ყარყაშით დაიშალნენ და წავიდწამოვიდნენ თავთავის გზით ისრაელნი.

მეფე მარტო დარჩა, გაოგნებული და გაშეთებული. მაგრამ ვითომ გონს მოეგო და „გონს მოსვლაც" იმითღა გამოხატა, ადონირამი იხმო და უბრძანა: ახლავე მაგათ დაედევნე, ყველა მათზე გაწერილი ხარკი აართვი და აქ მომიტანეო.

ადონირამიც დაედევნა, მაგრამ შემოუბრუნდნენ ისრაელნი, ქვააკრეფილნი, დაუშინეს და ჩააქვავეს საძულველი ხარკისმკრეფელი.

მეც არ დამზოგავენ, ცოცხლად არც მე დამარჩენენო, — იგრძნო რობოამმა, სასწრაფოდ ეტლს მოახტა და გაქუსლა იერუსალემისკენ.

ისრაელები მას ალარ დასდევნებიან, მაგრამ მაშინვე თვითონ ისრაელის მეფედ გამოაცხადეს იერობოამ.

მაშ, ორი მეფე — ცალკე რობოამ და ცალკე იერობოამ.

დავითისა და სოლომონის ერთიანი ებრაული სახელმწიფო ორად განყოფილიყო და განწვალებულიყო.

ცალცალკე იწყებდნენ ცხოვრებას, ორ სახელმწიფოდ, — ცალკე იუდეა და ცალკე ისრაელი.

იუდეაში ორი ტომი დარჩენილიყო — თვითონ იუდა და ბენიამინი.

დანარჩენი ათი ტომი ისრაელისანი შეადგენენ თვითონ ისრაელს.

იუდეას, იუდეურ ქალაქ იერუსალემში, მეფედ უზის იუდეველი რობოამ (928—911 წწ.).

ისრაელს, ეფრემიტულ ქალაქ შეხემში, მეფედ უზის ეფრემიტი იერობოამ (928—907).

2. ი ა დ ო ნ

მაგრამ, თურმე, არ აპირებდა რობოამ სოლომონის ძე შერიგებოდა მისი დიდი მამის მემკვიდრეობის ეგზომ დიდი ნაწილის დაკარგვას და, იერუსალემს მობრუნებისთანავე, ბრძანება გასცა ჯარების შეყრისა, იარაღის ძალით ისრაელის დასაბრუნებლად.

180 000 მოლაშქრე უკვე მზად იყო სალაშქრო გზაზე გასასვლელად. მაგრამ „არ დაუშვა უფალმა“ ძმათაშორისი ომი იმჯერად. ეს ითქვა „ღვთის კაცის“, შ ე მ ა ყ ი ა ს (შემაია — „ღმერთს ესმის“) პირით. უფალი ბრძანებს, არ წახვიდეთ თქვენი ძმების, ისრაელიანების სისხლის დასათხევად, რამეთუ თქვენი განყოფა ჩემგან მოხდაო, „ჩემგან იყო საქმე იგი“, ამიტომ ახლავე ყოველი თქვენგანი სახლში დაბრუნდესო — გამოუცხადა იუდეველებსა და მათ მეფეს ნება უფლისა შემაყია „კაცთან ღმრთისამან“.

რობოამმაც ხელი აიღო ლაშქრობაზე.

იერობოამი კი თავისი სატახტოს, შეხემის გამაგრებას შესდგომოდა გამალებული. პარალელურად, მეორე ციხე-ქალაქსაც ამაგრებდა იგი—ფენუელს, იორდანეს აღმოსავლეთით. ფენუელის სიმტკიცე იერობოამს ერთდროულად, იუდეველების წინააღმდეგაც ევარაუდებოდა და მოაბელთა მოსალოდნელი შემოტევის შესაკავებლადაც.

იუდეველები კი არ დაიშლიანო ისრაელის ხელყოფას, ამბობდა იერობოამი „გულსა თვისსა“. ჩემი სამეფოც ისევ მიექცევა დავითის სახლს და, ეს საშიშროება მანამ იარსებებს, სანამ ისრაელები იერუსალემს ივლიან საერთო სალოცავზე და საზორველზეო. ამიტომ ისრაელებმა მეც რომ არ მომკლან და ჩემი სამეფოც ისევ დავითის ნაშიერ რობოამს არ დაუმონავონ, ახა-

ლი, იერუსალემისგან დამოუკიდებელი და მისი საპირისპირო სალოცავები უნდა მივცე ჩემს ქვეშევრდომებსო.

ასე გადაწყვიტა იერობოამმა და კიდევაც განასრულა თავისი განაზრახი: ორი სალოცავი და საზორველი ბომონი, ორი ოქროს ხბო აღმართა, თავთავისი ტაძრებით, ერთი — სამხრეთით, ბეთელს, მეორე — ჩრდილოეთით, დანს.

ახალი ქურუმნი და მღვდელმსახურნი დაუნიშნა იერობოამმა ახალ სალოცავებს, ისე რომ მათში არცერთი ლევიანი არ გაურია.

შეჰყარა ხალხი და მიმართა სიტყვით იერობოამმა: ძვირფასო თანამემამულენო, ყველამ ხომ კარგად იცით, უფლის ადგილი ერთი არ არის ამ ქვეყანაზე, იგი ყველგანაა და ყველგანვე ესმის მისადმი კაცთაგან აღვლენილი ლოცვა და ყველგანვე ერთნაირად მიუგებს იგი მისაგებელს ყველას და ყოველს. მაშ, რაღად იჭირვებთ საჭირველს და რაღად მიდიხართ სალოცავად შორეულ იერუსალემს, თანაც მტრის ქალაქს. იქაური სალოცავიც ხომ კაცის ხელმა ააშენა, ისევე როგორც ახლა მე ავაშენე ეს ორი სალოცავი, ორი ოქროს ბომონი, ღმერთები, რომლებმაც თქვენ გამოგიყვანათ ეგვიპტური ტყვეობისაგან. ერთი ავაშენე ბეთელს, მეორე დანს. და ახლა თქვენ, ყოველ ისრაელს, საშუალება გეძლევათ ამ ორთაგან იქ ილოცოთ, რომელიც თქვენთან დამანძილებით უფრო ახლოს იქნება. ქურუმებიც თქვენგან იყოს, რადგან აუცილებელი არ არის მაინცდამაინც ლევის ტომისანი და აარონის მოდგმისანი იყოს ღვთისმსახურების წარმართველნიო.

მოსესგან დადგენილი საზეიმო მსხვერპლშეწირვის დროც მოშალა იერობოამმა, — იგი მეშვიდე თვიდან მერვე თვის მე-15 დღისთვის დააწესა.

პირველი სადღესასაწულო მსხვერპლშეწირვაც თვითონ გახსნა იერობოამმა ამ ახლადდადგენილ დღეს. მაგრამ ის იყო, სამსხვერპლოდ განწმენდილი ცხოველი საღვთო ცაცხლზე დასდო, რომ უცებ იერუსალემიდან ჩამოსული „კაცი ღმრთისა“ გამოჩნდა, სახელად ი ა დ ო ნ ი. იგი მივიდა ანთებულ საკურთხეველთან და შესძახა:

„საკურთხეველო, საკურთხეველო! უფლის ბრძანებით დადგება დრო, როცა დავითის სახლში დაიბადება და გაიზრდება ძე, სახელად იოსია (იოშიაჰუ), რომელიც მოვა და შენს ცეცხლზე დააწვენს ცრუთა მღვდელთა და დაწვავს ძვლებსა ადამიანთა. და რომ მე ღვთის პირით მართალს ვამბობ, ამის დასტურად ეს საკურთხეველიც დაიშლება და მასზე დახვავებული ფერფლიც დაიფანტება“.

და, თითქოს, მაშინვე ყოველივე ისე აღესრულა, როგორც თქვა იმა „კაცმან ღმრთისამან“.

როგორ თუ „მტრული იერუსალემიდან“ მოსულმა კაცმა მსხვერპლწირვა ჩამოშალაო, განრისხდა იერობოამი, ხელი გამართა და ბრძანა მისი შეპყრობა.

მაგრამ იადონის თვალმა („ღვთის თვალმა“) ხელი გაუშეშა მეფეს.

სულ დაფრთხა და დადედლდა იერობოამი. მაპატიე და შეევედრე ღმერთს,

შემინდოს ჩემი შეცოდებაო, — შებღავლა იადონს. ამანაც შეუნდო და ღმერთსაც „შეანდობინა“.

ახლა სახლში წამომყევი, რათა გაჭამო, გასვა და უხვადაც დაგასაჩუქროო, — შეეხვეწა დაუქმებისგან დახსნილი ხელის პატრონი.

შორს დაიჭირა იადონმა: ნახევარი შენი სახლკარიც რომ მომცე, შენთან არც წამოვალ, არც პურს შევჭამ, არც წყალს დავლევ და აქედანაც სხვა გზით წავალ და არა იმ გზით, რითაც მოვედი, რადგან ესეც ასეა ნაბრძანები უფლისაგანო, — ეს თქვა და გაბრუნდა იგი იერუსალემს.

მაგრამ გზაზე მიმავალი იადონი ერთმა ადგილობრივმა მხცოვანმა „წინასწარმეტყველმა“ აცდუნა, გზიდან გადაახვევინა, სახლში მიიყვანა, აჭამა, ასვა და ისე გამოუშვა.

გზაზედ ახლად გასულს ლომი გადაეყარა და დაგლიჯა იმ ლომმა იადონი.

როცა იერობოამმა იადონის ასეთი სიკვდილი შეიტყო, მისი „ღვთის კაცობისა“ აღარაფერი იწამა და ისევ შეუდგა და ხალხიც ხელახლა შეუყენა ოქროს ხბოთა კულტს.

8. რობოამ და იერობოამ

რობოამი კი ძე სოლომონისა, და მეფე იუდეიისა, თითქოს გვარიანი ენერგიითაც შესდგომოდა თავისი დამცრობილი ქვეყნის შენებას და განმტკიცებას. მან ხელახლა ააშენა და გაამაგრა ბეთლემი, ეთამი, თეკოა, ბეთსური, სუქოთი, ოდოლამი (ადულამ), იპანი, მარისანი, ზიფი, ადურემი, ლახისი (ლახიშ), აზეკა, ელონი და ხებრონი.

მეფე ზრუნავდა ქვეყნის გამდიდრებისა და დოვლათის დაგროვებისათვის. საომარ აღჭურვილობასაც არ ივიწყებდა, მტრის მოსალოდნელი შემოსევის უკუსაგდებად ჯარსა და ხალხს ამზადებდა.

იერობოამის კერპთაყვანისმცემლობით ბევრი დამფრთხალი ისრაელი იერუსალემს გარბოდა და რობოამის ქვეშევრდომად აცხადებდა თავს. ესეც თავისთავად ზრდიდა და განამტკიცებდა იუდეიის მეფის ხელმწიფურ ავტორიტეტს.

საკუთარ ოჯახშიც ტკბილი ცხოვრება უნდა ჰქონოდა რობოამს. პირველ ცოლად ნათესავი ქალი ჰყავდა, რომლისგანაც სამი ძე შესძენოდა. შემდეგ ცოლად შეირთო მ ა ა ქ ა, შვილიშვილი აბესალომისა (აბესალომის ასულის, თამარისაგან). ეს ქალი, დედამისივით, ძალიან ლამაზი იყო და რობოამსაც ძალიან უყვარდა. ამათგან გაჩნდა ა ბ ი ა, ტაბტისმემკვიდრე. სულ თვრამეტი ცოლი და ოცდაათი ხარჭა ჰყავდა რობოამს, შვილებიც მრავლად დაესია,

სულ — ოცდარვა ვაჟი და სამოცი ქალი. ყველაზე გამორჩევით მაინც აბია უყვარდა, სამეფოდაც იმას ამზადებდა, მანამდე კი სამხედრო და საფინანსო საქმეთა გამგებლობა მიენდო მამას შვილისათვის.

ერთი სიტყვით იუდეიის მეფე, როგორც ხელმწიფე და როგორც კერძო კაცი, თავს ბედნიერად გრძნობდა, ამ ბედნიერებით უკვე წონასწორობასაც ჰკარგავდა, არხეინ, გვარიანად უზნეო და უკანონო ცხოვრებასაც გაეჩვია. ხოლო, როგორც ყოველთვის, მეფის წამხედურობით, უზნეობამ და უდარდელობამ მის ხალხშიდაც მოიდგა ფეხი.

ასეთ უდარდელობა-უზრუნველობას კი თითქმის ყოველთვის კატასტროფაც მოჰყვება და ასედაც დაემართა მაშინ იუდეას.

რობოამის მეფობის მეათე წელს (ძვ. წ. 918), პალესტინას ეგვიპტის ფარაონი სუსაკიმ (შეშენკ, შიშაკ) შემოესია უზარმაზარი საომარი ძალებით, სულ 1200 ეტლოსანს, 6000 ცხენოსანს და 400000 ქვეით მეომარს მოუძღოდა ეგვიპტის ფარაონი. მისი ჯარები, ეგვიპტელებთან ერთად, ორი მესამედი სულ ეთიოპელებისა და ლიბიელებისაგან შედგებოდა. ერთი სიტყვით, აფრიკელთა სრული საომარი ძალები გადმოსულიყვნენ აზიის მიწაზე.

ელვასავით შემოიჭრნენ და შემოეფინენ სამხრეთ პალესტინას. უმალვე დაეუფლნენ იუდეიის ყოველ ქალაქსა და ციხესიმაგრეს, ისე დაეუფლნენ, რომ არსად არაკითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ.

ბოლოს მოადგნენ და გარს შემოერტყნენ იერუსალემს.

მეფემ და მისმა ქვეშევრდომებმა ხელი მხოლოდ იმად გაანძრიეს, ზეცად აღეპყროთ და იეჰოვა უფლისათვის ეთხოვნათ შველა.

მაგრამ უფალმა „უარი სთქვა“.

უფალმა თქვენ მიგატოვათ ისევე, როგორც თქვენ მიატოვეთ მისი სჯული, კანონი და შეგონებანიო, — გამოუცხადა ხალხსა და მეფეს შემაყია წინასწარმეტყველმა.

ამის შემდგომ ხომ რობოამს წინააღმდეგობის გაწევა სრულიადაც აღარ უფიქრია და მტერს, იმ პირობით რომ ქალაქს არ აიკლებდა, სატახტოს კარიბჭეები გაუხსნა.

ეგვიპტელები იერუსალემს შეიჭრნენ და ასე, ხმლის მოუქნეველად დაეფლნენ.

თანაც, სუსაკიმ ფარაონმა სიტყვის გატეხვა არად ჩააგდო და ქალაქი მთლიანად გაძარცვა, სოლომონის ტაძრიდან და სასახლიდან წლობით ნაგროვები სიმდიდრენი, აურაცხელი ოქრო, ვერცხლი, თვალმარგალიტი, მათთან დავითის და სოლომონის ოქროს ფარები და ოქროისვე ბექთარნი, სხვა მრავალი სამკაული — ყოველივე პირწმინდად გაიტანა და თან წაიღო ეგვიპტეში ასე ფეხბედნიერად გაბრუნებულმა ფარაონმა.

დარჩა მეფე რობოამ დამარცხებული, გაძარცვული, შერცხვენილი და დამცირებული. ერთადერთი, რაც მან მტრის წასვლიდან პირველ „ღონისძიებად იღონა“, იყო ის, რომ ეგვიპტელთაგან გატაცებული ოქროს ფარების

ნაცვლად იმდენივე სპილენძის ფარები ჩამოასხმევინა და საგანგებო მცველთა რაზმს ჩააბარა შესანახად და საყარაულოდ.

დანარჩენი დღენი თავისი წუთისოფლისა სულ შიშსა და უსაქმურობაში გაატარა რობოამმა. ისევ ეშინოდა ეგვიპტელებისა, მაგრამ ეგვიპტელებზე გაცილებით, ისრაელებისა და მათი მეფის, იერობოამისა ეშინოდა.

შიშშივე აღესრულა — ქრისტესშობამდე 911 წელს.

გამეფდა 41 წლისა, იმეფა 17 წელიწადი, აღესრულა 58 წლისა.

დაიკრძალა სიონს, მეფეთა საძვალეში.

იუდეიის ტახტზე ავიდა ძე მისი — ა ბ ი ა (911—908).

ა ბ ი ა ერქვა სახელად იერობოამის ძესაც.

იერობოამი კვლავ იყო მეფე ისრაელთა ათი ტომისა, ანუ საკუთრივ ისრაელისა.

მისი მეფობა უფრო საძრახის ჟამად შემორჩა ისტორიას. საძრახისი კი, უწინარესად, ებრაელთ ღმერთის, იეჰოვასგან განდგომა იყო. იერობოამი ხბოის კერპთა აღმართვას და მათდამი ზორვას არ ეშვებოდა. უცხო ბომონთა თაყვანისცემაში, თვითონაც დაიკიწყა და ხალხსაც დააკიწყა ღვთისგან ბოძებული მოსეს სჯულის კანონნი, მცნებანი, შეგონებანი.

და, ერთ დღეს, იერობოამს მძიმე ავად გაუხდა ძე თვისი, აბია. ღვთის რისხვა არაფერი იყოსო, იფიქრა მეფემ და ცოლს უბრძანა, აქია წინასწარმეტყველთან წადი, სილოამში, და იმას ჰკითხე რა სჭირს ჩვენს შვილსო. ტანსაცმელი გამოიცვალე და ისე მიდი, როგორც ვინმე უბრალო დედაკაცი, რათა დედოფლად ვერ გიცნოს და კითხვაზე უფრო პირდაპირი და ურიდალი პასუხი მოგცესო.

წავიდა დედოფალი, უბრალო დედაკაცად გადაცმული, სილოამს, სადაც ცხოვრობდა აქია წინასწარმეტყველი. აქია უკვე ღრმად მოხუცებულიყო და თვალთა სინათლეც თითქმის სრულად დაშრეტოდა, მაგრამ როგორც კი ქალმა მის ზღურბლზე გადააბიჯა, მაშინვე იცნო და უმალვე მიაძახა კიდეც: მობრძანდი, იერობოამის მეუღლევ, სხვისი სამოსელით რად ინიღბები, ღმერთს ვინ დაემალება და მეც ყოველივე ღმერთმა მაუწყა, უკან რომ გაბრუნდები, შენს ქმარსაც ის უთხარ, რაც მე უფალმა სწორედ მის სათქმელად მიბრძანა: მე ხომ შენ, ერთ დროს არარა, მეფობამდე აგამაღლე, დავითის სახლს წავართვი და შენ მოგიძღვენი, სამაგიეროდ კი შენ ყოველივე დაიკიწყე, მე პატივისგან განმიპატიჟე და ჩემ ნაცვლად სალოცავ-სათაყვანოდ სპილენძის ბომონები დაიდგი; ამისთვის მე იერობოამის სახლს თავს დავატეხ უბედურებას, ისე მოვსპობ, რომ მის ბარობაზე კედელზე მიმფსმელიც აღარავინ დარჩეს; ვინც იერობოამის ნაშიერთაგან ქუჩაში მოკვდეს, — ძაღლებმა შეჭამონ, ვინც მინდორში მოკვდეს — ფრინველთ შეკორტნონ. ახლა კი წადი, — უთხრა ბოლოს ქალს აქიამ — და დაბრუნებისას, ქალაქში ფეხის შედგმას მოასწრებ და შენი შვილიც მოკვდება.

დედოფალი დაბრუნდა.

უფლისწული მკვდარი დახვდა.

მაგრამ შვილის სიკვდილით არ დამთავრდა იერობოამის უბედურება.

დაიწყო მისი აჩემებით: იერუსალემის ტახტზე ახალი მეფის ასვლას არ მოვითმენო, იერუსალემიც და ის ორი ტომიც, იუდა და ბენიამინი, ჩემს ისრაელს უნდა შემოვუერთოო.

გადაწყვიტა და შეუდგა ჯარების შეყრას იერობოამი.

არც აბია რობოამის ძე დახვდა მოუმზადებელი. ისიც სასწრაფოდ გამოვიდა სალაშქრო გზაზე.

მოწინააღმდეგენი ერთმანეთს შეხვდნენ ს ა მ ა რ ი ი ს (შომრონ) მთასთან (იერუსალემიდან ჩრდილოეთით 50 კმ).

ძალთა თანასწორობა აბიასთვის კარგს არაფერს მოასწავებდა: იუდეველთა ჯარი რიცხვით ორჯერ ნაკლები იყო ისრაელთა ჯარებზე.

მაშინ აბიამ უმალვე, როგორც კი მოწინააღმდეგენი საომრად დადგნენ და შეიმართნენ, საგანგებოდ შერჩეული ადგილიდან, სიტყვით მიმართა იერობოამის ჯარებს:

— ისრაელნო, თქვენ ხომ ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ თვით უფალმა აღუთქვა დავითსა და მის შთამომავლობას მარადიული მეფობა. ამიტომ მიკვირს და გამკვირვებია, რომ თქვენ მამაჩემი მიატოვეთ და მონა იერობოამს დაემონეთ. და ამ მონის ხელქვეით ბრძოლად მოდიხართ იმათ წინააღმდეგ, ვისაც თვით ღმერთმა უბოძა სკიპტრა. მაგრამ დიდხანს ვერ გაიხარებს იერობოამი თავისი ავკაცობით. მალე დაისჯება იგი უფლისაგან, მისადმი მრავალ შეცოდებისთვის. მამაჩემი კი, მართალია, ბოროტი ადამიანების რჩევით, შეცდა, თქვენ რომ გაწყენინათ, მაგრამ თქვენც ხომ მას რომ ჩამოშორდით, ამდენი ცოდვა ჩაიდინეთ ღვთისა და მისი წმიდა მცნებების მიმართ. თქვენ უნდა შეგენდოთ მისთვის, როგორც გამოუცდელი ახალგაზრდისთვის, შემდეგ თუნდაც სოლომონის ძისთვის, იმ სოლომონისა, რომელსაც იმდენი სიკეთე მიუბედნიერებია ისრაელთათვის. მაგრამ თქვენ არაფერზე არ დაფიქრებულხართ და ახლაც ასე დაუფიქრებლად წამოსულხართ ამდენი ჯარით ჩვენთან საომრად. ერთი ესეც ვთქვათ, ვისი იმედით აპირებთ ბრძოლის მოგებას, იქნებ იმ ოქროს ხბოების იმედად, მთებზე რომ სალოცავ ბომონებად წამოგიჭიმავთ, ანთუ მაგოდენ ლაშქრით, რიცხვად ამდენად რომ გვეჭარბებით? მაგრამ გარწმუნებთ, უთვალავი მხედრობაც კი არარას წარმოადგენს და განადგურებას ვერ ასცდება, უკეთუ იგი თავისი ბრძოლით უკანონობას ემსახურება; და, პირიქით, მტერზე გამარჯვებისთვის კმარა მხოლოდ სამართლიანობა, რომელიც მთლიანად ჩვენს მხარეზეა. აკი ჩვენ დასაბამითვე დღემდე მხოლოდ ჭეშმარიტ ღმერთს და მისგან დადგენილ წმიდა კანონებს ვემსახურებით, — ღმერთს, რომელიც არის დასაწყისი და დასასრული ყოველივეისი. ბოლოს და ბოლოს, მოგიწოდებთ გონს მოეგოთ, ჩემს რჩევას ყური უგდოთ

და ხელი აიღოთ ჩვენთან ბრძოლაზე; იცანით და ირწმუნეთ სიწმიდე სამამუ-ლე კანონებისა, რომელთა წყალობით მიგიღიათ დღემდე ყოველი კეთილ-დღეობა....

ასე მოუწოდებდა იუდეველთა ჭაბუკი მეფე, აბია რობოამის ძე, ხოლო სანამ იგი ამ სიტყვას ამბობდა, იერობოამმა რჩეული რაზმი გაგზავნა მეტოქის შესაპყრობად.

ამ რაზმმა სწრაფი და ხერხიანი მანევრით მართლა შესძლო აბიას ალყა-ში მოქცევა.

ამის შემხედვარე იუდეველები, პირველ ჯერზე, დაფრთხნენ და დაშინდ-ნენ, მაგრამ დიდი მხნეობა გამოიჩინა თვითონ აბიამ. ვიქონიოთ უფლის იმე-დიო, — გაამხნევა მან თავისიანები და ბრძანა საომარი საყვირების დაკვრა.

საყვირებმაც ატეხეს ყვირილი და ბრძოლაც გაჩაღდა. აბიამ და მისმა იუდეველებმა თავიდანვე დაიხელთავეს ბრძოლის სასწორი. იერობოამი და მისი ისრაელობა სასტიკად დამარცხდა. მათი უმრავლესობა დაწყდა და და-ირეცა.

გამარჯვებული იუდეველები ისრაელურ ქალაქებს შეესივნენ. აიღეს და დაარბიეს ბეთელი და ისანა.

გამარჯვებული აბია და მისი ჯარი, დიდი ნადავლით დატვირთულნი, ზარ-ზეიმით დაბრუნდენ იერუსალემში.

ამ ძლევამოსილებამ კი აბია მეფეს წონასწორობა დააკარგვინა. ამას წინათ სიწმიდეთა მქადაგებელი, ახლა თვითონ მისცემოდა თავაშვებულ, გარყვნილ ცხოვრებას.

ჰყავდა თოთხმეტი ცოლი, რომელთაგან მას დარჩა ოცდაორი ძე და თექვსმეტი ასული.

და გარდაიცვალა აბია რობოამის ძე თავისი გამეფებიდან მესამე წელს (ძვ. წ. 908).

დაკრძალეს სიონს, მეფეთა სამარხს.

იერუსალემის ტახტზე დაჯდა ძე მისი, ა ს ა (908—870).

ხოლო, „ათშტოიანი ისრაელის“ მეფემ, იერობოამმა, მისი მეტოქისა და მძლეველის, აბიას სიკვდილის შემდეგ კიდევ იცოცხლა ორი წელიწადი და გარდაიცვალა 907 წელს.

ისრაელის ტახტზე ავიდა მისი ძე — ნ ა ბ ა ტ (907—905).

4. ასა და ბაასა

მაშ, ისევ ცალცალკე განაგრძობდნენ ცხოვრებას: ისრაელ — ქვეყანა „ათთა ნათესავთა", და იუდეა — ქვეყანა„ ორთა ნათესავთა".

მათი ახალი მეფეებიც, ნაბატ და ასა, მამებისგან დანატოვარ მტრობას განაგრძობდნენ, სრულის „ერთგულებით". საერთო მტრებსაც ცალცალკე მტრობდნენ, საერთო მოყვრებსაც ცალცალკე ემოყვრებოდნენ. ან, — ერთი-მეორის მტრებს ემოყვრებოდნენ და მოყვრებს ემტერებოდნენ.

ისრაელის მეფეს, ნაბატ იერობოამის ძეს, ორ წელიწადში გაუთავდა მეფობაც და სიცოცხლეც. მან ომი წამოიწყო გაბაონის დასაუფლებლად და, სწორედ გაბაონის კედლებთან ალყად დგომის ჟამს, იგი მოულოდნელი დარტყმით მოჰკლა მისმა სარდალმა და „მეგობარმა" ბ ა ა ს ა მ (ბაშა).

და ასე მოევლინა ისრაელს ახალი მეფე — ბაასა (905—883), რომელიც ტახტზე ასელისთანავე მისდგა და ნაბატის სისხლიერთაგან და, საერთოდ, იერობოამის ახლო თუ შორიელ ნაშიერ-ნათესავთაგან ცოცხალი აღარავინ დაუტოვებია.

იერობოამის მოდგმა-მონაგარის ამოწყვეტა სისხლიანი შესავალი იყო ისრაელის ახლადმოვლენილი მეფის შემდგომი, ასევე ცოდვიანი მმართველობისა.

ამასობაში კი, იუდეიის მეფე, ასა აბიას ძე, მორჭმით და ღირსებით განაგებდა თავის ქვეყანას. იგი აღმოჩნდა ფრიად ჭკვიანი, დაკვირვებული და სამართლიანი რეფორმატორი. გამორჩეული გულისყურით და სიმკაცრით მოქმედებდა ებრაული ღვთისმსახურებისა და მოსეს მართლმსაჯულების განწმენდის, აღდგენისა და დაცვისათვის. მან ქვეყნიდან გააძევა როსკიპნი და დაამხო ყოველი უცხო ბომონი, მათ შორის ყველაზე გავრცელებული ასტარტა, ფალიკური მისტერიების მთავარი სიმბოლო. ამ შემთხვევაში მეფე საკუთარ დედასაც, დედოფალ მ ა ყ ა ქ ა ს არ მოერიდა. კედრონის პირას მაყაქას ბრძანებით აღმართულ ასტარტას მიუხტა ასა და საკუთარი ხელით დაჩეხა და დასწვა იგი. დედას ესეც არ აკმარა და „დედოფლის" (ებრ. „ჰებირა") წოდებაც კი წაართვა მას.

ასას სამხედრო რეფორმაც გაუტარებია თავის სახელმწიფოში. მუდმივ საომარ მზადყოფნაში ჰყოლია ათასობით ჯარისკაცი, ცალკე შუბოსან-ფარსანი იუდეველები და ცალკე მშვილდოსან-მოისარი ბენიამინელები *.

ასა აშენებდა ქალაქებს, ამაგრებდა ციხე-გალავნებს.

და ასე, მშვიდობიან მშენებლობასა და საქმიანობაში გავიდა ათი წელიწადი. ამის შემდეგ კი მაინც მოუხდათ ომის გადახდა იუდეველებს.

იუდას დიდძალი საომარი ძალებით ** შემოესია ეთიოპიის მეფე ზ ა რ ა ი

---

* წყაროთა გადაჭარბება: 300 00 იუდეველი და 250 000 ბენიამინელი.

** გადაჭარბება: ერთი მილიონი ქვეითი მეომარი და სამასი ეტლოსანი.

(შესაძლოა, ეს ყოფილიყო ეგვიპტის მაშინდელი ფარაონი ოსორკონ (შეშენკ).

ასამაც ფიცხლავ გაიყვანა ჯარი საომრად.

მოწინაღმდეგენი ერთმანეთს შეხვდნენ ქალაქ მარეშას ახლოს, დაბლობ იუდეაში. ბრძოლის დაწყებამდე ღმერთს შეჰღაღადა ასამ:

— უფალო, აკი შენი ნებაა, ვის უნდა მიეხმარო, ძლიერს თუ უძლურს, და მოგვხედე ჩვენ, რამეთუ შენზე ვლოცულობთ და შენს იმედად მოვედით ეგზომ უთვალავ მტერთან საომრად. უფალო, შენ ხომ ჩვენი ღმერთი ხარ და უბრალო მოკვდავთ ნუ აჯობინებ...

ბრძოლა დაიწყო და იუდეველებმა, „უფლით გამხნევებულთა“, დასაწყისშივე თავის სასარგებლოდ დააქანეს ბრძოლის სასწორი. ებრაელები დაედევნენ გაქცეულ მტერს, ჩეხვით და კაფვით. ფილისტიმურ ქალაქ გერარამდე მისდიეს და დიდი უმრავლესობა ამოწყვიტეს. გერარიც აიღეს და აიკლეს ებრაელებმა, მისი შემოგარენიც. მარტო ქალაქი კი არა, მწყემსური კარვებიც აიალაფეს, ხვასტაგ-საქონელიც გაირეკეს. დიდძალი ნაალაფევითა და ნატყვენავით დაბრუნდნენ და წამოემართნენ იერუსალემისკენ.

მოდიოდა და მოჰყავდა ასას გამარჯვებული ლაშქარი და, უცებ გზაზე წინასწარმეტყველი აზარია ოდედის ძე დაუხვდათ და სიტყვით მიმართთ:

— მომისმინეთ მე ყველამ, შენ მეფეო და მთელმა იუდამ და ბენიამინმა! თქვენ გაიმარჯვეთ იმიტომ, რომ — ღმერთი თქვენთან არს, რადგან თქვენ მასთან ხართ. და ასე იქნება მუდამ. როცა ღმერთს ეძებთ, კიდევაც იპოვნით მას. თუ მას მიატოვებთ, ისიც მიგატოვებთ თქვენ. ისრაელი კი დიდხანს იქნება ჭეშმარიტი ღმერთის გარეშე, სწავლული ქურუმის გარეშე და კანონის გარეშე. მაგრამ როცა იგი, თავისი უკიდურესი გაჭირვებისას, ღმერთს მოიკითხავს და მოიძებნის, ღმერთიც მიაგნებინებს მას თავის თავს. მაგრამ ეს მაშინ, როცა მშვიდობა აღარ ექნება ქვეყანაზე აღარავის, აღარც წამსვლელს, აღარც მომსვლელს, რადგან ყოველ ხალხთა დიდი მღელვარებანი მოიცავენ ქვეყნიერებას, — ხალხი ხალხს შეეტაკება, ქალაქი ქალაქს, რადგან ღმერთი აღრევს მათ ყოველგვარი უბედურებით. ხოლო თქვენ გამაგრდებით, გაძლიერდებით; ხელნი თქვენნი არ დადუნდება, რადგან ღმერთი გიხდით სიკეთისთვის სამაგიეროს.

საქვეყნოდ განთქმული წინასწარმეტყველის ამ სიტყვამ კიდევ უფრო გაამხნევა, განამტკიცა და წააქეზა ასა მეფე ახალ, გაცხოველებულ საქმიანობაში — ქვეყნის აღმშენებლობაში, გამაგრებაში, გამდიდრებაში, რელიგიურ და ზნეობრივ განწმენდაში.

ბევრმა ებრაელმა ისრაელის სამეფო მიატოვა და იუდეას გადავიდა სამუდამო საცხოვრისად. განსაკუთრებით, ეფრემის, მანასეს და სიმონის ტომისანი მირბოდნენ მრავლად იუდეაში დასახლებლად. ასა მეფეც ყველას ღებულობდა, ყველას ასახლებდა და ასაქმებდა თავის სახელმწიფოში.

ასახლებდა და დასახლების წინ ყველას იეჰოვას საკურთხეველთან მი-

იყვანდა, ხმამაღალი საყვირების ქვეშ ფიცს ადებინებდა, რომ იგი იქნებოდა სიკვდილამდე განუხრელად ერთგული ებრაელთა მხსნელი უფლისა, მარად მისი მაძიებელი და მპოვნელი, ხოლო, „რომელმან არა მოიძიოს უფალი ღმერთი ისრაელისა, უნდა მოკვდეს, სულ ერთია — ყრმა თუ მოხუცი, კაცი თუ დედაკაცი".

და იყო ასას დროის იუდეიის სახელმწიფო მტკიცე სულით და მტკიცე სხეულით.

ხოლო, ბაასა, ისრაელის მეფე, ვერ შერიგებოდა იუდეიის და მისი მეფის ამაღლებას და გამძლავრებას. განსაკუთრებით ის აშფოთებდა და აბოროტებდა ბაასას, მისი ქვეშევრდომი ისრაელები რომ გაურბოდნენ და იუდეაში სახლდებოდნენ. ამიტომ მან საგანგებოდ გაამაგრა ქალაქი რამა, რომელსაც ერთდროულად უნდა აღეკვეთა ისრაელების გაქცევაც იუდეაში და იუდეველების მოსალოდნელი შემოტევაც ისრაელში.

მაშინ, ასამ დამასკოს სირიელ მეფეს ბ ე ნ ა დ ა დ ს (ებრ. „ბენ-ჰადად"— „მზის შვილი"), ძვირფასი საჩუქრებით დატვირთული ელჩი გაუგზავნა და ისრაელის წინააღმდეგ მოკავშირეობა და დახმარებაც სთხოვა.

ბენადადს მანამდე ბაასასთან სამშვიდობო-სამეზობლო კავშირი ჰქონია, მაგრამ ახლა, მეზობელი ისრაელის მოსალოდნელი გაძლიერებით შეშფოთებულმა, ისევ უფრო შორეულ იუდეასთან შეკავშირება ამჯობინა, იერუსალემიდან გამოგზავნილი ოქრო-ვერცხლი და თვალმარგალიტი სიამოვნებით მიიღო და მის გამომგზავნელთან ურთიერთდახმარების ხელშეკრულებაც შეკრა.

ისედაც, სირიის მეფისთვის ამას რაღა სჯობდა, ებრაელები თუ ებრაელებს ამოხოცავდნენ. ვერც ასა და ვერც ბაასა ამას ვერ გრძნობდნენ და ერთმანეთის დასამხობი ომისთვის ემზადებოდნენ.

ბენადად სირიელმა კი ებრაელთა ამ შინაური ომის დაწყებასაც არ დაუცადა და თვითონ დაიწყო ჩრდილოეთიდან შემოტევები ისრაელზე, გუშინდელ მოკავშირეზე. მისი სარდლები შემოიჭრნენ ნაფთალის ტომის მიწებზე, ზედიზედ აიღეს და გაძარცვეს აქაური ქალაქები — აინან, დანი და აველმანა.

ბაასა იძულებული გახდა სამხრეთით, იუდეიის წინააღმდეგ რამას მშენებლობისათვის თავი დაენებებინა და ჩრდილოეთით საზღვრების დასაცავად გადაენაცვლებინა.

ამით ასამ ისარგებლა, იუდეველთა ლაშქარი რამას მიუსია, ახალნაგები სიმაგრენი დაშალა და მთელი მასალა, ნაშენიც და საშენად გამზადებულიც, იუდეაში წამოიღო და ამ მასალით მან თავისი ციხე-ქალაქები, გევა და მიცფა ააშენა, ახალი ციხეგალავნებით.

მაშინ, ასა მეფესთან მივიდა ა ნ ა ნ ი ა წინასწარმეტყველი და ამხილა იგი, სირიელების გაძლიერებისა და ისრაელების დაკნინებისა გამო: შენ სირიელების იმედი დაიჭირე და არა უფლისა ჩვენისა; ამით სირიელები გაამძლავრე და ისრაელები დაამდაბლე, ხოლო, რად დაივიწყე, რომ როცა იმდენი ეთიოპელი და ლიბიელი შემოგესია, ჩვენი უფლის იმედად იდექ და სწორედ

ამან გადაგარჩინა?! ძალიან დაუკვირვებლად მოიქეცი და ამიტომ ომებიც აღარ გაუთავდება ჩვენს ხალხსო, — დააბოლოვა ანანიამ.

ასა, იმის ნაცვლად, წინასწარმეტყველის ჭკვიანური ნათქვამი ჭკვიანურადვე განესაჯა, განრისხდა და ანანია ბნელ დილეგში დაამწყვდია.

როგორც ეტყობა, მარტო ანანია როდი იწუნებდა ასა მეფის დაუკვირვებელ საგარეო პოლიტიკას. ამიტომ სხვა „სხვანაირად მოაზროვნეებიც" ანანიას კვალს მიაყოლა, — ზოგი საპყრობილეში ჩაგდებით, ზოგიც ხამშობლოდან გაძევებით.

თვითონ ისრაელის მეფემ კი, ბაასამ, ვერც შესძლო და ვერც მოასწრო სამაგიეროს მიგება იუდეიის მეფისადმი. იგი სწორედ იმ გართულებულ ჟამს გარდაიცვალა, 883 წელს. დაიკრძალა თირცაში, მის უკანასკნელ სატახტო ქალაქში.

მის ნაცვლად ტახტზე ავიდა ძე მისი, ე ლ ა, რომელმაც მხოლოდ ორი წელი (883—882) იმეფა. იგი დაეცა მკვლელის ხელით; მკვლელი კი იყო მისგანვე ეტლოსანთა უფროსად დადგენილი ვინმე ზ ა მ ბ რ ი (ზიმრი). იგი საგანგებოდ დათვრა, მეფეს მიუხტა, მოკლა და თავისი თავი გამოაცხადა ისრაელის მეფედ.

გამეფდა ზამბრი და, ელასთან ერთად, ბაასას მთელი ნაშიერიც და ახლობელ-მეგობრებიც ისე ამოწყვიტა, რომ კედელზე მიმფსმელიც აღარ დაუტოვებია. მაგრამ მისი სისხლიანი უცებისი მეფობაც უცებვე გათავდა — შვიდ დღეში. საქმე ის იყო, რომ ისრაელთა ჯარი, რომელიც მაშინ სარდალ ყ ო მ რ ი ს მეთაურობით ქალაქ გაბაონის ალყად იდგა, მაშინვე აჯანყდა ახლადგამეფებული უზურპატორის წინააღმდეგ. ჯარს ხალხიც შეუერთდა და, თვითონ ყომრის სარდლობით, გაბაონი მიატოვეს და სატახტო ქალაქ თირცას შემოერტყნენ.

ზამბრიმ წინააღმდეგობის გაწევა უიმედო საქმედ ჩათვალა, სასახლეში შეიკეტა, სასახლე ცეცხლს მისცა და თვითონაც შიგ ჩაიწვა.

სამეფო ტახტი, თითქოს ბუნებრივად, მაშინვე აჯანყების მეთაურს და სარდალს, ყომრის უნდა დაეჭირა, მაგრამ ეს მაშინვე საეჭვო გახდა, რადგან ხალხში მეფობის მეორე პრეტენდენტიც გამოჩნდა, სახელად თ ა მ ნ ი, ძე გონოთისა.

გაიმარჯვა ისევ ყომრიმ, თამნი მოაკვლევინა და თვითონ დაჯდა ისრაელის სამეფოს ტახტზე.

იმეფა ყომრიმ თერთმეტი წელიწადი (882—871): პირველი ექვსი წელიწადი თვითონაც თირცაში იჯდა, ხოლო ამის შემდგომ, მისგანვე ნაყიდ შ ო მ რ ო ნ ი ს მთაზე ააგო ახალი სატახტო ქალაქი — ს ა მ ა რ ი ა (შომრონ), სამეფო ტახტიც გადაიტანა და იქვე სიკვდილამდე დარჩა.

გარდაიცვალა ყომრი 871 წელს. დაიკრძალა იქვე, სამარიას. ხალხში კი სახელი დატოვა, როგორც სასტიკმა, უღვთო და ცოდვებით სავსე მმართველმა და ადამიანმა.

ისრაელის ტახტზე ავიდა მისი ძე — ა ქ ა ბ (871—852).

აქაბის გამეფებამდე ერთი წლით ადრე, 870 წელს, იერუსალემში გარდაიცვალა იუდეიის მეფე ასა, დაკრძალეს იქვე, სიონში, მეფეთა სამარხს.

იუდეიის ტახტზე ავიდე ძე მისი — ი ო ს ა ფ ა ტ (იოჰოშაფატ), (870—846).

5. აქაბ და ელია

აქაბის მმართველობამ, მისმა უზნეო და უღვთო ცხოვრებამ, ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ისრაელის მეფენი სწორედ „ღვთისგან წყეულნი" იყვნენ.

აქაბმა იერობოამის მკრეხელური ვნებანი უფრო გაამრავლა და გაავრცელა ისრაელობაში. მან უცხო ბომონებით მოჰფინა მთელი სახელმწიფო.

ცოლად შეირთო ი ზ ე ბ ე ლ, ასული ფინიკიური სიდონის მეფის, ე თ ბ ა ა ლ ი ს ა, და ამათი მიდევნებით, თვითონ სამარიაში აღმართა საკურთხეველი ფინიკიელი უმაღლესი ღვთაების, ბაალისა. მალე იზებელმა ბაალს ასტარტაც მოაყოლა. აქაბმა ცოლის „ნათესავ ღმერთებს" ხშირი მაღნარიც გაუშენა გარშემო.

მეფე-დედოფლის უმკაცრესი მეთვალყურეობის ქვეშ, ისრაელი ერი ისევ ლოცულობდა, ლიტანიობდა და ზორვიდა უცხო ღმერთთა წინაშე.

ისრაელთა ღმერთის, იეჰოვას მიმართ დიდ შეურაცხყოფად და შეცოდებად იქნა მიჩნეული ისიც, რომ აქაბ მეფის ბრძანებით ა ქ ე ლ (ქიელ) ბეთელელმა აღადგინა იესო ნავინისგან დანგრეული იერიქონი. აკი იესო ნავინმა, ღვთის ჩაგონებით, მკაცრად დასწყევლა ყველა, ვინც „ღვთის ჯარისგან" დაქცეული იერიქონის მიწაზე დასახლებას და ქალაქის აღორძინებას განიზრახავდა და შეეცდებოდა.

და კიდევაც დაისაჯა აქელ ხუროთმოძღვარი. იერიქონის აღდგენა ორივე შვილის სიცოცხლედ დაუჯდა. პირველი, პირშო, სახელად ა ბ ი რ ო ნ ი, მაშინ მოუკვდა, როცა ქალაქს საძირკველი გაუსკვნა, ხოლო მეორე, სახელად ს ე გ უ ბ ა, ბოლოს, კარიბჭის გამართვისას დაიღუპა.

და მაშინ, უცებ, ერთბაშად გამოჩნდა წინასწარმეტყველი, სახელად ე ლ ი ა (ებრ. „ელიაჰუ", „ელიია", ბერძნ. „ჰელიას", ლათ. „ჰელიას"), რაიც ნიშნავს — „ჩემი ღმერთია იეჰოვა". იგი წარმოშობით გალაადის ქალაქ თ ე ზ ბ ი დ ა ნ იყო.

და ერთბაშად და მოულოდნელად (როგორც მას სჩვეოდა) მიუხდა იგი აქაბს, მიუხდა და შესძახა:

„ცხოველ არს უფალი ღმერთი, ღმერთი ისრაელისა, რომლის წინაშე მე ედგავარ! და ამა წლებში ციდან მიწაზე არ დაეცემა არც ერთი წვეთი ნამისა, არც წვიმა, თვინიერ სიტყვისა პირისაგან ჩემისათა!“

სთქვა და მეფისგან პასუხისთვისაც არ დაუცდია, ისე გაშორდა და გაუჩინარდა.

იგი, „ღვთის შთაგონებით“, წავიდა, იორდანეს აღმოსავლეთ მხარეს გადავიდა და აქ, „ნაღვარეევი ქორათის“ პირას, ტყეში დასადგურდა.

აქ იყო ერთ ხანს. ჰქონდა წყალი და ბუნებისგან ნაძღვნევი ლუკმა („ყორანნი მიართმევედნენ მას პურსა და ხორცსა...“). მერე გვალვამ გააშრო წყალი ქორათში. მაშინ, ისევ „ღვთის შთაგონებით“, ქორათიდან ფინიკიაში წავიდა ელია და ზღვის პირას, ტვიროსსა და სიდონს შორის, მცირე დაბაში, ს ო რ ე ფ თ ა შ ი (ცარფატა) დადგა, ერთ ქვრივ დედაკაცთან, რომელიც მას უმზადებდა ყოველდღიურ კრძალულ ულუფას. სამაგიეროდ, ელიამ უმკურნალა და სიკვდილისგან იხსნა ერთადერთი ძე ამ დედაკაცისა.

ამასობაში, სამი წლის მანძილზე, გვალვა და შიმშილი მძვინვარებდა ისრაელში. დედოფალი იზებელი ამ უბედურებას ებრაელ წინასწარმეტყველებს აბრალებდა და სასიკვდილოდ სდევნიდა ყველას, ვისაც კი გვალვისა და შიმშილის საფრთხეზე რაიმე წინასწარნათქვამად წასცდენოდა. გამორჩეულად, ელიას აბრალებდა ყოველ უბედურებას იზებელ დედოფალი და თავგამოდებით ცდილობდა მის მონახვას და მოკვლას.

აქაბ მეფის სასახლის კარზე იყო ეზოსმოძღვარი ა ბ დ ი ა, კაცი ფრიად კეთილი, ღვთისმოსავი, რომელსაც, დედოფლისგან ნამალევად, დევნილი წინასწარმეტყველნი, სულ ასამდე კაცი, ორ ჯგუფად გაყოფილნი, სადღაც მიუვალ გამოქვაბულებში გაუხიზნავს და საჭმელ-სასმელით მათი შენახვაც თვითონ უტვირთავს.

და აბდიას პირველი ემტერებოდა დედოფალი იზებელ, წინასწარმეტყველთა, ანუ „ღვთის კაცთა“ მფარველობისთვის. ეზოსმოძღვარიც გაურბოდა ავ დედოფალთან შეხვედრებს.

ერთ დღეს, წყლისა და საძოვრის ოაზისთა საძებრად მეფისგან წარგზავნილი აბდია ეზოსმოძღვარი გზაზე ელია წინასწარმეტყველს გადაეყარა. თურმე წამოსულიყო ელია ფინიკიიდან ისრაელს.

მეფე აქაბს შემახვედრეო, ჩააცივდა ელია აბდიას. ჯერ უარზე იყო აბდია, მერე დათანხმდა და შეატყობინა მეფეს დევნილი წინასწარმეტყველის გამოჩენა.

და შეხვდნენ ერთმანეთს აქაბ და ელია.

შენ ხარ, ისრაელს რომ მიმღვრევ? — ჰკითხა აქაბმა.

მე კი არა, შენ და შენი სახლი ამღვრევთ ისრაელს, — უმალვე შეუტრიალა ელიამ — და ამღვრევთ იმით, რომ თქვენ უღალატეთ ჩვენს უფალს და მონად ექმენით ბაალს. ახლა წარაველინე მალემსრბოლნი და მთელი ისრაელი შემომიკრიბე ქ ა რ მ ე ლ ი ს მთაზე და იქვე მომიყვანე ოთხას ორმოცდაათი

ცრუწინასწარმეტყველი მაღნარისანი, შენს მეუღლესთან, დედოფალ იზებელ-თან რომ ყოველდღიურ ტაბლას ინაწილებენო.

სიტყვა ვერ შეუბრუნა მეფემ, ისე გაბრუნდა და გასცა ბრძანება, ელიას ბრძანების შესაბამისად.

და შეიყარა ქარმელის მთაზე, იუდეაში, საკრებულო ისრაელთა და ქურუმნი კერპი ბაალისა.

ელიამ პირველად ისრაელთ მიმართა მკაცრი სიტყვით: სანამ გინდათ ორივე ფეხით რომ იკოჭლოთ და იხეიბროთ? უკეთუ არის უფალი ღმერთი, მისდიეთ ღმერთსა, ხოლო უკეთუ გჯერათ არსებობა ბაალისა, შეუდექით კვალსა ბაალისასა!

სამარისებური სიჩუმით უპასუხა ხალხმა.

ისევ განაგრძო ელიამ: მხოლოდ მე ერთი დავრჩი წინასწარმეტყველი უფლისა, ხოლო აი, თქვენს მხარეს რვაასორმოცდაათი წინასწარმეტყველი ბაალისა. აბა, ვსინჯოთ, — ავიყვანოთ ორი ზვარაკი და ჩვენ-ჩვენთვის შევწიროთ — თქვენ ბაალის საკურთხეველზე, მე იეჰოვას საკურთხეველზე. მაგრამ შეწირვა უნდა იქმნას არა ჩვენგან დანთებული ცეცხლით, არამედ ჩვენ მხოლოდ საკურთხეველი გავმართოთ, ზვარაკი სანთებელზე დავალაგოთ, ცეცხლის დასანთებლად კი ჩვენ-ჩვენს ღმერთებს მოვუხმოთო.

მთელი დღე უძახეს და უწრუპუნეს ბაალის ქურუმებმა თავის ბომონს, სხეული დაიფლითეს და დაისისხლიანეს, მაგრამ მათმა ბაალმა ყურიც არ გაიბერტყა!

ხოლო, ელიას ერთი შეძახილი და მოწოდება უფლისადმი საკმარისი გახდა — „გარდამოვარდა ცეცხლი უფლისა მიერ ზეცით და შეჭამა მსხვერპლი იგი და შეშა იგი და მიწა იგი და წყალი იგი, რომელ დგა ტბასა მას, აღწყა ცეცხლმან მან“.

ეს მოხდა და მაშინვე ძირს დაემხო საკრებულო ძეთა ისრაელისათა. დაემხო და აბღავლდა: „ნანდვილვე უფალი იგი არს, უფალი იგი არს ღმერთი!“

— ახლა შეიპყარით უკლებლივ ყველა ეს ცრუწინასწარმეტყველი ბაალისა! — ბრძანა ელიამ.

მიესივნენ ისრაელნი და შეიპყრეს ყველა ქურუმნი ბაალისანი. იქვე გაიყვანეს, კიშონის ნაღვარევს, და ისევ ელიას ბრძანებით ყველანი ჩახოცეს.

მერე მეფეს მიუბრუნდა ელია: ახლა წადი, ჭამე, დალიე და მალე წვიმაც იქნება, რადგან უკვე კიდევაც მესმის მისი ხმაო („რამეთუ ხმაი ბგერისა წვიმისა არს“).

მეფე წავიდა პურის ხაჭმელად. ელია კი ქარმელის მთას აუყვა. შესდგა, ჩაჯდა, თავი მუხლებში ჩაიმხო და ასე ყურს უგდებდა მიწას.

მერე ბიჭს მიუბრუნდა, თან რომ ახლდა, წადი ზღვას გაჰხედე, თუ რამ ხდებაო. წავიდა ბიჭი, მობრუნდა და თქვა, არაფერიც არ ხდებაო..

შვიდჯერ წადი და შვიდჯერ გაჰხედეო, უთხრა ისევ ელიამ.

შვიდჯერ გავიდა ყრმა იგი. და სწორედ მეშვიდედ მან თვალი მოჰკრა

ზღვაზე ამომავალი ღრუბლის უმცირეს ნაფლეთს („ვითარცა ნები კაცისა"), და მოახსენა ელიას ბიჭმა იმ ფიორა ღრუბლის გამოჩენა.

ახლა გაიქეც და მეფეს მოახსენე, სასწრაფოდ ეტლში ჩაჯდეს და მთას გაშორდეს, რათა წვიმამ არ მოუსწროსო.

ბიჭი გაიქცა მეფესთან.

ერთბაშად ქარი ამოვარდა, ღრუბლებმა ცა დააბნელეს და კოკისპირულ-მაც დაუშვა.

მეფე უკვე ეტლში იჯდა და მიქროდა ქალაქ იეზრეელისკენ, სადაც ედგა მაშინ სასახლე. იგი ტიროდა, აღტაცებული და გაოცებული.

ხოლო, „გამაოცებელი" მისი, ელია წინასწარმეტყველი, „უფლისგან წელმომტკიცებული", წინ უსწრებდა თვითონ მეფის ეტლს!

სასახლეს რომ მიუახლოვდნენ, ელია ჩამოშორდა მეფის ეტლს. იგი არ ენდობოდა დეფოფალ იზებელს.

მართლაც, როცა აქაბ მეფე ცოლთან შევიდა და ქარმელის მთაზე ელიას-გან დატრიალებული სასწაულები და, მასთან, ბაალის ქურუმთა ამოწყვეტაც აუწყა, ჭკუას მოეგო კი არა, სულ გაცოფდა იზებელი. გაცოფდა და მაშინვე ასეთი მუქარაც გაუგზავნა ელიას: შენ ხომ ელია ხარ და მე იზებელი, ესე და ესე მიყონ ღმერთებმა, თუ ხვალე შენი თავიც იქ არ დავაგოროო, სადაც ჩემი წინასწარმეტყველნი შენ დაგიწყვეტიაო.

დაფრთხა ელია და გაიქცა. გაიქცა ამჯერად სამხრეთით, ბეერ-შებას.

ბიჭი იქვე დატოვა. თვითონ კი ერთი დღის სავალზე უდაბნო გაიარა, ბოლოს ერთი ბელეკუნის ბუჩქის ძირას მიწვა და უფალს შესთხოვა: გთხოვ მომაკვდინო, უფალო, საკმარისია რაც ვიცოცხლე, მიიღე სული ჩემი, რამეთუ მე არა ვარ მამათა ჩემთა უმჯობესიო.

ამ სათხოვარით დაიძინა იმ ბუჩქის ქვეშ.

თითქოს, ვიღაც შეეხო და ხმაც მოესმა: ადექ და საჭმელი სჭამეო.

გამოიღვიძა. არვინ იყო, საჭმელ-სასმელი კი ელაგა იქვე.

უეჭველად უფლის ანგელოზი იქნებოდაო, გაიხარა ელიამ და მიირთვა „ღვთით მორთმეული" ულუფა.

ისევ დაიძინა. ისევ მოესმა ხმა: ადექ და ჭამე, რამეთუ გრძელი გზა გექ-ნებისო.

ადგა, ჭამა, სვა და გაუდგა გზას სამხრეთისაკენ. ორმოცი დღე იარა ღა მივიდა სინას მთაზე, ხორების მწვერვალზე (იქ, სადაც მოსე ხვდებოდა იეჰო-ვას) ავიდა და დიდ ქარანძავში ჩაძვრა, სიკვდილამდე იქ დასარჩენად.

მაგრამ განვლო მცირე ჟამმა და მას მოესმა ხმა ზეციერი: ქალაქი რად მიატოვე და აქ რად მოხვედიშ

ელიამ ეს ხმა „ღმერთ საბაოთის" ხმად ირწმუნა და მაშინვე უპასუხა: მე ცრუ წინასწარმეტყველნი ამოვსწყვიტე, ხალხი შენს კვალზე მოვაბრუნე, ამისთვის კი დედოფალმა მოკვლა დამიპირა და ამიტომ აქეთ გამოვიქეცი.

გამოქვაბულიდან ამოდი და გაშორდიო, — მოესმა ისევ უფლის ძახილი.

ელიაც ამოვიდა და გაიარა. მალე ამას მიწის ძვრა მოჰყვა, ძვრას განპება და ცეცხლის ფრქვევა. მერე, ყველაფერი რომ მიწყნარდა, კვლავ „უბრძანა საბაოთ უფალმა“: წადი, გაბრუნდი, სიკვდილის ნუ გეფიქრება, ჯერ სირიაში მიდი, დამასკოში, და იქ მეფედ ა ზ ა ე ლ ი აკურთხეო; დამასკოდან ისრაელს მიბრუნდი და ისრაელის ახალ მეფედ ი უ ი, ძე ნამესისა (ნიმში), გამოაცხადეო, და კიდევ, — შენს მემკვიდრე წინასწარმეტყველად ე ლ ი ს ე (ელიშა) საფატის ძე აკურთხეო.

და წამოვიდა ელია, „ღვთის შთაგონებით“, ამ „სამი კურთხევისთვის“ და კიდევაც აღასრულა: სირიის მეფედ აზაელი გამოაცხადა, ისრაელის მეფედ იეჰუ და, ბოლოს, ელისე მოიკითხა, თავის მემკვიდრედ.

ელისე გუთანს ეკიდა და მიწას ხნავდა მაშინ. თორმეტ ხარიან ყევარს მისდევდა გუთნისდედა. ელიამ ხალენი (წამოსასხამი) მოიხსნა და ესროლა ელისეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ წინასწარმეტყველი თავის მიმდევრად და მოწაფედ იწვევდა გუთნისდედას.

უსაზღვროდ გაიხარა ელისემ. მხოლოდ მშობლებს და ნათესავებს დავემშვიდობებიო, სთხოვა მოძღვარს და დასტურიც რომ მიიღო, ორი ხარი უღლიდან გამოხსნა, წყვილად დაკლა, იმ გუთნისგანვე გაჩაღებულ ცეცხლზე შეწვა და ნაჭერ-ნაჭერ ხალხს დაურიგა. მერმე მშობლებს დაემშვიდობა და ელიას გაჰყვა ელისე, ძე საფატისა...

ელიას წასვლის შემდეგ, აქაბ მეფე ახალი ცოდვის კვალს დაადგა. მის მეზობლად ერთი ლევიტელი ცხოვრობდა, სახელად ნ ა ბ უ თ ე, შესანიშნავი მევენახე და ტალავრის პატრონი. და შეუჩნდა აქაბი ნაბუთეს, დამითმე ან მომყიდე შენი ტალავარიო. ნაბუთე ცივ უარზე დადგა, — ღმერთმა დამიფაროს, ჩემი მამა-პაპის ნაანდერძევი მემკვიდრეობიდან რაიმე დავთმოო.

მაშინ ისევ ამოქმედდა და აბოროტდა დედოფალი იზებელ. ცრუ მოწმენი მოისყიდა და ხალხის წინაშე ათქმევინა და დააფიცებინა, რომ ნაბუთეს, თითქოს, ღმერთი და მეფე ეგინებინოს. ეს გამოაცხადებინა და ნაბუთე, ვითარცა მკრეხელი, ქვის დაკრებით მოაკვლევინა. მოკლულის ვენახი კი მეფემ მიითვისა.

ელიამ, შეიტყო თუ არა ეს ამბავი, („უფალმა შეატყობინა“), მობრუნდა და შერისხა მეფე: კაცი მოჰკალი და ვენახი წაართვი? მოვა დრო და მაგ ცოდვისათვის შენს სისხლსაც ძაღლები ისე ალოკავენ, როგორც შენ ნაბუთეს სისხლი აალოკინე ძაღლებსო. იგივე დაემართება იზებელსაც, იმის ლეშსაც ქოფაკები შესანსლავენო.

უმძიმესმა შიშმა და ნაღველმა შეიპყრო აქაბ მეფე. სამეფო ტანსაცმელი შემოიგლიჯა ტანზე, სამგლოვიარო ძაძებით შეიმოსა, მძიმე მარხულობას მიეცა, — არ ჭამდა, არ სვამდა, არ იძინებდა.

ამას მალე გარეშე მტრის შემოსევაც დაერთო. ეს იყო სირიის, დამასკოს მაშინდელი მეფე, ბ ე ნ ა დ ა დ (ბენ-ჰადად) II, რომელმაც ევფრატის ზემო

წელზე ოცდაათამდე მოკავშირე გაიჩინა, ისრაელის დასამხობად და დასამონებლად.

და შემოესია ბენადადი ისრაელს დიდძალი ჯარებით, ქვეითთა გარდა, ცხენოსნებით და ეტლოსნებით. შემოესია და ალყად შემოადგა ისრაელის სატახტოს, სამარიას. მაშინვე ბენადადმა ელჩებიც შეუგზავნა და შეუთვალა აქაბს: ყველაფერი შენი — ცოლები, შვილები, საგანძურები — ერთიანად და განუყოფლად ჩამაბარე და მოვხსნი ალყას შენს სატახტოს და სულაც გაგეცლები ისრაელიდანო.

თანახმა ვარო, — უყოყმანოდ უპასუხა ისრაელმა სირიელს.

გათამამდა სირიელი და ახლა ასეთი რამ შეუთვალა ალყაში ჩავარდნილ ებრაელს: ხვალ შენთან ჩემი კაცები მოვლენ და, შენს საგანძურებს და ცოლ-შვილს ჩაიბარებენ, მერე დანარჩენ შენიანთა ოჯახებშიც შეუშვი და იმათგანაც რაც მოეწონებათ, ყველა და ყველაფერი გამოატანეო.

ახლა კი მოეგო გონს აქაბ; სასწრაფოდ წარჩინებულ მრჩეველთა საბჭო შეჰყარა და გამოაცხადა: დამასკოს მეფემ საგანძურები, ცოლნი და შვილნი მომთხოვა, მეც უარი არ მითქვამს და თქვენ რაღას მირჩევთო.

არავითარ შემთხვევაშიო, — ერთხმად შეჰყვირეს მეფეს — მტერს მის ბოროტ მოთხოვნებზე მკაცრი უარი შეუთვალეო.

და შეუთვალა უარი აქაბმა ბენადადს.

ცოფები ჰყარა ბენადადმა: მე ჩემმა ღმერთებმა ესე და ესე მიყონ, თუ შენი სამარის მიწა ჩემ მეომრებს მუჭა-მუჭად და ლუკმა-ლუკმად არ დავატაცებინოო.

მაშ, სისხლისღვრა გარდუვალი შეიქნა.

ბრძოლის წინა დღეს მეფე აქაბს წინასწარმეტყველი მიხა ეწვია და, — თუმცა მისი ხილვა მეფეს არც კი ეპიტნავებოდა — მაინც გაამხნევა: მიუხედავად იმისა, რომ მტერი რიცხობრივად შენზე გაცილებით მეტია, უფლის გადაწყვეტილებით, მაინც შენ გაიმარჯვებო. თან რჩევაც მისცა მიხამ, როგორ უნდა დაეწყო ბრძოლა მეფეს: ოლქთა მეთაურებმა უნდა დაიწყონ და ყველამ ცალკეულად უნდა შემუსროს მის წინ მდგარი მტრის ლაშქარიო. ასეთი „ოლქის მეთაური“ კი 232 აღმოაჩნდა ისრაელს.

და ყველამ ერთად თავ-თავისი ლაშქრით შეუტია მტერს.

სირიელები სასტიკად დამარცხდნენ. თვითონ მეფე ბენადადმა ძლივს გაასწრო სიკვდილს. იგი გაიქცა თავის სატახტო დამასკოში და ახალ საომარ-სარევანშო სამზადისს შეუდგა ისრაელზე კვლავ გასალაშქრებლად.

ისრაელის ღმერთი მთების ღმერთია და მის მონებს რომ მთებში შეებრძოლეთ, ამიტომაც დამარცხდით; ამიტომ მომავალი ბრძოლები დაბლობ ველზე ვაწარმოოთ და უეჭველად გავიმარჯვებთო, — ურჩიეს ბენადადს.

შეისმინა ეს თათბირი სირიელთა მეფემ და, პირველი მარცხიანი ლაშქრობიდან ერთი წლის თავზე, დიდძალი ჯარით კვლავ გაემართა ისრაელისკენ.

იზრეელის ველზე, ქალაქ აფეკის ახლოს, მივიდნენ და დაიბანაკეს სირიელებმა.

ისრაელებიც წამოემართნენ და მტრის პირისპირ დაიბანაკეს, ორ ბანაკად, „ვითარცა ორნი სამწყსონი თხათანი“.

ერთი კვირა იდგნენ ერთიმეორის პირდაპირ, ომის ლოდინით სისხლ-ამღვრეულნი. კვირის ბოლო. დღის დამდეგს კი დაეტაკნენ ერთმანეთს.

ბრწყინვალედ გაიმარჯვეს ებრაელებმა. ასი ათასი სირიელი მკვდრად დაირეცა ბრძოლის ველზე. დანარჩენები, ოცდაშვიდი ათასი მეომარი, პანიკით მოცულნი, ქალაქი აფეკის კედლებს მიაწყდნენ. აქ კიდევ კედელი ჩამოიქცა და ლტოლვილთაგან უმრავლესობა ქვეშ მოიქცია.

საშინელ სასოწარკვეთილებას მიეცა ბენადადი. ისევ კარისკაცებმა მისცეს რჩევა, — ისრაელი მეფენი საერთოდ გულმოწყალენი არიან და, თუ ნებას დაგვრთავ, ჩვენ თვითონ ტანზე ძაძაჩაცმულნი და ყელზე თოკჩაბმულნი ვეახლებით აქაბ მეფეს და მშვიდობაზე დავითანხმებთო.

ახლავე წადითო, — მიუსწრაფა პასუხი ბენადადმა. კარისკაცებმაც მაშინვე ძაძები ჩაიცვეს, ყელში თოკები ჩაიბეს, აქაბ მეფეს ეახლნენ, მუხლებში ჩაუცვივდნენ და შეჰღაღადეს: ჩვენ გვსმენია, რომ ისრაელის მეფენი დიდსულოვანი და გულმოწყალენი არიან; ჩვენი მეფეც იმედოვნებს, რომ შეიწყალებთ და გითვლით კიდეც, მონა ვიქნები თქვენიო.

— როგორ, ნუთუ ცოცხალი გადარჩა თქვენი მეფეო? — „გაიხარა“ აქაბ მეფემ და „გახარებით“ და „სიყვარულით“ დასძინა: იგი ხომ ძმა არის ჩემიო!

— ძმა არის, შენი ძმა ბენადადიო, — იბღავლეს მოციქულებმაც.

— წადით და ახლავე მომიყვანეთო, — ბრძანა ისევ აქაბმა.

და მოიყვანეს ძლეული სირიელი ძლევამოსილ ებრაელთან. მიეგება აქაბი დამარცხებულს და დამცირებულს, მიეგება, ვითომ როგორც სწორი სწორს, „ძმა ძმას“, ეტლში ჩაჯდა, გვერდით დაისვა და პირველი სიტყვის ნებაც მას დაანება.

დამარცხებულსაც რაღაის „ნება“ უნდა ჰქონოდა და ესღა მიუგო სირიელთა მეფემ ისრაელთ მეფეს: მამაჩემმა რომ მამაშენს ქალაქები წაართვა, იმ ქალაქებს უკანვე გიბრუნებო; ამასთან, დამასკოშიც ისეთივე საკუთარი მოედანი გექნება შენ, როგორც მამაჩემს ჰქონდა სამარიაშიო.

მოიწონა ეს დათმობანი აქაბმა ბენადადისგან და ამავე პირობებზე დაფიცების შემდგომ, განუტევა კიდეც თავისუფლად მისსავე სირიაში.

თვითონ კი, აქაბ მეფეს, სამარიისკენ გაბრუნებულს, გზაზედ ისევ დაუხვდა მიხა წინასწარმეტყველი და უთხრა: რაკი შენ შენის ხელითგან ცოცხლად გაუშვი მტერი ჩვენი და ჩვენი უფლისა, ამისთვის არც შენ და არც მთელს ისრაელსაც უფლისგან უმკაცრესი სასჯელი არ ასცდებაო.

ამ ნაწინასწარმეტყველებით საშინლად შეძრული და შეშფოთებული დაბრუნდა აქაბ მეფე სამარიაში. დაბრუნდა და იმის მაგივრად, ჭკუით აეწონ-

დაეწონა ჭკვიანი კაცის ნათქვამი, მიხა შეაპყრობინა და დილეგში ჩააგდებინა.

გავიდა სამი წელიწადი.

ამასობაში იერუსალემ-იუდეიის მეფე ი ო ს ა ფ ა ტ ი (იეჰოშაფატ) მორჭმით განაგებდა თავის სამფლობელოებს. იყო იგი მკაცრ-მიმდევარი უფლისა და მოსეს სჯულისა, სამართლიანი გამგებელი, მომჭირნედ მხარჯველი და დოვლათის დამგროვებელი. თავისი სახელმწიფოს ყოველ კუთხეში მუდმივი ზედამხედველობა დაეწესებია, ხალხში ღვთისმსახურებისა, სამეურნეო საქმიანობისა და საჭირო შემთხვევაში, სალაშქრო განწესრიგებათა განუხრელი მზადყოფნისათვის. ყოველ მნიშვნელოვან ციხე-ქალაქში მუდმივი ციხიონი ედგა.

მეზობლებიც ანგარიშგაწევით და პატივისცემით ეპყრობოდნენ იუდეიის მეფეს. მარტო აგარის მოდგმისაგან (არაბთაგან) ყოველწლიურად ექვსას ოცდათი ცხვარი და ამდენივე თხა მოსდიოდა საჩუქრად.

იოსაფატი მოძმე ისრაელთან ძმობისა და მოყვრობის გზას ადგა. მან თავის ძეს, ი ო რ ა მ ს, ცოლად მოუყვანა აქაბ მეფის ასული, გ ო თ ო ლ ი ა (ათალია).

ბოლოს, სამარიაში, ისრაელის სატახტოში, ერთმანეთს შეხვდნენ მძახლები — აქაბი და იოსაფატი; და აქვე, მდიდრულ ტრაპეზზე, აქაბმა შესთავაზა სტუმარს: ვიყოთ ერთად და ერთად ვეომოთ ჩვენს საერთო მტრებს, სირიელებსო.

და იოსაფატმაც ეს უპასუხა: იყოს ეგრეთ — „ვითარცა შენ, ეგრეთცა მე, ვითარცა ერი შენი, ეგრეთცა ერი ჩემი, ვითარცა სახედარნი შენი, ეგრეთცა სახედარნი ჩემნი“.

აქაბს პირველ სამიზნედ აეღო რ ა მ ა თ გ ა ლ ა ა დ ი ს ა (რამათ-მიცფა), იორდანეს აღმოსავლეთით, ცნობილი ქალაქი, რომელიც ადრე სირიელებს წაერთმიათ ებრაელებისთვის.

თანახმა ვარო, — უპასუხა იოსაფატმა — ოღონდ, სანამ ომს დავიწყებდეთ, უფალს შევეკითხოთ, მოგვიწონებს თუ არა სირიის მეფესთან ზავის დარღვევას და ომის გაჩაღებასო.

აქაბმაც მოიწვია ყველა წინასწარმეტყველი. სულ, ოთხასამდე შეგროვდა „უფალთან მოსაუბრე“. ოთხასივემ მიუხარობლა აქაბ მეფეს: ომი დაიწყე და უეჭველად შენი აჯობებს სირიელებისასო.

იოსაფატს კი არ მოეწონა ასე ერთხმივად მაამებლური „წინასწარმეტყველება“ და აქაბს ჰკითხა, კიდევ ხომ არ დაგრჩენია ბრძენთაგან ვინმე მოუხმობელი, იმასაც რომ ვკითხოთო ჭკუა.

ასეთი კი მყავს, მაგრამ მისგან არასოდეს სასიამო არაფერი მომისმენია და ახლა, ავსიტყვაობისთვის დილეგშიც მყავს ჩამწყვდეულიო, — უპასუხა აქაბმა.

აუცილებლად მოაყვანინე ის კაციო, — აიჩემა იოსაფატმა.

და მოიყვანეს მიხა წინასწარმეტყველი.

და იწინასწარმეტყველა მიხამ: თუ ბრძოლას დაიწყებთ, წაგებთ და თვითონ მეფე აქაბიც ბრძოლაში დაიღუპებაო.

აი, ხომ გითხარი, ეს კაცი მუდამ ჩემს სამტროდ ქადაგებსო, — შესძახა აქაბმა იოსაფატს.

იმ „მაამებელ წინასწარმეტყველთაგან“ ერთი ს ე დ ე კ ი ა, ძე ქენაანისა, აგრეთვე გამოუხტა მიხას და აძაგა და „ამხილა“ მისი „ცრუ წინასწარმეტყველება“.

მიხა თავის ნათქვამს არ გადაუდგა. აქაბ მეფემ კი იგი ისევ დილეგში ჩააგდებინა, მარტო პურისა და წყლის ამარად.

მაშინვე სალაშქრო გზაზე გასვლაც ბრძანა აქაბ მეფემ. ეჭვით დამძიმებული იოსაფატიც გაჰყვა თავისი ლაშქრით.

ბენადიდიც გამოეშურა, სირიული მხედრობით, მტრებთან შესახვედრად.

მოპირდაპირენი მივიდნენ და საომრად დადგნენ სწორედ რამათ გალაადის ახლოს.

აქ, კიდევ, ბრძოლის გახსნამდე, აქაბმა ასეთი ტაქტიკა გაიაზრა: მაინც და მაინც, იმ ავსიტყვა მიხას ნათქვამი რომ არ ახდეს — ბრძოლაში მეფე დაეცემაო — მეფის ინსიგნიები მოიხსნა და რიგით მეომრებში გაერია. ასე რომ, მეფედ მორთული მარტო იოსაფატი აღმოჩნდა ებრაელთა ჯარების წინ.

ბრძოლა დაიწყო. იგი გაგრძელდა მთელი დღე.

ბეწვზე გადარჩა სიკვდილს იოსაფატი. იგი, მეფედ მორთული. სირიელებს აქაბი ეგონათ და მიუხდნენ კიდეც მოსაკლავად, მაგრამ იოსაფატმა იყვირა, სირეიელებიც მიხვდნენ ვინც იყო და თავი ანებეს.

ებრაელები დამარცხდნენ იმ დღეს.

ბრძოლაში დაიღუპა ისრაელის მეფე აქაბი, რომელსაც ვერ უშველა „კონსპირაციამ“. იგი, როგორც რიგითი მეომარი, სასიკვდილოდ დაჭრა ვიღაც სირიელმა ჭაბუკმა, რომელსაც სახელად რქმევია ა მ ა ნ.

მიხასთან ერთად, ელიას ნაწინასწარმეტყველევიც აუხდა მეფეს — შენ რომ ნაბუთეს სისხლი ძაღლებს ალოკინე, აგრეთვე შენს სისხლსაც ძაღლები ალოკავენო. როცა იგი ბრძოლის ველიდან ეტლით სამარიაში მიასვენეს და ცხედრის გაპატიოსნების შემდეგ, მეფის სისხლით გასვრილი ეტლიც განბანეს, ნასისხლარ ნაბანს ძაღლები მიესივნენ, სალოკავად და სასვლეპავად...

8. იოსაფატ და ახაზია

ხოლო, ბრძოლიდან მობრუნებულ იოსაფატს გზაზე წინასწარმეტყველი ი ე ჰ ო ი ა დ ა გადაუდგა და უთხრა: უფალი შენზე ძალიან ნაწყენია, უღვთო და მკრეხელ აქაბს რომ შეუკავშირდი, მაგრამ შენი ღმრთისმოსაობისა და სამართლიანობისათვის მაინც გაპატია და შინაც მშვიდობით იმიტომ ბრუნდებიო.

ეს შენიშვნაც ყურად იღო ჭკვიანმა მეფემ და იერუსალემს მისვლისთანავე ახალი ენერგიით შეუდგა თავის სამეფოში კვლავაც ტრადიციული ღვთისმსახურებისა და სამართლიანობის ამაღლება-განმტკიცებას. ადგილებზე, ქვეყნის ყოველ კუთხეში მღვდელმთავრები და მსაჯულები დასვა. სახელმწიფოს უმაღლეს ქურუმად დააყენა ა მ ა რ ი ა, მსაჯულთმთავრად — ზ ებ ე დ ე.

დიდი ომის საფრთხეც დაემუქრა იოსაფატს. აღმოსავლეთიდან, მკვდარი ზღვის მხრიდან, იუდეას შემოესივნენ ყამონელთა და მოაბელთა გაერთიანებული ძალები.

მოვიდნენ და დადგნენ მკვდარი ზღვის დასავლეთ მხარეს, ადგილზე, რომელსაც ერქვა ჰ ა ც ა ც ო ნ — თ ა მ ა რ („საბელავი პალმათა"), ანუ ე ნ გ ე დ ი („თხის წყარო").

დაფრთხა იოსაფატი, მთელს სახელმწიფოში მარხვა გამოაცხადა, მორიას მთაზე, სოლომონის ტაძარში ხალხი შეჰყარა, უმეტეს წილ ქალნი და ბავშვნი, და ლოცვა აღავლინა უფლისა მიმართ.

ამის შემდეგ მეფემ ჯარს წინ ქურუმნი და მგალობელნი ფსალმუნთა გალობით წაუმძღვარა და დასავლეთისკენ, მტერთან შესახვედრად გაეშურა.

როცა ადგილზე მივიდნენ, ანუ ენგედს მიუახლოვდნენ, იხილეს სრულიად მოულოდნელი, მანამდე გაუგონარი ამბავი: თურმე მოაბელნი და ყამონელნი თვითონ წაჩხუბებულან და, სანამ იუდეველები მოვიდოდნენ, მანამ მათ კიდევაც ამოუწყვეტიათ ერთმანეთი.

იოსაფატს და მის მეომრებს ისღა დარჩენოდათ, მტრის ბანაკი ნადავლად აეღოთ და უფლისთვის მისი ეგზომი სასწაულებრივი მოშველიებისათვის სამადლობელი, სადღესასწაულო მსხვერპლშეწირვა გაემართათ.

ისრაელის ტახტზე კი ა ხ ა ზ ი ა (აქაზ-იაგუ) იჯდა, ძე აქაბისა (852—851).

იოსაფატი და ახაზია თანხმობით და მოყვრობით ცხოვრობდნენ. ერთად ფლოტიც კი ააგეს და მეწამულ ზღვაზე გაუშვეს, სამხრეთისაკენ. თუმცა ქარიშხალმა ის ფლოტი დაშალა და დალეწა და ამის შემდეგ ებრაელ ხელმწიფეებს ხომალდების აგება აღარ უცდიათ.

ახაზია საკუთარ შინასახელმწიფოებრივ პოლიტიკაში თავის მამა-პაპას, ისრაელის წინარე მეფეებს ჰბაძავდა. დედამისი იზებელიც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და თავისი თვითნებური თვისებებით დიდ გავლენას ახდენდა შვილის მმართველობაზე.

გამეფებიდან მეორე წლის ზაფხულს მოაბის მეფე მ ე შ ა განუდგა და ხარკის ძღვევა შეუწყვიტა ახაზიას. ეს ხარკი, რომელსაც მანამდე მოაბის მეფე ახაზიას მამას, აქაბს უხდიდა, შეადგენდა 100 000 გაუპარსავ ცხვარს.

ახაზიამ ყურიც არ გაიბერტყა მოაბის მეფის ასეთ პირდაპირ განდგომა-გაურჩებაზე.

მალე კიდევ ახალი უბედურება ეწვია ისრაელის მეფეს: სახლის ბანიდან გადმოვარდა და მძიმედ დაშავდა. მწოლიარობა გაუგრძელდა და სამკითხაოდ ფილისტიმელთა ღმერთის, ბეელზებულის („ბუზების ღმერთი") ქურუმთან გაგზავნა, კითხვით — მოვრჩები თუ არა ასე უეცრად შეყრილი ავადმყოფობისგანო.

შეიტყო ეს ელია წინასწარმეტყველმა, მეფისგან წარგზავნილებს გზაზე დაუხვდათ და შესძახა: როგორ თუ მეფე უცხო ღმერთთან გაგზავნით, განა ებრაელებს თავისი ღმერთი არა ჰყავთ? ახლავე უკან მობრუნდით და მეფეს მოახსენეთ, რომ მისი ავადმყოფობა არ განიკურნება!

მართლაც მიბრუნდნენ უკან მოციქულები და მოახსენეს ყოველივე „იმ კაცისგან" დანაბარები.

ამიწერეთ, როგორი იყო ის კაცი, — ბრძანა ახაზიამ. იმათაც აუწერეს: ბანჯგვლიანი და წელზე თოკშებმული. ელია წინასწარმეტყველი ყოფილაო, იყვირა მეფემ, და მაშინვე ათასისთავი იხმო, ორმოცდაათი მეომარი მისცა და ელიას შესაპყრობად და მოსაყვანად აფრინა.

მაგრამ ხელცარიელი დაბრუნდა უკან ათასისთავი იგი. ელია მთაზე დგას და, როგორც ჩანს, ღმერთი იცავს, რაკიღა, როგორც კი შეპყრობა დავუპირე, ციდან ელვამ და ცეცხლმა იწვიმაო.

ახლა სხვა მეთაური გაგზავნა მეფემ, სხვა რაზმეულით, მაგრამ ისიც ისევე გაწბილებული და „ციური ღვთისრისხვით" დამფრთხალი დაბრუნდა უკან.

ბოლოს კიდევ მესამე კაცი გაგზავნა ახაზია მეფემ ძალით ელიას მოსაყვანად. ამ კაცს კი ძალაზე ხელი აუღია და ხვეწნამუდარით მოულბია გული გაკერპებული წინასწარმეტყველისთვის.

და ასე, ელია ჩამოვიდა მთიდან, წამოჰყვა იმ მესამე წარგზავნილს, მოვიდა სამარიას და წარუდგა მეფეს.

წარუდგა და პირდაპირ უთხრა ახაზიას „უფლის განაჩენი": იმის გამო, რომ საშველად შენ მიმართე უცხო ღმერთს და არა საკუთარ უფალს, უფლითვე გადაწყვეტილია, მაგ სარეცლიდან ადგომა არ გეღირსება და შენი სიცოცხლეც მანდვე დასრულდებაო.

ასედაც მოხდა. ახაზია იმ ხეიბრობისგან მოურჩენლად აღესრულა.

ამის შემდეგ აღარც ელია წინასწარმეტყველი უნახავს ვისმეს. იგი ზეცად ამაღლდაო, ანუ თვითონ უფალმა წაიყვანაო — იტყვიან იმთავითვე დაბეჯითებით.

ახაზიას კი ძე არ დარჩენია და ისრაელ-სამარიას ტახტი დაიჭირა მისმა ძმამ, ი ო რ ა მ მ ა (იეჰორამ).

იორამი გაცილებით გაბედული კაცი აღმოჩნდა, ვიდრე მისი ძმა და გაშეფებისთანავე ომი გამოუცხადა მოაბის მეფეს, მეშას, რომელმაც ისრაელის სასახლეს იმ ხარკის (100 000 გაუპარსავი ცხვარი) მიცემა შეუწყვიტა.

თან, მოაბელთა წინააღმდეგ საომრად, იორამმა მოკავშირეობა და თანალაშქრობა სთხოვა იუდეიის მეფე იოსაფატს.

იოსაფატიც უმალვე დათანხმდა და მოაბის წინააღმდეგ საომრად მისი ქვეშევრდომი იდუმეიის (ედომი) მეფეც კი გამოიყვანა.

ასე, სამივე მეფე გაერთიანებული ჯარებით — ისრაელელებით, იუდეველებით და იდუმეელებით — გაემართნენ მოაბისაკენ.

მოკავშირეებმა, მტერს რომ მოულოდნელად დასხმოდნენ, სამხრეთის გზა აირჩიეს, იდუმეიის მხრიდან გაშლილი უდაბნო.

მაგრამ უდაბნოში გზა დაებნათ და მთელი კვირა უგზოუკვლო ხეტიალში უწყლობით და უპურობით საშინლად გაუჭირდათ. ბოლოს, ელისე წინასწარმეტყველის რჩევით, ნალვარევ ხევებში გავიდნენ, ჭები ამოთხარეს და წყალი შოიხვეჭეს.

ასე მოსულიერებულნი და მომაგრებულნი შევიდნენ მოაბელთა მიწაზე. შევიდნენ და საშინლად ააოხრეს ქვეყანა, ქალაქები გაძარცვეს, დაანგრიეს და გადასწვეს, ყანები გათელეს და ბაღ-ვენახები გაჩეხეს.

ბოლოს, მოაბის სატახტო ქალაქს, კირ-ქარეშეტს შემოარტყეს ალყა.

მეშამ შვიდასი მეომრით ალყის გარღვევა სცადა, მაგრამ ვერაფერს გახდა და იძულებული შეიქნა უკანვე შებრუნებულიყო და შეკეტილიყო.

სატახტო წუთიწუთს უნდა დაცემულიყო და მაშინ მეშამ ქალაქის უმაღლეს კედელზე, მტრის თვალწინ, გამოიყვანა პირმშო ძე, ტახტისმემკვიდრე თვისი, და ღმერთი ქამოშის საწირავად, საკუთარი ხელით გამოსჭრა ყელი.

ამ მოულოდნელი, საარაკოდ საშინელი სანახაობით თავზარდაცემული მოკავშირე მეფენი და მათი ჯარები ერთბაშად ქალაქს მოწყდნენ და უკანმოუხედავად გაიქცნენ.

ამის შემდეგ, იერუსალემს მიბრუნებულ იოსაფატს დიდხანს აღარ უცოცხლია. იგი აღესრულა 60 წლისა, მისი მეფობის 24 წლის თავზე (ძვ. წ. ანუ ქრ. წ. 846). დაიკრძალა იქვე, სიონის სამეფო საძვალეში.

იუდეა-იერუსალემის ტახტზე ავიდა მისი უფროსი ძე, სახელად ი ო რ ა მ (846—843).

7. იორამ და იორამ

მაშ, ახლა ორივე ებრაულ სამეფო ტახტზე იჯდა ორი იორამ: ისრაელ-სამარიაში — იორამ ძე ახაზიასი, იუდეა-იერუსალემში — იორამ ძე იოსაფატისა.

იყვნენ სიძე-ცოლისძმა: იორამ სამარიელის დაი, გოთოლია, აკი ცოლად ჰყავდა იორამ იერუსალემელს.

დგას ქრისტეს წინარე IX საუკუნის პირველი ნახევარი.

სამხრეთდასავლეთიდან ნაკლები საშიშროება აქვთ ებრაელებს, რადგან ეგვიპტე ფრიად დასუსტებულა ამ დროს.

ვერც აღმოსავლეთიდან გრძნობენ საშიშროებას, თუმცა ევფრატის ზემო წელზე აღზევებას იწყებს ასურეთის (ასირია) სახელმწიფო. ეს ასურეთის „მეორე აღზევებაა", მეფე ა შ უ რ ნ ა ს ი რ პ ა ლ II-ის ენერგიული ხელმწიფობით. აშურნასირპალი ორი იორამის თანამედროვეა. თუმცა ასურეთის მრისხანე ხელმწიფეს დასავლეთ ქვეყნებისა და მათ შორის პალესტინისთვის ჯერ არ სცალია. ჯერ იგი აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის მოუსვენარ ხალხებთან ბრძოლებით არის დაკავებული.

ებრაელთა მეტოქე და მოსისხლე მტერი კვლავ არის სირია, ანუ დამასკოს სამეფო, რომელსაც ჩვეული ენერგიით კვლავ ხელმწიფობს ბენადად II.

და დაიძრა ბენადად დიდძალი საომარი ძალებით ისრაელისკენ. დაუბრკოლებლად შეიჭრა მის საზღვრებში და დაუბრკოლებლადვე მიადგა სამარიას.

ისრაელის მეფემ, იორამ აქაბის ძემ, მტრის შესაკავებლად ლაშქრის შეყრაც ვერ მოასწრო და მხოლოდ სატახტო ქალაქის მიუვალობისა და შეუღწევლობის იმედად დადგა.

სირიელებმა რკინის სალტეში მოაქციეს სამარია. ქალაქში შიმშილი ჩამოწვა. ერთი ვირის თავი ოთხმოც ვერცხლის შეკელად ფასობდა, მტრედის განავლის მეოთხედი ნაწილი (!) ხუთი შეკელი (მტრედის სკორეს მარილად ხმარობდნენ).

იორამ მეფე შიშობდა, ვინმე მისი ქვეშევრდომი შიმშილს სულიერადაც არ დაეძლია და მტრისთვის იდუმალ კარი არ გაეღო. ამიტომ თვითონ დღე და ღამ გარეთ იყო, ქალაქის კედლებსა და კარიბჭეებს უვლიდა და თვალს არ აცილებდა.

ერთი ასეთი ჩამოვლისას მეფეს ქალის გასავათებული ხმა მოესმა, მომეშველე, ჩემო ხელმწიფეო, — ეძახდა იგი.

თუკი ღმერთმა არ გიშველა, მე როგორღა გიშველო ამ კალოსა და საწნახლისგანო? — მიუგო მეფემ.

არა, მე სხვას მოგახსენებო, — განგარძობდა ქალი — აი, მე და ის ქალი (მეორე ქალი აჩვენა) შევთანხმდით, ჯერ ჩემი შვილი დაგვეკლა, მოგვეხარშა და გვეჭამა ერთად, მერე, მომდევნო დღეს კი მისი შვილი შეგვეჭამაო. და ასე,

გუშინ რომ ჩემი ბალღი შევჭამეთ, დღეს მაგ დედაკაცმა თავისი შვილი სადღაც გადამალა და აღარ დამაკვლევინაო.

ეს საშინელება რომ ისმინა, მეფემ ტანსაცმელი დაიპო ტანზე და ოდენ სამგლოვიარო ძაძით მოსილი ვიდოდა ისევ კედელთა გასწვრივ.

მაგრამ მაინც გაუძლო სამარიამ მტრის უსაშველო ალყას. ერთ დღეს სამარიელებმა იხილეს კიდეც, როგორ აყრილიყვნენ და გადაქარებულიყვნენ მათი ქალაქის წრეწირიდან სირიელთა ჯარები.

სამარიის ამ მოულოდნელ დახსნას ელისე წინასწარმეტყველის სასწაულებრივ ნებას მიაწერდნენ ებრაელები.

თვითონ სირიელთა მეფე ბენადად ამ „ღვთისრისხვით მოვლენილი" მარცხით დამფრთხალი, დამასკოში მისვლისთანავე ლოგინად ჩავარდა. ავადმყოფ მეფეს მისი უახლოესი კარისკაცი, ა ზ ა ე ლ ი „წაეშველა" — პირზე სველი საბანი დაახურა, ზედვე დააწვა და დაახრჩო. სამეფო გვირგვინიც იქვე იდო და კიდევაც მაშინვე მოირგო თავზე იგი აზაელმა.

ეს ახალი მეფე სირიისა სწორედ ის აზაელი იყო, რამდენიმე წლის წინ ელია წინასწარმეტყველმა ღვთის შთაგონებით რომ იდუმალ სცხო მეფობის მირონი.

ებრაელთა მეფეებმა, ორივე იორამმა ფრიად გაიხარეს ბენადადის სიკვდილით. მაგრამ მალე დარწმუნდებიან, რომ დამასკოს ტახტზე უფრო ძლიერი ხელმწიფე ასულიყო, მაშასადამე უფრო ძლიერი მტერი, რომელიც ორმოცი წელიწადი იმეფებს და იბოროტებს ებრაელთა საბოროტოდ და სავაებოდ.

იმჟამად იუდეა-იერუსალემის ტახტს განუდგა იდუმეა (ედომი). იდუმეელებმა იორამ იერუსალემელის მიერ დანიშნული მმართველი მოკლეს და მის სანაცვლოდ, მეფედ თავისიანი დაისვეს.

სასწრაფოდ შემოიყარა ჯარი იორამ იერუსალემელმა და წარემართა იდუმეისკენ. პირველი დატაკებით იდუმეელთა პირველ შემხვედრ ჯარს თითქოს სძლია იუდეველთა მეფემ, მაგრამ უცებ მთელი იდუმეა აღსდგა საომრად. აჯანყებულებმა მეზობლებიც შემოიერთეს და მძლავრი კონტრიერიშებით უკუაქციეს ებრაელნი.

დამარცხებული დაბრუნდა იორამი იერუსალემს. მისი ავტორიტეტი ისედაც დაცემული იყო მის ქვეშევრდომებში. ებრაელი მეფე ებრაელთა უფლისაგან ნაანდერძევ და ნაკურთხ კანონებს პატივს არ სცემდა და აშკარად უცხოურ კერპებს ეთაყვანებოდა. მეფეს მკრეხელურ საქციელში დიდი წილი ედო მის ცოლს, გოთოლიას, რომელიც საერთოდ თავის ნებისად ათამაშებდა ბუნებით უნებისყოფო და უპრინციპო ქმარს.

ყველაზე დიდი ცოდვა გამეფებისთანავე დაიდო კისრად იორამ იერუსალემელმა, თავისი ექვსი ღვიძლი ძმა და მათთან წარჩინებული მოქალაქენი ოჯახებიანად რომ ამოწყვიტა.

ელია წინასწარმეტყველი სწერდა ცოდვილ ხელმწიფეს: დავითის ღმერ-

ხი, უფალი ჩვენი, შეგაჩვენებს და დაგსჯის შენ შენი უსჯულო ქცევებისთვისო.

ღვთის სასჯელსაც აღარ დაუგვიანებია. იუდას ფილისტიმელები და არაბები შემოესივნენ, ქვეყანა და მისი სატახტო გაძარცვეს და გაატიალეს, თვითონ მეფის სასახლეც დაარბიეს, საგანძურები დაიტაცეს, მეფის შვილები და ცოლები ტყვედ წაიყვანეს. მხოლოდ ერთადერთი ძე დარჩა იორამს — ა ხ ა ზ ი ა, რომელმაც მაშინ გაქცევით უშველა თავს.

თვითონ მეფე იორამი ლოგინად ჩავარდა. მთელი ორი წელიწადი იტანჯებოდა რაღაც საშინელი და მოურჩენელი ავადმყოფობით, შინაგან ნაწლევთა წვითა და დაგვით.

და ასე ტანჯვით აღესრულა იორამ იერუსალემელი, თავისი უბედური მეფობის სამი წლის თავზე (843 ქრ. წ.).

ხალხმა იგი არ იგლოვა და არ დაიტირა. არც დავითის საძვალეში აღირსეს დაკრძალვა.

გამეფდა მისი ძე ა ხ ა ზ ი ა.

ისრაელში კი ისევ განაგრძობდა თავის „ურჯულო მეფობას" მეორე იორამი.

ისევ გრძელდებოდა მტრობა ისრაელებსა და სირიელებს შორის. იორამმა გადაწყვიტა ერთხელ და სამუდამოდ წაერთმია დამასკოს მეფისათვის რამოთ გალაადისა (რამათ-მიცფა). იუდეიის ახალი მეფეც, ახაზია აიყოლია და დიდძალი ებრაული მხედრობით მიადგა რამოთს.

სირიის მეფეს, აზაელსაც არ სძინებოდა და ძლიერად დაუხვდა კიდეც ებრაელ მეფეებს.

პირველი დატაკებისთანავე დაიჭრა თვითონ მეფე იორამ. მაშინვე ბრძოლის ველს თავი მიანება და სამარიას მობრუნდა, ჭრილობის მოსარჩენად.

ახაზიაც თან გამოჰყვა დაჭრილს.

ასე რომ, რამოთ-გალაადის კედლებთან დაბანაკებული ებრაელები უძეფოდ დარჩნენ, მხოლოდ სარდლების ამარად.

8. იუი და იოას

სარდალთა შორის კი იყო ერთი, გამორჩეული, სახელად — ი უ ი (იეჰუ), ძე იოშაფატისა.

და მოულოდნელად, ელისე წინასწარმეტყველისგან გამოგზავნილი მისი ერთი მოწაფე გამოეცხადა იუის. გამოეცხადა, თავზე ზეთი აპკურა და, ღვთის ნებით, ისრაელის ახალი მეფობისკენ მოუწოდა. შენ უნდა იქნე ისრა-

ელის მეფე, ხოლო წინარე მეფეთა ცოდვილი შთამომავლობა ისე უნდა ამოწყვიტო, მათგან კედელზე მომფსმელიც აღარავინ დარჩესო, — დაასრულა ელისეს წარმოგზავნილმა და უმალვე თვითონ იქაურობა დატოვა.

იუიმ მაშინვე დანარჩენ სარდლებს აცნობა „უფლის პირით გამოგზავნილი“ ბრძანება. სარდლებმაც ერთგულება აღუთქვეს „ღვთითმოვლენილს“.

მაშინვე ეტლს მოახტა იუი. ჯარიც აიყოლია და სამარიისკენ გაქუსლა. სასახლეში მიიჭრა. იორამ მეფე თავისი ხელით მოკლა. იქვე, სტუმრად მყოფი ახაზია იერუსალემის მეფეც მოაკელვინა, დედოფალი იზებელიც კოშკიდან გადააგდებინა და მისი მიწაში დამარხვაც კი ააკრძალვინა. მაშინვე მისდგა და მოკლული მეფის სანათესაოც პირწმინდად ამოწყვიტა.

ისრაელის ახალი მეფე ოცდარვა წელიწადი (842—814) იმეფებს.

დასაწყისში კი ურთულეს საქმედ იუდეაში დატრიალებული ამბები აეკიდება იუის.

იერუსალემში გოთოლიამ, ახაზიასა და იორამის სიკვდილი რომ შეიტყო, როგორ თუ შვილი და ძმა დამიხოცესო და გადაწყვიტა სამაგიეროდ თვითონ იერუსალემში დავითის მთელი საგვარეულო ამოეწყვიტა. ქალის გააფთრება ისეთ უგუნურებამდეც მისულიყო, რომ ოღონდ დავითის მოდგმა აღგვილიყო პირისაგან მიწისა და იმასაც კი ანგარიშს აღარ უწევდა, იმ „სადავითო სისხლში“ მისი შვილ-მონაგარიც რომ ერია.

და შეუდგა კიდეც გოთოლია თავის სისხლიან საქმეს. უკვე დაწყვიტეს მისმა თანაშეთქმულებმა სასახლეში სამეფო საგვარეულოსანნი. და, შემთხვევით ახაზიას ძე, ერთი წლის ი ო ა ს ი (იეჰოაშ) გადარჩა. იგი მამიდამ[illegible] ი ო ს ა ბ ე თ ა მ (იოშაბეთ) იპოვნა, ჯერ კიდევ ცოცხალი, დახოცილთა შორის.

იოსაბეთამ და მისმა ქმარმა, ქურუმთმთავარმა იოდაემ (ი ე ჰ ო ი ა დ) ექვსი წელიწადი ზარდეს ყრმა უფლისწული, გოთოლიასგან იდუმალ, უფლის ტაძარს შეფარებული. მეშვიდე წელს ი ო დ ა ე მ მოიხმო ხუთი ასისთავი, რომელთაც ის გამორჩეულად ენდობოდა. წარუდგინა მათ უფლისწული, დაადებინა ყველას ერთგულების ფიცი მის წინაშე და იქვე შეითქვნენ, როგორ უნდა დაემხოთ გოთოლია და აეყვანათ ტახტზე იოას.

იმ ხუთმა ასისთავმა დათქმულ დღეს თავთავისი ერთგული თანამებრძოლები მოიყვანეს, სასულიერონი და საერონი. იმათაც დაადებინა ფიცი იოდაემ, ყრმა მეფისადმი ერთგულებისა და მისთვის თავგანწირვისთვის მზადყოფნისა. მას უკან, იოდაემ სამ ნაწილად დაჰყო თანაშეთქმულნი: ერთნი თვითონ ტაძარში დარჩებოდნენ ყრმა უფლისწულთან, მის დასაცავად; მეორენი — ტაძრის კარებში ჩადგებოდნენ; მესამენი — მეფის სასახლეში შემავალ კარებთან. თვითონ ტაძარში სამღვდელოთა და ლევიანთა გარდა არავინ არ უნდა შეეშვათ, და ამათაც ტაძრის შიგნით იარაღი უნდა ჰქონოდათ, ვინიცობაა — ყრმა მეფესთან ვინმე უცხო მისულიყო, იქვე რომ მოეკლათ.

შეიარაღებაც გამორჩეული მისცა იოდაემ თანამებრძოლებს. ტაძარში დაცული და დაბეჭდული დავით მეფის საომარ აღჭურვილობათა დარბაზი

გახსნა და ყველა შეთქმულს დაურიგა ეს საოცნებო ფარნი და მახვილნი, თორნი და მუზარადნი, შუბნი და მშვილდ-ისარნი.

დანიშნულ დღეს, ასეთი საომარი და საცერემონიო განწესრიგების შემდგომ, იოდაემ ყრმა იოასი ტაძრის შუაგულში გამოიყვანა, თავზე ზეთი აპკურა, სამეფო გვირგვინი დაადგა, აკურთხა და იუდეიის ახალ ხელმწიფედ გამოაცხადა.

ხალხი „ხალხური" აღტაცებით და ბღავილით შეეგება ახალი მეფის გამოცხადებას.

მაშინვე გოთოლია მოიჭრა, გაოცებული და გაცეცხლებული, თავისი მცველი რაზმით, ტაძარს მიეჭრა და შიგ შესვლა მოინდომა.

თვითონ კი შეუშვეს, მაგრამ მისი მცველნი თან აღარ შეაყოლეს.

მარტო შესულმა გოთოლიამ დაინახა, ტაძრის შუაგულს, ამაღლებულზე, იდგა ყრმა, სამეფო გვირგვინით თავშემკობილი.

ტანსაცმელი დაიპო ტანზე გოთოლიამ. იკივლა და იწივლა. შეთქმულებაა, ტახტს მართმევენო, ახლავე მოჰკალით ეს ლაწირაკიო (მერე რა, რომ „ის ლაწირაკი" მისი შვილიშვილი იყო!).

მაშინ იოდაემ უბრძანა ასისთავებს, გოთოლია კედრონის ხევში ჩაეყვანათ და იქ მოეკლათ (აქ რომ ტაძარი სისხლით არ შერყვნილიყო).

გოთოლია ასე გათავდა.

ყრმა იოასის მეფედკურთხევაც ჩათავდა.

ხალხმა მას, როგორც ყველა დროს ყველა ტახტზე ამავალს, ერთგულება შეჰფიცა.

ოთონდ იოდაემ თვითონ მეფესაც დაადებინა საგანგებო ფიცი, მთელი ძისი სიცოცხლის მანძილზე ურყევი და უცვალებელი: განუცადებელი თაყვანისცემა იეჰოვასი და უმტკიცესად მიდევნება მოსეს კანონმდებლობისა.

ტაძრიდანვე ხალხი გამოიჭრა და სადაც კი უცხო ბომონები იდგა, ყველა ძირიანად მოთხარეს და დალეწეს, იმათ ქურუმებსაც იქვე ყელები დაჭრეს.

იმ დღიდან იოდაემ სოლომონის ტაძარში მკაცრი მორიგეობა დაუწესა ქურუმთა და ლევიანთა. ყოველ დღე ორჯერ უფლის შესაწირავი უნდა დაეკლათ, ტაძართან ურწმუნო და უწმინდური არავინ და არაფერი გაეტარებინათ.

თვითონ იოასი, ახლად მეფედ ნაკურთხი ყმაწვილი, ხალხისა და ჯარის მეთაურებმა ტაძრიდან გამოიყვანეს, სასახლეში შეიყვანეს და დიდი ზარ-ზეიმით ტახტზე დააბრძანეს.

ყრმობის წლებიდანვე იოას მეფე განუხრელად მისდევდა მისი მოძღვარის, იოდაეს შეგონებებს, მტკიცედ იცავდა ღმრთისმსახურებას, სამართლიანობასა და სიქველეს.

სიჭაბუკეში შესულმა ორი ცოლი შეირთო, ორივე ისევე იოდაეს არჩევით. ადრევე დაწვრილშვილდა და გამრავლდა.

იოასის მეფობის დროინდელი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სოლომონის დიდი ქმნილების, იერუსალემის ტაძრის განახლება და ხელახალი აღმშენებ-

ლობა. ამისთვის იოასმა განიზრახა სახელმწიფოში გადასახადის გაწერა, სულზე ნახევარი შეკელი. მაგრამ იოდაემ არ დაანება, — გადასახადის გაწერას შესაწირავის გამოცხადება სჯობიაო, და დადგა დიდი ყუთი სალაროდ ტაძარში, საკურთხეველის მარჯვნივ. ხალხმა მართლაც უხვად გაიღო შესაწირავი ფული. ის ყუთი რამდენჯერმე დაიცალა, კვლავ გაივსო და ბოლოს დიდძალი თანხაც დაგროვდა.

და ასე, მეორედ აშენდა და დამშვენდა ტაძარი სოლომონისა.

მალე ამის შემდეგ გარდაიცვალა იოდაე, რომელიც მისი გაძორჩეული სიბრძნისა და სიწმიდისათვის, დაკრძალეს სიონს, მეფეთა საძვალეში.

იოდაეს სიკვდილს მეფისა და მისი წრის ზნეობრივი რყევები მოჰყვა. ისე ჩანდა, იოასს მხოლოდ იოდაესგან ედგა სული სჯულიერი. იოდაეც მოკვდა და სულიც დაეცა.

იოდაეს ძემ, ზ ა ქ ა რ ი ა მ სცადა გონს მოეყვანა უსჯულოებისა და უსამართლობის გზაზე შემდგარი მეფე და მისი ხალხი. საპასუხოდ, იოასმა ზაქარია იქვე, ტაძარში, ხალხს მოაკვლევინა, ქვის დაკრებით.

მაშ, ებრაელთა ორივე ხელმწიფე, ჯერ იუი სამარიელი და შემდეგ იოას იერუსალემელი ერთნაირად ღვთისმგმობელნი და უსამართლონი აღმოჩნდნენ. განკითხვის ჟამიც მალე დაუდგათ, ჯერ იუის, მერე იოასს.

საფრთხე ისევ ჩრდილოეთიდან მოდიოდა — სირიიდან. მეფე აზაელ დამასკოელი ებრაელთა მტრობას არ იშლიდა. იგი თავისი ჯარებით შემოესია იორდანეს აღმოსავლეთ მხარეს და სასტიკად დააზიანა აქ მცხოვრები მანასეს, გადის და რეუბენის ტომები.

იუიმ ხელის გამოღებაც ვერ მოახერხა ქვეშევრდომთა გადასარჩენად. იგი ავად გახდა და მალე კიდევაც აღესრულა თავისი ერთუ სახელოვანი ხელმწიფობის ოცდამერვე წელს (814 ქრ. წ.). დაიკრძალა იქვე, სამარიას.

ისრაელის ტახტზე ავიდა მისი ძე, ი ო ა ხ ა ზ (814—809).

ხოლო, იოას იუდეველიც უმოქმედოდ და უნდილად შეხვდა აზაელ დამასკოელის გამოჩენას პალესტინაში. აზაელი კი, ისრაელის დალაშქვრის კვალდაკვალ იუდეასაც შემოესია. აიღო და დაარბია ქალაქი გეთა და მაშინვე კურსი აიღო თვითონ იერუსალემისკენ.

მაშინ იოასმა მტერთან ხმლით შეხვედრის მაგივრად, მთელი სიმდიდრე, ყოველნი საგანძურნი იერუსალემის ტაძრისა თუ სასახლისა, ერთად მობოჭა და კარს მომდგარ აზაელ დამასკოელს მიართვა და მიუბედნიერა. ამასაც სხვა რაღა უნდოდა: ის, რაისთვისაც სისხლი უნდა დაქცეოდა, სისხლდაუქცევლად მოართვეს და მოუბედნიერეს. იერუსალემი ასე „ძვირფასად" გადარჩა აღებას და აოხრებას.

მალე ამის შემდეგ იოას მეფე შეიპყრო რაღაც მძიმე ავადმყოფობამ. მაგრამ ავადმყოფობის იმედად არ დამდგარან შეთქმულნი. შეთქმულება კი მოუწყვიათ მეფისგან მოკლული ზაქარია იოდაეს ძის ახლობლებს, რომლებმაც, მოულოდნელი დაცემით, სარეცელზე დააკლეს ავადმყოფი მეფე. ეს

მოხდა მისი გამეფებიდან ოცდამეთვრამეტე წელს (798 ქრ. წ.). დაკრძალეს იერუსალემს, მაგრამ არა დავითის აკლდამაში.

იუდეა-იერუსალემის ტახტზე ავიდა მისი ძე, ა მ ა ს ი ა (ამაციაგუ), (798—769).

9. ამასია და იოახაზ

მტრობა და სისხლისქცევა ებრაელებსა და სირიელებს შორის აღარ თავდებოდა.

ოითქმის ნახევარი „ათმუხლიანი ისრაელისა" უკვე ხელთ ეპყრა სირიის ძეფე ხაზაელს.

ისრაელის ახალი მეფე, იოახაზ იუის ძე ტახტზე ასვლისთანავე აღიკაზმა ომრად. გაილაშქრა კიდეც, მაგრამ დამარცხდა და უკუიქცა. კიდევ სცადა ბედი რამდენჯერმე, მაგრამ ამაოდ. ხაზაელ სირიელმა ყოველთვის სძლია, დამატებით კიდევ რამდენიმე ქალაქიც წაართვა და ხარკიც ახალი დაუმატა მუდმივ სახარკოდ.

თითქოს შეურიგდა ბედს ისრაელის მეფე. მაგრამ მოულოდნელად ხაზაელ სირიელის სიკვდილი შეიტყო და გულმოცემულმა ისევ მოავლო ხელი იარაღს.

მაინც არაფერი გამოვიდა. სირიის ტახტზე ახლად ასულმა უფლისწულმა, ხაზაელის ძემ, ბ ე ნ ა დ ა დ III-მ, სასტიკად დაამარცხა იოახაზ ისრაელი. ჯარიც სულ გაუწყდა იოახაზს. მხოლოდ ათი ათახი ქვეითი, ათი ეტლი და ორმოცდაათი მხედარი შემორჩენოდა, უფრო ამალად, ვიდრე ჯარ-ლაშქრად.

სიკვდილამდე ორი წლით ადრე იოახაზმა თანამმართველად დაისვა თავისი ძე, ი ო ა ს (იოაშ). თვითონ დარჩენილი სიცოცხლე ლოცვაში და ქვეყნის გათავისუფლების ნატვრაში გაატარა. აღესრულა თავისი გამეფებიდან მეთოთხმეტე წელს (800 ქრ. წ.).

ისრაელის ახალმა მეფემ, იოას იოახაზის ძემ (800—784) ტახტზე დაჯდომამდე ელისე წინასწარმეტყველი მოინახულა.

ელისე უკვე სასიკვდილო სარეცელზე იწვა, იოასი რომ ეწვია. მივიდა და მომაკვდავი რომ იხილა, ატირდა მეფე. ატირდა და ჩასძახა: „ძაძაო, მამაო, ეტლო ისრაელისაო და მხედარო მისო!"

იბრუნა პირი სიკვდილისგან ელისემ და შემოსძახა მეფეს: მშვილდისარი გამართე, სარკმელი გამოაღე და ისარი აღმოსავლეთისკენ გასტყორცნე, რაიც, იმას ნიშნავს, რომ უფალი სირიელებს დაგამარცხებინებსო.

აღასრულა ეს ნაბრძანები წინასწარმეტყველისა იოასმა.

თვითონაც აღესრულა ელისე. მომკდარიყო „კაცი ღმრთისასა", რომელსაც რაღა სასწაულს აღარ მიაწერდნენ პალესტინის ყოველ კუთხეში: იგი არა მარტო უცთომელად წინასწარმეტყველებს ყოველ მომავალ მოსავლინებელს, არამედ შხამიან ხილსა და წყალს გემრიელსა და მარგებელს რომ შეიქმდა, მდინარეში გადაგდებული ნაჯახიც რომ მისი ნებისად ზედაპირზე ატივტივდებოდა და არ დაიძირვოდა, ოცი მცირე პურის კვერით რომ ას კაცსაც მაძღრისად დააპურებდა, კეთროვანსაც რომ წყალში ერთი ჩაყურყუმალავებით განკურნავდა, და კიდევ, მისი მოძღვარის, ელიას მსგავსად, მკვდარსაც რომ მკვდრეთით აღადგენდა...

და ასეთი სასწაულთმოქმედის მოწოდებით წაქეზებული ახალი მეფე ისრაელისა შეუდგა სირიელთა წინააღმდეგ საომარ სამზადისს.

მალე კიდეეაც შეუტია იოასმა ისრაელის მიწებზე ჩამოსახლებულ სირიელებს. ბენადადიც წამოემართა თავისი საომარი ძალებით.

მოხდა სამი საბრძოლო შეხვედრა. სამივე მოიგეს ისრაელებმა. ისრაელის ყველა ქალაქმა მოიხსნა სირიული უღელი.

ამასობაში თავის სიტყვას ამბობდა და საქმესაც იქმოდა „ორმუხლიანი იუდეიის" მეფე ამასია (ამაციაგუ).

ამასიამ ჯერ მამამისის, იოასის მკვლელები გაწყვიტა. მერე თავის სახელმწიფოში მოსახლეობის აღწერა მოახდინა, აღწერის შედეგებზე დაყრნდობით, ბრძოლისუნარიანი მამაკაცები საომარი განწესრიგებით, ასეულებად და ათასეულებად დაალაგა, სულ 300 000 იუდეველი მეომარი მოითვალა, მაგრამ ესეც საკმარისად არ მიიჩნია და კიდევ 100 000 მეომარიც ისრაელისგან ისე დაიქირავა, რომ ისრაელის მეფისთვის კითხვითაც არაფერი უკითხავს.

დიდი და სახიფათო ომისთვის შესდგომოდა სამზადისს ამასია იერუსალემელი. იდუმეა (ედომი) ორმოცი წლის წინ, იორამის მეფობის დროს რომ განუდგა და დაეკარგა იუდეიის ტახტს, ახლა ამასიას უნდა დაემორჩილებინა ხელახლა.

იდუმეა კი ფრიად გამძლავრებულიყო ამ დროის მანძილზე. ახალი სატახტო და მთავარი ციხექალაქიც აეშენებიათ იდუმეელებს სეირის კლდოვან მთაზე (მკვდარ და მეწამულ ზღვათა შორის), სახელად ს ე ლ ა („კლდე", ბერძნ. „პეტრა").

და დაიძრა ამასია იდუმეიის კვლავ მორჩილსაქმნელად. იდუმეიის მეფეც გამოეგება მტერს, ძლიერი მხედრობით.

ბრწყინვალედ გაიმარჯვეს ებრაელებმა. გამარჯვებულნი სეირის მთაზეც აიჭრნენ, სელაც აიღეს, თავისად გაიხადეს და თავისი, ახალი სახელიც დაარქვეს — ი ე კ უ თ ი ე ლ („დამცხრალ არს ღმრთისგან").

დიდძალი ნადავლით დატვირთულებიც მობრუნდნენ იერუსალემს.

მაგრამ გამარჯვებასაც მოელა სჭირდება.

ამასია კი „მომველელი" არ აღმოჩნდება...

იუდეიის მეფემ, უცხო მტერზე რომ თავი გამარჯვებულად და გაძლავ-

·რებულად დაიგულა, გადაწყვიტა შინაურზედაც ეცადა ძალა და ისრაელის მეფეს შეუთვალა, პირისპირ შევხვდეთ ერთმანეთსო.

შეხვედრის საგანსაც ატყობინებდა ამასია იერუსალემელი იოას საძარიელს: შენი ასული ჩემი ძისთვის რძლად უნდა მომცეო. ამას რომ უთვლიდა, რატომღაც ამასია იოასისგან დამოყვრებაზე ეარს ელოდა და ამ „სანატრელი უარის“ საბაბით, იგი მაშინვე ისრაელთან ომის დაწყებასაც აპირებდა.

ამასიას ეს განაზრახი იოასსაც კარგად სცოდნია და ამიტომ მის შემოწათვალს ასეთი პასუხიც შემოუბრუნა: შენ რომ დამოყვრებას მთხოვ, ეგ იმას ჰგავს, ეკლის ბუჩქმა რომ ლიბანის ფიჭვს შეუთვალა, — შენი ასული ჩემ ძეს მოეც ცოლადო, მაგრამ ამაზედ პასუხად ხომ ფიჭვმა ტყის ნადირნი გაგზავნა და ის ბუჩქი დაათელვინაო. ამიტომ გაფრთხილებო, — განაგრძობდა ისრაელის მეფე იუდეიის მეფის შეგონებას — შენ იდუმეელნი დააძარცხე და იმან გაგადიდგულა; ჰო და, იდიდგულე შენთვის შენს სახლში, „რაისად გაზრზენს შენ უკეთურება შენი?“ ხოლო, თუ არ დადგები, მაშინ შენც დაეცემი და შენთან ერთად შენი იუდაც!

ასეთი იყო იოასის პასუხი, რაიც ომის დაწყების საბაბად საკმარისზე უფრო მეტადაც კმაროდა.

და სასწრაფოდ დაიძრა ამასია იუდეველთა ჯარებით ისრაელის საზღვრებისაკენ.

იოასიც გამოეგება ისრაელიანთა ჯარებით.

ბრძოლა მოხდა იუდეიის ქალაქთან, რომელსაც ერქვა — ბ ე თ-შ ე მ ე შ („სახლი მზისა“).

გაიმარჯვეს ისრაელებმა. იუდეველები დამარცხდნენ და გაიქცნენ. თვითონ იუდეველთა მეფე, ამასია, მიზეზი ამ უგუნური ომისა, ტყვედ ჩავარდა.

იოსია კი თავისი ძლევამოსილი ჯარით შევიდა იერუსალემს.

ახლა ისრაელის მეფეს შეეძლო ადგილობრივი სამეფო დინასტია გაეუქმებინა და იუდეაც, მისი „ორი მუხლით“, ისრაელისთვის შეერთებინა და ამით ებრაელი ერის ტრადიციული „თორმეტმუხლოვანი“ ერთიანობა აღედგინა.

მაგრამ არც იოასი აღმოჩნდა ასეთი „მასშტაბური გამაერთიანებელი“. გაუბედაობა იყო თუ დიდსულოვნება, სულ ერთია, ერის მომავალი ისტორიისთვის იგი საბედისწერო უნდა ყოფილიყო.

ისრაელის მეფემ მხოლოდ ეს იკმარა, იერუსალემის ჩრდილოეთი კედელი დაენგრია და ორივე მთავარი საგანძურიდან, სოლომონის ტაძრიდან და სამეფო სასახლიდან, განძი სრულიად გაეტანა და დანგრეული და გაძარცვული ქალაქი დაეტოვებინა.

ასე რომ — პირველად, ისრაელის მეფემ იერუსალემი აიღო, გაძარცვა და დააგდო, ვითარცა მტერმა უცხომ, ურცხომ და გადამთიელმა.

თვითონ დამარცხებულ და დატყვევებულ ამასიას იოასმა თავისუფლებაც დაუბრუნა და მისი იერუსალემური ტახტიც. ოღონდ, კიდევ რომ ომზე აღარ

ეფიქრა, მძევლები აიყვანა და სამარიაში გაირეკა, იმ განძეულობასთან ერთად.

ამის შემდგომ იოას სამარიელს დიდხანს აღარ უცოცხლია. იგი აღესრულა 830 წელს და დაიკრძალა მისსავე სატახტო სამარიაში. ხოლო ქვეყანა თვისი, ისრაელი დატოვა ამაღლებული და გამძლავრებული.

იოასის სიკვდილის შემდეგ, ისრაელის სამეფო ტახტზე ავიდა მისი ძე ი ე რ ო ბ ო ა მ II, რომელმაც იმეფა ორმოც წელიწადზე მეტ ხანს (784—744).

იგი იყო დაუცხრომელი მეომრული ბუნების კაცი და მრავალი ბრძოლით კიდევაც შეძლო სრულად აღეკვეთა ისრაელის მიწებზე ხელყოფა როგორც სირიელთა, ისე სხვა მეზობელ მხარეთაგან.

იერობოამ მეფეს საომრად აქეზებდა და აღაფრთოვანებდა იმჟამს ფრიად სახელგანსმენილი წინასწარმეტყველი ი ო ნ ა, ძე ამათიასი, ქალაქ გ ა თ ჰ ე ფ ე რ ი დ ა ნ.

ამასია იერუსალემელმა კი, იოას სამარიელის სიკვდილის შემდეგ, კიდევ თხუთმეტი წელიწადი იცოცხლა და იმეფა, უსახელო ცხოვრებით და უფერული მეფობით. ბოლოს შეთქმულება მოუწყვეს და მოსაკლავად მიუხტნენ. თუმცა იერუსალემიდან გაასწრო, მაგრამ ქალაქ ლახისში წამოეწივნენ და მოჰკლეს (769 ქრ. წ.).

კარი მეოთხე

უამნი განთესვათა

1. განთესვა პირველი

იუდეაში კრიზისი უარესად გამძვინვარდა. ამასიას მკვლელებმა მოინდომეს ხელიდან არ გაეშვათ ქვეყნის სამბრძანებლო სადავეები. ტახტის მემკვიდრეც, ოზია, ანუ აზარია, ამასიას ძე, მაშინ ოთხი-ხუთი წლისა თუ იქნებოდა.

ისარგებლეს იერუსალემის სასახლის კარის უმწეობით იდუმეელებმა, ამას წინათ რომ იუდეველთაგან მწარე მარცხი ეჭამათ, და სამაგიეროს მისაზღავად წამოემართნენ სრულის სიძლიერით და სიმტკიცით.

მოდიოდნენ მით უფრო გულმოცემულად, რომ, თუ საჭირო გახდებოდა, ეგვიპტის ფარაონსაც, დაპირებისამებრ, ჩამოიყვანდნენ ეგვიპტური ჯარებით იუდეველთა დასალაშქრავად.

და შემოესივნენ ცეცხლითა და მახვილით იდუმეელნი იუდეას. გზებზე, სოფლებსა და ქალაქებში, ყველაფერს ან იტაცებდნენ, ან სპობდნენ.

ასე შეუკავებლად და დაუბრკოლებლად მოატანეს იერუსალემს. მისი

კარიბჭეებიც გაიარეს და ქალაქში შეიჭრნენ. დაიწყო მოსახლეობის ძარცვა და ტყვევნა.

იერუსალემის მოსახლეთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, იდუმეელებმა ტყვედ წაიყვანეს, დასავლეთით, ხმელთაშუა ზღვისკენ მიმავალ გზებზე ატარეს და იქ ფინიკიელებს მიჰყიდეს, ან ღვინოსა და როსკიპ ქალებში დაუცვალეს.

თავის მხრივ ფინიკიელებმა მათ ხელში მოხვედრილი ებრაელი ტყვეები უკვე აზიის სანაპიროებზე ჩამოსახლებულ იონიელ ბერძნებს მიჰყიდეს. ბერძნებმა კიდევ ეს მოულოდნელი ტყვე-საქონელი ეგეოსისა და იონიის ზღვათა აუზში მიჰყიდ-მოჰყიდეს, მიმოაბნიეს თუ „მი-მო-თესეს“.

ეს იუდეველთა პირველი განთესვა იყო, ქრისტეს შობამდე IX—VIII საუკუნეთა მიჯნაზე, ანუ რომელიღაც 810 წლის მახლობლად.

განთესვა სწორედ მხოლოდ იუდეველთა, მხოლოდ „ორმუხლედ“ ებრაელთა, რაკიღა დანარჩენი „ათმუხლედი“ ისრაელნი მხოლოდ იდგნენ და სეირის თვალით უცქერდნენ მოძმეთა უსაშინელეს ტრაგედიას.

უბედურებაც სწორედ ის იყო, რომ ძმები ძმათა ადგილას მხოლოდ მტრებს ჰხედავდნენ და მათი საგლოველით უფრო იხარებდნენ, ვიდრე გლოვობდნენ.

მაშ, ეს იყო პირველი განთესვა ებრაელთა, განთესვა და გაფანტვა უცხო ქვეყნებში, უცხო ხალხთა შორის, ანუ იმ ცრემლთა და ვაებათა თახლებით — ებრაული ხელისა, სულისა და გონითი შემოქმედების გატანა და გავრცელება მაშინდელი სამი კონტინენტის გზასაყარზე.

2. ოზია

იუდეა განწირული ჩანდა თითქოს, სამარადჟამოდ. ქვეყანა მოეცვა სრულ ანარქიას, შინაგან მტრობას, უნდობლობას და დაუნდობლობას. გარეშე მტერიც დაგეშილიყო იუდეველთა ძარცვა-რბევაზე, ტყვევნაზე და აყრა-გადაყრაზე.

მაგრამ მაინც აღმოაჩნდა შინაგანი ძალა ამ მცირე ქვეყანას კატასტროფისგან თავის დახსნისა.

უფლისწული ოზია (აზარია) ამასიას ძე თექვსმეტი წლისა გამხდარიყო. და დაჯდა იგი ტახტზე, დაჯდა და იმეფა ოცდათექვსმეტი წელიწადი (769—733). იმეფა მორჭმით, სიბრძნით და სიქველით, ვითარცა დაშეენდებოდა დავითისა და სოლომონის ღირსეულ შთამომავალს.

დაიწყო იმით, რომ ყმაწვილმა მეფემ ლაქიშიდან იერუსალემს გადმოას-

ვენა და დავითიან-სოლომონიანთა სავანეში დაკრძალა შეთქმულთაგან მოკლული მამა.

შემდეგ სასახლიდან გააძევა (შესაძლოა, კიდევაც ამოწყვიტა) თავაწყვეტილი მედროვენი და მათ ნაცვლად შემოიყარა ღირსეულნი, გონებით ჭკვიანნი და ზნეობით სპეტაკნი, ყველა, ვისაც გული შესტკიოდა და თავსაც გასწირავდა ქვეყნის ხსნისა და კეთილდღეობისთვის.

დასაწყისშივე წარმატებით აღადგენდა და განამტკიცებდა ჭაბუკი ხელმწიფე ქვეყნის შინაგანი ცხოვრების ყოველ მხარეს — სასულიეროსაც და საეროსაც, სამეურნეოსაც და სამხედროსაც. იგი შეუვალი სიმტკიცით სძლევდა ყოველ დაბრკოლებას და წინააღმდეგობას, რაიც ისე ხშირად ეღობებოდა წინ ამ კეთილშობილურ მოღვაწეობაში.

დაბრკოლებანი და სიძნელენი მართლაც რომ დაულევნელი აღმოჩნდა. არა მარტო შინა და გარე მტერი ადამიანური სამყაროდან, არამედ თითქოს ბუნებაც თავისი სტიქიონებით შემოსწყრომოდა იუდეველთა ტანჯულ საცხოვრის მიწას.

ჯერ იყო და, საშინელმა მიწისძვრებმა დააქცია იუდეა. მრავალი ქალაქი და სოფელი დაინგრა და მიწასთან გასწორდა. მიწისძვრებს უმძვინვარესი გვალვა მოჰყვა მრავალწელ გადაბმით. წვიმის წვეთი კი არა, ცა ნამსაც აღარ იმეტებდა დედამიწისთვის. აღარსად წყარო, აღარსად ჭა დაუშრალი არ დარჩენილა. მიწა იწვოდა, უდაბნოდ და უნაყოფოდ გავერანებული. ხვასტაგი შიმშილითა და სიცხით გაწყდა. გადამწვარი ტყეებიდან ლტოლვილ ნადირსაც ადამიანზე მოჰქონდა იერიში. კალიაც მირიად ღრუბლებად შემოესია და ერთ დღეში გადასჭამა ვენახები, ბაღები, ბაღჩები, ყოველივე, რაიც საჭმელსახედ ჯერ კიდევ დამჩნეოდა დედამიწას.

მოსთქვამდა წინასწარმეტყველი ი ო ვ ე ლ ი იმ დღეთა გამო:

„ნარჩენნი ჭიათა შეჭამნა მკალმან, და ნარჩენნი მკალთა შეჭამნა ბუზმან, და ნარჩენნი ბუზთანი შეჭამნა გესლმან.

გამოიღვიძეთ, მემთვრალენო, და იტირეთ, გოდებითა ყოველთა მსმელთა ღვინისათა, რამეთუ წვენი მტევანთა ვაზისათა აღარ ეღირსება პირთა თქვენთა.

რამეთუ ჩემს მიწაზე მოვიდა ხალხი უცხო, ძლიერი და რიცხვმრავალი, რომელსაც აქვს კბილნი და ყბანი ლომისანი.

და გააოხრა მან ვენახი ჩემი და შემუსრა ლეღვი ჩემი, გაატყავა და დაყარა რტონი მათნი გაძარცვილი.

იტირეთ ტირილითა ახალგაზრდა ქალისა, მისი სიქალწულის ქმარსა ზედა ძაძაჩაცმულისა და ატირებულისა!

აღებულ არს მსხვერპლი და შესაწირავი სახლსა შინა უფლისასა, იგლოვდით მღდელნი, მსახურნი საკურთხეველისანი, რამეთუ ვერან არს ველი, გოდებს მიწაი, რამეთუ მოუსუსურდა იფქლი, გაშრა წვენი მტევნისა, განხმა ზეთისხილი.

განხმეს მუშაკნი მიწისანი, იგლოვდნენ მეზვრენი, რამეთუ მოისპო ყოველი მოსასთველი.

ვაზი გახმა და ლელვოვანი გაჭკნა, ბროწეული და ფინიკი და ვაშლი და ყოველი ხენი ველისანი განხმეს; და ამისათვის დაჰკარგეს სიხარული ძეთა კაცისათა...“

ასე გაგრძელდა რამდენიმე წელს.

და ამ უმძიმეს, კატასტროფულ წლებში გასაოცარი მხნეობა და ენერგია გამოამჟღავნა მეფე ოზიამ. იგი მუდამ ხალხთან იყო, მისი უმძიმესი ჭირის თანაზიარი. ამხნევებდა სულით დაცემულთ, სულიერად განამტკიცებდა, ნივთიერად თანაეყოფოდა; ოიველ წინასწარმეტყველსაც იშველიებდა და მისი პირით ღვთის შემობრუნებასა და მისივე შემწეობით ბედნიერ დღეთა დადგომას უწინასწარმეტყველებდა.

მართლაც, ღვთის მადლით, ისევ იბრუნა პირი ბუნებამ ხალხისაკენ. გვალვა გათავდა, ქალიაც გადაქარდა, 'დღეღამსწორებით წვიმიანი ამინდები დაიჭირა. მიწამ თვალი გამოახილა, აფუედა, აყვავდა და სანაყოფიეროდ აიშალა.

ხალხი მომაგრდა თუ არა, მეფე ოზია იმ ხალხთა მიმართ, ვინც მისი ქვეყნის მძიმე დღეებით სარგებლობდა და საძარცვავ-საწყვეტად თავს ესხმოდა, სამაგიეროს მიზღვასა და შურისგებას შეუდგა.

განსაკუთრებით იდუმეელებმა დააამახსოვრეს თავი იუდეველებს განუწყვეტლივი მტრობით და ოხრებით. ამიტომ ახლა თვითონ გაუხტა ოზია მეფე იდუმეას ლაშქრით. დალაშქრა ეს ქვეყანა, ისევ აიღო ქალაქი სელა („კლდე“, „პეტრა“), ანუ ებრაელთაგან წოდებული იეკუთიელ. მაშინვე ხარკიც დაადო იდუმეას, ყოველწლიურ სახდელად.

სელადან ე ი ლ ა ტ ს გავიდა ოზია, მეწამული ზღვის ყურეში. ეს ქალაქიც დაიმკვიდრა. აქედანვე იგი მალე საზღვაო-სავაჭრო მიმოსვლასაც გააჩაღებს არაბეთ-ინდოეთისა და ეგვიპტე-ეთიოპიის მიმართულებებით.

აქვე, იდუმეიის მეზობლად ოზია მეფემ დაიპყრო ქალაქი მ ა ო ნ ი და აქ მცხოვრები მაონიტები ანუ მინეელები.

აღმოსავლეთისა და სამხრეთაღმოსავლეთის საქმეებს რომ მორჩა, მაშინვე დასავლეთისკენ დაიძრა ოზია მეფე, თავისი ძლევაშემოსილი ლაშქრით. აქ მას ფილისტიმელების სისხლი სწყუროდა, ფილისტიმელებისა, რომლებმაც წილი დაიდეს იდუმეელთაგან ებრაელთა ყიდვა-გაყიდვაში.

და შეესივნენ იუდეველები, ოზიას წინამძღოლობით, ფილისტიმელებს და ზედიზედ აიღეს მათი მთავარი ქალაქები — გათი, აშდოდი და იავნეილ.

ეგვიპტის ფარაონმაც დაიმოკლა ხელი ერთბაშად გამძლავრებული იუდეიის წინაშე.

გარეშე მტერთა ასეთი ძლევისა და დახარკვის კვალდაკვალ, ოზია თავ-

გამოდებით ზრუნავდა ქვეყნის შინაგანი მოწესრიგებისათვის. აღადგენდა სამეურნეო ცხოვრებას, თხრიდა ჭებს, აწყობდა წყალსაცავებს, აღადგენდა და აჩვევდა ხალხს მევენახეობას და გუთნისდედობას, „რამეთუ ქუეყანისსაქმესა (მიწათმოქმედების) მოყვარე იყო იგი". ქარმელის მთა და მისი შემოგარენი ვენახებით აევსო მეფეს. უკვე მრავლად დაუდიოდათ იუდეველებს ცხვრის ფარაც და საქონლის ჯოგებიც.

ოზია ამაგრებდა და ხელახლა აშენებდა ციხეებსა და ციხე-ქალაქებს. გამორჩეული ყურადღებით ზრუნავდა თვითონ იერუსალემის გამაგრებისთვის. მან აღადგინა ადრე, მამამის ამასიას დროს ისრაელის მეფე იოსიასგან დანგრეული ჩრდილოეთის კედელი. ახალი კედლები, სიმაღლით ასორმოცდაათი წყრთისა, გაწყობილი იყო ლოდსატყორცნი მანქანებით. მეფემ განაახლა კედელთა შორის კარიბჭენი, კუთხედნი და ხვეისმაგვარნი.

საგანგებო სამხედრო რეფორმაც გაეტარებინა ოზიას. ჯარი დალაგებული ჰყავდა რაზმელებად, მტკიცედ შედგენილი სიების მიხედვით. ამ სიების შემდგენელნი იყვნენ ი ო ვ ე ლ „მწერალი" („სოფერიმ") და მ ა ა ს ე ა „ზედამხედველი" („შოტერ"). აქ აღინუსხებოდა სატახტო ქალაქის დამცველი ციხიონი, დარჩეული 3600 მეომარი-მეციხოვნით, რომელთა სათავეში მეფეს დაეყენებინა ა ნ ა ნ ი ა (ხანანია).

ამას გარდა, მეფე გარეშე მტრებთან საომრად და მათი ქვეყნების დასალაშქრავად მოითვლიდა 307500 გაწრთვნილსა და გამოცდილ მეომარს.

საომარ საჭურველთა საწყობებიც გაემართა ოზიას, აღჭურვილნი ფარშუბით, მშვილდ-ისრით, მახვილებით, მუზარადებით, ბექთრებით, სამკლაურსაბარკულებით, შურდულ-სატყორცნებით.

იმჟამინდელ მსოფლიოში დიდი სახელი დაეგდო მეფეს, ყოველი გარეშე მტრის მძლეველსა და შინაგან ქვეყნის ამშენებელს.

მაგრამ თურმე საკუთარი პიროვნული ენებანი ვერ დაეძლია ეგზომ ძალმოსილ ხელმწიფეს. უფალი დავიწყნოდა ოზიას, გამარჯვებებით გულაზვავებულს და გაზულუქებულს. ბოლოს, ისეც გათამამდა, რომ ტაძარში, შიგ წმიდათა წმიდაში, სადაც მოსეს უმკაცრესი კანონით, ქურუმთმთავრის გარდა შესვლის უფლებაც არავის ჰქონდა, მეფე შევარდა და საკმევლის გაჩაღება და კმევა დააპირა. ამაოდ ეცადნენ ქურუმთმთავარი ა ზ ა რ ი ა და მისი თანამსახური ოთხმოცი სამღვდელო, ვერ იქნა და ხელი ვერ ააღებინეს მეფეს ამ მკრეხელურ განაზრახზე. თვითონ დატუქსა და დაემუქრა ამ „აბეზარ ქურუმებს" და კიდევაც გააჩაღა საკმეველი წმიდათა წმიდაში.

მაგრამ მეფემ მაშინვე ცუდად იგრძნო თავი. მალე საშინელი სენიც გაუმძლავრდა — კეთრი.

და ასე, „განკეთროვანებული" ოზია იძულებული გახდა სასახლიდან წასულიყო და, ყოველ ადამიანთაგან განკვეთილად, „სახლსა განცალკევებულსა" („ბეთ ჰახოფშიტ") ეცხოვრა სიკვდილამდე.

სასახლეში კი მის მაგივრად იჯდა და ქვეყანას განაგებდა ძე მისი ი ო თ ა მ.

აღესრულა ოზია (733 ქრ. წ.) და ვითარცა კეთროვანი, დაიკრძალა დავითის საძვალიდან მოშორებით, „მეფეთა მინდორზე“.

იუდეიის მეფედ გამოცხადდა ი ო თ ა მ (733—730).

8. ებრაელნი, სირიელნი, ასურელნი

ოზია იუდეველის სახელოვანი ხელმწიფობის პარალელურად, ასევე დიდი სახელოვნებით „ათმუხლიან ისრაელში“ მეფობდა იერობოამ II. ზემოთაც ითქვა, რომ იერობოამმა იხსნა თავისი ქვეყანა სირიელთა უღლისაგან. მალე ესეც არ იკმარა და თვითონ გადავიდა შეტევაზე ისრაელის მეფე. შეუტია და ზედიზედ აიღო სირიელთა მთავარი ქალაქები, დამასკო და ემათი.

აღესრულა იერობოამ II 744 წელს. დაიკრძალა სამარიას.

ისრაელის ტახტზე ავიდა ძე მისი — ა ზ ა რ ი ა, რომელმაც ექვსი თვე ძლივს გაძლო, ანუ არ გააძლებინეს — შეთქმულებმა მოჰკლეს. მკვლელთა ბელადი იყო ვინმე ს ე ლ უ მ (შალუმ), იავისის (იავეშა) ძე. მარტო ზაქარია კი არა, მთელი მისი ნათესავობა ისე ამოწყვიტა სელუმმა, ქალები და ბავშვებიც რომ არ დაინდო. და ასე სისხლიანი ხელფეხით ავიდა იგი სამარიის ტახტზე.

მაგრამ სელუმმა ერთი თვეც ძლივს მოათია ტახტზე, რომ იმასაც მიუხტნენ და მოკლეს.

მკვლელის მკვლელი კი იყო ვინმე მ ე ნ ა ხ ე მ (მენაიმ), გადის ძე, რომელმაც შვიდი წელიწადი (744—737) იმეფა სამარიის ტახტზე.

იმეფა და სახელი გაითქვა უკიდურესი სისასტიკით. დასაწყისში მისი მეფობა არ სცნო და არც კარი გაუღო ქალაქმა თ ი პ ს ა ჰ მ ა. მენახემმა დიდი მსხვერპლის ფასად აიღო ეს ქალაქი, აიღო და დედაბუდიანად ამოწყვიტა. მისი ირგვლივეთი მიწებიც საშინლად ააოხრა და ააწიოკა. ფეხმძიმე ქალებსაც მუცელზე ფატრავდა და ნაყოფს აყრევინებდა.

მენახემის დროს ებრაელთა ქვეყანას პირველად შემოესივნენ მაშინდელ წინააზიაში ხელახლა დაწინაურებული ასურელნი, მათი ხელმწიფის, ფ უ ლ ი ს წინამძღოლობით.

მაშინ მენახემ მეფემ ესღა მოახერხა, სასწრაფოდ ისრაელ დიდკაცობაში ათასი ვერცხლის ტალანტი (სამი მილ. მან.) შეაგროვა და ასურელ დამპყრობელს ჩაუთვალა. ასურელმაც იმჟამად ეს იკმარა და ჯარები ისრაელიდან უკანვე გააბრუნა.

არავინ იცოდა, რომ ასურელების ეს პირველი მოსვლა დასაწყისი იყო ათმუხლიანი ისრაელის არც ისე შორეული კატასტროფისა.

მენახემიც აღესრულა და ისრაელის ტახტზე მისი შვილი დაჯდა, სახელად ფ ე ხ ა კ ი ა, რომელმაც მხოლოდ ორი წლით (737—735) მოასწრო მეფობა. მას აუჯანყდა მისივე სარდალი, სახელად ფ ე ხ ა კ ი, ძე რრომელისა, მოკლა მისი მბრძანებელი სამარიის სასახლეში და თვითონ დაბრძანდა სამეფო ტახტზე.

ახალმა მკვლელმა და უზურპატორმა იმეფა სამი წელიწადი (735—732). მისი რეჟიმი აღმოჩნდა ხალხისთვის ყოვლად უმძიმესი და უსასტიკესი. მას ადარებდნენ ცუდ მწყემსს, რომელმაც თავისი სამწყსო მიაგდო ღვთის ახაბარად, დაკარგულ ცხვარს აღარ ეძებდა, დაკოდილს არა მკურნალობდა, დავრდომილს არ უვლიდა, ჯანმრთელს კი თვითონ ჭამდა.

დროჟამი კი უაღრესად მძიმდებოდა. წინააზიის ცა ასურული ღრუბლებით ივსებოდა და იტენებოდა. დამასკოს მეფემ, რ ე ც ი ნ მ ა, კოალიცია შეადგინა ასურელთა შემოტევების აღსაკვეთად. კოალიციაში, თვითონ სირიის გარდა, შედიოდნენ ისრაელი, ხამატისა და ცობას არამეული სამთავროები, ფინიკიური ტვიროსის მეფე ელულაი და, შესაძლოა, იუდეიის მეფეც.

იუდეიის მეფე კი იყო ი ო თ ა მ, ძე ოზიასი, კაცი ფრიად ფლეგმატური, გულგრილი, მაგრამ საერთოდ მაინც უფრო დაკვირვებული და ყოველ საქმეთა დინჯად განმსჯელი.

რელიგიურ საქმეებში არ ერეოდა. მამამისივით სამღვდელოების პრეროგატივებს არ ეტანებოდა, მაგრამ არც უცხო კერპების წინააღმდეგ ბრძოლის სურვილსაც არ ამჟღავნებდა.

აღმშენებლობით საქმიანობასაც ეწეოდა მეფე იოთამ. იერუსალემის მთავარი ტაძრის ახალი კარიბჭე აღმართა, ქალაქის კედლებიც გააძლიერა, ახალ-ახალი ციხე-გოდოლებით.

ბრძოლის გადახდაც მოუხდა იდუმეელებთან. კიდევაც გაიმარჯვა. კიდევაც დახარკა იდუმეელნი. ყოველწლიურად იდუმეელებს იუდეველებისათვის უნდა გადაეხადათ ასი ვერცხლის ტალანტი, ათი ათასი საწყაო ხორბალი და ათი ათასი საწყაო ქერი.

740 წელს იოთამი აღესრულა და დაიკრძალა დავითის საძვალეში.

იერუსალემის ტახტზე ავიდა მისი ძე, ა ხ ა ზ (730—727). უაღრესად შეზღუდული გონების კაცი. არა და, უკიდურესად გართულდა და დამძიმდა სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა იმჟამინდელი მსოფლიოისა.

ეგვიპტეს აქამდე, მთელი 2500 წლის მანძილზე, უწყვეტელად დიდი ძალმოსილება ჰქონდა მთელი აზიის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. მაგრამ იმჟამად, ისრაელ-იუდას სულიერ კრიზისთა ჟამს, თვითონაც თვალსაჩინოდ დაკნინებულიყო ეგვიპტე. მაშინ, უკვე ორას ორმოცდაათი წელიწადი, ლიბიური დინასტია ბატონობდა ეგვიპტეში.

მალე ლიბიურს ეთიოპური მოჰყვა. ეთიოპიის მეფემ, პ ი ა ნ ხ ი ბ, დაამარ-

ცხა ეგვიპტის ფარაონი, ტ ე ფ ნ ა ხ ტ ი, აიღო მთავარი ქალაქები, თებე და მემფისი, და თვითონ დაიდგა თავზე ეგვიპტის ფარაონის გვირგვინი.

ერთ ხანზე, ჩრდილოეთ ეგვიპტეში, დელტაში, ისევ იმძლავრა ადგილობრივმა ეგვიპტურმა ჯიშმა და ფარაონის ძალაუფლება ხელთ იგდო ბ ო ქ ხ ო რ ი ს მ ა, და ამითვე საფუძველი დაედო ეგვიპტის ფარაონთა XXIV დინასტიას.

მაგრამ ბოქხორისის ძალაუფლებაც უდღეური გამოდგა. ისევ იმძლავრეს ეთიოპელებმა, ჯერ შ ა ბ ა კ ა მ, მას უკან ტ ა ხ ა რ კ ა მ და მთელი ორმოცდაათი წლით შეძლეს ეგვიპტის დანარჩუნება.

ეთიოპელ ფარაონებს აზიისკენაც, პირველ რიგში პალესტინისკენ უნდა სჭეროდათ თვალი, მის დასაპყრობად ან საძარცვავად მაინც.

მაგრამ ასპარეზზე უკვე სრულის ძალით შემოდიოდნენ ასურელნი.

ამაო გამოდგა კოალიციური კავშირიც, რომელსაც ასურეთის ასალაგმავად სათავეში ჩასდგომოდა დამასკოს მეფე რეცინი.

ასურეთს სათავეში ჩასდგომოდა დიდი ხელმწიფე, თ ი გ ლ ა თ ფ ა ლ ა ს ა რ III (745—727). მისი დაუცხრომელი ენერგია, ერთდროულად სიმტკიცე და სისასტიკე, შინასახელმწიფოებრივი რეორგანიზაცია, გამორჩევით მისი სამხედრო რეფორმები — საფუძვლად დაედო ასურეთის საომარ აღორძინებას და მაშინდელ მსოფლიოში სწორუპოვარ აღზევებას.

მაშინ სირიის მეფე რეცინმა და ისრაელის მეფე ფეხაკმა იუდეიის მეფე ახაზს მოთხოვეს, ისიც შეერთებოდა ასირიის წინააღმდეგ შეერთებულ კოალიციურ ძალებს.

ახაზმა კი უარით უპასუხათ.

უარიო?! და მაშინვე სირიელები და ისრაელები შეერთებული ძალებით წამოემართნენ იერუსალემისკენ.

იერუსალემი და მისი სამეფო სახლეული მოიცვა შიშმა და დაბნეულობამ. მტერი მოდიოდა და თანაც, მტერიც არის და მტერიც: ძმები (ისრაელნი) ძმების (იუდეველნი) ამოსაწყვეტად ნამდვილ მტრებს (სირიელები) მოჰყვებოდნენ.

შიგნითაც, თვითონ იერუსალემში, თურმე შეთქმულება მზადდებოდა ახაზ მეფისა და მისი სახლეულის ამოსაყლეტად. შეთქმულებს სამეფოდ ვიღაც თავისიანი ჰყოლიათ გამზადებული, სახელად — ბ ე ნ ტ ა ბ ე ლ ი. გარედან მოსული მტრებიც თურმე იერუსალემის ტახტზე ამ ვიგინდარის აყვანას აპირებდნენ.

მაგრამ იერუსალემის არისტოკრატია და სამღვდელოება მაინც ახაზ მეფის მხარეზე ყოფილა, თუმცა არა თვითონ უღირსი ახაზის პირადი ერთგულებით და პატივისცემით, არამედ უფრო დავითის ტახტზე ისევ დავითის სისხლის დასანარჩუნებლად.

ასე რომ შეთქმულება არ განხორციელდა. მაგრამ სირიელები და ისრაელები უკვე შემოერილიყვნენ ცეცხლითა და მახვილით იუდეიის საზღვრებში.

— არ შეშინდე და მშვიდად იყავიო, — მივარდა ე ს ა ი ა წინასწარმეტყველი აქაზ მეფეს — უფალი არ ინებებსო დავითის სახლის დალუპვას; არ ინებებს რადგან სწორედ დავითის თესლისაგან უნდა დაიბადოსო ᲛᲔᲡᲘᲐ (მაშიახ), მხსნელი მომავალი კაცობრიობისა, ქალწულის მუცლიდან დაიბადება და ᲔᲛᲛᲐᲜᲣᲔᲚ (იესო ქრისტე!) დაერქმევაო...

სირიის მეფემ, რეცინმა იერუსალემს სამხრეთიდან გაუარა და იუდეიის ქვეშევრდომ იდუმეიისკენ აიღო გეზი. იდუმეელებმაც იდროვეს და თვითონაც შემოუტიეს იუდეველებს. რეცინმა იდუმეაც დაიკავა და მეწამულ ზღვაზე გაღწეულმა ეილატიც აიღო. აქაური იუდეველები დედაბუდიანად ამოწყვიტა და თავისი თანამემამულე სირიელები ჩაასახლა.

დასავლეთიდან ფილისტიმელებმაც დრო დაიცეს და ზედიზედ მოწყვიტეს იუდეას ქალაქები — ბეთ-შემეშ, აიალონ, გაზერ, სოხო, ტიმნა და გიმზო.

რეცინ დამასკელმა იერუსალემის იერიშზე ხელი აიღო, იუდეასა და იდუმეაში აღებული ნადავლ-ნატყვენავი იკმარა და იმჯერად უკან, სირიაში გაბრუნდა.

რეცინის წასვლით გათამამებული აქაზ მეფე იერუსალემის კედლებიდან გამოიჭრა და მარტოდ დარჩენილ ფეხაკ ისრაელ-სამარიელს შეება.

მაგრამ ვაი ამისთანა შებმას: იგი სასტიკად დამარცხდა. 120 000 იუდეველი თანამოძმე გაწყვიტეს იმ ბრძოლაში ისრაელებმა. ამას გარდა, ისრაელის სარდალმა, ეფრემიტმა ᲖᲔᲥᲠᲘᲛ პირისპირ შეტაკებაში მოჰკლა აქაზ მეფის ძე და ტახტისმემკვიდრე ᲐᲛᲐᲡᲘᲐ. ტყვედ ჩავარდნენ იერუსალემის სახლთუხუცესი ᲔᲖᲠᲘᲙᲐᲛ და იუდეველთა სარდალი ᲔᲚᲙᲐᲜᲐ. მრავალი იუდეველი, განსაკუთრებით ბენიამინის ტომის ქალი, ყრმა და ყმაწვილი ტყვედ გაირეკეს ისრაელებმა სამარიისკენ.

სამარიას რომ მიბრუნდნენ გამარჯვებულნი, იქ მათ გამოუხტათ წინასწარმეტყველი ᲝᲓᲔᲓ და შეაჩვენა თავისიანნი სასტიკი სიტყვით: ღმერთი იუდეველებს მათი ცოდვისთვის გაურისხდა და თქვენს ხელში ჩაჰყარა და თქვენც თქვენი მოძმენი ისე გაიმეტეთ, რომ მათდამი რისხვა ცას უწიეთ! ნუთუ თქვენ მართლა აპირებთ იუდას და იერუსალემის შვილები მონებად და მხევლებად დაისვათ?! აწ ისმინეთ ჩემი და ახლავე გაათავისუფლეთ ყველა, ვინც კი ტყვედ წამოგიყვანიათ ძმათაგან თქვენთა, უკეთუ არ გსურთ უფლის რისხვა ახლა თქვენ თვითონ დაგატყდეთ თავს!

გონს მოეგნენ თანამოძმეებზე გამარჯვებული ისრაელნი, ტყვეობიდან გაუნუტევეს იუდეველი ქალნი და ყრმანი, ნადავლად წამოღებული მათივე საშოსელით შემოსეს, პურით დააპურეს, სახედრებზე შესვეს და უკანვე გამოისტუმრეს.

4. ნასახუ

ახაზ მეფეს კი მაინც უნდა ეფიქრა, რომ სირიელებისა და ისრაელების ერთობლივი თუ ცალკეული შემოსევები იუდეაზე ამით არ გათავდებოდა და ამიტომ მან გადადგა სრულიად მოულოდნელი პოლიტიკური ნაბიჯი: ასურეთის მეფე თიგლათფალასართან ელჩები აფრინა მდიდარი მისართმეველით და შეუთვალა: მოდი, მომეშველე და სამაგიეროდ ყმად ამიყვანეო!

ასურეთის კაციჭამია მბრძანებელსაც სხვა რაღა უნდოდა და ერთბაშად დაიძრა, ეითარცა ზვავი, დიდძალი მხედრობით.

იგი ჯერ სირიას შემოესია. თავს დაესხა და აიღო სირიელთა განთქმული სატახტო ქალაქი დამასკო. ტყვედ აიყვანა და მაშინვე თავიც გააგდებინა თვითონ მეფე რეცინს.

ეს მოხდა 732 წელს.

დამასკოს მკვიდრი მოსახლეობა თიგლათფალასარმა დედაბუდიანად აჰყარა და თავისი ვრცელი მონარქიის სხვადასხვა კუთხეში მიმოაბნია, ხოლო მათ ადგილზე დამასკოში თავისი ასურელები ჩაასახლა.

ასეთი ღონისძიება — დამარცხებული ხალხის მშობლიური მიწიდან აყრა და უცხო ქვეყანაში მიმოფანტვა — ასურელი და ბაბილონელი დაძპყრობლების პოლიტიკური მეთოდი იყო დანარჩენ ხალხებზე მუდმივი და საიმედო ბატონობისა. ისინი ასეთ ღონისძიებას თავისებურად „ჰუმანურ აქციადაც" კი ითვლიდნენ, რამდენადაც დამარცხებულ ხალხს არ ხოცავდნენ, არამედ მხოლოდ სამოსახლო და საცხოვრის ადგილს უცვლიდნენ!

ასე იდგამდა ფეხს საისტორიო პრაქტიკაში — „განთესვა".

ა ნ უ, ასურულად — „ნ ა ს ა ხ უ".

ანუ, ბერძნულად — „დ ი ა ს პ ო რ ა".

პირველი „ნასახუ"-„დიასპორა" აკი მომხდარი იყო, იერუსალემის მოსახლეობის დიდი ნაწილი რომ აჰყარეს და მიმოფანტეს იდუმეელებმა, ფინიკიელებმა და ბერძნებმა. ეს მოხდა 810 წლის ახლოს.

ახლა კი, მეორე განთესვა-„ნასახუ" თავს დასტყდომია დამასკოელ სირიელებს, 732 წელს.

ამ „დიადი დღის" აღსანიშნავად და მარად სახსოვრად, თიგლათფალასარ III-მ დამასკოს მთავარი კარიბჭის გასწვრივ, ბრძოლაში დახოცილ სირიელთა წარკვეთილი თავებისაგან მაღალი კოშკი-გოდოლი აღმართა...

დამასკოდან ისრაელისკენ დაიძრა ასურეთის მრისხანე მბრძანებელი. შეიჭრა „ათმუხლოვან" ებრაულ სახელმწიფოში და ათიდან ოთხი ტომი დაიპყრო, ერთბაშად და ზედმიწევნილებით — დან, ნაფთალი, აშერ და ზებულონ.

ასე, რომ მთელი ჩრდილოეთი ისრაელი ასურელებმა ისე დაიჭირეს, მეფე ფეხაკს ხელის გარყვევაც რომ არ გაუბედნია. სამაგიეროდ, თიგლათფალასარს ებრაელთა მეფისთვის, სირიელთა მეფის მსგავსად, თავის დაგდებინება აღარ

გადაუწყვეტია, მაგრამ ამ ოთხ დაპყრობილ ებრაულ ტომთა მთავარი ქალაქებიდან მოსახლეობა დედაბუდიანად აჰყარა და ასურეთში გადაასახლა.

ესეც ახალი „ნასახუ“, იმავე 732 წელს.

სარწმუნოა, რომ პალესტინის ამ ნაყოფიერ ტერიტორიებს ასურეთის მეფე დაუსახლებელს არ დატოვებდა და იქ, ებრაელთა ნაცვლად, თავისი დიდი სახელმწიფოდან სხვა უცხო ტომებს გადმოასახლებდა.

მაშ, ათმუხლიანი ისრაელის ბედი სრული კატასტროფის გზაზე იდგა. იგი, სანახევროდ იავარქმნილი და მკვიდრი მოსახლეობისაგან დაცლილი, უკვე უმტკიცესი და უსასტიკესი უცხო ძალის საკუთრებად ქცეულიყო.

სამარიის სასახლეშიც მოთმინების ფიალა ავსებულიყო.

იმავე 732 წელს, მეფე ფეხაკი, — ეს „სულელი მწყემსი, რომელმაც თავისი სამწყსო მტერს დასაწიწკნად მიუგდო“ — მოჰკლეს შეთქმულებმა.

შეთქმულებს მეთაურობდა ო ს ი ა, ელას ძე. მან საკუთარი ხელით განგმირა ფეხაკი და ისრაელის გვირგვინიც საკუთარი ხელით დაიდგა თავზე.

იუდეის მეფე ახაზი, რომელმაც ასურელთა უღელი თავისივე თხოვნით დაიდგა კისრად, მალე პირადად წავიდა დამასკოში და მუხლებში ჩაუვარდა თიგლათფალასარს. იქვე, იუდეველთა სულმოკლე მეფემ, ასურული საკურთხეველი რომ იხილა და მსხვერპლიც ასურული წესით შესწირა, დაიჩემა ამიერიდან მეც ჩემს სატახტოში ამნაირი საკურთხეველი უნდა დავდგაო, მაშინვე იმ საკურთხეველის აღნაგი გადაახაზვინა და ნახაზი იერუსალემს წინასწარ აფრინა, უ რ ი ა მღვდელზე გადასაცემად. სანამ მე დავბრუნდებოდე, მანამ მოასწარ და სწორედ ასეთი საკურთხეველი გაამართვინეო.

ურიამ შეასრულა მეფის ნაბრძანები და, დაბრუნდა თუ არა ახაზ მეფე იერუსალემს, უპირველეს ყოვლისა სწორედ იმ ასურულ საკურთხეველს მიეახლა, ასურულად ილოცა და მსხვერპლწირვაც ასურულად განასრულა.

მაშინვე ეს ასურული ქვის საკურთხეველი სოლომონის ტაძარში იეჰოვას სპილენძის საკურთხევლის ადგილზე დაადგმევინა, იეჰოვას საკურთხეველი კი უფრო მოკრძალებულ ადგილზე, ტაძრის ეზოში გაატანინა.

ახაზ მეფე თავის სატახტოში ციურ მნათობთა ასურულ კულტს ამკვიდრებდა. სოლომონის ტაძრის შესავალი ცხენებიან ეტლზე ამხედრებული ასურული მზის ღმერთის, შემეშის ხატით შეამკობინა. მარტო იერუსალემში კი არა, იუდეის სხვა ქალაქებშიც, მრავალ მთასა და მაღლობზე, ახაზ მეფემ ისევ და ისევ ასურული საკურთხეველ-სალოცავები დაადგმევინა.

725 წელს ახაზ მეფე მოკვდა და ვითარცა საკუთარი უფლისა და სჯულის უარმყოფელი, ებრაელ მეფეთა საძვალეში დამარხვა არ აღირსეს.

იუდეის სამეფო ტახტზე ავიდა ძე მისი, ე ზ ე კ ი ა (ჰეზკიაგუ), (725—697).

ისრაელში კი მეფე ოსია, მკვლელი წინარე მეფისა, თურმე საისტორიო ბედისწერისგან უკანასკნელ გვირგვინოსნად ყოფილა მონიშნული, საერთოდ ისრაელის ამ პრიმიტიულ, უხიაგ და ურჯულო მეფეთა ოცეულში.

ისრაელის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ნაწილები ხომ უკვე ასურელთა ხელში იყო ჩაბღუჯული და ჩაკირული, ხოლო რაც იმ ძველი „ათმუხლიანიდან“ დარჩენილიყო, ისიც მოეცვა სრულ კრიზისს, ნივთიერადაც, სულიერადაც. სამეფო კარზე და მმართველ არისტოკრატიაში სუფევდა დაბნეულობა, ურთიერთ შური, მუხანათობა. ქვეყანა გავსებულიყო მძარცველებით, ავაზაკებით, მკვლელებით, როსკიპი ქალებით და სოდომიტი ცვედნებით.

შიგნით დაქცეულ ქვეყანას გარეშე მტერიც უმძლავრდებოდა. მაშინ ებრაელთა დავიწროებული და შევიწროებული სამოსახლონი ორ მსოფლიო სამბრძანებლოთა შორის მოქცეულიყვნენ. ერთი, ჩრდილოაღმოსავლეთიდან, ევფრატის მხრიდან, და მას ასურეთი ერქვა; მეორე, სამხრეთდასავლეთიდან, ნილოსის მხრიდან, და მას ერქვა ეგვიპტე.

და ორივე მხრისანი, „ევფრატელნი“ და „ნილოსელნი“, თავგამოდებით მიელტვოდნენ მსოფლიოს იმ მუდამ „ცხელი წერტილის“ ჩასაყლაპავად, რასაც ერთ დროს ქანაანი, ხოლო შემდგომ და ახლა ისრაელი და იუდა ერქვა.

729 წელს თიგლათფალასარმა ბაბილონი აიღო და ამის შემდგომ უფრო დაჟინებით დააშტერა თვალი დასავლეთის „ცხელ წერტილებს“.

საშიშროება უკვე იმდენად მძლავრად იყო განივთებული, რომ მისი შეგრძნობა და შეცნობა ისრაელის მაშინდელ მდარეაზროვან მეფუკებსაც არ უნდა გასჭირვებოდათ.

მაგრამ ერთია შეგრძნება და შეცნობა, მეორე კი, და უფრო რთული, თავდასახსნელი გზის მიგნება.

ისრაელის მესვეურები ორმაგი თამაშის გზას ადგნენ. აქეთ თავს დამდგარ და მონობის უღლით ჩამოწოლილ ასურეთს ემლიქვნელებოდნენ და ერთგულ მონობას ეფიცებოდნენ, მათგან იდუმალ კი ეგვიპტის ფარაონს ძღვენს უგზავნიდნენ და, როგორც იმდროინდელი ერთი წინასწარმეტყველი, ო ს ე მიანიშნებდა — აღმოსავლური ქარიშხლის საპირისპიროდ დასავლურ სიოს ელამუნებოდნენ. ან კიდევ, ეფრემიტ-ისრაელი, უგუნური მტრედივით, ეგვიპტეს ეძახდა და ასურასტანში მიელტვოდაო.

და გაჰკიოდა ოსე წინასწარმეტყველი:

„ისმინეთ სიტყვა უფლისა, ძენო ისრაელისანო! უდიდეს სასჯელს გიქადით იგი თქვენ, ვინათგან აღარ არს თქვენს შორის არცა სიმართლე, არცა სიყვარული, არცა სარწმუნოება. სიცრუე და მუხანათობა, მკვლელობა და ძარცვა, სიძვა და სისხლის აღრევა განფენილ არს თქვენ შორის. და ამისათვის გლოვაი დაატყდების ამა ქვეყანასა, და ამოწყდება ყოველი მისი მცხოვრები, ყოველი ცხოველით უდაბნოთა და ყოველი ფრინველით ცისაითა, და თევზიც ყოველი გაწყდეს ზღვათა შინა“.

და კატასტროფაც მოახლოვდა.

თიგლათფალასარ III-ის შემდგომ, ასურეთის ტახტი დაეჭირა მის ძეს, ს ა ლ მ ა ნ ა ს ა რ V-ეს (727—722), რომელიც მამამისზე არანაკლები და-

უცხრომლობით იბრძოდა ასურეთის სამხედრო ძლიერების ამაღლებისა და ახალახალი ქვეყნებისა და ხალხების დაპყრობა-დამონებისათვის.

ევფრატის აღმოსავლეთით ასურელ მეფეებს ბაბილონელები, ურარტელები და მიდიელები ევლინებოდნენ იმდროინდელ მტრებად და მეტოქეებად, დასავლეთით კი — სირიელები, ებრაელები, ფინიკიელები და ეგვიპტელები. სირიელებს ხომ თიგლათფალასარმა მოუღო ბოლო. ახლა დასავლური პოლიტიკის ბოლომდე მიყვანა ასურასტანის ახალმა მეფემ იკისრა და კიდევაც დიდის ენერგიით შეუდგა მის განსრულებას.

სალმანასარმა ადვილად აღმოაჩინა, რომ ებრაელთა სამარია და ფინიკიელთა ტვიროსი, ვითომც დიდი შენიღბულობით, ეგვიპტესთან იჭერდნენ კავშირს.

იგი ერთბაშად დაიძრა დიდძალი მხედრობით, ისრაელს ჯერ ჩრდილოეთიდან გადაუარა, სამხრეთისკენ დაეშვა და ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე ტვიროსს მიეჭრა.

ტვიროსი მიუვალი ციხექალაქი იყო. მაგრამ ადგილობრივმა მეფემ, ე ლ უ ლ ა ი მ, კარზე მომდგარ მრისხანე მტერს შებრძოლება მაინც ვერ შეუბედა და დიდძალი მისართმეველის მირთმევით და სრული მორჩილების აღთქმით გადაირჩინა საკუთარი თავიც და ქალაქიც.

იმჯერად ეს იკმარა სალმანასარმა. ფინიკია სრულ მორჩილებაში დაიგულა და უკან გამობრუნებულმა ჯარები სამარიას მიაყენა.

ოსია სამარიელიც ქალაქიდან გამოიჭრა, ასურელ ხელმწიფეს მუხლებში ჩაუგორდა, აქამდე დათქმული ხარკის დამატებით, კიდევ ახალ გადასახადთა გადახდა იკისრა და კიდევ ერთხელ ერთგული მონობა და სამსახური შეჰფიცა.

აქაც ეს იკმარა სალმანასარმა, „დიდსულოვნებით", და ასურეთისკენ გამობრუნდა. იგი მივიდა ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, თავის სატახტო ქალაქ ნ ი ნ ე ვ ი ა ში.

მაგრამ ტახტზე ჩამოჯდომაც ვერ მოესწრო, რომ დასავლეთიდან სრულიად ახალი საშფოთარი ამბები ააბლეს შიკრიკებმა. თურმე ელულაი ფინიკიელს და ოსია სამარიელს ასურეთის მორჩილებაზე უარი უბრძანებიათ და ეგვიპტის ფარაონთან, ბოქხორისთან შეუკრავთ კავშირი. მარტო ტვიროსი და სამარია კი არა, ასურეთის წინააღმდეგ საომარ ბლოკს მიმხრობიან დანარჩენი ფინიკიური ქალაქებიც, ფილისტიმელებიც და იუდეიის ჩათრევაც მოუსურვებიათ ყველასთვის საშიში და საძულველი ასურეთის დასამხობად.

ისევ ამხედრდა საომარ ეტლზე სალმანასარი, რისხვით, გველის კაპროებით ატანილი.

დიდძალი ჯარი გაიყოლია და უპირველესად ისევ ფინიკიისკენ გაესწრაფა შურისგებით გულადღებული.

ყველაზე დიდი უბედურება ტვიროსსა და მის მეფეს, ელულაის უნდა დასტყდომოდა თავს. დანარჩენმა ფინიკიურმა ქალაქებმა სამოკავშირეო პი-

რობა მოისროლეს და მძვინვარე მტერს თვითონვე გაუღეს საკუთარ ქალაქთა კარიბჭენი.

მარტო დარჩენილი ტვიროსიც უომრად ჩაბარდა სალმანასარს. თვითონ ელულაიმ ძლივს ცოცხლად გაასწრო. იგი გადავიდა და თავი შეაფარა მთავარი ქალაქის პირდაპირ კლდოვან კუნძულზე, მიუვალ ციხესიმაგრეში, ანუ „ახალ ტვიროსში".

ელულაის მოღალატე დანარჩენმა ფინიკიურმა ქალაქებმა სალმანასარს სამოცი ხომალდი მოართვეს, რვაასი მეზღვაური-მეხოფით, ახალი ტვიროსის საალყოდ.

სალმანასარმაც კუნძული ალყაში მოაქცია, მაგრამ თვითონ იქ აღარ დაიცადა და მთავარი ძალებით ისრაელისკენ წამოემართა.

სამარიისკენ მოეშურებოდა სალმანასარი. გზაზედ ისრაელის ქალაქები ბარდებოდა და ნებდებოდა უომრად. მხოლოდ ხალხი იყრებოდა და გარბოდა, ზოგი უმისამართოდ, უფრო მეტი კი სატახტოში თავშესაფარად. სამარია ეიმედებოდათ, მთაზე აზიდული და პიტალო კლდეებით შემოსალტული ციხე-ქალაქი.

სამარიასაც მიადგა ასურელთა მხედრობა.

სამარიაც დახვდა მტერს; ისე დახვდა, რომ, ეტყობოდა, ცოცხალის თავით დანებებესაც არ აპირებდა.

ასურელნი გარს შემოერტყნენ ისრაელის სატახტოს.

იდგა 725 წელი.

ალყა და ბრძოლა გაგრძელდა სამი წელიწადი.

722 წელს ნინევიის სასახლის კარზე გადატრიალება მოხდა. სალმანასარ V შეთქმულებმა მოჰკლეს და მეფის ტახტზე მისი უმცროსი ძმა, სახელად სარგონ (შარუკინ) გაამეფეს.

ესეც დიდი ხელმწიფე აღმოჩნდა — **სარგონ II** (722—705).

მისი სიდიდეც სამარიის აღებით დაიწყო.

მაშ, იდგა ქრისტეს წინარე 722 წელი და ისრაელის სამეფოს სატახტო დაცემულიყო.

და, თურმე, სატახტოს დაცემა სრულიად სახელმწიფოს დაცემასაც ნიშნავდა.

სარგონ ასურელმა სამარია რომ აიღო, გაძარცვა და მისი კედელ-ზღუდენი მიწასთან გაასწორა, მთელი მისი მოსახლეობა დედაბუდიანად აჰყარა და ასურასტანის სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტა.

ასურელებს ტყვედ ჩაუვარდათ თვითონ მეფეც, ოსია, რომელსაც სარგონის ბრძანებით სიცოცხლე დაუნარჩუნეს, მაგრამ ნინევიის ერთ ბნელ ჯურღმულში ჩააგდეს, იქვე სამუდამოდ ჩასალპობად და ჩასამიწებლად, — ეს უკანასკნელი გვირგვინოსანი ისრაელისა.

მერე, მარტო სამარიელნი კი არა, ისრაელის დანარჩენი მოსახლეობაც,

რაიც აქამდე თიგლათფალასარს და სალმანასარს გადარჩენოდა, სარგონმა ძირფესვიანად აჰყარა და მესოპოტამია-მიდიის ტერიტორიებზე მიმოჰყარა.

სანაცვლოდ, ასირიის გულქვა მბრძანებელმა ებრაელთა ნამოსახლარზე თავისი თანამემამულენი ან სხვა მისი უცხო ქვეშევრდომნი ჩამოასახლა და დაამკვიდრა მარად საცხოვრისად.

ასე განესრულა ებრაელთა კიდევ ერთი „ნასახუ“ — „განთესვა“ — „დიასპორა“.

ასე განესრულა ისრაელი, „ათმუხლიანი“, ათი ებრაული ტომის სახელმწიფო.

დაესრულებინა არსებობა — თავის არსებობის 250 წლის თავზე.

„ი ს რ ა ე ლ!“

2680 წელიწადი (722+1948) დასჭირდება ამ ჯადოსნური სახელის აღდგენას, სახელმწიფოებრიობის პიედესტალზე...

ე ზ ე კ ი ა

დარჩა იუდეა „ორმუხლიანი“, ორი ტომით — იუდა და ბენიამინი, კიდევ — სიმონის და ლევის ნაწყვეტებით.

დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა ისრაელის დაღუპვას იუდაზე — მოძმის დაღუპვას, ხშირად მომტერესი, მაგრამ მაინც ძმისა.

დამთრგუნველი იყო ეს შთაბეჭდილება, მაგრამ მაინც ჭკუის მასწავლებელიც.

თითქოს, მართლაც იეჰოვამ იხსნა თავისი სახლი იერუსალემში და მისი მიმდგომი ქვეყანა, იუდეა, ხოლო უფლისგან გამდგარი და უცხო ბომონებზე გადარჯულებული ისრაელი პირდაპირ სასიკვდილოდ მიუგდო ასურასტანის მგლებს.

მართლაც და, ვინ იცის, ასე რომ არ ყოფილიყო, ვითომ ასურელებს გაუჭირდებოდათ ორმუხლიანი იუდეაისთვისაც ის დღე დაეყენებიათ, რა დღეშიც ათმუხლიანი ისრაელი ჩააგდეს?!

ეს ახალი მეფეც თითქოს საგანგებოდ გამოუგზავნა ყოვლისმოწყალე იეჰოვამ — ეზეკია, უსამართლო და უზნეო ახაზის შემდგომ.

ეზეკიასთანა ხელმწიფე დავითის შემდგომ აღარავინ ღირსებია იერუსალემის ტახტს. იყო იგი ჭკვიანი, მამაცი, კეთილი, ღვთისმოსავი და სამართლიანი. ტახტზე ასვლისთანავე მან გადაჭრით უარყო მამის ცოდვიანი სარწმუნოებრივი გზა და მტკიცედ შეუდგა იეჰოვა-მოსეს მამაპაპეულ საღვთო და სამოქალაქო ტრადიციათა აღორძინებას. ეზეკიამ უტყუვრად ირწმუნა, რომ

იეჰოვას ერთიანი, მონოთეისტური ღვთისმეტყველებისა და ღვთისმსახურების დავიწყება და მის ადგილზე კერპთაყვანისმცემლობის განახლება იყო არა-მარტო ცოდვა ჭეშმარიტი უფლის წინაშე, არამედ ერის და ქვეყნის დამღუპ-ველი პოლიტიკური ცთომილებაც. ეროვნულ მონოთეიზმზე უარის თქმა და ად-გილობრივ, უცხო ლოკალურად გაფანტული ბომონების, ანუ „ღმერთუკების“ გაცოცხლება მოასწავებდა სწორედ ერთიანი, ეროვნულად მთლიანი სახელ-მწიფოს დაშლას. ეს პრაქტიკამაც დაადასტურა, — ფრიად მწარე პრაქტიკამ: ჯერ ათმუხლიან (ისრაელ) და ორმუხლიანად (იუდა) გათიშვამ, მერე ათმუხ-ლიანის კიდევ „შიდამუხლობრივად“ დაქსაქსვამ და, ბოლოს, ამ უკანასკნე-ლის — ისრაელის სრულიად დაღუპვამ და გადავლიანებამ.

ახლა კი, ის დარჩენილი „ორმუხლოვანი“ მაინც უნდა მოსულიყო გონს და, უმრავლეს ძმათა უსაშინელესი ტრაგედიით ჭკუანასწავლს, მოენახა გზა ხსნისა და გადარჩენისა.

ასეთი „ხსნის გზა“ კი იუდეველთათვის საძებარი არ იყო. ეს გზა ამ ხალხს გაელილიც ჰქონდა, გამოცდილიც. მას ეროვნული კონსოლიდაციის გზა ერქვა, იეჰოვა-მოსეს მონოთეისტური, მონოზნეობრივი და მონოპოლი-ტიკური გააზრებებით.

ამ ახალი, ანუ განახლებული ხსნის გზას სათავეში სწორედ ეზეკია მეფე ჩასდგომოდა.

მისი იმედი მისივე უფლისწულობიდან ჰქონიათ აქაიქ შემორჩენილ ერისა და ღვთის კაცებს. აქაზ მეფეც რომ სიონის სამეფო საძვალეში დაკრძალვას ვერ ეღირსა, ესეც მისი ძის, ახლად გამეფებული ეზეკიას ნებით აღესრულა: შვილმა ცოდვილი და ცდომილი მამა ღირსეულ მამულიშვილ მეფეთა გვერ-დით არ დამარხა და მისთვის სხვა, უჩინო ადგილი შეარჩია სამარხად. თანაც ჩვეულებრივად მიღებული ძვირფასი სამეფო სარკოფაგით როდი გაასვენა შვილმა მამა, არამედ სულ უბრალო, თოკებით შებლანდული ლერწმის სა-კაცით.

მამა რომ დაკრძალა, იერუსალემს იხმო და თავი მოუყარა ყველა ქუ-რუმს, ყველა ლევიანს, მიმართა მათ სიტყვით, მოწოდებით, ჩამოთვალა და დაგმო მამაპაპათა უსჯულოებანი, ხელახლა გააღებინა დაკეტილი და დაყრუ-ებული იეჰოვას ტაძარი, გააწმენდინა, მოაწესრიგებინა, ხელახლა აკურთხები-ნა, მსხვერპლი აწირვინა და საკმეველი აკმევინა.

და შემოაბრუნა იუდეველნი ეზეკიამ იუდაიზმზე, მოსეს, დავითისა და სოლომონის კლასიკური სჯულიერებისა და კანონიერების გზაზე.

მაგრამ მარტო იუდას და ბენიამინის ტომნი როდი იკმარა ეზეკიამ, არა-მედ ძან მოისურვა თავისი კეთილი ზრუნვის ქვეშ მოექცია ასურული ნასახუ-დიასპორისაგან გადარჩენილი ისრაელური თანამოძმეებიც.

და დაგზავნა ეზეკიამ მოწოდებანი სრულიად ისრაელს, დანიდან ბეერ-შებამდე: ძენო ისრაელისა, მოდით იერუსალემს, ფესახის დღესასწაულს, მოჰხედეთ უფალსა თქვენსას, ღმერთსა აბრაამისა, ისააკისა და იაკობისა და

უფალი იგი ოგზეედავთ თქვეო, ვიოც გადაუოიით ასუოული ოეფის ხასტიკ ხელს. ნუ იქნებით ისეთნი, როგორიც იყვნენ თქვენი მამანი და თქვენი ძმანი, რომელნიც განუდგნენ უფალსა თვისსა, წინაპართა მფარველსა, და ამ განდგომისთვის უფლისაგან რომ დაისაჯნენ, თქვენც კარგად ჰხედავთ. „და აწ ნუ განიფიცხებთ ქედთა თქვენთა, არამედ მიეცით დიდებაი უფალსა ღმერთსა და შედით სიწმიდესა მისსა“. მაშ, მოდით მის ტაძარში, მისგანვე განწმენდილსა და ნაკურთხევში, და აღარ მოაქცევს თქვენზე იგი რისხვას გულისწყრომისას. თქვენის მოსვლით და მოქცევით უფალი გადაარჩენს და უკანვე ისრაელის მიწაზე მოაბრუნებს ასურელთაგან ტყვედ წაყვანილ შენს ძმებს, შენს შვილებს, რამეთუ მოწყალე არს და მწყალობელ უფალი ღმერთი ჩვენი, და არა მიიქცევს იგი პირსა თქვენგან, უკეთუ თქვენ შემოიქცევით [illegible]კენ.

და დაიძრნენ ისრაელის გადარჩენილი ტომთაგანნი იერუსალე[illegible]ნ — ეფრემის, მანასეს, აშერის და ზებულონის მოდგმისანი. მარტო ებრ[illegible]ნი კი არა, უცხოელებიც მიეშურებოდნენ იუდეიის სატახტოსაკენ.

გაივსო და გაიტენა იერუსალემი მლოცველებით. სოლომონის შემდგომ აღარ მოსწრებია დავითის ქალაქს ამდენი ხალხი, ასეთი ზორვა და ზეიმი. ფესახის დღესასწაულიც მაშინ მოსეს კანონით დადგენილ შვიდ დღეში არ ჩაეტია და ორი კვირა გაგრძელდა.

ეზეკიამ მარტო იეჰოვას კულტის ეგზომ წარმატებითი აღდგინება არ იკმარა და სრული დაუნდობლობით შეუდგა უცხო სალოცავების, ბომონების მსხვრევას და მათ სადიდებლად გაშენებულ მაღნართა ჩეხვას. ხალხიც დიდი ალტკინებით მისდევდა მეფეს, უცხო სალოცავთა მსხვრევით და ჩეხვით.

არც ის დაითმინა მეფემ, რომ მამამისის დროს ფილისტიმელებს დაეპყროთ იუდეიის ქალაქები. არ დაითმინა, ფიცხლავ შეუტია, ქალაქები დაიხსნა და ფილისტიმელნი აიძულა საკუთარ ციხეებსა და სამალავებში შეხიზნულიყვნენ.

ჩრდილოაღმოსავლეთის მხრიდან კი ისევ ავი მზერით იმზირებოდა ასურასტანი.

სარგონ II-ეს, სამარიისა და ისრაელის დამაქცევარს, აღარ უცდია იუდეიის ხელყოფა. იერუსალემიდან იგი გარკვეულ ხარკს ღებულობდა და ამას კმარისობდა. ჯერჯერობით ასე იყო, რადგან სარგონს მაშინ უფრო ურარტუსა და ბაბილონის დაპყრობის დაუოკებელი წყურვილი აწუხებდა. და, ბოლოს, კიდევაც დაირწყულა ეს წყურვილი: ჯერ, 714 წელს დიდის წარმატებით ილაშქრა ურარტუში, აიღო, გაძარცვა და დაანგრია მისი მთავარი ქალაქი მ უ ს ა ს ი რ ი; მერე კი, 710 წელს, ბაბილონს მიუხტა სარგონი. ბაბილონში მაშინ ქალდეველი მ ა რ დ უ კ ა პ ა ლ ა დ ი ნ ი (მეროდახ-ბალადან გამეფებულიყო. დაამარცხა და გააქცია იგი ასურელმა მეფემ, გააქცია და თვითონ დაეუფლა ბაბილონს — ამ „მსოფლიო ცენტრს“.

ამის შემდეგ სარგონმა თავისი მეფობის დარჩენილი ხუთი წელიწადი, დიდ მშენებლობით საქმიანობაში გაატარა. მან ააგო თავისი ახალი სატახტო

ქალაქი — დ უ რ-შ ა რ უ კ ი ნ ი, და ძველი, განთქმული სატახტოდან, ნინევიიდან, აქვე გადმოვიდა საცხოვრებლად და სამოღვაწოდ. აქვე აღესრულა და აქვე დაიკრძალა, 705 წელს.

ასურეთის ტახტზე აბრძანდა მისი ძე — ს ე ნ ა ქ ე რ ი ბ ი (ასირ. სინ-აჰიიბა, ებრ. სანხერიბ, ბერძნ. სანაქარიბოს), (705—681).

ასურელებს ალბათ ბედად მოსდგამდა ძლიერი ხელმწიფენი. სენაქერიბიც ძლიერი იყო, ძლიერი და ღვთისრისხვა ყოველი სხვა ხალხისა და ქვეყნისათვის.

სარგონი რომ მოკვდა, მისგან დევნილი ქალდეველი მარდუკაპალადინი ისევ დაბრუნდა და კვლავ ხელთ იგდო უმაღლესი ძალაუფლება ბაბილონში. ასურეთის ახალი მეფეც არ შეურიგდა ბაბილონის დაკარგვას, სასწრაფოდ ჯარები შეკყარა და დაიძრა სამხრეთისაკენ. ისევ წააგო ბრძოლა მარდუკაპალადინმა, ისევ მოასწრო გაქცევა და სადღაც სამხრეთით, ევფრატის ჭაობიან შამბნარებში გაუჩინარება.

სენაქერიბმა ბაბილონი ისევ ასურეთის ტახტს დაუმორჩილა, თუმცა იქ მმართველად ადგილობრივი ბაბილონელი წარჩინებული კაცი დასვა.

ამის შემდეგ, 701 წელს, სენაქერიბმა ჯარები დასძრა დასავლეთისკენ, სადაც ასურეთის მორჩილება-მოხარკეობაზე უკვე უარი ჰქონდათ ნათქვამი იუდეასაც და ფინიკიასაც. პალესტინაში შეიჭრა, იორდანეს ორივე მხარე ააოხრა; იუდეიის ყოველი შემხვედრი ქალაქი აიღო, გაძარცვა, დაანგრია. ხალხი იერუსალემს მიაწყდა თავშესაფარად.

სენაქერიბმა იერუსალემი ხელმარცხნივ ჩამოიტოვა და ფინიკიაში გავიდა. პირველივე დარტყმით აიღო სიდონი, კიდევ რამდენიმე ფინიკიური ქალაქი. ფინიკიელებს მათ საშველად მოსული ეგვიპტელ-ეთიოპელთა ჯარიც მიაყოლა. იქიდან შემობრუნდა და იერუსალემისკენ წამოემართა.

გზაზედ, ჯერ ქალაქი ლაქისი აიღო სენაქერიბმა და აქ დასცა ბანაკი, დროებით, იერუსალემზე ნახტომის სამზადისით.

ეზეკიამ სწრაფად განსაზღვრა, რომ მტრის უზარმაზარ ძალთა მოგერიებას ვერ შეძლებდა და სენაქერიბთან ზავის ჩამოსაგდებად ელჩობა გაგზავნა.

სენაქერიბმა მშვიდობის საფასურად 30 ოქროს ტალანტი და 300 ვერცხლის ტალანტი მოითხოვა.

ეს უმძიმესი ხარკი ისევ იეჰოვას ტაძარს და მეფის სასახლეს უნდა ეტვირთათ. არა მხოლოდ განძად დაუნჯებული შესაწირავნი გაიტანეს ტაძრიდან, არამედ ეზეკია იძულებული გახდა ტაძრის სვეტებსა და კარებზე განფენილი ოქროს სამკაულებიც აეძრო და მტრისთვის გაეგზავნა.

მაგრამ უცებ აღმოჩნდა, რომ ასურელი მბრძანებელი აწ მიღებულ ხარკსაც არ კმარისობდა და თვითონ იერუსალემის დაუფლებაზე ხელს არ იღებდა. აღარც დააყოვნა და ლაქისიდან იერუსალემისკენ უკვე კიდევაც გაგზავნა ჯარი, რომელსაც სარდლებად უჩინა სამი უახლოესი კარისკაცი — ტ ა რ ტ ა ნ ი, რ ა ბ ს ა რ ი ს ი და რ ა ბ ს ა კ ი.

მიეიდნენ და დაიბანაკეს იერუსალემის ჩრდილო-აღმოსავლეთ - მხარეს, ესრეთ წოდებული „ზემოთა წყაროს“ მახლობლად და აქვე შეუდგნენ ქალაქის საალყო სამზადისს.

იერუსალემი კი მზად იყო თავდაცვისათვის. ბუნებითვე მიუვალობისა და ძველი ციხეგალავნების გარდა, ეზეკიას უკვე ეზრუნა ქალაქის ხელახალი გამაგრებისა და განმტკიცებისთვის, დავითის სიონისა და ქვემო ქალაქის, ანუ მილოს კედელთა გარეთ კიდევ ერთი კედელი აეგოთ ეზეკია მეფის თაოსნობით.

ახლა, ასურელმა სარდლებმა ალყის დაწყებამდე ეზეკიას შეხვედრა და მოლაპარაკება მოსთხოვეს.

ეზეკია თვითონ, პირადად არ წავიდა და სამ ასურელთან შესახვედრად თავისი სამი მოხელე გაგზავნა — ეზოსმოძღვარი ე ლ ი ა კ ი მ, მწიგნობართმოძღვარი შ ე ვ ნ ა და საქმეთმწარმოებელთმოძღვარი ი ო ა ქ ა ზ.

შეხვედრა მოხდა და პირველმა, ასურელმა რაბსაკმა უთხრა ებრაელ დესპანებს: წადით და ჰკითხეთ ეზეკიას, მაინც რის იმედით აპირებს ჩვენს დიად მეფესთან ბრძოლას, რაის იმედად გაბედა მან ჩვენგან განდგომა?! ბრძოლისთვის ხომ მარტო სიტყვიერი ლაყბობა არ კმარა, ამას ხომ ძალაც უნდა, ჭკუა და სიმამაცე. ეგვიპტის იმედიც ტყუილად გაქვთ, ეგვიპტე ხომ გადატეხილი ლერწმის ჯოხია, რომელსაც უკეთუ დაებჯინები, ხელს დაგიჭრის; ასეთი გახლავთ ფარაონი ყველა მისი მოიმედისთვის. ანდა, ეგვიპტემ რომ კიდევაც, ვთქვათ, ცხენები გამოგიგზავნოთ, თქვენს შორის ხომ ორი ათასი მხედარიც არ მოიძებნება. ხოლო, თუ იტყვით, რომ ღმერთის იმედად ხართ, ვერც ეს გიშველით, რაკიღა თქვენმა მეფემ ღმერთსაც უღალატაო.

ამ სიტყვას ასურელი ებრაულად ამბობდა, თანაც იმდენად ხმამაღლად, რომ ქალაქის კედლებზე გადმომდგარ იერუსალემელთ კარგად გაეგონათ.

ამიტომ მაშინვე ეს ითხოვა ებრაელთა სამეულმა ასურელ სამეულისაგან: არამეულად ილაპარაკეთ და არა ებრაულად, რათა ჩვენმა ხალხმა არ გაიგოს თქვენი ნათქვამიო.

არავითარ შემთხვევაშიო, — სთქვა რაბსაკმა ისევ ებრაულად — განა მარტო თქვენთან და თქვენს მეფესთან სალაპარაკოდ გამოგვგზავნა ჩვენმა მბრძანებელმა, არამედ იმ ხალხის გასაგონადაც, რომლებიც იმ კედლებზე ჩამომსხდარან და, თქვენთან ერთად, საკუთარი სხეულიდან ნადინარს მიირთმევენო.

მერე თვითონ ხალხს მიუბრუნდა და იყვირა: ისმინეთ სიტყვა ასურასტანის დიადი ხელმწიფისა, ნუ დაუჯერებთ თქვენ ეზეკიას, რამეთუ იგი ვერ დაგიხსნით ჩემის ხელიდან, და ნურც ომას დაუჯერებთ ეზეკიას, რომ დაუქცია. ჩვენი უფალი ღმერთი გადაგვარჩენსო. აგრე რომ იყოს, რამდენი ხალხი ჩვენ ასურელებს დაგვიპყრია, გადაარჩინეს მათმა ღმერთებმა ის ხალხები? თვითონ სამარია გადაარჩინა მისმა ანუ თქვენმა ღმერთმა იეჰოვამ? ამიტომ ის გიჯობთ, სენაქერიბს დაემორჩილოთ და იგი თქვენ დაგასახლებთ ისეთ

მიწაზე, სადაც ყველას სამყოფად ექნება თავისი პური და ღვინო, თავისი ზეთი და თაფლი...

ხალხმა სრული მდუმარებით მოისმინა ასურელის მიმართვა, ეზეკიას გაფრთხილებისამებრ: ასურელმა რაც არ უნდა გითხრათ, ხმაც არ გასცეთ, პასუხის ღირსადაც არ ჩაგდოთო.

მეფის წარგზავნილებიც უკან დაბრუნდნენ, ტანზე ტანსაცმელი დაიპეს და სასახლეში ეზეკიას ისე წარუდგნენ და მოახსენეს ყოველივე, რაც მოისმინეს ასურელთა ბანაკში.

ეზეკიამაც დაიპო ტანზე ტანსაცმელი, საგლოველი ძაძა ჩაიცვა და ტაძრად წავიდა, იეჰოვას სავედრებლად და სალოცავად. ხალხიც მიიწვია ლოცვად, ვედრებად, ღაღადისად, ზორვად, მძიმე მარხულობით და ტყვეობაებით.

და უწოდა ამ დღეს ეზეკიამ „დღე ჭირისა და ურვისა", დღე ისეთი, როცა მუცელქმნილი დედაკაცებიც საშოს პირზე მომდგარ ნაყოფსაც ვეღარ შობავენ!

და მოიწვია ეზეკიამ ტაძრად, ხალხის წინაშე ქადაგებად, ესაია წინასწარმეტყველი. თვითონ პირადად ვერ (თუ არ) მოვიდა ესაია, მაგრამ შესაწირავი გამოგზავნა და თავისი სიტყვაც თან აახლა: ნუ შეშინდებითო, უფალმა ყველაფერი იცის, იგი კვლავ ჩვენთანაა და მისგან ასურელებიც ბრძოლის გარეშე დამარცხდებიან და იერუსალემიდან გადაიხვეწებიანო.

ასურელი სარდლები კი პასუხს ელოდნენ ეზეკიასგან.

ეზეკიამაც გამოსცა თავისი პასუხი: მე იერუსალემს არ ჩავაბარებ. რამეთუ მისი დამცველი არის თვითონ უფალი ჩვენი!

ამ პასუხით წამოვიდნენ ასურელი სარდლები მათ მეუფესთან.

სენაქერიბი კი მაშინ ლაქისიდან ჩრდილოეთით გასულიყო და იქ კიდევ ერთი იუდეური ქალაქი დაეპყრო — ლ ო ბ ნ ა. აქვე მოისმინა მან ეზეკიას პასუხი მის შენათვალზე. მოისმინა და შესაფერისად, „ასურულად", ცოფიანი ჰყარა გარისხებულმა. მაშინვე წერილიც დაწერა და აფრინა იერუსალემს, ეზეკიასთან. ამ წერილით ასურელი ებრაელს შეურაცყოფდა როგორც პირადად, ასევე მის ქვეყანასაც, მის ღმერთსაც.

ეს წერილი კი გაუგზავნა სენაქერიბმა ეზეკიას, მაგრამ სანამ მის პასუხსაც მიიღებდა, სამხრეთიდან ფრიად საშფოთარი ამბავი მოუვიდა. თურმე ეგვიპტის მაშინდელი ფარაონი, ტომით ეთიოპელი, სახელად ტ ა ხ ა რ კ ა, წამოსულიყო ძლიერი ვხედრობით ასურელებთან საომრად.

მაშინვე შემოიყარა სენაქერიბმა იუდეიის ქალაქთა და სოფელთა საოხრებლად გაფანტული ჯარები და სასწრაფოდ დაეშვა სამხრეთისაკენ. იგი მიადგა ეგვიპტის სასაზღვრო ქალაქს, პელუზიუმს, აზია-აფრიკის შემაერთებელ ყელთან და ალყა შემოარტყა მას. ალყა გაჭიანურდა.

ამასობაში ეზეკიას მოსვლოდა და წაეკითხა სენაქერიბისგან მოწერილი მუქარისა და ლანძღვაგინების წერილი. მღელვარებამ მოიცვა ეზეკიას გული.

დაამშვიდა ესაია წინასწარმეტყველმა, — ჩვენი უფალი მალე დასჯის ამ წერილის დამწერსო.

მაშინვე ტაძარში შევიდა ეზეკია და იეჰოვას წაუკითხა სენაქერიბის ის უწმაწური წერილი. მას უკან, დადგა და თვითონ ეღაღადა უფალს:

„უფალო ღმერთო ისრაელისაო, რომელიც ზიხარ ქერობინთა ზედა, შენ ხომ ერთადერთი ხარ ღმერთი ყოველსა ზედა, მეუფე ქვეყნისათა, შენ შექმენ ცა და ქვეყანა. მომაპყარ ყური შენი, უფალო, და მისმინე; აღიხვენ თვალნი და იხილე და ისმინე სიტყვანი სენაქერიბისანი, რომელიც მან გამოგზავნა შენს, ცხოველი უფლის სალანძღავად. მართლაც, უფალო, ასურელმა მეფეებმა გასწყვიტეს ხალხნი და ააოხრეს ქვეყანანი მათნი. და მისცეს ღმერთნი მათნი ცეცხლსა, მაგრამ ისინი არ იყვნენ ღმერთნი, არამედ ოდენ კაცთა ხელით გამორანდულნი, ოდენ ძელისანი და ქვისანი, და იმიტომაც მოისრნენ ისინი. და აწ, უფალო ღმერთო ჩვენო, გვიხსენ ხელთაგან მისთა, რათა ცნან ყოველთა მეფეთა ქვეყნისათა, რამეთუ შენ ხარ უფალი ერთადერთი“.

მერე ესაია წინასწარმეტყველი მიუთხრობს ეზეკიას: შეისმინა უფალმა შენი ვედრებაო და სამაგიეროდ ეს ბრძანა თვითონ სენაქერიბზეო: „მალე დაგცინებს და გაგამასხრებს შენ ქალწული სიონისა, მას უკან — ასული იერუსალემისა; ვინ აგინე და შეურაცხყავ შენ? ანუ ვისზე აღიმაღლე ხმა და ვის გაუბედე ასე თამამი თვალსწორება? წმიდა ისრაელს?“ — და სასტიკად დაემუქრაო უფალი სენაქერიბს, — არწმუნებდა ესაია ეზეკიას — რა გზითაც მოვიდა, იმ გზითვე გადაიხვეწება და იერუსალემში არც შესვლა ეღირსება და მისკენ არც ერთი ისრის გასროლა, რამეთუ თვითონ მე ვიქნები ზედამდგომელი და მხსნელი იერუსალემისაც და დავითისაც...

ეს დიდი ნუგეში და გამხნევება იყო არა მარტო მეფისთვის, არამედ მთელი ქალაქისთვის. მაგრამ მალე ამის შემდგომ სრულიად მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი საფრთხე გამოუხდა იერუსალემს. საფრთხე, რომელიც ყოველ ადამიანს ყურს უკან უზის, მაგრამ სანამ ყურს არ ჩააფრინდება, მანამ ყურსაც რომ არ ათხოვებს. ეს არის ავადმყოფობა — წინამორბედი და მაცნე სიკვდილისა.

მოულოდნელად გახდა ავად თვითონ მეფე ეზეკია. ეს იყო რაღაც „სენი სიკვდილისა“, იმდენად მძიმე, რომ ესაია წინასწარმეტყველსაც გადასწურვოდა მეფის გადარჩენის იმედი, და კიდევაც უთქვამს მომაკვდავისთვის: რაკი ნება უფლისა ასეთია, ბრძანე ანდერძი შენი სახლისთვის, რამეთუ მოკვდე და ცოცხალი აღარ დარჩეო.

ხალხისთვის საყვარელი, სათნო და ჭკვიანი მეფის სიკვდილი, თახაც უსასტიკესი მტრის შემოსევის ჟამს, მართლაც უბედურების მომასწავებელი უნდა ყოფილიყო სახელმწიფოსთვის. თანაც, ეზეკია უძეო იყო და მისი სიკვდილისთანავე მოსალოდნელი ხდებოდა წარჩინებულ დიდკაცთა შორის ჰიდილი ტახტის გარშემო, რაც ბოლოს სამოქალაქო ომშიც შესაძლოა გადაზრდილიყო.

ამიტომ ხალხი დღეღამ ლოცულობდა, ლიტანიობდა და უფალს "ძესთხოვდა მეფის გადარჩენას. გამორჩევით, სამღვდელონი და ლევიანი მგალობელნი ფსალმუნთა გალობით ევედრებოდნენ იეჰოვას მეფის სიცოცხლის გახანგრძლივებას. ამასვე ევედრებოდა უფალს თვითონ მეფეც.

და, უფლის მიერ, მისი „რჩეული ერის" ვედრება, ეს მერამდენედ, „შესმენილ იქნა" და მეფე ეზეკია სიკვდილს გადარჩა.

ასურული საშიშროება კი კვლავ მძვინვარებდა. სამხრეთით, პელუზიუმის კედლებთან, ასურელები ეგვიპტელებს ერკინებოდნენ და უკეთუ სენაქერიბი გაიმარჯვებდა, მაშინ, ვაი შენ, იერუსალემ და სახლო დავითისაო!

მაგრამ ვერ გაიმარჯვა სენაქერიბმა. ხოლო, რა მოხდა პელუზიუმთან და რაის გამო ვერ გაიმარჯვეს ასურელებმა, ამის შესახებ იერუსალემს მოვარდნილი შიკრიკები ამას მოუთხრობდნენ: თურმე, ასურელთა ბანაკში შავი ჭირი გაჩენილა და 185 000 სული ერთ ღამეს გაუწყვეტია. ხოლო, ეგვიპტეში ამას გაიძახდნენ: თურმე, ასურელთა ბანაკს ერთბაშად უთვალავ მემინდვრია თაგვთა თუ თახვთა ზღვა მიექცა და თაგვებმა დაღრღნეს, დაჭამეს მეომართა აღკაზმულობა — მშვილდნი, კაპარჭნი, ქარქაშნი, ფარნი, სამკლაურნი თუ საბარკულნი, სურსათი, ნუზლი... და სენაქერიბი იძულებული გამხდარიყო, თითქმის სრულიად უსაჭურველოდ და ულუკმაპუროდ დარჩენილი ჯარები აეყარა და უკან, ასურეთში დაბრუნებულიყო.

ასე იყო თუ ისე, იერუსალემში ამ მოულოდნელ გადარჩენას კვლავაც ზეციოთ, უფლისგან მოვლენილ სასწაულად მიიჩნევდნენ.

იუდეამ ამოისუნთქა. იერუსალემს შეხიზნული, ან კლდეღრეებში და ხევხუვებში მიმოფანტული მოსახლეობა ისევ დაუბრუნდა მიტოვებულ კერას და მეურნეობას.

ისევ ააწყო, დაალაგა და განამტკიცა სახელმწიფო ეზეკიამ. აწ დაქცეული და წარტყვევნილი ისრაელის სამხრეთი ოლქები შეიერთა და სისხლისმიერი ძმანი ძმათა ოჯახში მოაქცია და მოამძლავრა.

ეზეკია „მშვიდობისმოყვარე" მეფედ მოიხსენიებოდა, მაგრამ ეამეამად მაინც სჭირდებოდა საომრად ამხედრებაც. მან ჯერ მშვიდობიანი გზით სცადა მამამისის დროს ფილისტიმელთაგან წართმეული ებრაული ქალაქების დაბრუნება, მაგრამ როცა მის თხოვნას ფილისტიმელებმა უარით უპასუხეს, მაშინვე ჯარი შემოიყარა, ფილისტიმელებს შეება და იუდეიის ქალაქები ისევ იუდას დაუბრუნა.

მას შეეძლო ფილისტიმელთა სამხრეთი ნახარეც, ღაზა და მისი ოლქი სრულად დაეპყრო და ზღვაზეც გასულიყო, მაგრამ ეს არ ინება და უკან გაბრუნდა. თუმცა იქ მცხოვრებმა სიმონიტმა ებრაელებმა თავისი მეფის წარმატებებით ისარგებლეს და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ღაზის ოლქში ჩასახლდა და ჩამკვიდრდა.

მოაბიც შემოეერთებინა ეზეკიას, უფრო სისხლდაუქცევლად.

მეზობელი მცირე ტომები, ურთიერთ შორის ატეხილ კონფლიქტთაგან

თავდასახსნელად, გამშველებელ „მესამე ძალად“ იუდეის „მშვიდობისშემოქმედ მეფეს“ იწვევდნენ ხოლმე.

მოულოდნელი იყო ელჩობა ბაბილონიდან, ქალდეველი მარდუკაპალადინისგან. თურმე, უსარგებლია მარდუკაპალადინს დასავლურ ლაშქრობებში სენაქერიბის მარცხით, ისევ დაბრუნებულა ბაბილონში და ისევ გამოუცხადებია დამოუკიდებლობა მსოფლიოში ამ უდიდესი ქალაქისა. და ახლა, თავისი ელჩების პირით, მარდუკაპალადინი ავადმყოფობისგან განკურნებასა და მტრის გაწბილებულად უკუქცევას ულოცავდა ებრაელთ მეფეს, და თან, ფრთხილად, კავშირსაც სთავაზობდა იგი საერთო მტრის, ასურეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისას.

ეზეკიამ დიდად გაიხარა ბაბილონელთაგან მოლოცვისა და ძღვენის მორთმევით. იერუსალემის ტაძრისა და სასახლის საგანძურებიც დაათვალიერებინა მეფემ სტუმრებს, დიდის თავაზით, მაგრამ კავშირის შეკვრაზე ესაია წინასწარმეტყველმა შეაკავებინა თავი ეზეკიას: ეგ ის ბაბილონი გახლავს, რომელთანაც ჩვენს ქვეყანას მომავალში, უფლის ნებით, კავშირ-მეგობრობა კი არა, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი ელისო.

ამის შემდგომ კიდევ სამი წელიწადი იმეფა და იცოცხლა ეზეკიამ, კვლავაც მისი ხალხის პატივისცემითა და სიყვარულით გარემოსილმა.

აღესრულა 697 წელს და დიდის პატივით დაკრძალეს დავით-სიონის სამეფო საძვალეში.

ეზეკიას თორმეტი წლის ძე დარჩენოდა მისი ცოლის, ხ ე ფ ც ი ბ ა ს ა-გ ა ნ. სახელი ამა ყრმისა იყო — მ ა ნ ა ს ე (მენაშე).

მაშ, იუდეიის ტახტზე ავიდა მანასე, რომელსაც უნდა ემეფა ორმოცდათხუთმეტი წელიწადი (697—642).

6. მ ა ნ ა ს ე

ასურეთის მეფე სენაქერიბი კი, კვლავ განაგრძობდა თავის შფოთიან სიცოცხლეს.

იუდეიიდან რომ დაბრუნდა, მიღებული გაწბილებით გაბოროტებულმა, ნინევიაში მამამისისგან გადმოსახლებული ისრაელები ააწიოკა და ამოწყვიტა. მერე ისევ ბაბილონს დაესხა თავს.

ისევ დამარცხდა და გაიქცა მარდუკაპალადინი. სენაქერიბმა ბაბილონი ერთხელ კიდევ დაიპყრო და მის მმართველად ამჯერად დასვა თავისი უფროსი ძე.

სენაქერიბს მარცხიანი დასავლური ლაშქრობა, უეჭველად, არ ავიწყდე-

ბოდა და პალესტინა-ეგვიპტისკენ ხელახალ ლაშქრობებზე ფიქრი მოსვენებას უკარგავდა. მაგრამ არც ბაბილონმა დაისვენა და ბაბილონის შეურიგებლობამ სხვა ყოველ საომარ „მიმართულებებზე“ ხელი ააღებინა სენაქერიბს.

და, 689 წელს ერთხელ კიდევ ილაშქრა სენაქერიბმა ბაბილონზე. ილაშქრა უკვე არა მხოლოდ მისი აღებისა და დაუფლებისთვის, არამედ სრულიად აღგვისა და მოთხრისათვის. და ეს წელი აღმოჩნდა მაშინდელ მსოფლიო ისტორიაში მართლაც გაუგონარი სისასტიკის და ველურობის წელი. ასურელებმა აიღეს მსოფლიოს ეს უდიდესი, ულამაზესი, უმდიდრესი და უკულტურესი ქალაქი, დაარბიეს, დააქციეს, ქვა ქვაზე არ დატოვეს, მთელი მოსახლეობა დედაბუდიანად აჰყარეს, ასურეთის მრავალ კუთხეში მიმოჰყარეს, ან მონებად მიჰყიდმოჰყიდეს. ბოლოს, ასე უღვთოდ დანგრეულ და დამიწებულ ნაქალაქარზე („ნაბაბილონარზე!“) კალაპოტიდან საგანგებოდ გადაგდებული ევფრატი მიუშვეს და სავსებით წაალეკვინეს.

მაგრამ ბაბილონის დაქცევამ და წაშლამ მოსვენება არც სენაქერიბს არგუნა და არც მის „მსოფლიო მონარქიას“. ქვეყნის შიგნით აჯანყებები მოუხშირდა მეფეს. საკუთარ ოჯახშიც ეპვისა და უნდობლობის სული უტრიალებდა. სენაქერიბს სამი ძე ჰყავდა — ა დ რ ა მ ე ლ ე ქ, ნ ე რ გ ა ლ-შ ა რ ე ც ე რ და ა ს ა რ ჰ ა დ ო ნ. ამათგან ტახტისმემკვიდრედ უმცროსი ძე აურჩევია — ასარჰადონი, რომელიც მეფეს ებრაელი ქალისგან შესძენია. ამნაირ არჩევანს კი თავისი შედეგი მოჰყვა.

ერთ დღეს, ასურეთის ძველ სატახტოში, ნინევიაში, სენაქერიბ მეფე სალოცავად შევიდა მთავარი ღმერთის, ნისროხის ტაძარში. შეყვნენ უფროსი შვილები — ადრამელექ და ნერგალ-შარეცერ. შეყვნენ და სალოცავად დაჩოქილი მამა საზორველი ხარივით წამოაქციეს და მახვილით ყელი გამოსჭრეს.

მაგრამ რისთვისაც მამა დაკლეს, იმის დაპერა მამის მკვლელებმა ვეღარ გაბედეს და, სამაგიერო სიკვდილის შიშით დაფეთებულნი, ნინევიიდან ჩრდილოეთით, არარატის მთისკენ გადაიხვეწნენ.

ეს მოხდა 681 წელს.

მოვიდა სენაქერიბის უმცროსი ძე, მამისგან არჩეული ა ს ა რ ჰ ა დ ო ნ ი და დაბრძანდა ტახტზე (681—668).

ასარჰადონმა უპირველეს ყოვლისა აღადგინა მამამისისგან დანგრეული ბაბილონი, — აღადგინა ძველი ბრწყინვალებით და ახალი სივრცით და სიმდიდრით. ბაბილონისადმი მისი გამორჩეული პატივისცემა და სიყვარული იმითაც გამოიხატა, რომ მან მთავარ ცოლად და დედოფლად დაისვა ბაბილონელი ქალი, რომლისგან შეძენილი შვილიც ასურეთის ტახტისმემკვიდრედ ჰყავდა მონიშნული.

მაგრამ მთავარი საფიქრალი და საზრუნავი ასარჰადონისა, ისე როგორც მისი წინამორბედი ასურელი მბრძანებლებისა, იყო ისევ და ისევ „დასავლური ქვეყნების“ — სირიის, ფინიკიის, იუდეისა და ეგვიპტის დაპყრობა.

იუდეაში კი, როგორც ითქვა, მანასე მეფობდა, ძე ეზეკიასი.

მის გამეფებას, სასახლის კარზე, სახელმწიფოს მართვაგამგეობაში, სრული უწესრიგობა და არევდარევა მოჰყვა. ეზეკიას მტკიცე ხელით დათრგუხვილი სასახლის არისტოკრატიამ ახლა, ხელმწიფის ყრმობით და უმწეობით გათამამებულმა, თავის ნებისად მოისურვა ქვეყნის ბატონპატრონობა. ეზეკიას სიმტკიცით დაბოღმილმა კარისკაცებმა ყრმა და უნებო მანასე თავის სათამაშო ტიკინად გაიხადეს.

უპირველეს ყოვლისა აღდგენილ იქნა ყოველი წარმართული, არაებრაული სალოცავი, კერპი და ბომონი, განსაკუთრებული სიხშირით ისევ ბაალი და მისი სავანე, ტყე-მაღნარი. გარყვნილების ბომონთა აღდგენამ კი ხალხიც გარყვნილების გზას შეუყენა.

თვითონ იერუსალემის მთავარ ტაძარშიც კი აღმართეს ბაალისა და ასტარტას საკურთხეველები.

მეფე მანასეს შეეძლო პირველობა დაეჩემებია იმაში, რომ მან სწორედ პირველმა დაუწყო დევნა და ფიზიკურად გასწორება თავის ქვეშევრდომებს, რომლებიც არ ინებებდნენ უფალ იეჰოვასგან განდგომას და წარმართულ კერპთა მიმართ თაყვანისცემაზე გადასვლას. უკვე რელიგიური სინდისისთვის სისხლი იქცეოდა იუდეიის მიწაზე. მეფის ბრძანებით განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდნენ იეჰოვას ქურუმებს და წინასწარმეტყველთ. დღე არ გავიდოდა, იერუსალემის ქუჩებში რამდენიმე სამღვდელო არ მოეკლათ.

ეროვნული სკულიერებისგან გადარჯულებულმა მეფემ ესაია წინასწარმეტყველიც არ დაინდო და საშინელი წამებით მოაკვლევინა თავისი შფოთიანი დროკამის ეს ურჩეულესი პატრიოტი.

აღმოსავლეთიდან კი ისევ ავად იმზირებოდა ასურული შემოსევის საფრთხე.

ასარჰადონმა მესოპოტამია და ელამი რომ შემოიმტკიცა, სრულიად თავისი საომარი ძალები დასავლეთისკენ შემოაბრუნა. მას მტკიცედ ამოეჭრა გულში ეგვიპტის განადგურება და დამორჩილება, — ეგვიპტისა, რომლის დამხობა-დამონების ოცნება ოცნებადვე ჩაყვათ საფლავში წინარე ასურელ ხელმწიფეებს.

ასარჰადონმა ჯერ ეგვიპტესთან მისასვლელი ფორპოსტების, სირია-ფინიკიის დამორჩილება გადაწყვიტა და კიდევაც დაიძრა, სირიის გავლით, ხმელთაშუა ზღვისკენ. ზღვაზე კი, ფინიკიაში, მაშინ პირველობდა სიდონი, რომლის მეფე ა ბ დ ი-მ ი ლ კ უ ტ ი ეგვიპტის ფარაონის, ტახარკას ერთგულ ვასალად თვლიდა თავს.

მაგრამ ასურელები რომ სიდონს ჯიქურ მიადგნენ, აბდი-მილკუტი, ბტერთან შებრძოლების მაგივრად, ნავში ჩაჯდა და ზღვაზე გაიქცა. თვითონვე აღწერს ასარჰადონი ამას თავის „ავტობიოგრაფიაში“: სიდონის მეფე „გაექცა ჩემს მახვილს შუა ზღვაში, მაგრამ უკანვე გამოვიპირე იგი ზღვიდან, ვითარცა თევზი“.

სიდონი აიღო, გაძარცვა და საძირკვლამდე დაანგრია ასარჰადონმა. მისი მოსახლეობა, სხვა ახლომახლო სირიულ მცხოვრებლებთან ერთად, დედაბუდიანად აჰყარა და ასურეთის შუაგულში, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში გადაასახლა.

სიდონიდან სამხრეთით, ტვიროსისკენ წარემართა ასარჰადონი. ტვიროსმა უმალვე მორჩილება და ერთგულება შემოჰფიცა მრისხანე მბრძანებელს.

რაკი ასურელებმა პალესტინას ჩრდილოეთიდან გადაუარეს და მერე სამხრეთისკენ ზღვის განაკიდურს ჩაუყვნენ, იუდეიის მესვეურებმა იფიქრეს, ასურასტანის მეფე ჩვენ ხელის ხლებას არ გვიპირებსო.

მაგრამ ეს იმედიც ერთბაშად დაიმსხვრა, როცა ტვიროსიდან, უეცრად, ასარჰადონმა ჯარის ერთი ნაწილი, მისი სარდლებით, იერუსალემისკენ აფრინა.

იერუსალემი შიშმა მოიცვა. ბრძოლით თავდაცვისათვის არავის უფიქრია. ოღონდ სასწრაფო შეხვედრა და უომრად მორჩილების გამოცხადება გადაწყვიტეს.

თვითონ მანასე მეფე უნდა შეხვედროდა კარს მომდგარ ასურელ სარდლებს.

კიდევაც შეხვდა.

ასურელებმაც შეხვედრის პირველსავე წუთს, არც აცივეს და არც აცხელეს, მანასე შეიპყრეს, ბორკილები დაადეს და ბაბილონის გზას გაუყენეს.

ასარჰადონი კი ეგვიპტეს მიადგა, ზღვით და ხმელეთით. გამოეგება ფარაონი ტახარკა, ეგვიპტელთა და ეთიოპელთა ჯარებით. შეიბნენ. დასაწყისშივე გადათელეს მომხდურებმა დამხვდურნი. ზედიზედ ყველა ქალაქი აიღო ასარჰადონმა ნილოსის დელტაში. ბოლოს ეგვიპტის უძველესი სატახტოც, მემფისი, როგორც თვითონ ჩაწერს, ნახევარ დღეში აიღო და დაანგრია. „მე ამოვძირკვე ფესვი ეთიოპიისა ეგვიპტეში“, — ამასაც ჩაწერს იგი თავის „თვითმატიანეში“ და ამით თითქოს იმასაც გვიმტკიცებს, რომ იგი ეგვიპტისთვის უფრო გამათავისუფლებელია, ვიდრე დამპყრობელი.

ეთიოპიამდე მისდია ეთიოპელებს ასარჰადონმა და ასე, ეგვიპტის „გათავისუფლების“ შემდგომ, შემობრუნდა მდიდარი ნადავლით დატვირთული. ნადავლად ეგვიპტური დიდი ქვის სფინქსებიც მოჰქონდათ ასურელთ.

უკან მობრუნებულ ასარჰადონს გადაწყვეტილი ჰქონდა იუდეა გამოეცალა, ებრაული მოსახლეობა დედაბუდიანად აეყარა და, უკვე ნაცადი „ნასახუს“ წესით, ისინიც ასურეთის სხვადასხვა მხარეებში მიეფანტმოეფანტა. მაგრამ მოულოდნელად მეწამულ ზღვაზე ამოვარდნილმა ქარიშხალმა ფლოტი დაულეწა და დაუფანტა. ამიტომ ასარჰადონმა იუდეას გვერდი აუქცია და ისე დაბრუნდა ასურეთში. ეს ახალი „უფლის წყალობა“ იყო „ორმუხლიანთათვის“, ისევ რომ გადაურჩნენ „ათმუხლიან“ მოძმეთა უმწარეს ბედს, ნასახუ-გაფანტვას.

მანასე იუდეველი კი ბაბილონში, ბნელ და მყრალ დილეგში ჩაეგდოთ

ბორკილებით შეკრულშებოჭილი. მძიმე ტყვეობამ თითქოს გონს მოიყვანა და კვლავ ჰეშმარიტი სულიერების გზაზე მოაქცია აქამდე საკუთარ ეროვნულ მრწამსზე გადამტერებული მეფე. ახლა სწორედ იეჰოვას სულიდან განდგომას მიაწერდა იგი ყოველივეს, რა უბედურებაც თავს დატყდომოდა თვითონაც და თავის ქვეყანასაც. ამიტომ დღეღამსწორებით, ცრემლთა თხევით, იეჰოვას მოუწოდებდა, შენდობას ევედრებოდა და უკეთუ კვლავ თავისუფლებასა და მეფობას დაუბრუნებდა, სიკვდილამდე ერთგულ სამსახურსა და წარმართულ ბომონთა დამხობას აღუთქვამდა.

ამასობაში ასურეთის სამეფო ტახტზე ახალი მეფის ასვლა მზადდებოდა. ასარჰადონს უნდოდა ტახტისმემკვიდრედ ბაბილონელი ქალისგან შეძენილი ძე გამოეცხადებინა, სახელად — შ ა მ ა შ-შ უ მ უ კ ი ნ ი. ხოლო, მეორე ძეს, ასურელი ქალისგან შეძენილს, სახელად ა შ უ რ ბ ა ნ ი პ ა ლ ს, მამა ამზადებდა ქურუმთუხუცესად. მაგრამ ასურეთის დიდკაცობამ არ დაანება მეფეს მისი განზრახვის აღსრულება, — ბაბილონელი დედის ნაშობი ასურელ დედის ნაშობს როგორ უნდა ვამჯობინოთო, — და კიდევაც თავისი გაიტანეს ნინეველმა არისტოკრატებმა.

ამრიგად, ასარჰადონის გარდაცვალების შემდეგ ასურეთის ტახტზე ავიდა მისი ძე ა შ უ რ ბ ა ნ ი პ ა ლ ი (668—626).

ხოლო, მის ძმას, შამაშ-შუმუკინს, ბაბილონის მმართველობა აკმარეს.

ახალ მეფეს მამისგან მანამდე გაუგონარი სიდიდის სახელმწიფოებრივი გაერთიანება დარჩა. ეს იყო მსოფლიო მონარქია, რომელიც მოიცავდა თითქმის მთელ წინა აზიას და ეგვიპტეს.

და ამ „იმპერიის“ ერთი მცირე, მორჩილი და დახარკული ქვეყანა იყო იუდეა, რომლის მმართველად ახალმა ხელმწიფემ გადაწყვიტა გაეგზავნა მისივე მეფე. და გამოუშვა ტყვეობიდან აშურბანიპალმა მანასე. პირობაც დაადებინა, რომ ამიერიდან იგი იქნებოდა ერთგული მოხარკე ასურეთის ტახტისა, და გამოუშვა იერუსალემს, კვლავ იუდეის მეფედ და პატრონად.

ასურეთისთვის მთავარი პრობლემა მაინც ეგვიპტე იყო. ასარჰადონის სიკვდილისთანავე ეგვიპტე აუჯანყდა ასურეთის ტახტს. აჯანყებას მეთაურობდა ქალაქ ს ა ი ს ში მჯდომარე მმართველი, ნ ე ხ ო.

სასწრაფოდ გაეშურა აშურბანიპალი დიდძალი საომარი ძალებით. შეიპყრა და ხელახლა დაიმორჩილა ეგვიპტეც და ეთიოპიაც. აჯანყების მეთაური ნეხო და მისი ძე ფ ს ა მ ე ტ ი ქ ე ტყვეებად წამოიყვანა აშურბანიპალმა. მაგრამ მალე მამა-შვილი ისევ გაათავისუფლა, კვლავ ორივე ერთად ეგვიპტეში დააბრუნა „თავის ერთგულ“ მმართველებად. ჯერჯერობით, ნეხოს და ფსამეტიქეს ასურელები კიდევაც სჭირდებოდნენ სამხრეთიდან მოძალებული ეთიოპელების უკუსაგდებად. ნეხო სწორედ ეთიოპელებთან ბრძოლას შეეწირა. სამაგიეროდ ფსამეტიქემ, ასურელების დახმარებით, გარეკა ეთიოპელები ეგვიპტიდან.

ტყვეობიდან დაბრუნებულმა მანასეჰ კი მართლა სცადა წინანდელ ცოდვათა გამოსყიდვა. იეჰოვა-მოსეს სჯულს აღარ არღვევდა, ქალაქის ახალ ციხეკალავნებს აშენებდა, ხალხის კეთილდღეობაზეც თავს არ იზოგავდა. მაგრამ მაინც არაფერი ეშველა; ხალხს იგი ვერ მოატყუებდა. ამიტომ, როცა მანასე გარდაიცვალა (642 ქრ. წ.), იგი დაკრძალეს არა დავით-სიონის სამეფო საძვალეში, არამედ მხოლოდ სასახლის ბაღში.

7. ი ო ს ი ა

იუდეიის ტახტზე ავიდა მისი ძე — ა მ ო ნ, რომელმაც მხოლოდ ორი წელი (642—640) იმეფა, და ისიც ისეთი სარწმუნოებრივად გაუკეღმართებული ცხოვრებით და საქმიანობით ცხოვრობდა, როგორც იცხოვრა და იმეფა მამამისმა. ისიც განუდგა იეჰოვას და მიუდგა ბაალ-ასტარტას გარყვნილ და გამრყვნელ კულტს.

ამონი შეთქმულების მსხვერპლი შეიქნა. იგი მოკლეს მისმა შინაურმა კარისკაცებმა. ხალხმა კი თვითონ მკვლელები დახოცა და მოკლული მეფე მამამისის სამარხში, სასახლის ბაღში დამარხეს.

იერუსალემის ტახტზე მეფედ გამოცხადდა მოკლული ამონის ძე, რვა წლის ი ო ს ი ა, ანუ ი ო შ ი ა ჰ უ (640—610).

ახალი მეფის მცირეწლოვანება იერუსალემის დიდკაცობას სრულ საშუალებას აძლევდა კვლავ ძველებური თვითნებობით და უზნეობით წარემართათ ქვეყნის ცხოვრება. ისევ ჰყვაოდა კერპთაყვანისმცემლობა. ფინიკიური ბაალისა და ასტარტას კულტს ახალი, ასურული და, განსაკუთრებით, ბაბილონურ-ქალდეური რელიგიური მსახურებანი მიემატა. იუდეაში უკვე თაყვანს სცემდნენ ციურ მნათობებს, მოლოხსაც ადამიანს სწირავდნენ მსხვერპლად.

ეგვიპტური რელიგია და ადათ-წესებიც მოეძალა ებრაელობას. ამას განსაკუთრებით ხელი შეუწყო თვითონ ეგვიპტის სწრაფმა აღორძინებამ და ასირიელთაგან თავდახსნამ. ახალი, „საისური დინასტიის“ დამაარსებელმა, ფ ს ა მ ე ტ ი ქ ე I-მა ზემო და ქვემო ეგვიპტე კიდევაც გააერთიანა და ორივე დამპყრობელს, ეთიოპელსაც და ასურელსაც, თავისი ქვეყნიდან სამუდამოდ ამოუკვეთა ფეხი. მერე ესეც არ იკმარა და აზიაშიც შემოდგა ფეხი ფსამეტიქე ფარაონმა. მან თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა ზღვის ზოლი, ფინიკია და ფილისტიმელთა ქალაქები. ეგვიპტელები უშუალოდ დაუმეზობლდნენ იუდეველებს. იუდეიის მესვეურებიც ეგვიპტელებს ელაქუცებოდნენ, მათ ბაძავდნენ, მათი კულტიც დიდის გულმოდგინებით შემოიტანეს და გაავრცელეს. კულტი ცხოველებისა, გამორჩევით თხისა და ხარი აპისისა.

ასურულ „მსოფლიო სახელმწიფოს“ კი უკვე უჭირდა მსოფლიო ბატონობის შენარჩუნება. ჯერ იყო და, აშურბანიპალს მისი „ორგული ძმა“ შამაშ-შუმუკინი აუჯანყდა, ბაბილონის მმართველი. ეს ამაყი და „მაღალღირსეული“ ბაბილონის მორიგი აჯანყება იყო ნინევიის და დურ-შარუკინის „უღირსი ბატონობის“ დასამხობად. „ბაბილონელნი, ბოროტი ეშმაკეულნი“, — ბოღმით წერს თვითონ აშურბანიპალი.

ბაბილონს ელამიც შეუკავშირდა ასურეთის უღლის დასამხობად. ამათ ქალდეველებიც და არამეველებიც მიემხრნენ და ომიც დაიწყო, 652 წელს.

მაგრამ თვითონ ელამში იმ დროს შინაური აშლილობა შეიქნა და ადგილობრივი მეფე, შამაშ-შუმუკინის მოკავშირე, ტახტიდან ჩამოაგდეს.

აშურბანიპალმა შამაშ-შუმუკინი დაიმარტოხელავა და დაამარცხა. 648 წელს ასურელებმა ბაბილონი აიღეს. ძლეულმა შამაშ-შუმუკინმა გაავებული ძმის ხელში ჩავარდნას ის არჩია, კოცონი გაეჩაღებინა და შიგ ჩამწვარიყო.

ბაბილონის დამორჩილების შემდგომ, აშურბანიპალი შეიჭრა ელამში და სასტიკად დაარბია და ააოხრა. ელამის სატახტო ქალაქი, მდიდარი ს უ ზ ა, სრულიად გაძარცვა და გადაწვა.

მაგრამ ასურეთს მაინც მალე უნდა ემღერა გედის სიმღერით.

აღმოსავლეთიდან ახალი ძლიერი მეტოქე მოაწვა ასურეთს. ეს იყო მიდიის სახელმწიფო, რომელსაც მოეცვა ირანი და მისი ყოველი ტომი, მათ შორის სპარსელებიც.

635 წლის მახლობლად, მიდიის მეფემ ფ რ ა ო რ ტ მ ა (ფრავარტიშ) დიდი ლაშქრობა მოაწყო ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, პირდაპირ ასურეთის სატახტო ქალაქ ნინევიაზე. მაგრამ სასტიკად დაამარცხეს ასურელებმა მიდიელნი. თვითონ ფრაორტიც ბრძოლაში დაეცა.

მიდიის ტახტზე ავიდა ძე ფრაორტისა, კ ი ა ქ ს ა რ ი (ხვახშატრე), რომელიც მაშინვე შეუდგა ასურეთის წინააღმდეგ სარევანშო ომის გამალებულ სამზადისს. მაგრამ მას განზრახვაზე ხელი ააღებინა ჩრდილოეთიდან ველური სკვითური ტომების შემოსევამ. სკვით-კიმერიელებმა წინა აზიის მთელი ჩრდილოეთი ნახევარი გადათქერეს, გადასპამეს და ხმელთაშუა ზღვის დაყოლებით ეგვიპტემდე მიატანეს. ისინი მალე სავსებით აირიენენ და გაითქვიფნენ ადგილობრივ აზიურ ხალხებში.

ასურეთი კი კვლავ ფეხზე იდგა. მაგრამ მისი მტრები ახალ ძალებს იკრებდნენ ამ ასწლოვანი უძლეველი ბუმბერაზის ბოლოს და ბოლოს დაძლევისათვის.

626 წელს მოკვდა ასურეთის მეფე აშურბანიპალი და ტახტზე ავიდა მისი ძე ა შ უ რ უ ბ ა ლ ი ტ ი II.

ამ ცვლილებით ისარგებლა გარდაცვლილი აშურბანიპალის სარდალმა, მისგანვე ბაბილონის მმართველად დანიშნულმა — ნ ა ბ ო ფ ა ლ ა ს ა რ მ ა, და, მაშინვე ბაბილონის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ნაბოფალასარი წარმომავ-

ლობით ქალდეველი იყო. ამიტომ მისი მეფობით (626—604) იწყება „ახალ-ბაბილონური“, ანუ „ქალდეური ბაბილონიის“ ისტორიაც.

მაშ, ასურეთის პირისპირ ახლა ორი საბედისწერო მეტოქე იდგა: მიდია და ქალდეური ბაბილონია. იგრძნეს და იცნეს კიდეც ერთმანეთი ასურეთის მომტერეებმა. კიდეეაც შეიკრნენ მტკიცე კავშირით — მიდიის მეფე კიაქსარი და ბაბილონიის მეფე ნაბოფალასარი.

და, 612 წელს, მიდიელებისა და ბაბილონელების გაერთიანებულმა ჯარებმა აიღეს ნინევია, „ლომთა ბუნაგი“. აიღეს, გაძარცვეს, გადასწვეს (მაშინ „დაიწვა“, მაშასადამე გამოიწვა აშურბანიპალის განთქმული ბიბლიოთეკა — თიხის ფირფიტებისა).

პატარა იუდეა კი კვლავ განაგრძობდა არსებობას. მისი ყრმა ხელმწიფე სიქაბუკეში შედიოდა. მსოფლიოში მიმდინარე კატაკლიზმები და მშობელი ქვეყნის კარზე განუშორებლად ჩამომდგარი საფრთხე განუწყვეტელ საზრუნავ ფიქრად ეტვირთა იოსიას. ამას ერთვოდა ქვეყნის შიგნით წინარე ორი მეფის უზნეობიდან მომდინარე სულიერ-სჯულიერი კრიზისი, სასახლის არისტოკრატიის თავაშვებულება და გარყვნილება.

ისევ დიდ პატრიოტულ სულს უნდა ეცადა ბედი მშობელი ქვეყნის გადარჩენისა. ამის საწინდარი კი ისევ და ისევ მშობლიურ-ტრადიციული რწმენისა და სჯულიერებისკენ შემობრუნება უნდა ყოფილიყო. აუცილებელი იყო კვლავ განახლება უკვე დავიწყებული და დაყრუებული სოლომონის ტაძრისა, ყველგან წარმართული კერპების მსხვრევა და ტყე-მაღნართა ჩეხვა და მათ სანაცვლოდ კვლავაც იეჰოვას საკურთხეველთა აღდგინება.

და, თავისი მეფობის მეთვრამეტე წელს (622 ქრ. წ.), იოსიამ მტკიცედ გადაწყვიტა დიდი რელიგიური რეფორმის გატარება.

შემოიყარა პატრიოტულად აღტკინებული ყველა სამღვდელო და საერო თანამემამულე, პირველ რიგში აარონის შთამომავალი ტაძროვანნი და ლევიტელნი. მათ სათავეში ჩაუყენა მღვდელმთავარი ქ ე ლ კ ი ა, მწერალი შ ა ფ ა ნ და ქალაქის თავი ა მ ა ს ი ა. და შეუდგა იეჰოვას კულტმსახურების აღდგენას და წარმართულ კერპთა და სალოცავთა განადგურებას (ეს მეორამდენედ!). სამღვდელონი და მეფის ერთგული კარისკაცები იძულებული იყვნენ მთელს იუდეაში კარდაკარ ევლოთ და სოლომონის ტაძრის აღსადგენი და ხელახლა გასამართავი თანხები ასე ხელგაშვერილთ ეგროვებინათ.

პატრიოტულმა ენთუზიაზმმა მაინც თავისი გაიტანა. იერუსალემის მთავარი ტაძარი კვლავ განხალდა, კვლავ მოირთო და მოიკაზმა, ისევ ეკურთხა, ისევ გაივსო მლოცველებით და მწირველებით.

მეფემ თვითონ შემოიარა თავისი სახელმწიფოს ყოველი კუთხე, ყველგან თვითონ დაესწრო ყოველი წარმართული ბომონის მსხვერვას და იეჰოვას საკურთხეველთა აღდგინებას. მარტო იუდეა კი არა, ისრაელში დარჩენილი სათვისტომოებიც არ დაუტოვებია იოსიას იეჰოვას კულტისა და მოსეს სჯულის კვლავგანახლების გარეშე.

ფრიად მნიშვნელოვან მოვლენად იქნა მიჩნეული ის ამბავი, რომ იერუსალემში, სოლომონის ტაძარში, მისი მივიწყებული სათაესოების ჩხრეკისას, ქელკია მღვდელმთავარმა იპოვნა ძველთაძველი მოსეს წიგნები. ეს წიგნები ქელკიამ მისცა შაფანს, მწერალს. შაფანმა უმალვე მეფესთან გააქანა ეს ძვირფასი საუნჯე, წარუდგა და წაუკითხა თავიდან ბოლომდე.

აუწერელმა აღტკინებამ და გაოგნებამ მრიცვა იოსია მეფე. ტანსაცმელი შემოიხია და მაშინვე შაფანი, ქელკია და ამასია განთქმულ მკითხავთან, ოლდამასთან (ჰულდა) გაგზავნა: წადით და შეიტყვეთ, მოსეს რომ ასეთი სჯული დაუწერია, ჩვენ და ჩვენს წინაპრებს კი ამდენი დაგვირღვევია, ყოველივე ამ ცოდვისათვის უფალი რას გვიმზადებსო?

ისინიც წავიდნენ, იმკითხავეს და „უფლის დანაბარებიც" ასეთი ეთქვეს მეფეს: რაკიღა მე მიმატოვეთ და ჩემს მაგივრად უცხო ღმერთებს უკმიეთ საკმეველი, მე რისხვას არ დავიცხრობ და საშინელ უბედურებას დავატეხ თავზე თქვენს ქვეყანას, მაგრამ ახლანდელ მეფეს, რომელმაც ჩემთვის ტანსაცმელი შემოიხია, იტირა და ჩემ გზას შეუდგა, ისე აღვასრულებ, მისი ქვეყნის უბედურებას რომ არ დაესწროსო.

მოისმინა თუ არა, მაშინვე ტაძრად წავიდა იოსია. იქ თვითონ წაუკითხა მოზღვავებულ ხალხს ახლადნაპოვნი მოსეს წერილი, ილოცა და იფიცა თვითონ, ალოცა და აფიცა ხალხი.

როცა ყველა ებრაულ სათვისტომოში წარმართობა მოსპო და კელავ ეროვნული სჯული აღადგინა და განამტკიცა, იოსიამ თავის ხალხთან ერთად გადაიხადა ბრწყინვალე დღესასწაული — პასექ. სამი ათასი ცხვარი და თხა დაკლა იმ დღეს უფლის მსხვერპლად, სამი ათასი ხბო დაიდო ცეცხლზე სრულ შესაწველად; ათასობით სამსხვერპლო ცხოველი დაურიგეს ხალხს მღვდელთა და ლევიანთა.

სამუელ წინასწარმეტყველის შემდგომ აღარ მოსწრებია იერუსალემს ასეთი პასექის დღესასწაული.

ეს ის დრო იყო, როცა მიდიასა და ბაბილონიას აგონიაში ჩაეგდოთ ასურეთი. უცებ ეგვიპტემ სცადა აზიის საქმეებში ჩარევა. ფარაონმა ნეხო II-ემ ისარგებლა აზიელ დიდხელმწიფეთა ურთიერთ მესისხლეობით და მოინდომა ხელში ჩაეგდო ეგვიპტისათვის მუდამ საოცნებო ქვეყნები ხმელთაშუა ზღვასა და ევფრატს შორის.

და წამოვიდა ფარაონი ნეხო დიდძალი მხედრობით, მაერთი ყელი გადმოიარა, ფილისტიმურ ღაზას მოადგა და კიდევაც აიღო. ღაზადან ყოფილი ისრაელისაკენ წამოემართნენ ეგვიპტელნი, ისრაელიდან იორდანე უნდ› გადაელახათ და ევფრატისკენ გაჭრილიყვნენ.

უკვე ქალაქ მეგიდოს მიადგნენ და აქ ეგვიპტელებს წინ გადაუდგნენ იუდეველნი, თვითონ მეფე იოსიას მეთაურობით.

ფარაონი შეეცადა დაერწმუნებია ებრაელთა მეფე, რომ მას იუდეის

ხელის ხლება აზრადაც არ მოსვლია და მხოლოდ ასურეთისკენ აპირებს გალაშქრებას. მაგრამ არ იქნა და იოსიამ არ დაუჯერა.

ბრძოლა გარდაუვალი შეიქნა, გარდაუვალი და საბედისწერო ებრაელთათვის. ისინი სასტიკად დამარცხდნენ და თვითონ იოსია მეფეც სასიკვდილოდ დაიჭრა.

იერუსალემამდე ძლივს მიჰყვა სული. დაკრძალეს სამეფო ბაღში, დიდი სახალხო გლოვით, გულწრფელი ცრემლით და გოდებით. საგანგებო, მარად დაუვიწყარი საგოდებელი სიმღერა უძღვნა მეფეს ახალგაზრდა ი ე რ ე მ ი ა წინასწარმეტყველმა.

ეს მოხდა 610 წელს.

ამის შემდგომაც, ყოველ წელს, დაკრძალვის დღეს იკრიბებოდა ხალხი საყვარელი მეფის საფლავზე და კვლავ უგალობდნენ იერემიას საგოდებელს.

8. ი ო ა კ ი მ

იოსიას სამი ძე დარჩა: პირველი ცოლის, საბუდასაგან — ე ლ ი ა კ ი მ და მეორე, საყვარელი ცოლის, ხამუტალასგან — შ ა ლ უ მ და მ ა ტ თ ა ნ ი ა.

სამეფო ტახტი, როგორც წესი, უფროს ძეს, ელიაკიმს უნდა დაეკირა, მაგრამ თვითონ იოსიას ტახტისმემკვიდრედ შალუმი მოენიშნა, და ხალხმაც საყვარელი მეფის ნაანდერძევი აღასრულა და ასე, იერუსალემის ტახტზე ავიდა შალუმ, რომელმაც ახალ სახელად დაირქვა ი ო ა ხ ა ზ.

მაგრამ შალუმ-იოახაზის მეფობა უდღეური აღმოჩნდა.

მეგიდოს საბედისწერო ბრძოლიდან სამი თვე გასულიყო. ფარაონ ნეხოს ევფრატზეც წარმატებით ელაშქრა. სირიაც დაეპყრო და მთავარ რეზიდენციად მდინარე ორონტის ზემო წელზე, ემათის „ქუეყანაში“, ქალაქ რ ი ვ ლ ა-ში დამდგარიყო. აქვე იხმო ნეხომ იოახაზ, მეფე იუდეველთა. ესეც მივიდა. და, როგორ თუ ჩემს უკითხავად ასულა ტახტზეო, ალბათ, ამის მომიზეზებით, ფარაონმა მაშინვე შეიპყრო და ბორკილები გაუყარა იოახაზს. ხოლო მის ადგილზე იუდეიის მეფედ დასვა ელიაკიმ, ესეც ახალი სახელით — ი ო ა კ ი მ. დახარკა კიდეც ეგვიპტის ფარაონმა ახალი მეფე და მისი ქვეყანა ყოველწლიურ გადასახადად ასი ვერცხლის ტალანტით. მას უკან, ნეხო თავისი ჯარით იუდეიიდან წავიდა და თან ტყვედ წაიყვანა იოახაზ მეფედყოფილი.

ასე, ეგვიპტურ ტყვეობაში ჩარჩა და ჩაკვდა შალუმ-იოახაზ, სამი თვე რომ ძლივს მოათია იერუსალემის დავითიან-სოლომონიან ტახტზე.

ფარაონ ნეხოსგან ხელდასხმულმა იოაკიმმა კი თერთმეტი წელიწადი გაძლო იუდეა-იერუსალემის მეფედ. მაგრამ ვაი ისეთ გაძლებას! ჯერ ხომ

თვითონ ეგვიპტის ფარაონს ემონებოდა უმძიმესი ხარკის გადახდით, მერე სხვა უარესი მბრძანებელი, დამხარკველი და დამმონებელიც მოევლიხება ებრაელ ხელმწიფეს და მის სახელმწიფოს...

პატარა ქვეყნის ბედი ისევ დიდ მეზობელთა „მსოფლიო კაპრიზებზე" იყო ჩამოკიდებული.

612 წელს რომ მიდიელებმა და ბაბილონელებმა „ლომთა ბუნაგი" ნინევია აიღეს, და დააქციეს, ასურელები აგონიას ასე იოლად არ შეურიგდნენ და შვიდი წელიწადი კიდევ იომეს. აშურუბალიტი მეფემ ნინევიის დაკარგვის შემდეგ ტახტი გადაიტანა კ ა რ ხ ე მ ი შ შ ი (კარკემიშ, გარგამიშ), ევფრატის ზემო წელზე, სირიის მხარეს. აქედან მან კავშირი შეკრა მანამდე თავის მეტოქე ეგვიპტესთან, რომელიც ძალზე შეეშფოთებინა მიდიისა და, განსაკუთრებით, ბაბილონური სამეფოს წინსვლას აზიაში.

კიაქსარ მიდიელმა და ნაბოფალასარ ბაბილონელმა კავშირი მოყვრობითაც განამტკიცეს: ნაბოფალასარის ძემ, ნ ა ბ უ ქ ო დ ო ნ ო ს ო რ მ ა, ცოლად შეირთო კიაქსარის ასული.

605 წელს კარხემიშთან მოხდა იმჟამინდელი „მსოფლიო ბრძოლა". ერთ მხარეს —ასურელნი, აშურუბალიტ II-ის მეთაურობით, და ეგვიპტელნი ფარაონ ნეხო II-ის წინამძღოლობით; მეორის მხრიდან — ბაბილონელნი და მიდიელნი, ნაბოფალასარის ძის, უფლისწულ ნაბუქოდონოსორის მთავარსარდლობით.

დასაწყისშივე ჰაბუკმა ნაბუქოდონოსორმა ხელთ იგდო ბრძოლის სასწორი. პირველნი უკუიქცნენ ეგვიპტელნი. მარტო დარჩენილმა ასურელებმა მარცხიან წასვლას სიკვდილი ამჯობინეს და კიდევაც იომეს უკანასკნელ კაცამდე და უკანასკნელ სისხლისწვეთამდე.

მაშ, იმ საბედისწერო 605 წელს, ასურეთმა მის უკანასკნელ მეომრებთან ერთად მიწას მიაბარა თავისი არსებობაც.

მიდიელებმა და ბაბილონელებმა, ასურელთა დასამარებისთანავე, მთელი წინა აზია შუაზე გაიყვეს: ჩრდილოეთი (კასპიის ზღვიდან ეგეოსის ზღვამდე) — კიაქსარს, სამხრეთი (ირანიდან ეგვიპტემდე) — ნაბოფალასარს.

მომდევნო 604 წელს კი, ნაბოფალასარი გარდაიცვალა და ახალ-ქალდეურ ბაბილონიის ტახტზე დაბრძანდა ძე მისი, ნ ა ბ უ ქ ო დ ო ნ ო ს ო რ ი (604—561).

დედამიწას ტანი უნდა შეეკრეოლებოდა მაშინ.

და, ვაი შენ, იერუსალემ!

მანამდე ხომ ეგვიპტის მოხარკეობა წყვეტდა წელში იუდეას. ხაზინა ცარიელი იყო და, ეგვიპტის სახარკო გადასახადის შესაგროვებლად, იოაკიმ მეფე თავის მცველებს კარდაკარ აგზავნიდა და ოჯახებიდან ფულს პირდაპირ ძარცვაგლეჯით აგროვებდა.

ახლა ეგვიპტეს აღარ უნდა შეეწუხებინა იუდეა, რადგან ეგვიპტეს კარხემიშთან განცდილი მარცხის შემდეგ, უკვე ამოკვეთილი ჰქონდა ფეხი საერთოდ

აზიიდან და, იგულისხმებოდა, იუდეაიდანაც. მაგრამ იუდეის ხსნა მაინც არ ჩანდა, რადგან „ფეხის ამოკვეთას“ (ეგვიპტისას) ახლა იმ „ფეხის ამომკვეთელი“ (ნაბუქოდონოსორი) უნდა მოჰყოლოდა!

საფრთხე საფრთხეს მოსდევდა, უბედურება უბედურებას. უკანასკნელად, იოსიას დროს რომ ხალხი იეჰოვას კულტს მოუბრუნდა და მის შემდგომ „აღთქმულ ბედნიერებათა“ სანაცვლოდ ამდენი ტრაგედია ერთმანეთს გადაეჯაჭვა — თვითონ ღვთისმოსავი მეფე ბრძოლაში დაიღუპა, ჯარი გაწყდა, მომდევნო მეფე ბორკილდადებული ტყვედ წაიყვანეს, ამოდენა გადასახადები ხალხს კისრად დაადეს, ახლა კიდევ, როგორც ეს „წინასწარმეტყველნი“ წინასწარმეტყველებენ, ახალ-ახალი უარესი უბედურებანი გვემუქრებიან, — რატომ არის, რომ ყველა ხალხს მათი ღმერთები ეხმარებიან, ჩვენ კი ჩვენი უფლისგან ხსნას ვეღარ ვხედავთ?! მაშ, ხომ არ სჯობს ისევ იმ ღმერთებს დავუბრუნდეთ, იმ ქანაანურს, ფინიკიურს, სირიულს, ფილისტიმურს, ასურულს, ეგვიპტურს, ბაბილონურს, ქალდეურს?!

და ისევ მიუბრუნდნენ ებრაელნი უცხო ბომონებს, წარმართულ სალოცავებს; უკვე „მრავალჯერ ნაცად“ ბაალს, ასტარტას, „დამატებით“ ეგვიპტურ ნეიტს, ანუ „ცის დედოფალს“, და კიდევ მრავალს, ღმერთს თუ ღმერთუკას...

იმდენი ღმერთი გყავს, რამდენიც ქალაქი გაქვსო, — შებღაოდა იერემია წინასწარმეტყველი თავის დაცემულ სამშობლოს.

იერუსალემის მთავარი ტაძარიც უცხო კერპებით გაივსო.

ყველაზე საშინელი და აღმაშფოთებელი ის იყო, რომ აღსდგა პირმშო ყრმათა მსხვერპლად შეწირვანი — მოლოხის სადიდებლად.

ქვეყანა იძირებოდა გარყვნილების მორევში. მანამდე არნახულად მომრავლებულიყვნენ მეძავნი, სოდომიტნი, მძარცველნი.

თვითონ იოაკიმ მეფე ან გულგრილად უცქერდა უცხო სარწმუნოებათა რესტავრაციას, ან თვითონაც წილს იდებდა საკუთარ-ეროვნული რწმენისა და სჯულის დამდაბლებასა და დაქვეითებაში. იგი სდევნიდა და სასიკვდილოდაც არ ინდობდა იეჰოვას პრინციპულ მიმდევრებს, წინასწარმეტყველებს.

ამ „ღვთის ადამიანებს“, მეფის გარდა, სდევნიდა ყველა, ვის სინდისსაც ამხელდნენ ისინი. მაგრამ სიკვდილთანაც შეუპოვარნი რჩებოდგნენ ეროვნული სჯულისა და სულის აღდგენისათვის თავგანწირულნი. მრავალი იყო წინასწარმეტყველი, მაგრამ მათგან მაინც ოთხი იყო გამორჩეული: ი ე რ ე მ ი ა, უ რ ი ა, ა ბ ა კ უ მ და ი ე ზ ე კ ი ე ლ.

ურია, ძე შემაიასი, ქალაქ კარიათიამირიდან, დაურიდებლად ამხელდა მეფეს და დიდკაცობას, უსჯულოება თქვენი დაღუპავს ჩვენს ქვეყანასო. იოაკიმ მეფემ მისი შეპყრობა ბრძანა. ურიამ გაასწრო ეგვიპტეში. მეფემ მდევარი მიადევნა, ვინმე ე ლ ნ ა თ ა ნ. ამანაც მისდია, შეიპყრო და მიჰგვარა მეფეს. მეფემ წინასწარმეტყველს თავი გააგდებინა და ტანი სადღაც მივარდნილ სასაფლაოზე გადააგდებინა.

გაცილებით ხშირად, მკაცრად და ძლიერად ისმოდა ხმა იერემია წინასწარმეტყველისა:

„ამას იტყვის უფალი, საბაოთ, ღმერთი ისრაელისა: განიწმინდენით გზანი თქვენი და საქმენი თქვენი, და მაშინ მე თქვენ დაგტოვებთ და დაგამკვიდრებთ ნაგ მიწაწყალზე. ნუ იმედოვნებთ თქვენს ცრუ ძახილზე: „აქა არს ტაძარი უფლისაი, აქა არს ტაძარი უფლისაი, აქა არს ტაძარი უფლისაი". რამეთუ უკეთუ განმართეთ გზანი თქვენი და საქმენი თქვენი, უკეთუ მართლად წარმართავთ მსჯავრთა კაცთა შორის, არა მძლავრებდეთ მწირთა (უცხოელთა), ობოლთა და ქვრივთა ზედა, არა დაათხევდეთ სისხლსა უბრალოსა ამა ადგილსა ზედა. არცა შეუდგებოდეთ უცხოთა ღმერთთა საუბედურად თქვენდავე, — მაშინ მე თქვენ დაგამკვიდრებთ ამა ადგილსა თქვენსა, ამა მიწასა ზედა, რომელიც მივეც მამათა თქვენთა უკუნითი უკუნისამდე. თქვენ კი იმედოვნებთ მტყუვართა სიტყვათა, რომელნიც თქვენ არარას გარგებთ. როგორ! თქვენ იპარავთ, ჰკლავთ, მრუშობთ და ფიცულობთ ცრუ ფიცილითა და საკმეველს უკმევთ ბაალსა და მიმდევარ ხართ უცხო ღმერთებისა, რომელთაც თქვენ არც იცნობთ. და, მას უკან, ისევ შოდ-ხართ და დგებით ჩემი სახის წინ, ამ ჩემს სახლში, რომელსაც აწერია ჩემი სახელი, და მეძახით: „მეოხ გვეყავ ჩვენ!" და ამის შემდგომად კვლავ შეუდგეთ კვლავაც სიბილწეთა ყოველთა. ნუთუ თქვენ თვალში ავაზაკთა ქუაბად ხომ არ გეჩვენებათ სახლი ესე, რომელსაც აწერია სახელი ჩემი? აბა, წადით შილომს, სადაც აგრეთვე იდგა კარავი ჩემი და ნახეთ რა დავმართე მას ჩემივე ისრაელის ტომთა ცოდვებისათვის! და ახლაც, რაკილა თქვენ თქვენს სისაძაგლეთა აღარ იშლით, და მე ადრიან დილითვე გეუბნებით და თქვენ კი არ ისმენთ, გეძახით და არა მპასუხობთ, — მაშინ მე ისევე მოვექცევი ამ ტაძარსაც, ჩემი სახელის მქონეს, როგორც მოვექეც შილომისასა, და თქვენც იმას დაგმართებთ, რაიც დავმართე თქვენს წინაპრებს. და თქვენც ისევე განგყრით სახისაგან ჩემისა, ვითარცა განვყარე ძმანი თქვენნი — ყოველი თესლი ეფრემისი".

ლამის სიცოცხლის ფასად დაუჯდა იერემიას ეს სიტყვა. წამოესივნენ ცრუწინასწარმეტყველნი და უცხო სალოცავებზე გადარჯულებულნი. სასამართლოც კი გაიმართა. მეგობრებმა ძლივს გამოიხსნეს იეჰოვას თავგანწირული ქურუმი.

იერემიას თანადროულად, ღაღადებდა აბაკუმ.

„ვიდრე რომლისადმე, უფალო, ვღაღადებდე და არა ისმენ, ვხმობ შენდამი დაჭირვებული და არა მიხსნი? რისთვის მაცქერინებ მე ამდენ ბოროტებას და უბედურებას? მძარცველობა და ძალადობა, მტრობა და მესისხლეობა — რაღა არ ხდება ჩემ თვალწინ? განქარვებულ არს შჯული, გაცუდებულ არს სამართალი; უკეთური მძლავრობს კეთილსა ზედა. ამისთვის გამოვალს მსჯავრი გულარძნილი. შეხედეთ ხალხებს, თქვენს გარშემო მცხოვრებთ, დაუკვირდით, რაიც თქვენს გარშემო ხდება, და გაჰკვირდით, და თქვენს დროში მოხდება ისეთი ამბები, რაც რომ მანამდე მოგითხრონ, არც დაიჯერებთ. უფალი

ამბობს: მე თქვენზე გამოვგზავნი ქალდეველებს, ხალხსა მწარესა და კისკასსა, მაჯალსა სიბრტყეთა ზედა ქუეყანისათა, ყოველ არა მათთა სამკვიდროთა და სამკვიდრებლად, საშინელი და სარისხველია ხალხი იგი, და მისგანვე დაიმკვიდრებს მსჯავრი და ნება ყოველივესი. ვეფხზედაც უსწრაფეს არიან ცხენნი მათნი, თვითონ ღმკვირცხლეს არიან მგელთა ღამეულთა. შორიდან მოფრინავენ მათი მხედარნი, და მსხვერპლს ისე დააცხრებიან, როგორც არწივნი გულმოდგინე ჭამად. მოღის ხალხი ესე საძარცვავად და სატყვენავად, ვითარცა ქვიშაი. ისინი დასცინიან ყოველთა მეფეთა, აბუჩად იგდებენ ყოველთა წარჩინებულთა, არარად აგდებენ ყოველთა ციხეთა, რომელთა ზედა აღმართავენ მიწაყრილსა და მსწრაფლ დაიპყრობენ. და მიმოიქცევიან მათი სულისა ლხენაზე, რამეთუ ძალა არს ღმერთი მათი".

მერე, იოაკიმ მეფეს გმობდა აბაკუმ:

„ვაი შენ, რომელიც ანგარობდე ანგარებითა ბოროტითა სახლისათჳს შენისა, მაჯალსა ზედა ბუდის აგებითა, რათა დაიცვა თავი ხელისაგან უბედურისა! მოუპოო სირცხვილი სახლსა შენსა, რამეთუ მრავლისა დახოცვითა ცოდა სულმან შენმან. ქვათა იბღავლონ კედელთამან და ძელმან მაჯაურმან (მატლიანმან) გასცეს პასუხად: „ვაი მაშენებელსა ქალაქისასა სისხლისა მიერ და ამგებელსა ციხისასა უსამართლობის მიერ!" ვაი შენ, რომელიც ასმევდე მოყვასსა შენსა აღთქვეფილსა, მღვრიესა და შხამიანსა, და იხილო სიშიშვლე მისი. შენ გასძეხ სირცხვილით, ნაცვლად დიდებისა, შენ თვითონ დალიე ეგ სირცხვილი და მოიშხამე თავი თვისი! თვითონ უფალი მოგაწოდებს შენს თასს შხამით სავსეს..."

იოაკიმ მეფე მართლაც რომ ყოველად უზნეო ცხოვრებას მისცემოდა. სოლომონის ტაძარი სრულად დაეანგუნებინა, სამაგიეროდ თავისი ახლადაგებული სასახლის გასამდიდრებლად და გასამშვენებლად არაფერს და აღარავის აღარ ზოგავდა. თავის სასახლეს იოაკიმ მეფე საკუთარი ხალხის სისხლით აგებსო, — გაიძახოდნენ იერემია და აბაკუმ წინასწარმეტყველნი. მეფე არც ამათ „ჩმახვას" აქცევდა ყურადღებას. იგი თავდავიწყებით ნადიმობდა, ლოთობდა, მრუშობდა.

ის „მწარე და კისკასი ხალხი" კი მოდიოდა — ბაბილონელნი, ქალდეური მოდგმისანი.

მოუძღოდა მეფე ნაბუქოდონოსორ II. უნდა მოეკლო და თავისად დაეგულებინა ყოველნი ქვეყანანი — სირია და ფინიკია, ყოფილი ისრაელი და აწინდელი იუდეა, მათთან მიწები ფილისტიმელთა, იდუმეელთა, მოაბელთა და სხვათა, და ამათ შემდგომ მისდგომოდა ეგვიპტესაც, მის დასალაშქრავად და დასაუფლებლად.

იოაკიმ მეფე კი თავს არხეინად გრძნობდა, მაგრამ საამისოდ მას თითქოს საფუძველიც უნდა ჰქონოდა, რაკიღა ეგვიპტე აღუთქვამდა დახმარებას, ფრიად დაბეჯითებით.

მაშ, ისევე როგორც ადრე, ეზეკიას დროს, ახლაც იუდეა ამ ორ ვეშაპს შორის რალაც „საპრიზო ბრძოლის" საგნად ქცეულიყო.

და მოვიდა ნაბუქოდონოსორი, დიდძალი მხედრობით მოადგა იერუსალემს და მოსთხოვა იოაკიმს მკაცრად და სიტყვაშეუქცეველად: ან შენის ნებით, შენს ხალხთან ერთად, მორჩილება გამომიცხადე, ან სრული განადგურება და ვასრესა არ აგცდება!

იოაკიმ მეფემ და მისმა სასახლის კარმა კი ვერაფერიც ვერ გადაწყვიტა. იუდეის მესვეურები საესებით დაბნეულნი და შიშით აზრდათრგუნვილნი აწყდებოდნენ აქეთიქით.

შიშით ზარდაცემულმა იუდამ ისევ გაიხსენა თავისი უფალი იეჰოვა. იერუსალემს აღარებელი ხალხი მიაწყდა. სოლომონის ტაძარი შემწირველს და შესაწირავს ვეღარ იტევდა. ძაძით მოსილი ხალხი ბარხვად, ლოცვად და ლიტანიად დაცემულიყო. ისევ იეჰოვას უხმობდნენ მხსნელად, ლოცვით, გალობით, ტირილით, ბღავილით, თავზე ნაცრის დაყრით.

ამოქმედებულიყო იერემია წინასწარმეტყველიც. თავის ერთგულ მოწაფეს, ბ ა რ უ ხ ს ებრძანა, ადრე ნათქვამი მისი სიტყვა გადაეწერა, ხალხში გასულიყო და იქ წაეკითხა სწორედ სახალხოდ. ეს ის სიტყვა იყო, რომელშიც იერემია ბაბილონელთა შემოსევას წინასწარმეტყველებდა და ამის კვალობაზე ხალხსაც და ქვეყნის მესვეურებსაც მოუწოდებდა, თუ დაღუპვა არ ვინდა, ეგვიპტის შეგობრობას მოვეშვათ და ნაბუქოდონოსორის ქვეშევრდომობა ვარჩიოთო. ახლა, რაკი თვითონ შეუძლოდ იყო, ბარუხს აგზავნიდა იმ სიტყვის გასაქვეყნებლად.

ბარუხი ჯერ ყოყმანობდა. მაგრამ მასწავლებლის ბრძანებას ვეღარ წა—უვიდა და გავიდა ტაძრად, იმ სიტყვის წასაკითხად. წაიკითხა კიდეც, ხალხით გაჭედილ ტაძარში.

სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამბავმა სასახლეშიც შეაღწია ბარუხი სასახლეში მიიყვანეს და ის სიტყვა დიდებულთა საკრებულოზეც წააკითხეს. შეძრწუნდნენ დიდებულნი. მართლაც დავიღუპებით, თუ ნაბუქოდონოსორს მორჩილებით არ გავეპასუხეთო, და მაშინვე გადაწყვიტეს მეფისთვის წაეკითხათ იერემიას სიტყვა და იქნებ ისიც იმ აზრზე დამდგარიყო, რასაც ეგვიპტისგან ჩამოშორება და ბაბილონთან მორჩილებით შერიგება ერქვა.

ცივი დღე იდგა. იოაკიმ მეფეს ცეცხლი დაენთო და ზედ მიფიცხებოდა, როცა მისი წინასწარი ნებართვით, იერემიას სიტყვის ტექსტი აახლეს.

აბა, წამიკითხეთო, ბრძანა მეფემ. წამკითხველმაც დაიწყო კითხვა. პირველივე ფურცელი რომ ჩაათავა, მეფემ გამოართვა და ცეცხლში შეაგდო (!). ამაოდ შეეცადნენ ამის მხილველნი, ხეეწნით და მუდარით, შეეკავებინათ ხელმწიფე. მაგრამ იოაკიმმა არავინ არაფრად არ ჩააგდო და მთელი სიტყვა, თავიდან ბოლომდე, ასე ფურცელ-ფურცელ ჩაყარა და ჩაწვა ცეცხლში.

ეს დამღუპველი მკრეხელობაა, ეს უფლის გამოცდაა და იეჰოვა ამისთვის მწარედ დაგვსჯისო, — გაისმა აქეთ-იქით, მაგრამ მეფემ ამას უსმინა კი არა, მაშინვე ისიც ბრძანა, ახლავე იერემია, მის მიწაფეებთან ერთად, შეიპყარით და ყველას თავები დააყრევინეთო.

კიდევაც გაქანდნენ ქონდაქარნი მეფის ბრძანების შესასრულებლად, მაგრამ ვერც იერემია, ვერც ბარუხი და ვერც მათი სხვა თანამოაზრე ვერ იპოვნეს. რადგან იერემიას და იერემიელთა თანამდგომელ ერისკაცებს მათი ხელმწიფის უგუნური სისასტიკის ამბავი თავიდანვე გაუთვალისწინებიათ და იერემია, მისი მიმდევრებით, ადრევე გადაუმალავთ.

მაგრამ იერემიას სიტყვის წაკითხვამ მაინც თავისი შედეგი გამოიღო. მეფესთან მოთათბირე დიდკაცთა უმრავლესობა უკვე გადაჭრით მოითხოვდა ეგვიპტესთან კავშირის გაწყვეტას და კარზე ჩამომდგარ მრისხანე მტერთან შერიგებას.

მეფე დაშინდა, გატყდა და დათანხმდა. ეგვიპტესთან კავშირი გაუქმებულად გამოაცხადა, ნაბუქოდონოსორს დიდძალი მისართმეველი გაუგზავნა და თავისი ქვეყანაც ბაბილონის ტახტის ქვეშევრდომად აღიარა, იუდეაში ეგვიპტური ნეიტის კულტიც გააუქმა და მის ადგილზე ბაბილონური ციურ სხეულთა თაყვანისცემა დაადგინა.

იერემიაც გამოვიდა სამალავიდან. თუმცა იოაკიმ მეფეს იგი მაინც აღარ ეხატებოდა გულზე. მაგრამ ხელის ხლებასაც ვეღარ გაუბედავდა, მით უფრო, რომ ნაბუქოდონოსორიც უცხადებდა საგანგებო მფარველობას ამ ებრაელ წინასწარმეტყველს, რომელსაც სწორედ მისთვის, ბაბილონიის მბრძანებლისთვის. სამომავლოდ უზენაესი ამაღლება და გამძლავრება ეწინასწარმეტყველებია.

მაშ, ამჯერად ბაბილონური საფრთხე იუდეას მოეხსნა.

მაგრამ პოლიტიკური კლიმატის ოდნავი რხევაც უმალვე წინასწორობას აკარგვინებდა იუდეის მაშინდელ მეფეს. პოლიტიკის სიახლე კი ის იყო, რომ ფინიკიელი მეფე ი თ ო ბ ა ლ II ნაბუქოდონოსორს გადაუდგა, თავისი სატახტო ტვიროსი გაამაგრა და საომრად გაემზადა. იოაკიმმაც უცებ გადაწყვიტა ბაბილონის მორჩილებაზე უარი ეთქვა, საომრად შემართულ ფინიკიელ მეფესაც შეჰკვროდა კავშირით და ეგვიპტესთანაც განეახლებინა სამოკავშირეო ურთიერთობა.

მაშინ ისევ წამოემართა ნაბუქოდონოსორი დიდძალი მხედრებით. პირველად ტვიროსს დაეძგერა, მაგრამ იერიშით ვერარას გახდა. ალყაზე გადაიდა ნაბუქოდონოსორი. ალყა კი ცამეტი წელიწადი გაგრძელდება!

ამ „ტვიროსული ომის" დასაწყისში, ნაბუქოდონოსორი იუდეის მიმართ კანტიკუნტი თავდასხმებით კმაყოფილდებოდა. უფრო ადგილობრივ პალესტინელ ტომებს უმხედრებდა ებრაელებს — მოაბელებს, იდუმეელებს, ყამონელებს, რომლებიც უეცარი, ყაჩაღურ-მძარცველური თავდასხმებით აოხრებდნენ და აწიოკებდნენ იუდეის დასახლებებს.

და ასე გაუთავებელ წიოკობაში გარდაიცვალა მეფე იოაკიმ, 599 წელს. დაიკრძალა სამეფო ბაღში.

ეს იქნება უკანასკნელი, რიცხვით მეთვრამეტე მეფე იუდეისა, რომელსაც ელირსა მშობლიურ მიწაში დამარხვა.

9. ტყვეობანი ბაბილონისა

იუდეა-იერუსალემის ტახტზე დაჯდა იოაკიმის თვრამეტი წლის ძე, ი ე ხ ო ნ ი ა (იეჰოიახინ), რომელმაც დასაწყისშივე მეფისათვის აუცილებელი ნებითი სიმტკიცე ვერ გამოიჩინა და სახელმწიფო მართვის საადვილებს უფრო დედამისი, დედოფალი ნ ე ქ უ შ ტ ა მიეძალა.

მთავარი კი მაინც ის იყო, რომ არც დედას და არც შვილს ოდნავადაც არ უცდიათ მათი წინამორბედი მეფის დაუკვირვებელ პოლიტიკაში რაიმე ცვლილება შეეტანათ. ისეთივე ურჩი და მტრული დამოკიდებულება ბაბილონისადმი, კავშირი უმოქმედო, ინერტულ ეგვიპტესთან, ხოლო შიგნით ისევ უპატიურობა ეროვნული სარწმუნოებისადმი და კულტმსახურება უცხოური სალოცავებისადმი.

სწრაფად ამოქმედდა ნაბუქოდონოსორი. ტვიროსი ხმელეთიდან გადაჭკეტა და კუნძულზე გარიყა. ერთი ნაწილი თავისი ჯარებისა ეგვიპტის მოსალოდნელი შემოსევის უკუსაგდებად სამხრეთით ჩააყენა. მეორე ნაწილი იუდეისკენ წარმოგზავნა.

ჯერ ებრაელთა ყოველი ქალაქი დაიპირეს ბაბილონელებმა და, ბოლოს, თვითონ იერუსალემს შემოერტყნენ ყოველის მხრიდან.

ავისმაუწყებელმა ზარებმა დაარისხეს იერუსალემის ცისგვაში.

და კვლავ გამოჩნდა იერემია. წელსარტყელი შემოეხსნა — უფლისა და მისი რჩეული ხალხის ერთიანობის სიმბოლო — „უფლის ბრძანებით“, დაეხია, დაეწიწკნა, მაღლა აღემართა და ასე დადიოდა ხალხში, — დადიოდა ხმამაღალი გოდებითა და ღაღადისით:

„და იქმნა სიტყვა უფლისაი ჩემდამი მეტყველი: განვხრწნა გულჩვენობა იუდასი და იერუსალემისა; ეს საძაგელი ხალხი, რომელსაც არ სურს შეისმინოს შეგონებანი ჩემნი, ცხოვრობს თავისის გულის სიკერპით და მიდევს სხვათა ღმერთთა, ეთაყვანება მათ, და ამისთვის მე მათ ვაქცევ ისეთსავე არარაობად, როგორც ქცეულა ეს წელსარტყელი. აკი მე ეს ხალხი ისე დავიახლოვე, როგორც სარტყელს ირტყამენ წელზე. ასე დავიახლოვე მე ყოველი სახლი ისრაელისა და ყოველი სახლი იუდასი; ისინი იყვნენ ჩემი ხალხი და ჩემი დიდება, სიქადული და სამკაული; ხოლო მათ არა შეისმინეს ჩემი, და მიბრძანა მე უფალმა მეთქვა თქვენთვის: დავათრობ ამ ქვეყნის ყოველ მცხოვრებს — მეფესაც, მდაბიოსაც, ერსაც და ბერსაც, ყველა მცხოვრებს იერუსალემისას, და შევალეწავ ყველას ერთმანეთს, მამასაც, შვილსაც; არავის დავინდობ, არავის შევიწყნარებ, არავის შევიწყალებ, ისე მოვსპობ ყველას და ყოველივეს. ისმინეთ და ყურად-იღეთ: ნუ აჰმაღლდებით, რამეთუ უფალი ამბობს: მიეცით დიდებაი უფალსა ღმერთსა ჩვენსა მანამ, სანამ მას ქვეყნად არ ჩამოუწვენია სიბნელე და თქვენც ფეხები არ გიმტვრეეიათ წყვდიადის გორმახებზე, და როცა ნათელსა მოელოდეთ, მე თქვენ თავს დაგატეხთ სიკ-

ვდილის წყვდიადს. უკეთუ მე არ მომისმენთ, მაშინ მე წავალ იდუმალ ადგილებს და იქ ვატირებ სულსა ჩემსა თქვენს ამპარტავნობაზე, და მე დავიღვრები სრულიად ცრემლად, რამეთუ სამწყსოსა უფლისას ტყვედ წაიყვანენ. უთხარი მეფესა და დედოფალსა: დამდაბლდით და დაბლა დასხედით, რამეთუ უკვე ჩამოცვივდა მათ თავთაგან გვირგვინი დიდებისანი. ქალაქნი სამხრეთისანი უკვე დახშულ არიან და არავინაა მხსნელი მათი. იუდას სრულად ტყვედ წაიყვანენ, და ეს იქნება გარდასახლებაი სრული. აღაპყარ თვალნი შენნი, იერუსალემ, და გაიხედე ჩრდილოსაკენ, სადღაა შენი დიდებული ჯოგი (ქალაქებისა)? რას იტყვი, ასულო სიონისაო, როცა უფალი გესტუმრება შენ? შენ ხომ შენი მტრები თვითონვე მიაჩვიე შენზედ ბატონობას, და ტკივილებს, ვითარცა დედაკაცისა მშობისა. და თუ გულში იტყვი — „რისთვის შემემთხვა ყოველივე ეს მე?" — სიმრავლისათვის უსამართლობისათა აგეხადა კალთა კაბისა და გაგიშიშვლდა ქუსლნი ფერხთანი. როგორ უნდა გამოიცვალოს კანი ეთიოპელმა, ან ვეფხვმან სიჭრელენი მისნი, ასევე — როგორ შეძლებთ თქვენ ქმნასა კეთილისასა ჩამდენნი ამდენი ბოროტებისანი?! სწორედ ამიტომ — ბრძანებს უფალი — უდაბნოდან მოვარდნილი ქარქვეტივით გაგფანტავთო მე თქვენ. აი, წილხვედრი შენი, ასულო სიონისაო, რამეთუ შენ დამივიწყე მე, უფალი, და იმედოვნებდი სიცრუეთა ზედა. ამიტომ ჩამოგეშლება საბურველი შენი და გამოჩნდება გინებულობა შენი. ვიხილე მე მრუშებაი შენი, აცხორცობა შენი, უცხოსახე სიძვანი შენი, ბორცვთა ზედა და ველთა შორის, დაეაი შენდა, იერუსალემ! შენ ჩემს შემდგომაც არ განიწმინდო, ხოლო ვიდრემდის იყო შენ?!"

ალყაში მომწყვდეული იერუსალემი კი უმძიმეს გასაჭირში ჩავარდნილიყო. იმწლევანდელი გვალვაც შიმშილს მოერეკებოდა ქალაქში.

და როცა ხმა გავარდა, მოალყე ბაბილონელთა ბანაკში თვითონ ნაბუქოდონოსორიც გამოჩნდაო, მაშინვე იეხონია მეფე, დედამისი ნექუშტა და მთელი მათი სახლობა, მსახურეულობა, სასახლის დიდკაცობის თანხლებით, ნაბუქოდონოსორს ეახლნენ, მუხლებში ჩაუცვივდნენ და თავისი სიცოცხლითაც მის ნებას მინებდნენ.

ნაბუქოდონოსორმა მართლაც „ლმობიერება" გამოიჩინა: ყველას სიცოცხლე აჩუქა, ოღონდ... ყველა ტყვედ აიყვანა — თვითონ მეფეც, დედამისიც, მისი ცოლებიც, დედამამისშვილებიც, დიდკაცობაც, სამღვდელონიც, საერონიც — ყველას ბორკილები გაუყარეს და ბაბილონის გზას გაუყენეს.

მაგრამ ეს იყო, ასე ეთქვათ, „ბირთვი ტყვეობისა". ამათთან ერთად, ნაბუქოდონოსორმა თვითონ იერუსალემიდან ტყვედ აიყვანა 10 000 სული. მათგან 7 000 მეომარი, დანარჩენები ყველა ოსტატი, იარაღის მკეთებელი, ეჭედელი, ხურო, ოქრომჭედელი, მშენებელი, მხატვარი, ყოველი სახის ხელოსანი და ხელოვანი. და ასე, იერუსალემში „არავინ დარჩა, გარნა გლახაკნი ერისა ქუეყანისანი".

იერუსალემის გარდა, იუდეიის სხვა ადგილებიდან, კიდევ „დამატებით“, ნაბუქოდონოსორმა ტყვედ გაირეკა 3 023 იუდეველი.

ეს მოხდა ქრისტეს წინარე 597 წელს, იეხონიას გამეფებიდან სამი თვის თავზე.

ხოლო, ნაბუქოდონოსორმა იერუსალემის ტახტზე დასვა იეხონიას ბიძა — მეფე იოსიას უმცროსი ძე, იმჟამად ოცდაერთი წლის მ ა ტ თ ა ნ ი ა, რომელიც თვითონ ბაბილონელმა მბრძანებელმა ახალი სახელით მონათლა და უწოდა — ს ე დ ე კ ი ა (ცედეკია, ციდკიიაჰუ), და ამავე სახელით შევა ისტორიაში მისი უბედური მეფობაც (597—586).

რასაკვირველია, სედეკია ნაბუქოდონოსორმა „თავისი კაცის“ იმედებითა და ანგარიშებით დასვა იერუსალემის ტახტზე. მართლაც უნდა ყოფილიყო „მისი კაცი“ ებრაელთა ახალი მეფე ბაბილონელი ხელმწიფისთვის. სედეკია მორჩილი ბუნების კაცი ჩანდა, ფრიად უნებო და უინიციატივო. ნაბუქოდონოსორმა სედეკიას ერთგულების ფიცი დაადებინა, თან მისი მოუსვენარი მრჩეველი დიდკაცობაც ჩამოაშორა და ბაბილონში გადაუსახლა. ამდენად, ბაბილონელ გვირგვინოსანს უნდა ერწმუნა, რომ მარტო დარჩენილი, მშვიდობიანი, არამეომრული ბუნების ახალგაზრდა კაცი რაიმე აჯანყებისა თუ ომის დაწყებაზე ფიქრით თავს არ შეიწუხებდა...

უფრო მეტიც, — ნაბუქოდონოსორმა სედეკიას კარზე საგანგებოდ ისეთი იუდეველი არისტოკრატები დატოვა, რომელთაც განუხრელად სწორედ ბაბილონურ-ქალდეური ორიენტაცია ეჭირათ. და ამათაც სწორედ ის ევალებოდათ, სედეკია მეფეს ეგვიპტესთან კავშირის აღდგენაზე და ბაბილონთან ერთგულების ფიცის დარღვევაზე ფიქრიც რომ არ გაეელო გულში.

დასაწყისში მართლაც ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც ნაბუქოდონოსორს ეპრიანებოდა. იერუსალემის დიდკაცთა „ბაბილონურ პარტიას“, რომელსაც სათავეში გ ე დ ა ლ ი ა ედგა, წარმატებით ხელეწიფებოდა სედეკია მეფის „ბაბილონურ ჭკუაზე“ ტარება.

მხოლოდ იერემია წინასწარმეტყველი არ ეკარებოდა „ბაბილონურ დასს“, მიუხედავად იმისა, რომ აკი თვითონაც თავიდან სწორედ ბაბილონთან მშვიდობიანობას ქადაგებდა იგი. თვითონ უფალმა მოავლინა ბაბილონი ყველა დანარჩენ ხალხთა მეუფედო, — ახლაც, ნაბუქოდონოსორის წასვლის შემდეგაც ამას გაიძახდა იერემია.

მაგრამ განვლო რამდენიმე წელმა და იერუსალემში უკვე თანდათან აიდგა ფეხი ბაბილონური უღლის დამხობის ტენდენციებმა. ამას ერთდროულად ორნაკადიანი ფაქტორები ედო საფუძვლად — შინაგანიც და გარეგანიც. შინაგანი ჩვეულებრივი იყო — მძიმე ხარკი და მორალური დამცირება. გარედან კი, ეგვიპტე და ფინიკია მოსვენებას არ აძლევდნენ იუდეას, — ნუ შეურიგდები ბაბილონის უღელსა და მონობასა, შენ დაიწყე და ჩვენ მოგეშველებით მაგ უღლის ჩამოგდებაშიო.

ეგვიპტეში ამ დროს ფარაონად იჯდა ფ ს ა მ ე ტ ი ქ ე II, ნეხოს ძე, რო-

მელმაც სამხრეთით ეთიოპია დაიპყრო სრულად და ახლა ჩრდილოეთით აზიის დაპყრობაზე ოცნებობდა, მდინარე ევფრატამდე მაინც. ამიტომ მას ძალიან სჭირდებოდა იუდეასთან რეალური და მტკიცე კავშირი. ამიტომ არ ეშვებოდა ფსამეტიქე სედეკიას, განუდექ ბაბილონს, მე საომარ ეტლებს და ცხენებს მოგცემ, შეეკავშირდეთ და ერთად ვიომოთო.

და, ისევ გაჩნდა იერუსალემში „ეგვიპტური დასი", „ბაბილონური დასის" მოპირისპირედ. ისევ აღსდგა აქა-იქ, ზოგგან იდუმალ და ზოგგან აშკარადაც, იუდეაში ეგვიპტური ტოტემისტური კულტი.

არც ფინიკიელი მეფე ითობალ II ასვენებდა სედეკიას.

ნაბუქოდონოსორის ჯარები ისევ იდგნენ ტვიროსის ალყად. ითობალი კი გაქცეულიყო, მაგრამ ქალაქი მაინც საზრდოობდა, ზღვის გზებით, კვიპროსიდან. ითობალს ბაბილონის წინააღმდეგ სამოქმედოდ უკვე აეყოლებინა ყამონის, მოაბის და იდუმეიის მეფენი, და ყველა ერთად მიისწრაფოდა, როგორმე იუდეაც ჩაეთრიათ ანტიბაბილონურ კოალიციაში.

მესამე მხრივ, ბაბილონში ტყვედწაყვანილი იუდეველებიც, სამშობლოში დაბრუნებაზე დღენიადაგ მეოცნებენი, იდუმალი მიმოსვლით და ბიმოთქმით, აქეზებდნენ სედეკიას და მის კარს ბაბილონის უღლის დასამხობად იარაღის აღებაში. ზოგი მათგან სედეკიას დამხობას და მის ადგილზე ტყვედწაყვანილი იეხონიას კვლავ აღდგენას უქადაგებდა თანამემამულეებს.

იუდეიისა და მის გარშემო წვრილწვრილი მეფუკების გაბედულება ბრისხანე ბაბილონის წინააღმდეგ საომარი განაზრახისა, უეჭველად, დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იმ ხანად თვითონ ბაბილონის გასაჭირთან. ნაბუქოდონოსორს მაშინ შორეული ტვიროსის გარდა, ომი ჰქონდა უშუალო მეზობელ ელამთან. ამავე დროს მას ხიფათი გაუჩნდა ჩრდილოეთიდანაც, მიდიის მხრიდან. მაშინ გარდაიცვალა მიდიის მეფე კიაქსარი, ნაბუქოდონოსორის სიმამრი და ერთგული მოკავშირე, და მის ნაცვლად ტახტზე ავიდა ასტიაგი, რომელთანაც ნაბუქოდონოსორს განხეთქილება მოუხდა. დღე-დღეზე ომიც იყო მოსალოდნელი გუშინდელ მოკავშირეებსა და მოყვრებს შორის. მანამდე კი ნაბუქოდონოსორმა უზარმაზარი თავდაცვითი კედლის მშენებლობა წამოიწყო მიდიის საზღვრის გასწვრივ. ასეთი მშენებლობაც დიდძალ ფულსა და ხალხს ნთქავდა და ნაბუქოდონოსორის ეს გასაჭირიც უეჭველად ათამამებდა მის უღლის ჩამოგდებაზე მეოცნებე პალესტინელ და ფინიკიელ მიკრომონარქებს.

მაგრამ არ ცხრებოდა იერემია. გონს მოდით და ნუ დაღუპავთ ქვეყანასო, ბღაოდა იგი. არავის არ შეუძლია ძლევა ნაბუქოდონოსორისა, რომელსაც უზენაესი უფლისაგან აქვს ნაბოძები მბრძანებლობა ყველა ხალხზე და ქვეყანაზე. ამიტომ ჩვენ ისღა დაგვრჩენია შეეურიგდეთ უფლის ნაბრძანებს, უკეთუ არ გვსურს დაეღუპოთ თავიც და ჩვენი ქვეყანაც.

და აი, როცა იერემიამ შეიტყო, რომ იერუსალემში ჩამოვიდნენ იდუმეიის, მოაბის, ყამონის, ტვიროსის და სიდონის ელჩები, მაშინვე მან ქედზე ხის უღელი დაიდგა, აპეურებით შეისკვნა და ასე გაემართა ელჩთა შესახვედ-

რად. და იმ დღეს იერემიამ უცხო ელჩთა და საკუთარი ხალხის საკრებულოს წინაშე ერთხელ კიდევ წარმოთქვა ძლიერი სიტყვა. იგი ისევ ლაპარაკობდა „უფლის ნათქვამს“: უფალმა საბაოთმა, სამყაროს შემოქმედმა, მიბრძანა, წახვიდეთ და აუწყოთ თქვენ მეფეებს, რომ მე უფალი, ვაძლევ ნაბუქოდონოსორს, ბაბილონის მეფეს ყველა ქვეყანას და, არამცთუ ხალხებს, არამედ მხეცთა სამაყროსაც კი ვუმორჩილებ მას. და ყველა ხალხი იქნება მონანი მისნი, მონანი მისი ძისა, მონანი მისი ძის ძისა; ხოლო, რომელი ხალხიც და რომელი მეფეც წინ აღუდგება ბაბილონის მეფეს და თავის ქედზე არ დაიდგამს მის უღელს (და ხელით ანიშნა სიმბოლო ამ უღლისა თავის კისერზე იერემიამ) — ასეთ ხალხსო, ამბობს უფალი, მე დავსჯიო მახვილით, შიმშილით, შავი ჭირით და მოვსპობ ასეთ ხალხს თვითონ ნაბუქოდონოსორის ხელით. ამიტომ არავინ მოუსმინოთ იმათ, ვინც მოგიწოდებთ ნუ დაემორჩილებითო ბაბილონის მეფეს, თორემ მათი დაჯერება და აყოლა გიქადით აყრას, გადაყრას და დაღუპვას. ყოველივე ეს, უფლისგან ნაბრძანები, უკვე ვუთხარი მეფე სედეკიას, ვუთხარი სამღვდელოთა და ვუთხარი სრულიად ხალხს. არიან ისეთი ცრუწინასწარმეტყველნი, რომლებიც სთქვენ ტყუილს — აი, მალე დაბრუნდება ბაბილონიდან იერუსალემს საჭურჭლენი უფლის სახლისაო, — არ დაუჯეროთ-მეთქი ასეთ სიცრუეს და კვლავ მორჩილად ემსახურეთ ბაბილონის მეფეს, თორემ, თუ არ დაიშლით, არამცთუ ის არ დაბრუნდება, რაიც ახლა წაღებულია ბაბილონს, არამედ ისიც სუყველაფერი წაგვერთმევა, რაც კი რამე დაგვრჩენია უფლის ტაძარში და სამეფო სახლში...

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ იერემიას მივარდა მისი მუდმივი მოპაექრე და მეტოქე, ისიც წინასწარმეტყველად წოდებული, ხ ა ნ ა ნ ი ა, უღელი კისრიდან ჩამოაგლიჯა, მის წინვე დაამტვრია და შესძახა: „ორი წელიც არ გაივლის და ნაბუქოდონოსორის ბატონობაც ისე დაიმსხვრევა, როგორც მე ეს უღელი დავამსხვრიეო“. თანაც უფლის ნათქვამად გამოაცხადა ხანანიამ ეს მისგან ახლადგაცხადებული სიტყვა.

მცირე ხნით დადუმდა იერემია. მერე უცებ იყვირა: „ხანანიას ნათქვამი არ არის უფლისგან ნაკარნახევი, იგი სიცრუეა, მე კი უფალმა მიბრძანა გაუწყოთ: ნაბუქოდონოსორი, ვინც მის წინააღმდეგ აჯანყდება, მისთვის უკვე ხის უღლის ნაცვლად რკინის უღელს გასჭედავს, ხოლო შენ (ხანანიას მიუბრუნდა), უფლის სახელით სიცრუის თქმისთვის, უფლის ნებითვე ამ წელსვე სიკვდილს შეეყრებიო.

(მართლაც იმ წელს, მეშვიდე თვეს, მომკვდარა ხანანია).

ბაბილონში ტყვედწაყვანილ თანამოძმეებს ცალკე სწერდა იერემია: მანდვე დასახლდით და დაემკვიდრეთო, სახლკარი მოიწყვეთ და ბალ-ვენახები გააშენეთო; მანდვე დაქორწინდით და შთამომავლობა გაიმრავლეთო. უფლის ნებით, კიდევ სამოცდაათი წელიწადი უნდა გაგრძელდეს თქვენი ტყვეობა. ამიტომ თქვენს ცრუწინასწარმეტყველებს ნუ უსმენთ და ნუ უჯერებთ, მალე

დაბრუნებას რომ გარწმუნებენო. ნაბუქოდონოსორი ცოცხლად ცეცხლზე შეწვავს თქვენს მატყუარა მისნებსო.

მაგრამ უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ იერემიას მომტერენი. ხალხიც და მეფეც დაარწმუნეს, რომ თვითონ იერემია იყო ცრუწინასწარმეტყველი. სედეკია მეფე საბოლოოდ დაარწმუნეს, რომ ბაბილონს განდგომოდა და ეგვიპტეს მიმხრობოდა.

591 წელს სედეკიამ ნაბუქოდონოსორს ხარკის ძღვევა შეუწყვიტა.

მომდევნო 590 წელს ეგვიპტის ტახტზე ასულმა ახალმა ფარაონმა, ა პ რ ი ს მ ა, უფრო ქმედითი კავშირი შეკრა იუდეის მეფესთან.

მოკავშირეებმა ბაბილონის წინააღმდეგ კოალიციაში ჩაითრიეს ყველა ხალხები ევფრატსა და ნილოსს შორის.

მოწინააღმდეგეთა ბანაკის მანამდე არნახულად გამძლავრებამ, როგორც ეტყობა, შეაფიქრიანა ნაბუქოდონოსორი. ამიტომ ნაჩქარეობაზე ხელი აიღო და უფრო სერიოზულად შეუდგა საომარ სამზადისს.

„მზადება გაგრძელდა ოთხ წელიწადს. ამასობაში ბაბილონს ტყვედ წაყვანილ ებრაელობაში ერთბაშად სახელი გაითქვა ახალმა წინასწარმეტყველმა. მისი სახელი იყო — ე ზ ე კ ი ე ლ, ძე ბუზესი, აარონის შთამომავალი. იგი ესახლა ნაბუქოდონოსორის ბრძანებით გაყვანილ, ევფრატისა და ტიგრის შემაერთებელი დიდი არხის ნაპირას და აქ (როგორც თვითონ ამბობდა) მას ცა გაეხსნა და გამოეცხადა ოქროვან ეტლზე ამხედრებული არსება, ოთხი სახით და ოთხი ფრთით, ერთსხეულოვანი — კაცი (გონება), ლომი (სიმამაცე), არწივი (სისწრაფე) და ხარი (ძალმოსილება).

და შეუდგა „ღვთით შთაგონებული„ ეზეკიელი ქადაგებას. მაგრამ ქადაგება მისი იყო ისეთივე ბრძოლა, როგორც იერემიასი, — ბრძოლა თანამოძმეთა ურჩ და ურწმუნო გონებასთან. დასაწყისშივე ეზეკიელი მისიანებმა გიჟადაც კი გამოაცხადეს და 430 დღე-ღამე დილეგში ჩამწყვდეულსაც გაატარებინეს. მაგრამ მთელი ოცდაორი წელიწადი იგი მაინც თავისი „სიგიჟისას“ არ იშლიდა, ებრაელობას მორიგ, უფრო მძიმე კატასტროფას უწინასწარმეტყველებდა და მის შესახვედრად მზადყოფნისკენ მოუწოდებდა.

იგი მშვენიერი, შთამაგონებელი სიტყვით, ძლიერი ლოგიკით და დასაბუთებით ამხელდა თანამემამულეთა გონებრივ რუტინას, სამომავლო ცხოვრებისადმი უდარდელ, გულგრილ დამოკიდებულებას. იგი ამხელდა ცრუწინასწარმეტყველთ, რომლებიც ტყვეობაში მყოფ თანათვისტომთ სამომავლოდ სრულ აყვავებას და კეთილდღეობას უქადაგებდნენ.

იერუსალემი ეზეკიელს აგურზე დაეხატა, ალყაში მოქცეული, და ძის გარდუვალ კატასტროფაზე მიანიშნებდა თავისიანებს. იუდეის ებრაელობა იღუპება, ხოლო მომავალი ხსნა, აღორძინება, ჩვენი ხალხის „ახალი გული და ახალი სული“ აქ უნდა იშვას, ბაბილონის ტყვეობაში ჩავარდნილ ებრაელობაშიო. უფალი ბრძანებსო: მომავალ ებრაელს „ქვის გულს ამოვართმევ და ხორცის გულს ჩაუდგამო“, ამისთვის უნდა განვიწმინდოთო, შოვინანიოთ

ცოდვანი ჩვენნი, წარმართულ კერპებს ერთხელ და სამუდამოდ გავეყაროთ და. დიად იეჰოვას სარწმუნოებას ვეზიაროთ, მუდამ მისგან განუყრელად და გა- ნუკვეთელად.

მაგრამ დიდად უჭირდა „ტყვეობის წინასწარმეტყველს“ ტყეობაში მყოფ. თანამემამულეთა მოარშიეება. იუდეიის მეფის, სედეკიას განდგომა ბაბილო- ნის მეფისგან და მიმხრობა ეგვიპტის ფარაონთან ტყვედწაყვანილ ებრაელო- ბაში უფრო განამტკიცებდა იმ ამაო და ფუჭ იმედს, რასაც საოცნებო იერუ- სალემში დაბრუნება ერქვა. ამაოდ ბღაოდა ეზეკიელი: იერუსალემი სოდომსა. და სამარიაზე უარეს ცოდვებს სჩადის და მათზე უარესი კატასტროფაც არ. ასცდებაო.

და, მართლაც მოვიდა კატასტროფა იგი — „შიგნიდან“ რომ იერემია წი- ნასწარმეტყველებდა, „გარედან“ კი ეზეკიელი.

წამოემართა პალესტინისკენ ნაბუქოდონოსორი უზარმაზარი არმიით და- უკიდურესი მრისხანებით აღვსილი გულით. ყამონის, მოაბის და იდუმეიის, მეფუკები, — სედეკია იუდეველი რომ ბაბილონისგან განდგომაზე ააგული- ანეს — ახლა პირველნი მიექცნენ და ფეხებში ჩაუცვივდნენ ნაბუქოდონო- სორს, ყელზე თოკშებმულნი და ქედზე მახვილდაუღლულნი. იდუმეელმა ბა- ბილონელს ბრძოლაში თანადგომაც აღუთქვა გუშინდელი მოკავშირის, იუდეი- ის დასამხობად და ამოსაგდებად.

ტვიროსიც ხომ ალყაში ჰყავდა გათანგული ნაბუქოდონოსორს. ასე, რომ იუდეა ახლა მხოლოდ ეგვიპტის იმედად დარჩენილიყო. ეგვიპტის იმედი კი- ისევ უიმედობა აღმოჩნდა ებრაელთათვის. ფარაონ აპრისს ბრძოლად გამო- სვლა ვერ გაებედნა.

შემოესივნენ ბაბილონელნი იუდეას. იერუსალემისკენ ისწრაფოდნენ. გზა. და გზა სიკვდილის თესვით. იერუსალემი თავისი კედლებით და სურსათ- სანოვაგის მარაგით, მზად იყო ხანგრძლივ ალყასთან საომრად. მაგრამ მტრის- გან აოხრებული და დამფრთხალი შემოგარენის მოსახლეობა სატახტო ქალაქს მოაწყდა და ქალაქსაც საბედისწეროდ უნდა მისჭირვებოდა ლტოლვილ თახა- მოძმეთა შეთავსება-შეფარებაც და შენახვაც.

იდგა ქრისტეს შობამდე 587 წელი და იერუსალემს ალყად შემოსდგო- მოდა ბაბილონელთა დიდძალი ჯარი. დიდის თავგანწირვით იბრძოდა ებრა- ელთა წმიდა სატახტო, — იბრძოდა, მისი მეფის უმწეობისა და უმწიფარობის. მიუხედავად.

დაუცხრომელი იყო კვლავ იერემია, მიუხედავად ღრმა ხანდაზმულობისა. იგი მიმოიქცეოდა ქალაქის დამცველთა შორის და კვლავ შთააგონებდა ყვე- ლას, ამაოდ ვიბრძვით, ამაოდ ვარისხებთ უფალს, რომელსაც ჩვენ ზურგი ვაქციეთ; იერუსალემს დაჰლუპავს განდგომა ბაბილონის ხელმწიფისგანო. იგი საგანგებოდ მიმართავდა სამეფო კარს, „დავითის სახლს“ — ამ უმძიმეს ჟამს. უფრო თავგამოდებით უნდა იბრძოლოთ წესრიგისთვის, სამართლიანობის- თვის; დაიცავით სუსტნი ძლიერთაგან, იზრუნეთ მონებისთვის, ხიზნებისთვის,

ქერუ-ობოლთათვის. კვლავ დაიცავით სიწმიდე შაბათისა, მეშვიდე დღისა და მეშვიდე წლისა, როცა თავისუფლება უნდა დაიბრუნოს ყველამ, ვალში მონად გაყიდულებმა.

შედეგიც გამოიღო იერემიას დაჟინებულმა მოწოდებამ: ერთ დღეს, მეფე სედეკიას ბრძანებით, საერო და სამღვდელო არისტოკრატიამ, ხალხთან ერთად, საგანგებო მსხვერპლწირვის თანხლებით, საზეიმო ფიცი დადეს ურთიერთ-თანადგომისა, შემწყნარებლობისა და მტრის წინააღმდეგ თანაბრძოლისა. იქვე გამოაცხადეს ყოველი მონის გათავისუფლება. მაშინვე ყველა მონადყოფილიც, იარაღით ხელში ჩადგა ქალაქის დამცველთა შორის.

ალყამ წელიწადს გადააჭარბა. უკვე თებერვალი იდგა 586 წლისა.

უცებ ნაბუქოდონოსორს შეატყობინეს, რომ ფარაონი აპრისი წამოსულა, ეგვიპტური ჯარით იუდეიის მოსაშველებლად.

ბაბილონელმა თავისი ჯარები იერუსალემის ალყიდან სასწრაფოდ აჰყარა, და ეგვიპტელებთან შესახვედრად გაქუსლა სამხრეთისაკენ.

იერუსალემმა აღტაცებით ამოიბღავლა.

გავიმარჯვეთ და გადავრჩითო!

კარიბჭეები განახვნეს, გარედან მოსული ლტოლვილი ხალხი გარედვეგ, გაიჭრა და თავის სოფელ-საცხოვრისს მიაშურა. მეფემ და არისტოკრატიამ კი, გუშინ დადებული ფიცი დაივიწყეს და მათგანვე გააზატებული მონები მონობაშივე შემოაბრუნეს.

ასეთმა უსამართლობამ და უზნეობამ პირდაპირ გააოცა იერემია. სასტიკი სიტყვით ბრალი დასდო მეფესაც და ყოველ დიდკაცს, ფიცის გამტეხელთ და ისევ იწინასწარმეტყველა — ქალდეველ-ბაბილონელნი კვლავ მობრუნდებიან, იერუსალემიც დაეცემა და ყოველივე განადგურდება მტრის ცეცხლითა და ბასრ-ვილით, შიმშილითა და შავი ჭირით.

სედეკია დაფრთხა და იერემიას ქურუმთმთავარი ცეფანია მიუგზავნა, — უფალს შესთხოვე, ქალდეველები უკან არ მოაბრუნოს იერუსალემს ისევ საალყოდო. იერემიამ კი საპასუხოდ არაფრით არ ანუგეშა მეფე. ანუგეშა კი არა, პირდაპირ ეს შეუთვალა: შენი მშველელი ფარაონი გამოსულა უმალვე უკანვე მიიქცევა, ნაბუქოდონოსორი კი შემობრუნდება, იერუსალემს ისევ ალყაში მოიმწყვდევს, მალე კიდევაც დაეუფლება, კიდევაც დააქცევს და დაწვავს. იერუსალემის დალუპვა იმდენად გარდუვალია, იუდეველებმა კიდევაც სძლიონ ქალდეველებს, ამათგან რამდენიმე დაჭრილიც რომ გადარჩეს, ესენი მაინც დაწვავენ იერუსალემსო.

იერუსალემის დიდკაცობამ მეფისადმი ეს კადნიერი პასუხი ავად გამოიყენა მათი მამხილებელი წინასწარმეტყველისადმი: იერემიას ღალატი დასწამეს, შეიპყრეს, სცემეს, დამშრალ ჭაში ჩააგდეს და გუშაგად მეფის გულქვა მოხელე, იონათანი მიუჩინეს.

მაგრამ ტყვექმნილი წინასწარმეტყველის ნათქვამი კი სრულდებოდა.

ნაბუქოდონოსორმა ფარაონი აპრისი დაამარცხა და კუდით ქვა აპროლინა, გამარჯვებული უკანვე შემობრუნდა და იერუსალემი კვლავ ალყაში მოაქცია.

ქალაქი უკიდურესმა შიშმა და დაცემულობამ მოიცვა. ბევრმა იდუმალ საკუთარი ტყავის გადასარჩენად იზრუნა. ზოგი ეგვიპტეში გარბოდა, ზოგიც თვითონ მოალყე მტრის მხარეს გადადიოდა.

ისევ გაიხსენა სედეკიამ იერემია. იმ ჭა-დილეგიდან ამოაყვანინა, საიდუმლოდ, მოაყვანინა, ხინ დაისვა და ჰკითხა, რა მოხდებაო, ბოლოს და ბოლოს, რით გთავდება ჩვენი ეს თავს დამტყდარი მტრის ალყა და უბედურებაო.

პირდაპირ გეუბნებიო, — შეაგება იერემიამ — შენ ნაბუქოდონოსორის ხელში ჩავარდნა არ აგცდება, უკეთუ წინააღმდეგობაზე ხელს არ აიღებ და შენითვე მორჩილებას არ აახლებო.

მეფემ მდუმარედ მოისმინა წინასწარმეტყველის მკაცრი განაჩენი. საპყრობილეში აღარ დაუბრუნებია იგი, პირიქით, სასახლეში დააბინავა და ყოველდღიურ ულუფად სასახლეშივე გამომცხვარი პური დაუნიშნა. იერემიას ერთგულ მოწაფესაც, ბარუხს, ნება ეძლეოდა არ მოშორებოდა საყვარელ ძოძღვარს.

სედეკიამ კი მაინც არ შეისმინა იერემიას ნათქვამი. იგი ჯიუტად გახაგრძობდა უპერსპექტივო და უიმედო წინააღმდეგობას. არა და, ქალაქში უკვე საშინელი შიმშილი იდგა. ხალხი ბუზივით იხოცებოდა. იერემია კი ისევ თავისას გაჰკიოდა: „ვინც ქალაქში დარჩება, ყველა დაიღუპება, ან მახვილით, ან შიმშილით, ან ჭირით, ხოლო ვინც ქალდეველებს ჩაბარდება, სიკვდილს გადარჩება, ქალაქი კი დაეცემა და დაიწვება!“

მაშინ უფრო დაჟინებით მიეძალნენ მეფეს მისი თანამოაზრე დიდკაცნი, იერემია ქვეყნის მოღალატეა და აუცილებლად სიკვდილით უნდა დაისაჯოსო.

— იგი აგერ, თქვენს ხელშია და რაიც გინდათ ის უყავითო, — გაასაუსავა ხელები მეფემ.

მაშინვე იერემია სასახლიდან გამოათრიეს და ისევ იმ ბნელ ჭაში ჩააგდეს. მანდ ეგდოს და, ჩვენ რომ ხელი არ გაგვესვაროს, თავისით მოკვდეს შიმშილ-წყურვილითო. მართლაც სიკვდილი მალე უნდა სწვეოდა ბებერ წინასწარმეტყველს, მაგრამ ბედად ერთი მონა-მსახური, ეთიოპელი ებედმელეკი შეუჩნდა მეფეს, ნუ დაუშვებ ასეთ უსამართლო სისასტიკეს, ნუ მოაკვლევინებ იერემიას და ნება გაეცი, გამოხსნილ იქნას ტყვეობისგან და სიკვდილისგანო.

კვლავ დათმო სედეკიამ. იერემია ისევ ამოაყვანინა იმ ჭიდან და ისევ „შინაურ ტყვეობაში“ დააბრუნა — თავის ახლოს და მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ.

და ერთხელ კიდევ მოიყვანა და დაისვა პირისპირ იერემია სედეკიამ, კიდევ ერთხელ და უკანასკნელად შეეკითხა — როგორ, რა საშუალებით ვიხსნა ქვეყანა განსაცდელისგანო.

— მე გეუბნები შენ საშუალებას — ისევ პასუხობდა იერემია — მაგრამ შენი ცრუ მრჩევლები მაინც თავის ჭკუისად გიყოლიებენ; აკი ისინი გარწმუნებდნენ, ნაბუქოდონოსორი წავიდა და ამიერიდან აღარასოდეს მობრუნდებაო და აღარ შეგაწუხებსო; ახლა, როცა მათი ნათქვამი გამტყუნდა და ჩემი ნათქვამი კი გამართლდა, მე სიკვდილს მიმზადებენო.

მეფემ შეჰფიცა, ოღონდ შენ სიმართლე მიწინასწარმეტყველე და შენი სიცოცხლის თავდები მე თვითონ ვიქნებიო.

ისევ იმას გეუბნები, უფლის ნებიდან გამომდინარე, — კვლავ დაბეჯითებით იმეორებდა იერემია — თუ არ გსურს ქალაქი და ტაძარი განადგურდეს, დაიწვას და მიწასთან გასწორდეს, და შენი ხალხის უდიდესი უბედურების მიზეზიც გახდე, — კიდევ ერთხელ გიმეორებ, ქალაქი ჩააბარო და თვითონ შენც შენის ფეხით ეახლო და ეთაყვანო ქალდეველ-ბაბილონელ ხელმწიფესო.

აგრე მოვიქცეოდი, მაგრამ ის მაშინებს, ვაი თუ ქალდეველთა ბახაკში უკვე გადასულმა იუდეველებმა იქვე ნაბუქოდონოსორის თვალწინ დამცინონ და ჩამქოლონ კიდეცო, — ამოიგმინა სედეკიამ.

მაგისი ნუ გეშინიაო, — უმალვე არწმუნა იერემიამ — თუ ნაბუქოდონოსორს ჩაბარდები, არც შენ, არც შენს სახლეულ-ოჯახეულს არავითარი დაძცირება და დასჯა არ გემუქრებათო.

მეფემ თითქოს ირწმუნა იერემიას უკანასკნელი შეგონება და ამით ერთმანეთს დაშორდნენ.

მაგრამ ეს მართლაც „თითქოს“ აღმოჩნდა. სედეკიამ მრისხანე ბედთან და მტერთან შერიგება ვერ გაბედა. ბტრის ალყა კი კატასტროფული სისწრაფით მძლავრდებოდა. ბაბილონელებს ქალაქის კედელთა გასწვრივ იმ კედელთა სამაღლე მიწაყრილები და საიერიშო მანქანები აღემართათ. ქალაქს განუწყვეტელი ისრისა და ქვის მერეხი აწვიმდა, შიმშილი და სნება კვლავაც უწყალო ხელით სთესავდნენ სიკვდილს.

და იბრძოდა იერუსალემი, ნაბუქოდონოსორის ორივე მოსვლის მთლიანობით — 1 წელი, 5 თვე და 27 დღე.

და დაეცა იერუსალემი.

წელი ქრისტესშობამდე — 586.

წელი — მარად საგლოველი და საგოდებელი ებრაელი ხალხის ისტორიისა.

ბაბილონურ-ქალდეური ჯარებით შემოსეოდნენ დავითის ქალაქს ნაბუქოდონოსორის სარდლები — ნ ერ გ ა ლ-ს ა რ ე ც ე რ; ს ა მ გ ა რ ე ნ ბ უ, ს ა რ ს ე ქ ი მ, რ ა ბ-მ ა გ ი.

თვითონ ნაბუქოდონოსორი რ ი ბ ლ ა შ ი იდგა და იქ ელოდა უეჭველი გამარჯვების ამბავს.

სედეკია კი პირველი კარიბჭის დაცემისთანავე, ღამით გაქცეულიყო ქალაქიდან. გაქცეულიყო სახლეულით, მსახურეულით, ამალით. სასახლის ბაღით გაილალნენ და იორდანესკენ აიღეს გეზი.

იერიქონის ველს მიაღწიეს. და სწორედ აქ, სწორედ იერიქონის ველზე წამოეწივნენ გელიქაშად დადევნებული მდევარნი. წამოეწივნენ, ყველანი შეიპყრეს, წაიყვანეს, რიბლაში მიიყვანეს და ნაბუქოდონოსორს მიჰგვარეს.

და, იქვე, უცებისად, ნაბუქოდონოსორის ბრძანებით, სედეკიას შვილებს მამის თვალწინ ყელები გამოსჭრეს, მისი თანმხლები დიდკაცებიც დაკლეს.

ხოლო, თვითონ სედეკიას, ამ საშინელებათა თვალით მხილველს თვალები დათხარეს, მერე სპილენძის ბორკილები გაუყარეს და ბაბილონის გზას გაუყენეს, სიკვდილამდე ტყვედ და წამებად.

მისი უბედური მეფობით გათავდა დავითიანთა ხელმწიფობა იუდეიისა. სედეკია ოცდამეორე მეფე იყო დავითის სახლიდან.

ნაბუქოდონოსორმა კი აწ დაცემულ და დაპირქვავებულ იერუსალემში გაგზავნა მისებრ გულქვა სარდალი და ქონდაქართუხუცესი — ნ ა ბ უ ზ ა რ დ ა ნ ი.

და გადასწვა ნაბუზარდანმა ორივე სახლი — უფლისაც და მეფისაც, და მათ შემდგომ ყველა დიდი სახლი იერუსალემში, — გაძარცვა, გადაჯსწვა, საძირკვლამდე დააქცია. მისმა თანმხლებმა ჯარმა დაანგრია და მიწასთან გაასწორა იერუსალემის კედლები, ყოველი კოშკით, გოდოლით, ბჭით, კარიბჭით.

ყოველი ძვირფასეული ნივთი აიღეს, შეაქუჩეს, საზიდარებზე დაჰყარეს და ბაბილონის გზას გაუყენეს ბაბილონელებმა. უფლის სახლში ამართულნი და გამართულნი ხვეტნი, კვარცხლბეკნი, ემბაზნი, ყოველივე რვალ-სპილენძისანი, დალეწეს და დანალეწად დაგროვილნი გაუშვეს ბაბილონისკენ. არაფერი ადგილზე აღარ დატოვეს, ყველაფერი წაიღეს — ქვაბები, აქანდაზები, ფიალები, მაშები, კოვზები, საცეცხლურნი, სასაკმეველნი, სასხურებელნი — ყოველივე ოქროისა, ვერცხლისა, ან სპილენძ-რვალისა.

მაშინვე ნაბუზარდანმა შეიპყრო ქურუმმთავარი ს ე რ ა ი ა, მისი თანაშემწე ს ო ფ ო ნ ი ა, სამი მცველიც ტაძრის კარიბჭისანი, კიდევ ხუთი კაცი, „წინამდგომელი მეფისათა", მათთან — ერთი სასახლის ზედამხედველი საჭურისი, ერთი მთავარი მწერალ-აღმწერელი და, კიდევ, სამოცი კაცი, უცებისად მოხელეთებულნი, „ერისაგან ქუეყანისა", და ყველა ერთად მიჰგვარა ნაბუზარდანმა ნაბუქოდონოსორს რიბლაში.

და ყველანი იქვე ჩაახოცვინა ნაბუქოდონოსორმა.

ხოლო, მასვე ჟამს, „გვირგვინი უბედურებისა": ნაბუქოდონოსორის ბრძანებით, იერუსალემის და იუდეიის მოსახლეობა ნაბუზარდანმა დედაბუდიანად აჰყარა და ბაბილონიას გადაასახლა.

10. იერემიადა

მაშ, იდგა ქრისტესშობამდე წელი 586, წელიწადი დიდი „ბაბილონური ტყვეობისა“, რომელიც იუდეველებს თავს დატყდომოდათ ისრაელთა „ასურული ტყვეობის“ 136-ე წელს (722—586).

ათას წელიწადზე მეტი გასულიყო მას შემდეგ, რაც მოსეს მიერ ეგვიპტური ტყვეობიდან წამოყვანილი ებრაელი ხალხი იესო ნავინს ქანაან-პალესტინაში მოეყვანა და დაემკვიდრებინა. აქედან ხუთასი წელიწადი დავითისა და მისი ნაშიერი გვირგვინოსნების იერუსალემური ზეობისა მოითვლებოდა. და ეს ხანგრძლივი, მორჭმით აღზევებული და განმტკიცებული „ძსოფლიო სახელმწიფო“ ასე ერთბაშად დაეცა და დაქვესკნელდა.

მცირედნილა გადარჩენოდნენ მახვილს, შიმშილს, სნებას, ან წარტყვევნას.

ზოგი ეგვიპტეს გაქცეულიყო, ზოგი ყამონს, მოაბს, თუ ფინიკიას.

ტყვედ წაეყვანათ იერემიაც, — „მშობლიური“ ბორკილების ნაცვლად ახლა მისთვის ბაბილონური ხენდები დაედოთ. თუმცა გზაში, ნაბუზარდანის ბრძანებით, გაეთავისუფლებინათ და ისევ იერუსალემს მოებრუნებინათ.

და იწერებოდა ახლა „გოდებანი“ იერემიასი, დაქცეულ და იავარქმნილ მშობლიურ ქალაქსა ზედა:

„და დაჯდა იერემია მტირალი, და გოდებდა გოდებასა ამას იერუსალემსა ზედა: მარტოხელად, უპატრონოდ დარჩენილა ქალაქი, ერთ დროს ხალხმრავალი, ახლა ვითარცა ქვრივი, ღამით მტირალი, ყველასგან უნუგეშო და მიტოვებული, ყოველი მანამდელი მოყვარული და მეგობარი ახლა რომ მტრად გადაჰკიდებიან. იუდა გასახლებული და დევნილია, ვითარცა მონა. მოთქვამენ გზანი სიონისანი, რამეთუ აღარ დადიან მათზე მოზეიმენი; გაერანდა მისი კარიბჭენი; ოხრავენ მღვდელნი, მწუხარებენ მისი ქალწულნი, მწუხარებს თვითონაც. მისი მტრები გაბატონდნენ... მისი შვილები მტრებმა ტყვედ გაირეკეს. განივლტო სრულიად დიდება სიონის ასულისა. მისი მთავრები თხებს დაემსგავსნენ, საძოვრისთვის რომ ვერ მიუგნიათ, და დაოსებულთ მდევარნი ერეკებიან... მძიმედ ცოდვილ არს იერუსალემი; ამიტომაც შეიძულა იგი ყოველმა მისმა მანამდელმა მადიდებელმა... კალთა წაიბილწა და არ იფიქრა რა მოელოდა და კიდეც დაეცა სასწაულად... შეხედეთ ჩემს ტანჯვას... თუ ვისმეს რაიმე სტკენია, მსგავსად სატკივარისა ჩემისა, მე რომ მჭირს, უფალმა რომ მომივლინა, მაღლიდან ძვლებში ცეცხლი ჩამინთო, ფეხებში მახე დამიგო, ძირს დამცა სნებაშეყრილი. მისმა ხელმა შეკრა, შეკაზმა და ქედზე დამადგა ჩემი ცოდვების უღელი... უფალმა გადათქვრა ჩემს წიაღში ჩემი ვაჟკაცები, ურდო მომისია, რათა შეემუსრა ჩემი მოყმენი; უფალმა, ვითარცა საწნახელში, დაჭყლიტა ქალწულ-ასულნი იუდასი... ნაწლავები მეწვის, გული მკერდში გადატრიალდა... მახვილისაგან შვილმკვდარი გავხდი... როგორ დაიბნელა უფალმა ასული სიონისა რისხვითა თვისითა. ციდან მიწაზე ჩამოამხო

მშვენება ისრაელისა, ისე რომ იქ მყოფი თავისი კვარცხლბეკიც არ გახსენებია. დალეწა და არ დაინდო უფალმა სამკვიდრებელნი იაკობისა, შერისხა და დაამხო და მიწასთან გაასწორა ციხე-სიმაგრენი იუდას ასულისა, იავარჰყო მისი სამეფო, მისი მთავარნი, ვითარცა უწმინდურნი. დაამტვრია რქანი ისრაელს მძვინვარე რისხვით... ცეცხლად აწვიმა თავისი რისხვა კარავს სიონის ასულისას. გაუმტერდა უფალი, შემუსრა ისრაელი, შემუსრა მისი დარბაზები, დაუქცია ციხესიმაგრენი და თავს დაატეხა იუდას ასულს ოხვრა და გმინვა, დააქცია მისი ბაღი, მისი კარავი, მისი საზეიმო შესაკრებელნი... თავისი სამსხვერპლოც კი შერისხა უფალმა, შეაჩვენა თავისი სიწმინდენი, მისი პალატებიც მტერს დაანება... მტერს დააქცევინა ერთად ყოველი კედელ-ზღუდენი... მიწაზე ჰყრიან ენაჩავარდნილი, თავზე ნაცარდაყრილი და ჯვალოთი მოსილი უხუცესნი სიონის ასულისა. მიწაზე თავები უხლიათ იერუსალემის ქალწულებს. ცრემლებმა თვალისჩინი დამიშრიტეს, გულღვიძლი მეწვის, ნაღველი ჩემი მიწას დაექცა, რამეთუ დაიღუპა ასული ჩემი ერისა, ხოლო ყმაწვილნი და ძუძუთა ყრმანი ქალაქის ქუჩებში ჰყრიან. დედებს შებღავიან: სად არის პური, სად არის ღვინო? და დაჭრილებივით სხმარტალებენ ქალაქის ქუჩებში და სულს ღაფავენ დედათა კალთებში. რა გითხრა შენ და რას შეგადარო, ასულო იერუსალემისა? რას მიგამსგავსო და რით განუგეშო, ქალწულო სიონისა? აკი ზღვასავით დიდია შენი დაქცევა და ვინღა არის შენი განმკურნებელი? შენი წინასწარმეტყველნი გაცდუნებდნენ შენ ცრუ და ბრიყვული ხილვებით და არ გიმხელდნენ შენს შეცოდებებს, რათა გადაერჩინეთ ტყვეობისგან, და ცრუ წინასწარმეტყველებით გარგუნეს მათ ეს უბედურება. ახლა კი ყოველი ამვლელ-ჩამომვლელი ტაშს შემოჰკრავს, დაუსტვენს, თავს გადააქნევს იერუსალემის ასულის დანახვაზე, და იტყვის: „ნუთუ ესაა ის ქალაქი, რომელსაც ეძახდნენ სრულქმნილ მშვენიერებას და დედამიწის სიხარულს?“ ხახა დაუღიათ შენზე შენს მტრებს, სტვენენ, კბილებს აღრჭიალებენ და გაჰყვირიან: „აჰა, ჩავყლაპეთ ჩვენ იგი, ამ დღეს რომ ველოდით, რომ მოვესწარით და რომ ვიხილეთ!“ აღასრულა უფალმა, რაც განსაზღვრა, აღასრულა ძველთაგან ნათქვამი თავისი სიტყვა, დაგაქცია და არ შეგიბრალა; მტერი გაახარა ჩვენზე; რქა აღუმაღლა შენს მომტერეებს... კედელნო ასულისა სიონისაო, იდინეთ ცრემლი ნიაღვრად დღე და ღამე; არ დაისვენოთ, არ გაიშროთ თვალის გუგები... შეხედე, უფალო, ვინ ჩაგდე ასეთ დღეში, დედები რომ თავის ნაძუძურ შვილებსა სჭამენ, ხოლო უფლის საწმიდარში მღვდელი და წინასწარმეტყველი ჩახოცილან? ქუჩის მტვერში ჰყრიან ყმაწვილი და მოხუცი, ქალწულნი და მოყმენი, მახვილით ჩახოცილნი; შენი რისხვის დღეს რომ ყველა დაჰკალი და არავინ არ დაინდე, შენ მოიწვიე, ვითარცა დღესასწაულზე ყოველის მხრიდან შიშნი საჩემონი, და დღესა უფლის რისხვისა ვერვინ უშველა, ვერვინ გადარჩა; ყველანი, ჩემი გამოზრდილნი და ნაალერსევნი, მტერმა ჩემმა ამოწყვიტა. მე ვარ კაცი, ვინც განიცადა რისხვა მისი (უფლის) კვერთხისა. იგი წამიძღვა წყვდიადისკენ და არა ნათლისკენ... მან გამიცვითა

ხორცი და კანი, დამილეწა ძვალნი. შემომარტყა ტანჯვა, ვაება, წყვდიადში ჩამაგდო, სამუდამოდ, მკვდარივით... მაინც გაჩხრიკოთ ჩვენი გზანი და საქციელნი და ისევ უფალს დაუბრუნდეთ. აღვაპყროთ ხელნი და გულნი ჩვენნი უფლისადმი, ზეცად (და შევღაღადოთ): ჩვენ შევცოდეთ, როცა გიღალატეთ, შენ კი არ შეგვინდე; რისხვით შეიბურე, გვდევნი და გვჟლეტავ შეუბრალებლად; ღრუბლებში გაეხვიე, რომ ჩვენმა ვედრებამ შენამდე ვერ შეაღწიოს; ხალხთა შორის ნაგვად და სიბინძურედ გვაქციე... სამარადჟამოდ რაისთვის დაგვივიწყე, ასე ხანგრძლივად რად მიგვატოვე? ისევ შენკენ მიგვაქციე და მოვიქცევით, უფალო, კვლავ განაახლე, ძველებურად, დღენნი ჩვენნი. ნუთუ სამუდამოდ შეგვიძულე და ეგზომ უსაზღვროდ გარისხდი ჩვენზე?..“

ნაბუქოდონოსორს მაინც „უზრუნვია“, იუდეა რომ მხოლოდ უდაბნოდ არ ქცეულიყო და ნაბუზარდანს უბრძანა, მოსახლეობის აყრისა და ტყვედ წაყვანისას, ადგილზე დაეტოვებინა სოფლელნი მიწათმოქმედნი, მევენახენი და მებაღენი.

ასეთად დარჩენილი იუდეიის მმართველად ნაბუქოდონოსორმა დასვა მისი ერთგული, ადგილობრივი წარჩინებული იუდეველი, გ ე დ ა ლ ი ა ჰ უ, ძე ახიკამისა.

მმართველის ტახტი იუდეიის ახალმა მმართველმა, იერუსალემის ნაცვლად, დაიდგა მ ი ც ფ ა ს.

აქვე მოვიდა და მის კარზე დადგა მხცოვანი იერემია, თავის მოწაფე ბარუხთან ერთად.

ორ თვესაც არ გაევლო, რომ იქვე, მიცფაში, სანადიმო ტაბლაზე, გედალიაჰუ, მასთან მისი მხლებელი იუდეველებიც და ბაბილონელებიც — მოულოდნელად ამოწყვიტეს მათთანვე მონადიმე შეთქმულებმა.

შეთქმულთა მეთაური კი აღმოჩნდა ი ს მ ა ე ლ, ნეთანიას ძე, დავითის სამეფო სახლის ნათესავი.

სისხლის დაქცევა არც ამით გათავებულა. მეორე დღეს, მიცფაში, სხვა ებრაული ქალაქებიდან ოთხმოცი კაცი შემოვიდა, სალოცავად და საზორველად. და ისინიც ყველანი ამოაწყვეტინა და ჭაში ჩააყრევინა, — იმ ჭაში, რომელიც ერთხელ მეფე ასას ბრძანებით ამოეთხარათ. მაშინვე მიცფის მთელი მოსახლეობაც ტყვედ აიყვანა ისმაელმა, უმეტეს წილად ქალები და ბავშვები. ტყვეთა შორის აღმოჩნდნენ სვედავსებული მეფის, სედეკიას ასულნი და, კიდევ — წინასწარმეტყველნი იერემია და მისი მოწაფე ბარუხი.

ნაბუქოდონოსორის შიშით, მიცფაში დგომა ვეღარ გაბედა ისმაელმა. ამიტომ ტყვედაყვანილი მოსახლეობა იორდანესკენ გაირეკა, რათა მის გადაღმა ყამონელთა მეფის სამფლობელოებში ეპოვნა თავშესაფარი.

მაგრამ იუდეველი სარდალი, ი ო ხ ა ნ ა ნ, ძე კარიახისა, თავისი თანამებრძოლებით დაედევნა გაქცეულ მკვლელებს.

გაბაონს მიაღწიეს გაქცეულებმა და მდევრებიც წამოეწივნენ. ტყვედაყვანილმა მიცფელებმა მდევრები მხსნელებად იცნეს და მაშინვე იოხანანის

მხარეს მიიქცნენ. მცირე წინააღმდეგობის შემდგომ, ისმაელმა გაქცევა აძჯობინა და გაიქცა კიდეც, თავისი რვა თანამებრძოლით; იორდანეს გადაღმა გადაასწრო და ყამონს შეაფარა თავი.

იოხანანმა ტყვეებს ბორკილები ახსნა და თავისთან წაიყვანა. ისინი მიცფაში მაინც ალარ დაბრუნდნენ, რადგან ნაბუქოდონოსორის შურისძიებისა მაინც ეშინოდათ; ამიტომ სამხრეთით წავიდნენ, ბეთლემის ახლოს დადგნენ და საბოლოოდ ეგვიპტეში გასაქცევ სამზადისს შეუდგნენ. მაგრამ იქვე ეგვიპტეში წასვლის წინააღმდეგი და სამშობლოში დარჩენის მომხრეებიც აღმოჩნდნენ. ამათ, როგორც ჩანს, ბარუხი უდგათ სათავეში.

და, ატყდა დავა — „ეგვიპტურ“ და „ანტიეგვიპტურ“ აზრთა შეხლაშეძოხლა. ბოლს, ისევ იერემიას მიენდო ორივე მხარე, — ისევ შენ იწინასწარმეტყველე, უფალს შეჰვედრე და რასაც უფლის ნათქვამ-ნაბრძანებად გვაუწყებ, ჩვენც ისე მოვიქცევითო.

ათი დღე ილოცა უფლისა მიმართ იერემიამ, მხურვალე ლოცვებით, და მას უკან აუწყა ყველას, რაიც „ისმინა უფლისაგან“: არ წახვიდეთ ეგვიპტეში, აქ დარჩითო თქვენსავ ქვეყანაში; დარჩითო და კიდევაც აგაშენებთ და აგაყვავებთ, რაკიდა ძალიან ვწუხვარ, რაც დაგმართათო, ბრძანებს უფალი საბაოთ; ნურც ნაბუქოდონოსორისა გეშინიათო, დარჩით და წყალობას მოვაფენ თქვენზედო. ხოლო, თუ არ დაიშლით და მაინც ეგვიპტეს წახვალთ, მაშინ უეჭველი დაღუპვა გელით; მახვილი, რომლისაც აქ გეშინიათ, ეგვიპტეში მოგწვდებათ; შიმშილი, რომელსაც აქ უფრთხით, ეგვიპტეში არ მოგშორდებათ და იქვე ჩაიხოცებით. მახვილით, შიმშილით და შავი ჭირით დაღუპვა ელის ყველა თქვენთაგანს, ვინც აქ არ დარჩება და ეგვიპტეში წასვლას არ დაიშლისო, — დაასკვნა იერემიამ.

მაგრამ არ იწამეს იერემიას ნათქვამი ეგვიპტეში წასვლის მომხრეებმა, რომელთაც თვითონ იოხანან კარიახის ძე და, კიდევ, მისი თანასარდალი ა ზ ა რ ი ა ჰოშაიას ძე ედგნენ სათავეში.

— შენ ცრუობო, ასეთ რაიმეს უფალი არ იტყოდაო, შენ შენმა მოწაფემ ბარუხმა წაგაქეზა ასეთი სიცრუის სათქმელადო, — აიჩემეს სარდლებმა და თავისიც გაიტანეს: ხალხი აიყოლიეს და ეგვიპტისაკენ გაემართნენ.

მივიდნენ კიდეც ეგვიპტეს, ქალაქ თ ა ფ ნ ე ში (თახფანხეს), ნილოსის დელტის აღმოსავლეთ ნაკადზე. ფარაონი აპრისი სტუმართმოყვრულად შეხვდა ლტოლვილებს. ამათ მისვლამდეც მრავლად გაქცეულიყვნენ და დასახლებულიყვნენ ებრაელნი ეგვიპტის ქალაქებში — მემფისში, საისში, მიგდოლში.

მაშ, ათასი წლის წინათ რომ მოსემ ეგვიპტიდან ებრაელი ხალხი გაძოიყვანა, ახლა იმ ხალხის ნაშიერნი ისევ ეგვიპტეში აღმოჩენილან!

ნაბუქოდონოსორმა კი მიცფაში დატრიალებული ამბებისა და ებრაელთა ერთი ნაკადის ეგვიპტეში გაქცევისათვის ახალი სასტიკი ბრძანება გამოუგზავ-

ნა ნაბუზარდანს: ვინც კი იუდეაში საცხოვრისად კიდევ დარჩენილა, სუყველა დედაბუდიანად აჰყარე და ბაბილონში გადმოჰყარეო.

ბუნებრივია, ასედაც აღესრულა: დარჩენილი ებრაელებიც — სოფლის მეურნენი, მევენახენი, მებაღენი თუ მეჯოგენი — ცოლშვილიანად აჰყარეს, ბორკილები დაადეს და ბაბილონის გზას გაუყენეს.

ეს მოხდა 582 წელს.

მაშ, იუდეაც სულ გაუკაცრიელებულიყო. არამცთუ კაცთა, პირუტყვის ხმაც აღარსად ისმოდა. მხოლოდ ნადირი და ქვეწარმავალი დაუფლებოდა ქვეყანას.

მომტერე მეზობლებმაც შეაჩვიეს ხელი მკვიდრთაგან მიტოვებულ ქვეყანას, გამორჩეული სისასტიკით და თავგასულობით — იდუმეელნი.

იმჟამად, ცამეტი წლის ალყის შემდგომ, ნაბუქოდონოსორმა აიღო ტვიროსი და მისი მეფე, ითობალ II ტყვედ წაიყვანა ბაბილონს. თუმცა ქალაქი ტვიროსი ბაბილონელმა მბრძანებელმა მაინც დაინდო და იერუსალემის მსგავსად არც დაანგრია და არც თვითმმართველობა წაართვა.

მაგრამ ეგვიპტეში მყოფ ებრაელებს თითქოს იმედი მაშინ გამოუბრწყინდათ, როცა ფარაონმა აპრისმა ხმელთაშუა ზღვაზე წარმატებით ილაშქრა: კუნძული კვიპროსიც დაიპირა, სიდონიც მიაყოლა და ამით ფინიკიაშიც მტკიცედ ჩამოდგა ფეხი. მალე იუდეასაც დაიპერს ეგვიპტის ფარაონი, იქედან ბაბილონელებს განდევნის და ჩვენს ქვეყანას ჩვენვე დაგვიბრუნებსო, — იმედოვნებდნენ ებრაელები.

საკუთარი სჯულიც სავსებით უკუეგდოთ ეგვიპტეში გადახვეწილებს. იეჰოვას გადასდგომოდნენ, მათზე „გადამტერებულს", და მთლიანად ეგვიპტური ცის დედოფლის, ნეიტის კულტს შესდგომოდნენ.

ისევ იბრძოდა მხცოვანი იერემია: გონს მოეგეთ, უფალს ნუ აჯავრებთ, თორემ იგივე დაგვემართება აქ, ეგვიპტეში, რაიც სწორედ საკუთარი სჯულისაგან განდგომისთვის დაგვმართა საბაოთ უფალმა იქ, იერუსალემშიო. მაგრამ არავინ უჯერებდა, მოსმენითაც არავინ უსმენდა.

და აი, 571 წელს, ნაბუქოდონოსორი დიდძალი ჯარით დაიძრა ეგვიპტისაკენ სალაშქროდ. უკვე კიდევაც მიადგნენ ეგვიპტის საზღვრებს ბაბილონელები, რომ უეცრად ძლიერმა მიწისძვრამ შეაძრწუნა და უკუაქცია აფრიკას სისხლისსაქცევად მიმთხვეული აზიელები.

ფარაონ აპრისს და მის მოიმედე ებრაელებს შეეძლოთ ეზეიმნათ, მაგრამ მალე შიგნით, ეგვიპტეშივე დაატყდა თავს უბედურება ფარაონს. იმის გამო, რომ აპრისი ეგვიპტელებზე მეტად უცხოელ ბერძენ მოქირავნეებს ენდობოდა, მათ იახლოებდა და აწინაურებდა, ეგვიპტელმა დიდკაცობამ მის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო. აჯანყების ჩაქრობის მეთაურობა ფარაონმა მიანდო მდაბიოთა წრიდან დაწინაურებულ, მამაც და ჭკვიან ეგვიპტელს, რომელსაც სახელად ერქვა ა მ ა ს ი ს ი.

მაგრამ ამასისი თვითონ აჯანყებულებს მიემხრო, კიდევაც უწინამძღვრა. აპრისიც ტახტიდან ჩამოაგდო და ფარაონის ტახტიც თვითონვე დაიჭირა.

ეს მოხდა 570 წელს.

ახალი ფარაონი, ახალი სახელით — ი ა ქ მ ო ს ე II (570—525), ბევრს ზრუნავდა შინაური ეგვიპტელებისთვისაც და მის სამსახურში მყოფი უცხოელი ბერძნებისთვისაც.

მხოლოდ ებრაელებს ეკიდებოდა იგი უნდობლად და უგულისყუროდ.

იერემიაც უნდა მოსწრებოდა ამ ამბებს. ამავე ჟამს უნდა გარდაცვლილიყო, თავისიანთაგან ათვალწუნებული და მიტოვებული.

10. ქართული ინტერლოგოსი

ვინც „ბაბილონურ ტყვეობას" გაასწრო და გაექცა, იგი უდიდეს შ ი შ ს კი გაექცა.

მაგრამ, სადაც გაიქცა, ი ქ ა ც შ ი შ ი ელოდა გაქცეულ ებრაელს.

შიში იყო მისთვის ყოველი ახალი „თავშესაფარი": იდუმეა, მოაბი, სირია, ფინიკია, იონია, თუ ეგვიპტე.

მაშ, მხოლოდ შ ი შ ი დ ა ნ შ ი შ შ ი გარბოდა ებრაელი.

ყველგან შ ი შ ი დევნისა, დამცირებისა, ცემისა, სისხლის დაქცევისა, დარბევისა, დედაბუდიან ამოწყვეტისა.

ნუთუ ყველგან?!

ნუთუ მართლა არ მოიძებნება ადგილი დედამიწაზე — ამ სიკვდილისა და სირცხვილის სარეწაოზე — სადაც ებრაელს შეეძლება ცხოვრება შ ი შ ი ს გ ა რ ე შ ე?!

და, თურმე, ყოფილა ასეთი მიწა, სადაც უ ც ხ ო ე ლ ს უ შ ი შ რ ა დ შეუძლია ცხოვრება — სამარადჟამოდ უშიშრად, თუნდაც უკუნითი უკუნისამდე.

და ესეც სცოდნია „ყოვლის მცოდნე" ებრაელს, რომ არსებობს ასეთი „უცხო მიწა".

სახელი მისი — ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო!

უცნაური ხალხი ცხოვრობს იქ — ქ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა.

უცნაური იმით, რომ ყოფილან საოცრად უ ც ხ ო თ მ ო ყ ვ ა რ ე ნ ი.

უ ც ხ ო ს თ ვ ი ს რომ არაფერი დაეზოგებათ, საკუთარი სულიც კი.

ყოველი საუკეთესო და აღმატებული იქ მხოლოდ ს ა უ ც ხ ო ო ა.

თვითონ მიწაც — საქართველო — ს ა უ ც ხ ო ო ა.

მიწა — უფლისგან ანარჩევი.

და, ებრაელთა, ანუ „უფლის რჩეული ხალხის“ ერთი ნაწილი გარბის „უფლის რჩეულ საქართველოში“.

გულდაგულ გარბიან.

გულდაგულ იმიტომ, რომ ადრეც სცოდნიათ საქართველოსკენ მიმავალი გზა, უეჭველად ადრეც სტუმრობდნენ „უფლის რჩეული ხალხთაგანნი“ იმ „საუცხოო“, სწორედ „უფლისგან რჩეულ ქვეყანაში“, სადაც უცხო, ხიზანი და სტუმარი მუდამ „ღვთისაა“.

და გარბიან ახლა ებრაელები საქართველოში.

შეუჩერებლივ გაირეს პალესტინა, სირია, მესოპოტამია, სომხეთი და...

აჰა, ქართველთა ქვეყანა!

შ უ ბ ლ ი დ ე დ ა მ ი წ ი ს ა!

ა ქ ა რ ა რ ი ს შ ი შ ი, ან თუ არის, ეს შიში შ ი ნ ა უ რ ი ა და შენ არ გეხება, რამეთუ შენ ხარ უ ც ხ ო, თან ე ბ რ ა ე ლ ი, ანუ ჰ უ რ ი ა!

აჰა, მ ც ხ ე თ ა, ქართველთა სატახტო, ორი მდინარის წყალსაყრელში. ლამაზი ქუჩებით, მშვენივრად ნაგები, წითელი კრამიტით გადახურული სახლებით.

ა ქ ზის ქ ვ ე ყ ნ ს გამგებელი — მ ა ჰ ა ს ა ხ ლ ი ს ი.

მაშ, მობრძანდით, ჰურიანო!

რაო? თავშესაფარი? ბინაო? დასახლებაო?

— საუცხოოა, საუცხოო!..

— მობრძანდით...

— დაბრძანდით...

— დასახლდით...

— დამკვიდრდით...

— რამდენ ხანს გენებოთ...

— სამუდამოთ...

— უკუნითი უკუნისამდე...

და დასახლდნენ ებრაელნი — მცხეთას, კარსანს, ხერკს, ზანავს...

უკუნითი უკუნისამდე.

ა ქ შიში შ ე ნ თ ვ ი ს იქნება უცხო, რაკი ხარ უცხო, მით უფრო — ჰ უ რ ი ა!

(ა ქ შიში და შური მხოლოდ შინაურია — ენდოგენური — ამიტომ იგი შენ არ გეხება, უცხოელო!).

იყავი მშვიდად და უშიშრად, ებრაელო, ქართულ მიწაზე!

უფლისგან რჩეულო ხალხო — უფლისგან რჩეულ ქვეყანაში!

იგი არს საქართველო — შუბლი დედამიწისა!..

12. ბაბილონურ დროჟამსა შინა

ტყვეობა აუწერელი ტრაგედიაა, მაგრამ მაინც არა გენოციდი, არა სრული განადგურება. უფრო უცნაური კი ის იყო, რომ ნაბუქოდონოსორი უკვე მის სახელმწიფოში ტყვედ წაყვანილ და განთესილ-განსახლებულ ებრაელებს თურმე არც ისე სასტიკად ეპყრობოდა.

საქმე ისაა, რომ ნაბუქოდონოსორი, ომის დროს მძვინვარე და დაუნდობელი, საერთოდ უფრო აღმშენებელი ყოფილა. ვიდრე დამანგრეველი. გამორჩევით კი იგი ზრუნავდა სატახტო ქალაქის, ბაბილონის გრანდიოზული აღმშენებლობისა და აყვავებისთვის. ნაბუქოდონოსორის მტკიცე გადაწყვეტილებით და გააზრებით, ბაბილონის ბრწყინვალებას უნდა დაეჩაგრა ყველა მანამდელი ქალაქი მსოფლიოისა. ამიტომ მან ძველი ქალაქი კედლებში მოაქცია და მის აღმოსავლეთით შეუდგა ახალი, გრანდიოზული ქალაქის მშენებლობას. ამისათვის მას სჭირდებოდა ძლიერი მკლავით და გონებით შეჭურვილი, შრომისმოყვარე და საქმისთვის დაუზარელი ხალხი. ასეთ ხალხს საგანგებოდაც არჩევდა და ასახლებდა იგი ადგილობრივ, საკუთარ ქვეშევრდომებსაც და, განსაკუთრებით, დაპყრობილ ქვეყნებიდან ტყვედ მორეკილ ხალხსაც.

ამათ შორის იყვნენ ტყვედმოყვანილი ებრაელებიც, რომლებიც თავისი ნიჭით და შრომისმოყვარეობით, როგორც ეტყობა, ბაბილონის ხელმწიფისათვის განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენდნენ.

და ცხოვრობდნენ ებრაელები „ბაბილონის ტყვეობაში", ლამის „იდეალური ტყვეობით", თავთავის მიწის ნაკვეთებზე, ისეთივე სათემო და საგვარეულო დასახლებებით, როგორითაც სახლობდნენ თავის სამშობლო პალესტინაში. და ერქვა აქაც, ბაბილონიაში, ამ დასახლებებს — გაბაონი და ბეთლემი, ნეტოფა და ანათოთი, კირიათ-იარიმა და ბეერ-შება, ბეთელი და რაჰა, მიხმასი და იერიქონი.

იყვნენ, „ტყვეობდნენ" და ცხოვრობდნენ თავისი ტრადიციული საშეკრნეო ცხოვრებით, ტრადიციული სჯულით და ადათწესებით. ურთიერთ შორისაც, აქ უფრო მიჯრით, ურთიერთ მხარდაჭერით და სიყვარულით ცხოვრობდნენ ებრაელები, ვიდრე საკუთარ სამშობლოში. ჩვეულებრივი ამბავი იყო: საერთო უბედურება ერთმანეთთან აახლოებს და ამჟიდროებს ერთსისხლიანებს.

ტყვეობაში მყოფ ებრაელობაში ლეგენდაც შეითხზა, თუ როგორ მოათვინიერა უფალმა, საბაოთ-იეჰოვამ, მანამდე ისრაელიანებზე ისე შეშომწყრალი და გამძვინვარებული ნაბუქოდონოსორი. შვიდი წელი ჭკუაზე შეარყია, ჭკუადშეშლილი ველად გააგდო და გაანადირა, მძიმე, უხეში თმაწეერით ტვირთულს, საჭმელ-სასმელად ოდენ ბალახი და ცის ნასხურები მიუკერძა. ამის შემდეგ კი იკადრა და იწამა ნაბუქოდონოსორმა უზენაესი ძალმოსილება

ებრაელთა ღმერთისა. სამაგიეროდ ჭკუაც დაიბრუნა, ტახტ-გვირგვინიც და ებრაელთა მიმართ გულმოწყალებაც.

ნიკის დიდი პატივმცემელი იყო ნაბუქოდონოსორი და ებრაულ ნიკსაც რაღაც გამორჩეული ყურადღებით ეპყრობოდა იგი. განკარგულება გაეცა, აგანგებო მეთვალყურეობის ქვეშ. აეყვანათ და პირდაპირ სასახლეში, ტახტთან ახლოს გაეზარდათ მოზარდ ებრაელთაგან გამორჩეული ნიკის ყმაწვილები.

სწორედ ასეთი მზრუნველობის ქვეშ დაზრდილან შესანიშნავი მოაზროვნენი, პოეტები, მოძღვარნი, წინასწარმეტყველნი — ეზეკიელ, დანიელ, ანანია, მისაელ, ყაზარია და კიდევ სხვანი.

561 წელს მოკვდა ნაბუქოდონოსორი, „მთავარი გმირი" მაშინდელი მსოფლიოისა. ბაბილონის ტახტზე ავიდა მისი ძე, ა ბ ე ლ-მ ა რ დ უ კ ი (ევილ-მეროდაქ), სრულიად უმწეო და ღირსი მემკვიდრე თავისი დიდი მამამშობლისა. მას არც რაიმე დიდი თუ მცირე სამხედრო, ან დიპლომატიურ-პოლიტიკური წამოწყება უცდია, არც რაიმეს აშენება და ამაღლება. იჯდა თავის სასახლეში მშვიდად და უშფოთველად, ჰეტერებითა და საჭურისებით გარშემორტყმული.

მისი გაბეფება საბედნიერო აღმოჩნდა აგერ, ამდენხანს ტყვედ წაყვანილი იუდეიის მეფის, იექონიასთვის. სწორედ აბელ-მარდუკმა გაათავისუფლა იექონია მისი ტყვეობის ოცდაჩვიდმეტი წლის თავზე. გაათავისუფლა და დაიახლოვა, თავის გვერდით საგანგებოდ მაღალი ტახტი დაუდგა, ყოველდღიური ტრაპეზიც გაუყო, ყოველი სარჩო-საბადებელიც.

ალბათ, დანარჩენ ებრაელთა მიმართაც გარკვეული „სიმპათიები" და შეღავათებიც უნდა გაეღო, იქნებ ტყვეობიდან განტევებაზეც გასჩენოდა ფიქრი ამ „გულჩვილ ქალდეველს", მაგრამ მოულოდნელად, 559 წელს, აბელ-მარდუკი მოჰკლა მისმა სიძემ (დის ქმარმა), ნ ე რ ი გ ლ ი ს ა რ მ ა, და სამეფო გვირგვინიც ამან დაიდგა თავზე.

ნერიგლისარი უკვე მოხუცი იყო, თუმცა ნიკით და სამხედრო ღირსებებით, როგორც ეტყობა, არც ახალგაზრდობისას უნდა ყოფილიყო გამორჩეული. არა და, მის დროს წინა აზიის პოლიტიკურ ასპარეზზე დიდი ცვლილებები ხდებოდა. ამათგან მთავარი ის იყო, რომ ბაბილონიის აღმოსავლეთით, ირანში, მიდიელთა ბატონობა ემხობოდა და სპარსელთა ბატონობა შემოდიოდა.

სწორედ 558 წელს სპარსელმა კ ი რ ო ს მ ა, ა ქ ე მ ე ნ ი ს შთამომავალმა, ტახტიდან ჩამოაგდო მიდიის მეფე ა ს ტ ი ა გ ი, მის სატახტო ქალაქ ეკბატანასაც დაეუფლა და მთელს სახელმწიფო მემკვიდრეობასაც.

მაშ, მიდია მთავრდებოდა და სპარსეთი იწყებოდა: დიდი კიროსის მოთავეობით საფუძველი ეყრებოდა მალე მსოფლიოში სახელმოხვეჭილ ა ქ ე მ ე ნ ი ა ნ თ ა დინასტიის ბატონობას.

ნერიგლისარი კი თავისი გაბეფებიდან მესამე წელს (555) ისე ჩავიდა საფ-

ლავში, ამ ახალი ამბების სამომავლო მნიშვნელობისა არც რა გაუგია, არც რა უგრძნია.

ბაბილონის ტახტი დაიჭირა ნ ა ბ ო ნ ი დ ე მ (555—538), წარმომავლობით ქალაქ ხარანიდან.

ბაბილონის ტყვეობაში მყოფმა ებრაელებმა კი კიროს სპარსელის აღზევება ტყვეობიდან თავიანთი დახსნის მომასწავებლად მიიჩნიეს. იერემიას და ეზეკიელის პირით უფლის ნაბრძანები განთავისუფლება და საშობლოში დაბრუნება უკვე კარს მომდგარ ბედნიერებად იწამეს და კიდევაც ამოქმედდნენ.

ახალ მეფეს მიადგნენ და ტყვეობიდან გაშვება თხოვეს, იმედიც დიდი ჰქონდათ, რომ ნაბონიდე დააკმაყოფილებდა მათ თხოვნას, მით უფრო რომ მანამდე ბაბილონიის ახალმა მეფემ ტყვეობიდან ზედიზედ გაათავისუფლა ფინიკიელი მთავრები, ძმები.

მაგრამ ნაბონიდემ ებრაელების თხოვნას ცივი უარით უპასუხა.

უსაზღვრო წუხილმა და აღშფოთებამ მოიცვა ტყვე ებრაელნი. მაგრამ მაინც დიდი იყო რწმენა და იმედი ქალდეულ-ბაბილონური უღლის გარდუვალი დამხობისა და მშობლიურ პალესტინაში დაბრუნებისა.

ამ იმედის საფუძველი იყო შეუჩერებელი წინსვლა კიროს აქემენიანისა. სპარსეთის სახელმწიფოს დამაარსებელი ბაბილონელთა დამამხობელ უფლის მახვილად მიაჩნდათ ებრაელებს. მალე იგი თავის მესიად, ღვთით მირონცხებულ მხსნელადაც აღიარეს.

კიროსმა მიდიის დამორჩილების შემდეგ, მესოპოტამიას ჩრდილოეთიდან გადაუარა, და მიადგა მცირე აზიის ძლიერ სახელმწიფოს, ლ ი დ ი ა ს, სადაც მაშინ მეფობდა სიმდიდრით განთქმული ხელმწიფე — კ რ ე ზ ო ს ი.

ეგვიპტე და ბაბილონია შეეცადნენ აღეკვეთათ სპარსეთის წინსვლა და ამისთვის კიდეც შეუკავშირდნენ ლიდიას. მაგრამ კიროსმა მოწინააღმდეგეთა გაერთიანება არაფრად ჩააგდო და ლიდიასთან ომი დაიწყო. მოკავშირეები მართლაც ვერაფერს გახდნენ. 546 წელს სპარსელებმა ლიდიელები სასტიკად გაანდგურეს. აიღეს ლიდიის სატახტო ქალაქი ს ა რ დ ი და ტყვედ აიყვანეს თვით მეფე კრეზოსი.

ამრიგად, კიროსის ძალაუფლება უკვე ცენტრალური აზიიდან ეგეოსის ზღვამდე გადაიზიმა. ამის შემდეგ, ბუნებრივად, სპარსეთის მბრძანებელს მიზანში უნდა ამოეღო ბაბილონი. და კიდევაც დაიძრა იგი სამხრეთ მესოპოტამიისაკენ.

ნაბონიდეს ქალაქის დასაცავად ხელიც არ გაუნძრევია. იგი უფრო ქურუმი იყო, მღვდელი, ვიდრე მეფე, რამდენადაც ერთთავად სულ რელიგიური საქმეებით იყო გართული. ბოლოს ბაბილონიც მიატოვა მეფემ და ოაზისში გადასახლდა, რათა იქ, საღვთო საზრუნავს და საფიქრალს თავშეცემული ხელმწიფე „სხვა რაიმე" საქმით არავის შეეწუხებინა.

ასე, რომ ბაბილონი იმ ფაქტურით უნდა დახვედროდა მტერს, როგორადაც იგი ააშენა და დატოვა დიდმა ნაბუქოდონოსორმა.

ნაბუქოდონოსორს კი ბაბილონი სწორედ მიუვალ ციხესიმაგრედ ექცია. უფრო ზუსტად, ეს იყო ციხესიმაგრეთა განუკეთელ-განურღვეველი კომპლექსი, საფორტიფიკაციო ხელოვნების უნიკალური მაგალითი. თვითოხ ევფრატზე საგანგებოდ აგებული რაბების აშენებით, ერთბაშად იკერებოდა დიდი ტბა, რომლის შუაგულში ექცეოდა თვითონ ქალაქი ბაბილონი, როგორც ყოველის მხრიდან მიუვალი ციხე-კუნძული.

კიროსმა ბაბილონს ალყა შემოარტყა და ყოველის მხრიდან მისასვლელი და სასიცოცხლო გზები გადაუკეთა.

ქალაქის დაცვას ნაბონიდეს ძე, უფლისწული ბ ა ლ თ ა ს ა რ ი (ბელტეშაცარ, ბილსარ-უპურ) მეთაურობდა, ესეც ნიკით უმწეო და ქცევით უსაქციელო ხელისუფალი.

მტრის უკიდურესი მოძალების ჟამს, ბრძოლად გასელის სანაცვლოდ, ნადიმი გაემართა ბალთასარს, ათასი დედაკაცის, ცოლების და ხარკების თანხლებით. სანადიმო ჭურჭლეულად კი მაგიდაზე იერუსალემის ტაძრიდან წამოღებული საღვთო ჭურჭელი ჩამოერიგებინა ღვინით გალეშილ უფლისწულს.

უეცრად მთვრალ ბალთასარს მოეჩვენა, რომ კედელზე ხელის მტევანი გამოჩნდა და ზედმიყოლებით ცეცხლოვანი ასოებით რაღაც დაწერა.

სასწრაფოდ ქალდეველი მოგვები, მისნები და მკითხავები იხმო ბალთასარმა, მაგრამ ვერცერთმა ვერ შეძლო ასე უცნაურად მოელენილი სიტყვების ამოკითხვა.

მაშინ მოიხმეს სიბრძნით მთელს ბაბილონიაში სახელგანთქმული ებრაელი, დ ა ნ ი ე ლ წინასწარმეტყველი, რომელმაც წაიკითხა და ახსნა ეს სიტყვები კედლიდან:

„მ ე ნ ე, თ ე კ ე ლ, უ ფ ა რ ს ი ნ“.

მ ე ნ ე — დ ა თ ვ ლ ი ლ ი ა (უფალმა დათვალა და ბოლო მოუღო შენი სამეფოს დღეებს);

თ ე კ ე ლ — ა წ ო ნ ი ლ ი ა (უფალმა სასწორზე აგწონა და ძალიან მსუბუქი აღმოჩნდი);

უ ფ ა რ ს ი ნ — მ ი ე ც ე მ ა თ ს პ ა რ ს ე ლ ე ბ ს (შენი საუფლო სპარსთა კერძია), — დაასკვნა დანიელმა.

დაასკვნა, როგორც განკითხვის დღე ბაბილონისა.

ყოველივე ასედაც აღესრულა. იმ ღამით სპარსელებმა, კიროსის ერთგული თანამებრძოლის, გ ო ბ რ ი ო ს ი ს სარდლობით, მოახერხეს ქალაქში შეჭრა.

პირველი სწორედ ბალთასარი დაეცა მკვდარი, ხოლო მამაძისი, მეფე ნაბონიდე, თვითონ ჩაბარდა კიროსს.

იდგა 538 წელი და დაცემულიყო ბაბილონი, „მარადიული მსოფლიო ქალაქი“. იგი ახლა სპარსთა დიდი ხელმწიფის, კიროს აქემენიანის საკუთრებად ქცეულიყო.

13. სპარსულ დროშამსა შინა

და გამოსცა ახლადდაპყრობილ ბაბილონში კიროს სპარსელმა მანიფესტი ებრაელი ხალხის გათავისუფლებისა, სამშობლოში დაბრუნებისა, იერუსალემისა და მისი საუფლო ტაძრის აღდგენისა და აღორძინებისა.

ამასთან, კიროსი ებრაელებს უბრუნებდა ნაბუქოდონოსორისგან წართმეულ ქონებას, რაც კი ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე განძად შემორჩენოდა ბაბილონის განძთსაცავებს; უწინარესად დასახელებული იყო იერუსალემის ტაძრის ძვირფასი საუფლო-საწმიდარი ჭურჭლეულნი და საჭურჭლენი.

აქ იყო: „ოქროს ლანგარი ოცდაათი, ვერცხლის ლანგარი ათასი, დანა ოცდაცხრა, ოქროს ბარძიმი ოცდაათი, ვერცხლის ორმაგი ბარძიმი ოთხას ათი, სხვა ჭურჭელი ათასი. სულ ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი ხუთიათას ოთხასი ცალი".

ამას გარდა, კიროსი თავისი მანიფესტით უბრძანებდა და მოუწოდებდა ყველა თავის ქვეშევრდომს, ებრაელსაც და არაებრაელსაც, თავის შეძლებით შესაწირავი არ დაეშურა ახალი იერუსალემის ტაძრის ასაშენებლად.

ახალი ტაძრის მოცულობაც კი თვითონ მოეხაზა კიროს მეფეს — სიმაღლით სამოცი წყრთა და სიგანითაც სამოცი, თანაც — საძირკველთა ხარჯებს ჩემი სასახლე გაიღებსო, — ბრძანებდა მეფე.

ბაბილონის ნახევარსაუკუნოვანი ტყვეობიდან გამოსვლის და სამშობლოში დაბრუნების საორგანიზაციო საქმეს სათავეში უდგა იმქამად ებრაელობაში ფრიად სახელმოხვეჭილი ახალგაზრდა წარჩინებული იუდეველი, დავითის სახლის ნათესავი, სახელად — ზ ო რ ა ბ ა ბ ე ლ ი (ზერუბაბელ), სალაფიელის ძე, ბაბილონელები რომ ქალდეურად შ ე შ ბ ა ც ა რ ს ეძახდნენ.

და ჩააბარა მისი ნატყვევარი ხალხი ზორაბაბელ-შეშბაცარს კიროსმა, სოლომონის ტაძრიდან გამოტაცებული საუფლო-საწმიდარი ჭურჭლეულიც თავის მეჭურჭლეთუხუცესს, მ ი თ რ ი დ ა ტ ე ს მიათვლევინა და გამოუშვა პალესტინაში.

ყველაფერი ეს, ებრაელთა საკეთილდღეოდ თავის ნაბრძანები, კიროსმა საისტორიო სახსოვრად საგანგებო გრაგნილზე დააწერინა და თავისი სატახტოს, ეკბატანას განძთსაცავში შეანახვინა...

მოდიოდნენ ებრაელნი ნახევარსაუკუნოვანი ტყვეობიდან, მოდიოდნენ სამშობლოში, თამამად, იმედიანად, უშიშრად, რადგან მათი მფარველი იყო თვით „უფლისგან გამოგზავნილი" მბრძანებელი, რომლის საშფლობელონი ახლა გაცილებით უფრო ვრცელი იყო, ვიდრე ღვთისრისხვა ნაბუქოდონოსორისა (კიროსს დაეპყრო სრულიად წინა აზია — ირანით ვიდრე ხმელთაშუა ზღვამდე).

მოდიოდნენ ღვთით აღვსილნი, საკუთარ მშობლიურ უფალთან სამუდამოდ მობრუნებულნი, რამეთუ არ დაივიწყა მათმა უფალმა მისი რჩეული

ხალხი, ბოლოს მაინც გული მოიბრუნა, შეუნდო და ხელახალი აღორძინებისა და აღზევების გზას შეუყენა.

ებრაელთა მნიშვნელოვან წილს სამშობლოში დაბრუნება არ მოსურვებია და იქვე დარჩა, ახლა სპარსულ სახელმწიფოში. დანარჩენები კი მოდიოდნენ, უმეტეს წილ იუდას და ბენიამინის ტომისანი, სულ დაახლოებით 50 000-მდე სული. მოდიოდნენ 420 აქლემით, 736 ცხენით, 245 ჯორით, 6720 ვირით.

მოუძღოდა ზორბაბელი, კვლავ დავითის სისხლისაგანი. მოუძღოდა და თანაშეწევებად მოსდევდნენ: იეშუა, ნეემია, სერაია, რეხელაი, მორდეხაი, ბილშანი, მისფარი, ბიგვაი, რეხუმი და ბაყანა.

თვითონ ზორაბაბელი ახალი იუდეიის მმართველად დაენიშნა კიროსს.

აი, მოვიდნენ სამშობლოში. მოვიდნენ და მოსვლით გაიხარეს. მაგრამ საწყენიც დახვდათ არანაკლები: მათ მშობლიურ მიწაზე უკვე უცხოთესლისანი მკვიდრობდნენ. პალესტინის ჩრდილოეთ ნაწილში სამარიელნი დაესახლებინათ ჯერ ასურელ, მერე ბაბილონელ მეფეებს, სამხრეთით კი, იუდეის მიწები მუდამ ებრაელთა მომტერე იდუმეელს დაეპირათ.

მაგრამ კიროსის ბრძანება საკმარისი უნდა ყოფილიყო, ყველა ჩამოსახლებულს მიწა დაეცალა ტყეებიდან დაბრუნებული ებრაელისთვის. ასეეაც მოხდა. ებრაელნი კვლავ აღდგნენ თავის მიწაზე და კვლავ აღადგინეს: იერიქონი, ბეთელი, აია, მიხმასი, გივა, რამა, გაბაონი, კირიათ-იარიმა, კეფირა, ბეეროთ, ანათოთ, ნოეი, ბეთლემი, ნეტოფა, ხებრონი.

უმძიმეს შრომას ითხოვდა თვითონ იერუსალემის აღდგენა. ჯერ იგი უნდა გაწმენდილიყო ნანგრევთა და ნამუსრევთაგან. ამიტომ ახლადმობრუნებული იერუსალემელნი დრომდე კარვებად უნდა დასახლებულიყვნენ. კარვებში დაბინავდნენ თვით მთავარი ზორაბაბელი და მღვდელმთავარი იეშუა.

ბაბილონიდან დაბრუნებულთათვის დიდად სასიხარულო და გაძაძხნეველი უნდა ყოფილიყო ისიც, რომ იუდეაში ერთბაშად დაბრუნება დაიწყო იმ ებრაელობამაც, რომელიც იერუსალემის ტრაგედიის ქამს გაქცეულ-გაფანტული იყო სხვადასხვა ქვეყნებში — ფინიკიურ და ბერძნულ ქალაქებში, ეგვიპტეში თუ მოაბში.

არა მარტო სისხლით ებრაელობა, არამედ ებრაელთა სჯულზე მოქცეული უცხოელი პროზელიტებიც მრავლად გამოეშურა ახალ იერუსალემში დასასახლებლად.

იერუსალემი ახალ სიცოცხლეს იწყებდა. ზორბაბელისა და იეშუას წინამძღოლობით, მორიაზე, იქ სადაც იდგა სოლომონის ტაძარი, აღმართეს ახალი ქვის საკურთხეველი. მალე საშენი მასალაც შემოიყარეს, ტაძრის საძირკველიც გასკვნეს და აშენებასაც შეუდგნენ დიდის ენთუზიაზმით.

მაგრამ ერთმა მოულოდნელმა ამბავმა მაინც გააუგემურა თაფლობის თვე აღმშენებლობითი აღტკინებისა.

529 წელს, სკვითურ ტომებთან, მასაგეტებთან ბრძოლაში დაიღუპა კიროსი, ებრაელთა გამათავისუფლებელი. სპარსეთის ტახტზე ავიდა მისი უფ-

როსი ძე, კ ა მ ბ ი ზ ი, თვითონაც მამამისივით ფართო განზრახვათა და განსრულებათა პოლიტიკოსი, ოღონდ სასტიკი და ხშირად წონასწორობადაღვეული მანიაკი.

და სპარსეთის ახალმა მეფემ გააუქმა ყველა შეღავათი და შესაწევარი, რაიც ახალი იუდეის სახელმწიფოსთვის ისე ფართო მოცულობით გაევრცელებინა მამამისს.

ახალი ხელმწიფის ახალ პოლიტიკას, რასაკვირველია, თავისი მიზეზებიც გააჩნდა. კამბიზი დიდი ომებისა და დაპყრობებისთვის ემზადებოდა დასავლეთის, აფრიკის მიმართულებით. აქ მას უნდა დაეპყრო ეგვიპტე, ეთიოპია, ხუბია, კართაგენი. აფრიკისაკენ მიმავალ გზაზე მას ხომ მრავალი, ზედმეტნაკლებად დიდ თუ მცირე ხალხის ქვეყნებზე უნდა გაევლო, ხოლო ამ ხალხების დიდი უმრავლესობა მტრულად შეხვედროდა იუდეის ხელახალ აღორძინებას. ამიტომ კამბიზს არ სურდა ერთი იუდეისათვის დანარჩენი ხალხების გადამტერება, თანაც ეგზომ დიდ საომარ კამპანიათა პროცესებში.

უკვე კიდევაც „აემართათ რქები" მეზობელ წვრილწვრილ ხალხებს იუდეველების აღორძინების აღსაკვეთად, მათებრ მაინც „დასაწვრილებლად". გამორჩევით, ისევ იდუმეელნი უდგებოდნენ კრიჭაში და ავიწროებდნენ იუდეას. დანარჩენმა „წვრილებმაც" — სამარიელებმა, ფინიკიელებმა, ყამონელებმა და მოაბელებმა — ერთობილი წერილი მისწერეს კამბიზს: ნუ ინებებ, დიდო ხელმწიფეე, იუდეველთა ხელახალ აღორძინებას, რადგან ხომ მრავალჯერ დადასტურდა, რომ ებრაელები, როგორც კი აღსდგებიან და ძალას მოიცემენ, აღარავის აღარ ემორჩილებიან და თავსაც აღარავის უყადრებენ. და ასევე ახლაც, თუ ისინი იერუსალემისა და მისი ტაძრის აღორძინებას მიაღწევენ, აღარც თქვენს მბრძანებლობას ჩააგდებენ რაიმედ, არც მორჩილებაში დაგრჩებიან, ხარკსაც კი აღარ გადაგიხდიან.

და ბრძანა კამბიზმა შეეწყვიტათ იერუსალემის ყოველი აღდგენითი საშუშაონი.

გავიდა ცხრა წელიწადი და იერუსალემში ქვა ქვაზე აღარ დადებულა. ამ ცხრა წელიწადში ეგოიზმმაც იმძლავრა ებრაელთა შორის. განსაკუთრებით, ერის მესვეურთაგან ბევრი მხოლოდ საკუთარი პიროვნულისთვის ზრუნავდა და ერის სატკივრისთვის თავს აღარ იტკივებდა. ამათ ტაძრისთვის დაგროვილი ძვირფასი საამშენებლო მასალის მიტაცებაც კი გააჩაღეს საკუთარი სახლების ასაგებად. ამას გვალვიანი და მოუსავლიანი წლებიც დაერთო. ებრაელი სთესავდა და ვეღარ იმკიდა. ისევ გაუტყდა გული მორწმუნეს საკუთარ ღმერთზე. ისევ აღმოცენდნენ უცხო კერპები ისრაელიანთა მიწაზე. ისევ გაძლავრდა უზნეობა, ქურდობა, ავაზაკობა, მიზანთროპია, დაუნდობლობა.

ამ ცხრა წლიდან ექვსი წელიწადი (529—523) კამბიზის მეფობისა იყო. 525 წელს მან ილაშქრა ეგვიპტეში და, რაფიუმთან დიდი ბრძოლის მოგების შემდეგ, კიდევაც დაიპყრო ეს ქვეყანა. აქედან, ის იყო, ეთიოპიაში გალაშქრებასაც აპირებდა, რომ მოულოდნელად ეკბატანადან ამბავი-ელდა მოუვიდა:

შენი სამეფო ტახტი მოგვებმა დაიპყრეს და შენს ნაცვლად გაამეფეს ახალგაზრდა კაცი, რომელიც აცხადებს თითქოს იგი იყოს შენი უმცროსი ძმა, ს მ ე რ დ ი ს ი (ბარდია). არადა, სმერდისი ხომ უკვე მკვდარი იყო! (წინა წელს მოაკვლევინა იდუმალ, ძმა, თვითონ კამბიზმა). მაშ, სპარსეთის ტახტზე ვიღაც თვითმარქვია, ცრუ-სმერდისი იჯდა. მაშინ, კამბიზმა ეთიოპიას თავი მიანება და სპარსეთისკენ შემობრუნდა გაცოფებული. მაგრამ გზაზე, დამასკოს ახლოს, ცხენიდან გადმოვარდა, უნებურ, დაცემისას, ფერდით მახვილს წამოეგო და ასე ავბედითად თვითგანგმირულმა სულიც განუტევა.

თვითმარქვიამ კი სპარსეთის ტახტზე სამი წელიწადი იმეფა. მაგრამ მესამე წელს სპარსელმა დიდებულებმა, დ ა რ ი ო ს ჰისტასპის ძის მეთაურობით, შეთქმულება მოაწყვეს და მოგვების მეფე დაამხეს. იგი დარიოსმა მოჰკლა თავისი ხელით და სპარსეთის მეფედაც თვითონ გამოცხადდა იმავე დღეს.

მაშ, სპარსეთის ტახტზე იჯდა კიდევ ერთი დიდი ხელმწიფე, დ ა რ ი ო ს I (521—485), დიდი სახელმწიფოებრივი რეფორმატორი და ორგანიზატორი.

დარიოსმა თავისი უზარმაზარი სახელმწიფოს უკეთ სამართავად და საბატონოდ, გაატარა დიდი ადმინისტრაციული რეფორმა, — ქვეყანა დაჰყო ს ა ტ რ ა პ ი ე ბ ა დ, რომელთაც სათავეში ადგილობრივ მმართველებად დაუდგინა ს ა ტ რ ა პ ნ ი („ხშატრაპავან"). სატრაპიათა მოცულობა ზედმეტნაკლებად შეესაბამებოდა თავისუფლებადაკარგულ ისტორიულ ქვეყანათა ძველ საზღვრებს. სატრაპები თავიანთ სატრაპიებში ფაქტიურად იყვნენ მეფის ნაცვალნი, რომელნიც სწორედ მეფის სახელით წყვეტდნენ ყოველ დიდ საკითხს ადგილზე — კრებდნენ ხარკს, გამოჰყავდათ ადგილობრივი საომარი ძალები, აწარმოებდნენ უმაღლეს სამოსამართლო საქმეებს, სამეურნეო ცხოვრებას. სულ სპარსეთის მონარქია დარიოსს დაეყო 20 სატრაპიად.

დარიოსმა გაატარა სამხედრო რეფორმაც. ქვეყანა დაჰყო ხუთ სამხედრო ოლქად. თითოეულ ოლქზე მიწერილ იქნა ოთხი სატრაპია, მათი საომარი ძალებით. ხუთი სამხედრო ოლქი და ხუთი მთავარსარდალი — ყველა ერთად თავს იყრიდა უმაღლესი მთავარსარდლის, თვითონ მეფის ხელქვეით. არმიის მთავარ ბირთვს შეადგენდნენ თვითონ სპარსელები, მერე მათ დანაყოფებს უერთდებოდნენ სხვა დაპყრობილი ქვეყნისანი, სატრაპიების მიხედვით, ყველა მეომარი თავისი ნაციონალური ჩაცმულობით და საომარი აღკაზმულობით.

საერთო არმიის სამხედრო-საჯარისო სახეობათაგან ძირითადი ძალა იყო, როგორც ყოველთვის, ქვეითი ჯარი, სადაც ჯარისკაცები აღჭურვილნი არიან ფარ-შუბით, მახვილით, მშვილდ-ისრით, მუზარადით, ბექთარით, სამკლაურებით და საბარკულებით, აქვე — მეომარნი ულარიბესი ფენებიდან, მსუბუქად შეიარაღებულნი, ანუ ქვით მოშურდულენი. არმიის არისტოკრატული ნაწილი ქმნის ყველაზე მობილურ ძალას — ეტლოსანთა და ცხენოსანთა კორპუსებს.

დარიოსმა ცალკე ჩამოაყალიბა „გვარდია", 10 000 რჩეული მეომრისგან, — „უკვდავნი" — ასე უწოდა მათ ხელმწიფემ. და ამ „უკვდავთა გვარდიის" დანიშნულება იყო მეფის ღვთაებრივი პიროვნების, მისი სასახლის და

სახლობის, ყოველი სამეფო საკუთრების დაცვა, ომში განუყრელად მეფის თანხლება და ქვეყნის შიგნით რაიმე არეულობის „ჩაწყნარება“.

დარიოსმა აწარმოვა მსოფლიო საგზაო მშენებლობანი. მისგან გაყვანილ ახალ სავაჭრო-საქარავნო და სამხედრო-საომარ გზებზე, ყოველ 25 კილომეტრზე, აგებული იყო სადგურები და სასტუმროები, აქვე საფოსტო პუნქტები. აქ იდგნენ სამარქაფო ცხენები, სამარქაფო მალემსრბოლნი, და გახუწყვეტლივ დღე-ღამეთა მანძილზე, „დარიოსის გზებზე“, სადგურიდან სადგურს, მიმოქროდნენ ცხენოსანი მალემსრბოლნი, ამანთრბენით („ესტაფეტა“) წესით, და „მიაფრენ-მოაფრენდნენ“ ქვეყნიდან ქვეყანაში ახალ ამბებს, ფოსტა-ამანათს... და ამბობდნენ მაშინ: სპარსეთის მეფე სუზაში, სპარსეთის სატახტოში, სადილად იმ დილით ეგეოსის ზღვაში დაჭერილ თევზს მიირთმევსო...

სწორედ ებრაელთა იღბლად კი გამეფებულიყო დარიოსი, — ისე, ვითარცა ადრე კიროსი.

მისი გამეფებისთანავე ზორაბაბელი გაეშურა სუზას, ეახლა ახალ მეფეს, მოხიბლა თავისი ჭკვიანი სიტყვით და, როგორც ეტყობა, ამ ლეგენდით შემოსილი ამბის მიხედვით — ზორაბაბელმა მეფის საჩუქრები და პირადი კეთილგანწყობილება იკმარა და, იერუსალემში დაბრუნებისთანავე, ქვეყანა ფეხზე დააყენა ქალაქისა და პირველ რიგში ტაძრის მშენებლობის გასაგრძელებლად.

მშენებლობა კიდევაც დიდს აღმავლობით მიდიოდა, როცა ერთ დღეს იერუსალემში გამოჩნდა პალესტინის სპარსელი სატრაპი, სახელად თ ა თ ნ ა ი და ზორაბაბელს მოსთხოვა პასუხი იმისა, თუ რაის უფლებით, ან ვისი ნებით განუახლებია მას ესოდენ დიდი მასშტაბის აღმშენებლობანი?

საამისოდ არსებობს კიროსის საგანგებო წერილობითი ნებართვა და ბრძანება, რომელიც ინახება თვითონ ეკბატანაში, წიგნთსაცავშიო, — უპასუხია ზორაბაბელს.

ეს პასუხი თათნაიმ აცნობა თავის მეფეს. დარიოსმაც მაშინვე ბრძანა მოეძებნათ ეკბატანაში, ძველ სატახტოში (თვითონ დარიოსს სამეფო ტახტი სუზაში დაედგა) კიროსის წერილობითი ბრძანება, კიდევაც მოართვეს, წაიკითხა და მაშინვე თვითონაც გასცა ბრძანება, განეგრძოთ იერუსალემის აღდგენითი სამუშაონი, განეგრძოთ უფრო სწრაფად, სრულქმნილად, მთელის დატვირთვით, თუნდაც პირველ რიგში თვითონ სპარსეთის ფინანსიური ხარჯებით. ამასთან, მეფემ ბრძანა ებრაელთათვის საკვებად ეგზავნათ გარკვეული რაოდენობით სარჩოსაბადებელი — ხორბალი, ღვინო, ზეთი, მარილი და სახორცე ხვასტაგი, რათა ეკვებათ, ეარსებათ და თავის სალოცავებშიც ელოცათ დარიოსისა და მისი შთამომავლობის საჯანმრთელოდ და სადიდებლად. ვინც კი ამას ხელს შეუშლისო, — განაგრძობდა დარიოსი — სახლი დაუნგრიონ და იმ ნანგრევთაგან ძელზე მიალურსმონო. ღმერთმა დაამხოს ყველა, ვინც ღვთის სახლს ხელს შეუშლისო იერუსალემში. „მე, დარიოსი, ვბრძანებ: დაუყოვნებლივ აღესრულოს!“

დარიოსის ასეთი ბრძანების გაცემისთვის ხელი არ შეუშლია იმას, რომ თვითონ მეფე, ვითარცა ჭეშმარიტი სპარსელი, იყო განუხრელი მიმდევარი სპარსთა უმაღლესი ღვთაების, აჰურამაზდასი (ორმუზდ) და მოძღვართმოძღვარი ზარათუშტრასი (ზორაასტრ).

516 წელს, ოთხი წლის ინტენსიური მშენებლობის შედეგად, იერუსალემის ახალი ტაძარი უკვე დასრულებული იყო.

ეს იყო „მეორე ტაძარი", სოლომონის, ანუ „პირველი ტაძრის" მემკვიდრე.

ამ ახალი, ანუ „მეორე ტაძრის" კურთხევა მოხდა მშენებლობის დასრულებისთანავე, ადარის (მარტის) მესამე დღეს.

ეს იყო უდიდესი დღესასწაული ებრაელი ხალხისა.

სწორედ სამოცდაათი წელიწადი შესრულებულიყო იმ უსაშინელესი დღიდან, იერუსალემის „პირველი ტაძარი" რომ დაანგრიეს ქალდეველებმა. ახლა კი ისევ იდგა ფეხზე ტაძარი იგი, მკვდრეთით აღმდგარი, ბრწყინვალე და ნათელმფინარი.

მორიას მთა, სრულიად იერუსალემი ხალხს ვეღარ იტევდა. იდგა გალობა ლევიანთაგან ფსალმუნებისა. მსხვერპლად დაიკლა ასი ხარი, ორასი ვერძი, ოთხასი ბატკანი და თორმეტი თხა, ებრაელთა თორმეტი შტოის სანიშნოდ, „სრულიად ისრაელის ცოდვათა გამოსასყიდად".

ტაძრის აღმოსავლეთ კარიბჭეზე, დარიოსის სამადლობლად, ძისი ახალი სატახტოს, სუზას ხასახლის კარი გამოესახა ოსტატის ხელს.

ტაძართან ერთად შენდებოდა და მას შემდგომაც გრძელდებოდა აღმშენებლობა თვითონ იერუსალემისა. ახალი ქალაქი უწინარესად ლაგდებოდა ისევ ძველ უმთავრეს სამ უბანზე — სიონი (ზედა ქალაქი), მილო (ქვედა ქალაქი) და მორია (მთა ტაძრისა).

აღდგენილიყო იუდეა, ვითარცა მოხარკე და ქვეშევრდომი ქვეყანა აქემენური სპარსეთისა.

პალესტინა სპარსეთის იმ 20 სატრაპიიდან ცალკე ერთსაც არ შეადგენდა. იგი მესამედი ნაწილი იყო იმ ცალკე სატრაპიისა, რომელსაც მასთან ერთად შეადგენდნენ ფინიკია და კვიპროსი. ამ სამეულის მფლობელ სატრაპს ემორჩილებოდა სამივე ქვეყნის, ანუ „საგადასახადო ოლქის" მმართველნი. პალესტინიდან კი ასეთი „მმართველი" უნდა ყოფილიყო უკვე ცნობილი ზორაბაბელიც, რომელსაც ევალებოდა თავის სამმართველო ქვეყანაში ეკრიბა ხარკი და ჩაებარებინა სატრაპისთვის.

ასე, იუდეას ევალებოდა ყოველწლიურად სპარსეთის სახელმწიფო ხაზინისათვის გადაეხადა 20 ტალანტი (40 000 მან) და ამას გარდა გაეღო ხარჯები ადგილზე მდგარი სპარსული ჯარის და თვითონ სატრაპის შესანახავად.

დარიოს პირველის სახელმწიფო ინდოეთიდან ლიბიის უდაბნომდე იყო გადაჭიმული. 512 წელს მან ჯარები ბალკანეთზე გადასხა და, ისტროსის (დუნაი) გადაღლით, შავი ზღვის ჩრდილოეთით მცხოვრებ სკვითებს შეება.

აზიელთა ეს პირველი ევროპული ლაშქრობა მარცხით დამთავრდა. V საუკუნის დამდეგს, სკვითურ ლაშქრობაში გაწბილებულმა დარიოსმა ახლა საბერძნეთის დაპყრობა გადაწყვიტა და მის დროს კიდევაც დაიწყო დიდი „ბერძენ-სპარსელთა ომიანობა“, იმჟამინდელი „მსოფლიო ომი“, რომელიც მთელი ნახევარი საუკუნე (500—449) გაგრძელდა და ამ ომის დამწყები მის დამთავრებას, ბუნებრივია, ვერც მოესწრებოდა. მისი პირველი ორი ლაშქრობა საბერძნეთს ორივე კრახით დამთავრდა და ბერძენთა ჯავრი სამარეშიც ჩაჰყვა დარიოს პირველს. იგი გარდაიცვალა 485 წელს და სპარსეთის ხელმწიფე შეიქნა მისი ძე, ქ ს ე რ ქ ს ე.

ქსერქსეს დამოკიდებულებაც ებრაელებისადმი იყო ფრიად დამთმობი და ლოიალური. ეს განსაკუთრებით შეეხებოდა იმ ებრაელობას, რომელიც ბაბილონის ტყვეობის შემდეგ თავისივე ნებით ბაბილონშივე ჩარჩა და პალესტინაში დაბრუნება ალარ ისურვა. თანაც, ამ დარჩენილთა სასახელოდ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არასოდეს მათ იუდეა-იერუსალემთან კავშირი და ურთიერთობა არ გაუწყვეტიათ. ბაბილონურ-იუდეური თემი შეიქნა ეკონომიურად და სულიერად მძლავრი სამყარო, განუხრელი საერთო ებრაული ნაციონალიზმით და სარწმუნოებით. აქაური ოჯახებიდან შვილები ალსაზრდელად იგზავნებოდნენ იერუსალემში, იქ სწავლობდნენ, იქ ისვენებდნენ და იმუხტებოდნენ მშობლიური გარემოსა და ისტორიის სულისკვეთებით. ყოველ საუფლო დღესასწაულზე, ყოველ სალხინო თუ საჭირო დღეებშიც ბაბილონელი ებრაელები თავის სამშობლოს უდგნენ მხარში — თუ ფულით, თუ პურით, თუ სულით. ასევე იუდეიიდან საქმიანი თუ სამოყვრო-სანათესაო მისწრაფებებით ბაბილონს, მესოპოტამიას წასულ ებრაელებს დიდი, წრფელი და ჭეშმარიტად ძმური მასპინძლობით ეგებებოდნენ იქ ჩარჩენილი თვისტომნი.

(ვინ იცის, იქნებ ამ „ისრაელიან-ბაბილონიან სიყვარულს“ საფუძველი და გამართლება იმითაც მოეძებნებოდა, რომ ოდესღაც, ამ „ურიათა“ წინარსამშობლო მაინც და მაინც მესოპოტამიის ური იყო?!).

მას შემდეგ, რაც სპარსეთის მეფეებმა თავისი მსოფლიო მონარქიის ტახტი და სხვა სამეფო ინსიგნიები ბაბილონიდან სუზაში გადაიტანეს, ბაბილონის ებრაელთაგან ბევრი სუზაში გადასახლდა. თავისთავად იგულისხმება, რომ აქაური ებრაელობაც ისევე აგრძელებდა სამშობლოსთან ცხოველ კონტაქტებს.

ქსერქსეს სიკვდილის (464 ქრ. წ.) შემდეგ სუზაში ტახტზე დაჯდა მისი ძე ა რ ტ ა ქ ს ე რ ქ ს ე (ებრ. ახაშვეროშ), რომელმაც სამივე წინარე მეფეს გადააჭარბა ებრაელთადმი პატივისცემითა და გულისხმიერებით: იგი არჩევდა სილამაზით და ნიჭიერებით შესამჩნევ მოზარდებს, ზრუნავდა მათ აღზრდაზე და დაზრდილებს აწინაურებდა თავის სამსახურში.

ასე აღზრდილთა შორის სილამაზითა და სიბრძნით სახელი გაეთქვა ნ ე ე მ ი ა საქალიას ძეს, რომელსაც მეფე არტაქსერქსე ისე ენდობოდა, რომ ღვინის მწდედ დაუნიშნავს თავის მუდმივ ტრაპეზზე. ასევე დიდის გულისხმი-

ერებით ეპყრობოდა ნეემიას მეფის უპირველესი მეუღლე, დედოფალი დ ა-
მ ა ს პ ი ა.

და ასე, ნეემია და მისი მსგავსი ფავორიტები, თითქმის ყოველთვის გაუწ-
ბილებლად ახერხებდნენ ყოვლისშემძლე უცხო გვირგვინოსანთა უტყუარი
შემწეობის მოპოვებას შეპირვებულ იუდეველ თანამოძმეთა სასარგებლოდ
და საკეთილდღეოდ.

ასეთი ებრაელნი მაგალითი იყვნენ ეროვნული თავისთავადობის დაცვისა
და გადარჩენისა, მრავალი უცხო ხალხის გარემოცვაში. მათი თაოსნობით
უცხოობაში მყოფი ებრაელები განუხრელად იცავდნენ მოსეს კანონმდებლო-
ბას, ყოველ საუფლო და სამოქალაქო დადგინებას, რიტუალს, ყოველ დღე-
სასწაულს, მსხვერპლწირვას, ჰამა-სმის განწესებას, შაბათის უქმობას თუ
ყრმის წინდაცვეთას შობითგან მერვესა დღესა. უცხო ტომებში აღრევა-ასი-
მილაციის შიშით და რიდით, ებრაელები მტკიცედ იცავდნენ მხოლოდ ენდო-
გენურ, თვით ებრაელობის შიგნით ქორწინებას და მთავარიც სწორედ ეს იყო
ნაციონალური სიწმინდისა და სიმტკიცის გადარჩენისა.

უცხოობაში ყოფნა აფხიზლებდა ებრაელის ნაციონალურ სულისკვეთე-
ბას და მასში ეროვნული ზნეობისა და კანონმდებლობის სულს გაცილებით
უფრო განამტკიცებდა კიდეც, ვიდრე თვითონ იუდეაში მცხოვრებ იუდეველ-
ში. ამიტომ თორა, მოსეს კანონი, გაცილებით მტკიცედ და განუხრელად მოქ-
მედებდა უცხოობაში მცხოვრებელ ებრაელობაში, ვიდრე თვითონ იუდეა-
იერუსალემში. მაგალითად, შაბათის უქმეს გაცილებით უკლებლად უქმობდნენ
ბაბილონსა და სუზაში, ვიდრე თვითონ იუდეაში.

ბევრი მოძღვარი გამოჩნდა მოსეს კანონმდებლობის, თორის ხელახალი
ქადაგებისა და ცხოვრებაში უმწიკვლოდ განხორციელებისა, მაგრამ ამ მხრივ
მაინც განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ე ზ რ ა, ძე სერაიასი. იგი შეიქნა
მართლაც ხალხის ჭეშმარიტი მოძღვარი და აღმზრდელი, რომელიც არაჩვე-
ულებრივი სიადვილით და სინათლით ასწავლიდა და ათვისებდა მსმენელთ
მოსეს წმიდა სწავლებას. ამიტომ უცხოობაში ეზრა შეიქნა ებრაელთა სათა-
ყვანო კერპი მოსეს კანონმდებლობის სიწმინდისა და სიმტკიცისა.

ამის შემდგომ კი ეზრამ გადაწყვიტა ასეთივე მოღვაწეობა გაეჩაღებინა
თვითონ იუდეაში, სადაც ტრადიციული სჯული და კანონი ხშირად ირღვეოდა,
ან სულაც უპატიურობას, ან დავიწყებასაც ეძლეოდა. ამიტომ შემოიყარა
მან თანამოაზრენი, სულ 1600 კაცი, და გაემზადა მათთან ერთად იერუსალემ-
ში გასამგზავრებლად. სწრაფად შეგროვდა სამგზავრო ხარჯებიც. ვისაც შეეძ-
ლო, ებრაელთაგან არავინ დაიშურა შესაწირავი. არამცთუ ებრაელნი, თვით
მეფე არტაქსერქსემ და მისმა სპარსელმა კარისკაცებმა და დიდებულებმა
დიდძალი საბოძვარით დატვირთეს იერუსალემის გზაზე შემდგარი ეზრა და
მისი თანამოდასენი. ამასთან, მეფემ ისინი აღჭურვა წერილობითი ბრძანებე-
ბით ყველა ადგილობრივი მმართველისადმი, არამცთუ არ დაებრკოლებიათ,
არამედ ყოველმხრივი დახმარება გაეწიათ იერუსალემს შიმავალთათვის ძათ

სამმართველო გზებზე გავლის ჟამს. ის კი არა, საგანგებო მცველი რაზმების ხლებაც დაუპირა არტაქსერქსემ ეზრას და მის გუნდს, მაგრამ თვითონ არ ინება მოძღვარმა, — თვითონ უფალი იქნება ჩვენი მცველი და მფარველიო.

ამასობაში ეზრას თანამგზავრთა რიცხვი კიდევ გაიზარდა და უკვე რაძდენიმე ათასი კაცი მიეშურებოდა იერუსალემისკენ.

მგზავრობა გაგრძელდა ხუთ თვეს. იერუსალემი განცვიფრებითა და ინტერესით შეხვდა შორეული უცხოობიდან მოვლენილ თვისტომთ. ეზრას სახელი მანამდეც სმენოდათ აქაურებს და შეხვდნენ კიდევაც შესაფერისი პატივით და მოწიწებით.

ყოველივე ტაძრის საჩუქრად და შესაწირავად წამოღებული ძვირფასეულობანი ტაძარსვე მიუთვალა და მიუწონა ეზრამ.

მერე მიუსხდნენ და მიუთხრეს ეზრას, როგორ იქცეოდნენ ისრაელის ერისანი, მათი მღვდელნი და მოძღვარნი, როგორ ჩვეულად უქცევიათ ქორწინება და აღრევა ყველა სხვა ხალხთან. შეძრწუნდა ეზრა, ამის გამგონემ ტანსაცმელი შემოიხია და თმა-წვერი დაიგლიჯა. არ ჭამა, არ სვა, მერე მძიმე ნამარხულევი, ტაძრად შევიდა, უფლის წინაშე მუხლებზე დაეცა და იღაღადა: უფალო ჩემო, თვალი ველარ გამისწორებია შენთვის ჩვენი უზნეობისა და დანაშაულისთვისო; რა უბედურებაც ამ უზნეობისა და ცოდვებისთვის ღმერთმა თავს დაგვატეხა, ჭკუა იმანაც ვერ გვასწავლაო. ნუთუ ასე უნდა გაგრძელდეს აღრევა, რათა ჩვენი ნატამალიც აღარ უნდა დარჩეს? დღეს დღეობით შენის წყალობით, უფალო ისრაელისა, გადარჩენილი ვართ ნატამალი. ახლა კი ჩვენის ცოდვებით დატვირთულნი შენს წინაშე ვდგავართ და ველით განაჩენს.

„უცხოელი ებრაელი“ მოძღვარის ასეთმა, წუხილით სავსე ღაღადისმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ადგილობრივ მლოცველთა საკრებულოზე. ყველა აქვითინდა და აბღავლდა, დიდი და პატარა, კაცი თუ ქალი. გამოვარდა ერთი ვინმე — შ ე ხ ა ნ ი ა იეხიელის ძე, და უთხრა ეზრას: ჩვენ ყველა ცოდვილი და დამნაშვე ვართ, უცხო ქალები რომ დავისვით ცოლებად; ახლა ისღა დაგვრჩენია, უფალს აღვუთქვათ, რომ გაეუშვებთ ჩვენ უცხოელ ცოლებს და მათგან შეძენილ შვილებსაც განვუტევებთ ჩვენი ოჯახებიდან და თემიდან. და იტვირთე შენ ეს საქმე, — ეუბნებოდა ეზრას შეხანია — გაგვიძეხი და მოგყვებითო.

მაშინვე ეზრამ დააფიცა ყველა, „მთელი ისრაელი“, დაუყოვნებლივ გაჰყროდნენ უცხო ცოლებს. ყველამ დაიფიცა, ვინც კი იქ მოხვედრილიყო ამ, მანამდე გაუგონარი ამბის მონაწილედ. პირველ რიგში კი, მრევლის სამაგალითოდ, ფიცი დასდეს მაღალმა მღვდლებმა, არონიანებმა და ლევიანებმა.

თორა, მოსეს კანონმდებლობა ასეთ სიმკაცრეს არ მოითხოვდა, მაგრამ ეზრას მიაჩნდა, რომ ეს მსხვერპლი საჭირო და გარდუვალი იყო ებრაული ნაციონალური მოდგმის გადასარჩენად და დასაცავად.

ეს, რაც იმ დღეს ადგილზე მოხდა, ტაძარში, მორიას მთაზე. მაგრამ

უფრო ძნელი უნდა ყოფილიყო ამ უჩვეულო ფიცისა და მოწოდების განხორციელება მთელს იუდეაში. ამიტომ, ისევ ეზრას ნებით, სასწრაფოდ ყველგან დაგზავნეს მაცნენი და გამოაცხადეს მთელის სიმკაცრით სამ დღეში ყველამ თავი მოიყაროს იერუსალემში, ხოლო ვინც გაურჩდება და არ გამოცხადდება, მას ჩამოერთმევა მთელი მისი ქონება და ავლადიდება!

დათქმულ დღეს მართლაც მოგროვდა ხალხი. წვიმდა და „ცახცახებდა ხალხი წვიმისა და ამ ამბის გამო“.

და გამოუცხადა ეზრამ „მოცახცახე“ ხალხს: დიდი დანაშაული გაქვთ ჩადენილი, ცოლებად უცხოელი ქალები შეგირთავთ და ამით ისრაელის ცოდეები გიმრავლებიათ. ამიტომ, ვისაც უცხოელი ქალი ცოლად გყავთ, ახლავე აქვე უფალს უნდა შეჰფიცოთ, რომ გაეყრებით და განუტევებთო.

ხალხმაც დაიფიცა. ფიცის საქმედ ქცევაც შეუდგნენ. ბევრი ოჯახი დაინგრა და დაიშალა. ბევრი ცრემლი და ბოლმა დაიღვარა. მაგრამ სხვა გზა არ იყო; ამ მცირე ხალხს თავი უნდა დაეხსნა ამდენ უცხო ხალხებში ალრევა-ასიმილაციისა და გაქრობისაგან.

ამ უცნაურმა და გაუგონარმა აქტმა და ფაქტმა კიდევ უარესად გადაამტერა ებრაელობას ისედაც მომტერე მეზობლები, რომელთაგან ბევრი ებრაელებთან არა მარტო მოყვრობით და ნათესავობით იყო დაკავშირებული, არამედ უკვე სჯულითა და სარწმუნოებითაც. სამაგალითოდ ორი დიდმნიშვნელოვანი პიროვნების დასახელებაც კმარა — სამარიელი სანბალატ და ყამონელი ტობია. ორივე, მოყვრობითაც და სჯულითაც, ებრაელთა თანაზიარნი იყვნენ, მაგრამ უკვე ორივეს ეკრძალებოდა იერუსალემში ფეხის შედგმაც კი. და, ესენიც ამოქმედდნენ; ჯერ მშვიდობიანი გზით სცადეს გუშინდელ „მოყვარეთა გონს მოყვანა“, ხოლო როცა ეს გზა ამაო გამოდგა, მერე როგორც ჩვეულებრივ ხდება, ესენიც მტრობისა და შურისგების გზაზე გადავიდნენ.

მტრისთვის სამტრო ნიადაგი მტრისვე ბანაკში მოიძებნება. ებრაელთა შორისაც მრავლად იყვნენ ისეთნი, რომლებიც სრული უკმაყოფილებით, ალშფოთებით და წინააღმდეგობით შეხვედრიან ეზრას ამ სასტიკ, „უგულო პოლიტიკას“. ბევრმა, ოჯახი რომ არ დაენგრია, საყვარელ ცოლსა და შვილებს არ გაჰყროდა, სულაც იუდეა მიატოვა და ოჯახიანად იმ სამოყვრო ხალხში, ცოლოურობას გადასახლდა.

სწორედ ასეთ შინა-უკმაყოფილო და „ოჯახით აჯანყებულთა“ ძალას ეყრდნობოდნენ გარედან მტრად გადაკიდებული ძალები და, ბოლოს, საქმე ომამდე და სისხლის დაქცევამდეც კი მივიდა.

იერუსალემის კედლის დაქცევა მელასაც შეუძლიაო, უთქვამს ტობია ყამონელს, ხოლო სანბალატ სამარიელმა სიტყვას საქმეც მოაყოლა, სამარიელთა ჯარით მოულოდნელად იერუსალემის კედელს მიაწვა, კიდევაც გაანგრია, კარიბჭეც დაწვა და დალეწა და ქალაქშიც შეიჭრა, თუმცა ტაძრისთვის ხელი არ უხლია, თვითონ სამარიელთა უმრავლესობა თვითონ იეჰოვას სამრევლოს

შეადგენდა. ამ აქციით სანბალატს უნდოდა გაეტეხა ეზრასა და მისი თანამებრძოლების წინააღმდეგობა, ისევ აღედგინა შერეული ქორწინების უფლებრიობა და უცხო პროზელიტებიც მიეღოთ იეჰოვას საერთო სამწყსოში.

მაგრამ სანბალატ სამარიელი ვერაფერს გახდა. იერუსალემის კედელიც დანგრეული დარჩა, ამის გამო კი ბევრმა იერუსალემელმა კედელმორღვეული ქალაქი მიატოვა და ახალი, უფრო საიმედო თავშესაფრის საძიებლად გადაიხვეწა.

მაგრამ იერუსალემს პატრიოტები მაინც არ ელეოდა. შეიყარნენ ვინმე ხანანიას მეთაურობით, ითათბირეს და გადაწყვიტეს წასულიყვნენ სუზაში, სპარსეთის სატახტოში, და ისევ იქაურ თვისტომთა შორის ეძებნათ სახსარი იერუსალემის კიდევ ერთი აღდგენისა და გადარჩენისა. იქ ეგულებოდათ ნეემია საქალიას ძე, მეფე არტაქსერქსეს პირადი ღვინისმწდე. ის გვიშველისო უეჭველად, და წავიდნენ კიდეც მასთან, სუზაში. მივიდნენ, შეხვდნენ და უამბეს, რაც გადახდომოდა იერუსალემს.

შეარყია ნეემია ამ საშინელმა ამბავმა. მერე, წუხილი რომ დაიცხრო, გადაწყვიტა თვითონ წასულიყო იერუსალემს და თვითონვე ჩასდგომოდა სათავეში მისი აღდგენის საქმეს. ამასთან, მარტო კედლის აშენება კი არა, საერთოდ იუდეველთა სულიერი რესტავრაციის, ეროვნული სჯულისა და კანონიერების განმტკიცებისთვისაც გადაეწყვიტა ნეემიას იერუსალემში გამგზავრება.

მაგრამ გამგზავრებასაც დიდი სიძნელეები ახლდა, უპირველესად ნებართვა და შემწეობა თვითონ ხელმწიფისა. ოთხი თვე იფიქრა და იტანჯა ნეემია, როგორ გაემეღავნებინა თავისი განაზრახი მეფისთვის, ისე რომ მოსალოდნელი უარით არ გაწბილებულიყო. ბოლოს, თვითონ მეფემ შეამჩნია, როგორ გამოცვლილიყო მისი ღვინისმწდე რაღაც დიდი საფიქრალით და სადარდებელით და მაშინვე გამოჰკითხა მიზეზი იმ შინაგანი ჭმუნვისა და ურვისა.

იდროვა ნეემიამ და პირდაპირ მოახსენა: როგორ არ ვიყო მწუხარე, როცა ქალაქი, სადაც ჩემ მამაპაპათა საფლავებია, დანგრეულა და მისი კარიბჭეებიც ცეცხლით დამწვარიაო.

რას ითხოვო, — პირდაპირვე ჰკითხა მეფემ და ებრაელმაც ამ ნანატრ კითხვაზე უთხრა თავისი გულისნადები: იუდეაში გამიშვი, რათა მე თვითონ გავუძღვე კედელთა და კარიბჭეთა აღდგენის საქმესო.

თან საშუამდგომლო წერილებიც სთხოვა ხელმწიფეს, იუდეიის მეზობელ გამგებლებთან, რათა მათ საჭირო საამშენებლო მასალები გაეღოთ იერუსალემისთვის.

არტაქსერქსემ, იქვე დედოფლის დასტურით, ყოველივე შეუსრულა ნეემიას. წერილებიც გაუმზადა, მცველი რაზმებიც აახლა, თან ესეც დაუბარა — საქმეს რომ მორჩები, მაშინვე ჩემთან დაბრუნდიო, და გაუშვა ასე „მობრუნების პირობით“.

სანბალატ სამარიელი და ტობია ყამონელი ძალიან შეაშფოთა მეფის ეგზომ ახლობელი იუდეველის ჩამოსვლამ იუდეაში.

თვითონ იუდეველები კი დიდის იმედებით შეეგებნენ უზომოდ აღზევებულ და გამდიდრებულ თვისტომს. სამი დღე ნეემიას არ გაუმხელია რისთვისაც იყო ჩამოსული. ერთ ღამეს მან მარტოდმარტომ, სხვათაგან იდუმალ, თავისი თვალით მოიხილა ქალაქის დარღვეული კედლები და დალეწილი კარიბჭეები. მეორე დღეს კი შეკყარა იერუსალემის მესვეური თავკაცები და გამოაცხადა: ხომ ჰხედავთ, რა დღეშია იერუსალემი; დანგრეული და გადაბუგული; ჩვენც ავდგეთ, ავაშენოთ და ვიხსნათ თავი სირცხვილისაგან; ვიცოდეთ, რომ ამ დიდ საქმეში ჩვენთან არს ღმერთი და ჩვენთან არს მეფე!

ღმერთის ძალმოსილებაზე მტკიცება აღარ დასჭირდებოდა ნეემიას, ხოლო რაც შეეხებოდა მეფეს, ესეც აუწყა მისმა წარმოგზავნილმა, რომ მეფე არტაქსერქსე არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც არაფერს იშურებდა იერუსალემის აღდგენისათვის.

აქვე პირველად გამოაცხადა ნეემიამ, რომ იგი არტაქსერქსე მეფეს იუდეიის გამგებლადაც გამოეგზავნა.

დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ებრაელი თავკაცები სუზიდან მოვლენილი თვისტომის დანიშვნასაც და მის მოწოდებასაც.

მაშინვე საქმესაც შეუდგნენ, დიდის ენთუზიაზმით და ძალისხმევით.

ეს მერამდენედ შენდებოდა მერამდენედ დანგრეული იერუსალემი!

ეს მერამდენედ უშლიდნენ ხელს გარედან მომტერენი მის მშენებლობას. ამჯერად ისევ სანბალატ სამარიელი და ტობია ყამონელი ცდილობდნენ ხელის შეშლას. მაგ ქალაქს იმიტომ ამაგრებთ, ახლა სპარსეთის მეფეს გინდათ უღალატოთ და იმას ებრძოლოთო, — ასეთი პროვოკაციაც გაავრცელეს სპარსთა საყურადღებოდ. მაგრამ ყური არავინ უგდო, მით უფრო, რომ იერუსალემის აღდგენა-განმტკიცებას სათავეში თვითონ სპარსეთის მეფის უახლოესი წარმომადგენელი ედგა სათავეში.

საამშენებლო უბნებად დაეყოთ იერუსალემი და დაერიგებინათ ცალკეულ ქალაქებზე და თვითონ იერუსალემის უბნებზე, ან ცალკეულ ძლიერ ოჯახებზე. ამნაირად, სადაეთო-სატახტოს აღმშენებლობაში მაშინ მონაწილეობდნენ ქალაქები — იერიქონი, თეკოა, გიბყონი და მიცფა.

კვლავ არ იშლიდნენ მშენებლობის ჭაშლისათვის ბრძოლას სანბალატ სამარიელი და ტობია ყამონელი. „რას სჩადიან ეს უბედური იუდეველები? ვინ მისცათ ამის უფლება? ვითომ მართლა შეასრულებენ და აკურთხებენ? ნუთუ მართლა ოდესმე დასრულებენ? ნუთუ შეიძლება ქვები გაცოცხლდნენ და ნაცეცხლარი ფერფლიდან რაიმე აღსდგეს?“ — და საჯაროდ დასცინოდა იერუსალემის აღმშენებლებს სანბალატ სამარიელი.

— მელა გაარღვევს იერუსალემის კედლებსო, — თავისას იძახდა ტობია ყამონელიც.

მარტო ამ პროვოკაციული და ცინიკური ძახილით არ დაკმაყოფილებულან. სამარიელ და ყამონიელ ბელადებს არაბები და ფილისტიმელებიც აუყო-

ლიებიათ და უმალვე იარაღის ძალითაც უცდიათ იერუსალემის აღდგენის ჩაშლა.

თავის დროზე იგერშა ნეემიამ მტრის განზრახვა, სასწრაფოდ ხალხი შემოიყარა, საგვარეულოებად დაალაგა, შეაიარაღა და ქალაქში შემოსასვლელი გზები შეკრა.

და ვიდოდა ასე საქმიანობა იუდეველთა, „განთიადიდან ვარსკვლავების გამოჩენამდე", „ცალი ხელით აშენებდნენ, ცალითაც იარაღი ეჭირათ"; „ტანსაცმელსაც ვერ იხდიდნენ, წყალზეც კი იარაღასხმულნი მიდიოდნენ".

თვითონ ერთის წუთითაც კი არ ტოვებდა კედლებს ნეემია. იგი ყველგან იყო, სადაც კი ვისმე რაიმე მისჭირდებოდა. დადიოდა მესაყვირის თანხლებით და საყვირით აცნობებდა ყველას, რა დროს სად იმყოფებოდა, საჭიროებისას სად მიეკითხათ და მოენახათ.

სანბალიტმა იარაღით გამოსვლა ვეღარ გაბედა და ისევ ინტრიგას და პროვოკაციას მიმართა. ნეემია აპირებს თავი მეფედ გამოაცხადოს და სპარსეთის მეფეს გადაუდგესო.

ციხის შიგნიდან გატეხვაც სცადა სანბალიტმა, იერუსალემელთა შორის გამცემლებიც იშოვნა ფულზე, ცრუ წინასწარმეტყველებიც, — ერთი კაცი, სახელად შ ე მ ა ი ა და ერთიც ქალი, სახელად ნ ო ა დ ი ა.

ხალხის აყოლიებაც მოახერხეს ნეემიას მტრებმა. ჩვენ პური არ გვაქვს, ვშიმშილობთ, შვილები კი მშენებლობაზე არიან დაჭერილი, გვახრჩობს ვახში და ვალები, ჩვენი ყანებიც და ვენახებიც ვალებში მიაქვთ, ვალებში მონებად გვყიდიან, — ისმოდა ხალხში.

ეს რომ ისმინა, სასწრაფოდ დიდებულთა და თავკაცთა საკრებულო შეჰყარა ნეემიამ, შეჰყარა და შეუტია: რას სჩადიხართ, თქვენს მოძმეებს ვალში და ვახში როგორ ჰყიდით; ჩვენ წარმართთაგან ჩვენი იუდეველი მოძმენი გამოგვისყიდია, თქვენ კი საკუთარ ძმებს ჰყიდით; აღარც ღვთის შიში გვაქვს, აღარც მტრის წინაშე თავის შერცხვენა გვაწუხებს! გონს მოეგეთ და დღესვე მიუტევეთ ვალი მოძმე მევალეებს; დღესვე დაუბრუნეთ მათ ყანები, ვენახები, ზეთისხილის ბაღები, ღვინო, ზეთი, ყველაფერი, რაც კი მათგან აგიღიათ ვალში და სარგებელში.

და აღუთქვეს შეკრებილებმა ნეემიას, შევასრულებთო ყოველივეს, ვალებზეც ხელს ავიღებთო, ვალებში წაღებულსაც წინანდელ პატრონს დაუბრუნებთო, მონადაც თანამოძმეს აღარ გაყიდითო.

მღვდელს დაუძახა და ფიცის ქვეშ ათქმევინა ნეემიამ ყოველივე იმ საკრებულოს. თან, თვითონვე, უბე გამოიბერტყა და დასძინა: ასე ღმერთმა გამობერტყოს თავისი სახლიდან და მამულიდან ყველა ის კაცი, რომელიც აქ ნათქვამ სიტყვას არ შეასრულებს! და ყველას ისევ ფიცის ქვეშ გააძეორებინა თავისი ნათქვამი.

ესეც შესრულდა. ხალხი გამხნევდა. ნეემია სახალხო გმირი შეიქნა.

იერუსალემის აღმშენებლობაც (ეს მერამდენედ!) დასრულდა.

ციხისთავად ხანანია დაინიშნა, „კაცი მართალი და სხვებზე მეტად ღვთის მოშიში“.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქალაქს არც მეციხოვნე ყოფნიდა, არც სასულიერო მოწესე, არც სამოქალაქო მობელე.

მთავარი ის იყო, რომ ხალხისგან თითქმის დაცარიელებულიყო ერთ დროს ხალხმრავლობით გამთქმული იერუსალეში. აკი სანბალატის შემოსევის შედეგად მრავალი მოქალაქე გადაიხვეწა ქალაქიდან.

და გადაწყვიტა ნეემიამ კვლავ დაესახლებინა იერუსალემი და მისი ტაძარიც უზრუნველეყო მომსახურე სამღვდელოებით. მან მოაძებნინა ყველა შემორჩენილი ნუსხა იერუსალემის მოსახლეობისა, უფრო იმ ებრაელთა, რომლებიც ბაბილონის ტყვეობის შემდგომ მობრუნდნენ იუდეაში.

და მოუწოდა მათ, იერუსალემიდან გაქცეულებსაც და იუდეიის სხვა ნებისმიერ თანამემამულეებს, მოსულიყვნენ და დასახლებულიყვნენ დავითის წმიდა ქალაქში.

და დაიძრა ხალხი იერუსალემს დასასახლებლად. მოვიდნენ ყველა ძველი მოქალაქენი. მოვიდნენ ახალმოქალაქენიც. უმეტეს წილ, ყველანი იუდას და ბენიამინის ტომისანი, თუმცა ზოგიერთნი ეფრემის და მანასეს გვარტომობითაც.

იგულისხმებოდა მკაცრი შემოწმება იმისა, რომ იერუსალემში დასახლებულიყვნენ წმინდა ებრაული მოდგმისანი და არავინ შერეული შეუღლებით ნაშობნი.

მაშ, გაივსო ხალხით იერუსალემი. ხალხს კი ხალხობისთვის სჭირდება სული, ზნეობა, სარწმუნოება, კანონი. მაშ, საჭირო იყო ისევ მოსეს სჯული, „რომელიც უფალმა მისცა ისრაელს“.

და, ისევ ნეემიას დადგენილებით, იკრიბებოდა ხალხი „მოედანზე, წყლების კარიბჭის წინ რომ არის“ და აქ, მაღალ კვარცხლბეკზე დგებოდა ეზრა, თორის, მოსეს სჯულიერებისა და კანონიერების უბრძენესი კომენტატორი. უკითხავდა, უხსნიდა და შეაგონებდა ხალხს ჭეშმარიტი ადამიანური ცხოვრების საეალდებულო და საუფლებო სამყაროს, ყოველივე საღვთოს და საკაცობოს, საზნეოს და საკანონოს.

უსმენდა ხალხი განმანათლებელს, გამტკნარებით, ხან აღტაცებით, ხან შიშით, ხან ტირილით...

ნეემიამ საგანგებო საზეიმო კურთხევის დღეც დანიშნა ახლადდამთავრებული კედლებისა და კარიბჭეებისა. შეჰყარა ყველა ლევიტ-მგალობელი იერუსალემისაც და იუდეიის სხვა ქალაქებისაც. ხალხი ორ ნაწილად დაიყო, კედლის ორივე მხარეს დაეწყო და მიცემულ ნიშანზე ტაძრისკენ წარემართნენ. წინ მგალობლები მიუძღოდნენ გალობით, არფებისა და ლიტავრების ცემით. ერთ პროცესიას ეზრა მიუძღოდა, მეორეს ნეემია. ამათ არონიდები მისდევდნენ, ბუკების ცემით. მერე მოდიოდნენ წარჩინებულნი, დიდებულნი, მამასახლისნი, ხალხი, კაცი და ქალი, ყრმა და მოხუცი.

ტაძართან ორივე ნაწილი შეიყარა და აქვე გაიმართა კურთხევა ახალი იერუსალემისა.

კვლავ აუარებელი იყო მსურველი იერუსალემში დასახლებისა. ქალაქი უკვე ვეღარ დაიტევდა ამდენ ხალხს.

მაშინ ეს დაადგინეს: წილი ეყარათ და ათიდან ერთს, ვისაც ხვდებოდა, დასახლებდნენ იერუსალემში, ხოლო დანარჩენ ცხრას — სხვა ქალაქებში.

იღვწოდა ნეემია. იუდეა მცირე ოლქებად დაჰყო, ადვილად და ხერხიანად სამართავად. ისევ მკაცრობდა სჯულისა და კანონის დაცვისათვის. ისევ ებრძოდა, ეზრასთან ერთად, შერეულ ქორწინებას.

ერთ დღეს ეხილა ნეემიას, როგორ მოდიოდა სამი ებრაელი ოჯახებით, სამივეს უცხოელი ცოლი მოჰყვებოდა: ერთს — ფინიკიელი, მეორეს — ყამონელი, მესამეს — მოაბელი. სამივეს შვილები კი მხოლოდ თავთავიანთი დედის ენაზე ლაპარაკობდნენ, ებრაული კი არცერთმა არ იცოდა.

ლამის შეიშალა ნეემია, დაეტაკა და დატუქსა მამები, მერე წყევლაზეც გადავიდა, უფრო გაცხარდა და უთაქა სამივეს, ბოლოს თმა-წვერშიც ჩაიფრინდა და წიწკნა და გლიჯა. გული რომ იჯერა, სამივეს ფიცი ჩამოართვა, რომ ისინი, შვილთაგან არც ასულებს გაათხოვებენ უცხოელზე, არც ვაჟიშვილებს შერთავდნენ უცხოელ ქალებს. თქვენ კი არა, სოლომონ ბრძენიც გააუბედურა უცხოელმა ქალმაო. დაიმახსოვრეთ, უდიდესი ბოროტება და ცოდვაა უცხოელ ცოლთან წოლაო...

მისი მმართველობა თორმეტი წელიწადი (444—432) გაგრძელდა იუდეაში. ამის შემდგომ იგი დაბრუნდა სპარსეთს, მის მწყალობელ არტაქსერქსე მეფესთან...

ხოლო, სანბალატ სამარიელმა, რაკი იერუსალემის აღდგენას ხელი ვერაფრის საშუალებით ვეღარ შეუშალა, რაკი იუდეველებმა ქალაქიც და ტაძარიც ხელახლა ააღორძინეს — ადგა და ქალაქ შეხემის ახლოს, მაღალ მთაზე, რომელსაც ერქვა გ ა რ ი ზ ი მ, ააგო ახალი ტაძარი.

გარიზიმ იყო სწორედ ის მთა, სადაც ოდესღაც საკურთხეველი აღმართა და ლოცვა-კურთხევა აღაელინა იესო ნავეს ძემ.

ამ „ლოცვა-კურთხევის მთის" პირდაპირ იყო მეორე მთა — „წყევლა-კრულვისა", სახელად გ ე ვ ა ლ.

გასაგები იყო, რისთვისაც გარჯილიყო სანბალატ: გარიზიმის მთა, მისი ტაძარი და თვითონ ქალაქი შეხემი, რომელიც პალესტინის შუაში იდგა, — იერუსალემის და მისი ტაძრის სამეტოქეოდ და დასაჩაგრავად გაეანგარიშებია სამარიელ მთავარს...

14. მოსვლა „დიადი რჟოსანისა“

დრო კი ვიდოდა თავისი გზით, კვლავაც უწყვეტი და ულმობელი სვლით; ვიდოდა კაცთაგან დაუკითხავად, თუმცა კაცთა წაყვანით და კაცთა მოყვანით.

დროს ჯერ ისევ სპარსთა ბატონობა ნებავდა ყოველ კაცთა მოდგმაზე, ინდოეთიდან ლიბიამდე.

მცირე ქვეყანა იუდეაც, დროის ნებითვე, კვლავ სპარსეთის საკუთრებად რჩებოდა.

ჯერჯერობით ასე იყო.

ჯერჯერობით!

(ისედაც, — აკი ყოველივე ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ ი ა დროისა და სივრცის მარადიულ წიაღსა შინა!).

სპარსეთის ტახტზე, პირველი არტაქსერქსეს სიკვდილის შემდეგ, დაბრძანდა ა რ ტ ა ქ ს ე რ ქ ს ე II მ ნ ე მ ო ნ ი (404—362), ხოლო ამის შემდგომ გამეფდა კიდევ ა რ ტ ა ქ ს ე რ ქ ს ე III ო ჰ უ ზ ი (362—338).

ამათი მეფობის წლები ეგვიპტის აჯანყებებით აღინიშნა. იბრძოდნენ ეგვიპტელნი სპარსული უღლის დასამხობად. ამაოდ კი იბრძოდნენ.

იუდეა მოწმე და თვალითმხილველი იყო ხმელთაშუა ზღვის მისაქციელში სხვადასხვა საომარ ძალთა მიმოქცევებისა — თუ სპარსელთა, თუ ეგვიპტელთა, თუ ბერძენთა.

მაგრამ ეს არ იყო მდგომარეობა უბრალო თვალითმხილველისა, არხეინი თვალმოსეირისა. ებრაელთა ცხოვრებაზე ფრიად საგრძნობელ ზეგავლენას ახდენდა ინტენსიური უცხოური „მი-და-მო-ქცევანი“.

ბოლო ორი არტაქსერქსეც მათ წინაპარ მეფეთა მსგავსად როდიღა სწყალობდნენ იუდეას.

თვითონ სპარსთა შინაურ ზნეობრივ ცხოვრებას ხრწნა შესდგომოდა. თვითონ სუზაში, თვითონ მეფე არტაქსერქსე II-ის ბრძანებით, მკაცრი და წესრიგოვანი ზარათუშტრას გვერდით უკვე თავაწყვეტილი მეძავი ქალღმერთის, ანაიტის ქანდაკი აღმართათ.

ხოლო, რაკი ყოველთვის ყოველი სიახლე სატახტო ქალაქისა ნიშანსვეტია პერიფერიისა, ასე ხდებოდა იქაც: იმპერიის ყოველი კუთხე, ანუ სპარსულად „სატრაპია“, გაიჯსო მრუში, მეძავი ქალღმერთებით, შესაძლოა, ადგილობრივი იერით სახეცვლილი, ხოლო ყველასთვის ერთნაირი მეძაობით, პროსტიტუციით.

და, ამ მხრივ, არც იუდეა დარჩენილა გამონაკლისად, მით უფრო, რომ მას გაცილებით ადრე, სპარსთა ამ ქვეყნად მოვლინებამდე ექვსასი-შვიდასი წლით ადრეც, იეჰოვას უმკაცრესი კულტის გვერდით, არც თუ ისე იშვიათად წასძლევდა სული ყოვლისმძლეველი სექსუალური კულტისკენაც.

სპარსთა მეფეს, არტაქსერქსე მნემონს, როგორც ეტყობა, ძალითაც და-

უნერგია ანაიტისის კულტი იუდეაში, იეჰოვას თაყვანისცემა კი უკვე იდევნებოდა. ამას თავისი საპირისპირო რეაქციაც უნდა მოჰყოლოდა, ბუნებრივად. და იბრძოდნენ კიდეც ჭეშმარიტი მორწმუნენი და პატრიოტები უცხო ზნისა და უცხო კანონის წინააღმდეგ. იდევნებოდნენ, ეწამებოდნენ, მაინც იბრძოდნენ.

არის გადმოცემა, რომ სწორედ ტრადიციული ეროვნული სარწმუნოებისა და სჯულიერების გადასარჩენად ასეთი თავგანწირული წინააღმდეგობისათვის, არტაქსერქსე ოჰუზმა იუდეველთა ერთი ნაწილი შორს, კასპიისპირეთს ჰირკანიაში გადაასახლა.

იერუსალემში მაშინ მმართველად მეფის სასტიკი მოხელე იჯდა, სახელად ბ ა გ ო ა ს, საჰურისი, წარმომაელობით ეგვიპტელი, რომელმაც თავის კეთილისმყოფელ ხელმწიფეს სასმელში საწამლავი შეაყოლა და სულიც ამოახდინა. ასე დაიღუპა მეფე არტაქსერქსე ოჰუზი 338 წელს.

ბედის ირონია გრძელდებოდა. ეგვიპტელმა საჰურისმა სპარსეთის ახალი მეფის საკითხიც მან ერთადერთმა გადაწყვიტა და ტახტზე მოკლულის უმცროსი ძე, ა რ ს ე ს ი აიყვანა. თან ახალ მეფეს დანარჩენი ძმები თვითონვე ამოუწყვიტა და ამით მოსაღლოდნელი ტახტის მოცილენი ჩამოაშორა. ცოტაც კიდევ და ბაგოასმა შენიშნა, რომ მისგანვე აღზევებული არსესი რაღაც ეჭვის თვალით უცქერდა. საეჭვო და საეჭვმანო რა მაქვსო, ან ვის სცალიაო, — გაუელვა ბაგოასს, ისევ ყველას დაასწრო და მეფე არსესიც და მისი შვილებიც, ისევ „უებარი“ საწამლავის საშუალებით, ყველანი ერთად შეჰყარა სიკვდილს.

ეს მოხდა 336 წელს. სპარსეთის სამეფო გვირგვინი ისევ ხელთ ეპყრა მედროვე ხადუმს. სამეფო სისხლიერთაგან თითქოს აღარავინ ჩანდა, ის გვირგვინი რომ დადგმოდა თავზე. „დიადი აქემენიდური სისხლი“ სრულ დაწრეტაზე დასულიყო.

მაგრამ მაინც მიგნებული იქნა, ასე თუ ისე, ღირსეული სამეფო კაცი, აქემენიანთა ნათესავი, არტაქსერქსე II-ის დისწული, სახელად კ ო დ ო მ ა ნ ი. და ამ კოდომანს დაადგა თავზე ბაგოასმა აქამენიანთა სამეფო გვირგვინი.

ახალმა მეფემ ახალი სახელი დაირქვა და ისტორიაში შევიდა, ვითარცა დ ა რ ი ო ს III კ ო დ ო მ ა ნ ი (336—330).

ამ ახალმა მეფემაც ბაგოასს უნდობლობით დაუწყო ცქერა. საჰურისი ისევ ამოქმედდა, მაგრამ მეფე გააფრთხილეს და, როცა მას საწამლავით სავსე კრატერი მიართვეს, ალერსიანმა დარიოსმა „ალერსიანად“ შეუბრუნა და შეასვა იგივე თასი ბაგოასს...

მაშ, დარიოს III სიკვდილს გადარჩა და მეფედაც დარჩა. საისტორიო ბედისწერა მას, თურმე, მსოფლიო ტრაგედიის გმირად ამზადებდა...

მცირე ხანს უკან დავიხიოთ. მსოფლიო ცივილიზაციის აკვნის დამრწევი ხომ აზია იყო. ის ანბანიც გავიხსენოთ, რომ „იმ აკვნის“ პირველი გადარწევიდან მთელი ორიათას ხუთასი წელიწადი აზია, ისევ აზია, თითქოს ერთად-

ერთი ქმნიდა სანიშანსვეტო ცივილიზაციას მთელს დედამიწაზე. სხვა კონტინენტებიდან, აფრიკიდან, ერთადერთი იყო ეგვიპტე, რომელიც ცივილიზაციის ნიშანსვეტად, სრულიად საფუძვლიანად, აზიაზე ნაკლებად როდი მიიჩნევდა თავს.

ხოლო, რაც საგანგებოდ მისანიშნებელია, ევროპიდან იმ ორიათას ხუთასი წლის გასწვრივ რაიმე „დონის“ ცივილიზაციაზე ბაიბურიც კი არ ისმოდა.

მაგრამ, აი დადგა პირველი ათასწლეული ძველი წელთაღრიცხვისა და ევროპამაც დაიწყო თავისი დიდი, ჭეშმარიტად „ევროპული სიტყვის“ ბრძანება.

უფრო ზუსტად, ეს დიადი „სიტყვა“, ანუ „ლოგოს“, ჰელინთა (ბერძენთა) მოდგმამ ათქმევინა ევროპას.

და ის ათასწლეული, რომელიც მცირერიცხოვანმა ებრაელმა ხალხმა ეგზომ მრავალი აღზევებით, აპოთეოზით, თუ დაცემით და კატაკლიზმებით გაიარა, — მის პარალელურად, იმავე ათასწლეულის გასწვრივ თავის დიად (დიადს-მეთქი!) ისტორიას და კულტურას მოატარებდა ასევე მცირერიცხოვანი ბერძენი ხალხი.

ეს იყო ორი, თავისთავადი, ერთმანეთისგან რადიკალურად გახსხვავებული ცივილიზაცია. მაგრამ ამ „რადიკალიზმში“ მაინც შეიძლება მონახვა მრავალი პარალელისა. სამაგალითოდ, სწორედ პარალელურად შექმნილი ეს ორი საოცარი ფენომენიც კმარა — ებრაული „ბიბლია“ და ჰელინური მითოლოგია, ეს ორი საძირკველთა საძირკველი მთელი შემდგომდროინდელი მსოფლიო (მსოფლიო-მეთქი!) აზროვნებისა — კოსმოგონიისა, თეოგონია-თეოსოფიისა, ფილოსოფიისა, ლიტერატურისა, ხელოვნებისა... და, საერთოდ, ყოველი „ლოგიისა“, „სოფიისა“, „გრაფიისა“, „ნომიისა“ და სხვ.

საბერძნეთსაც, აქამდე განხილული ისრაელიანთა ისტორიის პარალელურად, უკვე გაევლო ოთხასწლოვანი (XII—IX სს.)„ჰომეროსის ხანა“, ორასწლოვანი (VIII—VII სს.) „არქაული ხანა“, ორასწლოვანი (VI—V სს.) „კლასიკური ხანა“... და დამდგარიყო უმძიმესი ხანა კრიზისისა, დაქვეითებისა და დაცემისა: „პელოპონესის ომები“, ოცდაშვიდი წელიწადი რომ ეს დიადი, სწორედ გენიალური ბერძნები ერთმანეთს ჟლეტდნენ, ანგრევდნენ და აცამტვერებდნენ სრულის გამეტებით, დაუნდობლობით. დადგა დროებამი პანელინური (საყოველთაო ბერძნული) კრიზისისა. დღეს თუ ხვალ დავრდომილი და დაკნინებული საბერძნეთი უნდა გამხდარიყო ლუკმა მსოფლიო ვეშაპის, სპარსეთისა.

და ასეთ ჟამს ყველა ეძებს „გზასა ხსნისასა“.

ხოლო, როცა ასეთი გზები და საშუალებები შინ, სახლში აღარ მოიძებნება, „გზასა ხსნისასა“ ჩვეულებრივ ეძებენ გარეთ.

და საბერძნეთმაც მოიძია და იპოვნა იგი.

ეს იყო მაკედონია, იმჟამად ფრიად გამძლავრებული და აღზევებული, რომელსაც სათავეში ედგა ფ ი ლ ი პ ე II, პირველი დიდი ხელმწიფე მთელს

ევროპაში, და, ასე, „ნაკლები ბოროტების“ გზით საბერძნეთმა თავისი „ელ-ევთერია“ (თავისუფლება) და „ავტონომია“ („თვითკანონმდებლობა“, ანუ დამოუკიდებლობა) მიანდო მაკედონიას.

338 წელს, შუა საბერძნეთში, ქალაქ ქ ე რ ო ნ ე ა ს თ ა ნ, მაკედონელებსა და ბერძნებს შორის სისხლი მაინც დაიქცა და ფილიპე მაკედონელმა საბერძნეთი დაიპყრო. ბერძნებს ისღა დარჩენოდათ, ამ აქტისათვის „ნებაყოფლობითი შეერთება“ დაერქმიათ.

336 წელს ფილიპე მაკედონელი შეთქმულების მსხვერპლი შეიქნა.

მაკედონის ტახტზე აღმოჩნდა მოკლული მეფის ძე, ოცი წლის ა ლ ე ქ-ს ა ნ დ რ ე.

მაშ, აჰა, ისიც,—ალექსანდრე მაკედონელი, მანამდელ უდიდეს კაცთა შორის უდიადესი, „მოკვდავი ღმერთი“.

აი, ვინ უნდა გასძღოლოდა სრულიად იმდროინდელ მსოფლიოს.

და დაიწყო კიდეც: 336—335 წლებში აჯანყებული ბერძნული სამყარო ხელახლა შემოიერთა („ნებაყოფლობითი“) და შემოიმტკიცა.

334 წელს მცირე აზიაში გადმოსხა ბერძენ-მაკედონელთა ერთიანი ჯარები და ასე დაიწყო დიდი, მსოფლიო ისტორიული ეპოპეა — ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლური ლაშქრობანი.

იმავე 334 წელს ალექსანდრემ დაიპყრო მთელი მცირე აზია.

333 წელს, ქალაქ ი ს ო ს თ ა ნ დიდი ბრძოლისა და დარიოს III-ის მარცხის შემდგომ ალექსანდრე შემოესია სირია-ფინიკიას. აქ დიდ დამპყრობელს დიდი წინააღმდეგობა გაუწია ქალაქმა ტვიროსმა, რომლის აღება და ურჩობისათვის მისი დანგრევა ალექსანდრემ შესძლო ცხრა თვის ალყის შემდგომ.

ამ დროს ალექსანდრე მაკედონელი ყველაზე ახლოს იყო ებრაელთა ქვეყანასთან.

იუდეაში უკვე დადიოდა ლეგენდები დიდ მსოფლიო გმირზე, — ისეთი ლეგენდაც, სადაც იგი წარმოსახულია ავაზად, ოთხი ფრთით და ოთხი თავით. მაგრამ „ნამდვილი ალექსანდრეს“ ყოფნა იუდეაში და კერძოდ იერუსალემში, დადასტურებულია ლეგენდითაც, უეჭველი სინამდვილითაც. ლეგენდა ისე წარმოადგენს, თითქოს ალექსანდრეს წინასწარ სიზმარში ეხილოს ყველაფერი, რაც სინამდვილეში იხილა იერუსალემში — ბრწყინვალე, განსაცვიფრებელი შეხვედრა მღვდელმთავრისა და მისი ამალისა. სინამდვილეში შეხვედრა იყო მართლაც ბრწყინვალე, მაგრამ ალექსანდრეს მსგავსთა მიმართ სრულიად ჩვეულებრივი და „უსიზმრო“. იგი მივიდა იერუსალემს ჩვეული ტაქტით და თავდაჭერილობით, დამხვდურთა მიმართ თავაზით და პატივისცემით. საერთო პოლიტიკად ჰქონდა ალექსანდრეს, ყველგან, მისგან დაპყრობილ ქვეყანაში ყოველ ტრადიციულ სტრუქტურებს ხელუხლებლად ტოვებდა, პატივით და შემწყნარებლობით ეპყრობოდა, კიდეკაც ეხმარებოდა და აქეზებდა. ერთი სიტყვით, დაპყრობილ ქვეყანასაც დაპყრობილად არ უნდა ეგრძნო თავი. ეს

დამპყრობელი თავის თავს გამათვისუფლებელს ეძახდა და არა დამპყრობელს. მისი განზრახვაც სწორედ უპრეცედენტო, უწინამორბედო იყო მაშინდელ, მონათმფლობელურ მსოფლიოში: უნდოდა შეექმნა მთელი მსოფლიოს მომცველი კოსმოპოლისი, სადაც ყოველი ხალხი იქნებოდა თანაბარი და თავისუფალი, ყველა თავისი ნაციონალური სახით, ყოფით, კულტურით, რელიგიით, რიტუალით. იგი მხოლოდ წინააღმდეგობისა და ურჩობისთვის სჯიდა სრული სისასტიკით.

ამიტომ მისთვის ჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო თავაზიანი და სრულიად შემწყნარებლური დამოკიდებულება იუდეის მიმართაც.

და მოხდა ასე: გამოეგება ალექსანდრე მაკედონელს იერუსალემის ტაძრის მღვდელმთავარი, ო ნ ი ა ს, დანარჩენ მაღალ სამღვდელოთა თანხლებით, შეჰფიცა ერთგულება და გამოუცხადა მორჩილება თავიისი ქვეყნისა.

შევიდა იერუსალემს საუფლო ტაძარში ალექსანდრე. დიდის ინტერესით მიმოიხილა და მიმოიარა. იეჰოვასაც მსხვერპლი შესწირა, ებრაულ რიტუალთა სრული დაცვით.

და მოუწოდა ებრაელობას ალექსანდრემ, ეცხოვრათ კვლავაც თავის ხეებისად, თავისი ტრადიციული ცხოვრებით, სჯულით და კანონით; მხოლოდ გადასახადი გადაეხადათ მაკედონიის სასახლისთვის, მიწის გადასახადი, რასაც აქამდე სპარსელებს უხდიდნენ. ოღონდ შვიდ წელიწადში ერთხელ, მოსეს კანონით რომ მიწას უნდა დაესვენა, თავისუფლდებოდნენ იუდეველნი ამ გადასახადისგან.

ალექსანდრემ ლიბანსა და ეგვიპტეს შორის მდებარე ქვეყნები, სადაც, რასაკვირველია, იუდეაც იგულისხმებოდა, ერთ სამმართველოდ გამოაცხადა და უწოდა კ ე ლ ე-ს ი რ ი ა, — „ქვემო სირია“ — განსხვავებით „ზემო სირიისაგან“.

ამ ახლადშექმნილი ადმინისტრაციული გაერთიანების მთავარ, სამმართველო ქალაქად გამოცხადდა სამარია, რაკიღა იგი ახლადშექმნილი კელესირიის შუაგულში მდებარეობდა.

ამის შემდეგ ეგვიპტისკენ შებრუნდა ალექსანდრე, მაგრამ ქალაქი ღაზა დაუხვდა და გაუძალიანდა სასტიკად. აქ სპარსეთის მეფეს ვიღაც საჟურისი, სახელად ბატისი დაეყენებია მმართველად. ქალაქი ძლიერად განემტკიცებინა ბატისს. მოკავშირეებიც შემოეყარა, არაბი მომთაბარენი. იგი ფიქრობდა, რომ ტვიროსზე გამარჯვება ალექსანდრემ მხოლოდ ფლოტის საშუალებით მოახერხა, ხოლო ღაზასთან საომრად ფლოტის გამოყენება შეუძლებელი იყო, რადგან ღაზა ზღვიდან ხომალდებისთვის საესებით მიუწვდომელ მანძილზე მდებარეობდა.

მიადგა ალექსანდრე ღაზას, ალყა შემოარტყა და მთაზე აღმართული ქალაქის პირდაპირ იმ მთის სიმაღლე ხელოვნური ბარცვები და მიწაყრილები ააშენა, ზედაც საიერიშო მოწყობილობანი შემართა, ღმერთებს მსხვერპლი

შესწირა, თავზე გვირგვინი დაიდგა და ჯარი იერიშზე წაიყვანა. როგორც სჩვეოდა, უმამაცესად იბრძოდა მეფე.

გახურებულ ხელჩართულში, ვიღაც არაბი მეომარი დაეცა მის წინ მუხლებზე. ალექსანდრემ იგი მის მხარეს გადმოსულად მიიჩნია, ხელი გულდადობილად მოჰკიდა და წამოყენებაც სცადა, — და უეცრად თავში დაჰიზნებით შემოუქნია იმ არაბმა. ალექსანდრემ დარტყმა წამით აიცდინა, მეორე დარტყმა აღარ აცალა, თვითონ შემოჰკრა და მახვილიანი მარჯვენა გააგდებინა. ეს კი მოიშორა, მაგრამ შორიდან კატაპულტით მძლავრად ნასროლმა ისარმა ფარი და ჯაჭვი გაუგლიჯა და ბეჭიც განუპო. ისარი ამოართვა დასტაქარმა, ჭრილობაც შეუკრა და ისევ გადაეშვა ბრძოლაში მეფე. ჭრილობამ თავისი გაიტანა და იმ დღეს ქალაქი ვერ აიღო.

დილით ისევ განაახლა მეფემ იერიში. ბალავრებიც ჩაათხრევინა და კედლები ჩაანგრევინა. თვითონ შეუძღვა ქალაქში ალექსანდრე მოიერიშეებს. საშინელი ხოცვა-ჟლეტა გაჩაღდა ღაზის ქუჩებში. ალექსანდრემ ფეხიც დაიზიანა. ცალი ხელით შუბს დაეჯინა, ცალითაც მახვილს იქნევდა, თან ჯავრობდა: ეს ერთი ტილიანი ქალაქი რა ჭირად ღირს, რომ მისთვის ორი ჭრილობის მიღება დამჭირდაო.

ღაზა უკვე დაცემული და დარეცილი ესვენა მის ფეხებთან. ათიათასი ღაზელი დახოცილიყო. ერთი იმდენი ტყვედ აიყვანეს და მონებად მიჰყიდმოჰყიდეს მაკედონელებმა და ბერძნებმა. საჭურისი ბატისი ალექსანდრემ შეიპყრო, ფეხებით ეტლზე გამოიბა და ქალაქის გარშემო ათრია, — ვითარცა აქილევსმა ჰექტორის გვამი (აქილევსს ჰბაძავდა ალექსანდრე).

332 წლის ნოემბერი იდგა და ალექსანდრე ეგვიპტისაკენ მიჰქროდა.

ეგვიპტე კი მას ელოდა, როგორც ჭეშმარიტ გამათვისუფლებელს, „მხსნელს", „მესიას".

თვითონ ალექსანდრეს „მესიანისტური მიზანდასახულობა" ეგვიპტეში სხვას არაფერს ითვალისწინებდა, თვითნიერ სპარსეთის ამ უკიდურესი პროვინცია-სატრაპიის დაპყრობისა. მაგრამ ეს სინამდვილე ალექსანდრეს გულში იდუმალ იყო დაკრძალული და დაკუბოებული, ხოლო გარეგნულად იგი „ნამდვილი მესია" იყო.

ალექსანდრემ თავისი „მისიაც" და „მესიაც" თითქოს საქმით კიდევაც დაუმტკიცა ეგვიპტელებს. მან გამოაცხადა ეგვიპტის „სრული თავისუფლება", რაც ეგვიპტელთა ტრადიციული, მრავალსაუკუნოვანი წეს-ჩვეულებების, ადათის, ზნეობისა და სარწმუნოებრივი სინდისის სრულ დაცვასა და მოვლა-პატრონობაში მდგომარეობდა. რა ვუყოთ, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა ისევ აღარ ექნებოდა საერთოდ ასეთ ქიმერას გადაჩვეულ ეგვიპტეს! რა შედარება იყო სპარსელსა და მაკედონელს შორის, როცა ორივე სპარსელმა მეფემ, კამბიზმა და არტაქსერქსე მესამემ ეგვიპტეს მისი ღმერთი, ხარი-აპისი მოუკლეს, ხოლო ალექსანდრემ მემფისის ფტას მთავარ ტაძარში აპისს მსხვერპლი შესწირა, მუხლმოყრილმა საკმეველი უკმია და საგალობელ-

ნი უღიღინა. აპისს კი არა, პოლითეისტური სუნთქვით ატანილ ამ საოცარ ქვეყანაში, ალექსანდრემ პატივი მიაგო ყოველ ციურ ღმერთსა და ყოველ მიწიერ ტოტემს — დაწყებული მზე ამონ-რათი და გათავებული „წმიდა“ ხოპოთი.

ეგვიპტე მოიარა და მოილოცა ალექანდრემ. მერე ნილოსის დელტის მარცხენა ტოტის შესართავში, კუნძული ფაროსის პირდაპირ, მან დააარსა დიდი ქალაქი, თავისი სახელობისა — ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი ა, სამომავლოდ უდიდესი კულტურული ცენტრი მსოფლიოისა.

ალექსანდრიიდან ალექსანდრემ თავი მისცა ლიბიის უდაბნოს. იმ ოაზისსაც მიატანა, სადაც იდგა განთქმული ტაძარი მზის ღმერთის, ამონისა.

გამოეგება ალექსანდრეს ქურუმთა დასი, უმაღლესი ქურუმის წინამძღოლობით.

— სალამი შენდა, შვილო! — მიესალმა ქურუმთუხუცესი მეფეს.

— დე, იყოს ეგრე, მამაო! მე მინდა ვიყო შვილი შენი და ძოძანიქე მბრძანებლობა მთელს მსოფლიოზე! — წამსვე მიუგო ალექსანდრემ.

ამ ამბის დამსწრენი სხვადასხვანაირად ხსნიდნენ და ავრცელებდნენ შემდგომში ქურუმისა და მეფის პირველ გასიტყვებას: ქურუმს უნდოდა ბერძნულად ეთქვა „პაიდონ“ („შვილო“), მაგრამ შეეშალა და გამოუვიდა „პაი დიოს“, რაიც უკვე ნიშნავს „ძე ღვთისას“. ალექანდრესაც სხვა რაღა უნდოდა: მისი „ღვთაებრივ-თესლიანობის“ პირველი აგური უკვე ჩაგდებული იყო — იგი ამონის მოციქულმა ღვთის ძედ აღიარა და გამოაცხადა!

ტაძარში შევიდნენ.

და იქ, „ღვთის მოციქულსა“ და „ღვთის ძეს“ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

ქ უ რ უ მ ი: რაი გსურს და რაისთვის აღძრულხარ, შვილო ჩემო?

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე: მამაჩემის მკვლელებს დავეძებ და მინდა შევიტყო, ყველა დავსაჯე, თუ დამრჩა კიდევ მოსაძებნი და შურისსაგები?

ქ უ რ უ მ ი: გონი მოიკრიბე და კარგად დაუკვირდი, რას ლაპარაკობ.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე: მამაჩემის მკვლელებზე მოგახსენებ-მეთქი.

ქ უ რ უ მ ი: ფილიპეს გულისხმობ?

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე: სწორედ, მამაჩემს, ფილიპეს.

ქ უ რ უ მ ი: ჰოო, თუ ფილიპეს გულისხმობ, მისი მკვლელები უკვე უკლებლივ დასჯილი გყავს, ხოლო თუ მამაშენზე ლაპარაკობ, მამაშენის მოკვლა არავითარ ძალას არ ძალუძს; ოგი მიუღწეველია ბოროტმოქმედის ხელისათვის, რადგან იგი თვითონ არის მარად უკვდავი და მარად უძლეველი.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე: (გაოგნებული) ?!

ქ უ რ უ მ ი: ასეა, რამეთუ შენი მამა არის თვითონ ამონი!

სთქვა და ზეცისკენ აღაპყრო მზერა „ამონის მოციქულმა“.

და ასე დაიდო მეორე აგური ალექსანდრე მაკედონელის გაღმერთების ზეაღმავალ კიბეზე.

იგი უკვე გამოცხადდა ღვთის ძედ.

ამის შემდგომ დიალოგი უფრო გამოკვეთილ სახეს ღებულობს.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე: განსაზღვრული აქვს თუ არა ჩემს ღვთაება-მშობელს, ამონს, ჩემი მბრძანებლობა მთელს ადამიანურ და მიწიერ სამყაროზე?

ქ უ რ უ მ ი: ეს განსაზღვრულია და კიდეევაც იქნები ყოველი ადამიანური და მიწიერი სამყაროს მეუფედ. ამ ქვეყანაზე შენ იქნები კაცთაგან მარად უძლეველი, ხოლო როცა აღესრულები, ღმერთთა გვერდით ზეცაში ღმერთად აღზევდები!..

იქვე შესრულდა მთავარი „საკრალური აქტიც": ხალხსა და ჯარს გამოუცხადეს, რომ ალექსანდრე ამონის ძე, ანუ ღვთაებრივი თესლისა ყოფილა! სწორედ ეს იყო მთავარი: ღმერთი ხალხს უნდა სცოდნოდა, ღმერთი ხალხს უნდა ეღიარებინა!

და ხალხმაც აღიარა „ახალი ღმერთი". ზოგმა სრული გულწრფელობით აღიარა, რადგან საერთოდ სწამდათ ალექსანდრეს, თუნდაც ვითარცა კაცის გამორჩეულობა და რაღაც არაჩვეულებრივი („ღვთაებრივი") განსაკუთრებულობა. ზოგსაც ისე „სწამდა", როგორც უნდა ეწამებინა ძალდატანებულს, დაშინებულს, დავალებულსა და დაქვეერდომებულს, ზოგსაც კიდევ ისე, როგორც თვითონ სწამდა თავისი ღმერთობა, — შემდგომ, რომელიღაც ბრძოლაში მორიგ ჭრილობას რომ მიიღებს და სავსებით მიწიერი, „არაღვთაებრივი" ხმით დაიღრიალებს: „ეს სისხლია, მეგობრებო, ჭრილობიდან რომ მოდის და არა მართლა იქორი, რაიცა ღმერთებს მიმოუჩქეფთ სხეულში მხოლოდ" (ჰომეროსის ლექსი მოიშველია, „ილიადადან").

მაშ, იქმნა ღმერთი, ალექსანდრე მაკედონელი!

და უკვე მაშინვე, ამონის ოაზისიდანვე, აიდგა ფეხი „ღვთებრივი ალექსანდრეს" კულტმა. მალე მოიჭრება მონეტა, რომელზეც გამოხატული იქნება ალექსანდრე, ამონის რქებით, მალე ჩამოყალიბდება, გამდიდრდება და „გადაყვავილდება" ტიტულატურა: „მისი აღმატებულება ალექსანდრე, მეფეთა მეფე, მეფე დიადი, ღვთაებრივი ძე ამონისა, დიადი რქოსანი".

და წამოვიდა ლიბიის უდაბნოდან „დიადი რქოსანი", ეგვიპტეს მოვიდა და აქ ამბავი დაახვედრეს: თურმე სამარიაში ცეცხლში ჩაეწვათ მისგან კელე-სირიის მმართველად დანიშნული ანდრომახოსი.

გამოეშურა ალექსანდრე ეგვიპტედან, სამარიას მივიდა, ანდრომახოსის მკვლელები სასტიკი წამებით დაახოცვინა და კელე-სირიის ახალ მმართველად მ ე მ ნ ო ნ ი დანიშნა.

სამარიელთა სიძულვილი ალექსანდრესადმი აშკარა იყო. აშკარა იყო ამ სიძულვილის საფუძველიც: ალექსანდრე ებრაელებს გაცილებით შეამწყნარებლობითა და პატივისცემით ეპყრობოდა, ვიდრე სამარიელებს.

მაგრამ სანამ ალექსანდრე ცოცხალი იყო და, მით უფრო, მისი ეტლიც ეგზომ მარად ძლევამოსილად დაჯირითობდა ქვეყნიდან ქვეყნად, სამარიელნი ვინ იყვნენ, თუნდ კრინტის დაძვრაც გაებედნათ.

მაგრამ ალექსანდრეც მოკვდავი იყო, თუნდაც „მოკვდავი ღმერთი". (მით უფრო, ჰერაკლიტე ეფესელს ჰქონდა ნათქვამი: „ღმერთები უკვდავი ადამიანები არიან, ხოლო ადამიანები მოკვდავი ღმერთები"). მან, სრულიად ახალგაზრდა კაცმა, მართლაც მოასწრო მსოფლიოს ყველაზე დიდი სახელმწიფოს შექმნა — ადრიატიკის ზღვიდან შუა ინდოეთამდე. დაგეგმილი ჰქონდა დანარჩენი ქვეყნების დაპყრობა, მაგრამ გარდაიცვალა მოულოდნელად, 323 წელს, თავისი სიცოცხლის 33-ე წელს.

„მე ვხედავ საშინელ ხმალთაკვეთებას და სისხლთა თხევას ჩემ სარეცელთან", — ეს მისი უკანასკნელი სიტყვები იყო.

მართლაც, ღვთაებრივი დამპყრობელის „სურნელოვანი სხეული" ჯერ სრულად არც კი გაცივებულიყო, რომ მის სარეცელთან გაისმა უთავეაშო ომებისა და სისხლთათხევების მაუწყებელი საჭურველის ჟღრიალი.

ბავშვებით ბუნებრივად, იდგა საკითხი ალექსანდრეს მემკვიდრეობის სამომავლო ბედისა; მაგრამ მოხერხდებოდა კი, უსისხლოდ გადაწყვეტილიყო სწორედ სისხლისა და გვამის ნალექზე დაფუძნებული პოლიტიკური მემკვიდრეობის სახვალიო და სამერმისო მომავალი?!

მდგომარეობას უფრო ისიც ამწვავებდა, რომ თვითონ ალექსანდრეს, არც წერილობით და არც სიტყვიერად, არავითარი „ანდერძი" არ დაუტოვებია ტახტის მემკვიდრისა და მისი უზარმაზარი დანატოვარის მოვლა-პატრონობის თაობაზე. სარდალთა კითხვაზე — „ვის უტოვებ სამეფოსო" — მომაკვდავმა მეფემ — „საუკეთესოსო", — თუ ამნაირი დიალოგი მომაკვდავი ალექსანდრეს სარეცელთან მართლა შედგა, მაშინ ამნაირი პასუხი დააშოშმინებდა კი არა, უარესადაც გაამწვავებდა დამოკიდებულებებს ტახტის „მაძიებელთა" და „მზრუნველთა" შორის. სწორედ ასე უნდა ყოფილიყო, რადგან ყველა ეს სარდალი თავის თავს თვლიდა იმ „საუკეთესოდ" ალექსანდრემ თავის მემკვიდრედ ანუ „დ ი ა დ ო ხ ო ს ა დ" რომ იგულისხმა. ყველა იყო ძლიერი და ღირსეული ერთნაირად და არცერთი მათ შორის არ იყო ბადალი ალექსანდრე მაკედონელისა. ერთნაირები კი, „როგორც წესი", ერთმანეთს არ უთმობენ. — ან მე, ან არცერთი ამათგანი! — აი, დევიზი ყოველი „ერთნაირისა". — დაე, იყოს თუნდაც სხვა, თუნდაც ჩვენზე უარესიც, ოღონდ არავითარ შემთხვევაში რომელიმე ჩვენთაგანი! — აი, მარადიული შურის ემანაცია „ერთნაირებისა".

რასაკვირველია, დიადოხოსობის, ანუ მემკვიდრეობის ყველაზე „სასურველი ვარიანტი" ისევ თვითონ ალექსანდრეს ძე უნდა ყოფილიყო. მაგრამ იგი ჯერ არ დაბადებულიყო. მისი ცოლი როქსანა მეექვსე თვის ფეხმძიმობაში იდგა, მაგრამ ვინ იცოდა, რომ მაინც და მაინც ვაჟი დაიბადებოდა, ანუ თუ დაიბადებოდა, როგორი დაიბადებოდა, ანთუ ნორმალური დაიბადებოდა, როდის გაიზრდებოდა და სამეფო კბილი ამოუვიდოდა. ვინ იყო ამის მომთაშენი და მომლოდინე ამ ცერზე შემდგარ ავანტურისტებში?

ამიტომ გადაწყდა ალექსანდრეს მსოფლიო მემკვიდრეობის დანაწილება ამ „ერთნაირ დიადოხოსთა“ შორის:

საბერძნეთ-მაკედონია — ა ნ ტ ი პ ა ტ რ ო ს ს,
ეგვიპტე — პ ტ ო ლ ე მ ე ო ს ს,
თრაკია — ლ ი ს ი მ ა ხ ო ს ს,
ფრიგია, ლიკია, პამფილია — ა ნ ტ ი გ ო ნ ე ს,
კაპადოკია, პაფლაგონია — ე ვ მ ე ნ ე ს,
მიდია — პ ი თ ო ნ ს,
სპარსეთი — პ ე ვ კ ე ს ტ ა ს,
ს ი რ ი ა — ლ ა ო მ ე დ ო ნ ტ ს.

დანარჩენი აღმოსავლეთ აზიური და ინდური სატრაპიების სამმართველოდ დარჩათ ალექსანდრესგან დატოვებულ სატრაპებსა და რაჯებს.

მაშ, ალექანდრეს მსოფლიო სახელმწიფო ფაქტიურად უკვე დაშლილი იყო. მაგრამ ფორმალურად ვითომ კვლავ ერთიანი იყო, რადგან ასე დადგინდა „დიადოხოსთა“ საკრებულოზე: დაიბადებოდა ალექსანდრეს ვაჟი და მის გაზრდას იკისრებდა „რეგენტი“, ალექსანდრეს სარდალთა შორის ყველაზე უფროსი, პ ე რ დ ი კ ა. პერდიკა გაზრდიდა და გაზრდამდე ტახტსა და გვირგვინს „შეუნახავდა“ მომავალ მეფეს.

მაგრამ ფორმალური მაინც ფორმალურია და ფაქტიურად სახელმწიფო დაშლილი იყო.

თუმცაღა, ამ „დაშლილ მემკვიდრეობაში“ მაინც დარჩა რაღაც მთლიანი, თანაც უაღრესად მნიშვნელოვანი „მსოფლიო მთლიანობა“. მთავარიც ისაა, რომ ალექსანდრეს მსოფლიო ლაშქრობებმა ახალი მსოფლიო ცივილიზაცია შექმნეს. ესაა — ე. წ. ე ლ ი ნ ი ზ მ ი — ელინური კულტურის გატანა და განფენა აღმოსავლეთში, და იქედანვე — შ ე რ წ ყ მ ა „მომხვდურისა“ და „დამხვდურისა“, ელინურისა და აღმოსავლურისა. სამიათასწლოვანმა აღმოსავლურმა ცივილზაციამ, ნილოსიდან ფენჯაბამდე, თავის წიაღში სრული ცხოველმყოფლობით შეირწყა და შეისისხლხორცა ათასწლოვანი ელინური კულტურა. ასევე, თავის მხრივ, ელინურ-ბერძნულმაც უხვად შეითვისა და „შეითავისა“ აღმოსავლური კულტურული მემკვიდრეობა.

ასე, რომ ალექსანდრე მაკედონელის სისხლიან მახვილს თურმე მაინც დიდი, სამომავლო, კულტურული აზრი და გეში მიუძღოდა წინ. დიდი დამპყრობელის პოლიტიკური განაზრახი — შეექმნა ერთიანი, „ევრ-აზიული“, ანუ „აღმოსავლურ-დასავლური“ მსოფლიო სახელმწიფო — სრული კრახით დამთავრდა: მისგან შექმნილი მსოფლიო სახელმწიფო მისი სიკვდილისთანავე დაინგრა და დაიშალა. ეს რაც შეეხება ალექსანდრეს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ კ ო ს მ ო პ ო ლ ი ტ ი ზ მ ს და მის კრახს; მაგრამ ალექსანდრეს განაზრახთა მეორე მხარე — კ უ ლ ტ უ რ უ ლ ი კ ო ს მ ო პ ო ლ ი ტ ი ზ მ ი — სავსებით რეალურ მოვლინებად იქცა.

15. ქართული ინტერლოგოსი

როცა ალექსანდრე მაკედონელი ჯერ კიდევ წინა აზიას ეუფლებოდა, ქართლში, ანუ იბერიაში დატრიალდა ამბები, რომელსაც ძველი ქართული წყაროები სწორედ ალექსანდრეს უკავშირებენ.

მცხეთაში მაშინ მამასახლისად იჯდა ს ა მ ა რ ა.

დასავლეთიდან, პონტოდან (კვლავ გავიხსენოთ, რომ პონტო ქართველური ტომებით დასახლებული ქვეყანა იყო) ძლიერი ლაშქრით მოვიდა სარდალი ა ზ ო ნ, ტომით პონტელი ქართველი, მაგრამ ქართველთაგან „ბერძნად" წოდებული.

აზონს ალექსანდრე მაკედონელის თანამებრძოლ სარდლადაც მიიჩნევდნენ.

მოვიდა იგი ძლიერი ჯარით და ძლიერი სახელით. დაიპყრო მცხეთა, გული ქართლისა. დაახოცვინა სამარა მამასახლისი და მისი ძმა.

ასე დაჯდა აზონ ქართლის მბრძანებლად.

დაჯდა და მცხეთის აკროპოლისზე აღმართა ორი ვერცხლის კერპი — გ ა ც და გ ა ი მ.

აზონისაგან მოკლულ სამარას ძმას სამი წლის ძე დარჩა, სახელად ფ ა რ ნ ა ვ ა ზ.

დედამ მამით დაობლებული შვილი კავკასიონის მთებში გახიზნა და იქაურ მთიელ ქართველებში გაზარდა.

მერე, ჭაბუკობაში ფეხშედგმულმა ფარნავაზმა არ დაიშალა, დედასთან ერთად მცხეთაში დაბრუნდა და თავის მამულში დასახლდა.

მალე მას ხმა გაუვარდა, ვითარცა მომხიბლავ ვაჟკაცს, სწავლულ მწიგნობარს, უებრო მხედარს და ხელუცთომელ მონადირეს.

აზონის ყურსაც მისწვდა ფარნავაზის საქმენი სავაჟკაცონი და საქველონი.

და დაიახლოვა აზონმა ფარნავაზი, თავისთან იახლა, განსაკუთრებით ნადირობისას აღარ იშორებდა, თვითონ ნადირობის მოყვარული „უცხოელი".

დედას აშინებდა ფარნავაზის სიახლოვე მეშურნე და მესისხლე აზონთან. „შვილო ჩემო, ეკრძალე აზონს, ნურას უჩვენებ სიკეთეს და ღირსებას შენსას, თორემ, ვაი თუ მოგკლან!" შეშფოთებით ეტყოდა ხოლმე დედა შვილს. ფარნავაზი კი დედას ამშვიდებდა, ამხნევებდა და მოძალადე მეგობარს კვლავ დანდობილად მისდევდა ტყესა და ღრეში.

ერთ დილას ფარნავაზმა ღამეული სიზმარი უამბო დედას: ვითომ იგი სადღაც უკაცრიელ სახლში მომწყვდეულიყო, საიდანაც გასასვლელი არსაით ჩანდა; უცებ სარკმლიდან მზის სხივი შემოიჭრა, ჭაბუკს წელზე შემოერტყა, განზიდა და გაიყვანა; მაშინვე მზე ზეციდან ძირს დაეშვა და ფარნავაზის წინ

მის სისწორეზე დადგა; ჭაბუკმა მზისკენ ხელი გაიწოდა, პირზე სხივოსანი ცვარი ჩამოჰხოცა და პირი იმ მზიურ-ნამცვრევით დაიბანა!..

ეს საამური ძილისშორისი დედას დაუტოვა და თვითონ მარტოდმარტო წავიდა სანადიროდ.

დილმის ველზე რომ გააღწია, ირმის ჯოგი წამოუვარდა. მონადირემ უმალვე მშვილდ-ისარი გამართა და ცხენს ქუსლი ჰკრა. ირმები ტფილისის ტაფობისკენ გაფრინდნენ. ფარნავაზმა ისარი დაადევნა. ერთი ირემი მოწყვეტით ჩამოესხლიტა ჯოგს. მაინც სისხლდენით მიჰქროდა დაჭრილი ირემი. ბოლოს, შელამებისას, ველარ გაუძლო და ერთ კლდის ძირს მუხლი ჩაექცა და ჩაიკეცა. ფარნავაზიც მივიდა, ცხენიდან გარდახდა და დაუძლურებულ ნადირს კისერზე მკლავი გადაჰხვია.

ის ღამე ერთად გაათენეს კაცმა და ნადირმა. დილით კოკისპირული წვიმა დაუშვა. ფარნავაზმა კლდეს თვალი მოავლო — თავშესაფარს რასმე ეძებდა. უცებ კლდის ძირში რაღაც ქვანაშალი შენიშნა. თითქოს კლდეში შესასვლელი ყოფილიყოს და ოდესღაც ვიღაცას ამოექოლოს. სასწრაფოდ ჩუგლუგი მოიმარჯვა და კლდე-ნაქოლის გამორღვევას შეუდგა. იგი შევიდა გამოქვაბულში და გაიხარა, რომ გადასაწვიმებელ ადგილს მიაგნო. მაგრამ, თურმე, უფრო დიდი სიხარული მას წინ ედო.

როცა გამოქვაბული უფრო გულისყურით მოჩხრიკა, უთვალავი ოქროვერცხლის საგანძურს გადააწყდა!

გაოცებულმა და გახარებულმა ჭაბუკმა გამოქვაბულის კარი ისევ ამოქოლა და სახლისკენ გაქუსლა. იქ მან დედას და თავის სამ დას გაანდო ეს მოულოდნელი ამბავი.

ხუთი ღამის განმავლობაში, ფარნავაზს, მის დედას და დებს, ყველასგან საიდუმლოდ და შეუმჩნევლად, გამოჰქონდათ ოქრო-ვერცხლი გამოქვაბულიდან; გამოჰქონდათ და სხვაგან, მათთვის უფრო მარჯვე და საიდუმლო ადგილზე აბინავებდნენ.

როცა ეს საქმე მოითავა, ფარნავაზმა თავისი ერთგული მსახური დასავლეთ საქართველოში აფრინა და ძველი კოლხეთისა და მაშინდელი ეგრისის ერისთავს, ქ უ ჯ ი ს შეუთვალა:

„მე ვარ ფარნავაზი, შენი ნათესავი ქართველი, შენებრ ქართლოსის შთამომავალი, აწ მოკვდინებული სამარას ძმისწული. ხელთა მაქვს დიდძალი ხვასტაგი, ოქრო და ვერცხლი. მომეცი ნება, მოვიდე შენთან, რამეთუ ვეძმოთ ძმანი ერთურთსა, მოვიხმაროთ ხვასტაგი ესე და ერთიანი ძალით შევებათ აზონ ერისთავსა“.

დიდად გაიხარა ქუჯიმ ფარნავაზის შემონათვალზე და პასუხიც ასეთი შემოუბრუნა:

„ალსდექ და მოდი ჩემთან, შეეერთოთ ერთურთსა, ძმაო ჩემო; შეეერთდეთ, რამეთუ განიხარონ ყოველთა ქართველთა“.

ფარნავაზი დედის და დების თანხლებით მცხეთიდან იდუმალ გაუჩინარდა და კოლხეთს გადავიდა.

ქუჯიმ დიდის პატივითა და სიხარულით მიიღო მცხეთელი სტუმრები. მაშინვე მტკიცე ფიცით შეეკრნენ ერთურთს, რომ ერთიანი ძალით იბრძოლებდნენ აზონის დასამხობად.

ქუჯიმ ისიც კი განსაზღვრა, ვინ უნდა ყოფილიყო გაერთიანებულ ქართველთა ბელადი და „უფალი". მან უთხრა ფარნავაზს სიტყვა მარად სამამულიშვილოდ სახსოვარი და სანიშანსვეტო:

„თავი და თავი ქართლოსიანნი აღმოსავლეთ ქართველები არიან, ამიტომ შენ გმართებს უფლობა ჩვენი. ახლა წადი, ნუ დაიშურებ ხვატაგსა შენსა და ამრავლე ლაშქარი; და შემდგომაც, თუ ღვთის შეწევნით გავიმარჯვებთ, კვლავ შენ იქნები უფალი ჩვენი, ხოლო მე ქვეშევრდომი შენი".

ქუჯის დიდსულოვნებითა და სიბრძნით გახარებულმა ფარნავაზმა შეჰყარა აღმოსავლეთ და დასავლეთ ქართველთა საომარი ძალები, კავკასიოხის გადალმიდან, კიდევ, ოვსნი და ლეკნი, რომელნიც აზონს დახარკული ჰყოლოდა.

ეტყობა, თვითონ აზონის მომხრეთა ბანაკშიც არ ყოფილა შტკიცე ერთობა. როცა გადამწყვეტი ბრძოლის დრო მოახლოვდა, აზონის ლაშქარი ათასმა რჩეულმა მხედარმა მიატოვა და ფარნავაზის ბანაკს შეუერთდა.

აზონმა მოპირდაპირის ძლიერ ძალებს ბრძოლა ვერ შეჰბედა, მცხეთა მიატოვა და სამხრეთ საქართველოში, კლარჯეთში გადავიდა.

ფარნავაზმა დაიპყრო მცხეთა და სრულიად ქართლი და შეუდგა კლარჯეთისაკენ სალაშქრო სამზადისს.

ფარნავაზი, ქუჯის თანხლებით და ქართველთა გაერთიანებული ძალებით არტანუჯისაკენ დაიძრა. აზონიც ელოდა მას პონტოდან მიღებული ახალი ჯარებით.

ბრძოლა მოხდა არტაანის, ანუ „ქაჯთა ქალაქის" მახლობლად. სისხლიანი რკენა ფარნავაზის გამარჯვებით დამთავრდა. აზონი ბრძოლაში დაიღუპა. ძირი ლაშქრის დიდი ნაწილიც განადგურდა. დანარჩენნი ტყვეებად ჩავარდნენ. მთელი კლარჯეთი თავის დედას — ქართლს შეუერთდა.

ასე შეიქნა ფარნავაზი ქართველთა პირველი გამაერთიანებელი და განთქმულ ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებელი.

ეს ამბავი მოხდა დაახლოებით ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილიდან ოცი-ოცდაათი წლის შემდგომ, IV—III საუკუნეთა მიჯნაზე, სწორედ „ელინისტური ეპოქის" დასაწყისში. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ელინისტური სირიის მეფე, ანტიოქე I სოტერი „ახლო ურთიერთობაში" ყოფილა ფარნავაზთან.

ფარნავაზი მაშინ იყო 27 წლისა, და ეს ახალგაზრდა კაცი ახლად წარმოქმნილ დიდ ქართულ სახელმწიფოს დიდი სიბრძნით და კეთილგონიერებით განაგებდა.

მან ჯერ განახორციელა ადმინისტრაციული რეფორმა. საქართველო დაჰყო საერისთავოებად, რომელთაც სათავეში ჩაუყენა ე რ ი ს თ ა ვ ნ ი. მერე, მან ხელი მიჰყო დიდ აღმშენებლობით საქმიანობას. გაამშვენიერა და ქვის კედელ-ზღუდეებით გაამაგრა სატახტო ქალაქი მცხეთა და მისი მთავარი აკროპოლისი ა რ მ ა ზ-ც ი ხ ე, სადაც აღმართა ახალი კერპი ა რ მ ა ზ. მეფემ აღადგინა ყველა ქალაქი და ციხესიმაგრე, რომელიც კი მანამდე მტრის შემოსევას თუ სტიქიურ უბედურებას დაენგრია. ამას გარდა, დაიწყო ახალ ციხე-ქალაქთა მშენებლობა. ასე აშენდა შ ო რ ა პ ნ ი ს ა და დ ი მ ნ ი ს ციხენი. კოლხეთის შუაგულში კი ქუჯიმ აღაშენა ქალაქი ც ი ხ ე-გ ო ჯ ი.

შემდეგ, ფარნავაზმა განახორციელა ყველაზე დიდი კულტურული ღონისძიება: „განავრცო ენა ქართული... და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

65 წელი იმეფა ფარნავაზმა და მიიცვალა 92 წლის ასაკში.

იგი დაკრძალეს მისგანვე აღმართული არმაზის ფერხთა ქვეშე.

ასეთი იყო საქართველო ჟამსა მსოფლიო ელინიზმის დასაწყისისა, — ქვეყანა, სადაც აგერ უკვე 300 წელიწადი ცხოვრობდნენ ნაბუქოდონოსორ-ბაბილონური ტყვეობიდან თავდახსნილი ებრაელები.

10. ელინისტურ დროჟამსა შინა

მაშ, ალექსანდრე მაკედონელის ნაომარ და ნაოხარ მემკვიდრეობაზე ახლა ე ლ ი ნ ი ს ტ უ რ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ ი წარმოქმნილიყვნენ.

ამათგან მაინც სამი იქნება მთავარი: მაკედონია, ეგვიპტე და სირია.

ხოლო, იუდეა და საერთოდ პალესტინა, ფინიკიასთან ერთად — სირიის ელისნისტურ სახელმწიფოში მოქცეულიყვნენ — მისი პირველი ხელმწიფის, ლაომედონტის ხელქვეით.

მალე, როგორც მოსალოდნელი იყო და მასვე ვარაუდობდა მომაკვდავი მაკედონელი — გაჩაღდა ომი დიადოხოსებს შორის. პირველი გამჩაღებლები კი იყვნენ რეგენტი პერდიკა და ეგვიპტის ხელისუფალი პტოლემეოსი.

ამ ომში პერდიკას პალესტინის დიდი იმედი ჰქონდა, აქაური ბუნებრივი და ხელოვნური სიმაგრეების, აქაური ხალხის. სამარია წინასწარ საგანგებოდ გაამაგრებინა კიდეც, შეტევის მთავარ საყრდენად და, უკანდახევის შემთხვევაში, საიმედო თავშესაფარად.

მაგრამ ამდენიც აღარ დასჭირვებია პერდიკას. ომის დაწყებისთანავე, 321 წელს, მას ჯარი განუდგა, ბრძოლაც წააგო და თვითონაც იმ ბრძოლაში დაეცა.

გალაღდა პტოლემეოსი. პერდიკას განადგურება აღარ იკმარა და ახლა სირია-ფინიკია-პალესტინაც მოინდომა თავისად ექცია. შემოიყვანა კიდეც ჯარები, კიდეე გაიმარჯვა, აქაური ხელისუფალი ლაომედონტი ტყვედ იგდო, ბორკილდასხმული ეგვიპტეს გაუყვანა, მისი ნაბატონარი ქვეყნებიც ალექსანდრიის ტახტს დაუმორჩილა (320 ქრ. წ.).

ერთადერთი, ვინც ამ საომარი კამპანიის დროს პტოლემეოსს წინააღმდეგობა გაუწია, იყო იერუსალემი. ბოლოს და ბოლოს, პტოლემეოსმა მაინც შეძლო იერუსალემში იარაღით შეჭრა. ბევრი აქაური მცხოვრები ტყვედაც აიყვანა და, კიდეე, სამარიელებთან ერთად, ისინიც ეგვიპტეში გაირეკა.

მალე სირია-პალესტინისათვის ომში ჩაერია ა ნ ტ ი გ ო ნ ე, დიადოხოსთა შორის უმამაცესი. პტოლემეოსი ამჯერად დამარცხდა და სირიაზე ხელი აიღო. პალესტინის დაპყრობა უფრო გაუჭირდა, მაგრამ სამი წლის ბრძოლის შემდეგ ისიც დაიმორჩილა ანტიგონემ.

იუდეას მაინც გამორჩეული შემწყნარებლობით ეპყრობოდა ანტიგონე და სამაგიეროდ იუდეველებიც პატიოსანებმით პასუხობდნენ ახალ ხელისუფალს.

სირიის ზოგ ციხესიმაგრეებში მაინც ჩაეტოვებინა ციხიონები პტოლემეოსს. მაშინ შვილი მოეშველა ანტიგონეს — დ ე მ ე ტ რ ი ო ს პ ო ლ ი ო რ კ ე ტ ი („პოლიორკეტი" — „მოალყე" — იმისთვის დარქმეოდა, საალყე მანქანა რომ გამოუგონია), მამამისივით ქველი და მამაცი ახალგაზრდა სტრატეგოსი.

312 წელს მოხდა ბრძოლა, სადაც ერთმანეთს შეებნენ დემეტრიოსი და პტოლემეოსის ჯარდალი, ს ე ლ ე ვ კ ო ს ი. გაემარჯვა სელევკოსს. უკუიქცა დემეტრიოსი, ზემო სირიაში, მთელი კელე-სირია კი მტერს შეატოვა ხელში.

მაინც არ შეურიგდა მამა-შვილი მარცხს, ანტიგონე და დემეტრიოსი. შემოიყარეს დიდძალი საომარი ძალები და წამოემართნენ სამხრეთისაკენ. პტოლემეოსს ამჯერად ურჩიეს დროებით ბრძოლას გასცლოდა, კელე-სირია დათმო და ეგვიპტე ეკმარა. იგი დათანხმდა, აზიიდან გავიდა, მაგრამ გასვლის წინ აკას, იაფას, ღაზის, სამარიისა და იერუსალემის ციხესიმაგრენი მიწასთან გაასწორა.

საომარი ყიავილი არ ცხრებოდა აზია-აფრიკის შესაყარში. 301 წელს კი გადამწყვეტი და სამომავლოდ სანიშანსვეტო ბრძოლა მოხდა, ქალაქ ი პ ს ო ს თ ა ნ, მცირე აზიაში. დიდის საომარი ძალებით შეიბნენ, ერთის მხრით ანტიგონე, მეორეს მხრიდან კოალიცია — პტოლემეოსი, ლისიმახოსი, სელევკოსი და კასანდრე.

ბრძოლა იყო სასტიკი და სისხლდამდნარი. ანტიგონე დამარცხდა და თვითონაც მკვდარი დაირეცა. გამარჯვებულმა ოთხმა სარდალმა, — რომლებიც უკვე „მეფეებად" იწოდებოდნენ — ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრეობა ოთხადვე, ერთმანეთში გაინაწილეს:

პტოლემეოსს — ეგვიპტე და მისი უახლოესი აზიური პროვინციები, ამათ შორის იუდეა;

სელევკოსს — სირია და წინა აზიის უდიდესი ნაწილი;

ლისიმახოსს — მცირე აზია.

ეს კიდევ ახალი პოლიტიკური რუკა ელინისტური სახელმწიფოებისა.

„რუკის განახლება" გაგრძელდება იგივე ტემპით, განუწყვეტელი სისხლის ქცევით; იგი იქნება მუდამ მსწრაფლ ცვალებადი, არამდგრადი, მუდმივად „ჯერჯერობითი", რამეთუ არა და არ დაისვენებენ ჯერ დიადოხოსები (მემკვიდრეები). მათ კვალდაკვალ ეპიგონები (მიმდევრები, ანუ მემკვიდრეთა მემკვიდრენი), და იდენენ სისხლთა ნაკადულნი მთელი ორასი წელიწადი.

იუდეა კი, იპსოსის ბრძოლის დღიდან, ახალ, კვლავ უცხო საბატონოში შედიოდა — პტოლემეურ-ლაგიდურ მონარქიაში. ახლა ეგვიპტეს უხდიდა იგი იმ „სამიწე გადასახადს", წელიწადში 20 ტალანტს.

მეფე პტოლემეოს I, რომელსაც „მხსნელი" („სოტერ") დაერქმია, უფრო ლმობიერად და შემწყნარებლურად ექცეოდა ებრაელებს. იერუსალემში მას თავისი ნაცვალ-მმართველიც კი არ დაუნიშნავს. იუდეის მმართველად იგი თვითონ ადგილობრივ, იერუსალემის მღვდელმთავარს თელიდა, რომელსაც „სულიერი მთავრის" („მაშიას მაგიდ") ტიტულით იხსენიებდა. თავის სატახტოში, ალექსანდრიაში, პტოლემეოსს ესურვილებოდა კიდეც, ბერძნებთან და ეგვიპტელებთან ერთად, ებრაელებიც ჰყოლოდა დამკვიდრებული.

ჯერ კიდევ ალექსანდრეს დროსვე დაუწყიათ ებრაელებს ალექსანდრიაში დასახლება; ახლა კი, პტოლემეოს პირველის მეფობისას, უფრო მრავლად გადასახლებულან და დამკვიდრებულან მათი „მშობლიური ეგვიპტის" ამ ბრწყინვალე ახალშენში და სატახტოში, ელინისტური კულტურის უპირველეს ცენტრში.

მარტო ალექსანდრიაში კი არა, პტოლემეოსმა ებრაული კოლონიები მიმოჰფინა თავის სამფლობელოთა სხვა პუნქტებშიც, განსაკუთრებით მრავლად — კირენაში.

და ყველგან ებრაელებს ჰქონდათ მოქალაქეობრივი უფლებანი თანასწორად მაკედონელებისა, ბერძნებისა, ეგვიპტელებისა.

ებრაელთა მიზიდვას და დასახლებას თავის ტერიტორიებზე სხვა ელინისტი მბრძანებლებიც მიელტვოდნენ, მაგალითად, სელევკოსი, „ძლევამოსილად" („ნიკატორ") წოდებული, რომელმაც 300 წელს, ლიბანის ჩრდილოეთით, დააარსა ახალი დიდი ქალაქი, ანტიოქია. დააარსა და აქვე დაიდგა სამეფო ტახტი. და ამ ახალ სატახტოშიც მისმა დამაარსებელმა მრავლად მიიყვანა და დაასახლა ებრაელნი, განსაკუთრებით სამხრეთ ბაბილონიიდან.

მაკედონელები კი მძლავრობდნენ ქვეყნად. მაგრამ, ზუსტად რომ ვთქვათ, ბერძნულით მძლავრობდნენ. დიდ ბერძნულ, ჰელინურ ენას და კულტურას მოეცვა მსოფლიო, ხმელთაშუა ზღვიდან შუა ინდოეთამდე. ყოველი ხალხი თითქოს გაბერძნების გზას დასდგომოდა. და თითქოს აღარც

არავინ ფიქრობდა: რას ნიშნავდა ეს სამომავლოდ, — ყველა მათგანისთვის, ვითარცა ცალკე ხალხისთვის, ცალკე ერისთვის — აღზევებას, თუ კატასტროფას?!

მაშ, შეუჩერებლად ვიდოდა პროცესი დიდი მაკედონელის ხმლით მოხაზული მსოფლიოს ხალხთა ჰელინიზაციისა, გაბერძნებისა.

და, ერთადერთი (ერთადერთი-მეთქი!) ხალხი, რომელმაც ეს „მსოფლიო მოდა", ანუ „გაბერძნების ციებცხელება", ანუ ეროვნულად „გაუცხოების სნება" ახლოსაც არ გაიკარა, იყო ებრაელობა.

რა იყო იუდეა ამ გაერთსახოვანების ცეცხლზე შემოდგმულ ოკეანეში? — გეოგრაფიულადაც, ეთნიკურადაც უმცირესი წერტილი, პოლიტიკურად სხვისი საკუთრება და საბატონო; ხოლო ის სხვაც, ვისაც იგი ეკუთვნოდა და ვინც მასზე ბატონობდა, იყო ისევე და ისევე ბერძნული სამყარო.

მცირე წერტილი დედამიწისა, რომელიც ისევე იწნიხებოდა დიადი და ყოვლისმომცველი ჰელინური ფენომენისგან, როგორც დანარჩენი მსოფლიო.

მაგრამ მაინც გაუძლო „წერტილმა" ამ „მსოფლიო დაწოლას". არ მიიღო. ან უფრო სწორი იქნება თქმა: მიიღო, კიდეც შეიტყო, კიდეც შეიცხო, მაგრამ სულში არ შეუშვა, საკუთარ ეროვნულ სულს არ აზიარა, საკუთარი ებრაელობით შემოიგარსა, შემოიჯაჭვნა; საკუთარი სჯული, კანონი, ენა და აზროვნება უცხო — თუნდაც უმაღლეს ჰელინურს — არ დააჩაგვრინა, არ დააკნინებინა, არ გადაათელვინა...

და გადარჩა!

ამჯერადაც გადარჩა.

ნებით თუ უნებლიეთ, ინტენსიური და ცხოველი იყო ებრაელის ურთიერთობა ბერძენთან, მაგრამ იგი — ებრაელი — მაინც მარტო იყო, თავისთავთან მარტო.

ახალი მოძღვარიც გამოსჩენოდა იუდეას, სიმონ მართალი, ძე ონიას მღვდელმთავრისა (ონიას — ალექსანდრე მაკედონელს რომ შეხვდა), რომელსაც სრული ღირსებით მიუღია მღვდელმთავრობა თავის მამისგან.

სიმონ მართალის თაოსნობით და თავგამოდებით აღადგინეს ებრაელებმა პტოლემეოსისგან დანგრეული იერუსალემის თავდაცვითი კედელ-ზღუდენი და კარიბჭენი. ეს, უეჭველია, თვითონ პტოლემეოსის ნებართვით, რამდენადაც იმჟამად იუდეა უკვე ეგვიპტის სამფლობელოებში შედიოდა და კიდევაც უნდა დასჭირვებოდა იერუსალემის სიმაგრენი დანარჩენ დიადოხოსთა მხრივ მოსალოდნელ შემოტევათა უკუსაგდებად.

ამასთან, ტაძრის განმაახლებელი და განმამტკიცებელი სამუშაოებიც უწარმოებია სიმონს.

დიდმნიშვნელოვანი იყო მისი თაოსნობით ქალაქის ინტენსიურად წყლით მომარაგება, მრავალქსელიანი აქვედუკის გაყვანით და გაწყობით, რისთვისაც საჭირო თანხები შეძლებულ ოჯახებს გამოაღებინა სიმონმა.

ბრწყინვალე ყოფილა იგი, ვითარცა მღვდელმთავარი, ვითარცა ჭეშმარიტი მასწავლებელი და აღმზრდელი, ჭეშმარიტი „გვირგვინი ხალხისა“.

სიმონის ძისა და მემკვიდრის, ონიას II-ის მღვდელმთავრობა დაემთხვა დიდ პოლიტიკურ მოვლენებს.

ეგვიპტეში, პტოლემეოს I-ის სიკვდილის შემდგომ, ტახტზე ავიდა მისი ძე, პტოლემეოს II ფილადელფოსი (285—246), მეფე სწავლული და განათლებული, რომელიც დაინტერესებული ყოფილა ძველებური წერილობითი ძეგლებით, და მისი ბრძანებით მოსეს სჯულის კანონი უთარგმნიათ კიდეც ბერძნულ ენაზე.

პტოლემეოს ფილადელფოსის თანამედროვენი იყვნენ სირიის ხელმწიფენი, სელევკოს ნიკატორის შთამომავალნი („სელევკიდები“), ჯერ, შვილი — ანტიოქე I სოტერი (280—261), მერე შვილიშვილი — ანტიოქე II (261—246), მლიქვნელ პოეტთაგან „ღმერთად“ („თეოს“) წოდებული.

და, აგერ, ორმოცი წელი მიდიოდა ომები პტოლემეურ ეგვიპტესა და სელევკიდურ სირიას შორის. ბოლოს, როგორც იქნა, თითქოს ეღირსა ზავი ქვეყანას. ზავს თითქოს მოყვრობაც მოჰყვა: პტოლემეოს ფილადელფოსმა თავისი ასული, ბერენიკე, ცოლად მისცა ანტიოქე II „ღმერთს“.

ეს სწორედ ყველასათვის „სანატრელი ქორწინება“ უნდა ყოფილიყო და ასედაც შეფასდა იგი, პოეტურად: სამხრეთის მეფის ასული ჩრდილოეთის მეფესთან მიდის და თან მშვიდობაც მიაქვსო.

მაგრამ ვაი ამისთანა მშვიდობას! ანტიოქე II მანამდე ცოლიანი იყო, ცოლს სახელად ერქვა ლაოდიკე. მეფეებს კი შეთანხმება ჰქონიათ, ანტიოქე ლაოდიკეს უნდა გაჰყროდა. კიდეეაც გაეყარა და ახალ ცოლსაც, ბერენიკეს შეეყარა. მერე, კაცმა რომ სთქვას, ისეთი რა მომხდარა, — პოლიტიკას ხომ ქალის წუხილისა და ცრემლისათვის როდი მოუცლია. მაგრამ ნურას უკაცრავად! ერთი წელიც და, მეფეს რომ ახალგაზრდა ცოლისგან შვილიც შეეძინა, აი მაშინ, განტევებულმა ლაოდიკემ სამივე — მოლალატე ქმარიც, მისი ცოლიც და ახლადშეძენილი შვილიც — ერთმანეთს ზედ მიაკლა.

დედას შვილიც ეხმარებოდა, ტახტისმემკვიდრე სელევკოსი. და იმ დღესვე, მამის მკვლელმა თავი მეფედაც გამოაცხადა. ასე იწყებდა ხელმწიფობას სელევკოს II კალინიკე (246—226).

ამ დროს ეგვიპტის ტახტზეც ახალი პტოლემეოსი იჯდა — პტოლემეოს III ევერგეტი (246—222), რომელმაც მაშინვე დაიწყო ომი, დის მკვლელობისთვის შურისძიების მოტივით. თვითონ სირიაშიც ბევრი ქალაქი გადასდგომოდა თავიანთ ახალ მეფეს, მამის მკვლელ სელევკოს კალინიკეს.

ზედიზედ დაამარცხა ევერგეტმა კალინიკე. დამარცხებულმა ტახტი სულ მიატოვა, ოღონდ კი გაქცევით სიცოცხლე გადაერჩინა.

პტოლემეოს ევერგეტს ისლა დარჩენოდა სირია მთლიანად ეგვიპტის სამფლობელოდ გამოეცხადებინა, მაგრამ მოულოდნელად უაღრესად საშფო-

თარი რამ აცნობეს: თვითონ ეგვიპტის სატახტოში რაღაც დიდი აჯახყება დაწყებულიყო.

ევერგეტს სხვა რაღა გზა ჰქონდა, — უკვე მის ფერხთა წინაშე განრთხმული სირია მიატოვა და სასწრაფოდ ალექსანდრიისკენ გაქუსლა.

სელევკოს კალინიკეც გაქცევიდან შემოიქცა და ტახტზეც არხეინად დაბრძანდა.

მოპირდაპირე, მოძულე მხარეები საზავო მაგიდას მიუსხდნენ და დაიდო კიდეც ზავი, ათი წლის ხანგრძლივობით.

კელე-სირია და მასში იუდეაც კვლავ ეგვიპტის სამფლობელო ქვეყნად რჩებოდა. თითქოს ეს სადავოც აღარ უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ზავზე ხელის მოწერის მომდევნო დღიდანვე სელევკოსი შეუდგა ეგვიპტის აზიურ სამფლობელოთა თავის მხარეზე გადმობირების, თუ „გადმოთრევის" მცდელობას.

კალინიკე განსაკუთრებული დაჟინებით ცდილობდა იუდეიის გადაბირებას. მან კიდევაც დაიყოლია მღვდელმთავარი ონიას II და ერთ დღეს ეგვიპტის სასახლის კარმა შეიტყო, რომ იუდეა ამიერიდან უარს აცხადებს გადაუხადოს ეგვიპტეს ყოველწლიური გადასახდელი 20 ტალანტი.

ამ ამბავმა უაღრესად აღაშფოთა და შეაშფოთა ალექსანდრიის სამეფო სასახლე. ყოველწლიურად 20 ტალანტი თავისთავად ისე ძალიან დიდი არ იყო, რომ ეგვიპტის ხაზინა მისი შეწყვეტით საგრძნობლად დაზარალებულიყო, მაგრამ აქ მთავარი ის იყო, რომ ამ აქტზე დათანხმება ეგვიპტეს უკარგავდა მთლიანად იუდეას. ხოლო, იუდეიის დაკარგვას ეგვიპტისთვის უნდა მოჰყოლოდა კელე-სირიის დანარჩენი ნაკვთების ხელიდან წასვლაც სირიის სასარგებლოდ.

პტოლემეოს ევერგეტმა რამდენჯერმე კატეგორიულად მოსთხოვა იუდეიის მღვდელმთავარს იმ „უმნიშვნელო" ხარკის გადახდა, მაგრამ უშედეგოდ. მერე, ასეთი მუქარაც გამოუშვა ეგვიპტის მეფემ, — თუ გონს არ მოხვალთ, მთელს იუდეას დასასახლებლად დაეურიგებ უცხო ხალხებსო. თან, ევერგეტმა, მოსალაპარაკებლად და „მოსათაფლავად" თავისი ახლო მრჩეველი, ფრიად დახელოვნებული დიპლომატი, ა თ ე ნ ი ო ნ ი გაგზავნა ონიას მღვდელმთავართან. ვერც ათენიონი გახდა რაიმეს. ხალხიც, ეგვიპტის მეფის მუქარით დამფრთხალი, ამაოდ ევედრებოდა ონიასს, დაეთმო და ისევ დაბრუნებოდა ეგვიპტის ეგზომ „უწყინარ" მორჩილებას.

და მაშინ, როცა მდგომარეობა უაღრესად დაიძაბა, უცებ ასპარეზზე გამოჩნდა კაცი, რომელსაც მოჰყვა უნარი ასეთი კრიზისული წუთებიდან თავის დახსნისა.

ამ ახალგაზრდა კაცის სახელი იყო ი ო ს ე ბ, ძე ტობიასი, შვილიშვილი სიმონ მართლისა, დისწული თვითონ მღვდელმთავარ ონიას II-ისა.

იყო იგი გარეგნულად ფრიად მომხიბლავი, გონებით გამჭრიახი, ცბიერი

ანუ ხერხიანი, უაღრესად პატივმოყვარე და ძალაუფლების დაუძცხრალი მაძიებელი.

და მიადგა იოსები ბიძას, ონიას მღვდელმთავარს, და უკიჟინა, რომ იგი თავისი ახირებული სიჯიუტით ღუპავდა ხალხს და ქვეყანას; ახლა სანამ გვიან არ არისო, შენ თვითონ ადექ და შენის ფეხით ჩადი ეგვიპტეში, მეფეს ეახელ, ბოდიში მოუხადე, ხარკი აღუდგინე და იქნებ გაპატიოსო.

კელაე ცივი ღარი სთქვა ონიასმა, — არც ეგვიპტეს წავალ და აღარც ხარკს გადავიხდიო.

მაშინ მე ვგამიშვი ეგვიპტეში და მე ავუხსნი ყოველ ვითარებას ალექსანდრიის სასახლესო, — ახლა ეს მოითხოვა იოსებმა.

ამაზე კი დათანხმდა ონიასი. მაშინ იოსებმა ტაძრის ავლინში ხალხი შეჰყარა და გამოუცხადა: მშვიდად იყავით, მე ეგვიპტეში მივდივარ და გპირდებით, იქ ყველაფერი მშვიდობიანად წარვმართო და დავასრულოო. ხალხიც მოიხიბლა, მადლობა უძღვნა და მისი წასვლაც თავისი სახელით დაადასტურა.

ამოქმედდა იოსები. ჯერ ისევ იერუსალემში მყოფ ათენიონს დაუახლოვდა, თავაზიანობით გააბრუა, მდიდრული საჩუქრებით ააავსო, ნადიმი ნადიმს გადაუბა და, ბოლოს და ბოლოს, დაიყოლია, — შენ ალექსანდრიაში გაბრუნდი მშვიდად და არხეინად, და მეფე დაარწმუნე, რომ მეც მალე ჩამოვალ და აქამდე გადაუხდელ ხარკსაც გაახლებთ-თქო!

ათენიონიც წავიდა იმ იმედით, რომ იოსები მალე უკან გაჰყვებოდა, აღთქმული თანხებით. იოსებიც მართლა ემზადებოდა ეგვიპტეში სამგზავროდ. ამისთვის კი დიდი ქონება, ფული და საჩუქრები იყო საჭირო. ყველაფრის შეგროვება იერუსალემში არ მოხერხდებოდა და იოსებმა ბევრი რამ სამარიელებსაც კი „დასცინცლა“, ლამაზი სიტყვით და „სამომავლო აღთქმებით“.

და გაეშურა იოსები ალექსანდრიაში, მდიდარი ტვირთით ნატვირთი. ათენიონსაც მის ჩასვლამდე ყველაფერი მოემზადებია ებრაელი სტუმრის სასურველი მიღებისათვის. მეფეც ძალზე დაინტერესებულა ამ მომხიბლავი და ჭკვიანი კაცის ხილვის „მონატრებით“.

მაგრამ ალექსანდრიაში ჩასულ იოსებს მეფე იქ არ დახვედრია, — იგი მემფისს გამგზავრებულიყო. იოსებიც არ დაიბნა და ისიც გაეშურა მემფისში.

მეფე პტოლემეოს ევერგეტი დიდის ამბით შეხვდა მას, საკუთარი ეტლით ასეირნა და ასეირა, საკუთარ ტრაპეზზე დაისვა, ყოველივე გულდასმით მოუსმინა და მოსმენილით დიდად მოიხიბლა.

და ასე, მთელი ოცდაორი წელიწადი იოსები იყო კელე-სირიის ხარკის ამკრეფიც და ფაქტიური ერთმმართველიც. დიდძალი სიმდიდრე დაიგროვა და დიდი სახელიც დაიგდო.

223 წელს მოკვდა მისი კეთილისმყოფელი პტოლემეოს ევერგეტი. ამის შემცველელიც ეგვიპტის ტახტზე, პ ტ ო ლ ე მ ე ო ს IV ფ ი ლ ო პ ა ტ ო რ ი (221—205), მუდამ მისი მადლიერი იყო, იმდენად მადლიერი, რომ იოსებზე

საყვედურსაც არავის აბედვინებდა. ერთხელ მეფესთან „უხუმრია“ ვიღაცას: იოსები პალესტინას ტყავს აძრობს ხორციანად და მარტო ძელებსღა სტოვებსო. მეფემ კი ყურიც არ გაიბერტყა, — ვითომ არც გაეგონოს. ან რად გაიგონებდა, როცა მას, უზომოდ მხარჯველს და მფლანგველს, ფუქსავატს, ლოთსა და მრუშს, სწორედ იოსები ავსებდა ფულით, საჩუქრებით, მას პირადად, მის მეუღლე-დედოფალსაც, მათ უახლოეს კარისკაცებსაც.

დრო კი იცვლებოდა, სწრაფი და ადამიანთათვის მოულოდნელი ცვალებადობით.

არ ისვენებდა სელევკიდური სირიის მეფე, ანტიოქე III „დიდი“ (223—187), მუდამ ომებზე მეოცნებე და ომისათვის კი უვარგისი და უმაქნისი.

მაგრამ მაინც სჯობნიდა და სჯაბნიდა ანტიოქე მასზე უარესს, პტოლემეოს ფილოპატორს. ომი დაიწყო და კიდევაც დაამარცხა ზედიზედ ეგვიპტის მეფე. ამის მიზეზი უფრო ის იყო, ეგვიპტელი სარდლები რომ თავის მეფეს ღალატობდნენ და მოპირდაპირის მხარეზე გადადიოდნენ. ჯერ ზღვისპირა ქალაქები ჩაბარდნენ ანტიოქეს — ტვიროსი და პტოლემაისი (ძველი აკა), მერე ხმელეთის შიგნითაც — ფილოტერია, სკვითოპოლისი (ძველი ბეთ-შეან), თაბორი, პელუ, კამუსი, ეფრონი, ფილადელფია (ძვ. რაბათ-ამონი) და, ბოლოს, ანტიოქეს ჯარებმა აიღეს სამარიაც.

ასეთი წარმატებანი სელევკიდური სირიის „დიდ“ მეფეს არგუნა ერთმა 218 წელმა.

ახლა ამ საომარი და ნაომარი ასპარეზის გარეშე დარჩენილიყო მხოლოდ იუდეა. რა სჯობდა ახლა მისთვის, გამარჯვებულის მხარეზე დროზე გადასვლა, თუ დამარცხებულისადმი ერთგულების დანარჩუნება? ანუ — პოლიტიკა თუ ზნეობა? ამის ფიქრში იყო იოსები და ვერ კი გადაეწყვიტა, რა პოზიციაზე დგომა აჯობებდა ეგზომ არამდგრად, განუწყვეტლივ „უპოზიციო“ მსოფლიოში.

მაგრამ, ბედად, ისევ დაასწრო ანტიოქემ და მომდევნო 217 წელს, სალაშქროდ, იუდეიის ნაცვლად თვითონ ეგვიპტე აირჩია. იგი მრავალრიცხოვანი ჯარებით, სპილოებით, ცელებით გაწყობილი ეტლებით, ჩავიდა ჯერ ღაზას, აქედან მივიდა რაფიუმს. და ახლა შეიტყო, რომ მისი თავქარიანი მოპირდაპირე აზრზე მოსულა თუ სხვებს მოუყვანიათ, საომრადაც მომზადებულა და საომარი ძალებით, უმეტეს წილ ბერძნული ფალანგებით, კიდევაც მოსულა მტერთან შესახვედრად.

მაშ, წელი 217. ბრძოლა რაფიუმთან. სასტიკად დამარცხდა ანტიოქე. დამარცხდა, გაიქცა და ირბინა უკანმოუხედავად თავის სატახტო ანტიოქიამდე. ხოლო, სრული მონაპოვარი გასული წლისა სრულადვე დაუბრუნდა ეგვიპტის მეფეს.

მართლაც რომ ბედი სწყალობდა იოსებს. უდიდესად კმაყოფილი დაურჩა

მას ეგვიპტის ხელმწიფე, იმ უმძიმეს ჟამთა შინა ერთგულების შენახვისათვის!

უზომოდ გამდიდრებულიყო იოსები, კელე-სირიის ხარკთა „მარადიული გამგებელი". ეს არ იყო ოდენ პირადი გამდიდრება, — ოქრო აწვიმდა იერუსალემს.

მაგრამ ოქროს წვიმა ოდენ სხეულს აპოხიერებს და არა სულს. უფრო მეტიც: სულს შლის და რღვნის წვიმა ოქროსი.

იოსებს ალექსანდრიის სტუმრობა უყვარდა. ებრაული სჯულით და კანონით ჩაკირულ იერუსალემში კაცი ვერ მისცემდა თავს იმის უფლებას, რასაც თ ა ვ ი ს-უ ფ ა ლ დ ა თ ა ვ-ა წ უ ყ ვ ე ტ ი ლ ალექსანდრიაში.

ორი სიტყვით შეიძლებოდა ამის გამოხატვა: იერუსალემი მკაცრი იეჰოვას საუფლო იყო, ალექსანდრია კი — ვნებაშეშლილი დიონისეი.

და იოსებსაც, ვითარცა კაცს (მაინც კაციშვილს!) უყვარდა დიონისეს საუფლოში ჟამჟამად მაინც ჩაყურყუმალავება. დიახ, სიმონ მართლის შვილიშვილიც კაციშვილი იყო!

და შესცოდა მან საბედისწეროდ. ერთ ღამეს, ალექსანდრიაში, ბერძნულ ორგიასა და ბაკხანალიაში დამთვრალ-გალეშილს, ვიღაც ბერძენმა, სახელად ს ო ლ ი მ ი ო ს მ ა ლოგინში თავისი გარყვნილი ასული შეუწვინა. დილით, გამოფხიზლებულს, იმის შიშით, რომ მეფეს ეს საჩოთირო ამბავი არ შეეტყო, ეს „შეტენილი" ქალი, უკვე ასაკმორეულმა და შვიდი შვილის მამამ, ცოლად შეირთო.

ამ ნაძალადევი და ნაძრახი ქორწინებიდან კი დაიბადა ბიჭი, რომელსაც დაარქვეს ჰ ი რ კ ა ნ ო ს.

ზედმიწევნით მამას ჰგავდა იგი ყრმობითვე და ყმაწვილობითვე — მისებრ მომხიბლავი, ჭკვიანი, ხერხიანი, მოქნილიც და გაქნილიც. ამიტომ გამორჩევით უყვარდა იოსებს ეს ნაბოლარა, „ცოდვიანი გზით" მოვლენილი ვაჟიშვილი, რომელიც მის ნახევარძმებს სძულდათ უკიდურესად.

პირველად მაშინ გამოიჩინა თავი ჰირკანოსმა, როცა ეგვიპტის მეფეს ძე და ტახტისმემკვიდრე შეეძინა (მომავალი მეფე პტოლემაიოს V ეპიფანე). საჭირო იყო მილოცვა და შესაფერისი მისალოც-მისაბედნიერებელის მიტანა ეგვიპტის კარზე. მრავალი მიმლოცველი-ქვეშევრდომი მიაწყდებოდა იმ დღეს ალექსანდრიის სასახლეს, ვინ ვისადმი ჯიბრით და ჯობნით. იოსებს კი ყოველთვის უნდა ეჯობნა. როგორც ყოველთვის მანამდე, ახლაც ყველა უხდა დაეჩრდილა ძეობით გაბედნიერებული უზენაესი ხელისუფლისა და მბრძანებლის წინაშე.

მაგრამ იოსები, ხანდაზმულობის გამო, როგორც ეტყობა, ამ შორსა და საპასუხისმგებლო მგზავრობას პირადად ველარ ენდო და გადაწყვიტა შვილთაგან რომელიმეს ეტვირთა მისი მაგივრობა. მაშინ პირველი ცოლისგან ნაშობმა შვიდივე შვილმა გადაჭრით უარი თქვა ეგვიპტეს გამგზავრებაზე და მამას ურჩიეს, ჰირკანოსი გაეგზავნა, მისი „უსაყვარლესი შვილი".

ასედაც გადაწყდა და ჰირკანოსი ეგვიპტეს გაემგზავრა, ნაირნაირი საჩუქრით და მისართმეველით დატვირთული. ჩავიდა და ერთბაშად ყველა მიმლოცველი დაჩრდილა და დააკნინა, ყველა განაცვიფრა და გააშეთა ებრაელმა ჭაბუკმა. მარტო ის რად ჭღირდა, რომ მეფე პტოლემეოსს ასი ჭაბუკი მონა და დედოფალ კლეოპატრას ასი მონა-მხევალი მიართვა ერთად, ყოველ ამ მონათაგანს თავის მხრივ თითო ოქროს ტალანტი ეჭირა ხელში მეფის თუ დედოფლის მისართმეველად. ასე, — როცა სხვა მოციქულთა და სტუმართაგან ოცოც ტალანტზე მეტი მეფე-დედოფლისთვის არავის მიუტანია, ამ ებრაელმა ჭაბუკმა უცებ აკი 200 ტალანტი მიართვა და მიუბედნიერა! მერე, სანადიმო ტრაპეზზე ხომ სულ დაატყვევა მეფე-დედოფალი, სასახლის კარი, შინაური თუ უცხოელი, თავისი სიტყვით, ქცევით თუ მიმოქცევით ძემან იოსებისამან, შვილიშვილმან ტობიასამან, შვილიშვილიშვილმან სიმონ მართლისაძან!

გამობრუნდა ჰირკანოსი ეგვიპტიდან და, მოულოდნელად, გზაზე გაირკვა, თუ რატომ „დაუთმეს“ და უთავაზეს მას მოძულე ძმებმა ისე თავგამოდებით და „დიდსულოვნებით“ ეგვიპტეში წარგზავნა: წინასწარ მკვლელობა დაეგეგმათ და დახვდნენ ახლა გზაზე, დაქირავებული გაწაფული მკვლელების თანხლებით. მაგრამ როცა გამოუხტნენ და თავს დაესხნენ, არც ჰირკანოსი და მისი მხლებლები დახვედრიან ჯაბნად, — იარაღი დროზე და ხერხიანად მოიკარგეს, თავდამსხმელებს სისხლიც გაადინეს და მათ შორის, თვითონ ჰირკანოსის ძმათაგან ორი კიდევაც მოჰკლეს.

იოსები გამწყრალი შეხვდა შვილს, შვილების დახოცვისთვის, და კიდევ ეგვიპტეში ზედმეტი ქონების დახარჯვისთვის.

მამა-შვილის მომდურაობასა და უმძრახობაში მალე სიკვდილი ჩაერია: 208 წელს გარდაიცვალა იოსები. მისი მაგივრობა, ვითარცა მემკვიდრეს, დარჩენილ შვილთაგან უნდა შეესრულებინა ჰირკანოსს, რადგანაც მას ერთადერთს იცნობდა და აფასებდა კიდეც ეგვიპტელი გვირგვინოსანი.

მაგრამ ძმები არ შეურიგდნენ „უკანონო ძმის“ აღზევებას. მათ მიიმბრეს მაშინდელი მღვდელმთავარი ს ი მ ო ნ II, ძე წინარე მღვდელმთავრის ონიას II-ისა, და ჰირკანოსი ბოლოს და ბოლოს აიძულეს იერუსალემიდან წასულიყო. იგი მივიდა ალექსანდრიაში, „სამართლის საძებრად“. მაგრამ მისი მწყალობელი პტოლემეოს ფილოპატორი გარდაცვლილიყო (205 ქრ. წ.). ხოლო, ახალი მეფე, პ ტ ო ლ ე მ ე ო ს V ე პ ი ფ ა ნ ე, ჯერ მხოლოდ ხუთი წლისა იყო. ამით ესარგებლათ სასახლის კარის გახრწნილ ფავორიტებს, ვიღაც ა გ ა თ ო კ ლ ე ს, მის დას ა გ ა თ ო კ ლ ე ა ს, კიდევ მათ დებს, მათ დედას — ყველას ერთად ყრმა ხელმწიფე სათამაშო ტიკინად ჩაუგდიათ და სასახლე თავზე წამოუცვამთ. ვიღაც ჰირკანოსისთვის კი, ვიღას ეცალა!

იმჟამად კელე-სირიის დანარჩენი პალესტინური და ფინიკიური ქალაქების ელჩებიც იყვნენ ევერგეტის სასახლის კარზე. და ყველა ისინი ერთბაშად შეაცბუნა და დააკნინა იუდეიის წარმომადგენელმა.

მთლიანად პალესტინის და ფინიკიის გადასახადი წელიწადში 800 ტა-

ლანტს აძლევდა ალექსანდრიის ხაზინას. გადასახადებს კი ცალკეული ქალაქებიდან ამ ქალაქთა ცალკე შესვეურები კრებდნენ და წინასწარ ხარკის აკრების უფლებასაც ცალკეულად იჯარით ღებულობდნენ. გასაგები იყო: იჯარის სარგებლიანობა ხარკის აკრებისას მოსახლეობისგან მეტის აღებას და ამ გზით გამდიდრებას გულისხმობდა.

და, მოულოდნელად, ჰირკანოსმა მეფეს შესთავაზა ორმაგის შეტანა, უკეთუ მთლიანად პალესტინა-ფინიკიის ხარკის აკრეფის უფლებას იჯარით მისცემდა მხოლოდ მას, პირადად და ერთადერთს.

მეფე ისევ მოიხიბლა ებრაელის ამ წინადადებით, მაგრამ მაშინვე ჰკითხა: თავდები ვინ იქნება, რომ ამას ნამდვილად შეასრულებო? და ჰირკანოსმაც შეაგება გვირგვინოსან წყვილს: ერთის მაგივრად, ორი უმაღლესი და უზენაესი თავმდები მყავს — მეფე და დედოფალი!

კვლავაც დაატყვევა ასეთმა მაამებლურმა პასუხმა მანამდე მლიქვნელობით თავმოძულებული მეფე და იგი დათანხმდა.

ამრიგად, ჰირკანოსი ეგვიპტის აზიურ სამფლობელოთა ერთპიროვნული ხარკისამკრეფი შეიქნა.

საქმესაც შეუდგა. წინასწარ მეფეს მცველი ჯარი გამოსთხოვა, — ვინ იცის, ხარკის აკრეფისას როგორ დასჭირდებოდა. მეფემაც მისცა 2000 მეომარი.

ხარკის აკრეფაც დაიწყო. იყო წინააღმდეგობანი. მაგალითად, გაძალიანდა ძლიერი ქალაქი ასკალონი (აშკელონ), რომელმაც ჰირკანოსი კარებშიდაც არ შეუშვა. ჰირკანოსმაც კარები მხლებელ ჯარს შეალეწინა, შევიდა, აჯანყებულთა მოთავენი, სულ ოცი კაცი, სიკვდილს მისცა, მათი ქონების კონფისკაცია მოახდინა. დანარჩენებიც მაშინვე ჩაწყნარდნენ და გადასახადიც ფიცხლავ გადაიხადეს.

ამის შემდგომ, ასკალონის სისხლიანი მაგალითით დამფრთხალი ქალაქები თავისი ხელითვე ყურთამდე ულებდნენ კარიბჭეებს და გადასახადებსაც უმალვე მიართმევდნენ ეგვიპტელი მეფის ებრაელ მოხელეს.

იგი მობრუნდა პალესტინაში, მაგრამ იერუსალემს აღარ მივდა. იორდანეს აღმოსავლეთ მხარეს გადავიდა და იქ დასახლდა.

ეგვიპტეში კი, ჰირკანოსის იქედან წამოსვლის შემდეგ, დიდ დროს არ გაუვლია, რომ ხალხისა და ჯარის აჯანყება მოხდა. აჯანყებულებმა მედროვე ფავორიტების ოჯახი, აგათოკლე და ყველა მისიანები ამოჟლიტეს. მაგრამ ამით ქვეყანას არ ეშველა. აჯანყება ანარქიად იქცა. კაცთაგანი არავინ ჩანდა, ქვეყნის გადარჩენისა და წესრიგის აღდგენის საქმეს სათავეში რომ ჩასდგომოდა.

ეგვიპტეში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობით ისარგებლეს კიდევ ორ ელინისტურ სახელმწიფოთა მბრძანებლებმა — ანტიოქე III სირიელმა და ფილიპე V მაკედონელმა. ისინი შეთანხმდნენ სრულიად მარტივად და რადიკალურად: ეგვიპტე, მის სამფლობელო-საბატონოებთან ერთად, შუაზე გაეყოთ.

ფილიპემ ვერ მოიცალა, რამდენადაც იგი მაშინ საომარ მდგომარეობაში იყო რომთან.

ანტიოქე კი ამოქმედდა, მთელის ძალისხმევით. მან ერთბაშად დაიჭირა მთელი კელე-სირია და შეუდგა მზადებას თვითონ ეგვიპტის დასაპყრობად.

და ახლა კვლავ ავანსცენაზე წამოიმართა საკითხი იუდეისა.

იოსების უფროსი ძენი, როგორც მოძულენი ჰირკანოსისა და მისი მოყვარული ალექსანდრიის სასახლის კარისა, მოითხოვდნენ ეგვიპტეს გადასდგომოდნენ და ანტიოქეს მხარეს გადასულიყვნენ. ასე გადაწყვიტეს და თავისიც გაიტანეს: ანტიოქეს ჯარებს კარი გაუღეს და იერუსალემში შეუშვეს (202 ქრ. წ.). ჯარისკაცებმა ტაძარი გაძარცვეს.

ეგვიპტის მცირეწლოვანი მეფის უნიჟო მეურვეთა სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მაინც არ შეურიგდნენ კელე-სირიის და განსაკუთრებით იუდეის დაკარგვას. მათ მოიწვიეს ბერძენი სარდალი ს კ ო პ ა ს ი, რომელმაც თავისი სამშობლო ეტოლიიდან ჩამოიყვანა მოქირავნეთა არმია და ამ არმიით გაეშურა იგი სირია-პალესტინისკენ.

მივიდა სკოპასი და მისელისთანავე დაიჭირა მთელი პალესტინა, იორდანეს ორივე მხარე. იერუსალემი იერიშით აიღეს ბერძნებმა, შიგ შეიჭრნენ და ეგვიპტის მოძულენი და ანტიოქეს მომხრენი, ვინც გაქცევა ვერ მოასწრო, ყველანი შიშველ ხმლებზე ასტუნეს. სკოპასმა იერუსალემში ციხიონი შეაყენა და იუდეის საერთო მეურნეობა ეგვიპტის მომხრე ებრაელობას ჩააბარა.

არც ანტიოქე შეურიგდა იუდეის დაკარგვას. სასაწრაფოდ დაიძრა ძლიერი ჯარებით სკოპასთან შესახვედრად. შეხვდნენ. შეიბნენ, ხერმონის მთის ძირას, ციხექალაქ პ ა ნ ი ო ნ თ ა ნ. გაიმარჯვა ანტიოქემ. დამარცხებული სკოპასი ზღვისკენ გაიქცა და ქალაქ სიდონში ჩაიკეტა.

მიუბრუნდა ებრაელთა ქვეყანას ანტიოქე. იორდანეს ორივე მხარე აიღო და აიკლო. ხელთ იგდო ქალაქები — ბაშანი, აბილუ, გადარა, სამარია და ბოლოს მიადგა თვით იერუსალემს. აქ მის მომხრეებს უკვე მოესწროთ მობრუნება, ანტიოქეს გამოეგებნენ, დიდი ზარზეიმით ქალაქში შეიყვანეს და მისი ჯარი სკოპასისგან დატოვებულ ბერძნულ ციხიონს მიუსიეს და გააწყვეტინეს.

ასეთი ერთგულებისთვის ანტიოქემ იერუსალემზე შეღავათები დაადგინა. ადრე ტყვედწაყვანილი იერუსალემელნი გაათავისუფლა და უკან დააბრუნა. დანგრეული კედლები აღადგენინა და დაზიანებული ტაძარი შეაკეთებინა. მოსახლეობაც სამი წლით გადასახადისგან გაათავისუფლა. საერთოდ იუდეაზე გაწერილი გადასახადი ერთი მესამედით შეამცირა. იერუსალემის სამღვდელოება და უხუცესთა საბჭო, სინედრიონი საერთოდ გაათავისუფლა გადასახადებისაგან.

ამის შემდეგ სიდონი და ღაზა აიღო ანტიოქემ და ამით ეგვიპტესთან მუდამ სადავო აზიური ქვეყნები უკვე მთლიანად თავის ხელში მოიქცია. ახლა ისევ ეგვიპტე დარჩა დასაპყრობელი სელევკიდური იმპერიის ხელისუფალს.

და არც უნდა ყოფილიყო ძნელი კვლავ ანარქიით დადამბლავებული ნილოსის ქვეყნის დაპყრობა.

მაგრამ აზია-აფრიკის ასპარეზზე შემოიჭრა სრულიად ახალი ძალა — „მეხთატეხით მომავალი დასავლეთიდან“.

ეს იყო რომი.

სამშობლო ხალხისა, რომელიც, აგერ, ხუთასი წელიწადია, თავის წინაპრებად თვლის ტყუპ ძმებს, ომის ღმერთის, მარსის ნაშიერთ და მგლის ძუძუთი დაზრდილებს.

და მოდის მას შემდგომ ქალაქი იგი, შეუკავებელი დამპყრობელი და დამჩხობელი ყოველი ხალხისა, თითქოს მართლაც მარსის უძლეველი მახვილით ხელში, მარად გაუნელებელი ყოველთა შთანთქმის მგლური მადით და დაურწყულებელი წყურვილით.

201 წელს რომაელებმა, პუბლიუს კორნელიუს სციპიონის სარდლობით გაანადგურეს გენიალური კართაგენელი სარდალი ჰანიბალი, ამით დაასამარეს ძლიერება თვითონ კართაგენისა და რომი ამითვე შეიქნა მფლობელი მთელი დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის აუზისა. ესეც დასავლეთიო და, — იმ წელსვე რომმა პირი იბრუნა აღმოსავლეთისკენ.

და მისი პირველი „აღმოსავლური აქტი“ გახლდათ ის, რომ მან „მფარველობის“ ხელი დაადო სწორედ ეგვიპტეს.

და ანტიოქეც უმალვე უკან მიაწყდა.

მან ახლა ეგვიპტესთან შერიგება და დამოყვრება არჩია. უკვე თვრამეტი წლის პტოლემეოს V ეპიფანეს ანტიოქემ ცოლად შერთო თავისი ასული.

რომაელები კი უკვე ბალკანეთზე ჩამომდგარიყვნენ. მათი კონსული და მთავარსარდალი, ტიტე კვინკციუს ფლამინინუსი, თავი რომ მუდამ დიდ ელინოფილად მიაჩნდა, — ვითომ თავისი ლეგიონებით საბერძნეთს ათავისუფლებდა მაკედონიის ბატონობისგან. მან თესალიაში, კინოსკეფალესთან, 197 წელს, სასტიკად დაამარცხა მაკედონიის მაშინდელი მეფე ფილიპე V, და საბერძნეთის „ელევთერიაც“ იმით გათავდა, რომ საბერძნეთიც და მაკედონიაც ორივე ერთნაირი ახალი და უმძიმესი რომაული ბორკილების ქვეშ აღმოჩნდნენ. ასე დაემართა დიად საბერძნეთსაც და დიადი ალექსანდრე მაკედონელის სამშობლოსაც.

ახლა მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზი მოქცეულიყო რომაელთა ხელში — დასავლეთიც და აღმოსავლეთიც.

მაგრამ რომის ახალი, „აღმოსავლური პოლიტიკა“ ამით ხომ არ გათავდებოდა?!

მარსის ნაშიერთა და მგლის რძით გაზრდილთა წინაშე აკი აზია იდო!

აზია, — მხოლოდ რომლის დაპყრობის შემდეგ შეგიძლია შენს თავს უწოდო „მსოფლიო“, სულ ერთია, ვინც იქნები — რომი თუ მაკედონია, კიროსი თუ ალექსანდრე; ასეა, რადგან „მსოფლიოობა“ უწინარესად აზიაში გაიაზრება.

აზიაში კი ახლა თურმე ვიღაც ვითომ „დიდი“ ანტიოქე პირველობს. თანაც ისეთი „თავხედობით“, რომ მარტო აზია კი არა, ევროპისკენაც ხელს იპოტინებს, ბალკანეთზეც ამას წინათ შეპაექრება რომაელებსაც შეუბედა. კუდით ქვა კი ასროლინეს, მაგრამ მოიშლის ეს მეფუკა ევროპისკენ ხელის პოტინს? და კიდევაც რომ მოიშალოს, მაინც რა ბედენაა, როცა რომი „გამსოფლიოებისაკენ“ მოილტვის, ხოლო ამისთვის სწორედ აზიის დაპყრობაა აუცილებელი!..

192 წელს რომაელმა სარდლებმა, ძმებმა ლუციუს და პუბლიუს კორნელიუს სციპიონებმა უკვე გადმოსხეს ლეგიონები მცირე აზიაში. ასე დაიწყო ე. წ. „სირიის ომი“.

ამ ომის სტრატეგიულ-ტაქტიკური აღნაგი მთლიანად დაეგეგმა პუბლიუს სციპიონს, გენიალური ჰანიბალის მძლეველს.

გენერალური ბრძოლა მოხდა მცირე აზიაში, ქალაქ მ ა გ ნ ე ზ ი ა ს თ ა ნ. რომაელებმა ანტიოქე და მისი ჯარები გაანადგურეს უსასტიკესად.

რომალეთაგან ნაკარნახევ-ნაბრძანები ზავის მიხედვით ანტიოქეს თავისი ვრცელი იმპერიის ნახევარი წაერთვა. ამის გამო ასეთი სიბრიყვეც „უხუმრია“ ანტიოქეს: ასე სჯობია, რადგან პატარა ქვეყნის მართვა უფრო ადვილი იქნება, ვიდრე დიდისა იყოო!.. მთელი ფლოტიც რომაელებისთვის უნდა გადაეცა დამარცხებულ მეფეს. 15 000 ტალანტიც სამხედრო კონტრიბუციად დაეკისრა მას. ერთი შვილიც, შემდგომში ანტიოქე ეპიფანეს სახელით ცნობილი ავანტურისტი, მძევლად და სციპიონთა ტრიუმფის სამკაულად წაიყვანეს რომაელებმა.

ამ სამარცხეინო მარცხიდან მესამე წელს (187 ქრ. წ.) ანტიოქემ გაღატაკებული ხაზინის შესავსებად ელიმაიდის (სპარსეთის ყურესთან) მდიდარი ტაძრის გაძარცვა მოინდომა და ამ მკრეხელობას კიდევაც შეეწირა: იგი გაოფთრებულმა მლოცველებმა ჩაქოლეს იქვე.

ახლა და ამიერიდან აზიას რომის თვალი ადგა.

თუმცა, ელინისტი ხელმწიფეები, გამორჩევით ეგვიპტელი და სირიელი გვირგვინოსნები, მაინც ისეთ პოზას იჭერდნენ, ვითომ თვითონ იყვნენ სრული ბატონპატრონი, თანაც, არამცთუ მხოლოდ თავის სახელმწიფოში, არამედ სწორედ აზიაში, ანუ „მსოფლიოში“.

ხოლო, მართლაც თავისი საკუთარი „პოზაც“ და „პოზიციაც“ ისევ ჰქონდა ებრაელობას.

ერთი და მთავარი რამ უაღრესად საგულისხმიერო და საგრძნობიერო უნდა ყოფილიყო მაშინდელი ებრაელობისთვის: ექსპანსია, რომელიც იუდეაში ორი მხრიდან, ხან ეგვიპტიდან და ხან სირიიდან მონაცვლეობით მოდიოდა, მაინც და მაინც ერთი ნაკადისა იყო — ელინისტური ნაკადისა.

და ელინიზმის ოკეანით გარშემორტყმულმა მცირე ებრაულმა თემმა, მართალია (როგორც ზემოთაც ითქვა) თავისი სული მთლიანობაში, განუყოფელ ეროვნულობაში შეინარჩუნა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ შესძლო

სრული, „ქალწულებრივი“ სიწმინდით და სისუფთავით დაეღწია თავი თავისთავად დიდი კულტურის გარკვეული ზეგავლენისა და „შემღვრევისაგან“. ბერძნული ენის შესწავლა და ბერძნულად ლაპარაკი მაღალი ტონის ნიშანსვეტად იყო მიჩნეული მთელს მაშინდელ ცივილიზებულ მსოფლიოში. ბევრი ებრაელიც გატაცებით დასწაფებოდა ბერძნულ ფილოსოფიას, ლიტერატურას, ხელოვნებას, თეოლოგიას; ბევრი ბერძნულ სკოლაში სწავლობდა, ბერძნულ გიმნასიონში ვარჯიშობდა, შვილებს ბერძნულ სახელებს არქმევდნენ, ან საკუთარსაც ბერძნულად იკეთებდნენ.

მაინც თავგამოდებით იბრძოდა ებრაული თემი, იმდენად თავგამოდებით, რამდენადაც იცოდა და გრძნობდა, რომ ხმლის ძალით მოტანილი ექსპანსია არ იყო ისე საშიში, როგორც კალმით მოტანილი ექსპანსია.

მთავარი სწორედ სულის გადარჩენა იყო, — ანუ, თუ სხეული უნდა გადარჩენილიყო, სულისათვის უნდა გადარჩენილიყო. სხეულს სწორედ სულის გადასარჩენად უნდა ებრძოლა. უამისოდ, უსულოდ, სხეულს რა აზრი ჰქონდა?

იბრძოდა ებრაული სული, იბრძოდა ისევ თავისი ენით, თავისი რწმენით, თავისი კანონით და ადათით.

და შეიქმნა იერუსალემში მკაცრად ეროვნულ-ებრაული ‘ეფიციულთა კავშირი „ღვთისნიერთა“, ანუ „ხ ა ს ი დ ე ბ ი ს ა“, რომელიც მკვეთრად დაუპირისპირდა ელინიზმისადმი ლტოლვის ყოველ კონკრეტულ გამოვლინებას ებრაულ თემებში.

და ეს იყო ორი უკიდურესობა მაშინდელ ებრაელობაში — ხასიდებისა და ელინისტებისა. მაგრამ ხალხი მაინც ხალხი იყო და იგი არ მიიქცეოდა არცერთი უკიდურესობისაკენ. უკიდურესობის აყოლა და გაყოლა, რასაკვირველია, ხალხსაც ახასიათებს, მაგრამ ამ ცდუნებას იგი მალე თავს აღწევს და ისევ თავის გზით მიდის, „შუალედური“, ანუ „ზომიერი“ გზით.

ძალაუფლება იერუსალემში მაინც ეროვნულ-პატრიოტულ დასს ეჭირა. მას სათავეში ედგა მღვდელმთავარი ო ნ ი ა ს III, ძე სიმონ II-ისა, თავგამოდებული დამცველი ებრაული სჯულის სიწმინდისა და ასევე ელინისტების თავგამოდებული დამთრგუნველი.

მოპირდაპირენიც ძლიერი „ელინისტები“ ჰყავდა ონიასს, სამი ძმა ბენიამინის წარჩინებული ოჯახისაგანა: ს ი მ ო ნ ი, მ ე ნ ე ლ ა ო ს ი და ლ ი ს ი მ ა ხ ო ს ი (ამ ორის ბერძნული სახელებიც მეტყველებენ მათ პოზიციაზე). ამათ მიემხრნენ იოსების ძენი, რომლებიც ონიას მღვდელმთავარს გადამტერებოდნენ ჰირკანოსის სიყვარულისა და მასთან ურთიერთობის გამო.

ჰირკანოსიც გამოსულა იმ ჟამს თავისი ციტადელიდან და ქარანძავიდან. ეგვიპტის ახალგაზრდა მეფეს, პტოლემეოს ეპიფანეს და მის სასახლის კარს არ დავიწყნია თურმე „საყვარელი ჰირკანოსი“. საქმე ის ყოფილა, რომ იორდანეს აღმოსავლეთ მხარის ის ნაწილი, სადაც მაშინ ჰირკანოსი ცხოვრობდა, ანტიოქეს მზითევად მიუცია ეგვიპტის მეფეზე გათხოვილი თავისი ასულის,

კლეოპატრასათვის. და, ახლა, ამ მხარის გადასახადთა აკრეფა და გამგებლობა ეგვიპტის მეფე-დედოფალმა ჩააბარა ჰირკანოსს.

კვლავ ამაღლდა და გამძლავრდა ჰირკანოსი. თავისი ჯარი შემოიყარა და მისი თანხლებით კრებდა ასაკრებელს.

დიდი, თეთრი მარმარილოს სასახლე აიგო, გარშემო თავდაცვითი ზღუდენი და მიწაყრილები შემოავლო, ეზო-გარემო ნადირთა ქანდაკებებით მორთო. პირდაპირ ცლდოვანი მთა ედგა, იმ კლდეში გამოქვაბულები და ქარანძავები მოიძია, ზოგიც თავის ხელით გამოთხარა, მოაპირკეთა და ხშირად იქ ისვენებდა, სტუმრებსაც იქ ღებულობდა; მტრები, განსაკუთრებით მისი მოსისხლე ნახევარძმები არ ავიწყდებოდა, ფრთხილობდა, ქარანძავებში შესავალი ერთი კაცის შესატევარზე დაეყენებია. დღე და ღამ შრომობდა; ხნავდა, თესავდა, ხეს ახარებდა და მებაღეობდა. ჟამ-ჟამად, საყაჩაღოდ მოთარეშე ნაბატეველებსაც გაუხტებოდა და სისხლს ადენდა.

მღვდელმთავარ ონიასთან დიდი მეგობრობა ჰქონდა. თავისი საუნჯის დიდი წილი იერუსალემის ტაძარში დააბინავებინა ონიასს. ამან კიდევ უფრო გააფთრა მოწინააღმდეგე დასისანი, „ელინისტები“ — სიმონ, მენელაოს და ლისიმახოს, და მათთან შეკრული ძენი იოსებისა. მაშინ კი აღარ დაზოგა ისინი ონიასმა და ყველანი გააძევა იერუსალემიდან.

არ დაცხრნენ გაძევებულნი. მათგან უფროსი, სიმონი, კელე-სერიის მმართველს, ა პ ო ლ ო ნ ი ო ს ს ეახლა და აცნობა: იერუსალემის ტაძარში ძვირფასი საუნჯე ინახება, რომელიც თვითონ ტაძარს როდი ეკუთვნისო, ამიტომ კანონით იგი მეფის საკუთრებად უნდა იქცესო. რასაკვირველია, ამით ელინისტებს ერთდროულად ჰირკანოსიც უნდა გაეძარცვათ და ონიასიც მეფის რისხვაში ჩაეგდოთ.

ასედაც მოხდა: აპოლონიოსმა მაშინვე აცნობა ყოველივე თავის მეფეს, ს ე ლ ე ვ კ ო ს IV ფ ი ლ ო პ ა ტ ო რ ს (187—175). ფულზე გაწუწკებულ მეფეს რაღა დააკავებდა. ფული მართლაც რომ ბევრი სჭირდებოდა. მარტო მაგნეზიასთან მიღებული მარცხის შედეგად რომისთვის გადასახდელი 15 000 ტალანტიც საკმარისი სიმძიმე იყო სელევკიდების ხაზინისთვის. ამას გარდა ხომ ანგარიში არ ჰქონდა ხარჯებს სასახლისაკენ, სამხედრო ძალებისთვის, სამტროსა თუ სამოყვროსათვის.

ამიტომ სელევკოსმა არც იმას გაუწია ანგარიში, რომ იერუსალემის საუფლო ტაძარი მამამისის ანდერძითვე ხელშეუხებელ სიწმიდედ ითვლებოდა, და იმ საუნჯეთა გამოსატანად იერუსალემში გაგზავნა თავისი ხაზინადარი ჰ ე ლ ი ო დ ო რ ო ს. ესეც მივიდა იერუსალემს, მაგრამ არ შეუშვა შიგ მღვდელმთავარმა ონიასმა. ჯერ ერთი, ტაძარი წმიდაა და შიგ წარმართი არ შეიშვებაო, მეორეც — მისი საკუთრება ხელშეუხებელიაო. თანაც — ჰირკანოსისა უმნიშვნელო რამ ნაწილია უმეტესი საუნჯისა, რომელიც მთლიანად ქვრივთა და ობოლთა საჭიროებისად არის დაუნჯებულიო.

მაშინ ჰელიოდოროსმა ძალით მოინდომა ტაძარში შესვლა. მაგრამ იხუვ-

ლა ხალხმა, უცხოს გზა მოუჭრა და, ალბათ, კიდეევაც უნდა გადაეთელა. გრძნობადაკარგული გაიტანეს მეფის მეჭურჭლეთუხუცესი მისმა მხლებლებმა ტაძრის ეზოდან. ზეციდან ანგელოზი ჩამოეშვა და იმან დაანარცხა მიწაზე ის მძარცველიო, — მაშინვე გავრცელდა ეს ლეგენდაც.

სიმონი და მისი ელინისტური დასი კი არ ისვენებდა. იგი აღარ შორდებოდა მეფის რწმუნებულს, აპოლონიოსს, დაჟინებით უჩიჩინებდა და აქეზებდა ონიასის და ჰირკანონის დასამხობად. მკელელებიც კი დაექირავებინათ მღვდელმთავრის მოსაკლავად.

მაშინ ადგა ონიას III და თავისი ფეხით ჩავიდა ანტიოქიას, მეფესთან შესახვედრად, საქმის ვითარებათა პირადად მოსახსენებლად და ასახსნელად.

წასვლის წინ კი, თავის ადგილზე დატოვა საკუთარი ძმა, ი ე შ უ ა (ბერძნულად რომ ი ა ს ო ნ ს ეძახდნენ).

წავიდა ონიასი ანტიოქიაში, მაგრამ სელევკოს მეფეს ცოცხალს ვეღარ მიუსწრო. იგი მოეკლა ჰელიოდოროსს და თვითონ გამეფებულიყო. სანამ ონიასი ახალი მეფისთვის რამეს მოიფიქრებდა, ჰელიოდოროსიც მოჰკლეს და ა ნ ტ ი ო ქ ე IV ე პ ი ფ ა ნ ე გაამეფეს (175—163).

ეს იყო კაცი, თითქოს ნიჭიერიც, საქმიანიც. მაგრამ გვარიანად წონასწორობადარღვეული. ამიტომ ბევრი ეკიმატი მას „ეპიფანეს" (დიდებული") მაგივრად „ეპიმანეს" („შეშლილი") ეძახდა, მალულად.

ანტიოქიაში დატრიალებული ამბების კვალზე, კიდევ უფრო გააქტიურდნენ ელინისტი ებრაელები, სიმონი და მისი დასი იერუსალემში. მათ, რადაც უნდა დასჯდომოდათ, უნდა დაემხოთ ონიას III, ეს „გაუსწორებელი ნაციონალისტი".

შეთქმულებაში ჩაითრიეს თვითონ იეშუა-იასონ, რომელსაც ახლა თვითონ ძმისგან დროებით, ანტიოქიიდან მის დაბრუნებამდე, ეპირა მღვდელმთავრის ტახტი. და ამანაც „დროებითს" „მუდმივი" ამჯობინა და ძმას გაუმტერდა. მაშინვე მან ახალ მეფეს, ანტიოქე ეპიფანეს დიდძალი ფული აღუთქვა, ოღონდ კი იგი ეცნო იერუსალემის მღვდელმთავრად და გამგებლად. ფულზე საშინლად წუწკი ეპიფანე უმალვე დათანხმდა და, ამნაირად, იერუსალემის უზენაესი საჭეთმპყრობელობა იეშუა-იასონს დიდ ფულად მიჰყიდა.

ამ ფულის დიდი წილი, როგორც ეტყობა, ჰირკანოსის პირადი საუხჯე უნდა ყოფილიყო.

ამის შემდეგ ჰირკანოსი საისტორიო ასპარეზზე აღარ გამოჩენილა. მას, ალბათ ყველაფერი და ყოველივე მობეზრდა და თავის ბრწყინვალე სასახლეში თავი მოიკლა. ხოლო, ონიასი ჯერ ისევ ანტიოქიაში დარჩენილიყო.

ელინისტები კი კვლავ აგრძელებდნენ თანასისხლიერ ებრაელთა ტრადიციების დასაჩაგრავ აქციებს. იეშუამ, სიმონმა და ძმათა მათთა ანტიოქე ეპიფანეს ახალი თხოვნა მიართვეს: ის იუდეველნი, რომლებიც შეისწავლიან ბერძნულ ენას და თავს გამოიჩენენ ბერძნულ ათლეტურ შეჯიბრებებში, ბერ-

ძნულ-მაკედონური მოქალაქეობის სიაში შეიტანეთო. ამაზეც მაშინვე დათანხმდა მეფე ანტიოქე ეპიფანე.

ამ თანხმობის, ანუ ბრძანების შესატყვისად, იეშუა-იასონმა იერუსალემში ბერძნული სკოლები და საასპარეზო გიმნასიონები გახსნა, ებრაელი ყმაწვილებით გააესო და მათ სასწავლო-სააღმზრდელოდ პედაგოგები საბერძნეთიდან მოიწვია.

ამან ახალი, სრულიად უხერხული სიძნელეები და სირთულეები გამოიწვია, თუნდაც გარეგნულად, ტანის შესამოსელი ბერძნისა და ებრაელისა, — ბერძენი ბავშვები და ყმაწვილები თორმეტ წლამდე მაინც დედიშობილად შიშველნი დადიოდნენ გიმნასიონებში, ხოლო ებრაელისთვის წარმოუდგენელი იყო ტერფზემოთ სიშიშვლე; მით უფრო, რას გამოიწვევდა წინდაცვეთილ მოასპარეზეთა გამოსვლა საასპარეზოს სახილველად თავმოყრილი ხალხის წინაშე?!

და, არა მარტო საერთოდ ებრაელ ხალხში, თვითონ „ნოვატორ-ელინისტთა“ შორისაც უკვე გაჩდნენ ისეთები, რომლებიც ასე რადიკალურად „გაბერძნების“ წინააღმდეგ იმაღლებდნენ ხმას.

ეტყობა, იეშუა-იასონიც დააფრთხო საკუთარმა რადიკალიზმმა, მაგრამ სანამ იგი უკანდახევას მოასწრებდა, უკიდურესმა ელინისტებმა უმალვე ახალი მღვდელმთავრობის კანდიდატი წამოაყენეს — ო ნ ი ა ს-მ ე ნ ე ლ ა ო ს ი.

ეს კაცი მანამდე თვითონ იეშუა-იასონს გაუგზავნია ანტიოქიაში, ხარკის ჩასაბარებლად. მაშინ იდროვა, თურმე, მენელაოსმა და მეფე ანტიოქე ეპიფანეს შეჰკადრა: თუ იეშუა-იასონს გადააყენებ და მის ადგილს მე მომცემ, შენს ხაზინაში წელიწადში 300 ტალანტით მეტს შემოვიტანო. და, ანტიოქეც „რაის ჩიტი“ იყო არ დათანხმებულიყო!

ასე, 172 წელს, იერუსალემისა და იუდეის სჯულიერი ცხოვრების საჭეთმპყრობელი შეიქნა მ ე ნ ე ლ ა ო ს ი, ებრაელობაში რომ ონიასი ერქვა. ახალ მღვდელმთავარს ანტიოქიიდან თან ჩამოჰყვა მეფისგან მიმაგრებული კვიპროსელ ბერძენთა ჯარი, ს ო ს ტ რ ა ტ ე ს სარდლობით. თუ საჭირო გახდებოდა, ამათ იარაღის ძალით უნდა აეყვანათ მღვდელმთავრობის ტახტზე მენელაოსი, და ახალი, უფრო დამძიმებული ხარკიც ამათი საშუალებით ამოეღოთ მოსახლეობისგან.

იეშუა-იასონმა ისღა მოახერხა იერუსალემიდან გაქცეულიყო. მან გადაელო იორდანე და მივიდა იდუმეაში, სადაც ახლა სახლობდა არაბული ტომი ნაბატეველებისა, რომელთა მთავარმა, ა რ ე ტ ა მ, შეივრდომა და შეიფარა დაცემული და ლტოლვილი ებრაელი.

სიმშვიდე დავიწყნოდა იერუსალემს. ახალი რენეგატისა და ვიგინდარას საჭეთმპყრობელობამ უარესად აალელვა ხალხი. მენელაოსის „ვიგინდარობა“ ის იყო, რომ იგი არ ეკუთვნოდა სამღვდელოთა საგვარეულოს. იგი არ იყო არც არონიდი, არც ლევიტი, არამედ იყო ერთი მდაბიო ბენიამინის ტომისაგანი. ამასთან, ყველამ იცოდა მენელაოსის უკიდურესი განდგომა ეროვნულ-

ებრაული სულისაგან და, მისი „გაუცხოება-გაბერძნება“, პირადი სახელიდან დაწყებული და სულით-ხორცამდე დასრულებული.

მალე ანტიოქე თვითონ მენელაოსს გაურისხდა. ეს მაშინ, როცა ალთქმული ხარკი, ისე გაზრდილი რაოდენობით, ვეღარ ამოიღო იერუსალემში. სასწრაფოდ ჩემთან გამოცხადდითო, უბრძანებდა მეფე მენელაოსს და სოსტრატეს. ესენიც წავიდნენ ანტიოქიაში.

წასვლის წინ, თავის ადგილზე მენელაოსმა თავისი ძმა, ლ ი ს ი მ ა ხ ო ს ი დატოვა, მისებრ თავზეხელაღებული და ანტიეროვნული ავანტურისტი. წასვლისას კიდევ, მენელაოსმა თან წაიღო იერუსალემის ტაძარში დაცული საუნჯის ნაწილი, რათა იქ, ანტიოქიაში მეფისთვის მიეთვალა და „შეევსო“ ხარკის ის დანაკლისი, რომლის ამოქაჩვა მან და სოსტრატემ ვერ მოახერხეს.

მაგრამ იერუსალემიდან მისულებს მეფე ანტიოქიაში არ დახვდათ. იგი სასწრაფოდ წასულიყო კილიკიაში, ადგილობრივთა რაღაც მღელვარების ჩასაქრობად. ადგილზე კი, სასახლის მოსავლელად, ერთი თავისი ფავორიტი დაეტოვებინა მეფეს, სახელად ა ნ დ რ ო ნ ი კ ე, რომელსაც მენელაოსმა მოპარული განძიდან რამდენიმე ნივთი უძღვნა და მისი გულიც მოიარშივა.

აი, მაშინ გამოჩნდა აქამდე „დაკარგული“ ყოფილი მღვდელმთავარი ონიას III და ასტეხა განგაში: მენელაოსმა იერუსალემის საუფლო სალოცავი გაძარცვა და პასუხი უნდა მოეთხოვოსო.

მაშინ იჩქარა სამეულმა — ანდრონიკემ, მენელაოსმა, სოსტრატემ, — მეფემ არ მოგვისწროსო, ონიასი აპოლონის ტაძრიდან გამოიტყუეს და მოკლეს.

სანამ მეფე დაბრუნდებოდა, მენელაოსმა იერუსალემს ერთგული მსახურნი აფრინა, რათა იქ დატოვებულ ძმას, ლისიმახოსს, ტაძარში დარჩენილი განძი გამოეტანა და ისიც მისთვის გაეგზავნა, ანტიოქიაში. რასაკვირველია, ეს ახალი ნაძარცვიც მექრთამე მეფის მოსაქრთამავად სჭირდებოდა, სასწრაფოდ.

მაგრამ, ის იყო, განძი ღამით, ლისიმახოსმა და მისმა თანამძარცველებმა ტაძრიდანაც გამოიტანეს და ქალაქიდანაც, ეს შეიტყო სწორედ ქალაქგარეთ მცხოვრებმა ებრაელობამ და ატყდა განგაში. წამოიშალა მთელი იერუსალემი. ხალხი მძარცველებს მიაწყდა და, სიკვდილის მუქარით, მოსთხოვა უკანვე ტაძარში დაბრუნებულიყო საუფლო განძი.

ლისიმახოსს კი მცველად 3000 მეომარი ჰყავდა, მისებრ მძარცველისა და ბოროტმოქმედის, ვინმე ა ბ რ ა ნ ა ს მეთაურობით, და მათი იმედით ხალხის მოგერიებას შეეცადა. აგრე არ უნდაო და, ხალხი გრიალით მიეხვია მძარცველებს. ვის რა მოხვდა ხელში, იმით მიუხტა. ყველანი ჩახოცეს. თვითონ ლისიმახოსი ზედ ტაძრის კარებს მიაკლეს.

ანტიოქე ეპიფანემ, კილიკიიდან დაბრუნდა თუ არა, მაშინვე შეიტყო რა ამბავიც დატრიალებულიყო იერუსალემში. თავის მხრივ მენელაოსი მეფეს არწმუნებდა, რომ იერუსალემში მომხდარი ამბები შენს წინააღმდეგ ადგილობრივთა აჯანყება იყოო.

მეფემ სასამართლო გამოძიება დანიშნა, მაგრამ არა იერუსალემში, არამედ ტვიროსში. იერუსალემიდან ტვიროსში გამოძიებაზე ჩავიდა უხუცესთა საბჭოს, სინედრიონის სამი წევრი, რომელთაც თვალნათლივ დაამტკიცეს ძმათა მენელაოსისა და ლისიმახოსის მიერ იერუსალემის ტაძრის გაძარცვის სინამდვილე. თითქოს, მენელაოსიც შესაფერის სასჯელს ვეღარ უნდა გადარჩენოდა, მაგრამ მან ისევ მოახერხა მეფის მოქრთამვა. ბოლოს ეს ბინძური საქმე ისე გათავდა, რომ ანტიოქე ეპიფანემ მენელაოსი გაამართლა, ხოლო მისი ბრალმდებელნი, ის სამი პატიოსანი მოწმე სამღვდელონი სიკვდილით დაასჯევინა!

მთელი ტვიროსის მოსახლეობა გააოცა და გააოგნა ასეთმა უსამართლობამ. ტვიროსელები თანაგრძნობით მიეგებნენ იერუსალემელთ, მრავლად რომ მოჯარულიყვნენ თავისი ქველი თანამოქალაქეების დასატირებლად.

მენელაოსი კი, — ეს შარაგზის ყაჩაღი, მძარცველი და მკვლელი — ისევ დასვა იერუსალემის და მთელი იუდეიის გამგებლად სირიის მეფემ.

დაჯდა ეს უტიფარი და გაოგნებულ და გაბოროტებულ თავის ხალხთან შერიგებაც კი არ უცდია. პირიქით, მუდამ კრიჭაში ედგა ხალხს და განუწყვეტლივ ამბენდა მას სირიის მეფესთან: ჩემი ძმა იმიტომ მოკლეს და მეც იმიტომ მებრძვიან, თქვენს ერთგულებას რომ არ ვღალატობ და ამათებრ ეგვიპტეს არ ვეკურკურებიო.

ანტიოქე ეპიფანე კი ეგვიპტის დასალაშქრავად ემზადებოდა და ზურგში იუდეიის აჯანყებისა, ბუნებრივად, ეშინოდა. ამიტომ აკრაში მდგარ ციხიონს ამაგრებდა და იქედან იერუსალემი მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ მოექცია.

ეგვიპტეში ლაშქრობაც მალე დაიწყო. საამისო საბაბიც გამოინახა.

181 წელს მოკვდა მეფე პტოლემეოს V ეპიფანე. დარჩა დედოფალი კლეოპატრა, ანტიოქე III-ის ასული, ორი ძით — ორივე მცირეწლოვანი, ფ ი ლ ო მ ე ტ ე რ ი და ფ ი ს კ ო ნ ი. ტახტი მიეკუთვნებოდა უფროსს, ფილომეტერს. ქვეყნის ფაქტიური მმართველები იყვნენ საჭურისები — ე ვ ლ ა ი ო ს ი და ლ ე ნ ა ი ო ს ი.

ანტიოქე სირიელს აშინებდა მხოლოდ რომი, რომელიც მფარველობდა ეგვიპტეს. მაგრამ მაშინ რომს მძიმე ომი ჰქონდა მაკედონიის მეფე პ ერ ს ე ო ს თ ან („მესამე მაკედონური ომი", 171-168), და იმის იმედით, რომ რომს არ ეაცლა, ანტიოქემ დაიწყო ლაშქრობა ეგვიპტის დასაუფლებლად. პელუზიუმამდე მივიდა, აქ წინგადამდგარ ეგვიპტელთა ჯარს შეება, გაიმარჯვა და შევიდა კიდეც ეგვიპტეში. ყმაწვილი ფილომეტერი და მისი ორივე მეუღლე გაიქცნენ ეგეოსის ზღვაში, კუნძულ სამოთრაკიაზე. ანტიოქემ დელტა გადაიარა და მიადგა ეგვიპტის სატახტოს. ალექსანდრიელები არ შეუშინდნენ მტერს. უმცროსი უფლისწული, ფისკონი, მეფედ გამოაცხადეს და ალყად მომდგარ ანტიოქეს ჯარებს სასტიკი ბრძოლა გაუმართეს. ჯიდილი გაჭიანურ-

და. სირიის მეფეს ალექსანდრიის დაუფლების იმედი წარეკვეთა და შერიგება ამჯობინა. შერიგება კი გაქცეულ ფილომეტერთან არჩია და მოიწვია კიდეც იგი მოსალაპარაკებლად. საზავო მაგიდასთან კი გამოირკვა, რომ ანტიოქე ომის შეწყვეტას არ აპირებდა. მე ომს შენი გულისთვის ვაწარმოებო, — ამას უმტკიცებდა და ვითომ ატყუებდა „ამ ბავშვს". მაგრამ ტყუილი არავინ დაუჯერა. რომიც ავი თვალით იყურებოდა, ალექსანდრიასთანაც ვერაფერს გახდა და ბოლოს, ანტიოქე ეგვიპტიდან ხელცარიელი გამობრუნდა.

მაგრამ სანამ მობრუნდებოდა, მასზე ადრე ეგვიპტიდან იერუსალემში ხმა მოვიდა, ანტიოქე სირიელი ბრძოლაში დაიღუპაო. მთელი ქალაქი საზეიმოდ აიმართა. უცებ მოიჭრა ათასი მეომრით ნაბატეელებთან თავშესაფრად მდგარი მღვდელმთავარყოფილი იეშუა-იასონი. მოიჭრა იერუსალემის დასაუფლებლად.

მენელაოსმაც გამოაგება საგარნიზონო სამსახურის ჯარები და იერუსალემის კედლებს გარეთ გაჩაღდა ომი. იასონმა და მისმა მეომრებმა ქალაქში შეჭრა მოახერხეს და ახლა იქ გააჩაღეს მენელაოსის მომხრეთა ჟლეტა. მენელაოსი გაიქცა, აკრას შეასწრო და იქ ჩაიკეტა. იასონი გარს შემოერტყა აკრას.

ამ დროს ანტიოქეც გამოვიდა ეგვიპტიდან, და, როცა შეიტყო, რაც ხდებოდა იერუსალემში, მაშინ ეგვიპტეში მარცხისა და რომის წინაშე შიშის წყალობით მიღებული ჯავრი და ბოღმა ერთბაშად „საძულველ ებრაელებზე" გადმოანთხია. იგი შეიჭრა იერუსალემში და სრული გამხეცებით შეუდგა ხოცვა-ჟლეტას. მისი მეომრები აღარ ინდობდნენ არც კაცს, არც ქალს, არც ჩვილს და არც მიხრწნილს. შევარდა ტაძარში ანტიოქე, არ დატოვა არცერთი კუთხე-უურე და რაც რამ მოიხილა და მოიხელა, ყოველივე მოიტაცა და მოიძარცვა. „თავხედურად შევარდა წმიდათაწმიდაში, აიღო სამსხვერპლო ოქროსი, სასანთლე და ყოველივე ჭურჭლეული მისი; ტაბლა საწირავი, ფიალები სასხურებელი, ბარძიმი ოქროსი, კრეტსაბმელი, გვირგვინები, ტაძრის გარეთა მოკაზმულობანი ოქროისა. მიითვალა ვერცხლი და ოქრო, ჭურჭლეული ძვირფასი და მიიტაცა განძი გადამალული. რაცაც მიაგნო, ყოველივე მობოვა და წავიდა თავის ქვეყანაში, მკვლელობით და ყოყოჩობით".

გლოვობდა იერუსალემი, უმძიმესი ძაძით მოსილი. ანტიოქე კი, ამ საშინელი, ველური და სამარცხვინო ტრაგედიის დატრიალების შემდეგ, ისევ შეუდგა ეგვიპტეში ლაშქრობის განხალებისთვის სამზადისს.

გაილაშქრა კიდეც. ალექსანდრიამდეც მიაღწია დაუბრკოლებლად, მაგრამ ძმებმა ფილომეტერმა და ფისკონმა რომის სენატს ელჩობა გაუგზავნეს და შემწეობა ითხოვეს.

სასწრაფოდ ჩამოვიდა რომიდან კომისია, გ ა ი უ ს პ ო პ ი ლ ი უ ს ი ს მეთაურობით.

და მისელისთანავე მიიხმო თავისთან პოპილიუსმა ანტიოქე. მეფე მიეახლა და მარჯვენა ხელი გაუწოდა, მაგრამ რომაელმა აზიელს ხელის ჩა-

მორთმევის ნაცვლად მიაჩეჩა ფირფიტა, რომელზეც ლაკონურად ეწერა სუსხიანი ბრძანება რომის სენატისა: „დაუყოვნებლივ შეწყვიტე ომი ეგვიპტესთან!“

მოულოდნელობით ზარი დაეცა მეფეს. ძლივსღა ეს ამოილუღლუღა: კარგი, ჩემიანებს მოვეთათბირები და პასუხს მერე მოგახსენებთო.

და მაშინ კიდევ ახალი და უარესი მოულოდნელობა: პოპილიუსმა ჯოხი აიღო, ანტიოქეს ფეხებთან გარშემო შემოუხაზა და გაუბზარავი ხმით უბრძანა: „აი, სანამ ამ წრიდან გამოხვალ, მომეც პასუხი, რომელიც სენატს უნდა წავუღო!“

და ამოიგმინა ახალი მეხით განადგურებულმა მეფემ:

„შევასრულებ, რაც სენატმა ბრძანა“.

და შეასრულა კიდეც. სასწრაფოდ მობრუნდა იგი ეგვიპტიდან, დამცირებული და დაქვესკნელებული.

ამიერიდან სელევკიდური სირიის მბრძანებლებმა საბოლოოდ აიღეს ხელი ეგვიპტესთან ჭიდილზე, რადგან რომის დიქტატი საბოლოოდ დამკვიდრდა აღმოსავლეთში, როგორც მოძალადე მფარველიც და აშკარა მბრძნებელიც.

ანტიოქემ კი, ეგვიპტური სირცხვილით დამცირებულმა და გაბოროტებულმა, მთელი თავისი ბოღმა და ცოფი თავს დაატეხა ებრაელ ხალხს. იგი შეიჭრა იერუსალემში ისე გახელებით და გამხეცებით, ნაბუქოდონოსორსაც რომ არ დაუთვია იმ უბადაღებულ ნაბუქოდონოსორობის ჟამს.

მიუშვა იერუსალემზე ანტიოქემ ვინმე ა პ ო ლ ო ნ ი ო ს ი, ადრე მეზიის ოლქის მმართველი და სისასტიკით სულის ამომხდელი, და ამან ერთ შაბათ დღეს, — როცა ებრაელებს ხელის განძრევაც ეკრძალებათ, გაუგონარი ხოცვაჟლეტა გამართა ქალაქის ქუჩებში. ხოცავდნენ ყველას, ვისაც დაეწეოდნენ და მოახელებდნენ — კაცსაც, ქალსაც, ჩვილსაც და ბერსაც. მერე, სისხლი რომ მოიყირჭეს, ხალხი მონად გასაყიდად გაირეკეს. ქალაქის კედლებიც, მათთან ყველა თვალსაჩინო შენობაც, ერთხელ კიდევ დაანგრიეს, დაამიწეს და ისე დააგდეს.

ვინმე ბერძენი კ ა ლ ი ს თ ე ნ ე, მისი წინაპარი ჰეროსტრატესავით, ისტორიას იმით შემორჩენია, რომ იერუსალემის ტაძრის ბრწყინვალე კარიბჭეები დაუწვავს. თვითონ ტაძარი გაძარცვას მხოლოდ იმით გადაურჩა, რომ იგი მანამდე გაეძარცვა თვითონ მენელაოსს.

მთელი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა დაეკარგა მაშინ იერუსალემს, ისე უღვთოდ გაწყვეტილი, ან საქონლად გატაცებული. მხოლოდ „ელინისტურად განწყობილი“ მოქალაქენი თუ გადაურჩნენ ასე ველურად მოვარდნილ სიკვდილს. ამათ გარდა, მხოლოდ ის გადარჩა, ვინც რაღაც მანქანებით სიკვდილს გაასწრო და გადაიკარგა. ქალაქი, „დედამიწის სიხარული“, დაცარიელდა, ჩაქრა და ჩაკვდა.

მენელაოსი, ეს უბოროტესი მტერი და მავნე თავისი ხალხისა, თითქმის მარტო დარჩა. იგი თითქოს მაშინღა მიხვდა და „იუხერხულა", რომ თუ ხალხი აღარ იქნებოდა, მისი „მმართველობა" და „მღვდელმთავრობა" რაღა უნდა ყოფილიყო? ამიტომ იერუსალემის ახალი დასახლების გეგმა მიართვა და მიუმლიქვნელა მან ანტიოქე მეფეს: იერუსალემში ის ებრაელობა დავასახლოთ, ვინც ებრაულ სჯულს და კანონს უარყოფს, დაივიწყებს და ყოველგვარ ბერძნულს მიექცევაო. ანტიოქესაც მეტი რა ენდოდა და დასტური დასცა. ამასთან მან, საყვირების ცემითა და მაცნეების ბღავილით, იუდეიის ყოველ ქალაქსა და კუთხეში გამოაცხადებინა თავისი შეუვალი ბრძანება: ამიერიდან ყველას ეკრძალება თაყვანისცემა ებრაელთა ღმერთისა, უნდა დაემხოს ყველა მისი საკურთხეველი და მათ ნაცვლად ყველგან აღიმართოს ბერძენ ღმერთთა ქანდაკნი და სამსხვერპლონი, სადაც მსხვერპლად უმეტეს წილად დაკლან ღორები! სიკვდილით დასჯა ცხადდებოდა წინდაცვეთისთვის, შაბათის უქმობისთვის და ტიტუალური ჭამა-სმისთვის. საგანგებოდ სასტიკი და გულქვა მეთვალყურენი ინიშნებოდნენ ამ ბრძანებათა ცხოვრებაში გასატარებლად. სიკვდილით დასჯა ხდებოდა ადგილზევე, „დანაშულზე" წასწრებისთანავე.

და ასე — დიდი ბერძნული კულტურის ეგიდის ქვეშ, „დაამკვიდრეს სასაძაგლე გატიალებისა სამსხვერპლოსა ზედა და წამოჭიმეს ბომონები იუდას ქალაქთა შინა... უკეთუ იპოვნიდნენ წიგნსა სჯულისასა, ხევდნენ და წვავდნენ ცეცხლითა, უკეთუ ვინმეს უპოვნიდნენ წიგნსა აღთქმისასა, ანუ თუ ვინმე სჯულს აღიარებდა, ხოცავდნენ სამართლითა მეფისათა... დედებს, რომლებიც თავიანთ ახალშობილთ წინადაუცვეთდნენ, იქვე ახრჩობდნენ. ჩვილ ყრმათა კისრებით კიდებდნენ, მათ სახლებს არბევდნენ, წინდაცვეთილებს ხოცავდნენ".

ყველაზე თავხედური მკრეხელობა ანტიოქე მეფისა: მან ებრაული იეჰოვას ტაძარი ბერძნული ზევსის სახელობაზე გადაანათვლინა. ამ ცოდვიანი პროცედურისას, ბერძენმა „მაკურთხებლებმა" ტაძრის წმიდათაწმიდა საკურთხეველზე ღორი დაკლეს და მისი სისხლი ტაძრის ყოველ კედელ-ყურეს მიმოანთხიეს, ხორცი მოხარშეს და ნახარში ებრაელთა წმიდა წიგნს, თორას გადაასხეს, მას უკან კი, თორა დაწვეს. ღორის მოხარშული ხორციც იქ დამსწრე, უკვე „გაბერძნებულ" ხალხს აჭამეს. იერუსალემის იეჰოვას საკურთხეველზე ახლა ოლიმპიელი ზევსი აღმართულიყო.

მაშ, გადაწყვეტილი ყოფილა ებრაელობის წაშლა და წარხოცვა მიწისაგან პირისა. ეტყობა, ებრაულ ენაზე ლაპარაკიც იკრძალებოდა, რამდენადაც, მეფის ბრძანებით, „მთელს მის სამეფოში ყველა ხალხი ერთნაირი უნდა ყოფილიყო".

და იბრძოდა ებრაელობა, ებრაელობის გადარჩენისთვის. იბრძოდა, ეწამებოდა, ეროვნულ სჯულს, ზნეობას, ენას და მოქალაქეობას არ ელეოდა. მრავალნი „დადგნენ მტკიცედ", მრავალთა „არჩიეს სიკვდილი, რათა არ წაბილწულიყვნენ და არ შეერყვნათ აღთქმა წმიდაი, და ასე დაიხოცნენ".

რაკი საჭირო გახდა, სჯულიერ-სულიერი თავისთავადობის ეხარჩუნებისათვის, ებრაელმა სიკვდილიც გაიადვილა.

მაშ, ან სიკვდილი, ან ეროვნული გადარჩენა!

აი, არსი ყოველი ეროვნული სულის აჯანყებისა.

ხოლო, კლასიკოსნი ამა საქმისა — ებრაელნი...

17. მ ა კ ა ბ ე ლ თ ა

აჯანყების ძალმოსილება სწორედ შერჩენოდათ ისრაელიანებს.

საჭირო იყო მხოლოდ ბელადი.

და ისიც გამოჩნდა.

ბელადი — ერთი ოჯახი, მამა და შვილები, გვარად მ ა კ ა ბ ე ლ ნ ი, ანუ ხასმონელნი, იერუსალემიდან ლტოლვილნი და ქალაქ მ ო დ ე ი ნ შ ი დასახლებულნი.

მამა — მ ა ტ ა თ ი ა, მღვდელი მოდეინისა, და მისი ხუთი ვაჟი:

ი ო ხ ა ნ ა ნ გ ა დ ი,

ს ი მ ო ნ თ ა ს ე ი,

ი უ დ ა მ ა კ ა ბ ე ლ ი,

ე ლ ი ა ზ ა რ ა ნ ა რ ა ნ,

ი ო ნ ა თ ა ნ ა პ ფ უ ს.

„აჰა, სიწმიდენი ჩვენი, მშვენებანი ჩვენი, სახელი გატიალდა, წარმართებმა წაბილწეს. და რაისთვის გვინდა კვლავაც სიცოცხლე?“ — ჰგოდებდა მატათია დაქცეულ საშობლოს.

იდგა ქრისტესშობამდე წელი 167.

მოდეინში მეფის მოხელეები მოვიდნენ, მათი მეთაურის, ა პ ე ლ ე ს ი ს მეთაურობით. გადასახადი უნდა აეღოთ, ბერძნული ბომონებისათვის მსხვერპლი შეეწირათ. მატათია გამოიხმეს და მოსთხოვეს: შენ ამ ხალხის წინამძღოლი და პატივდებული კაცი ხარ, ვაჟებით და ძმებით ძლიერი, ამიტომ მიდი, პირველმა შენ აასრულე მეფის ბრძანებანი და ხალხიც შენ მოგყვება. სამაგიეროდ შენ და შენს შვილებს მეფე შეგიყვარებთ, პატივს მოგაგებთ, ოქროთი და ვერცხლით აგავსებთო.

რაო? რაც მეფეს თავის სამეფოში ხალხები ჰყავს, ყველამ რომ თავის მამა-პაპის სჯულს უღალატოს და მაგ მეფის მცნებებს აეკიდოს, „მე მაინც ჩემი შვილებით და ჩემი ძმებით ჩემ მამა-პაპათა აღთქმაში დავრჩები. შორს ჩვენგან განრინება ჩვენი ცნებებისა და სჯულისაგან! ჩვენ მეფის სიტყვას არ დავემორჩილებით, არ გადავუხვევთ სჯულსა ჩვენსა, არცა მარჯვნივ და არცა მარცხნივ!“ — გამოაცხადა მატათიამ.

ამის თქმა იყო და კაცი ვინმე მისი მრევლისა წარმართულ კერპთან მიეიდა და მსხვერპლის შეწირვას შეუდგა.

გაცოფდა მატათია, მახვილი იძრო და ზედ იმ ბომონზედვე მიაკლა კაცი იგი გადარჯულებული.

აპელესი და მისი მხლებლები შეეცადნენ ჩარეულიყვნენ. მაგრამ მატათიას ვაჟებსაც გაეძროთ მახვილები, მიცვივდნენ, აპელესიც იქვე დაკლეს, მისი გუნდიც ზედ მიაყოლეს, წარმართული საკურთხეველიც დალეწეს.

ხალხს მიუბრუნდა მატათია და მოუწოდა: ვისაც სჯულისა და მცნებათა გადარჩენა გსურს, მომყევითო.

და, მაშინვე, მთელი ოჯახით, შვილებით, ქალ-რძალით, და საქონლით, აიყარა და მთას მიაშურა.

ხალხიც მიჰყვა, ისევე დედაბუდიანად, ხვასტაგით და სარჩოსაბადებელით. მთებს შეეფინენ, გამოქვაბულებსა და ქარანძავებში ჩაინთქნენ.

შეიტყვეს იერუსალემში მდგარმა მეფის სარდლებმა, რაც მომხდარიყო მოდეინში და ახლომახლო სოფლებში. სასწრაფოდ ჯარი გამოიყვანეს და გადახვეწილებს დაედევნენ. მათ სახიზარებს რომ მიუახლოვდნენ, მაცნეთა ძახილით ამცნეს: გამოდით, მეფის ბრძანება შეასრულეთ და, რაც მოხდა, იმისთვის არას გერჩითო.

— არც გამოვალთ, არც მეფის ბრძანებას შევასრულებთ, არც ჩვენს სჯულს ვუღალატებთო, — იყო პასუხი.

მაშინ სარდლებმა ხალხის სამალავებზე იერიში მიიტანეს. შაბათი დღე იყო და ებრაელებმა იარაღს ხელი არ მოჰკიდეს. ჯარისკაცებმა, ვინც მოახელეს, ყველა ასე, ხელშეუბრუნებლად, თვინიერი ზვარაკებივით ამოწყვიტეს.

დანარჩენებმა, ვისაც იმ გამოქვაბულებში მტერმა ვერ მიაგნო, გზა განაგრძეს და ბოლოს ყველამ მატათიას და მისი ვაჟების გარშემო თავი მოიყარა.

დღეიდან, თუ შაბათს მტერი თავს დაგვესხმის, შაბათსაც უნდა ვიომოთო, — ახლა რომ ჩვენი ძმები გაწყდნენ, ისე ცხვრებივით ნუღარ დავიხოცებითო. ასე რომ არ ვქნათ, მტერი მარტო შაბათს ამოგვწყვეტსო.

ასედაც დაადგინეს და საომარ მზადებასაც შეუდგნენ.

აჯანყებულთა რიგები სწრაფად იზრდებოდა. მათ შეუერთდნენ ხასიდები, „მაგარი მეომრები ისრაელისა".

და შეუსია იუდეიის სოფელ-ქალაქებს მატათიამ თავისი მეომრები, ყველგან წარმართული კერპები დაამხო და ებრაული საკურთხეველ-სალოცავები აღადგინა. ვინც წინააღმდეგობა გაუწია, არავინ არ დაინდო. სადაც კი წინდაუცვეთელი ბიჭები იხილა და მოიხელთა, ყველას ძალით თუ ნებითი დაყოლიებით წინადაუცვითა. მრავალი გაწარმართებული ებრაელი ებრაულ სჯულს დაუბრუნდა, სხვანი სულაც გადაიხვეწნენ.

მატათია მოხუცი იყო და სიკვდილიც მიეახლა. ეს იგრძნო მხცოვანმა გმირმა, შვილები საანდერძოდ იხმო და მიმართა:

— აბა, შვილებო, აღინთეთ შურით სჯულისათვის, და თავი გასწირეთ ჩვენს მამაპაპურ აღთქმათათვის. გაიხსენეთ გმირობანი მამა-პაპათა, — და ჩამოთვლით გაახსენა შვილებს გმირობანი და სიწმიდენი ყოველი ცალკე სანიშანსვეტო წინაპრისა.

— მე აღვესრულები და თქვენ შორის სიმონი დაისვით ჩემს მაგივრადო, იგი გონიერია და ის გაგიწევთ მამობას, — განაგრძობდა მომაკვდავი — ხოლო იუდა სიჭაბუკითვე გამორჩეულია მეომრობით და იგი იქნება ჯარის სარდალი, დანარჩენები ამათ გარშემო შემომტკიცდით, სჯული განამტკიცეთ და თქვენი ხალხის დამჩაგვრელებზე შური იძიეთ.

ბოლოს, შვილები აკურთხა და მიიცვალა, ანუ — „შეერთო მამა-პაპას“.

დაკრძალეს მოდეინში.

სრულიად ისრაელმა იგლოვა თავისი დიდი გმირი.

გაუძღვა ხალხსა და ჯარს იუდა მაკაბელი, „ლომი, გინა ლომის ბოკვერი, თავისსავე ნანადირევზე რომ ბდღვინავს“.

დაუცხრომლად და დაუსვენებლად მიმოიქცეოდა და ყველგან მუსრს ავლებდა ებრაული სჯულის ოდნავ შემბღალველს, ყოველ წარმართს და გაწარმართებულს. არ ინდობდა არც ხმლით, არც ცეცხლით.

წამოემართა სირიელთა სარდალი ა პ ო ლ ო ნ ი ო ს ი, დიდძალი ჯარებით ისრაელისკენ. წინ გადაუდგა იუდა მაკაბელი. შეიბნენ. ბრწყინვალედ გაიმარჯვეს ებრაელებმა. აპოლონიოსი თავისი ხელით მოკლა იუდამ. მოკლულის მახვილი აიღო და მისით იბრძოდა ამიერიდან.

ახლა მეორე სარდალი, ს ე რ ო ნ ი წამოვიდა ჯარით. „თქვა: სახელს გავითქვამ და სამეფოში პატივს მოვიხვეჭ. შეებრძოლები იუდას და მის თანამებრძოლთ, მეფის სიტყვათა შეურაცხმყოფელთო“.

და შევიდა დიდძალი ჯარებით სერონი იუდეას. მივიდნენ ადგილს, რომელსაც ერქვა „აღმართი ბეთ-ხორონისა“.

აქ გამოჩნდა იუდაც, „მეტად მცირე რაზმის“ თანხლებით. და არ ურჩიეს შებმა თანამებრძოლებმა: როგორ უნდა შეებრძოლოთ ეგზომ ურიცხვ ჯარებს ჩვენ, ეგზომ მცირენი, დაქანცულნი და თან უპმელუსმელნიო.

არ დაიჯერა იუდამ, — ნუ შიშობთ, რიცხვს რა მნიშვნელობა აქვს, როცა გამარჯვების საქმე ზეცაში წყდებაო. ჩვენ ის გვახსოვდეს, რომ ისინი მტრები არიან, თავხედობით და ურჯულოებით მომავალნი ჩვენს მოსასპობად, ჩვენი ცოლ-შვილის ამოსაწყვეტად, გასაძარცვავად. ჩვენ კი ვიბრძვით ჩვენი სიცოცხლისა და რჯულისათვის. ახლავე დავიძრათო, და მოწყდნენ ადგილიდან მოულოდნელად ებრაელნი.

სწორედ მოულოდნელობამ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. სირიელები მოუმზადებელი და აშლილდაშლილნი შეხვდნენ ზემოდან ისარივით მომქროლავ ებრაელთა რაზმს. პირველი ხმლის შემოკვრისთანავე უკანვე, დღმართზე დაცურდა, აირდაირია და პანიკით შეპყრობილი გაიქცა სირიელთა

ჯარი. რვაასი მკვდარი დატოვეს. დანარჩენებმა ფილიტიმელთა სიმაგრეებს მიაშურეს თავშესაფარად.

ამ ორმა გალაშქრებამ და ორივეს სამარცხვინო დამარცხებამ ცოფები აყრევინა მეფე ანტიოქეს. ახალი ჯარები შეჰყარა, „მისი სამეფოს მთელი ძალა. დიდი, ურიცხვი ლაშქარი". განძთსაცავები გახსნა და ჯარისკაცებს მთელი წლის გასამრჯელო დაურიგა.

აქვე შენიშნა, ამდენი საომარი ხარჯებით მისი განძთსაცავი დაწრეტილიყო. წუხილმა და შიშმა შეიპყრო. მაშინვე გადაწყვიტა, თავისი სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილში გასულიყო, სპარსეთს და ცენტრალურ აზიას, და იქ შეეგროვებინა ფული და საუნჯენი.

ადგილზე, ანტიოქიაში, თავის ნაცვლად ერთგული ნათესავი დატოვა, სახელად ლ ი ს ი ა; თავისი ვაჟიც, სახელად ისიც ა ნ ტ ი ო ქ ე, აგრეთვე ლისიას დაუტოვა.

რაც მთავარია, წასვლის წინ, მეფე ანტიოქე ეპიფანემ ეს დაუბარა ლისიას: ჩემს აქარყოფნაში, ჩვენი ჯარების ერთი ნახევარი და სპილოები იუდეა-ისრაელს შეუსიე და ისე მოსპე და მოაბალასინე, დედამიწაზე ებრაელის ნატამალიც რომ აღარ დარჩესო. ჯარების მეორე ნახევარი კი, მეფემ თვითონ წაიყვანა და წავიდა აღმოსავლეთისკენ.

ლისია მეფის დავალების შესრულებას შეუდგა. გამოიძახა სარდლები („მაგარი ვაჟკაცები") და მეფის მეგობრები პ ტ ო ლ ე მ ე ო ს ი (დორუმენოსის ძე), ნ ი კ ა ნ ო რ ი და გ ო რ გ ი ა, ჩაბარა მათ ჯარები, 40 000 ქვეითი და 7 000 მხედარი, და გაუშვა ისინი იუდა-ისრაელის მოსაოხრებლად და მოსასპობად.

ერთბაშად გაივსო ისრაელიანთა ქვეყანა უცხოელთა ჯარებით. თვითონ იერუსალემი „იყო როგორც უდაბნო; აღარ იყო მიმსვლელ-მომსვლელი მის მკვიდრთაგან; გათელილი იყო წმიდათაწმიდა, უცხო თესლს ეპყრა ციხე-სიმაგრე, ურჯულოთა ბუნაგად ქცეულიყო".

ამიტომ მიცფაში, ძველ სალოცავ ქალაქში შემოიყარა თავისი ხალხი იუდა მაკაბელმა. ისტორიამ ცხრაასი წლის წინანდელი მოვლენა გაიმეორა: მაშინაც სწორედ აქ, მიცფაში შეჰყარა ხალხი სამუელ წინასწარმეტყველმა, რათა აერჩიათ ბელადი და ბრძოლა გაემართათ უცხო მტერთან. ახლაც აქ ილოცეს ებრაელმა ხალხმა და ჯარმა, აქ იმარხულეს, ტანსაცმელი შემოიგლიჯეს, ჯვალო ჩაიცვეს, თავზე ნაცარი გადაიყარეს, უფლისადმი ზეცად ღაღადი აღავლინეს: მოგვეშველე, უფალო, ჩვენს ასაოხრებლად რომ მოსულან, უკეთუ შენ არ შეგვეწევი, ჩვენ რას გავხდებით?!

მერე, იუდამ ბრძოლიდან გასვლისა და სახლში დაბრუნების უფლება გამოუცხადა იმათ, „ვინც სახლს აშენებდა, ან ცოლს ირთავდა, ან ვენახს აშენებდა, ან ბრძოლა აშინებდა".

ჯარიც, სულ 6 000 მეომარი, მაშინვე ოთხ ნაწილად დაალაგა, მეთაურებად თავისი ოთხი ძმა ჩაუყენა და ისევ სიტყვით მიმართა:

„სარტყელი შეირტყით და გამხნევდით, დილაადრიან მზად იყავით წარმართებთან საომრად, ჩვენს წინააღმდეგ რომ ამხედრებულან, რათა დაგვამხონ ჩვენ ჩვენს წმიდათაწმიდასთან ერთად. უმჯობესია ბრძოლაში დავეცეთ, ვიდრე ვიხილოთ უბედურება ჩვენი ხალხისა და ჩვენი წმიდათაწმიდისა. დაე, მოხდეს, რასაც ზეცა ინებებს!"

მაშ, სალაშქრო გზაზე ღასვლა იუდას ადრე დილისთვის დაენიშნა. ხოლო, სირიელთა სარდალს, გორგიას, იმ ღამისთვის განუზრახავს ებრაელთა ბანაკზე თავდასხმა. მან შეარჩია 5 000 ქვეითი მეომარი, 1 000 მხედარი და ღამით დაეცა კიდეც მოწინააღმდეგეს, მაგრამ იქ არავინ დაუხვდა. თუმცა იუდას ადრე დაეზვერა მტერი, მისი განზრახვაც შეეტყო და შებინდებისთანავე აიყარა და გავიდა ბანაკიდან. და მაშინ, როცა გორგია მიეფარა ახლომახლო მთებში „გაქცეულ მტრებს" ეძებდა, იუდა თვითონ გორგიას დაცალიერებულ ბანაკს დაესხა და გადასწვა.

დილით, ალიონზე, ქალაქ ემაუსის ახლოს, თვალი ჰკიდეს ერთმანეთს მოწინააღმდეგეებმა. იუდამ კვლავ მიმართა ჯარს: არ შეშინდეთო, წინაპრები გაიხსენეთ, მეწამული ზღვის გადამლახველნი; ცასაც შეეთხოვოთ გაძარჯვებაო.

ბრძოლა დაიწყო და ისევ დასაწყისშივე იმარჯვეს ებრაელებმა. უკუაქციეს სირიელნი და გამოედევნენ. სამი მხრით გარბოდნენ დამარცხებულნი — ჩრდილოეთით გაზერისაკენ, სამხრეთით აშდოდისაკენ, დასავლეთით იამნიასაკენ.

გამარჯვებულებმა დიდი ნადავლი დაინადავლეს — ოქრო, ვერცხლი, ძოწეული და საომარი აღჭურვილობა.

ეს ამბავი მოხდა ქრისტესშობამდე 166 წელს. მომდევნო წელს კი ლისიამ, მეფის რისხვა რომ აეცდინა და წინა წლის წაგებულის რევანში აეღო, 60 000 ქვეითი მეომარი და 5 000 ცხენოსანი დაარჩია და გაამზადა იუდეაში წასაყვანად.

იდუმეას მივიდა და ბეთცურში დაიბანაკა იმ ლაშქარმა.

იუდა მაკაბელიც გამოჩნდა 10 000 მეომრით. მან იხილა მტრის სრული რიცხობრივი უპირატესობა, მხურვალედ ილოცა, ღმერთს გამარჯვება შესთხოვა და მას უკან ჯარი ერთბაშად იერიშზე დასძრა.

სირიელები თითქოს არ ელოდნენ მცირერიცხოვანი მოპირდაპირის შეპოტევას და ბრძოლაშიც შიშრეულად ჩაებნენ. ისევ იმარჯვეს და გაიმარჯვეს ებრაელებმა. სირიელებმა ბრძოლის ველზე 5 000-მდე მკვდარი დატოვეს. დანარჩენებმა კვლავაც გაქცევით უშველეს თავს.

გამარჯვებულმა იუდა მაკაბელმა ახლა კი წაიყვანა ჯარი და ხალხი იერუსალემში. მტერი შევმუსრეთ, ახალ საშსხვერპლოზე ავიდეთ, გავწმინდოთ და გავაახლოთო, — გამოაცხადა მან.

ავიდნენ და ყველაფერი გადამწვარ-გაოხრებული დახვდათ, ველური ბუჩქი და ეკალბარდი მოსდებოდა ნაქალაქარად ქცეულ ქალაქს. ყველაზე შე-

ბილწული და შეურაცხყოფილი იყო ტაძარი, კარიბჭე დამწვარი, თავარ საკურთხეველზე ზევსი „დამანგრეველი". ამიტომ მისულებმა და ყოველივე ამის მხილველებმა „დაიპეს ტანსაცმელი. გამართეს დიდი გლოვა და დაიყარეს თავზე ნაცარი. პირქვე დაემხნენ მიწაზე, საყვირებს ჩაბერეს და ხმამაღალი ღაღადისი აღავლინეს ზეცისკენ".

იუდას არ დავიწყნია, რომ იერუსალემის ციხესიმაგრე აკრაში განდგომილთა ციხიონი იდგა, თვითონ მენელაოსის მეთაურობით. ამიტომ მას, სანამ თვითონ სიწმიდეთა აღდგენაზე იღვწოდა, ცალკე რაზმი გამოეყო აკრაზე საიერიშოდ.

ჩქარობდნენ, მტერმა არ მოგვისწროსო. ჯერ წარმართული კერპები კვარცხლბეკებიდან ჩამოყარეს და დალეწეს. მოხსნეს და დაამტვრიეს ტაძრის მთავარი საკურთხეველი, რაკიღა ისე ეელურად შეებილწათ წარმართებს, და მის ადგილზე ახალი აღმართეს. ახალი კარები აუბეს ტაძარს, შიგაც ახალი ჭურჭლეული შეიტანეს და განალაგეს... შანდლებზე სანთლები აანთეს და ტაძარი გააჩირაღდნეს. ტრაპეზზე თორმეტი პური დაალაგეს — თორმეტი ებრაული ტომისა. კრეტსაბმელები დაჭიდეს.

განწმენდისა და ხელახალი კურთხევის დღეს ხალხით გაიჭედა ტაძარი. ატყდა გალობანი, ბობღანთა, ებანთა და წინწილთა თანხლებით. ხალხი პირქვე დაემხო და მადლი შესწირა უფალს, რომელმაც „სიკეთე მოიღი მათზე".

რვა დღე გაგრძელდა განწმენდა, კურთხევა, მსხვერპლშეწირვა. ტაძრის შუბლი ოქროს გვირგვინებით და ფარებით დაფარეს.

იმავე ჟამს სიონის მთა შემოზღუდეს მაღალი კედლებით და მაგარი კოშკებით. შიგაც ჯარი ჩააყენა, მცველად, იუდამ.

ბეთცურიც გაამაგრა და განამტკიცა იუდამ, რათა სამხრეთიდან, მუდამ მომტერე იდუმეიიდან, დამცველ სიმაგრედ ეგულებოდეს იერუსალემს.

იდუმეა-ედომი კი, ესაოის ქვეყანა, მისი ძმის იაკობის მოდგმის მიმართ მტრობას და მესისხლობას ისევ არ ღალატობდა. ხშირად იუდეიის სამხრეთულ სოფლებს შემოესეოდნენ და აწიოკებდნენ.

ჩაუხტა იდუმეას ჯარით იუდა მაკაბელი, სასტიკად დაამარცხა იქაურნი, დიდი ნადავლიც აიღო მათგან.

მას შემდგომ ამონს ჩაუხტა იუდა, იქაურ სარდალს, ტ ი მ ო თ ე ო ს ს შეება, სასტიკად დაამარცხა და აქაური მთავარი ქალაქიც, რაბათ-ამონი (ფილადელფია) ჩაიგდო ხელში.

დამარცხებულმა და გაქცეულმა ტიმოთეოსმა თავი შეაფარა ციხესიმაგრე იაზერს. აქაც მიიჭრა იუდა. ოცი ვაჟკაცი აარჩია და ღამით მთავარ სიმაგრეზე აგზავნა. ისინიც მიწვდნენ კოშკის თავანს, იქვე მდგარ გუშაგებს მოულოდნელად თავს დაეცნენ და გაჟლიტეს, უმალვე შიგნით ჩაეშვნენ და კარები გააღეს. იუდა იაზერში შეიჭრა და დაიპყრა.

იერუსალემს მიბრუნდნენ მაკაბელნი, მაგრამ ახლა გალაადიდან მოვიდა

საომარი წვევა. თურმე ტიმოთეოსი და მისი წარმართული რაზმები დათარეშობდნენ, ძარცვავდნენ, აწიოკებდნენ ებრაულ დასახლებებს.

სანამ გალაადიდან მოსულ წერილს ჩაათავებდა, გალილეაიდანაც მოართვეს წერილი „ტანშემოგლეჯილმა შიკრიკებმა". გვიშველეთო, — წერდნენ გალილეველნი — აქოს (პტოლემაისი), ტვიროსისა და სიდონის წარმართნი გვიპირებენ დედაწულიანად ამოჟლეტასო.

თათბირი შეჰყარა იუდამ, ითათბირა და ბოლოს ასე გაარიგა: ჯერ, იერუსალემში ჯარის ნაწილი დატოვა, ზ ა ქ ა რ ი ა ს და ა ზ ა რ ი ა ს სარდლობით; მერე, თავისი უფროსი ძმა, სიმონი, 3 000 მეომრით გალილეაში გაგზავნა, იქაურ მორწმუნეთა და თანასისხლიერთა გადასარჩენად; თვითონ კი, უმცროსი ძმა იონათანი იახლა და 8 000 მეომრით გალაადისკენ გაქუსლა.

ორივეგან გაიმარჯვეს ძმებმა, გალილეაშიც და გალაადშიც, — ერთგანაც, მეორეგანაც, რამდენიმეჯერ გაიმარჯვეს, რამდენიმე ციხეც აიღეს, ყველგან მტერი ქლიტეს და დიდძალი ნადავლით დატვირთულნი იერუსალემს მობრუნდნენ.

სანამ იუდა მობრუნდებოდა, მანამდე თურმე ზაქარიამ და აზარიამ, მათთან დატოვებული ჯარით, იამნიაში გაილაშქრეს. იამნიაში სირიელი სარდალი გორგია იდგა თავისი ჯარით. ისიც გამოიჭრა ქალაქიდან და შეება ებრაელებს. შეება, დაამარცხა და გამოაქცია. 2 000 მეომარი დაჰკარგეს მაშინ ზაქარიამ და აზარიამ. გამარჯვებული გორგია კი იდუმეელებთან მივიდა და იმათთან ერთად ამზადებდა იუდეიის დალაშქვრას.

დაასწრო იუდა მაკაბელმა, იდუმეას მიუხტა და აოხრა, ქალაქი ხებრონიც აიღო და დაიმკვიდრა.

იქიდან გორგიასაც მიწვდა იუდა. ბრძოლაში ერთმა მეომარმა, სახელად დ ო ს ი თ ე ო ს მ ა, თვითონ გორგიას დატყვევება მოინდომა, მაგრამ ვიღაც თრაკიელი მეომარი მოეშველა სარდალს და დოსითეოსს მკლავი დააგდებინა. გორგიამ თავს უშველა.

იუდა მაკაბელმა ფილისტიმელებს მიაშურა, მარეშაზე გადაიარა, აშდოდი აიღო, იქაური ბომონები დალეწა და სალოცავები ცეცხლს მისცა. დიდძალი ნადავლიც მოხვეტა.

ესეც მაშინ შეიტყო იუდამ: თურმე ნავსადგურ იაფოს ბერძნებს იქაურივე ებრაელები, ქალებით და ბავშვებით, სულ ორასამდე სული, გემზე მიუტყუებიათ, ზღვაზე გაუყვანიათ და ყველანი ზღვაშივე ჩაუხრჩვიათ.

სასწრაფოდ მიადგა იაფოს შურისძიების ცეცხლით ატანილი იუდა მაკაბელი და ცეცხლითვე გადასწვა აქაური ნავსადგური, მასში მდგარი ყველა ხომალდიც. მაშინ გადასწვეს იუდას მეომრებმა იამნიაც, ებრაელთა დევნილა და შევიწროებისთვის.

იუდა მაკაბელის ძლევამოსილებანი არყევდა მაშინდელ სამყაროს ეგვიპტიდან მესოპოტამიამდე.

ამასობაში მეფე ანტიოქე ეპიფანე, აღმოსავლეთში ფულების საძიებლად

და საგროვებლად წასული, მაინც და მაინც სახელიანად ვერ იხვეჭდა ვერც ფულს და ვერც სახელს. იგი სუზასა და ელიმაიდში, პირდაპირ საძარცვავად თავს დაესხა ქალღმერთ ანაიტისის მდიდარ საგანძურებს, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა მედგრად დაუხვდა კიდევ ერთ მძარცველ ხელმწიფეს და გამოაძევეს პირში ჩალაგამოვლებული.

ელიმაიდიდან ბაბილონისკენ გამობრუნდა მეფე. გზაზე შეატყობინეს, რაც დამართნოდა მისგან სირიაში დატოვებულ სარდლებს და ჯარებს ებრაელებთან ომებში. ისიც აუწყეს, როგორ დაუბრუნებიათ ებრაელებს თავის ქალაქი იერუსალემი, როგორ აღუდგენიათ, როგორ გადმოუყრიათ და დაულეწიათ ბერძნული კერპები და სამაგიერო როგორ აღუმართავთ საკუთარი სიწმინდეები ხელახლა განწმენდილ და ნაკურთხ ტაძარში.

საშინლად შესძრა მეფე ამ ამბებმა. ლოგინად ჩავარდა და ველარ ადგა. სიკვდილის სიახლოვე იგრძნო და მონანიებას შეუდგა. თითქოს, ამას ნანობდა, მრავალი ცოდვა ჩამიდენიაო, ალბათ შეურაცხყოფისთვის ებრაელთა უფალი მსჯის, ასე, სადღაც უცხო მიწაზე, გზაში რომ ვკვდებიო. მერე უერთგულეს კაცს და მეგობარს, ფ ი ლ ი პ ე ს უხმო, სამეფო ინსიგნიები — გვირგვინი, წამოსასხამი და ბეჭედი — გადასცა და უთხრა: ამათ შენ მოუარე, ჩემი შვილი ანტიოქე მეფედ გამიზარდე და ამ საგნებით მეფედ შენვე მორთე და მოკაბმეო (დაეჭვნოდა მეფეს იგივე ანდერძით რომ ლისია პყავდა დატოვებული ანტიოქიაში).

და მოკვდა მეფე ანტიოქე ეპიფანე, 163 წელს, ებრაელთა დაუძინებელი მტერი და მაოხარი.

ხოლო, სანამ ფილიპე მომაკვდავი მეფის ანდერძით და სამეფო ინსიგნიებით ანტიოქიაში დაბრუნდებოდა, იქ ლისიას მეფის სიკვდილიც შეეტყო და უფლისწული ანტიოქეც თვითონ გამოეცხადებინა მეფედ.

მაშ, სელევკიდური სირიის ტახტზე ახლა იჯდა მეფე ა ნ ტ ი ო ქ ე V ე ვ პ ა ტ ო რ ი (163—162), ხოლო ყმაწვილ ხელმწიფეს გვერდით, რეგალიად უჯდა ლისია, რომელიც ახლა იმაზე ფიქრობდა, როგორ ეაენაწილებინა თავისი საომარი ძალები უკვე ორი მტრის — ერთის მხრივ, იუდა მაკაბელისა და. მეორეს მხრივ ტახტის დასაპატრონებლად მომავალი ფილიპეს წინააღმდეგ.

მაშინვე, კიდევ ერთი მოდავე გამოუჩნდა ანტიოქიის სამეფო ტახტ-გვირგვინს. ეს იყო დ ე მ ე ტ რ ი ო ს ი, სელევკოს IV-ის ძე, რომში მძევლად წაყვანილი და ახლა უკვე მეფობის „დონეზე" გაზრდილი.

რომის სენატიც, თავისი ურიდალი პირდაპირობით და სიმტკიცით, მოსალოდნელი იყო, ანტიოქე ევპატორის მეფობას არ სცნობდა და სირიის ტახტზე „ნამდვილ მეფედ" სწორედ „მის დემეტრიოსს" გამოგზავნიდა.

ლისიამ უკვე აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ხოლო, სანამ მან „აღარ იცოდა", იუდა მაკაბელმა ალყაში მოაქცია იერუსალემის აკრაში ჩამჯდარი ელინისტური ციხიონი, რომელსაც სათავეში ედგა კვლავ მოღალატე

მენელაოსი. გარედან ლოდსატყორცნებით ლოდებს უშენდნენ ებრაელები ალ-ყაში ჩავარდნილებს.

ერთ ღამით მაინც მოახერხა რამდენიმე „ელინისტმა“ ალყიდან გამოძრო-მა და ანტიოქიაში გაქცევა. ისინი ეახლნენ მეფესაც და მის რეგენტსაც და ითხოვეს გადამჭრელი ზომების მიღება აკრის დასაცავად და მაკაბელთა და-სათრგუნავად.

ამოძრავდა ანტიოქიის კარი. საომრად აემზადნენ. თვითონ მცირეწლო-ვანმა მეფემ ისურვა საომარ ცხენზე შეჯდომა. შეჯდა და წავიდა კიდეც, ლი-სიასთან და სხვა გამოცდილ სარდლებთან ერთად. დიდი საომარი ძალებიც წაიყვანეს — მრავალათასეული ქვეითი და ცხენოსანი ჯარებით, საომრად გა-წრთვნილი სპილოებით და მათი ინდოელი „მესაჭეებით“.

გადაწყვიტეს იდუმეიის მხრიდან შეეტიათ იუდეველთათვის. ბეთცურს მიადგნენ და ალყა შემოარტყეს, საიერიშო მანქანებით, ლოდსატყორცნებით. მაგრამ გამოუჭტნენ ებრაელები, საიერიშო მანქანებიც დაულეწეს და დაუწ-ვეს, თვითონ მოალყეებიც დაიფრინეს და დაფანტეს.

ბრძოლამ ბეთ-ცურიდან ბეთ-ზაქარიასკენ გადაინაცვლა. კვლავ დიდი გმირობით იბრძოდნენ მაკაბელნი და მათი თანამებრძოლი პატრიოტები. ამათ-გან ერთმა, ე ლ ი ა ზ ა რ ავარანის ძემ, გაცხარებულ ბრძოლაში შენიშნა სპი-ლოზე ამხედრებული, მდიდრულად მორთულ-მოკაზმული ჭაბუკი; იფიქრა, ეს მეფე იყო და „გასწირა თავი, რათა ეხსნა თავისი ხალხი, ხოლო თავისთვის მოეხვეჭა სახელი უკვდავებისა“. და მიაშურა ელიაზარმა სასტიკი ხმალთაკვე-თებით, სპილომდეც მიაღწია, ქვემოდან შეუვარდა და მუცელზეც გაფატრა, მაგრამ დაცემულმა სპილომ თავისი მკვლელიც ქვეშ მოიქცია და მიწას დააკლა.

ებრაელებმა ურიცხვი მტრის მოწოლას ბოლოს და ბოლოს ვეღარ გაუძ-ლეს და უკუიქცნენ იერუსალემისკენ.

სირიელებიც მიჰყვენენ კვალდაკვალ. მაკაბელები ტაძარში ჩაიკეტნენ. სირიელებმა ალყა შემოარტყეს და ლოდებიც დაუშინეს ლოდსატყორცნებით. მაკაბელებმაც შიგნიდან საპირისპირო მანქანები აღმართეს და შიგნიდანვე უშენდნენ მოალყე მტერს.

ალყა გაჭიანურდა. შიმშილმაც თავისი ულმობელი ფეხი შემოდგა ტაძ-რის მცველთა ბანაკში. ბევრმა ვერ გაუძლო და გაძვრა საიდუმლო ხვრე-ლებში. ძმანი მაკაბელნი და მათი უმტკიცესი თანამებრძოლების გუნდი მაინც იბრძოდა ბნელ-ბნყურვალი. უკვე შიმშილს სიკვდილის აჩრდილი მოჰყვებო-და ტაძარსა შინა.

და მაშინ, კვლავ მოულოდნელობა ჩაერთო მდგომარეობის მი-ჭო-საბრუ-ნებლად. უცებ სირიელთა ბანაკში ამბავი მოაგდეს, ფრიად ბავთი და საშფო-ფარი: თურმე ფილიპე, რომლისთვისაც მომაკვდავ მეფე ანტიოქე ეპიფანეს სამეფო ინსიგნიები გადაუცია, დიდძალი ჯარით უკვე ანტიოქიის გზაზე შემო-მდგარა უმაღლესი ძალაუფლების ხელთპყრობის გადაწყვეტილებით.

სასწრაფოდ გადაწყვიტა ლისიამ და უმალვე დაითანხმა ყმაწვილი მეფეც: ახლავე მაკაბელებთან ზავი ჩამოვაგდოთ და ანტიოქიას მივხედოთო.

და ზავიც დაიდო: ებრაელებს ეძლეოდათ სრული თავისუფლება საკუთარი სარწმუნოებრივი და სამოქალაქო ცხოვრებისა. ზავი ფიცით შეიკრა. მაგრამ სირიელებმა უბოროტოდ გასვლა მაინც არ ინებეს. როცა მეფე სიონზე ავიდა, მაინც ბრძანა იქიდან, ტაძრის თავდაცვითი კედლები დაენგრიათ.

მთელის სვლით მიერეკებოდნენ სირიელები იერუსალემიდან ანტიოქიისკენ. ვაი, თუ ფილიპემ მიმასწროსო, შფოთავდა ლისია. მართლაც მიესწრო ფილიპეს. მიესწრო და დაუფლებოდა კიდეც სატახტო ქალაქ ანტიოქიას. არ შეურიგდა ლისია. მიუხტა ფილიპეს, შეება, სძლია და მოკლა. და ისევ თვითონ შეუძღვა სასახლეში მეფე ანტიოქე ევპატორს.

მაგრამ სიმშვიდეს სამუდამოდ დაეტოვებინა სელევკიდთა სასახლე. რომის სენატს დაუდგენია და უბრძანებია: ანტიოქიაში მეფედ ჩვენთან, რომში გაზრდილი დემეტრიოსი უნდა იჯდესო.

მაშ, აიშვა დემეტრიოსმა, აქამდე რომში მძევლად „დაბმულმა“.

წინასწარ რომის სენატმა ანტიოქიაში გაგზავნა ელჩი, ე ნ ე უ ს ო ქ ტ ა ვ ი უ ს ი, რომელმაც ჩასვლისთანავე, რომის „სუვერენულ უფლებათა“ დარღვევისათვის, სასტიკი საყვედური გამოუცხადა მეფესაც, მის რეგენტსაც და გადაჭრით ჯერ ეს მოითხოვა, იქვე, მის თვალწინ სირიელებს დაეხოცათ საბრძოლო სპილოები და დაეწვათ სამხედრო ფლოტი!

ვერც მეფემ და ვერც ლისიამ საწინააღმდეგოდ კრინტიც ვერ დასძრეს და მაშინვე სენატის ბრძანება აღასრულეს.

ამან სასტიკად აღაშფოთა სირიელი პატრიოტები, რომელთაგან ერთი რომაელ ელჩს აბანოში შეჰყვა და ღორივით ყელი გამოსჭრა.

და, ამის საპასუხოდ, რომის სენატმა „ხელი არ შეუშალა“ დემეტრიოსს რომიდან წასვლაზე.

დემეტრიოსი კი რომიდან ანტიოქიაში მივიდა, ერთგულ მცველთა და მეგობართა თანხლებით.

მისი ბრძანებით, სასახლიდან გამოათრიეს ანტიოქე და ლისია.

— მე მათ სახეებს ნუ დამანახებთო, — ბრძანა დემეტრიოსმა.

და ორივე ისე ჩახოცეს, ახალ მეფეს რომ გუნება-განწყობილება არ წახდენოდა...

მაშ, მაკაბელთა დიდ ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლას თავისი შესაბამისად დიდ ნაყოფი გამოეღო: ებრაელობამ თავისუფლება ბოიკოვა, თავისი ნების, თავისი ენის, სარწმუნოების და კანონმდებლობის მიხედვით ცხოვრების უფლება.

ახლა საჭირო იყო ახალი მღვდელმთავარი, ანუ საქეთმპყრობელი იუდეისა, ერთდროულად სასულიეროც და საერო-სამოქალაქოც.

და, ასეთი კაციც რად უნდა ეძებნათ, როცა ჰყავდათ იუდა მაკაბელი, დიდი ეროვნული გმირი, ვისი მეშვეობითაც ერმა დაიბრუნა სწორედ ეროვ-

ნული თავისუფლება, მით უფრო, რომ იგი, ეს ორი წელიწადი ფაქტიურადაც განასრულებდა მღვდელმთავრის უმაღლეს რწმუნებებს.

მაგრამ ეს საქმე თურმე არც ისე იოლად წყდებოდა. იუდა მაკაბელს და მის უკვე გამარჯვებულ დასს თავისსავე ხალხში ბევრი მოწინააღმდეგე და მომტერე დარჩა. ომის ჭრილობები უპირველესად სულის ჭრილობები იყო, ხოლო დაჭრილი სული ასე იოლად არ შუშდებოდა. იუდა და ძმანი მისნი ტრადიციულ-ეროვნულიდან ოდნავი გადახრისთვისაც სრული სისასტიკით. სიკვდილით უსწორდებოდნენ ყველას. არა და, უცხო, მაგრამ ამაღლებული ელინისტური სული, როგორც მთელს მსოფლიოში, ებრაელ ხალხშიც დანერგილიყო მკვიდრი ფესვებით.

ამით კი სარგებლობდნენ ისეთი, კარიერისტულ-ავანტურისტული ძალები, რომელთათვის ებრაელობაც და ჰელინურობაც მხოლოდ მოჩვენებითი საფარველი და ფარატინა ლოზუნგი იყო, ოღონდ კი ამ სიყალბით და მოჩვენებითობით უმაღლესი ძალაუფლების სიტკბოებას ზიარებოდნენ.

თანაც, ახლა ანტიოქიის სასახლის კარზე აღარ იყვნენ სირიის ის მესვეურნი, ვინც ხელი მოაწერა ზავს მაკაბელებთან.

ანტიოქიის ტახტზე კი იჯდა ახალი მეფე, დ ე მ ე ტ რ ი ო ს I ს ო ტ ე რ ი (162—150).

ამით იუდეველ რენეგატებს ამინდი დასდგომოდათ და, „ყველა ურჯულო და უღვთო ისრაელიანმა მას (დემეტრიოსს) მიაშურა“.

ამათგან კი პირველი და უმთავრესი იყო ვინმე ა ლ კ ი მ ო ს ი, „მოწადინე მღვდელმთავრობისა“. იგი წარმომავლობით სასულიერო არონიდული გვარის შთამომავლადაც აცხადებდა თავს და იუდა მაკაბელს იმადაც ემტერებოდა, რომ იუდამ იგი, როგორც რენეგატი-ელინისტი, სასულიერო წოდებიდანაც გარიცხა და ტაძრიდანაც გააძევა.

და აი, ალკიმოსი ანტიოქიაში, მეფე დემეტრიოსის წინ დგას და უმტკიცებს, რომ ამდენი უწესრიგობის, სისხლის ქცევისა და დავიდარაბის მიზეზია იუდა მაკაბელი და ძმანი მისნი და მათი მიმდევარნი, ყველანი ხასიდები; იუდეის დაწყნარებას არც არაფერი მანამდე არ ეშველება, სანამ იუდა მაკაბელი ცოცხალია და იუდეიის გამგებელია.

იგულისხმება, რომ წინარე მეფისა და მისი მრჩეველისა ყოველივე უნდა დაეწუნებია, მათ შორის, პირველ რიგში უნდა გაებათილებია იუდეასთან „სამარცხვინო ზავი“.

ასედაც მოიქცა მეფე დემეტრიოსი. მან. იუდეის საქმეთა „ძოსაწესრიგებლად“ დანიშნა კაცი, სახელად ბ ა კ ხ ი დ ე, რომელიც „სამეფოში იცნობოდა დიდ კაცად“, მისცა ჯარი, გაატანა თვითონ ალკიმოსი და გაუშვა იერუსალემისკენ. ალკიმოსი მღვდელმთავრად დანიშნე და ისრაელიანები დასაჯეო, — შეფის ასეთი ბრძანება მიჰქონდა თან ბაკხიდეს.

ჯარით მისულებმა მახვილს ჯერ მაინც ზეთისხილის რტო არჩიეს და,

ვითომ მშვიდობიანობის მოსურნეებმა, იუდა მაკაბელს მოციქულები შეუგზავნეს.

იუდამ ისინი მოსალაპარაკებლად მართლაც მიიღო, მაგრამ როცა ბაკხიდემ მოციქულებს ჯარიც მოაყოლა, იუდამ თავისიანნი აიყოლია, იერუსალემიდან გავიდა და ისევ მთებს შეაფარა თავი, — მთებს, საიდანაც, პირვანდელივით, ყველაფერი ისევ უნდა დაეწყო თავიდან.

ხასიდების დიდი ნაწილი მაინც დარჩა იერუსალემში. ისინი ენდნენ ალკიმოსის არონიდობას და თვითონაც, „მწიგნობართა კრებულთან" ერთად, მივიდნენ სამშვიდობო მოლაპარაკებაზე.

ებრაელთა მხარე მეფის წარმოგზავნილებს მართლაც მშვიდობას და ერთხელ და სამუდამოდ ქვეყნის დაწყნარებას შესთხოვდა. ალკიმოსიც, როგორც ახლადდანიშნული მღვდელმთავარი, თავის მხრივ ხასიდებს ეფიცებოდა, მე მხოლოდ იმიტომ მოველ, ჩვენს ხალხს და ქვეყანას მშვიდობა და კეთილდღეობა ვარგუნოო. ასე „საქმიანად" და „ალერსიანად" წარიმართა და დასრულდა ეს შეხვედრა.

მეორე დღეს კი, ალკიმოსის როგორც მღვდელმთავრისა და უმაღლესი საქეთმპყრობელის წერილობითი ბრძანებით, მასზედვე მინდობილი ხასიდი პატრიოტებიდან ექვსი კაცი აარჩიეს, შეიპყრეს და ყელები გამოსჭრეს.

იმ სისხლიან დღეს მეორეც ისეთივე მოჰყვა. ახლა თვითონ ბაკხიდემ, უკვე იერუსალემს გარეთ, ბეთსაიდაში, დაიჭირა ყველა ხასიდი ებრაელი, ყველა დაახოცვინა და დახოცილები ჭაში ჩააყრევინა.

მაშინ კი იხუელა ხალხმა, იარაღი აიტაცა და კვლავ მთებს მიაშურა, — იქ, სადაც იყენენ მისი გმირები, ძმანი მაკაბელნი.

ებრაელი ხალხის ხელახალი აჯანყება უკვე დაიწყო (161 ქრ. წ.). დაიწყო სასტიკი შურისგებით. მაკაბელები დაჰქროდნენ იუდეის ყოველ კუთხე-კუნჭულში და დაუნდობლად მუსრავდნენ ყველა განდგომილს.

ახლა შინაურმა შიშმა აჯობა გარედან მოტანილ შიშს.

შიშმა აიტანა ალკიმოსი და გაიქცა იგი ანტიოქიაში. მეფეს ეახლა, ყოველივე აუწყა და იერუსალემში ახალი დამსჯელი ჯარის გაგზავნა ითხოვა.

მეფე დემეტრიოსმაც არ დაამადლა, გამოიძახა ნიკანორი, „ერთ-ერთი თავის სახელოვან მთავართაგანი, მოძულე და მტერი ისრაელისა", მისცა ჯარი და გამოუშვა იედუა-იერუსალემის გადასათელად და გადასათქერად.

და, მიადგა იერუსალემს ნიკანორი დიდძალი ჯარით. ჯერ თაღლითობით სცადა ლელოს გატანა. იუდა მაკაბელს შეუთვალა, ომი არ გვინდა, შევხვდეთ და შევრიგდეთო. იუდაც მოვიდა, მაგრამ დროზე მიხვდა, რომ მოპირდაპირეს მუხანათობა ჰქონია გულში — თურმე წინასწარ მეომრები ჩაუსაფრებია მის შესაპყრობად — და დროზევე გაეცალა სამუხანათოს იუდა მაკაბელი. საქმე ისევ ხმალს უნდა გადაეწყვიტა.

ბრძოლა მოხდა „მახლობლად ქაფარშელამისა".

კვლავ გაიმარჯვეს მაკაბელებმა. 5 000 სირიელი დაირეცა მკვდრად.

ნიკანორმა იერუსალემამდე არბენინა დამარცხებული ჯარი. სიმაგრე აკრაში შევიდა და ძლივს მოითქვა სული. მეორე დღეს სიონის მთაზე ეჩვენა ხალხს ნიკანორი.

გამოვიდნენ საწმიდარიდან სამღვდელონი, მივიდნენ. მიესალმნენ და მიართვეს მდიდარი შესაწირავნი.

მაგრამ ნიკანორმა არ მოუსმინა მათ სიტყვებს, მოუსმინა კი არა, საცინლად აიგდო, აფურთხა და ადღეა უზრდელად, თავხედურად. და, ბოლოს, გამოუცხადათ სასტიკი მუქარით: თუ სასწრაფოდ იუდა მაკაბელს არ ჩამაბარებთ, ვფიცავ, თქვენს საუფლო სახლს გადავწვავო.

თან იქვე, სრულიად უბოდიშოდ და უტიფრად, მეფის მოხელემ შეიპყრო ერთი ყველრესად საპატივცემულო მხცოვანი სწავლული, „იუდეველთა მამას“ რომ ეძახდნენ, სახელად როგეშ, მძევლად აყვანა მოუნდომა, იუდა მაკაბელის ტყვედ ჩაბარების თავდებად. მარტო ტყვეობა და მძევლობა კი არა, თანუნდა ეწამებინათ მოხუცი, მანამ სანამ ებრაელები თავის დიდ ბელადს არ გათოკავდნენ და სირიელ მოხელეს არ მიართმევდნენ. მაგრამ იმედი თავშივე გაუცუდდა ნიკანორს: როგორც კი როგეშთან მის მძევლად ასაყვანად მივიდნენ, მოხუცმა დაასწრო და თვითმკელელობით გაათავა სიცოცხლე.

გაცოფდა ნიკანორი. ისღა დარჩენოდა, კვლავ ბრძოლაში შეხვედროდა იუდა მაკაბელს, — ან მოეკლა, ან ტყვედ აეყვანა. იერუსალემიდან წამოვიდა და ბეთ-ხორონში დიდძალ საომარ ძალებს მოუყარა თავი.

იუდაც მოახლოვდა და ხადადში დადგა, 3 000 თანამებრძოლით.

ბრძოლა მოხდა 160 წლის 13 ადარს (მარტს).

ეასაოცარი თავზეხელაღებულობით იბრძოლეს ებრაელებმა და სძლიეს კიდეც ბევრად რიცხვმრავალ მტერს. ბრძოლის ბედი მაინც იმან გადაწყვიტა, რომ პირველი დაეცა და დაირეცა თვითონ ნიკანორი, ხოლო როცა მთავარსარდლის სიკვდილი იხილეს, მისი ჯარებიც მოიშალა, აირდაირია და გაიქცა. ხადაშიდან გეზერამდე სდევნეს და კაფეს ებრაელებმა.

გამარჯვებულებმა მდიდარი ნადავლიც დაინადავლეს. თვითონ მოკლული ნიკანორი მოძებნეს, თავი და მარჯვენა ხელი მოჰკვეთეს და იერუსალემის ტაძრის კედელზე გამოჰკიდეს.

ამიერიდან გამარჯვების ეს დღე მუდმივ დღესასწაულად დაინარჩუნეს იერუსალემში. ყოველი წლის 13 ადარს ზეიმობდნენ „ნიკანორის დღეს“.

კვლავ ეროვნული დალი მძლავრობდა და წინამძღოლობდა ებრაელ ერს. კვლავ ხელთ ეპყრა სასულიერო და საერო საკუთმპყრობელობა იუდა მაკაბელს (ალკიმოსი ბრძოლამდე გადახვეწილიყო ანტიოქიაში).

იუდა მაინც ფრთხილობდა. მართლაც საფიქრებელი იყო, რომ მეფე დემეტრიოსი მარცხს და იუდეიის დაკარგვას ასე იოლად არ შეურიგდებოდა და ახალ სარევანშო ლაშქრობასაც აღარ დააყოვნებდა.

იუდამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ იმჟამად მსოფლიო ასპარეზზე უკვე რომაელები პირველობდნენ და წყვეტდნენ სახელმწიფოთა შორის ყოველ

საკონფლიქტო გართულებებს. რომაელები, „ვის შეწევნასაც და გამეფებას მოისურვებენ, ამეფებენ; მოისურვებენ და გადააყენებენ“, — ისმოდა მაშინ.

რომის სენატსა და მეფე დემეტრიოსს შორის მაშინ უთანხმოება ჩამოვარდნილიყო და ამიტომაც იუდა მაკაბელმა თავისი ქვეყნისათვის სასარგებლოდ მიიჩნია რომში სირიის წინააღმდეგ საჩივრის აღძვრა. და გაგზავნა კიდევაც მან ორი უახლოესი კაცი, ელჩებად — ე ვ პ ო ლ ე მ ო ს ი, ძე იოხანანისა, და ი ა ს ო ნ ი, ძე ელიაზარისა.

წარუდგნენ რომის სენატს ისინი და გამოუცხადეს: „იუდა მაკაბელმა, მისმა ძმებმა და იუდაელმა ხალხმა გამოგვგზავნეს თქვენთან, რათა დავამყაროთ ერთმანეთთან კავშირი და მშვიდობა და ჩაგვთვალოთ თქვენს მოკავშირეებად და მეგობრებად“.

მაგრამ სანამ იუდას ელჩები რომში ჩააღწევდნენ, რომის სენატში მიიღებდნენ, მოისმენდნენ, შეისმენდნენ, პასუხს აღირსებდნენ და იმ პასუხით უკან მობრუნდებოდნენ, ამასობაში დემეტრიოს მეფეს უკვე მოესწრო იუდეაში მორიგი ლაშქრობა.

ამჯერად ისევ ბაკხიდე და ალკიმოსი მოუძღოდნენ დიდ არმიას. გალილეა გამოიარეს, ქალაქი მ ე ს ა ლ ო თ ი, რომელმაც კარი არ გაუღოთ, აიღეს, გაძარცვეს, გადაწვეს, მოსახლეობა გაწყვიტეს.

მოდიოდნენ და გზაზე ყოველ შემხვედრ ებრაელს კლავდნენ, განუკითხავად. იერუსალემს მიუახლოვდნენ და დაიბანაკეს.

იუდა მაკაბელი კედელშემორღვეულ იერუსალემში დარჩენას ვეღარ ენდო, კვლავ მთებს მიაშურა და ყველას, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო, საომრად მოუწოდა, სამშობლოს, რწმენისა და თავისუფლების გადასარჩენად.

3 000 კაცზე მეტი კი არ მოვიდა!

ამ სამი ათასეულით იგი წავიდა სამხრეთით და ბანაკი დასცა ე ლ ე ა ზ ‘ შ ი.

ბაკხიდეც მიჰყვა თავისი 20 000 ქვეითი მეომრით და 2 000 მხედრით. და დაიბანაკა ბ ი რ ა ტ თ ა ნ.

მაკაბელთა ბანაკი შიშმა მოიცვა, როცა მტრის ამოდენა არმია გამოჩნდა. ბევრი კიდევაც გაიპარა ბანაკიდან; ისე, რომ იუდას მხოლოდ რვაასამდე კაცილა შემორჩა. ამათაც ურჩიეს, ბელადს, ბრძოლა გადავდოთო, ახალი ძალები შემოვიკრიბოთ და მერე შევებრძოლოთ მტერსო.

მაშინ წამოდგა იუდა და მტკიცედ გამოუცხადა შემორჩენილებს: ღმერთმანუ ინებოს, ისე მოხდეს, რომ მტერს გავექცეთ; ხოლო, უკეთუ ჩვენმა ჟამმა გვიწია, დე ვაჟკაცურად დავიხოცოთ, ძმათათვის ჩვენთა, და საუკუნოდ ნუ დავაგდებთ სახელსა ჩვენსა!“

ამ სიტყვის თქმაც მოასწრო და მტერიც გამოეფინა საომარ ველზე.

იუდაც გაუძღვა თავის გუნდს.

უთანასწოროთა ბრძოლა დაიწყო თანასწორი სიმძლავრით და სისასტიკით. იუდამ თავიდანვე შენიშნა, რომ მტრის მარჯვენა ფლანგს თვითონ ბაკხიდე მოუძღოდა და თვითონაც იქეთკენ შეუტია გააფთრებული ხმალთაკვე-

თებით. შეუტია, ასჩეხა და გააქცია კიდეც. აშდოდამდე სდიეს და ჰკაფეს ებრაელებმა რიცხობრივად შეუდარებლად უპირატეს მტერს. მაგრამ გამობრუნდნენ და ახლა შენიშნეს, რომ სირიელთა მარცხენა ფლანგს უკვე ხელთ ეგდო ებრაელთა ბანაკი. ახლა ამ მხარეს შეუტია იუდამ. მაგრამ ზურგიდან წაძოესივნენ ისევ ბრძოლის ველს შემობრუნებული ბაკხიდე და მისი ათასეულები. სირიელთა ჯარები უკვე ყოველის მხრიდან შემორტყმოდნენ ებრაელთა გუნდს.

ყველა ებრაელი კვდებოდა და ირეცებოდა გმირის სიკვდილით.

დილით დაწყებულ ხოცვა-ჟლეტას მწუხრმა მოუსწრო.

და იუდა მაკაბელიც მკვდარი დაეცა.

სიმონმა და იონათანმა გმირი ძმის გვამი მტერს არ დაანებეს, აიტაცეს და უკვე ჩამომდგარ ღამეში გაუჩინარდნენ.

იგი დაკრძალეს მშობლიურ მოდეინში, მამა-პაპათა საძვალეში.

„დაიტირეს და გლოვითა დიდითა იგლოვა იგი სრულიად ისრაელმა; მრავალ დღეს მოთქვამდნენ და ჰგოდებდნენ: როგორ დაეცა ძლიერი, მხსნელი ისრაელისა!"

გლოვობდნენ ისრაელიანნი.

გლოვას აპათია მოჰყვა, აპათიას — რეაქცია.

ბაკხიდემ დამსჯელი სირიელი და „გასირიელებული" მოხელენი ჩააყენა, იუდეიის ყოველ ქალაქში. თვითონ იერუსალემში კი, რენეგატი ალკიმოსი გაბატონებულიყო.

და იყო დევნა, დაბეზღება, დაკითხვა და გასამართლება ყოველი, თუნდაც, ოდნავ პატრიოტულად განწყობილი ებრაელისა.

უმაღლესი მოსამართლე იყო თვითონ ბაკხიდე, რომელიც სჯიდა სისასტიკით, დამცირებით, აბუჩად აგდებით.

შიმშილობის ავი საფრთხეც ჩამომდგარიყო, რადგან ომებით გადათელილ-ყანებს აღარავინ ამუშავებდა.

ერს ისევ ეროვნული წინამძღოლი და პატრონი სჭირდებოდა.

ისევ საჭირო და გარდუვალი იყო „მაკაბელობა". და ისევ შიაკითხეს მაკაბელთა სისხლს — ი ო ნ ა თ ა ნ მაკაბელს, იუდას უმცროს ძმას, და უთხრეს:

„რაც შენი ძმა იუდა მოკვდა, მისი მსგავსი კაცთაგან არავინ გაჩნენილა, რომ გამოვიდეს და გაილაშქროს მტერზე და ბაკხიდეზე, ჩვენი ხალხის მოძულეზე. ახლა, დღეიდან შენ აგვირჩევიხარ მის ნაცვლად, რათა გვყავდე მთავრად და წინამძღოლად ჩვენს ბრძოლებში".

მიიღო იონათან აპფუს-მაკაბელმა ეს შეთავაზება, მაგრამ სახაძ ალალად არჩეული ბელადი ბელადობით ხელს გამოიღებდა და რამეს იქმოდა, დაასწრო ალშაგთაგან დროისად შეტყობინებულმა ბაკხიდემ და სასწრაფოდ გაქუსლა ჯარით ებრაელთა ახალი წინამძღოლის შესაპყრობად და მოსაკლავად.

ძლივს გაასწრეს მაკაბელებმა თავისი ბანაკიდან. იორდანე გადაიარეს და აქ დადგნენ, ა ს ფ ა რ ი ს ტ ბ ი ს ახლოს. აქვე ახლოს ნაბატეველები ცხოვრობდნენ, იმჯერად ლტოლვილ ებრაელთა მოკავშირენი. ახლად ძისულები

ბანაკის ეკონომიკურ ხელმძღვანელობას მაინც არ ენდნენ და ოჯახები და ქონება სწორედ ხაბატეველებთან დააბინავეს.

საქონლის ეკონომიკურ ანალიზებას, ებრაელებს თავს დაესხნენ ქალაქ მედაბიდან გამოცვენილი მცირე ტომისანი — ი ა მ ბ რ ი ა ნ ე ბ ი, რომელთაც დახოცეს იოხანან მაკაბელი და მისი მხლებლები, ქონება კი გაიტაცეს.

იონათანმა და სიმონმა ძმისა და თავისიანთა სისხლი მალე ამოიგეს: ერთ დღეს, ქორწილზე თავმოყრილ იამბრიანებს თავს დაესხნენ და აძოხეტეს.

ბაკხიდეც წამოსულიყო დიდის ჯარით იორდანესკენ, გახდგომილ და გაქცეულ ებრაელთა ამოსაწყვეტად. მაშინაც შაბათი აურჩევია. ‘ძაბათების „ბოყვარულ“ სარდალს. ამ დღეს, მატათია მაკაბელისგან, იარაღის აღებისა და ბრძოლად გასვლის ნება უკვე ჰქონდათ ებრაელებს, მაგრამ ‘ოსესძიერი კანონის სხვა აკრძალვანი მაინც ფრიად ზღუდავდა ებრაელის საომარ „უფლებას“. ამიტომ არჩევდა ცბიერი ბაკხიდე შაბათ დღეებს ებრაელთა დასალაძვრავად და დასაწიოკებლად.

ახლაც შაბათი დღე იყო, იორდანეს რომ მიადგა სირიის სარდალი ჯარით.

სასწრაფოდ ფეხზე დააყენა იონათანმა ბანაკი. სიტყვით მიმართა. საბრძოლოდ განაწყო და ისე, რომ მტერს იორდანეს გადალახვაც არ აცალა, თვითონ გადაიარა მდინარე დასავლეთის მხარეს და ფიცხლავ შეება სირიელთა არმიას.

ბრძოლის დასაწყისშივე იონათანი პირისპირ ბაკხიდეს ‘ეიუხტა ხძალამართული, მაგრამ გასწრო სირიელმა, „ხელიდან დაუძერა“ ზედმოვარდნილ ებრაელთა ბელადს და უკანა რიგებში გაუჩინარდა.

ათასამდე კაცი მკვდრად შეატოვა მოპირდაპირეს ბაკხიდეს და ისე გამობრუნდა ბრძოლის ველიდან.

იონათანს დადევნება აღარ უცდია, ისე მიბრუნდა თავის ბანაკში.

ბაკხიდე ებრაელთა მიწაზე სამომავლო ბრძოლების გასაგრძელებლად ციხესიმაგრეთა აღმშენებლობას შეუდგა. ასაშენებელი კი ბევრი იყო, რაკიღა ამდენ ომებს მიწასთან გაესწორებინა ბევრი ციხესიმაგრენი. ხელახლა აშენდა იერიქონი, ბეთელი, ემაუსი, ბეთ-ხორონი, ფარატონი, თიმნა, ტეფონი. გამორჩეულად, ხელახლა განამტკიცა სირიელთა სარდალმა აკრა, ბეთცური და ხაცორი.

აკრაში ბაკხიდეს მძევლები ჰყავდა ჩაკეტილი, წარჩინებული და გავლენიანი ებრაული ოჯახებიდან აყვანილნი.

მძიმედ შეიბოჭა იუდეა ამ სასტიკი და ცბიერი სირიელი მოხელის ხელში. მისი მეფე დემეტრიოსი მთელი იმპერიის ფარგლებში მოქცეულ ყოველ ფიკეთეს, შემოსავალს, მიწას, წყალს და ხალხებსაც თავის პირად საკუთრებად მიიჩნევდა. ამ საერთო, საიმპერიო „საკუთრებიდან“ ყველაზე სასტიკი და უნდობელი თვალით იგი იუდეას უცქერდა. ასე იყო, რადგან იუდეველნი არა და არ ურიგდებოდნენ უცხოთა უღელს.

კაცმა რომ თქვას, დემეტრიოსი უფრო „ჰუმანურიც“ კი ჩანდა ებრაელთა

მიმართ, ვიდრე წინარე სელევკიდი, ანტიოქე ეპიფანე. მართლაც, დიდძხიმ-ენელოვანი უნდა ყოფილიყო ის სინამდვილე, რომ დემეტრიოსი აღარ ერეოდა ებრაელთა შინაურ, სარწმუნოებრივ, ზნეობრივ-სინდისებრივ საქმეებში; იგი ანტიოქე ეპიფანესავით აღარ მოითხოვდა ხელაღებით ებრაელობაზე უარის თქმას და პირდაპირ ელინისტურობაზე „გადართვას", აღარც შაბათის უქმობისთვის და აღარც წინდაცვეთისთვის აღარავის ადენდა იგი სისხლს. მთავარი მისთვის იყო გადასახადი და მორჩილება, როგორც დაპყრობილი ქვეყნისა და ხალხისა.

გადასახადი კი მძიმე იყო. მიწისა და მთელი მისი შემოსავლის ერთი მესამედი სირის მეფეს მიჰქონდა, აქედან ცალკე, ზეთისხილი და მისი ნაწარმი სანახევროდ მიჰქონდა.

და არ ურიგდებოდა ამას ებრაელობა.

არც ბაკხიდე ანელებდა სისასტიკეს.

როგორც ყოველთვის, ყოველი რენეგატი მშობლიური ხალხის მიმართ უცხო მომტერეზე უფრო სასტიკი და დაუნდობელია, ალკიმოსიც ბაკხიდეზე უარესად ემტერებოდა „თავის მშობლიურ" ებრაელობას.

მისი ბრძანებით დაიწყეს ნგრევა იერუსალემის ტაძრის ეზოში შიდა კედლებისა.

და მოევლინა რენეგატს „ციური სასჯელი": სწორედ იმ წმიდა კედლის ნგრევის ჟამს დამბლა დაეცა, ენა და ცალამხარობა წაერთვა. ძალე კიდევაც მოკვდა, ტანჯვა-წამებით.

ალკიმოსის სიკვდილის შემდგომ, ბაკხიდემ იუდეა დატოვა და სირიაში გაბრუნდა. ორი წელიწადი (159—157) დარჩა იქ. იუდეამ თითქოს დაისვენა. მაგრამ არ დაისვენეს ისევ რენეგატებმა, წავიდნენ ანტიოქიაში ბაკხიდესთან და შეუჩდნენ: ახლა პირდაპირ ხელდახელია მაკაბელთა შეპყრობის საქმე; ისინი თავდასხმას აღარ ელოდებიან, უკვე არხეინ სიმშვიდეს ძისცემიან და უკეთუ იუდეაში ჯარით ჩამოხვალ და მოულოდნელად თავს დაეცემი, უეჭველად ისინი შენს ხელში აღმოჩნდებიან ერთბაშადო.

წამოვიდა ახალი ჯარებით ბაკხიდე. მის მოსვლამდე კი იონათანს შეეტყო რენეგატთა ღალატი და მაშინვე მისმა თანამებრძოლებმა მოღალატე დაძებნეს ებლები და მტრის მეგზურები შეიპყრეს, სულ ორმოცდაათამდე კაცი, და დახოცეს.

მაშინვე იონათანი და სიმონი საომარ სამზადისსაც შეუდგეს. ბ ე თ ბ ა-ს ი ს უდაბნოში გავიდნენ, იქაური ციხესიმაგრე სასწრაფოდ აღადგინეს, გაამაგრეს, თხრილები და მიწაყრილები შემოარტყეს და ჩასაფრდნენ.

მიადგა ბაკხიდე ბეთბასის სიმაგრეს, ალყა დაარტყა, საიერიშო დანადგარები მიაყენა და „ცეცხლიც გაუხსნა" ლოდსატყორცნებით.

ბრძოლა გაჟიანურდა. მაშინ, ერთ ღამეს იონათანმა სიმაგრე თავის ძმას, სიმონს დაუტოვა, თვითონ კი იდუმალ ალყიდან გამოვიდა, ცხენს ძოახტა და

გაქუსლა. მალე ჯარით მობრუნდა და მოალყე მტერს ზურგიდან თავს დაესხა. იმავეამს შიგნიდან სიმონიც გამოიჭრა და სირიელთა საიერიშო მანქანებს ცეცხლი წაუკიდა.

ორმხრივი დარტყმების ქვეშ მოქცეული ბაკხიდე დამარცხდა. მრავალი მეომარი დაეღუპა. თვითონაც სიკვდილს ძლივს გამოასწრო.

სამშვიდობოს რომ გავიდა, გაცოფებული სირიელი სარდალი სწორედ იმათ დაერია და დახოცა, ვინც იგი მოიწვია და წააქეზა ასეთ უიღბლო ლაშქრობაში. იგი უკვე საზავო განწყობილებაზეც იყო. ზავი ბაკაბელებსაც სურდათ და კიდევაც დაზავდნენ მოპირდაპირენი, ტყვეებიც დაცვალეს ურთიერთ შორის. წინათ წაყვანილი იუდეველი ტყვეებიც დააბრუნა ბაკხიდემ. თვითონ კვლავ გაბრუნდა სირიაში.

მშვიდობა ჩამოვარდა, — „დაცხრა მახვილი ისრაელში".

ხოლო, იონათანი დასახლდა მიხმაშში (იქ, სადაც ოდესღაც ცხოვრობდა საული) და შეუდგა შინაურობაში, ქვეყნის შიგნით, საკუთარი ხალხის განსჯას და განწმენდას რენეგატულ-მოღალატური ცდომილებისგან, და კიდევაც „გადააშენა ურჯულოები ისრაელიდან".

მაინც ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო, საერთოდ კაცთმოძულე და გამორჩევით ებრაელთმომტერე მეფე დემეტრიოსს ახალი,. მისი ხასიათის შესაფერისი რეპრესიები წარემართა იუდეიის საოხრებლად და საწყაბლად. მაგრამ უეცრად პოლიტკურ ასპარეზზე მოხდა ისეთი ცვლილებები, რასაც იუდეიის ცხოვრებაში კეთილისმყოფელი შედეგები უნდა მოეტანა. საქმე ეხება გადატრიალებას ანტიოქიაში, სელევკიდების სასახლეში.

დასავლეთ მცირე აზიის ელინისტურ სახელმწიფოში, პერგამოს'ში, გამოჩნდა ახალგაზრდა კაცი, წარმომავლობით ქალაქ სმირნადან, სახელად ალექსანდრე ბალასი, რომელიც გარეგნობით ძალიან ჰგავდა დემეტრიოსისგან დამხობილ ანტიოქე V ევპატორს. პერგამოსის მეფემ, ატალოს II-მ, — რომელსაც უსაზღვროდ სძულდა (ანდა, ვის აღარ სძულდა!) დემეტრიოსი — ეს ალექსანდრე ბალასი გამოაცხადა ნამდვილ ანტიოქე ევპატორად, რომელიც თითქოს არც არავის მოეკლას, არც თვითონ მომკვდარიყოს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დემეტრიოსს, როგორც უზურპატორს და „უკახოხოს", ტახტი უნდა დაებრუნებინა „კანონიერი მეფისათვის", ვითომ ახტიოქე ევპატორისათვის. და ამ ფსევდო-ევპატორს მდიდარი მეფე ატალოს პერგამოსელი ეხმარებოდა ყოველნაირად — ფულითაც, ხალხში ხმის გავრცელებითაც, ჯარითაც (უკეთუ საჭირო გახდებოდა), ოღონდ კი ანტიოქიის ტახტი „მის კაცს" დაეჭირა.

მეფე დემეტრიოსს თავისი თერთმეტწლოვანი (162—150) შეფობით და მისი კაცთმოძულური, უტიფარი ბუნებით, მართლაც მტრად გადაეკიდებიხა ყველა, საკუთარი სახელმწიფოს შიგნითაც და მის გარეთაც, რომიდან იხდოეთამდე. ამიტომ უტყუარი ნიადაგი ექმნებოდა ამ მარტოხელა ბოროტის დამხობას.

ალექსანდრე ბალასი პტოლემაისში მოვიდა, ადგილობრივი გარნიზონი მოიმხრო და თავი მეფედ გამოაცხადა.

დემეტრიოსმაც საომარ ძალებს მოუხმო და, ყველაზე მოულოდნელიც სწორედ ის იყო, რომ მან უპირველესად კავშირი გააბა იონათან მაკაბელთან!

კიდევაც მაშინვე წასცდენია დემეტრიოსს: ასე აკობებს, დავასწროთ და სანამ ებრაელები ალექსანდრესთან შეკრავენ კავშირს ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენ თვითონ ჩამოვაგდოთ მშვიდობა მათთან, ჩვენგანვე ამდენჯერ გაებედურებულებთან და გამწარებულებთანო.

და მისწერა წერილი დემეტრიოსმა იონათანს, შევრიგდეთ და შევკავშირდეთო. იმ წარჩინებულ ებრაულ ოჯახთაგან აყვანილი მძევლებიც მაშინვე გამოაშვებინა მეფემ, აკრას ციხეში რომ ჰყავდათ ჩაკეტილი სირიელებს. ძმასთან, იონათანს და მისიანებს ნება ეძლეოდათ, შესულიყვნენ იერუსალემში და მოევლოთ მისთვის, როგორც იუდეის სატახტო ქალაქისთვის. ბოლოს, დემეტრიოს მეფე ებრაელებს ნებას აძლევდა იარაღი აეღოთ და მოუწოდებდა გამხდარიყვნენ მისი მოკავშირენი.

მაშასადამე, — მონობიდან უცებ მოკავშირეობისაკენ!

და მაშინვე შევიდა იონათანი თავისი თანამებრძოლებით იერუსალემში. მაშინვე შეუდგნენ დანგრეული ქალაქის აღდგენას და მოწყობას. სირიელმა ციხიონებმა დაცალეს ყველა ებრაული ციხესიმაგრენი, ბაკხიდესგან გამაგრებული და ოკუპირებულნი, და გამობრუნდნენ იქეთ, საიდანაც მოსულიყვნენ.

მხოლოდ ბეთ-ცურში ჩარჩნენ, ჯერ კიდევ, ისინი, „ვინც გაძალადებულან სჯულსა და აღთქმებს".

ამასობაში ალექსანდრესაც მოსვლოდა ცნობები მისი მეტოქის, დემეტრიოსის მიერ ებრაელებთან კავშირის გაბმისა. მაკაბელების შესახებ. კიდევ, დაწვრილებით გამოეკითხა ტახტის მაძიებელს და ბოლოს უთქვამს იონათანზე: „ასეთ კაცს მეორეს ვერ მოვნახავთ, მოდით დავიმეგობროთ და მოკავშირედ გავიხადოთ". და წერილიც მაშინვე მოსწერა იონათანს:

„მეფე ალექსანდრე ძმას, იონათანს, მოგიკითხავ. გაგვიგონია შენზე, რომ მაგარი კაცი ხარ და შეგფერის ჩვენი მეგობარი იყო. დღეიდან და ამიერიდან დამიდგენიხარ შენი ხალხის მღვდელმთავრად და მიწოლებია შენ-ვის მეფის მეგობარი, გეპიროს ჩვენი მხარე და გაფრთხილებოდე ჩვენს მეგობრობას".

წერილთან ერთად, ძვირფას ძოწეულის წამოსასხამს და ოქროს გვირგვინს უგზავნიდა ალექსანდრე იონათანს.

თანხმობით და სიამოვნებით შეხვდა იონათანი მეორე ბანაკის შეშოთავაზებასაც. მღვდელმთავრადაც ეკურთხა იგი, კარვობის (სკინიას) დღესასწაულს, იერუსალემის ტაძარში.

იგი უკვე არჩევანში იყო, ვისი მხარე დაეჭირა, დემეტრიოსისა თუ ალექსანდრესი. და გადაჭრით გადაწყვიტა იონათანმა შეკავშირება ალექსანდრესთან.

შეიტყო ეს დემეტრიოსმა და შეეცადა იონათანის წინააღმდეგ თვითონ ებრაელი ხალხი აეჯანყებინა და საამისოდ, „მოსათაფლავად", ასეთი წერილი გაუგზავნა იუდეველებს:

„მეფე დემეტრიოსი იუდაელთა ერს მოგიკითხავთ. გვესმოდა და გვიხაროდა, რომ იცავდით ჩვენთან დადებულ შეთანხმებებს, უფრთხილდებოდით ჩვენს მეგობრობას და არ ემხრობოდით ჩვენს მტრებს. ახლაც ეცადეთ, კვლავ გაუფრთხილდეთ ჩვენს ნდობას და სიკეთეს მოგაგებთ თქვენ იმის სანაცვლოდ, რასაც ჩვენთვის გააკეთებთ. ბევრ შეღავათს გაგიწევთ და ძღვენსაც გამოგიგზავნით. ახლა კი თქვენს ნებაზე გიშვებთ და ვათავისუფლებ ყველა იუდაელს გადასახადისგან, და მარილისა და გვირგვინების ბაჟისაგან. ამიერიდან გამიუქმებია მარცვლეულის მესამედი და ხის ნაყოფთა ხახევარი, რომლებიც ჩემთან იგზავნება იუდას ქვეყნიდან და სამი ოლქიდან, რომლებიც მას აკრავს, სამარიიდან და გალილეიიდან, ამიერიდან სამარადისოდ. ხოლო იერუსალემი, მისი სანახები, მეათედები და შემოსავალი წმიდა და თავისუფალი იყოს. გამიუქმებია უფლება იერუსალემის ციხეზე და მღვდელმთავრისთვის მიმიცია, რომ მის დასაცავად ჩააყენოს იქ კაცები, ვისაც თვითონ დაასახელებს. ყოველ იუდაელს, იუდას ქვეყნიდან წარტყვევნილს, ძთელს ჩემს სახელმწიფოში, უსასყიდლოდ ვათავისუფლებ. ყველამ ვააუქმოს მათი ცხვარ-ძროხის გადასახადიც. ყოველი დღესასწაული: შაბათი, ახალმთვარობა და დაწესებული დღეები — სამი დღე ზეიმამდე და სამიც ზეიმის შემდეგ, ყველა იქნება შეღავათიანი და საუქმო ყოველი იუდაელისთვის, ვისაც კი ჩემს სახელმწიფოშია. არავის ექნება უფლება მათგან ვინმე დაავალდებულოს, ან რაიმე საქმის კეთება აიძულოს. იუდაელთაგან მეფის ლაშქრისთვის გამოიყოს სამი ათასი კაცი, და მიეცეს მათ სარჩო, როგორც დაწესებულია მეფის ყველა ჯარისკაცისთვის. ისინი ჩაყენებულ უნდა იქნან მეფის დიდ ციხესიმაგრეებში და განწესდნენ სამეფო საქმეებზე, რომლებიც ერთგულებას საჭიროებენ. მათი ზედამხედველებიც და წინამძღოლებიც მათგანვე უნდა იყვნენ და იცხოვრონ თავიანთი რჯულით, როგორც მეფემ დაადგინა იუდას ქვეყანაში. სამი ოლქი, რომლებიც სამარიის ქვეყნიდან ეკვრის, მიუერთდეს იუდეას, რათა ჩაითვალოს, რომ ერთიანია, და არ დამორჩილეს სხვა ძალაუფლებას, თვინიერ მღვდელმთავრისა. პტოლემაისს და მის გარეშემოს საჩუქრად ვუბოძებ იერუსალემის საწმიდარს, რათა იტვირთოს საწმიდარის ხარჯები. მე კი ყოველ წელიწადს შესაბამისად თხუთმეტ ათას შეკელ ვერცხლს გავცემ მეფის შემოსავლიდან — შესაბამისი ადგილებიდან. და მთელი დახარჩენი ნაწილი, რაც შემოსავლიდან არ გაცემულა, როგორც წინა წლებში გაიცა, დღეიდან ტაძრის საქმეებს მოხმარდეს. და გარდა ამისა, ხუთიათასი შეკელი ვერცხლი, რომელსაც იღებდნენ საწმიდარის შემოსავლიდან, გაუქმებულია, რადგან ის მოშსახურე მღვდლებს ეკუთვნით. თუკი ვინმე, ვისაც საშეფო ანდა სხვა საქმე მართებს იერუსალემის ტაძარში, ანდა რომელიმე მის სათავსოში, გაიქცევა, გათავისუფლდეს და დაუბრუნდეს ყველაფერი, რაც ჩემს სამეფოში

აბადია. საწმიდარის ასაგებად და მის განსაახლებლად სახსრები გაიცეს სამეფო შემოსავლიდან. იერუსალემის კედლების ასაგებად და გარშემო გასამაგრებლად სახსრები გაიცეს სამეფო შემოსავლიდან, ასევე კედლების ასაგებად იუდეაში".

ასეთი იყო დემეტრიოსის წერილი, ასეთი დაპირებებით.

დაპირებები კი სწორედ დიდებულიც იყო, მაგრამ ამ წერილმა მაინც ვერ გააბრიყვა ებრაელობა, „რადგან ახსოვდათ დიდი სიავე, ისრაელში რომ ჩაიდინა დემეტრიოსმა და სასტიკად შეაჭირვა ისინი".

და ხალხი ამჯერადაც იონათანს გაჰყვა და საბოლოოდ გადაწყდა კავშირი ალექსანდრესთან და განდგომა დემეტრიოსისგან.

მალე ამის შემდეგ გადამწყვეტი ბრძოლაც მოხდა ალექსანდრესა და დემეტრიოსს შორის. დემეტრიოსი დამარცხდა და ბრძოლაშიც დაიღუპა. ამგვარად, სირიის ტახტზე მეფედ დაბრძანდა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ბ ა ლ ა ს ი (150—145).

გამეფებისთანავე ალექსანდრემ ცოლად შეირთო ეგვიპტის მეფის, პ ტ ო ლ ე მ ე ი ს VI ფ ი ლ ო მ ე ტ ე რ ი ს ასული კ ლ ე ო პ ა ტ რ ა.

ქორწილზე მიწვეული იყო იონათანი. აქ იგი ორივე მეფემ, სიძემ და სიმამრმა, მიიღეს დიდის პატივით.

მისმა მომტერეებმა კი მოსწერეს და მოასწრეს სიირის ახალი მეფის წინაშე იონათანის დაბეზღება, მაგრამ არ გაუმართლათ, — არც მოუსმინა, ისე გამოყარა უკან ყველა დამსმენი ალექსანდრემ და თან ეს გამოაცხადა საქვეყნოდ: ამიერიდან ტყუილად თავი არავინ შეიწუხოს იონათანის დაბეზღებითო.

ძოწეულით მორთო და მოკაზმა ალექსანდრემ იონათანი, „გახადიდა იგი ხელმწიფემ, შერაცხა უახლოეს მეგობრად და მიანიჭა მას სარდლობა და მხარის უფროსობა".

მალე თვითონ ალექსანდრეს გამოუჩნდა მეტოქე, მისგანვე ტახტიდან ჩამოგდებული დემეტრიოს I-ის ძე, დ ე მ ე ტ რ ი ო ს II ნ ი კ ა ტ ო რ ი, და როცა ამათ შორის ომებიც გაჩაღდა, იონათანი ერთგულად და მტკიცედ იცავდა ალექსანდრეს მოკავშირეობას და მეგობრობას. მან სასტიკი ბრძოლაც გაუმართა დემეტრიოსის სარდალს, აპოლონიოსს, იაფოსთან, და დაამარცხა იგი. მერე იაფოც აიღო იონათანმა. ახალი ჯარებით განაახლა ბრძოლა აპოლონიოსმა. შეებნენ იონათანი და სიმონი, დაამარცხეს და გააქციეს, ფილისტიმურ ქალაქ აშდოდამდე სდიეს. აშდოდიც აიღეს ებრაელებმა, აქაური კერპის, დაგონის ტაძარი გადაწვეს, ქალაქიც ცეცხლს მისცეს. დანარჩენი ახლომახლო ზღვისსანაპირო ქალაქებიც აიღეს და დაარბიეს. დიდძალი ნადავლით დატვირთულები მობრუნდნენ უკან.

გაიხარა ამ ამბის გამგონე ალექსანდრე ბალასმა. სამადლობლოდ, ოქროს ბალთა გამოუგზავნა მან იონათანს. ქალაქი ე კ რ ო ნ ი ც სამემკვიდრეო მამულად მიუძღვნა.

ეგვიპტის მეფესთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა იონათანს. კელე-სირიის ზღვისსანაპირო ქალაქებში მოგზაურობისას, პტოლემეოს ფილომეტერის წინაშე დააბეზღეს იონათანი აშდოდელებმა, — აი, როგორ დაწვა და დააქცია ქალაქი აშდოდი, მასთან მისი ტაძარი ებრაელთა ბელადმაო. მაგრამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია მეფემ ამ დაბეზღებას. იაფოში კი თვითონ შეხვდა იონათანი პტოლემეოსს. ტკბილად, მეგობრულად მოიკითხეს ერთმანეთი. მთელი ღამეც ერთად გაატარეს.

პტოლემეოსს უკვე გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდა ალექსახდრესთან. კელე-სირიის მფლობელობისთვის წაკიდებულიყვნენ სიძე-სიმამრი. პტოლემეოსს უკვე იდუმალი მოლაპარაკებაც ჰქონია სირიის ტახტის მაძიებელ დემეტრიოს II-ესთან: ჩემს ასულს, კლეოპატრას, ალექსანდრეს ცოლობიდან გავყრი და შენ შეგრთავ ცოლად, თან ტახტის დაპყრობაშიც დაგეხმარებიო.

რაც სიტყვით თქვა, საქმითაც შეასრულა ეგვიპტის მეფემ, — ალექსანდრეს კლეოპატრა წაართვა და დემეტრიოსს მიუბედნიერა. მალე ბრძოლაც მოხდა სირიის ტახტისთვის. პტოლემეოსმა ალექსანდრე დააამარცხა. დამარცხებული არაბეთში გაიქცა. ეგვიპტის მეფემ სირიის გვირგვინი თვითონ დაიდგა თავზე. ამ „ორგვირგვინიანს" ალექსანდრეს მოკვეთილი თავიც გაუგზავნეს არაბეთიდან. მაგრამ ამ ამბიდან სამ დღეში თვითონაც მოკვდა პტოლემეოსი.

სირიის ტახტზე ავიდა დ ე მ ე ტ რ ი ო ს II ნ ი კ ა ტ ო რ ი (145—138).

ეგვიპტის ტახტზე — პ ტ ო ლ ე მ ე ო ს VII ნ ე ო ს ფ ი ლ ო პ ა ტ ო რ ი (145).

სანამ ახალი მეფეები აზრს მოეგებოდნენ, იონათანმა თვითონ იერუსალემში იერიში მიიტანა აკრაზე, ერთადერთ ციხეზე, სადაც ჯერ კიდევ იდგა სირიელთა ციხიონი.

უმალვე აცნობეს ერის მოღალატეებმა ეს ამბავი დემეტრიოს II-ეს. მეფე გარისხდა და იონათანს შემოუთვალა ფიცხლავ: ახლავე იერუსალემის ციხეს ალყა მოხსენი, ხოლო პირადად შენ პტოლემაისში გელოდები, სადაც ახლა მიეშურები.

ალყა განაგრძეთო, ჯიუტად ბრძანა იონათანმა და თვითონ, ძვირფასი საჩუქრებით, წავიდა მეფესთან შესახვედრად პტოლემაისში. იქაც მიესწროთ დამბეზღებლებს, მაგრამ დემეტრიოსი მაინც ტკბილად და მოწიწებით შეხვდა ებრაელთა ბელადს — „დაუმტკიცა მას მღვდელმთავრის ხარისხი და ყველა სხვა პატივი, რაც წინათ ჰქონდა, და უახლოეს მეგობრებში უპირველესად შერაცხა".

იონათანმა ასეთი მიღებით ისარგებლა და მეფეს სთხოვა ხარკის მთლიანად მოხსნა იუდეიისგანაც და მასთან სამარიიდან მიერთებული საძი ოლქისგანაც — აფაირემას, ლოდისა და რათამანისგან. თან, ამ თხოვნასთან ერთად, 300 ტალანტი მიართვა დემეტრიოსს იონათანმა.

დათანხმდა მეფე დემეტრიოსი და ბრძანა წერილობითად: „იუდაელთა

ერს, ჩვენს მეგობრებს და ჩვენდამი ვალდებულებათა ერთგულად შემსრულებელთ, გადავწყვიტეთ სიკეთე მივაგოთ, რადგან კეთილგანწყობილნი არიან ჩვენდამი. ვუმტკიცებთ მათ იუდას მიწა-წყალს, სამ ოლქს — აფაირემას, ლოდსა და რათამანს, რომლებიც მიუერთდა იუდეას სამარიიდან; ყველას, ვინც მსხვერპლსა სწირავს იერუსალემში, ვათავისუფლებთ სამეფო გადასახადისგან, რომელსაც უწინ ყოველწლიურად იღებდა მეფე მიწის მოსავლიდან და ხეთა ნაყოფთაგან; ამიერიდან სხვა დანარჩენ გადასახადთაგან, რაც გვერგება, მეათედთაგან, ხარკთაგან, რაც გვერგება, მარილის ტბიდან და გვირგვინის ხარკიდან, რაც გვერგება ყოველივე ამათგან ვათავისუფლებთ მათ. არცერთი ამათგანი არ შეიცვლება ამიერიდან სამარადისოდ".

ეს იყო დიდი მანიფესტი ებრაელი ხალხის გათავისუფლებისა, მსგავსი სპარსელი კიროსის მანიფესტისა. მაგრამ, ეტყობოდა, განხორციელება არ ეწერა მას.

მალე ამ წერილის შემდეგ მეფემ, ალბათ სახელმწიფოში საომარი ხარჯების შემცირების აზრით, საკუთარი ქვეყნიდან წვეული ჯარები დაშალა და სამეურნეო ცხოვრებას დაუბრუნა, ხოლო რეგულარულ სამხედრო ძალად მხოლოდ უცხოელი დაქირავებული ჯარები დაიტოვა.

ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია დაშლილ ეროვნულ ჯარებში (ჯარისკაცს სამეურნეო ჭაპანწყვეტას ისევ ჯარში მუქთა პურის ჭამა ერჩია). უკმაყოფილება კი დღე-დღეზე შეიძლება აჯანყებაშიც გადაზრდილიყო.

ამით ისარგებლა ვინმე ტ რ ი ფ ო ნ დ ი ო დ ო ტ მ ა, ადრე ალექსანდრე მეფესთან ახლო ნამსახურმა ავანტურისტმა, რომელმაც სახელმწიფოში ხმა დაარხია, რომ არაბეთში იზრდება კანონიერი მეფე, ა ნ ტ ი ო ქ ე, ძე მოკლეული ალექსანდრე მეფისა.

და დაიწყო დრტვინვა და ჯანყი „უკანონობის" დამხობისა და „კანონიერების" აღდგენისათვის.

ეს კი იმ დროს დაიწყო, როცა მეფე დემეტრიოსს იონათან მაკაბელის თხოვნა მოსვლოდა: იერუსალემის ციხეში რომ შენი ჯარი დგას, გთხოვ ის ჯარი გაიყვანო და ციხე გამითავისუფლოო.

მეფემაც მყისვე უპასუხა: შენთვის და შენი ხალხისთვის არა მარტო მაგ თხოვნას შევასრულებ, არამედ როგორც კი შესაფერისი ჟამი დადგება, მრავალ უფრო დიდ სიკეთესაც მოგიზღავთ, ოღონდ ახლა ძალიან მიჭირს, რადგან ჩემი ჯარი ამიჯანყდა და გთხოვ შენი საკუთარი ჯარი მომაშველოო.

იონათანმაც მაშინვე აარჩია „სამიათასი მაგარი ვაჟკაცი" და გაგზავნა ანტიოქიაში მეფის სამსახურში.

ებრაელმა მეომრებმა სულზე მიუსწრეს მეფეს. მთელი ანტიოქია დამდგარიყო დემეტრიოსის მოსაკლავად. უკვე სასახლესაც მიხტომოდნენ აჯანყებულნი.

წინ გადაუდგნენ ებრაელნი აჯანყებულებს. ბრძოლა გახურდა. სამიათას „მაგარ ვაჟკაცს" მაინც უნდა მისჭირვებოდა აჯანყებული და გაშმაგებული

ურდოს უკუქცევა. ამიტომ უკიდურეს კრიტიკულ ჟამს მათ ცეცხლს მისცეს ქალაქი. ამან შეაძრწუნა, დააფრთხო და არივდარია აჯანყებულნი. სულის მოთქმა აღარ აცალეს იონათანის მეომრებმა. ცეცხლმოდებულ ქალაქში დარბოდნენ და უწყალოდ ხოცავდნენ ყველას, ვისაც მოახელებდნენ. აჯანყება ჩაქრა. ცეცხლიც ძლივს ჩააქრეს.

მეფე დემეტრიოსი გადარჩა. მალე პატიების თხოვნითაც ეახლნენ წელანდელ აჯანყებულთა წარმომადგენელნი.

მეფემ „დიდსულოვნურად აპატია" ყველას. მისი მხსნელი ებრაელები კი უხვად დააჯილდოვა და გამოუშვა.

მაგრამ ეს იყო და ეს. ამას იქით არც სამადლობლად უკისრია რაიმე დემეტრიოსს, და რაც მთავარია, არც იმ პირობებიდან რაიმეს შესრულება უფიქრია, რაც მანამდე, „კიროსის მანიფესტივით", წერილობით ჰქონდა აღთქმული ებრაელთა საკეთილდღეოდ.

ასე, უმადურმა ხელმწიფემ „გაიუცხოვა იონათანი და არ მისცა დაპირებული შეღავათები; და ძალზე გაანწყენა იგი".

მაგრამ მაინც ბოლომდე მისდია ბედმა მდევარმა დემეტრიოსს. ძლიერად ამოქმედდა ისევ ტრიფონ დიოდოტი. ჩამოიყვანა არაბეთიდან მცირეწლოვანი ანტიოქე ალექსანდრეს ძე, დემეტრიოსზე შემომწყრალი ჯარები შემოიყარა, სპილოებიც წინ წაიმძღვარა და ანტიოქიისკენ დაიძრა.

დემეტრიოსმა ისღა მოასწრო, გაქცეულიყო და გადახვეწილიყო. ტრიფონი ანტიოქიას დაეუფლა და მეფედ ანტიოქე ალექსანდრეს ძე გამოაცხადა.

ასე იწყებდა მეფობას სელევკიდური სირიის მორიგი გვირგვინოსანი, ა ნ ტ ი ო ქ ე VI ე პ ი ფ ა ნ ე (145—141), რომელმაც ტახტზე ასვლისთანავე მოსწერა წერილი იონათან მაკაბელს: „დამიდგენიხარ მღვდელმთავრად და ოთხი ოლქის განმგებლად და მეფის მეგობართა შორის შემირაცხიხარ". წერილს ძვირფასი საჩუქრებიც მოჰყვა — ოქროს ბალთა, ოქროს თასები, სხვა ჭურჭელი, ძოწეულის წამოსასხამი.

ხოლო, იონათანის ძმა, სიმონი, ახალმა მეფემ სარდლად დახიშნა, ზღვის გასწვრივ უბანზე, ტვიროსიდან ეგვიპტის საზღვრამდე.

თითქოს ღაზას არ მოსურვებია მაკაბელთა მორჩილება, მაგრამ მიეკრა იონათანი, აიღო, დაარბია და გადასწვა ღაზა. პატიება ითხოვეს ღაზელებმა. მაინც არ ენდო იონათანი. აქაურ წარჩინებულ ოჯახთაგან მძევლები აიყვანა და იერუსალემში გამოკეტა.

გაქცეულ დემეტრიოსს კი თავისი მომხრე ჯარები შემოეყარა და წამოსულიყო „თავისი ტახტის" დასაბრუნებლად. თავის პირველ მტრად მას იონათანი დაუსახავს, მღვდელმთავრობიდან გადაყენებულადაც გამოუცხადებია და კიდევაც დაძრულა მის მოსასპობად.

გალილეაში შემოვიდა და ქალაქ კადეშში ჩადგა ბანაკად დემეტრიოსი.

იონათანს ადგილზე მმართველობა სიმონისთვის დაეტოვებინა, თვითონ კი მოდიოდა თავისი ჯარით დემეტრიოსთან შესახვედრად.

შეხვედრაც მოხდა, ხაცორის ველზე. ბრძოლა დაიწყო და ერთხანს წონასწორად ვიდოდა, მაგრამ უეცრად, მახლობელ მთიდან დემეტრიოსის ჩასაფრებული რაზმები ჩამოიჭრნენ და ბრძოლას შეერთვნენ. ამ მოულოდნელობამ იონათანის თანამებრძოლები ისე დააფრთხო, თითქმის სუყველამ ბრძოლის ველიდან მოჰკურცხლა. მხოლოდ მატათია ბენ-აბესალომმა და იუდა ბენ-ხალფიმარ მიატოვეს თავის სარდალი.

იონათანმა ტანსაცმელი დაიპო ტანზე, თავზე ნაცარი დაიყარა, ილოცა და კვლავ გააფთრებით გადაეშვა მტრის რიგებში. მიჰყვნენ მატათია და იუდა. მათი გაქცეული მეომრებიც შემობრუნდნენ ბრძოლის ველისკენ, ჯერ კანტიკუნტად, მერე გუნდ-გუნდად. და თითქმის წაგებული ბრძოლა კვლავ აშოიგო იონათანმა. გაქცეულ მტერს კადეშამდე სდია. დამარცხებულნი ბანაკში ჩაიკეტნენ. იონათანმა იგრძნო, ბანაკზე საიერიშოდ ჯარი აღარ ეყოფოდა და შემოიქცა იერუსალემისკენ.

კვლავ რამდენიმე გამარჯვება იზეიმეს ძმებმა მაკაბელებმა. სიმონმა ბეთცური აიღო და ერთხელ და სანუდამოდ გაწმინდა იგი ებრაელი ერის მომტერე ყოველი ურჯულოსა და გადარჯულებულისაგან.

შეიტყო იონათანმა, რომ ახალი ჯარები შემოეყარა დემეტრიოსს და წამოსულიყო, არაბეთიდან. დაუხვდა იონათანი, „ხამათის მხარეში". უბრძოლველად გაბრუნდა და გაშორდა მისი მხილველი მოპირდაპირე.

ნაბატეველთა ერთ ტომს გადასწვდა იონათანი, ზაბადეებს, დააშარცხა, გააქცია და ნადაველიც დაინადაველა.

იქიდან წამოვიდა და ჩრდილოეთისკენ გაეშურა.

დამასკომდე მივიდა, დამასკოს ქუჩებიც ტრიუმფით გაიარა და მოვლო.

სიმონი მაშინ ასკალონს ყოფილიყო. იქვე შეეტყო, რომ იაფო მაკაბელებს გადასდგომოდა და დემეტრიოსს უპირებდა კარის გაღებას. მაშინვე გაფრინდა ასკალონიდან სიმონი, იაფოს დაეცა, ხელახლა აიღო და შიგ თავისი ძლიერი ციხიონი ჩააყენა.

კიდევ რამდენიმე ციხესიმაგრე და ციხე-ქალაქი აიღეს და გააძაგრეს, თავიანთ საყრდენად ძმებმა მაკაბელებმა ლიბანიდან ეგვიპტემდე, მაგრამ მთავარი მაინც იყო ზრუნვა იერუსალემზე.

კიდევ უფრო აღამაღლეს და განასრულეს იერუსალემის კედელ-ხღუდენი, კედრონის ველამდე განავრცეს და ამით მორიას მთა და მასზე აღმართული უფლის ტაძარი უმეტეს საიმედო დაცვაში მოაქციეს.

იერუსალემის შიგნით გაავლეს ახალი კედელი, რომლითაც ქალაქს სრულიად მოეკვეთა ციხესიმაგრე აკრა, ჯერ კიდევ ბანაკი და თავშესაფარი ანტიეროვნული, ელინისტური „პარტიისა".

იმ არამდგრად საწუთისოფლო ურთიერთობებში ახალი დიდი ცვლილებები უნდა მოჰყოლოდა „მთავარი გმირის" ახალ პოზიციას. ტრიფონ დიოდოტმა, რომელმაც გუშინ სირიის სელევკიდების ტახტზე მეფედ დასვა ანტიოქე VI, ახლა თვითონვე გადასდგომოდა მისგანვე „დასმულს". უკეთუ შე-

უძლია ტახტზე დასმა, სხვისას ის არ სჯობს, თავისი თავი თვითონვე დასვას?! აი, აბსოლუტური სიმარტივით მისახვედრი ფილოსოფია!

და შესდგომოდა ტრიფონი „საკუთარი", ანუ მისი „კუთვნილი" ტახტის მოპოვებისათვის ბრძოლის გზას. ხოლო, ამ გზაზე მოსალოდნელ დაბრკოლებათაგან, უპირველეს დამაბრკოლებელ ძალად, და არც ისე უსაფუძვლოდ, მან მიიჩნია იონათანი. ებრაელთა ეს ბელადი არის ახლა. ყველაზე სერიოზული ძალა. რომელსაც უნდა დაეყრდნოს სირიის მეფე ანტიოქე VI. ამიტომ პირველ რიგში უნდა მოისრას სწორედ იონათან მაკაბელი.

და გაემართა ჯარით ტრიფონი სამხრეთისაკენ. იონათანსაც შეეტყო მისი წამოსვლა და თვითონაც გაემართა მის შესახვედრად.

ქალაქ ბეთ-შანთან შეხვდნენ ერთმანეთს, შეხვდნენ ვითომ როგორც მეგობრები და არა მტრები. ერთმანეთი კი აწონდაწონეს იდუმალ. იონათანს 40 000 მეომარი ახლდა, ტრიფონს გაცილებით ნაკლები. ამიტომ ტრიფონმა უიმედოდ ხმალში გასვლას ხრიკი ამჯობინა. იონათანს დიდი პატივით და მოწიწებით მოეპყრო, ძვირფასი საჩუქრებიც მიართვა, თავის თანაშემწეებს და თანამებრძოლებს უბრძანებდა, ჩემ მეგობარ იონათანს ისევე ემსახურეთ როგორც თქვენს ხელისუფალსო.

მერე ასეთი კითხვა შეაპარა ბერძენმა ებრაელს: ამოდენა ჯარები რაისთვის შეგიყრია, თუ ომი რაიმე არ გველისო?

და სანამ იონათანი რაიმეს უპასუხებდა, შეუჩნდა ტრიფონი მაამებლურად: გაუშვი ეგ ხალხი თავის სახლებში, შენ მხლებლად კი რამდენიმე კაციც გეყოფა და მათთან ერთად გავეშუროთ პტოლემაისისკენ, რომელიც მე უნდა ჩაგაბარო შენ; მას შემდეგ დანარჩენი ციხესიმაგრეებიც ხომ უნდა ჩაგაბარო, იქაური ციხიონებიც და ციხეთა მეთაურებიც ხომ უნდა დაგიმორჩილო; აკი ამის გულისთვის დაგეხდი მე შენ აქ. აი, ასე მოვიქცეთ, ყველაფერს ჩაგაბარებ და მას შემდეგ დავბრუნდეთ ჩვენ-ჩვენ სახლებშიო.

და მოულოდნელიც სწორედ აქ მოხდა: იონათანი ენდო ამ ფლიდ კაცს. ჯარები დაითხოვა, მარტო სამიათასი კაცი გამოარჩია და ამათგანაც ორიათასი გალილეაში დატოვა, თვითონ მხოლოდ ათასი კაცი იკმარა პტოლემაისში თანმხლებლად.

და შევიდა პტოლემაისში იონათანი, შევიდა და ვეღარ გამოვიდა, — ყოველის მხრიდან კარიბჭეები ჩაუკეტეს, უეცარი დაცემით შეიპყრეს, მერე უმეთაუროდ დარჩენილ მის ათასეულს მიესივნენ და სრულად ამოწყვიტეს.

ეს მთავარი, ყველაზე „სანატრელი" სისხლი რომ ამოიგო, პტოლემაისიდან გალილეისკენ შემობრუნდა ტრიფონი, რათა აქ მდგარ იმ ორიათას ებრაელსაც დასცემოდა და ამოეწყვიტა. მაგრამ ებრაელ მეომრებს უკვე შეეტყოთ, რაც დამართნოდა მათ ბელადს და გააფთრებით გაემზადდნენ მტერთან შესაბრძოლებლად.

ტრიფონი დაფრთხა და უკუიქცა. იონათანის მეომრებსაც მათი დევნა აღარ უცდიათ. იერუსალემს დაბრუნდნენ, უსაშინელესი ამბის მაცნენი.

კელავ მოიცვა უმძიმესმა გლოვამ სრულიად იუდეა და იერუსალემი იონათანის დატყვევებისა და მის თანამებრძოლთა დაღუპვის გამო. „დიდი მოთქმით მოთქვამდა მთელი ისრაელი". გლოვის ზარს შიშის ზარი ერთვოდა, რადგან „მათ ირგვლივ მოსახლე ყველა ხალხი ცდილობდა მათ გახადგურებას, რადგან ამბობდნენ, აღარ ჰყავთ არც წინამძღვარი და არც მშველელიო, მაშ, ახლა ვეკვეთოთ და წარვხოცოთ კაცთა შორის მათი სახსენებელი".

მაინც სიმონი დარჩენილიყო თავისი ხალხის იმედად და სასოებად. შეჰყარა ხალხი მან იერუსალემში და შიმართა სიტყვით: თქვენ თვითონ ნახეთ ყოველივე, რაც მამაჩემის სახლს, მე და ჩემს ძმებს გაგვიკეთებია ჩვენებური რჯულისა და მსხვერპლისათვის. გახსოვთ რა ომებიც გადაგვიხდია, რა დარბევანი გადაგხვდომია. ისრაელის სამსხვერპლოზე დაღუპა ყველა ჩემი ძმა. მე ერთი დავრჩი და იცოდეთ, არც მე დავზოგავ ჩემ სიცოცხლეს, სულ ერთია. რა გასაჭირიც არ უნდა მედგას. მე ჩემ ძმებზე უკეთესი არა ვარ, მაგრამ მაინც მკაცრად ვიძიებ შურს ჩემი ერისთვის, საწმიდარისთვის, თქვენი ცოლშვილისთვის, რადგან ვხედავ, რა სიძულვილით შეთქმულა ჩვენს გარშემო ყოველი ხალხი ჩვენს მოსასპობად.

მართლად ძალიან გაამხნევა და აღაფრთოვანა ხალხი სიმოხის სიტყვამ, და შესძახეს ერთხმად: შენა ხარ ჩვენი წინამძღოლი, შენი ძმების, იუდასა და იონათანის ნაცვლად. შეჰყარე საომარი ძალები, წინ წარუძეხ და რასაც გვიბრძანებ, ყოველივეს შევასრულებთო.

და შეუდგა სიმონი ჯარების შეყრას. თან დაიჭარა იერუსალემის კედელთა დასრულება, ციხებურჯთა გამაგრება.

უახლოესი ამოცანა იყო, შეეკრა იერუსალემისკენ მომავალი გზები, ყოველი მხრიდან. ჯერ იაფოში გაგზავნა ჯარი იონათან აბესალომის ძის მეთაურობით. ესენიც სასწრაფოდ შევიდნენ იაფოში, სირიელები გარეკეს და თვითონ ჩადგნენ შიგ.

ტრიფონი კი პტოლემაისიდან წამოსულიყო დიდი ჯარით, იუდეაში შესასვლელად და დასაპერად. დატყვევებული იონათანიც თან მოჰყავდა.

სიმონი ადიდაში, დაბლობზე გადაუდგა თავისი ჯარით.

ტრიფონმა ელჩები გამოუგზავნა სიმონს: შენი ძმა იოხათანი მხოლოდ იმისთვის დავაკავეთ, ასი ვერცხლის ტალანტის გადახდა რომ შეგვიწყვიტაო. ახლა ის ასი ვერცხლი ტალანტი და მისი ორი ვაჟი მძევლებად გამოგზავნე, რათა ჩვენზე გამოლაშქრება ველარ გაბედოს, და გამოვუშვებთ თავისუფალს შენს ძმა იონათანსო.

სიმონი მაშინვე მიხვდა, მზაკვარი ტრიფონის აღთქმა სანდო არ იყო, მაგრამ ხალხს შეუშინდა — მოთხოვნილი არ შევასრულო, იონათანის დაღუპვას დამაბრალებენო და გაგზავნა ასი ვერცხლის ტალანტიც და ბავშვებიც. და ახდა კიდეც სიმონის საშიში ვარაუდი: ტრიფონმა ფულიც მიიღო, ძძეულებიც აიყვანა და, სამაგიეროდ, ტყვეობიდან იონათანი არ გამოუშვა.

და დაიძრა იერუსალემისკენ სირიელთა არმია.

წინ გადაუდგა სიმონი.

შეტაკებას გაექცა ტრიფონი და სამხრეთიდან, იდუმეიის ქალაქ ა დ ო რ ი ს მხრიდან სცადა იერუსალემზე მისვლა. მაგრამ ამ ბოროტ ავანტურისტს გეგმა ჩაუშალა სრულიად მოულოდნელმა ბუნებრივმა მოვლენამ, ამ ცხელ ქვეყანაში. ეს იყო თოვლი, ძალზე ხვავრიელად წამოსული, იუდეიის მთებზე მიმავალი გზები რომ აავსო და გადაკეტა.

ტრიფონმა იერუსალემს ამჯერად თავი დაანება და აღმოსავლეთით, იორდანესკენ აიღო გეზი, რათა როგორმე გალაადისკენ გაეღწია. გზაზე, ერთ მიყრუებულ ქალაქ ბ ა ს კ ა მ ა ს რომ მივიდნენ, ცოფით და ბოღმით სულ-დამდაბლებულმა ტრიფონმა იონათანი მოკლა და იქვე ჩააგდო მიწაში.

ეს მოხდა 143 წელს.

სიმონმა გადმოასვენა თავისი გმირი ძმის ნაშთები და დამარხა ისიც მოდეინში, მამაპაპეულ საძვალეში.

დიდი გლოვით დაიტირა ისრაელმა ერმა თავისი საყვარელი გმირი.

სიმონმა ძეგლთა ანსამბლი აღმართა მშობლებისა და ძმების საფლავებზე. ეს იყო შვიდი პირამიდა — დედისა, მამისა და ოთხი ძმისა (ერთიც თავისთვის ნაგულისხმევი). გარშემო სვეტები შემოავლო. სვეტებზე საომარი საჭურველიც დაჰკიდა...

სიმონის „ხანა" (143—135) ახალი ამაღლების ხანა იყო ებრაელთა ისტორიაში. იუდეა ნამდვილ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა. ამ მხრივ პირველი აქტიც ის უნდა ყოფილიყო, რომ სიმონი მღვდელმთავრად გამოცხადდა მისი საკუთარი ხალხისაგან და სირიის სასახლის სრულიად დაუკითხავად.

თვითონ სირიაში ამ დროს სრული ანარქია სუფევდა. ტრიფონ დიოდოტს მეფე ანტიოქე VI უკვე მოეკლა და თვითონ დაედგა საკუთარ თავზე სელევკიდთა სისხლიანი გვირგვინი.

მაგრამ გაქცეული წინარე მეფეც, დემეტრიოს II ნიკატორი ისევ მეფედ თვლიდა თავის თავს.

და იყვნენ ჯერჯერობით თავთავისთვის ეს ორი მეფე. ერთმანეთს არ ცნობდნენ, ერთმანეთს ემტერებოდნენ, ოღონდ საომარ ველზე საკუთარი და ქვეყნის ბედის გადაწყვეტას მაინც ვერ ბედავდნენ.

და სირიის უზარმაზარ მონარქიაში მოქცეული ქვეშევრდომი ხალხებიც დაბნეული იყვნენ, ვის მიმხრობოდნენ, ვისი მიმხრობა რა სარგებლობას მოუტანდათ, ველარ გაეგოთ.

სიმონ მაკაბელმა მაინც დემეტრიოსთან ურთიერთობის განახლება ამჯობინა და ელჩებიც გაგზავნა მასთან, ოქროს გვირგვინისა და პალმის რტოს ძღვენით. ელჩებს ისიც უნდა აღეთქვათ დემეტრიოსისთვის, რომ ებრაელი ხალხი დაეხმარებოდა მას ტრიფონ უზურპატორის დამხობაში, სამაგიეროდ კი დემეტრიოსს იუდეა უნდა გაეთავისუფლებია ყოველგვარი გადასახადისგან და ეცნო მისი სრული დამოუკიდებლობაც.

გაიხარა დემეტრიოსმა და მაშინვე პასუხად ეპისტოლე გაძოუგზავნა სიმონს:

„მეფე დემეტრიოსი სიმონს, მღვდელმთავარსა და მეგობარსა მეფისასა, და უხუცესთა და ერსა ებრაელთასა გიხაროდენ! თქვენგან გამოგზავნილი ოქროს გვირგვინი და პალმის რტო მივიღეთ და მზად ვართ დიდი ძშვიდობა ჩამოვაგდოთ ჩვენ შორის და მივწეროთ გადასახადთა ამკრებლებს, რათა აღარ აიღონ თქვენგან არარა ხარკი და ასაკრებელი. ყოველივე იყოს უცვალებელი, რაიც თქვენთვის დაგვიდგენია; ყოველი სიმაგრენი, რაიც აღგიშენებიათ, თქვენივე იყოს. მოგვიტევებია ყოველი უმეცრებანი და დანაშაულნი, რაც კი დღემდე ჩაგიდენიათ. სამეფო გადასახადიც და სხვა რამ ხარკი, აქამდე რომ იერუსალემში იკრიფებოდა, ამიერიდან აღარ აიკრიფება. და თუკი ვიხმე თქვენიანი ჩვენთან ჩაწერას მოინდომებს, ჩაიწერება და იქნება ჩვენს შორის მშვიდობა“.

ყოველი ხარკისა და გადასახად-გამოსაღებისგან თავის დახსნა სწორედ რომ დიდი მონაპოვარი იყო. ეს უკვე სრულ დამოუკიდებლობას ნიშნავდა.

მანამდე რომ იერუსალემში წელთაღრიცხვაც კი სელევკიდი ძეფეების ზეობის მიხედვით ხდებოდა, ახლა წელთსათვალავი სიმონ მაკაბელის მმართველობის წლებით იანგარიშებოდა. ამიერიდან ყოველ წერილობით სიგელსა თუ ხელშეკრულებაში ასე აღინიშნებოდა: „დიდი მღვდელმთავრის, ერისმთავრისა და იუდეველთა წინამძღოლის სიმონის პირველ წელს...“ და სხვ.

ელინისტების უკანასკნელ თავშესაფრებს მიადგა და მიეძალა სიმონი — გაზარას და ბეთ-ცურას. როცა მისმა მეომრებმა გაზარას მთავარი გოდოლი შეულეწეს და სიმაგრეში შეიჭრნენ, ყოველი გაზარელი, ქალი და კაცი, ყრმა და მოხუცი, კედლებზე ავიდნენ, ტანსაცმელი შემოიხიეს და სიმონს შეწყალება შესთხოვეს. სიმონმაც ყველას სიცოცხლე აჩუქა, ოღონდ ამ საკუთარი რჯულის უარმყოფლებს ქალაქი დააცლევინა, ყველა სახლიდან და სალოცავიდან უცხო კერპები გამოაყრევინა და მათ სანაცვლოდ ყველგან მოსეს სჯული და კანონი ააღორძინა.

აკრას ციხე გაუძალიანდა სიმონს იერუსალემში. მაგრამ როცა ალყაში მოაქცია და ალყაში ჩავარდნილ სიმაგრეში სიკვდილს შიმშილი შეუძღვა, მაშინ ამათაც იკადრეს სიმონის წინაშე მუხლის მოყრა და თხოვნის ღალადისი — ოღონდ ცოცხლად გაგვიშვი და სულ გადავიკარგებით აკრა-იერუსალემიდანო. სიმონმა ეს თხოვნაც აღასრულა, იერუსალემი უცხოთა და „გაუცხოებულთაგან“ გაწმინდა, გაასუფთავა. მას უკან, მან დიდი ზარზეიმით, ლოცვაკურთხევით, ზეთისხილის რტოებით, ქნართა და ბობღანთა ცემით, საგალობლებით და სადიდებლებით ჩამოიარა იერუსალემის საწმინდარნი და საძსხვერპლონი.

იდგა 141 წლის 23 იარი (მაისი). ეს დღე ყოველწლიურ საზეიმო-სალოცავ დღედ გამოაცხადა სიმონ მაკაბელმა.

თვითონ ტაძრისა და ციხის ახლოს დასახლდა სიმონი.

მისი ვაჟიც სიეჟკაცეში შესულიყო — ი ო ხ ა ნ ა ნ.

და სრულიად საომარ ძალთა მთავარსარდლობა ჩააბარა სიმონ მაკაბელმა თავის ძეს.

ერთხანს, შართლაც მშვიდობიანობაში, კეთილშობილ შრომასა და სჯულიერებაში ვიდოდა ცხოვრება ებრაელთა. ამ კეთილ „სიმონის დროებაში" ებრაელები „მშვიდობიანად მუშაკობდნენ თავიანთ მიწაზე, მიწაც მოსავალს იძლეოდა, ხეებიც ბარში ნაყოფს ისხამდნენ. მოხუცებულნი შუკაში ისხდნენ და ყველანი სიკეთეზე მუსაიფობდნენ. ჭაბუკები კი ბრწყინვალე საშოსელით და საომარი საჭურველით იმოსებოდნენ. სიმონი ქალაქებს სარჩოსაბადებელით ამარაგებდა და ციხეგალავნებით ამაგრებდა, და განითქვა მისი სახელი ქვეყნის კიდემდე. ქვეყნად მშვიდობა დაამყარა და გაახარა ისრაელი სიხარულითა დიდითა. ყოველი კაცი თავისი ბაბილოს თუ ლეღვის ქვეშ იჯდა და არავინ იყო შემაშფოთებელი მისი. ქვეყნად არავინ მოიძებნებოდა მბრძოლი მიმართ ძეთა ისრაელისათა და მეფენიც მოდრეკილიყვნენ მათ წინაშე. განაძლიერა სიმონმა ყოველი გლახაკი და უპოვარი თავისი ერისაგანი, ეძიებდა და განამტკიცებდა რჯულსა, ხოლო ყოველი ურჯულო და უკეთური გადააშენა თავის ქვეყნიდან. განადიდა, აღამაღლა და შეამკო სამსხვერპლო და საწმიდარი".

მაგრამ წინა აზიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები მაინც არ იძლეოდნენ სიმშვიდისა და კეთილდღეობის ხანგრძლივობის იმედებს.

სელევკიდური სირიის ტახტისათვის გადამწყვეტი ბრძოლა ჯერ კიდევ წინ იყო. ტრიფონ დიოდოტი ჯერ ისევ მძლავრობდა. ებრაელთა კეთილისმყოფელმა დემეტრიოს II ნიკატორმა ვერ იქნა და ვერ დაიბრუნა ანტიოქიის ტახტი. მერე მან ტრიფონთან ბრძოლის გაგრძელება თავის უმცროს ძმას, ანტიოქე სიდეტს მიანდო, თვითონ კი აღმოსავლეთით გაეშურა, რათა იქ, ძველი მიდიისა და სპარსეთის ნაცვალ სახელმწიფოში, პართიაში, იქნებ მეშველი საომარი ძალები ეშოვნა.

სიმონ მაკაბელიც ანტიოქე სიდეტის მოკავშირედ დარჩა. ანტიოქემ, თავის მხრივ, სიმონს საკუთარი მონეტის მოჭრის უფლება მიუბოძა, რაც ებრაელთა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ხელახალ დასტურს ნიშნავდა.

ახლადმოჭრილ ებრაულ ფულს ერთ მხარეს ეწერა — „შეკელ ისრაელისა", მეორე მხარეს — „წმიდა ქალაქი იერუსალემი".

მაგრამ არ იკმარა და ბოლომდე არ ენდო სიმონ მაკაბელი სირიის მერყეევ ტირანებს, რომლებიც თვითონაც ვეღარ ახერხებდნენ საკუთარ ტახტზე დაჯდომას და დამაგრებას.

ამიტომ სიმონმა გადაწყვიტა მოკავშირეობა და მფარველობა ეძებნა იმ დროის ყველაზე დიდ სახელმწიფოსთან, რომთან. და გაგზავნა სიმონ მაკაბელმა ელჩობა რომში. ელჩები იყვნენ ნუმენიოსი და ანტიპატროსი, რომლებიც რომს მივიდნენ, სენატს წარუდგნენ და სიმონ ებრაელთა მღვდელ-

მთავრისაგან დიდი ოქროს ფარი მიართვეს და მოკავშირეობა-მეგობრობის თხოვნაც აღავლინეს.

მსოფლიოს დაპყრობაზე გახელებულ „მგლის ნაშიერებსაც“ სხვა რაღა უნდოდათ: მათ, იუდეის სახით, აზიაში ბატონობის ახალი საყრდენი ემატებოდათ და ამიტომ, სრულიად ბუნებრივად სენატი, რომის „მამათა საკრებულო“ დიდის სიამოვნებით დათანხმდა იუდეის „მოკავშირეობას და მეგობრობას“.

მოდიოდნენ რომიდან სიმონ მაკაბელის ელჩები და თან მოჰქონდათ ეგვიპტის, სირიის, პერგამოსის, პართიის მეფეებისადმი და ცალკე ქალაქებისადმი წერილები, რომელთა ძალით ყველა მათგანს ევალებოდათ — „არ შეამთხვიონ ებრაელთ ბოროტი და არ შეებრძოლონ მათ, არც მათ ქალაქებსა და ქვეყანას, არც მათ მომტერეებს არ დაეხმარონ... ანთუ ვინმე ავის მოქმედი მათი ქვეყნიდან თქვენთან გამოიქცევა, შეიპყარით და ჩააბარეთ იგი მღვდელმთავარ სიმონს, რათა მათივე სჯულით დასაჯოს იგი“.

ამასობაში ანტიოქე სიდეტს და ტრიფონ დიოდოტს ბრძოლა უკვე გაეჩაღებინათ. ხოლო, პართიაში მეშველი ჯარების საძებრად წასული დემეტრიოსი თვითონ პართიის მეფე არშაკეს შეეპყრო და საპყრობილეში ჩაეგდო.

ანტიოქე სიდეტს ფინიკიურ ქალაქ დორში მიემწყვდია ტრიფონ დიოდოტი. აქვე მიიღო მან რომის სენატის წერილი, რომელიც უფრო იყო ბრძანება ებრაელთა ყოველგვარი ხელყოფის აკრძალვისა.

არ მოიწონა ანტიოქემ რომის ახალი, კვლავაც ეგზომ მბრძანებლური გამოხდომა სირიის მიმართ. ეტყობოდა, რომი აღარ კმარისობდა ერთ დროს ეგეოსიდან ინდოეთამდე გადაჭიმული სირიის იმპერიის ეგზომ დაკნინებას და ახლა იგი ანტიოქიის სასახლეს მეზობელ წვრილ სამფლობელოთა, მათ შორის იუდეის „უბრალო წყენინებასაც“ კი უკრძალავდა.

ერთხანს თითქოს თავისთავს ებრძოდა ანტიოქე. ვერ გადაეწყვიტა, რით ეპასუხნა მბრძანებლური რომაული ეპისტოლესთვის.

ამასობაში მას სიმონ მაკაბელისგან, ტრიფონის საბოლოოდ გასახადგურებლად, მეშველ ძალად 2 000 რჩეული მეომარი, ფინანსები და საომარი აღჭურვილობაც მოუვიდა.

მაგრამ ანტიოქე სიდეტში უფრო მეტი თავმოყვარეობა და ვაჟკაცობა აღმოჩნდა, — ახლად მიღებულ ფრიად საჭირო დახმარებას უარი უთხრა და, რომის ავტორიტეტის გადალახვით, თვითონვე გადავიდა კოხტრშეტეევზე. მაშინვე მან თავისი უახლოესი კარისკაცი, ათენობიოსი, სიმონ მაკაბელთან აფრინა და შეუთვალა: შენ ჩემი ტერიტორიები გიჭირავს, პირველ რიგში იაფა, გაზარა და აკრა; ახლა ან ეგ ქალაქები დამიბრუნე და ხარკიც ძველებურად დაიკისრე, ან ახლავე ათასი ტალანტი გადამიხადეო. ხოლო უკეთუ ჩემს შემონათვალს არ შეასრულებ, მაშინ ჯარით წამოვალთ და შეგებრძოლებითო.

შეხვდა და მოუსმინა სიმონმა ანტიოქეს წარმოგზავნილს. წყნარად მოუს-

შინა და წუნარადვე უპასუხა: ჩვენ არც ქვეყანა წაგვირთმევია სხვა ვინმესთვის, არც სხვა ვინმეზე გავბატონებულვართ, არამედ ჩვენ მხოლოდ ჩვენი მამა-პაპის მემკვიდრეობა გვიჭირავს, რომელიც ერთ დროს ჩვენს მტრებს დაეპყროთ უსამართლოდ; რაც შეეხება თქვენგან მოთხოვნილ იაფას და გაზარას, მაგათ სანაცვლოდ შემიძლია მხოლოდ ასი ტალანტი მოგცეო.

უსიტყვოდ გამოშორდა სიმონს ათენობოსი, ანტიოქესთან დაბრუნდა და აუწყა ყოველივე, რაც მოისმინა ებრაელთა ღვდელმთავრისაგან და მასთან, რა სიმდიდრენიც ეხილა იერუსალემში.

გარისხდა ანტიოქე სიდეტი, „რისხვითა დიდითა". მაშინვე იხმო რჩეული სარდალი, კ ე ნ დ ე ბ ე ო ს ი, და მისცა ჯარი, ქვეითიც, ცხენოსანიც, და აფრინა იუდეველთა დასასჯელად, მათი ქვეყნის დასაპყრობად და დასახარკავად. თვითონ კი მეფემ ტრიფონს შეუტია, დორიდან გააქცია და განდევნა.

კენდებეოსმა თავისი საომარი ძალები იამნიაში შემოიყვანა, იქიდან ეკრონს მივიდა, ქალაქი გაამაგრა და იქვე დასცა ბანაკი და საყრდენი იუდეიის წინააღმდეგ მაოხარ ლაშქრობათა წასამართავად.

სიმონ მაკაბელმა იმთავითვე, ანტიოქეს ულტიმატუმზე რომ პასუხს აძლევდა, მაშინაც გაითვალისწინა როგორი განსაცდელი ელოდა მის ხალხს და ქვეყანას. მაგრამ ებრაელ ხალხს განსაცდელი ხომ ვერ გააკვირვებდა. სიმონიც მზად იყო. 20 000 მეომარი მუდმივ მზადყოფნაში ჰყავდა, საომრად დასილაღებელნი — ქვეითი ჯარიც, მხედრობაც.

უხუცესთა საბჭო შეჰყარა სიმონმა, შვილებიც გვერდით დაიყენა, ი ო ხ ა ნ ა ნ და ი უ დ ა, და სიტყვით მიმართა საკრებულოს: მე, ჩემი ძმები და მთელი სახლი მამაჩემისა მთელი სიცოცხლე ვებრძოდით ისრაელის მტრებს, მრავალჯერ გავიმარჯვეთ და გადავარჩინეთ ქვეყანა ჩვენი. ახლა მე მოხუცი ვარ და ჩემი შვილები წარუძღვებიან ლაშქარს მტერთან საომრად. მაშ, გაეშურეთ, იბრძოლეთ ერისათვის, და უფალი იყოს შემწე თქვენი!

და დაიძრა ებრაელთა ლაშქარი ეკრონისაკენ, სადაც მათ ეგულებოდათ მტრის ბანაკი.

კენდებეოსი თავისი მხედრობით მანამდეც გამოსულიყო ახლომახლო ებრაულ დასახლებათა საძარცვავად და საწიოკებლად, და ახლა მოწინააღმდეგის ჯარი რომ გამოჩნდა, თვითონაც იქვე, ფართო ველზე, საომრად დაალაგა თავისი საომარი ძალები.

სირიელ სარდალს ორჯერ მეტი ჯარები ჰყავდა და იმედიც ჰქონდა, ფართო ველზე მანევრირებით, უფრო მცირერიცხოვან მტერს გარს შემოერტყმოდა და ამოსწყვეტდა.

მაგრამ იოხანანმა და იუდამ, გარშემორტყმა რომ აეცდინათ, განსაკუთრებით ფლანგები გააძლიერეს და სასტიკი ხმალკვეთებით შეუტიეს მტერს. შეუტიეს და, დასაწყისშივე რომ ინიციატივა ხელთ იგდეს, ბოლომდე აღარც დათმეს.

ველარ გაუძლო სიმონის ძეთა გაეშებულ შეტევებს კენდებეოსმა და მძიმედ დაზარალებული უკუიქცა ეკრონისაკენ.

მაშინ დაიჭრა იუდა, სიმონის ძე უმრწემესი, მაგრამ მისმა უფროსმა ძმამ, იოხანანმა იერიში უფრო გაამძაფრა, გაქცეულ მტერს მისდია და ეკრონის კედლებშიც შეჰყვა გაძლავრებული და გაალმასებული ხმალცემით.

კენდებეოსი იძულებული გახდა ეკრონიდან აშდოდს გაქცეულიყო. იქაც მისდია და მისწვდა იოხანან. მიეჭრა და ცეცხლს მისცა აშდოდი.

ორიათასამდე მკვდარი შეატოვა კენდებეოსმა იოხანან სიმონის ძეს, თვითონ კი საბოლოოდ დამარცხებულმა მოჰკურცხლა გადამწყვარი და იავარქმნილი აშდოდიდან.

ნაღვლით და ბოღმით გაიტენა სირიის მეფე ანტიოქე სიდეტი, როცა ძან თავისი ჯარების დამარცხებისა და ებრაელთა გამარჯვების ამბავი შეიტყო. იმასაც მაშინვე მიხვდა, რომ ხელახლა, სარეანშო ბრძოლის გაძართვა აღარ შეეძლო და ამიტომ ვერაგულ ხერხს მიმართა მან.

ანტიოქემ სიმონის და მისი ოჯახის დასაღუპად მოისყიდა თვითონ სიმონის სიძე, სახელად პ ტ ო ლ ე მ ე ო ს ი, ძე აბუბოსისა, კაცი დიდგული, ანგარი, ვერცხლისმოყვარე, ცბიერი და ქვეგამხედვარი. სიმონის ადგილს, მღვდელმთავრობას და სრულიად იუდეიის გამგებლობას აღუთქვამდა ანტიოქე სიდეტი პტოლემეოსს, უკეთუ იგი როგორმე თვითონ სიმონს და მის ვაჟებს მოინელებდა.

სიმონს სიძე იერიქონის მმართველად ჰყავდა დანიშნული, და ერთხელ, როცა მღვდელმთავარი იუდეიის ქალაქთა ადგილზე დათვალიერებას ახდენდა, იერიქონსაც მივიდა, თავისი ვაჟების, მატათიას და იუდას თახხლებით.

პტოლემეოსი დიდის ამბით შეხვდა სიმამრს და ცოლისძმებს. ქალაქის მთავარ ციხესიმაგრეში, დოკში (დაგონ) დიდი ლხინიც გამართა, და ნადიმობის მიწურულს, ღვინომ რომ ღვინურად იმძლავრა, მასპინძლის ნიშანზე, ჩასაფრებული მკვლელები შემოიჭრნენ, სიმონს, მის ვაჟებს და მათ მხლებლებს მიესივნენ და ყველანი ჩახოცეს.

მხოლოდ სიდედრი, სიმონის ცოლი, დაიტოვა ცოცხლად პტოლემეოსმა.

იოხანან სიმონის ძე მაშინ გაზარაში იყო და მის მოსაკლავადაც უკვე ეფრინა მკვლელები პტოლემეოსს, მაგრამ ვიღაც ლტოლვილს წინასწარ ეუწყებინა იოხანანისთვის ყოველივე, და დაუხვდა მკვლელებს იოხანან და თვითონ გაწყვიტა ხელდახელ ისინი.

ეს ამბები მოხდა 135 წელს, შებეტის (თებერვლის) თვეში. სიმონის სიკვდილით დასრულდა მაკაბელთა ოჯახის პირველი თაობა — ძმანი ხუთეულნი, არც ერთს რომ თავისი ბუნებრივი სიკვდილით სიკვდილი არ „უკადრებია". იუდა და ელიაზარი ბრძოლის ველზე დაეცნენ, ხოლო იოხანან, იონათან და სიმონ მათი ხალხის მომტერე და მოღალატე შეთქმულთა ხელით დაირეცნენ...

მაკაბელთა მოღალატეს და მკვლელს, პტოლემეოს აბუბოსის ძეს, მკვლელობისთანავე ფაიქი ეფრინა ანტიოქე სიდეტთან — მაკაბელები კი დავწყვიტე,

მაგრამ იერუსალემი რომ ავიღო და იუდეასაც თქვენს მორჩილსაყოფად დავეუფლო, სასწრაფოდ ჯარები მჭირდება და გამომიგზავნეთო.

მაგრამ არ გამოუჩნდა მკვლელს მეშველი ჯარი სირიიდან. იერუსალემშიც იოხანანმა მიასწრო, მაშის მემკვიდრეობა, მღვდელმთავრობა თვითონ მიიღო და იქაურობა საიმედოდ შემოიმტკიცა.

პტოლემეოსს ისღა დარჩენოდა, ჯერჯერობით იქ ჩაკეტილიყო — დოკში, ანუ დაგონში.

იოხანანმაც იერიში მიიტანა დოკზე. მაშინ დედამისი გადმოჰკიდა კედელზე პტოლემეოსმა და დაემუქრა, უკეთუ იერიშზე ხელს არ აიღებდა, სიცოცხლეს გამოასალმებდა ქალს.

თვითონ დედა იოხანანს მოუწოდებდა, — არად ჩააგდო მოღალატის მუქარა, ნურც ჩემს სიცოცხლეს ჩააგდებ რაიმედ, ოღონდ იერიში არ შეწყვიტო და სამაგიერო მიუზღევ შენი მამის და ძმების მკვლელსო.

მაგრამ ვერ გაიმეტა დედა იოხანანმა. ქალაქს ალყა მოხსნა და გაბრუნდა. პტოლემეოსმა სულმოკლეობა არ დაიშალა, იოხანანის დედა მაინც მოკლა და თვითონ ამონს გაიქცა, — ძველ რაბათ-ამონში, ახლა რომ ფილადელფიას ეძახდნენ.

ამასობაში ანტიოქე სიდეტიც გამოჩნდა, სირიელთა ჯარებით. გამოჩნდა, მაგრამ ისე, რომ დოკი და იქ ჩაკეტილი პტოლემეოსი თითქოს არც სცნობოდეს, პირდაპირ იერუსალემს მიაშურა საიერიშოდ.

შვიდ ნაწილად გაჰყო თავისი ჯარები და შვიდის მხრიდან გაახურა იერიშები სირიის მეფემ ებრაელთა წმიდა ქალაქზე.

ყოველი იერიში უკუაგდეს და უვნებელჰყვეს ებრაელებმა.

ორმაგი თხრილებით და მიწაყრილებით შეკრეს და შერეგვეს იერუსალემი სირიელებმა. სამსართულიანი კოშკურა მანქანებით მიჰქონდათ იერიშები, განუწყვეტლივ და განუცადებლად, ჟამჟამად ქვის მერეხს უშენდნენ ლოდსატყორცნებით.

შიმშილი აღმოცენდა იერუსალემში.

იოხანანმა უსარგებლო, მხოლოდმეტალი ხალხისაგან განტვირთა ქალაქი. ქალაქიდან გამოსულთაგან კი ბევრი გაწყვიტეს სირიელებმა. ხალხის გაშვება შეწყვიტა იოხანანმ.

ალყა გაჭიანურდა. სირიელებს ქალაქის ალების იმედი ეწურებოდათ. ალყაში ჩავარდნილებსაც მისჭირვებოდათ უკიდურესად. ზაფხული გავიდა, სექტემბერიც, ებრაელებს კარვობის („სუქოტ") დღესასწაული ჰქონდათ, როცა შვიდი დღით ყოველგვარი დღესასწაული უნდა შეწყვეტილიყო, ყველა ბრძოლისუნარიან მამაკაცს შვიდი დღე-ღამე მხოლოდ დღესასწაულზე და მსხვერპლწირვაზე უნდა ეთია.

და იოხანანმა ანტიოქეს დაზავება შესთავაზა.

და ანტიოქეც მაშინვე დათანხმდა. თანაც, მარტო დათანხმდა კი არა, სირიის მეფემ სადღესასწაულო ძღვენიც კი შეგზავნა იერუსალემის ტაძარში

შესაწირავად — ოქროს ჭურჭლეული და სამსხვერპლო ვერძები, მოოქრული რქებით.

კარვობის დღესასწაულმა რომ ასე „სასწაულად“ ჩაიარა, მოწინააღმდეგენი კიდევაც შეხვდნენ ერთმანეთს, ზავის საბოლოოდ ჩამოსაგდებად.

ანტიოქე სიდეტი წინასწარ ჰყავდათ წაქეზებული მათ მრჩეველებს: ებრაელებს ისე უნდა მოექცე, როგორც ანტიოქე ეპიფანე ექცეოდაო: ძათი „კაცთმოძულური“ სჯული და კანონი უნდა აკრძალო და ამოძირკვო, თუ გინდა, რომ ქვეყანამ დაისვენოსო.

მაგრამ ანტიოქე სიდეტი უფრო ჭკუადამჯდარი კაცი აღმოჩნდა, ვიდრე მისი, სწორედ კაცთმოძულე მრჩეველები და მოპირდაპირე მხარეს ასეთი საზავო პირობები წაუყენა: ებრაელებმა სირიელებს უნდა ჩააბარონ მთელი საბრძოლო შეიარაღება, გადაიხადონ ფულადი საფასურნი იაფას, გაზარას და სირიელთაგან წართმეული სხვა ციხესიმაგრეებისა და, ბოლოს, იერუსალემში შეუშვან სირიული ციხიონი.

იოხანანი იძულებული იყო დათანხმებულიყო პირველ ორ მოთხოვნას, ხოლო კატეგორიული უარი თქვა იერუსალემში უცხო ციხიონის შეშვებაზე. ბოლოს, იოხანანმა, ამ უკანასკნელი მოთხოვნის სანაცვლოდ, სირიის მეფეს მძევლების და 500 ტალანტის მიცემა შესთავაზა. ანტიოქეც მაშინვე დათანხმდა.

სამასი ტალანტი მაშინვე მისცა იოხანანმა სირიის მეფეს, მძევლებიც აიყვანა ანტიოქემ, მათ შორის — ძმა თვითონ იოხანანისა. ბოლოს, სირიელებმა იერუსალემის კედლებს გარეთა ქვის ღობეები ჩამოამსხვრიეს და ქალაქს გაშორდნენ.

მალე იოხანანმა, როგორც „მოკავშირემ და მეგობარმა“, ანტიოქე სიდეტისაგან საომარი წვევა მიიღო. სირიის მეფე აღმოსავლეთით, პართიისკენ აპირებდა გალაშქრებას. პართიაც ხომ არც ისეთ შორეულ წარსულში სელევკიდური სირიის ერთი რიგითი პროვინცია იყო, ხოლო ახლა, სირიელთა ყელისგან თავწართმეული, თვითონ უქმნიდა დაპყრობის საფრთხეს თავის გულშინდელ მბრძანებელს.

ანტიოქე სიდეტის უფროსი ძმაც, მეფედაყოფილი დემეტრიოს ნიკატორი, აგერ, მეორე წელიწადი ლპებოდა პართიელთა ტყვეობაში.

და შემოეყარა 80 000-იანი არმია ანტიოქე სიდეტს პართიაში სალაშქროდ, და იოხანანსაც იწვევდა თანამოლაშქრედ ებრაული ჯარის თანხლებით. ანტიოქეს ისიც უნდა სცოდნოდა, რომ „ბაბილონის ტყვეობის“ შემდგომ, ევფრატისა და ტიგრის გარემო-ქვეყნებში ებრაელები ცხოვრობდნენ მრავლად, და მათგან შემწეობასაც ეარაუდობდა მომავალ მძიმე ლაშქრობაში. ხოლო, ძისთვის იმასაც რაღა აჯობებდა, თუ იუდეადან წაყვანილ და მესოპოტამიაში დახვედრილ ებრაელობას ერთმანეთს შეჰყრიდა და მხარში ერთიან ძალად ამოიყენებდა ისევ პართიის დასაჯაბნავად.

და გაჰყვა იოხანანი ანტიოქეს სალაშქროდ პართიაში. გაჰყვა და თავიც

ისახელა: იქ, ადგილობრივ ტომთან — ჰირკანებთან შეტაკებაში გაიმარჯვა და ამისთვის ამიერიდან ზედნადებ სახელად მიიღო „ჰ ი რ კ ა ნ ო ს“.

ხოლო, საერთოდ ეს ლაშქრობაც სირიელებს, ყველა წინარე ლაშქრობათა მსგავსად, უიღბლოდ გაუთავდათ. მთელი მათი არმია განადგურდა. თვითონ მეფე ანტიოქე VII სიდეტიც დაიღუპა.

მხოლოდ ეს იყო, რომ პართიელებმა ტყვეობიდან გამოუშვეს დემეტრიოს II ნიკატორი, რომელმაც ერთხელ კიდევ იმეფა (129—125), კვლავაც სრულიად უფერული მეფობით.

მაგრამ სანამ დემეტრიოსი ანტიოქიას მიაღწევდა, მანამ იოხანან ჰირკანოსი პალესტინაში გაჩნდა და ზედიზედ დაიპირა მ ე დ ა ბ ა, ს ა მ ე გ ა, შ ე ხ ე მ ი და გ ა რ ი ზ ი მ ი, სადაც ის ტაძარიც დაანგრია და მოთხარა, ადრე, სამასი წლის წინ, მანასია ურჯულომ რომ ააშენა იერუსალემის ტაძრის მინა-მსგავსად და მის სამეტოქეოდ.

გარიზიმის და მისი ტაძრის დამხობით, ებრაელებმა ერთხელ და სამუდამოდ დაამხეს და დააკნინეს მათი მეტოქე სამარიელნი.

დემეტრიოს ნიკატორს ენაც არ დაუსველებია ებრაელთა მთავრის შესაკვებლად. მას თავისი, უფრო საშიში და სათავეცემო საზრუნავი გასჩენოდა. ამ „ღმერთგამწყრალს“ აკრძალული რომანი გაუმართავს ეგვიპტის დედოფალთან, მეფე პ ტ ო ლ ე მ ე ი ს VIII ფ ი ს კ ო ნ ი ს მეუღლესა და დასთან. სამაგიეროდ პტოლემეოსმა სირიის მეფეს ტახტის მოცილე გაუჩინა — ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ზ ე ბ ი ნ ო ს ი, რომელსაც ჯარიც მისცა და საომრადაც გაშოუშვა. დემეტრიოსი დამარცხდა და აკაში გამოიქცა. აქ მას საკუთარი ცოლი ელოდა, დედოფალი კ ლ ე ო პ ა ტ რ ა, მაგრამ დამარცხებული ქმარი ცოლმაც აღარ მიიღო. დემეტრიოსი ახლა ტვიროსში გაიქცა, სადაც იგი მოკლეს კიდევაც.

ბრძოლა სელევკიდური ტახტისათვის ნამდვილ „სელევკიდურად“ გართულდა. პრეტენდენტს, ალექსანდრე ზებინოსს, წინ აღუდგა ტახტის კანონიერი მემკვიდრე, ა ნ ტ ი ო ქ ე VIII. ამას კიდევ ნახევარძმა ჰყავდა (დედის ხაზით), ა ნ ტ ი ო ქ ე IX, რომელიც თავის მხრიდან იბრძოდა ტახტისთვის.

თვითონ დედოფალმა კლეოპატრამ ერთი შვილი მოაკვლევინა, სახელად სელევკოსი, მას უკან მეორე შვილის, ანტიოქეს მოკვლაც დააპირა და საწამლავით შეზავებული კრატერი მიაწოდა. მაგრამ ანტიოქემ ჭოუბრუნა და თვითონ შეასვა დედას ის საწამლავი.

ამ არეულობით დიდად სარგებლობდა იოხანან ჰირკანოსი. მან სირიის დალაშქვრაც კი განიზრახა და წინასწარ რომში აფრინა ელჩები — ს ი მ ო ნ დოსითეოსის ძე, ა პ ო ლ ო ნ ი ო ს ალექსანდრეს ძე და დ ი ო დ ო რ ო ს იასონის ძე. ამათ უნდა განეახლებინათ სენატში რომისა და იუდეიის წინა წლებში დადებული მოკავშირეობა-მეგობრობის ხელშეკრულება.

რომაელებმა ებრაელი ელჩები დიდის პატივით და ალერსით მიიღეს, ხელშეკრულებაც განაახლეს და, რაც მთავარია, სირიის სასახლეს პირდაპირ უბრძანეს, — ამიერიდან არამცთუ იუდეიის დაპყრობასა და დახარკვაზე არ

ეფიქრათ, არამედ სირიელ ჯარისკაცს ებრაელთა მიწაზე ფეხის შედგმაც არ გაებედა.

რომის „მფარველობით“ ძალმოცემულმა იუდეამ ერთხელ და საბუდაბოდ შემოიმტკიცა სამარია და იდუმეა.

იმავე ჟამს იერუსალემის უმაღლესმა სინედრიონმა სცადა მვიდრო კავშირისა და ერთიანობის დამყარება ეგვიპტეში მცხოვრებ ებრაელობასთან. ამ მიზნით გაეგზავნა წერილი ალექსანდრიის ებრაული თემის მოძღვარს, ა რ ი ს ტ ო ბ უ ლ ო ს ს:

„ეგვიპტელ იუდეველებს სიხარულს, კეთილდღეობას და მშვიდობას უთვლიან ძმები — იერუსალემში და იუდეაში მყოფი ებრაელები. დაე, სიკეთე მოგაგოთ უფალმა და გაიხსენოს თავისი აღთქმა აბრაამის, ისაკისა და იაკობის — თავის ერთგულ მორჩილთა მიმართ. დაე, სუყველას მოგცეთ გული, რათა თაყვანი სცეთ მას და აღასრულოთ მისი ნება მტკიცე გულითა და მსურველი სულით. გული გაგიხსნათ მან სჯულისა მიმართ და მცნებათათვის, მშვიდობა მოგფინოთ. შეისმინოს უფალმა ლოცვა-ვედრება თქვენი და შეგიწყნაროთ გასაჭირში და არ გაგწიროთ. ჩვენ ახლა თქვენთვის ვლოცულობთ“.

ასე იწყებოდა ეს წერილი და ამას მოსდევდა აღწერა ყოველივე გასაჭირისა, რაიც თავს დაატყდა ებრაელობას ურჯული და ულმობელი სირიელი მეფის, ანტიოქე ეპიფანეს დროს. როგორ იდევნებოდნენ მამაპაპეულ სჯულისათვის, როგორ ეწამებოდნენ და ბოლოს მაინც, ღვთის შეწევნით, როგორ აღადგინეს ტაძარი და საწმიდარი მისი. და არაერთგზის მოუწოდებენ მოძმენი მოძმეებს განუცადებლად ედღესასწაულათ დღე ტაძრის განწმენდისა. წერილში საგანგებოდ აღინიშნებოდა გმირული და მოწამებრივი ცხოვრება იუდა მაკაბელისა. ბოლოს გამოითქმოდა რწმენა, რომ „უფალი, რომელმან იხსნა თავისი ხალხი და ყველა მის შთამომავალს აღუთქვა ძლიერება, კურთხევა და სიწმიდე, მალე ჩვენც გამოგვიგზავნის თავის წყალობას და ყველას მოგვიყრის თავს ამ წმიდა მიწაზე. ასე იქნება, რამეთუ მან გვიხსნა ჩვენ ყოველი გახაცდელისგან და ხელახლა აკურთხა ეს წმიდა ადგილი“.

კვლავ დაუცხრომლად იღვწოდა იოხანან ჰირკანოსი. მან იცოდა, რა მტრობაც ჰქონოდათ სამარიელებს და იდუმეელებს და ამიტომ იდუმეელნი გადმოასახლა და სამარიელებს მიუსახლა, რათა ძველ მტრებს კიდევ უფრო ემტროთ ერთმანეთისთვის.

ამ საქმეში ჩარევა სცადა სირიის მეფე ანტიოქე IX-მ, რომელმაც თავის სარდლები გაგზავნა იუდეიის დასალაშქრავად. სირიელებმა იაფო აიღეს და შიგ თავისი ციხიონი ჩააყენეს.

იოხანანმა მაშინვე საჩივარი აღძრა რომში. რომის სენატმაც მაშინვე გამოგზავნა ფიცხელი ბრძანება: ანტიოქემ, ძემან ანტიოქესამან, დაუყოვნებლივ ხელი უნდა აიღოს რომის მოკავშირე ებრაელობის მიმართ მტრობაზე; მან ებრაელებს უნდა დაუბრუნოს მისგან მითვისებული ციხეები და ნავთსაყუდელნი; ებრაელებს ნება ეძლევათ დაუბრკოლებლივ მიმოატარონ თა-

ვისი საქონელი ყველგან, სადაც და როგორც მოესურვებათ; ბოლოს, სირიელთა ციხიონმა სასწრაფოდ უნდა დატოვოს იაფო!

და ყოველივე ისე აღესრულა, როგორც ებრაელთა ბელადმა ისურვა და რომმა ბრძანა. ანტიოქემ იაფოდან თავისი ციხიონი გაიყვანა და ჯერჯერობით თავის ბოღმაში ჩაიკეტა.

მაგრამ მალე ისევ გამოიღო ხელი ანტიოქე მეცხრემ. ეს მაშინ, როცა იოხანანმა თვითონ ქალაქი სამარია რკინის სალტეში შოაქცია და შიმშილში ჩააგდო. მაშინ თვითონ წავიდა ჯარით ანტიოქე სამარიის მისაშველებლად.

სამარიის ალყას იოხანანის ძენი, ა რ ი ს ტ ო ბ უ ლ ე და ა ხ ტ ი გ ო ნ ე უდგნენ სათავეში. და დაუხვდნენ ძმები სირიის მეფეს, დაუხვდნენ, დაამარცხეს და კუდით ქვა ასროლინეს.

გაქცეულმა სირიელმა მეფემ იკადრა და დახმარება სთხოვა ეგვიპტის ბაშინდელ მეფეს, პტოლემეოს VIII-ს. ამ თხოვნას ალექსანდრიის სასახლის კარზე რთული რეაქცია უნდა მოჰყოლოდა, რადგან პტოლემეოსი და მის ხელისუფლებაზე დიდი გავლენის მქონე დედამისი, დედოფალი კლეოპატრა, ებრაელების შიმართ სრულიად სხვადასხვა პოზიციებზე იდგნენ: შვილი ებრაელობას მტრობდა, დედა კი მფარველობდა.

პტოლემეოსმა დედის წინააღმდეგობას ანგარიში არ გაუწია და 6 000 მეომრით სამარიის მისაშველებლად და ანტიოქესთან შესაერთებლად, აზიაში გადავიდა. მაგრამ ეგვიპტის მეფე ვერც ვერავის მიეშველა და ვერც ვერავის შეუერთდა. დაასწრეს ისევ იოხანანის შვილებმა, არისტობულემ და ანტიგონემ ორივე მტერს — ახალსაც და ძველსაც — კვლავაც კუდით ქვა ასროლინეს.

პტოლემეოსს ამის შემდეგ აღარ უცდია სარევანშოდ იარაღის აღება, ხოლო ანტიოქე თითქოს მაინც არ იშლიდა თავისას. მან ახლა ბრძოლის გაგრძელება თავის სარდლებს, კ ა ლ ი მ ა ნ დ რ ე ს და ე პ ი კ რ ა ტ ე ს ბიანდო.

პირველმა კალიმანდრემ სცადა იარაღი, ებრაელებს შეება, მაგრამ ბრძოლაც წააგო და სიცოცხლეც. ხოლო ეპიკრატე ებრაელებმა ფულით მოისყიდეს და სისხლის დაუქცევლად დაათმობინეს საომარი პოზიციები.

სამარია მარტო დარჩა. ერთი წლის შიმშილისა და წყურვილის თავზე, ებრაელებმა იგი აიღეს და ისე დაანგრიეს, მოთხარეს და თხრილებით გადათხარეს, რომ მომავალ ადამიანს მისი ნაფესვარიც ვეღარ მოეხილა. სამარიის აღების დღე — 110 წლის 25 მარხეშვანი (ნოემბერი) — ებრაელობაში ყოველწლიურად დიდი ქელეხით აღინიშნებოდა.

მაშ, ზენიტში ამაღლებულიყო იუდეა. იგი იყო თავისუფალი და ძლევაშემოსილი. განადგურებულნი იყვნენ ყველა მისი მომტერენი — სირიელნი, იდუმეელნი, სამარიელნი. თითქოს დავითისა და სოლომონის დღენი მობრუნებულიყვნენ. ორივე მხარე იორდანესი, ზღვის განაკიდურნი პალესტინისა და საქარავნო გზები ოთხივე მხრისა, კვლავ იერუსალემს იყრებოდნენ და განიყრებოდნენ.

იოხანან ჰირკანონსი თითქმის უკვე მეფედ თვლიდა თავის თავს, საკუთრად შოკრილ მონეტაზეც ასე ეწერა — „იოხანან მღვდელმთავარი და მეუფე ებრაელთა სახელმწიფოსი“.

ნახევარსაუკუნოვანმა მძაფრმა და რთულმა პოლიტიკურმა ძვრებმა, ახლო და შორეულ ხალხებთან მტრულმა თუ მეგობრულმა მიმართებებმა, ებრაელთა სულიერ ცხოვრებაშიც დიდი ცვლილებები და მეტამორფოზები გამოიწვიეს.

განსაკუთრებით ელინურმა ცივილიზაციამ, რომელმაც მთელი იმქამინდელი კულტურული სამყარო მოიცვა, მკვიდრად გაიდგა ფესვები ეროვნულ-ებრაულ სულიერ თუ ნივთიერ ცხოვრებაშიც. ებრაელობაშიც იხერგებოდა იმდროისათვის უმაღლესი სამხედრო ხელოვნება, შეიარაღება, საფორტიფიკაციო მშენებლობა, არქიტექტურული სტილი. პალესტინაშიც შენდებოდა ბერძნული პოლისები, აკროპოლისები, ნეკროპოლისები. ებრაელებიც იძოსებოდნენ ბერძნული სამოსელით, ბერძნული სახელებითაც ნათლავდხენ ებრაელ ბავშვებს.

რასაკვირველია, ეს არ ნიშნავდა ეროვნულ-იუდაისტურის დასუსტებას. პირიქით, ეს უფრო გამდიდრება და ამაღლება იყო ლოკალურ-ტრადიციულ-ეროვნულისა. იუდაიზმის ამაღლებას თავისთავად გულისხმობდა თუნდაც გამარჯვებანი სირიელებზე, იდუმეელებზე, სამარიელებზე, თუნდაც იერუსალემის საუფლო ტაძრის მეტოქე სალოცავის დანგრევა გარიზიმის მთაზე.

ებრაული სჯულისა და კანონის სადარაჯოზე იდგა იმქამად ჩამოყალიბებული მიმდინარეობა, სახელად ფ ა რ ი ს ე ე ლ ნ ი („ფერუშიმ“ — „განმმარტებელნი“ — სჯულის კანონს რომ „განმარტავდნენ“). ისინი იუდაისტური რელიგიის უზენაესობაზე იდგნენ და მოითხოვდნენ, მთელი ეროვნული ცხოვრება, ყოველდღიური ყოველი საერო, პოლიტიკური, სამხედრო თუ დიპლომატიური საქმენი მხოლოდ საღვთისმეტყველო-რელიგიურ ტრადიციას დამორჩილებოდა. ფარისეელები ცხოვრობდნენ მკაცრი, უპოვარი ცხოვრებით, გემრიელი საჭმელის და სასმელის უარყოფით, ყოველივეს მიიჩნევდნენ უფლის ნებისად. სწამდათ უკვდავება სულისა, საიქიო ცხოვრება — კეთილისათვის მარადიული სასუფეველით და ბოროტისათვის მარადიული სატანჯველით. მათთვის ყოველივეს ამოსავალი წყარო და ფესვი იყო თორა. „თუ შენ მიატოვებ თორას ერთი დღით, სამაგიეროდ თორა მიგატოვებს შენ ორი დღით“, — ამბობდა ფარისეველი სოფერიმი (სწავლული).

ფარისეველთა ამ მკაცრად სასულიერო-რელიგიურ „პარტიას“ დაუპირისპირდნენ საერონი, სამხედრონი, ყოველდღიური საპოლიტიკო ცხოვრების მესვეურნი. ამათ ეწოდებოდათ ს ა დ უ კ ე ე ლ ნ ი, რომელნიც იუდაიზმიდან მხოლოდ მოსეს ხუთწიგნედს ცნობდნენ და აღიარებდნენ. ისინი რელიგიისგან უფრო ადამიანის სულის თავისუფლებას ქადაგებდნენ. მათ არ სწამდათ არც მკვდრის აღდგომა, არც საიმქვეყნიოდ უკვდავება სულისა.

ამ ორი მთავარი პარტიის გარდა, იყო კიდევ შესამე — სექტა ე ს ე ე ბ ი ს ა, რომლებიც საერო ცხოვრებისგან სრულიად განრინებულხი, ცხოვრობ-

დნენ უდაბნოებში, გამოქვაბულებში, რელიგიურ ექსტაზში და უძრავ მკვრეტელობაში ჩაძირულნი, ქონების მოძულენი და უარმყოფელნი.

და იყო წინააღმდეგობანი, განსაკუთრებით ფარისეველებსა და სადუკეველებს შორის, თუმცა ეს წინააღმდეგობანი მტრობაში ჯერ კიდევ არ გადაზრდილიყო.

იოხანან ჰირკანოსი ორივე პარტიას ერთნაირად ეყრდნობოდა, აფასებდა და იყენებდა ერისა და ქვეყნის სამსახურში. ფარისეველები მისთვის საღვთო სჯულის მასწავლებლები იყვნენ, სადუკეველები კი — მეომრები, პოლიტიკოსები, დიპლომატები. ფარისეველებიც, თავის მხრივ, იოხანანში ჭეშმარიტ რელიგიურ მოძღვარს ხედავდნენ და აფასებდნენ, სადუკეველნი კი — მთავარს და სარდალს.

იოხანან ჰირკანოსის დროს საბოლოოდ ჩამოყალიბდა რელიგიური ცხოვრების უზენაესი გამგებელი და გამძღოლი, უხუცესთა საბჭო — ს ა ნ ჰ ე დ რ ი ნ (ებრძნ. „ს ი ნ ე დ რ ი ო ნ“), უფრო ძველი სახელით — უზენაესი სამსჯავრო (ბეთ-დინ-ჰაგადოლ), რომელიც შედგებოდა 70 კაცისაგან. სინედრიონის თავმჯდომარედ ითვლებოდა თვითონ მღვდელმთავარი და მმართველი სრულიად იუდეისა.

ასეთი იყო თვითონ იოხანან ჰირკანოსი, განუყოფლად ერთმმართველი სასულიერო და საერო ხელისუფლებისა. თუმცაღა, ეს „განუყოფლობაც“ ერთ დღეს საეჭვო და სადავიდარაბო გაუხდა ამ მაღალღირსეულ პატრიოტსა და ხელისუფალს.

ერთ დღეს იოხანანს სანადიმოდ მოეწვია მაღალი სამღვდელონი — ფარისეველნი და სადუკეველნი, სჭარბობდნენ პირველნი. თვითონ მასპინძელიც უფრო ფარისეველებისკენ იხრებოდა, ვითარცა მათ წრეში აღზრდილი. იყო ლხინი, მხიარულება, ერთმანეთის ალერსი და ქება-დიდება. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ იოხანანის, ვითარცა ნიჭით, ჭკუით, ღვთისმოსავობით და სამართლიანობით სწორუპოვარისადმი ხოტბა-დიდებაში.

და, უცებ, თითქოს საბედისწეროდ, აიჩემა იოხანანმა: მე მინდა ვიყო კიდევ უფრო სამართლიანი და ამიტომ მითხარით, მოურიდებლად, თუ შეგინიშნავთ ჩემში რაიმე უსამართლობა, ან ცთომილება, მანკი თუ ზადიერება, რომ უმალვე გამოვასწორო და ვიქნე კიდევ უფრო სამართლიანი და ღირსეულიო.

მაშინ წამოდგა ფარისეველთაგან კაცი ერთი, სახელად ელიაზარი, კადნიერი და შფოთისთავი, და პირდაპირ მიახალა იოხანანს: თუ შენ მართლა ჭეშმარიტება გიყვარს და სამართლიანობასაც ნატრულობ, უარი სთქვი მღვდელმთავრობაზე და მარტო საერო ხელისუფლება იქმარეო.

— ეს რატომ, რა მიზეზითო, — გაიკვირვა ასე მოულოდნელი შემოტევით გაოგნებულმა იოხანანმა.

— იმ მიზეზით, რომ ჩვენ ჩვენზე უხუცესთაგან ვიცით, დედაშენი ადრე, ანტიოქე ეპიფანეს მეფობის ჟამს, ტყვედ ყოფილა წაყვანილი და ძონა-ძხევ-

ლად ქცეული. ასეთი ქალისგან შობილი კაცი კი, არ შეიძლება ატარებდეს წმიდა მღვდელმთავრის ხელისუფლებასო, — დაბეჭდა ელიაზარმა.

ამ უტიფარმა ცილსწამებამ გააცოფა იოხანანი, გააჯავრა და ააღელვა დანარჩენებიც. მაშინ სადუკეველთა მხრიდან წინ გამოიჭრა იონათანი და მიმართა იოხანანს: ის, რაის თქმაც ახლა ელიაზარმა იკადრა, შეთანხმებულია აქ დამსწრე დანარჩენ ფარისეველებთან, ხოლო უკეთუ მე ვტყუი, მაშინ სწორედ ფარისეველებმა გადაწყვიტონ ახლავე, რა სასჯელს იმსახურებს ელიაზარი?

და მიმართა იგივე კითხვით განრისხებულმა იოხანანმა ფარისეველთა მხარეს: რა სასჯელს იტყვითო?

შეიშმუშნენ ფარისეველნი და ბოლოს ამოღერღეს: სიკვდილით დასჯა ნამეტანი იქნება და ელიაზარს გაწკეპვლა და საპატიმროში ჩაგდება აკმარეთო.

მაშინ ირწმუნა იოხანანმა, რომ ფარისეველნი შეთქმულნი ყოფილან ძისგან მღვდელმთავრობის წასართმევად, და ამიერიდან შეიძულა ფარისეველნი იოხანანმა, იგი მთლიანად მიეკერძა სადუკეველებს, ყოველი მაღალი თანამდებობა წაართვა ფარისეველთ და მიაკუთვნა სადუკეველთ.

ამან უაღრესად გაამძაფრა წინააღმდეგობა და მტრობა ამ ორ სექტას შორის.

ფრიად გაუჭირდა უკვე აღსასრულს მიახლოებული წუთისოფელი თვითონ იოხანანს. საზღვარი აღარ ჰქონდა ცილისწამებებს ფარისეველთა მხრიდან და მომაბეზრებელ პატივმოყვარულ ვნებებს სადუკეველთაგან. იგი გრძნობდა სიკვდილის სიახლოვესაც და თავის თანამემამულეთა სისხლისთხოვათა სერიებსაც.

და აღესრულა თავისი მაღალღირსეული ერთმმართველობის 31-ე წელს (106 ქრ. წ.), დაბადებიდან 60 წლისა.

მოკვდა იგი, ი ო ხ ა ნ ა ნ ჰ ი რ კ ა ნ ო ს ი, „კაცი, რომლის საქმეებს თვითონ უფალი თან ახლდა“, და მასთან ერთად სამუდამოდ დახუჭა თვალი მაკაბელთა დიდმა შამულიშვილურმა სიქველემ.

18. ᲐᲮᲐᲚ ᲛᲔᲤᲔᲗᲐ

იოხანან ჰირკანოსს, ქვრივ მეუღლესთან ერთად, დარჩა ხუთი ძე: ა რ ი ს ტ ო ბ უ ლ ე, ა ნ ტ ი გ ო ნ ე, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე, ა ბ ე ს ა ლ ო მ და. კიდევ ერთი, სახელით ისტორიისთვის უცნობი.

იოხანანს სიკვდილის წინ, ანდერძით, თავისი ერთპიროვნული ძალაუფ-

ლება ორად გაუყვია — საეროდ და სასულიეროდ, და პირველი თავისი ცოლისთვის დაუტოვებია, როგორც დედოფლისთვის (!), ხოლო მეორე — უფროსი ძის, არისტობულესთვის, როგორც მღვდელმთავრისთვის.

სხვათა შორის, არისტობულეს, ამ ბერძნულ სახელთან ერთად, ებრაულიც ერქვა — იუდა. ასევე მისი ძმებისთვისაც ორივე სახელი დაერქმია მამას — ბერძნულიც, ებრაულიც. ქვეყნის მმართველად ქალის გამოცხადებაც ბერძნულ ნაქცეურობად და „გავლენად" ინათლებოდა.

მაგრამ სასულიერო და საერო ხელისუფლების გაყოფამ ებრაულ სამყაროში ვერც ნიადაგი და ვერც მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. საერო მმართველობისა და მღვდელმთავრობის მთლიანობის დარღვევა დაუშვებლად იქნა მიჩნეული. ამიტომ არსად, ებრაელი ერის არც ერთ სოციალურ შრეში, არავითარი პოლიტიკური ექსცესი არ მომხდარა, როცა არისტობულემ დედამისი სახელმწიფოს მმართველობიდან საკუთარი ხელით განაშორა და ორივე ხელისუფლება, საეროც და სასულიეროც გამთლიანებულად თავის ხელში მოიქცია.

და აი, იუდა-არისტობულემ, პირველად მაკაბელთა შთაბეჭდილებაში, თავი გამოაცხადა მეფედ. ეს კი ებრაელობაში დიდ მკრეხელობად იქნა მიჩნეული, რაკიღა მკაცრი ტრადიციით მეფობა ეკუთვნოდა ბოლოდ დავითის შთამომავლობას, საიდანაც ხალხი ელოდა, ბოლოს და ბოლოს, მესიის მოვლინებასაც.

ეტყობოდა, არისტობულე საერთოდ არ უწევდა ანგარიშს ტრადიციულ ებრაულ სჯულსა და კანონს. იგი აშკარად ბერძნობდა და ბერძნებიც სამართლიანად „ფილელინს" („ბერძენთმოყვარე") უწოდებდნენ მას.

არისტობულემ დედამისი არა მხოლოდ განაშორა სახელმწიფო მმართველობას, არამედ ციხეშიც ჩააგდო და ჩაალპო. მასთან კიდევ თავისი სამი ძმაც ჩაჰყარა საპატიმროში მეფემ. თავისთან მხოლოდ ერთი, მომდევნო ძმა დაიტოვა — ანტიგონე, რომელიც მას ძალიან უყვარდა.

ანტიგონე კიდევაც უმართლებდა მეფე-ძმას ამ სიყვარულისთვის. მასთან ერთად ერთგულად იღვწოდა სახელმწიფოს შინაურ თუ საგარეო საპოლიტიკო ცხოვრებაში.

სახელმწიფოს გაძლიერებისა და გაფართოების განზრახვები ნამდვილად ჰქონია მეფე არისტობულეს. მან მახვილი წარმართა პალესტინის ჩრდილოალმოსავლეთით მომთაბარე და მოთარეშე ტომების — ი ტ უ რ ე ე ლ თ ა, დასაპყრობად. წარმატებებიც ჰქონდა არისტობულეს. განსაკუთრებით, მისმა ძმამ, ანტიგონემ გამოიჩინა თავი ამ ლაშქრობებში. ეს „თავგამოჩენა" კი სიცოცხლის ფასად დაუჯდა გმირს. მუდმივმა მოშურნეებმა და დამსმენებმა მეფეს ძმის სიყვარულზე ხელი ააღებინეს და ერთ დღეს ანტიგონეც ზურგიდან მუხანათური დარტყმით აღიკვეთა წუთისოფლიდან.

იტურეელთა მიწაწყალი კი უკვე დაეპყროთ ებრაელებს. არისტობულეს ბრძანებით, ყველა იტურეელს წინდაცვეთა ჩაუტარეს და ებრაული სჯულის კანონს დაუმორჩილეს.

არისტობულეს ფართო საგრეო-საპოლიტიკო გეგმები, როგორც ეტყობა, მარტო იტურეელთა დამორჩილებით არ იფარგლებოდა, მაგრამ თვითონ მეფე, მძიმე სიცხლისლებინებით ხელდარეული, მალე აღესრულა. იმეფა მხოლოდ ერთი წელიწადი (104—103).

არისტობულე უძეო იყო და დარჩა მხოლოდ ახალგაზრდა ქვრივი, დედოფალი ს ა ლ ო მ ე ა, ბერძნები რომ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ა ს ეძახდნენ. სალომეა-ალექსანდრამ ციხიდან გამოუშვა მაზლები, რომელთაგან ერთი, უფროსი, ქმრად აირჩია და სამეფო ტახტ-გვირგვინიც იმას მიართვა.

ასე ავიდა ტახტზე იუდეიის ახალი მეფე, 23 წლისა, ბერძნული სახელით ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე, ებრაულით — ი ა ნ ა ი (103—76).

იგი თავიდანვე არავის უყვარდა, არც მამას, არც დედას, არც დედმამიშვილებს. ყრმობითვე ის გალილეაში გაეგზავნა მამამისს, იოხანან ჰირკანოსს. იქვე, გალილეაში დაეაქაცდა კიდეც. ამიტომ ამ „გალილეველს“ არც თვითონ შეუწუხებია თავი მამისა და დედმამიშვილის სიყვარულით.

გამეფებისთანავე, კიდევ ორ ძმათაგან ალექსანდრემ ერთი მოაკვლევინა, მეორე კი, — რომელიც მეფობისადმი არავითარ სურვილს არ აჩვენებდა და სრულიად გულგრილ, განრინებულ ცხოვრებას მისდევდა — დიდ პატივში დაინარჩუნა.

პირველ წლებშივე ალექსანდრე-იანაიმ ფარისეველთა სექტასთან მამამისის დროს დაკარგული კეთილი დამოკიდებულება აღადგინა. ეს მას სჭირდებოდა ხალხში პოპულარობისა და მხარდაჭერისათვის, რამდენადაც ფარისეველნი სწორედ „სახალხო პარტიას“ წარმოადგენდნენ. შინაურთიერთობის ამ ახალი ხაზის ჩამოყალიბებაში უეჭველად გარკვეული როლი შეასრულა იმანაც, რომ ფარისეველთა მოძღვარი, ს ი მ ო ნ ბ ე ნ-შ ე თ ა ხ ი, მეფის ცოლისძმა აღმოჩნდა.

ალექსანდრე-იანაი, გვაროვნულად თანდაყოლილი სიმამაცით, სწორედ მამაცი და გაბედული კაცი იყო, მაგრამ შორსმხედველობას მაინც მოკლებული პოლიტიკოსი და სტრატეგოსი. მისი მეფობის ოცდაშვიდი წელიწადი ქვეყანამ გაატარა გაუთავებელ შინა-გარე ომებში, ხშირად ისეთი გამარჯვებებით, როცა ამ „გამარჯვებებს“ ებრაელი ხალხისთვის სისხლისდაქცევის ძეტი შედეგად არაფერი მოუტანია.

ჯერ მთავარი ყურადღება ალექსანდრემ მიმართა დასავლეთით, ზღვისპირისაკენ. აქ დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობდნენ და ბატონობდნენ სახელგანთქმული ქალაქ-სახელმწიფონი — ღაზა და პტოლემაისი (აკა, აქო). აქვე, ორ დიდ ციხესიმაგრეში — დორსა და სტრატონის კოშკში (შემდგომში — კესარია) — გაბატონებულიყო ვინმე ძ ო ი ლ ი, ერთპიროვნული ტირანი.

ალექსანდრემ სამივე მიმართულებით დასძრა ჯარები: ერთი ნაწილი ღაზას მიუსია, მეორე — ძოილს, მესამეთი თვითონ პტოლემაისზე მიიტანა იერიში.

პტოლემაისმა შეატყო, საკუთარი ძალებით ვერ გაუძლებდა და მშველე-

ლის ძებნას გარეთ შეუდგა. სირიას მაშინ არ ეცალა, რადგან იქ ისევ შინაური ომი ატეხილიყო, ისევ ტახტისთვის, ახლა ორ ანტიოქეს შორის. ამიტომ ალყაში ჩავარდნილებმა დახმარება სთხოვეს პ ო ლ ე მ ე ო ს ლ ა თ უ რ ს, რომელიც მაშინ კუნძულ კვიპროსზე ხელმწიფობდა, ეგვიპტიდან დედამისის, კლეოპატრასგან გამოძევებული.

პტოლემეოსი მოიხიბლა ამ შემოთავაზებით, რაკი იგი ეგვიპტის ტახტისათვის ბრძოლაში, პტოლემაისის გარდა, მოკავშირეებად იძენდა ღაზას, დორს, სიდონს და სხვა ფინიკიურ ქალაქებს. ამიტომ მან სასწრაფოდ შეკყარა, ხომალდებში ჩაჰყარა და პტოლემაისის მისაშველებლად გაგზავნა 30 000 მეომარი, ქვეითიც და ცხენოსანიც.

მაგრამ როცა ეს საომარი ძალა პტოლემაისის ნავთსაყუდელთან გამოჩნდა, თვითონ აქაურები დაფრთხნენ და ყურიც მიუგდეს მათი ერთი თანამოქალაქის, ვინმე დ ე მ ა ი ნ ე ტ ი ს ნათქვამს: განა ებრაელებთან ომს ეგვიპტის მონობაში ჩავარდნა სჯობია? ან ეგვიპტის დედოფალი გვაპატიებს მისგანვე გამოძევებული შვილის მოკავშირეობას?! ამიტომ სჯობია, სულაც არ შემოვუშვათ პტოლემეოსის ჯარები ჩვენს ქალაქშიო.

ეს დაიჯერეს და კარები ჩაუკეტეს პტოლემაისელებმა მათგანვე მოწვეულ „მოკავშირეს".

პტოლემეოსი ძალიან შეაჭირვა და გააოგნა ასეთმა მოულოდნელმა შეხვედრამ. მაგრამ უკან მაინც არ გაბრუნდა და ჯარები პტოლემაისის სამხრეთით, სიკარნინთან გადმოსხა. აქვე მას შეუერთდა ღაზადან მოსული ჯარიც, ძოილიც თავის მხედრობით და ერთიანი ძალით გადაწყვიტეს ებრაელთა განდევნა პტოლემაისის კედლებიდან.

მოწინააღმდეგე ბანაკის გამძლავრებამ ალექსანდრე-იანაი აიძულა, იარაღზე დროებით ხელი აეღო და დიპლომატიურ ხრიკებზე გადასულიყო. მან ფარული მოლაპარაკებანი გამართა — ცალკე პტოლემეოს ლათურთან და ცალკე კლეოპატრა დედოფალთან. იგი პტოლემეოსს სთავაზობდა: შენთან მყოფ ძოილს სიცოცხლე მოუსპე, მისი სამფლობელო მე დამიტოვე, სამაგიეროდ 400 ტალანტს მოგცემ და მეგობრებად დავრჩეთო. კლეოპატრას კი უთვლიდა: ჯარები გამომიგზავნე, რათა შენს თავხედ შვილს ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოვუღოთო.

პტოლემეოსი უკვე თანახმა იყო მიეღო ალექსანდრეს წინადადებანი, მაგრამ მოულოდნელად შეიტყო მისი იმავდროული დიპლომატიური ხვანჯები დედამის კლეოპატრასთან, და მაშინვე პტოლემაისისკენ დასძრა ჯარები რისხვით ატანილმა პტოლემეოს „ცერცველამ" („ლათუროს").

ალექსანდრემ პტოლემაისს ალყა მოხსნა და უკუიქცა. პტოლემეოსი უკუქცეულებს წამოეწია გალილეაში, ასოხიმთან, შაბათ დღეს, და ალექსანდრე-იანაის 50 000-იანი ლაშქარი სასტიკად დაამარცხა. ებრაელთაგან მრავალი გაწყდა, ათი ათასი ტყვედ ჩავარდა.

ესეც არ იკმარა და პალესტინის სიღრმეში შემოჰყვა პტოლემეოსი ალექსანდრეს. იორდანემდე მოსდია.

იორდანეზე ახალი ჯარები დაახვედრა ებრაელთა მეფემ გათამამებულ მტერს — კიდევ 50 000 მეომარი.

ალექსანდრე მდინარის აღმოსავლეთით გადავიდა და იქ განალაგა საომრად ჯარი. პტოლემეოსიც გადაჰყვა და ბრძოლის მეთაურობა თავის რჩეულ სარდალს, ფ ი ლ ო ს ტ ე ფ ა ნ ო ს ს მიანდო. ამანაც გაამართლა და თავიც ისახელა.

ბრძოლა კი იყო უსასტიკესი, უწყვეტი ცემისგან რომ „ხმალნი დაბლაგვდა და მკლავნი დაიქანცა". ებრაელები მძიმედ დამარცხდნენ. მათგან 30 000 მკვდრად დაირეცა, დანარჩენთაგან უმრავლესნი ტყვედ აიყვანეს, სიკვდილს და ტყვეობას მხოლოდ მცირედნი გაექცნენ.

პტოლემეოს ლათური იუდეიის დასახლებებს მოედო და მუსრი გაავლო. არ ინდობდა არც ქალს და არც ბავშვს. მეომრებს უბრძანა, შეპყრობილნი აეჩეხათ და ადუღებულ ქვაბებში ჩაეხარშათ. დაე, ცოცხლად გადარჩენილებს თავზარი დაეცეთ, რომ ჩემი მეომრები ადამიანის ხორცს ჭამენო!

პტოლემეოსის ასე გამხეც-გაველურებას ხელს უწყობდა ისიც, რომ ეგვიპტეში მცხოვრები ებრაელები შვილზე გადამტერებული კლეოპატრა დედოფლის მხარეზე იდგნენ. უფრო მეტიც: კლეოპატრა ალექსანდრიის ტახტზე სწორედ ებრაელებმა აიყვანეს — ხ ე ლ კ ი ო ს მ ა და ა ნ ა ნ ი ა მ, ძმებმა და მღვდელმთავარი ონიასის ვაჟებმა.

ისევ ზღვის განაკიდურზე გავიდა პტოლემეოსი. გავიდა და აიღო პტოლემაისი. ღაზაც თავისი ნებით დანებდა მომხვდურს.

თითქოს უკვე გარდუვალი გამოსჩანდა იუდეიის დამოუკიდებლობის და თავისუფლების დაკარგვა. მაგრამ მხსნელად კლეოპატრა მოეელინა ალექსანდრეს და მის ქვეყანას. კლეოპატრა დაეფრთხო საძულველი შვილის ეგზომ გამძლავრებას და სასწრაფოდ დიდძალი სამხედრო საზღვაო და სახმელეთო ჯარებით გამოემართა აზიაში, იუდეიის გადასარჩენად. ამ საომარ ძალთა სათავეში ეგვიპტის დედოფალს ჩაეყენებინა ისევ ძმანი ებრაელნი, ხელკიოსი და ანანია.

ეგვიპტელები მოადგნენ და იერიში მიიტანეს პტოლემაისზე. პტოლემეოსმა პტოლემაისი მიატოვა და კელე-სირიით თვითონ ეგვიპტისკენ დაეშვა. ხელკიოსი დაედევნა, მაგრამ სწორედ დევნისას იგი მოულოდნელად მოკვდა.

პტოლემეოს ლათური უკვე ეგვიპტის კარიბჭეებზე იდგა, როცა გარდაცვლილი ხელკიოსის ძმა, ხანანია წამოეწია ჯარებით. წამოეწია, დაამარცხა და უკანვე გამოაქცია.

ამასობაში კი თვითონ კლეოპატრამ აიღო პტოლემაისი.

აქვე, პტოლემაისში, იუდეიის მეფე ალექსანდრე-იანაი ეახლა და ძვირ-

ფასი საჩუქრები მიართვა დედოფალ კლეოპატრას. საჩუქრები საჩუქრებად მიირთვეს, მაგრამ მრჩევლებმა დედოფალს იდუმალ ურჩიეს ალექსანდრე იქვე შეეპყრო და მისი იუდეაც ეგვიპტის ტახტისათვის დაემორჩილებინა. კლეოპატრასაც თითქოს დაუჯდა ჭკუაში ასეთი მუხანათობა, მაგრამ ასეთ განზრახვას მტკიცედ წინ აღუდგა ხანანია: როგორ იქნება ასეთი უსამართლობა, მოკავშირეს მისი ძალაუფლება წაართვა, — ეუბნებოდა იგი კლეოპატრას — თანაც მაშინ, როცა ალექსანდრეს ქვეშევრდომებიც და შენი ქვეშევრდომებიც ერთი სისხლხორცისა არიან; არც იმას დაგიმალავ, უკეთუ ალექსანდრეს ასეთი მუხანათობით მოექცევი, მაშინ მეც და ყველა იუდეველიც შენს მტრად ჩათვალეო, — დაემუქრა კიდეც ებრაელი სარდალი ეგვიპტის დედოფალს.

კლეოპატრაც ჭკუას მოეგო, განაზრახ მუხანათობაზე ხელი აიღო და მალე ამის შემდეგ, (98 ქრ. წ.), ბ ე თ შ ა ნ შ ი (სკვითოპოლისში), კლეოპატრასა და ალექსანდრეს შორის შეიკრა კავშირი ურთიერთთავდაუსხმელობისა.

ამის შემდეგ პტოლემეოს ლათურმა ბრძოლა წაგებულად ჩათვალა და კვიპროსზე დაბრუნდა.

ალექსანდრე-იანაი მისდგა და სასტიკი შური იძია იმ ქალაქებზე, მაა ოო განუდგნენ და პტოლემეოსს ძიუდგნენ. ჯერ ქალაქ გადარას მიადგა, კელესირიაში, ათთვიანი ალყის შემდეგ აიღო და დაანგრია. მერე ამათს მიადგა, იორდანეზე, აქ მმართველად თ ე ო დ ო რ ე იდგა, რომლის მამას, ზ ე ნ ო ნ ს, თურმე ადრე შეფარებული ჰყოლია ალექსანდრეს ბაბუის, სიდონის მკვლელი.

ალექსანდრემ იერიში მიიტანა ამათზე. თეოდორეც გააქცია და ქალაქიც თვითონ იგდო ხელთ. მაგრამ დიდი უყურადღებობა გამოიჩინა, რაკიღა გაქცეულ მტერს საშუალება მისცა, ახალი საბრძოლო ძალით მობრუნებულიყო და ბრძოლა განეახლებინა. ახალი ბრძოლა კი ალექსანდრესათვის საკალალო აღმოჩნდა: თეოდორემ მას ამ მოულოდნელი თავდასხმით 10 000 კაცი გაუწყვიტა და მთელი აღალ-ფორანიც გაუძარცვა.

იორდანედან ალექსანდრე ისევ დასავლეთისკენ გაემართა, ზღვის განაკიდურისკენ. აქ, პალესტინის სამხრეთ-დასავლეთ საზღვარზე, მან აიღო ორი დიდი ქალაქი — რაფიუმი და ანთედონი.

მერე ღაზას მიადგა, აიღო და უკიდურესი სისასტიკით ჯერ აქაური წარჩინებულნი ამოწყვიტა. მერე მოსახლეობის ტყვედ გარეკვას შეუდგა. მაშინ ღაზელებმა თვითონ დაიწყეს თვითმოსპობა. საკუთარი ხელით ჯერ ცოლ-შვილს ხოცავდნენ, მერე თავსაც ზედ აკლავდნენ, საკუთარ სახლკარს ცეცხლს უკიდებდნენ და ცოლ-შვილიანად ცეცხლშივე ცვივოდნენ.

უკვე ათი წელიწადი გასულიყო ალექსანდრე-იანაის გამეფებიდან, ათივე რომ ომში გაეტარებინა. მაგრამ იმავე ათწლეულში დიდი ძვრები და წინააღმდეგობანი ხდებოდა თვითონ სახელმწიფოს შიგნით.

ისევ მტრობდნენ ერთმანეთს ფარისეველნი და სადუკეველნი. მუდამ საომარ ველზე მყოფ მეფეს მათთვის თითქოს აღარ ეცალა. მაგრამ სამაგიეროდ „ეცალა“ მის ცოლს, სალომეა-ალექსანდრას. მისი ძმა სიმონ ბენ-შეთახი აკი ფარისეველთა წინამძღვარი იყო და ამიტომ, სავსებით ბუნებრივად, დედოფალიც არა მხოლოდ ემხრობოდა, არამედ კიდეეაც მფარველობდა ფარისევლებს.

მალე ისეც მოხდა, რომ სიმონ ბენ-შეთახი მეფესთან დააბეზღეს: ფარისეველთა წინამძღვარს, იგივე შენს ცოლისძმას, გულში ფარულად შენი მტრობა უძევსო. სიმონიც მიხვდა, რომ მეფე მის სამტროდ იყო შესმენილი და იძულებული შეიქნა გადაკარგულიყო.

დედოფალმა სალომეამ ლტოლვილი ძმის ადგილსამყოფელი კარგად იცოდა, მაგრამ ქმარს არ გაუმხილა.

ერთ დღეს პართიელი ელჩები ეახლნენ ალექსანდრეს. სტუმრებმა, მათ საპატიოდ გაშლილ ტრაპეზზე, მოიკითხეს სიმონ ბენ-შეთახი, რომელიც მათ ადრეც ცნობოდათ მისი სიბრძნისა გამო. მეფემ დედოფალს სთხოვა, მოეყვანა მისი ძმა სტუმრებისათვის. სალომეამ მეფე-მეუღლეს წინასწარ ფიცი ჩამოართვა, რომ იგი სიმონს არას ავნებდა, და ამის შემდეგ მოაყვანინა კიდეც თავისი ძმა სალომეამ.

თითქოს შერიგდნენ, მაგრამ შერიგება მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. ერთ დღეს, ტაძარში, მოსავლის აღების დღესასწაულზე, ალექსანდრემ, როგორც მღვდელმთავარმა, დადგენილი წესით წირვა გადაიხადა, მაგრამ საღვთო წყალი რომ საკურთხეველზე უნდა დაესხურებინა, მის ნაცვლად, ნებით თუ უნებლიედ, მიწაზე დააქცია. ეს კი საკმარისი შეიქნა იმისთვის, რომ ფარისეველები აჯანყებულიყვნენ. ისინი საშინელი ლანძღვით, „მონა-ქალის შვილიშვილის“ ძახილით, სადღესასწაულოდ მოტანილი ხილის სროლით, მიესივნენ მეფეს და ის იყო ჩასაქოლავადაც არ დაინდობდნენ, მაგრამ მეფემ თავის ცილიკიელ და პისიდიელ დაქირავებულ მეომრებს მოუწოდა და მიუშვა ისინი გამხეცებულ ფარისეველებზე.

6 000 კაცი გაწყდა იმ დღეს ტაძარში და ტაძრის ეზო-მიდამოში (95 ქრ. წ.); შეტაკებისას საკურთხეველი წაიქცა და დაზიანდა. ალექსანდრემ საკურთხეველი აღადგინა და მის გარშემო ღობე შემოაელო, ამიერიდან რომ მასში, პირადად მის გარდა, ვეღარავის შეეღწია.

ამის შემდეგ ისევ წავიდა მეფე საომრად, ამჯერად იორდანეს და მკედარი ზღვის აღმოსავლეთ მხარეთა შემოსამტკიცებლად. ჯერ მან სარევანშოდ გაიწია ამათზე, სადაც მას ისე მძიმე მარცხი და ზარალი აგემა იქაურმა მმართველმა თეოდორემ. ამათი აიღო ამჯერად და მიწასთან გაასწორა. იქიდან უფრო აღმოსავლეთით აპირებდა ლაშქრობის გაშლას, მაგრამ უეცრად მოიკრა ნაბატეველთა მეფე ობედა, ძლიერი ჯარით. მოიკრა, შეება და ისე შემუსრა ებრაელთა ლაშქარი, რომ თითქმის მხოლოდ მეფე ალექსანდრემ გაასწრო სიკვდილს.

ფარისევლებმა იერუსალემში აჯანყება დაახვედრეს ბრძოლის ველიდან მარცხნაკამად მობრუნებულ მეფეს. ჯანყი და შინა-ხოცვა-ულტა კი ექვსი წელიწადი (94—89) გაგრძელდა. ალექსანდრე საკუთარი ხალხის აჯანყებას უცხოელი, დაქირავებული ჯარების საშუალებით აზშობდა, ეს კი, ბუნებრივად, მისდამი სიძულვილსა და ძტრობას კიდევ უფრო ამწვავებდა და აძლიერებდა.

ბოლოს, მეფე გატყდა და შერიგება შესთხოვა ფარისევლებს. მაგრამ ცივი უარი მიიღო, — ზავს და მშვიდობას ჩვენი ხალხი მხოლოდ მაშინ ეღირსება, უკეთუ შენ თვითონ თავს მოიკლავ შენის ხელითვეო, — იყო პასუხი.

ეს უპასუხეს ფარისევლებმა საკუთარ მეფეს და მაშინვე მის წინააღმდეგ საომრად დახმარება სთხოვეს უცხო მეფეს, სირიის მაშინდელ მბრძანებელს, დ ე მ ე ტ რ ი ო ს ე ვ კ ე რ ო ს ს („ევკეროსს"—„ლამაზრქოსანი").

და წამოემართა დემეტრიოს ევკეროსი იუდეისკენ 40 000 ქვეითი და 3 000 ცხენოსანი მეომრით. მოვიდა და დაიბანაკა ქალაქ შეხემს.

ალექსანდრეც დაიძრა მისივე ხალხისგან მოწვეულ მტერთან შესახვედრად, 20 000 ქვეითი და 1 000 ცხენოსანი მეომრით.

დადგა ერთურთის პირისპირ ორი ბანაკი, ორივე მხრივ ებრაელნი, ორივე მხრივ ბერძენნი.

ბრძოლის დაწყებამდე ალექსანდრეც ეცადა უკანვე, თავის მხარზე გადმოებირებინა მისგან განდგომილი და მტრის ბანაკში ჩამდგარი თანასისხლიერნი, და დემეტრიოსმაც მოუწოდა ალექსანდრეს მოქირავნე ბერძნებს, დაბრუნებოდნენ და შეერთებოდნენ მათ მოძმეებს.

ორივე მხარე დაშვრა ამაოდ. არცერთმა მხარემ, არც ებრაელებმა და არც ბერძნებმა, თავის „გაუცხოებას" არ უღალატეს.

და მოხდა ბრძოლა სასტიკი და სისხლდამდინარი. ალექსანდრე სასტიკად დამარცხდა. მისი დაქირავებული ჯარი ერთიანად გაუწყდა.

მარტოშთენილმა მეფემ ეფრაიმის მთებს შეაფარა თავი.

ებრაელთა მეფის ამ საშინელმა მარცხმა გამოაფხიზლა მტრის ბანაკში მყოფი და საკუთარ სისხლთან მბრძოლი ებრაელობა. მაშინვე 6 000 ებრაელმა მიატოვა დემეტრიოს ევკეროსის ბანაკი და ეფრაიმის მთებს მიაშურა, ალექსანდრესთან შესაერთებლად.

დემეტრიოსი დააშინა მისი ბანაკიდან ებრაელთა გაქცევამ, და მაშინვე, სასწრაფოდ უკუიქცა იუდეიიდან. ასე უჯობდა, რადგან ზურგში მას ისედაც არეული ჰქონდა საქმენი: ძმასთან, ფ ი ლ ი პ ე ს თ ა ნ, ჰქონდა ბრძოლა მუდამ საომარი სელევკიდური ტახტისათვის.

უცხო მტერი რომ წავიდა, ფარისევლებმა ისევ გაუმართეს ბრძოლა საკუთარ მეფეს. ალექსანდრესაც ხომ სისასტიკე არ აკლდა და ისიც მიადგა და ელიტა დაუნდობლად მტრადგადაკიდებული თავისიანნი. ჯერ, ქალაქ ბ ე თ ო მ თ ა ნ გამართულ ბრძოლაში გაანადგურა ფარისეველთა ლაშქარი,

სიკვდილს გადარჩენილები თვითონ ბეთომში შეყარა, ერთად ტყვედ აიყვანა, და დაბორკილებულნი იერუსალემისკენ გაირეკა.

იქ კი, იერუსალემში, მანამდე გაუგონარი სისასტიკეც ჩაიდინა ალექსანდრემ. ქალაქის ყველაზე მაღალ ადგილზე სანადიმო სუფრა გამართა, გარს როსკიპი ქალები შემოისხა და მათთან ერთად ორგიას თავმიცემულმა, სახალხოდ თვალსასაჩვენოდ, 800 თანამემამულე ფარისეველი საგანგებოდ ამართულ ჯვრებზე გააკრა, თან ისე, რომ სანამ განწირულთ იმ ჯვრებზე სული ამოხდებოდათ, მეფის ბრძანებით, მათი ცოლ-შვილიც მათსავე თვალწინ დაუხოცეს.

ასეთმა სისასტიკემ გამოიწვია მასობრივი გაქცევა იერუსალემიდან და საერთოდ იუდეიიდან. მარტო იმ სისხლიან ღამესვე იერუსალემიდან გაიქცა 8 000 მეტი ებრაელი, ვინ სირიაში და ვინ ეგვიპტეში.

ამ ამბების პარალელურად, სირიაში ბრძოლა გრძელდებოდა ისევ ძმებს შორის — დემეტრიოსსა და ფილიპეს შორის. ბოლოს, ფილიპემ, პართიელთა დახმარებით გაიმარჯვა და ანტიოქიაში მეფედაც ეკურთხა, დემეტრიოსი კი მისმა აწ გამეფებულმა ძმამ პართიის მეფის ტყვეობაში გაამწესა.

მაგრამ არც ფილიპეს შეარჩინეს მეფობა დიდხანს. ანტიოქე VIII-ეს ერთი ძე დარჩენოდა, სახელად ისიც ანტიოქე, რომელმაც ფილიპე დაამხო და თვითონ გამეფდა ანტიოქე XII დიონისეს სახელით.

და, იუდეიის დასამხობად ხელი ხელს მისცეს ანტიოქე XII-ემ და ნაბატეელთა მეფე არეტამ. თითქოს დაასწრო მათ შემოსევას ალექსანდრეიანაიმ და კოშკებით გაწყობილი მაღალი კედელი ალმართა ყაფარსაფიდან ზღვისპირა იაფომდე, და იმ კედლის გასწვრივ ღრმა თხრილი და მიწაყრილებიც გააკლო.

მაგრამ ერთბაშად მოიჭრა ანტიოქე დიონისე სირიული ჯარებით, ის თხრილებიც ამოავსო, იმ კედელსაც ცეცხლი გაუჩინა და იუდეაც ააწიოკა და ააოხრა. არეტა ნაბატეელიც მოჰყვა არაბთა ჯარით. ადიდთან შეება ალექსანდრეს, დაამარცხა და დამარცხებულს დამამცირებელ ზავზე მოაწერინა ხელი.

მაგრამ თითქოს მაინც ბედი სწყალობდა ალექსანდრეს. ისევ ატყდა არეულობანი სირიელ და ნაბატეელ მეფეთა ზურგში, ისევ უკუიქცნენ ორივენი, მომტერენი იუდეიისა.

მაშინვე ამხედრდა ალექსანდრე-იანაი და ზედიზედ ხელთ იგდო დიონი, გულანი, სელევკია და გამალა, ყველანი იორდანეს ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში.

მაშინვე ალექსანდრეს მორჩილება ისევ აღიარეს დასავლეთის ქალაქებმა: ღაზამ, აშდოდმა, ქარმელმა, პელამ, სკვითოპოლისმა.

აღსასრული კი უკვე მოახლოებულიყო. ალექსანდრე-იანაი ღვინის უზომო სმას შესჩვეოდა, ქრონიკული ციებცხელებაც ჩასდგომოდა ტანში. ომს მაინც არ იშლიდა და ისევ წავიდა სალაშქროდ. ამჟამად რაგაბა უნდა

დაელაშქრა, ესეც იორდანეს აღმოსავლეთ მხარეში. მოაქცია კიდეც ალყაში: რაგაბა, მაგრამ სწორედ ამ ალყის დროს, საშინელი ციებცხელებით ატანილ მეფეს სიკვდილი ეწვია.

ანდერძის დაწერა მაინც მოასწრო, ცოლის, სალომეა-ალექსანდრას თანდასწრებით. ხელმწიფობაც ცოლს უანდერძა და თან ურჩია, ფარისეველებთან კეთილი ურთიერთობა აღედგინა. იმასაც ამბობდნენ, თითქოს დედოფლისთვის ის დაებარებინოს, — ნურც ფარისეველებს შეუშინდები, ნურც სადუკეველებს, ოღონდ ცრუთა, თაღლითთა და ქვეგამხედვართა გეშინოდეს და გეფიქრებოდესო; ბოლოს, ესეც დაუბარა ცოლს — სანამ ეს ციხე არ დაეცემა, ჩემი სიკვდილი არ გააცხადო, — ეს თქვა და სულიც განუტევა.

ეს მოხდა 76 წელს. იცოცხლა 49 წელიწადი, იმეფა 27 წელიწადი. დარჩა ორი მცირეწლოვანი ძე — ჰირკანოსი და არისტობულე.

ქვრივმა დედოფალმა რაგაბა აიღო. ქმარიც პატივით დაკრძალა, თუმცა ფარისეველთა წინაშე დიდი დათმობების ხარჯზე. მისი ცხარწლიანი (76—67) მმართველობაც თითქმის მთლიანად ფარისეველთა ნების გამოხატულებად ქცეულიყო. ყველა ადრინდელი კანონი, რომლებიც კი იოხანან ჰირკანოსს და ალექსანდრე-იანაის ფარისეველთა დასათრგუნავად დაედგინათ, ახლა სალომეა-ალექსანდრამ გააუქმა, ყველა გაძევებულ თუ დაპატიმრებულ ფარისეველს ამნისტია მიანიჭა და შინ დააბრუნა.

ქვეყნის სამხედრო სიძლიერისა და საომარი მზადყოფნისთვის მაინც იღვწოდა დედოფალი სალომეა. მან შექმნა მუდმივი ჯარიც, რომელსაც ერთდროულად მტრის მოსალოდნელი თავდასხმის მოგერიებაც ევალებოდა და შინაგანი წესრიგის უზრუნველყოფაც.

შვილებიც წამოიჩიტნენ, უფროსი, ჰირკანოსი, თვინიერი, წყნარი და კრძალული ხასიათისა, მღვდელმთავრად მოენიშნა დედამისს, ხოლო უმცროსი, არისტობულე, მამასავით მამაცი და ომის მოყვარე — სწორედ ჯარების მთავარსარდლად.

მეზობლებთან უპირატესობას სალომეას დროსაც ინარჩუნებდა იუდეა, მათგან მძევლებიც აეყვანა, ხარკსაც ართმევდა ყოველწლიურად.

მაგრამ შინაურ აშლილობას თავს ვეღარ ართმევდა დედოფალი. საზღვარი აღარ ედებოდა მტრობას და მესისხლეობას ფარისეველთა და სადუკეველთა შორის. იმძლავრეს ფარისეველებმა და დედოფალს დასტური გამოსძალეს და იმის სამაგიეროდ, ადრე რომ ალექსანდრე მეფემ იერუსალემში რვაასი ფარისეველი ჯვრებზე გააკრა, ახლა ამათ იმდენივე სადუკეველს ამოჰხადეს სული საშინელის წამებით.

საქმე იქამდეც მივიდა, რომ ალექსანდრეს ძველ თანამებრძოლებსა და ახლობლებსაც აღარ დაედგომებოდათ იერუსალემში. ამიტომ თვითონ უფლისწულ არისტობულეს მეთაურობით, ადგნენ, დედოფალს ეახლნენ და აცნობეს: ყველა ჩვენი ნამსახური შენს კარზე უმადურობითა და მტრობით ფასდება, ამიტომ ნება მოგვეცი იერუსალემს გავეცალოთო. სალომეამ აღა-

სრულა მათი სათხოვარი და ყველა მთხოვნელი თავშესაფარად ჩამოარ-ეა ქვეყნის სხვადასხვა ციხესიმაგრეში. ხოლო, თავისი ძე, არისტობულე, ჯარში გაგზავნა, დამასკოში.

ამ დროს სომხეთის მეფე, ტიგრან II, პტოლემაისს შემოსდგომოდა.

სალომეამ ელჩები გაგზავნა ტიგრანთან, დასაზავებლად, მაგრამ ვერ მიუსწრეს ელჩებმა, ისე გაქცეულიყო სომეხთა მეფე სომხეთში, — გაქცეულიყო, რადგან რომაელთა სარდალი, ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსი შემოჭრილიყო სომხეთში რომაული ლეგიონებით.

მობრუნდა არისტობულე იუდეაში და აღარ დაუცადა უკვე ღრმად მოხუცებული და ავადმყოფი დედის სიკვდილს. იუდეიის ციხე-ქალაქებში გამწესებულ თანამოაზრეებს მოუწოდა და შეერთებულად მიადგნენ იერუსალემს. დაფრთხნენ დედოფლის ტახტზე ფაქტიურად მებატონე ფარისეველნი, დაასწრეს და მძევლებად აიყვანეს არისტობულეს ცოლ-შვილი. ჰირკანოსიც ფარისეველთა მხარეზე დამდგარიყო.

დედოფალმაც მეფობა ჰირკანოსს დაუტოვა და კარს მომდგარ ძმათა ომი საკუთარი სიკვდილით დაასწრო. (69 ქრ. წ.).

სალომეა-ალექსანდრა იუდეიის გვირგვინოსანთა შორის უკანასკნელი მოწმე და მონაწილე აღმოჩნდა თავისუფალი და დამოუკიდებელი სამშობლო ქვეყნის ცხოვრებისა. მან მხოლოდ ჩაასწრო საფლავში და უმალვე გაჩაღდა ქვეყნის კატასტროფის ყველაზე ავი და უტყუარი მომასწავებელი სამოქალაქო ომი.

ქვეყანა, ორი ძმის მიხედვით, ორ სამტრო-საწყვეტ ბანაკად გათიშულიყო. თითქოს ერთადერთი საარსებო საკითხი ეს იყო მაშინდელი იუდეიისათვის — ვის უნდა დაედგა თავზე სამეფო გვირგვინი, რომელ ძმას— ჰირკანოსს, თუ არისტობულეს!

და, სალომეას სიკვდილიდან სამი თვის შემდეგ, ძმები თავიანთი საომარი ძალებით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ იერიქონთან.

ჰირკანოსი დამარცხდა, უკუიქცა და იერუსალემის ციხეში ჩაიკეტა. გამარჯვებული არისტობულეც მიჰყვა და ქალაქს ალყად შემოადგა. ალყა გაჭიანურდა და ორივე მხარე საზავოდ განეწყო.

შეხვედრაც მოხდა და შერიგებაც. ყველაფრისადმი გასაოცრად გულგრილმა და უინტერესო ჰირკანოსმა სამეფო გვირგვინი ძმას გადასცა, თვითონ კი უბრალო რიგითი მოქალაქეობა იკმარა.

ამნაირი „ზავი" ძმებმა შინაქორწინებითაც განამტკიცეს: არისტობულეს ვაჟიშვილმა, ალექსანდრემ ცოლად შეირთო ჰირკანოსის ასული ალექსანდრა (რომელთა შთამომავლობას სამომავლოდ დიდი საბედისწერო ტრაგედია დაელოდებათ).

ზავმა კი გასძლო სამი წელიწადი. მეფე არისტობულე II ქვეყანას თავის ნებისად განაგებდა, რამდენადაც ჰირკანოსი თავისი მშვიდი და ფლეგმატუ-

რი ხასიათით კელავაც არავითარ ინტერესსა და მისწრაფებას არ ამჟღავნებდა არც მეფობისადმი, არც სხვა რაიმე პატივმოყვარული წარმოჩენისა და წარჩინებისადმი.

მაგრამ ჰირკანონის გვერდით იყო კაცი, უცხოელი, იდუმეელი, სახელად ა ნ ტ ი პ ა ტ რ ო ს ი, რომელიც ყოველი საშუალებით ცდილობდა ძმათა შორის მტრობისა და მესისხლეობის ჩამოგდებას. ბოლოს და ბოლოს, კიდეც შეძლო ამ ჩხუბის თავმა, დაერწმუნებია ჰირკანოსი, რომ თითქოს არისტობულე მას უეჭველ სიკვდილს უმზადებდა, და დაიყოლია კიდეც თავის შესაფარებლად იდუმალ გაქცეულიყო ნაბატეელთა მეფე არეტასთან, რომელსაც ანტიპატროსი წინასწარ სწვეოდა და თანხმობა მიეღო მასთან ლტოლვილი ჰირკანოსის მიღებაზე.

ასე, ერთ ბნელ ღამეს, ჰირკანოსი იერუსალემიდან გაუჩინარდა და ბოლოს არაბ-ნაბატეელთა მეფის კარზე ამოჰყო თავი.

ამის შემდეგ ანტიპატროსს დიდი ჩიჩინი აღარ დასჭირვებია, რომ თვითონ არეტას გამოედო თავი იუდეაში „სამართლიანობის აღსადგენად", ანუ „უკანონო" არისტობულეს დასამხობად და „კანონიერი" ჰირკანოსის ტახტზე ასაყვანად.

და დაიძრა თავისი ჯარებით არაბი ხელმწიფე იერუსალემისაკენ.

არისტობულემ ბრძოლა წააგო და მორიაზე, ტაძარში შეიკეტა.

არეტამ, 15 000 მეომრით, მორიას მთა ალყაში მოაქცია. მასთან ერთად ალყად დადგნენ ჰირკანოსის მომხრენი.

იდგა მაშინ ფესახის დღესასწაულნი. აუარებელი ებრაელობა მოსწოლოდა იერუსალემს, უმეტესნი — ეგვიპტიდან.

საუფლო შსხვერპლწირვა ალყის გამო შეუძლებელი შეიქნა. დღესასწაული უნდა ჩაშლილიყო. მაშინ ალყაში ჩავარდნილმა ებრაელებმა მოალყე ებრაელებს შესთავაზეს — ყოველ სამსხვერპლო ცხოველზე ათას დრაქმას ვადაგიხდით, ოღონდ მლოცველები ტაძარში შემოუშვითო. არეტამ თანხმობა ბრძანა.

დაიწყო „გაცვლა-გამოცვლა": ალყაში ჩავარდნილები კედელზე კალათას უშვებდნენ, ათასი დრაქმით, მოალყეებიც იმ ფულს იღებდნენ, სამაგიეროდ სამსხვერპლო ცხვარს სვამდნენ და კედელზე ზემოთვე უშვებდნენ. მაგრამ ერთმა ვინმემ ლაზღანდარამ ცხვრის ნაცვლად კალათაში ღორი ჩაუსვა და ააზიდვინა კედელზე. ამან საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა. ამითვე, შემდგომში, სინედრიონმა იუდეაში ღორის მოშენებაც კი აკრძალა საერთოდ. იმ დღეს კი მდგომარეობა სასტიკად დაიძაბა. გარეთ დარჩენილმა ჰირკანოსის ებრაელობამ ერთი წინასწარმეტყველი მოაყვანინა, სახელად ო ნ ი ა ს ი, და მოსთხოვა არისტობულე და მისი მომხრენი დაეწყევლა. ონიასმა კი ასე შეჰღაღადა ღმერთს:

„ოო, უფალო, ალყაში ჩაცვენილებიც და მოალყეებიც ორივე შენი

ხალხია; და გემუდარები, ნუ შეუსრულებ ნურცერთ მხარეს, რაც მათ ახლა ერთმანეთისთვის მოუსურვებიათ!"

ჯარისკაცობაში განსახებული მხეცობა ღვთაებრივთან წილნაყარ სულს, ბუნებრივად, ვერარას გაუგებდა, და ჯარისკაცებმა იქვე მოკლეს ონიასი.

ამ განუკითხავ მკვლელობას პალესტინაში მიწისძვრა და გრიგალი დაერთო, რაიც, ისევ ბუნებრივად, სწორედ ამ მკვლელობის გამო მოვლენილ ღვთისრისხვად იქნა მიჩნეული.

10. მოსვლა მგლის ნაშიერთა

მაგრამ ყველაზე დიდი და, ბოლოს და ბოლოს, დამღუპველი ღვთისრისხვა ებრაელთა სამშობლო-საცხოვრისზე მაინც სხვა ხხრიდან მოიქრა, — უკვე დასავლეთიდან, ევროპიდან.

ეს იყო ისევ რომი.

რომაელებმა პირველი აზიური ლაშქრობისა, განსაკუთრებით მაგნეზიის ბრძოლის შემდგომ, აკი მტკიცედ შემოდგეს ფეხი სწორედ აზიაში, ვითარცა „მფარველნი" აქაურ დაჩაგრულთა და „მომწესრიგებელნი" ყოველგვარ უწესრიგობათა.

რომაელთა აზიური ლაშქრობების ახალი ეტაპი დაუკავშირდა ე. წ. „მესამე მითრიდატულ ომს" (74—63). ეს ომი რომს დასჭირდა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირეთზე არსებულ მცირე ელინისტურ (ეთნიკურად ქართველურ) სამეფოსთან, რომელსაც სახელად ერქვა პონტო და მეფედ ჰყავდა მ ი თ რ ი დ ა ტ ე VI ე ვ პ ა ტ ო რ ი, გასაოცარი ენერგიის მქონე ხელმწიფე, ტანად ბუმბერაზი, საომარ ხელოვნებათა დიდოსტატი, ბრწყინვალე ორატორი (ოცდაორ ენაზე რომ შეეძლო სიტყვის წარმოთქმა და სასამართლოს წარმოება).

რომაელი კონსული და განთქმული სარდალი, ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსი რვა წელიწადი ამაოდ ებრძოდა მითრიდატეს.

ბოლოს კი, 66 წელს, რომმა ლუკულუსის შესაცვლელად და მითრიდატესთან ომის გასაგრძელებლად, გამოგზავნა იმჟამად რომაელ პოლიტიკოსთა და სარდალთა შორის ყველაზე პოპულარული გ ნ ე უ ს პ ო მ პ ე უ ს ი.

ჩამოსვლის წელსვე, პომპეუსმა რამდენიმე მცირე შეტაკების შემდეგ, გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხა მითრიდატე, რომელმაც თავი შეაფარა კოლხეთს.

რომაელმა სარდალმა იმჯერად მითრიდატეს დევნას თავი მიანება და,

იმავე 66 წელს, დაიპყრო სომხეთი, მომდევნო 65 წლისთვის კი ლეგიონები დასძრა საქართველოსკენ.

იბერია-ქართლში მაშინ მეფედ იჯდა არტაგი, რომელმაც მსოფლიო დაჰპყრობლებთან გულდაგულ შეტაკება უსარგებლო საქმედ მიიჩნია და პომპეუსს დესპანები გაუგზავნა საზავო და სამეგობრო ურთიერთობის დასამყარებლად. მაგრამ არტაგი იმასაც ვარაუდობდა, რომ გულზვიადი რომაელი მთავარსარდალი, რომელსაც დიდძალი და მრავალი გამარჯვებით გათამამებული არმიები ჰყავდა, დაზავებაზე ასე ადვილად არ დათანხმდებოდა, ამიტომ ჯარების შეყრასა და საომარ სამზადისს შეუდგა.

პომპეუსი კი თავისი ლეგიონებით ისე სწრაფად მიადგა არმაზ-ციხეს, რომ არტაგისთვის მისგან შემოთავაზებულ ზავზე არც კი უპასუხნია.

არტაგმა ჯარების გამოყვანა ვერ მოასწრო, არმაზ-ციხე მცირერიცხოვან ციხიონს მიანდო, თვითონ მტკვრის მარცხენა მხარეს გადავიდა და ხიდი დაწვა, რომ ამით მცხეთისკენ რომაელთა გადასვლა დაბრკოლებულიყო.

პომპეუსმა არმაზ-ციხე აიღო და მტკვრის ხელმარცხნივ გადასალახავად მოემზადა.

როცა არტაგი დარწმუნდა, რომ პომპეუსი მარტო მტკვრის მარჯვენა სანაპიროთა დაპყრობით არ კმაყოფილდებოდა, ისევ განაახლა საზავო მოლაპარაკება. მეფე მეგობრობას სთავაზობდა რომაელს, თან სურსათით დახმარებასა და მტკვარზე ხიდის აგებას აღუთქვამდა. მან ეს დანაპირები მაინც შეასრულა, მაგრამ პომპეუსმა მაინც გადაიყვანა ჯარები მტკვრის მარცხენა მხარეს.

არტაგი გადამწყვეტ ბრძოლას კვლავ განერიდა, ახლა მდინარე არაგვზე გადავიდა და ხიდი აქაც დაწვა.

რომაელები არაგვის გადალახვას შეუდგნენ.

იბერიელები შეებნენ, მაგრამ ფრიად დაზარალდნენ.

პომპეუსი მტკვარ-არაგვის გზა-კვანძს უკვე მთლიანად ფლობდა, მაგრამ ხვდებოდა, რომ ეს მაინც არ იყო სრული გამარჯვება.

ქართველები პარტიზანულ ომზე გადასულიყვნენ. ღრმა და უსიერ ტყეღრეებში მიიწევდნენ, მტერს გზას უჭრიდნენ, ქვას აგორებდნენ, ზვავებს სხლეტდნენ, ხეებზე საფრდებოდნენ და მომხვდურთ ისარს მიზანაუცდენლად ესროდნენ; თვალშეუდგამი ტყეებიდან და წკვარამებიდან ელვასაებრ გამოიჭრებოდნენ და კვლავ ელვასავით გაუჩინარდებოდნენ.

მაშინ რომაელებმა ტყეების ჩეხვა და ცეცხლის წაკიდება დაიწყეს.

დაჭრილ და დახოცილ ქართველ მეომართა შორის რომაელებმა მრავალი ქალი იპოვნეს. გაოცება იმდენად ძლიერი იყო, რომში ხმამ ჩააღწია: პომპეუსი აღმოსავლეთში ამაძონ ქალებს ებრძვისო.

არტაგმა კი ისევ გაგზავნა დესპანები პომპეუსთან. კვლავ დაზავებას ითხოვდა მეფე. დიდი ძღვენიც აახლა რომაელ სარდალს: ოქროს ტახტი, ოქროს მაგიდა და ოქროს სარეცელი.

მაგრამ რომაელი მაინც არ ენდობოდა ქართველთა მეფეს და ზავის აუ-ცილებელ პირობად მისი ვაჟების მძევლებად გაგზავნას მოითხოვდა.

მეფე ერთხანს ყოყმანობდა, მაგრამ, როცა ზაფხულის ძლიერი სიცხისა-გან არაგვის წყალმა კლება დაიწყო, არტაგი გატყდა და პომპეუსს მძევლე-ბად გაუგზავნა თავისი ორი ძე.

დაზავდნენ.

ქართლი-იბერია „რომაელი ხალხის მოკავშირედ და მეგობრად" (socius et amicus populi Romani) გამოცხადდა.

იბერიიდან პომპეუსმა ლიხის მთა გადავლო და ლეგიონები დასავლეთ საქართველოს კოლხეთ-ეგრისს შეუსია. კოლხეთი დაიპყრო, იქ მმართველად თავისი კაცი დატოვა და, სომხეთის გავლით, ალბანეთში (ახლ. აზერბაიჯანი) შეიჭრა. ეს ქვეყანაც დაიპყრო და დასავლეთისაკენ გაბრუნდა.

იუდეიის საქმეთა „მისახედავად" კი, კავკასიაზე წამოსვლის წინ, პომ-პეუსს გამოეგზავნა თავისი ერთ-ერთი ლეგატი (თანაშემწე) მ ა რ კ უ ს ს კ ა ვ რ უ ს ი.

ორივე ძმამ, ცალკე ჰირკანოსმა და ცალკე არისტობულემ, თავის მხსნე-ლად მიიჩნია ასე მოულოდნელად გამომტყვრალი რომაელი სარდალი და ორივემ თავ-თავისი ელჩი აფრინა მასთან.

არისტობულეს დესპანმა 400 ტალანტი მიართვა ფულის მოხარბე რო-მაელს; ჰირკანოსის წარგზავნილმა კი ჯერჯერობით ფულის გადახდის აღთ-ქმა იკმარა.

რომაელიც „შესაფერისად" მოიქცა. არისტობულესგან მისართმეველი მიირთვა და არეტას ბრძანება გაუგზავნა, სასწრაფოდ მოეხსნა ალყა იერუ-სალემისთვის და გაბრუნებულიყო თავის ქვეყანაში.

ნაბატეელმა კრინტის დაძვრაც ვერ გაბედა ისე აიყარა და გაეყარა იერუსალემს. იდროვა არისტობულემ, სიმაგრიდან გამოიჭრა, ნაბატეიის გზა-ზე შემდგარ არეტას წამოეწია ჯარით, თავს დაესხა, სასტიკად დაამარცხა და გაქცეულებს 7 000 მკვდარი მაინც დაატოვებინა (იგივე 65 ქრ. წ.).

მაშ, მეფე არისტობულე II გამარჯვებას ზეიმობდა.

მაგრამ მომდევნო 64 წელს უკვე თვითონ პომპეუსი გამოჩნდა იუდე-ის კარიბჭეზე. იგი ჯერ დამასკოში დაბანაკდა, იბერია-კოლხეთ-ალბანეთის ძლევით გათამამებული ლეგიონებით.

მაშინვე არისტობულემ აფრინა ელჩი, ნ ი კ ო დ ე მ ო ს ი, მდიდარი ძღვენით, რომელშიც გამორჩეულად ფასეული ყოფილა იშვიათი ხელოვნე-ბით შესრულებული ოქროს ვაზი, ოქროს რქებით, ფოთლებით და მტევნე-ბით.

არც ჰირკანოსი ჩამორჩენია ძმას და იმანაც გაგზავნა თავისი რწმუნე-ბული ანტიპატროსი პომპეუსთან მდიდარი მისართმეველით.

პომპეუსმაც მიირთვა ორივე მისართმეველი. ის ოქროს ვაზი მაშინვე რომში გაგზავნა, კაპიტალიუმს, იუპიტერის ტაძრის სამკაულად, ხოლო ნიკო-

დემოსს და ანტიპატროსს ჯიქურ მიუგდო: ახლა თქვენ უკან მიბრძანდით, და თქვენი მეფენი პირადად მეახლონო.

ძმათა გვირგვინოსანთა, ორივემ, დიდ დამცირებად და შეურაცხყოფად მიიჩნიეს „გადამთიელის“ ასეთი „თავხედური“ მოთხოვნა, მაგრამ ძალა ხომ კვლავ ხნავდა ალმართს, და ისინიც წავიდნენ დამასკოში.

მივიდნენ და მიიღო ისინი პომპეუსმა, ქედმაღლურად, ვითარცა მეუფემ მეუფეთა ზედა. ორივეს მოუსმინა და ორივეს ბუნებაც უმალვე შეიცნო.

ეტყობოდა, თითქოს ჰირკანოსის მხარე უნდა დაეჭირა, მაგრამ მაინც არ ჩქარობდა და არ წყვეტდა პომპეუსი.

ამასობაში ფარისეველთა დელეგაციაც ეწვია პომპეუსს, ორასი კაცის შემადგენლობით და ითხოვეს, ორივე ძმის მეუფებისგან დაგვიხსენი, მეფობა სულაც გაგვიუქმე, რათა ჩვენ, ჰეშმარიტმა ებრაელებმა, ისევ ძველი, მამაპაპეული სჯულით და კანონით ვიცხოვროთ და ამისთვის ჩვენს სამეთაუროდ მღვდელმთავარიც საკმარისია და მეფე არაფერშიც არ გვჭირდებაო.

მაინც ყოყმანობდა პომპეუსი (საერთოდ იყო იგი „მოყოყმანე“), არაბეთს გალაშქრებას აპირებდა და არისტობულეს გადამტერებას ერიდებოდა.

ბოლოს, ასეთი პასუხით განუტევა მან მოაჯე ფარისეველნი: დაბრუნდით იერუსალემში, მეც მალე მოვალ და ადგილზე ყველაფერს ერთად გადავწყვეტო.

ეს რომ შეიტყო, არისტობულე პომპეუსს აღარ ენდო და საიმედო ციხესიმაგრეში, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი ო ნ ში შევიდა, მამამის ალექსანდრეს რომ აეშენებინა, სარტაბის მთაზე, იუდეიისა და სირიის საზღვარზე.

პომპეუსმა ამას ყურადღება არ მიაქცია და ლეგიონებით არაბეთისკენ გაეშურა (63 ქრ. წ.). არაბეთიც დალაშქრა, მეწამულ ზღვამდეც მიატანა, ქალაქი პეტრაც უნდა აეღო, მაგრამ მოულოდნელად, სინოპიდან მითრიდატე პონტოელის სიკვდილის ამბავი შეიტყო. მაშინვე სინოპს მიაშურა, მკვდარი მითრიდატე თავისი თვალით იხილა, მისი სამეფო პონტო რომის ძალაუფლებას დაუმორჩილა და ისევ სამხრეთით წამოვიდა, იუდეიისკენ. ქ ლ ო რ ა-შ ი მივიდა პომპეუსი, იქ დადგა და იქვე გაიწვია იუდეიის მეფე არისტობულე II. ესეც მივიდა და შეხვდა.

პომპეუსმა მაშინვე მოსთხოვა, იუდეიის ყველა ციხე-ქალაქი დაუყოვნებლივ უნდა ჩამაბაროო.

თანხმობით უპასუხა არისტობულემ, მაგრამ როგორც კი პომპეუსს გაშორდა, მაშინვე გამოირკვა, რომ ეგრე იოლად დანებებასაც არ აპირებდა.

იერუსალემში ჩაიკეტა არისტობულე და რომაელებთან საომარ სამზადისს შეუდგა.

პომპეუსიც გამოჩნდა.

კვლავ დაფრთხა არისტობულე, იერუსალემს გარეთ გამოვარდა, პომპეუსს ეახლა, მუხლებში ჩაუვარდა და დიდი ფულადი თანხის აღთქმით, პატიება შესთხოვა.

პომპეუსმა აღთქმული ფულის მისაღებად თავისი ლეგატი, ავლუს გაბინიუსი შეგზავნა ქალაქში, თვითონ კი არისტობულეს ბორკილები დაადო და ამის შემდეგ თვითონაც იერუსალემს მიადგა საიერიშოდ.

იერუსალემის მოსახლეობის უმრავლესობას, უმეტეს წილ ფარისეველობას, აღარც რომაელებთან ბრძოლა უნდოდა, აღარც არისტობულესთვის სისხლის დაქცევა, და ერთ დღეს იერუსალემის კარიბჭენი თვითონ იერუსალემელებმა გაუღეს შორეული იტალიიდან მოსულ დამპყრობლებს.

იერუსალემი რომაული ლეგიონებით აივსო.

არისტობულეს უკანასკნელი მომხრენი ისევ ტაძრის ციხეგალავანში ჩაიკეტნენ და იქიდან განაგრძობდნენ ბრძოლას.

სამი თვე ამაო ალყად ედგნენ ტაძარს რომაელები. ალბათ კიდევ დიდხანს უნდა გაგრძელებულიყო ბრძოლა, მაგრამ რომაელებმა შეამჩნიეს, რომ ებრაელები შაბათობით არც იარაღს ჰკიდებდნენ ხელს, არც საერთოდ არარას აკეთებდნენ.

და სწორედ ერთ შაბათს, თამუზის (ივლისის) მეცხრე დღეს, რომაელებმა ისე გადალახეს ტაძრის თავდაცვითი ზღუდენი და ჩაიკრნენ თვითონ ტაძარშიც, რომ მის დამცველებს ხელიც არ გაუნძრევიათ.

ასე დაეცა მეორედ იერუსალემის ტაძარი, პირველი, ანუ ნაბუქოდონოსორის დროის დაცემიდან 593 წლის თავზე.

12 000 ებრაელი აგრე ხელგაუნძრეველად გაწყდა მაშინ რომაულ მახვილთაგან. არონიდი-მღვდლებიც კი ჩახოცეს, ზედ საკურთხეველის ფეხებთან.

ასე „იოლი" სისხლისქცევა რომ ჩაათავეს, პომპეუსმა იუდეიის მეფობა გააუქმა და ხელისუფლება, მხოლოდ მღვდელმთავრის უფლებით, ჰირკანოსს ჩააბარა. მერე იერუსალემის ყველა ციხესიმაგრე, ძველი კედლების გარდა, დაანგრია და მიწასთან გაასწორა.

იერუსალემი დააკნინა და მის საპირისპიროდ სამარია აღამაღლა პომპეუსმა. იუდეას წაართვა და სამარიას დაუმორჩილა დიდი ქალაქები—ჰიპოპოლისი, სკვითოპოლისი, პელა, დიონი, მარისა, აშდოდი, იაფა, არეთუსა.

იერუსალემში ყოფნისას თვითონ ტაძარი მოიხილა და მოიარა პომპეუსმა, თავისი თანამებრძოლების თანხლებით. არც იმას მოერიდა შესულიყო წმიდათაწმიდაში, სადაც შესელის უფლება ჰქონდა მხოლოდ მღვდელმთავარს, ისიც წელიწადში ერთხელ.

ტაძრის საუფლო საუნჯისთვის კი ხელიც არ უხლია პომპეუსს. ტაძრის გაწმენდაც ბრძანა, მის სახელზე მსხვერპლის შეწირვაც ინება იმჟამინდელი რომის უპირველესმა გვამმა.

ბოლოს, როცა იერუსალემიდან წავიდა, პომპეუსმა თანვე ტყვეებად წაიყვანა არისტობულე და მისი ორი ვაჟი—ალექსანდრე და ანტიგონე, და ორი ასული, მათი სახლეულნი და ნათესავნი. ყველას ერთად, ვითარცა ძვირფას ტყვეებს, უნდა დაემშვენებიათ „დიდი პომპეუსის" ტრიუმფი რომში.

იერუსალემიდან რომისკენ მიმავალ გზაზე, ტყვეობიდან გაქცევა მოახერხა არისტობულეს უფროსმა ძემ, ალექსანდრემ. იგი დაბრუნდა იუდეაში, ჯარი შემოიყარა, 10 000 ქვეითი და 1 500 ცხენოსანი, და პირდაპირ ომი აუტეხა ბიძამისს, ჰირკანოსს. აუტეხა და კიდევაც ზედიზედ წაართვა რამდენიმე ციხესიმაგრე, მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანნი — ალექსანდრიონი, ჰირკანიონი და მახერონი.

პომპეუსმა აზიიდან წასვლისას, ადგილზე, დაპყრობილი სირიისა და იუდეის სამეთვალყურეოდ დატოვა ავლუს გაბინიუსი, და ჰირკანოსმაც ახლა, აჯანყებული ძმისწულის წინააღმდეგ შველა სთხოვა სწორედ ამ, პომპეუსის დანატოვარ ლეგატს.

გაბინიუსმაც მაშინვე დასძრა ლეგიონები. ბრძოლა მოხდა იერუსალემის ახლოს. ალექსანდრე არისტობულეს ძე დამარცხდა. 3 000 თანამებრძოლი დაეხოცა, იმდენივე ტყვედ აიყვანეს რომაელებმა. თვითონ ალექსანდრემ გაქცევა და ალექსანდრიონში ჩაკეტვა მოასწრო. გაბინიუსმაც მისდია და ალექსანდრიონი ალყაში მოაქცია.

მაშინ საქმეში ჩაერია ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ა, ცოლი არისტობულესი და დედა ალყაში მომწყვდეული ალექსანდრესი, და მიაღწია დაზავებას რომაელ ლეგატთან. დაზავება კი გულისხმობდა ციხესიმაგრის უსიტყვო კაპიტულაციას და ალექსანდრეს საღსალამათად გაშვებას.

ასედაც მოხდა. ალექსანდრე ცოცხალი გადარჩა. ალექსანდრიონი კი რომაელებმა საძირკვლამდე დაანგრიეს და მოთხარეს.

ამის შემდეგ გაბინიუსი შევიდა იერუსალემში და იუდეიის სამოქალაქო ხელისუფლება სულ გაუქმებულად გამოაცხადა. ეს გულისხმობდა დიდი და მცირე სინედრიონების გაუქმებას, — იმ სინედრიონთა, ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდგომ რომ აქამდე განაგებდნენ ებრაელთა მთელ ცხოვრებას — დიდი, სამოცდაათ-კაციანი სინედრიონი იერუსალემში და მცირე სინედრიონები ადგილებზე, იუდეიის ყოველ ქალაქში. ახლა გაბინიუსმა ყველა ისინი მოსპო და მათ ნაცვლად შემოიღო ს ა მ ხ ე დ რ ო ტ რ ი ბ უ ნ ა ლ ე ბ ი, სულ ხუთი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი თვათავიანთ ოლქებში, პირველი თვითონ იერუსალემში, დანარჩენი ოთხი — იერიქონში, ამათში, გადარაში და სეფორიაში.

მაშ, იუდეა დაიყო ხუთ სამხედრო ოლქად, ყოველი მათგანი რომ თითქოს „ცალკე სახელმწიფოს“ წარმოადგენდა, ყოველ ებრაელ მოქალაქეს რომ ადგილზე შეეძლო ყველაფერზე პასუხი მიეღო და „ცენტრში“, იერუსალემთან საერთოდ აღარაფერი საქმე აღარ ჰქონოდა.

მეფედაყოფილი არისტობულე კი ამ დროს რომის ტყვეობაში იყო. მაგრამ ბოლოს მაინც მოახერხა ტყვეობიდან გამოქცევა, თავის ძე ანტიგონესთან ერთად. გამოიქცა, იერუსალემს მოვიდა და რომაული უღლის დასამხობად მოუწოდა თანასისხლიერთ. კიდევაც გამოეხმაურნენ და ეახლნენ იარაღ-

ასხმულნი. აქედან მხოლოდ მამაცნი ამოირჩია არისტობულემ, ჯარად შეკრა და-აალაშქრო გზაზეც გაიყვანა.

გაბინიუსმა ლეგიონებს თავისი ძე, გ ა ბ ი ნ ი უ ს ს ი ე ნ ა და მ ა რ კ უ ს ა ნ ტ ო ნ ი უ ს ი უსარდლა და გაუშვა აჯანყებულ ებრაელებთან შესახვედრად.

ბრძოლაც მოხდა. არისტობულე დამარცხდა. 5 000 კაცი დაელუპა, დანარჩენებით გაიქცა და მთებს შეაფარა თავი. ბრძოლა მაინც არ დაიშალა. 5000-მდე მეომარი ისევ შემოიყარა, მახერონის ციხესიმაგრე დაიჭირა და შიგ გამაგრდა.

რომაელებმაც იერიში მიიტანეს მახერონზე და ორ დღეში აიღეს იგი. არისტობულე, ერთიანად ჭრილობებით დაფარული და სისხლისგან დაცლილი ტყვედ აიყვანეს გამარჯვებულებმა და მის შვილთან, ანტიგონესთან ერთად, კვლავ გაუყვანეს რომისაკენ ტყვეობის გზაზე.

ეს მოხდა ქრისტესშობამდე 56 წელს. გაბინიუსი იერუსალემს მივიდა და ჰირკანოსი იუდეიის ეთნარქოსად გამოაცხადა; ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჰირკანოსს ამიერიდან არა მხოლოდ შინაური მღვდელმთავრობა ეკისრებოდა, არამედ რომის მბრძანებლობათა აღსრულების მეთვალყურეობაც.

იმავე წელს გაბინიუსი წავიდა და მის მაგივრად აზიის საქმეთა განმგებლად, სირიის პროკონსულის ტიტულით, რომიდან ჩამოვიდა მ ა რ კ უ ს ლ ი ც ი ნ ი უ ს კ რ ა ს უ ს ი, მონათა უდიდესი აჯანყებისა და მისი დიდი ბელადის, სპარტაკის მძლეველი, რომაელთა შორის უმდიდრესი „ფულის ტომარა“.

ეს იყო დრო, როცა რომის მსოფლიო სახელმწიფო სამ კაცს გაეყო სამმართველოდ და საბატონოდ. „ტრიუმვირატი“ — კავშირი სამი დიდი რომაელისა: კ ე ი ს ა რ ი, პ ო მ პ ე უ ს ი, კ რ ა ს უ ს ი. სამთავიანი ურჩხულიო,— ამბობდნენ მათი მტრები „ტრიუმვირტაზე“, ხოლო მოყვრები ჭკუის, ძალისა და ფულის კავშირად იხსენიებდნენ: ჭკუა—კეისარი, ძალა—პომპეუსი, ფული—კრასუსი. და გაეყოთ ქვეყანა სამმართველოდ: ჩრდილოეთი — კეისარს, სამხრეთი — პომპეუსს, აღმოსავლეთი კრასუსს.

და ჩამოსულიყო აღმოსავლეთში, აზიაში მარკუს ლიციინიუს კრასუსი (54 ქრ. წ.). მას პართიის დაპყრობა ჰქონდა გულს ამოკრილი, მაგრამ პართიაში გალაშქრებამდე ფულსა და ქონებაზე „ლაშქრობდა“. ჯერ სირიის ტაძრებიდან გაიტანა მრავალი წლის ნაგროვები საგანძურები. ამას გარდა, აცხადებდა ადგილობრივ მოსახლეობაში ჯარისკაცთა გაწვევას და იქვე, გაწვევიდან გათავისუფლებაში დიდ ფულს ან ძვირფას ნივთებს იღებდა. ასევე მოსახლეობას აწერდა სურსათსანოვაგეს და სანაცვლოდ ფულს ღებულობდა. ბოლოს, იერუსალემის ტაძრის საუნჯეებზე გაუნელებელმა ფიქრმა კრასუსს სწორედ იუდეიის სატახტოშიც შეახვევინა.

შევიდა ტაძარში კრასუსი და დაადგა თვალი საუფლო საუნჯეებს. დაასწრო ე ლ ი ა ზ ა რ მ ა, ტაძრის ხაზინადარმა და, წვიდა საგანძურები რომ

გადაერჩინა, ასე „შავი დღისთვის“ შემოხახული ბაჯაღლო ოქროს ფიცარი მიართვა უცხოელ მოძალადეს.

ეს რომ იხილა და ხელთ იგდო, გაოცებით და აღტაცებით გამოლენჩებულმა რომაელმა იქვე დაიფიცა, რომ ტაძარში სხვა რაიმეს ხელსაც არ ახლებდა. მაგრამ ფიციც მაშინვე დაივიწყა, როცა საგანძურები იხილა. იმ ბაჯაღლო ფიცართან ერთად ყველაფერი მიიტაცა — ცალკე 2000 ტალანტი და ცალკე კიდევ 8000 ტალანტის ღირებული საღვთო-საკულტო ჭურჭლეულნი.

ამის შემდგომ კრასუსი წავიდა პართიისაკენ. წავიდა და ყოველივე წამწარდა უსასტიკესად. 53 წელს, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, კარესთან გამართულ სისხლისმღვრელ ბრძოლაში პართიელებმა სასტიკად გაანადგურეს კრასუსი და მისი არმია. შვილიც ბრძოლაში მოუკლეს, თვითონაც მოკლეს და მისი მოკვეთილი თავი და მარჯვენა ხელი სანადიმო სუფრაზე აგორეს და ათრიეს. ბოლოს ოქროს მოყვარულს პირში ადუღებული ოქროც ჩაასხეს.

ასი ათასიანი რომაული არმიისაგან ათი ათასი ძლივსღა შემორჩენოდა და ეს ნარჩენებიც ძლივსღა მოაბრუნა სირიაში კრასუსის თანაშემწე სარდალმა, კასიუს ლონგინუსმა.

ახლა თითქოს გამოჩნდა შესაძლებლობა ებრაელთაგან რომაული უღლის დამხობისა. თვითონ ჰირკანოსს, როგორც ყოველთვის, ასეთი გმირობის თავი არ ჰქონდა, არც მისი ყოვლისშემძლე კარისკაცი, ანტიპატროსი, ისიც როგორც ყოველთვის, არც ახლა აპირებდა რომაელთა წინააღმდეგ ხელის გამოღებას.

მაგრამ მაინც იყვნენ იუდეაში პატრიოტული ძალები, რომელთაც სათავეში ედგათ პითოლაოსი. და შემოიკრიბა საომარი ძალები პითოლაოსმა და გაეშურა ჩრდილოეთით, რომაელებთან საომრად და მათ გასადევნად.

მივიდნენ და გამაგრდნენ მაგდალას ციხესიმაგრეში, ტიბერიადის (გენისარეთის) ტბაზე.

კასიუს ლონგინუსიც მოვიდა რომაული ჯარით. ებრაელებმა ბრძოლა წააგეს, იარაღიც დაჰყარეს და მოწინააღმდეგეს დანებდნენ. ანტიპატროსის დაჟინებით შეგონებით, კასიუს ლონგინუსმა ტყვედ აყვანილი პითოლაოსი სიკვდილით დასაჯა. ხოლო, დანარჩენები, სულ 30 000 ებრაელი ტყვე, მონებად გაჰყიდა.

ეს ახალი უბედურება მოხდა ქრისტესშობამდე 52 წელს.

ამის შემდეგ კი იუდეის ბედიც, ისე როგორც იმჟამინდელი ქვეყნის ბედი, ატლანტის ოკეანიდან მესოპოტამიამდე დაუკავშირდა ორი ვეშაპის ბრძოლას. ესენი იყვნენ კეისარი და პომპეუსი, გუშინ ნაძალადევი მოკავშირენი, დღეს აშკარა მოსისხლე მტერნი.

გენიალურმა კეისარმა იქვე, იტალიაში გათვალა საჭიროება ებრაულ

სამყაროს თავის საბატონო ორბიტაში მოქცევისა და ამიტომ მან თავისუფლება მიანიჭა აქამდე რომის ტყვეობაში მყოფ არისტობულს, ორი ლეგიონიც მაშინვე უბოძა და, ის იყო კიდევაც უნდა გამოეშვა აზიაში, სირიისა და იუდეის დასაჭერად.

მაგრამ დაასწრეს პომპეუსის აეშაგებმა და საწამლავით მოუღეს ბოლო არისტობულს. მისი ცხედარი ებრაელებმა თაფლში ჩაასვენეს და სამგზავროდ გაამზადეს, — როცა ამის საშუალება მიეცემოდათ, იუდეაში წაესვენებიათ და იქ დაეკრძალათ, ხასმონეელთა მამაპაპეულ სასაფლაოზე.

იმავე 49 წელს, ისევ პომპეუსის ბრძანებით, მისმა მომხრეებმა ანტიოქიაში მოჰკლეს არისტობულეს უფროსი ძე, ალექსანდრე.

ძლივს გადარჩნენ სიკვდილს იმჯერად არისტობულეს ოჯახის დანარჩენი წევრები, ცოლი და უმცროსი ძე, ანტიგონე. ისინი იხსნა მცირე რომანმა: არისტობულეს ასული, სახელად ალექსანდრა შეჰყვარებოდა და ცოლადაც შეერთო ფილიპონს, ხალკისის მთავრის, პტოლემეოსის ძეს. და, სწორედ პტოლემეოსმა შეიფარა თავისი ახალი მოყვრები.

მაგრამ სულ მალე ეს „ბედნიერებაც“ უბედურებად ექცათ სიკვდილისაგან განუწყვეტლივ დევნილებს. პტოლემეოსს თვითონ მოუვიდა თვალში ახლადმოყვანილი რძალი, ამის გამო ამ გარეწარმა ღვიძლი შვილი მოაკვლევინა და ქვრივად დაგდებული რძალი ცოლად დაისვა.

ბრძოლები კეისარიანელებსა და პომპეუსელებს შორის ახალ-ახალ ფაზებში შედიოდა და გადადიოდა. კეისარმა იტალიაში სრულად გაიმარჯვა. პომპეუსმა მოპირდაპირეს რომიც შეატოვა, სრული იტალიაც და ბალკანეთზე გამოიქცა. კეისარმაც მოსდია. 49 წელს დირაქიუმთან გამართულ ბრძოლაში პომპეუსმა გაიმარჯვა.

იუდეის ფაქტიურმა გამგებელმა, „ყოვლისშემძლე“ ანტიპატროსმა, წარმომავლობით იდუმეელმა, თავიდანვე ირწმუნა, რომ პომპეუსი კეისარს ბოლოს და ბოლოს მოინელებდა. ამიტომ მისდამი დახმარებას და ხელისშეწყობას არ იშლიდა და ამით, მისი ფიქრით, ამ მედროვე ვიგინდარამ, დირაქიუმთან გამარჯვებაც პომპეუსის საბოლოო ძლევამოსილების მაუწყებლად მიიჩნია და მომავალი, გადამწყვეტი ბრძოლისათვის ებრაელ მეომართა ჯარიც კი გაუგზავნა პომპეუსს საბერძნეთში.

მაგრამ საბერძნეთში, ფარსალოსთან გამართულ სახელოვან ბრძოლაში (48 წლის 6 ივნისი), კეისარმა სასტიკად და საბოლოოდ გაანადგურა პომპეუსი, რომელმაც თავს გაქცევით უშველა. თუმცა რაღა „უშველა“, როცა ეგვიპტეში გაქცეული თვითონ ეგვიპტელებმა მოჰკლეს და მისი წარკვეთილი თავი და ლომის გერბიანი ბეჭედი ალექსანდრიაში ფეხის შემოდგმისთანავე მიართვეს ძლევამოსილ კეისარს.

ასე, რომ ეს „დიდი ნაბიჯი“ მწარედ გაუცუდდა ანტიპატროსს. მაგრამ „გაცუდებაში“ ებრაული სისხლის ამაოდ დაქცევა როდი იგულისხმებოდა. მთავარი ის იყო, რომ მისმა რჩეულმა პომპეუსმა „ვერ გაუმართლა“.

მაგრამ მედროვე რის მედროვე იქნება, უკეთუ ეგზომ ცვალებად დრო-ჟამსაც დროისად ვერ მოირგებს და მოივარგებს.

მაშ, დროის გმირი ახლა კეისარია და ანტიპატროსიც უკვე კეისარიანელია!

მაშ, კეისარი ეგვიპტეშია, ალექსანდრიაში. იქ პტოლემეური ტახტისათვის ერთმანეთს და-ძმა ებრძოდა — კ ლ ე ო პ ა ტ რ ა და პ ტ ო ლ ე მ ე ო ს. XII დ ი ო ნ ი ს ე. კეისარმა ლამაზი და ცხელსისხლიანი კლეოპატრა არჩია, კიდეც გაუმეჯნურდა, თავიც გამოიდო მისთვის, მაგრამ უფრო იმისთვის, ეგვიპტეც რომ დიადი რომის საკუთრებად ექცია. მისთვის კი ახალი ომი დასჭირდა კეისარს — „ალექსანდრიის ომი" (48—47). კიდევაც დასჭირდა და კიდევაც მისჭირდა.

და მედროვის ალღომ უმალვე უკარნახა მედროვეს, — ანტიპატროსმა. შეიტყო, რომ კეისრის საშველად უკვე ეგვიპტის გზას ადგა პერგამოსის მეფე. მ ი თ რ ი დ ა ტ ე. დაუხვდა ანტიპატროსი მითრიდატეს, მისი ჯარიც სრულად მოამარაგა სალაშქრო საგზალ-საბადებელით და 3000-იანი ებრაული ჯარიც. თან გააყოლა კეისრის შემწედ. ამასთან, ჰირკანოსის ხელით დაწერილი (თვითონვე რომ უკარნახა) წერილიც გაატანა, ეგვიპტელ ებრაელთა მოწოდებად— მხოლოდ დიდი კეისრის მხარეზე იბრძოლეთ და იღვაწეთო...

აი, როგორ უნდა მედროვეობა!

და კიდევაც მანამდე არნახულად დაუფასდა ანტიპატროსს ასეთი „ყურადღება" და „ერთგულება": კეისრისაგან მოვიდა ბრძანება, რომლის ძალით ანტიპატროსს ენიჭებოდა რომის მოქალაქეობა, ენიჭებოდა იუდეიის მმართველის რწმუნებანი და მისი ოჯახიც თავისუფლდებოდა ყოველი სახის გადასახადისა და გამოსაღებისგან.

ამის შემდეგ ეს ვიგინდარა მედროვე, თანაც უცხოელი — იდუმეელი, ფაქტიური მბრძანებელი გახდა იუდეიისა. იგი რაღაცნაირი „უფლის უფალიც" გახდა თვითონ მისი მწყალობლის, ჰირკანოსის მიმართაც კი. მის უკან დიდი კეისარი იდგა და, რასაც ინებებდა, იმასვე აღისრულებდა ჰირკანოსის როგორც მღვდელმთავრისა და ეთნარქოსის სამფლობელოში.

ხოლო, იუდეიის ტახტის კანონიერ მემკვიდრეთაგან ერთი კიდევ დარჩენილიყო — ანტიგონე, ძე არისტობულესი. და ეძიებდა ანტიგონე „მის ტახტს", ეძიებდა ისიც იმ ერთადერთი გზით — მხოლოდ დიდი კეისრის ნებით. და ემუდარებოდა კეისარს ანტიგონე, ემუდარებოდა და მოაგონებდა, როგორი ერთგულებით ემსახურებოდნენ მას ყოველთვის მამა არისტობულე და ძმა ალექსანდრე, ორივემ რომ ბოლოს და ბოლოს მის ხამსახურში დალიეს სული, ხოლო ჰირკანოსი და ანტიპატროსი მუდამ პომპეუსის სამსახურში იდგნენ და მაინც დღეს ასე აყვავდნენ, ასე დაუმსახურებლად, ასე უსამართლოდ...

მაგრამ ყურად არ იღო კეისარმა ანტიგონეს თხოვნა-მუდარა. მას იერუსალემის ტახტის აღდგენა კი არა, უბრალოდ რომის მეუფების ქვეშ აღმსრულებელი მმართველი სჭირდებოდა, ასეთს კი ანტიპატროსზე უერთგულესს

ვერ იპოვნიდა. ჰირკანოსიც იმ 47 წელს მღვდელმთავრად და ეთნარქოსად დაამტკიცა კეისარმა. ეს იყო და ეს.

საერთოდ, კეისრის პოლიტიკა ებრაელებისადმი ფრიად შემწყნარებლური იყო. მან დაუბრუნა იუდეას ქალაქები, რომლებიც წაერთმიათ სირიელ მეფეებს და რომაელ პროკონსულებს. ნება დართო იერუსალემის დანგრეულ კედელ-გალავანთა აღდგენისა და განმტკიცებისა. კეისარმა გათავისუფლა ებრაელები სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან. ამასთან საგრძნობლად შეამცირა მოსავლის გადასახადი რომაული სამხედრო ბანაკების შესანახად.

ანტიპატროსს და, მისი შეგონებით, ჰირკანოსს ახლო ურთიერთობა დაეჭირათ არა მარტო კეისართან, არამედ მის ახლო მეგობრებთან და თანამებრძოლებთან იქ, რომში. სწორედ ამათი მეშვეობით, რომის სენატმა და კომიციებმა (სახალხო კრება) მიიღეს საგანგებო დადგენილებაც, რომლითაც ებრაელი ხალხი უკვე ცხადდებოდა, ვითარცა „მოკავშირე და მეგობარი რომაელი ხალხისა" (socius et amicus populi Romani).

კეისარმა საგანგებო ბრძანებულებით ყველგან ებრაელები უფლებრივად გაუთანაბრა ბერძნებს. ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ეგვიპტესა და მცირე აზიაში, სადაც მანამდე ებრაელები იჩაგრებოდნენ და იდევნებოდნენ კიდეც.

მაგრამ კეისრის სიკეთე მაინც მხოლოდ იუდეიის გარეთ მცხოვრები ებრაელობისთვის იყო სიკეთე. თვითონ იუდეიის ისრაელობისათვის კი კეისარი მაინც მხოლოდ დამპყრობელი რომაელი იყო, საძულველი ანტიპატროსის მფარველი.

არც ფარავდნენ იუდეველნი თავის უკმაყოფილებას. აჯანყების სულისკვეთებაც არ ნელდებოდა უცხო უღლისადმი მუდამ შეურიგებელ ერში.

მეფე არისტობულეს თანამებრძოლთა ნაშთები ისევ არ იღებდნენ ხელს ბრძოლაზე. ისინი ახალგაზრდა პატრიოტის, ხ ი ზ ი კ ი ა ს წინამძღოლობით, თავს აფარებდნენ გალილეიის მთებს, საიდანაც უეცარი თავდასხმებით მოსვენებას უკარგავდნენ რომაელებსაც, სირიელებსაც.

ანტიპატროსის თვითნებობას კი საზღვარი აღარ ჰქონდა. ბოლოს ხალხი უსაზღვროდ აღაშფოთა იმან, რომ მედროვე მემკვიდრეობითი მბრძანებლობის დანერგვასაც შეუდგა იუდეაში. მას და მის ცოლს, არაბ ქალს, სახელად კ ი ფ ა რ ი ს ა ს, ოთხი ძე ჰყავდათ. ამათგან უფროსი ძე, სახელად ფ ა ზ ა ე ლ ი, ანტიპატროსმა იერუსალემის და იუდეიის მმართველად დანიშნა, ხოლო მომდევნო შვილს, ოცი წლის ჰ ე რ ო დ ე ს, მამამ სამმართველოდ და საბატონოდ ჩააბარა გალილეა.

20. ჰეროდე

მალე დადასტურდება, რომ ჰეროდე ნამდვილ ღვთისრისხვად მოელენოდა ებრაელ ხალხს. იგი, რომაელ დამპყრობთა სასარგებლოდ და სამსახურად, უკიდურესი სისასტიკით უსწორდებოდა ებრაელთა შორის ყოველ პატრიოტულ გამოვლინებას.

გალილეაში მისვლისთანავე ჭაბუკმა ბოროტმა სულმა, მუხანათური მანევრით, ხელთ იგდო რომაელებთან და სირიელებთან შეურიგებლად მებრძოლი ხიზიკია და მისი თანამებრძოლნი, და — ყოველგვარი გამოძიებისა და გამოკითხვის გარეშე, ყველას თავები დააყრევინა. რომაელებმა და სირიელებმა სათაყვანო გმირად დაისვეს ებრაელთა ეს ახალმოვლენილი ჯალათი. იგი განუყრელ თანამეინახედ დაისვა ახლადდანიშნულმა პროკონსულმა, დიდი კეისრის ნათესავმა, სექსტუს იულიუს კეისარმა.

ებრაელთა მოწინავე, პატრიოტულმა „დასებმა" იგრძნეს, რომ იდუმეურ-ედომური გვარჯილაგისგან ახალი, ყველაზე შხამიანი ქვეწარმავალის მოსვლა, ახალ დიდ უბედურებას მოასწავებდა ისედაც უკვე უფსკრულისაკენ დაქანებული იუდეიისთვის.

ეახლნენ კიდეც ჰირკანოსს ებრაელი პატრიოტები. ეახლნენ, რათა „გონს მოეყვანათ" უმაღლესი ხელისუფალი ისრაელიანთა.

— სანამ უნდა იყო ეგრე გულგრილი შენს გარშემო მიმდინარე უბედური სინამდვილისადმი,— ეუბნებოდნენ ჰირკანოსს — ნუთუ ვერ ჰხედავ, რომ მთელი ძალაუფლება ხელთ უპყრია ანტიპატროსს და მის შვილებს; შენ კი მხოლოდ სახელი გქვია ხელისუფლისა. ჩვენ არც იმას დაგიმალავთ, რომ არც შენი სიცოცხლეა საფრთხის გარეშე, არა და არც შენს თავზე ფიქრობ, აღარც სახელმწიფოზე. ამაოდ გიფიქრია, რომ ანტიპატროსი და მისი შვილები იქნებიან შენი შემწენი; შემწენი კი არა, ყველანი აკი იმათ მიიჩნევენ ნამდვილ ხელმწიფეებად. როგორ გაბედა ანტიპატროსის თავხედმა შვილმა ებრაელთა სიკვდილით დასჯა უმაღლესი სინედრიონის დაუკითხავადო. თუ მართლა ხელისუფლებაზე ხელი არ აგიღია და ყველაფერი უცხო ვიგინდარათა ხელში არ ჩაგიგდია, ახლავე ის მკვლელი გამოიძახე და სწორედ მკვლელობისთვის სინედრიონს მიეც და იმან გაასამართლოსო.

ყოვლად უნებო ჰირკანოსმა უარი ვეღარ შეუბედა და ჰეროდე გალილეიიდან გამოიძახა, სინედრიონის წინაშე პასუხსაგებად.

ჰეროდეც გამოცხადდა, მაგრამ გამოცხადდა არა როგორც ვინმე ბრალდებული, როგორც წესი კრძალული თალხით მოსილი, არამედ საგანგებოდ სადღესასწაულოდ, ძვირფასი ძოწეულის წამოსასხამით მოკაზმული და, რაც მთავარია, საომრად დასილაღებული რაზმის თანხლებით. ამასთან, „ბრალდებულს" ხელში ეჭირა თვითონ რომაელი პროკონსულის, სექსტუს კეისრის წერილი, ჰირკანოსისადმი მოწერილი, სადაც ჩამოთვლილი იყო ჰეროდეს „დამ-

სახურებანი", ვითარცა შესანიშნავი მმართველისა, და ბოლოს მუქარაც, — რომ უკეთუ საჭირო გახდებოდა, თვითონ კეისარი აგებინებდა ყველას პასუხს ჰეროდეს სიცოცხლის ხელყოფისათვის.

და შედგა სასამართლო, მანამდე უცნაური და გაუგონარი. ისხდნენ უხუცესნი სინედრიონისა, მათ შორის თვითონ ჰირკანოსი. პირდაპირ იდგა სადღეასწაულოდ მორთულ-მოკაზმული ჰეროდე და იარაღში ჩამჯდარი მისი ამალა.

და კაცი ველარ გაარჩევდა, ვინ ვის ასამართლებდა.

თვითონ სინედრიარებს, გუშინ ისე აღშფოთებით და აღტკინებით ენაალძრულებს, დღეს ენა სრულად ჩავარდნოდათ; მათ შორის ენა დაჰკარგვოდა ისედაც მუდამ „უენო" ჰირკანოსს.

ბოლოს, გაბედა ერთმა, სახელად შ ე მ ა ი ა მ, ფეხზე წამოდგა და მიმართა მსაჯულთა საკრებულოს: მე თქვენ ველარ გცნობთ, პატივცემულო მოსამართლენო, ვერცა შენ ხელმწიფეო (ეს ჰირკანოსს მიმართა); აკი აქამდე კარგად იყო თქვენთვის ცნობილი, რომ ბრალდებული სასამართლოს წინაშე უნდა წარმოსდგეს, როგორც მოაჯე, ქედმოდრეკილი მთხოვნელი, თმაჩამოშლილი და სუდარით მოსილი. ხოლო, ჰეროდე ესე, მკვლელობაში ბრალდებული და ეგზომ მძიმე დანაშაულთათვის მოყვანილი, თქვენს წინაშე გამოეიმუალა ძოწითმოსილი, და თანაც, შეიარაღებული ხალხით გარშემორტყმული. ასე, რომ — უკეთუ ჩვენ მას გავასამართლებთ კანონის მიხედვით, იგი ჩვენ დაგვხოცავს და არც ამისთვის არ აგებს პასუხს არავის წინაშე. მაგრამ მე აქ ვსაყვედურობ არა ჰეროდეს, რომელიც თავის თავს სცემს პატივს და არა კანონებს, — არამედ გადანაშაულებთ თქვენ, მეუფენო და მოსამართლენო, რაკილა ეს მკვლელი თქვენ თვითონ დაუშვით ასეთ თავხედობამდე. მაგრამ გახსოვდეთ, ღმერთი მაინც ყოვლისშემძლეა და ასეთი უსამართლო შემწყნარებლობისთვის, დადგება დრო და ყველას დაგსჯით შესაფერისად.

ამ სიტყვამ ლაჩრობიდან გამოიყვანა სინედრიონი. ყველა გამხნევდა და საომრად განეწყო. უკვე ერთმანეთს ასწრებდნენ ჰეროდესადმი საბრალდებო სიტყვების სროლას.

მაშინ დაფრთხა საშინლად ჰირკანოსი და, საქმის უკიდურესად გამწვავებამდე, სასამართლო დახურა და საქმის გარჩევა მომავალი დღისთვის გამოაცხადა. იმ ღამით კი თვითონ ჰეროდეს საიდუმლოდ შეუთვალა, სასწრაფოდ თავს უშველე, თორემ ხვალ უკვე შენი გადარჩენა მე აღარ შემეძლებაო.

ჰეროდეც იმ ღამით იერუსალემიდან გაუჩინარდა და მალე ისევ დამასკოში ამოჰყო თავი.

სექსტუს კეისარიც ისევ დიდის პატივით შეეგება „თავის გმირს", შეხვდა და მაშინვე კელე-სირიის მმართველად დანიშნა.

ახლადაღზევებულმა ავანტურისტმა მაშინვე ჯარი შემოიყარა და მისი, როგორც მკვლელისადმი გასამართლების შემკადრებელთა შურისმაძიებლად და დასასჯელად, იერუსალემისკენ წარემართა.

მაგრამ ქალაქის კარიბჭესთან ჰეროდეს მამა და ძმა გამოეგებნენ, ანტი-

პატროსი და ფაზაელ, და ხელი ააღებინეს ეგზომ ავკაცურ გადაწყვეტილებაზე. — შენ გამწარებული ხარ იმის გამო, რომ ჰირკანოსმა სასამართლოზე გამოგიძახა, მაგრამ სიკვდილსაც აკი იმან გადაგარჩინაო, — ეუბნებოდნენ ჰეროდეს მისი სისხლისანი — ამიტომ შენ ჰირკანოსისადმი უფრო მადლიერიც უნდა იყო, ვიდრე მტრად ეკიდებოდეო.

ჰეროდემ ჯარი გაბრუნა.

დადგა წელი ქრისტესშობამდე 44, მარტის იდუსი, და მოხდა რომის სენატში მარად საკაცობრიო ისტორიაში უნიკალური მკვლელობა უნიკალური ადამიანისა. „რესპუბლიკელებმა" მოჰკლეს „ტირანი" — გაიუს იულიუს კეისარი, და ეგონათ მკვლელებს, რესპუბლიკა გადაარჩინეს, მაგრამ ეს ადრეშობილი დონკიხოტები უმალვე მიხვდნენ, რომ „რესპუბლიკა" კეისრამდეც თურმე კარგა ხნის მკვდარი ყოფილა. კეისრის დიქტატურა ოღონდ გენიალური ადამიანის ლოგიკური აღზევება და დაგვირგვინება ყოფილა ისტორიული ლოგიკით მომავალი იმპერიულ-მონარქიული სისტემისა.

ლოგიკის წინააღმდეგ ხელის აღმართვას კი, ლოგიკურადვე, რომში სამოქალაქო ომების ახალი სერიები მოჰყვა. ერთმანეთს დაერივნენ კეისრის სისხლის მაძიებელნი და კეისრის მკვლელები.

კეისრის სისხლისათვის შურისმგებლების სათავეში ჩამდგარიყო ახალი, „მეორე ტრიუმვირატი" — გ ა ი უ ს ი უ ლ ი უ ს კ ე ი ს ა რ ი ო ქ ტ ა ვ ი ა ნ უ ს ი, მ ა რ კ უ ს ა ნ ტ ო ნ ი უ ს ი და მ ა რ კ უ ს ლ ე პ ი დ უ ს ი. აქედან პირველი, ოქტავიანუსი, დიდი კეისრის მემკვიდრე იყო, მისი დისშვილიშვილი.

აზიის რომაულ პროვინციებში ჯერჯერობით კეისრის მტრები, ანუ „რესპუბლიკელები" ბატონობდნენ. აქ მოსულიყო თვითონ კ ა ს ი უ ს ლ ო ნ გ ი ნ უ ს ი, კეისრისადმი მიყენებული 23 ჭრილობიდან რამდენიმე რომ სწორედ მისი მახვილისგან დანაკრავი უნდა ყოფილიყო.

იგი ჯარებისა და ფულის შეკრებას შესდგომოდა სირიასა და იუდეაში, კეისრის მემკვიდრეების, ოქტავიანუსისა და მარკუს ანტონიუსის წინააღმდეგ. საომრად.

იუდეიის ხელისუფლებას 700 ტალანტი მოსთხოვა კასიუს ლონგინუსმა. ანტიპატროსმა აღნიშნული თანხა გადასახდელად გადაანაწილა თავის შვილებში და მეგობრებში, რომელთა შორის იანგარიშებოდა აგრეთვე ჰირკანოსის უახლოესი მოხელე, სახელად მ ა ლ ი ქ.

ყველაზე სწრაფად და სრულად, ნაჭარბითაც კი, დაკისრებული გადასახადი თავის სამბრძანებლოში მოკრიბა და მოართვა რომაელს ჰეროდემ.

ფულის შემოტანას აგვიანებდა მალიქი. კასიუს ლონგინუსს კი სული ელეოდა და ესეც გასაგები იყო, რადგან წუთი წუთზე მოსალოდნელი იყო კეისრის მემკვიდრეთა და თანამებრძოლთა შეუკავებელი მოწოლა აღმოსავლეთის პროვინციებზე. ამიტომ ლონგინუსი პირდაპირ ძალადობაზე გადავიდა. სამხრეთ იუდეაში ოთხი ქალაქი — გოფნა, ემაუსი, ლიდა და თამნა — პირდა-

პირ გაძარცვა. ყველა მცხოვრებს ქონება ჩამოართვა და ასე გაძარცვულნი დააბორკილა და მონებად მიჰყიდმოჰყიდა. ჰირკანოსს ისღა დარჩენოდა, მალიქის გადასახდელი თანხა, 100 ტალანტი, თვითონ გადაეხადა, პირადი ხაზინიდან.

მალიქმა კი ანტიპატროსის მოკვლა განიზრახა, რაკიღა ყოველი უბედურების მიზეზად ამ იდუმეელ მედროვეს თვლიდა. ანტიპატროსიც გრძნობდა მის წინააღმდეგ მოქმედ ახალ „მიმდინარეობას“ და ისიც ემზადებოდა მოსალოდნელი საფრთხის უკუსაგდებად.

დამასკოში კი ლონგინუსსა და ჰეროდეს შეეკრათ საიდუმლო კავშირი: ჰირკანოსი უნდა დაემხოთ და მის ტახტზე თვითონ ჰეროდე დამჯდარიყო.

მალიქმა ეს განაზრახი რაღაც მანქანებით შეიტყო და თვითონაც სასწრაფოდ ამოქმედდა. ერთ დღეს, ჰირკანოსის მიერ თავის მეგობრებისთვის გაწყობილ სანადიმო სუფრაზე მალიქმა ანტიპატროსის თასში ღვინოს იდუმალ საწამლავი შეაზავა, ანტიპატროსმაც გულდანდობილად გამოსცალა და მაშინვე ძირს მკვდარი დაენარცხა (43 ქრ. წ.).

ანტიპატროსის დატირებისა და დაკრძალვის ჟამს მალიქი ცრემლთა თხევითა და ვაიეშით ინიღბებოდა, მაგრამ ფაზაელმა და ჰეროდემ უკვე ყველაფერი იცოდნენ და სასტიკი შურისძიების განაზრახიც უკვე გულს ამოეჭრათ.

გულფიცხელ ჰეროდეს უნდოდა ერთის დაკვრით მოესპო მალიქიც და ჰირკანოსიც. დინჯი ფაზაელი ამაოდ აფრთხილებდა და აკავებდა ძმას. ჰეროდეს ისევ იერუსალემის დაპყრობა გადაეწყვიტა იარაღის ძალით. კასიუს ლონგინუსს მისთვის, როგორც კელე-სირიის მმართველისთვის, ჯარიც მიეცა და სამხედრო ხომალდებიც.

დაიძრა კიდეც რომაული ლეგიონებით ჰეროდე იერუსალემისკენ. მაშინ მალიქმა ურჩია ჰირკანოსს, პირადად შეხვედროდა მომხვდურს და ეთხოვნა ხელი აეღო „მშობლიური ქალაქის“ დარბევაზე. მით უფრო პასექის დღეებიც დგებოდა იმ ჟამს.

და, გამოეგება თავისი ფეხით ჰირკანოსი, — ცოდვას ნუ ჩაიდენ და ამ პასექის დღესასწაულებზე უცხოელთა ჯარით ნუ შემოხვალ ჩვენს წმიდა ქალაქშიო, — ეაჯებოდა იგი ჰეროდეს.

ჰეროდემაც ამჯერად ხელი აიღო სისხლისღვრაზე, უფრო სადღესასწაულოდ მოზღვავებულ ხალხს დაუშინდა და კიდევ შეიარაღებულ ჯარსაც, საომრად რომ გამზადებულიყო მალიქის წინამძღოლობით.

ამ დროს აზიაში დიდი კეისრისა და მისი მემკვიდრის, ოქტავიანუსის თანამებრძოლი პუბლიუს დოლაბელა გამოჩნდა თავისი ლეგიონებით, კასიუს ლონგინუსის გასაძევებლად, ან სულ მოსასპობად.

ახლა სულ უნდა გათიშულიყვნენ იუდეიის მესვეურები. ჰეროდე ხომ კასიუს ლონგინუსზე იყო განუყრელად აბმული, ვითარცა მისგანვე აღზევებული და გამძლავრებული, ხოლო მალიქი და მასზე „აბმული“ ჰირკანოსი დოლაბელას გამოჩენას მესიის მოვლინებასავით შეხვდნენ.

აღმოსავლეთში დოლაბელას ჩამოსვლას მაშინვე გამოეხმაურა ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა, დიდი კეისრის სატრფო-ნატრფიალევი, თუმცა ახლა მისი ტრფიალებისგან „დაქვრივებული", მაინც მისგან შეძენილი ძის, კესარიონის დედა, მაინც კეისრის მიმდევართა ერთგული თანამდგომელი.

და გამოგზავნა ჯარი კლეოპატრამ დოლაბელას დასახმარებლად. ამ ჯარმა გზად გამოიარა იუდეა. მალიქმაც, ისევ ჰირკანოსის „აყოლიებით", თავის მხრივ ებრაელ მეომართა ჯარიც აახლა ეგვიპტიდან გამოვლილ მხედრობას.

ამით მალიქი, ბუნებრივად, ვარაუდობდა კასიუს ლონგინუსის განადგურებასთან ერთად მისი მოსისხლე-მეტოქის, ჰეროდეს ერთხელ და სამუდამოდ გაცამტვერებას.

მაგრამ კვლავ უფრო სწრაფი, ქმედითი და დახვეწილხერხიანი აღმოჩნდა ჰეროდე. იგი სასწრაფოდ შეხვდა კასიუს ლონგინუსს და მასთან ერთად დაამუშავა განაზრახი მალიქის გადაუდებელი მოსპობისა. მას ჰქონდა ცნობა, რომ მალიქი ტვიროსში უნდა ჩასულიყო, და ჩასვლისთანავე, იქვე წინასწარ გაზრახებულ რომაელ სამხედრო ტრიბუნებს დააჩეხვინეს მალიქი.

თავისი უახლოესი მოხელისა და მეგობრის სიკვდილი რომ შეიტყო, ჰირკანოსი გულშემოყრილი და ენაწართმეული წაიქცა, ძლივს მოუბრუნეს. ხოლო, როცა მობრუნდა, ჰეროდესთან კითხვა აფრინა, — ვისი ნებით მოკვდა მალიქიო. კასიუს ლონგინუსის ნებითო, — იყო პასუხი. მაშინ მკვლელობა საშართლიანი ყოფილაო, — დაასკვნა ამ „შუდამ ჭკვიანმა პოლიტიკოსმა" და სახალხოდაც ასე გამოაცხადა, — სწორედ ღირსეულად დაისაჯა ის ბოროტმოქმედი და მოღალატეო!

მგლის ნაშიერთა იმპერია კი კვლავ მოეცვა კეისარიანელთა და ანტიკეისარიანელთა სისხლისმაქცევარ ჭიდილს. სასისხლო არტერიები კი იმპერიის ცენტრიდან კვლავაც პროვინციებში მიმოიქცეოდა. ამათ შორის კი იუდეა გამორჩეული დაწოლის ქვეშ რჩებოდა კვლავაც. ყოველ დიდსა თუ მცირე ავანტურისტს, გამოჩინებულ პოლიტიკოსს, თუ შარაგზის ყაჩაღს, ებრაელთა საატახტო ამოულეველ საუნჯეთა და საგანძურთა წყაროდ დაეგულებინა.

აზიაში ჯერ ისევ ანტიკეისარიანელები მძლავრობდნენ. კასიუს ლონგინუსმა დოლაბელა დაამარცხა და კიდევაც გააქცია აზიიდან. მალე თვითონ ლონგინუსი კეისრის მეორე მკვლელმა შესცვალა აზიაში — **მ ა რ კ უ ს ი უ ნ ი უ ს ბ რ უ ტ უ ს მ ა**, რომელიც არანაკლები სისასტიკით ავიწროებდა ებრაელობას.

რომაელთა ამ ანტიებრაულ პოლიტიკაში ისევ გამოირჩეოდა აქტიურობით ჰეროდე. ამის უფროსი ძმა, ფაზაელ, იერუსალემის გამგებელი, თითქოს უფრო „ზომიერ" პოლიტიკის გზას ადგა, მაგრამ იუდეიის პატრიოტულ ძალებს ორივე ძმა საერთოდ ბოროტ მოვლინებად მიაჩნდათ და, აშკარა თუ ფარული გზებით, ბრძოლას არ წყვეტდნენ მათ დასამხობად.

პატრიოტულ ძალებს იმჟამად ბელადად გამოუჩნდა აწ მოკლული მალიქის ძმა, რომელმაც ხელთ იგდო იუდეიის რამდენიმე ციხესიმაგრე, მათ შორის

ყველაზე მნიშვნელოვანი მ ა ს ა დ ა, მკვდარი ზღვის დასავლეთით წამომართულ მაღალ მთაზე.

კვლავაც ახალი საშფოთარი ამბავი მოხდა თვითონ იერუსალემში. აქ მაშინ რომაელთა ციხიონი იდგა, ვინმე ფ ე ლ ი ქ ს ი ს სარდლობით. სწორედ ამ ფელიქსმა თავდასხმა მოაწყო იერუსალემის მმართველ ფაზაელზე, ჰეროდეს უფროს ძმაზე. ფაზაელი ძლივს გადარჩა, თვითონ იერუსალემელთა ქომაგობით.

ჰეროდე კი მაშინ დამასკოში ყოფილიყო და ძმაზე თავდასხმის ამბავი რომ შეიტყო, მაშინვე სცემოდა იარაღს, მაგრამ რაღაც მოულოდნელმა ავადმყოფობამ არ გამოუშვა იმჟამს. ხოლო, როგორც კი ავადობამ გაიარა და საომრად ამხედრება შეიძლო, მაშინვე მიიქრა ჯარით იერუსალემში. ფელიქსი დაფრთხა, ციხეში შეიკეტა და იქიდანვე ჰეროდესთან შესარიგებლად მოციქული აფრინა. ჰეროდე „დიდსულოვნურად“ დათანხმდა და, რომაული ციხიონი რომ თავისად დაიგულა, მერე მალიქის ძმას მისდგა და ყველა წართმეული ციხესიმაგრენი უკანვე დაათმობინა და დააცლევინა.

ახლა კიდევ ანტიგონემ, რომში მოწამლული არისტობულეს ძემ შეახსენა თავი სუყველას — ებრაელსაც, რომაელსაც, ბერძენსაც და სირიელსაც. იგი იუდეიის ტახტსა და გვირგვინს მოითხოვდა, ვითარცა ერთადერთი კანონიერი ტახტისმემკვიდრე. და ამ „კანონიერებისათვის“ აღძრულ ბრძოლაში მას მხარს უჭერდა მისი სიძე პტოლემეოსი, ხალკისის ბატონი, და მასთან, ოქროთი მოსყიდული რომაელი სარდალი ფ ა ბ ი უ ს ი, და კიდევ — „ტირანი“, ვინმე ავანტურისტი მ ა რ ი ო ნ ი, კასიუს ლონგინუსისაგან ტვიროსის მმართველად დატოვებული.

მაშ, ახლა ამ სამეულმა დაიწყო ბრძოლა „უკანონო“ იდუმეელ ძმათა დასამხობად და იუდეაში „კანონიერების“ აღსადგენად.

მაგრამ კვლავ გაიმარჯვა ჰეროდემ. ჯერ მარიონი გაანადგურა და უკანვე გამოსტაცა მისგან მითვისებული გალილეიის სამი ციხესიმაგრე. მერე ანტიგონეს მიუხტა და, სანამ მის საშველად პტოლემეოსი, ან ფაბიუსი მოასწრებდნენ — დაამარცხა და კუდით ქვა ასროლინა იუდეიიდან.

და მიადგა კვლავ ძლევამოსილი ჰეროდე იერუსალემს. გამოეგება ჰირკანოსი და მიართვა გამარჯვების პალმა გამარჯვებულს. ვითომ უძლებდა მისი ნიღაბი დამცინავი დროის რჩეული გმირის უტიფარ თვალებს? მაგრამ ამ გველთავას წინაშე ამაო იყო ყოველივე ცდა გულწრფელობის გაყალბებისა. იგი, არამცთუ ამ გულუბრყვილო ბებრის, არამედ საკუთარ გულწრფელობასაც არ ენდობოდა.

ახლა კი ჰეროდეს გულისმოგება მხოლოდ მისი საოცნებო ქორწინებით შეიძლებოდა.

ჰეროდეს ადრე ცოლად შეერთო მისებრ იდუმეელი წარმომავლობის მდაბიო ქალი, სახელად დ ო რ ა, რომლისგანაც შესძენოდა პირმშო ძე, ა ნ ტ ი პ ა ტ რ ო ს ი. მაგრამ ახლა ეს „პირველი ხელი“ ოჯახი ჰეროდესთვის

დაეეიწყებინა გასაოცრად მშვენიერ გოგონას, მ ა რ ი ა მ ნ ა ს. მარიამნა კი იყო ასული ჰეროდეს მამისგან, პტოლემეოსისგან მოკლული ალექსანდრესი, მეფე არისტობულეს უფროსი ძისა. ამავე დროს მარიამნა იყო შვილიშვილი ჰირკანოსისა.

ამიტომ კვლავ ჭკვიანურად ფიქრობდა ჰეროდე: მშვენიერების ფლობა ხომ თავისთავად ბედნიერებაა და მასთან ერთად თუ მეფურ სისხლს და სამეფო ტახტსაც „შეერთვება", ამაზე მეტი სასურველი რაღა უნდა ისურვოს უცხოელობის და უთვისტომობის გზით აქამდე მოღწეულმა მედროვე ვიგინდარამ?!

და ისურვა დროის გმირმა უმშვენიერესი მარიამნას ცოლად შერთვა. ეს უკვე მოსურვებოდათ მარიამნას დედას, ალექსანდრას, და, რაც მთავარია, ბაბუას, თვითონ „ხელმწიფე" ჰირკანოსს.

და შესდგა დაწინდვა.

იმპერია კი ზანზარებდა საომარი ბღავილით და საჭურვლის ზრიალით ატანილი. მგლური მადით და წყურვილით ხოცავდნენ ერთურთს მგლის ნაშიერნი (და მგლებს მხოლოდ ამით არ ჰგავდნენ, რომ ეს ადამიანნი, ეს უცნაური ჯიშის მხეცნი, საკუთარ ჯიშს ჰხოცავდენ ასე, „მგლური გახელებით").

ბოლოს და ბოლოს, უნდა გადაწყვეტილიყო, ვის დარჩებოდა ბურთი და მოედანი — კეისარიანელებს („მონარქისტებს"), თუ ანტიკეისარიანელებს („რესპუბლიკელებს").

დადგა 42 წელი, დადგა შავად და ბნელად რესპუბლიკელებისათვის. ფ ი ლ ი პ თ ა ნ (მაკედონიაში) გამართულ სასტიკ ხმალთაკვეთებაში კეისარიანელებმა სძლიეს ანტიკეისარიანელებს. ამათმა ლიდერებმა, ბრუტუსმა და კასიუსმა, იქვე, ბრძოლის ველზე, საკუთარი მახვილებით დაიკლეს თავი. და მათთან ერთად საფლავში სამუდამოდ ჩაესვენა ხუთასწლოვანი რომაული „რესპუბლიკა".

სისხლიან დროებამს იმპერია ახლა ორი კაცის ფერხთა ქვეშე განერთხა — გაიუს იულიუს კეისარ ოქტავიანუსისა და მარკუს ანტონიუსისა.

და კიდევაც ორად გაიყვეს სამმართველოდ და საბატონოდ რომის მსოფლიო სახელმწიფო: დასავლეთ-ნახევარი ოქტავიანუსს, აღმოსავლეთ-ნახევარი ანტონიუსს.

მაშ, ამიერიდან აზიის პროვინციებს და მათ შორის იუდეას საქმე ექნებოდათ მარკუს ანტონიუსთან, რომელმაც უკვე შემოდგა ფეხი კიდეც მცირე აზიაში, ეფესოში.

შიშით იყვნენ ატანილი ძმები, ფაზაელი და ჰეროდე, რაკიღა აქამდე ისინი სწორედ ანტონიუსისა და ოქტავიანუსის წინააღმდეგ რესპუბლიკელებს, კასიუსსა და ბრუტუსს ემსახურებოდნენ თავგამოდებით.

სამაგიეროდ იდუმეელ ძმათა მომტერე ებრაულმა დიდკაცობამ გაიხარა და კიდეევაც აფრინეს მოციქულ-მომჩივანნი ეფესოში, სადაც ისინი შეხვდნენ ანტონიუსს. შეხვდნენ და მოახსენეს: ჰირკანოსი მხოლოდ სახელად არის იუ-

დეიის ხელისუფალი, სინამდვილეში კი ქვეყნის სრული ძალაუფლება ხელში იდუმეელ ძმებს უჭირავთ სრულიად უსამართლოდ.

მაგრამ პასუხის მიცემაც ვერ მოასწრო ანტონიუსმა, რომ მასთან გაჩნდა თვითონ ჰეროდეც და ყოველივე მისი მმართველობისა ისე დამაჯერებლად და და შთამბეჭდავად მოახსენა, რომ ერთბაშად მოხიბლულმა ანტონიუსმა ჰეროდეს მტრებს და მომჩივნებს კრინტიც აღარ დააძვრევინა.

ანტონიუსმა აქ, ეფესოში, ბრძანებით მოიხმო ყველა აზიელი დინასტი და ქალაქის მმართველი, რომლებიც კი რომაელთა შორის ატეხილ ამ ომებში რესპუბლიკელების მხარეს იქერდნენ. ყველა დაფრთხა და დაშინდა. ყველა მათგანი კანიდან ძვრებოდა, როგორმე დაეცხროთ სასტიკი რომაელის მრისხანება. ყველას შეეტყო, რა სისუსტენი სჭირდა ანტონიუსს, და ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ მის ჩათრევაში — ნადიმში, ღრეობაში, საროსკიპო თავაწყვეტილებაში, ფულითა და ნივთით მონადირებაში. ეგებებოდნენ მას საზეიმო სვლებით, მისტერიებით, უწოდებდნენ ღმერთ დიონისეს და, დიონისესავით მტევნებითა და ღვინის კრატერით მორთულ-მოკაზმულს, უკან მისდევდნენ სატირებივით, ჰეტერებით, ჯამბაზებით, მუსიკით, როკვით, კითარებისა და ტიმპანების გრიალით.

ანტონიუსთან გამოძახებული იყო აგრეთვე ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა. მაგრამ ეს უკვე აღარ აღმოჩნდება მხოლოდ „აგრეთვე". კლეოპატრა თამამად და არხეინად მივიდა ახალ რომაელ პოლიტიკოსთან „სათამაშოდ", რადგან — ანტონიუსი ვინ იყო და რას წარმოადგენდა, როცა მას ვითარცა ქალს, თავის ფერხთა წინაშე დიადი კეისარიც კი დაეჩოქებინა. მით უფრო, რომ კეისართან შეხვედრისას იგი ჯერ კიდევ „უმწიფარი" გოგონა იყო, ახლა კი ქალური სისრულით დასრულებული და გასაოცრად დამშვენებული; ანუ იგი სწორედ ახლა იყო „კლასიკური კლეოპატრა..." და უბრწყინვალესად მორთულ-მოკაზმული ხომალდით მოცურდა ტარსოსში, სადაც მაშინ მობრძანებულიყო და და ბრძანებებს იძლეოდა ანტონიუსი. და წარუდგა კლეოპატრა ანტონიუსს, ზღაპრულ-მითოლოგიური მისტერიით, რომელშიც თვითონ წარმოდგენილი იყო ვითარცა ღმერთქალი აფროდიტე, და უსაზღვრო თავდავიწყებამდე მოიხიბლა რომაელი პოლიტიკოსი ეგვიპტელი დედოფლის სიმშვენიერით. მალე თავი სრულადაც დაკარგა მასთან ტრფიალით...

კაცთაგან კი, ჰეროდეს მოეხიბლა ანტონიუსი.

მეორედ ჰეროდემ თვითონ ჰირკანოსი გაგზავნა ანტონიუსთან, სამი ელჩის — ლისიმახოსის, იოსების და ალექსანდრეს თანხლებით. მივიდა ჰირკანოსი და მიართვა ანტონიუსს უძვირფასესი ოქროს გვირგვინი. თან თხოვნაც მიართვა, — აქ, აზიაში რომ კასიუს ლონგინუსმა ებრაელები დაგვიჩაგრა, მრავალი მონად აქცია, მრავალს მიწაც წაართვა, ახლა მოიღეთ მოწყალება და მისწერეთ თქვენს მოხელეებს, აღადგინონ ებრაელები თავის უფლებებში და მიწებიც დაუბრუნდეთ ყველა მიწაწართმეულთ.

ანტონიუსმაც მაშინვე მისწერა ბრძანებანი სიდონის, ანტიოქიისა და არა-

ბეთის მმართველებს, თავისუფლება დაებრუნებიათ მონადექცეულ ებრაელთათვის და მიწებიც დაებრუნებინათ მათი პატრონებისთვის.

დაფნაში გადავიდა ანტონიუსი, ანტიოქიის მახლობლად. ჰირკანოსიც წაჰყვა თან. აქვე კიდევ ასკაციანი ელჩობა ეახლა ანტონიუსს, კვლავ ფაზაელზე და ჰეროდეზე საჩივრებით და მათი გადაყენების თხოვნით.

ანტონიუსი ჰირკანოსს მიუბრუნდა და ჰკითხა: ბოლოს და ბოლოს, გამაგებინე, ვის უფრო შეუძლია თქვენი ქვეყნის გაძღოლა, ჰეროდეს მისი ძმით, თუ მათზე საჩივრით მოსულებსო? — ჩვენი ქვეყნის მართებული მართვაგამგეობა სწორედ ჰეროდეს და ფაზაელს ძალუძთო, — უყოყმანოდ უპასუხა ჰირკანოსმა.

ძალიან კარგიო, — არც აციეა არც აცხელა, ბრძანა რომაელმა ხელისუფალმა და მაშინვე მომჩივანთა მოთავენი, სულ 15 კაცი, ციხეში ჩააყრევინა. თხუთმეტიე კიდევაც უნდა დაეხოცა ანტონიუსს, მაგრამ ისევ ჰეროდემ უშუამდგომლათ და იხსნა სიკვდილისაგან ყველანი!

მაინც არ დაიშალეს იდუმეელ ძმათა მოძულეებმა და ახლა ათასი კაცი ახალი საჩივრებით ჩავიდა ტვიროსს, სადაც მაშინ უნდა ჩასულიყო ანტონიუსი. მაგრამ ანტონიუსი უკვე ჰეროდესა და ფაზაელისგან უუხვესად მოსყიდული, სულაც აღარ წავიდა ტვიროსს, ხოლო იქ მდგარ რომაელ მეთაურს ბრძანება გაუგზავნა, — მანდ რომ მომჩივანი ებრაელები მოსულან, ისეთი სასჯელით დასაჯე, აჯანყებულებს რომ შეეფერებოდეთო.

მაშინ ჰირკანოსი და ჰეროდეც ტვიროსში ყოფილიყვნენ. მივიდა ჰეროდე თავის მომჩივნებთან და აცნობა: გაფრთხილებთ, აქედან სასწრაფოდ უკანვე გაბრუნდეთ, თორემ შეიძლება სიკვდილსაც ვეღარ გადურჩეთო. მაგრამ არ გაუგონეს ამ „დიდსულოვან კაცს“. არ გაუგონეს და ამასობაში ანტონიუსის იმ ბრძანებამაც ჩამოატანა ტვიროსში. მაშინვე მიესივნენ რომაელები მომჩივანთა ათასეულს, ერთი ნაწილი ჩახოცეს, მეორე ნაწილი ციხეში ჩაჰყარეს. ანტონიუსმა ბოლოს კი ციხეში ჩაყრილებიც ჩაახოცვინა. იმავე დღეს წერილობითი ბრძანებით მან იუდეიის მმართველებად, ტ ე ტ რ ა რ ქ ო ს ე ბ ი ს ტიტულებით, გამოაცხადა ძმები, ფაზაელ და ჰეროდე.

ერთი სიტყვით, აღმოსავლეთში არცერთი საქმით ისე დატვირთული და „თავწართმეული“ არ ყოფილა მარკუს ანტონიუსი, როგორც „ებრაული საკითხებით“ და ეს მაშინ, როცა იგი მართლა თავწართმეული და თავდაკარგული ჩაძირულიყო ეგვიპტის დედოფალთან, კლეოპატრასთან ტრფიალებაში.

ფინიასავით აედევნა ეგვიპტისკენ გაბრუნებულ კლეოპატრას ანტონიუსი. ალექსანდრია მათმა გაუთავებელმა ორგიებმა მოიცვა. კლეოპატრას გარჯა, ანტონიუსის ცხოვრებამ თითქოს სხვა რამ აზრი სულაც დაჰკარგა. ფანტავდა ყველაფერს და ფანტავდა ყველაზე ძვირფასსა და ფასდაუდებელს — დროს. რომაელმა სარდალმა რომაული ტანსაცმელი ბერძნულ-ალექსანდრიულით შეიცვალა, ბერძნულ ტაძრებსა და გიმნასიონებში დადიოდა, ბერძნულ ფილოსოფიურ ლექციებსაც ისმენდა, რასაკვირველია, როცა კლეოპატრას ტრფია-

ლებას დროებით მაინც დაეხსნებოდა. მერე ისევ ერთად ღრეობდნენ, ნადირობდნენ, თევზაობდნენ, კოჭობანას თამაშობდნენ. ეს სუსტი ქალი ამ მსოფლიოს მზარავ კაცს შეგირდივით ტუქსავდა, ჯარისკაცულ ბილწსიტყვაობას უწუნებდა, მანერებს უხვეწავდა, უყურადღებობის თუ დაუდევრობისთვის ჩოქვით დაატარებდა.

„ებრაული საკითხები“ კი კვლავ ჭირვეულობდნენ. უცებ ახალი ძალა ჩაეკრა და ჩაერია იუდეა-რომის პოლიტიკურ მი-და-მო-ქცევაში. ეს იყო პართია, მოურჩენელი კბილის მატლი რომაელებისა აზიაში.

პართიელები კრასუსის, მისი შვილისა და მისი ლეგიონების ამოწყვეტის შემდეგ, განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს რომის აზიურ სამფლობელოებს, — ძარცვავდნენ, იტაცებდნენ, აწიოკებდნენ, წვავდნენ, ხოცავდნენ. დიდ კეისარს მისმა მკვლელებმა საფლავში ჩააყოლეს დღე-დღეზე დანიშნული პართიული ლაშქრობის ჯავრი. ბევრი განაწყენებული რომაელი პართიაში გარბოდა და პართიული ძალებით ებრძოდა აზიაში დამკვიდრებულ თავისიანებს. სამოქალაქო ომებს ხომ საერთოდ სჩვეულია ასეთი კორიოლანუსები — „უმადური სამშობლოს“ წინააღმდეგ უცხო, სამშობლოსათვის მტრული ძალებით მებრძოლნი. იმჟამად ერთი ასეთი იყო ტ ი ტ უ ს ლ ა ბ ი ე ნ უ ს ი, რომელიც პართიაში გაქცეულიყო, მეფე ო რ ო დ II-ე ს თ ა ნ. ხშირად ხდება, გაქცეული კაცი უცხოეთში უფრო გამოიჩენს თავს, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში და ტიტუს ლაბიენუსიც ასეთი აღმოჩნდა. იგი დაუახლოვდა პართიის უფლისწულსა და ტახტისმემკვიდრეს, პ ა კ ო რ ს; მისი უახლოესი მრჩეველი და თანამებრძოლი გახდა; ჯარების რომაულ ყაიდაზე გაწრთვნასაც ეხმარებოდა; რომაულ და პართიულ საომარ ხელოვნებას ერთმანეთს უხამებდნენ და ურწყავდნენ. ერთად ლაშქრობდნენ და თავს ესხმოდნენ რომაულ სამფლობელოებს. ევფრატს გადმოდიოდნენ და აწიოკებდნენ სირიას, მცირე აზიას და აი, ერთ დღეს იუდეასაც მოაყენეს ჯარები.

პართიელებს ფაზაელი და ჰეროდე საძულველ მტრებად მიაჩნდათ, რაკიღა იდუმეელი ძმები რომს ერთგულობდნენ და ემონებოდნენ. თუმცა არც მოუწვეველად მოსულან ისინი იუდეაში. თვითონ იერუსალემში იყო კაცი უკვე ფრიად გავლენიანი, სახელად ლ ი ს ა ნ ი ო ს ი, იდუმეელ ძმათა მოძულე და მომტერე; და სწორედ ეს ახალგაზრდა ენერგიული კაცი იწვევდა ჰირკანოსისა და ჰეროდე-ფაზაელის ძალაუფლების დასამხობად პართიელ უფლისწულს, პაკორს და მის სარდალს ბ ა რ ზ ა ფ ა რ ნ ს. ათას ტალანტსაც აღუთქვამდა ლისანიოსი პართიელ ტახტისმემკვიდრეს და კიდევ, „დამატებად“, ხუთას ქალს, ოღონდ კი ელაშქრათ იერუსალემს.

ასე ჰქონიათ გადაწყვეტილი ებრაელ „ნაციონალისტებს“: ჰირკანოს-ფაზაელ-ჰეროდეს ძალაუფლება დაემხოთ და სამეფო ტახტზე ხასმონეელთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი, ანტიგონე არისტობულეს ძე აღედგინათ.

და წამოვიდნენ პართიელნი იუდეიისკენ, ფინიკიიდან შემოვლით. ორი

ნაკადით მოდიოდნენ — ზღვით და ხმელეთით. სახმელეთო მხედრობას თვითონ პაკორი მოუძღოდა, საზღვაოს კი ბარზაფარნი.

ფინიკიური ქალაქებიდან ტვიროსი მტრულად შეხვდა პართიელებს, — კარები დაკეტა და ჩაიკეტა. სამაგიეროდ სიდონი და პტოლემაისი შეხვდნენ მოყვრულად და მეგობრულად პართიელებს.

ფინიკიიდან პართიელებმა პირდაპირი გეზი იერუსალემისკენ აიღეს. მეწინავე რაზმს პაკორმა თავისი მეღვინეთუხუცესი უსარდლა. ამ რაზმს კარმელის მთასთან მოხალისე-მეომრად შეყრილი ებრაელობა დახვდა და შეუერთდა. გზა და გზა კელავაც უერთდებოდნენ, ისრაელიანნი, თანაც საომარი ენთუზიაზმით მოცულნი, აჩქარებდნენ კიდეც უცხოელთა ჯარს, დროზე მიესწროთ იერუსალემში და დროზე მოესპოთ იქ ჩასაგრებული ძმანი იდუმეელნი. თვითონვე დაასწრეს კიდეც პართიელებს, იერუსალემში შეიჭრნენ, იქაურებიც მრავლად შეუერთდნენ და ერთად დაეცნენ თავს სასახლეს, სადაც მაშინ გამაგრებულიყვნენ ჰეროდე და ფაზაელი.

პირველი დატაკებაც სწორედ ძმებმა მოიგეს. ისინი თავისი მცველებით გამოიჭრნენ და გაფანტეს ხალხი.

მაგრამ ჰეროდე-ფაზაელის მომტერენი და ანტიგონეს მომხრენი მაინც არ წყეტდნენ ბრძოლას. ისინი გამაგრდნენ მორიაზე, ტაძრის მთაზე. არა და, ტაძარი ახალ, შვიდდღიან დღესასწაულს ელოდა. მლოცველებიც აუარება მოაწყდა, ყოველის მხრიდან. ჰეროდემ თავისი მეომრები გაგზავნა ტაძრიდან მლოცველთა გასარეკავად, მაგრამ ანტიგონეს მომხრეებმა ისინი დახოცეს.

ორივე მხარე ახალი შეტევისთვის ემზადებოდა, ორ ბანაკად გამაგრებულნი. იდუმეელი ძმები სამეფო სასახლეში მაგრობდნენ, ანტიგონელები კი ტაძარში. მლოცველები კი მოდიოდნენ და ანტიგონელებს უერთდებოდნენ.

პართიელებიც უკვე შემოდიოდნენ იერუსალემში. ერთი გამოხდომა კი მოახდინა ჰეროდემ თავისი სიმაგრიდან, უცხოელებს დაეცა და სისხლიც გაართვა, მაგრამ როცა თვითონ პაკორიც გამოჩნდა, სასახლეშიც უმალვე შებრუნდა და კელავ მტკიცედ ჩაიკეტა.

შემოვიდა პართიელი უფლისწული, თავი ისე ეჭირა თითქოს მხოლოდ მშვიდობის ჩამოსაგდებად მოსულიყოს, თავისი სარდალიც, ბარზაფარნი, გზაზე დაეტოვებინა, კეზიბეში.

რაკი სამშვიდობოდ მოსულაო, გამოვიდა ფაზაელი სიმაგრიდან და შეხვდა პირადად პაკორს. პაკორმაც „მშვიდად“ და „ალერსიანად“ ურჩია: მშვიდობა გვიჯობს და სწორედ მშვიდობის ჩამოსაგდებად შენ და ჰირკანოსმა ჩემი კაცი, ბარზაფარნი უნდა ინახულოთ, რომელიც მე აქ, იერუსალემშიც არ მომიყვანია, არამედ გზაზე დავტოვე, კეზიბეში, და იქ გელოდებათ, ვითარცა სტუმრებს და მეგობრებს, შენ და ჰირკანოსსო, — ისევ გაუმეორა პართიელმა უფლისწულმა, ისევ „თავაზიანად“.

მობრუნდა ფაზაელი და აუწყა, რაც მოითხოვა მისგან პაკორმა. არ ურჩია ჰეროდემ პართიელ სარდალთან წასვლა, — მანდ რაიმე მუხანათობა იქნე-

ბაო; მაგას ის სჯობია, მივუხტეთ და პაკორი მისი თანმხლები პართიელებით ამოვხოცოთო.

მაგრამ არ დაუჯერა ფაზაელმა. არც პირკანოსმა იწამა პართიელი უფლისწულის მუხანათობა, და წავიდნენ ორთავენი ბარზაფარნთან „სამშვიდობო შეხვედრაზე".

მივიდნენ და პირველივე „თავაზიანი შეხვედრის" შემდეგ, ბარზაფარნის ბრძანებით, ორივეს ბორკილები დაასხეს და ციხეში ჩაჰყარეს.

იუდეიის მეფედ პართიელებს უკვე ანტიგონე გამოეცხადებინათ. უკვე ჰეროდეს შეპყრობაც გადაეწყვიტათ. მაგრამ გაესწრო იერუსალემიდან ჰეროდეს, ოჯახთან ერთად. მასადაში მიესწრო, ქალები იქ დაეტოვებინა; საპატრონოდ თავისი უმცროსი ძმის, ი ო ს ე ბ ი ს თ ვ ი ს მიენდო. თვითონ კი მასადას გაშორდა და გაუჩინარდა.

ანტიგონე უკვე მოქმედებდა, ვითარცა მეფე. პირველ ყოვლისა, პირკანოსს ყურები დააჭრა, რათა როგორც სხეულნაკლულზე, მის ხელახლად მღვდელმთავრად აღდგენაზე ებრაელობას ამიერიდან აღარც ეფიქრა. ფაზაელისთვის სიკვდილი იყო გადაწყვეტილი, მაგრამ ფაზაელმა მოსისხლეთაგან სიკვდილს თვითმკვლელობა არჩია, თავი ქვის ლოდს დააძგერა და ტვინი ზედ შეანთხია.

ებრაელობა უცხო ტომელთა ძალაუფლების დამხობასა და თავის სისხლიერ მეფის აღდგენას ზეიმობდა. პართიელები პართიაში წავიდნენ და ყურებდაჭრილი პირკანოსიც თან წაიყვანეს. ანტიგონე იერუსალემის ტახტზე დაჯდა, თავისი ებრაული სახელიც — მ ა ტ ა თ ი ა გაიხსენა და ამიერიდან ბერძნული „ანტიგონე" სამეფოდ დაიტოვა, ებრაული „მატათია" კი სამღვდელმთავროდ აღიდგინა. მონეტაც მოჭრა, წარწერით — „მატათია მღვდელმთავარი, და ებრაული სახელმწიფო", მეორე გვერდზე — „მეფე ანტიგონე".

პართიელები რომ წავიდნენ, ანტიგონე მისდგა და იუდეიის ციხესიმაგრენი რომაული ციხიონებისგან გაწმინდა.

იდგა 40 წელი, და იყო იუდეა ისევ თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო.

მაგრამ ძალზე საეჭვო ჩანდა, დიდხანს გაგრძელებულიყო ეს მარადიულად საოცნებო კეთილდღეობა ისრაელიანებისა. ამის გარანტიას არ იძლეოდა არც დაუცხრომელი ენერგია შურისმგებლური ბოღმით გადახვეწილი ჰეროდესი, არც სისუსტე ანტიგონესი. ამასთან, არც რომაელებს ამოუკვეთიათ ფენები აზიიდან, არც პართიელებს აუღიათ ხელი აზიური პროვინციებისთვის რომაელებთან ჭიდილზე.

თვითონ მარკუს ანტონიუსი ანთრაკით ანთებულ კლეოპატრას ვეღარ შორდებოდა, მაგრამ მისგან გამოგზავნილმა ლეგატმა კი, მამაცმა პ უ ბ ლ ი უ ს ვ ე ნ ტ ი დ ი უ ს მ ა, სწორედ რომ იმარჯვა. მან განდევნა პართიელები სირიიდანაც, მცირე აზიიდანაც. ერთერთ შეტაკებაში, ვენტიდიუსის ლეგიონერმა უფლისწული პაკორიც მოჰკლა. მისმა დაღუპვამ კი სულიერად საშინ-

ლად დასცა პართიის მეფე ოროდ II. წუხილისგან სიკვდილს მიმთხვეულმა მეფემ თავისი 30 ვაჟიშვილიდან მემკვიდრე-მეფედ ფ რ ა ა ტ ი ამოარჩია. ფრაატმა — ხელი რომ არ შეშლოდა — დანარჩენი 29 ძმა ამოწყვიტა და ზედ მისი ასეთი სისასტიკით გაცოფებული მამაც მიაყოლა.

ტიტუს ლაბიენუსიც ვიღაც მონას მოეკლა მცირე აზიის კილიკიაში.

პართიელებზე გამარჯვებული პუბლიუს ვენტიდიუსი კი უცებ იერუსალემსაც მოადგა. მაგრამ თურმე დასაპყრობად კი არა, არამედ „უბრალოდ", ფულის „მოსახვეტავად" სწვეოდა იგი ებრაელთა სატახტოს. ანტიგონემაც მიართვა ფული და მოიშორა თავიდან რომაელი სარდალი.

ამის შემდეგ მასადა ამოიჩემა ანტიგონემ. იქ ხომ ჰეროდეს უმცროსი ძმა ყოფილა ჩასაგრებული, იოსები, რვაასი კაცით. ამაოდ მიჰქონდა იერიშები, — ვერაფერს გახდა ანტიგონე.

ანტიგონემ ვერც იმათ გაუმართლა იმედები, ვინც მის გამეფებას ზეიმით შეხვდნენ. სინედრიონის თავკაცებიც გადაიმტერა, შ ე მ ა ი ა და ა ვ ტ ა ლ ი ო ნ ი, ხალხიც ამათ მისდევდა, მეფეზე უკვე გულგაგრილებული.

გაქცეულ-გადახვეწილი ჰეროდე კი მცირე ხანს ნაბატეიის მეფეს, მ ა ლ ი ხ ო ს ს აფარებდა თავს. მაგრამ რაკი საბოლოოდ, პართიელების შიშით, მალიხოსმა ლტოლვილთან და მიუსაფართან კავშირი ვეღარ გაბედა, ჰეროდე ნაბატეადან ეგვიპტეს გაიქცა. იქ, ალექსანდრიაში, დედოფალ კლეოპატრას შეხვდა და იუდეიის ტახტის დაბრუნებისთვის შემწეობა გამოსთხოვა. კლეოპატრამ კი მხოლოდ ის იკმარა, რომ მთხოვნელს ეგვიპტის ჯარის სარდლობა შესთავაზა. ჰეროდემ შემოთავაზებული უმალვე დაიწუნა და იტალიისაკენ გაემართა.

იტალიაში მაშინ დიდი ამბავი ხდებოდა. ქალაქ ბრუნდიზიუმში ერთმანეთს ხვდებოდნენ ანტონიუსი და ოქტავიანუსი. ისინი ერთმანეთს ეკვროდნენ ახალი კავშირით და ემოყვრებოდნენ სიძე-ცოლისძმობით — ანტონიუსი ცოლად ირთვადა ოქტავიანუსის დას, ოქტავიას.

მოკავშირე-მოყვრებმა ისევ გაიყვეს იმპერია. აღმოსავლეთით ყველა ქვეყანა ადრიატიკის ზღვიდან მესოპოტამიამდე და კავკასიონამდე, სამმართველოდ და საბატონოდ კვლავ ეძლეოდა ანტონიუსს, ხოლო დასავლეთით, ატლანტის ოკეანემდე, და ჩრდილოეთით შოტლანდიამდე — ოქტავიანუსს.

მაშ, იუდეა ისევ მარკუს ანტონიუსის სამფლობელოდ ჩაითვლებოდა, და ეახლა ანტონიუსს ჰეროდე. ეახლა და მაშინვე მოხიბლა მისი „ხიბლური ოსტატობით". მისთვის ძნელი დასამტკიცებელიც არ უნდა ყოფილიყო, რომ რომაელთა მოსისხლე პართიელებისგან იუდეიის ტახტზე აყვანილი ანტიგონე მუდმივად რომისთვის მომტერე და პართიის მოყვარე იქნებოდა, ხოლო ჰეროდე სრულიად საპირისპიროდ — რომის მოკეთე-მეგობარი და პართიელთა დაუძინარი მორკინალი.

და, ითხოვდა ახლა ამას ჰეროდე: ანტიგონე როგორც რომის მოსისხლე

მტერი მეფობიდან ჩამოაგდეთ და იუდეიის სამეფო ტახტზე კანონიერი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე არისტობულეს ძე აიყვანეთო.

ალექსანდრე მარიამნას ძმა იყო, მაშასადამე თვითონ ჰეროდეს ცოლის-ძმა. და უკეთუ მას გაამეფებდა, ამით აკი ფაქტიურ ხელმწიფობასაც თვითონ-ვე მოიხვეჭდა.

მაგრამ ჰეროდემ მოიპოვა გაცილებით მეტი, ვიდრე ოცნების უფლებასაც ვერ მისცემდა თავის თავს.

ანტონიუსმა და, მისი წარდგინებით, ოქტავიანუსმაც, ჰეროდეს გადაუწყ-ვიტეს პირდაპირ გამეფება! და ორივემ მათი მორჩილი სენატიც „დაითანხმეს" გამოცემულიყო ბრძანება, რომლითაც ცხადდებოდა იუდეიის მეფედ ჰერო-დე, ხოლო ანტიგონე დამხობილად, ვითარცა მტერი რომაელი ხალხისა.

მეფობის ინვესტიტურა რომში, კაპიტოლიუმის ტაძარში მიიღო ჰეროდემ. პირველი სამეფო სუფრაც იქვე, „მსოფლიოს სატახტოში" გაუშალა ანტონი-ნიუსმა.

ეს მოხდა 40 წელს.

შვიდი დღის შემდეგ წამოვიდა რომიდან ჰეროდე. სამი თვე მოანდომა ზღვის გადმოლახვას და მომდევნო წლის დამდეგს უკვე აზიის მიწაზე იდგა. იგი მოვიდა პტოლემაისში. აქ შეეგებნენ თანამგრძნობელნი და თანამდგო-მელნი, დიდძალი ფულით, რაითაც უნდა დაექირავებინათ ჯარები. ყველაზე მეტი თანხები კი მოართვა უმდიდრესმა ანტიოქელმა ებრაელმა ს ა რ ა მ ა-ლ ა მ.

სასწრაფოდ დაიქირავა ჯარები ჰეროდემ. იმავე წელს გალილეა, თუ ნებით თუ ძალით, დაიმორჩილა და სამხრეთისკენაც დაეშვა. მას უპირველესად უნდა გამოეხსნა მასადაში გამოკეტილი თავისი ძმა იოსები.

იოსებს კი მართლაც ძალიან მისჭირვებოდა. განსაკუთრებით უწყლობა კლავდათ ალყაში მოქცეულებს. ერთი ფიქრით იფიქრა, ისევ ნაბატეველთა მეფესთან გაქცეულიყო და მოეხმო იგი მაშველად. მაგრამ „უფალმა ეს არ დაანება" და იმ ღამით კოკისპირული წვიმა „მოავლინა". კიდეც დარწყულდ-ნენ, და წყალსაცავებიც სრულად დაავსეს ალყაში მოქცეულებმა.

რომაელი პროკონსული პუბლიუს ვენტიდიუსი, პართიელები რომ გარე-კა და იუდეაში მოვიდა, თავის იმედად მიიჩნია იოსებმა. მაგრამ ვენტიდიუსი ანტიგონეს მოესყიდა მოსვლისთანავე. ქრთამი რომ მიიღო, პროკონსული სულ წავიდა და თავის ადგილზე სხვა დატოვა, სარდალი ს ი ლ ო ნ ი, რომელიც ასევე იყიდა ძვირფასი მისართმეველით ანტიგონემ.

ერთი სიტყვით, რომაელები ისე იქცეოდნენ, თითქოს იუდეიის ტახტის-თვის ატეხილი ომი მათ არაკი ეხებოდათ, თუმცა ანტონიუსის ბრძანება კი მიეღოთ, — ჰეროდე თქვენ უნდა აიყვანოთ ტახტზეო.

ჰეროდემ მასადა გაათავისუფლა და ძმა და მისიანები გადაარჩინა, მაგ-რამ ბრძოლა ტახტისთვის ძალიან დაუმძიმდა და გაუპიანურდა. ანტიგონე თავ-

განწირვით იბრძოდა მეფობის დასანარჩუნებლად. უცხოელი ჰეროდეს ნიჭი თითქოს საკმარისი არ იყო ანტიგონეს ებრაელობასთან ბრძოლაში.

მასადას დაჭერის შემდეგ, ჰეროდე თავისი ჯარებით დასავლეთის მხრიდან მიადგა იერუსალემს. მიადგა და მაცნეს პირით აცნობა ქალაქის მოსახლეობას: მე თქვენს მხსნელად მოვედი და არა შურისსაძიებლადო; ჩემს ყველაზე დაუძინებელ მტრებსაც ყოველივეს ვპატიობ, ყოველ წყენას ვივიწყებ და მხოლოდ საძმოდ და სამოყვროდ მოვსულვარო.

საპასუხოდ კი, ებრაელთა და რომაელთა გასაგონად, გაჰკიოდა ანტიგონე: ღმერთი არ გაგიწყრეთ და მაგ ბოროტმოქმედს არ დაუჯეროთო; ეგ ხომ ჯიშით მდაბიო და წარმოშობით უცხოელია, იდუმეელი. ამას გაჰყვიროდა და თან მისი მეომრები შიგნიდან ისარსა და ქვას უშენდნენ კედლებზე მომდგარ ჰეროდეს ჯარებს.

რომაელმა სარდალმაც თავისი ნაქრთამევი სახე ვეღარ დამალა და, ზამთრის მოახლოების მომიზეზებით, თავისი ლეგიონებით სირიისკენ წასვლა გადაწყვიტა. ამაოდ ცდილობდა ჰეროდე მის შეკავებას, ამაოდ მოაგონებდა ანტონიუსს, ოქტავიანუსს და სენატს, რომელთაც დაენიშნათ და დაეკანონებინათ მისი მეფობა. ამასთან აქვე, იუდეაში გამოსაზამთრებლად ჰპირდებოდა იგი რომაელ სარდალს ყოველ საჭირო პირობას —ბინებსაც, საჭმელსაც, სასმელსაც, ფულსაც, მაგრამ ვერაფერს გახდა.

ჰეროდემ მაშინ ისღა მოახერხა, იერუსალემიდან ჯარის ერთი ნაწილი იერიქონს გაგზავნა, იქედან ანტიგონეს მომხრეები გამორეკა და ქალაქი თვითონ დაიჭირა. დაზამთრებისას იერუსალემს თავი მიანება და გალილეაში გადაინაცვლა. აქ მან აიღო ქალაქი სეფორისი და ბრძოლა გაუმართა არბელას გამოქვაბულებში თავშეფარებულ ებრაელ პატრიოტებს, რომლებიც იბრძოღნენ საოცარი თავზეხელაღებულობით, და როცა დარწმუნდნენ, რომ ბრძოლა სამუდამოდ წაეგოთ, თითქმის ყველამ თვითმკვლელობით გაითავა სიცოცხლე. ჰეროდემ იხილა, როგორ დახოცა საკუთარი ხელით ერთმა მოხუცმა ებრაელმა თავისი შვიდი ძე, და თვითონაც უფსკრულში გადაიჩეხა. — ასე ვიქცევით, რაკიღა არ გვსურს მეფედ გვეჯდეს შენსავით უჯიშო უცხოელიო, — ეს მძულვარებით სავსე სიტყვა კი დაუგდო ჰეროდეს იმ მოხუცმა, სიკვდილთან შეყრის წინ.

ამის შემდეგ ჰეროდემ გალილეაში თავისი სარდალი, პტოლემეოსი დატოვა, თვითონ კი ჯარის ერთი ნაწილით, სამარიისკენ წარემართა. მაგრამ გზაზე ამბავი წამოაწიეს: გალილეველები აჯანყებულან, პტოლემეოსის ბანაკს თავს დასხმიან, თვითონ პტოლემეოსიც მოუკლავთ.

შებრუნდა ჰეროდე, გალილეას მიიჭრა, აჯანყებულები დაამარცხა, ვისაც წაეწია, ცოცხალი არ გაუშვა, მათი თავშესაფრები დაანგრია და დააქცია.

მაშინ, როგორც იქნა, ვენტიდიუსმაც გამოსწირა ორი ლეგიონი ჰეროდეს მისაშველებლად. ამ ლეგიონებს მ ა ხ ე რ ო ს ი უსარდლა რომაელმა პროკონსულმა.

მაგრამ მახეროსის მოქრთამვაც მოასწრო ანტიგონემ და ამდენად რომაელთა მხრიდან კვლავ ვერავითარი შემწეობა ვერ ჰპოვა ჰეროდემ.

მაშინ მან თვითონ დაჰკრა ფეხი და წავიდა პირდაპირ მარკუს ანტონიუსთან, რომელიც იმჟამად სამოსატასთან იდგა ალყად. შემოხვდა ანტონიუსი, როგორც მეფეს და ძველ მეგობარს. მოეხვია და ჩაიკრა გულში. მოახსენა ჰეროდემ თავის კეთილისმყოფელს ყოველივე, რაც კი ხდებოდა იუდეაში, როგორ გაურბოდნენ მის შემწეობას რომაელი სარდლები.

ფიცხლავ უბრძანა ანტონიუსმა თავის სარდალს, ს ო ზ ი უ ს ს, სასწრაფოდ წაჰყოლოდა თავის ორი ლეგიონით ჰეროდეს და პირდაპირ დაესვა იგი იერუსალემის ტახტზე.

ეს უბრძანა სოზიუსს, ჰეროდე კვლავ დიდი პატივით გამოისტუმრა, თვითონ კი ეგვიპტეს გაეშურა, კლეოპატრას დანატრებული.

ასე რომაული ლეგიონებით გამძლავრებული და გამხნევებული შემობრუნდა გალილეაში ჰეროდე.

მაგრამ შემობრუნებულს გადამდგარი და გადამტერებული დახვდა მთელი გალილეა. თვითონ მისი ძმაც, იოსები, რომელსაც ჰეროდესგან მარტო ის ჰქონდა ნაბრძანები, სიმაგრიდან არ გამოსულიყო და ისე მიეხვედა, ძმის დაბრუნებამდე, გალილეიისთვის — თურმე ამდგარა და ხუთი ასეული მეომრით იერიქონს წასულა იქაური მონასთვლევი მოსავლის წამოსაღებად.

წასულა და გზაზე, მოულოდნელად, ანტიგონეს ჯარი დასცემია თავს. ძლიერად კი უბრძოლია იოსებს, მაგრამ თვითონაც მკვდარი დაცემულა და მისი მეომრებიც მასთან ერთად. დახოცილები ანტიგონესთვის მიურთმევიათ. ანტიგონეს სარდალს, პ ა თ უ ს ს, მკვდარი იოსებისთვის თავი მოუკვეთავს.

გაშმაგებით შეუდგა ჰეროდე ქვეყნის ხელახალ დაპყრობას. სასტიკად უსწორდებოდა ყველას, ვისაც მისი მტრობა არ დაზარებია, ან მისი ძმის სისხლში ფიქრითაც კი ხელი ერია. მიუხედავად თოვლიანი ზამთრისა, გალილეიის ციხესიმაგრენი ხელახლა აიღო და თავისი ციხიონებითვე დაიმკვიდრა. კვლავ სამხრეთისკენ დაიძრა. აქ ხუთი ქალაქი გადაწვა, იერიქონის ახლოს, ერთმანეთზე მიყოლებით. ორიათასზე მეტი მცხოვრები ქვებით დაქოლა და დააქვავა. მერე, პათუსსაც შეხვდა ბრძოლაში, დაამარცხა, შეიპყრო და თავიც გააგდებინა, ძმის თავის მკვეთელს.

იერუსალემამდე ყველა გამდგარი ციხესიმაგრე უკვე მის ხელთ იყო. იერუსალემის ჯერიც დადგა. ალყაც შემოარტყა ებრაელთა წმიდა სატახტოს.

სწორედ იერუსალემის ალყის ჟამს, სამარიაში, ჰეროდემ ბრწყინვალე ქორწილი გადაიხადა. იგი უკვე შეუუღლდა აქამდე დაწინდულ მშვენიერ მარიამნას. ასე, დედოფლით მხარდამშვენებული უნდა შესულიყო მეფე ჰეროდე იერუსალემს. იგი ამით ებრაელთა გულისმოგებასაც ანგარიშობდა, რაკი იგი ცოლად ირთავდა ქალს, მათთვის საყვარელ და მშობლიურ ხასმონიანთა დინასტიური საგვარეულოდან.

მაშ, შედგა ქორწინება, როცა სიძე დედოფლის ბიძას ტახტს ართმევს და

სისხლის დაქცევასაც უპირებს. მაგრამ პოლიტიკას ასეთი ტრაგედია სასაცილოდაც არ ,ყოფნის. ამ ქორწინებას შემდგომში მოჰყვება მრავალი წუხილი, გოდება და თხევანი ცრემლთა.

თვითონ ჰეროდეს 34 000 მეომარი ჰყავდა იერუსალემზე საიერიშოდ. ანტონიუსისგან გამოგზავნილი სარდალი, სოზიუსიც მოვიდა თერთმეტი ლეგიონით (დაახლ. 80 000 ქვეითი მეომარი) და 6000 მხედრით. რომაელები დადგნენ ქალაქის ჩრდილოეთ კედელთან, მორიას მთისა და ტაძრის პირდაპირ, სადაც ადრე საიერიშოდ იდგა პომპეუსი.

იერიშები დაიწყო. იერუსალემელები თავს იცავდნენ თავგანწირვით, გმირულად, მკლავმოუღლელად და სულგაუტეხლად. ხშირად კიდევაც კედლებს გარეთ გაიჭრებოდნენ და მოიერიშე მტერს შეებმოდნენ, საალყო სამუშაოებს უშლიდნენ, სისხლსაც ადენდნენ.

მაგრამ ქალაქის შიგნით მაინც აღმოჩნდნენ ჰეროდესთან შერიგების მომხრენი, უწინარესად თვითონ უზენაესი სინედრიონის თავკაცები, შემაია და ავტალიონი. ისინი უკვე მოუწოდებდნენ, კარი გავაღოთ და შემოვუშვათ ჰეროდეო, რადგან თვითონ უფალი აგზავნისო მას ჩვენს დასასჯელად ჩვენი ამდენი ცოდვებისთვისო. მაგრამ ხალხი არ აჰყვა ამ მოწოდებას.

ბრძოლა გაგრძელდა ნახევარი წელიწადი და ბოლოს მოალყეებმა თავისი გაიტანეს. კედლები გადალახეს და ქალაქში შეიჭრნენ (37 ქრ. წ.).

საშინელი წიოკობა და სისხლისქცევა დადგა ქალაქში. რომაელები არ ინდობდნენ არავის და არაფერს. მიწა დახოცილთა გვამებით დაიფარა და დაიხერგა. ბოლოს, თვითონ ჰეროდემ ძლივს შეაყენა გამხეცებული მოკავშირენი, თორემ იერუსალემს სრული დანგრევა და მის მოსახლეობას სრული ამოწყვეტა აღარ ასცდებოდა.

შეპყრობილ იქნა თვითონ ანტიგონე, რომელიც სოზიუსს მუხლებში ჩაუვარდა და სიცოცხლის ჩუქება შესთხოვა. სოზიუსმა იგი ანტონიუსთან გაგზავნა, დაბორკილი.

არ დაისვენა ჰეროდემ, შეუჩნდა ანტონიუსს და ტყვე მეფეყოფილი ჯერ შოლტით აცემინა, მერე თავი მოაკვეთინა.

ასე დაიღუპა უკანასკნელი წარმომადგენელი ხასმონეელთა დინასტიისა, რომელმაც საუკუნეზე მეტ ხანს გაძლო და მრავალი სასახელო ფურცელიც ჩაწერა ებრაელი ხალხის ისტორიაში.

ახლა კი ისრაელიანთა ტახტზე იჯდა ჰეროდე, შეფარვით რომ „უცხოელ მონას“ ეძახდნენ. მისი მეფობა გაგრძელდება 37 წელიწადი (40—3).

დაიწყო სინედრიონის ამოწყვეტით. მხოლოდ შემაია და ავტალიონი დატოვა ცოცხალი, რაკი ესენი მასთან შერიგებას მოუწოდებდნენ ალყის დროს.

ორივე გზით ცდილობდა იგი ხალხის მოარშივებას — სიმკაცრით და გულმოწყალებით. ჯარისკაცებს ტაძარში შესვლა ,და რაიმეს ხელისხლება აუკრძალა უსასტიკესად, ხალხს თვითონ უდგებოდა გვერდით ყოველ ებრაულ სჯულისმიერ საქმეთა აღსრულებაში, ლოცვაშიც, ლხინშიც, ჭირშიც.

პართიაში ტყვედწაყვანილი ჰირკანოსიც კი დააბრუნა იერუსალემში. თუმცა მღვდელმთავრობა მაინც სხვას უბოძა, ხ ა ნ ა ნ ე ლ ს. ეს თვითნებობა არ მოიწონეს იერუსალემში. მაშინ შეუჩნდა ცოლი, მარიამნა, ხანანელი კვლავ გადააყენებინა და მისი ნაცვლად, მღვდელმთავრად, თავისი ძმა, არისტობულე დაანიშვნინა, 17 წლის ყმაწვილი.

მარიამნას და არისტობულეს დედა, ალექსანდრა, იდუმალ მაინც ცდილობდა, ბოლოს და ბოლოს, სიძე გაემეტებინა და ტახტზე თავისი ძე აეყვანა. ამისთვის იგი ყოვლისშემძლე ანტონიუსისა და მისი სატრფოს, კლეოპატრას მომხრობას ცდილობდა. სურათებიც გაგზავნა თავისი შვილებისა ეგვიპტეში, რათა გული აეჩუყებინა ანტონიუსისთვის ამ საოცრად ლამაზი და-ძმის ხილვით. მართლაც გაოცდა თურმე ანტონიუსი მათი სილამაზით. ბოლოს, ალექსანდრას, თავის ძესთან ერთად, ეგვიპტეში გაქცევაც გადაეწყვიტა. ორი კუბო შეუკეთა, რათა შიგ ჩაწოლილიყვნენ და ისე „წასვენებულიყვნენ" დედა და შვილი. მაგრამ შეიტყო ჰეროდემ და უკანვე ამოყარა უკვე კუბოებში ჩაწოლილი სიდედრი და ცოლისძმა. რაკი ასეთი რამ გამჟღავნდა, სულ რამდენიმე დღის შემდეგ, არისტობულე საცურაო აუზში იპოვნეს დამხრჩვალი. ჰეროდემ ბრწყინვალე დაკრძალვა მოუწყო ცოლისძმას. თუმცა ხალხში დაბეჯითებით ამბობდნენ, რომ არისტობულე სწორედ ჰეროდემ მოაკვლევინა, რაკიღა შიში უნდა ჰქონოდა, მაინც როგორც სამეფო საგვარეულო დინასტიის წარმომადგენლისა.

ორი წლის შემდგომ, ჰეროდემ მისგანვე პართიიდან ჩამოყვანილი ჰირკანოსიც გაუყენა სიკვდილის გზას.

იერუსალემის ყოველი გასასვლელ-შემოსასვლელი ჰეროდეს მცველებს ეჭირათ; მცველებს სათავეში ედგა მეფის უერთგულესი კაცი, ისიც იდუმეელი, სახელად კ ო ს ტ ო ბ ა რ ი. თუკი ვინმე ქალაქიდან გაქცევას დააპირებდა, იგი უკვე კოსტობარის მსხვერპლი ხდებოდა. სიკვდილმისჯილის ქონებაც მეფის ხელში გადადიოდა.

შვილმკვდარი ალექსანდრა კი არ ისვენებდა. ეგვიპტეში კლეოპატრას შეატყობინა, როგორ მოუკლა ბოროტმა სიძემ ერთადერთი ძე, არისტობულე. კლეოპატრა აღაშფოთა ამ ამბავმა და შეუჩნდა ანტონიუსს, პასუხი მოეთხოვა მისგან გამეფებული ბოროტმოქმედისთვის.

ანტონიუსმა მართლაც დაიბარა ჰეროდე, ლაოდიკეაში. შიშმა აიტანა ჰეროდე. ვაი თუ უკან ცოცხალი ვეღარ დავბრუნდე და სამეფოც და ჩემი ლამაზი ცოლიც სხვას დარჩესო. ამიტომ სიძე გამოიძახა — დის, სალომეას ქმარი, სახელად ი ო ს ე ბ ი, და ამას ასეთი საიდუმლო დავალება მისცა ანტონიუსთან წასვლის წინ: თუ ისე მოხდა, რომ უკან ცოცხალი ვეღარ მოვბრუნდი, ჩემი ცოლი მარიამნა და დედამისი ალექსანდრა ორივე დახოცეო.

ეს დაიბარა და წავიდა ანტონიუსთან, ძვირფასი საჩუქარ-მისართმეველით დატვირთული. და ისევ მოხიბლა დროის გმირმა დროის გმირი. თუმცა ჰერო-

დეს ანტონიუსმა, კლეოპატრასთვის მაინც დაათმობინა ზღვის სანაპირო ზოლი, იჯარით.

ხოლო, სანამ ჰეროდე ანტონიუსისგან ისევ იერუსალემს მობრუნდებოდა, მანამ მის ავ დანაბარებს აკი შედეგები მოჰყოლოდა. თურმე იოსებს მარიამნასთვის გაენდო მისი ქმრის დანაბარები. ლამის შეიშალა მარიამნა. ხოლო, ჰეროდეს დამ, სალომეამ,—რომელსაც რძალიც სძულდა და ქმარიც, დაბრუნებული ძმის წინაშე ორივეს დანაშაულებრივი კავშირი დასწამა.

გველის კაპრობამ შეიპყრო ჰეროდე. მაშინვე იოსებს თავი გააგდებინა; მარიამნაც უნდა მოეკლა, მაგრამ ეპვსა და რისხვას მაინც სიყვარულმა სძლია და აღარ მოაკელევინა სრულიად უდანაშაულო და აგრე უიღბლო ქალი.

ახალ-ახალი ხიფათი არც თვითონ ჰეროდეს სტოვებდა, არც მის ოჯახის წევრებს. მისგან ტახტიდან ჩამოგდებულ და მოკლულ ანტიგონეს დაი დარჩენოდა ცოცხალი, და აუჯანყდა ის ქალი ჰეროდეს, ციხესიმაგრე ჰირკანიონი დაიპირა და შიგ გამაგრდა. წავიდა ჰეროდე და ისევ დაიბრუნა ჰირკანიონი. ანტიგონეს დამ კი გაქცევით უშველა თავს.

მას უკან, კლეოპატრა გადაემტერა ჰეროდეს, ეგვიპტის ავხორცი დედოფალი. ისედაც ებრაელები სძულდა კლეოპატრას, თავისთან, ალექსანდრიაშიც სდევნიდა და ავიწროებდა ისრაელიანებს. ბოლოს, ჰეროდეს დაღუპვა ამოიჭრა გულს. უნდოდა ანტიონიუსი გადაემტერებინა მისთვის და იუდეაშიც საგანგებოდ იმოგზაურა, ჰეროდე რომ მოეხიბლა და ისეც „დაეთრია“, ანტონიუსი რომ ეპვით შეშლილიყო და მოეკლა თავისი მოულოდნელი მეტოქე. მაგრამ გასაოცარი ჭკუა და თავშეკავება გამოიჩინა ჰეროდემ,—პირდაპირ იერიშზე წამოსულ მსოფლიო კახპას არავითარი საბაბი არ მისცა ანტონიუსის სახიფათოდ დაეჭვებისა.

კლეოპატრა პირშიჩალაგამოვლებული გაბრუნდა, მაგრამ ვინ იყო თავდები, რომ მალე უკანვე რაიმე ახალი ხრიკებით არ მობრუნდებოდა. ამიტომ კიდევ უფრო გაფრთხილდა ჰეროდე. საგანგებოდ გაამაგრა ისედაც მიუვალი მასადა, ახალი კედელ-ზღუდენი აღმართა, ახალი სამეფო სასახლეც აიშენა, კოლონადებით, თერმებით, წყალსაცავებით. უმეტეს დროსაც ამ უშიშარ ციხე-ქალაქში ატარებდა იგი.

მაშინ ნაბატეელთა მეფე მალიხოსი გადაამტერა კლეოპატრამ ჰეროდეს. ორჯერ ბრძოლაც მოხდა. ორჯერვე ჰეროდემ გაიმარჯვა. მაგრამ ბოლოს კლეოპატრამ ნაბატეელთა მეფეს დამხმარე ჯარი გაუგზავნა, თავისი სარდლის, ა ნ ტ ე ნ ი ო ნ ი ს წინამძღოლობით. მორიგ მესამე შეტაკებაში ჰეროდე მძიმედ დამარცხდა.

ამ მარცხს საშინელი მიწისძვრაც დაერთო (31 ქრ. წ.). განსაკუთრებით დაინგრა ნაყოფიერი სარონის ველი. ათასობით ადამიანი საკუთარ სახლთა ნანგრევებში ჩაიქცა და ჩაიღუპა.

ამ უმძიმეს ჟამს, როცა სულით დაცემული ხალხი უკვე უარესად გათამამებული და გაკადნიერებული მტრის, ნაბატეელთა შემოსევას სრული სასო-

წარკვეთით ელოდებოდა, თვითონ ჰეროდემ გამოიჩინა არაჩვეულებრივი სულიერი მხნეობა და სიმტკიცე. იმავე 31 წელს, ფილადელფიასთან გამართულ ბრძოლაში, მან სასტიკად დაამარცხა ნაბატეელნი და მათი მეფე მალიხოსი, რომელიც იძულებულიც გახდა ამიერიდან ებრაელთა მეფის ჰეგემონობა ეღიარებინა.

იგივე 31 წელი სანიშანსვეტო აღმოჩნდა სრულიად რომის მსოფლიო სახელმწიფოსთვის. უკვე საყოველთაოდ საცნაური ხდებოდა, რომ აღარ შეიძლებოდა იმპერიას ორი იმპერატორი ჰყოლოდა. მტრობა ოქტავიანუს კეისარსა და მარკუს ანტონიუსს შორის ამ წელს ზენიტს მიემთხვია. იმპერია კიდით კიდემდე ახალი სამოქალაქო ომის შმორიან სუნს მოეცვა. ახალ გარდაუვალ სისხლის ქცევას უნდა გადაეწყვიტა, ვის დარჩებოდა იმპერია — ოქტავიანუს კეისარს, თუ მარკუს ანტონიუსს. პირველი დასავლეთში იჯდა, რომში, მეორე კი—აღმოსავლეთში, ალექსანდრიაში. ამისდა მიხედვით, ამ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა თავი და თავი საკითხიც: ვისი გზით წავა მსოფლიო ცივილიზაცია — რომაულ-იტალიურით, თუ ჰელინურ-აღმოსავლურით?!

და მოხდა ბრძოლა ესე, 31 წლის 2 სექტემბერს, აქციუმის კონცხთან, საბერძნეთის დასავლეთ მხარეს.

ანტონიუსი დამარცხდა და თავი მოიკლა.

კლეოპატრას კი დამარცხებულები და დაცემულები, მით უფრო მკვდრები არ უყვარდა, — მათთვის არ ეცალა. მას მხოლოდ კეისრები იტაცებდა და უყვარდა. როცა პირველი და ნამდვილი კეისარი აღესრულა, „მეორე კეისრად“ ანტონიუსი დაიგულა კლეოპატრამ, მაგრამ იმან „არ გაუმართლა“ და ახლა „მესამეს“ დაადგა თვალი კეისრებზე მონადირე დედოფალმა. მაგრამ ეს ახალი კეისარი ცივი, გულმშრალი ბომონი გამოდგა. მას ამ მსოფლიო მეძავის სიმშვენიერე მხოლოდ მისი ტრიუმფის დამამშვენებელ საგნად სდომებოდა. ამას კი კლეოპატრამ სიკვდილი ამჯობინა, ხოლო სიკვდილის ყველაზე „საამო გზად“ მას გველის შხამი მიაჩნდა. წინასწარ გაზრახებული ფელახი ვინმე მოაყვანინა, ლეღვით სავსე კალათით „ლეღვის მოყვარულმა“ დედოფალმა. ლეღვებს ქვემოთ კი ასპიდი იწვა. კლეოპატრამ ხელი ჩააცურა კალათაში, და გველს უჩქმიტა. იმანაც „ჩქმეტით“ უპასუხა...

შევიდა ეგვიპტის სასახლეში კაცი, უკვე ერთპიროვნული მბრძანებელი მსოფლიო იმპერიისა და იხილა უბრწყინვალესად მორთულ-მოკაზმულ სარეცელზე მისვენებული კლეოპატრა, ვითარცა მშვიდად მძინარე ისიდა.

იქნებ კიდევაც შვენოდა ასეთი სიკვდილი დიადი, ოთხიათასწლოვანი ეგვიპტის უკანასკნელ გვირგვინოსანს.

იდგა წელიწადი ქრისტესშობამდე 30.

ოქტავიანუს კეისარმა კლეოპატრა „მისი“ ანტონიუსის გვერდით დაკრძალა და ეგვიპტე თავის პირად საკუთრებად გამოაცხადა.

მაშ, დიდი ეგვიპტის ოთხიათასწლოვანი ისტორია ამით დასრულდა — ეგვიპტისა, რომელთანაც ებრაელ ხალხს თითქმის განუყრელი თანაარსებობა

აკავშირებდა, თანაარსებობა ყოველი საკაცობრიოდ ცნობიერისა 'და ქვეცნობიერისა, სიყვარულისა და სიძულვილისა, მეგობრობისა და მტრობისა, შრომითი ოფლისღვრისა და ბრძოლითი სისხლისთხევისა...

ყველა ელოდა, რომ განადგურება არ ასცდებოდა ჰეროდეს. იგი ხომ ანტონიუსის უახლოესი და უერთგულესი მეგობარი და მსახური იყო, ანტონიუსისგან ხელდადებული, ანტონიუსისგან აღზევებული და გამძლავრებული. ამ ბოლო ბრძოლაშიც თურმე ჰეროდე ოქტავიანუსის წინააღმდეგ ანტონიუსს ეხმარებოდა სურსათსანოვაგით.

არა, ჰეროდე ვეღარ გადაურჩებოდა მსოფლიოს ახალ, ერთპიროვნულ მბრძანებელს. ამას ყველაზე მეტად თვითონ ჰეროდე გრძნობდა და ფიქრობდა, ამიტომ უპირველესად ეს მოიფიქრა: რაკი მე უნდა დავიღუპო, ჩემ დაღუპვამდე ხასმონეანთა გვარი უნდა ამოწყდესო, რათა მათგან არცერთმა ჩემი სიკვდილით არ გაიხაროსო. ასე გადაწყვიტა და ჯერ 80 წლის ჰირკანოსი მოაკვლევინა, ზედ თავისი ცოლი მარიამნა და დედამისი ალექსანდრაც უნდა მიეყოლებინა. მაგრამ უეცრად ეს გადაწყვიტა, — ჯერ ეგვიპტეში წავალო, ოქტავიანუს კეისარს შევხვდები, მუხლებში ჩავუვარდები და ერთგულებას შევფიცავო. ეს რომ გადაწყვიტა, მაშინვე მარიამნა და დედამისი ალექსანდრა ალექსანდრიონის ციხეში ჩაკეტა; დარაჯად ერთგული კაცი, ტომით იტურეელი, სახელად ს ო ე მ ა მიუჩინა და უბრძანა: მე ახლა ეგვიპტეში მივდივარ და, ვინიცობაა, უკან ცოცხალი ვეღარ დავბრუნდე, ეს ქალები უეჭველად დახოცეო.

შეიტყო, რომ მაშინ ოქტავიანუს კეისარი კუნძულ როდოსზე ყოფილიყო, და წავიდა მასთან შესახვედრად. შეხვდა და აუწყა გულახდილად, რომ იგი მართლაც იყო მეგობარი მარკუს ანტონიუსისა, მაგრამ არანაკლები პატივისცემითა და მოწიწებით შესცქეროდა მას და, რაც მთავარია, ახლა ეახლა სწორედ იმისათვის, რათა ამიერიდან სრული შეწირვით ემსახუროს მასვე ერთადერთს.

ოქტავიანუსს, თვითონ ცბიერს და ყალბიერს, ჰეროდე რას გააკვირვებდა. ახლა მას სწორედ ასეთი ქვეშევრდომი და მსახური სჭირდებოდა იმპერიის ყოველ საბატონო კუთხე-კუნჭულში და მაშინვე უთავაზა ყოველივე, რასაც მანამდე ფლობდა, ისევ შეუმკო თავი იუდეის სამეფო დიადემით და გამოუშვა უკან გახარებული და გამხნევებული.

თვითონ ოქტავიანუს კეისარი დიდი შემწყნარებლობით ეკიდებოდა ებრაელებს, მით უფრო, რომ კლეოპატრას ეჯავრებოდა ისინი. ეგვიპტეში, როგორც საკუთრად პიროვნულ საბატონოში, ადგილობრივ მმართველობას, ეთნარქოსობას, ანუ არაბარქოსობას, უფრო ებრაელს ანდობდა, ვიდრე ბერძენს.

ჰეროდე ძღვენს ძღვენზე აგზავნიდა ოქტავიანუსთან. სამაგიეროდ იმპერატორმაც ძალზე უხვად დააჯილდოვა „ახლადშეძენილი" ერთგული ქვეშევრდომი. ჯერ, კლეოპატრას „ნახმარი" მცველთა ჯარი აჩუქა, ოთხი ასეული, ტომით გალები. მერე კლეოპატრასგან პირად სარგებლობაში წართმეული ზღვისსანაპირო ზოლიც დაუბრუნა იუდეას, თავისი ციხე-ქალაქებით. იერიქონი და

მისი ნაყოფიერი ველიც, სამარიაც, გადარაც და ჰიპოსიც — ყველანი კვლავ იუდეას დაუბრუნდნენ, კვლავაც ოქტავიანუს კეისრის ნებით და წყალობით. უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა იმ „სასწაულმაც", რომ იმპერატორმა ოქტავიანუს კეისარმა და მისმა მეუღლემ (მეოთხე ქორწინებით), ლ ი ვ ი ა მ, იერუსალემის საუფლო ტაძარს ოქროს კრატერები შესწირეს.

ჰეროდეს შეეძლო სიძლიერის და ბედნიერების უმაღლეს კამარაზე ეგრძნო თავი. მაგრამ შინა-ოჯახური საწუხარი და საშფოთარი მაინც არ ტოვებდა უამისოდაც დაუდგრომელ სულსა ხელმწიფისასა. პიროვნული უბედურების მიზეზი იყო კვლავ მისი მშვენიერი ცოლი მარიამნა, სალოცავი ქალი სრულიად ებრაელი ერისა.

გავიხსენოთ, — ჰეროდემ მარიამნა და დედამისი, ოქტავიანუსთან წასვლის წინ, საპატიმროში ჩაყარა, მცველად იტურეელი სოემა დაუყენა და თან დააბარა: უკეთუ ცოცხალი ვერ დავბრუნდი, ორივე ეს ქალი შენის ხელით დაჰხოცეო. ხოლო, ჰეროდეს წასულობაში სოემაც ისევე გასტეხოდა მარიამნას მისი ქმრის საიდუმლო დანაბარებში, როგორც ერთხელ ასევე გაუტყდა მას იოსები.

ჰეროდე ცოცხალიც მობრუნდა, გამძლავრებულიც, გახარებულიც, გამოუშვა ციხიდან ცოლიც, სიდედრიც, წაიყვანა შინ და გაჩაღდა ასე ახალი ცხოვრება. მაგრამ რა წაშლიდა სპეტაკი, მაღალი სულის მქონე ქალის ხსოვნიდან უსაზიზღრეს ვერაგობას, რაიც მის მიმართ ქმარს განეზრახა, თანაც არა ერთხელ!

და, ერთ დღეს, როცა ბოროტი და ცბიერი ქმარი თავის მშვენიერ ცოლს, როგორც ყოველთვის, სიყვარულს ეფიცებოდა, მარიამნამ ჯერ ის იკმარა, რომ ჰეროდეს მოაგონა, როგორ დაუხოცა მან ძმა, ბაბუა და სხვანი უახლოესნი ნათესავნი.

როგორ თუ ეს გამიბედესო, — და კვლავ აიტანა ჰეროდე ცოფმა. ძლივს დაიოკა რისხვა მაშინ. მოსვენება აღარც შემდგომ დაბრუნებია, ცოლის მოკვლაც გულს ამოიკრა, მაგრამ ვერ შეძლო, — ამის მიზეზი კი სიყვარულიც იყო, პატივმოყვარეობაც და საჭიროებაც: აკი იგი, დიდი სილამაზის გარდა, ერის სათაყვანო კერპსა და კანონიერი დინასტიის სისხლსაც ფლობდა.

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, უბედურება მაინც უნდა დატრიალებულიყო, რადგან ქალის ბედის გადაწყვეტაში კვლავ ქალი ჩარეულიყო. ეს იყო ისევ ჰეროდეს დაი, სალომეა, რომელსაც, როგორც ზემოდაც ითქვა, უსაზღვროდ სძულდა რძალი, მარიამნა.

და შეუჩნდა სალომეა ძმას, ჰეროდეს, — კარგა ხანია შენს ცოლს შენი მოწამლვა უნდა, შენივე ღვინისმწდის ხელითო. ისევ დაჰკარგა წონასწორობა ისედაც „უწონასწორო" ჰეროდემ და შეუდგა ცოლის დაკითხვას. მარიამნამაც დაჰკარგა თავი ამ ახალი ბოროტების, ასეთი განუკითხავი ცილისწამების გამო და ბოლოს ისიც მიახალა, თუ როგორი ბოროტი დავალება მიეცა მას ჯერ იოსებისთვის, შემდეგ სოემასთვის.

იოსები ხომ უკვე მოკლული ჰყავდა ჰეროდეს, ახლა სულ გაშეთებულმა, შაშინვე, გაუსამართლებლად, სოემასაც თავი გააგდებინა. ეს სისხლიანი საქმე რომ მოითავა, უმალვე მარიამნაც სასამართლოს მისცა, ორი ბრალდებით: ცოლქმრული სარეცლის ღალატისა და ქმრის მკვლელობის განზრახვისათვის.

მოსამართლეებმა ილაჩრეს და, რაკი მეფეს დედოფლის სიკვდილი „ესურვებოდა", მარიამნას სიკვდილი მიუსაჯეს.

ჰეროდემ სიკვდილის გადადება დააპირა, მაგრამ ისევ შეუჩნდა სალომეა, — სიკვდილი დააჩქარე, თორემ ხალხი აგიჯანყდება და გაიძულებს სიკვდილმისჯილი გაათავისუფლოო.

და ბრძანა სიკვდილი მარიამნასი ჰეროდემ.

ქალი გასაოცარი სიმშვიდით და სიმტკიცით შეხვდა სიკვდილს (29 ქრ. წ.).

მარიამნა მომიკვდაო?! საშინელმა გლოვა-გოდებამ შეიპყრო ჰეროდე. დღე და ღამე მისი მოჩვენებები სტანჯავდა. ბრძანა მისი ცხედრის ბალზამირება. წინ დაისვენა და ზედ დამხობილი მოთქმა-გოდებაში და მისი სახელის ძახილში ასწორებდა დღესა და ღამეს. ახლომახლო მყოფთ უბრძანებდა, ეძახნათ მისთვის და ელაპარაკნათ მასზე, როგორც ცოცხალზე. ის მოსამართლენიც უკლებლივ დახოცა, რომელთაც მარიამნას სიკვდილი შიუსაჯეს.

ბოლოს, საგანგებო ბრწყინვალებით აგებულ აკლდამაში დაასვენა მარიამნა ჰეროდემ. იქაც აღარ შორდებოდა გაშეთებული ქმარი ცოლის მუმიას.

მეფის ამ ოჯახურ ტრაგედიას შავი ჭირის ეპიდემიაც დაერთო იუდეაში. ხალხი, მდაბიო თუ წარჩინებული, ყველა ერთნაირად ბუზივით იხოცებოდა. ხმაც გავარდა, რომ ეს ახალი უბედურება უფლით მოვლენილი სასჯელია მარიამნას უსამართლო და უღვთო სიკვდილისთვისო.

ჰეროდემ, ეს რომ შეიტყო, ყველაფერი მიატოვა, სამარიაში გაიქცა და იქვე, უკვე მძიმედ დაავადებული, ლოგინად ჩაწვა. ექიმები უკვე ეშვობდნენ მის გადარჩენას.

ამით ისარგებლა მარიამნას დედამ, ალექსანდრამ, და მოინდომა ხელთ ეგდო იერუსალემიც და სამეფო ტახტიც. საიდუმლოდ, დახმარებისთვის იგი შეეთქვა ქალაქის ციხის უფროსსაც და ტაძრის სიმაგრეთა გამგებელსაც. იგი თავის განაზრახს ვითომ ჰეროდეს და მარიამნას შვილებს უკავშირებდა, — ტახტი მხოლოდ მათთვის მინდა და არა ჩემთვისო, — იფიცებოდა ალექსანდრა.

მაგრამ ვისაც შეეთქვა, სწორედ იმათ გასცეს — ჰეროდეს შეატყობინეს, რასაც უპირებდა მას სიდედრი.

და ცოფით მოურჩენელ გულზე ჰეროდეს რაღა დააკავებდა. მისი ბრძანებით, ალექსანდრასაც სასწრაფოდ თავი გააგდებინეს.

ასე მოკვდა ეს ქალი ხასმონეანთა სამეფო საგვარეულოდან, რომელიც მოესწრო თითქმის ყველა ახლობლის სიკვდილს — სიკვდილთ მხოლოდ ძალდატანებით: ქმრის (ალექსანდრე), მამამთილის (არისტობულე II), სიძის (ანტიგონე), ძის (არისტობულე III), მამის (ჰირკანოსი), ასულის (მარიამნა).

ალექსანდრას, ჰეროდეს ბრძანებით, დანარჩენი ნათესავებიც მიაყოლეს.

ამათგან გადარჩა მხოლოდ ვიმნე ბნეი-ბაბა, თავისი შვილებით, რომლებიც იდუმეაში გააქცია და იქ გადამალა ჩვენთვის უკვე ცნობილმა კოსტობარმა, თავად იდუმეელმა, ჰეროდეს ახლო კარისკაცმა.

მაგრამ ისევ „ისახელა“ თავი ჰეროდეს დამ, სალომეამ, რომელიც იოსების სიკვდილით დასჯის შემდეგ, ცოლად შერთოდა სწორედ კოსტობარს, მაგრამ უკვე გაყრაც მოესწრო და ახლა ქმარყოფილს აბეზღებდა ძმასთან: კოსტობარმა შენგან სამმართველოდ ჩაბარებულ იდუმეაში ბნეი-ბაბა და მისი შვილები გააქცია და გადამალაო.

ისევ გაუორკეცდა ცოფი ჰეროდეს. გაქცეულები მოაყვანინა და მოყვანისთანავე დაახოცვინა, და მათი მფარველი კოსტობარიც ზედ დააკვლევინა.

ეს ამბავი დაახლოებით იმ წელს მოხდა, რა წელსაც რომში, იმპერიის ცენტრში, კვლავაც ახალი და მარად სახსოვარი მსოფლიო ფარსი თამაშდებოდა.

წელი კი იდგა ქრისტეშობამდე 27, იანვრის 13. ამ დღეს ოქტავიანუს კეისარმა მისგანვე შექმნილი სენატის წინაშე გამოაცხადა, რომ ამიერიდან აღდგენილია ძველი რომაული რესპუბლიკა, ხოლო თვითონ... თვითონ... იხსნის უმაღლეს საგანგებო რწმუნებებს და აპირებს დაუბრუნდეს რიგითი რომაელის მშვიდ, უჩინარ, კერძო ცხოვრებას! რასაკვირველია, იმქამინდელი მორალური დაცემულობისა და ზნეობრივი სიყალბის პირობებში არავის გაუკვირდებოდა ასეთი არაგულწრფელობა და არც არავინ ისე არ გაბრიყვდებოდა, თანხმობა ეთქვა ისეთი მორცხვი განცხადებისთვის, რომლის ავტორის საომარი დროშების ქვეშ 75 ლეგიონი იდგა! ამიტომ „დრო და ჟამის შესაფერად“ გაწრთვნილმა სენატორებმაც შესაფერისი ყალბი და მლიქვნელური დაჟინებით „აიძულეს“ ოქტავიანუსი „შეებრალებინა რესპუბლიკა“ და შეენარჩუნებინა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის უმაღლესი რწმუნებანი. ის კი არა და, სამი დღის ბჭობა-ჭრის შემდეგ, 16 იანვარს, ოქტავიანუსს ისეთი ტიტულიც მიუძღვნეს, რასაც ადრე მხოლოდ უწმიდეს ტაძრებს ან სხვა სალოცავ ადგილებს არქმევდნენ. ესაა — „ავგუსტუს“, რაიც ნიშნავს ღვთისგან „გამრავლებულს“, ანუ „აღზევებულს“.

ამიერიდან ასე დაივანებს ისტორიაში მისი სრული სახელი — გაიუს იულის კეისარ ოქტავიანუს ავგუსტუს ძე ღვთაებრივისა.

ვითომ ხარკს უხდიდნენ ძველ „რესპუბლიკასაც“, რომლის მიხედვით სენატის თავში ეწერა „პრინცეპს სენატუს“, ანუ პრინცეპსი სენატისა, ანუ „პირველი სენატორი“.

ახლა ოქტავიანუს ავგუსტუსის, როგორც „პრინცეპსის“ მმართველობა წოდებულ იქნა „პრინციპატად“, ანუ — რესპუბლიკური შირმა ფაქტიური მონარქისა, იმპერატორისა.

მაშ, ამიერიდან მთელი მსოფლიო და მსოფლიოში იუდეა ნებაშეუქცევლად უნდა ემსახურონ იმპერატორს, პრინცეპსს, ანუ ავგუსტუსს. და ასეთი

თაყვანისცემის უნარი დიდებულად ჰქონდა ნაზარდ-ნაწრთობი „ყოვლისუნარიან“ ჰეროდეს.

უკვე რომაულ ყაიდაზეც მოინდომა ცხოვრება ჰეროდემ. ახლა მაინც, როცა ებრაული დინასტიისანი ყველა გაწყვეტილი და ფესვამოგდებული ჰყავდა და ადგილობრივ ეროვნულ ტრადიციებსაც აღარავითარ ანგარიშს აღარ უწევდა, თვით იერუსალემის რომაულ სტილზე „გადაკეთებაც“ წამოიწყო. ააშენა რომაული თეატრი და ამფითეატრი, აწყობდა რომაულ ჯირითს, ასპარეზობებს, გლადიატორთა და ნადირთა ბრძოლებს და ყოველივეს უძღვნიდა „ღვთაებრივ ავგუსტუსს“. ავგუსტუსის სახელობაზე იერუსალემში აღმართა მის ძლევამოსილებათა ტროფეუმი.

ყოველივე ამ უცხოურსა და წარმართულს, ანტიეროვნულსა და ანტიტრადიციულს, მოთმინებიდან გამოჰყავდა ებრაელობა. შეთქმულებაც შეიკრა ჰეროდეს მოსაკლავად, — ერთ დღეს, თეატრში შესვლისას უნდა მოეკლათ იგი. მაგრამ შეთქმულება ვიღაცამ გასცა. ათი კაცი შეიპყრეს და ჰეროდეს ბრძანებით ათივეს სასტიკი წამებით სული ამოჰხადეს. ის გამცემელი კი გამხეცებულმა ხალხმა აქცია ნაკუწებად.

ჰეროდე ფრთხილობდა უაღრესად, რადგან ყოველ მიმოხვეულში და მიმოსახედში შეთქმულის მახვილი ელანდებოდა, ყოველ ღამისსათევს საგანგებოდ ამაკრებდა, ახალ ციხესიმაგრეს და თავშესაფარს იშენებდა და იწყობდა. ძველი სამარია ახალ ციხესიმაგრედ, სათადარიგო თავშესაფრად აიშენა და სახელად, ისევ ავგუსტუსის საპატივცემულოდ, ამ სახელის ბერძნული ვარიაციის („ავგუსტუს“—„სებასტოს“) მიხედვით, ს ე ბ ა ს ტ ე ა უწოდა. აქვე, ციხიონად, მთელი კოლონია ჩაასახლა, 6000 საგანგებოდ არჩეული ერთგული ადამიანით.

ასე, რომ — ებრაელთათვის საძულველი ძველი სამარია ჰეროდემ ახალი სახელით იერუსალემის ახალ მეტოქედ აქცია. ხალხი დრტვინავდა, ჰეროდე კი ხალხის დრტვინვას აინუნშიაც არ აგდებდა.

ცნობილი სტრატონის სიმაგრეც, ზღვის პირას, დიდ ციხესიმაგრედ გადააქცია, იქაც ერთგული ციხიონი ჩააყენა და სახელი იმასაც ახალი დაარქვა — კ ე ს ა რ ე ა. ესეც კეისარ-ავგუსტუსის სამშვენისად და საამებლად.

რამდენიმე წლის შემდეგ ჰეროდე ისევ მიუბრუნდა კესარეას და ბრწყინვალე საზღვაო ქალაქად აქცია იგი, თეთრი ქათქათა ქვით ნაგები კოშკებით, სასახლეებით, კოლონადებით. აქვე რომაული ტაძარიც ააგო წარმართმა მეფემ. მალე კესარეა რომაელი პროკურატორების რეზიდენციაც გახდება და დაუპირისპირდება იერუსალემს.

ხალხი დრტვინავდა, მაგრამ ხალხის გულისმოგების „მეთოდს“ ყოველი კაციჭამია ტირანიც მისდევს და ამ მხრივ არც ჰეროდე ყოფილა „სხვაზე ნაკლები მამა თავისი ხალხისა“.

25 წელს საშინელი გვალვისა და მოუსავლიანობისგან განაწამები ხალხი ჰეროდემ „საკუთარი ლუკმაპურით“ შეინახა და გადაარჩინა.

მარიამნას ცოდვიანი მკვლელობის შემდეგ, ქერივმა ჰეროდემ იგივე სახელის ქალი შეირთო ცოლად. ეს მ ა რ ი ა მ ნ ა, ასული სიმონ მღვდლისა, აღარ იყო მეფური შთამომაელობისა, მაგრამ მაინც დიდ პატივში ჰყავდა მეფეს. სწორედ თავის ახალ მარიამნას აუშენა და მიუძღვნა ჰეროდემ ჰ ე რ ო დ ე ო ნ ი, ახალი ბრწყინვალე სასახლე, რომელიც მან ააგო იესურალემიდან ერთი საათის სავალზე, იმ ადგილას, სადაც მან უკანასკნელად გაანადგურა ანტიგონე და მისიანები. ჰეროდეონი მაღლობიდან გადმოსცქეროდა მშვენიერ ველს, რომელიც მალე დასახლდა კვლავაც ჰეროდეს ერთგულ და მიმდევარ მოსახლეთაგან.

ჰეროდეონის აშენება და დარქმევა, რასაკვირველია, საკუთარი სახელის უკვდავსაყოფად იყო მოგონილი. მაგრამ ჰეროდე, რომაელ მფარველთა და საკუთარ სახელთა გარდა, საკუთარი ოჯახის წევრებსაც არ ივიწყებდა. იერიქონის ახლოს რომ ახალი ქალაქი ააშენა, იმას დედამისის სახელის მიხედვით, კ ი ფ ა რ ი ს ი დაარქვა. ძველ კაფარზაბას მამის სახელით, ა ნ ტ ი პ ა ტ რ ი ს ი მიანათლა. თავისი ძმის, ფაზაელის სახელიც ორ კოშკს დაარქვა, ერთს იერიქონის ახლოს, ერთსაც თვითონ იერუსალემში.

ჰეროდემ თავისი ორი ძე, შეძენილნი პირველი მარიამნასგან, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე და ა რ ი ს ტ ო ბ უ ლ ე, რომში გაგზავნა აღსაზრდელად და სასწავლებლად. რომის გამოჩენილი ორატორი და მოაზროვნე, გ ა ი უ ს ა ზ ი ნ ი უ ს პ ო ლ ი ო ნ ი, ჰეროდეს მეგობრობდა და სწორედ მან მიიღო თავის სახლში საცხოვრებლად და სასწავლებლად აზიელი უფლისწულები.

მაგრამ ავგუსტუსმა თვითონ „მოსტაცა“ პოლიონს „საყვარელი“ ჰეროდეს ძენი და თავისთან გადაიყვანა და დაიბინავა თავის სასახლეში.

იმპერატორი ავგუსტუსი კვლავაც აგრძნობინებდა ჰეროდეს, საკუთარი ნებასურვილით გადაეწყვიტა თავისი სამეფოს ბედიც და თვითონ ტახტ-გვირგვინის მომავალიც. მის ნებად აცხადებდა, რომელი მემკვიდრისთვისაც უნდოდა, იმისთვის ეანდერძნა სამეფო ინსიგნიები.

ბოლოს, მარტო იუდეიის მფლობელობაც აღარ აკმარა ავგუსტუსმა ჰეროდეს. აიღო და სირიის პროკურატორადაც დანიშნა იგი. ჰეროდეს ძმას, ფ ე რ ო რ ა ს, კიდევ, ცალკე საბატონოდ და სამმართველოდ, იორდანეს აღმოსავლეთ მხარეს, ახალი სამთავრო მისცა, სახელად ტ ე ტ რ ა რ ქ ე ა.

მაშინ ჰეროდემ, ავგუსტუსისადმი სამადლობელ ახალ ძეგლად, იორდანეს შესართავში, პ ა ნ ე ა დ ი ს ახლოს, დიდი ტაძარი აღმართა. ისევ აშალა და ააფორიაქა ებრაელობა მოძალადე მეფის ამ ახალმა წარმართულ-მლიქვნელურმა მკრეხელობამ.

ჰეროდე კი თავისას არ იშლიდა. ხალხს უფრო უმკაცრდებოდა, ვიდრე უთმობდა. უკვე ხალხის შეკრებილობაც კი აკრძალა. ყველგან იდუმალი, გადაცმული მსტოვრები და ჯაშუშები „ჩააწყო“. თვითონაც ხშირად გადაცმულად, ინკოგნიტოდ გაერეოდა ხალხში. მერე ერთგულების ფიცის მოთხოვნაც დააპირა მეფემ ყოველი ქვეშევრდომისაგან. სინედრიონის თავკაცებმა, გ ი-

ლ ე ლ მ ა და შ ე მ ა ი ა მ, უმკაცრესი პროტესტით ძლივს აღუკვეთეს ეს უტიფარი განზრახვა მეფეს. მაშინ ჰეროდემ ის მაინც დაინარჩუნა უფლებად, ფიცი მოეთხოვა მის წინააღმდეგ მოქმედებაში ეჭვმიტანილებისათვის მაინც.

ისევ, ხალხის გული რომ მოეგო, ჰეროდემ გამოაცხადა იერუსალემის საუფლო ტაძრის, მრავალგზის მტერთა შემოსევებით გვემული ძეგლის განახლება, დაზიანებულ ნაწილთა და უბანთა აშენება და განმტკიცება. ხალხი ჯერ ეჭვიანი უარყოფით შეხვდა მეფის ამ განზრახვას, — ვაი თუ ნგრევას აშენება აღარ მოჰყვესო, მაგრამ ჰეროდემ ყველა დაარწმუნა, — ჯერ ყოველი აუცილებელი საამშენებლო მასალა და იარაღი ადგილზე დალაგდება უკლებლივ, და მერე ერთბაშად შეტევით აშენდება და განახლდება ტაძარიო. ასედაც მოხდა. 17 წელს ყოველი მასალა მორიას მთაზე, ტაძრის გარშემო დალაგდა.

მომდევნო 16 წელს, ათი ათასი მშენებელი ოსტატი მიუსია ტაძარს. წელიწადნახევარში ყველა სამუშაო დასრულებული იყო.

იმავე 16 წელს ჰეროდე ეწვია რომს, რათა თაყვანი ეცა ავგუსტუსისთვის, საკადრისი მისართმეველიც მიერთმია, შვილებიც წამოეყვანა იუდეას. ყველაფერი ასეც მოხდა.

მაშ, მობრუნდა რომიდან იერუსალემს, იმპერატორისგან ხელახლა მოალერსებული და გამხნევებული. შვილებიც ჩამოიყვანა, „რომაულ „ყაიდაზე“ დაზრდილ-დავაჟკაცებულნი. ჩამოიყვანა და მალე ორივე დააქორწინა კიდეც. ალექსანდრეს ცოლად შერთო გ ლ ა ფ ი რ ა, ასული კაპადოკიის მეფის, ა რ ქ ე ლ ა ო ს ი ს ა, ხოლო არისტობულეს — ბ ე რ ე ნ ი კ ე, თავისი დისწული, სალომეას შვილი.

თვითონ სალომეას ორივე სძულდა, სიძეც და მისი ძმაც, რადგან ორივე მისთვის საძულველი და მისგანვე დასამარებული მარიამნას შვილები იყვნენ.

სამაგიეროდ უფლისწულები ხალხში პოულობდნენ სიყვარულსა და მხარდაჭერას. ამით ძმები კიდევაც სარგებლობდნენ, დედის სიკვდილის გარემოებებს იძიებდნენ და აშკარა შურისძიებითაც იმუქრებოდნენ. შურისგების მსხვერპლად კი, ბუნებრივად, მათი მამიდა და ბიძა—სალომეა და ფერორა უნდა მონიშნულიყვნენ.

სალომეას და ფერორას კი ვერაგობის დიდი გამოცდილება ჰქონდათ და ამოქმედდნენ კიდეც ძლიერად. ისინი შეუჩნდნენ მეფე-ძმას, ჰეროდეს, და დაარწმუნეს კიდეც, რომ ალექსანდრე და არისტობულე მათი დედის მკვლელად სხვას არავის თვლიდნენ თუ არა მამას, თვითონ ჰეროდეს, და მაინც და მაინც აკი არც ცდებოდნენ და არც დიდი გაჭირვება უნდა დადგომოდათ მეფის დარწმუნებაში, რომ ადრე თუ გვიან მას მარიამნასგან ნაშობი შვილები მოინელებდნენ.

ირწმუნა ჰეროდემ და-ძმის დანასმენი და თვითონაც ამოქმედდა სასწრაფოდ. მას ხომ პირველი ცოლის, დ ო რ ი დ ა ს ა გ ა ნ ჰყავდა პირმშო ძე. ანტიპატროსი, რომელსაც ბუნებრივად, თავისი საკუთარი გაუნელებელი წყე-

ნაც უნდა ჰქონოდა გულში, დედამისი რომ სწორედ ალექსანდრესა და არისტობულეს დედის გულისათვის გაუბედურდა — ჰეროდემ რომ განუტევა.

და აიყვანა ახლა ჰეროდემ ანტიპატროსი, და ვითარცა პირმშო ძე, მომდევნო უფლისწულებზე მაღლა დააყენა და მთელი სასახლის უმაღლესი, საიდუმლო თუ აშკარა ზედამხედველობაც მასვე მიანდო.

ამან უარესად გაახელა ალექსანდრე და არისტობულე, რომელთაც მოუმატეს მუქარას მამისადმი. ყოველი ახალი მუქარა კი, ანტიპატროსისგან საკანგებოდ გაზვიადებული მისდიოდა ჰეროდეს. საესებით გასაგები იყო ანტიპატროსის ზრახვები: გზის გაკაფვა სამეფო ტახტისაკენ და შურისძიება დედამისის დამცირებისთვის.

ჰეროდე შვილთაგან უკვე მთლიანად ანტიპატროსისკენ იყო გადახრილი. თითქოს იმასაც ნანობდა, რომ რომში მარიამნას შვილები დაზარდა და არა ანტიპატროსი. ამიტომაც უნდა ესარგებლა მას შემთხვევით — როცა შეიტყო, რომ აზიის საქმეთა მაშინდელი გამგებელი, იმპერატორ ავგუსტუსის სიძე და ყველაზე ახლობელი კაცი — მ ა რ კ უ ს ვ ი პ ს ა ნ ი უ ს ა გ რ ი პ ა, რომში მიემგზავრებოდა, ეახლა მას ჰეროდე და შესთხოვა თან წაეყვანა მისი ძე ანტიპატროსი. აგრიპამაც, — რომელსაც „საყვარელი ჰეროდე" არა სათხოვარზე არ გაეწბილებოდა — ეს თხოვნაც სიამოვნებით მიიღო და წაიყვანა რომში ანტიპატროსი.

დიდი პატივით მიიღო და პატივშივე ჩაიყენა ანტიპატროსი თვით ღვთაებრივმა ავგუსტუსმა. მთელი სასახლის კარი, სენატორნი და წარჩინებულნი ოპტიმატნი, ყოველნი ჰეროდეს კიდევ ამ ერთი ძის კეთილმსახურებაში ჩამდგარიყვნენ.

მამის გაღიზიანებას კი არც რომიდან იშლიდა ანტიპატროსი. წერილს წერილზე უგზავნიდა, — გახსოვდეს, შენი ცოდვის შვილები მოგიღებენ შენ ბოლოსო.

ჰეროდემ უკვე თითქოს ირწმუნა, რომ მარიამნასგან ნაძღვნევი შვილები მას მოკვლას უპირებდენ. მაგრამ სანამ თვითონ გადაწყვეტდა, ისევ შეუდგა იგი „სიმართლის ძიების" გრძელ გზას: დაავლო ხელი ალექსანდრეს და არისტობულეს და ორივე იტალიაში წაიყვანა, ისევ „ყოვლის მსაჯულ ღვთაებრივთან".

ავგუსტუსი მაშინ აქვილეაში იდგა და იქვე მივიდა ჰეროდე თავის შვილებით. კვლავაც სიხარულით და პატივისცემით შეხვდა იმპერატორი სამივეს და აუწყა მოულოდნელი ამბავი ჰეროდემ მის კეთილისმყოფელს: აი, ეს ჩემი შვილები, აქ რომში რომ დაიზარდნენ, მე, არამცთუ როგორც მამას პატივისცემით არ მეპყრობიან, არამედ მოწამლვასაც კი მიპირებენო.

ჯერ გაიკვირვა ავგუსტუსმა, მერე სამივეს გულდასმით დაჰკითხა, გულდასმით მოუსმინა, განსაჯა, ორივე მხარეს ურთიერთ ეჭვები განუქარვა, მამა და შვილები ერთმანეთთან შეარიგა და ისე გამოისტუმრა უკან.

იერუსალემში მოსულმა ჰეროდემ ხალხი ტაძარში შეჰყარა, რომში მოგზა-

ურობის შინაარსი გააცნო და საბოლოო გადაწყვეტილებაც გამოაცხადა: ჩემს შემდეგ მეფე იქნება ჩემი უფროსი ძე ანტიპატროსი, ხოლო ალექსანდრე და არისტობულე მისი მემკვიდრეებიო.

თითქოს სიმშვიდეც ჩამოვარდა ერთ ხანს. მაგრამ ისევ იმძლავრა ბოროტებამ, ისევ იავკაცა ავმა სამეულმა — სალომეა, ფერორა, ანტიპატროსი. ისევ დაარწმუნეს ჰეროდე მარიამნას ძეთა ღალატში. ისევ ჩაერია ავგუსტუსი იუდეიის მეფის საოჯახო საქმეში. კაპადოკიის მეფე არქელაოსიც ბევრს ეცადა, მაგრამ ვერცერთმა, საბოლოოდ, იუდეიის ცოდვიანი მეფის ოჯახური გარემო ახალი დიდი ცოდვისაგან ვერ დაიხსნა.

ჰეროდეს ბრძანებით, ალექსანდრესა და არისტობულეს პირადი მსახურნი შეიპყრეს, უსასტიკესად აწამეს და, რაც უნდოდათ, კიდევაც ის „დააცდენინეს".

ამ „ახალ სამხილებელთა" საფუძველზე, 150-კაციანმა სასამართლომ ალექსანდრე და არისტობულე გაასამართლა და ორივეს სიკვდილი მიუსაჯა. სიკვდილის სახეობაც თვითონ აარჩია ჰეროდემ — ორივე მოაშთობინა.

ეს მოხდა ქრისტესშობამდე 7 წელს, სამარიაში, იქ სადაც ოცდაათი წლის წინათ ჰეროდემ დიდი საქორწინო ზეიმით ცოლად შეირთო მისგან ახლა მოშთობილი შვილების დედა, მშვენიერი მარიამნა.

ავგუსტუსს, ჰეროდეს შვილების ასე უღმერთო სიკვდილი რომ შეუტყვია, მწარე სინანულით უთქვამს: ჰეროდესთან გაცილებით უკეთესია იყო გოჭი, ვიდრე შვილი.

დახოცილ უფლისწულებს წვრილშვილიანი ოჯახები დარჩათ: ალექსანდრეს — ორი ძე, ტიგრანი და ალექსანდრე, ხოლო არისტობულეს — ორი ძე, არქელაოსი და ჰეროდე-აგრიპა, და სამი ასული.

შვილიშვილთაგან ჰეროდე-აგრიპა მეფეს გამორჩეული მზრუნველობისა და სიყვარულის ქვეშ ჰყავდა.

დროც მალე გაიქროლებს და ჰეროდე-აგრიპასაც ეღირსება მეფობა.

ჯერ კი ისევ დიდი ჰეროდე მეფობდა. მართლაც მოიხსენიებდნენ მას, ვითარცა „დიდი". თუმცა, ვინ რას გულისხმობდა ამ „სიდიდეში" — სიკეთეს თუ ბოროტებას.

მართლაც დიდი იყო მისი პიროვნული უნარი, შესაბამისად დიდი იყო მისი შეცოდებანი და დიდი იყო მისი ტანჯვანი. დიდი იყო კრებული დახოცილთა, რომელთა ლანდები განუწყვეტელი შემოსევებით ანგრევდნენ და აფორიაქებდნენ მის ცოდვიან სულს. თითქოს, შვილიშვილებზე ზრუნვით ცდილობდა აბღავლებული სულის დაწყნარებას. არისტობულეს შვილთაგან, ჰეროდე-აგრიპას გარდა, კიდევ გოგო უყვარდა, ჰეროდეადა, რომელიც თავის დროზე იტყვის კიდევაც „თავის სიტყვას".

ისევ აიჩემა მუდმივ შეთქმულებაზე ფიქრით დათრგუნვილმა, ყველა ჩემმა ქვეშევრდომმა ერთგულების ფიცით შემომფიცოსო, და თანაც, მარტო

შე კი არა, ღვთაებრივი ავგუსტუსისადმი ერთგულებაზეც უნდა დაიფიცოს ყოველმა ცალკე ადამიანმაო. ადრე ასეთ მოთხოვნაზე ხომ გილელმა და შემაიამ ააღებინეს ხელი, ახლა ამათმა მოწაფეებმა და მიმდევრებმა, ფარისეველთა სექტისაგან, სულ ექვსიათასზე მეტმა კაცმა, გადაჭრით უარი განაცხადა ფიცის დადებაზე. ამის დასაბუთებად მოსეს კანონმდებლობას მოაგონებდნენ, მე-17 თავის მე-15 ლექსიდან: „არა დაიდგინო შენ სხვაი, არამედ რომელნიცა გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან ძმათაგანვე შენთა, იგი დაიდგინო მეფედ შენ ზედა; ნება არა გაქვს მეფედ დაიდგინო უცხო, რომელიც არაა შენთა ძმათაგანი". მაშასადამე, არამცთუ რომაელი ავგუსტუსი, არამედ შენც იდუმეელი, არა ხარ ჩვენი სისხლხორცისა და ამად მეფედ არ გცნობთ და მით უფრო ფიცითაც ვერ შემოგფიცავთო. ამაზე უფრო აშკარად რაღა უნდა თქმულიყო?!

ჰეროდე, როგორც ეტყობა, შეაკრთო ფარისეველთა ასეთმა აშკარა წინააღმდეგობამ, სისხლის დაქცევა ვეღარ გაბედა და მხოლოდ ის იკმარა, ფიცის უარმყოფელთ მეფისთვის ჯარიმა გადაეხადათ.

ახლა უეცრად პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე გამოიჭრა ჰეროდეს რძალი, ფერორას ცოლი, რომელსაც მაზლი სძულებია და არც იყო გასაკვირველი, რადგან კარგახანია, ჰეროდე ძმას უჩიჩინებდა, ეგ ქალი გააგდე და ცოლად სხვა ქალი შეირთეო. და გამოვიდა ახლა ეს ქალი და მთელი საჯარიმო თანხები, რაიც მეფისგან დაჯარიმებულებს უნდა გადაეხადათ, თვითონ გადაიხადა, საკუთარი და თავისი ქმრის სახელით.

ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ ფარისეველებმა ქვეყანას მოჰფინეს: ძველ წინასწარმეტყველებაში აღმოვაჩინეთ გაანგარიშება იმისა, რომ ჰეროდეს სახლის მეფობას სულ მალე ფერორას სახლის მეფობა შეცვლისო.

ჰეროდე ხომ ხალხში საერთოდ არ უყვარდათ და ახლა მის მოძულე ფარისეველთა ეს „წინასწარმეტყველებაც" უარესად ამდაბლებდა და აქარწყლებდა მისდამი პატივისცემას სწორედ ხალხში.

მაგრამ ისევ ამოქმედდა მეფის დაი, სალომეა, ადრე მშვენიერი მარიამნას მომნელებელი. შეევიდა იგი ჰეროდესთან და შეასმინა ყოველივე, რა საფრთხესაც ხლართავდნენ მის გარშემო მისი ძმის ოჯახისანი. ჰეროდემ მაშინვე გადაჭრით მოთხოვა ფერორას ცოლის განტევება. ფერორამ გადაჭრითვე უარით უპასუხა. გარისხებულმა ჰეროდემ ძმა სასახლიდან გააგდო და სამუდამოდ უკან მობრუნება აუკრძალა. ყველა თავისიანს გამოუძახა, პირველ რიგში ტახტისმემკვიდრე ანტიპატროსს, დედამის დორიდას, ყველა კარისკაცს და სახლისკაცს, და უბრძანათ შეეწყვიტათ ყოველგვარი ურთიერთობა ფერორასთან, მის ცოლთან, მის ოჯახთან.

მაგრამ პირველი მტერი თურმე იქვე, ტახტზედვე მიკრული ტახტისმემკვიდრე და ღვიძლი შვილი ჰყოლია ჰეროდეს. თვითონ ანტიპატროსი თურმე იმასაც ვეღარ შერიგებოდა, მამამისი რომ ამდენხანს ცოცხლობდა, ამდენ ხანს

თვითონ სიკვდილი არ იღირსა და შვილს კი ტახტი ალარ ალირსა! და თვითონ შეეთქვა ანტიპატროსი სასახლიდან მოკვეთილ ფერორას.

და შეთქვნენ ბიძა-ძმისწული, ერთი — ძმისა და მეორე — მამის მოსაკლავად. მეთოდი სიკვდილისა — მოწამვლა. საწამლავიც უკვე შეეკვეთათ ვინმე ალექსანდრიელი მედიკოსისთვის, უბადლო მეწამლისა და მომწამვლელისათვის.

საწამლავის მოლოდინში, შეთქმულებაზე რომ რაიმე ეჭვი არ გავრცელებულიყო, ფერორა და ანტიპატროსი სულ გაშორდნენ ერთმანეთს — ფერორა თავის სამმართველო ტეტრარქიაში წავიდა ,და იქ დარჩა, ანტიპატროსმა კი პირდაპირ რომში წასვლა გადაწყვიტა; მამას შესთხოვა, ავგუსტუსთან გამიშვი, შენგან ბოძებული ტახტისმემკვიდრეობა რომ დამიმტკიცოსო. „გულუბრყვილო“ ჰეროდემ დასტური მისცა და ისიც წავიდა რომს.

თავის სამმართველო ოლქში წასული ფერორა მოულოდნელად რაღაც მძიმე ავადმყოფობით ლოგინად ჩავარდა. ჰეროდეს შერისხულ ძმაზე გული მოუბრუნდა და რამდენჯერმე ავადმყოფი ინახულა კიდეც. ფერორა მოკვდა. ხმა გავარდა, რომ იგი ცოლმა მოწამლა, იმ ცოლმა, რომლის განტევებასაც მოითხოვდა ძმისგან ჰეროდე. ქალი, მეფის ბრძანებით, სასამართლოში მისცეს. დაკითხვის ჟამს გამქღავნდა სულ სხვა და გაცილებით სერიოზული განზრახვანი, ვიდრე ამას ელოდნენ.

თურმე ანტიპატროსსა და ფერორას ჰეროდეს მოწამვლა გადუწყვეტიათ. საწამლავიც ალექსანდრიელ მეწამლეს ჩამოუტანია იერუსალემში და ფერორას ცოლისძმისთვის ჩაუბარებია. ცოლისძმას კი სიძისთვის მიუტანია. მაგრამ როცა ჰეროდემ ავადმყოფი ძმა ინახულა და, მაშასადამე, მისდამი წყენა დაივიწყა, თვითონაც ავადმყოფს ძმაზე გული მობრუნებია და ცოლისთვის იმ საწამლავის გადალვრა უბრძანებია. ცოლს ეს ბრძანება თითქოს შეუსრულებია, მაგრამ მცირე ნაწილი საწამლავისა მაინც ჩაუტოვებია იმ საბედისწერო ჭურჭელში. და აჩვენა კიდეც ბრალდებულმა ქალმა იმ წამლის დანაშთი.

ყოველივე აშკარა გახდა. შეთქმულებას სათავეში, უკვე სრული უეჭველობით, ანტიპატროსი სდგომოდა, ძე ჰეროდესი, ჰეროდეს წინააღმდეგ, მამის წინააღმდეგ, — იმ მამისა, რომელმაც მისი გულისთვის დანარჩენი შვილები გაწყვიტა — შვილები კვლავაც დაუვიწყარი მარიამნასი.

მთავარი იყო ახლა თავის შეკავება სიცოფისაგან, სანამ ანტიპატროსი რომიდან დაბრუნდებოდა. და ესეც შეძლო „დიდმა“ ჰეროდემ. და, აი, ანტიპატროსი ისე წამოვიდა რომიდან, ბაიბურითაც არაფერი შეეტყო იმისა, რაიც მის გარშემო უკვე ავისმაუწყებლად ბუბუნებდა იუდეაში. ხოლო, როგორც კი აზიის მიწას მოადგა და ხომალდიდან ფეხი გადმოდგა, უეცრად დაეტაკნენ მამამისისაგან გამოგზავნილნი. ციმციმ ასწიეს და წამოიღეს.

სასამართლოს, რომელსაც ანტიპატროსი უნდა გაესამართლებინა მთელი სისასტიკით — ჰეროდეს თხოვნით, თავმჯდომარეობდა რომაელი პროკონსული, სირიის მაშინდელი გამგებელი — პ უ ბ ლ ი უ ს კ ვ ი ნ ტ ი ლ ი უ ს ვა-

რ უ ს ი. ბრალდებითი სიტყვით გამოდიოდა ჰეროდეს მეგობარი, სახელოვანი ისტორიკოსი ნ ი კ ო ლ ო ზ დ ა მ ა ს კ ე ლ ი. ანტიპატროსს სიკვდილი მიესაჯა. ამ დადგენილების დამტკიცება ჰეროდემ ავგუსტუსს სთხოვა. ავგუსტუსმაც უყოყმანოდ დაამტკიცა, ოღონდ ეს ისევ გაიმეორა: უმჯობესია ჰეროდეს გოჰად ჰყავდე და არა შვილადო.

მაშინვე, ბუნებრივად, ტახტის ახალი მემკვიდრის საკითხიც უნდა დასმულიყო. ადრე, თუ ანტიპატროსს რამე შეემთხვეოდა, მის მაგივრად ჰეროდეს ტახტის მემკვიდრედ ნაგულისხმევიც და გამოცხადებულიც ჰყავდა მეორე მარიამნასაგან შეძენილი ძე — ჰ ე რ ო დ ე-ფ ი ლ ი პ ე. მაგრამ ანტიპატროსის გასამართლების დროს აღმოჩნდა, რომ მარიამნა და მისი ძე, თუ მთლიანად არა, რაღაც ნაწილად მაინც, ნაწილადევი ყოფილან ჰეროდეს საწინააღმდეგო შეთქმულებაში. ამიტომ ჰეროდემ კიდევ ერთ ცოლ-შვილს მხოლოდ გაძევება აკმარა და ამით ჰეროდე-ფილიპეს ტახტისმემკვიდრეობის საკითხიც მოიხსნა.

ახალ ტახტისმემკვიდრედ კი, მცირე ფიქრის შემდეგ, მოხუცმა მეფემ უმცროსი შვილი, მეექვსე ცოლის, მ ა ლ თ ა კ ი ა ს გ ა ნ შეძენილი ჰ ე რ ო დ ე-ა ნ თ ი პ ა გამოაცხადა.

მღელვარება კი ჰეროდესა და მისი მფარველი რომაელების წინააღმდეგ ებრაელობაში კვლავაც მძაფრდებოდა და ღრმავდებოდა. ამ დროს გამოჩნდნენ ხალხის საყვარელი მოძღვარნი — ი უ დ ა ბ ე ნ-ს ა რ ი ფ ა ი და მ ა ტ ა თ ი ა ბ ე ნ-მ ა რ გ ა ლ ო ტ ი, რომელთაც მოინდომეს ესარგებლათ ჰეროდეს ავადმყოფობით და ჩამოენგრიათ ტაძარში აღმართული უცხო, ეროვნულებრაულისთვის მკრეხელური სამკაული — რომაული არწივი. ბელადთა მოწოდებაზე, ტაძარში შეიჭრა ახალგაზრდობა, თოკებით ავიდნენ მაღლა, პორტალზე, იქიდან გადმოაგდეს, ძირს დაანარცხეს და დალეწეს რომის უმაღლესი ძალაუფლების ინსიგნია.

მოცვივდნენ ჰეროდეს ჯარისკაცები. ხალხს დაერიენენ, დაფანტეს, მათგან ორმოცამდე კაცი, მათთან ბელადები — იუდა და მატათია, შეიპყრეს და ჰეროდეს ბრძანებით სამართალში მისცეს. სასამართლოზე ყველა პატიმარს თავი მტკიცედ ეჭირა. მოსამართლეთა კითხვაზე, თუ რამ აიძულათ გადაედგათ ასეთი ნაბიჯი, ყველა პირდაპირ პასუხობდა — „კანონი!“

ისევ ჰეროდეს ბრძანებით, ყველანი კოცონზე დაწვეს.

გაირკვა, რომ რომაული არწივის ჩამოგდებას თანაუგრძნობდა მღვდელმთავარი მატათიაც. ჰეროდემ იგი მაშინვე გადააყენა და მის ნაცვლად მღვდელმთავრად დასვა ი ო ა ზ ა რ, ძე სიმონისა, რენეგატი და მეგობარი რომაელებისა.

ჰეროდეს დღეები კი მაინც უკვე დათვლილი იყო. ამდენ უბედურებათა შემოქმედი და თანამოქმედი, სამოცდაათ წელს მიღწეული ბებერი, უკანასკნელ ტრაგედიათა სიმძიმეებს უკვე ვეღარ ტვირთულობდა. იგი შეიპყრო საშინელმა მტანჯველმა სენმა, გულმუცელი რომ ეწვოდა, საჭმელი რომ გულზე აღარ ამაგრდებოდა და წყლის სმით წყურვილი აღარ ურწყულდებოდა. თვით-

დაკვლამდეც მივიდა მეფე, მაგრამ მისმა ერთგულმა ნათესავმა, ა ქ ა ბ ნ ა ძლივს გამოგლიჯა ხელიდან გულში ჩასაცემად აღმართული დანა.

მისი ძე, სიკვდილმისჯილი ანტიპატროსი, ჯერ კიდევ ცოცხალი, სიკვდილის მოლოდინში, და სასახლიდან უკვე სიკვდილთან შეუღლული მამის ბღავილი რომ შემოესმა, მაშინვე შეუჩნდა მასზე მიჩენილ მეციხოვნეს: შეხედე, მამაჩემი ხომ უეჭველ კვდება და აკი მეფობა ჩემი იქნება, კარი გამიღე, გამიშვი და უბედნიერეს კაცად გაგხდიო.

მეციხოვნეს ჭკუაში დაუჯდა პატიმრის ნათქვამი, მაგრამ იფიქრა, მოდი ჯერ ჩემი თვალით ვნახო და ვირწმუნო მეფის სიკვდილიო და გადაირბინა სასახლეში, სადაც მეფე ებრძოდა სიკვდილს. იგი იქვე შეიპყრეს და კიდევაც ათქმევინეს, რისთვისაც მოსულიყო.

სიკვდილიდან გამოაბრუნა მომაკვდავი მეფე შვილისადმი დაუოკებელი შურისძიების ცეცხლმა. მაშინვე მცველები აფრინა და ანტიპატროსი იქვე დააკვლევინა.

კვლავ მოიხედა ჰეროდე მეფემ. თითქოს მესამე შვილის დასამარებამ გაჩოაბრუნა. თითქოს შვილთა, ყმაწვილთა და ყრმათა სისხლი ასაზრდოებდა და ასულდგმულებდა მისი ბოროტი სულის სხეულებრივ სამკვიდრებელს. გაიელის დრო და იმასაც იტყვიან დაბეჯითებით, რომ ჰეროდემ ბეთლემსა და მის შემოგარენში ორ წლამდე ყრმანი გააწყვეტინა, რაკი შეატყობინეს, რომ მათ შორის დაბადებულია დავით წინასწარმეტყველის ნაკადიდან, ღვთითმოვლენილი მესია და მეუფე კაცობრიობისა.

სინამდვილეში, ეს უმძიმესი ცოდვა მიუძღვის თუ არა, ის მაინც ცხადად ცნობილია, რომ უკვე სიკვდილის კარზე ჩამომხდარმა უკანასკნელი სისხლისა და ცრემლის თქეშით მოინდომა საფლავში ჩასვლა.

იგი იერიქონს იდგა, სიკვდილთან უკანასკნელ გაბრძოლებაში. თავზე ადგნენ ერთგული დაი სალომეა და ამის მესამე ქმარი ა ლ ე ქ ს ი.

ბოროტი მეფე ჭკვიანიც იყო და ფიქრობდა იგი „ჭკვიანად“: როცა კეთილი მეფე კვდება, ხალხი სამგლოვიარო ძაძებს ჩაიცვამს, მთელი სახელმწიფო ოცდაათდღიან გლოვად დაჯდება, ხოლო ჩემი სიკვდილით ხალხიც ზეიმს გამართავს, ყველა ღრეობას გააჩაღებს, ყველა გაიხარებს. ამიტომ...

და, უბრძანა სალომეას და ალექსის, სასწრაფოდ იერუსალემიდან იერიქონს მომიწვიეთ ყველა წარჩინებული, საერონი და სამღვდელონიო.

და აღესრულა მისი ბრძანება. მოვიდნენ და მოგროვდნენ წარჩინებულნი, მოძღვარნი, მთავარნი, მამასახლისნი. ყველანი ცირკის, საასპარეზოს შენობაში შეიყვანეს და იქ დასხეს, მეფესთან შეხვედრის, ან მისი რაიმე ბრძანების მოლოდინში.

მეფის ბრძანება კი ასეთი აღმოჩნდა, დისა და სიძისადმი საიდუმლოდ განდობილი: როგორც კი მე მივიცვლები და თვალებს დავხუჭავ, მაშინვე იმ ცირკში შეყრილი დიდკაცობა ამოწყვიტეთ, რათა მათმა ოჯახებმაც ჩემი სიკვ-

დილით კი არ იზეიმონ, არამედ მათთა პატრონთა სიკვდილით იგლოვონ და ცრემლი ღვარონო!

ასეთი იყო მისი უკანასკნელი ბრძანება, რომელიც არ შესრულდება.

და მოკვდა, 69 წლისა.

იდგა ქრისტესშობამდე 4 წელი.

მისი ცხედარი დიდის ზარზეიმით, იარაღასხმული უცხოელებით — თრაკიელებით, გერმანელებით და გალებით გარშემორტყმული, იერიქონიდან მისგანვე აშენებულ ჰეროდეონში წაასვენეს და იქ დაკრძალეს.

ებრაელი ხალხი კი ჭეშმარიტი ზეიმით ზეიმობდა.

მაინც და მაინც ჰეროდემ იუდეა დატოვა ბრწყინვალე და ამაღლებული, რომლის მსგავსი ამაღლება მას დავით-სოლომონის დროის შემდეგ აღარ მოსწრებია. ჰეროდეს სამეფო მოიცავდა არა მხოლოდ პალესტინას, არამედ მის ყოველ მიმდგომ ქვეყანას და ქალაქებს, ლიბანის მთებიდან თითქმის ეგვიპტემდე და ნაბატეადან ხმელთაშუა ზღვამდე. ჰყვავოდა ყველა ქალაქი, საზღვაო პორტები და შიდა ქალაქნი, ახალი საშენი მასალით და ახალი ხუროთმოძღვრული ორდენით ნაგები და გაბრწყინებული. და ჰქონდა იუდეას დიდი სახელი მთელს მსოფლიოში. მას ანგარიშს უწევდნენ, გარკვეულად როგორც „ჰეგემონს“ აზიაში და პატივს სცემდნენ თვითონ რომში, „მსოფლიოს ცენტრში“.

და ყოველივე ეს მოპოვებული იყო არა გაუთავებელი სისხლის წვიმებით და პატრიოტულ თაობათა შეწირვებით, არამედ უბრალო კალამის წრიპინით, ძღვენით და მაამებლური ტკბილსიტყვაობით.

მაგრამ სწორედ ეს არ მოსწონდა ებრაელ ხალხს. ჰეროდეს ბრწყინვალეება მას უცხოურ, არა საკუთარ, არაეროვნულ ბრწყინვალებად მიაჩნდა. ჰეროდეც და ავგუსტუსიც უცხოელები იყვნენ და მათი მოტანილი ბრწყინვალებაც უცხოდ იგრძნობოდა და იაზრებოდა ყოველი ჭეშმარიტი ებრაელისთვის.

ამიტომ იზეიმა ებრაელმა ხალხმა ჰეროდეს სიკვდილი.

მაგრამ იუდეიის ტახტზე მაინც რომ ისევ ამ უცხო სისხლისა უნდა ასულიყო?!

21. ა რ ქ ე ლ ა ო ს ი

ჰეროდეს ცხრა თუ ათი ცოლისაგან რვა ძე შეეძინა: ანტიპატროსი (დორიდასაგან), ალექსანდრე და არისტობულე (მარიამნა პირველისაგან), ჰეროდე-ფილიპე I (მარიამნა მეორესაგან), ფაზაელ (პალადასაგან), არქელაოსი და ჰეროდე-ანთიპა (მალთაკიასაგან) და ჰეროდე-ფილიპე II (კლეოპატრასაგან).

აქედან წინარე სამი შვილი ხომ თვითონვე დახოცა და, ბუნებრივად, სამეფო ანდერძით მომდევნო შვილებისთვის უნდა დაეტოვებინა.

ანდერძის გახსნა მომაკვდავ მეფეს ისევ უცხოელისთვის, ისტორიკოს ნიკოლოზ დამასკელის ძმის, პტოლემეოსისთვის დაუვალებია.

გახსნა ანდერძი პტოლემეოსმა და წაიკითხა, რომ სამეფო ტახტი უნდა გადასცემოდა არქელაოს, მალთაკიასგან შეძენილ უფროს ძეს, მასვე საკუთრებად ეძლეოდა იუდეა და სამარია. ხოლო, მალთაკიას უმცროს ძეს, ახალი მეფის ძმას, ჰეროდე-ანთიპას მამა საბატონოდ უტოვებდა გალილეას. მესამე შვილს, კლეოპატრასაგან — ჰეროდე-ფილიპე II-ეს, მამის ანდერძით ეძლეოდა ტრახონიტეა, იტურეა, ბოტანეა და პანია. ხოლო, კიდევ დანარჩენ ორ ძეს — ჰეროდე-ფილიპე I-ს (მარიამნა მეორესაგან) და ფაზაელს (პალადასაგან) მამა არაფერსაც არ უტოვებდათ; თითქოს არც ჰყოლოდა, ანდერძში მათ ერთი სიტყვითაც არ იხსენიებდა მამა-მშობელი.

სამაგიეროდ თავისი დაი სალომეა არ დავიწყნია ჰეროდეს, მის ბნელ საქმეთა თანაზიარი და თანამდგომელი. და ღებულობდა სალომეა ძმის ანდერძით ყოველწლიურ შემოსავლებს ქალაქებიდან — იამნიადან, აშდოდიდან და ფაზაელისიდან.

ასე, რომ ებრაელთა ქვეყანა უცხო მეფეს თავის უცხო მემკვიდრეთა შორის ისე დაენაწილებინა, ებრაელობისთვის რომ არაფერიც არ უკითხავს.

„უცხო მემკვიდრეებიც" აქ იმ აზრით გაიაზრება, რომ ისინი, ერთიან მშობელ-შვილობას, ერთიან აღზრდასა და ერთიან სიყვარულს მოკლებულნი, სწორედ უცხონი იყვნენ მამისთვისაც, ამდენი დედისთვისაც და ერთმანეთისთვისაც.

ამიტომ მათ ერთმანეთი სძულდათ, ერთმანეთისა ეშურვებოდათ, ერთმანეთის სისხლი სწყუროდათ, ერთმანეთის დაცემა და დამცირება ენატრებოდათ.

განსაკუთრებით ჰეროდე-ანთიპა იბოღმებოდა თავის ღვიძლ ძმაზე, არქელაოსზე. ჯერ ერთი, მამამ ტახტისმემკვიდრედ მე გამომაცხადა, ხოლო ანდერძში არქელაოსი როგორ ჩაიწერაო, მერე ყველაზე მთავარი ოლქებიც, იუდეა და სამარია არქელაოსს როგორ ერგოო, — ტანში იშმებოდა ანთიპა.

არქელაოსს ქიშპში ჩასდგომოდა მამიდამისი სალომეაც.

მაგრამ არქელაოსი, ეტყობოდა, თავის სისხლთა თუ მოსისხლეთა შორის, აინუნშიაც არავის აგდებდა, ისე აპირებდა ეგზომ მორყეულ სამეფო ტახტზე დამაგრებას.

ჰეროდეს ანდერძი იმპერატორ ავგუსტუსს უნდა დაემტკიცებინა და კიდევაც წასულიყო კაცი რომში, ავგუსტუსის დასტურის მისაღებად და წამოსაღებად.

მაგრამ ამისთვის არ დაუცდია არქელაოსს. იგი მამის დაკრძალვისა და გლოვის ჩათავების შემდეგ, ტაძარში შეყრილი ხალხის წინაშე გამოვიდა და საჯაროდ პირობა დადო, რომ მამამისისგან დადგენილ, ხალხისთვის სამძიმო

ყოველ კანონს გააუქმებდა და ახალ, ხალხისთვის სასურველ კანონმდებლობას დააწესებდა.

ხალხმაც, როგორც ყოველთვის, აქამდე მხოლოდ აღთქმებით, გაბრიყვებულმა და სინამდვილით განაწამებმა, ახალი მეფის აღთქმებიც მორიგ სიყალბედ მიიღო, უკეთუ სიტყვა სასწრაფოდ საქმედ არ იქცეოდა. ხალხი არქელაოსისგან დაუყოვნებლივ მოითხოვდა ხუთი გადაუდებელი ღონისძიების გატარებას: მძიმე გადასახადთა შემცირება-გამსუბუქება, ციხეებში ჩაყრილ ებრაელთა ამნისტია, რომაული არწივის დამამხობელ პატრიოტთა ცეცხლზე დაწვის მრჩეველთა დასჯა და ჰეროდესგან დანიშნული, ხალხისთვის არასასურველი მღვდელმთავრის, რენეგატ იოაზარის გადაყენება.

არქელაოსიც დაპირდა ხალხს ყველა მოთხოვნათა შესრულებას, არც მამის პატივს აგდებდა რაიმედ, მაგრამ ამის გაკეთება ხომ მაინც მთელი მმართველობითი სისტემის გარდაქმნას ნიშნავდა, ახალი მეფე კი ჯერჯერობით ასეთი მასშტაბის ხელმწიფე არ ჩანდა.

მორიგი ფესახის დღესასწაულები რომ დადგა და ხალხი იერუსალემის ტაძარს მოაწყდა, ისევ ამოქმედდნენ პატრიოტული ძალები. ისევ გამოდიოდნენ სიტყვებით და ისევ მოითხოვდნენ რომაული არწივის დამამხობელ გმირთა კოცონზე დამწველთა დასჯას.

არქელაოსმა არც აკიეა, არც აცხელა და, მაშინვე ჯარი აფრინა ხალხის გასარეკად. ხალხმა კი ჯარი ქვის სროლით უკუაქცია.

მაგრამ როგორც კი ხალხი მსხვერპლწირვას შეუდგა და ჩაერთო, მაშინ არქელაოსმა მორიას მთას, ტაძარს იერუსალემში მდგარი ქვეითი ჯარი სრულად შეუსია და მლოცველი ხალხის ხოცვა-ჟლეტა გააჩაღა, ქვემოთ კი, დაბლობზე, ცხენოსანი ჯარი დააყენა მთიდან დაშეებული და თავის საშველად გამოქცეული ადამიანების საწყვეტ-საჩეხავად.

3000 კაცი გაწყდა იმ დღეს, ფესახის შუა დღესასწაულზე. თან ისიც გამოაცხადა მეფის მაცნემ, წელს ფესახის დღესასწაული შეწყვეტილია და ტაძართან მისვლა და მიკარებაც არავინ გაბედოსო.

ეს სისხლისღვრაც ჩემი ბრალი არ გახლავთო, — ბრძანებდა მეფე — გამომიწვიეს და მაიძულესო, ხალხმა თავისთავს დააბრალოსო; თან ისეთ რაიმე ღონისძიებათა გატარებას მთხოვენ, რაზედაც ჯერ მე ხელს ვერ მოვაწერო; აკი ჯერ მამაჩემის ანდერძზე ავგუსტუსის დასტურიც არ მომსვლიაო.

მისი მომტერე ძმები და ნათესავები კი ცდილობდნენ თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ ეს სისხლისქცევაც და ავგუსტუსის უნებართვოდ ტახტის დაუფლებაც.

და ერთ დღეს არქელაოსის მთელი სანათესაო ადგა და წავიდა რომს, ავგუსტუსის მუხლებში ჩასავარდნად, არქელაოსის დასაბეზღებლად, მიწასთან გასასწორებლად და იქნებ, თუ მოხერხდებოდა, ტახტისაც რომელიმე „უკეთესი ძმისადმი“ გადასაცემად.

იუდეა კი უკვე აჯანყებათა ხანძარს მოეცვა, — სწორედ აჯანყებათა და

არა ერთისა, ან ორისა. ქვეყანა დაყოფილიყო „სექტებად", „პარტიებად", „დასებად". განუწყვეტლივ ჩნდებოდნენ თუ იბადებოდნენ ახალ-ახალი „მოძღვარნი", „წინასწარმეტყველნი", „წინამძღოლნი", „ბელადები", „მხსნელნი", „მაშიახ-მესიები".

და ყველა იბრძოდა ხალხის საშველად, ხალხის სახსნელად და საბედნიეროდ.

ერთი სიტყვით, ყველა ებრძოდა ყველას.

მაშინ არქელაოსმა, ვითომ ხალხის დასაწყნარებლად, მოიწვია სირიის რომაელი პროკურატორი, პუბლიუს კვინტილიუს ვარუსი. ისიც მოვიდა. ლეგიონებიც მოიყვანა და დააბანაკა შუაგულ იერუსალემში. ერთ ხანს თვითონაც იქ იდგა, მერე გარნიზონი დატოვა, ყოველი სახალხო გამოხდომის სისხლში ჩახშობა დაუბარა და თვითონ ანტიოქიას გაბრუნდა.

ვარუსი წავიდა და ს ა ბ ი ნ უ ს ი მოვიდა, ავგუსტუსის ხაზინადარი. იგი სწორედ ავგუსტუსს გამოეგზავნა, ჰეროდეს დანატოვარი საუნჯეების აღსანუსხავად. „დანატოვარში" კი ყველაფერი იგულისხმებოდა — საერო-სახაზინოც, სამოქალაქოც და სასულიერო-სატაძროც. ისე გამოდიოდა, ავგუსტუსი უნდა ყოფილიყო ყოველი ებრაული საგანძურ-საჭურჭლეთა მემკვიდრე.

ტაძრის მცველებმა საბინუსი ტაძარში არ შეუშვეს. რომაელმა ძალადობა სცადა. ხალხსაც წაქეზება აღარ სჭირდებოდა და საბინუსმა ძლივს შეასწრო ფაზაელის კოშკში, სადაც ის მაშინ იდგა თავისი მცველებით. შეასწრო და ქალაქიდან ვარუსის გარნიზონს მოუხმო საშველად და ხალხთან საომრად. ესეც არ იკმარა და ანტიოქიაშიც აფრინა კაცი, თვითონ ვარუსთან, დამატებით ძალთა გამოსაშვებად.

ბრძოლა გაჩაღდა. ხალხმა ტაძრისა და მისი შემოგარენის დაჭერა მოასწრო და შემოსეულ რომაელებს ქვის სეტყვა შეაგება. რომაელებმა შორიდან ანთებული პატრუქები დაუშინეს. ტაძრის წინაშე კოლონადას ხანძარი მოედო. ცეცხლი ადამიანებსაც გადაედო. ბევრი დაიწვა, ბევრმა ტანჯულმა სიცოცხლე თვითონ მოისწრაფა, ბევრი რომაული მახვილით აიკაფა.

რომაელებმა ტაძარი აიღეს, შეიჭრნენ და უკიდურესი გულბოროტობით იავარჰყვეს, გაძარცვეს, შებილწეს. მარტო საბინუსმა 400 ტალანტი მიიტაცა თავისთვის.

რომაელთა ველურობამ ჰეროდეს დანატოვარი ჯარიც კი ისე ააღელვა, რომ მათი ერთი ნაწილი აჯანყებული ხალხის მხარეზე გადავიდა.

ხალხი კი ჰეროდეს სასახლეს მიესია და რომაელებისგან ქალაქის დაცლა მოითხოვა.

საბინუსმა აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, — ეცნო თავი დამარცხებულად და, საიდანაც მოვიდა, იქეთვე გადახვეწილიყო, თუ ვარუსის დამხმარე ძალებისთვის დაეცადა და ბრძოლა განეგრძო.

საერთოდ უცხო ძალთა და კერძოდ რომაელთა მდგომარეობა მაშინდელ იუდეაში სწორედ კატასტროფის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ

მათდა ილბლად თვითონ ებრაელ ხალხში არამცთუ ერთობა, არამედ მხოლოდ სრული ანარქია სუფევდა. არ ჩანდა კაცი, პიროვნება, ანთუ პიროვნებათა ჯგუფი, რომელიც, ვთქვათ, მაკაბელთა მინამსგავსად მაინც, ანარქიას დასძლევდა, ხალხს ერთ მტკიცე ძალად შეკრავდა და გარეშე მტერთა საპირისპიროდ წარმართავდა.

სამხრეთ იუდეაში ცალკე იბრძოდა ვილაც ს ი მ ო ნ ი. მეფე ჰეროდეს ყოფილი მონა, რომელიც გამორჩეული სილამაზისა და ახოვნებისთვის, ადგილობრივებს მეფედ გამოეცხადებინათ, და თარეშობდა ეს ახლადმოვლენილი „მეფე" თავისი, „თავისუფლებისმოყვარე" ბანდებით. ამათ გაძარცვეს და გადასწვეს მრავალი სოფელი და ქალაქი, ციხესიმაგრენი, მათ შორის—იერ-ი-ქონი მისი სასახლით.

ამნაირივე „მეფე" შეიქნა ვინმე მწყემსი, სახელად ა ტ რ ო ნ გ, ტანად ბუმბერაზი, მისივე მსგავსი ოთხი ძმით და ძარცვა-რბევაზე გახელებული ბრბოებით.

მაგრამ იყო ასეთ „მეფეთა" და „ბელადთა" შორის მაინც ყველაზე თვალსაჩინო, ეროვნულ-პატრიოტული თვალთახედვით ამაღლებულიც. ეს იყო ი უ დ ა გ ა ლ ი ლ ე ვ ე ლ ი, ქალაქ გამალადან, ძე ხიზიკიასი — სწორედ იმ ხიზიკიასი, რომაელებს რომ ებრძოდა გალილეაში და ახალგაზრდა ჰეროდემ შეიპყრო მუხანათური თავდასხმით და მოჰკლა ყიდეც მის თანამებრძოლებთან ერთად, გაუსამართლებლად, რომაელების საამებლად.

თითქოს მაკაბელობაც შეეძლო იუდა გალილეველს, ყრმობითვე უცხოელ დამპყრობთა მოძულეს და მშობლიური ხალხის თავშეწირვამდე მოყვარეს. სწორედ მან დაუდო საფუძველი ებრაელ ზ ე ლ ო ტ თ ა (შურისმგებელთა) მიმდინარეობას, რომელიც დიდხანს მოსევნებას უკარგავდა რომაელთა და მათ მიმდევართა ბატონობას ისრაელიანთა ქვეყანაში.

იუდამ დაიწყო იმით, რომ დაეუფლა გალილეიის მთავარ ქალაქს, სეფორისს, ხელთ იგდო რომაელთა იარაღის საწყობები, შეაიარაღა თავისი თანამებრძოლები და ხალხს მოუწოდა აჯანყებისკენ, უცხოელთა ბატონობის დასამხობად და სამშობლოს გასათავისუფლებლად.

აჯანყება გალილეას მოედო. ამიტომ იქვე, სირიაში მდგარ კვინტილიუს ვარუსს ჯარები თვითონ სპირდებოდა და საბინუსის თხოვნას, იერუსალემში დამხმარე ძალების გაგზავნაზე, ვეღარ შეასრულებდა. ის კი არა და, ვარუსმა იუდა გალილეველის აჯანყების ჩასახშობად თავისი საკუთარი 20 000 ქვეითი და ცხენოსანი მეომარი ეცოტავა და დასახმარებლად თვითონ მოუხმო ახლომახლო მთავრებს და გამგებლებს.

პირველი გამოეხმაურა ნაბატეიის მეფე არეტა, რომელმაც მაშინვე აფრინა თავისი მხედრობა რომაელი პროკონსულის მისაშველებლად.

სასტიკი ბრძოლის შემდეგ, ვარუსმა სეფორისი დაიბრუნა და გაცოფებულმა გაძარცვა და გადაწვა იგი. იუდა და მისი თანამებრძოლნი მთებს შეეფარნენ.

სეფორისიდან ვარუსმა ჯარები გადაიყვანა ემაუსში, სადაც გამაგრებული იყო მეორე მოჯანყე, ატრონგი. რომაელებმა აჯანყებულებს ემაუსიც დააცლევინეს. ატრონგიც მთებში გაუჩინარდა.

ამის შემდეგ ვარუსი თავისი ლეგიონებით მივიდა იერუსალემს, ჰეროდეს სასახლეში ჩაკეტილი საბინუსის გამოსახსნელად.

რომაელთა ახალი ძალების გამოჩენაზე, აჯანყებულმა ხალხმა სასახლეს ალყა მოხსნა და უკუიქცა. მაგრამ ვარუსი გაქცეულ ხალხსაც არ მოეშვა, უკან დაედევნა, ორიათასამდე კაცი ტყვედ შეიპყრო და ყველანი საგანგებოდ აღმართულ ჯვრებზე გალურსმა.

ამასობაში, რომში ჰეროდეს მოდგმისანი ავგუსტუსის წინაშე მუცლით ხოხვას არ ეშვებოდნენ, არქელაოსს გაუთავებლად აბეზღებდნენ და გაუთავებლად მიანიშნებდნენ, მაინცდამაინც იმ მუცელზე მხოხავთაგან აერჩია „კანონიერი" მეფე იუდეისა. და ამ სულმოკლეთა ცდამ რომაელი ხელისუფალი ერთხელ კიდევ დაარწმუნა, რამდენად უღირს ადამიანებთან ჰქონდათ საქმე ებრაელებსაც და რომაელებსაც.

და სანამ იგი თავის მკაცრ, სიტყვაშეუქცევად განჩინებას გამოიტანდა, იუდეადან ახალმა დელეგაციამ ჩამოუსწრო. დელეგაცია შედგებოდა 50 წარჩინებული ებრაელისგან, რომლებიც აერჩია, დაემოძღვრა და გამოეგზავნა იერუსალემიდან თვითონ კვინტილიუს ვარუსს.

და მოახსენებდა 50 რჩეული ებრაელი მსოფლიოს მბრძანებელს, დაწვრილებით — რა დღეში ჩააგდეს იუდეა ბოროტმა ჰეროდემ და ჰეროდეანებმა, როგორ გაქურდეს, გაასხვისეს და გააჩანაგეს იუდეა საუკუნეებით ნაგროვები და ნალოლიავები სიმდიდრეებისგან, როგორ გარყვნეს და ველური ვნებებით გაქელეს ებრაული სჯული და კანონი, როგორ ადინეს სისხლი ებრაელ ხალხს და სიცოცხლით შეიწირეს მისი საუკეთესო შვილები, და ახლა ებრაელობა თხოვს ღვთაებრივ ავგუსტუსს, უკეთუ ინებებს ჩვენს გადარჩენას, მოიღოს მოწყალება და იხსნას იუდეა ჰეროდეანებისაგან, გააუქმოს მათი ბატონობა, გააუქმოს საერთოდ მეფობა და იუდეა გამოაცხადოს რომის პროვინციად, რომელსაც დამოუკიდებლობა და გარედან ჩაურევლობის უფლებები დარჩება მხოლოდ შინაურ საქმეებში.

და შეისმინა „გულკეთილმა" იმპერატორმა ეს „გულისამაჩუყებელი" თხოვნა, მით უფრო, რომ ამ 50 წარჩინებული ებრაელის უკან კიდევ 8000 რჩეული ებრაელი მდგარა იგივე სათხოვრით.

მთავარი ის იყო, რომ ავგუსტუსმა გააუქმა მეფობა იუდეაში. არქელაოსსაც მეფის ტიტული ერთმეოდა, თუმცა ადგილობრივ ხელისუფლად მაინც რჩებოდა, ეთნარქოსის ტიტულით. იუდეასაც ამიერიდან ერქმეოდა ბერძნულად — ეთნარქია, რაც მნიშვნელობით იგივე იქნებოდა, რაიც რომაულ-ლათინური — „პროვინცია".

ასე, რომ ავგუსტუსმა ებრაელთა თხოვნიდან ის დააკმაყოფილა, რაც თვი-

თონ და მის რომს მოუხდებოდა — რომის დაქვემდებარებაში იუდეიის პროვინციად მოქცევა, ხოლო მთავარი სათხოვარი — ჰეროდეს მოდგმისანი მოგვაშორეო — ეს იმპერატორმა არ შეასრულა, და ბუნებრივიც იყო, — ჰეროდეანებივით ყურმოჭრილ მონა-მსახურებს რომაელები ხომ ვერც ინატრებდნენ.

არქელაოსის მმართველობა, მეფობით თუ ეთნარქოსობით, გაგრძელდა ათი წელიწადი (ქრ. წ. 4-ქრ. შ. 6). მცირე მმართველს მცირე საქმენი გამოსდიოდა. უფრო მნიშვნელოვანი და ხალხის სურვილად ის აღასრულა, რომ სწორედ ხალხისგან ათვალწუნებული იოაზარი მღვდელმთავრობიდან გადააყენა და მის ნაცვლად მისივე ძმა ელიაზარი დასვა. თუმცა ამანაც დიდხანს ვერ გაძლო და იერუსალემის მღვდელმთავრობა იოშუამ იტვირთა. იოშუამ კი ისევ იოაზარს დაუბრუნა სულიერი მოძღვრობა ისრაელიანთა.

არქელაოსმა თავის სახელობაზე ახალი ქალაქიც ააშენა — არქელაიდა. სიმონ თვითმარქვია „მეფისგან“ გადამწვარი იერიქონის სასახლეც აღადგინა, აქვედუკებიც გაიყვანა და ქალაქი მუდმივად წყლით უზრუნველყო.

ოჯახური ცხოვრება უზნეოდ და სამარცხვინოდ შეუფასდა არქელაოსს, რადგან მან ცოლად შეირთო გლაფირა, რძალი, სიკვდილით დასჯილი ძმის, ალექსანდრეს ქვრივი.

ეს ქალი, როგორც გვახსოვს, იყო ასული კაპადოკიის მეფე არქელაოსისა და პირველი ქმრისგან, ალექსანდრესგან ჰყავდა ორი ძე — ტიგრანი და ალექსანდრე. ამათგან ტიგრანს, მოვა დრო და სომხეთის ტახტზედაც დასვამენ რომაელები. თვითონ გლაფირა, ქმარი რომ მოუკლეს, ამით მაინცდამაინც თავი არ მოუკლავს და მეორედ გათხოვდა ნუმიდიის მეფე იუბაზე, მერე ამას გაეყარა და მესამედ ცოლად შეერთო არქელაოსს, პირველი ქმრის ძმას.

არქელაოსი თავისი ხალხის მიმართ უფრო და უფრო სასტიკი ხდებოდა. რომშიც საჩივრები მიდიოდა მის სისასტიკეზე. ბოლოს, იგი ავგუსტუსმა რომში დაიბარა, მომჩივან იუდეველებს პირისპირ დაუყენა და თავისმართლება მოსთხოვა, მაგრამ ვერაფრითაც თავი ვერ იმართლა. ავგუსტუსმა იგი იუდეიის მმართველობიდან გადააყენა და გალიაში, ქალაქ ვიენაში გადაასახლა.

გადასახლებაში ერთი წელიც ძლივს მოათია და გარდაიცვალა (6 წ. ქრ. შ.).

იუდეა კი დარჩა რომის უშუალო გამგებლობაში, სირიის პროვინციასთან გაერთებული.

ამიერიდან იუდეიის სამმართველოდ რომიდან იგზავნებოდა საგანგებო მოხელე, პროკურატორის სახელწოდებით. პროკურატორის რეზიდენციად კი, ცხადდებოდა არა იერუსალემი, არამედ ზღვისპირა ქალაქი კესარეა.

პირველ პროკურატორად რომმა გამოგზავნა კოპონიუსი, მანამდე რომაული არმიის კავალერიის უფროსი („მაგისტერ ეკვიტუმ“). მასვე, ამ პირველ ჯერზე, თან მოჰყვა სირიის მმართველიც, კვირინუსი, და ორივენ ერთად აღწერეს და ჩაიბარეს იუდეიის მთელი ქონება, ჩაატარეს ცენზი. ანუ აღწერა მოსახლეობისა და განსაზღვრა მათი ქონებისა, რათა ამის შესაბამისად

გაეწერათ ყოველწლიურად გადასახადებიც — სულადი, საშემოსავლო და სამიწათმფლობელო.

ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ იუდეა ახალი სისტემის მონობას უბრუნდებოდა. ამიტომ იყო ცალკეული, სტიქიური გაბრძოლებანი, მაგრამ სრულიად ამაონი და უნაყოფონი. იუდეას თავს ადგა დამპყრობელი, რომლის ძალასთან ლანდებად თუ დაილანდებოდნენ გინა ასურელნი, გინა ბაბილონელნი, გინა სპარსელნი.

კვირინუსი სირიაში გადავიდა. პროკურატორი კოპონიუსი კი პროკურატორად დარჩა იუდეაში.

კოპონიუსი შეცვალა მ ა რ კ უ ს ა მ ბ ი ვ ი უ ს მ ა, ამის შემდგომ კი ა ნ ი უ ს რ უ ფ უ ს ი მოვიდა იუდეის პროკურატორად.

ეს სამი პროკურატორი მართავდა ისრაელიანთა ქვეყანას შვიდი წელიწადი (7—14).

სწორედ 14 წელს (მაშასადამე, როცა ქრისტე იყო 14 წლისა) გარდაიცვალა 76 წლის ავგუსტუსი.

რომის იმპერიის ტახტზე ავიდა მისი გერი, ტ ი ბ ე რ ი უ ს ი, რომელზეც სიკვდილის წინ ავგუსტუსს უთქვამს: „ვაი შენ, საბრალო რომაელო ხალხო, რა ზანტად მცოხნავი ყბების საღეჭად გტოვებო!..

ტიბერიუსმა რომის იმპერატორად მოათია 23 წელიწადი (14—37).

მან იუდეის პროკურატორად გამოგზავნა ვ ა ლ ე რ ი უ ს გ რ ა ტ უ ს ი, რომელიც ამ პოსტზე იჯდა თერთმეტი წელიწადი (15—26).

26 წელს კი ახალ, უკვე მეხუთე პროკურატორად მოვიდა პ ი ლ ა ტ ე პ ო ნ ტ ო ე ლ ი (26—36).

პილატეს იერუსალემში მღვდელმთავრად დახვდა ი ო ს ე ბ კ ა ი ა ფ ა (19—36).

სწორედ პილატესა და კაიაფას ჟამს უკავშირდება მარად სახსოვარი მსოფლიო-ისტორიული მოვლენა, ანუ გამოცხადება და ცხოვრება მესიისა, გინა მაცხოვრისა ი ე ს ო ქ რ ი ს ტ ე ს ი.

22. მ ე ს ი ა

მცირერიცხოვანი ხალხის მარად ჩაგრული ცხოვრება, საუკუნეების მანძილზე, უკეთესი, თავისუფალი ცხოვრებისათვის ამაოდ დაქცეული სისხლი, მიწის ზედაპირზე არსებობის ყოველი გაცრუებული იმედი — ბოლოს და ბოლოს ბადებს ფიქრს ზეციურ მხსნელზე, ანუ მესია მირონცხებულზე („მაშიახ“). და, ამის მიხედვით, მესიანიზმი-მხსნელობის თეორია სწორედ ებრა-

ელთშორის უნდა დაბადებულიყო და დაიბადა კიდეც, თანაც გაცილებით ადრეული საუკუნეების წინასწარმეტყველთა გააზრებებში. კაცთა შორის დანერგილი სიძულვილი და გაუთავებელი სისხლთა თხევანი წარმავალია და ასეთი ცოდვილი სამყაროს ნანგრევებზე შეიქმნება ახალი, ძმობისა და სიყვარულის სამეფო, რომელსაც დაამყარებს ციოთმოვლენილი მეუფე, ანუ ზეგარდმო ცხებული, კაცად განსახებული, ახალი ელია. მოვა იგი, რომელიც „შეარიგებს მამების გულს შვილების გულთან და შვილების გულს მამების გულთან", და იქნება მარადიული სამეფო კაცთაშორისი ძმობისა და სიყვარულისა, იქნება ყოველივე ახალი, „ახალი ზეცა და ახალი ქუეყანა".

ეს იდეა ბუნებრივად უნდა დაბადებულიყო გაჭირვებულ საზოგადოებრივ შრეებში და არა წარჩინებულ და დალხინებულ არისტოკრატიაში, რომელიც კმაყოფილია არსებული ცხოვრების პირობებით, თუნდაც ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უქონლობით.

და უკვე მრავლად ჩნდებოდნენ უბრალო და მდაბიო ხალხის წიაღიდან ახალ-ახალი „მეხიები" და „მხსნელები", სწორედ მესიის მონატრულ ხალხს რომ აიყოლიებდნენ.

მაგრამ ერთია „აყოლიება" მეორე — „გაყოლიება". პირველი ყოველთვის ადვილია, რადგან გაჭირვებულ კაცს იმას ჰპირდები, რასაც ის ნატრობს და შენს მოწოდებას „აყვება" კიდეც. მაგრამ, როცა შეპირებულში ბოლოს და ბოლოს იმედს გაუცრუებ, იგი „გაყოლაზე" ფიქრსაც შეგიწყვეტს და ახალი, „ნამდვილი მესიის" ძებნას დაიწყებს.

და უკვე მრავლად ჩანდნენ პალესტინაში ზედმეტ-ნაკლებად „მესიურა უნარით" აღჭურვილი „მესასწაულენი", ზედმეტნაკლებად წრფელნი ან თაღლითნი.

ჯერ კი არ ჩანდა ი ს, ნ ა მ დ ვ ი ლ ი, მართლაც ზეგარდმოცხებული, ჯერ რომ თავის ერს, მას უკან კი მთელს მსოფლიო კაცობრიობას დაარწმუნებდა და კიდევაც აიყოლიებდა, კიდევაც გაიყოლიებდა. ასეთად არ ჩანდა, ან არ აღმოჩნდა არც რომელიმე იუდა გალილეველი, არც სიმონ მონადყოფილი, არც მწყემსი ატრონგი.

ნამდვილი, იდეალური, ნეტარი მესია ესეელთა ასკეტურ სექტაში წარმოესახათ ყველაზე ნათლად და რელიეფურად. მესია უცოდველი ცხოვრებით ცხოვრობს, ამ ცოდვიანი, ამაოებით აღვსილი ცხოვრებისგან თვითმოკვეთილი და განრინებული; იგი თვითონ არს აღვსილი სული-წმიდათი, აქვს უნარი დემონურ, სატანურ, ეშმაკეულ არსთა ძლევისა; მისთვის უცხოა სიყვარული და ლტოლვა მამონასადმი და ადამიანის სამკაულად თვლის სიღარიბეს, უქონლობას და უპოვრობას.

ასეთი „ციოთმოვლენილი მესია" ჯერ არ ჩანდა, მაგრამ მალე კი უნდა მოსულიყო.

და ითქვა კიდეც წინასწარმეტყველება ესე: „მოახლოებულ არს სასუფეველი ცათაი".

ითქვა უდაბნოში.

მთქმელი: ი ო ა ნ ე (ი ო ხ ა ნ ა ნ) ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ე ლ ი.

ხოლო, იმისთვის, რათა ხალხი მომზადებული შეხვდეს უფლისმიერი მესიის მობრძანებას და ციური სასუფევლის დამკვიდრებას. იგი უნდა განიწმინდოს ცოდვებისაგან.

ცოდვათაგან განწმენდის გზა კი არის მონანიება.

„შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათაი" — იძახდა იოანე.

იგი უდაბნოში ცხოვრობდა, აქლემის ტყავით მოსილი და ტყავის სარტყელითვე წელშეკვერთხილი. მისი ულუფა კი იყო ოდენ კალია და თაფლი ველური.

მოინანიეთ და მოინათლეთო და ისე შეხვდით აწ მოახლოებულ მეუფესო, — მოუწოდებდა იგი ხალხს.

და თვითონვე ნათლავდა ადამიანებს, წყალში განბანვით. იორდანეში იდგა იგი. მიდიოდნენ ადამიანები მასთან, აღიარებდნენ ცოდვებს თვისას და ინათლებოდნენ მისი ხელით ნასხური წყალით.

შენ ხომ არ ხარ თვითონ მესია? — ეკითხებოდნენ იოანეს.

მე წყალით გნათლავთო, — პასუხობდა ნათლისმცემელი — ჩემს შემდგომ რომ მოვა, ვინც ჩემზე უძლიერესია და ვისი ხამლის ტვირთვის ღირსიც არა ვარ, იგი სულიწმიდითა და ცეცხლით მოგნათლავთო. მას ხელთ უპყრია თავისი არნადი, რომლითაც გაწმენდს თავის კალოს და დააბინავებს იფქლსა (ხორბალს) ბეღელში, ხოლო ბზეს დაწვავს ცეცხლითა უშრეტითა.

და აი, მოვიდა ი ს ი ც.

ნათლისღებად დაუდგა წინ იოანე ნათლისმცემელს.

უმალვე იგრძნო და იცნო, რომ სწორედ ი ს იდგა მის წინ.

და უთხრა ხმითა მკრთალითა და შეგრძნებულითა: მე თვითონ მმართებს შენგან ნათლისღება და შენ მოდიხარ ჩემთან?

— დე, იყოს ასე ახლა, — უპასუხა მოსულმა — რამეთუ ჩვენ გვმართებს აღვასრულოთ ყოველი სიმართლე.

და მონათლა იოანე ნათლისმცემელმა ი გ ი.

ხოლო, სახელი მისი — ი ე ს ო ქ რ ი ს ტ ე.

ხოლო, ვინ იყო იგი, ანუ რა ცხოვრება გაევლო აქამდე, ნათლისღებამდე?

დედა, რომელმან იტვირთა და შვა, — სახელად ყოფილა მ ა რ ი ა მ.

მეუღლე მარიამისა — ი ო ს ე ბ, შორეული წარმომავლობით, დავითის ნაკადისაგან.

ცხოვრობდნენ გალილეაში, ნაზარეთში.

მაგრამ, როცა ავგუსტუსის ბრძანებით დაიწყო ხალხის აღწერა, იოსები კი, როგორც დავითის შთამომავალი, წარმომავლობით უკავშირდებოდა იუდეიის ბეთლემს, ისიც საცენზო სიაში ჩასაწერად, თავისი ცოლითვე წავიდა ბეთლემს.

და სწორედ აქ, ბეთლემში, დაიბადა ყრმა, რომელსაც სახელად დაარქვეს ი ე ს ო (ი ე შ უ ა).

იესოს გარდა, მარიამს და იოსებს ჰყავდათ შვილები — იაკობი, იოსე, სიმონი, იუდა და კიდევ რამდენიმე ასულნი.

იესოსაც, ისე როგორც ყოველ ახალშობილ ებრაელ ყრმას, დაბადებიდან მერვე დღეს წინადაცვეთა ჩაუტარეს. და ამის შემდგომ, თორმეტ წლამდის არავინ იცის არარაი მისი ცხოვრების, თუ აღზრდისა. თორმეტი წლისა კი სახლიდან გაუჩინარდა და შეშფოთებულმა მშობლებმა იგი ძლივს იპოვნეს იერუსალემში, ტაძარში, სადაც იგი გასაოცარი გამჭრიახობით და შთამაგონებლობით ეკამათებოდა მღვდელთა-მოწესეთა, საღვთო სჯულის ფარისეველ-განმმარტებელთა.

შემდგომი ცოდნა მისი ცხოვრებისა უკავშირდება უკვე მოხსენიებულ ნათლისღებას იოანე ნათლისმცემლისგან.

ამის შემდეგ კი ნათლია და ნათლული ერთმანეთს აღარ შეხვედრიან. იოანე შეიპყრო და საპყრობილეში ჩააგდო ტეტრარქოსმა ჰეროდე-ანთიპამ. მიზეზი ასეთი სასჯელისა იყო ის, რომ ანთიპას თავისი ძმისთვის, ჰეროდე-ფილიპესთვის, ცოლი წაერთმია — ჰეროდეადა,-და და ამისთვის ხმამაღლა სახალხოდ ჰკიცხავდა მას იოანე. ამიტომ შეუჩნდა ჰეროდეადა ანთიპას და ჩააგდებინა დილეგში მათი მამხილებელი.

მოწაფეები აკითხავდნენ პატიმარს და უამბობდნენ მისგან მონათლული იესო ქრისტეს სასწაულებს, — რომ სწორედ მისმიერი სასწაულმოქმედებით უკვე „ბრმანი ხედავენ, კოჭლნი დადიან, კეთროვანნი იწმინდებიან და ყრუნი ისმენენ; მკვდარნი აღდგებიან და გლახაკნი სახარებით ხარობენ". ხოლო, თვითონ ნათლისმცემელზე ამას ამბობდა იესო: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: დედისაგან შობილი არავინ აღმდგარა ნათლისმცემელზე უმეტესი, ხოლო ცათა სასუფეველში უმცირესიც მასზე უმეტესია".

და ერთადერთ სიხარულად ამის მოსმენა მოვლენოდა სასიკვდილოდ გაწირულ იოანეს. სიკვდილი კი მალე ეწვია, ისევ ბოროტი მეძავის გზით.

ჰეროდე-ანთიპა დაბდების დღეს ზეიმობდა. ზეიმზე ჰეროდეადას ასულმა, ს ა ლ ო მ ე ა მ იცეკვა. ანთიპას გერის (იგივე ძმისწულის) ცეკვა ისე მოეწონა, ლამის ტკბობაზე შეცდა და შეუჩნდა: ვფიცავ, რაც უნდა მთხოვო — თუნდაც ნახევარი ჩემი საბატონო — შეგისრულებ, ოღონდ კი მთხოვეო. იდროვა მაშინ ჰეროდეადამ და შვილს უბრძანა: უთხარი, იოანეს თავი მოჰკვეთოს და მოგართვასო.

სალომეამაც ასე უთხრა მამინაცვალს (თან—ბიძას): რაკი მაინცდამაინც უნდა მომიძღვნა, იოანეს თავი მომიძღვენიო.

შეწუხდა ჰეროდე-ანთიპა, მაგრამ სიტყვის გატეხვა ვეღარ გაბედა, მისი ბრძანებით იოანეს თავი მოჰკვეთეს და სინზე დადებული სალომეას მოართვეს. სალომეამ კი დედამისს, ჰეროდეადას მიუტანა თავი იგი „სასურველი".

ასე დაიღუპა მომნათველი და წინამავალი იესო ქრისტესი.

ხოლო იესო ქრისტე, ოცდაათი წლისა, უკვე გამოსულიყო ხალხში თავისი მოძღვრებით.

მოწაფეებიც გაეჩინა, — თორმეტი მოწაფე: ძმები ა ნ დ რ ი ა და ს ი-მ ო ნ-პ ე ტ რ ე, ძმები ი ა კ ო ბ და ი ო ა ნ ე ზებედეს ძენი, ძმები ი ა-კ ო ბ და მ ა თ ე ალფესის ძენი, ბ ა რ თ ლ ო მ ე, თ ო მ ა, ფ ი ლ ი პ ე ბეთსაიდელი, თ ა დ ე ო ზ, ს ი მ ო ნ კანანელი და... ი უ დ ა ისკარიო-ტელი.

დადიოდა და ასწავლიდა ხალხს იესო და კურნავდა ავადმყოფთ, უძლურთ, სატანისაგან გაჩხიბულთ, მთვარეულთა და დავრდომილთა.

იდგა მისგან დატყვევებული ხალხის წინ და შეაგონებდა მათ:

„ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაი.

„ნეტარ არიან მგლოვიარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ.

„ნეტარ არიან მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქუეყანაი.

„ნეტარ არიან მშიერ-მწყურვალნი სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განძ-ღენ.

„ნეტარ არიან მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ.

„ნეტარ არიან წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.

„ნეტარ არიან მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისა იწო-დნენ.

„ნეტარ არიან დევნილნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფე-ველი ცათაი.

„ნეტარ ხართ თქვენ, რაჟამს გყვედრიდნენ და გდევნიდნენ და გითხრან ყოველი სიტყვა ბოროტი და დაგწამონ ცილი ჩემი გულისათვის.

„გიხაროდეთ და ილხენდეთ, რამეთუ დიდია თქვენთვის საზღაური ცათა შინა, რადგან ასევე დევნეს წინასწარმეტყველნი თქვენს უწინარეს.

„თქვენ ხართ მარილი დედამიწისა და უკეთუ მარილი იგი განქარდეს, რაი-თღა დაიმარილოს? ალარად ვარგა, თუ არა გადასაყრელად და კაცთაგან ფეხით დასათრგუნავად.

„თქვენ ხართ ნათელი ქვეყნიერებისა. ვერ დაიმალება ქალაქი, მაღალს მთაზედ აღშენებული.

„არავინ ანთებს სანთელს და დგამს მას საწყაოს ქვეშე, არამედ სასანთლეზე, და უნათებს ყველა შინ მყოფთა.

„დაე, ასევე ანათებდეს ნათელი თქვენი კაცთა წინაშე, რათა ისინი ხედავ-დნენ თქვენსა კეთილთა საქმეთა და ადიდებდნენ მამასა თქვენსა ზეცათასა".

იგი ქადაგებდა არა რომელიმე ხალხის გამორჩეულობას, არამედ ზოგა-დად, ყოველ კაცთა, ანუ ყოველ „მოყვასთა" შორის თანასწორად სიყვარულს, სათნოებას, ურთიერთ პატიებას და თანადგომას.

იგი ქადაგებდა — „არა კაც კლა; არა იმრუშო; არა იპარო; არა ცილი-სწამო; პატივი ეცი მამასა შენსას და დედას; და შეიყვარე მოყვასი შენი, ვი-

თარცა თავი შენი". იგი ქადაგებდა მოსეს ათივე მცნებას, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მცნებანი ადამიანთა შორის უნდა აღესრულოს არა ოდენ კანონიერ ძალით, ანუ დაშინებით, არამედ ყოველი კაცის შინაგანი სინდისით, შინაზნეობრიობით. „არა კაც კლა" იესოს გააზრებით ნიშნავდა არა ოდენ იმას, რომ კაცი არ უნდა მოკლა, არამედ გულშიაც არ უნდა გაიელო, ეს სურვილი გულშიც არ უნდა გაავდეს თუნდაც კანონისმიერი სასჯელის შიშით ჩაკეტილი.

მოსეს დროიდან მოდიოდა მცნება — „არა იმრუშო".

ქრისტეს კი იგივე გადაჰქონდა სინდისში: „ყველამ, ვინც ნდომით შეხედა დედაკაცსა, უკვე იმრუშა თავის გულში".

მოსეს დროიდან მოდიოდა — „არა იფიცო ტყუილზედა".

ქრისტე კი ამბობდა: სულაც არ დაიფიცო ცა, რადგან იგი ღმერთის ტახტია, არ დაიფიცო არც დედამიწა, რადგან იგი ღმერთის ტერფთა კვარცხლბეკია. ნურც შენს თავს დაიფიცავ, რადგან შენი ფიცით არ შეგიძლია ერთი ღერი თმის არც გათეთრება, არც გაშავება. რად გინდა ფიცი, თანაც ამაო, მაშინ როცა საკმარისია სინდისის მიერად, სიწრფოებით შენი „ჰო" „ჰო" იყოს და „არა" — „არა".

მოსეს დროიდან მოდიოდა ეს კანონი — „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ".

ქრისტე კი ამბობდა: „ვინც მარჯვენა ყვრიმალში შემოგკრას, მას მარცხენაც მიუშვირე. თუ ვინმემ შენი პერანგი წაგართვას, შენი მოსასხამიც შენვე მიეცი".

ძველთაგან თქმულა — „გიყვარდეს მოყვარე შენი და გძულდეს მტერი შენი".

ქრისტე კი გიქადაგებთ: „გიყვარდეთ მტერნი თქვენნი; დალოცეთ თქვენი მაწყევარნი; კეთილი უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ თქვენსავე მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის".

სიმართლე და სიკეთე გულის სიწრფოებით უნდა აკეთოთ და არა სხვის საჩვენებლად და ხალხისგან განსადიდებლად. ნუ გასცემთ მოწყალებას ბუკნაღარის ღრიალით, აბა, შემხედეთ რას ვაკეთებო. როცა სიკეთეს გასცემ მარჯვენა ხელით, იგი მარცხენამაც არ უნდა იცოდეს. შენი მოწყალება დაფარულ უნდა იქნეს, რამეთუ მას ჰხედავს მამა (ღმერთი) შენი და ის მოგიგებს შენ საზღაურსა სამაგიეროსა.

ნურც სხვისთვის სახილველად და სათვალთმაქცოდ ილოცებ. შედი შენს სენაკში, მიხურე კარი და იქ ილოცე ფარულად და ოდენ ღვთის სახილველად. ნურც ზედმეტს რასმეს იტყვით ლოცვისას, რამეთუ უფალმა თვითონვე იცის შენი სათხოვარი და საჭიროელი.

ლოცვით კი ასე უნდა ილოცოთ:

„მამაო, ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი. მოვიდეს სუფევა შენი, იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა. პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს. და მოგვიტევე ჩვენ ვალები

ჩვენი, როგორც ჩვენ მივუტევებთ მოვალეთა ჩვენთა. და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელსა, არამედ გვიხსენ ბოროტისაგან. რამეთუ შენი არს სუფევა და ძალი და დიდებაი საუკუნეთა მიმართ. ამინ!"

ყოველივე (ყოველივე-მეთქი!) ქმენი მხოლოდ გულწრფელად, მხოლოდ შენთვის, მხოლოდ ამ ერთადერთის — ღმერთის სახილველად, რამეთუ მან ერთადერთმან, მამამან შენმან, მოგისმინოს და მოგაგოს ყოველივე შენი სათხოვარი და საჭირველი.

როცა ადამიანები ყოველივე ამას გულწრფელად შეძლებენ — შურს, სიხარბეს და მტრობას ერთმანეთის მიმართ, საკუთარი თავის მსგავსად სიყვარულით შეცვლიან — აი, მაშინ დამყარდება „სასუფეველი ღმრთისაი ცათა შინა და ქუეყანასა ზედა". მაშასადამე, „სასუფეველი ღმრთისაი თქვენშივე არს",— ეუბნებოდა იესო ადამიანებს.

საწყისი და საძირკველი ადამიანთა შორის სიძულვილისა და მტრობისა არის სიხარბე მამონასადმი, სიმდიდრისადმი, ამიტომ: „უფრო ადვილია აქლემი გაძვრეს ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევიდოდეს ღვთის სასუფეველში"; „ნუ იუნჯებთ თქვენს საუნჯეს და ამ ქვეყნად, სადაც ჟანგი და მღილი ღრღნის მას, და სადაც ქურდნი თხრიან და იპარავენ; არამედ დაიუნჯეთ საუნჯე ზეცად"; „არავის ძალუძს ორი ბატონის მონობა... ვერ შესძლებთ ღმერთსაც ემონოთ და მამონასაც"; „ნეტარ არიან უქონელნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ სასუფეველი ღმრთისაი".

ხალხმა შეიყვარა იესო, ხოლო ფარისეველნი მოძღვარნი და მწიგნობარნი ამრეზით და აგდებით უცქერდნენ ახლადმოვლენილ მქადაგებელს.

მაგრამ ფარისეველ სწავლულთა და თვით სინედრიონის წევრთაგან გამოჩნდა ერთი, სახელად ნიკოდემოსი, რომელიც თურმე დიდხანს უსმენდა ქრისტეს, შეფარვით, და მერე ერთ ღამეს, იდუმალ, ეწვია მას, — მე შენთან მოვედი, ვითარცა მოძღვართანო, — უთხრა ნიკოდემოსმა იესოს — რადგან რაც კი შენგან მოვისმინე და სასწაულები ვიხილე, დავრწმუნდი, რომ შენში მართლა ყოფილა ღმერთი, მართლაც რომ ზეცით ყოფილხარ მოვლენილიო.

— ამინ, ამინ, გეუბნები: ვინც არ დაიბადება ხელახლა, ის ვერ იხილავს სასუფეველს, — მიუგო მაშინვე იესომ.

— მერე, ეგ როგორ იქნებაო, — გაოცდა ნიკოდემოსი — ადამიანი როგორ აღემატოს იმას, რაც მისთვის ბუნებას უბოძებია, ანუ როგორ უნდა დაიბადოს იგი ხელახლა; ამისთვის ხომ უნდა ვიგულისხმოთ სწორედ შეუძლებელი — დედის საშოში უკანვე შებრუნება და კვლავ ხელმეორედ დაბადება?!

— ადამიანი მხოლოდ გრძნობითი სამყარო როდია, — შეუდგა ახსნას ქრისტე — მასში არის აგრეთვე სული, ღვთიური არსის ნაპერწკალი. ისევე როგორც შენ გესმის ხმა ქარისა, გრძნობ მის სუნთქვას, მაგრამ ვერავითარ ძალმომრეობას ვერ იჩენ მასზე, არც ის იცი საიდან მოდის და საით მიდის, ასევეა ადამიანში შეგრძნება სულისა, ასევეა სულის მიერ ყველა შობილიც.

— მაინც რანაირად შეიძლება ეს მოხდეს?! — ისევ იკითხა გაშეთებულმა ლამის სტუმარმა.

— როგორ, შენ, ისრაელის მოძღვარმა ეს აღარ იცი? — თვითონაც გაიკვირვა იესომ და განაგრძო — ჩემში კი რწმენა ამისა ისევე ძლიერია, როგორც რწმენა თვალით ხილულისა და ყურით სმენილისა. შენ ჩემსას როგორ იწამებ, უკეთუ თვითონ შენში ცით მონაბერი სული ვერ გიწამებია? მხოლოდ იმ ცით მონაბერმა სულმა უნდა გასწავლოს შენ, რომ არსებობს უფრო მაღალი დანიშნულება გონებისა და მხოლოდ მასში რწმენის მიღწევა აღამაღლებს ადამიანს უზენაეს ღირსებასა და სიდიადეში. ასეა, რამეთუ ღმერთმა ადამიანი ბუნების სხეულისგან გამოძერწა და თავისი არსების სული შთაბერა, გონება მისცა, და მხოლოდ რწმენა გონებისა აძლევს ძალისხმევას ადამიანს მისი უზენაესი დანიშნულების შესრულებისთვის. გონება არ ებრძვის ინსტიქტებს, ოღონდ აკეთილშობილებს და წარმართავს მათ. ხოლო, ის ვინც არ ემორჩილება გონებას, თვითონვე წირავს თავის თავს, რადგან მან ვერ შეიგრძნო და შეიცნო სინათლე გონებისა. იგი დარჩა გონების ბრწყინვალებიდან გარეთ, შორს, რადგან ბოროტ ფიქრებს და საქმეებს ეშინიათ სინათლისა, სძულთ ბუნება თვისი და გაურბიან მონანიებას ცოდვათა. ხოლო, ვისაც გულწრფელად სურს ცოდვათაგან განიწმინდოს, მას არ აშინებს წარსდგეს გონების სამსჯავროზე, ის არ გაურბის თვითშეცნობას, სანამდეც მას ბოლოს და ბოლოს მიიყვანს სწორედ გონება. ყოველი ადამიანი აღსავსეა ასეთი, ღვთაებრივი სულით, ოღონდ უნდა მიაგნოს და იწამოს იგი. აი, ეს იქნება მისი მეორე დაბადება, სულით დაბადება.

იესო არ ებრძოდა მანამდელ, საუკუნეთა მანძილზე მკვიდრად და მკვრივად ჩამოყალიბებულ იუდაიზმს; იგი მხოლოდ ადამიანთა როგორც „ღვთის შვილთა" გაკეთილშობილებაზე ზრუნავდა. ღმერთიც, ვითარცა ერთი მთლიანი და განუყოფელი, ქრისტესაც ისე ესმოდა, როგორც მთელ მანამდელ ებრაულ მონოთეიზმს. ამიტომ იყო, რომ ერთი ფარისეველის კითხვაზე, — რომელი მცნება მიგაჩნია შენ უპირველეს მცნებადო, — ქრისტემ მაშინვე უპასუხა: „ისმინე ისრაელ: უფალი ღმერთი შენი უფალი ერთ არს!"

იგი იცავდა მოსეს ტრადიციულ სჯულსა და კანონს და პირდაპირ ამბობდა კიდეც: „ნუ გგონიათ, თითქოს მოვედი სჯულის, გინდა წინასწარმეტყველთა გასაუქმებლად. გასაუქმებლად კი არ მოვედი, არამედ აღსასრულებლად. რადგანაც ამინ გეტყვი თქვენ: სანამ არ წარხდება ცა და ქვეყანა, ერთი იოტა ან ერთი წერტილიც არ წარხდება სჯულისაგან, ვიდრე ყოველივე არ აღსრულდება. ამრიგად, ვინც დაარღვევს თუნდაც ერთს ამ უმცირეს მცნებათაგანს და ასე ასწავლის კაცთაც, უმცირესად იწოდება ცათა სასუფეველში, ხოლო ვინც აღასრულებს და ასწავლის, უდიდესად იწოდება ცათა სასუფეველში".

ყოველ ძველ ებრაულ დღესასწაულებსაც უკლებლივ დღესასწაულობდა და მათ რიტუალებსაც მკაცრად იცავდა იესო.

ბინა მუდამ ღარიბებთან და სნეულებით ხელდარეულ ადამიანებთან ედო,

ლუკმასაც მათთან იყოფდა, ლამესაც მათთან ათევდა. მათგან გამორჩეული და უპირატესი არაფერი უნდოდა. ღვთაებრივი სიკეთითა და სახიერებით აღსილი „კეთილისა“ და „სახიერის“ დაძახების ნებასაც არავის აძლევდა. „რაისთვის მეტყვი მე სახიერით? არავინ არს სახიერი, გარნა მხოლოი ღმერთი“, ხოლო, უკეთუ შენ სიკეთე და სახიერება ჟსურს, „უკეთუ გნებავს, რაითა სრულ იყო, წადი და გაყიდე მონაგები და მიეც გლახაკთა და გექნება საუნჯე ცაში“.

მისთვის არც ეროვნული განსხვავებულობა განასხვავებდა ადამიანებს ერთმანეთისაგან მისთვის ყოველი ერისანი იყო თანასწორი „მოყვასი“, თანასწორ „ღვთის შვილი“.

ერთხელ იერუსალემიდან გალილეას მობრუნებულმა გზად სამარიას გამოიარა. მოწაფეები საჭმლისთვის წარგზავნა, თვითონ კი ერთ ჭასთან, იქაურ ქალს შეხვდა და მწყურვალმა წყალი სთხოვა. გაოცდა ქალი: როგორ, შენ იუდეველი, მე სამარიელს წყალს როგორ მთხოვ? რადგან იუდეველსა და სამარიელს შორის რაა საერთო, გარდა მტრობისა?

მაშინ უთხრა იესომ იმ ქალს: შენ რომ იცოდე, რა წყაროზედაც გეუბნები, მაშინ შენ იუდეველობისა და სამარიელობის კვალობაზე კი აღარ მიპასუხებდი, არამედ შენ თვითონ დაეწაფებოდი იმ წყაროს თავდავიწყებით. ვინც ასეთ „ცხოველ წყალს“ დაეწაფება, სამუდამოდ წყურვილსაც დაირწყულებს და მარადიული სიცოცხლისაკენ მიმდინარე წყლის წყაროდაც იქცევიო მასში.

მაშინ დამარწყულე მაგ წყალსო, — შეჰღაღადა ქალმა — ვხედავ, რომ წინასწარმეტყველი ხარ და გამაგებინე რა არის განსხვავება და გასაყოფი ჩვენსა და თქვენს შორის, რომ ღმერთს, მამასა ჩვენსა, ჩვენ სამარიელნი თაყვანსა ვცემთ აქ, გარიზიმის მთაზე, თქვენ კი იქ, იერუსალემის მთაზე?

დამერწმუნეო, — უპასუხა ქრისტემ — დადგება დრო, როცა ღვთისადმი თაყვანისცემა აღარ იქნება არც ცალკე გარიზიმს, არც ცალკე იერუსალემს. დადგება, ანუ უკვე დადგა დრო, როცა ჭეშმარიტი თაყვანისმცემელნი მამა-ღმერთს თაყვანს სცემენ სულითა და ჭეშმარიტებით. ღმერთი სულია და მისი თაყვანისმცემლებიც სულითა და ჭეშმარიტებით უნდა სცემდნენ თაყვანს (და არა ოდენ ადგილმდებარეობით). მაშ, სულია უმთავრესი, გონება და მისი უმაღლესი გამოვლინება — სინდისებრივ-ზნეობრივი ქცევა კაცისა.

ქალი გაიქცა და მთელ სამარიას მოსდო ეს ამბავი. მე თვითონ მესია გამომეცხადაო და მითხრა ყოველივეო. და გამოეფინა ხალხი მასთან შესახვედრად.

მოწაფეებიც, მობრუნებულიყვნენ, საჭმლით ,დატვირთულნი. — მე თვითონ მაქვს საჭმელი, რომელიც თქვენ არ იცითო, — შეაგება ქრისტემ — ჩემი საჭმელი ის არის, ჩემი მომავლინებელის ნება და საქმე აღვასრულოო. თქვენ საჭამადზე და მოსავალ-მოსამკალზე ლაპარაკობთ; აი, შეხედეთ, უკვე ხარობს მოსავალი, რომელიც სხვამ დათესა ,და სხვა მოიმკის. ასევე უკვე ჩათესილია

მარცვალი სიკეთისა ადამიანთა გულში, უკვე კიდევაც გაღვივებულა და სანაყოფოდაც მოისწრაფის, ვინძლო თქვენ მოუაროთ, გაზარდოთ და სამკალად და სასთველოდ მოამზადოთ.

სამარიელებიც მიესივნენ და ეაჯნენ, დარჩენილიყო იგი მათთან... და დარჩა იესო სამარიას ორი დღე. დარჩა და თავისი სიტყვით და საქმით სასწაულით დაარწმუნა ყოველი, რომ იგია ჭეშმარიტი მესია, ქრისტე.

სამარიიდან გალილეას მივიდა, კანაში, სადაც მას ადრე წყალი ღვინოდ ექცია. ახლა კიდევ ერთი ყმაწვილი მომაკვდავი განკურნა და სალსალამათად დააყენა ფეხზე.

კანადან ბეთსაიდაში გადავიდა. იქაც განკურნა ტანგანრღვეული, მაგრამ შაბათ დღეს და ამიტომ აუხირდნენ, შაბათს არ უნდა განეკურნაო და სასიკვდილოდაც კი მიიწიეს. შაბათსაც არღვევსო და იმდენსაც ბედავს, თავს ღვთის შვილად აცხადებსო, — ყარყაშებდნენ გალილეველნი გალილეველ მოძღვარსა ზედა. ამაოდ უმტკიცებდა იესო თავისი მშობლიური კუთხის შვილებს: შვილი თავისთავად არაფერია, უკეთუ მამისგან მისი საქმე და იმ საქმის ძალმოსილება თან არ დაპყოლიაო; მამას უყვარს თავისი ძე და ყველაფერს მას ატანს შესამოქმედად, კიდეც უჩვენებს, რაი როგორ მოიმოქმედოს; თუნდაც ძეს: რომ მკვდარს აცოცხლებს, ამის უნარს იგი მის ძესაც თან აახლებს, ამიტომ ვინც პატივს არ სცემს ძეს, ის არ სცემს პატივს არც მამას, ძისა მომავლინებელს. ასეა, რადგან — როგორც მამას აქვს სიცოცხლე თავის თავში, ისევე მისცა მან ძესა თვისას უნარი სიცოცხლისა თავის თავში. მერე, თქვენ ხომ შაბათს ახდენთ წინდაცვეთას და, უკეთუ ამ დღეს წინდაცვეთა შეიძლება, სიკვდილისგან ავადმყოფის გადარჩენა რატომ არ შეიძლება?!

ნაზარეთშიც მივიდა, მშობლიურ დაბას. იქაურ სინაგოგაშიც იქადაგა. იქაც გააოცა ხალხი, მაგრამ, რაკი იქაური იყო, „შინაური მღვდელი“, არ იწამეს და აყარყაშდნენ იქაც:

— ვინ არის ეგ, ვინ მისცა მას ამდენი სიბრძნე და ძალა? ეგ ხომ იმ დურგალ იოსების ძეა? დედამისს ხომ მარიამ ჰქვია, ხოლო მაგის ძმებს — იაკობი და იოსე, სიმონ და იუდა? მაგის დებიც ხომ ჩვენთან არიან? და ვინ მისცა მას ვითომ ამდენი ცოდნა და უფლება?!

უყურა იესომ ამ თანამოძმე ბრბოის ბრიყვულ რუზრუზს და სთქვა ბოლოს კიდევ მარად საკაცობრიოდ სახსოვარი სიტყვა: „არა შეიწყნარების წინასწარმეტყველი მამულსა თვისსა და სახლსა თვისსა“.

ასე შინაურობაში გაწბილებულ იესოს ბევრი მიმდევარი ჩამოშორდა მაშინ. ამიტომ მაშინვე თავის მოწაფეებსაც შეეკითხა: „იქნებ თქვენც გნებავთ წასვლა?“

— ჩვენ სად უნდა წავიდეთ, უფალო, როცა ჩვენთვის საუკუნო სიცოცხლის სიტყვები გითქვამს, და ჩვენც ხომ ვიწამეთ და შევიცანით, რომ შენა ხარ ქრისტე, ძე ცოცხალის ღმერთისა, — შეჰღაღადა პეტრემ.

თვალი გადააავლო მოწაფეებს იესომ და თქვა: მე თქვენ თორმეტი გამოგარჩიეთ, მაგრამ ერთი თქვენგანი ეშმაკი არს.

ეს იყო პირველი მინიშნება იუდა ისკარიოტელის მომავალ ღალატზე...

არა და, უკვე ეძებდნენ იესოს მოსაკლავად, ეძებდნენ ყველგან, უმეტეს წილ სამხრეთში, იუდეაში.

მაგრამ სიკვდილისათვის ძებნისა მაინც არ ეშინოდა და ეს აკვირვებდა ყველას.

დაე, მეძიონ, ჯერ ჩემი დრო არ დამდგარაო; მალე იმდენსაც მეძებდეთ და ვეღარ მიპოვნოთო; სადაც მე ვიქნები, იქ თქვენ ვერ მოხვალთო, — ამბობდა იესო.

და უკვირდა ყველას, ასეთ ადგილს სად მიდის, სად უნდა დაიმალოს, რომ კაცთაგანმა ვერვინ მიაგნოსო.

იქნებ მართლა ქრისტეა, მესიაა, — ფიქრობდა ზოგი.

ნიკოდემოსსაც ეთქვა სინედრიონის საკრებულოზე: ის არ არის ჩვეულებრივი მქადაგებელი და განუსჯელად ნუ შევეცდებით მის მოკვეთას, შევხვდეთ, მოვუსმინოთ და ისე განვსაჯოთო.

შეშფოთდნენ მაღალი სამღვდელონი და მიახალეს ნიკოდემოსს: ეს რა, შენც გალილეველი შეიქენი? განა არ იცი, რომ გალილეა ვერასოდეს წინასწარმეტყველს ვერ წარმოშობს?!

კარვობის დღესასწაულზე იესო იერუსალემს მისულიყო. იჯდა და თითით მიწაზე რაღაცას ხაზავდა. უცებ მის წინ ქალი დაეცა. ადამიანთა ბრბოც მიაწყდა, ქვებით ზეაღმართულნი. ეგ ქალი მრუშობისთვის უნდა ჩავქოლოთო, ბღაოდნენ, და ის იყო, ქვები კიდევაც უნდა დაეშინათ, იესო წამოიმართა და ქვაშემართულებს შესძახა: ვინც თქვენს შორის უცოდველია, პირველმა იმან დაარტყას ქვა!

თქვა, დაჯდა და განაგრძო წერა მიწაზე.

ქალის ჩაქოლვის მოსურნეებს კი ყველას ქვა ხელში შეჰყინვოდა; და ეგრეევე დაიშალნენ და დაიფანტნენ.

დარჩა მხოლოდ ის ქალი.

წადი და ამიერიდან ნულარ სცოდავო, — უთხრა იესომ.

მერე ტაძარში მივიდა იესო მოწაფეებით. დიდხანს ათვალიერა და გარეთ რომ გამოდიოდა, ეს სთქვა: აქ აღარაფერი ქვა ქვაზედაც აღარ დარჩება, არამედ ყველაფერი დაინგრევაო.

იმ დღეს კიდევ რამდენიმე ადამიანი განკურნა იესომ, მათ შორის ბრმები, თვალები რომ აუხილა. მალე ხმა გავარდა, რომ სოფელ ბეთანიაში მკვდარიც აღადგინა მკვდრეთიდან, მისი საყვარელი მეგობარი ლაზარე.

მაშინ შეიყარა საგანგებო სინედრიონი, უმაღლეს სამღვდელოთა და ფარისეველ განმმარტებელთა; და შეუდგნენ ბჭობას, — როგორ მოვიქცეთო, ეს კაცი მრავალ სასწაულს ახდენს, ხალხიც მას მისდევს, თუ აგრე მის ნებაზე მივუშვით, მალე კაციც აღარ დარჩება, მას რომ არ მიემხროს; ბოლოს რომა-

ელებიც დაგვიმარტოხელებენ და ყოველივეს წაგვართმევენ სულით ხორცამდე.

მაშინ წამოდგა თვითონ მღვდელმთავარი ი ო ს ე ბ კ ა ი ა ფ ა და თქვა: არაფერი თქვენ არ იცით და არ ფიქრობთ, რომ უმჯობესია მოკვდეს ერთი კაცი ხალხისათვის, ვიდრე მთელი ხალხი დაილუპოს ერთი კაცისგან!

და დაადგინეს, მოეკლათ კაცი იგი, რომელსაც ეწოდებოდა იესო ქრისტე.

დაადგინეს, მაგრამ მათ შორის, ნიკოდემოსის გარდა, კიდევ იყვნენ ისეთნი, რომლებიც მოითხოვდნენ „იმ კაცის" ბედი გადაეწყვიტათ განსჯით, საქმის სამართლებრივი გამოძიებით და სინდისებრივი ზნეობრივობით, რისთვისაც საგანგებოდ უნდა მოეწვიათ „მეცნიერნი სჯულისანი და განეკითხათ და განებრძოთ მას ზედა".

23. ქართული ინტერლოგოსი

და მოვიდნენ მოციქულები საქართველოში, იერუსალემიდან მცხეთაში. მოვიდნენ, აქაური ებრაელობა შეჰყარეს და გამოაცხადეს:

იქ, იუდეაში, ჩვენ შორის გამოჩნდა კაცი, რომელიც თავს აცხადებს ძედ ღმრთისად; გადავწყვიტეთ, განვიხილოთ, გამოვიძიოთ და გავარკვიოთ ამ კაცის ქადაგებისა და ცხოვრებისა, დავადგინოთ მართებული სურათი მისი. ამისათვის იერუსალემს იკრიბებიან ანარჩევი სწავლულნი და მცოდნენი ჩვენებური სჯულისა და კანონისა, ძველთაგან დღემდე; და ამიტომ მოგიწოდებთ თქვენც, ქართველ ებრაელებს, წარმოგზავნოთ იერუსალემს თქვენი „მეცნიერნი სჯულისანი", რომლებიც ჩვენთან ერთად განიკითხავენ და გადაწყვეტენ „იმ კაცის" ქადაგებასაც, ცხოვრებასაც და მომავალ ბედიღბალსაც.

იმსჯელეს და განსაჯეს ქართველმა ებრაელებმა. განსაჯეს და აარჩიეს ორი თვისტომი იესოს განსასჯელ საკრებულოში გასაგზავნად.

ეს ორი რჩეული კი იყო — ე ლ ი ო ზ მ ც ხ ე თ ე ლ ი და ლ ო ნ გ ი ნ ო ზ კ ა რ ს ნ ე ლ ი.

უკვე გზას ადგნენ.

და მივიდა ელიოზთან დედა, და უთხრა, დაბეჯითებით:

„წადი, შვილო, საყვარელო, მიწოდებითა მეუფისა და წესსა სჯულისასა; გარნა ეს ერთი საგანგებოდ გულს დაიმარხე: არ შეერთო განზრახვასა ბოროტსა და არცა აზიარო აზრი შენი დათხევასა სისხლისასა მის მისასა! ნუ, შვილო, ჩემო, გეევედრები, ნუ! რამეთუ უეჭველად უწყოდე, რომ იგი არს სიტყვა წინასწარმეტყველთა, პირველითგანვე (მესია-ღვთაებად) ნაწინასწარმეტყველები!"

უკვე იერუსალემის გზას ადგნენ ელიოზ და ლონგინოზ...

24. ᲛᲔᲡᲘᲐ (ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ)

მაშ, დაადგინა სინედრიონმა, მოეკლათ კაცი იგი, რომელსაც ეწოდებოდა იესო ქრისტე.

შეიტყვეს ეს იესომ და მისმა მოწაფეებმა. გაშორდნენ იერუსალემს და გავიდნენ უდაბნოში, ქალაქ ეფრაიმის ახლოს.

ახლოვდებოდა ფესახის დღესასწაულები. და კითხულობდა ყოველი კაცი, მოყვარეც და მომტერეც, მოვა თუ არა იერუსალემს დღესასწაულზე კაცი იგი მესასწაულე, იესო ქრისტედ რომ იწოდება?

თუ ვინმე შეიტყობთ მის ადგილსამყოფელს, გვაცნობეთო, — ბრძანება გაეცათ სინედრიონის მესვეურებსაც.

პასექამდე ექვსი დღით ადრე კი, იესო თავისი მოწაფეებით ისევ ბეთანიას მოსულიყო, ლაზარეს სახლში. სერობად ისხდნენ და ლაზარეს დები, მ ა რ თ ა და მ ა რ ი ა მ ი ემსახურებოდათ.

უცებ მარიამმა ერთი ლიტრა წმინდა ნარდის ძვირფასი ნელსაცხებელი შემოიტანა, იესოს ფეხებზე წაუცხო და მერე ფეხები საკუთარი თმებით შეუმშრალა. სახლი სურნელით აივსო.

ამის შემხედვარე მოწაფეთაგან ერთმა, იუდა ისკარიოტელმა თქვა: რატომ არ გაიყიდა ეს ნელსაცხებელი სამას დინარად და გლახაკებს არ დაურიგდათ?

იუდა მათი მოლარე იყო, საერთო ყულაბა იმას ებარა და ზოგჯერ იპარავდა კიდეც ზედმეტნაკლებად. ახლაც ეს აწუხებდა და არა გლახაკთა ბედი. მაგრამ არავინ არაფერი უთხრა. მხოლოდ იესომ წაულაპარაკა ხმადაბლა: კარგი, მოეშვი, ეგ ჩემი დამარხვისთვის შემოინახოო, გლახაკები ყოველთვის გვერდით გეყოლებათ, მე კი აღარ გეყოლებით; მან რომ ნელსაცხებელი მცხოტანზე, ამით ხომ დასამარხად გამამზადაო.

მცირე ხნის შემდეგ იუდა გავიდა და მივიდა იერუსალემს, სინედრიონის საკრებულოზე და აღუთქვა, რომ გასცემდა იესოს; სამაგიეროდ მღვდელმთავრებმა მას მიუწონეს 30 ვერცხლი.

გაიგო ხალხმა ადგილსამყოფელი იესოსი და მიაწყდა ბეთანიას.

იქიდან გამოაცილეს იერუსალემს მომავალი.

იერუსალემიც ფეხზე დადგა. ხალხი ბეთანიის მხარეს გამოიჭრა და პალმის რტოებით შეეგება კიცვზე ამხედრებულსა და მოწაფეებით გარშემორტყმულ იესოს.

„ოსანა, ძესა დავითისასა! კურთხეულ არს მომავალი უფლის სახელით, მეუფე ისრაელისა! ნუ გეშინია, ასულო სიონისაო! აჰა, მოდის შენი მეუფე, აღმჯდარი კიცვსა ზედა! ოსანა მაღალთა შინა!“

გრიალებდა ხალხი.

ელეონზე ავიდა და იქ დადგა იესო. უფუარობის პირველი დღეც ჩამოდგა, როცა საპასექე კრავი უნდა დაეკლათ. მაშინ მივიდნენ პეტრე და იოანე და

ჰკითხეს მოძღვარს: სად ინებებ საპასექო ტაბლის გაშლასო. ამაზე იესომ უპასუხათ: წადით და ქალაქში შესვლისთანავე კაცი შეგხვდებათ, ხელში წყლიანი დოქით, და ის იქნება ჩვენი მასპინძელიო.

ასედაც მოხდა. საპასექო ტაბლა მასპინძელს დიდ დარბაზში გაეწყო. ქრისტე და მისი მოწაფეებიც მივიდნენ, მიმწუხრის ჟამს.

ჯერ ფეხები თავის ხელით დაბანა შოწაფეებს იესომ. მე მაგალითი მოგეცით თუ როგორ უნდა მოექცეთ ერთმანეთს,—უთხრა მან გაოცებისგან დათრგუნვილებს.

და შემოუსხდენ სერობად ტაბლას.

და თქვა იესომ: „ამინ, ამინ გეტყვი თქვენ, რომ ერთი თქვენგანი გამცემს მე".

ერთმანეთს დაუწყეს თვალებით ჩხრეკა მოწაფეებმა — ვის გულისხმობსო მოძღვარი. იოანემ, რომელიც იესოს გვერდით უჯდა, მკერდზე სულ მიეკრა და ჰკითხა — ვის გულისხმობო?

— ვისაც ჩაწებულ ლუკმას მივცემო, — მიუგო იესომ და მაშინვე ლუკმა ჩააწო და მისცა იუდას. მისცა და უთხრა: რასაც აკეთებ, მალე გააკეთეო.

მაგრამ ვერავინ მიხვდა, რას ნიშნავდა მოძღვრის ეს ნათქვამი. ზოგმა იფიქრა, ალბათ იმ ყულაბაზე უთხრაო — ეგ ფული პასექისათვის, ან უქონელთათვის გაიხარჯეო.

და იუდა ისე გავიდა, საეჭველად არავის არაფერი დარჩენია.

იესომ კი თქვა: „აწ იდიდა ძე კაცისა და ღმერთი იდიდა მის მიერ", და მიუბრუნდა მოწაფეებს, უკვე თერთმეტს: შვილებო, ცოტა ხანიც და მე თქვენთან აღარ ვიქნები, ძებნას კი დამიწყებთ, მაგრამ როგორც უკვე ვუთხარი იუდეველებს — სადაც მე მივალ, იქ თქვენ ვერ მოხვალთ-მეთქი — იგივეს გეუბნებით ახლა თქვენც. გაძლევთ ახალ მცნებას, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი, ანუ როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, ასევე გიყვარდეთ თქვენც ერთმანეთი.

გაოგნებული უსმენდნენ მოწაფენი.

მერე, როგორც იქნა, ხმა ამოიღო პეტრემ: „უფალო, სად მიხვალ?"

სადაც მე მივალ, შენ ამჟამად ვერ გამომყვები, მერე კი გამომყვებიო,— უპასუხა იესომ.

„უფალო, რატომ ვერ გამოგყვები ამჟამად? სულს დავდებ შენთვის!" — ამაყად შესძახა პეტრემ.

სულს დადებ ჩემთვის? — მწარედ გაეღიმა იესოს — სულს დადებ კი არა, ამინ გეტყვი შენ: სანამ მამალი იყივლებდეს, სამჯერ უარმყოფ მე.

პასუხი აღარავის დააცადა, პური აკურთხა, დატეხა, ყველას სათითაოდ ჩამოურიგა და უთხრა:

„მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი".

მას უკან აკურთხა ღვინო, ისიც ჩამოატარა და უთხრა:

„ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისაი, მრავალთათვის დათხეული ცოდვათა მიტევებისათვის“.

ნუ შეძრწუნდებითო, — განაგრძობდა ქრისტე — გწამდეთ ღმერთი და მიწამეთ მე. მამიჩემის სახლში ბევრი სავანეა, და როცა წავალ, ადგილს გაგიმზადებთ, კვლავ მოვალ და ჩემთან წაგიყვანთ, რათა სადაც მე ვიქნები, თქვენც იქვე იყოთ.

მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე.

მე ვარ მამა და მამა ჩემში არს.

თუ გიყვარვართ, დაიცავით ჩემი მცნებანი.

მამასთან მივდივარ-მეთქი, ვინაიდან მამა ჩემზე უდიდესია...

მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი, მამა კი ჩემი მევენახეა, და ყველა ლერწს ჩემსას, რომელსაც ნაყოფი არ გამოაქვს, სხლავს, ხოლო რომელსაც ნაყოფი გამოაქვს, წმენდს, რათა უფრო მეტი ნაყოფი გამოიღოს. მე ვარ ვენახი, ხოლო თქვენ ლერწები ხართ. ვინც ჩემში რჩება და მე მასში, დიდძალი ნაყოფი გამოაქვს, ვინაიდან უჩემოდ არაფრის ქმნა არ შეგიძლიათ. ვინც არ დარჩება ჩემში, უნაყოფო ლერწივით მოისხვლება, გადაიგდება და გახმება; ხოლო შემდეგ გამხმარს მოაგროვებენ, ცეცხლში ჩაყრიან და დაწვავენ.

და ასე, თუ დარჩებით ჩემში, და ჩემი მცნებანი დარჩება თქვენში, ყველაფერი რაც გსურთ ითხოვეთ და შეგისრულდებათ. ამით იდიდება მამა ჩემი, თუ გამოიღებთ ნაყოფს უხვსა და იქნებით მოწაფენი ჩემი. როგორც მე შემიყვარა მამამ, მეც ასევე შეგიყვარებთ თქვენ. თუ დაიცავთ ჩემს მცნებებს, დარჩებით ჩემს სიყვარულში; როგორც მე დავიცავი მამის ჩემის მცნებანი და ვრჩები მის სიყვარულში.

არავისა აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვიდრე სულის დადება მეგობრებისთვის. თქვენ კი ჩემი მეგობრები ხართ, უკეთუ ასრულებთ იმას, რაიც გამცნეთ თქვენ...

თქვენ კი არ ამირჩიეთ მე; არამედ მე აგირჩიეთ თქვენ, და დაგადგინეთ, რათა წახვიდეთ და ნაყოფი გამოიღოთ.

ამას გამცნებთ თქვენ, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი.

თუ ქვეყანას სძულხართ, იცოდეთ, რომ მე მომძულა უწინ.

ამ ქვეყნისანი რომ იყოთ, ქვეყანას ეყვარებოდით, რადგან თავისი ეყვარებოდა; მაგრამ რაკი ამ ქვეყნისანი არა ხართ, არამედ მე გამოგარჩიეთ ქვეყნისგან, ამიტომაც სძულხართ ქვეყანას. ამიტომ თუკი მე მდევნეს, თქვენც დაგიწყებენ დევნას; თუ ჩემი სიტყვა დაიცვეს, თქვენსასაც დაიცავენ.

ვისაც მე ვსძულვარ, მამაც სძულს ჩემი.

და მომიძულეს მეცა და მამაც ჩემი.

მომიძულეს მე უმიზეზოდ.

და, აჰა, მოდის ჟამი, როცა თქვენ გამოგყრიან საკრებულოთგან და ყველა თქვენს მკვლელს ეგონება, რომ ამით ღმერთსა სწირავს მსხვერპლს. და ასე მოგექცევიან იმიტომ, რომ ვერც მამა იცნეს და ვერცა მე...

კვლავ ბევრი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ ამჟამად ვეღარ იტვირთავთ. ხოლო როდესაც მოვა იგი, სული ჭეშმარიტებისაი, წაგიძღვებათ თქვენ ყოველი ჭეშმარიტებისაკენ. იგი გაუწყებთ მომავალს თქვენ. ის მადიდებს მე, რადგან ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ.

ცოტაც და ვეღარ მიხილავთ მე, და კიდევ ცოტაც და მიხილავთ მე, ვინაიდან მამასთან მივალ...

ამინ, ამინ, გეტყვით თქვენ, რომ იტირებთ, ივაგლახებთ, ხოლო ქვეყანა იხარებს; თქვენ მწუხარენი იქნებით, მაგრამ წუხილი სიხარულად გექცევათ...

მამისაგან გამოვედი და ქვეყნად მოვედი; და კვლავ ვტოვებ ქვეყანას და მამასთან ვბრუნდები.

შეგონებანი მოთავდა.

იგალობეს და, ღამე კარგა ხნის განზოგადებული იყო, როცა იესომ მოწაფენი გარეთ გამოიყვანა, კედრონის ხევი გაატარა და ისევ ზეთისხილის (ელეონის) მთაზე აიყვანა.

მერე მოწაფეთაგან სამი აარჩია — პეტრე, იაკობი და იოანე — დანარჩენებს უთხრა, მანდ ისხედითო, თვითონ კი ის სამი წაიყვანა და ქვემოთ, ქვის სასროლ მანძილზე, ჩავიდა ბაღში, რომელსაც ერქვა გეთსიმანი.

ჩავიდა, რათა ელოცა... უკანასკნელად ელოცა.

და, ჯერ ეს უთხრა თანწამოყვანილ პეტრეს, იაკობს, იოანეს:

„შეწუხებულ არს სული ჩემი, წინარედ სიკვდილისა; იყავით აქ და იფხიზლეთ“.

მცირეზე გაშორდა მათ, მიწაზე დაემხო და ლოცულობდა მხურვალე ლოცვით.

ლოცულობდა და შესთხოვდა უფალს: „მამაო ჩემო! თუკი შესაძლოა, ამცდეს ეს სასმისი; თუმცა არა როგორც მე მნებავს, არამედ როგორც შენ!“

ერთი საათი ილოცა და იურვა.

იმ სამეულთან მობრუნდა და იხილა, სამივეს დასძინებოდა.

და უთხრა საყვედური: ერთ საათსაც ვერ გასძელით, რომ ჩემთან ერთად გეფხიზლათ? ეხლა კიდევ არ დაიძინოთ, იფხიზლეთ და ილოცეთ, რათა არ მოხვდეთ საცდუნებელში; სული მხნეა, მაგრამ ხორცია უძლური..

ეს უთხრა და ისევ შებრუნდა ლოცვად და ურვად. ისევ ესიტყვებოდა ღმერთს: „მამაო ჩემო! თუკი შეუძლებელია ამცდეს ეს სასმისი, რათა არ შევსვა იგი, დაე იყოს ნება შენი!“

მობრუნდა და ისევ იხილა მძინარენი პეტრე, იაკობ და იოანე. ისევ გაალვიძა და ისევ სთხოვა, იფხიზლეთო.

ისევ გაბრუნდა და ილოცა მესამედ.

მობრუნდა და ისევ ეძინათ.

კვლავინდებურად გძინავთო? — გააღვიძა ისევ სამივენი — „რა დროს

ძილია, როცა მოაწია დრომ, და ძე კაცისა მიეცემა ცოდვილთა ხელში. ადექით, წავიდეთ: აჰა, მოგვიახლოვდა ჩემი გამცემი“.

და, მართლაც, იესოს სიტყვა არ დაესრულებინა, რომ ბაღში ხალხი შემოჭრილიყო, ჩირაღდნებით, მახვილებით და წათებით აღჭურვილნი. წინ მაღალი სამღვდელონი მოუძღოდნენ; ყველაზე წინ კი, მათი მეგზური, ოცდაათ ვერცხლზე გაყიდული იუდა ისკარიოტელი.

თურმე წინასწარ ამას შეზრახვოდა იუდა, წამოსვლისას, მის შემსყიდველებს, — ქრისტე რომ ამოიცნოთ, მე რომელსაც ვაკოცებ, იმით მიხვდით და ის შეიპყარითო. და აჰა, იგი მსწრაფლ მივარდა იესოს, შესძახა: „გიხაროდეს, რაბი!“

და ეამბორა.

(იუდას ამბორი!)

„მოყვასო, რაისთვის მოსულხარ, იმად რომ ამბორით გასცემ ძესა კაცისასა?!“ — მხოლოდ ამის კითხვა მოასწრო ქრისტემ.

მიცვივდნენ, ყიჟინით, გნიასით, ხორხოცით, ყარყაშით, და შეიპყრეს.

პეტრემ სცადა მიშველიება, — მახვილი იძრო და მოუქნია მოძღვარზე მიძალებულ ვინმეს, მღვდელმთავრის მონას, სახელად მ ა ლ ქ ო ს ს, მოუქნია და ყურიც ჩამოათალა.

მეორედ მოქნევა კი თვითონ იესომ აღარ აცალა, ამ შეძახილით:

„ჩააგე მახვილი, რამეთუ ყოველი, ვინც მახვილს აიღებს, მახვილითვე დაიღუპება!“

და ესეც დაუმატა: „ან იქნებ გგონია, რომ არ შემიძლია მივმართო მამასა ჩემსას, და წარმომიდგენს ანგელოსთა თორმეტ რაზმეულს და უფრო მეტსაც, მაგრამ მაშინ როგორღა აღსრულდება წერილი, რომ ეს ასე უნდა მოხდეს?“

იგი წაიყვანეს.

მოწაფენი მიმოიფანტნენ.

მხოლოდ პეტრე მიჰყვა იმათგან.

კაიაფა მღვდელმთავრის სიმამრის, ა ნ ნ ა ს სახლში მიიყვანეს იესო. იქ შეკრებილიყო საგანგებო სინედრიონი.

პეტრე ეზომდე მიჰყვა. იქვე, იქაურ მსახურებთან ერთად, ცეცხლს მიუჯდა და მიეფიცხა.

იესო კი უკვე სახლში შეეყვანათ და წარედგინათ წინაშე სინედრიონისა.

ყველა იქ მყოფს, სახეზე, მოყვანილის მიმართ სიკვდილის წყურვილი წაეკითხვოდა.

მხოლოდ მოწმე რქმეოდა, თუნდაც ცრუმოწმე, რომელიც მის რაიმე დანაშაულს დაადასტურებდა; ეძებნათ და ვერ ეპოვნათ ასეთი მოწმე-მაბეზღარი.

მერე მოიყვანეს ასეთი მაბეზღარი, მეორეც მოიყვანეს, კიდევ ვიღაც. მაგრამ არეულად ლაპარაკობდნენ. ნაბეზღარს ერთმანეთს ვერ უდარებდნენ და ვერ ამთხვევდნენ. მხოლოდ ერთი რამ სთქვა ერთმა, გამოკვეთილად: ეგ კაცი

იქადნებოდაო უფლის ტაძარზე — ამ ხელთქმნილ ტაძარს დავანგრევ და სამ-
დღეში ახალს, ხელთუქმნელს ავაგებო.

ამას კი ყველა ადასტურებდა.

იესო კი არაფერზე არ პასუხობდა.

ურყევად იდგა და ურყევად დუმდა.

მაშინ წამოდგა მღვდელმთავარი და ჰკითხა ქრისტეს: რატომ არაფერს-
იტყვი იმის პასუხად, რასაც ესენი შენს წინააღმდეგ მოწმობენ?

იესო კვლავ სდუმდა. თითქოს იგი იქ არც ყოფილიყოს; თითქოს იმითაც,
ვინც ახლა მას ასე თავგამოდებით ეყარყაშებოდა, არარა განეცდებოდა, არა-
რა გაეაზრებოდა.

ბოლოს ისევ მღვდელმთავარმა ჰკითხა, მღელვარედ:

„გაფიცებ ღმერთსა ცხოველსა, გვითხარი ჩვენ, შენა ხარ თუ არა ქრის-
ტე, ძე ღმრთისაი?“

„შენ სთქვი“, მოკვეთა ქრისტემ და განაგრძო:

„და ამასაც გეტყვით თქვენ: ამიერიდან მალე იხილოთ ძე კაცისაი მჯდო-
მარე ღვთის მარჯვნივ და მოსავალი ღრუბელთა ზედა ცისათა“.

ეს რომ ისმინა, აზვავდა მღვდელმთავარი, სამოსელი დაიპო ტანზე და
იყვირა:

„ჰხედავთ, მან ღმერთი დაჰგმო! სხვა მოწმეები რაღად გვინდა? ხომ მო-
ისმინეთ ღვთისგმობა მისი? აბა, რას იტყვით?“

და უპასუხა სინედრიონმა ერთხმად:

„სიკვდილი! მხოლოდ სიკვდილის ღირსია იგი!“

და მიესივნენ იესოს, მიესივნენ და ანერწყვავდნენ, სახეში სცემდნენ,
თვალებზე ხელს აფარებდნენ, ყვრიმალებზე ურტყამდნენ და მისძახოდნენ —
აბა, ქრისტეე, გვიწინასწარმეტყველე, ვინ დაგარტყა შენ?

პეტრე კი ამ დროს ისევ ეზოში თბებოდა ცეცხლთან. უცებ მასთან ერთი
მხევალი ქალი მიეიდა და უთხრა, — შენ ხომ იესო გალილეველთან იყავიო?

— არა, არ ვიცი, რას მეუბნებიო, — უარყო პეტრემ, და ჭიშკრისაკენ
გაიწია.

ჭიშკართან კიდევ მეორე მხევალი დაუხვდა და ახლა იმან უთხრა იგივე,
სხვების გასაგონად: ეს კაციც იესო ნაზარეველთან იყო!

ცოტა ხნის შემდეგ სხვებიც მიადგნენ და მიაწვნენ პეტრეს: ჭეშმარიტად
შენც ერთი იმათგანი ხარ, იმ გალილეველის კაცთაგანი, რადგან გალილეველი
კილოც გამხილებსო შენ.

მაშინ გაცხარდა პეტრე. მოჰყვა წყევლას და ფიცს, — არ ვიცნობ მაგ ია-
სო გალილეველს და რას ჩამაცივდითო.

და სწორედ ამ დროს მამალმაც იყივლა.

და უმალვე გაახსენდა პეტრეს იესოს ნათქვამი: მამლის ყივილამდე სამ-
ჯერ უარმყოფო.

მაშინვე გარეთ გამოვარდა და ატირდა მწარედ, მწარედ...

უკვე ინათა.

სამღვდელოთა საკრებულოს იესოსთვის სიკვდილი გადაეწყვიტა.

მაგრამ სიკვდილის სისრულეში მოყვანის უფლება მხოლოდ რომაელ პროკურატორს ჰქონდა.

პროკურატორი კი პილატე პონტოელი იყო.

და წაიყვანეს მხრებგაკრული იესო რომაულ პრეტორიუმში, პილატესთან.

მივიდნენ და მიიყვანეს ტყვე. მაგრამ თვითონ არ შევიდნენ ებრაელი სამღვდელონი წარმართულ პრეტორიუმში, რამეთუ არ წავიბილწოთ ამ პასექის დღესასწაულსო.

თვითონ გამოვიდა პილატე და ეს სურათი რომ იხილა, ჰკითხა სინედრიონებს — რას უჩივით და რა ბრალს სდებთ ამ კაცსო?

საჩივარი და საბრალობელი რომ არ იყოს, არც მოვიყვანდითო, — იყო პასუხი.

მაინც რას უჩივითო?

მოსეს სჯულსა და კანონს ებრძვისო, იერუსალემის ტაძრის დანგრევას აპირებსო.

მერე, ეგ ხომ თქვენებურად ღვთის გმობაა და სხვა არაფერი. ამიტომ თქვენც ადექით და თქვენი სჯულის კანონებით განიკითხეთ და გაასამართლეთო, — ხელი აიქნია რომაელმა.

— მარტო ღვთის გმობა კი არა, ეს კაცი თავს იუდეიის მეფედ აცხადებს, ხალხს აჯანყებს და ამით რომის კეისარს ემეტოქება. ამისთვის ხომ სიკვდილი ეკუთვნის, ჩვენ კი სიკვდილის განაჩენის უფლება არა გვაქვს, შენ კი უფლება გაქვს და კიდევაც გევალება სიკვდილით დასაჯოო, — მიაწვნენ სოფერიმები.

კეისრის მეტოქეობაო? ხალხის აჯანყებაო?! — ახლა კი უნდა დაფიქრებულიყო და დამფრთხალიყო პროკურატორი.

და მაშინვე შეიყვანა სასახლეში იესო, მარტოდმარტო სიტყვასაუბრად.

შენ მართლა იჩემებ იუდეიის მეფობასო? — ჰკითხა პილატემ.

შენ თვითონ მიიჩნევ მაგას ჩემ ნათქვამად, თუ ისინი რომ მაბრალებენ, იმას უგდებ ყურსო? — თავისად ჰკითხა იესომ.

განა, მეც ებრაელი ვარ, რომ შენი ხალხისგან მეფეს ველოდეო; შენიანები, იუდეველები გდებენ შენ ბრალს იუდეიის მეფობის აჩემებაში, და ისეთი რა ჰქენი, რომ გაბრალებენო? — უფრო მიაცივდა პილატე.

ისინი არა სტყუიან, რომ მეფობას ჩემსას ვამბობ, მაგრამ ჩემი მეუფება სულ სხვაა, ვიდრე მათ ესმითო, — ამბობდა ქრისტე — ჩემი მეფობა არ ამქვეყნიური არისო, და ასე რომ არ იყოს და მეც ჩვეულებრივ მეფობას ვგულისხმობდე, მაშინ მე, ვითარცა მეფეს ამქვეყნიურს, უნდა მყოლოდა მსახურნი, მებრძოლნი ჩემდა მბრძოლნი და მე აღარ ვიქნებოდი პყრობილი მპყრობელთაგან ჩემთა. ამიტომ ვამბობ, რომ მეუფება ჩემი არა არს ამიერ მიწა-სოფლისაო, — მშვიდად დაასრულა იესომ.

— მაგრამ რაკი შენ შენს მეუფებაზე ლაპარაკობ, მაინც ხომ მეფედ აცხადებ თავს? — ჩასდია პილატემ.

— რაკი შენ ასე ამბობ, დე იყოს ასე: მე დაბადებული და მოვლინებული ვარ ჭეშმარიტებისათვის, ჭეშმარიტების სასწავლებლად და, ვინც ჭეშმარიტება შეიცნო და შეიყვარა, იგი აჰყვა ხმასა ჩემსა და გზასა ჩემსა, — სთქვა მეუფემან ჭეშმარიტებისამან.

ჭეშმარიტებაო?!

— რაი არს ჭეშმარიტება? — იკითხა პილატემ გაოცებით.

?!

(ისეთი იყო გონი პილატესი, მის გლემურძოვან გარსში ვერ შეაღწია სიცხოველემ და სინათლემ ლოგოსისა: „ჭეშმარიტება"!).

და გამოვიდა, და გამოუცხადა პილატე პონტოელმა ფარისეველ სამღვდელოთა უმაღლეს საკრებულოს:

— მე ამ კაცში საბრალდებოდ ვერაფერს ვპოებ!

ვერაფერს ვპოებო?!

„ჯუარს აცუ, ჯუარს აცუ, ჯუარს აცუ ეგე!" — იბღავლეს რაბინებმა და მასთან შეყრილმა ბრბომ (რომელსაც ხანდახან „ხალხი(ც)" ეწოდება).

ხელი აღმართა პილატემ და განაგრძო: ეს კაცი არ იმსახურებს-მეთქი სიკვდილს, მაგრამ კიდევაც რომ იმსახურებდეს, აკი ყოველ თქვენს დღესასწაულ პასექზე ჩვენ რომაელნი ვათავისუფლებთ ერთ დამნაშავეს, სიკვდილ-მისჯილს, და მოდით, ახლა ეს იყოს იესო.

მაგრამ კვლავ აღრიალდნენ ფარისეველი მოძღვარნი და მასთან ბრბო (ხანდახან რომ „ხალხი(ც)" ჰქვია):

— არა, ეგ არა, იესო არა, არამედ ბარაბას აპატიე, ბარაბა გაათავისუფლეო!

ეს ვიღაც ბ ა რ ა ბ ა კი, ყაჩაღობის და მკვლელობისთვის ყოფილიყო სიკვდილ-მისჯილი.

— მაშინ რაი ვუყოთ იესოს, ქრისტედ წოდებულსო, — იკითხა პილატემ.

— ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ ეგე! — კვლავ შეარყია ზეცა ბღავილმა.

ერთ ხანს უცქირა გულდრკუ და გონებაბრჯგუ რომაელმა ცოფით ატანილ ბრბოის (ზოგჯერ რომ „ხალხი(ც)" ეწოდება) ლოშქრიან პირებს, ჩასისხლულ თვალებს, ყიყვიან კისრებს და გადაწყვიტა: ეს ვიღაც ქრისტეა, განა ჰღირს მაგისთვის ახალი შფოთის ატეხვაო, და... წყალი მომიტანეთო, ბრძანა.

და მორათვეს წყალი.

და დაიბანა ხელები პილატემ, დაიბანა და თქვა სიტყვები კაცობრიობის მარადიულად შემარცხვენელი:

„უბრალო ვარ მე სისხლისაგან მაგისისა. თქუენ იხილეთ!"

შენ არხეინად იყავიო, — იბღავლეს ფარისეველთა — „სისხლი მაგისი ჩუენ-ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა იყოს!"

და გადაწყდა ვნება ქრისტესი პილატე პონტოელის „დაბანილი ხელების“ ნებით.

სცეს შოლტით.

გააშიშვლეს და, „ვითარცა მეფეს“ წამოასხეს ძოწის ქლამინდი.

შეთხზეს გვირგვინი ეკალთაგან და, „ვითარცა მეფეს“ ჩამოაცვეს თავზე.

მარჯვენა ხელში მისცეს არგანი, ვითარცა „კვერთხი მეფისა“.

მუხლი მოიყარეს მის წინაშე, ვითარცა „მეფის წინაშე“, და მიუმღერდნენ, სიცილით, ღმეჭით: „გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათა!“

და ნერწყვავდნენ, აფურთხებდნენ სახეში და ჯოხებით სცემდნენ.

და როცა ყველამ— ებრაელთა და რომაელთა — ცემით, ფურთხებით, კიცხევით გული იჯერეს, ძოწეული მოჰხადეს და ისევ მისი სამოსელით შემოსეს.

და უტვირთეს ჯვარი უმძიმესი და, რომაული კენტურიის თანხლებით, დაძრეს ჯვარცმად გოლგოთისაკენ.

გოლგოთა!

(გაელინურებული ებრაული სიტყვისაგან — „გულგოლეთ“, რაიც ნიშნავს „თავის ქალას“).

პრეტორიუმიდან გოლგოთამდე კი ორი ათასი ნაბიჯია.

გზა, რომელსაც სამარადჟამოდ დაერქმევა — „ვია დოლოროზა“, „გზაი მწუხარებისა“, გინა „ვნებისაი“.

თოთხმეტჯერ დაეცა ამ გზაზე ჯვარკიდებული იესო.

მჯიღი აძგერეს ტანზე 122-ჯერ, სახეზე 30-ჯერ, ყვრიმალზე 27-ჯერ

კვერთხი შემოჰკრეს და გადაჰკრეს 205-ჯერ.

ისევ მჯიღი კისერსა და წელსა — 22-ჯერ.

ისევ მჯიღი კისერსა და წელსა — 28-ჯერ.

თოკით თრევა — 11-ჯერ.

გმინვა მისიკვდილებისა — 35-ჯერ.

ცემა შოლტით — 6666-ჯერ.

ცემა ნაწყლულევზე ლერწმით — 1-ჯერ.

ცემა ეკლისა ხურთით — 22-ჯერ.

შენერწყვება პირსა — 22-ჯერ.

სისხლი აქცევინეს მიწამდე — 1125-ჯერ.

მიერეკებოდნენ: რომაელი ლეგიონერი 508, პანესაკნი მსახურეულნი 103, შემთოკელ-შემკვრელნი 5, დანარჩენნი მოსეირენი, მომტერენი, მოსარჩლენი — ურიცხვნი.

მხოლოდ „ვინმე სიმონ კირენელმა, ველით მომავალმა“, შეაშველა მცირე ხნით ხელი იესო ტანჯულის ტვირთსა მძიმესა.

ძლივს აიტანა ჯვარი და სული გოლგოთას.

აქ სამი ჯვარი აღემართათ. შუათანაზე თვითონ გალურსმეს იესო.

აქეთ-იქით — ავაზაკნი, „ძვირის მოქმედნი“.

იდგა ხალხი და უცქერდა, ვინ თვალსაჩინოდ, ვინ ნეტარებით, ვინ შეძრწუნებით, წუხილითა თუ სინანულით.

ვიღაცა შესძახოდა: ჰეი, ტაძრის დამრღვევო და სამ დღეში ამშენებელო! იხსენ თავი შენი და ჩამოდი ჯვრიდან!

კიდევ ვიღაცა: მხსნელი ვარო, რომ გაიძახდა, თავის თავი კი ვერ დაუხსნია!

კიდევ: თუ ღმერთის ძე ხარ, რაღას წვალობ, იხსენი თავი!

ვიღაცეები მწარედ ტიროდნენ.

იდგნენ აქ — ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი, ქართველი ებრაელნი.

გასამართლებისთვის ვეღარ მოესწროთ „მეცნიერთა სკულისათა".

გოლგოთისთვის მოესწროთ.

იდგნენ ახლა აქ და ტიროდნენ.

უცებ გამოაცხადეს — წილის გდება ხდებაო იესოს სამოსელზე.

ქართველებმა გადაასწრეს და მიცვივდნენ ზედ ჯვარცმის ძირში, სადაც რომაელი ათასისთავი უკვე არიგებდა საწილო ნიშნებს.

ჩაერთვნენ ქართველები.

დასრულდა წილისგდება და ხვდათ ელიოზს და ლონგინოზს — კვართი ქრისტესი, უკერველი და მხოლოდ ნაქსოვი.

ჯვარცმულს კი უკიდურესად მისჭირვებოდა, რამეთუ უცებ ზეცას შეეჭრა მისი ძახილი:

„ელოი, ელოი, ლამმა საბაქთანი?" („ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისთვის მიმატოვე მე?").

და, კიდევ:

„მწყურის!"

მივიდნენ ქართველნი იქვე მდგარ ძმრით სავსე ჭურჭელთან, ღრუბელი დაასველეს და პირთან მიუწვდინეს ლერწმის ჭოკზე წამოგებული.

იგემა იესომ, თვალები ზეცას მიაპყრო და შესძახა:

„მამაო, ხელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა!"

და, ბოლოს,

„აღსრულდა!"

ეს მისი უკანასკნელი სიტყვა იყო.

იესო მკვდარი ესვენა ჯვარზე.

მაგრამ მისი სიკვდილიც არვის შეუმჩნევია.

არა და, ჩქარობდნენ დამსწრენი. პარასკევი იწურებოდა და შაბათს ცოცხლად არ უნდა გადასულიყვნენ სიკვდილმისჯილნი. ამიტომ მუხლების გადამსხვრევა დაუპირეს, და კიდევაც შეუსრულეს აქეთ-იქით ავაზაკ ჯვარცმულთ. ხოლო, როცა ქრისტეს მიეახლნენ, ნახეს რომ მკვდარი იყო.

მაინც არ ენდო ერთი რომაელი ჯარისკაცი, შუბი აიღო და ფერდში ჩასცა იესოს.

ჭრილობიდან სისხლი და წყალი გადმოედინა.

(აღესრულა — არა ებრაული ქვის დაკრებით, არამედ რომაულ ჯვარზე გასმით.).

დაღამდა.

. . .

ი ო ს ე ბ ა რ ი მ ა თ ი ე ლ ი, ქრისტეს ფარული მიმდევარი, მივიდა პილატესთან და გამოსთხოვა ჯვარზე განრთხმულის ჩამოხსნა და დაკრძალვა. დათანხმდა პილატე.

ჩამოხსნა იოსებ არიმათიელმა ქრისტეს ცხედარი, ნიკოდემოსიც მიეშველა, მურისა და ალოეს ნაზავით დაზილეს, ასეთივე ნელსაცხებლებიან ტილოებში გაახვიეს, იქვე ახლოს, სრულიად ახალ ქვაბულ-სამარხში დაასვენეს და გარედან დიდი ლოდით ამოქოლეს.

პარასკევმა ღამემ გაიარა, შაბათის დღე-ღამემაც.

კვირა გათენდა და ის ლოდი გადმოგორებული იხილეს.

შიგნიც, სამარხი-ქარანძავი ცარიელი იყო...

მაშ, აღდგომა!

ამაღლება!

და განფენა მისი სულისა ქვეყანასა ზედა და სამყაროსა შინა!

26. ქართული ინტერლოგოსი

საქართველოში ბრუნდებოდნენ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი.

თავის ქართველებთან და თავის ებრაელებთან ბრუნდებოდნენ.

მოდიოდნენ და მოჰქონდათ კვართი ქრისტესი.

კვართი — ღვთის ძისა, უკერველი.

მოდიოდნენ.

სინდისი დამშვიდებული უნდა ჰქონოდათ, რაკიღა ელიოზის დედის დანაბარები აღსრულებული ჰქონდათ: მათ ხომ წილი არ ედვათ სამოსამართლო საკრებულოზე ქრისტეს ვნების გადაწყვეტაში.

მაგრამ გულში მაინც სინანული უნდა ჰქონოდათ, ვინათგან ეზიარნენ ებრაელთა ვნებას უფლის ძისასა.

მაინც ამაყად და მტკიცედ მოდიოდნენ, ვინათგან მოჰქონოდათ სამომავლოდ და სამარადჟამოდ ფასდაუდებელი რელიკვია — კვართი მაცხოვრისა.

საქართველოში მოჰქონდათ — საქართველოსთვის.

ქართველ ებრაელებს მოჰქონდათ — მათი ქართველობისთვის, მათი საქართველოსთვის!

კვართი უფლისა მაცხოვრისა — მარადიული სამშვენისი და სამშვინველო საქართველოსი!..

მოდიოდნენ.

ელიოზი დედას იმით კი ანუგეშებდა, რომ დანაბარები შეუსრულა, — ქრისტეს ვნებაში წილი არ დაიდვა და, რაც მთავარია, ქრისტეს პერანგით გაახარებდა დედას.

მაგრამ დედა ცოცხალი აღარ დახვდება ელიოზს.

თურმე, მაშინვე, როგორც კი გოლგოთაზე, ჯვარზე განრთხმულ ქრისტეს პირველი სამსჭვალი დაკრეს, აქ, მცხეთაში, ელიოზის დედამ შეიგრძნო და „საშინელითა კრჩხიალებითა დაიზახნა“ თურმე:

„მშვიდობით, მეფობაო ისრაელისაო, რამეთუ უგუნურებით მოკალთ, უბადრუკნო და წარწყმედილნო, უფალი და მაცხოვარი ყოველთა, და იქმენით ბოროტად მკელელ შემოქმედისა თქვენისა. ვაი თქვენდა, უბადრუკნო! ვინმცა უკვე იპოვა ეგევითარი გლოვა, რომელსა თქვენ ღირს ხართ. ხოლო უფროსღა ვაი ჩემდა, რამეთუ სიკვდილამდე ჩემისა მხსნელ იქმნეს ყურნი ჩემნი ყოვლისა მწუხარებისა სასმენელსა“.

ეს დაიძახა და უმალვე მოკვდა დედა ელიოზისა.

სრულიად მცხეთა და მისი მტკვარ-არაგვის წყალსართველთა შემოგარენი, დიდის ამბით შეეგება იერუსალემიდან დაბრუნებულ ელიოზს და ლონგინოზს.

წინ გამოიჭრა ელიოზის დაი, ს ი დ ო ნ ი ა, დედაზე ნაგლოვარი, ტირილით მიეჭრა ძმას და მოეხვია. მაშინვე უფლის პერანგი გამოართვა, დააცქერდა, მკერდში ჩაიკრა და... ისიც მკვდარი დაეცა, იმ კვართთან ერთად.

ელიოზმა ასე უეცრად აღსრულებული დაი თვისი მიასვენა სახლში, რომელიც იდგა „ქალაქსა დასავლით, წიაღ მოგუთასა, ხიდსა ზედა“.

საგლოველ დღეებში ელიოზის სახლი ხალხს ვეღარ იტევდა. ყველას უნდოდა ეხილა საკვირველი კვართი იგი, რომელიც ისე „მაგრად და სურვილით შემოემკერდა“ მიცვალებულ ქალს.

ქართველთა ხელმწიფეც მობრძანდა, მეფე მ ი რ დ ა ტ პ ი რ ვ ე ლ ი, ანუ ა დ ე რ კ, თავის ამალით. განცვიფრდა მეფე მაცხოვრის კვართის ხილვით. თავი ვეღარ შეიკავა,— მივიდა და ხელით შეეხო კვართს...

და დაკრძალეს სიდონია, მასთან — კვართი იგი.

სამასი წელიწადი დაელოდება კვართი იგი უფლისაი ქართულ მიწაში პირველ ქართულ-ქრისტიანულ ეკლესიას, რომელსაც სწორედ სამასი წლის თავზე, სწორედ უფლისა კვართსა ზედა, აშენებენ წ მ ი დ ა ნ ი ნ ო და მეფე მ ი რ ი ა ნ.

მაგრამ მანამდე, თვითონ იესოს ამაღლების შემდგომ დღეებში, როცა მისმა მოწაფეებმა წილი განიგდეს და ქვეყნები სამოციქულოდ (ქრისტიანობის გასავრცელებლად) დაიყვეს, საქართველო წილად ხვდა თვითონ ღვთისმშობელს, წმიდა მარიამს.

მაშ, ასე დაივანებს ამიერიდან ისტორიაში ქართველთა ქვეყანა — „ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო“!

მარიამმა მაშინ „თავის წილხვდომილ საქართველოში“ წამოსვლა ვერ შეიძლო და თავის მაგივრად წამოგზავნა ორი მოწაფე მისი ღვთაებრივი ძისა: ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი.

წინასწარ მარიამმა მოატანინა ფიცარი, დაიბანა („მოინათლა“) პირი, ფიცარი სახეზე დაიდო და ზედ ზუსტად ამოკვართა ხატი თვისი.

სწორედ ეს ხატი გამოატანა თავის სანაცვლოდ ღვთისმშობელმა ქრისტეს მოწაფეებს საქართველოში. ამ „ხელთუქმნელი ხატით“ ხელში მოაქციეთ ჩემ, წილხვდომილი ქართველები და თავდებიც ვიქნებიო, „არავინ მტერთაგან, მძლე ექმნას მათ“. ასეთი იყო ქრისტეს დედის დანაბარები და ასედაც მოუთხრობდნენ ყველას საქართველოში მოსული ანდრია და სიმონი.

ქართლის შუაგულში კერპები ძლიერნი იყვნენ და კერპთა უმტკიცესი თაყვანისმცემელი მეფე ქართველთა, მირდატ, ანუ ადერკ, აქვე იჯდა. ამიტომ მოციქულებმა დაიწყეს დასავლეთ საქართველოდან.

ანდრია პირველწოდებული ეგრის-სამეგრელოში ავრცელებდა ქრისტეს მოძღვრებას, სიმონ კანანელი — აფხაზეთს. აქვე, აფხაზეთში გარდაიცვალა სიმონი და აქვე დაასაფლავეს, ნიკოფსიაში.

ანდრიამ კი, სამეგრელოს შემდეგ, ჯიქეთის გაქრისტიანება დააპირა, მაგრამ იქ წარმართთა სასტიკი წინააღმდეგობა შეხვდა, უეჭველი სიკვდილიც დაემუქრა და იძულებული გახდა უკან გამობრუნებულიყო. იგი სამეგრელოდან მესხეთში გადავიდა და, მესხთა თხოვნით იქ, აწყვერის (აწყურის) ეკვდერში დაასვენა ხელთუქმნელი ხატი ღვთისმშობლისა.

კლარჯეთის ერისთავმა ტკბილად გაისტუმრა ღვაწლმოსილი მოწაფე ქრისტესი ტაოსა და აჭარისაკენ.

ხოლო, მეფე ადერკი დიდად განარისხა სამხრეთ საქართველოში კერპების მსხვრევამ და ახალი რელიგიის გავრცელებამ. მან სამეგრელოში ერისთავები გაგზავნა ლაშქრით, ჯვრები და ხატები მოასპობინა, ხალხს ქრისტიანობაზე ხელი ააღებინა და ისევ წარმართობისკენ შემოაბრუნა. მერე შემოსწყრა ადერკ მეფე კლარჯეთის ერისთავსაც, რადგან მან „მშვიდობით განუტევა ანდრია მოციქული“.

ასე ამოიწვართა ქრისტიანული სამანი საქართველოს ისტორიისა, ორი ნაკადით: უფლის პერანგის განწიაღება ქართულ მიწაში და უფლის დედის წილხვდომილობა საქართველოსი.

ორივე, თავის ფესვებით, დიად ებრაელობას უკავშირდებოდა.

20. ᲐᲒᲠᲘᲞᲐ

მაშ, ეს ამბები ხდებოდა იმპერატორი ტიბერიუსის მბრძანებლობის ჟამს. საერთოდ, ებრაელი ხალხისთვის, პირველ წლებში მაინც, მძიმე იყო ტიბერიუსის დროის უღელი. ამის მიზეზი იყო იმპერატორის კარზე დაწინაურებული ბოროტი ავანტიურისტი, პრეტორიანული გვარდიის პრეტორი, ლუციუს ელიუს სეიანი. იგი გასაოცარი შენიღბულობით იწირავდა იმპერატორის უახლოეს ადამიანებს, მათ შორის მისი ოჯახის წევრებსაც კი. ტიბერიუსს შვილი და ტახტისმემკვიდრე, დრუზუსი, მოუკვდა და დიდხანს არ იცოდა, რომ ამ ტრაგედიის მიზეზი სეიანის ხელით შეპარებული საწამლავი იყო.

სეიანი მძულვარებითა და სისასტიკით ეპყრობოდა ებრაელებს. პილატე პონტოელიც სეიანის სისასტიკის ორეული იყო იუდეაში.

მაგრამ მალე ქომაგიც გამოუჩნდა ისრაელიანებს რომში. ეს იყო ანტონია, მარკუს ანტონიუსის ასული და ამჟამინდელი იმპერატორის, ტიბერიუსის რძალი. ბოლოს და ბოლოს, ტიბერიუსს ანტონიამ შეატყობინა, რომ სეიანი მას სიკვდილს უმზადებდა. საქმეში კიდევ ახალი მედროვეც ჩაერთო — ნევიუს სერტორიუს მაკრინუსი, რომლის მეთაურობით მოხერხდა სეიანისა და მისი თანამზრახველების ოჯახებიანად ამოწყვეტა. ამის შემდეგ ტიბერიუსმა და მისმა რძალმა თითქოს „მოახერხეს" ებრაელების მიმართ გარკვეული შეღავათების გვარცელება, მათ მიმართ უფრო მეტი „ანგარიშის გაწევა". სირიის ახალი მმართველიც, ვიტელიუსი, მეტი შემწყნარებლობით ეკიდებოდა იუდეას.

ვიტელიუსი ჩამოსვლის წელსვე (36 წ.) იერუსალემს მივიდა, პასექის დღესასწაულს დაესწრო და დიდი ყურადღებით მოეკიდა გულბოროტ პილატე პონტოელზე აღძრულ საჩივრებს, რომლებიც იქვე ისე მრავლად წარუდგინეს ებრაელებმაც და სამარიელებმაც. მაშინვე ვიტელიუსმა საჩივრებიც და თვითონ პილატეც რომში გაგზავნა, რათა იქვე, თვითონ იმპერატორის წინაშე ეგო პასუხი და ემართლებინა თავი იუდეიის პროკურატორს.

იქვე, იერუსალემში პირველ მისვლისთანავე, ვიტელიუსმა ადგილობრივი მცხოვრებნი გაათავისუფლა სასურსათო ნაწარმზე გაწერილი გადასახადებისაგან.

მაშინ ჰეროდე-ანთიპას ომი ჰქონდა თავის ყოფილ სიმამრთან, ნაბატეიის მეფე არეტასთან. ომის მიზეზიც სწორედ მათი ყოფილი მოყვრობა იყო. ანთიპას პირველი ცოლი არეტას ასული იყო, მაგრამ ანთიპამ ახალ მეუღლედ აკი ძმისგან წანართმევი ქალი, ჰეროდეადა დაისვა. და მას შემდეგ, რაც არეტას სახლში გაწბილებული შვილი დაუბრუნდა, ნაბატეველებსა და ებრაელებს შორისაც ისედაც მტრული ატმოსფერო კიდევ უფრო დამძიმდა. ომებიც დაიწყო, ანთიპასთვის ფრიად უიღბლოდ.

მაშინ ანთიპამ რომს სთხოვა დახმარება. იმპერატორმა ტიბერიუსმა ყურად იღო ეს თხოვნა და ვიტელიუსს ბრძანება გამოუგზავნა, მიშველებოდა თავისი ლეგიონებით ებრაელთა მხარეს.

წამოვიდა ვიტელიუსი ორი ლეგიონით. იუდეა უნდა გაევლო და ისე მიხდომოდა ნაბატეას. მაგრამ ამბავი მიიღო, იუდეველები უკმაყოფილებას გამოთქვამენ, ჩვენს მიწაზე უცხო იმპერატორის გამოსახულებიანმა დროშებმა როგორ უნდა გაიარონ!

ამ „უცნაურ კაპრიზსაც“ კი გაუწია ანგარიში ვიტელიუსმა, — იუდეას გვერდი აუქცია და ნაბატეიისკენ სალაშქროდ იორდანეს აღმოსავლეთით მიმავალი უფრო გრძელი გზა აირჩია.

მაგრამ ლაშქრობა ნაბატეაზე იმჯერად აღარ შედგა, რადგან რომიდან მოვიდა მოულოდნელი ამბავი იმპერატორი ტიბერიუსის სიკვდილისა.

37 წლის 16 მარტს, ტიბერიუსი ცუდად გახდა და მალე გრძნობა სავსებით დაკარგა. ის იყო, იგი მკვდრად ჩათვალეს და ახალი იმპერატორიც გამოაცხადეს, რომ ტიბერიუსი უეცრად გამოცოცხლდა. მაგრამ იქვე მყოფი მაკრინუსი არ დაიბნა და მისი ბრძანებით, მომაკვდავი სარეცელზევე საბნებით მოგუდეს.

ასე მოკვდა კაცი, რომლის ხელმწიფური დევიზი ეს იყო — „დაე ვძულდე, ოღონდ ეშინოდეთ!“.

რომის იმპერატორი შეიქნა 25 წლის გ ა ი უ ს კ ე ი ს ა რ ი კ ა ლ ი გ უ ლ ა (37—41). „კალიგულა“ მას ყმაწვილობიდანვე ჩექმების („კალიგაე“) ტარებისათვის შეარქვეს ჯარისკაცებმა. და, ეს „ჩექმოსანი“ მალე მთელს მსოფლიოს გააოცებს თავისი ახირებულობით, „უნიკალური სიგიჟეებით“, მაგრამ დასაწყისში, ტიბერიუსის ჰიპოხონდრიებით განაწამებ რომში, ახალი იმპერატორი ფრიად სასიკეთო იმედებსაც კი იძლეოდა თვითონ რომისთვისაც და პროვინციებისთვისაც.

იმპერიის პროვინციათა შორის კი, იუდეა ყველაზე გრძნობიერად, ტკივილიანად განიცდიდა იქ, ცენტრში მომხდარ ცვლილებებს.

კალიგულას მბრძანებლობის დასაწყისი ებრაელთათვის რაღაც მომგებიანი ტენდენციით დაიწყო. ეს „ტენდენცია“ კი უკავშირდება ახალი იმპერატორის მწყალობელ დამოკიდებულებას მაშინდელ ებრაელთა პოლიტიკურ ასპარეზზე დაწინაურებული მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი პიროვნებისადმი.

ეს პიროვნება იყო ჰ ე რ ო დ ე-ა გ რ ი პ ა.

იგი იყო ძე არისტობულესა და ბერენიკესი, ანუ შვილიშვილი ჰეროდე დიდისა და მარიამნა მშვენიერისა. დაიბადა ქრისტესშობამდე 10 წელს. იზრდებოდა რომში, ავგუსტუსის კარზე; უახლოესი მეგობრობა ჰქონდა იმპერატორ ტიბერიუსის ძესთან, დრუზუსთან. მაგრამ დრუზუსის სიკვდილის (23 წ.) შემდეგ, მისდამი პატივისცემა რომში ფრიად განელდა, ვალებიც მრავლად

დაეყარა და ბოლოს, მეკალეებისგან დევნილი, იძულებული გახდა პირდაპირ გაქცეულიყო კიდეც რომიდან.

აზიაში დაბრუნდა და, როგორც წარმომავლობით იდუმეელი, სწორედ იდუმეას დასახლდა, მ ა ლ ა თ ა ს ციხესიმაგრეში. პირველ ხანებში აქაც ისევ ხელმოკლე და უჩინარი ცხოვრებით ცხოვრობდა აგრიპა. იგი იმდენად დამდაბლებულად გრძნობდა თავს, ზოგჯერ თავის მოკვლაზეც რომ ფიქრობდა, მაგრამ ქმრის სიცოცხლის სადარაჯოზე ყოველთვის საიმედოდ იდგა ერთგული ცოლი, კ ი ფ ა რ ი ს ა, შვილიშვილი ფაზაელისა, ჰეროდე დიდის უფროსი ძმისა.

კიფარისა შეუჩნდა ჰეროდეადას, რომელმაც თავისი იმქამინდელი ქმარი, ჰეროდე-ანთიპა, დაითანხმა, ერთ ხანზე მაინც ეტეირთა აგრიპასა და მისი ოჯახის რჩენა. ჰეროდეადა თვითონ აგრიპას და იყო, თუმცა მას მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა, მაგრამ მაინც უბრძანა (!) ქმარს, დახმარებოდა ცოლისძმას. ანთიპაც ხომ ისეთი იყო, ჰეროდეადას კაპრიზზე ღვთიურ კაცსაც (იოანე ნათლისმცემელი) თავს კვეთდა,-და დანიშნა თავისი გაჭირვებული ცოლისძმა ტიბერიადის ბაზრის ზედამხედველად (!).

მაგრამ დიდხანს ვერ აიტანა აგრიპამ სიძისგან დამცირება. მისგან ბოძებული ბაზრის უფროსობა მიატოვა და სირიის მაშინდელ მმართველ ფ ლ ა კ უ ს თ ა ნ ყმობა და მის ხელში ლუკმა-პურის შემყურეობა ამჯობინა.

მაგრამ რომაელი მაგისტრატის მათხოვრობაც კი შეშურდათ მისთვის. მერე, შეშურდა ძმას, არისტობულეს. ამის თაოსნობით შეჯამდა აგრიპას დავალიანებანი, 3000 დრაქმის ოდენობით, რომლის დაუფარავობა გულისხმობდა ციხეში ჩაგდებას და ჩალპობას.

აგრიპა იძულებული გახდა პირდაპირ გაქცეულიყო საერთოდ აზიიდან და დაბრუნებულიყო ბედის საძებრად და საპოვნელად ისევ რომს.

მაგრამ რომში ჩასვლას და იქ „საქმეთა დატრიალებას“ ფული სჭირდებოდა. ამიტომ აგრიპა ჯერ ეგვიპტეში ჩავიდა და იქ, ალექსანდრიაში, უმდიდრეს და უკეთილშობილეს ებრაელს შეხვდა — ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ლ ი ს ი მ ა ხ ო ს ს. ეს კაცი რომის საიმპერატორო კართანაც ძალზე იყო დაახლოებული. მის ხელში იყო ჯერ ავგუსტუსის, მერე ტიბერიუსის საოჯახო ადგილმამულთა შემოსავალ-გასავალი მთელს ეგვიპტეში. სიახლოვე იმდენად მტკიცეც აღმოჩნდა, რომ ეს ჭკვიანი და კეთილშობილი ებრაელი, ბოლოს და ბოლოს, საიმპერატორო საგვარეულოს შვილობილიც შეიქნა, ახალი სახელწოდებით — ტ ი ბ ე რ ი უ ს ი უ ლ ი უ ს ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე. ეს კაცი ტიპიური წარმომადგენელიც იყო ძველ-ებრაული და ახალ-ელინისტური სინთეტური კულტურული სამყაროისა. ეს შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო თუნდაც იმ მხრივაც, რომ ალექსანდრე ლისიმახოსი ღვიძლი ძმა იყო იმდროის გამოჩენილი ფილოსოფოსისა და თეოლოგისა — ფ ი ლ ო ნ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი ე ლ ი ს ა.

ალექსანდრე ლისიმახოსი უხვი და უანგარო მზრუნველი იყო ყოველი ქვეყნის ყოველი ებრაელისა; გამორჩეულად თვითონ იუდეველებზე და იუდე-

აზე ზრუნავდა; იერუსალემის ტაძარი, მისი კარიბჭენი სულ ბაჯაღლო ოქროთი მოეკედა ალექსანდრეს.

ახლა კი ალექსანდრე ლისიმახოსმა დიდად გაუმართა ხელი მასთან მიხვეწილ აგრიპას. უფრო კი, მის ცოლს, კიფარისას გაუწია ანგარიში, ერთგულებისა და პატიოსნებისთვის.

და მივიდა რომში ჰეროდე-აგრიპა, ახალი ცხოვრებისა და თავგადასავლების მაძიებლად. იმპერატორ ტიბერიუსს ეახლა და მის შვილთან თავისი მეგობრობა გაახსენა, მაგრამ მალე ეს „გახსენება" ფრიად სახიფათოდ დაუტრიალდა. ის ფულები, რაც ადრე აგრიპას და დრუზუსს ერთად გაეფლანგათ, ახლა ყველა ამათთვის პასუხი ცოცხალთა შორის მარტო დარჩენილ აგრიპას უნდა გადაეხადა, ან ციხეში უნდა ჩამჯდარიყო. მაგრამ იგი ბეწვზე გადაარჩინა ანტონიამ, რომელმაც აგრიპა მეორე უფლისწულის, თავისი ძის, გაიუს კალიგულას უახლოეს მეგობართა წრეში მოახვედრა.

მაგრამ ერთ დღეს აგრიპას უფლისწულ კალიგულას საამებლად ასეთი მლიქვნელური სიტყვა წამოცდა: „რა კარგი იქნება, ტიბერიუსი რომ დროზე მოკვდეს და იმპერიის ტახტი უფრო ღირსეულს დარჩეს!"

ეს კალიგულას კი ესიამოვნებოდა, მაგრამ ამ მლიქვნელობის მსმენელთაგან რომელიღაცამ მაშინვე აცნობა იმპერატორს აგრიპას ნათქვამი.

ტიბერიუსის გაცოფებისთვის ეს ზომაზე მეტიც იყო და მისი ბრძანებით აგრიპა მაშინვე ციხეში ჩაუძახეს.

ექვს თვეში ისევ „გაუჭრა იღბალმა" აგრიპას: მოკვდა ტიბერიუსი. ტახტზე დაჯდა კალიგულა, აგრიპას „ძმაკაცი".

ახალმა იმპერატორმა იმ დღესვე გამოუშვა აგრიპა ციხიდან, გამოუშვა და გულზეც მიიკრა და, მანამდე რომ კისერზე მძიმე რკინის ჯაჭვი ეკიდა, ახლა ახალმა იმპერატორმა იმ რკინის ჯაჭვის ადგილზე მისი წონა ბაჯაღლო ოქროს ჯაჭვი დაჰკიდა თავისი ხელით, თავზედაც მეფის დიადემა დაჰხურა, სენატის სახელით „პრეტორის" ტიტულიც მისცა და საბატონოდ პალესტინის ჩრდილოაღმოსავლეთ მხარე ჩააბარა, სირიული ლიზანიის თანმითვლით.

ერთი წელიწადი მაინც თავისთან რომში იყოლია კალიგულამ „თავის ძმაკაცი". წლის თავზე კი გამოუშვა, მაგრამ იმ პირობით, რომ თავს „დიდხანს არ მოანატრებდა" და ისევ მალე მიბრუნდებოდა მასთან „შესაყრელად"!

მორიგი ჰეროდეანის აღზევებამ, როგორც ამ გვარს სჩვეოდა, დანარჩენი სანათესაო კვლავ გაახელა შურით და მტრობით. როგორც კი აგრიპამ, ახალი იმპერატორისგან ეგზომ მოფერებულმა, აზიაში ფეხი შემოდგა, მისმა დამ, ჰეროდეადამ, — ადრე რომ ვითომ ძმის სიყვარული ჰკლავდა — შურით გაბოროტებულმა ლამის სული ამოჰხადა თავის უკანონო ქმარს, ანთიპას, — შენც სასწრაფოდ გაეშურე რომს, ეახელ ახალ იმპერატორს, მუხლებში ჩაუვარდი და, თუ სხვა არაფერი, მეფის ტიტული მაინც იქნებ ჩამოიტანო მისგან ნაბოძებიო.

და გაეშურა ანთიპა რომს.

მაგრამ სანამ ის ჩავიდოდა, მანამ იქ აგრიპას წერილმა ჩაასწრო.

ანთიპა რომ მოდის, მოღალატური განზრახვებით მოდისო, — სწერდა აგრიპა კალიგულას — ეგ კაცი ის კაცი გახლავთ, იმპერატორ ტიბერიუსის მოსაკლავად სეიანის შეთქმულებაში რომ მონაწილეობდაო; ანთიპას პართიელებთანაც კავშირი აქვს, რომაელების მტრებთან; თავის სატახტოში, რომისგან ნამალევად, იმდენი იარაღიც დააგროვა, სულ ცოტა 70000 კაცს რომ შეაიარაღებსო.

და აი, როცა კალიგულამ ანთიპა აუდიენციაზე დაუშვა, სწორედ ეს ჰკითხა მოულოდნელად: მართალია თუ არა, რომ საიდუმლოდ ამდენ საომარ საჭურველს აგროვებ? ანთიპა დაიბნა, ენაც დაება, ხოლო როცა ის ჩავარდნილი ენა ამოიღო, ამოილუღლუღა — მართალიაო.

ამის მოსმენა და, კალიგულა იმპერატორმა მეფობის მაძიებელს იმ დღესვე ლიონში, გალიაში უკრა თავი, იქ სამუდამოდ დასასახლებლად და დასარჩენად.

ჰეროდეადაც თან წაჰყვა მისგანვე გაუბედურებულ ქმარს. ორივე იქ ჩაიხოცნენ, ლიონში, — ჰეროდე-ანთიპა, დიდი ჰეროდეს უკანასკნელი შვილი, და ჰეროდეადა, დიდი ჰეროდეს შვილიშვილი, ორივე — იოანე ნათლისმცემლის მკვლელები.

მათი სამფლობელოები კი — იუდეა და პირეა — იმპერატორ გაიუს კეისარ კალიგულას ბრძანებით, „საყვარელ აგრიპას“ სამფლობელოებს შეუერთდა.

აგრიპას ასეთმა აღზევებამ შურით მარტო მისი სანათესავო კი არა, სირიის მაშინდელი რომაელი მმართველი, ფ ლ ა კ უ ს ი ც კი აავსო. იგი ცდილობდა, როგორმე სახელი გაეტეხა აგრიპასათვის კალიგულას თვალში.

ამას მართლა შეიძლებოდა ცუდი შედეგები მოჰყოლოდა აგრიპასათვის, მით უფრო, რომ ერთბაშად თვითონ კალიგულაც აღარ იყო ის თვინიერი და ალერსიანი კალიგულა, ტახტზე ასვლისას რომ გამოსჩანდა.

კალიგულა უკვე „აფრენდა“. მან თავი იუპიტერად გამოაცხადა და თაყვანისცემაც შესაბამისი მოითხოვა: მუხლებზე დაჩოქება, მიწამდე თავის დაკვრა, ფეხებზე კოცნა. ყველაფერი ეს, აზიაში ჩვეულებრივი, რომში ჯერ კიდევ სრულიად უჩვეულო იყო. კალიგულა უფრო „შორსაც“ წავიდა: რომში მიმოფენილ ქანდაკებებს თავები დახსნა და სანაცვლოდ საკუთარი თავის გამოსახულებანი დაადგა. ყველა ეს ახალთავიანი ქანდაკება ვითომ უკვე იუპიტერი იყო! მან საკუთარი ცხენიც კი ღმერთად გამოაცხადა და ამ „ღმერთზე“ ამხედრებული „იუპიტერი“ სენატის სხდომაზეც კი შეჯირითდებოდა ხოლმე. თუ როგორ „პატივს სცემდა“ იგი სენატს — ერთ დროს ამ „სამშობლოს მამათა“ კრებულს — ასეთი ექსტიც კარგად გვატყობინებს: ერთხელ სენატში მისმა ცხენმა დაიჭიხვინა და კალიგულამაც შესძახა: ძლივს ამ სენატში ერთი ადამიანური ხმა გავიგონე!

ეს მსოფლიო სადისტი უბრალო ეპვიანობის ნიადაგზეც, თუნდაც უსაბამო

სიზმრისა გამო, უახლოეს ადამიანებსაც კი აიძულებდა მის თვალწინ თავი მოეკლათ. იყო შემთხვევები, როცა ცირკში მხეცთაგან დასაგლეჯად განწირულ სიკვდილმისჯილთა რიცხვი საკმარისი არ აღმოჩნდებოდა და კალიგულას ბრძანებით მაყურებელთაგან ავსებდნენ „ვაკუუმებს". ამ ავზნიანი მიზანთროპის მთელ სისხლიან ხელმწიფობას ნათლად გამოხატავს მისი პირიდან წამოსროლილი ეს საშინელი „ნატვრა": ნეტავ მთელს კაცობრიობას ერთი თავი ედგას, რომ ერთის მოქნევით მოეკვეთდი და დავისვენებდი!

და ვერსად ამ მსოფლიო იმპერიაში, ვერც ცენტრში და ვერც პროვინციაში, კრინტის დაძვრაც ვერ გაებედა ვერც ცალკე კაცს, ვერც კაცთა კრებულს.

მაგრამ მაინც გაებედათ, და ეს პირველი „გამბედავნი" იყვნენ კვლავაც ისრაელისანი.

მაშინ, როცა იმპერიის ყოველ კუთხეში კალიგულაზე ლოცულობდნენ როგორც ღმერთზე, მიდიოდნენ და საგანგებოდ აღმართული მისი ქანდაკების წინაშე ეცემოდნენ მუხლებზე, ხოხავდნენ მუცელზე — ებრაელები იყვნენ ერთადერთნი, რომელთაც უარი სთქვეს იგივე კალიგულას ღმერთად აღიარებაზე.

ეს საკმარისზე მეტიც იყო, იმპერატორს ებრაელობა შეეძულებინა. ამ სიძულვილის გარეშეებას ხელს უწყობდნენ ბერძნებიც, რომლებიც მუდმივ მეტოქეობაში იყვნენ ებრაელობასთან. (ეს გასაგებიც იყო, რამდენადაც დიდებს ყოველთვის სხვათა სიდიდე აშინებთ და სხვა არაფერი).

ეს დაპირისპირება განსაკუთრებით იყო გამოკვეთილი ეგვიპტეში, სადაც ბერძნები თითქმის ყოველთვის ახერხებდნენ ებრაელები სამოქალაქო უფლებრიობით მათზე დაბლა მდგარიყვნენ და მათ არ გასტოლებოდნენ.

ალექსანდრიიდან ებრაელთა საგანგებო ელჩობაც კი ჩავიდა რომში, სწორედ სახელოვანი ფილოსოფოსის, ფილონ ალექსანდრიელის წინამძღოლობით, იმპერატორთან შესახვედრად და ბერძნებთან უფლებრივი გათანაბრების სათხოვრად.

ჩავიდნენ, მაგრამ იმპერატორი უკვე „დამუშავებული" დახვდათ. „დაემუშავებინათ" იგი ისევ ბერძნებს. ორი ბერძენი მაინც, თითქოს, საგანგებოდ ჰყოლოდა გაწრთვნილი კალიგულას ებრაელთა სალანძღავად. ერთი ალექსანდრიიდან იყო, სახელად ჰ ე ლ ი კ ო ნ ი, მეორე — ასკალონიდან, სახელად ა პ ე ლ ე ს ი.

და ებრაელთა ელჩობაც სწორედ მაშინ მიიღო იმპერატორმა, როცა ჰელიკონსა და აპელესს მასთან თავისი „შავი საუბარი" უკვე დასრულებული ჰქონდათ.

ამიტომ ებრაელებმა თავიდანვე შენიშნეს, რომ იმპერატორს მათთან დიალოგი აგდებულად, ცინიკურად მიჰყავდა. თუმცა, რაღა დიალოგი, როცა კითხვას სვამდა, პასუხს არ უცდიდა და უმალვე ახალ კითხვაზე გადადიოდა.

და ასე, ფილონმა, ის იყო, წარდგა და წარუდგინა თავისი თანადესპანები, რომ იმპერატორმა იყვირა: „ააა, მაშ თქვენა ხართ ის ღვთისმგმობელნი,

რომელთაც ჩემი ღმერთად ცნობა არ ინებეთ და თაეგამოდებით მაინც ეთაყვანებით ვიღაც უცნობ ღმერთს, და ეს მაშინ, როცა მე ყველგან, მთელს ქვეყანაზე, თქვენს გარდა, პატივს მომაგებენ ვითარცა ჭეშმარიტ ღმერთს?"

იქვე მდგარმა ბერძენმა ი ს ი დ ო რ ე მ ცეცხლზე ნავთი დაასხა: მართლაც და ეს რა ხდებაო, რომ ყველა ხალხი თაყვანს სცემს და მსხვერპლს სწირავს ჩვენს ღვთაებრივ იმპერატორს, ებრაელების გარდაო.

როგორც იქნა, ფილონმა მაინც მოახერხა პასუხის ჩართვა: ჩვენ უკვე მოვასწარითო იმპერატორის ცხოვრებაში სამი დიდმნიშვნელოვანი მოვლენისადმი მსხვერპლის შეწირვა; ეს მოვლენებია: ტახტზე აბრძანება, მძიმე ავადმყოფობისგან გამოჯანმრთელება და გერმანელებზე გამარჯვება.

— კარგი, ვთქვათ, თქვენ შეწირეთ მსხვერპლი ჩემი გულისთვის, მაგრამ ეს მსხვერპლნი ხომ მე არ მომსვლია?! — ისევ იყვირა კალიგულამ.

და სანამ ებრაელი ელჩები საპასუხოდ პირს გააღებდნენ, უცებ ეს კითხვაც დაარტყა: „რატომ არ ჭამთ თქვენ ღორის ხორცს?"

და ისევ გადაბმით: „რა უფლებით ითხოვთ თქვენ სხვა ხალხთან თანასწორუფლებიანობას?"

და ბოლოს, კვლავ წინარე კითხვაზე პასუხის მოუსმენლად: „ხალხი, რომელიც მე ღმერთად არა მთვლის, მე იგი მიმაჩნია უფრო ბრიყვად, ვიდრე ცუდად".

ეს ბრძანა და უმალვე კიდეც დაითხოვა ებრაელთა ელჩობა.

იმ ჟამს მოხდა კიდევ უარესი. იმპერატორს ამბავი მოუვიდა: პალესტინის ქალაქ იამნიაში ბერძნებს მის სახელზე საკურთხეველი აუგიათ, მაგრამ უმალვე ებრაელები თავს დასხმიან და დაუნგრევიათ.

შეიშალა კალიგულა, უამისოდაც შეშლილი. და გადმოისროლა ცეცხლოვანი პირით ცეცხლოვანი ბრძანება: ახლავე შეუდექით ჩემი ქანდაკებებისა და საკურთხეველების აღმართვას, არა მხოლოდ ყოველ ებრაულ სინაგოგაში, არამედ თვით იერუსალემის ტაძარში. ხოლო, უკეთუ სადმე წინააღმდეგობის გაწევა გაბედონ, დაუნდობლად მიმართეთ იარაღს!

სირიის მაშინდელ მმართველსაც, პ ე ტ რ ო ნ ი უ ს ს, იმპერატორი უბრძანებდა: ახლავე გაეშურე იუდეაში შენის ლეგიონებით და იერუსალემის ებრაული ტაძარი ჩვენებურ, რომაულ ყაიდაზე გადააკეთეო.

პეტრონიუსმაც იმ დღესვე დასძრა ლეგიონები.

მდგომარეობა დაიძაბა. ის რასაც მაშინ რომაელები აპირებდნენ, ნიშნავდა ებრაელობის სრულ გადათელვას და გადალეკვას.

იმპერატორის ეს ურჯული ბრძანება 40 წლის ოქტომბრის მიწურულს მიიღო პეტრონიუსმა. იუდეიისკენ მიმავალს გზაზე ძლიერმა წვიმებმა მოუსწრო და იძულებული გახდა პტოლემაისში შეჩერებულიყო და დაბანაკებულიყო. მაგრამ რაკი არ იქნა და ტაროსი აღარ გამოიცვალა, პეტრონიუსმა გადაწყვიტა იქვე გამოეზამთრებია და იმპერატორის ბრძანების აღსრულება მომავალი წლის გაზაფხულისათვის გადაეტანა.

ათასობით ებრაელი მიაწყდა პტოლემაისს, რომაულ ბანაკს, ერთსულოვანი ძახილით: ყოველი ებრაელი მოკვდება და არ დაუშვებს იერუსალემის ტაძრის შერყვნას!

პეტრონიუსსაც თურმე კარგად ესმოდა, რასაც ნიშნავდა ებრაელისთვის მისი მბრძანებლის მართლაც საშინლად მკრეხელური და ბრიყვული ბრძანება და ფიქრობდა კიდეც, იქნებ რაიმე გზით აეცილებინა თავიდან ასე არაფრის გულისათვის კარს მომდგარი კატასტროფა.

ხოლო, — სად იყო ასეთი კატასტროფული დაძაბულობის ჟამს „ყველაზე დიდი პიროვნება" — ჰეროდე-აგრიპა? რას ფიქრობდა და რას აკეთებდა ის, თავის სატახტო ტიბერიადაში ჩამჯდარი, ან „თავისი" ებრაელობისთვის, ან „თავისი" რომაელობისთვის?

მისი პოზიციის გარკვევა და გამოყენება უცდია თვითონ პეტრონიუსსაც. ჯერ თავისი მრჩევლები გაგზავნა მასთან, მერე თვითონაც მივიდა და შეხვდა ტიბერიადაში. აქვე მოიყარა თავი აუარებელმა ებრაელობამ იგივე მკაცრი განაცხადით: ებრაელობა არჩევს სიკვდილს, ვიდრე საუფლო ტაძრის შეურაცხყოფას!

თანაც, ეს სამკვდრო-სასიცოცხლო გადაწყვეტილება სისხლხორცეულად ეკუთვნოდა არა ერთ რომელიმე საზოგადოებრივ წრეს თუ შრეს, არამედ სრულიად ერს, დიდსა და მცირეს, არისტოკრატს და მდაბიოს, ერსა და ბერს.

მართლაც, როგორ ამაღლებულა და განმტკიცებულა ერთიანი ეროვნული სული ებრაელობისა ამ ბოლო ორი საუკუნის მანძილზე. აკი მაშინ, იმ ორი საუკუნის წინ, იერუსალემის ტაძარში ვინმე უცხოელი წარმართის, ანტიოქე ეპიფანეს ქანდაკი თვითონ უმაღლესმა სამღვდელოებამ დააბრძანა და აკურთხა, ახლა კი — ან სიკვდილი ან გადარჩენა არაებრაული, წარმართული სიმბოლოთაგან იერუსალემის უფლის ტაძრისა!

და აი, ამოქმედდა აგრიპა. იგი ჩავიდა რომს. კალიგულა იქ არ დახვდა,— თურმე გალიაში წასულიყო, აჯანყებულ გალებთან საომრად. აგრიპაც გაეშურა გალიაში და იქ შეხვდა იმპერატორს. იქვე დარჩა და არ მოშორდა, სანამ ომი არ დამთავრდა და „ძლევამოსილი კეისარი" სატრიუმფოდ რომს არ მობრუნდა; რომშიც მოჰყვა და ტრიუმფიც დაუმშვენა აგრიპამ კალიგულას.

ყველა ელოდა და, პირველ რიგში თვითონ კალიგულა, რომ ასე შორი გზით მოსულ ხარბ აზიელს უეჭველად რაღაც დიდი სათხოვარი უნდა ჰქონოდა. მაგრამ ყველასათვის უცნაური სწორედ ის აღმოჩნდა, რომ ამდენ ხანს, არც გალიაში ყოფნისას, არც აქ რომში ამდენი დღეების განმავლობაში და ამდენი შეხვედრებისას, აგრიპას იმპერატორთან ერთი სიტყვაც უბრალო გადაკვრითაც არ დასცდენია რაიმე სათხოვარზე. არც მისი ხალხის, ებრაელობის თუ არაებრაელობის რაიმე გასაჭირზე და საევდრებელზე დაუსველებია ენა.

ბოლოს, წამოსვლის დროც დადგა და სწორედ იმ გამოთხოვების წინ, აგრიპამ იმპერატორის საპატივცემულოდ და მასპინძლობის სამადლობლად თვითონ გაშალა სანადიმო ტაბლა.

იმპერატორი იმდენად მოიხიბლა, რომ ლხინის მიწურულს შეუჩნდა აგრიპას: ისე მომწონხარ და მიყვარხარ, გიბრძანებ, რაც გინდა მთხოვე და შეგისრულებო.

და რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება, როდესაც აგრიპამ ასეთი სანატრელი და საოცნებო სათხოვრის საგნად არ დაასახელა არანაირი საქონელი, სამფლობელო, საუნჯე თუ სამკაული, თვინიერ იმისა, რომ — იერუსალემის ტაძარზე ხელი აიღე და იქ შენი ქანდაკი არ დაადგმევინოო!

რაღა გაეწყობოდა! კალიგულა ახლა იმ დღეში იყო, რა დღეშიც ერთხელ ჩავარდა ანტიპა — სალომეამ რომ სიტყვაზე დაიჭირა და იოანე ნათლისმცემლის თავი მოაკვეთინა. ებრაული სულიერებისათვის ასეთ თავგამოდებასაც ასეთი ხარბი და პირად-პატივმოყვარე „ნაკლებ ებრაელისგან“ სწორედ არ მოელოდა კალიგულა, მაგრამ რაღა გაეწყობოდა, — ღვთაებრივი იმპერატორი (თანაც იუპიტერი!) თავის ნაბრძანებ სიტყვას ხომ ვერ გასტეხდა! და მოსწერა მან აზიაში პეტრონიუსს: „თუ იმპერატორის ქანდაკება იერუსალემის ტაძარში ჯერ კიდევ არ დადგმულა, მაშინ საქმე დატოვეთ ძველ მდგომარეობაში“.

იმედოვნებდა კალიგულა, იქნებ მოასწრო პეტრონიუსმა და უკვე დადგა კიდეც ჩემი ქანდაკება იერუსალემის ტაძარშიო, და თუ ეს მართლა ასე მოხდებოდა, აგრიპაზე მიცემული სიტყვაც ბათილად ჩაითვლებოდა.

მაგრამ სანამ იმპერატორის ბრძანება აზიაში ჩაღწევდა და პეტრონიუსი წაიკითხავდა, მანამდე თვითონ პეტრონიუსის წერილი მივიდა რომში, — წერილი, ანუ პასუხი იმპერატორის პირველ ედიქტზე: აქ ისეთი გართულებებია, ხალხი ისე აღელვებულია, ძალიან ძნელი ჩანს ტაძარში თქვენი ქანდაკების შეტანაო.

რაო? გართულებებია და ძნელი ჩანსო? მე, იმპერატორს, თან იუპიტერს, ის, ჩემი მონა ამას მიბედავსო?! — ერთხელ კიდევ გაგიჟდა კალიგულა და მაშინვე ახალი ედიქტი აფრინა აზიაში: პეტრონიუსმა, რომელმაც მე ასეთი რამეები მაკადრა, ამ ბრძანების მიღებისთანავე თავი მოიკლასო!

მაგრამ ბედისწერა კვლავ სიცილის ხასიათზე მდგარა: სანამ კალიგულას უკანასკნელი ბრძანება იტალიიდან აზიამდე ზღვას გადასცურავდა, თვითონ კალიგულა რომში, თეატრის დერეფანში, შეთქმულებმა დაკლეს, სამხედრო ტრიბუნ კასიუს ხერეას მეთაურობით (41 წლის იანვარში).

აგრიპა ამ ამბების დროს რომში იყო.

მაშ, იმპერატორი მოისრა, იმპერატორი უნდა მოსულიყო.

და, ახალი იმპერატორის „შერჩევაში“ მთავარი როლი აგრიპამ შეასრულა.

როცა მკვლელებმა კალიგულას და მისი ოჯახის წევრებს ხელი მოუთავეს, იქვე აგრიპაც „გაიწვევრიანეს“ და იმპერატორობის ახალი კანდიდატიც ერთად მოიძიეს.

ეს იყო კლავდიუსი, კალიგულას ბიძა, რომელსაც, მისი ბუნებიდან

გამომდინარე, არასოდეს ხელმწიფობაზე ოცნებობაც კი არ შეეძლო. კალიგულას და მისი სანათესაოს ჟლეტისას, შიშით ატანილი კლავდიუსი ფარდებს უკან ელოდა სიკვდილს, იქ მიაგნეს ხმალსისხლიანმა პრეტორიანელებმა, ჩაბღუჯეს, აიტაცეს, ტახტრევანზე შეაგდეს, რომის ქუჩები ჩამოატარეს და ქვეყანას ახალ იმპერატორად ამცნეს.

დიდი კეისრის ტახტზე კლავდიუსის ასვლა ისტორიის ახალი ფარსი იყო. იგი, სულ-ხორციანად მახინჯი, მუდამ სნეული, საოცრად სუსტი ფეხებით და უზარმაზარი მუზმუზელა ტანით, მოხრილი ეიწრო მხრებითა და მოქანავე დიდი თავით — სასახლის კარზე მუდმივი დაცინვისა და აბუჩად აგდების საგანი იყო. მას ჭკუანაკლულად თვლიდნენ და არასოდეს არამცთუ არავითარ პატივს არ მიაგებდნენ, არამედ სასახლის მაღალ წრეებში გამოჩენასაც კი უკრძალავდნენ. არც თვითონ აბეზრებდა თავს ვისმეს თვალში შეჩხირვით. მისი საყვარელი საქმე საისტორიო და ფილოლოგიური მეცნიერება იყო. მას დაუწერია „ეტრურიის ისტორია", „რომის რესპუბლიკის ისტორია", „ავტობიოგრაფია", ბევრი უმუშავნია ლათინური გრამატიკის დახვეწაზე. იგი შემდგომში თვითონვე დასცინოდა თავის იმპერატორობას და გულგრილად ხედებოდა იმასაც, როგორ დასცინოდნენ გამვლელ-გამომვლელნი, როცა მას რომის ფორუმზე სასამართლოს ხელმძღვანელობისას არხეინად ჩაეძინებოდა ხოლმე. ძალიან ადვილად ექცეოდა იმპერატორი კარიერისტი მედროვეების, საყვარლებისა და ცოლების (ხუთჯერ იყო ნაქორწინევი) გავლენის ქვეშ.

აგრიპამ დაარწმუნა ჯერ სიკვდილითა და მერე გახელმწიფებით გაოგნებული და დაფეთებული ობივატელი, უარი არ ეთქვა ხელმწიფობაზე. მერე საგანგებოდ შეყრილი სენატიც მოხიბლა ებრაელთა მეფემ თავისი სიტყვით და სენატმაც ერთხმად დაადასტურა კლავდიუსის „პრინცეპსობა" და იმპერატორობა.

მაშ, რომის იმპერიის ტახტზე იჯდა კლავდიუსი (41—57), რომელმაც იმთავითვე მიაგო სამაგიერო პატივი მის პატივისმცემელ ებრაელთ მეფეს, აგრიპას. ჯერ აავსო ხოტბითა და ქება-დიდებით, მერე მისცა წოდება კონსულისა და ბოლოს, რაც მთავარია, მიანიჭა ხელმწიფობა სრულიად პალესტინისა მთავარი ქვეყნების — იუდეისა და სამარიის თანმითვლით, და კიდევ ზღვის განაკიდური ზოლით.

ამ მიძღვნათა უკვდავსაყოფად, ყველაფერში პედანტმა კლავდიუსმა საგანგებოდ სპილენძის დაფები აღმართა და მონეტაც მოჭრა. მონეტის ერთ მხარეს გამოხატული იყო გადაჯდომილი ორი ხელი და წარწერა: „მეფე აგრიპას მეგობრობა და კავშირი რომის სენატთან და ხალხთან", მეორე მხარეზე კი, იმპერატორის გამოსახულება და წარწერა: „მეფე აგრიპა, მეგობარი იმპერატორისა".

ებრაელი ხალხი მეტი შეღავათებით ცხოვრობდა აგრიპასა და კლავდიუსის დროს. კალიგულას ბედით დაშინებულ კლავდიუსს საერთოდ სურდა წინამორბედზე უმჯობესი ღონისძიებები გაეტარებინა. იგი პროვინციებზე სა-

ერთოდ ავრცელებდა მეტ შეღავათებს. „ცხვრის გაპარსვისას მატყლს ტყავიც როდი უნდა გააყოლოო", — ამ დევიზით ცდილობდა იგი მცირედად მაინც შეენელებინა რომაელთაგან პროვინციების აღვირახსნილი ყველფა და ძარცვა.

აგრიპა ბევრს ზრუნავდა იუდეიის ქალაქთა გაშენებასა და გამშვენებაზე. კალიგულასგან ნაჩუქარი დიდი ოქროს ჯაჭვი მან იერუსალემის ტაძარს შესწირა. ბევრ ქალაქში ააგო თეატრები და თერმები.

აგრიპას სამი ასული ჰყავდა, ერთიმეორეზე უმშვენიერესნი — ბ ე რ ე ნ ი კ ე, მარიამნა და დრუზილა. პირველი მამამ ჯერ ცოლად მისცა მ ა რ კ უ ს ს, ალექსანდრიელი სახელოვანი ებრაელის, ალექსანდრე ლისიმახოსის ძეს, მაგრამ მარკუსი სიძეობაშივე დაიღუპა და ასე პირველი ქორწინებით გაწბილებული ბერენიკე აგრიპამ დააქორწინა თავის უმცროს ძმაზე, ჰ ე რ ო დ ე ზ ე (ჰეროდე II), რომელიც კლავდიუსმა პრეტორის ტიტულით დანიშნა ხალკისის მმართველად (ლიბანში). მარიამნა აგრიპამ ცოლად აღუთქვა თავისი მეგობრის, ხელკიას ძეს, ხოლო დრუზილა — კომაგენის მეფის, ანტიოქეს ძეს.

აგრიპას დიდი დამსახურება იყო, რომ მისი „სიყვარულისმიერი" ზეგავლენით, იმპერატორმა კლავდიუსმა მთელს იმპერიაში ებრაელობა ადგილებზე მცხოვრებ ყველა ხალხთა შორის თანაბარუფლებიან ხალხად გამოაცხადა. ეს განსაკუთრებით სასიკეთოდ საგრძნობი უნდა ყოფილიყო ეგვიპტეში, სადაც ადგილობრივ ბერძნებს ისევ დაეწყოთ იქაურ ებრაელთა რელიგიური და მოქალაქეობრივი უფლებების შეზღუდვა-შევიწროება.

იმპერატორ კლავდიუსს გამორჩეული პატივისცემა ჰქონდა ფილონ ალექსანდრიელისადმი, მისი მეცნიერული და ლიტერატურული ნიჭისადმი.

მალე რომის საიმპერატორო ხელისუფლებამ აგრიპას ნება დართო პალესტინის სატახტო ტიბერიადიდან იერუსალემში გადაეტანა. იერუსალემის მოთაყვანე მეფემ ბოლოს იმასაც მიაღწია, რომ აქაური მოსახლეობა საბინაო გადასახადისგან გათავისუფლებია. ეს ღონისძიება მით უფრო ღირებული იყო, რომ ქვეყნის ყოველი კუთხიდან იერუსალემზე მოწოლილ მლოცველებს იერუსალემელი მოქალაქენი ღებულობდნენ და აბინავებდნენ სრულიად უსასყიდლოდ.

იმ წელს (41) პირველი მოსაელის აღების დღესასწაული არნახული საყოველთაო ზეიმით აღნიშნეს ისრაელიანებმა. ნაყოფით ტვირთული რტოებით, ხილით სავსე ლამაზი კალათებით აივსო იერუსალემი. ფლეიტების, ტიმპანების, ბობღანთა და ბუკთა ცემით აწყდებოდა ხალხი წმიდა სატახტოს და მის სალოცავებს.

თვითონ მეფე აგრიპაც მის ხალხთან იყო. იგი პირველი შევიდა ტაძარში, ნაყოფით სავსე კალათით მხარდამშვენებული და პირველმა უძღვნა უფალს სამადლობელი ნაყოფიერ და მხიარულ დღეთა მოვლინებისთვის.

უფრო დიდი ზარზეიმით აღინიშნა იერუსალემში მომდევნო 42 წლის ოქტომბერში კარვობის დღესასწაული. აქაც ყველაზე წინ აგრიპა იყო, მაგრამ მაინც შეექნა უხერხულობა მეფეს.

მაკაბელთა და ხასმონელთა შემდგომ, „უცხო ტომის“ ჰეროდე დიდის დროიდან, სულ დაურუვდა და დავიწყებას მიეცა ეს დღესასწაული. უცხო წარმომავლობის დინასტიის ჟამს, თითქოს, ბუნებრივიც უნდა ყოფილიყო ასეთი „მივიწყება“, რამდენადაც დადგენილი ტრადიციის მიხედვით თვითონ მეფეს უნდა წაეკითხა ლოცვად და ზორვად მოსული ერის წინაშე ეს დებულება მეორე სჯულის კანონიდან: შენი მეფე შენს ძმათაგან უნდა გყავდეს არჩეულიო; მაშ, ებრაელ ხალხს მეფეც ებრაელი უნდა ჰყავდესო. ამიტომ არ სწყალობდნენ ჰეროდეანები ებრაელთა ამ დღესასწაულს. მაგრამ ამ 42 წელს კი დიდი ზარზეიმით აღინიშნებოდა კარვობა. და ეს თვითონ მეფე აგრიპა მეორის თაოსნობა იყო. იგი თვითონ ჩასდგომოდა სათავეში სალოცავად და საწირავად ტაძრისკენ მიმავალ ხალხს. შიგნით, ტაძარშიც, შუაგულსა და ამაღლებულ ადგილზე იდგა და იქიდან კითხულობდა უმაღლეს ფარისეველ სამღვდელოთაგან მოწიწებით მიწოდებულ თორას.

კითხულობდა, მაგრამ როცა იმ ადგილს მიადგა და კიდევაც უნდა წაეკითხა — მეფედ მხოლოდ შენი სისხლთაგანი ძმა უნდა დაისვაო — მაშინ კი ხმა ჩაუწყდა და ქვითინი აუვარდა აგრიპას.

მაგრამ უმლავე წამოეშველნენ თვითონ უმკაცრესი მესჯულე ფარისეველნი: „შენ ძმა ხარ ჩვენი, ჩვენი ძმა!“ მიდი, არ შედგე, წაიკითხეო...

აგრიპას პატივად ჰქონდა, იერუსალემის საუფლო ტაძრის მღვდელმთავარიც თვითონ შეერჩია და დაენიშნა. ამ პოსტიდან მან გადააყენა ადრე, რომაელი ვიტელიუსისგან დანიშნული თეოფილე და მის ადგილზე დასვა ს ი მ ო ნ ღ ვ თ ი ს ნ ი ე რ ი, რომელმაც დიდი პატრიოტული გზნებით და მხნეობით თავი ისახელა კალიგულას ანტიებრაული შემოტევების უკუსაგდებად.

მაგრამ იყო კიდევ ერთი ს ი მ ო ნ ი, უმკაცრესი ფარისეველი, რომელიც ვერავითარი შეღავათით ვერ ურიგდებოდა აგრიპას, როგორც „უცხოელის“, მეფობას. აგრიპას ჩვენი წმიდა ტაძრის ზღურბლზე ფეხის გადმობიჯების უფლებაც არა აქვსო, — გაიძახდა იგი.

განსაკუთრებით მაშინ აქტიურობდა სიმონი აგრიპას წინააღმდეგ, როცა ეს უკანასკნელი იერუსალემში არ იყო. და, ერთხელ, კესარიაში მდგარ მეფეს შეატყობინეს, როგორი თავგამოდებით მოუწოდებდა ხალხს სიმონ ფარისეველი აგრიპას წინააღმდეგ. მაშინ მიიწვია თავისთან აგრიპამ სიმონი. დაისვა პირდაპირ და გაუბა საუბარი, დინჯი და თავაზიანი. და, ბოლოს და ბოლოს, ისე მოხიბლა და მოიარშივა კიდეც, სულაც ბოდიშები ახდევინა და აყრევინა ამ შეურიგებელ მესჯულეს. უხვადაც დააჯილდოვა და სამუდამოდ შემორიგებული, სიამტკბილობით გამოისტუმრა.

დიდი ყურადღებითა და შემწყნარებლობით ეპყრობოდა აგრიპა, აგრეთვე, ს ი ლ ა ს ს. სილასი უხიადი და ურიდალი კაცი იყო, მაგრამ აგრიპა მის ნიჭსა და სიმამაცეს აფასებდა, ამიტომ მან ეს კაცი ქალაქის თავად და მხედრობის უფროსადაც დაადგინა. მაგრამ სილასმა ენა მაინც არ დააყენა. მეფის ადრინდელ დუხჭირ ცხოვრებას მოაგონებდა ხალხს, და ამით ცდილობდა მის დამ-

ცირებას და მეფური ტახტისთვის უღირსობებას. ბოლოს, რაკი აღარ დაიშალა და აღარ დაისვენა, ხელი დააკლო და ციხეში ჩააგდო მეფემ თავისი დაჯმცხრალი მაგინებელი. მერე მაინც გამოუშვა დიდსულოვანმა მეფემ და ისევ სცადა ამ ავყია, მაგრამ მაინც სასარგებლო კაცის დაახლოება. მაინც არაფერი გამოვიდა: სილასი „ახალი ძალით" შეუდგა აგრიპას ლანძღვას და კიცხვას. აგრიპასაც ისღა დარჩენოდა, ახლა კი სამუდამოდ „ჩაეყუდებინა" ციხეში მისი დაუღალავი მგმობელი. ხოლო, მის ნაცვლად მეფე აგრიპამ იერუსალემის და კავალერიის მესვეურობა ჩააბარა თავის ერთგულ მეგობარს და სამძახლოს, ხელკიას.

აგრიპას მოღვაწეობას, უნდოდა თუ არ უნდოდა, მაინც დუალიზმი მსვავლავდა მძაფრად. იგი თავგამოდებით ცდილობდა ტრადიციული ებრაელობის, მოსეს სჯულისა და კანონის ურყევი ებგური ყოფილიყო, მაგრამ მთელს იმპერიაში, ატლანტის ოკეანიდან მესოპოტამიამდე, შეუჩერებელი პროცესი რომანიზაციისა, ვერც რომელიღაც ერთი აგრიპას სულს დატოვებდა შეურევნელად და შეუმღვრეველად. მაინც წარმომავლობით იდუმეელი ჰეროდეადი კი არა, „კლასიკურად ურყევ" იუდეურ-ფარისეველურ სამყაროშიც უკვე მძლავრად შემოედგა ფეხი რომაულ ყაიდაზე და ნაქცეურობაზე ცხოვრების ტენდენციებს.

ამიტომაც უნდა ყოფილიყო, რომ ებრაელობაში არავითარი რაიმე რადიკალური პროტესტანტიზმი არ გამოუწვევია, როცა აგრიპამ ძველი ფინიკიური, მაგრამ უკვე კარგა ხნის ებრაული ტრადიციებით ხელდარეული ქალაქი ბ ე რ ი ტ ა სრულიად რომაულ ყაიდაზე გადააკეთა, რომაული ცირკებით, საასპარეზოებით, თერმებით, კოლონადებით. 1400 სოკვდილმისჯილი ადამიანიც რომ საცირკო წარმოდგენაზე მეფემ ხალხის თვალსასეიროდ ერთმანეთს შეაჟლიტა, იმ აღტაცებულ მაყურებლებში არც ებრაელები დაჰკლებიან მაინც და მაინც.

აგრიპას აშკარა ელინოფილობაც „სვირდა". ნივთიერ დახმარებას უწევდა ერთ დროს მსოფლიო კულტურის დიდ ცენტრს და იმჟამად დაქვეითებულ ათენს, ასევე კესარეას, სებასტას. მადლიერმა სებასტელებმა თავის ქალაქში მწყალობელი აგრიპას სამ ქალიშვილს ძეგლები დაუდგეს, თვითონ მეფის სახელზე კი მონეტაც მოკრეს, ასეთი წარწერით — „დიდი მეფე აგრიპა, მეგობარი იმპერატორისა".

ყველაფერს თითქოს ყველასთვის აკეთებდა მეფე აგრიპა. მაგრამ რომაელი მზირებისთვის მაინც შეუმჩნეველი არ დარჩენილა, რომ იგი მაინც ებრაელი ხალხის გამორჩეული ამაღლებისა და გამძლავრებისთვის ზრუნავდა. აგრიპა გრძნობდა, რომ რომთან „მეგობრობას" ბოლოს მაინც მახვილთა ჯვარედინი უნდა მოჰყოლოდა და ყოველი გზით, აშკარად თუ შეფარვით, ამზადებდა იგი ებრაელ ხალხს მომავალი ომებისათვის. მან იცოდა, რომ ომის დაწყება, იმჟამინდელი რომაული გარემოცვის პირობებში, დაკავშირებული იყო სრულიად მოულოდნელ, შემთხვევით კაპრიზებთანაც კი, ვთქვათ, რომის საიმ-

პერატორო ტახტზე რომელიმე მორიგი ჭკუაშერყეულის გამოჩენასთან. ამიტომ ახლა, ინერტული კლავდიუსის რაღაცნაირი პაციფისტური განწყობილების ჟამს, აგრიპა გამალებით აღადგენდა, ან ახლად აგებდა იუდეიის ციხესიმაგრეებს, ამარაგებდა სურსათსანოვაგეს და საომარ საჭურველს. გამორჩეულად აშენებდა და განამტკიცებდა იერუსალემში მდებარე და მიმდებარე ციხესიმაგრეებს, უპირველესად — ბ ე ც ე ტ ა ს და ა ნ ტ ო ნ ი ა ს, რომელთა კედლებისა და კოშკების აშენება ბოლოს ეკურთხა კიდეც საგანგებოდ, დიდის ზარზეიმით, მირონის კმევით და ლევიანთაგან ფსალმუნთა გალობით.

იუდეაში ასეთ საფორტიფიკაციო აღმშენებლობათა წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა სირიის მმართველმა ვ ი ბ ი უ ს მ ა რ ს მ ა, რომელმაც სასწრაფოდ დაასმინა აგრიპა იმპერატორ კლავდიუსთან, — ეგ კაცი ისეთი მშენებლობით არის გართული, რაიც სამომავლოდ რომს უეჭველად დააზარალებსო. და გამოაცემინა კიდეც ებრაელთა მომტერემ ბრძანებულება „ებრაელთა მწყალობელ“ იმპერატორს, შეეწყვიტა აგრიპას „ზედმეტ“ ციხესიმაგრეთა აღმშენებლობანი იუდეაში.

აგრიპა იძულებული გახდა იმჟამად შეეკავებინა თავი, მაგრამ საერთოდ ხელი არ აუღია რომის საპირისპირო საქმიანობაზე. მან მეზობელი ქვეყნების ადგილობრივ მთავართა შემოკრებაც კი სცადა რომის ექსპანსიის შესაკავებლად აზიაში. საამისო სათათბიროდ, ტიბერიადაში, დანიშნულ დღეს, მოიწვია მმართველნი: კომაგენისა — ა ნ ტ ი ო ქ ე, ემესისა — ს ა მ ს ი გ ე რ ა მ ი, მცირე სომხეთისა — კ ო ტ ი ს ი, კილიკიისა — პ ო ლ ე მ ო ნ ი და ხალკისისა — ჰ ე რ ო დ ე, თავისი ძმა. ეს შეკრება დაინიშნა ვითომ გასართობი სანახაობის სახილველად და საერთოდ, როგორც ყველანი რომის ხელისუფლებისაგან დანიშნულნი, მისით „ბედნიერნი და მადლიერნი“, სწორედ რომისადმი ერთგულობის გამოსახატავად.

მაგრამ არ აღმოჩნდა ვიბიუს მარსი ეგზომ გულუბრყვილო. იგი სასწრაფოდ მივიდა ტიბერიადას და პირდაპირ უბრძანა „გასართობად შეყრილ“ მთავრებს თუ მეფუკებს, დაუყოვნებლივ დაშლილიყვნენ, თავიანთ სახლებში დაბრუნებულიყვნენ და კვლავაც აღარ მოსვლოდათ თავში ფიქრი ასეთი „სალაღობო შეყრილობათა“. და ისინიც უმალვე დაიფანტნენ.

აგრიპა მაინც თავისას არ იშლიდა. იგი ახალ გეგმებს აწყობდა იუდეიის განმტკიცებისა და გაძლიერებისთვის. მაგრამ სიკვდილი ეწვია ნაადრევად და მოულოდნელად, 44 წლის გაზაფხულზე, 54 წლის ასაკში. კესარიაში სანახაობა მოეწყო, იმპერატორ კლავდიუსის მიერ ბრიტანეთში მოპოვებულ გამარჯვებათა სადღესასწაულოდ. სწორედ ამ სანახაობაზე დამსწრეს ეწვია სიკვდილი.

ვინ როგორ „ხსნიდა“ მის სიკვდილს. ერთნი ამბობდნენ, თითქოს ერთხელ რომელიღაც გერმანელ მეომარს ეწინასწარმეტყველებინოს, ჭოტის ხმას რომ გაიგონებ აღსასრულიც იქვე გექნებაო, და თითქოს იმ დღეს, იმ საასპარეზოს მჯდომარეს სმენოდეს ჭოტის ხმა და მისგანვე აღსრულებულიყოს. ქრისტი-

ანები კი ჰეროდე-აგრიპას სიკვდილს ღვთით მოვლენილ სასჯელად მიიჩნევდნენ, რაკი იგი უკვე ღმერთს უტოლებდაო თავს, უფრო კი იმის გამო, ქრისტიანებს რომ სდევნიდა და ავიწროებდა-და ამისთვის „მეყსეულად სცა მას ანგელოზმან უფლისამან“ მახვილი...

ასე იყო თუ ისე, აღესრულა კაცი, რომელმაც მხოლოდ სამწლიან (41—44) მეფობაში ებრაელთა ქვეყანა ერთხელ კიდევ აღამაღლა დავითიან-სოლომონიანობის ანუ „ოქროს ეპოქის“ ღირსეულ მემკვიდრეობად.

27. აგრიპა მეორე

მაგრამ სიკვდილს მაინც სჩვევია, ბევრი ყალბი ნიღაბი უხმარყოს და ადამიანთა ზნეობრივი დამოკიდებულებანი საშკარაოზე გამოამზეურეს. ამ მხრივ, ბუნებრივია, არც აგრიპას სიკვდილი უნდა ყოფილიყო გამონაკლისი.

გამორჩეულად ისევ ბერძნებმა „გამოიჩინეს“ თავი. ბერძენთა თაეგამოდებული მწყალობელი, სიცოცხლეში რომ ღმერთს უტოლებდნენ და ღმერთის სადარ ხოტბა-დიდებას ასხამდნენ, ახლა მკვდარი დაცინვისა და დამცირების საგნად გაეხადათ. გენიალური ჰელინურობის შთამომავლებმა ისიც იკადრეს, მსხვერპლი შეეწირათ ქარონისთვის, მეფე აგრიპა რომ საიქიოს მდინარეზე გადაათრია.

როცა „დიადმა ბერძნებმა“ მათი მარად კეთილისმყოფელისადმი ეს იკადრეს, უფრო ნაკლებ საკვირველი უნდა ყოფილიყო უხეშ და უღვთო დამპყრობელ რომაელთა საქციელი მათდამი მაინც ფარული მტრობით განწყობილი ებრაელთა მეფისადმი. რომაელებმა სებასტეაში აღმართული აგრიპას ასულთა ძეგლები მოხსნეს და საჯაროდ გააუპატიურეს!

მხოლოდ იმპერატორი კლავდიუსი შეაწუხა „საყვარელი ებრაელი მეგობარი-მეფის“ ჯერ სიკვდილმა, მერე მკვდრის შეურაცხყოფამ.

იმპერატორის კარზე მაშინ რომში იზრდებოდა აგრიპას ვაჟი, ისიც სახელად ა გ რ ი პ ა, მამამისის სიკვდილის ჟამს უკვე 17 წლისა. და იფიქრა იმპერატორმა კლავდიუსმა, მაშინვე მამის პირდაპირი მემკვიდრეობით დაენიშნა აგრიპა აგრიპას ძე იუდეიის მეფედ. მაგრამ მისმა ფავორიტმა მრჩევლებმა, გაეზატებულმა მონებმა, ნ ა რ ც ი ს მ ა და პ ა ლ ა ს მ ა არ დაანებეს, — ისეთი ძნელი სამართავი ქვეყანა, როგორიც არის იუდეა, არ შეიძლება ამ გამოუცდელ ბიჭს მივცეთო, და დაიყოლიეს იმპერატორი, დარჩენილიყო იუდეა საკუთარი მეფის გარეშე, მხოლოდ როგორც პროვინცია, რომაელი პრეტორის თუ პროკურატორის გამგებლობის ქვეშ.

და დანიშნა იმპერატორმა კლავდიუსმა ებრაელთა ქვეყნის მმართველად

კ უ ს პ ი უ ს ფ ა დ უ ს ი, რომელიც სირიის მაშინდელ მმართველთან, ვიბიუს მარსთან, კონფლიქტურ დამოკიდებულებაში იყო. იუდეა მაინც სირიის პროვინციასთან მთლიანობაში ჰქონდათ რომაელებს გააზრებული, თუმცა ახლა კუსპიუს ფადუსს იმპერატორისგან რწმუნებები ჰქონდა ვიბიუს მარსისგან უფრო დამოუკიდებლად ემოქმედა. კერძოდ, კლავდიუსი ფადუსს მიანიშნებდა, მარსისგან დამოუკიდებლად, სასჯელი არ დაეშურებია იმათთვის, ვინც შეურაცხყოფდა მის მკვდარ მეგობარს, მეფე აგრიპას. სამაგალითოდ უნდა დასჯილიყვნენ ის რომაელი სამხედრონი, აგრიპას ასულთა ძეგლები რომ შერყვნეს. ისინი იუდეიიდან უნდა გაერეკათ უფრო შორეულ პონტოში. მაგრამ კლავდიუსის არც ეს ბრძანება შესრულებულა, ისე როგორც მრავალი სხვა ნაბრძანები ამ „ვითომ იმპერატორისა".

ებრაელთა მეფის, თანაც მკვდრის შეურაცხყოფის დაუსჯელობა ნიშანი იყო იმისა, რომ რომაელები კვლავ მათთვის ჩვეული „მგლური სიმკაცრის" აღდგენას აპირებდნენ იუდეაში.

ასედაც დაიწყო. ასეთ დაწყებას კი ისევ შესატყვისი რეაქცია მოჰყვა. უკვე ერთბაშად იბადებოდნენ პატრიოტული ებრაული საომარი გაერთიანებანი, რომლებიც მოულოდნელი თავდასხმებით აზარალებდნენ და მოსვენებას ართმევდნენ განსაკუთრებით რომაელ დამპყრობლებს და საერთოდ ანტიებრაულ დასახლებებს პალესტინაში.

ერთი ასეთი პარტიზანული შენაერთის მეთაური იყო ვინმე ტ ო ლ ო მ ა ი, რომელსაც თავისი თანამებრძოლებით ბინა დაედო იდუმეიის მთებში და იქედან აწარმოებდა იგი ხშირ სისხლმაქცევარ თავდასხმებს, ერთის მხრივ რომაელებზე, მეორეს მხრივ ნაბატეელ არაბებზე. ბოლოს და ბოლოს, კუსპიუს ფადუსმა თავისი ლეგიონებით შესძლო ამ რაზმის განადგურება, თვითონ ტოლომაიც ხელთ იგდო და საჯაროდ თავიც გააგდებინა.

მაგრამ ებრაელი ერი ბრძოლას ერთის წუთითაც არ წყვეტდა. ასე, ებრაელთა აჯანყება მოხდა ფილადელფიაში (ძველი რაბათ-ამონი), სადაც ამ აჯანყების ბელადი, ა მ რ ა მ ი და მისი თანამებრძოლები, ჰ ა ნ ი ბ ა ლ ი და ე ლ ე ა ზ ა რ ი, რომაელებმა ბოლოს და ბოლოს შეიპყრეს და ფადუსის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს.

გამძვინვარებულმა კუსპიუს ფადუსმა ისეც მოინდომა, იერუსალემის მღვდელმთავრის დანიშვნა წინანდებურად რომაელი გამგებლის უფლებად ქცეულიყო და მღვდელმთავრის შესამოსელ-აღკაზმულობაც რომაულ სიმაგრეში, ანტონიაში დაბინავებულიყო.

ამან იერუსალემში ახალი მღელვარება გამოიწვია. აღელვებულ ხალხს გამოექომაგა გარდაცვლილი მეფე აგრიპას ძმა და სიძე, ხალკისის პრეტორი ჰეროდე მეორე.

მაშინ კუსპიუს ფადუსმა და მასთან სირიის ახალმა გამგებელმა, გ ა ი უ ს კ ა ს ი უ ს ლ ო ნ გ ი ნ უ ს მ ა ლეგიონები შეიყვანეს იერუსალემში.

მდგომარეობა უაღრესად დაიძაბა. წუთიწუთზე სისხლისქცევაც უნდა და-

წყებულიყო. მაშინ ჰეროდემ მოითხოვა დეპუტაცია გაეგზავნათ რომში, იმპერატორთან, იმ პირობით, რომიდან პასუხის მობრუნებამდე რომაელ სარდლებს იერუსალემელთა წინააღმდეგ ხელი არ გამოეღოთ.

რომაელმა სარდლებმა სამაგიეროდ, სიმშვიდის საგარანტიოდ, მძევლები მოითხოვეს და კიდევაც მიიღეს.

რომში ელჩებად ოთხი კაცი გაიგზავნა: კორნელიუსი, ტრიფონი, დოროთეოსი და იოანე. იმპერატორმა კლავდიუსმა ისინი პატივით მიიღო და მათგან წარდგენილი ებრაელი ხალხის თხოვნაც უყოყმანოდ დაადასტურა: რომაელები მღვდელმთავრის დანიშვნასა და მისი აღკაზმულობის პატრონობაზე ხელს აიღებდნენ და ეს უფლებები ამიერიდან ხალკისის მმართველ ჰეროდე მეორეს ენიჭებოდა.

იმ წელსვე (45), ჰეროდე მეორემ იერუსალემის მღვდელმთავრად დანიშნა იოსები. მალე ესეც თვითონ გადააყენა და მის ნაცვლად დაადგინა იოხანან ბენ-ნაბედაი, რომელმაც სახელი გაითქვა ისეთი საოცარი მუცელუმაძღრისობით, თითქოს საუფლოდ შეწირულ ცხოველთაგან ლუკმაც რომ აღარ რჩებოდაო შეუჭმელი!

მომდევნო 46 წელს „ახალი მესია“ გამოჩნდა, სახელად თევდა. ამან 400 კაცი გაიყოლია და იორდანესაკენ წაიყვანა, ქადილით — წყალს გავაპობ და ხმელზე გაგატარებო. დაედევნა მათ ფადუსი რომაელთა ჯარით. უმრავლესობა გაწყვიტა, დანარჩენები ტყვედ აიყვანა, თვითონ თევდას თავი მოჭრეთა და იერუსალემში ჩამოიტანა.

იმავე წელს კუსპიუს ფადუსი რომს გაიწვიეს და მის ადგილზე იუდეის მმართველად დანიშნეს ტიბერიუს იულიუს ალექსანდრე, რომაულად გადარჯულებული ებრაელი, ცნობილი ეგვიპტელი ალექსანდრე მონომახოსის ძე, ფილონ ალექსანდრიელის ძმისწული.

ებრაელთა სათავეში ებრაელის დანიშვნა რომის საიმპერატორო კარს ამ უცხო მტრისადმი მუდამ დაუთმობელი ხალხის გულისმოსაგებად განეზრახა, მაგრამ საწინააღმდეგო შედეგი კი გამოიღო: ჭეშმარიტმა ებრაელებმა გადარჯულებული თვისტომის დანიშვნა შეურაცხყოფად მიიღეს და აჯანყებაც აღარ დააყოვნეს.

აჯანყებას სათავეში ედგნენ იაკობ და სიმონ, ძენი რომაელებთან შეურიგებელ ბრძოლათა გმირის, იუდა გალილეველისა. რომაელებმა ეს აჯანყებაც ძლივს ჩააქრეს, იაკობ და სიმონ შეიპყრეს და ჯვრებზე გალურსმეს.

48 წელს ჰეროდე II გარდაიცვალა და მის მაგივრად ხალკისის მმართველად იმპერატორმა კლავდიუსმა გამოგზავნა რომში აქამდე მყოფი აგრიპა II, ძე ცნობილი მეფე ჰეროდე-აგრიპა I-ისა. ხალკისის მმართველობასთან ერთად, ახალგაზრდა აგრიპას რომიდან მეფის ტიტულიც და იუდეის ზედამხედველობის რწმუნებებიც გამოატანეს. მაგრამ ყველაფერი ეს მაინც ფორმალური იყო და თვითონ აგრიპასაც არ უცდია რომაელი „მეგობრები“ ფაქტიური მეფობისა და ხელმწიფობისთვის შეეწუხებინა. იგი ყველაფერს რომის საამებლად

აკეთებდა, რაის გაკეთებაც კი მას ეკითხებოდა. მღვდელმთავარსაც ისეთს ნიშნავდა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ეროვნული რჯული და კანონი რომაული წესწყობილებისადმი შესაწირად გაემეტებოდა. აგრიპამ ოცი წლის მანძილზე შვიდი მღვდელმთავარი შეცვალა, რომელთაგან ზოგი ანგარი და მომხვეჭელიც აღმოჩნდა.

ქვეყანა მძარცველთა და ყაჩაღთა ბანდებით გაივსო. უკვე ძნელი ხდებოდა ხალხს გაერკვია, ვინ იყო უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი პატრიოტი ზელოტი, და ვინ კიდევ ჩვეულებრივი შარაგზის ყაჩაღი.

ზელოტებს ს ი კ ა რ ი ე ბ ი გამოეყვნენ. ეს სახელი წარმოსდგა სიტყვისაგან — „სიკა“ — მოკლე ხანჯალი, რაითაც სამოსელში შეუმჩნევლად შეფარულ-შეჭურვილნი, სრულიად მოულოდნელად და დაუბრკოლებლად სპობდნენ ისინი აჩემებულ მსხვერპლს. სიკარიები უფრო ქონების მოხვეჭის, ან პირადი შურისმგებლობის მოტივებით მოქმედებდნენ, ვიდრე უცხოელთა წინააღმდეგ პატრიოტული ბრძოლის შინაარსით.

განსაკუთრებით გაითქვეს სახელი სიკარიელთა რაზმებმა, რომელთაც სათავეში ისევ იუდა გალილეველის ნაშიერნი ჩასდგომოდნენ, მისი შვილიშვილები — მ ე ნ ა ხ ე მ და ე ლ ე ა ზ ა რ ბ ე ნ-ი ა ი რ. ესენი თავის „სიკას“ პირდაპირ აყენებდნენ ყველას სამსახურში, ვინც კი სასყიდელს არ დაიშურებდა, სულ ერთი იყო, ვის რა მიზნით სჭირდებოდა სისხლის დაქცევა — რაიმე ნივთის წასართმევად, თუ უბრალო ნაწყენობის გასაქარვებლად.

„სიკარიულმა შიშმა“ მოიცვა ქვეყანა. არავის, არავითარ გარემოში, გარანტია არ ჰქონდა, რომ მის გვერდით მკვლელი არ იდგა, სალამზე მოახლოებული კაციც რომ სიკარი არ აღმოჩნდებოდა, გუშინდელი მეგობარიც, ახლობელიც...

იგივე 48 წელს იმპერატორმა კლავდიუსმა პალესტინის პროკურატორობიდან გაიწვია ტიბერიუს იულიუს ალექსანდრე, მაშინვე ეს პოსტი ორად გაპყო და ორი ახალი პროკურატორიც გამოგზავნა: იუდეა-სამარიის მმართველად კ უ მ ა ნ ი, გალილეიის მმართველად — ფ ე ლ ი ქ ს ი. (იმპერატორის მრჩეველის, პალასის ძმა).

კუმანი და ფელიქსი დაუძინებელი მტრები იყვნენ ერთმანეთისა. ერთ უმთავრეს საქმეში კი ერთმაენთის ორეულებიც იყვნენ — ებრაელი ხალხის მტრობასა და სიძულვილში.

კუმანმა იერუსალემში მისვლისთანავე უმკაცრესი მეთვალყურეობა დააწესა ხალხის ყოველ დიდსა თუ მცირე შეკრებაზე, რელიგიურ თუ სამოქალაქო თავყრილობებზე.

ერთხელ, პასექის დღესასწაულზე, თვითონ იერუსალემის საუფლო ტაძარში ხალხზე სამეთვალყურეოდ ჩაყენებულ რომაულ კოჰორტას ერთი ლეგიონერი გამოეყო და სხეულის ისეთი მიმოხრა და მიმოქცევა გააჩაღა, რაიც ხალხმა წმიდა სალოცავის შეურაცხყოფად მიიჩნია, და მაშინვე ჯარს ქვის სეტყვაც დააყარა. კუმანმაც დამატებითი ჯარი მიუსია მორიას მთას. ტაძრის

შესასვლელთან საშინელი ცემა და თელვა გაჩაღდა; ხალხიც მრავლად გაწყდა, დაახლოებით 15000 ადამიანი.

ამას მეორე სახიფათო ინცინდენტიც მოჰყვა. ქალაქ ბეთ-ხარანის ახლოს, გზად მიმავალ კუმანს თავს დაესხნენ სიკარიები და გაძარცვეს იგი. კუმანმა სამაგიეროს ამოგება ახლომახლო სოფლებიდან მოინდომა და იმ სოფლებს საძარცვავად თავისი ჯარისკაცები გაუსია, ხოლო, ამ ძარცვა-ტყვეების დროს, რომელიღაც რომაელმა ჯარისკაცმა დახია და ნაკუწებად აქცია შემთხვევით ხელთ მოხვედრილი ებრაულ წმიდა კანონთა წიგნი. ამ მკრეხელობით გაცოფებული და იარაღასხმული ხალხი კუმანს მიუხდა და იმ ჯარისკაცის დაუყოვნებლივ სიკვდილით დასჯა მოითხოვა. „ჩვენ გვერჩივნა თვითონვე დავღუპულიყავით, ვიდრე ჩვენი საღვთო წერილი!“ — ბღაოდა ხალხი.

ამჯერად კი დაუდედლდა გული კუმანს, ახლობელთა რჩევასაც დაუჯერა და ის ჯარისკაცი სიკვდილს მისცა იქვე, აჯანყებული ხალხის თვალწინ.

მესამე ინცინდენტიც მოხდა, სისხლდამდინარი, კუმანის მმართველობის ჟამს. რამდენიმე გალილეველი, გალილეადან იერუსალემს მიმავალნი, სამარიელებმა დახოცეს გზაზე, ქალაქ გინეას მახლობლად. გალილეიის თემთა მამასახლისებმა კუმანს მკვლელთა სასტიკი დასჯა მოსთხოვეს. კუმანმა ეს მოთხოვნა აინუნშიაც არ ჩააგდო. მაშინ გალილეველებმა და მათმა მმართველმა ფელიქსმა შურისსაძიებლად წააქეზეს ზელოტთა ბელადები, ალექსანდრე და ელეაზარ ბენ-დინაი. ამათაც აღარ დააყოვნეს და თავისი რაზმები საძარცვავად და სარბევად შეუსიეს სამარიის ოლქს, აკრაბატენას. სამარიელებმაც იარაღი აისხეს, საშველად კუმანს მოუხმეს, კუმანმაც მიაშველა ლეგიონები და ახლა ებრაელ ზელოტებს დაექცათ სისხლი უხვად.

მაშინ მთელი იერუსალემი დადგა ფეხზე კუმანის რომაულ ბანაკზე თავდასასხმელად. წამქეზებელი და წინამძღოლი იყო წარჩინებული კაცი, სახელად დოროთე. კუმანის დალაშქვრას კი თავისთავად უნდა გამოეწვია ომის დაწყება თვითონ რომთან. მაგრამ სამგლოვიარო სამოსელით მოსილმა სინედრიონებმა ხელწამუდარით ხელი ააღებინეს დოროთეს და მის თანამებრძოლთ ეგზომ სახიფათო ცეცხლთან თამაშზე.

მაგრამ არ შერიგდნენ ებრაელნი და სამარიელნი. ორივე მხარემ ელჩები გაგზავნა და შუამავლად და მეშველ ძალად მოიხმო სირიის მმართველი უმიდიუს კვადრატი.

კვადრატი სამარიას გაეშურა, მივიდა და მისვლისთანავე დაიწყო იმითი, რომ ბრძოლის დროს ტყვედაყვანილი ებრაელები ჯვრებზე გააკრა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა ებრაელთა და სამარიელთა შერიგების საქმეს. ამიტომ შერიგება აღარ მოხერხდა და თავგზააბნეულმა კვადრატმა ორივე მხარეს უბრძანა, საქმის გასარჩევად და საბოლოო განაჩენის გამოსატანად თავიანთი ელჩობანი გაეგზავნათ თვით რომში, იმპერატორის კარზე. თვითონ კუმანიც თავისი პოსტიდან გადააყენა და ისიც ანგარიშის ჩასაბარებლად რომში გაგზავნა უმიდიუს კვადრატმა.

მაშ, ებრაელთა და სამარიელთა დესპანები რომის გზას გაუდგნენ. ებრაელ ელჩობას სათავეში ედგნენ მღვდელმთავარყოფილი ი ო ნ ა თ ა ნ ი და ტაძრის უფროსი ანანი.

რომში დიდი აჟიოტაჟი ატყდა აზიურ საჩივართა გარშემო. პალესტინის არეულობათა გამძაფრებაში ბრალი ედებოდა თვით კუმანს, რომელიც მოსყიდვის გზით ცდილობდა ფავორიტ მრჩეველთა ზეგავლენით იმპერატორის მიმხრობას.

ამ დროს აგრიპა მეორეც ჯერ ისევ რომში იყო და იგი, ებრაელ ელჩებთან ერთად, თავის მხრივ ცდილობდა არ დაეკარგა იმპერატორ კლავდიუსის თანაგრძნობა და თანადგომა, რომელიც პირადად მას ყოველთვის ჰქონდა ებრაელთა მიმართ.

მთავარი როლი ამ საქმის გადაწყვეტაში მაინც უნდა ეთამაშნა იმპერატორის ყოვლად გარყვნილ და უზნეო ცოლს (თანაც ძმისწულს), ა გ რ ი პ ი ნ ა ს. ამას ერთერთ საყვარლად ჰყავდა პალასი, კლავდიუსის უახლოესი მრჩეველი; პალასი კი ძმა იყო ფელიქსისა, გალილეიის მმართველისა; ფელიქსს კი ეჭირა მხარე ებრაელებისა.

ასე, რომ ძალთა განლაგება აშკარად ებრაელთათვის მომგებიანი ჩანდა და საქმეც მათ სასარგებლოდ გადაწყდა. კუმანი დამნაშავედ ცნეს და რომიდან სულ გააძევეს. დამნაშავეებად ცნეს სამარიელებიც, და ამათგან — გალილეველთა მკვლელები სიკვდილითაც დასაჯეს.

მაშინვე ჩრდილოეთ პალესტინის ოლქები — ბატანეა, გაულანიტეა, აურანიტეა, ტრაქონიტეა და პანეა — საბატონოდ მისცეს აგრიპა II-ეს.

ხოლო, თვითონ იუდეა კვლავ ვერ გაიმეტეს რომაელებმა იუდეველი შმართველისთვის და მისი გამგებლობა ისევ თავისიანს, მიანდვეს, თვითონ ფელიქსს. თან ისედაც მოაწყვეს რომის იმპერატორის კარზე, რომ ფელიქსი იუდეიის გამგებლად თვითონ ებრაული ელჩობის მეთაურს, იონათანს ათხოვნინეს. ამ შემთხვევაში მოტივირებისთვის „მოყვრობა" და „ნათესავობაც" გამოადგებოდათ ორივე მხარეს: ფელიქსს ცოლად შეერთო აგრიპა II-ის უმცროსი დაი, დრუზილა.

და გაგრძელდა ფელიქსის ბატონობა იუდეაში ექვსი წელიწადი, დროეამი უსასტიკესი და უბოროტესი ბატონობისა. ეს ხარბი და სულმოკლე სუბიექტი, იმის იმედად, რომ რომის იმპერიის სადავეები ფაქტიურად მის ძმას და მასზე „გადაკიდებულ" თახსირ ავგუსტა-დედოფალს ეპყრათ, თავს ნებას აძლევდა გზა მიეცა ყოველი ბოროტებისთვის, რასაც კი მისი მიკროგონება მოიფიქრებდა.

54 წელს გათამაშდა რომაული ტრაგიკომედიის კიდევ ერთი პასაჟი. იმპერატორ კლავდიუსს სოკო უყვარდა, ერთ დღეს სოკოს კერძს უზომოდ მიაძღა და კიდეც მიაკვდა. თურმე მის აშარ ცოლს, ავგუსტა აგრიპინას იმ სოკოს კერძში წინასწარ, იდუმალ, მძლავრმოქმედი საწამლავი შეეზავებინა და... უკვე სიკვდილის საუფლოში ესვენა კლავდიუსი. ახალი იმპერატორიც იქვე იყო,

თვითონ აგრიპინას ძე პირველი ქორწინებისგან, სახელად — ლ უ ც ი უ ს დ ო მ ი ც ი უ ს ნ ე რ ო ნ ი.

მაშ, მსოფლიო იმპერიის ტახტზე იჯდა ნ ე რ ო ნ ი (54—68). იგი ყრმობითვე ფუქსავატური, უზნეო ცხოვრებით იზრდებოდა. ამიტომ მთელი მისი სიცოცხლისა და ხელმწიფობის მანძილზე თითქმის არ დარჩენილა არცერთი ადამიანური მანკიერება, რომელიც მას არ ჩაედინოს. იყო უკიდურესად პატივმოყვარე, ეგოისტი, გარყვნილი, ეჭვიანი, მეშურნე და მესისხლე. აკვიატებული ჰქონდა, რომ იგი იყო უგენიალურესი პოეტი, მსახიობი, მომღერალი, მხატვარი და მოქანდაკე. ასეთი ახირებული თვითწარმოდგენის შესაბამისად — თხზავდა ლექსებს, სახიობობდა ცირკში, მღეროდა, ჯამბაზობდა, ხატავდა, აქანდაკებდა და სასიკვდილოდ იმეტებდა ყველას, ვინც მისი „უდიადესი ხელოვნებით“ აღტაცებაში არ მოვიდოდა. ერთი სიტყვით, მსოფლიო ისტორიის ტახტზე, რომელსაც ერთ დროს საფუძველი გენიალურმა კეისარმ> დაუდო, კვლავ „მსოფლიო ჭკუაშერყეული“ ხელმწიფე იჯდა.

ბუნებრივია, იმპერიის ტახტზე ეს „საჯდომთა ცვალებადობა“ არაფერს შეცვლიდა იუდეიის მმართველის მმართველობასა და ცხოვრებაში. მისთვის ჩვეულ ბოროტებათა გზანი უფრო იავარდით უნდა მოფენილიყო კიდეც, რამდენადაც იმპერიის საჭეთმპყრობელობა ახლა უფრო მთლიანობითა და განუყოფლობით დაეპყროთ სწორედ მის მფარველებს.

და გრძელდებოდა ნივთიერი ძარცვა, სულიერი დამონება და ფიზიკური გაჩანაგება ებრაელი ხალხისა. მაინც არ ურიგდებოდა ხალხი უცხოობას და იბრძოდა იგი სრული თავგანწირვით. ეს პატრიოტული თავგანწირვა მაინც უფრო ზელოტობაში სხეულდებოდა და სახოვანდებოდა.

სიკარიობა კი ისევ იყიდებოდა. ფელიქსმაც პირდაპირ იყიდა ყველაზე სისხლმაქცევრად ქმედითი სიკარიოსნი და მათი საშუალებით იცავდა საკუთარ სიცოცხლეს და ქონებასაც და ანადგურებდა მისთვის და საერთოდ რომის ბატონობისთვის განსაკუთრებით საშიშ ზელოტებსაც. ბოლოს, ფელიქსმა ისიც შესძლო, ხელთ ეგდო ზელოტური მოძრაობის ბელადი და მთავარი გმირი ელეაზარ ბენ-დინაი; შეიპყრო და ბორკილ-დასხმული გაგზავნა რომს, საიდანაც ებრაელი ერის ეს ჭეშმარიტად სახალხო გმირი, უკან ცოცხალი აღარ მობრუნებულა.

ფელიქსმა მღვდელმთავარყოფილი იონათანიც არ დაინდო, სწორედ ის იონათანი, რომელმაც საკუთარი პირით შესთხოვა მაშინ იმპერატორ კლავდიუსს, იუდეიის მმართველად ფელიქსი დაგვისვიო. იონათანმა გაბედა და ამხილა თავისი „რჩეულის“ ბოროტებანი. ეს კი „რჩეულმა“ არ აპატია და, დღისით მზისით, სიკარიებს დაახანჯვლინა იონათანი.

იერუსალემის მღვდელმთავრის დანიშვნის უფლება კი, ვითარცა „შეფეს“, მაინც აგრიპა მეორეს ჰქონდა და დანიშნა კიდეც ი ს მ ა ე ლ II, ფიაბის გვარისაგან. ამ მხრივაც უკვე დავიწყებული იყო ეროვნული ტრადიცია მღვდელმთავრობის არჩევისას ლევიანთა გვაროვნობის აუცილებლობისა და

ეს დიდი და თანაც ერთადერთი, ეროვნულად სულისმიერი ტახტი უკვე ფულისმიერი გამხდარიყო სრულიად შემთხვევით, ვიგინდარა, უტიფარ მედროვეთა ხელში. ეს ახლად მოვლენილი მღვდელმთავარნი პირდაპირ პირად მფლობელობაში იტაცებდნენ მოსახლეობისგან ტრადიციულ საკაძრო გადასახად მეათედს და შიმშილით სიკვდილის საფრთხეში აგდებდნენ ქვეშევრდომ მდგარ მსახურეულ სამღვდელოებას.

მეფე აგრიპა მეორეც ამ ანტიეროვნული დინების სათავეში იდგა, იქვე, უცხოელი ფელიქსის გვერდით.

ასეთი უცხო და „გაუცხოებული" პოლიტიკა ბუნებრივად ათამამებდა და ათავხედებდა შემოსახლებულ უცხოელ მოსახლეობას ადგილობრივი მკვიდრის, ებრაელობის მიმართ.

ამ მხრივ სამაგალითო იყო დაპირისპირებულობა ებრაელებსა და ბერძნებს შორის კესარეაში. ორივე მხარე თავისად თვლიდა ამ ქალაქს. ბერძნები უფრო იმით მაგრობდნენ, რომ ჰეროდე დიდს კესარეა ელინისტურ სტილზე აეგო და არა ებრაულზე. ასე, რომ ებრაელობას ახლაც ძვირი უჯდებოდა წარსულში მისი მეფის წარმართული ცთომილობანი. და იყო კესარეიის ქუჩებში დღე-ღამით გაუთავებელი შეტაკებანი. ხოლო, პროკურატორი ფელიქსი ასეთი შეტაკებების ჟამს, თითქმის ყოველთვის, ებრაელთა საწინააღმდეგო პოზიციას იჭერდა და, მიჭირვების ჟამს, ბერძნებს რომაული ძალებითაც კი ეხმარებოდა.

როცა ადგილზე ასეთი უსაშველო სჭირდათ, კესარეელი ებრაელები რომსაც მიადგებოდნენ ხოლმე საჩივრებით, მაგრამ მათთვის სანუგეშო მაინც არაფერი ჩნდებოდა.

59 წელს ფელიქსი მაინც გაიწვიეს აზიიდან და მის მაგივრად ნერონის კარმა იუდეიის პროკურატორად დანიშნა ფესტუსი, რომლის სამწლიანმა (59—61) მმართველობამ უფრო გაართულა, ვიდრე გააუმჯობესა ადგილობრივი ურთიერთობანი ებრაელთა ქვეყანაში.

ხალხი უკვე უკიდურესობამდე იყო მისული. მისი მართვა, მით უფრო მასზე ბატონობა, უკვე შეუძლებელი ხდებოდა.

ყველაფრის ტვინი, სული და გული ყოველი ახალი აზრისა და განაზრახისა იყო ისევ და ისევ ტაძარი იერუსალემისა.

ამიტომ აგრიპა მეორე ტიბერიადიდან იერუსალემს გადმოვიდა და ხასმონიანთა სასახლეში დაბინავდა. აქედან ხელისგულივით ჩანდა მორიას მთა და მასზე მდგარი ტაძარი უფლისა, მთავარი სათვალთვალო ებრაელი ხალხის ყოველი მტრისაც და მოყვრისაც.

არ შეურიგდნენ სამღვდელონი უცხო მომტერეთა და „გაუცხოებული მეფის" ყოველწუთიერ უტიფარ თვალთვალს და დასავლის მხარეს, სწორედ სასახლისკენ, უმაღლესი კედელი აღმართეს და ამრიგად ტაძარი მის მოთვალთვალე-მოინტერესეთაგან სავსებით დაიფარეს.

ძალიან შემოსწყრნენ ამის გამო აგრიპა და ფესტუსი და მოითხოვეს ეგზომ ფიცხლავ აგებული კედლის ფიცხლადვე დანგრევა.

დანგრეეაო?! უმალ ჩვენ დავინგრევითო, — ფეხზე დადგა ებრაელობა. ერთხანს გაგრძელდა სიტყვიერი ძიძგილაობა. ბოლოს, ისევ რომში წაიღეს საჩივარი. თორმეტკაციან ებრაულ ელჩობას მეთაურობდნენ მღვდელმთავარი ისმაელი და ხაზინადარი ხალკია.

მაშ, მივიდნენ იმპერატორ ნერონის კარზე, სადაც მაშინ პირველობდა და იმპერიას თავის ჭკუისად ათამაშებდა თვითონ ნერონის მეორე ცოლი (პირველი უკვე მოეკლა), უგარყვნილესი პ ო პ ე ა ს ა ბ ი ნ ა.

და, ებრაელთა იღბლად, ეს ქალი სიმპატიურად ყოფილიყო განწყობილი საერთოდ ებრაელობის მიმართ. შედეგიც ამ განწყობილებას სასურველი მოჰყვა. იერუსალემის ტაძრის ახალი კედელიც დანგრევას გადარჩა და ტაძარზე საგანგებო თვალთვალიც საერთოდ აიკრძალა.

ებრაული ელჩობის მეთაურები, ისმაელი და ხალკია, პოპეა საბინამ თავისთან დაიტოვა, რომში.

აგრიპამ მღვდელმთავრად, ისმაელის ნაცვლად, დანიშნა ი ო ს ე ბ, ძე სიმონ კაბისა, თუმცაღა ესეც მალე გადააყენა და მღვდელმთავრად დასვა ხ ა ნ ა ნ ბ ე ნ-ს ე ტ ი.

61 წელს ფესტუსი მოკვდა და მის ადგილზე იუდეიის მმართველად იმპერატორმა ნერონმა დანიშნა ა ლ ბ ი ნ უ ს ი, რომელიც შედარებით უფრო შემწყნარებლური და შემარიგებლური პოლიტიკით შეუდგა ამ დაუსვენარი ქვეყნის მართვა-გამგეობას.

ალბინუსს ჩამოსვლისთანავე იუდეაში ახალი „მოძრაობა“ დახვდა. ეს იყო სადუკეველთა სექტის გააქტიურება, თვითონ მღვდელმთავრის, ხანანის მეთაურობით. არსებითად ეს იყო დაპირისპირება ფარისეველთა გაბატონებულ სექტასთან, სარწმუნოებრივ წესჩვეულებათა გარშემო.

ხანანს საქმე იქამდეც გაემწვავებინა, რომ საგანგებოდ მოწვეული სინედრიონის სასამართლო საკრებულოზე უმკაცრეს სასჯელთა ჩამორიგებაც კი დაუპირებია ყველაზე აქტიური ფარისეველებისთვის.

ამით გააფთრებულმა ფარისეველებმა მეფე აგრიპას კატეგორიულად მოსთხოვეს ხანანის გადაყენება. აგრიპამაც ფარისეველს დაუთმო, ხანანი გადააყენა და მღვდელმთავრობა ჯერ ი ო შ უ ა ბ ე ნ-დ ა ნ ა ი ს უბოძა, ერთი წლის შემდეგ კი — ი ო შ უ ა ბ ე ნ-გ ა მ ა ლ ა ს.

იოშუა ბენ-გამალა მდიდარ ქერეზე, მართაზე იყო ახლად ნაქორწინევი; ავი ხმები იმასაც ამბობდნენ, რომ მართამ აგრიპას ფული მისცა, 'ორი დენარიუსი, და ასე დაანიშვნინა ქმარი მღვდელმთავრადო.

მაშ, დამდგარიყო დრო, როცა სინდისებრივი სიწმინდე „აღარ სჭირდებოდა“ აღარც მეფეს და აღარც მღვდელმთავარს, ანუ, უფრო ზოგადად — აღარც ერსა და აღარც ბერს.

იერუსალემის ცისგვამში უშველი სიტყვა და ქვის ზუზუნი სუფევდა. ვინ

ვის მხარეზე იდგა, იმ მხარიდან ისროდა სიტყვასაც, ქვასაც, ჟამ-ჟამად სიკაც იელვებდა „სიკარიულად“.

ახალი მმართველის, ალბინუსის სიახლე ის იყო, რომ მან ჩამოსვლისთანავე ბრძოლა გამოუცხადა სწორედ სიკარიებს. ბევრი კიდევაც იმსხვერპლა თავისი ლეგიონერების ხელით, მაგრამ არამცთუ მოსპობით ვერ მოსპო, არამედ კიდევაც მეტად გაამრავლა და გაახელა ეს გარეგნულად უწყინარ-უშფოთველი და შინაგანად უეცარ-უეჭველი სიკვდილის მოციქულები.

მერე გადასახადების გადიდებას შეუდგა ალბინუსი. დიდძალ ქონებას იგროვებდა თავისთვის. გრძნობდა, დიდხანს აღარ გააჩერებდნენ იუდეაში და ჩქარობდა საუნჯეთა დაუნჯებას. გადაყენების ბრძანება რომ მოვიდა, ტყვედაყვანილი სიკარიებიდან ფული აიღო და ასე სიცოცხლენაყიდნი გაათავისუფლა.

მაშ, 64 წელს იუდეაში ახალი პროკურატორი მოვიდა, ისიც პოპეა საბინასგან დანიშნული, სახელად გ ე ს ი უ ს ფ ლ ო რ უ ს ი, მცირე აზიურ ქალაქ კლაზომენიდან. უზნეო და უსირცხვილო კაცი იყო, უზომოდ ხარბი, ვერცხლისმოყვარე, სიტყვისა და ფიცის გამტეხი.

მან სიკარიები თვითონ აუშვა და მიუშვა საკლავ-საძარცვავად და ნაძარცვის დიდ წილხვედრსაც თვითონ მიირთმევდა ფლორუსი.

საშველი კვლავ აღარ ჩანდა. მრავალი იუდეელი იუდეიიდან იყრებოდა და უცხოეთში გარბოდა, უფრო მყუდრო და უშიშარი საცხოვრისი ადგილის საძიებლად. რომაელი მბრძანებლის მონამორჩილი, ლაჩარი მეფის იმედიც სრულიად გადაეწურა ხალხს.

იქნებ ისევ რომში წასულიყვნენ საჩივლელად, მაგრამ ვისთან, ნერონთან? ნერონს უკვე სისხლის აბანოდ ექცია თვითონ რომი; მან სასიკვდილოდ არ დაინდო საკუთარი დედაც, ცოლიც (პირველი ცოლი, ოქტავია), ტახტისმემკვიდრე ბ რ ი ტ ა ნ ი კ ი, პრეფექტი ბ ურ უ ს ი, თვითმკვლელობამდე მიიყვანა პოეტი ლ უ კ ა ნ უ ს ი, ფილოსოფოსი ს ე ნ ე კ ა, მწერალი პ ე ტ რ ო ნ ი უ ს ი, პოლიტიკოსი თ რ ა ზ ე ა პ ე ტ უ ს ი. სიკვდილს ეძლეოდნენ სენატორები, წარჩინებული მოქალაქენი, ყველანი, ვისაც არ შეეძლო თუნდაც უბრალოდ აღტაცება გამოეთქვა ნერონის „ღვთაებრივი“ ხელოვნებისა და ხელმწიფობის მისამართით.

იმ წელს, 64-ში, გესიუს ფლორუსი რომ იუდეაში ჩამოვიდა, რომში ხანძარმა იფეთქა. ცხრა დღე-ღამე მსოფლიო ცენტრი ცეცხლის ალში იყო გახვეული. მის ჩაქრობაში კი არავინ ფიქრობდა. ხმა დადიოდა, ვიღაცები ხალხს მუქარით ხანძრის ჩაქრობას უკრძალავდნენ, თანაც ცეცხლის ახალ-ახალ კერებს აჩაღებდნენ და გაიძახდნენ — ჩვენ ძალიან კარგადაც ვიცით, ვისი ბრძანებითაც ვაჩაღებთ და ვამძლავრებთ ხანძარსო. ერთი სიტყვით, ქალაქის ორმესამედზე მეტი დაიწვა, 14 უბნიდან მხოლოდ 4 გადარჩა. ხალხში დაბეჯითებით გაიძახდნენ, რომ რომი ნერონის ბრძანებით დაიწვაო. რასაკვირველია, იქ სადაც ასეთი განუკითხავი კაცთაკვლაა, არც დანაშაულის ვისმეზე განუკითხა-

ვად დაბრალება გაუჭირდებოდათ; და აი, საქვეყნოდ გამოცხადდა, რომ რომი დაწვეს რომელიღაც ახალი სარწმუნოების მქადაგებლებმა და მიმდევრებმა, რომლებიც თავის მოძღვრებას უწოდებენ ქრისტიანობას, ხოლო თავის თავს ქრისტიანებს. განაჩენიც სასწრაფოდ გამოიტანეს და ეს „პირველი ქრისტიანები" რომის ცირკში, რომაელი ხალხის თვალსასაჩვენოდ, ზოგი მხეცებს დააგლეჯინეს, ზოგიც ცეცხლს მისცეს.

ყოველივე ამას რომში დაერთო რაღაც საშინელი ეპიდემიაც, რომელმაც 30000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

მაშ, ებრაელობისთვის რომში თითქოს არავის სცხელოდა, მაგრამ იქნებ ეს უფრო მომგებიანიც ყოფილიყო თვითონ ებრაელობისთვის. იქნებ რომში ატეხილი თავგზააბნეულობით ესარგებლა კიდეც რომის უღლის ქვეშ დათრგუნვილ ამ მცირე ხალხს და აღმდგარიყო სწორედ ამ უღლის დასამხობად.

და ყოფილა მაშინდელ იუდეაში საამისო ფიქრიც და ცდებიც — ბრძოლა, ერთხელ კიდევ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად. და მოკავშირეებსაც ეძებდნენ ებრაელთა თავკაცნი რომთან მოსალოდნელ ომში. ასეთად მიაჩნდათ, მაგალითად, ადიაბენეს სასახლის კარი, რომლის მეფე, ი ზ ა ტ ე, და დედამისი ე ლ ე ნ ე იუდაისტურ სარწმუნოებაზეც კი მონათლულან. იუდაიზმს გაჰყოლია მომდევნო მეფეც, მონობაზ II, რომელსაც იუდაისტური ტაძრისათვის ოქროს ფიცარი შეუწირავს, წმიდა თორადან აღებული შეგონებებით დაწერილი.

სირიის პროვინციის მაშინდელი გამგებელიც, გ ა ი უ ს ც ე ს ტ ი უ ს გ ა ლ უ ს ი ც წერილს წერილზე აფრენდა რომში — ებრაელები დღედღეზე აჯანყებას გვიპირებენო.

მაგრმა ნერონს საერთოდ აღარ სცალოდა. იგი კვლავ დაჭერილი იყო ჯამბაზობით, მსახიობობით, დეკლამაციებით, ორგიებით, ბაკხანალიებით, მკვლელობით, მკვლელობით, მკვლელობით...

შეთქმულებაც მოეწყოთ მის მოსაკლავად, გ ა ი უ ს კ ა ლ პ უ რ ნ ი უ ს პ ი ზ ო ნ ი ს მეთაურობით, მაგრამ იგი ვიღაცამ გასცა, პიზონმა დაასწრო და ვენები გადაიჭრა. ნერონი გადარჩა.

ებრაელთა მფარველი პოპეა საბინაც აღარ იყო ცოცხალთა შორის, ისიც მოეკლა ქმარს, ნერონს, ფეხმძიმე მუცელში წიხლის ჩაცემით.

იმპერატორის კარზე ახალი ფავორიტები პარპაშებდნენ, პრეტორიანული გვარდიის პრეფექტის, სადისტი-ჯალათის, ო ფ ო ნ ი უ ს ტ ი გ ე ლ ი ნ უ ს ი ს მეთაურობით. ამათ მოსდიოდათ ცესტიუს გალუსის მოხსენებანი ებრაელთა მოსალოდნელ აჯანყებათა შესახებ, მაგრამ ამ „ვაჟკაცებს" საშიშროება „ებრაული აჯანყებისა" ვითომ სასაცილოდაც არა ჰყოფნიდათ.

მაშინ გალუსმა და აგრიპამ იმ წლის (66) პასექის დღესასწაულზე იერუსალემში მოიხმეს ებრაელობა არა მარტო იუდეიიდან, არამედ ყოველი ქვეყნიდან, სადაც კი ებრაელი საერთოდ ცხოვრობდა. ამით მათ უნდოდათ დაერ-

წმუნებიათ რომის საიმპერატორო ხელისუფლება, რიცხობრივადაც რა ძალას წარმოადგენდა ებრაელობა.

ხალხს იწვევდნენ იდუმალი შეპირებითაც: იქნება გადასახადი შეგიმცირეთო, იქნებ თქვენი ჯალათი ფლორუსი მოგაშორეთო.

არნახულად მრავლად მიაწყდა მაშინ ხალხი იერუსალემს, „სიხარულსა დედამიწისასა". ხალხმა აქა-იქ, ერთმანეთს გზა რომ ვეღარ უტიეს, კიდეც გადათელეს ერთიმეორე. ამის გამო „გადათელვის პასექიც" კი დაარქვეს იმწლევანდელი პასექის დღესასწაულს.

ხალხის დათვლაც თავისებურად მოახდინეს: ქურუმები ყოველ სამსხვერპლო ცხოველიდან თითო თირკმელს იღებდნენ და ერთ ადგილზე აგროვებდნენ. სამი მილიონი თირკმელი დაითვალა მაშინ. მაშასადამე, ამ დღეს ამდენმა ებრაელმა შესწირა მსხვერპლი იერუსალემის ტაძარს. ამდენი ადამიანი ბღაოდა იმ დღეს — გადასახადი შეგვიმცირეთო, გესიუს ფლორუსი მოგვაშორეთ, ეს „ქვეყნის ჭირიო".

თვითონ ფლორუსი იქვე იდგა და დამცინავად იღრიჭებოდა.

გალუსმა კი ფიცხლავ ახალი მოხსენება აფრინა რომში: იერუსალემის ქუჩები რომ სამმა მილიონმა ებრაელმა გაიარა, ახლა მაინც მიხვდით რა ძალაა ებრაელობა და რა სახიფათოა ამ ხალხის საომრად ფეხზე წამოდგომაო.

ნერონმა კი კვლავ ვერ მოიცალა ებრაელობისთვის. ის მაშინ „ახალი მიღწევებით" დამთვრალიყო. პართიასთან კონფლიქტები, მისი ჭკუით, ერთხელ და სამუდამოდ გადაეჭრა.

მაგრამ ეს ყოველივე „მისი ჭკუით".

საქმე ისაა, რომ მაშინ მარტო პართიის საკითხი როდი იდგა აზიის პოლიტიკურ ასპარეზზე რომაული მგლის შვილებისთვის.

აქ „ქართული საკითხიც" მუდმივად „მოსაწესრიგებელ" საკითხად რჩებოდა რომის აზიური პოლიტიკის სამყაროში, — ეს იმ დღიდანვე, რა დღიდანაც საქართველო „რომაელი ხალხის მოკავშირედ და მეგობრად" გამოცხადებულიყო.

იმ დღიდან კი — რომაელთა საქართველოში პირველი მოსვლიდან — გასულიყო 130 წელიწადი.

28. ქართული ინტერლოგოსი

ამ ასოცდაათი წლის მანძილზე საქართველოს „რომაელი ხალხის მოკავშირე და მეგობარი" ერქვა, მაგრამ მხოლოდ ერქვა. იგი სრულიად დამოუკიდებლად გრძნობდა თავს.

რომის მესვეურები თითქოს „ვერ ამჩნევდნენ“ ქართველთა ასეთ „დამოუკიდებლურ სითამამეს“ და რაიმე ახალი საომარი გალაშქრება აღარ უცდიათ „იმ ზღაპრულ ქვეყანაში“, სადაც ამდენხანს ებრაელებიც აფარებდნენ თავს.

იმპერატორი ავგუსტუსი მუდამ სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ მას იბერიელ ხელმწიფეებთან კელავ „კავშირი და მეგობრობა“ ჰქონდა.

მერე, I საუკუნის 30-იანი წლებიდან სომხური ტახტის დაუფლების საქმემ მიიპყრო „მსოფლიო ყურადღება“. ეს მაშინ, როცა რომში იმპერატორად იჯდა ტიბერიუსი, პართიაში მეფობდა არტაბან III, ხოლო იბერია-ქართლში ხელმწიფობდა ფარსმან I.

არტაბან პართიელმა ყველას დაასწრო და სომხეთის ტახტზე თავისი უფროსი ძე, არშაკი დასვა.

ტიბერიუს რომაელმა ფარსმან იბერიელს შემოუთვალა, შენის ჯარებით სომხეთში შედი, პართიელი უფლისწული გაძევე და ტახტზე შენი ძმა მირდატი დასვიო.

ფარსმანს წაქეზებაც არ სჭირდებოდა, — რაც სურდა, კიდეც იქმოდა; ქართული ჯარით სომხეთში შეიჭრა, მისი მთავარი ქალაქი, არტაქსატა დაიჭირა, არშაკ პართიელი მისსავე კარისკაცებს მოაკვლევინა და სომხეთის ტახტზე თავისი ძმა, მირდატი დასვა.

რისხვით აღვსილმა არტაბან პართიელმა თავისი მეორე ვაჟი, ოროდი გამოგზავნა დიდი ჯარით, შურის საძიებლად და სომხეთის ტახტის დასაბრუნებლად. თან კავკასიონის გადალმა მცხოვრებ სარმატებსაც სთხოვა დახმარება პართიის მეფემ.

ქართველებიც აღიკაზმნენ საომრად. ფარსმანმა მოკავშირეებად მეზობელი ალბანელები მოიხმო და ისინიც მოვიდნენ. მერე სარმატებთანაც აფრინა ეჯიბნი. სარმატთა ნაწილი ქართველებს მიემხრო, ნაწილიც — პართიელებს, მაგრამ ქართველებმა, რაკი კავკასიონზე გადმოსასვლელი გზები მათ ხელში იყო, სამხრეთისკენ მხოლოდ თავისი მოშხრენი გამოუშვეს, პართიელთა მშველელებს კი გზები შეუკრეს და უკუაქციეს.

მოწინააღმდეგენი საომრად გაეწყვნენ. ორივე სარდალმა სიტყვით მიმართა თავის ლაშქარს. ოროდი თავისიანებს მოაგონებდა ირანის დიდ წარსულს და არშაკიდული დინასტიის სახელოვნებას. ფარსმანი კი თავის მეომრებს და თანამემამულეებს აქებდა დიდი სიმამაცისთვის, რის მეოხებითაც მათ არასოდეს უცხოელთა უღელი არ განუცდიათ და არც პართიელთა უღელს დაიდგამენ ვაჟკაცურ ქედზე. გამარჯვება დიდ სახელსა და ქონებას მოგვიტანსო, ხოლო გაქცევა — სირცხვილსა და განადგურებას.

ბოლოს, ფარსმანმა ხელი გაწვართა მოწინააღმდეგის ოქრო-ვერცხლით მოსეევადებული აღფურვილობისკენ და შესძახა: „აქ, ჩვენთან, ნამდვილი გმირები და ვაჟკაცები არიან, ხოლო იქ, იმათთან — სიმდიდრე, ანუ ჩვენი ნადავლი“.

შესძახა, მახვილი იშიშვლა და ცხენს ქუსლი ჰკრა. ქართველებიც მოწყდნენ ადგილიდან და მიჰყვნენ მეფეს.

მძიმე ბრძოლა გახურდა. დიდის სიმამაცით იბრძოდნენ თვითონ სარდალნი, ფარსმანი და ოროდი. ბრძოლის სასწორი ჯერ ისევ წონასწორად იძვროდა, როცა ისინი პირისპირ გადაეყარნენ ერთმანეთს. ფარსმანმა დაასწრო და ხმლის მძლავრი დარტყმით მოპირდაპირეს თავი გაუპო. პართიელები დააფრთხო და დააძაბუნა მათი სარდლის მძიმედ დაჭრამ. ქართველებმა მეფის გმირობით ფრთები გამოისხეს და უკანასკნელ შეტევაზე გადავიდნენ. პართელთ მხოლოდ მცირე ნაწილმა გაასწრო სიკვდილს ან ტყვეობას...

ფარსმან მეფეს ჰყავდა ძე, სახელად რადამისტი, რომლის შესახებ სახელოვანი ისტორიკოსი ტაციტუსი გვაუწყებს, რომ იგი იყო გასაოცარი სილამაზისა და ძალღონის მქონე ჭაბუკი. ამას გარდა, არა მარტო საქართველოში, არამედ ყველგან „მსოფლიოში", რადამისტს სახელი გაეთქვა, ვითარცა „მშობლიურ მეცნიერებათა და ხელოვნებათა დარგებში დიდად განსწავლულს".

ფარსმან მეფემ სომხეთის ტახტზე ძმა მირდატი, სწორედ თავისი ძით, რადამისტით შეცვალა. მაგრამ რადამისტმა, „მეცნიერმა—სწავლულმა", პოლიტიკურ მმართველობაში თავი ვერ ისახელა. სომხებმა მისი სასტიკი მმართველობა ვერ მოითმინეს, აჯანყდნენ და სასახლეზე იერიში მიიტანეს. რადამისტი მისმა და მისი ცხენების სისწრაფემ ძლივს დაიხსნეს სიკვდილისაგან. იგი სასახლიდან გამოიჭრა და თან გამოიტაცა თავისი მშვენიერი მეუღლე, ზ ე ნ ო ბ ი ა.

კარგა ხანს მიაქროლებდნენ ცხენებს, მაგრამ ის იყო მდევრები უნდა დასწეოდნენ, რომ ზენობიას დაჟინებითი თხოვნით — მტერს რომ თვითონ ცოცხლად არ ჩავარდნოდა და ქმარიც სამარცხვინო და სასიკვდილო ტყვეობას გადარჩენოდა — რადამისტმა მას ხანჯალი ჩასცა, მდინარე არაქსში ისროლა და თვითონ თავს უშველა. დაჭრილი ზენობია მწყემსებმა იპოვეს და გადაარჩინეს...

რადამისტის გაქცევით ისევ პართიელებმა ისარგებლეს და სომხეთში თავის კაცი დასვეს მბრძანებლად, სახელად ტ ი რ ი დ ა ტ ი.

არ შეურიგდნენ ამას არც რომაელები, არც ქართველები. მათ სომხეთში ერთად ილაშქრეს, ტირიდატი განდევნეს და „თავისი კაცი", ტ ი გ რ ა ნ ი დასვეს.

კვლავ არ დათმეს პართიელებმა, ისევ შემობრუნდნენ, ტიგრანი გააძევეს და კვლავ ტირიდატი მოაბრუნეს სომხეთის ტახტზე.

ბოლოს ამაზე შეთანხმდნენ რომის, საქართველოსა და პართიის ხელმწიფენი: ტირიდატი სომხეთის ტახტზე დარჩებოდა, ოღონდ სამეფო ინსიგნიებს რომის იმპერატორის ხელით მიიღებდა.

29. აჯანყების გზით

და სწორედ ახლა, როცა იერუსალემში სამი მილიონი ცხვრის თირკმელი ითვლებოდა, რომში ნერონის წინ ტირიდატ პართიელი სომხეთის სამეფო ინსიგნიებს ღებულობდა, რომის ჯამბაზი იმპერატორი თვითონ პართიის, კავკასიის და მასთან, ეთიოპიის დაპყრობაზეც ოცნებობდა და იუდეაზე ფიქრისათვის სადღა ეცალა!

იუდეა კი აჯანყების გზნებას მოეცვა და მხოლოდ ნაპერწკლის გაკრთომას თუ ელოდებოდა.

და ისიც გაკრთა...

ეს მოხდა ისევ კესარეაში, სადაც ისე ემტერებოდნენ ერთმანეთს ბერძნები და ებრაელები. აქ, ებრაელთა სინაგოგის წინ, რომელიღაც ბერძენმა რაღაცის მშენებლობა წამოიწყო და სალოცავთან მისასვლელი ისე დააკიწროვა, რომ მლოცველები ვეღარც კი ეტეოდნენ იმ გზაწვრილში. მაშინ ახალგაზრდა ებრაელი ბიჭები მიუხტნენ, რათა მიენგრიათ ის შენებულობა იმ ბერძნისთვის. ბერძენს ბერძნები წამოეშველნენ, ებრაელებს — ებრაელები. გამშველებლად თუ მშველელად ორივე მხარემ მოუხმო გესიუს ფლორუსს. ებრაელებმა მაინც დაასწრეს, მექრთამე ფლორუსს ქრთამი მისცეს და მათი მხარე დააჭერინეს.

მაშ, ებრაელებმა მაშინ ვითომ თავისი გაიტანეს, მაგრამ დიდ ხანს არ გაუვლია და იმავე 66 წლის მაისის რომელიღაც შაბათს, რომელიღაც ბერძენმა ებრაულ სინაგოგასთან ღმერთს ფრინველები შესწირა. ამით მან საჯაროდ მიანიშნა, რომ ებრაელები კეთროვანი მოდგმისანი არიანო, რაკიღა მათსავე მოსეს წერილში სწერია, რომ კეთროვანმა ღმერთს ორი წმინდა ფრინველი უნდა შესწიროსო.

ამას ახალი ხელჩართული შეტაკება მოჰყვა ებრაელებსა და ბერძნებს შორის. შეტაკება ომად იქცა და მთელი კესარეა მოიცვა. იქვე მყოფი მოადგილე ფლორუსიმა, კავალერიის უფროსი ი უ კ უ ნ დ უ ს ი, ჩაერია, მაგრამ ვერაფერსაც ვერ გახდა. ომი მთელი ღამე გაგრძელდა.

ებრაელები დამარცხდნენ. კესარეადან ოჯახებით აიყარნენ და მეზობელ ნარბატაში გადასახლდნენ. მაშინვე თორმეტკაციანი ელჩობა ისევ ფლორუსთან გაგზავნეს, სამარიაში. მივიდნენ და მიცემული ქრთამიც გაახსენეს და მისგან გაცემული მფარველობის პირობაც. ფლორუსმა კი საშველის ნაცვლად, რისხვა დაატეხათ თავზე, — ყოველივე თქვენი ბრალია თავიდან ბოლომდეო, ახლა კიდევ კესარეადან წამოსულხართ და იქედან საღვთო წიგნებიც გამოგიტაცნიათო, და მოუსვა ხელი რომაელმა იმ თორმეტ ებრაელს და, არც მეტი არც ნაკლები, შეყარა ციხეში.

როცა ეს ამბები იერუსალემს მივიდა, მთელი იერუსალემი, დიდიან-პატარიანად, ქალიან-კაციანად, აღშფოთებით და რისხვით მოსილი წამოიჭრა ფეხზე.

და მაშინვე გესიუს ფლორუსმაც ცეცხლზე ნავთი დაასხა: მან ტაძრის მამასახლისებს ბრძანება ატაკა, სასწრაფოდ თქვენი ტაძრის სალაროდან ჩვიდმეტი ტალანტი გამომიგზავნეთ, იმპერატორის საქმეებისთვის მჭირდებაო.

ამ ახალ, კადნიერ და უტიფარ ბრძანებაზე, ხალხი ტაძარს მიაწყდა და, თითქოს, მოსალოდნელი ძარცვა-რბევისგან გადასარჩენად, გარს შემოერტყა. ატყდა წყევლა და შეჩვენება რომაელი მმართველისა და თვითონ რომისა. იქვე ფლორუსის დაცინვასა და გაპამპულებასაც აღარ მოერიდნენ, — დიდი ყულაბა ჩამოატარეს და — ხალხო, მოწყალება მოიღეთ, საცოდავი ფლორუსის საჭწყალობლადო, — ყვიროდნენ.

ფლორუსი იერუსალემს მოვიდა, ზედა ქალაქში, ჰეროდეს სასახლეში დადგა და ყოველივე მოისმინა მონახსენები, რაიც — თუ წყევლით, თუ აბუჩად აგდებით უკადრებიათ იერუსალემელთ მისი ბრძანების პასუხად.

მეორე დღესვე, დილით, სასახლის წინ სასამართლო გამართა გესიუს ფლორუსმა. მღვდელმთავარი მათე და მისი თანაშემწე სამღვდელონი მოიწვია და მოსთხოვა, დაესახელებინათ მისთვის ყველა, ვინც მისი შეურაცხყოფა გაბედა ტაძართან შეკრებილობისას. მღვდლებმა არავინაც არ დაასახელეს, ოორნდ დამნაშავეთა სახელით ბოდიში მოიხადეს.

ბოდიში არ ვიცი და, რომაელმა თავისი ჯარისკაცები საძარცვავად მიუსია ზედა ქალაქს, სიონს, სადაც ცხოვრობდნენ უმდიდრესი ებრაელი მოქალაქენი.

დაიწყო ძარცვა და რბევა, როგორც სჩვეოდათ, სწორედ რომაული „მგლის სისასტიკით". იტაცებდნენ ყველაფერს, ადგილიდან დაძვრა რისიც კი შეიძლებოდა; ანგრევდნენ და სპობდნენ ყველაფერს, ადგილიდან დაძვრა რისიც კი არ შეიძლებოდა; სჩეხავდნენ ყველას და ყველაფერს, ვისი და რისი დაჩეხვაც კი შეიძლებოდა.

ეს მოხდა 66 წლის 16 მაისს. 3600 ადამიანი გაწყდა იმ დღეს იერუსალემში. ვინც ტყვედ ჰყავდა აყვანილი, ფლორუსმა ყველა ისინი ჯერ გააშოლტვინა, მერე ჯვრებზე გააკვრევინა.

არავის და არაფერს არ დაერიდა გამხეცებული რომაელი, არც იმას, რომ აგრიპას დაი, ბერენიკე მუხლებში ჩაუვარდა და ევედრა ცრემლთა თხევით. თვითონაც ძლივს გადაურჩა შეურაცხყოფას ქალი, — ძლივს შეასწრო თავის სასახლეში.

მეორე დღეს ხალხი მიაწყდა დარბეულ და დაქცეულ სიონს, ტირილით, გოდებით დახოცილთა ზედა და წყეველით და კრულვით რომაელთა ზედა.

ფლორუსი კი რაღაც დათმობის, ან თუნდაც რაიმე მოჩვენებითი სინანულის ნაცვლად, კვლავაც ამძაფრებდა ისედაც დაწყვეტამდე დაძაბულ განწყობილებას. ახლა ეს ბრძანა თავგასულმა რომაელმა: ქალაქში ჩემი ჯარები შემოდიან და ხალხმა კეთილ ინებოს, შეეგებოს და მიესალმოსო.

ეს კიდევ რაღა იყო, თუ არა კვლავაც აშკარა მიზეზის ძიება პირდაპირ ომის დაწყებისათვის, რაკილა წარმოუდგენელი იყო, რომაელთაგან ეგრერი-

გად გამწარებული და გაცოფებული ხალხი კვლავაც რომაელთა მისალმებაზე გამოსულიყო.

მაგრამ მაინც ივაჟკაცა უმაღლესმა სამღვდელოებამ. მათე მღვდელმთავარმა, ყოფილმა მღვდელმთავრებმა და ყოველმა მაღალმა სამღვდელომ ტანზე ტანსაცმელი დაიპეს, თავზე ნაცარი დაიყარეს, წინ ტაძრის საღვთო ჭურჭლეული წაიმძღვარეს, ლევიან მგალობელთა გუნდი გალობით იახლეს და ასე, ხალხის წინ მუხლი მოიყარეს და შეჰვედრეს, დათანხმებულიყვნენ ფლორუსის ბრძანებას და შეხვედროდნენ ქალაქში მომავალ რომაულ ჯარს.

და დათმო ხალხმა. ერთხელ კიდევ დათმო.

და შეეგებნენ იერუსალემელნი იერუსალემში შემომავალ რომაულ ლეგიონებს.

შეეგებნენ „ალერსიანი", „მეგობრული" მისალმებებით.

მაგრამ მოტყუებულა ხალხი. ერთხელ კიდევ მოტყუებულა.

თურმე ფლორუსს წინასწარ გაზრახებული ჰყოლია ჯარი, როგორაც უნდა შეხვედროდა იგი ებრაელთა ამ „გულითად მისალმებას".

და აი, ებრაელები ესალმებიან ჯარისკაცებს, ჯარისკაცები კი მხოლოდ მრისხანე გამომეტყველებით და დაცინვით პასუხობენ. ხალხი, ისედაც დაბოღმილი, დრტვინვამ მოიცვა. დრტვინვა და სამდურავი შემოგვბედესო?! და დაერია ჯარი ხალხს, წინ გაირეკა ცემით, ჩეხვით, ცხენთა ძგერებით, თელვით, ხთქახუთქით. ქალაქის კარიბჭეში ხომ უამრავი ხალხი ჩაწვა და ჩაილეკა, შიგნითაც დევნა და ხოცვა გაგრძელდა და იერუსალემის ქუჩები გვამებით მოირეცა.

აქამდე ხალხი მხოლოდ უპატრონო ცხვრის ფარასავით გაურბოდა სიკვდილს, მაგრამ როცა დაინახეს, რომ რომაელებმა ტაძრისაკენ აიღეს გეზი, მაშინვე იერუსალემის მთელი მოსახლეობა უკვე საომრად, თუნდაც თავგანწირვად დადგა ფეხზე. ვისაც რა შეეძლო და ვინ რას მოიხელთებდა, თუ რაღაც საგნით, თუ საკუთარი გვამით, ტაძრისკენ მიმავალ გზას უხერგავდა რომაელ დამპყრობელს. ხალხმა ის გალერეები და კოლონადებიც დალეწა და დაბრკოლებად დაახვავა, ტაძარს და რომაულ ციტადელს, ანტონიას რომ აერთებდა ერთმანეთთან.

120 წლის წინ რომ რომაელმა ტრიუმვირმა, მარკუს ლიციინიუს კრასუსმა იერუსალემის ტაძარი გაძარცვა, მას შემდეგ კიდევ რამდენმა მისმა „მგლური სისხლისამ" იოცნება და სცადა ივიევს გამეორება და მათ შორის ყველაზე გახელებით და თავაწყვეტით მაინც გესიუს ფლორუსი მიელტვოდა ამ „მსოფლიო ცოდვისაკენ".

მაგრამ ფლორუსსაც ჩაუფლავდა იერუსალემის ტაძრის გაძარცვა. ჩაეფლავდა, რადგან ხალხის რისხვეულმა ზვირთებმა დაუდედლა და დაუფლავა უგლიმი გული. იმდენადაც დაფრთხა, რომ მაშინვე მთელის ხმით გამოაცხადა: ოღონდ დაწყნარდით და მე თვითონ წავალ და თან ჩემს ჯარებსაც გავიყვან

ქალაქიდან, ოღონდ ჩემიანთაგან მცირე ციხიონი დაიტოვეთ, თან ის ნაწილი, რომელსაც თქვენ თვითონ აირჩევთო.

რომაელისგან ასეთმა მოულოდნელმა დათმობამ ებრაელებსაც დაათმობინა, თავკაცებიც აირჩიეს, უფრო „თვინიერი ციხიონის" გამოსარჩევად, და გამოარჩიეს კიდეც ვინმე მ ე ტ ი ლ ი უ ს ი და მისი ხელქვეითი ჯარი.

მაშ, მეტილიუსი და მისი დანაყოფი დარჩა, დანარჩენი ჯარები კი ფლორუსმა ქალაქიდან გაიყვანა და კესარეასკენ წავიდა.

ამის შემდეგ ებრაელობას უნდა გადაეწყვიტა, განეგრძო ბრძოლა რომთან, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სრულად მოსაპოვებლად, თუ ისევ შერიგება ერჩია ძველ, მორჩილ და მონურ ცხოვრებასთან.

ამ ორმა აზრმა ორად გაპყო ებრაელი ერი. უფრო ძლიერი, ახალგაზრდული და შეურიგებელი სულისანი ბრძოლის გაგრძელების გზას ადგნენ. მათი სამოქმედო და საარსებო დევიზიც ეს იყო — ან თავისუფლება, ან სიკვდილი! გამალებით ემზადებოდნენ, იარაღდებოდნენ, იწრთვნებოდნენ. სამოკავშირეო დიალოგებიც განეახლებინათ — ადიაბენესთან, პართიასთან, მესოპოტამიის ებრაულ თემებთან.

ბელადად ჰყავდათ ე ლ ე ა ზ ა რ ბ ე ნ-ხ ა ნ ა ნ ი ა, მღვდელმთავარყოფილი, ჭკვიანი, მამაცი, უმტკიცესი სულის ზელოტი.

მეორე პარტია — მშვიდობისა და შერიგებისა — მცირე იუდეის გაბრძოლებასაც რომის მსოფლიო ვეშაპის წინააღმდეგ, მხოლოდ იუდეიისვე უაზრო თვითმკვლელობად მიიჩნევდა. აქ უმთავრესად თავს იყრიდნენ რენეგატები, რომის სამსახურში ამაღლებულნი, მდიდარ და მყუდრო ცხოვრებას შეფარებულნი.

ამ პარტიას კი სათავეში ედგა თვითონ მეფე აგრიპა II, მისი სახლეულნი და სანათესაოონი. აგრიპა ახალი ჩამოსული იყო ეგვიპტიდან. იგი იერუსალემში ფლორუსისგან დატრიალებულ სისხლისქცევას არ დასწრებია და ახლა, როცა მომხდარი ტრაგედიის გარემოებანიც შეიტყო და აწინდელი განწყობილებებიც აწონდაწონა, ცესტიუს გალუსს შეუთვალა, იერუსალემს მისულიყო ძველ და ახალ მდგომარეობათა ერთობლივ გასარჩევად. მაგრამ ცესტიუს გალუსი ფლორუსის სახელთან და ნამოქმედართან დაკავშირებულ ამბებს პირადად განერიდა და იერუსალემს სამხედრო ტრიბუნი ნ ე ა პ ო ლ ი ტ ა ნ უ ს ი გამოგზავნა.

ამასობაში მეომრულმა პარტიამ რომისადმი დაწესებული გადასახადების გადახდა გაუქმებულად გამოაცხადა და ხალხსაც მოუწოდა მზად ყოფილიყო რომაელთა მხრიდან ყოველგვარი დაწოლის უკუსაგდებად.

აგრიპა უკიდურესად შეაშფოთა ამ ამბავმა. მაშინვე ხალხს მოუწოდა ტაძართან შეყრილიყო მისი სიტყვის სასმენად.

ხალხიც შეიყარა. მეფე გალერეაზე იდგა, მისი დის, ლამაზი ბერენიკეს თანხლებით.

და ამბობდა სიტყვას მეფე აგრიპა: ნუ აჩქარდებითო, გულისთქმას ნუ

აჰყვებითო, დამღუპველ ხიფათში თავს ნუ ჩაიგდებთო; უკეთუ რომელიმე რომაელი მმართველი თავის თავს მეტ უფლებებს აძლევს, ეს იმას როდი ნიშნავს საერთოდ რომი და იმპერატორი დავადანაშაულოთ; იმპერატორი ხომ ყველგან ვერ მივა თავის ფეხით და ყველაფერს ვერ იხილავს თავის თვალით; ახლა მაინც ხომ სრულად უნაყოფოა რომაული უღლის ჩამოგდებაზე ფიქრიც კი. თავიდანვე, პომპეუსი რომ იპყრობდა იუდეას, მაშინ არ უნდა დაედგათ კისრად რომაული უღელი ჩვენს წინაპრებს, მაგრამ რაკი ეს ჩვენზე ძლიერმა წინაპრებმაც ვერ შეძლეს, ჩვენ დღეს რაღა შეგვიძლია. ან რატომ უნდა ვეომოთ რომს. არავითარი სამარცხვინო არ არის რომის ქვეშევრდომობაში სამსახური. უფრო ძლიერი, ბრძენი და კეთილშობილი ხალხებიც სიამოვნებით ეგუებიან რომაულ ბატონობას, ვთქვათ — ათენელები, სპარტელები, მაკედონელები, აზიელები, ბრიტანელები, არაბები, გალები, გერმანელები და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი ხალხი. ნურც ევფრატს გადაღმა იმზირება ვინმე იქედან დახმარების მიღების იმედით. პართიელებს რომაელებთან უკვე მშვიდობიანი კავშირი აქვთ და ისინი არც თვითონ მოგვეშველებიან, არც სხვას ვისმეს დაანებებენ ჩვენს მოშველებას. ნურც ზეციდან მოშველიების იმედს დავიჭერთ; სწორედ ზეცას დაუდგენია, რომ ჩვენზე რომმა იბატონოს. უფლის ნება რომ არ ყოფილიყო, რომაელები ხომ ასეთ სიმძლავრეს ვერასდროს ვერ მოიპოვებდნენ. ის კი არა და, ებრაელმა ერმა კიდევაც უფრო გაანაწყენა უფალი ღმერთი თავისი შეურიგებლობით და, ომიანობის ჟამს, წმიდა შაბათისა და სხვა სჯულისმიერ დღესასწაულთა დაუცველობის გამო. ჩემო მეგობრებო, აუცილებელია, ქარიშხლის მოახლოება მანამდე ვიგერშოთ, სანამ ხომალდი ჯერ კიდევ ნავსადგურში დგას და მღელვარე ტალღებს ნამსხვრევებად არ უქცევია. თუ არ დავიშლით, რომაელები აჯანყებას რომ ჩაგვიხრჩობენ, მარტო ჩვენი წმიდა ქალაქის დანგრევასაც არ გვაკმარებენ და, სხვა ხალხთა ჭკუის სასწავლებლად, მთელს ებრაელ ერს სრულად მოსპობენ; და თუკი მაინც ვინმე იმ ხოცვა-ჟლეტას გადაურჩება, დედამიწაზე ადგილს მაინც ვერ იშოვნის თავშესაფარად, რადგან აკი ყოველგან ბატონობს რომი, მხოლოდ იგი, ან მძსი რომელიმე მორჩილი და ერთგული ხალხი.

ლაპარაკობდა აგრიპა ცრემლების ლაპალუპით, აფიცებდა და აცოდებდა ხალხს ოჯახებს, ცოლთა და შვილთა, ზეცას და მიწას, თქვენი თავიც შეიცოდეთ, თქვენი ცოლშვილიც, ჩვენი წმიდა ქალაქიც, სალოცავი ტაძარიც და ნუ გაბედავთო რომზე ხელის აღმართვას...

ტიროდა აგრიპა. ტიროდა ლამაზი ბერენიკე. შედეგიც მოიტანა მათმა ტირილმა. ვილაცეებს გულიც აუჩუყდა. ვილაცები უკვე ყვიროდნენ, ჩვენ რომაელებთან სამტრო რა გვაქვს, ჩვენ მხოლოდ ფლორუსი ვერ აგვიტანიაო. ბოლოს, ყველამ იბღავლა, — რომთან ომი კი არა, მშვიდობიანობა გვირჩევნიაო.

განმტკიცდა და გათამამდა აგრიპა და გამოაცხადა: აბა, თუ მშვიდობიანობა და შერიგება გადაწყვიტეთ, მაშინ იმპერატორს შეწყვეტილი გადასახა-

დიც გადაუხადეთ და კიდევ დამატებით 40 ტალანტი, თქვენგანვე დანგრეული ამ გალერეებისა და კოლონადების აღსადგენადო, რადგან ესენი თვითონ იმპერატორისა იყო და არა ფლორუსისა.

ამასაც თანხმობით შეხვდა ხალხი.

მაშინ კიდევ „დაურტყა" კვლავაც უფრო გათამამებულმა მეფემ: ახლა კი, სანამ იმპერატორი ახალ მმართველს გამოგზავნის, ისევ ფლორუსს დაემორჩილეთო.

ფლორუსს დაემორჩილეთო?! — ახლა კი იფეთქა და იგრიალა ხალხმა. ერთბაშად ქვის სეტყვაც წამოვიდა და ძლივს შეასწრო აგრიპამ სასახლეში. სასახლესაც მიაწყდა ხალხი. სასახლიდან საპირისდღეო გასასვლელებით გაძვრა მეფე და ქალაქიდანაც სულ გადაიკარგა.

ამიერიდან აღარც ფლორუსები და აღარც ხარკის ამკრეფელნი გაიბედნებენ იერუსალემშიო, — ბღაოდა ხალხი.

სულ აიწყვიტეს ტერორისტმა სიკარიებმა, მენახემის მეთაურობით. მასადას დაეცნენ მოულოდნელად, იქ მდგარი რომაული გარნიზონი ერთიანად ამოწყვიტეს, იარაღიც აიღეს და შეიბურვნენ.

ზელოტთა ბელადმა, ელეაზარ ბენ-ხანანიამ უმაღლესი სამღვდელოების ერთი ნაწილი დაიყოლია და საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ ამიერიდან იერუსალემის ტაძარი უარს აცხადებს მიიღოს რაიმე შესაწირავი წარმართთაგან, პირველ რიგში კი შესაწირავნი რომის იმპერატორის სახელობაზე.

ეს პირდაპირ რომის მორჩილებაზე უარის გამოცხადებას ნიშნავდა. მშვიდობის პარტია კი ამის წინააღმდეგ დადგა. წარმართთაგან სამსხვერპლო შესაწირავზე უარის თქმა პირდაპირ ეწინააღმდეგება ჩვენებურ სჯულის კანონსო, — შესძახოდნენ ეს „პაციფისტები" საგანგებოდ თავმოყრილ ხალხს, და ამით ისევ რომთან მშვიდობიანი შერიგებისკენ მოუწოდებდნენ.

ბრძოლა ომისა და მშვიდობის პარტიათა შორის უფრო და უფრო მწვავდებოდა. მაშინ ორივე მხარემ გადამწყვეტი სიტყვის თქმა მიანდო ყველაზე ავტორიტეტულ და ანგარიშგასაწევ უმაღლეს სამღვდელოს, ზ ა ქ ა რ ი ა ბ ე ნ-ა მ ფ ი კ ა ლ ო ს ს. ზაქარიამ კი მხარი მისცა ელეაზარს და ამით დადასტურა უარის თქმა ნერონის სახელობაზე შესაწირავის შიღებისა.

მაშ, უარი რომის მორჩილებას!

მაშ, ომი რომს!

მაგრამ მშვიდობის პარტიის ბელადები დამარცხებას არ შეურიგდნენ და ასეთ უკიდურესობაზეც კი წავიდნენ: მათ აგრიპას და ფლორუსს იდუმალ შეუთვალეს, ახალი ჯარები გამოგზავნეთ იერუსალემშიო.

ფლორუსმა ჯარის გაგზავნაზე უარი სთქვა, — ჭვნებ შიშისა გამო, შესაძლოა უფრო ბოროტებით, რომიდან რომ რადიკალური ღონისძიებანი მოსულიყო ებრაელთა ერთნელ და სამუდამოდ დასამშობად და ამოსაგდებად.

აგრიპამ კი გაგზავნა ჯარი იერუსალემში, 3000 მხედარი — ველური აურანელნი, ბატანელნი და ტრახონელნი, ფ ი ლ ი პ ე ს ა და დ ა რ ი ო ს ი ს სარდლობით.

მაშ, ომი უკვე დაწყებულიყო, უკანასკნელი დიდი ომი, რომელიც ებრაელ ერს ერთხელ კიდევ (ეს მერამდენედ!) უნდა გადაეხადა.

30. ომის დასაწყისი

აგრაპასგან გამოგზავნილი ჯარი იერუსალემს მაშინ მოვიდა, როცა ელეაზარის ზელოტებს უკვე მტკიცედ დაეპირათ მორია, ტაძრის მთა და ქვედა ქალაქი.

რომაულ ციხიონს ზედა ქალაქი და ციხესიმაგრე ანტონია ეპირათ. აქვე მოვიდა აგრიპას ჯარიც. ომიც უკვე გაჩაღებულიყო ომისა და შერიგების მხარეთა შორის. რომაული ციხიონიც და მასთან აგრიპას ჯარიც ჩაერივნენ იარაღით, რა თქმა უნდა, „მშვიდობის პარტიის" მხარდასაჭერად.

ბრძოლა გაგრძელდა ერთი კვირა, 8—14 აგვისტო 66 წლისა. 15-ში უკვე უქმე იყო, დღესასწაული. ჩვეულებრივ მსხვერპლით უნდა მისულიყვნენ ტაძარში ებრაელნი. ზელოტებმა კი მოინდომეს, რომთან შერიგების მომხრენი საერთოდ არ მიეშვათ ტაძართან; სიკარიები კი შეუშვეს სამსხვერპლოზე, უკლებლივ. ასე გამძლავრებულმა ზელოტებმა ერთი მძლავრი მიწოლით ზედა ქალაქიც ხელთ იგდეს და აგრიპას სასახლეც. ორივე მაშინვე ცეცხლს მისცეს; უპირველესად კი დაწვეს არქივი, სადაც საგადასახადო აქტები იყო დაცული.

როგორც ყოველ ომს სჩვევია, აქაც ნაციონალურში სოციალური ჩაეხლართა. როგორც ყოველ ხალხში, ღარიბი ებრაელისთვისაც მდიდარი ებრაელი თანამემამულე და თანასისხლიერ ებრაელობამდე უწინარეს მაინც მის „სისხლისმწოველ წურბელად" გაიაზრებოდა.

და გამთრჩეული გახელებით არბევდნენ ღარიბნი და მდაბიონი მდიდართა და წარჩინებულთა სახლკარს.

მშვიდობა-შერიგების დასისანი დამარცხდნენ და მიიხიზნ-მოიხიზნენ,— ვინ ანტონიას ციხეს და ჰეროდეს ხასახლე-ციტადელს შეაფარა თავი, ვინ წყალსადინარებშიც კი შეძვრა და შეიჩუმქრა.

ზელოტებმა ანტონიას სიმაგრეებს ალყა შემოარტყეს და ორი დღის თავზე კიდევაც აიღეს. მას უკან ჰეროდეს სასახლეს მიადგნენ და მიაწვნენ, რომაელ და აგრიპას ჯართა უკანასკნელ თავშესაფარს. გაუპირდათ მოიეჭიშეთ. ხასახლე ყველაზე ძლიერი და შეუღწეველი აღმოჩნდა. ბოლოს მოიკრა და ზე-

ლოტებს შეუერთდა სიკარიოსთა გუნდი, თვითონ მენახემის მეთაურობით. თვრამეტ დღეღამიანი ბრძოლა ჰეროდეს სასახლის დაცემით დასრულდა.

აგრიპასგან გამოგზავნილ ებრაულ ჯარს, რომელსაც ფილიპე და დარიოსი მეთაურობდნენ, მიუხედავად მენახემის წინააღმდეგობისა, გამარჯვებულებმა უფლება მისცეს, შემდგომი სისხლისღვრის გარეშე გაბრუნებულიყვნენ იქეთ, საიდანაც მოვიდნენ. რომაელებმა კი იქვე, ფაზაელისა და მარიამნას კოშკებში გადაინაცვლეს და იქედან სცადეს წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ებრაელთა პირველსავე შეტევაზე ციხეები მოიერიშეებს შეატოვეს და იერუსალემიდან გაქუსლეს და გადაიკარგნენ. ციხეებში დარჩენილთაგან, სიკარიებმა ვისაც მოახელეს, ცოცხალი აღარავინ გაუშვეს.

გამარჯვებისთანავე, გამარჯვებულთა შორის განხეთქილება ჩამოვარდა, განხეთქილება ზელოტებსა და სიკარიებს შორის. ზელოტთა ბელადი, ელეაზარ ბენ-ხანანია სწორედ ამ უკანასკნელმა ბრძოლებმა ერთხელ და სამუდამოდ დაარწმუნა, რომ სიკარიები გაცილებით უმეტეს წილ მკვლელები იყვნენ, ვიდრე პატრიოტები. მენახემი და მისი თანამებრძოლნი (თანამკვლელნი!) თავისი ნებით იარაღდაყრილ ფილიპესა და მისი ებრაული ჯარის ამოწყვეტას მოითხოვდნენ და ძლივს გადაარჩინეს და გაუშვეს ცოცხლად ისინი ზელოტებმა. მერე, ვინც კი დამარცხებული დასისანი სამალავებიდან გამოვიდნენ და მოახელეს, სიკარიებმა ისინიც დახოცეს, და ასე დახოცილთა შორის აღმოჩნდნენ ხ ა ნ ა ნ ი ა და ხ ი ზ ი კ ი ა, საქვეყნოდ ცნობილი სახალხო მოძღვარნი, რომელნიც წყალსადინარებში შეფარებულიყვნენ, და, როგორც კი იქედან თავი გამოყვეს, მაშინვე მოუსწრაფებიათ სიცოცხლე სიკარიებს. ხანანია და ხიზიკია ელეაზარის ნათესავებიც იყვნენ და, შესაძლოა, ესეც საკმარისი ყოფილიყო, რომ ისინი სიკარიების სიკვდილს შესწირვოდნენ.

მენახემთან შეურიგებლობა მის სხვა უფრო სერიოზულ პრეტენზიებთანაც იყო დაკავშირებული. იგი თავის თავს ახალ მესიად თვლიდა და სრულიად მოურიდებლად მოითხოვდა თვითონვე ყოფილიყო ერთპიროვნული სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალი თავისუფლებისათვის მებრძოლი სრულიად ებრაული ძალებისა. არც იმას მორიდებია სიკარიოსთა ბელადი, რომ გამარჯვების შემდეგ, ტაძარში შეყრილი ხალხის წინაშე, მეფის სამოსელით მოსილ-მოკაზმული მობრძანდა და დაბრძანდებოდა.

მაშინ ელეაზარ ბენ-ხანანიამ გამოაცხადა: თავისუფლებისათვის ბრძოლა საერთოდ არ ღირს, თუკი ხელისუფლების სათავეში მენახემისთანა კაცი მოექცევაო.

ბოლოს, მდგომარეობა იქამდე გამწვავდა, რომ ზელოტები და სიკარიები ერთმანეთს იარაღითაც კი დაერივნენ.

სიკარიები დამარცხდნენ. მენახემი ზელოტებმა შეიპყრეს და თავი გააგდებინეს. სიკვდილს გადარჩენილმა სიკარიებმა, ელეაზარ ბენ-იაირის მეთაურობით, თავი შეაფარეს მასადას, რომელიც მანამდეც ხელთ ეპყრათ სიკარიებს.

გამარჯვებული ებრაელები იერუსალემის უკანასკნელ გარნიზონს მიადგნენ, იმ ციხიონს, თვითონ რომ აირჩიეს ერთხელ, ფლორუსის წინადადებით— რომაული ჯარი, მეტილიუსის მეთაურობით.

და შემოერტყნენ ზელოტები მეტილიუსის გარნიზონს. ერთხანს ვითომ წინააღმდეგობის გაწევა სცადა მეტილიუსმა, მაგრამ მალე მოლაპარაკება ითხოვა. შეხვდნენ კიდეც ებრაელთაგან სამი პარლამენტიორი — გ ო რ ი ო ნ ბ ე ნ-ნ ი კ ო მ ე დ ო ს ი, ხ ა ნ ა ნ ი ა ბ ე ნ-ს ა დ უ კ ი და ი უ დ ა ბ ე ნ-ი ო ნ ა თ ა ნ ი. მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს: რომაელები იარაღს და ქონებას დაალაგებდნენ, სამაგიეროდ თვითონ ცოცხლად წავიდოდნენ იერუსალემიდან.

ასეც ხდებოდა, — რომაელებმა იარაღი დაჰყარეს, მაგრამ უიარაღოდ გამოსულთ მოულოდნელად ებრაელთა ერთი ნაწილი გააფთრებით მიუხტა და ერთიანად ამოწყვიტა. ძლივს გადარჩა თვითონ მეტილიუსი, და გადარჩა მხოლოდ იმის წყალობით, რომ იუდეველად მოინათლა და წინადაიცვითა. იგი ცოცხალ ტროფეუმად აიტაცეს გამარჯვებულებმა, დიდი გამარჯვების ზეიმზე.

ზეიმი კი იყო არნახულად ზეაღმტაცი და ზეანატყორცნი. რომაელები, უცხო დამპყრობნი, აღარ იყვნენ იერუსალემში!

დღე იდგა 17 ელულის (სექტემბერი) 66 წლისა.

დღე გამარჯვებისა. დღე თავისუფლებისა. დღე მარად საზეიმო და სანიშანსვეტო ებრაელი ხალხის ისტორიაში.

რომაელთა ბატონობის ხსოვნაც რომ ამოერეცხათ, ფულადი მიმოქცევიდან ამოაგდეს ფულები ხაძულველი ნერონ იმპერატორის სახელწარწერით და მის ნაცვლად ახალი ფული გამოუშვეს ეროვნული სიმბოლიკით და წარწერით: „იერუსალემ. პირველი წელი ისრაელის გათავისუფლებისა“.

მაგრამ გამარჯვების ფარგლები ჯერ იერუსალემის კედლებს არ გაშორებია. სრულიად ისრაელ-იუდეა გამტკნარებული, განლიგებული, ერთდროულად შიშით და ცნობისწადილით ატანილი ელოდა ეგზომ დაძაბულ და დაჩიხულ მოვლენათა შემდგომ განვითარებას.

არ ეძინა არც გესიუს ფლორუსს, კესარეაში ვითომ უწყინრად მიყუჟულს. მას ყურადღება მიეპყრო იმისთვის, რომ ამას წინათ ბერძენთაგან განდევნილი ებრაელობა უკანვე, კესარეაში დაბრუნებულიყო ცოლშვილიანად და ბუდიან-გუდიანად. და ახლა, როცა იერუსალემიდან ებრაელთაგან არაებრაელთა ქალაქის ამბავი მოვიდა, უეჭველად ფლორუსის წაქეზებით, ადგილობრივი ბერძნები და სირიელები მობრუნებულ ებრაელებს დაერივნენ და მუსრი გაავლეს.

20000 ებრაელი გაწყდა მაშინ კესარეაში. ვინც გაქცევა მოასწრო, ფლორუსმა იმასაც მდევარი დაადევნა, ყველა შეიპყრო და მონებად გაჰყიდა, ხომალდთა გალერებზე მისჯაჭვავად.

კესარეიის ტრაგედიამ ფეხზე დააყენა ებრაული სამყარო. ქვეყნის ყოველ კუთხეში ფეხზე დგებოდნენ შურისმგებლური ებრაული რაზმეულები,

რომლებიც მოულოდნელი თავდასხმებით სისხლს აქცევინებდნენ, არბევდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ წარმართულ დასახლებებს.

რასაკვირველია, არც ადგილობრივი წარმართნი ხვდებოდნენ მოთარეშედ მოსულ მტერს გულხელდაკრეფით, და იდგა გაუთავებელი, სისხლისმათხევარი მიხდომ-მოხდომა ებრაელთა და არაებრაელთა შორის.

დადგა უმძიმესი რელიგიური ომების დროდამი, რომლის მსგავსი, არც ხანგრძლივობით და არც სისასტიკით, არ მოსწრებია აქამდეც მთელი სამიათასი წლის გასწვრივ სისხლნათხევარ ძველ ცივილიზებულ სამყაროს.

იბრძოდნენ ისრაელიანნი.

სცემდნენ და იცემებოდნენ, ხოცავდნენ და იხოცებოდნენ, არბევდნენ და ირბეოდნენ, ძარცვავდნენ და იძარცვებოდნენ, ანგრევდნენ და ინგრეოდნენ, წვავდნენ და იწვებოდნენ.

მაშველი ძალებიც მოუვიდნენ იერუსალემს, ადიაბენედან და ბაბილონიდან, ადიაბენურ-იუდაისტური სამეფო სახლიდან — მ ო ნ ო ბ ა ზ ი და კ ე ნ ე დ ა ი. აქვე მოსულიყვნენ სამი ბუმბერაზი — ნ ი გ ე რ ი, ს ი ლ ა და ს ი მ ო ნ ბ ა რ-გ ი ო რ ა.

მაგრამ თვითონ ელეაზარ ბენ-ხანანიას და მის თანამებრძოლებს იერუსალემის გათავისუფლების კვალდაკვალ, გამათავისუფლებელი ბრძოლისათვის სრულიად ერთ მთლიანობაში გავრცელების ხასიათი ვეღარ მიეცათ. მათ მხოლოდ ის იკმარეს, იერიქონთან ჰეროდესგან აგებულ ციხესიმაგრე კიპროსში მდგარი რომაული ციხიონი ამოწყვიტეს და თვითონ იერიქონიც დაანგრიეს. ამის შემხედვარე მახერონში მდგარმა რომაელებმაც, სანამ მათაც მიადგებოდნენ, გაქცევით თავს უშველეს. მახერონიც ებრაელებს დარჩათ.

აზიის ხაქმეთა მთავარი გამგებელი და პასუხისმგებელი საიმპერატორო კარის წინაშე, ბოლოს და ბოლოს, მაინც სირიის ლეგატი გაიუს ცესტიუს გალუსი იყო. ამიტომ ამანაც შემოიყარა სრულიად საომარი ძალები ებრაელებთან ანგარიშის გასასწორებლად. თავისი ლეგიონები ხომ ლეგიონებად და მთავარ, წამყვან ძალად, მაგრამ ამას გარდა გალუსმა მასთან შესაერთებლად მოუწოდა აზიის ყველა დაქვემდებარებულ კუთხე-ქვეყანათა გამგებლებს, რომლებიც მაშინვე გამოცხადდნენ თავიანთი საომარი ძალებით.

მათ შორის, მეფე აგრიპაც მოვიდა, 3000 ქვეითი და 2000 ცხენოსანი მეომრით.

სულ 30000-იანი არმიით დაიძრა ცესტიუს გალუსი ანტიოქიიდან იუდეისკენ. მეგზურობაც თვითონ იკისრა აგრიპამ, ქვეყნის ყოველი სამოძრაო გზის ყველაზე კარგმა მცოდნემ.

მიდიოდნენ და გზადაგზა უხვის ხელით სიკვდილს სთესავდნენ. უმშვენიერესი ქალაქი ხ ა ბ უ ლ ო ნ ი დაწვეს, ნაცარტუტად აქციეს. სახელოვან ი ა ფ ო შ ი 8000 ებრაელი გაუჟიტეს და ქალაქიც ცეცხლს მისცეს. მერე ამოწყვიტეს და დაწვეს ქალაქი ა ნ ტ ი პ ა ტ რ ი ს ი. ქალაქ ლ ი დ ა შ ი რომ შევიდნენ, ებრაელი მოსახლეობა არ დახვდათ, — იერუსალემში გაესწროთ

კარვობის დღესასწაულზე, და ამჯერად რომაელებმა მხოლოდ ის იკმარეს, რომ ქალაქში დარჩენილი ორმოცდაათამდე უმწეო მოხუცი ამოწყვიტეს და თვითონ ქალაქიც ხანძარს მისცეს.

იერუსალემს ნახევარი საათის საკალზე მიუახლოვდა რომაული არმია და დადგა. ცესტიუს გალუსი აქ ელოდა, რომ იერუსალემის თავკაცები თვითონ ეახლებოდნენ და მუხლებშიც ჩაუცვივდებოდნენ, შეწყალება-პატიების თხოვნით, მით უფრო, რომ იმ დღეს შაბათი იყო და რა ღმერთი გაუწყრებოდათ ებრაელებს, წმიდა შაბათი დაერღვიათ და საომრად ხელი გამოეღოთ.

მაგრამ თურმე ამაოდ იმედოვნებდა რომაელი სარდალი: ელვასავით მოუხტნენ იერუსალემელნი, საომრად დასილაღებულნი. წინ ადიაბენელი მთავრები მოუძღოდნენ. დაეძგერნენ გააფთრებული ხმალთაკვეთებით და 5000 რომაელი იმ პირველ მისვლაზევე დააწვინეს, თვითონ მხოლოდ 22 კაცი დაკარგეს. რომაულ მხედრობას რომ არ მოესწრო, ცესტიუს გალუსს სრული კატასტროფაც არ ასცდებოდა. ახლა კი შესძლო უკუქცეულიყო და ბეთ-ხორონისთვის შეეფარებინა თავი.

ბეთ-ხორონამდე კი სიმონ ბარ-გიორამ სდია რომაელებს და მათ უკანაკერძს სისხლიც ადინა და ნადავლიც ბლომად აართვა.

იერუსალემი ოსანას გალობით შეეგება გამარჯვებულებს.

აგრიპას კი ორი კაცი გამოეგზავნა იერუსალემელთა საცნობებლად: გირჩევთ იარაღი დაჰყაროთ და რომის მორჩილება აღიდგინოთო. იმათაც გამოაცხადეს, მაგრამ შედეგად მხოლოდ ის მოჰყვა, რომ რენეგატი მეფის მაცნეთაგან ერთი მოკლეს, მეორე მძიმედ დაჭრეს.

მეორედ დაძრა ჯარები ცესტიუს გალუსმა იერუსალემისკენ. ქალაქს მიადგა და სამი დღე დადგა მის კედლებთან. მეოთხე დღეს, რაკი ქალაქიდან ბაიბურიც არ გაისმა, იერიშზე გადავიდნენ რომაელები. ბეცეტას, ახალი ქალაქის მთავარ სიმაგრეს მიაწვნენ, კიდევაც მიანგრიეს და ლამის სიონის კარსაც მიატანეს. სიონის კარიც გაიღებოდა და მტერიც იოლად შემოვიდოდა, რადგან კარის ებგურნი მოღალატენი ყოფილიყვნენ. მაგრამ პატრიოტებმა დროზე შეიტყვეს, მოღალატენი იქვე კედლებზე გადასჩეხეს და მოიერიშე მტერი ისრის სეტყვით უკუაქციეს.

მაინც ხუთი დღე განუწყვეტელი იერიშები მიჰქონდათ რომაელებს სიონზე. მეექვსე დღეს თითქოს გასტეხეს ქალაქის დამცველთა გააფთრებული წინააღმდეგობა და გაარღვიეს კიდეც ჩრდილოეთის კედელი.

მაგრამ ამ თითქოს წარმატების გაშლა და განვითარება კი ვეღარ შესძლო რომაელმა სარდალმა. ქალაქის დამცველთა სწორუპოვარი საომარი გზნება, შემოდგომის დაკინებული წვიმები და ჯარისკაცის სასურსათო მარაგის სიმცირე, ყველა ერთად აიძულებდა ცესტიუს გალუსს იმ წელს მაინც ბრძოლის გაგრძელებაზე ხელი აეღო და გამოსაზამთრებლად ძველ ბანაკებში გაბრუნებულიყო.

ებრაელები დაედევნენ ასე მოულოდნელად უკუქცეულ რომაელთა არ-

მიას. გამუდმებით თავს ესხმოდნენ ყოველი მხრიდან — მთებიდან, ხევხუვებიდან, ყოველის კერძით, თუ ფლანგებიდან, თუ ავანგარდით, თუ არიერგარდით. გზები დახოცილ რომაელებით იფინებოდა. ბეთ-ხორონთან ალყაში მოაქციეს ებრაელებმა რომაელები და, ღამეს რომ არ მოესწრო, სრული განადგურებაც არ აცდებოდათ ქალაქის სიმაგრეთა შიგნით შეცვენილ „მგლის ძუძუნაწოვართა".

იმ ღამით ცესტიუს გალუსმა 400 მეომარი აარჩია და ბანაკში დატოვა, დანარჩენი მთავარი ჯარებით კი მტრისგან იდუმალ გაიპარა და გაიქცა. მეორე დღეს ებრაელებს, რომაელთა ბანაკს რომ შეუტიეს, მხოლოდ ის ოთხასი კაცილა შემორჩათ სამტროდ. ოთხასივე დახოცეს და დანარჩენებსაც გამოედევნენ, მაგრამ ვეღარ დაეწივნენ ადრე წასულებს. ამიტომ უკან შემობრუნდნენ და, გზადაგზა თუ ბანაკებში დანატოვარი რომაული საჭურველი, საალყო-საიერიშო მოწყობილობანი, თუ სხვა რამ საომარი აღალ-ფორანი დაინადავლეს, ყოველივე ერთად საზეიმო ტროფეუმად შეიტანეს იერუსალემში. საომრად სახარჯო სალაროებიც ჩავარდნოდათ ხელში გამარჯვებულებს. ტაძრის საუნჯეს შეჰმატეს ეს მტრისგან ნაალაფარი ფულები.

ანტიოქიას რომ მიაღწია და თავი სამშვიდობოს იგულა, მხოლოდ მაშინ შეაჯამა ცესტიუს გალუსმა თავისი ლაშქრობის შედეგები. აღმოჩნდა, რომ 6000 მეომარი დაჰკარგვოდა სარდალს, ერთი ლეგიონის დროშაც წაერთმიათ ებრაელებს, — იმ ლეგიონისა, მთავარ ძალად რომ უძღოდა იერუსალემისკენ მოლაშქრე არმიას.

ცას ეთამაშებოდნენ გამარჯვებული ზელოტები. რომაელები დავამარცხეთ და გავაქციეთო, — მაგრამ ეს არ იყო მათთვის მხოლოდ უკვე მოპოვებული ძლევამოსილების ფიქრით გატაცება. მათ მტკიცედ სწამდათ, რომ, თუ ხვალ მტერი ახალი ძალით მობრუნდებოდა, ხვალაც ასევე მოსპობდნენ, ან კუდით ქვას ასროლინებდნენ. ჩვენ ორი რომაელი სარდალი, მეტილიუსი და ცესტიუსი, უკვე გავანადგურეთ და მათ შემცველელებსაც გავანადგურებთო, — ამაყად აცხადებდნენ ისინი.

ისინი, ვისაც რომაელების განადგურების და მათი ბატონობისგან თავის დახსნის იმედი კვლავაც არ ჰქონდათ, ამის ხმამაღლა თქმას, მოღალატის იარლიყს რომ გადარჩენოდნენ, ვერა ბედავდნენ. ან სულაც სდუმდნენ, ან გამარჯვებულებს ყალბად მხარს უბამდნენ.

ბევრმა, რომაული ორიენტაციისამ, სულ მიატოვა იერუსალემი. ამათ შორის იყვნენ უკანასკნელი ჰეროდეანნი, ძმანი კოსტობარი და საული, რომლებიც ნერონთან გაიქცნენ, რათა მოეხსენებიათ მისთვის საქმის ვითარებანი იუდეაში და ის, რაც იქ დატრიალდა, მთლიანად დაებრალებინათ ფლორუსისათვის.

ებრაელთა ამ გამათავისუფლებელ ბრძოლათა ეგზომ ძლევამოსილმა შედეგებმა მეზობელ ტომებზეც მოახდინა ცხოველმყოფელი გავლენა. სამარიელებმაც კი დაივიწყეს ებრაელებთან მანამდელი მტრობანი და ახლა მათ

გვერდით დადგნენ ორივესთვის საძულველი რომაელების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის.

რომაელთა ახალი შემოტევის შესაძლებლობას კვლავაც არ ივიწყებდნენ იერუსალემში. შეუსვენებლივ აშენებდნენ და ამაგრებდნენ დაზიანებულ კედლებს და ციხე-გოდოლებს, ვარჯიშობდნენ და იწრთვნებოდნენ, გამორჩევით ახალგაზრდები ემზადებოდნენ მეომრობისთვის.

ელეაზარ ბენ-ხანანიამ ბრძანა თავი მოეყარათ და ერთ წიგნად შეეკრათ საისტორიო თავგადასავალი მაკაბელთა, ანუ ხასმონიანთა საგვარეულოსი. რათა ამ წიგნით გაზრდილიყო ებრაელი ახლგაზრდობა მაკაბელთა მსგავს, სამშობლოსათვის თავგანწირულ მეომარ პატრიოტებად.

ახალი ომებისათვის სამზადისი მოითხოვდა იუდეის ცალკეულ ოლქებში სამხედრო მეთაურთა და გამგებელთა დანიშვნას. ზელოტებმა კი არჩევნები დანიშნეს.

არჩევნებიც მოხდა, ტაძრის წინ შეყრილ სახალხო კრებაზე. შედეგები კი ფრიად მოულოდნელი აღმოჩნდა. გამარჯვებათა სულისჩამდგმელი მეთაურები ან დაქვეითებული აღმოჩდნენ, ან სულაც გაშავდნენ. თვით მთავარი გმირ, გამათავისუფლებელი ომებისა, ელეაზარ ბენ-ხანანია, მხოლოდ იდუმეიის მმართველად აღმოჩნდა და ამიერიდან მისი სახელის ხსენებაც კი შეწყდა სამომავლო ისტორიაში. მეორე აქტიური ბელადი ზელოტებისა. ელეაზარ ბენ-სიმონ, საერთოდ დაიძირა არჩევნებში. სამაგიეროდ უფრო წარმოჩინდნენ, ადრე რომ ზომიერებით, ან კიდეე მეტიც— რომაელებთან სიახლოვით გამოირჩეოდნენ. სახელდობრ — იოსებ ბენ-გორიონი და ხანან ხანანის ძე, რომელთაც თვით იერუსალემის გამგებლობა ერგოთ ამ „იშვიათი არჩევნებით“. სხვანი: იოსებ ბენ-სიმონს ეერიქონი ერგო, მანასიას პერეა, იოანეს თამნა (ლიდა, ემაუს და იაფა), იოანე ბენ-ხანანიას გოფნიტიდა და აკრაბატანა, იოსებ ბენ-მატათიას გალილეა.

31. იოსებ ბენ-მატათია

პალესტინაში იერუსალემის შემდგომ, გალილეა ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანა იყო, — გალილეა, რომლის გამგებლობასაც ახლა ებრაელები იოსებ ბენ-მატათიას აბარებდნენ.

იყო ქვეყანა ლამაზი, მდიდარი, ნაყოფიერი, შრომისმოყვარე და მამაცი ებრაელობით დასახლებული.

სწორედ მასზე ითქმოდა უწინარესად — „ქვეყანა, სადაც მოედინება რძე და თაფლი“, ყველაზე მრავლად დასახლებული მდიდარი ქალაქებით და სოფ-

ლებით, სამ მილიონამდე მოსახლეობით. ულამაზესი გენისარეთის, ანუ ტიბერიადის ტბით; უმნიშვნელოვანესი, საქვეყნოდ განთქმული ქალაქებით — ტიბერიადა, სეფორისი, ბეთ-შეონი, მაგდალა, არბელა, კაპერნაუმი, ხორაზინი, ბეთ-საიდა, გამალა, გაბარა, იოთაფათა (იუდიფატა), გისკალა.

და, გალილეის სადიდებლად კმარა მისი ქალაქი ნაზარეთი — სამშობლო იესო ქრისტესი...

იერუსალემის აჯანყებამ და გამარჯვებებმა თავისუფლებისთვის ბრძოლის გზნებით აავსო გალილეა.

უკვე სამი მთავარი ქალაქი აჯანყების მთავარ ცენტრებად შექმნილიყვნენ— გისკალა ჩრდილოეთით, ტიბერიადა გენისარეთის ტბის დასავლეთით და გამალა, მის პირდაპირ, ტბის აღმოსავლეთით.

გისკალას ებრაელობას თვითონ დასხმოდნენ თავს ტვიროსელი ფინიკიელები და მათი მეზობელი სხვა წარმართი ტომები, რომაელთა წაქეზებით, გაუძარცვავთ, დაუნგრევიათ და ცეცხლიც წაუკიდებიათ ქალაქისთვის.

სამაგიეროს მისაგებად, გამორჩევით რომაელთა მიმართ შურისსაძიებლად, იარაღი აისხეს გისკალელებმა. ბელადიც ჭკვიანი და მამაცი ედგათ სათავეში — ი ო ა ნ ე ბ ე ნ-ლ ე ვ ი, ნივთიერად ღატაკი, სხეულით სნეული, მაგრამ სულით გასაოცრად მტკიცე და გაუტეხელი.

მას, როგორც პირად მტერს, ასე დაახასიათებს იოსებ ბენ-მატათია, მოძალალი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი: „ავი კაცი, საშინლად მატყუარა, ყოვლად უნდო, უსაზღვროდ მრაველის მომლოდინე, წარმატებისთვის ყოველგვარ საშუალებას დაურიდალი... საოცრად გულფიცხელი, ძალაუფლებაში წილისდადებას შეურიგალი. ზოგი მას შიშით მისდევდა, სხვები სიყვარულით, ძნელი იყო მისი ცბიერებისგან და დარწმუნებისგან თავის დაღწევა... ძალიან მამაცი, რომელსაც არც თავი ჰქონდა, არც გული“.

იოანე ბენ-ლევი ჯერაც მანამდე, სიმონ ბარ-გიორასთან ერთად ებრძოდა ებრაელობაზე დანასისხლად გადამტერებულ სირიელებს, ბერძნებს და ფინიკიელებს. იგი ზეთისხილით ვაჭრობდა და შემოსავალს მთლიანად ჯარის შეკრებას და მის შეიარაღებას ახარჯავდა. უკვე 4000 მეომარი ჰყავდა მზად იოანე ბენ-ლევის აჯანყების გზაზე გამოსაყვანად.

ტიბერიადის პატრიოტებს კი სათავეში ედგათ ი უ ს ტ უ ს, წარჩინებული გვარისაგან, ჰელინურ კულტურაზე გაზრდილი ებრაელი, ბერძნულ ენაზე ებრაელი ხალხის ისტორიის აღმწერელი, ბრწყინვალე რიტორი.

იუსტუსს გვერდით, მუდმივ შემწედ ედგა გულმხურვალე პროზელიტი, ი ე შ უ ა ბ ე ნ-ს ა ფ ი ა.

მოვიდა თუ არა ტიბერიადაში ამბავი რომაელი ლეგატის, ცესტიუს გალუსის იერუსალემში დამარცხებისა, მაშინვე იუსტუსმა და იეშუამ ფეხზე დააყენეს ქალაქი გამალა, რომთან და რომანოფილ ტომებთან საომრად.

საერთოდ, გალილეაში, თითქმის არ დარჩენილა არცერთი მნიშვნელოვა-

ნი ქალაქი, სადაც ზედმეტნაკლები მოცულობით და სიმძაფრით არ შექმნილიყო განწყობილება რომაელებთან საომრად.

ერთადერთი, ჯერჯერობით, სდუმდა ქალაქი სეფორისი, გალილეის საგამგებლო რეზიდენცია და ამასაც თავისი ახსნა ჰქონდა, რადგან სეფორისში მაშინ უცხო მოსახლეობა სჭარბობდა ებრაელობას, — ესეც რომაელი კვინტილიუს ვარუსის წყალობით: სწორედ ვარუსმა ადრე, სირიაში თავისი ლეგატობის ჟამს, სეფორისის ებრაელობა აჰყარა და მონებად გაჰყიდა, მათ ადგილზე კი არაებრაული მოდგმისანი დაასახლა.

ამიტომ აღარ უყვარდათ ებრაელებს ადრე მათთვის საყვარელი ქალაქი სეფორისი. გალილეის ყველა ქალაქი ახლა ალმაცერად უცქერდა „გაუცხოებულ" თვისტომს.

ყველაზე მეტად კი, მაინც ტიბერიადას ეძულებოდა სეფორისი, რადგან ამას, აგრიპა II-ის ახირებით, გალილეის დედაქალაქობა წაერთმია მისთვის.

ერთი სიტყვით, იერუსალემის ხალხისა და სინედრიონისგან ახლად არჩეულ გალილეის გამგებელს, იოსებ ბენ-მატათიას, მძიმე საფიქრალი და საზრუნავი უნდა ჰქონოდა მისდამი მინდობილი ქვეყნის მართვაგამგეობის ალსრულებაში. ახალ გამგებელს ტვირთად აწვა შერიგება გალილეის ყოველ ქალაქთა შორის და ერთიანი ეროვნული სულისკვეთებით მთელი ხალხის მომზადება უკვე დაწყებულ საყოველთაო ებრაულ ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლაში.

და ვინ იყო ეს ახალი გამგებელი, იოსებ ბენ-მატათია, რომელიც ბოლოს მაინც ახალი, „გაუცხოებული" სახელით — ი ო ს ე ბ ფ ლ ა ვ ი უ ს ი ს სახელით უნდა დაემკვიდროს ისტორიაში? ანდა, იყო იგი საერთოდ ის პიროვნება, რომელიც სწორედ თავისი მოწოდებით, ღირსეულად უნდა გასძღოლოდა გალილეის დიდ საეროვნებო საქმეებს?

იგი დაიბადა იერუსალემში, 37 ან 38 წელს, სასულიერო საგვარეულოს, მატათიების ოჯახში. დედის ხაზით მაკაბეურ-ხასმონეურ გვაროვნებასაც ენათესავებოდა. თავიდანვე, მის ძმასთან ერთად, მწიგნობრულ-განათლებულ წრეში იზრდებოდა. სამი წელიწადი ესეელ განდეგილ ბ ა ნ ა ს თ ა ნ იზრდებოდა და იწრთვნებოდა უდაბნოში. გატაცებით სწავლობდა და ითვისებდა ტრადიციულ ებრაულ სჯულსა და კანონს და თვითონაც დიდმცოდნე შეიქნა სრულიად იუდაისტური წერილობითი მემკვიდრეობისა. ამასთან, დიდი თავგადებით ეუფლებოდა ბერძნულ ენასა და კულტურულ მემკვიდრეობას, თუმცა ძალიან უჭირდა ბერძნულ-გრამატიკულ კონსტრუქციათა ათვისება. 27 წლისა რომში აღმოჩნდა პირველად, ორი ფარისეველი ებრაელის ტყვეობიდან გამოსახსნელად. იქ, ვინმე იუდეველი მსახიობის, ა ლ ი ტ ი რ ო ს ი ს შუამდგომლობით, მიაღწია ნერონის ცოლთან, პოპეა საბინასთან შესვლას და ამის წყალობით, იმ ტყვე ფარისეველთა გათავისუფლებაზ. უზვადაც დასაჩუქრა მაშინ ებრაელთა მწყალობელმა ავგუსტამ ეს ახალგაზრდა, განათლებული იუდეველი. იქაური ბრწყინვალების მხილველმა იოსებ ებრაელმა მაშინვე იწამა

რომის ღვთით მოვლენილი, მარადიული უზენაესობა დანარჩენი მსოფლიოს ყოველ ქვეყანასა და ყოველ ხალხსა ზედა. იქედანვე იგი შეიქნა ნამდვილი, სამუდამოდ „გაუსწორებელი“ რომანოფილი. იგი ვერ ხედავდა, რომ მისი სათაყვანო მსოფლიო ბუმბერაზი თიხის ფეხებზე იდგა და ისიც, შინაგან შეფარული მოურჩენელი სნებით, დღეს თუ ხვალ ისევე უნდა დაცემულ-დალეწილიყო, როგორც ყოველი მანამდელი და მომავალი „მსოფლიო იმპერიები“.

და როცა დაბრუნდა, რამდენად დამცრობილი მოეჩვენა მას მისი იერუსალემი დიადი რომის ბრწყინვალებასთან შედარება-შეტოლებით! და ნუთუ შეიძლება ფიქრადი ფიქრიც კი, რომთან შებრძოლებისა და მისგან განრინებაგანკერძოებისა! და ვინ მიელტვიან აქეთკენ — რომთან შეურიგებელი ბრძოლისაკენ — ზელოტები? მაშ, გიქები ყოფილან ზელოტებიც და ყოველნი მსგავსნი მათნი! ნუთუ ვინმე ჭკუათმყოფელს უნდა გაუჩნდეს სურვილი ბერძნულისა და რომაულის წინააღმდეგ ბრძოლისა?! ესენი კი ებრძვიან, ებრაელნი, იოსებ ბენ-მატათიას სისხლ-ხორცისანი!!

და უკვე წერილობითაც დასცინოდა იოსებ ბენ-მატათია, ანუ უკვე ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი თავის ხალხს: ვაი ამათი ბრალი, რომ ესენი ბერძნულ ლიტერატურას დასცინიანო და ნამდვილ ფასეულობად მხოლოდ თავის კანონებსა და საღვთო წერილს თვლიანო.

ხოლო, როცა ხალხმა იარაღი აიღო და რომთან ბრძოლა სისხლისქცევითაც მოინათლა, მაშინ იოსებ ბენ-მატათია, მისებრ მფრთხალ რომანო-ელინოფილებთან ერთად, შიგ ტაძარში შეძვრა და შეიჩუმქრა და მანამდე არ გამოვიდა, სანამ გარეთ ბრძოლა არ გათავდა და ქვეყანა არ დაწყნარდა. გამოვიდა და მხოლოდ იმან დაამშვიდა, რომ ქვეყნის საპეასთან ზელოტთაგან მაინც მისთვის სიმპათიური ელეაზარ ბენ-ხანანია იდგა. იგი მაშინვე გამარჯვებულებს მიეალერსა და მიეხაფიფა. გულში კი იდუმალ იმას ნატრობდა, ცესტიუს გალუსი თავისი რომაული ლეგიონებით დროზე მოვარდნილიყო და გადაელეკა და გადაექარებინა მის ხალხში ეს რაღაც „გამათავისუფლებელი“ აკვიატებანი. მაგრამ არც ამ ნატვრამ გაუმართლა. ცესტიუსი დამარცხდა და გაიქცა.

ახლა... ახლა კი რაღას ფიქრობდა და რას აპირებდა ეს კეთილშობილი, განათლებული და განსწავლული ახალგაზრდა ებრაელი?

მთავარი საკითხავი კი ის იყო, როგორ მოხდა, რომ სწორედ ამ საყოველთაო-საეროვნებო მოძრაობის ჟამს, ასეთი „ანტიეროვნული“ კაცი აღმოჩნდა ისეთი ეროვნულად საპასუხისმგებლო ქვეყნის სათავეში, როგორიც იყო გალილეა?!

არა და, არ ჩანს გზები იოსების ასეთი მოულოდნელი პოლიტიკური ამაღლებისა არა და, მივიდა იგი გალილეაში, ვითარცა გამგებელი ამა ქვეყნისა. მივიდა და თან მიიყვანა ორი თანაშემწე, მის უკითხავად მისთვის სინედრიონისგან დანიშნულნი — ი ო ა ზ ა რ და ი უ დ ა, რომელთაც შემდგომში ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი მოიხსენიებს ხან ვითარცა დიდებულ ადამიანებს, ხანაც ვითარცა გამცემელ ძაღლთაპირებს.

მივიდა და მისულისთანავე გააოცა გალილეველნი თავისი მაღალპატრიოტული გზნებითა და განზრახულობით. სამოცდაათი წარჩინებული და სრულიად გალილეაში აღიარებული კაცი ერთად შეჰყარა და მათგან შექმნა იერუსალემის სინედრიონის მსგავსი მოძღვართა საბჭო. და ამ „თავის სინედრიონთან" ბჭობდა და წყვეტდა გალილეის ყველა საჭირბოროტო საკითხს იოსებ ბენ-მატათია.

ამას გარდა, მან გალილეის ყოველ კუთხეში მსაჯული დანიშნა, ადგილობრივ სამოსამართლო საქმეთა საწარმოებლად, და კიდევ ყოველ ქალაქში შვიდ-შვიდ კაციანი ადგილობრივ სამოქალაქო საბჭონი.

მაშინვე სამხედრო სამსახურში გაწვევაც დაიწყო იოსებმა, და მალე მისი მხედართმთავრობის ქვეშ თავი მოიყარა იმდენმა მეომარმა, რამდენსაც არც არავინ ელოდა და, მით უფრო, არც თვითონ სამხედრო საქმეებში სრულიად უწრთვნელი „მეცნიერი-ჰუმანიტარი": 100 000 მეომარი დაეყენებია იარაღქვეშ გალილეას!

შეიარაღებასაც მაშინვე შეუდგა იოსები, ნამდვილი სამხედრო წესებით წრთვნასა და ვარჯიშს, იმდროინდელი უმაღლესი საომარი განწესრიგებით, რასაც ერქვა თვითონ რომის სამხედრო წესი, რიგი, დისციპლინა, აღჭურვილობა, ამუნიცია, დანაყოფნი — კენტურიები, კოჰორტები, ლეგიონები, ფორტიფიკაცია, ზოგადი სტრატეგიული და კერძოობითი ტაქტიკური გააზრებანი.

საუკეთესო 5000 ცხენოსნისგან, — ადრე რომ ყაჩაღობას და მძარცველურ თარეშს მისდევდნენ—მკაცრად ორგანიზებული კავალერია შექმნა, რომელსაც მხოლოდ მისი პირადი ბრძანებით უნდა ემოქმედა.

ცალკე კიდევ, თავის პირად მცველად 500 ათლეტი-ბუმბერაზი აერჩია, მუდამ თანმხლებად.

იოსებ ბენ-მატათიამ ცხოველმყოფელი აღმშენებლობა გააჩაღა მთელს გალილეაში, უწინარესად ყოვლისა ციხესიმაგრეთა და სხვა საომარ დანიშნულების ნაგებობათა გასამაგრებლად, აღსადგენად, ან სრულიად ახლის ასაშენებლად. იქვე იგი აწყობდა საჭურველისა და სურსათსანოვაგის სამარაგო საწყობ-საცავებს.

იოსებ ბენ-მატათიას ეს „მოულოდნელი პატრიოტიზმი" იქამდეც მივიდა, რომ მან გადაწყვიტა დაენგრია ტიბერიადაში ამაყად და გამომწვეველად, ებრაელთა გულის ამმღვრევად წამოჭიმული, მკრეხელურ-წარმართული მხატვრობით მოხატული სამეფო სასახლე, აშენებული რომის მლიქვნელი ანთიპასაგან და იმჟამად ერთ-ერთი აგარაკი-საცხოვრებელი რომის მლიქვნელი აგრიპა მეფისა.

ამ განზრახვის ასრულება არც ისე იოლი საქმე უნდა ყოფილიყო, რადგან ბევრი მონარქისტი და რომანოფილი უდგა მაინც დარაჯად ჰეროდეანების ამ ბრწყინვალე სასახლეს. ამას გარდა, არც აგრიპას გადამტერება ესურვებოდა იოსებს. მას მხოლოდ სურდა, აგრიპაც და მისი მიმდევრებიც როგორმე დაერწმუნებია, „ერის ინტერესებიდან გამომდინარე", ხელი აეღოთ „ანტიეროვნულ გადმონაშთებზე"!

და მოეწვია კიდეც იოსებს ტიბერიადელი მონარქისტები საგანგებო თათბირზე, იქვე, ტიბერიადის ახლო ქალაქში, ბეთ-მეონში, რათა დაეყოლიებინა ისინი სასახლის დანგრევაზე.

მაგრამ დარწმუნება-გადარწმუნება არცერთ მხარეს აღარ დასჭირდა: დასწროთ პროზელიტ-რადიკალისტმა იეშუა ბენ-საფიამ, თავისი თანამებრძოლებით გენისარეთის ტბიდან მიუხტა ტიბერიადის სასახლეს, გაძარცვა და უმალვე ხანძარსაც მისცა იგი.

ეს და ასე კი აღარ უნდოდა იოსებ ბენ-მატათიას. მას აგრიპა მეფის წყენინება და მათ შორის სატანის ჩამოგდება როდი სურდა. ისინი ხომ რომანოფილობაში აქამდე მაინც ერთსულოვანნი იყვნენ. ახლა კიდევ ვინ დაარწმუნებს აგრიპას, რომ იოსებ ბენ-მატათია „იმ ყაჩაღ" იეშუა ბენ-საფიასთან იდუმალ შეთქმული არ იყო, რომ სწორედ მაინცდამაინც ამ დროს, ამ ვითომ მოლაპარაკების ჟამს უნდა დამწვარიყო და დაქცეულიყო სასახლე აგრიპასი?

ამიტომ იგი სასწრაფოდ მივიდა ტიბერიადაში და მთელი ქონება, რაის გადარჩენაც კი ხანძრისაგან და მძარცველთაგან შეიძლებოდა, სანდო მცველთ ჩააბარა კვლავაც აგრიპა მეფის საკუთრებად.

გამორჩევით, ქალაქ გისკალას პატრიოტთა ბელადი, იოანე ბენ-ლევი შესძულებოდა იოსებ ბენ-მატათიას, მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისში მას იოანემ მორჩილებაც გამოუცხადა, ვითარცა იერუსალემის უმაღლესი სინედრიონის წარმოგზავნილს. ყოველთვის იმას ცდილობდა იოსები, ანგარიში არ გაეწია იოანეს არავითარი თხოვნისა თუ შუამდგომლობისთვის. ერთხელაც, როცა იოანემ დაგროვილი პურის მარაგიდან ნაწილი ჩრდილოეთ გალილეიის ღარიბი სოფლებისთვის სთხოვა, იოსებმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. მას, თურმე, — როგორც თვითონაც გულახდილად იტყვის მისსავე ისტორიულ თხზულებაში — ის პური რომაელებისთვის ჰქონოდა გამარაგებული.

და იოანემ პირველმა აღმოაჩინა, რომ იერუსალემიდან მოვლენილი ხელისუფალი გალილეაში პატრიოტიზმს თურმე მხოლოდ თამაშობდა. ამას სხვებიც მიხვდებიან, მაგრამ მაშინ უკვე გვიან იქნება.

ერთმა ინციდენტმაც ბევრისთვის ნათელი გახადა იოსებ ბენ-მატათიას ჭეშმარიტი ბუნება. ქალაქ ტ ა ბ ა რ ი ტ ა შ ი, თაბორის მთის სიახლოვეს, ახალგაზრდა ბიჭებმა აგრიპა მეფის ერთი მდიდრულად მორთულმოკაზმული ახლო კარისკაცი შეიპყრეს და ყოველი ძვირფასი სამკაული წაართვეს. ეს სამკაულები ბიჭებმა უკლებლივ ითხებს მიართვეს, ქალაქ ტ ა რ ი ხ ე ა შ ი, სადაც მაშინ იდგა მმართველი გალილეიისა. იოხებმა აღუთქვათ, რომ მთელს ამ სიმდიდრეს იგი იერუსალემის ტაძარს გაუგზავნიდა. იმათ აწე ყი უთხრა, მაგრამ იდუმალ, ამ ღამით, ყველა ამ ნივთი აგრიპას გაუგზავნა.

ამ ღამითვე ხმა გავარდა, რომ ითხებ ბენ-მატათია მოღალატეა და რომაელებზე თავისი ქვეყნის გამყიდველი. მეორე დღეს კი ხალხი ტარიხეას მიაწყდა, ჰიპოდრომზე დაგროვდა და გადაეებულმა იოხებს ასე ავად გამბმაურებულ საქმეზე პასუხი მოსთხოვა.

იეშუა ბენ-საფიაც იქვე გაჩენილიყო და ხალხს უარესად ახელებდა; ხელით საღვთო წერილი აღემართა და ყვიროდა: თუ თქვენთვის არა, ამ წმიდა წიგნის სახელით მაინც უნდა დაისაჯოს მოღალატეო.

ხალხის მღელვარება ისე საშიში შეიქნა, რომ იოსებს მისი ბუმბერაზი მცველების ერთი ნაწილი გაექცა კიდეც.

დაღუპვა თითქოს ხელთ ეპყრა მაშინ იოსებს, რადგან ხალხი უკვე დაიძრა მისი სახლისკენ, ცეცხლის წასაკიდებლად. მაგრამ დაასწრო იოსებმა: იგი ერთბაშად გამოჩნდა ჰიპოდრომზე, სამგლოვიარო სამოსელით. ქედზე დაკიდული შიშველი მახვილით და საწყალობელი, მავედრებელი სახით.

ამ მოულოდნელი „მოვლინებით" ენაჩავარდნილმა ხალხმა მოისმინა მისი პასუხი: ის სიმდიდრე, რომელიც მომიტანეს და ახლა ჩემს სახლში ინახება, მე არ მინდა არც აგრიპასთვის, არც იერუსალემისთვის, არამედ მსურს თქვენი ქალაქის, ტარიხეას თავდაცვით კედელთა გასამაგრებლად.

პოლიტიკურ-დემაგოგიური თაღლითობა ხალხთან ხშირად იოლად გადის და მაშინაც გავიდა. უმრავლესობა დაიშალა და წავიდ-წამოვიდა. ერთი ნაწილი მაინც გაჰყვა სახლისკენ იოსებს, მუქარით — უკეთუ გვატყუებ და ქონება სახლში არ აღმოჩნდება, იმ სახლს დაგიწვავთო.

მობრძანდით და ვინც თქვენი მეთაურია, იმას მივიღებ სახლში და იმან იხილოსო. ასეც მოხდა, მეთაური მასპინძელს შეაყოლეს, დანარჩენები კი გარეთ დაელოდნენ.

დიდხანს არ გაუვლია და გამოვიდა ის „ხალხის რჩეული": სასტიკად ნაცემი, მკლავმოჭრილი და ის მოკვეთილი მკლავიც კისერზე დაკიდებული!

მოწყდა და თავზარდაცემული გაიქცა ყველა იქ მყოფი და ამ სისასტიკის მხილველი.

გაიქცნენ, რამეთუ ადამიანები ყველაზე უფრო სწორედ სისასტიკეს უფრთხიან და უშინდებიან.

ამიერიდან უკვე კარგად უნდა სცოდნოდათ გალილეველებს, ვინც იყო მათი მბრძანებელი. მის დროშაზე კელავაც ებრაელთა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა ეწერა, მაგრამ იმ თავისუფლების მოპოვების გზები, უდამ ბინდბუნდში სარკეევი და საძებნელი, შეიძლება ყველას ისე არ ესმოდეს, როგორც იოსებ ბენ-მატათიას, ხოლო, ვისაც არ ესმოდეს, იმან თავის თავს დააბრალოს!

და ვიდოდა თავისი გზით იოსებ ბენ-მატათია „ეროვნული თავისუფლების მოპოვებისათვის".

მაგრამ ბევრისთვის, უფრო ჭკვიანთა და გონნათელთათვის, საცნაური გახდა მისი იანუსურ-ორსახოვანი ბუნება და ასე — ბევრი ჩამოშორდა მის „მოძრაობას".

ბოლოს და ბოლოს, გალილეის ებრაელობა ორ ბანაკად გაიყო — იოსებ ბენ-მატათიას მიმდევრები და იოანე ბენ-ლევის მიმდევარნი. ეს ორი „პარ-

ტია“ დაუპირისპირდა ერთმანეთს, ორივეს რომ დროშაზე ერის გათავისუფლება ეწერა.

ორივე ბელადი უკვე მტრებად თვლიდნენ ერთმანეთს — ხალხის მტრადაც და საკუთარ მტრადაც. და ერთმანეთსაც, თუ შესაძლებლობა მიეცემოდათ, სასიკვდილოდ არ დაჰრიდებდნენ.

იმ ხანად იოანე ბენ-ლევიმ ტიბერიადაში მოუხშირა სიარულს, იქაური ცხელი წყაროების აბაზანები უნდა მიეღო ავადმყოფს.

აბაზანებს იმიზეზებს, თორემ სინამდვილეში აქ იოანე თავის თანამზრახველებს ხვდება, რათა მათთან ერთად ტიბერიადის ებრაელობა მტრად გადამკიდოს და შორჩილებიდან გამომითიშოსო. — ამტკიცებდა იოსები.

შეიძლება ასედაც იყო, რადგან იოანეს აქ მართლა ჰქონდა შეხვედრები იუსტუსთან, მამამის პისტუსთან, იეშუა ბენ-საფიასთან და სხვა ჭეშმარიტ პატრიოტებთან.

და ერთხელ კიდეევაც მივიდა, მოულოდნელად თავს წაადგა იოსები ტიბერიადაში იდუმალ შეკრებილ იოანეს და მის თანამებრძოლებს. წაადგა, მაგრამ კიღამ სიცოცხლის ფასადაც დაუჯდა. ძლივს გამოასწრო იოანეს მცველებს; ხომალდზე აასწრო და ტარიხეასკენ გასცურა. ტარიხეაში კი იქაურები შეჰყარა და თავისი მაცდური სიტყვით ისე აღაგზნო და ააღელვა, რომ ტარიხეელნი უკვე მზად იყვნენ ტიბერიადას ჩახდომოდნენ და იქაურობას ქვა ქვაზეც აღარ დაეტოვებინათ. თვითონვე ძლივს ააღებინა ხელი დემაგოგმა დემაგოგიაზე აყოლილ ხალხს, ავ განზრახვაზე.

ამას ის მოჰყვა, რომ იოანე ბენ-ლევიმ თავისი ძმა სიმონი, ასი კაცის თანხლებით, იერუსალემში გაგზავნა სინედრიონთან საჩივრით: თქვენგან გამოგზავნილი იოსებ ბენ-მატათია ქვეყანას ღუპავს და სანამ გვიან არ არის, უკან გაიწვიეთ და აქაურობას მოაშორეთო.

სინედრიონის მაშინდელი მთავარი, ს ი მ ო ნ ბ ე ნ-გ ა მ ა ლ ი ე ლ ი, იოანე ბენ-ლევის ძველი მეგობარი იყო და იოსებსაც იგი მუდამ უნდო თვალით უცქერდა. ამიტომაც მან ყურად იღო გალილეადან მოსული საჩივარი. მღვდელმთავარს მხარი დაუჭირა მღვდელმთავარყოფილმა ხ ა ნ ა ნ ბ ე ნ-ხ ა ნ ა ნ მ ა და ორივეს წარდგენით სინედრიონმა დაადგინა, გალილეაში გაეგზავნათ ოთხი წარმომადგენელი: მეთაური ი ო ნ ა თ ა ნ ი, წევრები — ხ ა ნ ა ნ ი ა ბ ე ნ-ს ა დ უ კ ი, ს ი მ ო ნ ი და ი ო ა ზ ა რ ბ ე ნ-ნ ო მ ი ნ ო ს. ამათ ყოველი საჭირო საშუალებით უნდა გადაეყენებიათ იოსებ ბენ-მატათია და, მკვდარი თუ ცოცხალი, უკანვე ჩამოეყვანათ იერუსალემში.

იმავ დროულად, სინედრიონმა ცალკე შეტყობინებანი გაუგზავნა ყველაზე დიდ ებრაულ თემებს — ტიბერიადას, სეფორისს და გაბარას: იოსებ ბენ-მატათია მოღალატეა სამშობლოისა; ამიტომ მის დასაცავად და მხარდასაჭერად ხელიც არ გაანძრიოთ და მხოლოდ იოანე ბენ-ლევის მიჰყევითო.

მაშ, გალილეიის გამგებლის თავზე სიკვდილის მაუწყებელი ღრუბლები ჩამოწვა. მაგრამ კვლავ იშვიათი აღმოჩნდა ხერხიანობა იოსებ ბენ-მატათიასი.

სანამ სინედრიონის დანიშნული ემისრები, იონათანის მეთაურობით, გალილეიის გზაზე ფეხს დაადგამდნენ, მანამ თვითონ გალილეაში იოსებს ყოველი ცნობა, რაიც იერუსალემში მომხდარიყო, უკვე ხელთ ჰქონდა.

თურმე სინედრიონის წევრს, იეშუა ბენ-გამალას, სხდომის დამთავრებისთანავე, იდუმალ, ყოველივე უცნობებია იოსების მამისათვის, მამას კი მაშინვე შვილისთვის უფრენია სინედრიონიდან „მონაფრენი" ამბავი.

და ახლა ყველაფერი იცოდა იოსებ ბენ-მატათიამ. და უკვე კიდევაც მოქმედებდა იგი, კვლავაც სწორუპოვარი ცბიერებით და ხერხიანობით.

და, როცა სინედრიონისგან გაგზავნილი ის ოთხი ემისარი გალილეას მივიდა, მათ იოსები ისე დახვდათ, როგორც დიდ საომარ სამზადისში მყოფი სარდალი. მართლაც დაეყენებია ფეხზე გალილეა იოსებს: ცნობები მაქვს, პტოლემაისიდან რომაელები აპირებენ გალილეაში შემოჭრასო და ჩვენც მტერს მზად უნდა შევხვდეთო. ამიტომ იერუსალემიდან მოვლინებულნი, ასეთ საომრად საგანგაშო პირობებში, ან ვერ უბედავდნენ იოსებს გადადგომაზე რაიმეს თქმას, ან უბედავდნენ გადაკერით და ჩაარაკებით. იოსებიც სრული სიმშვიდით ისმენდა ასეთ „არაკებს", თითქოს გადადგომის წინადადებასაც „სიამოვნებით" ისმენდა, მაგრამ რა ექნა, მტრის შემოსევის ასეთ საფრთხის ჟამს, „თავის ხალხს" ხომ ვერ მიატოვებდა!

დადიოდნენ იერუსალემელი ემისრები გალილეაში, გადადიოდნენ ქალაქიდან ქალაქში და ეძებდნენ მომხრეებს იოსების სამტროდ და მისი ხელისუფლების დასამხობად, მაგრამ ყველგან უცრუვდებოდათ იმედი. არც იცოდნენ, რომ ყველგან ხალხში, იდუმალ, იოსების ერთგული კაცები მოქმედებდნენ სწორედ იმ იერუსალემელ მოციქულთა წინააღმდეგ. ასე, რომ ამათ ვერამცთუ იოსების წინააღმდეგ ვისმეს კრინტიც ვერ დააძვრევინეს, არამედ თვითონ-ც იოსების ლანძღვისთვის, გაულახავი ან მოუკლავი უკანაც ძლივს გამოასწრეს.

ამაოდ დაიღალნენ მისვლა-მოსვლით და გადასვლ-გადმოსვლით იერუსალემელნი. მერე იოანე ბენ-ლევიმ ურჩია, თქვენ თვითონ დაგზავნეთ გალილეიის ყოველ კუთხეში თქვენი დელეგატები და ადგილობრივ თემებს წერილობით შეატყობინეთ, რომ იოსები უმაღლესი სინედრიონის თვალში შერისხულია და მის წინააღმდეგ რაიმეს თქმა არავითარ დანაშაულში არ ჩაითვლებაო.

მაგრამ სანამ ეს გააზრება საქმედ გადიქცეოდა, მანამ მის შესახებ ვიღაცამ იოსებს შეატყობინა. კვლავ ამოქმედდა იოსები მისებურად. სასწრაფოდ მიმოსაქცევ გზებზე თავისი მცველები ჩაასაფრა, რომელთაც კიდევაც ხელთ იგდეს ის დაგზავნილი შიკრიკები, თანხლებული წერილებითურთ, და ყველანი მოჰგვარეს იოსებს.

მაშინ იოსებმა სასწრაფოდ მოუხმო ყველა თავის მომხრე-მიმდევარს, ყველას იარაღი აეღო და მასთან მისულიყო. როცა ყველამ თავი მოიყარა, წარუდგა მათ და იმ წერილებით დაასაბუთა, თუ რა მუხანათურად უპირებდნენ მას მოკვლას!

ხალხი აღშფოთდა, დეპუტატებს მიესია და ის იყო, კიდევაც უნდა დაეგლიჯათ, რომ ისევ „დიდსულოვანმა" იოსებ ბენ-მატათიამ დაიხსნა ისინი უეცველი სიკვდილისაგან.

მას უკან, იოსებმა მრავალი ქალაქიდან ყველაზე უბრალო, მიამიტი ხალხი შეაგროვა, იერუსალემში გაუშვა და იქ, სინედრიონის სხდომაზე „დაამღერებინა": იოსების გარდა ჩვენ, გალილეველებს, მმართველად არავინაც არ გვინდაო; ასეთი გამგებელი არც არასოდეს გვყოლია და არც გვინდა გვყავდესო; ამიტომ სინედრიონმა იოსები კი არ უნდა წაგვართვას, არამედ ისა სჯობია, თავისი ემისრები უკანვე გამოიწვიოსო.

ამასობაში იონათანმა და მისმა თანაემისრებმა იოსების მტრებს თავი მოუყარეს ისევ ტიბერიადაში. ვითომ უიარაღოდ მივიდნენ, მარხვა გამოაცხადეს და ვითომ მონანიებას შეუდგნენ — ჩვენ ღმერთს ვლოცულობთ, ღმერთის გარეშე ხომ ყოველივე იარაღიც ყოვლად უძლურიაო.

მაგრამ იოსები რის იოსები იქნებოდა, თუ ის არ ეცოდინებოდა, რომ იმ „უიარაღო მმარხულებს" ტანსაცმელს შიგნით მახვილები ჰქონდათ შემალული. ამიტომ იგი თავისი მცველებით საომრად შეჭურვილი წაადგა თავზე „მშვიდობიან მლოცველებს".

დამხვდურებმა თავი ვერ შეიკავეს, ლოცვას თავი მიანებეს და მომხდურებს იარაღით შეეგებნენ. მაგრამ პირველი სისხლი რომ დასდინდათ, უკუიქცნენ და იქაურობას გაშორდნენ.

იერუსალემში იოსებისგან წარგზავნილი გალილეველებიც ნაკისრ დავალებას წარმატებით განასრულებდნენ, მათ იერუსალემელნი უკვე ფეხზე დაეყენებინათ: მღვდელმთავარმა სინედრიონის ყველა წევრთან შეთანხმების გარეშე გადაწყვიტა გადაყენება იოსებისა, გალილეველებისათვის ამ საყვარელი, ღირსებებით აღსავსე გამგებლისო. და ის იყო, ხალხი კიდევაც უნდა მიხდომოდა სახლში მღვდელმთავარ სიმონ ბენ-გამალიელს. ამასაც ისღა დარჩენოდა კვლავ შეეყარა სინედრიონი და დაედგინა იოსებ ბენ-მატათიას ხელუხლებლობა და წარგზავნილ ემისართა უკანვე გამოწვევა.

მაშინ ემისართაგან ორმა, იონათანმა და ხანანია ბენ-სადუკმა გადაწყვიტეს იერუსალემს წასვლა და სინედრიონისა და ხალხისთვის სიმართლით ახსნა სინამდვილისა, — თუ ვინ იყო და როგორ იქცეოდა გალილეაში მისი მმართველი. მაგრამ იოსებს არც ეს გამოჰპარვია და პირდაპირ, ჯიქურებრ, იონათანი და ხანანია შეიპყრო, დააბორკილა და საპყრობილეში ჩაყარა. დანარჩენი ორიც მალე მოიძია და სიმონიც მოტყუებით ჩაიგდო ხელში, ხოლო იოაზარ ბენ-ნომინოსი ტიბერიადაში გამაგრდა, იქაურთა მხარდაჭერით განმტკიცებული. ასე, რომ იოსებს შეიარაღებული ძალაც დასჭირდა მეოთხე ემისრის ხელში ჩასაგდებად. შეტაკებაც მოხდა. ტიბერიადელები იძლივნენ. იოსები და მისი მეომრები ქალაქს ისე მოექცნენ, როგორც მტრის დასახლებას — გაძარცვეს, დაარბიეს, რამდენიმე სახლი კიდევაც გადასწვეს.

ამით თითქოს საერთოდ არაფერიც არ დაშავებულიყოს, პირიქით — იო-

სებმა გალილეიის დანარჩენ ქალაქთა მეტი პატივისცემა და სიყვარულიც კი მოიხვეჭა.

ბოლოს, იოსებ ბენ-მატათიამ სულ აბუჩად აიგდო იერუსალემის უმაღლესი სინედრიონი: ოთხივე მისი ემისარი ბორკილებით შეკრულნი გაუგზავნა უკანვე, წმიდა სატახტოს.

მაგრამ, თითქოს, ისევ გაურთულდა მდგომარეობა. მისგან აკლებულმა ტიბერიადელებმა მეფე აგრიპას საჩივარი და თხოვნა გაუგზავნეს, თანაც დიდის ბოდიშებით და მონანიებით: შევცდით, რომ შენ გადაგიდექით და იოსებს მივემხარითო, იოსები კი ასეთი დამაქცევარი აღმოჩნდა, ახლა შენ გვაპატიე და ისევ შენს მონებად აგვიყვანეო.

ტიბერიადის ამ წამოწყებას სათავეში ედგნენ იუსტუსი, მამამისი პისტუსი და კიდევ ვილაც კ ლ ე ი ტ ა.

იოსები ისევ შეიჭრა ტიბერიადაში და რამდენიმე წარჩინებული მოქალაქე დაიჭირა, იუსტუსიც და მამამისიც შეიპყრო, ხოლო კლეიტას უბრძანა — საკუთარი მარჯვენა ხელი საკუთარივე მარცხენა ხელით მოეკვეთა! კლეიტამაც „ეკაქკაცა“ და ეს „ორიგინალური“ ბრძანება ასევე ორიგინალურად შეასრულა.

მერე, იოსებმა პყრობილნი გაათავისუფლა, თავისთან საგანგებო ინახზეც გვერდით შემოისვა და „ეთათბირა“: ჩვენ კელავაც თავისუფლებისათვის ბრძოლად ერთად უნდა ვემზადოთ, მაგრამ საამისო დროს უნდა ველოდოთ, ხოლო ასეთი შესაფერისი დროის მიგნება და გამოცხადება მე დამაკისრეთო.

მაგრამ მოტყუვდა იოსები, მოტყუვდა იმით, რომ მისი მოწინააღმდეგენი არ მოტყუებულან. როგორც კი იოსებისგან თავისუფალნი გავიდნენ, ისევ მისწერეს წერილი აგრიპას: მოდი და ტიბერიადა ჩაიბარეო.

მაშინ გალილეიის დანარჩენმა ქალაქებმა მოსთხოვეს იოსებს, მათი ძალებით დაელაშქრა და დაესაჯა გაურჩებული ტიბერიადა.

რასაკვირველია, მუდამ „რევოლუციურად განწყობილმა“ გალილეველებმა კვლავ არ იცოდნენ, რა სულიც სდუღდა „მათი ბელადის“ ნიღბის გადაღმა. არ იცოდნენ, რომ იოსებ ბენ-მატათიას არ უნდოდა არავითარი „მოძრაობა“ მის საგანგიო ქვეყანაში, არც რომთან ამაო ბრძოლა ეხატებოდა გულზე, არც აგრიპასთან კინკლაობა. მან მხოლოდ ერთი რამ იცოდა მტკიცედ: ყოველი უმაღლესი ძალაუფლება მხოლოდ ხალხის მხარდაჭერით შეიძლება იქნას შენარჩუნებული და გახანგრძლივებული. ამიტომ შენ, ხელისუფალი, ხალხის მოარშიებას და მომხრობას უნდა ახერხებდე, მ ო მ ხ რ ო ბ ა ს, ანუ უფრო ზუსტად — მ ო ტ ყ უ ე ბ ა ს, რაც ხალხს სურს, ვ ი თ ო მ (ვითომ-მეთქი!) იმას უნდა აკეთებდე. ხალხს ახლა უცხო უღლისგან თავის დახსნა და დამოუკიდებლობა უნდა, შენც ხელისუფალს იგივე უნდა გინდოდეს (ვითომ უნდა გინდოდეს!) და იგივე იდეის ბელადიც უნდა გახდე, უკეთუ უზენაესი ხელისუფლება მოგწყურებია. ასეა, რაკიღა ბელადობაა სწორედ უმაღლესი ხელისუფლება.

თან დიდი, დახვეწილი ჭკუა, ხერხიანობა და ხელოვნებაა საჭირო „საპო-

ლიტიკო მი-და-მო-ქცევისა“ — მთავარი ძალის ანუ ხალხის ბელადმა რომ ხალხი დაარწმუნო, გადამწყვეტი გამოსვლისათვის დროის შერჩევა შენ მოგანდოს და მანამდე „სარეველუციოდ“ მფეთქავი სული კბილით ეჭიროს.

იოსებს კი ნამდვილად ჰქონდა უდიდესი უნარი ასეთი „დამჭერი წინამძღოლისა“, ანუ უნარი ხალხის მოღორებისა, ანუ დახვეწილი ცოდნა ზღვარისა: სად თავდება „მოღორება“ და იწყება „გაღორება“.

ხალხი რომ თავს მოგაღორებინებს, მაგრამ გაღორებაც თუ დაუპირე, მაშინ... მაშინ საკუთარი კატასტროფაც ხელში გეჭიროს.

და მოქმედებდა ასე იოსებ ბენ-მატათია, ჯერჯერობით უცდომელად, ხალხის „მოღორება-გაღორების“ ზღვარზე.

ამიტომ, როცა თითქმის მთელმა გალილეამ ტიბერიადის დასჯა მოსთხოვა, ყველას მოუწოდა და დაიყოლია, ხელი აეღოთ მოძმეთა სისხლის დაღვრაზე. ამით ყველა გააკვირვა და დაატყვევა იოსებმა, რომელიც მანამდე აკი თვითონ იყო გარისხებული ტიბერიადაზე! და რა სულგრძელი ყოფილა ეს კაცი, რა დამთმობი და მიმტევებელი!

ტიბერიადა გადარჩა. იოსებმა მიუტევა აგრიპასთან საიდუმლო მიწერმოწერა. ეს დიდი გაფრთხილებაც იყო, — ამიერიდან აგრიპასთან ურთიერთობის განახლება თუ კიდევ გამჟღავნდებოდა, მაშინ ტიბერიადას ვეღარაფერი გადაარჩენდა.

მაგრამ ისევ გამჟღავნდა: აგრიპამ მოციქული, რომაელი კ რ ი ს პ უ ს ი გამოგზავნა ტიბერიადაში, წერილით. იოსებმა ის კრისპუსი თავისივე წერილით ხელთ იგდო, ბორკილები დაასხა და ციხეში ჩააგდო. ეს ყველაფერი საჯაროდ, ხალხის სახილველად.

იმ ღამით კი კრისპუსმა გაქცევა მოახერხა. არავინ იცოდა, რომ კი არ მოახერხა, არამედ თვითონ იოსებმა გააქცია ყველასაგან იდუმალ.

იერუსალემიდან ჩამოსული ის ოთხი ემისარი რომ უკანვე ისე გაცუცურაკებული გაუშვა, მას მერე იოანე ბენ-ლევი გისკალელის ბანაკს მოუბრუნდა იოსები. ვისაც უსასტიკესი წამებით სიკვდილი არ ენატრება, იარაღი აიყაროს და იოანე მიატოვოსო, — გამოუცხადა ჰეროლდის პირით იოსებმა საგანგებოდ ერთად შეყრილ ბენ-ლევის მომხრეებს.

მართლაც სამიათასმა კაცმა მიატოვა მაშინ იოანე გისკალელი. მხოლოდ დანარჩენმა ორიათასმა არ უღალატა თავის ბელადს, ისინიც სულ „ჭრელი ხალხი“, წარმომავლობით სირიელები და არცერთი ებრაელი.

და მიუშვა იოსებმა იმ დანარჩენ „ნარჩენებზე“ თავისი „გვარდიელები“ და ერთიანად კიდევაც გააძარცვინა, კიდევაც გაალახვინა.

დიდი ყურადღებით და პატივით მოეპყრო იოსები სეფორისს, რომაელთა მოყვარე და მეგობარ ქალაქს. ადრე, ცესტიუს გალუსს, რომისადმი უღალატობის საგარანტიოდ, სეფორისიდან მძევლები აუყვანია და ქალაქ დორში (ფინიკიაში) გაუგზავნია. ახლა იოსებმა სეფორისელებს ნება დართო დორთან სანათესაო მისვლა-მოსვლისა. სეფორისის კედლებიც ააშენა და განამტკიცა

იოსებმა. ციხიონიც უნდა ჩაეყენებინა, მაგრამ აღარ ჩააყენა, — აქაური მცხოვრებლები არ შემიწუხდნენო!

მაგრამ არ დაუფასეს, „ვერ გაუგეს“ სეფორისელებმა ეს პატივისცემანი იოსებს. ცესტიუს გალუსს მისწერეს, რომაელთა ციხიონი ძალიან გვინდა და გეაჯებით, ჩაგვიყენე ჩვენს სეფორისშიო; ამით ჩვენ თავს დავიცავთ დანარჩენი გალილეველების თავდასხმებისგანო, — ამასაც დასძენდნენ სეფორისელი გალილეველნი.

მაშინ კი ვეღარ გაუძლო იოსებმა საერთოდ გალილეველთა შემოტევას,— ახლავე წაგვიყვანე მოლალატე სეფორისზე საიერიშოდო. იოსებმაც წაიყვანა ხალხი, მისი თხოვნისად, წაიყვანა, მიუშვა და ააღებინა სეფორისი. აიღეს და ძირფესვიანი მოთხრაც დაუპირეს გალილეველებმა დაჩოქილ ქალაქს. ვერ იქნა და ვერ დააკავა იოსებმა გაავებული ხალხი, ვერც მუდარით, ვერც მუქარით. მაშინ, იდუმალ გაზრახებით, რომაული საყვირები დააჭექებინა იოსებმა, — არიქა, თავს უშველეთ, რომაული ლეგიონები მოდიანო! და, ეს რომ გაიგონა, მოწყდა ხალხი და გავარდა ქალაქიდან.

ასე გადაარჩინა მაშინ იოსებმა სეფორისი, მიუხედავად მისდამი მანამდელი უმადურობისა (დიდად სულგრძელი ბრძანდებოდა იოსებ ბენ-მატათია!). გადაარჩინა ებრაული ქალაქი ებრაელებისგან!

ხოლო, რომაელები კი მართლა მოვიდნენ და დაიჭირეს გალილეიის ებრაელთა მთავარი ქალაქი, ისე არხეინადაც დაიჭირეს, რომ ბეწვის ოდენაც რამ არ დაჰკარგვიათ.

იოსებმა სცადა იერიშის მიტანა, მაგრამ რომაელებმა უმალვე, პირველ მოქნევაზევე უკანვე გამოაქციეს.

ვერც მეორე ლაშქრობამ აზიარა გამარჯვებას იოსები. მისი ჯარი, ს ი ლ ა ს ი ს სარდლობით, მეფე აგრიპას ჯარს შეხვდა, დამარცხდა და უკუიქცა.

მაგრამ საეჭვო იყო ისიც — ორივე ამ მარცხმა, გულწრფელად, გაანაწყენა თუ გაახარა იოსებ ბენ-მატათია?!

ᲗᲔ. ᲑᲔᲜᲘᲡᲐᲠᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲔᲛᲐᲛᲓᲔ

იდგა 67 წლის ადრიანი გაზაფხული.

იმპერატორი ნერონი საბერძნეთს ჩამოსულიყო... საგასტროლოდ! დიახ, ასე გადაეწყვიტა, თავისი „გენიალური შემოქმედება“ ეჩვენებინა მაინც და მაინც საბერძნეთისთვის, ხელოვნების კლასიკური ქვეყნისათვის. მისი რწმენით, სწორედ ბერძნებს (და არა რომაელებს) შეეძლოთ, ჯეროვნად შეეცნოთ და დაეფასებინათ მისი „დიადი ხელოვნება“ — მისი ლექსი, მისი სიმღერა, მისი ჯამბაზობა, მისი ჯირითი, დეკლამაცია, სახიობა...

და აქ შეატყობინეს მოგასტროლე იმპერატორს ამბავი იუდეიის აჯანყებისა და იერუსალემში რომაელების განადგურებისა. ამოდენა მარცხის კავალერი ცესტიტუს გალუსი ყოფილა და აზღვევინებდნენ კიდეც მას ამისთვის, მაგრამ მალე ცესტიუსის სიკვდილის ამბავიც მოვიდა; ჯავრმა მოკლაო, იმ მარცხის გამო, — ასე ითქვა. მაგრამ იმასაც ამბობდნენ, ცესტიუსი ვიღაცამ მოწამლაო. ასე იყო თუ ისე, ნერონისთვის ამას რაღა მნიშვნელობა ჰქონდა, — იგი მეხნაძგერალი იყო იუდეიის აჯანყებით, რაიც შესაძლოა სრულიად აზიას გადასდებოდა, ყველა დიდსა თუ მცირე ხალხს იარაღი აეღო რომის ბატონობის დასამხობად, ყველაზე საშიში აზიური ძალაც — პართიაც ჩაბმულიყო ამ კარზე მომდგარ ანტირომაულ მსოფლიო წარღვნაში...

ვის შეეძლო ეხლა ეშველა იმპერატორისთვის, რომ მას, თუნდაც ხელი არ შეშლოდა მის საისტორიო-საგასტროლო მოგზაურობაში?! საჭირო იყო ვინმე ძლიერი, სამხედრო პიროვნება, რომელიც უნდა წასულიყო იუდეაში და მძლავრი მკლავით და მრისხანე მახვილით აღადგენდა რომის ბატონობას იუდეაში და აღკვეთავდა ყოველგვარ სამომავლო საშიშროებას საერთოდ რომის აზიურ სამფლობელოებში.

ასეთ „მხსნელად" ნერონმა უყოყმანოდ მიიჩნია ტიტუს ფლავიუს ვესპასიანე.

ვესპასიანე ტიპიური homo novus („ახალკაცი", „ვიგინდარა", „უჯიშო") იყო. დაიბადა მდაბიო ოჯახში, საბინთა სოფლურ მიწაზე, პროვინციული ქალაქის, რეატის ახლოს. პირადმა ღირსებებმა, უბრალოებამ, თავმდაბლობამ, სიმამაცემ და დაკვირვებულობამ აიძულა შეშლილი იმპერატორები ყურადღება მიექციათ მისთვის. კალიგულას დროს ვესპასიანე იყო კვესტორი, ედილი და პრეტორი. კლავდიუსის დროს შეიქნა ლეგიონის მეთაური. დიდად გამოიჩინა თავი რეინზე და ბრიტანეთში გამართულ ომებში, რისთვისაც ტრიუმფატორისა და კონსულობის პატივიც ერგო წილად. ნერონის დროს აფრიკის პროკონსულიც შეიქნა და იქაც თავი ისახელა როგორც მამაცმა, ენერგიულმა, სამართლიანმა და უანგარო მმართველმა. ვესპასიანე იმპერატორობაზე არ ფიქრობდა და იმ განუწყვეტელი პოლიტიკური კატაკლიზმების ხანაში ყოველ ახალ იმპერატორს გულწრფელად აძლევდა ერთგულების ფიცს.

ასეთი ფიცი ვესპასიანესგან, რაღა თქმა უნდა, მიღებული ჰქონდა ნერონსაც, თუმცა მას შემდეგ, რაც ვესპასიანეს ნერონის ერთ თეატრალურ სანახაობაზე ჩაეძინა და ამიტომ მის „გენიალურ ხელოვნებაზე" თავისი აღტაცება ვერ გამოხატა, იმ დღიდან იმპერატორი ამ „უჯიშო გლეხს" თავის მტრად თვლიდა. ეს ვესპასიანემაც იცოდა და ამიტომ, როცა მას ნერონმა გამოუძახა, იფიქრა, სასიკვდილოდ ეძახდა. მაგრამ აი, იგი დანიშნეს მთავარსარდლად!

მაშ, იდგა წელიწადი, ქრისტესშობითგან 67, და ტიტუს ფლავიუს ვესპასიანე იყო 58 წლისა, როცა იგი იმპერატორმა ნერონმა გაგზავნა აჯანყებული იუდეიის კვლავ დასაპყრობად და დასამხობად.

ვესპასიანეს აზიაში სალაშქროდ უნდა ხლებოდა მისი შკვიანი და მამაცი

ძე, ტიტუსი, და კიდევ — სირიის ახლადდანიშნული ლეგატი, მარკუს ლიციინიუს მუციანუსი.

ვესპასიანე პტოლემაისში (აკრა) მივიდა და იქ შეუდგა საომარ ძალთა შემოყრას.

ტიტუსმა ალექსანდრიიდან ჩამოუყვანა ორი ლეგიონი. რომაელი მთავარსარდლის დაძახილზე თავიანთი ჯარებით მოიკრნენ ნაბატეიის მეფე მალქა, კომაგენეს მეფე ანტიოქე, ემესის მეფე სოგემი, ბოლოს, თეითონ მეფე აგრიპა და მისი დაი ბერენიკე.

აქვე, პირველსავე ხილვაზე, ერთმანეთს გაუმიჯნურდნენ ტიტუსი, ძე ვესპასიანესი და მშვენიერი ბერენიკე.

ვესპასიანეს რომაული დროშებისა და არწივების ქვეშ პტოლემაისში თავი მოიყარა 50000 მეტმა მეომარმა.

და დაძრა ჯარები ვესპასიანემ გალილეიისკენ, აუჩქარებლად, მძიმედ და ყოვლის წამლეკავად, ისე რომ გზადაგზა არსად არაფერი დარჩენოდა რაიმე სახვალიოდ „თავიდან დასაწყები“.

ჯერ სწორედ გალილეა უნდა დაეპყრო მტკიცედ. და აქედან გაეწმინდა გზები იერუსალემისკენ.

ჯერ სეფორისში შევიდა, უბრძოლველად, გალილეიის მთავარ ქალაქში და იქ დადგა და დატბორდა. იქიდან ცხენოსანთა ჯარი, ლუტაციუს პლაციდუსის მეთაურობით, ახლომახლო დასახლებათა სარბევად და საოხრებლად გაგზავნა.

პლაციდუსიც დაუტრიალდა გამგელებით, ძარცვავდა ანგრევდა და ნაცრად აქცევდა ყოველ შემხვედრ სოფელს თუ ქალაქს.

თუ დახვედრა იყო, სწორედ ახლა უნდა დახვედროდა მტერს გალილეიის გამგებელი. დახვდა კიდეც იოსებ ბენ-მატათია, მაგრამ დახვედრის წუთიდანვე იხევდა და იხევდა უკან, გაუთავებლად.

სამაგიეროდ მედგრად დაუხვდა რომაელებს იოსების მეტოქე და მომტერე იოანე ბენ-ლევი გისკალელი, თავისი თანამებრძოლებით. ამათ პლაციდუსის მარბიელი ჯარის ავანგარდი, ქალაქ იოთაპას ახლოს, დაამარცხეს და უკუაქციეს.

რომაელებმა ეს მცირე შეფერხება აინუნშიაც არ ჩაიგდეს და განაგრძეს რბევა ჩრდილოეთ გალილეიის დასახლებებისა. ჯერ აიღეს, დაანგრიეს და დაწვეს გაბარა, ღვთისანაბარად, ყოველგვარი დაცვის გარეშე მიტოვებული ქალაქი. გაბარას მცხოვრებნი, დიდიან-პატარიანად, ვესპასიანეს ბრძანებით, ერთიანად ამოწყვიტეს, სახელდებით იმ სისხლის სამაგიეროდ, ებრაელებმა რომ რომაელთა სისხლი აქციეს იერუსალემში.

ასევე განაგრძეს შემდგომ, გალილეიის ყოველ სოფელსა და ქალაქში რომაელებმა: ძარცვავდნენ, ანგრევდნენ, წვავდნენ, მოსახლეობას, ძუძუთადან მიხრწნილამდე, ჟლეტდნენ გულბოროტად.

იოსებ ბენ-მატათია კი ტიბერიადაში გაქცეულიყო და იქ ჩაკეტილიყო.

უკვე რომაელთა მხარეზე გადასვლასაც ფიქრობდა, მაგრამ ჯერჯერობით ვერ გაებედნა.

მერე, წერილი მისწერა იერუსალემის სინედრიონს. გალილეაში რომაელთა შემოვრის ამბავსა და მათი შეუჩერებელი წინსვლის მიზეზებს ატყობინებდა, თან განმარტებას ითხოვდა, — როგორ მოვიქცეო, უკვე საზავო მოლაპარაკება ხომ არ გავმართო რომაელებთანო, ხოლო თუ ომი უნდა გავაგრძელო, მაშინ გთხოვთ საომარი ძალები მომაშველოთო.

(სანამდე მიეყვანა საქმე იოსებ ბენ-მატათიას: სამ-მილიონიანი გალილეა ამოწყვეტილი იუდეიისგან რომ დამხმარე ხელს ითხოვდა!).

ამ უღირს წერილზე პასუხიც არ მიუღია იოსებს. რომაელები კი მოიწევდნენ შეუჩერებლივ. ახლა ქალაქ ი ო თ ა პ ა ტ ა ს კ ე ნ (იუდიფატა) აეღოთ გეზი.

იოთაპატა მიუვალი იყო, მაღალ მთაზე ნაგები, სამი მხრიდან კლდეებითა და უფსკრულებით დაირგვლივებული. ერთადერთი მისასვლელიც ძლიერ გაეგრებინათ ებრაელებს. აქედან მიადგნენ რომაელებიც. სამოცი საიერიშოსაალყო დანადგარი მიაყენეს და ერთად მიუშვეს ისრის, სათხედის და ქვის მერეხი, ზედაც ანთებული მუგუზალნი.

გააფთრებული კონტრდარტყმებით შეეგებნენ მტრებს ებრაელნი. შეუსვენებლივ უშენდნენ შიგნიდან, რაის დაშენაც შეიძლებოდა. გარეთაც იშრებოდნენ და ზედ აწყდებოდნენ მოპირდაპირეს. სიკვდილთან გულგრილი წილყრით. უშლიდნენ და უწვავდნენ საიერიშო ტარანებს. ერთი ებრაელი მეომარი, ე ლ ე ა ზ ა რ ბ ე ნ-ს ა მ ე ა კედლიდან გადახტა და მარტოდმარტო მიუხტა რომაულ ტარანს, მოშალა იგი და უკანვე კედელზე ამოსვლისას დაცხრილეს იგი ისრებით რომაელებმა. კიდევ, ძმები ნ ე ტ ი რ ა და ფ ი ლ ი პ ე გადახტნენ კედლიდან გარეთ და საოცარი თავგანწირვით შეუტიეს და ერთ ხანს თითქოს კიდევაც უკუაქციეს მეწინავე რომაელნი. უკან გამობრუნებაც არ უცდიათ, ისე ჩაიხოცნენ ძმები.

იყო მომენტები, ლამის უკუქცევა ებრძანებინა ვესპასიანეს, იმდენად უსწორო იყო თავგანწირვა იოთაპატას დამცველებისა. მაგრამ ღალატმა უწყალოდ გააცუდა გმირობანი გმირი ქალაქისა. ზაფხულის (67 წლის მაის-ივნისი) ორმოცდღიანი ბრძოლის თავზე, დილაბნელზე შინაგამცემმა მტერი მიიყვანა ქალაქის ყველაზე სუსტ წერტილზე, სადაც გუშაგებს, უკვე ძალადაწრეტილთ, ჩასძინებოდათ. რომაელებმა მძინარენი დახოცეს და ქალაქში შეიჭრნენ, უკვე შეუკავებელ ნიაღვრად.

უსიკვდილოდ მაინც არ თმობდნენ ქალაქს მისი დამცველნი, სიკვდილი იყო ახლა მათი ხსნა და ეგებოდნენ მახვილს, თუ საკუთარს, თუ მტრისას, ცვივოდნენ კედლებიდან, ცვივოდნენ კლდეებზე.

ამ დღიდან სიტყვა „გალილეველი“ იქცა სინონიმურ გამოხატულებად უკიდურესი, სიკვდილზე სრულიად გულგრილად მიმავალი ფანატიზმისა.

40000 ადამიანი გაწყვეტილიყო — სრულიად მამაკაცობა. მხოლოდ ქა-

ლები და ბავშვები დაატყვევეს და მონებად მიჰყიდმოჰყიდეს რომაელებმა. ქალაქი იოთაპატა დაანგრიეს და სრულად აღგავეს პირისაგან მიწისა.

სანამ ვესპასიანე იოთაპატას ებრძოდა, მანამ მის ძეს, ტიტუსს, ბოლო მოეღო ი ა ფ ი ა ს თ ვ ი ს (ნაზარეთის ახლოს). აიღო ეს ქალაქი ტიტუსმა, ყველა მამაკაცს, ახალგაზრდას თუ მოხუცს, ყელები დასჭრა, ქალნი და ყრმანი კი მონებად დაჰყიდა.

დიდი ომები გადაიტანეს რომაელებმა გენისარეთის ტბისა და იორდანეს ზემო წელის მისადგომებზე. უსასტიკესი ბრძოლების შემდეგ, აიღეს ტიბერიადა, ტარიხეა, გისკალა და გამალა.

უაღრესი თავგანწირულებით მეომარ გამალას რომის სარდლობამ აგრიპას პირით მოუწოდა უსისხლოდ დანებებისკენ. გამალელებმა ქვის სროლით უპასუხეს და აგრიპასაც ხელი მძიმედ დაუქვავეს. ბრძოლა გამძაფრდა. რომაელებმა ქვის მაღალი კედელ-ზღუდენი გადალახეს. გამალელებმა ერთად შეკრული საკუთარი სხეულებით აღმართეს ახალი ზღუდე. უსასტიკესი ბრძოლა მოედო ქალაქის ყოველ კუნჭულს, შუკას, ჩიხს, სახლის ზღურბლს, კიბეს, სხვენს, სახურავს. თავზარდამცემი ბღავილი და წიოკობა არყევდა ზეცას. იყო წუთები, როცა უკვე შეძრწუნებული რომაელნი დამარცხებასაც უნდა შერიგებოდნენ, მაგრამ სულ გაწყდნენ უმრავლესნი გამალელნი. ოთხიათასამდე მაინც გადარჩენილიყო, სულის აღმოხდენამდე მისული სიცოცხლით. მიუხდნენ რომაელნი და უკლებლივ ყველა დაახრჩეს. მხოლოდ ორი გოგონა, დები, იპოვნეს კიდევ ცოცხალნი გვიან. მხოლოდ ისინი შეიწყალეს, რაკიღა ბაბილონელი დიდკაცის, ფილიპეს ნათესავები აღმოჩნდნენ.

მერე დაეცა თაბორი. მერე გისკალას მიადგა ტიტუსი და მოსთხოვა დანებება. იოანე ბენ-ლევიმ ერთი დღის ვადა ითხოვა მოსაფიქრებლად. დასტური მიიღო. ის ერთი დღე შაბათი აღმოჩნდა. იმ შაბათ დღეს კი იოანემ გისკალის მთელი მოსახლეობა გაიყვანა და იერუსალემის გზას გაუყენა. ერთი დღის შემდეგ დაცარიელებული ქალაქი დახვდა ტიტუსს, რომელსაც ისღა დაეჩენოდა მხოლოდ დანგრევითღა დაეცხრო ბოლმა.

გენისარეთის მომოსახედზე აიღეს, გაძარცვეს, დაწვეს, საძირკვლიანად მოთხარეს ყოველი სოფელი, დაბა, თუ ქალაქი. ვინც კი ნავით თუ ტივით ტბაზე გაქცევა მოახერხა, იმათაც მდევარი დაადევნა ტიტუსმა, ზედვე ტბაზე დააწყვეტინა, დაახრჩობინა და გადააყრევინა. გენისარეთის ტბამ კაცის სისხლი მოირთვა სარკეზე. მიწა გვამებით დარეცილიყო. ჰაერი ხრწნადი ანაორთქლით მოწამლულიყო.

6000 ტყვედ აყვანილი გალილეველი ვესპასიანემ ნერონს გაუგზავნა საბერძნეთში, მაშინ კორინთოს ყელის გაჭრის სამუშაოებზე „სახარჯოდ“.

ხოლო, სად იყო ამ დროს თვითონ იოსებ ბენ-მატათია, გამგებელი და პატრონი ასე, ერთის ხელის მოსმით, უპატრონოდ და უთავოდ დაგდებული გალილეიისა?

იგი იოთაპატაში რომაელებზე ადრე მისულიყო, თითქოს სწორედ რომა-

ელების წინააღმდეგ საომარ სამზადისად. მაგრამ წინააღმდეგობის ფიქრმაც სწრაფად „გადაუარა“ და ქალაქიდან საერთოდ წასვლა (სხვანაირად — „გაქცევა“) დააპირა, მაგრამ იქაურებმა არ გაუშვეს. უცებ რომაელებიც შემოიკრნენ ქალაქში. იოსები რაღაც კასრში შეძვრა, იმ „საბედნიერო“ კასრიდან კი, გამოქვაბულ-ქარანძავში, სადაც ორმოცამდე მეომარი კიდევ დახვდა შეფარებული. ვიღაც ქალმა გასცა ეს სამალავი. მიადგნენ რომაელნი და, სიცოცხლის შენარჩუნების შეპირებით, დანებება მოსთხოვეს.

იოსებმა იცოდა, რომაელთა შორის იყო მისი მეგობარი ნიკანორიც, რომელსაც ვესპასიანესგან უკვე აღებული ჰქონდა იოსების შეწყალების პირობა. და ამანაც ახლა დააპირა „მეგობართან წასვლა“. მაგრამ იქ მყოფმა მეომრებმა მახვილები გაიძრეს და დაემუქრნენ, სიცოცხლეს გამოასალმებდნენ, თუ დანებებით და ღალატით შეარცხვენდა ებრაელობას. ერთად ვართ და ერთად დავიხოცოთო, — ასეთი იყო განწირულთა განაჩენი — და მაშინვე ყველამ დაიფიცა, რომ იქვე სიცოცხლესაც მოისწრაფებდნენ. იოსებიც დააფიცეს და შეუდგნენ კიდევაც ერთმანეთის დახოცვას. მხოლოდ ორმა ითაღლითა და გადაირჩინა თავი — ერთი ისევ იოსები იყო, მეორე კი ვიღაც მისებრ სულმოკლე კაცუნა, თუმცა ბოლოს ესეც კი გაძალიანდა დანებებაზე, მაგრამ იოსებმა, თუ სიტყვით, თუ ძალით, დაიყოლია და ორივე ერთად მიუვიდნენ რომაელებს.

ვესპასიანემ დიდის შემწყნარებლობით მიიღო გალილეის უიღბლო მმართველი. უეჭველად, ტიტუსის სატრფომ, ბერენიკემაც ითამაშა გარკვეული როლი იოსებ ბენ-მატათიას ასე „ალერსიან“ შემწყნარებლობაში. მხოლოდ „ფორმალური ბორკილები“ ამკობდა ამ უცნაურ ტყვეს. გულმოწყალე რომაელ მხედარმთავარს მისთვის ნება მიეცა ბრწყინვალედ ჩაცმულსაც ეევლო ქალთა სალონებში, საცოლეც ეძებნა, ბოლოს თავის ძეს, ტიტუსს მიუსახსოვრა და მიუბედნიერა იგი, მუდმივ ამალაში მუდმივ თანამდევ-თანამსახურად.

უეჭველად ყველაზე უფრო ის ხიბლავდა ვესპასიანეს, — ამ პროვინციელ გლეხს — რომ ეს უცნაური სწავლული ებრაელი მალე იმპერატორის გვირგვინს უწინასწარმეტყველებდა!..

გენისარეთის ტბის გაღმა მხარეს ქრისტიანობაზე მოქცეულ ებრაელობას გადააწყდნენ რომაელნი. მუდგრად დაუხვდა მტერს გიშალა, მთავარი თავშესაფარი აქაურებისა. მძიმე ბრძოლის შემდეგ აიღეს ეს ქალაქიც, აიღეს და იმასაც ის დამართეს, რაც გალილეის სხვა ქალაქებს — ძვლებამდე გაშიშვლება, ძვლების დაშლა და დაქვესკნელება, სისხლის დაწვიმება და დამიწება.

გალილეადან სამარიაზე ჩაინაცვლეს რომაელებმა. სამარიელებიც, გალილეველთა „მიხედულებით“ (იქნებ კვლავ ჯიბრით?!) მამაცურად, თავგანწირულად შეეგებნენ მტერს. ისინი გარიზიმის მთაზე გამაგრებულიყვნენ, მათი მთავარი სალოცავის გარშემო, იმ სალოცავისა, მუდამ იერუსალემის ტაძრის სამეტოქეოდ რომ ეგულებოდათ აქაურებს.

ვესპასიანემ 3000 ქვეითი ლეგიონერი და 600 ცხენოსანი გამოჰყო, სარდ-

ლად მეხუთე ლეგიონის უფროსი ცერეალუსი უჩინა და მიუშვა სამარიელთა თავშესაფარზე.

ცერეალუსმა რკინის სალტეში მოაქცია გარიზიმის მთა. სიმაგრე კარგა ხანს მაგრობდა, მაგრამ ბოლოს უწყალო წყურვილმა დარია ხელი ყოველის მხრით გზამოჭრილს. მაინც სიკვდილს ამჯობინებდნენ ალყად ჩავარდნილნი. მხოლოდ რამდენიმე სულმოკლე გაძვრა მტრის მხარეს. სრულმა უმრავლესობა უარი უთხრა რომაელი სარდლის საამნისტიო გამოცხადებას. 11600 სამარიტელი წარბშეუხრელად შეეგება წყურვილით თუ რომაული მახვილით მოძღვნილ სიკვდილს.

ვინც გადარჩა, ყველა იერუსალემს გარბოდა. ლტოლვილ გალილეველთა ათასეულებით ივსებოდა და იტენებოდა ქალაქი დავითისა და სოლომონისა. წმიდა სატახტო იყო ახლა ერთადერთი იმედი ყოველი ებრაელისა. ჩვენ ჩვენის თვალით გვინახავსო, — იძახდნენ უკვე იერუსალემის კედლებში მოქცეული ლტოლვილნი — როგორ იმსხვრეოდნენ რომაელთა საიერიშო დანადგარები გალილეიის მცირე სიმაგრეთა კედლებზეც კი, ხოლო რაღა დღე დაადგებათ, თუ იერუსალემის კედლებს შეპბედავენ, ფრთებიც რომ გამოესხათ, მაინც ვერ შესწვდებიან რომაელნი იერუსალემის ცათამბჯენ კედლებს!

გალილეა დაჰკარგეოდა იერუსალემს, მაგრამ იუდეაც ეცლებოდა მას ხელიდან.

ასკალონი რომაელი სარდალს, ანტონიუსს ეპყრა ხელთ. სამი ებრაელი სარდალი — ესე იოანე, პერეელი სილა და ბაბილონელი ნიგერი, 10000 მეომრით მიუხდნენ ასკალონს. ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს მოპირდაპირენი. ორჯერვე გაიმარჯვეს რომაელებმა. მეორე ბრძოლა მაინც, კატასტროფა იყო. ებრაელთა ჯარი სრულად გაწყდა. დაიღუპა ორივე სარდალი, იოანე და სილა. სასწაულად გადარჩა ნიგერი: ალყაშემორტყმულ კოშკიდან ისკუპა, რომაელებს თავს გადაეცლო და სადღაც თვალჩაუდგამ უფსკრულში გაუჩინარდა. ბოლოს მაინც მიაღწია იერუსალემს, ჭრილობებით დაფარულმა.

ვესპასიანე და ტიტუსი დაუბრკოლებლად მოჰყვებოდნენ ზღვის განაკიდურს. ასკალონი თავისად დახვდათ. მცირედ შეყოვნდნენ იამნიასთან და აშდოდთან, მაგრამ ესენიც მალე დაიჭირეს.

იუდეიის დანარჩენი ქალაქები, რომლებიც რომაელებს ჯერ კიდევ არ დაეპყროთ, მზად იყვნენ იერუსალემისთვის დაედოთ თავი.

ერთადერთი იყო მხოლოდ მასადა, მკვდარ ზღვას რომ ზემოთ, მაღალი მთიდან გადმოსცქეროდა, სადაც კვლავ სიკარიები ბატონობდნენ, ზელოტთა მოსისხლენი. მასადას სიკარიების იერუსალემსაც ეძახდნენ მაშინ. აქ იდგა მათი ბელადი ელეაზარ ბენ-იაირ, რომელსაც მალე თავისი სიკარიებით შეუერთდა მეორე ბელადიც — სიმონ ბარ-გიორა, ქალაქ ბეზერადან, გასაოცარი ფიზიკური ძალისა და სულიერი სიმტკიცის კაცი, რომელიც მანამდეც და მასადაში მოსვლის შემდეგაც, ერთიმეორესთან შესანიშნავად „ათავსებდა“ პატრი-

ოტობასაც და ყაჩაღურ მძარცველობასაც. რომაელებსაც ეღლეტდა და, უცხოელთაგან განურჩევლად, ებრაელებსაც ძარცვავდა.

მასადამი ჩაბუდების შემდეგ, სიმონ ბარ-გიორამ სისტემატიური თავდასხმა და ძარცვა-რბევა გამართა იდუმეაზე. მაშინ იდუმეელებმაც ხელი გამოიღეს და საპასუხოდ 90000 კაცი დარაზმეს მძარცველურ ბანდებად, თავიანთი მეთაურებით — ძმები ი ო ა ნ ე და ი ა კ ო ბ ბ ე ნ-ს ო ზ ა, ს ი მ ო ნ ბ ე ნ-კ ა ტ ლ ა და ფ ი ნ ხ ა ს ბ ე ნ-კ ლ უ ზ ო ტ.

და აწყდებოდა ხალხი იერუსალემს, დამფრთხალნი — თუ უცხო რომაელთაგან, თუ თანასისხლიერ მძარცველთა და მკვლელთაგან.

არასდროს იერუსალემს ამდენი ხალხი არ მოსწრებია, ვარაუდობდნენ 600 000 სულს. და ყველა ერთსულოვნად მოეცვა სამშობლოს გადარჩენისათვის ბრძოლის წყურვილს, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ყველას ეპოვნა თავის სულში „ოიოლი გზა" უკვდავი გმირობისა — თავგანწირვა. ყოველ დამნაშავეს, შარაგზის ყაჩაღს, დღეს შეეძლო ქვეყნისათვის სალოცავი და სათაყვანო გმირი-პატრიოტი გამხდარიყო.

მხოლოდ უკიდურეს ფანატიზმამდე ამაღლებული ენთუზიაზმი იძლევა გმირს, სამშობლოს დამხსნელს. მხოლოდ უკიდურესობა, რამეთუ ზომიერება ვერ დაიხსნის დაღუპვის უფსკრულზე გადამხობილ ქვეყანას.

მაგრამ ასეთ უკიდურესად დაძაბულ ჟამს ხელისუფლებაც უკიდურესი და რადიკალური, სწორედ უკიდურესად ცენტრალიზებული და მონოკრატიული სჭირდება ქვეყანას. ხოლო, ებრაელთა ქვეყანას მაშინ, ასეთ მძიმე ჟამს, მკაცრად მონოკრატიული კი არა, საერთოდაც არ ჰყოლია ე რ თ ი მთავრობა. მას უფრო მთავრობები ჰყავდა, ვიდრე მთავრობა. თანაც, „დროებითი მთავრობები", ვითომ „დემოკრატიულად არჩეულნი" და განწესებულნი ქვეყნის ცალკეულ კუთხე-კუნჭულში.

რომისა და საბერძნეთისა არაფერი სწამდა ებრაულ ნაციონალიზმს, თორემ რომის ადრეული რესპუბლიკიდანაც აიღებდა მისთვის საჭირო გამოცდილებას: უმძიმეს, დაღუპვის მომასწავებელ, ექსტრაორდინალურ შინა თუ გარე საშიშროებათა ჟამს, სწორედ რომ ექსტრაორდინალურ, საგანგებო ხელისუფლებას ადგენდნენ რომში. ასეთ ხელისუფლებას კი დიქტატურა ერქვა, დიქტატურა ერთი ძლიერი პიროვნებისა, რაიც გულისხმობდა სრულიად უმაღლესი იმპერიუმის (სრულიად უმაღლესი ძალაუფლება) იმ ერთი კაცის ხელში მოქცევას. ასეთი ხელისუფლება, რასაკვირველია, გამორიცხავს რესპუბლიკურ ანუ დემოკრატიულ კანონმდებლობას, მაგრამ სხვა რა გზა იყო, — როცა საფრთხე დამღუპველია, მაშინ დაე დაიძინოს რესპუბლიკურმა (დემოკრატიულმა) კანონმდებლობამ და იბატონოს მონოკრატიამ, დიქტატურამ! ხოლო, როცა სწორედ ამ დიქტატურის წყალობით ქვეყნის დამღუპველი საფრთხე ძლეულ იქნება, მაშინ უმალვე დაე კვლავ გაიღვიძოს და აღსდგეს რესპუბლიკური (დემოკრატიული) კანონმდებლობა!

მაგრამ ყოველივე ეს ხომ იყო რომაული, ან ბერძნული, მაშასადამე ებ-

რაელობისთვის „წარმართული“, მაშასადამე მიუღებელი (საძულველიც რომ არ დავამატოთ).

და იმ კატასტროფულ ჟამს, ჰყავდა ებრაულ სამყაროს რაღაც „დროებითი მთავრობები“.

ასეთი „მთავრობები“ კი, ჩვეულებრივ, მაშინვე ეცემიან და იმსხვრევიან, როგორც კი ნაციონალური ბრძოლის პირველ ნაბიჯებზეც წარმატებას ვერ მიაღწევენ. ბრბოს (რომელსაც ზოგჯერ „ხალხიც“ ჰქვია) მაშინვე უნდა გამარჯვება მისი „რჩეულისგან“, იმ პირველ დღესვე და პირველსავე, თუნდაც უნებლიე მარცხს როგორ შეარჩენს!

ეროვნულ-გამათავისუფლებელი ომების ჟამს, მრავალი „ყოჩაღი ყაჩაღიც“ ეროვნულ გმირობაზე დებს თავს. ასეთი უფრო შორსაც მიდის და, მარტო გმირი კი არა, ცითმოვლენილ მესიადაც აცხადებს თავს.

იყო სექტები, თუნდ „პარტიები“, „დასები“, და ყველა ცალკე თავის თავს თელიდა „ნამდვილ მთავრობად“. არავითარი შერიგება და „კონსოლიდაცია“.

ყველაზე მეტად კვლავ ზელოტები მძლავრობდნენ, უცხოელებთან, განსაკუთრებით რომაელებთან და ბერძნებთან რადიკალურად შეურიგებელნი და მოსისხლენი, ასევე შეურიგებელნი თანასისხლიერ შემრიგებლებთან. მრავალი ასეთი, რომთან შერიგების მომხრე ებრაელი გამოასალმეს წუთისოფელს ზელოტებმა.

ყოველივეს გული, გინა შუაკერძი, გინა მაჩიკი, გინა დერიტა, გინა ჭიპი, გინა ცენტრი — მაინც იყო ტაძარი საუფლო. აქ ითქმოდა პირველი სიტყვა — სასულიეროც და საეროც. აქ გაიაზრებოდა ყოველი აზრიც — საღვთოც და საადამიანოც.

ახლა აქვე იქცეოდა სისხლიც — ებრაელისაც, არაებრაელისაც.

აქვე უცხოელი აქცევინებდა სისხლს მხოლოდ ებრაელს.

აქვე ებრაელი აქცევინებდა სისხლს — უცხოელსაც და ებრაელსაც.

ადამიანის სისხლით შეღებილა ზღურბლი ტაძრისა, იატაკიც, კედელ-ყუურენიც. სისხლიანი ფერებით მიმოიქცევიან ადამიანნი საუფლო სახლში.

ზელოტები, მთელი ეროვნული მოძრაობის უპირველესი მოთავენი, უკიდურესად ეჭვიანი და უნდონი გამხდარან.

ვინც ჩვენთან არ არის, ისინი სამშობლოს მტრები არიან, — ასეთი იყო მათი დევიზი.

ზომიერს, არარადიკალს, მაშასადამე ოდნავ საეჭვოსაც, სასიკვდილოდ აღარ ინდობდნენ.

თვალი დაადგეს მეფეთა სანათესაოს და მათ ახლობლებს. ამათგან შეიპყრეს ა ნ თ ი პ ა, ლ ე ვ ი ა და ს ო ფ ა ბ ე ნ-ო ა ბ ე ლ, ჯერ საპყრობილეში შეყარეს, მალე კიდეეაც ჩახოცეს და ამის შემდეგ გამოაცხადეს, რომ ისინი იყვნენ შეთქმულნი, თავისუფლების ბრძოლის მომტერენი.

ზელოტები უკვე უფრო სისხლისმცევის ფანატიკოსები არიან, ვიდრე ტრადიციულ-ეროვნული სჯულისა და კანონის სიწმიდისა. ამათ უარყვეს ძველ-

თაძველი წესი უმაღლეს სამღვდელოთა დანიშვნისა ტრადიციული გვაროვნების მიხედვით და სამაგიეროდ შემოიღეს არჩევნები უგვაროთაგან, რამაც უზენაესი ხელისუფლება გაფანტა და დაანაკუწა შემთხვევით ვიგინდარათა შორის.

მღვდელმთავრობიდან გადააყენეს ებრაელობაში დიდად სახელმოხვეჭილი და პატივმოსილი მ ა ტ ა თ ი ა ბ ე ნ-თ ე ო ფ ი ლ ე და მის ადგილზე დაბალ სამღვდელოებას აარჩევინეს („დემოკრატიულად") ვინმე ფ ი ნ ხ ა ს ბ ე ნ-ს ა მ უ ე ლ, პროვინციელი ქვისმკოდავი თუ უღარიბესი მიწათმეურნე.

ამან უკიდურესად აღაშფოთა არისტოკრატული სინედრიონი. ამათგან სამეული — ხ ა ნ ა ნ, ი ო შ უ ა ბ ე ნ გ ა მ ა ლ ა და ს ი მ ო ნ ბ ე ნ-გ ა მ ა ლ ი ე ლ ი, უკვე დაჟინებით მოუწოდებდნენ ხალხს, თუნდაც იარაღით ხელში, გადაერჩინათ იერუსალემის საუფლო საწმიდარნი უკიდურეს ზელოტთა უპატიური ხელყოფისაგან. გამორჩეულად აქტიურობდა ხანანი, თავისი დაუშრეტელი ენერგიით და დამატყვევებელი ოქროპირობით.

ხანანის დაუცხრომელმა მოწოდებებმა შედეგი გამოიღო. ხალხმა იარაღი აიღო და რადიკალ-ზელოტებს შეუტია. ნამდვილი სამოქალაქო ომი გაჩაღდა. ქუჩებში გახურებულმა ხელჩართულმა ბოლოს მაინც ტაძრის მისადგომებზე გადაინაცვლა. ტაძრის ზღურბლზე სისხლმა ისევ გადაიარა.

დამარცხებული ზელოტები ტაძარში შეიკეტნენ. ხანანმა და მისმა მომხრეებმა შიგ შეყოლა და შიგნით სისხლისღვრის განსრულება ვეღარ გაბედეს და ტაძარი ალყაში მოაქციეს.

უცებ ზელოტებმა ხმა გაავრცელეს — ხანანი და მისი მომხრენი, იერუსალემში რომაელების შემოყვანას აპირებენო. ეს რომ ისმინა, მაშინვე გისკალელმა იოანე ბენ-ლევიმ, ტაძარში მომწყვდეულ თანამებრძოლთა წერილობითი დასტურით, რომაელთა მოსალოდნელი თავდასხმისაგან იერუსალემის გადასარჩენად, დასახმარებლად მოუხმო იდუმეელებს.

და ეხუვლეს იდუმეელებმა, ისედაც ებრაელთა მიწაწყლის თარეშობაზე დახარბებულებმა, და გამოემართნენ თავაწყვეტით. სულ 20000 იდუმეელი პოდიოდა, სათავეში ოთხი სარდლით — იოანე და იაკობ ბენ-სოზა, სიმონ ბენ-კატლა და ფინხას ბენ-კლუტოზ.

ხანანს და მის მომხრეებს ისღა დარჩენოდათ, იერუსალემის კარიბჭენი დაეგმანათ და ქალაქის საერთო დაცვა გაეძლიერებინათ.

მოიჭრნენ და შემოასკდნენ იერუსალემის კედლებს იდუმეელნი.

კედელზე გადადგა და სიტყვით მიმართა მტერს იოშუა ბენ-გამალამ, — ისეთი სიტყვით, რომ ისტორიას არც მანამდე, არც შემდეგ არ მოსწრებია: გაფიცებთ, იდუმეელნო, თავი დაგვანებეთ და მოგვშორდით, ისედაც შინაგან არეულებს თქვენ კიდევ თქვენი მოსვლით უარესად ნუღარ აგვირევთო!

მაშინ იდუმეელთა მხრიდან გამოვიდა სიმონ ბენ-კატლა და ამოსძახა პასუხად იოშუას: თქვენ უფლება არა გაქვთ კარი დაუხშოთ იუდეველებს, რადგან დედაქალაქი ეკუთვნის ყოველ იუდეველსო; თქვენ კი კარებს გვიკეტავთ და არ გვიშვებთ; ეს კი ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ მართლაც მოგიწვევიათ

რომაელები იერუსალემში შესაშვებადო; ამიტომ ჩვენ კი არ წავალთ, არა-მედ აქ დავდგებით, რათა რომაელები ახლოსაც არ გავაკაროთ ჩვენს წმიდა სატახტო ქალაქსო!

მაშასადამე, ჩვენც, იდუმეელებიც, ხომ თქვენსავით იუდეველები ვართ, და ჩვენი ქალაქის დასაცავად მოესულვართო, — ასეთი იყო „ურყევი დასაბუ-თება" იდუმეელთა მოსელისა.

როგორც ეტყობა, იგივე „დასაბუთებით" მოიხმო ისინი გისკალელმა იოანე ბენ-ლევიმ, რომელსაც, ვითარცა ჭეშმარიტ პატრიოტს, თავისი ქვეყნის ღალატს, — რასაც „კორიოლანუსის კაზუსი", ანუ სამშობლოს დასამხობად უცხო ძალების მოყვანა ჰქვია — ვერავინ დააბრალებდა.

და ასე, იდუმეელებმა დაიბანაკეს და ფეხი მოირთხეს იერუსალემის კა-რიბჭეებთან.

დადგა ღამე და ერთბაშად საშინელი ამინდი დაატყდა თავზე იერუსალემს. კოკისპირულმა წვიმამ სულ დააბნელა ისედაც უკუნეთ წყვდიადში თვალსა-მზირი ადამიანისა. მხოლოდ ელვა-კრთომა წამიერად კვეთავდა უკუნს. განუ-წყვეტლივ სმენის დამხშობი და სულის შემარყეველი მეხთატეხა და გრუხუნ-გრიალი არყევდა ქვეყანას.

იერუსალემი რაღაც ზეცით მოვლენილი ახალი წარღვნის შიშმა მოიცვა. ქალაქის დამცველებიც, მათი უმრავლესნი, თავიანთ საგუშაგოებს მოწყდნენ და მიიფანტმოიფანტნენ. ამით ისარგებლეს ზელოტებმა. მცველთაგან მიტო-ვებულ კედლებში რკინის ხარიხები ისე გადახერხეს, მეხთატეხაში რომ მისი ღრიჭინი კაციშვილს არვის გაუგონია; და, ასე იდუმეელებს ქალაქში შესას-ვლელები გაეხსნათ.

შეიჭრნენ იდუმეელნი და შეუერთდნენ ზელოტებს.

ხანანი და მისი „ზომიერებიც" დაუხვდნენ.

საშინელი ხოცვაჟლეტა გაჩაღდა.

ეს მოხდა 68 წლის თებერვლის მიწურულს.

დილის ტაროსიც დაწყნარდა, ხოცვაჟლეტაც გათავდა და ახლად აღმოხ-დენილ მზეს იერუსალემი 8000 მკვდრით შეეგება.

ზელოტებს გაემარჯვათ და უკვე მის ახალ სინედრიონსაც სასამართლო გაემართა.

იყო მოწინააღმდეგეზე ხელის დადება და იქვე სიკვდილით გათავება.

როგორც სამოქალაქო ომის მთავარ დამნაშავეს, პირველად თავი გააგდე-ბინეს ხანანს. მას მიაყოლეს იოშუა ბენ-გამალა. ორივეს გვამი დაუსაფლავებ-ლად გადაყარეს, ნადირთა და ფრინველთა საძიძგნად.

დახოცილთა რიცხვი იერუსალემში მაშინ, იმ იდუმეელთაგან გაწყვეტი-ლებთან ერთად, 12000-მდე ათავდა.

მაგრამ ზელოტებს ახლა მათი მოკავშირეების, იდუმეელების პრობლემა გაუჩნდათ. იდუმეელები ისე იქცეოდნენ, ეტყობოდა, იერუსალემიდან წასვ-ლასაც აღარ აპირებდნენ.

მიადგნენ ზელოტები იდუმეელებს და შშვიდობიანად მოაგონეს, უკვე დრო დამდგარიყო იერუსალემიდან მათი წასვლისა. ზოგნი მართლაც წავიდნენ, მაგრამ ბევრი რჩებოდა, ებრაულ მოსახლეობასთან როგორც „მშვიდობიან-მოყვრული თანაიუდეველი". და ასე — ვინც წავიდა წავიდა, ვინც დარჩა დარჩა.

რადიკალებმა კი ზომიერთა დევნა განაახლეს. არც ამ ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლების მთავარი გმირები, ნიგერი და იოსებ ბენ-გორიონი დაზოგეს და თავები დააყრევინეს.

პირველობა სინედრიონში ხელთ იგდო იოანე ბენ-ლევი გისკალელმა. გალილეველის, ამ „უცხოელის" პირველობა კი ახელებდა მისდამი შურით აღვსილ მკვიდრ იერუსალემელ ანარქისტებს. თუმცა გალილეველი ზელოტები, ანუ ი ო ა ნ ი ტ ე ბ ი (იოანეს მიმდევრები) არცერთ შემთხვევაში არ ამყღაენებდნენ რაიმე უპირატესობის აღებას იერუსალემელ ზელოტებთან ურთიერთობაში. ისინი ყველა ერთად ებრძოდნენ შინაურ „ზომიერსაც" და რომაელებთან „შერიგების" მომხრეებსაც. ერთად აკავებდნენ და კეტავდნენ იერუსალემიდან გაქცევას, რენეგატობას, დეზერტირობას, — თუ სიტყვით, თუ სისხლით.

მაინც ბევრი ახერხებდა რომაელთა ბანაკში გაქცევას. გარბოდნენ, ვესპასიანეს ეახლებოდნენ და მოუთხრობდნენ იერუსალემში მიმდინარე ამბებს, უფრო გამუქებით და იერუსალემზე ლაშქრობის წაქეზებით.

ვესპასიანე კი არ ჩქარობდა. მას ჯერ ისევ საეჭვოდ მიაჩნდა თავისუფლების ცეცხლით ანთებულ განთქმულ ქალაქზე გამარჯვება. იგი უცდიდა, როდის მიატანდა უკიდურეს წერტილს სამოქალაქო ომი იერუსალემში, ასე მინდ სისხლისქცევით დასუსტებული და დაცემული ქალაქის ხელში ჩაგდება რომ უფრო გარანტირებული ჰქონოდა.

ამიტომ რომაელმა მთავარსარდალმა 67—68 წლის ზამთარი ბანაკებში ნებიერად გაატარა და მხოლოდ გაზაფხულის დამდეგს გამოიყვანა ლეგიონები სალაშქრო გზაზე. თანაც ილაშქრებდა არა იერუსალემზე, არამედ იორდანეს აღმოსავლეთით, პერეას მთავარ ქალაქ ი ა ზ ე რ ზ ე. აქაც მიწვეული მიდიოდა ვესპასიანე. რომაელების წინააღმდეგ აჯანყებულ მოსახლეობას მდიდართა წრე უჩიოდა, ვინმე დ ო ლ ე ზ ი ს მეთაურობით, და სწორედ დოლეზისგან მოსვლოდა რომაელ სარდალს წერილი და მშობლიურ ქალაქზე სალაშქრო მიწვევა, თხოვნით და ვედრებით.

და მიუშვა ვესპასიანემ თავისი სარდალი ლუტაციუს პლაციდუსი იაზერზე. ისე მოულოდნელად მივიდნენ რომაელნი, რომ აჯანყების მეთაურმა ზელოტებმა მხოლოდ მტრის მომპატიჟებელ მოღალატეებთან ანგარიშის გასწორება და გაქცევა მოასწრეს. რომაელები კი დაუბრკოლებლად შევიდნენ ქალაქში (68 წლის 4 მარტს).

იაზერიდან პლაციდუსი მიადგა ბ ე თ-ნ ი მ რ ი ნ ს, სადაც თავი შეეფარებინათ ადგილობრივ და იაზერიდან გაქცეულ ზელოტებს. მედგრად დახვდა

აქაური ებრაელობა რომაელებს. უმრავლესობა შეაწყდა მომხვდურ მტერს. დანარჩენები გაიქცნენ. რომაელებმა ბეთ-ნიმრინი გაძარცვეს და გადაწვეს.

ერთ ხანს კიდევ დასჭირდათ რომაელებს ხმალთაკვეთება პერეაში. 15000 ებრაელი ამოწყდა. დახოცილთა გვამებით გაივსო იორდანე და მკვდარი ზღვა.

მერე პლაციდუსმა ზედიზედ აიღო ციხესიმაგრენი — ა ბ ი ლ ი, ლ ი ბ ი და ბ ე თ-ი ე ზ ი მ ო თ ი. ხოლო, ვერ მოახერხა მიუვალი მახერონის აღება და პერეადან ისევ იორდანეს დასავლეთ მხარეს გადმოვიდა.

ამასობაში თვითონ ვესპასიანე იუდეიის დანარჩენ ოლქებს იპყრობდა. ბოლოს თვითონ იერუსალემსაც მიუახლოვდა, მაგრამ უშუალო იერიშს ჯერ მაინც განერიდა და მხოლოდ შორიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან ქალაქის სამიმოსვლო გზების გადაკეტვა იკმარა.

ბეთლემამდე ყველაფერი დაეპყრო ვესპასიანეს. მხოლოდ ემაუსი უძალიანდებოდა, და აქ ბრძოლის გასაგრძელებლად მეხუთე ლეგიონი დატოვა, თვითონ კი იდუმეას გადავიდა. აქ მან აიღო ბეთ-გუბრინი და კაფერტაბა. 10000 იდუმეელი გაწყდა, 1000 მეტი ტყვედ აიყვანეს რომაელებმა. მთაგორიან აღმოსავლეთ იდუმეაზე კი ჯერჯერობით ხელი აიღო ვესპასიანემ, სამარიაში გადავიდა და იქედან იერიქონისკენ აიღო გეზი.

იერიქონი უმწეოდ დახვდა უძლავრეს მტერს. შეიარაღებულნი გაქცეულიყვნენ, უიარაღონი მორჩილად, ხამსხვერპლო ცხოველებივით შეეყარნენ რომაელ ლეგიონერებს. კიდევაც სრულად ამოწყვიტეს რომაელებმა იერიქონელნი.

იერიქონის შემდეგ გოფნისა და აკრაბატენის ოლქები დაიპყრო ვესპასიანემ. და ამით დასრულა მან ყოველი ოლქის საკუთარ ხელში მოქცევა იერუსალემის გარშემო.

ახლა უკვე, „სუფთად", იდგა საკითხი თვითონ იერუსალემის დალაშქვრისა. მაგრამ ვესპასიანე, ვითომ იერუსალემი არც ხსომებოდეს, კვლავ კესარეაში გაბრუნდა და იქ დასცა ბანაკი.

ცოტა კიდევ უნდა ეცლია რომაელ სარდალს სამოქალაქო სისხლისთხევისთვის ებრაელთა სატახტოში.

მართლაც უკიდურესად გამძაფრებულიყო ურთიერთ დაკვლა ებრაელთ შორის.

მასადაში, „სიკარიების იერუსალემში" რომ დაუდეგარი სიმონ ბარ-გიორა იდგა, იმას გადაეწყვიტა იერუსალემის დაპყრობა. საამისოდ მან ხელსაყრელად ჩათვალა დრო, როცა იერუსალემში უკიდურესმა ზელოტებმა ხანანი და იოშუა ბენ-გამალა დახოცეს და არისტოკრატული სინედრიონიც პლებეურით შეცვალეს. სწორედ მაშინ სიმონ ბარ-გიორამ სასწრაფოდ ჯარის შეგროვება წამოიწყო. იკრებდა ყველას, ვისაც ძარცვა იტაცებდა და კაცის კვლა არ ეზარებოდა. მონებს თავისუფლებას ანიჭებდა და ხელში იარაღს აძლევდა. მეძარცველობა თავის მეომართა საარსებო დარგად აქცია. მალე მისი თანამებრძოლების, ანუ თანამძარცველების ჯარი 20000 კაცამდე გაიზარდა.

სიმონ ბარ-გიორა უკვე შიშის ზარს სცემდა იუდეიის სოფელ-ქალაქებს. ქალაქ ხებრონის სამხრეთით, მცირე დასახლება ა ი ნ ი ს ახლოს, მაღალ მთაზე, სიმონმა ააგო ციხესიმაგრე თავისი ჯარის მთავარ სადგომად. აქეე, ფ ა რ ა ნ ი ს გამოქვაბულებსა და ქარანძავებში, ბელადი და მისი თანამებრძოლები ინახავდნენ თავიანთ ნაძარცვ-ნაალაფარს.

მალე ხებრონიც დაიპყრო და უკვე ხმაც გავარდა, რომ სიმონ ბარ-გიორა იერუსალემისკენ იღებსო გეზს.

იერუსალემელი ზელოტებიც ღონეს არ იშურებდნენ მისგან ყოველი საფრთხის აღსაკვეთად. ერთხელ ისიც მოახერხეს, ხელთ ეგდოთ სიმონის ცოლი და მისი ამალა. მაგრამ იმის მაგივრად, რომ ოდნავ მაინც გული დაეცხრო და იერუსალემის მესვეურებთან რაღაც მოლაპარაკებაზე თუ დათმობაზეც წასულიყო, ბარ-გიორამ რაღაც სამეურნეო საშოვარზე ქალაქგარეთ გამოსული იერუსალემელები შეიპყრო და საშინელი წამებით ამოხოცა. ამის პასუხად კი იერუსალემის ზელოტებმა ისღა გააკეთეს, რომ სიმონ ბარ-გიორას ცოლი გაათავისუფლეს და ქმართან უვნებლად გამოუშვეს.

უკვე იერუსალემის ახლოს იდგა სიმონ ბარ-გიორა და დღე და ღამე გაფაციცებით უთვალთვალებდა ქალაქში შეპრის პირველივე შემთხვევა შეუმჩნევლად არ გასხლტომოდა ხელიდან.

ამ დროს იერუსალემში ადგილობრივმა არისტოკრატებმა ისევ სცადეს, სინედრიონი ხელიდან გამოეგლიჯათ „უცხოელი" იოანე ბენ-ლევისა და მის მიმდევარ „იოანიტთა" ხელიდან. ამ ახალ მოძრაობას სათავეში ჩასდგომოდა მ ა თ ე, ძე თეოფილესი. ამათ მიემხრო ყველა, ვისაც იერუსალემიდან გაქცევა ვერ მოეხერხებინა იოანიტთა შიშით და მათი ემკაცრესი ზედამხედველობის წყალობით. ამათ ქალაქში დარჩენილი იდუმეელებიც აიყოლიეს და იოანიტებს მოულოდნელად დაესხნენ თავს. ბევრი გაწყვიტეს, დანარჩენები გაექცნენ. გაქცეულებმა თავი მოიყარეს სასახლეში, სადაც იდგა თვითონ იოანე ბენ-ლევი გისკალელი. აქეთკენ იერიშზე წამოსულებს იოანემ და მისიანებმა გაასწრეს და ტაძარს მიაშურეს. იდუმეელები მიტოვებულ სასახლეს შეესივნენ და გაძარცვეს. ამასობაში იოანიტებმა დანარჩენი რადიკალური ზელოტები შემოიყარეს და მტერს თავის მხრივ შეუტიეს. მათე, რომელსაც მოესწრო თავი მღვდელმთავრად გამოეცხადებინა, ისევ გადააყენეს. მაშინ ზელოტ-იოანიტთა მოწინააღმდეგეებმა მათე იერუსალემის გარეთ მოდარაჯე სიმონ ბარ-გიორასთან გაგზავნეს და დახმარება გამოსთხოვეს.

მაშ, აუხდა ოცნება ბარ-გიორას. მოვდივარ როგორც მშველელი, — მაშინვე შეაგება მან მათეს, — მაგრამ ისიც აგრძნობინა, მარტო მშველელი კი არა, უზენაეს მბრძანებლობასაც არ დავიწუნებო...

და შემოიჭრა სიმონ ბარ-გიორა მძარცველობაზე კბილალესილი თავისი ჯარით, იერუსალემში, 68 წლის ნისანს (აპრილს), შემოიჭრნენ და პირდაპირ ტაძარს მიაშურეს, სადაც შეყრილი იყვნენ ზელოტ-იოანიტნი. მიესივნენ გამგელებით. მაგრამ არც ზელოტები დარჩნენ ჯაბნად. ისარი, შუბი, სათხელი

და, რაც ხელთ მოხვდათ — ქვა, კრამიტი, აგური თუ კეტი, ყველაფერი ერთად მერეხად შეაგებეს მოიერიშე მტერს. შეაგებეს და მალე კონტრშეტევაზეც გადავიდნენ.

სიმონ ბარ-გიორას პირადი სიმამაცე და თავზეხელაღებულობა საკმარისი არ აღმოჩნდა. იგი იძულებული გახდა უკანგამოქცეულ თავის ჯარს თვითონაც გამოჰყოლოდა და ქალაქის რომელიმე ნაწილში უფრო საიმედო თავშესაფარი ეპოვნა.

რომაელებთან გაქცეულებს კი კვლავ მიჰქონდათ იერუსალემში დატრიალებული ამბები ვესპასიანესთან. ცოტაც კიდევ და სულაც ამოწყვეტენ ებრაელები ერთმანეთსო, ფიქრობდა რომაელი მთავარსარდალი, და თან იერუსალემის გარშემო განაგრძობდა ყველა დიდი თუ მცირე პუნქტის სრულ მპყრობელობას. მისმა სარდალმა ცერეალუსმა დაიპყრო იდუმეიის აღმოსავლეთი ნაწილიც. მერე ხებრონიც აიღო და, მამაკაცთა ხაზით, სულერთიანად გაწყვიტა იქ მცხოვრები ებრაელიც და იდუმეელიც.

უკვე შეეძლო ვესპასიანეს დაეწყო ლაშქრობა იერუსალემზე, მაგრამ რომიდან ახალი, გაუთვალისწინებელი და ყოვლისდამანგრეველი ამბები მოიტრ., ჭექა-ქუხილით.

დაიწყო იმით, რომ გალიის (დღ. საფრანგეთი) მმართველმა, გ ა ი უ ს ი უ ლ ი უ ს ვ ი ნ დ ე ქ ს მ ა ისარგებლა მძიმე გადასახადებითა და ხარკით დაშინებული პროვინციის მღელვარებით და აჯანყება დაიწყო ნერონის წინააღმდეგ. ნერონმაც გალიაში ჯარები გაგზავნა, მაგრამ იმავე დროს მის წინააღმდეგ დაიძრა ახლო ესპანეთის ლეგატი ს ერ ვ ი უ ს ს ულ პ ი ც ი უ ს გ ა ლ ბ ა. ვინდექსს შეუერთდნენ აგრეთვე ლუზიტანიისა და აფრიკის პროვინციათა მმართველები. ნერონისაგან გაგზავნილმა ზემო რაინის ლეგიონებმა, ვ ი რ გ ი ნ ი უ ს რ უ ფ უ ს ი ს სარდლობით, დაამარცხეს ვინდექსი, რომელიც 20 000 თანამებრძოლთან ერთად თვითონაც დაიღუპა ბრძოლაში. მაგრამ ახლა თვით გამარჯვებული რაინის ლეგიონები გადაუდგნენ ნერონს და მის ნაცვლად იმპერატორობა თავიანთ სარდალს შესთავაზეს. ვირგინიუსმა უარი თქვა და იმპერატორის არჩევის საქმე რომის სენატს მიანდო. ახალ პრინცეპსად და იმპერატორად გამოცხადებულ იქნა ს ერ ვ ი უ ს ს ულ პ ი ც ი უ ს გ ა ლ ბ ა, ხოლო ყველასაგან მიტოვებული ნერონი სენატმა საშშობლოს მტრად გამოაცხადა და სიკვდილიც მიუსაჯა.

შიშისგან ატანილი, გადაცმული ნერონი რომიდან გაიქცა და თავის რომელიღაც გააზატებული მონის სახლს შეაფარა თავი. როცა მდევართა ცხენების ხმა გაისმა, ძრწოლამოსილმა თვითმკელელობა სცადა, ყელზე მახვილიც მიიბჯინა, მაგრამ ვერ გაბედა და ყოყმანი შეუდგა. მაშინ იმ გააზატებულმა მახვილის ტარზე ხელი უკრა და ნერონიც სულთმობრძავი დაეცა. „ოო, როგორი არტისტი ვიღუპები (qualis artifex pereo)!“ — ეს იყო ამ უცნაური მანიაკის უკანასკნელი სიტყვები.

ეს ამბავი 68 წლის 9 ივნისს მოხდა. ნერონი მაშინ 31 წლისა იყო. მასთან

ერთად დასრულდა სახელოვანი იულიუსებისა და კლავდიუსების საგვარეულოს მოღვაწეობა რომის მსოფლიო პოლიტიკის სარბიელზე.

ხოლო, სერვიუს სულპიციუს გალბას გამეფებით იწყება იმ იმპერატორთა ხანა, რომლებიც ტახტზე აჰყავთ მათსავე ლეგიონებს.

გალბა იყო მოხუცი, წარჩინებული სენატორი, გამოცდილი სარდალი და პოლიტიკოსი. მაგრამ მან იმპერიის კრიზისის პირობებში ვერ მოახერხა აღიარების მოპოვება თითქმის ვერცერთ სოციალურ წრეში. ჯერ იყო და, იგი შეეცადა შეეკავებინა ნერონის დროინდელი თავაშვებული მფლანგველობა და ამისთვის მან ძუნწისა და ფულხარბის სახელიც დაიმსახურა.

პროვინციებში დაგზავნილ ლეგიონებს და მათ სარდლებს ევალებოდათ, დროზე ეცნოთ ახალი იმპერატორი. ვესპასიანესაც არ უნდა დაეყოვნებია და არც დააყოვნა: თავისი ძე, ტიტუსი, და მეფე აგრიპა ერთად გაგზავნა რომში, რათა მისალმებოდნენ, მიელოცათ და თაყვანი ეცათ ახალი იმპერატორისთვის. თანაც, ვინ იცის, მოხუც გალბას, ძით უმემკვიდრეოს, იქნებ შვილად და ტახტის მემკვიდრედ სწორედ ტიტუსი აეყვანოს?!

მაგრამ ცოცხალსაც კი ველარ ჩაუსწრო ტიტუსმა გალბას.

გალბამ ვერც პრეტორიანულ გვარდიაში ჰპოვა თურმე მხარდაჭერა, ვერც საკუთარ ლეგიონებში. მას არ შეეძლო სახელმწიფოს დაცარიელებული ხაზინიდან რაიმე მიეცა თუნდაც საკუთარი ჯარისკაცებისთვის, რომელთაც იგი ტახტზე აიყვანეს. მან თავის ლეგიონებს საბოლოოდ გაუცრუვა იმედები მკაცრი განცხადებით: „მე ჯარისკაცებს კი არ ვყიდულობ, არამედ ვკრებ!“ და ჯარისკაცებსაც უკვე დაეწყოთ ახალი იმპერატორობის კანდიდატის ძებნა. ასეთი ყოფილიყო მ ა რ კ უ ს ს ა ლ ვ ი უ ს ო ტ ო ნ ი, ნერონის ორგიების და ბაკხანალიების თანამეინახე. და ერთ დღეს, 69 წლის 5 იანვარს, იმპერატორი გალბა ოტონთან შეთქმულმა პრეტორიანელებმა ფორუმზე მახვილებით აკუწეს. ახალ იმპერატორად კი ოტონი გამოაცხადეს.

მაგრამ ოტონმა ფორუმიდან სასახლემდე მისვლა ძლივს მოასწრო, რომ რეინზე მდგარმა ლეგიონებმა იმპერატორად გამოაცხადეს ა ვ ლ უ ს ვ ი ტ ე ლ ი უ ს ი.

მაშ, იმ დღეებში რომის მსოფლიო სახელმწიფოს ორი იმპერატორი ჰყავდა.

ეს ამბები შეიტყო ტიტუსმა გზაში, ქალაქ კორინთოში მისვლისას. ასე, რომ იმპერატორის შვილობილობაზე და ტახტისმემკვიდრეობაზე იმედი გაუცრუვდა ტიტუსს. მან გადაწყვიტა უკან დაბრუნებულიყო, იუდეას, სადაც მას ელოდა მისი მშვენიერი სატრფო, ბერენიკე. ხოლო, აგრიპა მაინც გაგზავნა რომში, რათა იქიდან მისი საშუალებით მუდმივი და სწორი ცნობები ჰქონოდა აზიაში მყოფს.

მალე მართლაც ახალი, დიდად მნიშვნელოვანი ამბები შემოთვალა აგრიპამ: 69 წლის აპრილში, კრემონასა და ვერონას შორის, ბედრიაკის ველზე, გადამწყვეტ ბრძოლაში ერთმანეთს შებმიან ოტონის და ვიტელიუსის ლეგი-

ონები. თვითონ არცერთი არ მონაწილეობდა მათთვის ატეხილ ამ საშინელ ხოცვა-ჟლეტაში. ვიტელიუსის ლეგიონებმა გაიმარჯვეს. ხოლო ოტონმა, ამ მძიმე ჟამს, თავისი იმპერატორობის 95-ე დღეს, შესძლო გაბედულება გამოეჩინა და თავი მოეკლა.

მაშ, რომის საიმპერატორო ტახტზე ერთპიროვნულად იჯდა ავლუს ვიტელიუსი.

ხოლო, მანამდეც სანამ ოტონი და ვიტელიუსი მსოფლიო ტახტისთვის ერთმანეთს შეებმოდნენ, თურმე ვესპასიანესაც შესძრომია ფიქრის ჭია იმპერატორად გახდომისა. მართლაც და, კაცმა რომ სთქვას, რით იყო სხვაზე ნაკლები ვესპასიანე? განა, რომელი შეედრებოდა მას თუნდაც ყველა წინარე იმპერატორი — ტიბერიუსი, კალიგულა, კლავდიუსი, ნერონი, გალბა, ოტონი თუ ეს უკანასკნელი, ვიტელიუსი?

ეს ვიტელიუსი მაინც სულ გაუგებრობა ყოფილა, სახელმწიფოს საქმეებში პირადად არც კი ერევა. მისი ერთადერთი საფიქრალი და საზრუნავი უზომო ჭამა-სმა ყოფილა; სამიოდ თვის მანძილზე მისი სადილ-ვახშმობისთვის 900 მილიონი სესტერციუმი დახარჯულა. მარტო ერთ სადილზე 400 000 სესტერციუმი იფლანგებოდა; ერთხელაც მას რაღაც ისეთი ძვირადღირებული კერძი მიართვეს, რომელიც 50 000 სესტერციუმზე მეტი უნდა დამჯდარიყო. მთელი იმპერიის ყოველი კუთხიდან, ზღვით თუ ხმელეთით, განუწყვეტლივ იგზავნებოდა ნაირნაირი საჭმელ-სასმელი გაუმაძღარი ხელმწიფის როგორმე გასაძღომად.

ვესპასიანეს კი ვერავინაც ვერ შეედრება, ვერც ნიჭით, ვერც ჭკუით, ვერც სიმამაცით, ვერც სამოქალაქო და, მით უფრო, ვერც სამხედრო ხელოვნებათა ცოდნით. და, რაკი იმპერატორის გამოცხადება მარტო რომში კი არა, თურმე სადმე პროვინციაში, სამხედრო ბანაკშიც შეიძლება, რატომ აქ, იუდეაში მდგარ ლეგიონებსაც არ შეუძლიათ თავიანთ ფარებზე აიყვანონ და იმპერატორად გამოაცხადონ თავისი სარდალი?!

ერთადერთი, რაც აფიქრებდა ვესპასიანეს, იყო სირიის ლეგატი ლიცინიუს მუციანუსი, რომელთანაც მას მეტოქეობა და მტრობა ჰქონდა. მაგრამ ეს საფიქრალიც გაუქარწყლა ტიტუსმა, მისმა ჭკვიანმა ძემ. ტიტუსი ძალიან დაუახლოვდა და ბოლოს დაუმეგობრდა კიდეც მუციანუსს და დაითანხმა კიდეც, არამცთუ ხელი არ შეეშალა მამამისისთვის, არამედ მხარიც დაეჭირა ვესპასიანეს იმპერატორად აღზევებისთვის.

ერთი ძლიერი მოკავშირეც გაიჩინეს მამა-შვილმა ფლავიუსებმა. ეს იყო ეგვიპტის მმართველი, ტიბერიუს ალექსანდრე. ამის მომხრობის საქმე კი მშვენიერმა ბერენიკემ გაჩარხა. ბერენიკე ხომ პირველად ალექსანდრეს ძმაზე, მარკუსზე იყო დანიშნული... ბერენიკე ხომ ტახტისთვის თავს არ იზოგავდა და ტიბერიუს ალექსანდრეს მომხრობაც წარმატებით განასრულა, — ვინ იცის, ტიტუსთან ერთობით, ერთხელაც იქნეს და ბერენიკე რომის ავგუსტა-დედოფალიც შეიქნეს!

და აი, 69 წლის 1 ივლისს, ეგვიპტის მმართველმა ტიბერიუს ალექსანდრემ თავისი ჯარები დააფიცა ვესპასიანეს როგორც იმპერატორის ერთგულებაზე.

ამ დღიდან ანგარიშობდა ვესპასიანეც თავის იმპერატორობას. მალე ამის მოყოლებით, იგი იმპერატორად გამოაცხადეს მისმა ლეგიონებმა იუდეაში და მუციანუსის ლეგიონებმა სირიაში.

ნაანგარიშევი იყო, თუ რომი წინააღმდეგობას გასწევდა, ყველაფერი უნდა დაეკეტათ მისთვის, რაც კი აღმოსავლეთიდან შესდიოდა, განსაკუთრებით ეგვიპტური პური.

ვესპასიანემ და ტიტუსმა ეგვიპტეში ყოფნისას ისიც შეიტყვეს, რომ მათ მხარეზე დამდგარან პანონიასა და დალმაციაში მდგარი ჯარებიც.

უკვე საომრად წასვლა იყო საჭირო, საიმპერიო ტახტ-გვირგვინის საბოლოოდ დასაუფლებლად და ამისთვის ვესპასიანემ გაგზავნა თავისი ნიჭიერი და მამაცი სარდალი ანტონიუს პრიმუსი.

ანტონიუს პრიმუსი დალმაციაში მივიდა, იქაური ლეგიონები აიყვანა და სასწრაფოდ ჩრდილოეთ იტალიაში გადავიდა. აქ, ქალაქ კრემონასთან, ერთმანეთს სამკვდრო სასიცოცხლოდ დაეძგერნენ ვიტელიუსის და ვესპასიანეს მომხრენი.

ვესპასიანეს ჯარებმა გაიმარჯვეს, ანტონიუს პრიმუსის სარდლობით. კრემონა აიღეს, ააოხრეს, გაძარცვეს, დედა-ბუდიანად ამოჟლიტეს, ნაცარტუტად აქციეს. იქიდან რომისაკენ დასძრა ჯარები ანტონიუს პრიმუსმა.

ვიტელიუსი სამგლოვიარო ტანსაცმელით, ხელში უმცროსი ვაჟიშვილით, ცრემლების ღაპაღუპით გამოვიდა რომის ფორუმზე და უარი თქვა იმპერატორობაზე. მაგრამ სიკვდილი მაინც ვერ აიცდინა. იგი უკვე რომში შემოჭრილმა ანტონიუს პრიმუსის ჯარისკაცებმა მოკლეს, თავი მოჰკვეთეს და უთავო ტანი ტიბრში ისროლეს.

ეს მოხდა 69 წლის დეკემბერში.

რომის იმპერატორად გამოცხადდა ტიტუს ფლავიუს ვესპასიანე (69—79).

ორწლიანი სამოქალაქო ომი დასრულდა. ამ საშინელმა წლებმა დაადასტურეს, რა შეძლებიათ არმიებს, რომლებიც უკვე დიდი ხანია იბრძვიან არა სამშობლოს ინტერესებისათვის, არამედ მხოლოდ თავიანთი სარდლებისათვის, რომელთაც თავის მხრით ევალებათ, ქამსა გახელმწიფებისასა, თავის ჯარისკაცებს მიანიჭონ ყოველგვარი პრივილეგია სახელმწიფოს ეკონომიკური, პოლიტიკური და უფლებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ამას გარდა, ამ დროიდან რომის შემდგომი ისტორიისათვის ნიშანდობლივი ხდება დიდი ისტორიკოსის, ტაციტუსის საინტერესო განასაჯი:

„გაიხსნა საიმპერატორო ძალაუფლების საიდუმლო, — რომ პრინცეპსად (იმპერატორად, მონარქად) კაცი შეიძლება შეიქნეს არა მხოლოდ რომში, არამედ სხვა ადგილზედაც".

მართლაც, ამიერიდან საიმპერატორო ხელისუფლებისათვის ბრძოლაში თვალნათლივ ჩანს პროვინციების უზარმაზარი როლი „მსოფლიოს ცენტრის", რომის საპირისპიროდ.

მაშ, ახლა ტახტზე ზის „პროვინციელი იმპერატორი", ტიტუს ფლავიუს ვესპასიანე, მაშინ უკვე 60 წლისა.

იყო იგი ჭკვიანი, პრაქტიკოსი, მომჭირნე, მფლანგველობის და უწესრიგობისადმი შეურიგალი, ბუნებით კეთილი, თან სარკასტი და იუმორისტი, რომელიც თავის გახელმწიფებას და „გალმერთებას" დასცინოდა კიდეც.

მივიდა რომს, რომელიც დახვდა მისივე ლეგიონებისგან აკლებული, გაძარცვული, სისხლდადენილი და ნამუსახდილი. სასწრაფოდ აღადგინა წესრიგი. დამშეულ ქალაქში კვლავ გაჩნდა ეგვიპტური პური. სასწრაფოდ მოახდინა ჯარების რეორგანიზაცია, მასში უსასტიკესი წესრიგითა და დისციპლინით. მოაწესრიგა ფინანსები. სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ამდენ ხანს რომში დამკვიდრებულ ფუქსავატობას და მფლანგველობას. დაცარიელებული ხაზინის აღსადგენად და ასავსებად არა საშუალებას აღარ დაერიდა. მან აღადგინა ყველა გაუქმებული გადასახადი და ახალიც მრავლად მიუმატა. არაფერი დაუბეგრავი არ დატოვა, — საპირფარეშოზეც კი გადასახადი გააწერა და ამისთვის მოსაყვედურე უფლისწულ ტიტუსს ცხვირთან ოქროს მონეტა მიუტანა და უთხრა: აჰა, დაყნოსე, სუნი თუ უდის, იგი საპირფარეშოდან გახლავთ აღებულიო!.. შემდეგაც, რომელიღაც პროვინციული ქალაქის მესვეურნი რომ თავის ქალაქში მისი მონუმენტის დადგმას გადაწყვეტენ, — რაკი არ იშლით, ამ ჩემ ხელისგულზე დადგით ეგ მონუმენტიო, — ესე იგი, ის მირჩევნია, ფულად მომცეთ მაგ მონუმენტის ღირებულებაო.

სიძუნწით განთქმული იმპერატორი მშენებლობისთვის ხარჯებს კი არ ერიდებოდა. იგი მრავალ დიდებულ ხუროთმოძღვრულ ნაგებობას მიუძღვნის რომს, ახალი ბრწყინვალებით აღადგენს კაპიტოლიუმს, ააშენებს კოლოსალურ კოლიზეუმს, გაიყვანს ქუჩებს, აქვედუკებს, გზებს...

მაგრამ ყველაფერი ეს მოხდება შემდგომ, გზა და გზა, მანამდე კი ისევ იუდეის „პრობლემა" უდგას რომს, მუდამ გადუჭრელი და დაულევნელი ებრაული პრობლემები.

ორი წელი კი ისე წაეწყო ერთიმეორეს, ტახტისთვის მებრძოლმა ფლავიუსებმა თითქოს ვეღარ მოიცალეს იუდეიის საქმეთა რადიკალური გადაჭრისათვის.

88. დაცემა „დედამიწის სიხარულისა“

ხოლო, რა ხდებოდა იერუსალემში რომაელთაგან ამ ორწლიანი „შესვენების“ ჟამს? იმ ორ წელს, სანამ რომაელები ერთმანეთს ხოცავდნენ და ებრაელებისთვის არ ეცალათ, თვითონ ებრაელები ხოცავდნენ ერთმანეთს თავგამოდებით.

პარტიული დაქსაქსულობა და მტრობა მათ შორის კიდევ უფრო გამძლავრებულიყო იერუსალემში. ცალკე ზელოტები გალილეველნი, იოანე ბენ-ლევის მეთაურობით, რაოდენობით — 6000 კაცი; ცალკე ზელოტები მკვიდრი იერუსალემელნი, ელიაზარ ბენ-სიმონის მეთაურობით, რაოდენობით — 2400; ცალკე ზელოტ-სიკარიები, სიმონ ბარ-გიორას მეთაურობით, რაოდენობით— 10000; ცალკე იუდემეელნი, იაკობ ბენ-სოზასა და სიმონ ბენ-კატლას მეთაურობით, რაოდენობით — 5000.

23.400 შეიარაღებული დამცველი ჰყოლია მაშინ იერუსალემს. მაგრამ ისინი იყვნენ უფრო ურთიერთ დამკვლელნი, ვიდრე მშობლიური ქალაქის დამცველნი.

არა და, ყველა გრძნობდა კატასტროფის კატასტროფულად მოახლოებას.

ცაზე, იერუსალემის დასწვრივ, ხალხი ღამღამობით ჰხედავდა კუდიან ვარსკვლავს, ცეცხლოვანი მახვილის სახით.

საუფლო ტაძარში რაბინებს, ჟამჟამად ამტყდარ ყრუ ბუბუნში ესმოდათ ძახილი — „განვედით აქედან!“

ყველაზე დიდი და მძიმე კარი ტაძრისა ჟამჟამად თავისით, კაცისგან ხელშეუხებლად, იღებოდა და იხურებოდა.

ვინმე წინასწარმეტყველად ხმობილი იოშუა ბენ-ხანან იმ ორ წელიწადს ყოველ დღე ქალაქის ქუჩებში დარბოდა და ყვიროდა: „ხმა აღმოსავლეთით, ხმა ქვეყნის ოთხივე მხრით, ხმა იერუსალემის ტაძარსა ზედა, ხმა სიძესა და დედოფალსა ზედა, ხმა სრულიად ხალხსა ზედა! ვაი შენ, ვაი, იერუსალემ!“

და დადგა 70 წლის თებერვალი, და დაბრუნდა რომიდან ტიტუსი, ძე ვესპასიანე იმპერატორისა, დაბრუნდა უკვე ვითარცა რომის საიმპერატორო ტახტის მემკვიდრე.

ხოლო, მამის გამეფება და შვილის გაუფლისწულება მთელს მსოფლიოში უეჭველად უნდა აღნიშნულიყო მსოფლიო ქალაქის („მსოფლიოობაში“ რომსაც რომ ეტოქებოდა!) აღებით.

80000 მეომრით მოადგა და შემოადგა იერუსალემს რომაელი სარდალი და უფლისწული. იმდენი საიერიშო და საალყო მანქანაც მიაყენა და შემოუყენა, რამდენიც არცერთ სხვა ქალაქს არ მისდგომია მანამდელ საქალაქო ალყათა ისტორიაში.

სამი დიდი ებრაელიც მხარში ედგა ებრაელთა სატახტოს დასანგრევად

მოსულ უცხოელს: მეფე აგრიპა, ტიბერიუს ალექსანდრე და იოსებ ბენ-მატათია, რომელსაც ახლა, როგორც ახალ იმპერატორთა საგვარეულოს — ფლავიუსების შვილობილს, სახელად ი ო ს ე ბ ფ ლ ა ვ ი უ ს ი დაერქმია.

წინასწარ, სანამ იერიშებს დაიწყებდა, მოციქულები შეგზავნა და შეუთვალა ტიტუსმა იერუსალემელთა: მშვიდობიანად, სისხლდაღვრელად, თქვენის ნებით აღიარეთ რომის წინაშე მორჩილება, ხარკის გადახდა იკისრეთ, ყველაფერი ისევ ისე, როგორც ადრე იყავით, აჯანყებამდე, და ქალაქის კარებიც თქვენის ხელით გამიღეთო.

ციკი უარი მიიღო პასუხად.

და შეუდგა ბრძოლას რომაელი სარდალი. მთავარი დარტყმები ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან გათვალა და ამ მხარეებზე თუ რამ იდგა, მცენარე თუ ნაგებობა, არაფერი ფეხზე აღარ დააყენა, ყოველივე გაჩეხა და დაანგრია. მერე, თვითონ, პირადად მიადგა იგი ჩრდილოეთის კედელს, სადაც მან ერთი კაციც ვერ დაინახა ქალაქის დამცველთაგან. ალბათ შეშინებულან და გაქცეულანო, იმედიანად გაიფიქრა ტიტუსმა. და უეცრად, სად იყო და სად არა, ებრაელთა რაზმი გარს შემოერტყა მას და მის ამალას. უკუაქციეს და გადაურჩნენ ტყვეობას უფლისწულ-ამალიანად.

ეს დასაწყისი გამამხნევებელ მინიშნებად მიიღეს იერუსალემის დამცველებმა. მეორედაც, ელეონზე (ზეთისხილის მთა), როცა აქ რომაელთა მეათე ლეგიონი ბანაკს აგებდა, უეცრად დაეცნენ თავს ებრაელნი. ძლივს მოიგერიეს დამხვდურებმა მომხვდურნი.

ეს იყო მინიშნებანი იმისა, რომ რომაელებს იერუსალემის კედლებთან მძიმე ბრძოლები ელოდათ.

პასექის დღეები ახლოვდებოდა და ტიტუსს იმედი ჰქონდა, რომ იმ დღეებში ტრადიციული სჯულის მდევარი ებრაელობა საომრად ხელს ვერ გამოიღებდა. მაგრამ ეს ფიქრი თითქოს არ მართლდებოდა. ებრაელები ჟამქამად გამოიჭრებოდნენ ქალაქიდან და თაეგანწირული კვეთებით უშლიდნენ მოალყეებს ალყის გაწყობას. ასე, რომ იერუსალემის დასაცავად და გადასარჩენად იბრძოდა ყველა, დიდი და პატარა, კაციც და ქალიც; სწორედ ქალები იბრძოდნენ და სასწაულებრივი გულგრილობით ხვდებოდნენ სიკვდილსაც.

კედლებზე სროლა და ტყორცნა იყო ორმხრივი, გადაღმ-გადმოღმა. უშენდნენ ყოველივეს, რაის დაშენაც მოხერხდებოდა — ისარი თუ ხელშუბი, ლოდი თუ როჭკი, კეტი თუ ჭოლოკი. ქალაქის დამცველები კედელზე მოიერიშე მტერს თავზე ასხამდნენ ადუღებულ ფისს.

მაინც ომძლავრეს რომაელებმა და თხუთმეტდღიანი ბრძოლის შემდეგ სრულიად ხელთ იგდეს ქალაქის პირველი, გარეთა კედელი.

ბრძოლამ, მეორე, საშუალედო კედელზე გადაინაცვლა. კიდევ რამდენიმე დღე და აქაც იმარჯვეს რომაელებმა. მეორე კედელიც აიღეს და ქალაქის ეს მხარე — ბეცეტა, კიდევაც მკვიდრად დაიჭირეს.

ბრძოლა უფრო გამძაფრდა. კიდევ ჩვიდმეტი დღის განუწყვეტელი სისხ-

ლისქცევა დასჭირდათ რომაელებს, რომ უმთავრეს ციხესიმაგრეს, ანტონიას მისდგომოდნენ საიერიშო დანადგარებით. და ის იყო, კიდევაც უნდა გაეხსნათ „ცეცხლი“, რომ უეცრად, თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, იოანიტები მოვარდნენ, მათივე ბელადის, იოანე ბენ-ლევის ბელადობით და ცეცხლს მისცეს ანტონიაზე საიერიშო რომაული მანქანები.

სანამ ანტონიას ახლოს ის მანქანები იწვოდა, კიდევ ორ დღეში, დანარჩენ რომაულ საალყო მოწყობილობებს ცეცხლი გაუჩინეს სიმონ ბარ-გიორასგან წარგზავნილმა მეომრებმა — ტ ე ფ ტ ა ი მ, მ ე გ ა ს ა რ მ ა და ს ა გ ი რ ა მ.

მაშინ კიდევ სცადა ტიტუსმა „გონს მოეყვანა“ იერუსალემელნი და საამისოდ, დასაზავებლად, ქალაქში შეგზავნა იოსებ ფლავიუსი. მაგრამ ეს დიპლომატიური ჩანართიც უშედეგოდ დამთავრდა. იოსებს, ამ „გაურჯულოებულს“, ხეირიანად არც კი მოუსმინეს ებრაელებმა.

ქალაქის დამცველებმა, როგორც ერთმა, ყველამაც იცოდა, რაც ელოდათ რომაელთაგან. მაგალითებიც უხვად ჰქონდათ რომაელთა სისასტიკისა და ვერაგობისა. ტყვეებსაც კი, — თანაც ისეთ ტყვეებს, შიმშილ-წყურვილის შიშით რომაელ სარდალთან თავისი ფეხით რომ მიდიოდნენ და ბარდებოდნენ — ტიტუსი „ადამიანის ჯილაგის გასართობად“ ჯვრებზე ლურსმავდა, რამდენიმე დღის გადაბმით, 500—500 ტყვეს. ეს ისე ხშირად ხდებოდა, რომ აღარც ადგილი ჰყოფნიდა ჯვრებისთვის და აღარც ჯვრები ადგილებისთვის. ამიტომ ასე „ზედმეტად ნაჭარბ“ ტყვეებს ტიტუსი ხელებს სჭრიდა და ისე აბრუნებდა უკანვე.

და ყოველივე ამის მოწმე ებრაელობასთან სამშვიდობო მოლაპარაკება, რასაკვირველია, წყლის ნაყვა უნდა ყოფილიყო და სხვა არაფერი. ამიტომ — ან სიკვდილი, ან გამარჯვება! — ასეთი იყო დევიზი იმქამს ყოველი ებრაელისა.

ტიტუსი მიხვდა, რომ იერუსალემელთა სულის გატეხვა ასე იოლად ვეღარ მოხერხდებოდა და გაჭიანურებული ალყით ქალაქში შიმშილობის ჩამოგდებაზე გადაიტანა მთავარი იმედები. ამიტომ, ქალაქში შესავალი ყოველი გზა და ხვრელი, აშკარაც და მალულიც, სრულიად მის ხელში რომ მოქცეულიყო, ალყა ქალაქის გარშემო შვიდი კილომეტრის რადიუსით გააფართოვა. ამის გარეთაც, თხუთმეტი კილომეტრის რადიუსში, ყოველი ბაღი, ნათესი, ნაჭირნახულევი და ნავარგული გაჩეხეს, გათელეს და გააოხრეს რომაელებმა.

საშინელი შიმშილი შეუდგა და შეუწვა გულგვამში იერუსალემს. იოანე ბენ-ლევიმ ტაძრის სამსხვერპლო მარაგის უკანასკნელი ლუკმები დაარიგა და სიკვდილის ცელიც დაბრუნდა შეუკავებლად. ხალხი ბუზივით იხოცებოდა. დახოცილთა დაკრძალვას დახოცვაზე მიმდგარი ადამიანები ვეღარც აუდიოდნენ, გეღარც ერეოდნენ. მალე ცოცხლებმა სულაც ხელი აიღეს მკვდართა დაკრძალვაზე, და ჰაერიც ხრწნადთა ოხშივრით გაიჟღინთა.

აქა-იქ მაინც გარბოდნენ რომაელებთან, შიმშილით სიკვდილს მონობას,

თუ ხელების დაკვეთასაც ამჯობინებდნენ. ესეც შეიტყვეს რომაელებმა: ზოგს, გამოქცეულს, ოქროს მონეტები ჩაეყლაპა, რათა მათი მეოხებით მონობაში თავი გაეტანა მცირე ხნით მაინც. და, ეს რომ შეიტყვეს, ყოველ გამოქცეულს მუცელზე ფატრავდნენ რომაელნი, შიგნეულში რომ ოქროს ფულები მოეძიათ.

მკაცრობდნენ ზელოტები. უნდოდათ დაეძლიათ სულმოკლეობა ცალკეულთა. ჩააგონებდნენ ყოველ ებრაელს, თვალი ვაქაცურად გაესწორებინათ სამშობლოსათვის წვეულ სიკვდილს. სიმონ ბარ-გიორამ მის თანამებრძოლ შეთაურთა შორის აღმოაჩინა რომთან შერიგების მსურველნი და ყველანი დაზოცა შეუბრალებლად. დასჯილთა შორის აღმოჩნდა მღვდელმთავარყოფილი მატათია ბენ-თეოფილე და მისი თხუთმეტი თანამოაზრე. ყველას ერთად, რომაელთა თვალსახილველზე, დააყრევინა თავები ბარ-გიორამ.

რატომღაც მოღალატე იოსებ ფლავიუსის მშობლები კი დაინდეს ზელოტებმა. დედას სრული თავისუფლება მისცეს, ხოლო მამა, მატათია, ყარაულ ქვეშ ჰყავდათ, რათა, ვინ იცის, იმასაც მისი შვილივით ღალატი არ გაევლოს გულში.

ღალატის სრული აღკვეთა უსასტიკეს სასჯელსაც არასდროს არ შესძლებია და არც იერუსალემი დარჩებოდა მაშინ უღალატოდ, „ღალატის ხელოვნების“ გარეშე. და ხდებოდა ასე: ერის მოღალატენი იერუსალემის შიგნით მიმდინარე პროცესებზე წერილობით დასმენებს ადგენდნენ და იდუმალ, ღამღამობით, ისრით ტყორცნიდნენ ქალაქ გარეთ რომაელთა ბანაკებში. და ასე, ამ „მოისარი ჯაშუშების“ მეშვეობით, ტიტუსმა თითქმის ყოველთვის იცოდა, რა ხდებოდა შიგნით, იერუსალემში.

ისევ აწვებოდნენ რომაელნი ციხესიმაგრე ანტონიას. ახალი საიერიშო კოშკები, კიბეები, ტარანები მიაყენეს. იოანე ბენ-ლევიმ ისევ სცადა ცეცხლის მოშველიება, მაგრამ ამჯერად ვერაფერს გახდა.

ჭიდილი ოცი დღ-ღამე გაგრძელდა. ოცდამეერთე დღეს კი, 1 ივნისს, რომაელებმა ის კედელი წააქციეს, მაგრამ რაღა წაქცევა, როცა იქვე მეორე კედელი დახვდათ, ებრაელთაგან ახლად ნაგები.

ბრძოლა გაგრძელდა.

რომაელებმა კვლავ გაიმარჯვეს შიმშილით დასიებულ, დაჭრდომილ ინსურგენტებზე.

ციხესიმაგრე ანტონია აღებულ იყო (69 წლის 17 ივნისი).

ტიტუსის ბრძანებით, იგი საძირკვლამდე დაანგრიეს.

რომაელები ტაძარს მიადგნენ.

ტიტუსმა ერთხელ კიდევ მიმართა იერუსალემელთ: ქალაქი ჩამაბარეთ და ტაძარს ხელს არ ვახლებ!

მაშინვე ჰასუხი იოანე ბენ-ლევისა: უფლის ქალაქი არ შეიძლება დაიღუპოს, რამეთუ მისი აღსასრული დამოკიდებულია მხოლოდ უფლის ნებაზე!

რამდენიმე რენეგატმა მაინც მოახერხა რომაელებთან გაღწევა, უმეტეს

წილ არისტოკრატულ სამღვდელოთაგან, მათ შორის — მღვდელმთავარ ისმაელ ბენ-ფიაბის სამი ძე, რომლებიც ტიტუსმა განსაკუთრებული დაცვის ქვეშ ჩააყენა.

ტაძარს შეუტიეს რომაელებმა.

დაუხვდნენ ებრაელნი. წინა გალერეას თვითონ გაუჩინეს ცეცხლი და უკუიქცნენ.

რომაელებიც მიჰყვნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ უკუქცევა მოჩვენებითი ყოფილა. უცებ შემობრუნდნენ ებრაელნი და მიესივნენ მტერს გახელებით. ბევრი დაეცა რომაელი — ვინ ცეცხლით, ვინ ებრაული მახვილით.

ახალი ძალებით მიესივნენ რომაელნი. ხანძარიც თვითონ გაამძლავრეს. უკვე ყოველი მხრივ, ყოველი კოლონადა ცეცხლის ალში ჩაძირულიყო.

ცეცხლი, შიმშილი და ეპიდემია სისხლსა და ძვალში ჩასდგომოდა და ჩასციებოდა იერუსალემს. თითქოს სრულად დამდგარიყო ის დროებამი, რომელსაც ოდესღაც თავის ხალხს უწინასწარმეტყველებდა დიადი მოსე:

„ემონებოდე შენსა მტრებსა, რომელთაც მოგისევენ უფალი, შიმშილში, მწყურვალებაში, სიშიშვლეში და ყოველნაირ გასაჭირში, დაგადგამს ქედზე რკინის უღელს, რომ საბოლოოდ გაგანადგუროს.

„მოავლენს უფალი შენ ზედა შორეულ ხალხს, არწივივით რომ მოგფრინდება და შენსას არარას შეისმენს.

„ხალხი მოძალადე და ურიდალი, რომელიც მოხუცს პატივს არ სცემს და ახალგაზრდას არ შეიბრალებს.

„დაუწყებს ჭამას შენი საქონლის ნაყოფს და შენი მიწის ნაყოფს და საბოლოოდ გაგაჩანაგებს, არ დაგიტოვებს არც პურს, არც ღვინოს, არც ზეთს, არც საქონლის მონაშენს, არც ცხვრის ნამატს, რათა საბოლოოდ ხელი მოგითავოს.

„ალყაში მოგაქცევს მთელს შენს მიწა-წყალზე, ყველგან, ვიდრე თავზე არ დაგამხობს მთელს შენს ქვეყანაში შენსავე მაღალ და მაგარ კედელ-ზღუდეებს, რომელთა იმედით ცხოვრობ, ალყაში მოგაქცევს მთელს შენს მიწა-წყალზე, შენს ქვეყანაში, რომელიც შენთვის მოუცია უფალსა ღმერთსა.

„და შესჭამდე შენ ნაშობთა მუცლისა შენისასა, შენთა ძეთა და შენთა ასულთა ხორცს, რომლებიც შენთვის შენსავ უფალ ღმერთს მოუცია, ალყაში და იწროებაში, როცა მტერი შეგავიწროებს.

„განებივრებული და გაფუფუნებული კაცი თვალძვირად დაუწყებს ცქერას თავის ძმასაც, თავის ცოლსაც, თავის შვილებსაც, რომლებიც კი მას შერჩენია.

„არავის მისცემს თავის შვილების ხორცს, რომელთაც შეჭამს თვითონ, რადგან არაფერი დარჩება მას ალყასა და იწროებაში, როცა მტერი შეგავიწროებს მთელს შენს მიწა-წყალზე.

„განებივრებული და გაფუფუნებული ქალი, რომელსაც ფუფუნებისა და

ნებიერობის გამო მიწაზე ფეხიც არ დაუკარებია, თვალძვირად დაუწყებს ცქერას თავის ქმარს, თავის შვილებს — ძეთა და ასულთა.

„მომყოლს, რომელიც მას გამოსდის ბარძაყთა-შორის და თავის შვილებს, რომელთაც შობს, ჩუმად შესჭამს მათ, გაჭირვებისას, ალყასა და იწროებაში, როცა მტერი შეგავიწროებს შენს მიწა-წყალზე".

და ყოველივე აქ აღწერილი უკვე შესრულებოდა ებრაელობას: უცხოელთაგან ალყა, ნგრევა და დამონებაც, შიმშილით გამხეცებაც, საკუთარი შვილების ხორცთა ჭამაც...

რომაელებს კვლავ ტაძრის გარეთა ნაგებობებზე მიჰქონდათ იერიშები. კვლავ საოცარი თავგამეტებით აკავებდნენ ებრაელები.

მაშინ ტიტუსმა ბრძანა ცეცხლი მიენთოთ ტაძრის გარე კედლებისათვის. აღესრულა მისი ბრძანება და, როცა გარე კედლები ცეცხლმა მოიცვა, მაშინვე ისევ ჩააქრობინა.

ახლა ზღუდეშემომწვარი ტაძარი იდგა რომაელთა წინ.

სასწრაფოდ სამხედრო თათბირზე შეჰყარა ტიტუსმა თანამებრძოლნი: ტიბერიუს ალექსანდრე, სექსტუს ცერეალუსი, ლარციუს ლეპიდუსი, ტიციუს ფრუგუსი, გატერნუს ფრონტონი და მარკუს ანტონიუს იულიანუსი.

— რას იტყვით, როგორ მოვექცეთ ტაძარსო? — იკითხა ტიტუსმა.

ეგ ტაძარი უნდა დაინგრესო, — გაისმა აქეთ-იქიდან — რადგან იგი თავისას არ დაიშლის და კვლავაც მუდმივი აჯანყების კერა იქნებაო იუდეაში.

თვითონ ტიტუსი კი წინააღმდეგი იყო ტაძრის დანგრევისა. თუმცა ყველამ იცოდა, რომ ეს იყო სურვილი ბერენიკესი.

ტიტუსს მხარი დაუჭირეს ტიბერიუს ალექსანდრემ, ცერეალუსმა, ფრონტონმა და ასე დაადგინეს: ტაძარი აიღონ და არ დაანგრიონ.

მეორე დღეს, 9 აგვისტოს, რომაელებმა განაახლეს იერიშები ტაძარზე.

ისევ გაიბრძოლეს თავგანწირვით ებრაელებმა.

კიდევ ერთი დღე, 10 აგვისტო, და კვლავ შეუტიეს რომაელებმა.

კვლავ გაიბრძოლეს ებრაელებმა. გაიბრძოლეს, მაგრამ ამაოდ. მათ, შიმშილისგან ლანდად ქცეულებს, უკვე აღარ შეეძლოთ გამძლარი და გავეშებული მტრის შეკავება. მათ მხოლოდ შეწირვა შეეძლოთ და კიდევაც ეწირებოდნენ.

და აი, ტრაგედიის უკანასკნელი რეკვიზიტი: რომელიღაც რომაელმა ლეგიონერმა ცეცხლმოდებული ხის ნაპობი შემართა, ამხანაგს მხრებზე შეადგა და ის მუგუზალი, ეგრეთწოდებულ ოქროს სარკმლიდან შიგ ტაძარში შეაგდო.

ხანძარმა იფეთქა და მოედო ტაძარს, სრულიად, შიგნით თუ გარეთ.

ამ მოულოდნელობამ თავზარი დასცა რომაელებსაც.

ტიტუსი მოიჭრა ახალი ჯარით და საშინლად შეძრული ბრძანებდა, რადაც უნდა დაჯდომოდათ, ცეცხლი ჩაექროთ და ტაძარი გადაერჩინათ.

მაგრამ მისი ხმა აღარავისაც აღარ ესმოდა. რომაელთ ჯარი, პირველი გაოგნებისგან თავდაღწეული, ახლა სრული თავდავიწყებით ძარცვავდა ტაძარს.

გახელებული ლეგიონერნი უმალვე სიკვდილს აზიარებდნენ ყველას, ვინც მძარცველობაში მათთვის ხელისშეშლას შეეცდებოდა.

ტიტუსმა მხოლოდ ისღა მოასწრო, ტაძრის წმიდათაწმიდაში შეეარდნილიყო და მისი ხილვით მანამ დამტკბარიყო, სანამ იქაც ცხელი ჰაერი და მალე ცეცხლის ენებიც არ შეიჭრა.

ავი ენები იმის თქმასაც იკადრებენ, თითქოს სწორედ წმიდათაწმიდაში, წმიდა თორაზე, ტიტუსს თავის სატრფო ბერენიკესთან ერთად ეტრფიალოს...

ტაძარი იწვოდა.

შეძრწუნებული, მაგრამ რწმენაშეურყეველი ებრაელნი ცვივოდნენ ცეცხლში, ვითარცა ზვარაკნი საუფლონი.

ხალხი მოდიოდა და მოდიოდა, თავზარდაცემული, თავზარდამცემი ბღავილით: უფალი მაინც გვიშველისო, უეცარ შემწეობას გვაახლებსო უფალი ღმერთი!

6000 ასეთი მორწმუნე იქვე დაკლეს რომაელებმა.

უკანასკნელი სამღვდელონი მოლასლასდნენ ტიტუსთან და უკანასკნელად ითხოვეს ტაძრის შენდობა.

„მღვდლები ტაძართან ერთად უნდა მოისრანო!" — ბრძანა ტიტუსმა და ისინიც იქვე ჩახოცეს.

ტაძარი უკვე აღარ იყო.

მის ადგილზე, იმ ნატაძრალზე, უკვე რომაელები სწირავდნენ მსხვერპლს თავის ღმერთებს.

რომაულად მსხვერპლიც შეწირეს, რომაული დროშებიც აღმართეს და ტიტუსიც რომის იმპერატორად გამოაცხადეს.

მაშ, იერუსალემის მეორე ტაძარიც დაღუპულიყო, 70 წლის 10 აგვისტოს, სწორედ იმ დღეს, რა დღესაც დაიღუპა პირველი ტაძარი, 656 წლის წინ (ქრ. წ. 586), ნაბუქოდონოსორის შემოსევის დროს.

ვერ შეუსრულა ტიტუსმა პირობა თავის სატრფოს — ვერ იხსნა ტაძარი უფლისა. მით უფრო, აწი რაღა დააკავებდა და აღარ დაზოგა დანარჩენი იერუსალემი. ზედიზედ გადაწვა აკრა და ოფლა.

ზედა ქალაქს შეეფარნენ და შემაგრდნენ აჯანყების მეთაურები და იქედან მოლაპარაკება გაუმართეს ტიტუსს.

იარაღის დაყრას და ცოცხლად დანებებას ჩვენ სიკვდილს ვარჩევთო, — ითვლევინებოდნენ იოანე ბენ-ლევი და სიმონ ბარ-გიორა — ამიტომ გთხოვთ, ქალაქიდან იარაღითვე გაგვიშვათ და სამაგიეროდ ზედა ქალაქიც თქვენ დაგრჩებათო.

ტიტუსმა კი თავისი შეუთვალა: იარაღიც და სიცოცხლეც ორივე ჩამაბარეთო.

და ბრძოლა გაგრძელდა.

20 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე ალყისა და საიერიშო დანადგართა გაწყობას მოანდომეს რომაელებმა ზედა ქალაქის გარშემო.

ზელოტებმა შენიშნეს, აქამდე მათი თანამებრძოლნი იდუმეელნი რომაელებთან გაპარვას აპირებდნენ და უმალვე ზოგი ამოხოცეს, დანარჩენნი ციხეში შეყარეს.

რომაელები კი უკვე გადადიოდნენ იერიშზე, უკვე შეუკავებლად.

8 სექტემბერს ზედა ქალაქი აღებულ იყო.

ხანძარს მისცემოდა სიონი.

მხოლოდ სამი კოშკი — ჰიპიკოს, მარიამნა და ფაზაელ — იდგნენ ფეხზე, რაკიღა ტიტუსს ებრძანებინა: ეს სამეული დარჩეს მარადიულ მოწმედ ჩვენი დიადი ძლევამოსილებისა!

ხოლო, დანარჩენი სრულიად იერუსალემი იწვა მიწაზე დამიწებული, ქვა ქვაზედაც დაურჩენელი, ნაცრად და ფერფლად დალექილი და გადაქარული.

მასთან ერთად — დაცემული, დარეცილი და აღგვილი პირისაგან დედამიწისა — ნაშთნი ებრაული სახელმწიფოს თვითმყოფობისა და დამოუკიდებლობისა.

ერთ მილიონამდე ადამიანი დარეცილიყო და დამიწებულიყო ერთ დროს „დედამიწის სიხარულად“ სახელგაწმენილ წმიდა ქალაქში.

ერთ მილიონამდე ტყვედ აეყვანათ რომაელებს სრულიად იუდეიის ოქში.

მონებად მიმოფანტეს რომის იმპერიის ყოველ კუთხეში ძენი და ასულნი სიონისა.

88. ქართული ინტერლოგოსი

კვლავაც წამოვიდა ებრაელთა ერთი ნაკადი მაშინ საქართველოსკენ, თავშესაფარის და საცხოვრებლის საძიებლად.

მოვიდნენ.

დახვდათ მეფე ქ ა რ თ ა მ, ძე ადერკისა, ანუ მირდატ მეორისა.

დახვდნენ ქართველნი.

დახვდნენ ებრაელნი.

და დაამკვიდრეს იქვე, სადაც თვითონ ცხოვრობდნენ — მცხეთას, ხერკს, კარსანს, ზანავს, ანუ ყველგან, სადაც თვითონ მოისურვებდნენ ქართულ მიწაზე დასახლებას.

და იყვნენ ერთად, ამიერიდან სამარადისოდ საძმოდ და სამეგობროდ, განუყრელად და განუკვეთელად.

სრული უფლებით და სწორპატიობით — ქართულ-ებრაულობით, თუ ებრაულ-ქართულობით.

კვლავაც ქართულთან ერთად „იზრახებოდა ენა ებრაული ქართლსა შინა“.

34. სიჩუმე სიკვდილისა

ტრიუმფი ვიდოდა რომის ქუჩებში.

ტრიუმფატორნი, სამივენი — ვესპასიანე და ძენი მისნი — ტიტუს და დომიციანე.

ასეთი ბრწყინვალებით მოსილი ტრიუმფი კი, აღარ ახსოვდა რომს, დიდი კეისრისა და ავგუსტუსის დროებამთა შემდგომ.

აქ გამოატარეს იერუსალემის ტაძრის საუნჯენი, ოქროს საუფლო ჭურჭლეულნი, სჯულის კანონნი.

მოჰყავდათ მძიმედ დაბორკილი ძვირფასი ტყვენი, მათ წინ სიმონ ბარგიორა, რომელსაც ტრიუმფის ბოლოს მარსის ველეგში ჩალპობა ელოდა.

ბორკილების ქვეშ უკვე სული დაელია იოანე ბენ-ლევი გისკალელს.

ტრიუმფზე ამაყად მოატარებდნენ საგანგებოდ დახატულ ბრძოლის სურათებს, — როგორ ეცემა და იწვის იერუსალემის საუფლო ტაძარი, როგორ ეუფლებიან რომაელნი ლეგენდარულ სიონს.

იმ დღეს ვესპასიანემ დახურა კარი იანუსისა, რაიც გამოხატავდა მანამდელი ასწლოვანი ომების კეთილ დასასრულს.

„ბედნიერმა იმპერატორმა“ იუდეიის ომის დასასრული აღნიშნა ახალი, „მშვიდობის ტაძრის“ აღმართვით.

იდგმებოდა ძეგლები, „იუდეიის ომის“ ძლევამოსილად დასრულების აღსანიშნავად. იჭრებოდა მონეტები, ზედწარწერებით — „იუდეა დამარცხებული“ (Iudaea devicta), „იუდეა დატყვევებული“ (Iudaea capta).

აღიმართა ტრიუმფალური თაღი — „თაღი ტიტუსისა“ (Arco di Tito).

მაშ, იუდეა დაპყრობილი იყო, მაგრამ იქ მაინც იდგა სამი ციხე-ქალაქი, რომლებიც კვლავაც რომისგან თავისუფალ და დამოუკიდებელ ქალაქებად აცხადებდნენ თავს. ესენი იყვნენ: ჰ ე რ ო დ ე უ მ ი, მ ა ხ ე რ ო ნ ი და მ ა ს ა დ ა.

ვესპასიანემ სარდალი ლ უ ც ი ლ ი უ ს ბ ა ს უ ს ი გამოგზავნა სამთავე ამ ქალაქთა დასაუფლებლად.

ჰეროდეუმი მაშინვე, უბრძოლველად დანებდა რომაელებს. მახერონი კი გაძალიანდა.

მახერონი მაღალ, ყოველმხრივ მიუვალი ციცაბოებით და ღრმა ხევებით გარშემორტყმულ მთაზე აეგო მეფე ალექსანდრე-იანაის, შემდეგ ჰეროდესაც განეახლებინა მისი კედლები და ციხეკოშკები, ნაბატეელთა შესაკავებლად და უკუსაგდებად. არც სურსათი და არც წყალი დააკლდებოდა მახერონს, უკეთუ მტერი მის ალყას მოახერხებდა. აქ ბუნებრივი წყაროებიც მოედინებოდა, ცივიც და ცხელიც.

ხშირად გამოუხტებოდნენ კიდეც მახერონელნი ალყად შემომდგარ რო-

მაელებს, მამაცი ყმაწვილი ებრაელის, ე ლ ე ა ზ ა რ ი ს მეთაურობით, და არცთუ მცირე სისხლს დაადენდნენ ხოლმე მათ.

მაგრამ ერთხელ გაუფრთხილებლობამ დაღუპა ელეაზარიც და თვითონ ქალაქიც. როცა მახერონელებმა მორიგი გამოხდომა მოითავეს და უკანვე კედლებს თავი შეაფარეს, სიმამაცით გათამამებულმა ელეაზარმა ფეხს არ აუჩქარა და კედლებს გადმოლმა დარჩა. მაშინ რომაელთა შორის აღმოჩნდა ერთ-მეომარი, სახელად რ უ თ უ ს, წარმომავლობით ეგვიპტელი, რომელიც მოულოდნელად დაეცა თავზე ელეაზარს, ხელიც დარია და შებოჭილი მიართვა თავის სარდალს.

ლუციელიუს ბასუსმა შეხედა, როგორი წუხილი და შეშფოთება გამოიწვია ებრაელთა შორის მათი ახალგაზრდა გმირის დაკარგვამ. ყველანი კედლებს მოსდგომოდნენ და იქიდან გამოხატავდნენ თავიანთ სინანულს, ოხვრით და მოთქმით.

მაშინ ეს მოიფიქრა და მოიმოქმედა რომაელმა სარდალმა: ჯვარი გააჭედვინა, აღმართა და ამით მახერონელებს გააგებინა, რომ იგი მათ საყვარელ გმირს ჯვარზე გალურსმვით უპირებდა სიკვდილს.

ამან სულ შეშალა მახერონელნი და მაშინვე შემოუთვალეს ბასუსს, ოღონდ ელეაზარი გაგვითავისუფლე, ჩვენც ცოცხლად გაგვიშვი და ქალაქს შენ ჩაგაბარებთო.

გარიგება შედგა.

მაშ, მახერონიც უკვე რომაელთა ხელში იყო. თვითონ მახერონელებს, პირობისამებრ, რომაელმა სარდალმა ხელი არ ახლო, მაგრამ იქვე, ქალაქგარეთ დასახლებანი კი სასტიკად აიკლეს რომაელებმა — გაძარცვეს, მიანგრმოანგრიეს, 1700 მამაკაცი, ჰაბუკი და ხანდაზმული, გაწყვიტეს, ქალები და ბავშვები მონებად გაჰყიდეს.

მახერონიდან წამოსვლისთანავე, ბასუსმა ცნობა მიიღო, რომ იორდანესთან ახლოს, იარდესის ტყეში, ებრაელთა ბანაკი იდგა, იერუსალემიდან და მახერონიდან გადარჩენილ და ლტოლვილ ზელოტთაგან, რომელთაც ი უ დ ა ბ ე ნ-ი ა ი რ ი მეთაურობდა.

ალყა შემოარტყა იარდესის ტყეს ლუციელიუს ბასუსმა. უფრო გარეწრედ ცხენოსნები დააყენა, ალყიდან გამოვარდნილი რომ ცოცხალი არვინ გაეშვათ, და ლეგიონებიც იერიშზე დასძრა.

მალე ებრაელთა ბანაკი სისხლიან სასაკლაოდ იქცა. 3000 კაციდან ცოცხალი არვინ გადარჩენილა. იუდა ბენ-იაირმაც იქვე დადვა თავი თვისი.

ამის შემდგომ დიდ დროს არ გაუვლია და ლუციელიუს ბასუსი იქვე, იუდეაში გარდაიცვალა. მის ადგილზე დაინიშნა ფ ლ ა ვ ი უ ს ს ი ლ ვ ა, რომელსაც პატივად ხვდა ბრძოლის გადახდა მესამე და უკანასკნელი დამოუკიდებელი ებრაული ციხე-ქალაქის, მასადას დაუფლებისთვის.

მასადა (ებრ. მეცადა) კი კვლავ ხელუხლებლად იდგა, მკვდრის ზღვაზე ამაყად გადმომზირალი.

აქ იდგნენ და ოჯახებით, ცოლით და შვილით, მკვიდრობდნენ სიკარიები, სულ 1000 ოჯახი.

მეთაურობდათ უმამაცესი ელეაზარ ბენ-იაირ.

ფლავიუს სილვამ ყოველის მხრივ შეუყენა ლეგიონები მთას, რომელზეც იდგა მასადა. რკინის სალტეში ჩაიჭირა ყოველი გზა და ბილიკი. ჯერ კი ჰქონდათ ალყაში მოქცეულებს საჭმელ-სასმელი, ბლომადაც ჰქონდათ, მაგრამ მარაგი ალყაში ერთხელაც არის, უნდა დაწრეტილიყო. საალყო სალტესაც შეუჩერებლად ავიწროებდნენ რომაელები, ქვემოდან ზემოთ, ფერხთაგან ყელიკენ. ბოლოს, აღმოსავლეთის მხრიდან, სიმაგრეს და მის კედლებს ფლავიუს სილვამ სამოცი წყრთის სიმაღლის კოშკი მიუშენა და გვერდით კედელსარღვევი ტარანიც დაუყენა და დაუწყო ცემა.

კედელი ჩააქციეს და სიმაგრეში შეიჭრნენ რომაელნი.

სიკარიებს კი შიგნით, სახელდახელოდ, სამარაგოდ, ახალი კედლის აგება შეესწროთ, ხის კედლისა. სილვამ ბრძანა, ცეცხლმოკიდებული ჩირაღები დეშინათ იმ ხის კედლისთვის. დაუშინეს. ცეცხლი მოედო და ჩაწვა კიდეც ხის კედელი. უცებ ცეცხლს ქარმა დაჰბერა და ლამის ის ცეცხლიც რომაელებს შეუბრუნა. მაგრამ, თითქოს, ებრაელთადმი „ღვთის წყრომით", ქარმა ისევ ფრთა იცვალა და კვლავ მასადელებს მიუმძღავრა ხანძარი.

ყოველგვარი თავდაცვითი სახსარი მოშლოდა მასადას. სიმაგრე რომელებით გავსებულიყო. მონობიდან ხსნა აღარავითარ ადამიანურ სიმამაცეს თუ სხვა რამ ძალმოსილებას აღარ შეეძლო.

მაშინ ელეაზარ ბენ-იაირმა შეჰყარა თავისი თანამებრძოლნი და მიმართა სიტყვით: „მამაცო ვაჟკაცნო, დიდი ხანია, ჩვენ გადავწყვიტეთ, არ ვყოფილიყავით მონები არცა რომაელთა, არცა სხვათა ვინმეთა, თვინიერ ღმერთისა ერთისა, რამეთუ იგი არს ერთადერთი ჭეშმარიტი და სამართლიანი უფალი ყოველ ადამიანთა... და თვითონ ღმერთი გადმოგვივლენს ჩვენ იმ წყალობას, კეთილშობილურად დავასრულოთ ჩვენი სიცოცხლე სიკვდილით, რაის ბედნიერებაც არ ჰქონიათ სხვებს, დამარცხებულთ. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ხვალ გათენებისთანავე გველოდება სრული აკლება ჩვენი სიმაგრე-სამყოფელისა, მაგრამ მანამდე ჩვენ გვრჩება თავისუფალი დრო სანატრელი ვაჟკაცური სიკვდილისა... ჩვენ ვისჯებით ჩვენი ღმერთისგან სამართლიანად, ჩვენი ცოდვებისთვის. მაშ, ჯერ ჩვენ უნდა დავხოცოთ ჩვენი ცოლები, რათა დაცული ვიქნათ შეურაცხებისგან, და ჩვენი შვილებიც, რათა მონობა არ იგემონ მათ, ხოლო ბოლოს სიკვდილის პატივს მივუგებთ ჩვენს თავს. მაგრამ კიდევ მანამდე, დავწვავთ ჩვენს ფულებს და ჩვენს სიმაგრეს, რადგან დარწმუნებული ვარ, რომაელები როგორ დაღონდებიან, როცა ვერც ჩვენ ჩაგვიგდებენ ცოცხლად მონებად და ვერც თავის ანგარ გულს ფულით ვერ გაიძღებენ. მხოლოდ ჩვენი საჭმელ-სასმელის მარაგი დავუტოვოთ მტრებს, რათა ჩვენი სიკვდილის მიზეზად შიმშილი კი არ დაიჯერონ, არამედ ის, რომ სიკვდილი ჩვენ მონობას ვარჩიეთ".

დაასრულა სიტყვა ელეაზარმა. ზოგმა ირწმუნა და თანხმობითაც დათანხმდა მის მოწოდებას. სხვებმა წუხილით უარყვეს ეს სისასტიკე — ჩვენის ხელით როგორ უნდა გავიმეტოთ ჩვენივე ცოლი და შვილიო! მაშინ, ამათ კიდევ მიმართა ცალკე, უფრო ვრცელი და გრძნობიარე სიტყვით ელეაზარმა და დაითანხმა ესენიც.

და შეუდგნენ კიდეც სიკარიები იმ ღამით იმის აღსრულებას, რაიც ისმინეს და ირწმუნეს მათი ბელადისაგან: ჯერ ცოლები და შვილები საკუთარის ხელით დახოცეს, მერე ფული და სიმაგრე დაწვეს, ბოლოს საკუთარ მახვილებზე წამოეგნენ და სიკვდილს მიეცნენ.

დილით, მზემ რომ მკვდარი ზღვიდან მასადას მთას პირველი სხივი ჰკრა, რომაელები იერიშზე გადავიდნენ.

მაგრამ როგორი იყო მათი გაოცება და გაოგნება, როცა შიგნით, სასტიკი, „სიკარიული“ ხმალთაკვეთების ნაცვლად, სრული სამარისებრი სიჩუმე შემოეგებათ.

ეს იყო სიჩუმე სიკვდილისა.

მხოლოდ მკვდრებით დარეცილიყო იქაურობა.

მხოლოდ ორი ქალი და ხუთი ყრმა ყრმა-ბიჭი გადარჩენილიყო (ეტყობა, სიკარიული გულუძვრელობაც გაუტეხნია ცოლისა და შვილის სიყვარულს).

ეს მოხდა 73 წელს, — უკანასკნელი ბრძოლა და დაცემა იუდეიის უკანასკნელი ციხე-ქალაქისა.

იწვა მასადა — სიკვდილითა სიკვდილის მძლეველი, ებრაელი ერის კიდევ ერთი გმირობის აპოთეოზით.

ებრაულ-ქართული ეპილოგოსი

უკვე მოსულიყო იმპერატორ ვესპასიანეს ბრძანება, მთელი იუდეიის მოსახლეობის უდიდესი და უჯანსაღესი ნაწილი აეყარათ და მონებად გაეყიდათ. აღარც ახალ დასახლებაზე, მით უფრო ახალი ქალაქების აშენებაზე აღარ ეფიქრათ იუდეაში. ეს ქვეყანა ამიერიდან თვითონ ვესპასიანეს პირად საკუთრებად ცხადდებოდა. იუდეიიდან ყოველი შემოსავალი ვესპასიანეს და მისი ოჯახის პირად ფისკუსში უნდა დაგროვილიყო. ამას გარდა, ამიერიდან ყოველ ებრაელს ყოველ წლიურად რომის კაპიტოლიუმის ტაძრისთვის უნდა გაეღო ორი დრაქმა, — იმდენი, რამდენსაც იგი მანამდე იხდიდა მშობლიური იერუსალემის ტაძრის შესაწირად.

არავის აქამდე არცერთ მოსისხლე მტერს არ გაემეტებინა ებრაელობა,

როგორც ვესპასიანემ გაიმეტა. მხოლოდ მეგობარ და ახლობელ ისრაელიანებს კი სცემდა პატივს.

ბერენიკე ხომ გაღმერთებული ჰყავდათ ფლავიუსებს (ან, ვის არ ჰყავდა გაღმერთებული ეს საოცარი ებრაელი ქალი). ზოგი უკვე დედოფალ-ავგუსტად თვლიდა ტიტუსის მშვენიერ სატრფოს. ტიტუსი გიჟდებოდა მისთვის. გიჟდებოდა და ეჭვიანობდა. მასზე ეჭვიანობის ნიადაგით, ტიტუსმა თავისი ახლო მეგობარი დაახრჩობინა კიდეც. ტიტუსის სასიამოვნოდ, ათენელმა ხალხმა, მისი არეოპაგისა (უხუცესთა საბჭო) და ეკლესიის (კრება) დადგენილებით, ბერენიკეს ქანდაკებაც დაუდგეს ასეთი წარწერით: „დიდ დედოფალს, დიდი მეფის, იულიუს აგრიპას ასულს". თითქოს კიდევაც უნდოდა ტიტუსს, ცოლად შეერთო ბერენიკე, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გადაწყვიტა. ალბათ, მაინც დაუშინდა რომაელ ხალხს, ებრაელობის დიდად მოძულეს. არც მამამისი ვესპასიანე დაანებებდა, და, ბოლოს და ბოლოს, გაშორდა ტიტუსი ბერენიკეს. როგორც ეტყობა, არც ამის ძმა, აგრიპა დარჩენილა რომის მესვეურთაგან დიდ პატივში.

იოსებ ბენ-მატათია კი ყოველთვის დიდ პატივში ჰყავდათ ვესპასიანესა და მის ორივე ძეს — ჭკვიან ტიტუსსაც და შეშლილ დომიციანესაც. ტიტუსმა იოსებს ნება დართო ტყვეთა შორის, ვინც უნდოდა, ნათესავთაგან თუ ნაცნობთაგან, აერჩია, ბორკილები აეყარა და თავისუფლება მიენიჭებინა. ვესპასიანემ იგი დააჯილდოვა მიწებით იუდეაში, მიანიჭა რომის მოქალაქეობა და საცხოვრებლად სასახლეც კი აჩუქა, იქვე, თავის ახლოს. იმჟამად იოსები მეორე ცოლს გაეყარა და მესამედაც დაქორწინდა, კრეტელი წარჩინებული ებრაელის ასულზე.

ფლავიუსების საიმპერატორო ოჯახში იოსებ ბენ-მატათია იმდენად ახლობელი კაცი იყო, რომ მალე ამ გვარის ტარების უფლებაც მიიღო და ამიერიდან იგი სწორედ იოსებ ფლავიუსის სახელით დამკვიდრდება ისტორიაში.

ისტორიას კი დიდი ისტორიკოსობით დასდო ამაგი იოსებ ფლავიუსმა. იჯდა და წერდა უცხოელთაგან ვითომ მოალერსებული და შეყვარებული, თანასისხლიერთაგან კი „ვითომის" გარეშე დაგმობილი და შეძულებული. და, ვითარცა სასყიდელი თავისი გაყიდული სულისა, დაწერა თავისი ხალხის თავგადასავალი დასაბამითგან მისი თანადროული უკანასკნელი ომის დასაწყისამდე, მოცულობით 20 წიგნად, სახელწოდებით — „იუდეიის სიძველენი". ამას მოჰყვა „იუდეიის ომი", დაწერილი თვითონ ომის მონაწილე ავტორისაგან. კიდევ — „ცხოვრება", საკუთარი ბიოგრაფია, ანუ თავისებური თავისმართლება მისი ბრალმდებლებისგან. ბოლოს — „აპიონის წინააღმდეგ", ანუ დაცვა ებრაული სულიერ-კულტურული ტრადიციებისა ბერძენ სწავლულთა შემოტევებისგან.

წერდა ბერძნულად, რადგან მისი ებრაული არავის სწამდა — არც რომაელს, არც ბერძენს და არც თვით ებრაელს. ჰყავდა მეგობარი, ე პ ა ფ რ ო დ ი ტ ი, დიდად ნიჭიერი და განსწავლული ბერძენი, რომელიც არ ეშვებოდა

და აწერინებდა, აქეზებდა და ამხნევებდა, ბერძნულად ნაწერს მარცვალსა და მანერას უსწორებდა.

და იყო იგი ტიპიური დიასპორიდი, განთესილი — უცხო მიწით, უცხო ენით, მაგრამ მაინც მშობლიური ებრაული სულით.

სამშობლო ქვეყნიდან განთესვის ახალი და ყველაზე დიდი, ორიათასწლოვანი ხანა დასდგომოდა ებრაელობას.

ორიათასი წელიწადი გან-თესვისა და გან-სახელმწიფოებრიობისა.

დროთა დინების უწყვეტელ ჯაჭვში, დედამიწის ყოველ კუთხეში ყოფნა და ყოფა განთესილი ებრაელისა — ანუ ყოფნა, ვითარცა სიკეთის მთესველ განთესილისა, სამაგიეროდ ყოველთაგან დევნილისა, შერისხულისა, სისხლდადენილისა.

მხოლოდ ერთგან, ერთადერთ (ერთადერთ-მეთქი!), დედამიწის მცირე ნატეხზე, შეეძლოთ ისრაელიანებს ეცხოვრათ, ეშრომათ, ელხინათ და ეტირათ თანაბარი სწორპატიობით იქაურ მკვიდრ ხალხთან ერთად:

თანა-დგომით,

თანა-შრომით,

თანა-ბრძოლით,

თანა-ლხინით,

თანა-ჭირით,

თანა-სიცოცხლით,

თანა-სიკვდილით.

იმ ხალხს ერქვა — ქართველობა.

იმ მიწის ნატეხს — საქართველო, ანუ შუბლი დედამიწისა.

თბილისი.

მოსეს შობიდან წელიწადი — 3560.

ქრისტეს შობიდან წელიწადი — 1990.

სარჩევი

სათაურნი:

ქართულ-ებრაული პროლოგოსი, ანუ უძმოთა ძმანი 3

კარი პირველი — ყამნი პატრიარქთა 11
1. მიწა-წყალი 11
2. აბრაამ 13
3. ისაკ 17
4. იაკობ 22
5. იოსებ 27
6. მოსე 39
7. ქართული ინტერლოგოსი 75
8. იესო ნავინ 79
9. ღოთონიელ 85
10. ჰაქუდ 86
11. დებორა 87
12. გედეონ 90
13. აბიმელეხ 93
14. იეფთაე 95
15. სამსონ 98
16. ელი 100
17. სამუელ 102

კარი მეორე — ყამნი ერთხელმწიფეთა 105
1. საულ 105
2. დავით 112
3. სოლომონ 156

კარი მესამე — ყამნი განყოფისა 175
1. განყოფა 175
2. იადონ 177
3. რობოამ და იერობოამ 179
4. ასა და ბაასა 184
5. აქაბ და ელია 189
6. იოსაფატ და ახაზია 197
7. იორამ და იორამ 200
8. იუი და იოახს 202
9. ამასია და იოახაზ 206

კარი მეოთხე — ყამნი განთესვათა 210
1. განთესვა პირველი 210
2. ოზია 211
3. ებრაელნი, სირიელნი, ასურელნი 215
4. ნასახუ 219
5. ეზეკია 224
6. მანასე 232
7. იოსია 237
8. იოაკიმ 241

9. ტყვეობანი ბაბილონისა 248
10. იერემიადა 259
11. ქართული ინტერლოგოსი 264
12. ბაბილონურ დროებამსა შინა 266
13. სპარსულ დროებმსა შინა 270
14. მოსელა „დიადი რქოსანისა" 285
15. ქართული ინტერლოგოსი 295
16. ელინისტურ დროებამსა შინა 298
17. მაკაბელთა 321
18. ახალ მეფეთა 361
19. მოსელა მგლის ნაშიერთა 273
20. ჰეროდე 384
21. არქელაოსი 417
22. მესია 424
23. ქართული ინტერლოგოსი 435
24. მესია (გაგრძელება) 436
25. ქართული ინტერლოგოსი 446
26. აგრიპა 449
27. აგრიპა მეორე 463
28. ქართული ინტერლოგოსი 474
29. აჯანყების გზით 477
30. ომის დასაწყისი 483
31. იოსებ ბენ-მატათია 489
32. გენისარეთიდან იერუსალემამდე 501
33. დაცემა „დედამიწის სიხარულისა" 520
34. ქართული ინტერლოგოსი 527
35. სიჩუმე სიკვდილისა 528
ებრაულ-ქართული ეპიოლოგოსი 531

Саникидзе Левак Давидович

ХАБИРУ, ИЗРАИЛЬ, ЕВРЕЙ...

(На грузинском языке)
Издательство Тбилисского университета
Тбилиси, 1993

გამომცემლობის რედაქტორი მ. გოგოლაძე
მხატვარი შ. ნიორაძე
ტექნიკური რედაქტორი ბ. ასათიანი
კორექტორი ნ. ელიზბარაშვილი

გადაეცა წარმოებას 29.03.93. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.08.93.
საბეჭდი ქაღალდი 70×90 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 46,9.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 35.
ტირაჟი 10 000. შეკვეთის № 147.
ფასი სახელშეკრულებო
თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
საქართველოს რესპუბლიკის პოლიგრაფიისა და საგამომცემლო
საქმიანობის სახელმწიფო კორპორაციის ბეჭდვითი სიტყვის
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.